



აფხაზეთი საქართველო

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავსაზეთი საქართველოა

ისტორიული რაკურსი

თბილისი – 2021

წარმოდგენილი კოლექტიური გამოკვლევა არის კიდევ ერთი მცდელობა დამაჯერებელი და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს საერთო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეთნოკულტურული სხეულის განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების ახალ ტალღას. მასში შეჯამებულია ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა კვლევების შედეგები; ობიექტურად და მიუკერძოებლადაა გაანალიზებული საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „სადავო საკითხებზე“, რომელთა ირგვლივაც არ წყდება ფსევდომეცნიერული სპეკულაციები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველო-აფხაზეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.



ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის: **„თანამედროვე აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და ეთნო-კულტურული იერსახე უძველესი დროიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით“**

[№OTG-I-19-1237 – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2019 წლის საგრანტო კონკურსი] ფარგლებში.

საგრანტო პროექტის შემსრულებლები: **ზურაბ პაპასქირი** (პროექტის ხელმძღვანელი)

ზურაბ ხონელიძე (კოორდინატორი)

ლია ახალაძე (მკვლევარი)

ჯემალ გამახარია (მკვლევარი)

ბეჟან ხორავა (მკვლევარი)

კახა კვაშილავა (მკვლევარი)

კახაბერ ყალიჩავა (მკვლევარი)

რედაქტორი: **ზურაბ პაპასქირი**

© **ზურაბ პაპასქირი, 2021; ავტორთა კოლექტივი, 2021**

© **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2021**

ISBN 978-9941-25-969-2

Sokhumi State University

WHY ABKHAZIA IS GEORGIA

A TRUE HISTORY

Tbilisi – 2021

The presented collective research is another attempt to give a convincing and scholarly substantiated answer to the new wave of falsification of historical past of Abkhazia, the integral part of the all-Georgian national, state, ethnical, and cultural universe. It summarizes 30-year-research of Georgian historians. The authors objectively and impartially analyse the main stages of the historical development of Abkhazia, the indigenous part of Georgia, from Ancient Times to the beginning of 21st Century. The special attention has been paid to the so-called “controversial issues” around which pseudo-scientific speculations are still not ending. The book is intended for specialists and a wide range of readers interested in the history of Georgia-Abkhazia.



The research was prepared within the framework of
Shota Rustaveli Georgian National Foundation grant project:

“The National, State, Political, and Ethno-Cultural Character of the Present-Day Abkhazia. From the Ancient Times to the Beginning of the 21st Century”

(№OTG-I-19-1237 – Grant Call 2019 for Promotion of Scientific Research Projects and International Scientific Events in Occupied Territories of Georgia)

Grant Project Executors: **Zurab Papaskiri** (Project Manager)

Zurab Khonelidze (Coordinator)

Lia Akhaladze (Researcher)

Jemal Gamakharlia (Researcher)

Bezhan Khorava (Researcher)

Kakha Kvashilava (Researcher)

Kakhaber Kalichava (Researcher)

Editor: **Zurab Papaskiri**

© **Zurab Papaskiri, 2021; Authors' Collective, 2021**

© **Shota Rustaveli National Foundation of Georgia, 2021**

ISBN 978-9941-25-969-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

მესავალი (ზურაბ ჰაპასქირი)	7
თავი I. აფხაზეთი – ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (ბეჟან ხორავა)	27
თავი II. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან	
ახ. წ. VIII საუკუნემდე (ზურაბ ჰაპასქირი)	39
§1. პირველყოფილობის ხანა	39
§2. აფხაზეთის ეთნიკური იერსახის მონახაზი ძვ. წ. III-II ათასწლეულებში არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მონაცემების შუქზე	41
§3. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნიკური რუკა ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე.....	47
§4. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე.....	64
თავი III. „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახე (ზურაბ ჰაპასქირი)	73
თავი IV. აფხაზეთი ერთიან ქართულ სახელმწიფოში. XI-XV საუკუნეები (ზურაბ ჰაპასქირი)	103
§1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და თანამედროვე აფხაზეთის ადმინისტრაციული სტატუსი XI-XII საუკუნეებში	103
§2. აწინდელი აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული იერსახე XI-XII საუკუნეებში. ტერმინ „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში	119
§3. აფხაზეთი და აფხაზები XIII-XV საუკუნეებში	129
თავი V. აფხაზეთი XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დამდეგის ჩათვლით (ბეჟან ხორავა)	146
§1. აფხაზეთი XVI საუკუნეში	146
§2. აფხაზეთი XVII საუკუნეში	151
§3. აფხაზეთის სამთავრო XVIII საუკუნეში	165
§4. აფხაზთა სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVII-XVIII საუკუნეებში.....	171
§5. აფხაზეთი XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის მფარველობაში.....	182
თავი VI. თანამედროვე აფხაზეთის რელიგიური და კულტურული იერსახე შუა საუკუნეებში	204
§1. ქრისტიანობის გავრცელება. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო IX-XVIII საუკუნეებში (გუმალ გამახარია).....	204
§2. თანამედროვე აფხაზეთის კულტურული იერსახე შუა საუკუნეებში (ლია ახალაძე)	214
თავი VII. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1810 წლიდან 1917 წლამდე	246
§1. აფხაზეთის სამთავრო 1810-1864 წლებში (ბეჟან ხორავა)	246
§2. აფხაზეთი XIX საუკუნის 60-იანი წლების II ნახევრიდან 80-იანი წლების დამდეგამდე (ბეჟან ხორავა)	275

§3. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს <i>(კახა კვაშილავა, ზურაბ ჰაპასქირი)</i>	289
თავი VIII. თანამედროვე აფხაზეთის რელიგია და კულტურა 1810-1917 წლებში	310
§1. სარწმუნოებრივი მდგომარეობა აფხაზეთში რუსული ანექსიის პირობებში <i>(1810-1917) (ჯემალ გამახარია)</i>	310
§2. კულტურული ცხოვრება აფხაზეთში 1810-1917 წლებში <i>(ღია ახლაძე)</i>	330
თავი IX. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული (ჯემალ გამახარია)	349
§1. აფხაზეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ- ლობისათვის ბრძოლის პერიოდში. <i>1917 წ. თებერვალი – 1918 წ. მაისი</i>	349
§2. აფხაზეთის ავტონომია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....	356
§3. საეკლესიო ცხოვრება აფხაზეთში 1917-1921 წლებში	386
თავი X. საბჭოთა აფხაზეთი 1921-1953 წლებში	391
§1. აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში 1921-1937 წლებში <i>(ჯემალ გამახარია)</i>	391
§2. აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX საუკუნის 20-30-იან წლებში <i>(ზურაბ ჰაპასქირი)</i>	414
§3. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობის შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში <i>(ზურაბ ჰაპასქირი)</i>	424
თავი XI. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის 50-90-იანი წლების დამდეგს (ზურაბ ჰაპასქირი)	435
§1. სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში XX საუკუნის 50-70-იან წლებში	435
§2. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XX საუკუნის 80-იან – 90-იანი წლების დამდეგს	455
თავი XII. ძმთამკვლელი დაპირისპირება აფხაზეთში 1992-1993 წლებში და მისი შედეგები (ზურაბ ჰაპასქირი, კახაბერ ყალიჩავა)	524
§1. პოლიტიკური ბატალიები 1992 წლის 14 აგვისტოს ტრაგედიის წინ	524
§2. ძმთამკვლელი ომი აფხაზეთში	539
თავი XIII. ეკლესია და კულტურული ცხოვრება აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში	568
§1. საეკლესიო ცხოვრება <i>(ჯემალ გამახარია)</i>	568
§2. განათლება და კულტურა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში <i>(ღია ახლაძე, ზურაბ ხონელიძე)</i>	572
თავი XIV. პოსტკონფლიქტური აფხაზეთი	592
§1. საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1994-2007 წლებში <i>(კახა კვაშილავა, ზურაბ ხონელიძე)</i>	592
§2. კოლიზიები რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში <i>(ზურაბ ჰაპასქირი, კახაბერ ყალიჩავა)</i>	605
ძირითადი დასკვნები	619
ბიბლიოგრაფია	633

შ ე ს ა ვ ა ლ ი

აფხაზეთი საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხეა. ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი მოძმე ხალხის – ქართველთა და აფხაზთა წინაპრები უძველესი დროიდან გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ და მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ საერთო სამშობლოს – საქართველოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის. მთელი ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად ცალკეულ ეპოქებში ქვეყნის რეგიონებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა, რომელიც, არცთუ იშვიათად, შეიარაღებულ დაპირისპირებაშიც გადაიზრდებოდა, აფხაზებსა და ქართველებს შორის არასოდეს ჰქონია ადგილი გაუცხოვებას და არ დამდგარა ეჭვ-ეჭვამ ორი მონათესავე ხალხის ერთიან საერთო ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და სოციალურ-კულტურულ სივრცეში თანაცხოვრების პერსპექტივა. ვითარება კარდინალურად შეიცვალა XIX ს. 60-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის სტრატეგიული გეგმის სისრულეში მოყვანას შეუდგა. სწორედ ამ დროიდან დაემუქრა რეალური საფრთხე ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ძმობას და ერთობას.

პირველი ნაბიჯი, რომელიც იმპერიამ ამ მიმართულებით გადადგა, იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა, რომელიც, თვით ამ ანბანის შემქმნელის გენერალ პეტრე უსლარის აღიარებითვე, მიზნად ისახავდა აფხაზთა ქართული კულტურული სამყაროსაგან ჩამოცილებასა და მათ რუსულ წიგნიერებასთან ინტეგრირებას (**Услар, 1881: XXXVII; Анчабадзе З., 1976: 119**). ამავე დროს, რუსულმა იმპერიულ-იდეოლოგიურმა მანქანამ ე.წ. „ისტორიოგრაფიული ფრონტიც“ აამოქმედა. 1907 წელს გამოქვეყნდა ვინმე ლ. ვორონოვის წიგნი გამომწვევი სახელწოდებით „აფხაზეთი არაა საქართველო“. მასში ავტორი ავითარებდა აზრს, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი, არც პოლიტიკურად და არც კონფესიურად და რომ ქართველები აფხაზთათვის ისეთივე დამპყრობლები იყვნენ, როგორც რომაელები, ბერძნები, თურქები და ა.შ. (**Воронов Л., 1907; პაპასქირი, 1998: 171-172**).

ფაქტობრივად, იგივე იდეოლოგიური გზავნილი გასდევდა წითელ ზოლად კიდევ ერთი რუსი ავტორის – ამჯერად უკვე აფხაზეთში მოღვაწე ანტიქართულად განწყობილი ისტორიკოსი-მხარეთმცოდნის კონსტანტინე კუდრიავეცვის ნაშრომს.¹ მასში ავტორი ღიად ადანაშაულებდა რა „ქართველ შოვინისტებს“ აფ-

¹ აღსანიშნავია, რომ ცალკეული ანტიქართული გამოხდომები რუსი ავტორების მიერ აფხაზეთისა და აფხაზების ირგვლივ გამოცემულ მხარეთმცოდნეობითი ხასიათის მასალებში ლ. ვორონოვისა და კ. კუდრიავეცვის ღვარძლიანი ფალსიფიკატორული პასკვილების გამოქვეყნებამდეც შეიმჩნეოდა, თუმცა იმჟამად ამას ნამდვილად არ ჰქონდა სისტემური ხასიათი და, რაც მთავარია, ამ პუბლიკაციებში არც აფხაზეთი იყო წარმოჩენილი საერთო-ქართული სივრციდან მთლიანად მოწყვეტილად. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ არქიმანდრიტ ლეონიდეს (*კაველინის*) ახალი ათონის სიმონ კა-

ხაზთა ქართველური მოდგმის ხალხად გამოცხადებაში, ყოველნაირად ცდილობდა თანამედროვე აფხაზეთის ისტორია წარმოეჩინა აფსუა-აფხაზთა (რომელთაც ის უპირობოდ რეგიონის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობად აცხადებდა) დანარჩენი საქართველოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის თითქმის პერმანენტული ბრძოლის ერთგვარ მატთანად (**Кудрявцев: 11-12**).

XX ს. 20-იან წლებში ეს ფორმულა უკვე ე.წ. „აფხაზური სახალხო ინტელიგენციის“ სეპარატისტულად განწყობილმა წრეებმა აიტაცეს. ასე გაჩნდა თავიანთი ანტიქართული სულისკვეთებით ცნობილ აფხაზ მოღვაწეთა *სიმონ ბასარიასა და სემიონ აშხაძავას* „პროგრამული“ ნაშრომები (**Басария, 1923; Ашхацава, 1925**) აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. მათში, გარდა იმისა, რომ აფხაზეთის ისტორია მთლიანად იყო მოწყვეტილი საერთო ქართული ისტორიისაგან, ადგილი ჰქონდა აფხაზი ეთნოსის განდიდებისა და კავკასიის მასშტაბით მისი პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონობის (ქართული ისტორიული მემკვიდრეობის აფსუა-აფხაზთა კუთვნილებად გამოცხადების ხარჯზე) წარმოჩენის სრულიად კომიკურ მცდელობებს. ასე მაგალითად, ს. აშხაძავა მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ ე.წ. „აფხაზეთის“ სამეფო იყო არა ქართული, არამედ საკუთრივ **აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო**, რომელიც თურმე **არსებობდა XV საუკუნემდე**, როდესაც ის დაიშალა სამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის) სამეფოდ და 5 სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი). XVI-XVII საუკუნეები ს. აშხაძავასთვის იყო „ყოფილი აფხაზეთის სამეფოს დაქუცმაცებული რეგიონების დაცემის ხანა ცხოვრების ყველა სფეროში“, რაც „**მძიმე გამოცდა აღმოჩნდა ეროვნული** (მისი აზრით, რასაკვირველია, აფხაზური) **თვითშეგნებისათვის**“. ამიტომაც „*მოწინავე მოღვაწეებში გაიღვიძა ქართის ტომთა გაერთიანების იდეამ უკვე არა აფხაზეთის, არამედ საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდების ქვეშ*“ (**Ашхацава, 1925: 21**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**). უფრო მეტიც, თურმე „*XV საუკუნეში აფხაზეთის სამეფოს დაცემის შედეგი*“ იყო „**ნაციონალური მონეტის მოჭრის შეწყვეტა**“ (**Ашхацава, 1925: 21**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**). აფხაზთა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული აღმავლობის ამ ფანტასტიკური სურათის დაგვირგვინება კი იყო მტკიცება აფხაზური დამწერლობის არსებობის შესახებ, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, ყოფილა ის დამწერლო-

ნანელის რუსული მონასტრისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნი, რომელშიც ის უსამართლობად მიიჩნევს ქართულ ტაძრებში ღვთისმსახურების ძველ სლავურზე გადაყვანას, მაგრამ, ამასთან, კატეგორიულად წინააღმდეგია აფხაზებით დასახლებულ ადგილებში ქართული წირვა-ლოცვისა და ითხოვს ღვთისმსახურებას მხოლოდ ძველ სლავურზე (**Абхазия и.., 1885: 27-28**). ანუ ეს თითქოს საკმაოდ პროგრესულად მოაზროვნე რუსი მოღვაწე ამით ცდილობს შეამაგროს აფხაზეთის საერთო-ქართული ქრისტიანული სხეულიდან ჩამოცილებისა და აფხაზთა რუსულ საეკლესიო სივრცეში ინტეგრირების იმპერიული გეგმა, რასაც ასე ღიად და გამომწვევად ქადაგებდა მოგვიანებით ზემოთნახსენები ლ. ვორონოვი.

ბა, რომელიც „ახლა ცნობილია ქართული დამწერლობის სახელით“ (Ашхацава, 1925: 38, ხაზგასმა ჩვენია – ზ. ჰ.).¹

ერთი შეხედვით, დასახელებული პუბლიკაციებისგან განსხვავებით, პოლიტიკურად ნაკლებად ანგაჟირებულად გამოიყურებოდა 1925 წელს თბილისში გამოცემული აფხაზური ლიტერატურის (ზოგადად ეროვნული წიგნიერების) ფუნქციონირების დიმიტრი გულიას „აფხაზეთის ისტორია“ (Гулия. Д., 1925), რომლის მეცნიერული ღირებულება, მიუხედავად აფხაზ მკვლევართა მცდელობისა, აფხაზური ლიტერატურის პატრიარქი ისტორიოგრაფიის სფეროშიც წარმოაჩინონ გამორჩეულ ფიგურად (Дзидзария, 1978: 3-12), რბილად რომ ვთქვათ, მეტად საეჭვოა. ამ ნაშრომის მთავარი დანიშნულება მაინც იმის მტკიცება იყო, რომ აფხაზეთი ისტორიულად მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების – საცხოვრის წარმოადგენდა. აღნიშნული პუბლიკაციები, რომლებიც ამკარად ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ ლიდერის ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-შოვინისტური რეჟიმის პოლიტიკური შეკვეთით განხორციელდა, აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ ისტორიოგრაფიულ დასაბუთებად აღიქმებოდა.

იმ პერიოდში ქართული ისტორიკოსები ინარჩუნებდნენ აკადემიურ სიმშვიდეს, ამ სრულ უვიცობაზე დაფუძნებულ² ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიურ თარეშს პასუხს არ სცემდნენ და მხოლოდ ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის ზოგადი კონცეპტუალური ხაზის დეკლარირებას სჯერდებოდნენ. ამ მხრივ,

¹ აქვე არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ს. აშხაცავას მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის ისტორიული წარსულის ამ აბსოლუტურად გაყალბებული ვერსიის პუბლიკაცია განხორციელდა აკადემიკოს ნიკო მარის ღია მხარდაჭერით. მეცნიერმა ეს გამოხატა ს. აშხაცავას ბროშურისადმი დართულ წინასიტყვაობაში, რომელშიც ის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ავტორმა შეძლო „აფხაზეთის სამეფოს ქუშმარიტად აფხაზური ნაციონალური პერიოდის“ და „მასში აფხაზური ენის როლის საკითხის წინა პლანზე“ წამოწევა (Ашхацава, 1925: 4. ხაზგასმა ჩვენია – ზ. ჰ.). ნ. მარის ამგვარი „წამახალისებელი“ დამოკიდებულება აფხაზი ავტორის ანტიქართული ისტორიული ნარატივისადმი ამკარად განპირობებული იყო მეცნიერის რუსულ იმპერიულ რელსებზე შედგომით, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 1918 წელს თბილისში ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ (ნ. მარის „აფხაზური მტუდიების“ ანტიქართულ მიმართულებაზე იხ.: გვანცელაძე, 2001: 33-34; გამახარია, 2005: 737-738).

² ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდში აფხაზეთში მოღვაწე პროფესიონალი რუსი ისტორიკოსის ანატოლი ფალეევის აფხაზეთის ისტორიული წარსულის ამსახველი განმარტებული ნაშრომი, რომელსაც ზოგადად წიგნიერებას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, თუმცა მასშიც გვხვდება ცალკეული ფაქტოლოგიური ლაფსუსები და, რაც მთავარია, შეიმჩნევა ტენდენცია აფხაზური ნაციონალური ელემენტის წინ წამოწევისა არა მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში („ლეონიდების“ ხანაში), არამედ თვით ერთიან ქართულ სახელმწიფოშიც. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც მისი მცდელობა „აფხაზ დამპყრობელთა ეპიგონების“ ძლევამოსილების წარმოჩენისა თვით თამარის სახელმწიფოშიც კი და შემდგომაც (Фадеев, 1934: 13).

პირველ რიგში, გამოსაყოფია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის სკოლის ერთ-ერთი ლიდერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ვრცელი ნარკვევი, რომელშიც ავტორმა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის მემკვიდრის, XIX ს. ბოლო მეოთხედისა და XX ს. დამდეგის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფონზე, წარმოადგინა აფხაზეთისა და აფხაზთა კულტურულ-პოლიტიკური იერსახის ობიექტური და მეცნიერულად დასაბუთებული ხედვა (**ჯანაშია, 1939**). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს აფხაზეთისა და აფხაზთა რეალური (და არა მითიური, რომელსაც გვთავაზობდნენ ს. ბასარია, ს. აშხაფავა და სხვ.) ისტორიის გასააზრებლად.

1937 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნ. ლაკობას ნაციონალისტურ-შოვინისტურ რეჟიმს წერტილი დაესვა, ერთი პერიოდი, ისტორიოგრაფიულ ფრონტზე სეპარატისტული პროპაგანდა, რომლის ქვაკუთხედს აფხაზთა გამორჩეულობისა და ყოვლისშემძლეობის ტირაჟირება წარმოადგენდა,¹ დროებით მინელდა. ვითარება შეიცვალა XX ს. 50-იანი წლებიდან, როდესაც სსრ კავშირში შექმნილმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგიის რეანიმაციისათვის. ამ დროიდან დღის წესრიგში კვლავ დადგა აფხაზთა „ნაციონალური“ (არაქართული) ისტორიის შექმნის საკითხი. თუმცა, პირველ ეტაპზე ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული, რაც, ძირითადად გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარას დამსახურება იყო. სწორედ ამ სახელოვან მეცნიერთა საეტაპო ფუნდამენტური კვლევები დაედო საფუძვლად თანამედროვე აფხაზეთის მეცნიერულ ისტორიას.

ზურაბ ანჩაბაძის – ქართული საისტორიო სკოლის აღზრდილისა და ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მოწაფის, – კაპიტალურ მონოგრაფიებში: „*ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა*“, „*შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII საუკუნეები)*“ პირველად ისტორიოგრაფიაში, სრულყოფილად და ამავე დროს მეტ-ნაკლებად ობიექტურად იყო გაშუქებული ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზეთის ისტორიული წარსული (**Анчабадзе З., 1964; Анчабадзе З., 1959**). მეცნიერის დაკვირვებები აფხაზთა წარმომავლობაზე, აფხაზი ხალხის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, აფხაზთა და აფხაზეთის როლსა და ადგილზე საერთო-ქართულ ისტორიულ პროცესში (მიუხედავად ცალკეული გადაცდომებისა), უდავოდ საეტაპო მნიშვნელობისაა. განსაკუთრებით ღიდი მნიშვნელობა ენიჭე-

¹ სხვათა შორის, ამ ტენდენციებს ღიად ემიჯნებოდნენ არანაკლებ ნაციონალისტურად განწყობილი, ზაქარია აგრბა და არსენ ხაშბა, რომლებიც „ჭეშმარიტი ისტორიის ფალსიფიკაციად“ თვლიდნენ „*აფხაზთა წარმოჩენას საერთო კავკასიური კულტურის ერთადერთ მატარებლად... დავითისა თამარის სახელმწიფოს ერთადერთ შემოქმედად*“ (**Арба, Хашба, 1934: 13**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**).

ბა იმას, რომ ზ. ანჩაბაძე აფხაზეთისა და აფხაზეთის ისტორიის ზოგადად ერთნიშნად საერთო-ქართული ისტორიული პროცესის ორგანულ ნაწილად მოიაზრებდა (**პაპასქირი, 2000a: 386**).

პრინციპში, იგივე შეიძლება ითქვას მეორე გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსზე გიორგი ძიძარიაზე. მართალია, გ. ძიძარიას, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსის ფორმირება მოხდა მოსკოვში – რუსულ აკადემიურ სივრცეში, მაგრამ ის (თუ არ ჩავთვლით ახალგაზრდობის დროინდელ დემარშს „თბილისის მოძალების“ წინააღმდეგ),¹ საერთო ჯამში, არასოდეს გამოსულა ღიად ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის წინააღმდეგ და თავის ნაშრომებში აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის XIX – XX ს. დამდეგის ისტორიას ასევე განიხილავდა საერთო-ქართულ ისტორიულ ჟრილში. ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარიას ფუნდამენტურ კვლევებს დაეფუძნა ძირითადად, აფხაზ და ქართველ² ისტორიკოსთა მიერ მომზადებული აფხაზეთის მეცნიერული ისტორიის პირველი შემაჯამებელი განმარტებული ნაშრომი – „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეული (**Очерки I, 1960; Очерки II, 1964**), რომელიც გამოიცა რუსულ ენაზე 1960-1964 წლებში. ბუნებრივია, ამ გამოცემას ეტყობოდა საბჭოური ეპოქის იდეოლოგიური კონიუნქტურა – განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეების ისტორიის გაშუქებისას (თუმცა არც ძველი და შუა საუკუნეების ხანის ცალკეული საკითხების გააზრება იყო უნაკლო),

¹ მხედველობაში გვაქვს 1947 წელს აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლების: *კონსტანტინე შაყრილის*, *ბაგრატ შინკუბას* და *გიორგი ძიძარიას* მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი საპროტესტო წერილი-საჩივარი, რომელშიც აფხაზური სკოლების ქართულ სწავლებაზე გადაყვანა (საკავშირო ხელისუფლების დონეზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად) ბრალდებოდა ოფიციალურ თბილისს (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Лежава, 1997: 119-145**). აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზ. ანჩაბაძისაგან (საერთო ქართულ ფეოდალურ ელიტასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული აფხაზური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის, რომლისთვისაც ქართული გარემო არანაკლებ მშობლიური იყო) განსხვავებით, გიორგი ძიძარიას მსოფლმხედველობა და ეროვნული თვითშეგნება ყალიბდებოდა ფარისევლურ ბოლშევიკურ ინტერნაციონალიზმს ამოფარებული ნესტორ ლაკობას ანტიქართული ნაციონალურ-შოვინისტური რეჟიმის პირობებში. მოსკოვში სწავლისას, როგორც ჩანს, ის მოექცა რუსული იმპერიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ და შეიძლება იმ ეტაპზე ყოველივე ქართულის მიმართ გარკვეული გაღიზიანება ჰქონდა.

² ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, წლების მანძილზე *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* ისტორიის კათედრისა და *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის* ისტორიის განყოფილების გამგის, პროფესორ *ირაკლი ანთელავას* ღვაწლი. გარდა იმისა, რომ ის არის ავტორი XVI-XVIII საუკუნეების აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილი თავებისა, რომელსაც საფუძვლად დაედო მეცნიერის საეტაპო მონოგრაფია XVII-XVIII სს. აფხაზეთზე (**Антелава, 1949; Антелава, 1951**), მან ორგანიზაციულადაც დიდი წვლილი შეიტანა ორტომეულის მომზადებასა და გამოცემაში.

მაგრამ მთლიანობაში, ის მაინც სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან მასში ძირითადად დაძლეული იყო *ბასარია-აშხაყვას* ნაციონალისტური ხაზი და აფხაზეთის ისტორიული წარსული ზოგადად დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობაში განიხილებოდა.¹

მიუხედავად იმისა, რომ „*აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების*“ ორტომეულმა აფხაზეთის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას სწორი მიმართულება მისცა, აფხაზ ისტორიკოსებში ყველა როდი იზიარებდა მასში განვითარებულ კონცეპტუალურ ხედვას. უკვე იმავე 60-იან წლებში ჰქონდა ადგილი ცალკეულ მცდელობებს აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიული წარსულის საერთოქართული ისტორიული პროცესიდან ჩამოცილებისა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ცნობილი აფხაზი ეთნოლოგის *შალვა ინალ-იფას* ეთნოგრაფიული გამოკვლევა „*აფხაზები*“ (*Инал-ипа, 1965*), რომელშიც (რამდენადმე შეფარვით) იყო აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიის დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებულად წარმოჩენის მცდელობა. სწორედ ამიტომ შ. ინალ-იფა უკვე ამ დროიდან განიხილებოდა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთ სულიერ მამად, რომლის შემოქმედება აღიქმებოდა დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის ერთგვარ ისტორიოგრაფიულ დასაბუთებად.

XX ს. 70-80-იან წლებში, აფხაზთა სეპარატისტული გამოსვლებისადმი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დათმობითი პოლიტიკით წახალისებული აფხაზი მეცნიერები სულ უფრო გათამამდნენ და უკვე ღიად დაიწყეს თავდასხმები საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. ტონის მიმცემი ამჯერადაც შალვა ინალ-იფა გახდა, რომელმაც 1976 წელს გამოსცა განმაურებული მონოგრაფია „*აფხაზთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხები*“ (*Инал-ипа, 1976*). აფხაზი მეცნიერის ახალ წიგნში, რომელიც იმ დროისთვისაც კი გაუგონარი ტირაჟით (5000 ეგზემპლარი) გამოვიდა, არც მეტი არც ნაკლები, ღიად იყო გაცხადებული, რომ აფსუა-აფხაზები იყვნენ თანამედროვე აფხაზეთის „ერთადერთი აბორიგენები“. მეტიც, მისი მტკიცებით, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები საერთოდ წარმოადგენდნენ მთელი ისტორიული კოლხეთის (ყოველ შემთხვევაში, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზოლის მაინც) პირვანდელ მოსახლეობას. გარდა ამისა, შ. ინალ-იფას მონოგრაფიაში ეჭვქვეშ იყო დაყენებული „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეთნო-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შინაარსი. ავტორი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაზვიადებულად წარმოაჩინდა აფხაზური ეთნიკური ელემენტის განსაკუთრებულ წვლილს XI-XII საუკუნეებში ქრისტიანული მართლმადიდებლური სამყაროს კულტურულ ცხოვრებასა და საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც შ. ინალ-იფას მიერ *იოანე ჰეტრიჩის* გამოცხადება არა მარტო ეთნიკურ აფხაზად, არამედ საკუთრივ არარსებული აფხაზური ნაციონა-

¹ აღნიშნული ორტომეული დაედო საფუძვლად *ზურაბ ანჩაბაძის*, გიორგი ძიძარიასა და არველოდ კუპრავას მიერ მომზადებულ აფხაზეთის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც გამოიცა 1986 წელს (*История Абхазии, 1986*).

ლური (?!) ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლად და ა.შ.¹

შ. ინალ-იფას მონოგრაფია ძირითადად აგებული იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის ჰავლე ინგოროყვას გიორგი მერჩულეს ეპოქისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევაში განვითარებული თვალსაზრისის კრიტიკაზე. მასში პ. ინგოროყვამ, როგორც ცნობილია, მანამდე თანამედროვე აფხუა-აფხაზთა წინაპრებად მიჩნეული გვიან ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ბერძნულ-ბიზანტიური „აბაზგ“-„აფსილები“ და ქართული წყაროების „აფხაზები“ ეთნიკურ ქართველებად, ხოლო ამჟამინდელი აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან (XVI-XVII საუკუნეებში) მოსულებად გამოაცხადა (**ინგოროყვა, 1954**: 118-189).

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულმა მეცნიერებმა – გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, დავით კობიძე, გიორგი ჩიტაია და სხვ. (**ახვლედიანი, 1957**: 107-114; **ყაუხჩიშვილი ს., 1957**: 115-125; **კობიძე, 1957**: 126-128; **ჩიტაია გ, 2000**: 112-122) ღიად დაუჭირეს მხარი პ. ინგოროყვას მიერ „აბაზგ“-„აფსილებისა“ და ადრე-შუასაუკუნეების ქართული წყაროების „აფხაზების“ ეთნიკურ ქართველებად აღიარებას, ოფიციალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მაშინდელი მისი ლიდერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახით, არ გაიზიარა პ. ინგოროყვას თვალსაზრისი და საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ის (**ბერძენიშვილი, 1956**: 125-131).² მოგვიანებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის ერთნიშნა პოზიცია არაერთხელ დაფიქსირდა XX ს. 50-80-იან წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში, რომლებშიც არ გამხდარა სადავო აბაზგ-აფსილთა აფხაზურადიღური ეთნიკური წარმომავლობა.

მაგრამ შ. ინალ-იფა არ იყო უულად „ისტორიოგრაფიულ ფრონტზე“. აფხაზეთის ისტორიის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილად გააზრების ელემენტები შეიმჩნეოდა რაულ ხონელიას (**Хонелия, 1967a; Хонелия, 1967b**) და აფხაზეთის მკვიდრი რუსი არქეოლოგის იური ვორონოვის (**Ю. Н. Воронов Ю., 1978**) შრომებში. ამავე ხანებში გააქტიურებას იწყებს ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და არქეოლოგი მიხეილ გუნბა, რომელმაც გადაუხვია თავისი მასწავლებლის ზურაბ

¹ 2011 წელს გამოიცა შ. ინალ-იფას აღნიშნული ნაშრომის მეორე შევსებული გამოცემა, რომელშიც ავტორის პოზიციები კიდევ უფრო რადიკალური გახდა (**ინალ-იფა, 2011**).

² ჟურნალ „მნათობის“ იმავე ნომერში, რომელშიც გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის შეფასება, დაიბეჭდა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აფხაზური ენათმეცნიერების ფუძემდებლის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის კრიტიკული გამოხმაურებაც (**ლომთათიძე, 1956**: 132-139). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც აკადემიკოსი ედიშერ ხომტარია-ბროსე განმარტავს, ნ. ბერძენიშვილის რეცენზიას საფუძვლად დაედო მერი ინაძისა და მარიამ ლორთქიფანიძის მიერ მომზადებული მასალები (**ხომტარია-ბროსე, 2000**: 10). პ. ინგოროყვას ნაშრომის „აფხაზური სემენტი“ გააკრიტიკეს ავტორიტეტულმა აფხაზმა მეცნიერებმა: ზურაბ ანჩაბაძემ და ხუხუტი ბღაყბამ (**ანჩაბაძე ზ., 1956**: 261-278; **ბგაჯბა, X., 1956**: 279-303), აგრეთვე იმჟამად სოხუმში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა გიორგი სოსელიამ (**სოსელია, 1955**: 2-4).

ანჩაბადის (ვისი ხელმძღვანელობითაც მოამზადა საკმაოდ გამართული სადისერტაციო ნაშრომი დასავლეთ საქართველოს ურთიერთობებზე ბიზანტიის იმპერიასთან – გუნბა, 1962) ხაზს და მყარად დაადგა ბასარია-აშხაყვას გაკვალულ გზას. ეს მკაფიოდ გამოვლინდა 1973 წელს გამოქვეყნებულ სტატიასა (Гунба, 1973) და განსაკუთრებით 1989 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში (Гунба, 1989).¹

ამ პერიოდში აფხაზური „ნაციონალური ისტორიის“ ძიებაში აფხაზ ისტორიკოსებს მხარში ამოუდგნენ სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები რუსული სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეებიდან. ამ მხრივ ტონის მიმცემი გახდა რუსი ფილოლოგი გიორგი ტურჩანინოვი, რომელმაც XX ს. 60-იან წლებში გააკეთა სენსაციური „აღმოჩენა“ – თანამედროვე აფხაზურ ენაზე გამიფრა ე.წ. „მაიკოპის ფილის წარწერები“ და ის, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს მიღწევად – ანბანური დამწერლობის უძველეს ძეგლად გამოაცხადა, ხოლო კოლხეთის სამეფო აფხაზურ სახელმწიფოდ (Турчанинов, 1971).² გ. ტურჩანინოვის ეს ზღაპარი (მოგვიანებით – XX ს. 80-იან წლებში მან „მაიკოპის წარწერა“ სულ ცოტა 1000 წლით დააძველა), ბუნებრივია, მაშინათვე აიტაცეს აფხაზმა ნაციონალისტებმა და დაიწყეს მისი ფართო რეკლამირება აფხაზურ მოსახლეობაში.³

¹ მოგვიანებით გამოიცა ამ ნაშრომის II ტომი, რომელშიც ასევე ტენდენციურადაა გაშუქებული აფხაზეთის ისტორიული წარსული – უკვე ახ. წ. II ათასწლეულში (Гунба, 1999).

² აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, ძველი აღმოსავლეთისა და კავკასიის ისტორიის კომპეტენტურმა სპეციალისტებმა, არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ლინგვისტებმა – ევგენი კრუპნოვმა, იგორ დიაკონოვმა, პიმიფ აუტლევემა, ლეონიდ ლავროვმა, ნოდარ ლომოურიმა, გურამ ლორთქიფანიძემ, თამაზ გამყრელიძემ, გრიგოლ გიორგაძემ და სხვ. დამაჯერებლად აჩვენეს გ. ტურჩანინოვის „თეორიის“ აბსურდულობა (ამის შესახებ იხ.: Гиоргадзе, 1989; Хоштария-Броссе, 1996: 6-16, იქვე შესაბამისი ლიტერატურა).

³ ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ვაჟი, ცნობილი რუსი (ხაზს ვუსვამთ რუსი და არა აფხაზი) მწერალი გიორგი გულია, რომელმაც ამ საკითხზე გამოაქვეყნა რამდენიმე პოპულისტური ხასიათის წერილი. ამ პუბლიკაციების ლაიტმოტივი იყო მსოფლიოსათვის ემცნოთ, რომ აფხაზები არიან უძველესი ანბანური დამწერლობის შემქმნელები (Гулия Г., 1964: 9; Гулия Г., 1968). აღსანიშნავია, რომ გიორგი გულიას პუბლიკაციას ოპერატიულად გამოეხმაურა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ნოდარ ლომოური (Ломоури, 1969; Ломоури, 2001: 335-338). აქვე ერთგვარი დანაწებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში გ. ტურჩანინოვის მეტად საეჭვო ღირებულების ნაშრომის იაფფასიან პოპულარიზაციას (პოლიტიკური ქვეტექსტებით) ეწევა ისეთი სერიოზული მეცნიერი, როგორცაა იური ანჩაბაძე. მისი მტკიცებით, ოფიციალური თბილისი წლების განმავლობაში ყოველნაირად აფერხებდა გ. ტურჩანინოვის ნაშრომის მეორე შევსებული რედაქციის გამოცემას იმის გამო, რომ მასში ავტორი თითქოს „ასაბუთებდა ძველაფხაზური ეთნოსის უდიდეს კულტურულ მიღწევებს, მოპოვებულს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენისგან დამოუკიდებლად“, რაც კატეგორიულად მიუღებელი იყო „თბილისის ხელისისუფლებისა და ქართული ისტორიოგრაფიული ოფიციალის ადვოკატებისათვის“ (Анчабадзе Ю., 1999: 246, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ს.).

ეს აზრი კიდევ უფრო განავითარა ცნობილმა რუსმა ლიტერატურათმცოდნემ, მოგვიანებით ველიკორუსულ-ფაშისტური იდეოლოგიის ერთ-ერთმა მებაი-რახტრემ ვადიმ კოჟინოვმა, რომელმაც პოპულარულ საკავშირო ჟურნალში გა-მოაქვეყნა სტატია აფხაზი ხალხის ისტორიულ გამორჩეულობაზე (**Кожинов, 1977: 252-271**). მანაც ანბანური დამწერლობის უპირობო შემქმნელებად თანამედროვე აფხაზთა წინაპრები მიიჩნია. ვ. კოჟინოვის მტკიცებით, თურმე ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში ფინიკიელ ზღვაოსნებს შავი ზღვის ნაპირებიდან წაუსხამთ აფხაზი ტყვეები, რომლებსაც გაუნდვიათ კიდევ თავიანთი გამტაცებლებისათვის ანბანუ-რი დამწერლობის საიდუმლოება. სწორედ აფხაზი ხალხის მიერ გაწეული ამგვარი „კულტურტრეგერობის“ შედეგი ყოფილა მანამდე მსოფლიოში უძველეს ანბანურ დამწერლობად მიჩნეული ფინიკიური ანბანი, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვ-ლად დაედო მსოფლიოს სხვა ცივილიზებული ხალხების დამწერლობებს. მალა-განვითარებული წერილობითი კულტურის მქონე აფხაზებს კი თურმე შეუქმნიათ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფო. თავდაპირველად ეს ყოფილა კოლხეთის სამეფო, ხოლო მოგვიანებით, ადრეულ შუა საუკუნეებში – „აფხაზთა“ სამეფო. შემდეგ თურმე ქართველებს აფხაზებისთვის მოუპარავთ უძველესი დამწერლობა, რომელიც მათ მოგვიანებით (XIX საუკუნეში) „კეთილშობილურად“ დაუბრუნეს რუ-სებმა სლავურ-რუსული ალფაბეტის სახით.

აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლით, მწერალ-ფი-ლოლოგების გარდა, დაინტერესდნენ რუსი ისტორიკოსებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო იაკობ ფიოდოროვი, მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის თანამშრომელი, რომელმაც „კოლ-ხური კულტურის“ შემქმნელებად აფხაზურ-ადიღური ტომები გამოაცხადა, საკუ-თარი (გ. ტურჩანინოვის მოგონილი) წერილობითი კულტურით (**Федоров, 1983**).

საბჭოური ეპოქის დასასრულისათვის – „პერესტროიკის“ პერიოდში – კიდევ უფრო იძალა სეპარატისტულმა ტენდენციებმა აფხაზ ისტორიკოსთა შემოქმედე-ბაში. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ აფხაზი ისტორიკოსისა და პო-ლიტიკოსის სტანისლავ ლაკობას მონოგრაფია XIX – XX ს. I ნახევრის აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე (**Лакоба С., 1990b**) და მისივე რედაქტორო-ბით გამოცემული „აფხაზეთის ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელო (**История Абхазии, 1991**), რომლის ავტორთა შორის თვით ვლადისლავ არძინბა და მისი პოლიტიკური გუნდის ცნობილი სახე, ზემოთ ნახსენები იური ვორონოვი იყვნენ. სწორედ ამ დროიდან ჩნდება თეზისი მითიური 1200 წლოვანი აფხაზური სახელ-მწიფოებრიობის შესახებ, რომლითაც ხშირად აპელირებდა აფხაზეთის ავტონო-მიური რესპუბლიკის პირველი პირი ვ. არძინბა. თუმცა ამ თეზისის „მეცნიერულ“ დასაბუთება-ტირაჟირებაში პირველობა უდავოდ ეკუთნის ი. ვორონოვს, რომლის პუბლიკაციები 90-იანი წლების დამდეგიდან (მას მერე, რაც იგი პოლიტიკური „მოღვაწის“ მანტიითაც შეიმოსა – ის იყო აფხაზეთში საზოგადოებრივ-ორგანი-ზაციათა ბლოკ „სოიუზის“ ლიდერი), უკვე გასცდა „აკადემიურ ჩარჩოებს“ და მთ-ლიანად აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის პოლიტიკური კონიუნ-

ქტურის ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიურ საყრდენად იქცა (Воронов Ю., 1991a).¹

1992-1993 წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა ახალი იმპულსი მისცა აფხაზ ისტორიკოსთა ანტიქართულ განწყობილებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო ვითარება შეიქმნა ბოლო პერიოდში, როდესაც სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთში მთელი ძალით აღვივებს ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულ ანტიქართულ ისტერიას, რომლის ცენტრალურ რგოლს სწორედ „ნაციონალისტურ-ისტორიოგრაფიული“ პროპაგანდა წარმოადგენს. ასეთ ფონზე, შეინიშნება ერთგვარი უკმაყოფილება იმ „მიღწევებით“, რომლებიც „ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ“ მოიპოვა აფხაზეთის ქეშმარიტად „ნაციონალური“ ისტორიის შექმნის მიმართულებით. ასპარეზზე გამოვიდნენ სრულიად გონებადაბინდული, უვიცი და გათავზებული დილეტანტები, რომლებიც ისტორიკოსობას ჩემულობენ და „ჭკუას ასწავლიან“ პროფესიონალ ისტორიკოსებს.

ამის ნათელი მაგალითია *ალექსი პაპასკირის* მენტორული პუბლიკაციები (სრულად იხ. **Папаскир, 2019**), რომელშიც, თავი რომ დავანებოთ მათში გამოვლენილ სრულ უწიგნურობას,² ავტორი წამყვანი აფხაზი ისტორიკოსების (პირველ რიგში, *ოლეგ ბლაჟბასა* და *სტანისლავ ლაკობას*) საჯარო ლანძღვასაც არ ერიდება. მას მხარს უბამს კიდევ ერთი ფილოლოგი, ამჟამინდელი აფხაზური პარლამენტის – „აფხაზეთის სახალხო კრების“ თავმჯდომარე *ვალერი კვარჩია*, რომლის სქელტანიანი მონოგრაფია აფხაზი (აფსუა-აბაზა) ხალხის ეთნიკურ ისტორიაზე (**Кварчия, 2015**) არანაკლებ დახუნძლულია ქეშმარიტად ფანტასტიკური „აღმოჩენებით“, რომელთაც ასევე არაფერი აქვთ საერთო მეცნიერულ აზრთან. სწორედ ვ. კვარჩიას ეკუთვნის გამოგნებელი დასკვნა (რომელსაც კვერს უკრავს ალ. პაპასკირი) იმის შესახებ, რომ თამარის მეფობა იყო არა ერთიანი ქართული სახელმწიფოს, არამედ „*მრავალეროვანი აფხაზეთის სახელმწიფოს*“ *ოქროს ხანა*“ (**Кварчия, 2015: 534; Папаскир, 2019: 215**) და, რომ იმჟამად ცნება „საქართველო“ ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა (**Кварчия, 2015: 457-458; Папаскир, 2019: 29, 305, 445**).

შუა საუკუნეებში „საქართველოს“ არარსებობის ამ სრულიად აბსურდული თეზისის ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი იყო ახლახან გარდაცვლილი ტარას შამბა – მოსკოვში მოღვაწე აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი რუპორი და ლობისტი, თავის დროზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადო-

¹ ი. ვორონოვის ამ პასკვილს ოპერატიულად გამოეხმაურნენ: *მარიამ ლორთქიფანიძე* (**Лордкипанидзе М., 1991**) და *ზურაბ პაპასკირი* (**Папаскири, 1998: 56-75**). ი. ვორონოვის ანტიქართული ინსინუაციებმა კიდევ უფრო ანგაჟირებული ხასიათი მიიღო უკვე 1992 წლიდან, როდესაც ის უკვე 2500 წლოვან აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოებრიობაზე ალაპარაკდა (**Воронов Ю., 1992; Воронов Ю., 1993**). ი. ვორონოვის ამ ამბიციურ პუბლიკაციაში გადმოფრქვეული „სიბრძნეების“ შესახებ იხ.: (**Папасკირი, 2009: 224-246; Папаскиრი 3., 2012b: 241-264**).

² ალ. პაპასკირის უწიგნურობის მწვერვალს წარმოადგენს მისი მონოგრაფიები ძველი რუსული წერილობითი ძეგლების „ობეზი“-„ობეზებზე“ და ბაგრატ III-ის მიერ შექმნილ „აფხაზურ“ სახელმწიფოზე (**Папаскиრ, 2005; Папаскиრ, 2002; Папаскиრ, 2003**).

ებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული „ბოსი“ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.¹ ამ ისტორიული მეცნიერების ახლადმოვლენილი „კორიფეს“ „გენიალური“ მიგნებით, „მტკიცებებს საქართველოს არსებობის შესახებ 26 საუკუნის განმავლობაში არაფერი არა აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან...“, რადგან თურმე „1918 წლის მაისამდე სახელმწიფო „საქართველო“, როგორც მისი ტერიტორია არ არსებობდა! მხოლოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული დამოუკიდებელი სამთავროების, რომელთაგან არცერთი არ ატარებდა სახელს „საქართველო“, გაერთიანების შედეგად შექმნილი ერთიანი სახელმწიფოსა და მისთვის ამ სახელწოდების მინიჭების შემდეგაა გამართლებული იურიდიულად ასეთი სახელმწიფოს წარმოქმნა და არა ამაზე ადრე“ (Шамба Т., Непрошин, 2004).

ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ ფრონტზე დიდი ხანია ლიდერობას იჩემებს იგორ მარხუბა (მარიხუბა), რომელიც, ამასთან, თავს წარმოაჩენს ე. წ. „აფხაზური ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთ თავკაცად და მემპიტანედაც.² მისი პუბლიკაციები, რომელთაგან გამოვარჩევდით ფანტასტიკურ ზღაპარს არარსებულ აფხაზურ („აბაზგურ“) დამწერლობაზე, რომელიც სინამდვილეში, არც მეტი არც ნაკლები, ქართული ასომთავრულია (Марыхуба, 2016) და წერილების კრებულს აფხაზეთის წარსულსა და თანამედროვეობაზე (Марыхуба, 2007),³ უვიცობისა და დილეთანტური თავხედობის იშვიათ ნაზავს წარმოადგენს. ი. მარიხუბასგან შორს არ დგას აფხაზი პოეტი დენის ჩაჩხალია, რომელიც დრო და დრო, ისტორიკოსობასა (Чачхалиа, 2000; Чачхалиа, 2019) და ხელოვნებათმცოდნეობასაც „ითავსებს“. მისი ხელოვნებათმცოდნეობითი „მიგნებების“ მწვერვალს წარმოადგენს გელათისა და მეტეხის ტაძრების გამოცხადება ბუნებაში არარსებული აფხაზური ნაციონალური ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებად (Чачхалиа, 2011: 8).

აფხაზ ფილოლოგთაგან ბოლო დროს აფხაზეთის ისტორიისადმი ცხოველ ინტერესს იჩენს ვიაჩესლავ ჩირიკბა – საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერი-ლინგვისტი, ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) დოქტორი (ამავე დროს პოლიტიკოსი /2011-2016 წლებში/ სოხუმის ხელისუფლების „საგარეო საქმეთა მინისტრი“). მართალია, მას ვერ დავაბრალებთ მარგინალური „თეორიების“ ტირაჟირებას (ამ მხრივ, გამოვყოფდით ვ. ჩირიკბას სკეპტიციზმს შუა საუკუნეებში აფხაზური დამწერლობის არსებობის საკითხთან დაკავშირებით – Чирикба, 2012: 38) და აკადემიურობითაც გამოირჩევა (თუმცა ნამდვილად აკლია განსწავლულო-

¹ ეს თვალსაზრისი სათავეს იღებს ქართულ საისტორიო წყაროებში საკმაოდ კარგად ჩახედული აფხაზი ისტორიკოსის გურამ გუმბას ნაშრომიდან (Гумба, 1994: 11).

² კერძოდ, ამის დემონსტრირებას ი. მარიხუბა ახდენს მის მიერ მოზადებულ დოკუმენტების კრებულებში (Абхазия в советскую, 1994; Абхазия в советскую, 2009).

³ აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ი. მარიხუბამ „თავი გამოიჩინა“ შიდა აფხაზურ ფრონტზეც და 1917 წ. გამოქვეყნებულ წიგნში (Марыхуба, 2017) კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საკუთრივ აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ცალკეულ წარმომადგენელთა ნააზრევი, რამაც აფხაზური საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების რისხვა გამოიწვია (ამის შესახებ იხ.: Шария, 2017).

ბა ისტორიოგრაფიის სფეროში¹), მაგრამ არც ისაა დაზღვეული ტენდენციურობისაგან, რაც იმაში გამოხატება, რომ ისიც მაქსიმალურად ცდილობს აფხაზეთის დისტანცირებას საერთო ქართული ისტორიული პროცესიდან.

აფხაზეთის საერთო ქართული ისტორიიდან მოწყვეტისა და ქართველებისგან „დაჩაგრული“ აფხაზეთა ისტორიული წარსულის ცალკე წარმოჩენის ფრონტზე აფხაზ ფილოლოგებს არ ჩამორჩება ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი-ლინგვისტი, ქართველოლოგი *ჯორჯ ჰიუიტი*. გარდა იმისა, რომ *ჯ. ჰიუიტი*² მთლიანად იმეორებს აფხაზურ ისტორიულ ნარატივს, მის პუბლიკაციებში აქცენტი კეთდება ქართველთა მიერ მეგრელების „დაჩაგრვაზე“, კერძოდ, იმაზე თუ როგორ „წაართვეს“ ქართველებმა აფხაზებს „საკუთარი“ დიდი ისტორია (**Hewitt, 1993: 268**).³

სამწუხაროდ, ამ მწერალ-ფილოლოგთა ვარჯიშობებისგან ბევრად არ განსხვავდება პროფესიონალი ისტორიკოსების შემოქმედება. ისინიც აფხაზეთის, აფხაზი ხალხის არანაკლებ ფანტასტიკურ ისტორიულ ნარატივს გვთავაზობენ. ამის მკაფიო დადასტურებაა წამყვანი აფხაზი ისტორიკოსების *ოლეგ ბლაჟბასა* და *სტანისლავ ლაკობას* მიერ მომზადებული აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „დამხმარე სახელმძღვანელოები“ (**Бгажба О., Лакоба С., 2015; Бгажба О., Лакоба С., 2006** – კრიტიკა იხ.: **ჰაპასქირი, 2010b; Папаскири З., 2010b: 69-90; Папаскири З., 2012b: 321-362**). ამ გამოცემებშიც აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის პრაქტიკულად ყველა საკვანძო საკითხის გაშუქებისას, ფაქტობრივად, განვითარებულია *ბასარია-აშხაცავასული* ხაზი.

¹ მაგ. სულ ახლახან გამოცემულ საკმაოდ ამბიციურ მონოგრაფიაში ვ. ჩირიკბა სერიოზულად თვლის, რომ აფხაზეთის სამთავრო უკვე არსებობდა XIII ს. მიწურულისათვის (**Чирикба, 2020: 15**) და რატომღაც უთითებს ცნობილი ხელოვნებათმცოდნის *ლეონიდე შარვაშიძის* (ის ნამდვილად არ იყო ავტორიტეტი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სფეროში) ნაშრომს (**Шервашидзе, 1980: 217**).

² როგორც ცნობილია, მან, მეცნიერული წრთობა ქართველოლოგიაში მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (XX ს. 70-იან წლებში) და ერთი პერიოდი თავი საქართველოს დიდი მეგობრადაც მოჰქონდა. აქვე, თბილისში, გაიცნო თავისი მომავალი აფხაზი მეუღლე *ზაირა ხიბა* და თავის ქალიშვილებს აფხაზური და ქართული სახელები დაარქვა. მაგრამ 1989 წლის შემდეგ, როდესაც *ჯ. ჰიუიტმა* „*ლიტერატურულ საქართველოში*“ გამოაქვეყნა ერთგვარი „პროგრამული“ წერილი (**ჰიუიტი, 1989: 2-3**. იქვე *ბესარიონ ჯორბენაძის* გამომხაურება), რომელშიც დიად დაადანაშაულა ოფიციალური თბილისის აფხაზების მიმართ გატარებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკაში, ის იქცა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთ მთავარ ლობისტად ევროპის სამეცნიერო წრეებში.

³ მეგრელთა „ჩაგრის“ თემას *ჯ. ჰიუიტი* განსაკუთრებით ვრცლად იხილავს სამხრეთ კავკასიის ხალხების ენებისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში (**Hewitt, 1995: 285-310**). ბრიტანელი მეცნიერის ამ პათოსს მთლიანად უერთდება რუსული იმპერიული პოლიტიკის ცნობილი აპოლოგეტი *ვიქტორ შნირელმანი*, რომლის განცხადებით, მეგრელთა ბედი (საკუთარი ისტორიის საერთო ქართულ ისტორიაში გათქვეფის) ელოდა „აფხაზეთა წარსულსაც“ (**Шнирельман, 2003: 260**).

კერძოდ, აფხაზეთის ერთადერთ აბორიგენ მოსახლეობად უპირობოდ გამოცხადებულია აფსუა-აფხაზობა; პოზიტიურადაა წარმოჩენილი ე.წ. „მაიკოპის ფილის“ სენსაციების მოყვარული ლენინგრადელი მეცნიერის გ. ტურჩანინოვისეული წაკითხვა, რომლის მიხედვითაც, როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიოში უძველესად მიჩნეული ფინიკიური ანბანური დამწერლობა აფხაზური წარმოშობისაა და მის შექმნაში თურმე ძველ აფხაზ ტომებს მიუძღვით წვლილი; „აფხაზთა“ სამეფო და „აფხაზეთის“ საკათალიკოსო, რასაკვირველია, საკუთრივ აფხაზი ხალხის ისტორიული მონაპოვარია და ა.შ. არანაკლებ ტენდენციურადაა გაშუქებული XIX-XX საუკუნეების ისტორიის საკითხები, განსაკუთრებით 1917-1921 წლების მოვლენები. ავტორები იმეორებენ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ცნობილ ფორმულას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა და ანექსიის, სტალინისა და ბერიას მიერ 1931 წელს „სუვერენული“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეყვანის შესახებ და ა.შ.

დაახლოებით იგივე აქცენტებია წინა პლანზე წამოწეული ბაჯურ საღარიას (Сагария, 1993; Важная веха, 2002), ერმოლაი აჯინჯალის (Аджинджал, 1987; Аджинджал, 2000; Аджинджал, 2014; Аджинджал, 2002), თეიმურაზ აჩუგბას (Ачугба, 2010), გურამ გუმბას (Гумба, 1994; Гумба, 2003: 109-138; Гумба, 2004: 80-91; Гумба, 2016: 54-61; Гумба, 2002), ომარ მაანის (Маан, 2020) და სხვა პროფესიონალ აფხაზ ისტორიკოსთა კვლევებში. ბოლო პერიოდში გამოჩნდნენ ახალგაზრდა თაობის ისტორიკოსები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ამჟღავნებენ შესაბამისი წყაროებისა და არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის საკმაოდ კვალიფიცირ ცოდნას, მაინც ვერ გაცდნენ სეპარატისტულ პროპაგანდისტულ კლიშეებს და ასევე მთლიანად მოქცეული არიან ყალბი ისტორიოგრაფიული პოსტულატების ტყვეობაში. პირველ რიგში, ეს ითქმის რუსული საეკლესიო წიაღიდან გამოსული სასულიერო პირის, გამოგონილი „ანაკოფიის სამიტროპოლიტოს“ თვითმარქვია წინამძღოლის დოროთეოს დბარის პუბლიკაციებზე (Дбар, 1997; Дбар, 1997. დ. დბარის მეცნიერულ ფანტაზიებზე იხ. Папаскири З., 2012: 482-486), რომლის დასკვნები აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაზე მთლიანად ეფუძნება სრულიად დაუსაბუთებელ აბსურდულ წარმოდგენებს შუა საუკუნეებში დამოუკიდებელი აფხაზური ნაციონალური საეკლესიო ორგანიზაციის (რომელსაც თითქოს განასახიერებდა „აფხაზეთის“ საკათალიკოსო) არსებობის შესახებ. ახალი თაობის აფხაზი ისტორიკოსებიდან გამოვყოფდით აგრეთვე ასლან ავიძბას მონოგრაფიებს აფხაზეთის უახლესი ისტორიის პრობლემებზე (Авидзба, 2012; Авидзба, 2013; Авидзба, 2013a; Авидзба, 2018), რომლებშიც, მართალია, არის მცდელობა ბოლო პერიოდის ქართული სამეცნიერო პროდუქციის კრიტიკული გაანალიზებისა, მაგრამ ეს კრიტიკა უმეტესწილად სრულიად დაუსაბუთებელი, ტენდენციური და პოპულისტურია.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში განვითარებული მოვლენების აფხაზური სეპარატისტული აღქმა წარმოჩენილია მემუარული ხასიათის პუბლიკაციებ-

ში, რომელთაგან, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1992-1993 წლების სისხლიანი ტრაგედიის მთავარი შემოქმედის *ვლადისლავ არძინბას* მოგონებების წიგნი (**Ардзинба, 2018**). მასში გარდა იმისა, რომ ვ. არძინბა ტენდენციურად აშუქებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს და კონფლიქტის გაღვივებაში მთლიანად ქართულ მხარეს ადანაშაულებს, ის ახდენს საკუთარი პერსონის, როგორც ბოროტების იმპერიის – სსრ კავშირის – აქტიური მხარდამჭერის (და არა აფხაზი ხალხის „თავისუფლებისათვის“ დაუცხრომლად მებრძოლისა და აფხაზური „ნაციონალური“ სახელმწიფოს „ფუძემდებლის“) – თვითლუსტრაციას.¹ აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის სეპარატისტული ხედვის ამსახველი პუბლიკაციების აქ წარმოდგენილ ნუსხას ერთგვარად ავსებენ საბჭოურ-კომუნისტური ნოსტალგიით გამსჭვალული ცალკეული ფილოსოფოს-პოლიტოლოგების მეცნიერული და პუბლიცისტური ოპუსები. მათ შორის, აღსანიშნავია აფხაზური ნაციონალისტური მოძრაობის ცნობილი იდეოლოგის *ოლეგ დამენიას* მონოგრაფია (**Дамения, 2011**) და *კონსტანტინე დუმაას* ანტიქართული ღვარძლით გაჟღენთილი სტატიები (**Думаа, 2011a; Думаа, 2011b: 29-50; Думаа, 2013**).

დაბოლოს, აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის უხემ დამახინჯებას ვხვდებით ენციკლოპედიური ხასიათის საცნობარო ლიტერატურაში. ამ ტიპის გამოცემებიდან უნდა გამოვყოთ ე.წ. „აფხაზეთის ბიოგრაფიული ლექსიკონი“ (**Абхазский биографический, 2015**), რომელშიც აბსოლუტურად იგნორირებულია აფხაზეთში მოღვაწე ქართველი პოლიტიკური, სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის წარმომადგენლები. ამ ფონზე არაა გამოტოვებული აფხაზეთთან დაკავშირებული არცერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი რუსი, სომეხი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი და ა.შ. განსაკუთრებით თვალშისაცემი და გამომწვევია ხოტბადიდება იმ რუსი სასულიერო პირების – ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსების, რომელთა აფხაზეთში საქმიანობის მთავარი მიმართულება აფხაზთა გარუსება და რეგიონის ტიპიურ რუსულ პროვინციად გადაქცევა იყო.

ასეთია ზოგადად აფხაზეთის ისტორიის ყოველგვარ საღ აზრს მოწყვეტილი, თავისი არსით მთლიანად ანტიქართული, აფხაზური ნაციონალისტური ხედვა, რომლის მთავარი დანიშნულებაა დააჯერონ საზოგადოება იმაში, თითქოს **აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საერთო-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეთნო-კულტურული სივრცის ნაწილი და, რომ აფხაზთა თავზე დატრიალებული ყველა უბედურების** (თვით მუჰაჯირობის – ცარისტული რუსეთის მიერ მაჰ-

¹ ამის მკაფიო დემონსტრირებაა პასაჟი, რომელშიც ვ. არძინბა პირდაპირ მისტირის სსრ კავშირის დაშლას და ამაში ადანაშაულებს *დიმიტრი იაზოვის* (1991 წ. აგვისტოში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი „საგანგებო კომიტეტის“ /ГКЧП/ წევრის, სსრ კავშირის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის) მსგავს „მიხრწნილ სულელებს“/„*Если бы не было таких «старых дураков», то и советский союз не развалился бы. Но, к сожалению, во главе этого государства стояли «старые дураки», и этим всё сказано...*“/ (**Ардзинба. 2018: 96**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

მადიან აფხაზთა დიდი ნაწილის მშობლიური მიწა-წყლიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების) **მიზეზი საქართველო და ქართველი ხალხია**. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აფხაზ ისტორიკოსთა მიერ „შემუშავებული ფუძემდებლური“ დებულებები, რომლებიც შეჯამებული სახით შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ:

1. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები;
2. უკლებლივ ყველა ეთნიკური ჯგუფი რომელიც დაფიქსირებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში (მათ შორის, აშკარად ქართველური მოდგმის: *კოლები, კორაქსები, მესხები, ჰენიოხები, სანიგები, მისიმიანები*, თვით *კოლხებიც* კი), აფხაზური წარმომავლობისაა; ქართველური ტომები აქ გვიან (ძირითადად, მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში) მოსულები არიან, მეტიც, ისინი საერთოდ არ არიან კავკასიის მკვიდრნი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძირძველ მოსახლეობას ოდიდგან აფხაზურ-ადიდური ტომები წარმოადგენდნენ;
3. ისტორიული კოლხეთი, რომელიც მოიცავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიასაც, არავითარ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა – აფხაზეთში იყო მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზური სახელმწიფოებრიობა“, რომელიც 2500 წელს ითვლის;
4. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია არასოდეს შედიოდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ეთნო-პოლიტიკური საზღვარი აფსილია-აბაზგიასა და ლაზიკა-ეგრისის შორის VI-VIII საუკუნეებშიც კი გადიოდა სულაც ისტორიული *ციხე-გოჯის* მიდამოებში;
5. VIII ს. მიწურულს შექმნილი ე.წ. „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთისა და მისი სამართალმემკვიდრე – ლაზიკა-ეგრისის სამეფოს), იყო არა ქართული, არამედ აფსუა-აფხაზთა „ნაციონალური სახელმწიფო“;
6. XI-XII საუკუნეებში „აფხაზთა“ სამეფო, გადაიქცა უკვე „მრავალეროვან აფხაზურ სახელმწიფოდ“, რომელსაც მართავდნენ „აფხაზი ბაგრატიონები“ და, რომლის „ოქროს ხანას“ წარმოადგენდა სახელოვანი „აფხაზი“ მეფის – *თამარის* ზეობის პერიოდი;
7. ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსო, რომლის იურისდიქცია, როგორც ცნობილია, ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე, ასევე იყო „აფხაზური ნაციონალური“ საეკლესიო ორგანიზაცია, „აფხაზთა“ სამეფოს – აფხაზური „ნაციონალური“ სახელმწიფოს – კულტურულ-იდეოლოგიური საყრდენი;
8. გვიან შუა საუკუნეებში (ძირითადად – XVII-XVIII სს.) შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული სამხედრო ექსპანსია (რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული აფსუა-აფ-

ხაზთა თანამოძმენი – *ჯიქები*) აღმოსავლეთის მიმართულებით და სამეგრელო-ოდის მთავარ დადიანების კუთვნილი ტერიტორიის მიტაცება – მდ. ენგურამდე იყო აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელი ომი – ერთგვარი „*რეკონკისტა*“ – თავისი „ისტორიული საზღვრების“ აღსადგენად;

9. *შარვაშიძეთა* აფხაზეთის სამთავრო იყო არა საერთო-ქართული პოლიტიკური სისტემის ნაწილი, არამედ აფხაზი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი;
10. 1918-1921 წლებში ადგილი ჰქონდა ქართული შეიარაღებული ფორმირებების მიერ მიერ აფხაზეთის დაპყრობას და, აფხაზი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მის ინკორპორაციას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
11. 1921 წ. აფხაზმა ხალხმა ბოლშევიკური რუსეთის „სახელოვანი წითელი არმიის“ დახმარებით მიაღწია აფხაზეთის „განთავისუფლებას“ საქართველოს „საძულველი მენშევიკური რეჟიმისაგან“ და მოიპოვა „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“;
12. 1921 წ. 4 მარტს გამოცხადებული ე.წ. „*საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი*“ იყო „*დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფო*“, რომელიც 1931 წელს „*ყოვლისშემძლე*“ ქართველებმა – *სტალინმა* და *ბერიამ* „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსიდან ჩამოაქვეითეს „ავტონომიურ რესპუბლიკამდე“ და ნაძალადევად „*შეათრიეს*“ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში;
13. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლება XX ს. 30-50-იანი წლების დამდეგს ეწეოდა მიზანმიმართულ დისკრიმინაციულ ეროვნულ პოლიტიკას (აფხაზური ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა, აფხაზური „ნაციონალური“ სკოლების „ლიკვიდაცია“ და მათი ქართულ სწავლებაზე გადაყვანა, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება) აფხაზი ხალხის „ეთნიკური ინდივიდუალობის“ მოსაშლელად.
14. XX ს. 30-იანი წლებში აფხაზეთში გატარებულ რეპრესიებში, რომელსაც შეეწირნენ აფხაზური პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მთავარი დამნაშავეა საქართველოს ხელისუფლება;
15. XX ს. 50-80-იან წლებში საქართველოს ხელისუფლება უხეშად ერეოდა აფხაზეთის „საშინაო საქმეებში“ და ყოველმხრივ ზღუდავდა აფხაზი ხალხის „ერთპიროვნულ უფლებას“ თვითონვე „ეპატრონა საკუთარი სამშობლოსათვის“, რაც იწვევდა აფხაზთა „სამართლიან“ გულისწყრომას, გამოხატულს მწვავე საპროტესტო აქციებში;

16. 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი იყო არა ძმათამკვლელი დაპირისპირება, არამედ „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომი“, რომელსაც იგი ეწეოდა საქართველოს მიერ „დამოუკიდებელი (აფხაზური) სახელმწიფოს“ მიმართ განხორციელებული „აგრესიის“ საპასუხოდ.

რასაკვირველია, ამ მითოლოგემებს (სხვა დეფინიცია მოცემულ ნარატივს არ შეიძლება მიეცეს) არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მეცნიერებასთან. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, არც უნდა იყოს აუცილებელი სერიოზული რეაგირება მთელ ამ „შემოქმედებაზე“. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ეს, თავიდან ბოლომდე ყალბი (და ეს თვალნათლივ იქნება ნაჩვენები წინამდებარე ნაშრომში), ნარატივი უდევს საფუძვლად იმ ზღვარგადასულ ნაციონალისტურ-შოვინისტურ პროპაგანდას ისტორიოგრაფიის სფეროში, რომელმაც არნახულ მასშტაბებს მიაღწია ბოლო პერიოდში, სრულიად ცხადი გახდა აქტიური ისტორიოგრაფიული კონტრპროპაგანდის აუცილებლობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დღემდე ქართველმა ისტორიკოსებმა გამოაქვეყნეს ათეულობით კაპიტალური გამოკვლევა, რომლებშიც სათანადო საისტორიო წყაროებისა და მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გამოწვლილვითი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დამაჯერებლად დაასაბუთეს თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული განვითარების პროცესის სეპარატისტული ხედვის სრული უსაფუძვლობა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ 1999 წელს რუსულ ენაზე გამოცემული კრებული: „ძიებანი აფხაზეთის/საქართველო ისტორიიდან“ (*Разыскания, 1999*), რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულითაა გაშუქებული აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხები. ასევე საეტაპო მნიშვნელობისაა *ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას* მიერ მომზადებული კიდეც ერთი რუსულენოვანი გამოცემა: „აფხაზეთი – საქართველოს ისტორიული მხარე“ (*Гамахария, Гогия, 1997*); *მარიამ ლორთქიფანიძის* (*ლორთქიფანიძე მ., 1990*), *ნოდარ ლომოურის* (*ლომოური, 1998; ლომოური, 2008; Ломоури, 1997*), *ავთანდილ მენტეშაშვილის* (*Ментешашвили, 1998*), *ლევან თოიძის* (*Тоидзе, 1996*), *ზურაბ ჰაპასქირის* (*ჰაპასქირი, 2004; ჰაპასქირი, 2007; Папаскири З., 2010a; Papaskiri, 2020*), *ბეჟან ხორავას* (*ხორავა, 1996; ხორავა, 2011*), *ლია ახალაძის* (*ახალაძე, 2005*), *დავით ჩიტაიას* (*ჩიტაია დ., 2006*) და *ზემირ ჯოჯუას* (*ჯოჯუა, 2007*), *კახა კვაშილავას* (*კვაშილავა, 2011*) და სხვა მკვლევართა პუბლიკაციები. 2007 წელს *ჯემალ გამახარიას* ინიციატივით და ხელმძღვანელობით ქართველმა მეცნიერებმა მოამზადეს და გამოსცეს თანამედროვე აფხაზეთის მთლიანი ისტორიის (უძველესი დროიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით) ამსახველი ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომი (*ნარკვევები, 2007*), რომელიც გამოიცა აგრეთვე რუსულ (*Очерки, 2009*) და ინგლისურ (*Essays, 2011*) ენებზეც.

ეს არის არასრული სია ქართველ ისტორიკოსთა მიერ ბოლო 30 წლის განმავლობაში აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომებისა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ პუბლიკა-

ციებმა მნიშვნელოვანწილად გაანეიტრალეს ფსევდომეცნიერული იმპერიულ-სეპარატისტული ინსინუაციები და უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს საინფორმაციო-სამეცნიერო ველზე საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სწორი ხედვის დამკვიდრებაში. მაგრამ მიღწეული წარმატებები სულაც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. მითუმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ადგილი აქვს საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის სრულიად გაუგონარი ფალსიფიკაციის მცდელობებს უკვე ოკუპანტი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დონეზე. ანუ რუსეთში უკვე არ სჯერდება საქართველო-აფხაზეთის გაყალბებული ისტორიის (უპირატესად აფხაზურ-ოსური სეპარატისტული ხედვის) ტირაჟირებას ცალკეული მეცნიერებისა¹ და ექსპერტ-ანალიტიკოსების (რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა *ანდრეი ეპიფანცევი*²) მხრიდან და ამ ისტორიოგრაფიულ პროპაგანდისტულ კამპანიაში თვით ქვეყნის პირველი პირის „ავტორიტეტულ“ ჩართვასაც არ ერიდებიან. ამის

¹ ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში რუსი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან გამოსაყოფია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თამამრომლის ვიქტორ შნირელმანის ზემოთ დასახელებული განმარტებული მონოგრაფია ამიერკავკასიის კონფლიქტების ისტორიოგრაფიულ შემადგენელზე (**Шнирельман, 2003**), აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის *ალექსანდრე კრილოვისა* (**Крылов, 2001**) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის *ალექსანდრე სკაკოვის* (**Скаков, 2002: 131-165; Скаков, 2004: 121-147; Скаков, 2005: 16-24; Скаков, 2008: 15-27** და ა.შ.) პუბლიკაციები. უნდა ითქვას, რომ ეს ორი მეცნიერი ჩამოყალიბდა ფართო პროფილის სპეციალისტად აფხაზეთმცოდნეობაში და თავიანთ ძირითად სპეციალობას (ა. კრილოვის შემთხვევაში – ეთნოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, ხოლო ა. სკაკოვთან – არქეოლოგია) „წარმატებით“ უთავსებენ პოლიტოლოგიურ ანალიტიკას, რომელშიც გამოდიან აფხაზეთის დამოუკიდებლობის მხურვალე დამცველებად და აპოლოგეტებად. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ა. სკაკოვმა ერთ-ერთ ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში, რომელიც ეხება ძველი ბერძნული წყაროების მონაცემების ანალიზს (**Скаков, 2013: 23-75**), სრულიად მოულოდნელად მოახდინა ერთგვარი დისტანცირება ანტიკურ ხანაში აფხაზეთის ეთნიკური იერსახის აფხაზურ-სეპარატისტული ხედვისაგან და აღიარა ქართველური ტომების განსახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან (ამ ნაშრომის შეფასება იხ. **Берулава, Папаскири, 2015: 233-274**).

² *ანდრეი ეპიფანცევის* ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი პასკვილებიდან აფხაზეთის თემატიკის კუთხით გამორჩეულია საქართველოს ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი სტატია (**Епифанцев, 2009**, კრიტიკული გამოხმაურება ამ პუბლიკაციაზე – **პაპასკირი, 2016a: 530-563; Папаскири 3., 2011b: 25-60; Papaskiri, 2014: 9-28; Papaskiri, 2020: 100-135**). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ა. ეპიფანცევი ამ ბოლო დროს უკვე აფხაზეტსაც გადაწვდა და შესაშური მონდომებით შეუდგა მათი „ნაციონალისტურ-მოვინისტური ბუნების“ მხილებას (**Епифанцев, 2010a; Епифанцев, 2012a; Епифанцев, 2012b; Епифанцев, 2012c; Епифанцев, 2012d**).

მკაფიო დემონსტრირება მოხდა 2019 წ. 9 ივლისს ეკატერინბურგში, როდესაც რუსეთის ყოვლისმცოდნე პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საქართველოს ხელი-სუფლებას „ისტორიის გაკვეთილი“ ჩაუტარა (Путин, 2019).¹

რუსეთის პრეზიდენტის მიზანი ცხადია. მას თავისი ამ „ბრძნული დარიგებებით“ სურს კიდევ ერთი „არგუმენტი“ (ამჯერად – ისტორიოგრაფიული) „შეამაგროს“ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის თაობაზე 2008 წ. 26 აგვისტოს მიღებული აბსურდული გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, ოფიციალური კრემლისთვის არაა საკმარისი საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება ომის გაჩაღებაში და ცდილობს თვით რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის აბსოლუტურად დამაზიანებელ გადაწყვეტილებას მოუძებნოს „ისტორიოგრაფიული საფუძვლები“, რომელზე დაყრდნობითაც, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება ისტორიული სამართლიანობის აღდგენად გამოაცხადოს. სწორედ ამის გამოა კრემლიდან წამოსული ეს „ისტორიოგრაფიული შტუდიები“ ბევრად მეტი საფრთხის შემცველი, ვიდრე ისტორიის უბრალო გაყალბება. დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ ესაა თავდასხმა საქართველოზე, მცდელობა მოხდეს ქვეყნის დისკრედიტაცია მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე და შემზადდეს ინფორმაციულ-იდეოლოგიური საფარველი საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მოსაშლელად. ამიტომაც არ შეიძლება ამ მკრეხელური განცხადებების უპასუხოდ დატოვება, პირველ რიგში, ისტორიკოსების მხრიდან.²

ამავე დროს მეტად არაჯანსაღი ტენდენციები იკვეთება ევროპულ სამეცნიერო სივრცეშიც. გამოჩნდნენ ცალკეული მკვლევრები, რომლებიც ღიად ეწევიან საქართველო-აფხაზეთის ისტორიის აფხაზურ-რუსული ნარატივის პროპაგანდას, ფაქტობრივად, ადანაშაულებენ საქართველოს ნაციონალიზმში, აფხაზი ეთნოსის (ზოგადად საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის) მიმართ გატარებულ რეპრესიულ პოლიტიკაში და ამ გზით ცდილობენ წამოაჩინონ საქართველო, როგორც „მცირე იმპერია“, ეჭვის ქვეშ დააყენონ თანამედროვე ქართული

¹ ეს არ იყო რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან თავისი ისტორიული მითებით „ბრძნული დამოძღვრის“ პირველი შემთხვევა, თუმცა საქართველოს ისტორიის ვლადიმირ პუტინისეულმა „კონცეპტუალურმა ხედვამ“ (უფრო სწორად ინსინუაციებმა) მეტ-ნაკლებად მწყობრი სახე მიიღო 2008 წ. 28 აგვისტოს ამერიკული ტელეკომპანია CNN-ისათვის მოცემულ ვრცელ ინტერვიუში (Путин, 2008). მაშინ წამყვანი ქართველი ისტორიკოსები, აკადემიკოსები: მარიამ ლორთქიფანიძე და დავით მუსხელიშვილი ოპერატიულად გამოეხმაურნენ ვ. პუტინის (იმჟამად – პრემიერ მინისტრის) „ისტორიოგრაფიულ შტუდიებს“ და საკმაოდ მწვავე ტონში დაწერილ ღია წერილში დამაჯერებლად და არგუმენტირებულად აჩვენეს თავგასული რუსი ლიდერის „ისტორიული ფანტაზიების“ სრული უსაფუძვლობა (იხ.: Лордкипანიძე М., Мუსხელიშვილი Д., 2008). მწვავე იყო აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსმაურებაც (მეტრეველი, 2008).

² ქართველ ისტორიკოსთა რეაქცია ამჯერადაც მყისიერი იყო (მეტრეველი, 2019; ვარდოსანიძე, გურული, ჯიქია, 2019; Гамахария, 2019; პაპასქირი, 2019: 5-7).

სახელმწიფოს ევროპული მომავალი. ამის მკაფიო დადასტურებაა ბოლო წლებში გერმანელ მეცნიერთა (*მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი*) მიერ გამოცემული კრებულები XX ს. 30-იან წლებში საქართველოში განხორციელებულ რევრესიებზე (**Большевицкий порядок, 1, 2015; Большевицкий порядок, 2, 2015; Грузия в пути, 2017**).¹ განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ამ ხასიათის – თავისი არსით ანტიქართული – წიგნი გამოცემულია მაინცდამაინც მოსკოვში, რუსულ ენაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის ისტორიული წარსულის ყოვლისმომცველ, ობიექტურ მეცნიერულ შესწავლას აქტუალობა არათუ არ დაუკარგავს, არამედ ამ პრობლემატიკის შემდგომი სიდრმისეული კვლევა და ისტორიული სიმართლის მიტანა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად რჩება. წარმოდგენილი კოლექტიური მონოგრაფიული გამოკვლევა არის კიდევ ერთი მცდელობა დამაჯერებელი და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს საერთო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეთნოკულტურული სხეულის განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების ამ ახალ ტალღას. მასში ერთგვარად შეჯამებულია ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა კვლევების შედეგები; ობიექტურად და მიუკერძოებლადაა გაანალიზებული საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ისტორიული ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „სადავო საკითხებზე“, რომელთა ირგვლივაც არ წყდება ფსევდომეცნიერული სპეკულაციები. ნაშრომს გარდა წმინდა მეცნიერულისა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც. ის ხელს შეუწყობს აფხაზეთის მკვიდრ ორ მოძმე ხალხს შორის არსებული გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფეროს გაღობასა და თანამედროვე აფხაზური საზოგადოების საერთო-ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაციას.

¹ ქართველმა ისტორიკოსებმა არც ეს გამოცემები დატოვეს უპასუხოდ. ჯერ კიდევ კრებულების ხელნაწერის განხილვაზე წარმოდგენილ იქნა *როინ მეტრეველის, სერგო ვარდოსანიძის, ვახტანგ გურულის, ჯემალ გამახარიას, ალეკო დაუშვილის, ზურაბ პაპასქირისა* და სხვ. შენიშვნები, რომლებიც შეტანილ იქნა გამოქვეყნებულ წიგნებში (**Большевицкий порядок, 1, 2015; 375-551; Грузия в пути, 2017: 19-110, 123-158**). მოგვიანებით გამოქვეყნდა *ჯემალ გამახარიას* გამომხაურების საბოლოო ვერსიაც (**Гамахария, 2017**).

თავი I. აფხაზეთი – ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

აფხაზეთი (აფხაზურად – Аҧсны/აფსნი) – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეებს ფსოუსა და ენგურს შორის. მდ. ფსოუ – საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარია ამ მიმართულებით; სამხრეთით – მდ. ენგური, ხოლო აღმოსავლეთით – კავკასიონის გვერდითი კოდორისა და აფხაზეთ-სვანეთის ქედები, რომლებიც მეზობელი სვანეთისა და სამეგრელოს მხარეებისაგან გამოყოფს; დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა. აფხაზეთის ფართობია 8700 კმ², რაც საქართველოს ფართობის 12,3% შეადგენს (**ბერაძე თ., ხორავა, 2007: 4**).

აფხაზეთს ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი საზღვრავს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა გადაჭიმული. აფხაზეთის ფარგლებში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის, აფხაზეთის კავკასიონის, მწვერვალებია: *დომბაიულგენი, გვანდრა, ერცახუ, ფშიში, აღეფსთა*. აფხაზეთიდან *სანჩაროს, აძაფშის, ალაშთრახუს, პტიშის, ნაჰარის, მაგანას* უღელტეხილებზე გადადის საცალფეხო გზები ჩრდილოეთ კავკასიაში; *ხიდას* უღელტეხილით საცალფეხო გზა გადადის სვანეთში. წარსულ საუკუნეებში გაცხოველებული კომუნიკაცია ხორციელდებოდა *ქლუხორის* და *მარუხის* უღელტეხილების მეშვეობით (**საქართველოს გეოგრაფია, 2000: 285, 292; Дбар Р., 2012: 12-13**).

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი მდინარეების ბზიფის, ჩხალთის, საკენის ხეობებისაკენ ციცაბოდ ეშვება. აფხაზეთის მთიანი ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით – *გაგრის, ბზიფის, ჩხალთის* ანუ *აფხაზეთის* და *კოდორის* ქედებს, რომლებსაც, თავის მხრივ, მრავალი განშტოება აქვთ. ყველაზე დასავლეთით მდებარეობს გაგრის ქედი; უფრო აღმოსავლეთით მთავარ ქედს გამოეყოფა და დასავლეთით გაუყვება ბზიფის ქედი; მის აღმოსავლეთ ბოლოზე გადაბმულია ჩხალთის ქედი; უფრო აღმოსავლეთით მთავარ ქედს გამოეყოფა კოდორის ქედი, რომელიც კოდორის აუზს მდინარეების *ენგურის, დალიძგის, მოქვის* აუზებისაგან გამოყოფს. მთა ხოჯალთან ის მკვეთრად იცვლის მიმართულებას. მის ერთ მონაკვეთს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან *ხოჯალის* მთამდე აფხაზეთ-სვანეთის ქედი ეწოდება; მეორე მონაკვეთს, რომელიც ხოჯალის დასავლეთით მდ. კოდორის ქვემო დინებამდე განედურადაა გაწოლილი – ფანავის ქედი (**მარუაშვილი, 1969: 35**).

აფხაზეთი მთაგორიანი მხარეა. მისი ტერიტორიის 75% მთასა და მთისწინეთს უჭირავს, დანარჩენი – ვაკე-დაბლობებს. ზოგან მთა უშუალოდ ადგება ზღვას, ზოგან მათ შორის შედარებით დიდი მანძილია. ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე, 10-15 კმ. მანძილზე, ზღვასა და კავკასიონს შორის, ზღვის პირას მოზრდილი ვაკეა. სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაგრის ქედი უშუალოდ ზღვას ადგება. გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის მასივი თანდათან უკან იხევს და ზღვისპირა ვიწრო ვაკე ზოლი ბიჭვინთის დაბლობში გადადის. ბიჭვინ-

თის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა კვლავ ზღვისკენ მიიწევს და ახალი ათონთან უშუალოდ ზღვას ებჯინება. სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღვისპირა ვაკე ზოლი თანდათან ფართოვდება და მდ. კოდორის მარცხენა ნაპირიდან კოლხეთის დაბლობში გადადის. სანაპირო ზოლი სწორხაზოვანია, თუმცა ცალკეული, მათ შორის, გაგრის, ბიჭვინთის, ბამბორის, სოხუმისა და სკურჩის ყურეები გვხვდება (**საქართველოს გეოგრაფია, 2000: 284; Берадзе, 1989: 20-28; Дбар Р., 2012: 16**).

კოდორის ქედის ჩრდილოეთით, მდ. კოდორის შუა წელში მდებარეობს მთიანი მხარე *წებელი*, ხოლო მის ზემო წელში – მთიანი მხარე *დალი* (აფხაზეთის სვანეთი). მდ. ბზიფის შუა წელში, კავკასიონის ქედსა და ბზიფის ქედს შორის ქვაბულში – მთიანი მხარე *ფსხუ*, ფსოუს ზემო წელში – მთიანი მხარე *აიბღა*. მდინარე ფსოუ ამ უკანასკნელს ორ ნაწილად ყოფს. მისი დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის, მცირე ნაწილი (160 კმ²) კი საქართველოს ტერიტორიაზეა. სახელწოდება *აიბღა* ადიღურად „ბოროტ ქედს“ ნიშნავს. დამკვიდრებული თვალსაზრისით, *ფსხუ* კომპოზიტიური სახელია, რომელიც ჩერქეზული -ფს (წყალი) და აფხაზური -ხუ/-ახუ (მთა, გორაკი, ბორცვი) სუფიქსისაგან შედგება. სახელწოდება *წებელი* მომდინარეობს ადრე შუა საუკუნეების ციხესიმაგრის სახელიდან *წიბილი//წიბილიუმ*, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში იხსენიება. ციხის სახელწოდებას ქართული ხე-მცენარის სახელს წიფელს (მეგრ.-სვან. წიფური, წიფრა, წიფელთა) უკავშირებენ (**მელიქიშვილი, 1965: 66**). უკანასკნელ ხანს გამოითქვა საინტერესო მოსაზრება, რომ ბერძნულ ენაზე მოხსენიებული სახელწოდება *წიბილი* მომდინარეობს სიტყვიდან „*ჭიბილი*“ (მეგრ. „მტკიცედ ნაგები“). გავრცელებული მოსაზრებით, სახელწოდება *დალი* სვანური ნადირობის ღვთაების სახელიდან მომდინარეობს და „*დალის საუფლოს*“ ნიშნავს (**ცხადაია, ხორავა, 2016: 82; გაბისონია, 2017/2018: 41-42**).

აფხაზეთში ბევრი ტბაა, მათ შორის აღსანიშნავია: ბზიფის აუზში – *რიწა*, *ჰატარა რიწა*, *ცისფერი ტბა*, *შხი*; კოდორის აუზში – *ამტყელი*, *ყვარაში*, *აღუედააძიში*, *დერიკვარააძიში*; სანაპირო ზოლში – *ინკითი*, *დიდი ბებესირი*, *ბებესირი*, *ჰაპანწყვილი* და სხვ. (**Апхазова, 1975: 106-124; საქართველოს გეოგრაფია, 2000: 289**). აფხაზეთის მდინარეთა ქსელი ხშირია. ტრანზიტული მდინარეებია *ფსოუ* და *ენგური*; ადგილობრივი დიდი მდინარეებია: *ბზიფი*, *კოდორი*, *გუმისთა*, *კელასური*, *დალიძგა*, *მოქვი*, რომლებიც შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან (**მარუაშვილი, 1969; საქართველოს გეოგრაფია, 2000: 287**).

მდინარე *ფსოუ* (სიგრძე 53 კმ, აუზის ფართობი 421 კმ²), რომელიც სათავეს *აიბღის* ქედზე იღებს და შავ ზღვას სოფ. ლესელიძესთან ერთვის მთელ სიგრძეზე რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარს ქმნის. გავრცელებული მოსაზრებით, სახელწოდება „*ფსოუ*“ ადიღურად „სწრაფ, ჩქარ მდინარეს“ ნიშნავს. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით *მეჭადირი* (სიგრძე 15 კმ, აუზის ფართობი 23 კმ²) მოედინება, რომელსაც სათავე გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე აქვს და შავ ზღვაში დაბა განთიადთან ჩაედინება. აფხაზეთის ყველაზე გრძელი მდინარეა *ბზიფი* (სიგრძე 115 კმ, აუზის ფართობი 1510 კმ²). იგი სათავეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან, ზღვის

დონიდან 2640 მ სიმაღლეზე იღებს და შავ ზღვას ბიჭვინთის კონცხთან ერთვის. „ბზიფი“ ამ მდინარის შედარებით ახალი სახელწოდებაა. XIX ს. 20-იან წლებამდე მას *კაპოეტის წყალი – კაპეტის წყალი* ერქვა. სახელწოდება ქართულია და მომდინარეობს თევზის სახელიდან კაპოეტი. თევზი კაპოეტი კალმახ-ორაგულის ჯიშს ეკუთვნის. იგი მოზრდილი სახის კალმახია და სწორედ ამ მდინარეში გვხვდება (**ცხადაია, ხორავა, 2016**: 162-163). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულია სახელწოდება ბზიფიც (ბზიბი), რაც დაკავშირებულია მცენარის სახელთან – ბზა. აფხაზეთის მთავარ მდინარეს, რომელიც ბზების ხეობაზე მოედინება ბზიფის (ბზების) წყალი ეწოდება (**ინგოროყვა, 1954**: 148; **ახვლედიანი, 1957**: 110).

ბზიფის მარჯვენა შენაკადის იუფმარას ხეობაში, ზღვის დონიდან 884 მ სიმაღლეზე უმშვენიერესი რიჩის ტბა მდებარეობს. რიჩა საქართველოში ყველაზე დრმა ტბაა (101 მ). რიჩის სანაპიროები გარშემორტყმულია წიწვიანი და შერეული ტყეებით დაფარული მთის ფერდობებით, რის გამოც ის კავკასიაში ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ითვლება. ტბა და მისი შემოგარენი დიდი სილამაზით გამოირჩევა. საკუთრივ ბზიფის მარჯვენა ნაპირზე, ზღვასთან ახლოს, პატარა, მაგრამ უაღრესად ლამაზი *ცისფერი ტბა* მდებარეობს. ბზიფის შესართავთან, ბიჭვინთის ვაკეზე, რელიქტური *ინკითის ტბა* (**Апхазова, 1975**: 106-112).

ბზიფის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოედინება *მჭიმთა* ანუ შავწყალა (სიგრძე 16 კმ), რომელიც სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას გუდაუთის დასავლეთით ერთვის. ის კარსტული მდინარეა. შუა საუკუნეებში მას „*მუჩის წყალი*“ ანუ მიჩის წყალი ეწოდებოდა, რადგან დიდ მანძილზე მიჩის ქვეშ მოედინება. მისი აფხაზური სახელწოდება – *მჭიმთა* და რუსული – *ჩოონაია რეჩკა* – შავწყალას ირიბ თარგმანს წარმოადგენს. *მჭიმთას* სამხრეთ-აღმოსავლეთით მოედინება *ხიფსთა* (სიგრძე 33 კმ), რომელიც სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას გუდაუთასთან ერთვის. მისი რუსული სახელი – *ბელაია რეჩკა*, ქართული თეთრწყალას პირდაპირი თარგმანია. შუა საუკუნეებში ამ მდინარეს *ზუფუ (ზუფუს მდინარე)* ერქვა, მის ნაპირზე იყო XVII-XIX სს. აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი *ზუფუ*, იგივე *ლიხნი*, საიდანაც მან სახელწოდება მიიღო. სახელწოდება „*ზუფუ*“ ქართულია (მეგრული) და „უხვად მდინარეს“ – „წყლის უხვად მოსკლომას“ ნიშნავს. ქართულია სახელწოდება „*ლიხნიც*“, რომელიც „*ვაზის მადლარს*“ ნიშნავს (**ქობალია, 2010**: 311, 382).

ახალი ათონის ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში პატარა მდინარე *ფსირცხა* ჩაედინება. შუა საუკუნეებში მას *ანაკოფიის მდინარე* ეწოდებოდა ძველი ციხე-ქალაქის, ანაკოფიის (ამჟამად *ახალი ათონი*) სახელის მიხედვით. ფსირცხას სამხრეთ-აღმოსავლეთით *გუმისთა* (სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 576 კმ²) მოედინება. იგი მდინარეების აღმოსავლეთ გუმისთის და დასავლეთ გუმისთის შეერთებით იქმნება და შავ ზღვას სოხუმის დასავლეთით ერთვის.

დღევანდელი ქ. სოხუმის ფარგლებში შავ ზღვაში *ბესლეთი* (აფხ. ბასლა) ჩაედინება. იგი კარსტული მდინარეა, სათავეს კარსტული წყაროებიდან იღებს. შუა საუკუნეებში მას *ცხომის მდინარე* ეწოდებოდა ქ. ცხომის (ამჟ. სოხუმი) სახელის

მიხედვით. ბესლეთი 4კმ-იანი კარსტული გვირაბით დაკავშირებულია კელასურთან (სიგრძე 42 კმ, აუზის ფართობი 220 კმ²), რომელიც სოხუმის აღმოსავლეთით, სოფ. კელასურთან ერთვის შავ ზღვას. იგი სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, ხიმსის მყინვარზე იღებს. სახელწოდება „კელასური“ ბერძნული „კლისურადან“ მომდინარეობს, რაც „გასასვლელ ადგილს“, „ვიწრობს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება მდინარეს VI საუკუნის შუა წლებიდან შეერქვა, როდესაც მის მარცხენა ნაპირზე, ვიწრობში ანუ კლისურაში სიმაგრეთა სისტემა ააგეს. კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყველაზე დიდი მდინარეა კოდორი. იგი დალის ხეობაში მოედინება და სოფ. აძუბჯას (ისტორიული სოფ. შქაწყარი, იგივე შუაწყალი, რომლის თარგმანია აფხაზური აძუბჯა) სამხრეთით შავ ზღვას ერთვის. მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს დრანდის ტაძარი, X-XVII სს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი. სახელწოდება „კოდორი“ ქართულია, როგორც ფუძე სიტყვით (საერთოქართველური „კად“, წყალი), ისე გრამატიკული გაფორმებით.

აფხაზეთის მნიშვნელოვანი მდინარეა მოქვი, რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას ოჩამჩირის მახლობლად ერთვის. მდ. მოქვთან მისი მარჯვენა შენაკადის მდ. დვაბის შეერთების ადგილას მდებარეობს მოქვის ტაძარი, X-XVII სს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი. ქ. ოჩამჩირის აღმოსავლეთით შავ ზღვას ერთვის დალიძგა, რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ხოჯალის მახლობლად იღებს. შუა საუკუნეებში მას ეგრისწყალი ეწოდებოდა. სახელწოდება დალიძგა მეგრულად „ღელის ნაპირს“ ნიშნავს და თავიდან ამ მდინარისპირას მდებარე სოფელს ერქვა. კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს სათავეს მდინარე ოქუმი, რომელიც შავ ზღვას სოფ. გუდავასთან ერთვის. სახელწოდება ქართულია და მომდინარეობს სელის მეგრული სახელიდან „ქუშუ“ და „სასელეს“ ნიშნავს. ეს სახელი თავდაპირველად სოფელს ერქვა, ხოლო შემდეგ მდინარეს ეწოდა.

ოქუმის მარჯვენა შენაკადებია: წარჩე – ისტორიული წყაროების დადისწყალი, და ოხოჯე, რომლის ნაპირზეც მდებარეობს X-XVIII სს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი ბედიის ტაძარი. მარცხენა შენაკადია დიდი ერისწყალი, ისტორიული წყაროების ერთისწყალი. მდინარე ოქუმის აღმოსავლეთით სწრაფი და წყალუხვი ენგური მოედინება. იგი სათავეს სვანეთში, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე, მყინვარ ენგურზე იღებს და შავ ზღვას სოფ. ანაკლიასთან ერთვის. მისი ქვემო დინება აფხაზეთს სამეგრელოსგან გამოყოფს (ცხადაია, ხორავა, 2016: 162-169). მდინარის ძველი სახელწოდებაა ეგური. სახელწოდება ეგური უკავშირდება ეგრი ტომის სახელს, რომლის განსახლების ძირითად რეგიონს ამ მდინარის ქვემო წელი წარმოადგენდა (ბერაძე თ., 1967: 140; ბერაძე თ., 2018: 32).

აფხაზეთი სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის ჩრდილოეთ საზღვარზე, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების მიჯნაზე მდებარეობს. ზღვისპირა მდებარეობა და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი აფხაზეთის ჰავის უმთავრეს თავისებურებებს განაპირობებს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი მას ჩრდილოეთის ცივი ქარების შემოჭრისაგან იცავს. თბილი ზღვა, რომელიც არა-

სოდეს იყინება, მშფოთვარე მთის მდინარეები რბილ, ტენიან სუბტროპიკულ კლიმატს ქმნიან. აფხაზეთში ძირითადად ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ატმოსფერული ნალექები წლის განმავლობაში 1300-1500 მმ-დან 2200 მმ-მდე მერყეობს (**კობახიძე, 1961: 17-18; საქართველოს გეოგრაფია, 2000: 287; Дбар Р., 2012: 14-15**).

აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაახლოებით 55% ტყით არის დაფარული. აქ 2 ათასზე მეტი სახეობის მცენარეა გავრცელებული, მათ შორის, 150 სახეობის ხე და ბუჩქოვანი მცენარე. ხე-მცენარეებიდან აღსანიშნავია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წიფელი, წაბლი, კაკალი, ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ბზა და სხვ. ბიჭვინთის კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომია. 1926 წელს აქ დაარსდა სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა. მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ჭაობებია შემორჩენილი, მურყნის ტყეები გვხვდება; აფხაზეთის ფლორის უნიკალური ჯიშია ბზა, რომლის საშუალო სიმაღლეა 10-12 მ. ბზის კორომები დაცულია მდინარეების ჟოკვარის, ბზიფის, გეგის, ღალიძგის, გუმისთის ხეობებში. აფხაზეთის ქედების თხემები ალპურ მდელოებს უჭირავს (**კობახიძე, 1961: 22-24; საქართველოს გეოგრაფია, 2000: 290-291**).

მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტები ხელს უწყობს ნაირფეროვანი ცხოველთა სამყაროს არსებობას. აფხაზეთში გვხვდება როგორც ბარისა და მთის ტყის, ისე მაღალი მთის ცხოველთა სახეობები: *კაკასიური ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, ციყვი, კურდღელი და სხვ.* ფრინველებიდან გავრცელებულია: *არწივი, მიძინო, ორბი, შვარდენი, კაკასიური შურთხი, ხოხობი, მწყერი, შაშვი, ოფოფი, თოღია* და სხვ. მდინარეებსა და ტბებში არის კალმახი, კოლხური წვერა, ლოქო, ზოგან შავი ზღვიდან – ორაგული და ზუთხი. სასარგებლო ფლორისა და ფაუნის დასაცავად შექმნილია ბიჭვინთა-მიუსერის, გუმისთის, რიწა-ავადჰარის, ფსხუს ნაკრძალები (**კობახიძე, 1961: 15-16, 24; რიგვაა, 2004: 61, 129-134; საქართველოს გეოგრაფია, 2000: 291**).

აფხაზეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აღსანიშნავია ტყვარჩელისა და ბზიფის ქვანახშირის საბადოები; აქ გვხვდება ტყვია, თუთია, სპილენძი, კობალტი, ბარიტი, დოლომიტი, თაბაშირი, კირქვები, სააგურე თიხა და სხვ. განსაკუთრებით უხვად არის სამკურნალო მინერალური წყლები მდინარეების კოდორის, საკენის, ბზიფის, ავადჰარის და სხვათა ხეობებში, ხოლო თერმული სამკურნალო წყლები – ტყვარჩელის, სოხუმის, ახალი ათონის და გაგრის მიდამოებში. შესანიშნავი ბუნება და ძვირფასი სამკურნალო წყაროები აფხაზეთს უმდიდრესი კლიმატოლოგიური ჯანმრთელობის კერად აქცევენ და ტურიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის (**საქართველოს გეოგრაფია, 2000: 291**).

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1989 წლის აღწერით, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობა 525 061 შეადგენდა; ეროვნული შემადგენლობა: *ქართველი* – 239 872 (45,7%), *აფხაზი* – 93 267 (17,8%), *სომეხი* – 76 541 (14,6%), *რუსი* – 74 914 (14,2%), *ბერძენი* – 14 664 (2,8%), სხვა ეროვნების წარმომადგენელი – 25 804 (4,9%) (**საქართველოს, 1990**). 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა 5

ადმინისტრაციული რაიონი – გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის; 1 – გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია, 7 ქალაქი – ახალი ათონი, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი; 5 დაბა – ბზიფი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში, მიუსერა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 63). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია სოხუმი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. სახელწოდება „სოხუმი“ მომდინარეობს ხე-მცენარის ძველი ქართული სახელიდან ცხომი-ცხუმი, რაც რცხილას ნიშნავს (მელიქიშვილი, 1965: 65). ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში მას დიოსკურიისი-დიოსკურიადა-დიოსკურია ეწოდება (ყაუხჩიშვილი თ., 1957: 120-122, 125; ყაუხჩიშვილი თ., 1976: 83, 85; ლომოური, 1963: 33; არბოლიშვილი 2006: 66, 67). ანტიკური ტრადიციით, ეს სახელწოდება მითიური დიოსკურებიდან მომდინარეობს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ დიოსკურია ძველი ქართული სახელწოდების ბერძნულ გააზრებას წარმოადგენს – „ღია“ მეგრულად დედას ნიშნავს, ხოლო „სკური“ – წყალს (Бераძე, 1989: 20). რომაელებმა ძვ. წ. I საუკუნეში მას სებასტოპოლისი უწოდეს (Ross Taylor, 1975: 145-147; ყაუხჩიშვილი, 1976: 242; არბოლიშვილი, 2006: 59).

ქართულ წყაროებში, ქალაქის სახელწოდება – ცხომი-ცხუმის ფორმით გვხვდება. არაბი ავტორი ალ-ფარიკი (XIII ს.) პირველად იხსენიებს ქალაქს სახელწოდებით „სუხუმ“ (ჯაფარიძე გ., 1995: 127-128). სუხუმ-სოხუმს ეძახდნენ მას თურქოსმალებიც (Бераძე, 1989: 20).¹ ეს სახელწოდება ქართულში სოხუმის, ხოლო რუსულში Сухум ფორმით დამკვიდრდა. საკუთრივ აფხაზები მას „აყვა“-ს უწოდებენ.² აფხაზური „აყვას“ ქართული გახმოვანებაა „აყუ“, რომელიც სოხუმის სახელად პირველად იმერეთის სამეფო კარზე შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე (1737 წ.) გვხვდება, თუმცა მის მახლობლად იმავე რუკაზე აღნიშნულია „ცხუმის ციხე“ (ბურჯანაძე, 1959: 197). თურქულის გავლენით „სუხუმი“-„სუხუმ-კალე“ (სოხუმის ციხე) რუსულ ენაში XIX საუკუნიდან დამკვიდრდა. მთელი XIX – XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში რუსულად სუხუმ-კალე იწერებოდა. 1936 წელს Сухум ფორმის ნაცვლად მისი დაწერილობის ფორმად Сухумი დამკვიდრდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 70-71).

გაგრა აფხაზეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკურორტო ცენტრია. იგი გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე და გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში მდებარეობს. შუა საუკუნეებში მას „გაგარი“ ეწოდებოდა. ეს სახელწოდება ძველ ქართულში „ხეობაში ვიწრო გასასვლელს“ ნიშნავს. 1904 წ. 25 დეკემბერს გაგრის კლიმატური სადგური სოხუმის ოკრუგიდან შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს გადაეცა. ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წ. 7 დეკემბრის დადგენილებით გაგრის რაიონი სოხუმის ოკრუგის (ოლქის) შემადგენლობაში შევიდა. საქართველოს დე-

¹ აღმოსავლურ ენებში (არაბული, თურქული) „ც“ ბგერა არ არის, ამასთან ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმაც ჭირს. ასე მივიღეთ ქართული ცხომი-ცხუმიდან – სუხუმ-სოხუმი (ჯანაშია, 1959a: 16; ჯიქია, 1958: 117).

² ეს გეოგრაფიული სახელი პირველად მდ. ყუბანის შუა წელზე იტალიელი კარტოგრაფის ჯაკომო გასტალდის 1561 წ. რუკაზეა დაფიქსირებული (გვანცელაძე, 1997: 28).

მოკრატული რესპუბლიკის დროს, 1919-1921 წლებში გაგრის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია. 1932 წელს დაბა გაგრამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო. 1948 წელს დადგინდა მისი დაწერილობის ფორმა რუსულ ენაზე *Гагра – Гагры*-ს ნაცვლად. 1973 წელს რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა (**ხორავა, ჭანტურია, 2019**: 68-69). გაგრის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე დგას V-VI სს. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც 1902 წელს განაახლეს (**ბერაძე თ., 2013**: 4).

მდინარე ბზიფის მარცხენა ნაპირზე, ბიჭვინთის კონცხზე, ამავე სახელწოდების საკურორტო დაბაა. კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომია. ამ ხე-მცენარის ქართულმა სახელმა დასაბამი მისცა დასახლების სახელწოდებას. ძველმა ბერძნებმა ქართული ბიჭვი-ფიჭვი (ბერძნ.– *Pitios*) პიტიუნტად გადაიღეს. ბიჭვინთას აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ყურე ეკვრის, რომელიც წელიწადის დიდ მანძილზე ქარებისაგან დაცულია. ამ სახელწოდებით ელინისტური ქალაქი ძვ. წ. II საუკუნიდან დასტურდება. სტრაბონი მას „დიდი პიტიუნტის“ სახელით მოიხსენიებს (**ყაუხჩიშვილი თ., 1957**: 120). XIV-XV სს. იტალიურ საზღვაო რუკებზე ბიჭვინთა „კეცონდას“ ფორმით არის დატანილი. აქედან მომდინარეობს ბიჭვინთის რუსული და აფხაზური სახელწოდება „პიცუნდა“ (**Берадзе, 1989**: 19). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბიჭვინთა გაგრის რაიონის ლიძავის სასოფლო საბჭოში შედიოდა. 1955 წელს ლიძავის სასოფლო საბჭოს სოფელ ბიჭვინთას *პიცუნდა* ეწოდა. 1963 წელს მას დაბის სტატუსი მიენიჭა (**ხორავა, ჭანტურია, 2019**: 72).

ქალაქი *გუდაუთა* მდინარე *გუდოუს* შესართავთან მდებარეობს. ამ ადგილას დასახლება XIX ს. 30-იან წლებში სოფელ ლიხნიდან გამოყოფის გზით აღმოცენდა. სახელწოდება, მდინარის სახელისაგან მომდინარეობს -თა ადგილის სუფიქსის დართვით. თავდაპირველად მას და მდინარე გუდოუს გუდავა ეწოდებოდა. გუდოუს გუდავას აფხაზური ფორმაა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო *გუდაუთა* სწრაფად გაიზარდა და დაწინაურდა. XIX ს. შუა ხანებში *გუდაუთა* პატარა სავაჭრო დაბა იყო ასი მცხოვრებით. 1874 წელს აქ სადაბო მმართველობა დაფუძნდა. მისი მნიშვნელობა გაიზარდა 90-იანი წლებიდან, როდესაც გუდაუთაზე გავლით გაიყვანეს გზატკეცილი, რომელმაც სოხუმი ნოვოროსიისკთან დააკავშირა. XX ს. დამდეგს იგი ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.) გუდაუთის მაზრის ცენტრი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, 1921-1930 წლებში გუდაუთის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან გუდაუთის რაიონის ცენტრია. 1926 წელს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 1948 წელს დადგინდა სახელწოდების დაწერილობის ფორმა *გუდაუთა – გუდაუთი*-ს ნაცვლად (**ხორავა, ჭანტურია, 2019**: 69-70).

ახალი ათონი მდ. ფსირცხას, ძველი „ანაკოფიის მდინარის“, შესართავში მდებარეობს. VI ს. ბიზანტიელ ავტორთა ცნობით, ამ ადგილას ციხე-ქალაქი *ტრაქა* მდებარეობდა. მისი სახელწოდება ძველი ქართული „*უღალის*“ (გაუვალი, ძნელად სავალი ადგილი) ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს. შუა საუკუნეებში მას ანაკოფია ეწოდებოდა. ეს სახელწოდება საისტორიო წყაროებში პირველად „*ქარ-*

თლის ცხოვრებაში“ VIII ს. 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. XIX ს. დასაწყისიდან მას ფსირცხა ეწოდება (აფხ. „მდინარის შესართავი“), თუმცა ზოგიერთ რუკაზე კვლავ არის აღნიშნული სახელწოდება ანაკოფია. 1875 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აქ ათონის მთის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი დააარსა და მონასტერს „ნოვი აფონი“ ეწოდა. ეს სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა. „ახალი ათონი“ ამ სახელის ქართული თარგმანია. 1921 წლიდან ახალი ათონის თემი გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1925 წელს ნოვი აფონს ფსირცხა ეწოდა. 1938 წელს გუდაუთის რაიონის ფსირცხის სასოფლო საბჭოს გამოეყო კურორტი ფსირცხა, რომელიც დაბად გარდაიქმნა. 1948 წელს დაბა ფსირცხას ახალი ათონი ეწოდა. 1952 წლის დეკემბერი – 1953 წ. სექტემბერში დაბა ახალი ათონი ახალი ათონის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1953 წ. სექტემბრიდან ახალი ათონი გუდაუთის რაიონში შემავალი დაბაა. 1967 წელს დადგინდა სახელწოდების დაწერილობის ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე ახალი ათონი, Новый Афон. 1987 წელს რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 68).

დაბა გულრიფში მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირზე, მის შესართავთან მდებარეობს. იგი საისტორიო წყაროებში XIX ს. 30-იანი წლებიდან იხსენიება. სახელწოდება აფხაზურ ენაზე „გულიების საცხოვრისს, გულიების წყალს“ ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ გულიას ქართულ გვარს უცხოვრია. ამ ადგილას იყო სოფელი ქვემო გულრიფში, რომელსაც 1975 წელს გულრიფში ეწოდა და დაბის სტატუსი მიიღო; იმავდროულად, დაბა გულრიფში შეიქმნა გულრიფშის სადაბო საბჭო და გულრიფშის რაიონის ცენტრად ქალაქის ტიპის დასახლება გულრიფში დადგინდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 73). გულრიფშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ღალიძგის შესართავთან, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქი ოჩამჩირე მდებარეობს. იგი XIX ს. 30-იან წლებში დაარსდა. მისი სახელწოდება მომდინარეობს „ოჩემჩირიდან“, რაც მეგრულად „ვრცელ ყანას“ ნიშნავს. ოჩამჩირის მიდამოებში, მდ. მოქვის შესართავთან ანტიკურ ხანაში ძველი ბერძნული სავაჭრო ფაქტორია გიენოსი მდებარეობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.) ოჩემჩირე კოდორის უბნის, შემდეგ კი კოდორის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, 1921-1930 წწ. კოდორის მაზრის, 1930 წლიდან – კოდორის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1926 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. 1933 წელს კოდორის რაიონს სახელი გადაერქვა და ოჩემჩირის რაიონი ეწოდა. 1936 წელს დადგინდა რუსულად დაწერილობის ფორმა Очамчыры – Очеччыры-ს ნაცვლად, ხოლო 1948 წელს – სახელწოდების ფორმა ოჩამჩირე – ოჩემჩირე-ს ნაცვლად. 1962 წელს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 1967 წელს დადგინდა სახელწოდების ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე ოჩამჩირა, Очамчыра (ხორავა, ჭანტურია, 2019: 70).

მდინარე ღალიძგის სათავეებში მდებარეობს ქალაქი ტყვარჩელი. ამ ადგილას დასახლება XVII ს. შუა წლების იტალიურ რუკებზე „ტკვაჯას“ სახელით გვხვდება, რაც ქართული ტოპონიმის იტალიური გადმოცემაა. სახელწოდება ქართუ-

ლია (მეგრული) და „ხის დაფენილ კიბეს“ ნიშნავს (ბერაძე თ., 2013: 5). 1921 წლიდან შედიოდა კოდორის მაზრის, 1930 წლიდან – კოდორის რაიონის (1933 წლიდან ოჩემჩირის რაიონი) შემადგენლობაში. XX ს. 30-იან წლებში ქვანახშირის მადნის ათვისებასთან დაკავშირებით შეიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომლის სახელწოდებად 1936 წლიდან რუსულ ენაზე *Ткварчели* დადგინდა *Ткварчелы*-ს ნაცვლად. 1942 წელს ოჩემჩირის რაიონის შემადგენლობიდან გამოყვეს ტყვარჩელისა და აკარმარის მუშათა დასახლებები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ტყვარჩელი შეიქმნა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 71).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებიდან ყველაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ერისწყლის ორივე ნაპირზე, ქალაქი გალი მდებარეობს. შუა საუკუნეებში ამ ადგილას სოფელი გოგიელი მდებარეობდა. ამ ფორმით ეს სახელი XVII ს. შუა წლების იტალიურ რუკებზე გვხვდება (ბერაძე თ., 2013: 5). სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე დატანილია სოფელი გალი. 1886 წელს სამურზაყანოს უბანში შედიოდა გალის თემი სოფლებით პირველი გალი და მეორე გალი. XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში იხსენიება სოფელი დალი. მიჩნეულია, რომ სახელწოდება „გალი“ მომდინარეობს „დალი“-დან, რაც მეგრულად „ღელეს“ ნიშნავს. რუსული ენის გავლენით, რომელსაც „ღ“ ბგერა არა აქვს, სოფ. დალის სახელწოდებად „გალი“ დამკვიდრდა. 1906 წელს სოფელ ოქუმიდან სოფელ მეორე გალში გადაიტანეს სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაციული ცენტრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სამურზაყანოს მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია. 1921-1925 წწ. სამურზაყანოს მაზრის, 1925-1930 წწ. გალის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – გალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1932 წელს დაბა გალმა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო (ხორავა, ჭანტურია, 2019: 69).

აფხაზეთის ძირითად მოსახლეობას ქართველები და აფხაზები შეადგენდნენ. აფხაზური და ქართული ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის, ქართული – ქართველურ ენათა ჯგუფში, ხოლო აფხაზური – ჩრდილო-დასავლურ ანუ აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში. ამ უკანასკნელში აფხაზურთან ერთად შედის აბაზური, ადიღური, ყაბარდოული, უბიხური ენები, რომლებზეც ჩრდილოეთ კავკასიის მონათესავე ხალხები – აბაზები, ადიღელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები მეტყველებენ (Ломтатидзе, 1967: 12). გვიან შუა საუკუნეებამდე აფხაზები კულტურულ-ისტორიულად ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ძირძველი მხარეების მოსახლეობა (ქართლები, კახელები, მეგრელები, სვანები და სხვ.) და ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ (ლომოური, 1989). აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დასკვნით, „როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“ (ბერძენიშვილი, 1990: 608). გვიან შუა საუკუნეებში მთის ჩამოწოლის – აფხაზურ-ადიღური მოდგმის ახალი ნაკადის მიგრაციის შედეგად აფხაზეთის ეთნიკური სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. სწორედ ახალმოსულ აფსუა-აფხაზთა ადგილობრივ მოსახლეობასთან („ძველ“ აფხაზთა – კულტურულ-ისტორიულ ქართველ-

თა და კოლხ-მეგრელთა) ურთიერთმერწყმის შედეგად ყალიბდება ამჟამინდელი აფხაზობა, როგორც ცალკე ეთნოსი (**ხორავა 1996: 87**).

შუა საუკუნეების აფხაზეთში მეურნეობის ტრადიციული დარგები მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. მიწათმოქმედება განვითარებული იყო სანაპირო ზოლსა და მთისწინეთში. მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა ღომი (*Setaria italic L.*) და ფეტვი (*Panicum miliaceum L.*), რომლებიც ძირითად საკვებ კულტურებს წარმოადგენდა. ზოგან მცირე რაოდენობით თესავდნენ ხორბალს, ქერს, შვრიას. XVIII საუკუნიდან თანდათან გავრცელდა სიმინდი, რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. ის ღომზე უფრო ამტანი, მოსავლიანი და ნაკლებ შრომატევადი აღმოჩნდა, ამიტომ XIX საუკუნიდან აფხაზეთის მარცვლეულ მეურნეობაში სიმინდი გაბატონდა. მოჰყავდათ საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები – კანაფი, სელი, ბამბა. საოჯახო მოთხოვნილებებისათვის ამზადებდნენ კანაფის ბაწარს, ბამბის, სელის კანაფის ტილოებს. განვითარებული იყო მეხილეობა და მევენახეობა. მაღლარი ვენახი ხეებზე იყო მიშვებული; დაბლარის სიმცირე არ მოითხოვდა ვენახისთვის სპეციალურად ნაკვეთების გამოყოფას. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი იყო მეფუტკრეობის განვითარებისათვის; ამზადებდნენ თაფლს და ცვილს. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას. მიწათმოქმედებაში გამწევ ძალად გამოიყენებოდა ხარ-კამეჩი, შინაური საქონლიდან ჰყავდათ კამეჩი, ძროხა, ღორი, თხა და ცხვარი.

მეურნეობის ნატურალურ ფორმას თან ახლდა მისთვის დამახასიათებელი შინამრეწველობა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო სოფლის მეურნეობასთან. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სანაპირო ზოლში ფეხი მოიკიდა სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ. სოფლის მეურნეობის ძირითადმა დარგებმა სასაქონლო სახე შეიძინა. გაჰქონდათ ღვინო, სიმინდი, ღომი, შინაური და გარეული ცხოველის ტყავი, ცვილი და თაფლი, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, ძირითადად ბზა. XIX ს. მიწურულიდან ფეხს იკიდებს მეთამბაქოეობა, რომელმაც სასაქონლო ხასიათი შეიძინა. (**Очерки, I, 1960: 143-159**).

XX ს. 20-30-იანი წლებიდან ძირეულად შეიცვალა მეურნეობის სტრუქტურა. აფხაზეთის სანაპირო ზოლსა და მთისწინეთში გაშენდა ჩაი და ციტრუსოვანი კულტურები, ტექნიკური კულტურები – კეთილშობილი დაფნა, ტუნგი, ეკალიპტი და სხვ. ამ დროიდან შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა, რომლის მთავარი დარგი მეჩაიეობა და მეციტრუსეობა გახდა. ფართოდ განვითარდა მევენახეობა, მეთამბაქოეობა, აგრეთვე მეცხოველეობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში მთავარი ადგილი სოფლის მეურნეობას და მასზე დამყარებულ გადამამუშავებელ მრეწველობას ეკავა, განსაკუთრებით ჩაისა და ციტრუსების გადამამუშავებას. 1991 წელს აფხაზეთში იყო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 21 ჩაის ფაბრიკა და კომბინატი, კარგად განვითარებული საკონსერვო (ხილისა და ხილეულის წყლების) წარმოება, მეღვინეობა, თევზის, რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება. მნიშვნელოვანი დარგი იყო მეთამბაქოეობა. ბუნებრივი რესურსების გამოყენებით შეიქმნა თბოენერგეტიკული, ხე-ტყის და საშენ მასალათა მრეწვე-

ლობა. მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები იყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო, რომლის სამრეწველო ექსპლუატაცია 1935 წლიდან დაიწყო, და ტყვარჩელის თბოელექტროსადგური (1938). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკურორტო მეურნეობას და ტურიზმს, ფართოდ განვითარებულ სატრანსპორტო – სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, – ქსელს (**ნაჭყებია, 1961:** 3-10; **რიგვაჯა, 2004:** 159-161).

საბჭოთა საქართველოში აფხაზურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. ამ მხრივ აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა იყო სსრ კავშირში, სადაც ასეთი პრეცედენტი არსებობდა. ამჟამადაც, საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 2), საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ეკონომიკის, კულტურის, განათლების განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1979 წლიდან სოხუმში ფუნქციონირებდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფხაზური, ქართული და რუსული სექტორებით; აფხაზური დრამატული თეატრი, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო კაპელა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, აფხაზ უხუცესთა ანსამბლი და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები; აფხაზური ტელევიზია და რადიო; აფხაზურ ენაზე გამოდიოდა რესპუბლიკური და რაიონული გაზეთები, ჟურნალები: „აღაშარა“ („სინათლე“) – აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, „აფსნი აკაზარა“ („აფხაზეთის ხელოვნება“), „აშკოლი აფსთაზარეი“ („სკოლა და ცხოვრება“), „ამცაბზ“ („ალი“) – საბავშვო ილუსტრირებული გამოცემა. აფხაზურ ენაზე გამოსული წიგნების ტირაჟი მუდმივად იზრდებოდა. არსებობდა მწერალთა, ჟურნალისტთა, მხატვართა, არქიტექტორთა, კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირები. წარმატებით ხორციელდებოდა აფხაზური ენისა და თვითმყოფადი კულტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამები (**ბერაძე თ., 2013:** 29).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ აღორძინდა გამთიშველი პოლიტიკა. კრემლმა აფხაზი ინტელიგენციის ერთი ნაწილი დასაყრდენად გაიხადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა აფხაზთა მესხიერებიდან ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის გრძნობა ამოეძირკვა. აფხაზებს თავს ახვევდნენ აზრს, თითქოს მათ ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროსთან ისტორიულად არაფერი აკავშირებდათ. XX ს. 70-80-იან წლებში საქართველოს აღმავალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, იმპერიამ აფხაზური სეპარატიზმი დაუპირისპირა.

1991 წ. 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კრემლმა საქართველოს დასასჯელად „აფხაზური კოზირი“ გამოიყენა. ამის უშუალო შედეგი იყო 1992-1993 წლების სამხედრო დაპირისპირება, რომელიც ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომს წარმოადგენდა. ომის შედეგები ორივე მხარისათვის მძიმე იყო. ოფიციალური ვერსიით, საომარ მოქმედებებს 10 ათასამდე ქართ-

ველი და 5 ათასამდე აფხაზი შეეწირა. აფხაზებმა ქართულ მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს, განხორციელდა მხარის ეთნოწმენდა. აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის 200 ათასზე მეტი ქართველი, დევნილად იქცა (**ჯოჯუა, 2007**: 353-364; **ხორავა, 2015**: 638).

1992-1993 წლების სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, სეპარატისტულმა რეჟიმმა აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. 2008 წ. აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიისა და მისი სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნობის მიუხედავად, მსოფლიო თანამეგობრობა, რამდენიმე სახელმწიფოს (*ვენესუელის, ნაურუს, ნიკარაგუას, სირიის*) გამოკლებით, – უპირობოდ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციას აფხაზეთზე, ხოლო საქართველოს კონსტიტუციით აფხაზეთი კვლავაც ავტონომიურ რესპუბლიკად ითვლება.

თავი II. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე

§1. პირველყოფილობის ხანა

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უხსოვარი დროიდან დანარჩენ საქართველოსთან ერთად საერთო კავკასიური კულტურული სივრცის ორგანული ნაწილი იყო. დაწყებული ქვედა პალეოლითის ხანიდან, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, აფხაზეთი წარმოადგენდა პირველყოფილ ადამიანთა განსახლებისა და აქტიური საქმიანობის ზონას. აქ აღმოჩენილია მსოფლიო მნიშვნელობის ქვედაპალეოლითური ძეგლი – *იაშთხვა* (სოხუმის მახლობლად, *იაშთხვისა* და *ბირცხის* მთებს შორის – ზღვის დონიდან 80-140 მ.), რომლის ყველაზე ადრეულ ფენას *აშელის* პერიოდს (დაახლ. 1 700 000-დან – 150-120 ათას წლებამდე) მიაკუთვნებენ (**Замятнин, 1937; Замятнин, 1961: 67-98; Бердзенишвили, 1959: 159-180; ბარამიძე, ფხაკაძე, 2007: 12**). გარდა ამისა, აშელის ეპოქის ძეგლები აღმოჩენილია: *კოლხიდაში* (გაგრის მუნიციპალიტეტი), *ანუხვაში* /გუდაუთის მუნიციპალიტეტი/, *ემერაში* /სოხუმის მუნიციპალიტეტი/, *აფიანჩაში* (გულრიფშის მუნიციპალიტეტი/, *ღვადასა* და *ოტაფში* /ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი/, *გალში*, *ჭებურხინჯში* /გალის მუნიციპალიტეტი/ (**Трапш, 1960: 5-6**) და ა.შ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროში პირველყოფილი სადგომების სიმრავლეს ხსნიან მხარის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ამასთან, უძველეს დროში ადამიანს ძირითადად ათვისებული ჰქონია სანაპირო ზოლი (**Джапаридзе, 1999: 7**). აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველყოფილ ადამიანთა უძველესი სადგომები განთავსებული იყო კავკასიის მთავარი ქედიდან გამომავალი სამხრეთის (*ბზიფი-კოდორის*) ბორცვებზე (**ბერძენიშვილი ნ., 1979: 40**). აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლების ანალიზისას ხაზს უსვამენ მათში დაფიქსირებული ნივთიერი კულტურის მსგავსებას ცენტრალური კოლხეთის (კერძოდ, *რიონ-ყვირილას* აუზის) ძეგლების ანალოგიურ მასალასთან. ამავე დროს, უთითებენ გარკვეულ ერთიანობაზე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის – ყუბანისპირეთის ძეგლებთანაც (**Джапаридзе, 1999: 7**).

ზედა ანუ გვიანდელი პალეოლითის ხანაში (დაახლ. 35 000 წლის წინ) აფხაზეთი (ისევე როგორც დასავლეთი საქართველო მთლიანად) კვლავაც რჩებოდა პირველყოფილ ადამიანთა აქტიური შრომითი საქმიანობის ზონად. ზედა პალეოლითის ხანის ძეგლები აღმოჩენილია ქ. სოხუმის მიდამოებში: *ლუჩკოპი*, ე.წ. „*მიხაილოვის კარიერი*“, აგრეთვე *ხუპინიფშახვას* (ე.წ. „*Холодный прот*“) წებელდასთან (**Трапш, 1960: 8**). მკვლევართა დასკვნით, ამ დროიდან შეიძლება მსჯელობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გვიანპალეოლითური კულტურის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, ზოგიერთი ძეგლის (*აფიანჩა*, *სვანთა სვანე*) მასალების ანალიზის საფუძველზე ფიქრობენ, რომ გვიანპალეოლითური კულტურა

წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას წინარე პერიოდის (*მუსტიეს ხანის*) ადგილობრივი კულტურული შრეებისა. მეტიც, აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, მსჯელობენ საერთოკავკასიურ კულტურულ ერთობაზე (რომელიც მოიცავდა დასავლეთ ამიერკავკასიას), რაც შესაძლებელია, გახდა გარკვეული ეთნოკულტურული და ენობრივი ერთობის საფუძველი (**Джапаридзе, 1999: 8-9**).

მეზოლითის (შუა ქვის) ხანაში (დაახლ. 13-12 ათასი წლიდან ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულამდე) მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს – პირველ რიგში, მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის – აფხაზეთის ტერიტორიის შემდგომი ათვისება. ამაზე მეტყველებენ *ქვაჭარის*, *აფიანჩის*, *იამთხვას*, *ხუპინიფშახვას*, *ჯამპალის* სადგომები (**Джапаридзе, 1999: 9; წერეთელი, 1973: 40**). მეზოლითის ეპოქიდან კავკასიაში გამოყოფენ ძეგლების სამ განსხვავებულ ჯგუფს – *ამიერკავკასიის*, *გუბის* და *ჩოხის*. ამ პერიოდის ძეგლებში დაფიქსირებულ ლოკალურ თავისებურებებს კი უკავშირებენ საერთოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის შესაძლო დაშლის დაწყებას (**Джапаридзе, 1999: 9; ბარამიძე, ფხაკაძე, 2007: 15**).

აფხაზეთის ტერიტორია არანაკლებ დაწინაურებული ჩანს *ნეოლითის* (ახალი ქვის ხანა) ეპოქაში (დაახლ. ძვ. წ. VIII-VI-დან IV ათასწლეულამდე). თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც მთელ დანარჩენ დასავლეთ საქართველოში, ნეოლითური კულტურა იღებს სათავეს ადგილობრივი მეზოლითური კულტურიდან (**ნებიერიძე, 1972: 108; ჯაფარიძე ო., 1976: 36; კალანდაძე, 1986: 92-95, 109**). ამასთან, შემჩნეულია გარკვეული მსგავსება აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ (*აფიანჩა*, *ხუპინიფშახვა* და ა.შ.) ქვის ინვენტარსა და სამხრეთ კოლხეთის ძეგლების ანალოგიურ მასალას შორის. ასეთივე სურათი გვხვდება გვიანნეოლითური ხანის აფხაზეთისა (*გალი I*, *ღუმურიში*, *ჩხორთოლი*) და ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის (*ოდიში*, *ანასეული I*, *გურიანთა* და სხვ.) მასალების შედარებისას (**კალანდაძე, 1986: 15-49; Джапаридзе, 1999: 10**). იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე დიდი ნეოლითური დასახლების – *კისტრიკის* /გუდაუთის მახლობლად, სოფ. ბომბორასთან/ ქვის მასალების შესახებაც (**Лукин, 1950: 247-286**), რომლებიც ასევე ამჟღავნებენ მსგავსებას კოლხეთის სხვა რეგიონების ნეოლითური ხანის ინვენტართან (**Джапаридзе, 1999: 10-11**). თუმცა, სპეციალისტები აღნიშნავენ ცალკეულ განსხვავებებსაც, კერძოდ, კერამიკული ნაწარმის შედარებისას: ცენტრალური კოლხეთის ნიმუშებისაგან განსხვავებით, კისტრიკში აღმოჩენილი კერამიკა თითქმის უორნამენტოა (**Джапаридзе, 1999: 10-11**). ცენტრალური კოლხეთის (რიონ-ყვირილას აუზის) კერამიკულ მასალასთან მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ოქუმის გამოქვაბულში აღმოჩენილი კერამიკა, ამასთან, ოქუმის მასალა გარკვეულწილად ემსგავსება სოჭი-ადღერის რეგიონში დაფიქსირებულ ინვენტარსაც (**ფხაკაძე, 1979: 68-76; Джапаридзе, 1999: 11**).

გვიან ნეოლითის ეპოქის მატერიალურ კულტურაში შემჩნეულ ლოკალურ თავისებურებებს უკავშირებენ კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მიმდინარე დაშლის პროცესს. ამ პროცესის სურათის აღდგენა პრაქტიკულად

მუძღვებელია შესაბამისი ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მასალების არქონის გამო. მიუხედავად ამისა, მკვლევრები უშვებენ, რომ კავკასიის გვიანნეოლითურ კულტურაში შემჩნეული თავისებურებები შესაძლოა მიგვანიშნებდნენ საერთოკავკასიური ეთნო-ენობრივი ერთობის დაშლაზე (Джапаридзе, 1999: 13). აქედან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პერიოდში დაიწყო მონათესავე კავკასიურ ენათა ძირითადი ჯგუფების ფორმირება: აღმოსავლურ-კავკასიურის – ნახურ-დაღესტნური, დასავლურ-კავკასიურის – ადიღურ-აფხაზური და სამხრეთ-კავკასიურის – ქართველური (Джапаридзе, 1999: 18).

ენოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ისევე, როგორც მთელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, არსებობას განაგრძობდა ადგილობრივ ნეოლითურ ტრადიციებზე დაფუძნებული სამიწათმოქმედო კულტურა (ჯაფარიძე ო., 1976: 59; ბარამიძე, ფხაკაძე, 2007: 13). საკმაოდ მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის თვალსაზრისით, მეცნიერთა ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ოჩამჩირის მახლობლად აღმოჩენილმა დასახლებამ, რომელსაც ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით ათარიღებენ (Соловьев, 1939; Трапш, 1960: 10). აქ აღმოჩენილი ინვენტარი ამჟღავნებს მსგავსებას კოლხეთის დაბლობის ბორცვების ნასახლარებში, განსაკუთრებით დიხა-გუძუბას ქვედა ფენებში დაფიქსირებულ მასალასთან (ჯაფარიძე ო., 1976: 174-175; ფხაკაძე, 1993: 88-92). ანალოგიური სიტუაცია გვაქვს სოხუმის მახლობლად, გუმისთაში დაფიქსირებული ოჩამჩირის ტიპის ნამოსახლარის მასალების ანალიზისას, რომლებიც ასევე ამჟღავნებენ გარკვეულ მსგავსებას კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარ ბორცვებზე მოპოვებულ მასალასთან (Бжания, 1973: 70). იგივე ითქმის მაჭარის (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) ნამოსახლარის მასალებზეც (Бжания, 1966: 122). აფხაზეთის ენოლითური მასალები ორგანულადაა დაკავშირებული რიონ-ყვირილას აუზის მღვიმეების მასალებთან. ამასთან, გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, ერთი მხრივ, წინა აზიის ანალოგიური ძეგლების ნივთიერ კულტურასთან, მეორე მხრივ, კი ჩრდილოეთ კავკასიის – ყუბანისპირეთის ცნობილ ადრემეზოკოპურ კულტურის მასალებთან (ბარამიძე, ფხაკაძე, 2007: 14).

§2. აფხაზეთის ეთნიკური იერსახის მონახაზი ძვ. წ. III-II ათასწლეულებში არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მონაცემების შუქზე

აღრე ბრინჯაოს ხანიდან (დაახლ. ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ე.წ. „დოლმენური კულტურა“ (Куфтин, 1949: 258-322). გავრცელებული თვალსაზრისით, დოლმენები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ხმელთაშუაზღვისპირეთიდან უნდა ყოფილიყო იმპორტირებული (Марковин, 1978: 283-319). აკადემიკოს ო. ჯაფარიძის შეხედულებით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოლმენები კოლხეთიდან უნდა გავრცე-

ლებულიყო (Джапаридзе, 1999: 14. დოღმენების გავრცელების არეალზე და მარმ-რუტების შესახებ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ უახლესი მონაცემები იხ. Бгажноков, 2016b: 31-39; Б. Х. Бгажноков., 2016a: 40-41). დოღმენების გაჩენას კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცალკეული მეცნიერები უკავშირებენ გარკვეულ ეთნიკურ ცვლილებებს და ამის საფუძველზე ცდილობენ გაარკვიონ აფხაზთა ეთნოგენეზისა და მათი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლების საკითხი.

პირველი მეცნიერი, რომელმაც წამოჭრა ეს საკითხი იყო რუსი არქეოლოგი ლევ სოლოვიოვი. მისი დაკვირვებით, ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ადგილი ჰქონდა მცირე აზიიდან ქასქების (ქაშქების) ტომების მიგრაციას ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში და მათ დაფუძნებას ე.წ. „სამხრეთ დოღმენური კულტურის“ არეალში (ენგურიდან ადღერამდე). აქ მცხოვრებმა (დოღმენური კულტურის მატარებელმა) ტომებმა მშვიდობიანად მიიღეს მოსული ქაშქები, რომელთა პროტოხეთურმა ენამ საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც (Соловьев, 1958: 157-164). ლ. სოლოვიოვის ჰიპოთეზა გაიზიარა ზურაბ ანჩაბაძემ, რომელიც ამ მიმართულებით უფრო შორს წავიდა და რუსი არქეოლოგის დებულებები ზოგადად აფხაზთა ეთნოგენეზისის პრობლემის ქრილში განიხილა. მეცნიერის აზრით, აფხაზთა ეთნოსის ფორმირება დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულიდან და მასში მონაწილეობა მიიღეს მცირე აზიიდან გადმოსახლებულმა „ქაშქა“-„აბეშლას“ ტომებმა და მათმა მონათესავე დღევანდელი აფხაზეთის მაშინდელმა (ძვ. წ. III-II ათასწლეულების) ადგილობრივმა მოსახლეობამ (Анчабадзе З., 1964: 124-125). დაახლოებით ასევე ესმოდა ეს საკითხი აფხაზ არქეოლოგს მიხეილ ტრაფშს (Трапш, 1970: 78-80).

თავდაპირველად ამავე თვალსაზრისს ადგა შალვა ინალ-იფაც (Инал-ипа, 1971: 53), თუმცა მოგვიანებით მან მოხსნა მიგრაციის თეზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთელი პერიმეტრი – დაწყებული ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილიდან და დამთავრებული მცირე აზიის ცენტრალური და აღმოსავლეთი მხარეებით – საერთოდ აფხაზურ-ადიღურ-ხათური ტომების პირველსაცხოვრისად გამოაცხადა (Инал-ипа, 1976: 120).¹ ფაქტობრივად, ამავე ხაზს ავითარებენ

¹ შ. ინალ-იფას ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ. (ლომოური, 1989; ლომოური, 2001: 165-166; Ломоури, 1990: 165-166). აქვე უნდა აღინიშნოს, შ. ინალ-იფამდე ბევრად ადრე ეს თვალსაზრისი წამოაყენა რუსმა აღმოსავლეთმცოდნე ჰეტრე უშაკოვმა, რომელიც თვლიდა, რომ უძველეს დროში ახალ წელთაღრიცხვამდე 15-18 საუკუნეების წინ აფხაზ-ადიღებს ეკავათ დასავლეთ კავკასიის მთელი ტერიტორია შავიზღვისპირეთის გუბერნიიდან კოლხეთის გაყოლებით ევფრატის სათავეებამდე (Ушаков, 1921: 26-27). პ. უშაკოვი უყრდნობოდა გერმანული წარმომობის რუსი ენათმეცნიერის არტურ გლეიეს დასკვნას, რომლის მიხედვითაც კოლხური ენის მატარებლებად მიჩნეულია არა კოლხ-ქართველები, არამედ აფხაზ-ადიღები (Глейе, 1907: 49-50). აღსანიშნავია, რომ ა. გლეიეს ეს აზრი აიტაცა დიმიტრი გულიამ (Гулия. Д., 1925: 28-29, 31), რომელიც ამასთან უაპელაციოდ აცხადებდა, რომ ანტიკური წყაროების აფხაზები და მათი წინაპრები – ჰენიოხები კოლხები იყვნენ (Гулия. Д., 1925: 9, 35-52).

ვლადისლავ არძინბა და ვიჩესლავ ჩირიკბა, იური ვორონოვი, ოლეგ ბლაჟბა და სტანისლავ ლაკობა, თეიმურაზ აჩუგბა, ვალერი კვარჭია (Арджинба, Чирикба, 1991: 11; Воронов Ю., 1992: 18; Бгажба О., Лакоба С., 2015: 12-13, 45; Ачугба, 2010: 22; Кварчия, 2015: 47, 537).¹ და სხვ.

ლ. სოლოვიოვის დებულებების საფუძვლიანი და სავსებით არგუმენტირებული კრიტიკა წარმოადგინა ოთარ ჯაფარიძემ, რომელმაც, მართალია, არ გამოიხატა „მოსახლეობის გარკვეული მასის გადანაცვლება“ სამხრეთიდან, თუმცა, მეცნიერის აზრით, ამას არ უნდა გამოეწვია არსებითი ხასიათის ეთნიკური ცვლილებები კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ჯაფარიძე ო., 1976: 299-301). ამ კუთხით, ყურადღება ექცევა იმ გარემოებასაც, რომ დოღმენურ სამარხებში დაფიქსირებული ნივთიერი კულტურა ძირითადად ადგილობრივი წარმომავლობისაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოცემულ პერიოდში ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა ადგილი რაიმე სერიოზულ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკურ რუკაზე (Джапаридзе, 1999: 14).

ის ფაქტი რომ ადრებრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში არ შეიმჩნევა რაიმე მკვეთრი ცვლილებები, სულაც არ ეწინააღმდეგება მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებულ თეზისს სხვადასხვა კუთხეში არსებული გარკვეული ლოკალური თავისებურებების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, საფუძვლად დაედო ცალკეული ტომობრივი გაერთიანებების აღმოცენებას. ერთ-ერთ ასეთ ლოკალურ რეგიონად მიჩნეულია ტერიტორია მდ. გუმისთის ჩრდილოეთით (Барамидзе, 1999: 27), რომელშიც, სპეციალისტების აზრით, იკვეთება ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული ე.წ. მაიკოპ-ნოვოსვობოდნიას კულტურის გარკვეული გავლენა. ითვლება, რომ ეს გავლენა არ იყო არსებითი და, მთლიანობაში, მდ. გუმისთის იქითა მხარეს გაცილებით მეტი საერთო ჰქონდა დანარჩენ კოლხეთთან. ეს, პირველ რიგში, ვლინდება ლითონის იარაღებისა და კერამიკული ნაწარმის აბსოლუტურ იდენტურობაში (Барамидзе, 1999: 27). იგივე ვითარებაა შუა ბრინჯაოს ხანაშიც, როდესაც ასევე ფიქსირდება განვითარების უწყვეტი გენეტიკური ხაზი კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით (Барамидзе, 1999: 27).

ზოგადი სურათი არ იცვლება გვიან ბრინჯაოს ხანაში, როდესაც დასავლეთ საქართველოში გავრცელებას იწყებს – ე.წ. „კოლხური კულტურა“, რომელიც მოიცავს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიასაც. აქ „კოლხური კულტურის“ ძეგლები აღმოჩენილია: ეშერაში, მუგუძირხვაში, ბომბორაში, კულანურხვაში, გაგრაში,

¹ აფხაზეთა ეთნოგენეზისის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა იხ. (Анчабадзе, 1964: 119-130; Инал-ипа, 1976: 28-62; გამახარია, 2007: 31-38). უკანასკნელ ხანს ამ პრობლემატიკას იკვლევს გაგრელი ისტორიკოსი დავით კანდელაკი. მისი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ვრცელი ისტორიოგრაფიული ნარკვევი, რომელშიც საკმაოდ სკრუპულოზურადაა გაანალიზებული აფხაზეთა ეთნოგენეზისის ირგვლივ არსებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა (Канделаки, 2013: 218-243).

ბიჭვინთაში, ლიხნში, ლეჩკოპში, ფიჩორში (Иессен, 1951: 12-14; Джапаридзе, 1989: 130; Барамидзе, 1983; Барамидзе, 1988) და ა.შ. „კოლხური კულტურის“ გავრცელების ხანაშიც (დაახლ. ძვ. წ. XIV-VII სს.) შეიმჩნევა ცალკეული განმასხვავებელი ელემენტები მდ. გუმისთის ჩრდილოეთით დაფიქსირებულ ძეგლებში, რის გამოც ამ მხარეს გამოყოფენ როგორც „კოლხური კულტურის“ ლოკალურ რეგიონს. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღება ექცევა დამარხვის სპეციფიკური – ე.წ. „შეორადი დამარხვის“ – წესის (თიხის ჭურჭელში) არსებობას (Куфтин, 1949: 178-192; Абрамишвили, 1986; Барамидзе, 1979; Барамидзе, 1999: 31). გარდა ამისა, გუმისთის იქითა მხარის მასალებში გამოვლენილია გარკვეული სიანლოვე ყუბანისპირეთის თანადროულ ძეგლებთან (Джапаридзе, 1989: 130-132). მიუხედავად ამისა, არც გუმისთის იქითა მხარეშიც არ არის დაფიქსირებული რაიმე ისეთი განსხვავება, რაც ეჭვს ქვეშ დააყენებდა ზოგადად ამ რეგიონის კულტურულ ერთიანობას დანარჩენ დასავლეთ საქართველოსთან (Барамидзе, 1999: 32). აქედან გამომდინარე, თუ ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე მართლაც ჰქონდა ადგილი სერიოზულ ეთნიკურ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ეს უთუოდ ჰპოვებდა სათანადო ასახვას მატერიალურ კულტურაში.

დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათის დადგენისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პალეოანთროპოლოგიურ და ლინგვისტურ მონაცემებს. ანთროპოლოგიური კვლევების თანამედროვე ეტაპზე დადგენილად ითვლება კავკასიის მოსახლეობის ამჟამინდელი ანთროპოლოგიური ტიპების ადგილობრივი წარმომავლობა (Абдушелишвили, 1964: 90; Абдушелишвили, 1972: 231; ჯაფარიძე თ., 1976: 305), რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ, რომ დასავლეთი კავკასია უძველესი დროიდან დასახლებული იყო საერთოკავკასიური წარმოშობის მონათესავე ტომებით.

ბევრად უფრო რთულად დგას კავკასიის ხალხების ეთნო-ენობრივი ერთობის პრობლემა. მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე, თითქოს ეჭვს არ იწვევდა კავკასიური ენების გენეტიკური ერთობა. ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წამოაყენა კავკასიური სამყაროს ცნობილმა მკვლევარმა ჰეტრე უსლარმა (Услар, 1868; Инал-Ипа, 1976: 320; Инал-Ипа, 2015: 115-116; Чикобава, 1955: 465-466). როგორც ცნობილია, კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც დაადასტურა კავკასიური ენების საერთო წარმომავლობა (ჯავახიშვილი, 1992). მიუხედავად იმისა, რომ თვალსაზრისი კავკასიურ ენათა გენეტიკური ნათესაობის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში თითქმის გაბატონებული იყო ენათმეცნიერებაში (Ломтатидзе, 1955: 73-82; Бокарев, 1954: 41-53) XX ს. 60-იანი წლებიდან მკვლევართა ერთმა ნაწილმა ფაქტობრივად უარყო ქართველური ენების გენეტიკური ერთობა ჩრდილო კავკასიურ ენებთან (მაჭავარიანი, 1965; Дьяконов, 1982: 3-30; Гамкრелидзе, 1971: 34-48).

ამავე დროს, სულ უფრო ფხვს იკიდებდა თვალსაზრისი ჩრდილოკავკასიური ენების მცირე აზიის უძველეს ენებთან ნათესაობის შესახებ. კერძოდ, მეცნიერებაში უკანასკნელ დრომდე თითქმის უწყევ ქმმარიტებად იყო აღიარებული აფხაზურ-

ადიდურის გენეტიკური ნათესაობა ხათურ ენასთან (Милитарёв, Старостин, 1984: 34; Иванов, 1985: 51). ამ კუთხით, საკუთრივ ლინგვისტური მასალის ანალიზის გარედა, ყურადღება ექცევა მცირე აზიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან დაფიქსირებული ეთნონიმ „ქასქის“ („ქაშქის“) მსგავსებას ადიღ-ჩერქეზთა შუა საუკუნეებში გავრცელებულ სახელწოდებასთან: „კასახია“ – „კასახი“ (ბიზანტიელი ავტორების), „კაშაკ“, „კაშაკია“ (არაბული წყაროების), „კოსოგი“ (ძველი რუსული მათიანეების), „ქაშაგნი“ (ქართული მათიანეების) და ა.შ. (გიორგაძე, 2002: 12; Гиоргадзе, 1999: 52; Волкова, 1973: 19).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხეთური ლურსმული წარწერების „ქასქებს“ („ქაშქებს“) მიიჩნევდნენ აფხაზურ-ადიდურ-ხათური მოდგმის ტომად. ამ თვალსაზრისს ერთგვარად ამაგრებდა აგრეთვე ძვ. წ. XII-XI სს. ლურსმულ წარწერებში დაფიქსირებული ერთ-ერთი ტომის – „აბეშლას“ სახელწოდება, რომელსაც, ერთი მხრივ, „ქასქას“ / „ქაშქას“ / სინონიმად მიიჩნევდნენ, ხოლო მეორე მხრივ აიგივებდნენ ეთნონიმ „აბსილთან“ / „აბშილ“-„ავსუა“ / (Гиоргадзе, 1999: 52-53). ამის საფუძველზე კი გაჩნდა თვალსაზრისი აფხაზ-ადიდთა წინაპრების თავდაპირველად მცირე აზიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში მოსახლეობის შესახებ, საიდანაც ისინი, მკვლევართა ერთი ნაწილის (ლ. სოლოვიოვი, ვ. არძინბა და ვ. ჩირიკბა და ა.შ.) აზრით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უნდა დაძრულიყვნენ ჩრდილოეთის მიმართულებით და განთავსებულიყვნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიქრობენ (ლ. სოლოვიოვი, ზ. ანჩაბაძე), რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში (Соловьев, 1958: 162-163; Анчабадзе, 1964: 120-126), ან, შესაძლებელია, უფრო ადრეც – ძვ. წ. III ათასწლეულამდე (Инал-ипа, 1976: 145). მეტიც, როგორც ასევე აღინიშნა, უკანასკნელ ხანს ცალკეული მეცნიერები საერთოდ გამორიცხავენ რაიმე მიგრაციას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და აქტიურად ავითარებენ თვალსაზრისს ადიღ-აფხაზთა პირველმოსახლეობის შესახებ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მთლიანად (ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ. გამახარია, 2007: 33-36).

მაგრამ ამ ბოლო დროს დასკვნა „ქასქ“-„აბეშლას“ ტომთა მაინცდამაინც პროტოხეთებთან (ხათებთან) ნათესაობის შესახებ, რომელსაც ძირითადად ეფუძნებოდა მოსაზრება აფხაზ-ადიდთა და „ქასქ“-„აბეშლაელთა“ გენეტიკური ერთობის შესახებ, ეჭვის ქვეშ დადგა. ძველი ხეთურ-ანატოლიური სამყაროს აღიარებული მკვლევრის, აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის დაკვირვებით, სულაც არ არის აუცილებელი „ქასქებისა“ („ქაშქების“) და „აბეშლას“ ტომების ხათებთან ეთნიკური ნათესაობის ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნევა და სავსებით დასაშვებად თვლის „ქასქებისა“ და „აბეშლას“ ტომები მიკუთვნებას კოლხურ-ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი (Гиоргадзе, 1999: 45-55). აქედან გამომდინარე, მეცნიერი უარყოფს „ქასქ“-„აბეშლაელთა“ უპირობო ნათესაობას ადიღურ-აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან (Гиоргадзе, 1999: 55). ამასთან, გ. გიორგაძე აღიარებს ხათების ნათესაობას აფხაზ-ადიდებთან, თუმცა მისი აზრით, ხათების პირვანდელი სამშობლო საძიებელია არა მცირე აზიაში, არამედ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში, საიდანაც

ნაც ისინი უნდა გადმოსახლებულიყვნენ ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ სექტორში (გიორგაძე, 1999: 48-49). არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, ამავე თვალსაზრისს ავითარებს გიორგი ქავთარაძე (ქავთარაძე, 1978: 7-8).

როგორც ვხედავთ, მეცნიერებაში ცალსახად არ არის გარკვეული „ქასე“-„აბეშლას“ ტომთა გენეტიკური ნათესაობა სათურ-აფხაზურ-ადიღურ სამყაროსთან, რაც იმთავითვე ეჭვის ქვეშ აყენებს აფხაზ-ადიღთა განსახლებას დასავლეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მთლიანად გამოირიცხოს აფხაზ-ადიღთა ნაკვალევს არსებობა უძველეს დროში თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთით, რაზეც, ნამდვილად მიუთითებენ გურია-აჭარის სექტორში დაფიქსირებული ცალკეული ტოპონიმები (ჯავახიშვილი, 1913: 48-49; ჯავახიშვილი, 1998: 51; Джавахишвили, 1998: 235; ჯანაშია, 1959b: 117-123 და სხვ.). მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი ეს გარემოება ერთნიშნად მივიჩნიოთ აფხაზ-ადიღთა დასავლეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე განსახლების დადასტურებად. აღნიშნული ტოპონიმები, როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს გ. გიორგაძე, მხოლოდ იმის „მაჩვენებელი უნდა იყოს..., რომ ზოგჯერ მართლაც სახლდებოდნენ აფხაზ-ადიღთა ცალკეული ჯგუფები მოცემულ რაიონებში, სადაც შემდგომ ითქვიფებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ისე, რომ რჩებოდა მათი ტოპონიმები“ (გიორგაძე, 2002: 10).

გ. გიორგაძის ეს დასკვნა სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა მაინც უფრო რეალურად მოჩანს აფხაზურ-ადიღურ-სათურ ტომთა გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და არა პირიქით. ამასთან, სრულიად დასაშვებია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველმოსახლეობა იმ ტომებისა, რომლებიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე (სულ ცოტა ნეოლითის ეპოქიდან მაინც) ქმნიდნენ ერთიან (დანარჩენ დასავლეთ საქართველოსთან) მატერიალურ კულტურას, რომლის შიგნითაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზეთის ტერიტორიაზე (ისიც მხოლოდ – მდ. გუმისთის ჩრდილოეთით) ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან თავს იჩენს ცალკეული ლოკალური თავისებურებანი და რომლებიც უფრო შესამჩნევი ხდება „კოლხური კულტურის“ ეპოქაში. ეს ლოკალური თავისებურებები მართლაც არ არის გამორიცხული, დაკავშირებული ყოფილიყო აფხაზ-ადიღთა პირველი ტალღის გამოჩენასთან მოცემულ რეგიონში, რომლის ძირითად და, რაც მთავარია, პირვანდელ მოსახლეობას უდავოდ პროტოკოლხური (ქართველური) ტომები წარმოადგენდნენ. ამასთან დაკავშირებით უთუოდ ანგარიშგასაწევია სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტული აზრი, რომლის მიხედვითაც აფხაზ-ადიღებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, შესაძლოა, უსწრებდნენ მეგრულ-ჭანური და სვანური ტომები (ჯანაშია, 1959a: 15; ხოშტარია-ბროსე, 2000, 9).

ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება ჯერჯერობით ვერ ახერხებს დაადგინოს, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები უძველეს დროში და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულად რომელ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ ისინი. ასეთ ვითარებაში უპრიანია გა-

დამწყვეტი როლი მიენიჭოს არქეოლოგთა დასკვნას დასავლეთ კავკასიის მასშტაბით ერთიანი მატერიალური კულტურის არსებობის შესახებ სულ ცოტა ზედა პალეოლითიდან მაინც, რაც იმას უნდა ადასტურებდეს, რომ დასავლეთ კავკასიის ტერიტორია უძველესი დროიდან ეკავათ ეთნიკურად მონათესავე, საერთოკავკასიური წარმოშობის ტომებს (*Джапаридзе, 1999: 15-18*).

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება. პირველყოფილობის ხანაში – ზედა პალეოლითიდან დაწყებული ნეოლითის ჩათვლით – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მუდმივად შედიოდა ერთიანი მატერიალური კულტურის გავრცელების არეალში, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ კავკასიას. ამ ერთიანი მატერიალური კულტურის შემქმნელებად ივარაუდება საერთოკავკასიური წარმოშობის მონათესავე ტომები. ბრინჯაოს ხანიდან (შესაძლოა, უფრო ადრიდანაც) უნდა დაწყებულიყო ე.წ. პალეოკავკასიური ეთნიკური ერთობის დიფერენციაციის პროცესი, რამაც ასახვა ჰპოვა მატერიალურ კულტურაში – გაჩნდა ცალკეული ლოკალური თავისებურებები ერთიან მატერიალურ კულტურაში. ასეთმა თავისებურებებმა იჩინა თავი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, მდ. გუმისთის ჩრდილოეთით, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ამ მხარის ეთნიკური სიჭრელით. შესაძლოა აქ კოლხეთის დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებული მოსახლეობის გაჩენა. სავსებით დასაშვებია, იმ ტომებს შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ მოცემულ რეგიონში, ყოფილიყვნენ თანამედროვე აფხაზეთა წინაპრებიც.

კოლხეთის დანარჩენი ტერიტორია კი დღევანდელი აფხაზეთის სხვა რეგიონების ჩათვლით უდავოდ ეკავათ ქართველურ ტომებს. ამავე დროს, არ შეიძლება გამოირიცხოს ცალკეულ ქართველურ ტომთა (მეგრულ-ჭანთა, სვანთა, შესაძლოა, მესხთაც) განსახლება თანამედროვე აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც (მდ. გუმისთის ჩრდილოეთით). ამ თვალსაზრისით ნამდვილად არაა შემთხვევითი, რომ მოგვიანებით, ძვ. წ. I ათასწლეულში ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა მონაცემები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე თითქმის დოკუმენტურად აფიქსირებენ: *კოლებს, კოლხებს, კორაქსებს, ჰენიოხებს, სანიგებს, სვანო-კოლხებს* და ა.შ., რომელთა ქართველურ წარმომავლობაში, როგორც ეს ნაჩვენები იქნება ქვემოთ, ძნელია ეჭვის შეტანა.

§3. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნიკური რუკა ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე

ერთ-ერთი საკვანძო ისტორიოგრაფიული საკითხი, რომლითაც უკვე საუკუნეზე მეტია მიდის აფხაზეთი საზოგადოების ზომბირება და, შეიძლება ითქვას, საფუძვლად უდევს აფხაზეთის ისტორიის ანტიქართულ ნარატივს, არის რეგიონის ეთნო-პოლიტიკური იერსახის თემა უძველეს დროში. ანუ იმის დადგენა თუ როგორი იყო მხარის ეთნო-დემოგრაფიული სურათი და რა ვითარება იყო ამჟა-

მინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კუთხით ცივილიზებული ისტორიის საწყის ეტაპზე. ამ საკითხზე აფხაზური ხედვის ქვაკუთხედს წარმოადგენს:

1. მტკიცება იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ერთადერთი მკვიდრი მაცხოვრებლები არიან მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები, რომლებიც „*აქ ცხოვრობენ უძველესი დროიდან და არავისთან არ იყოფენ თავიანთ აბორიგენობას*“.¹
2. აფხაზეთი და აფხაზები უძველეს პერიოდში ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას და არ ყოფილან მოქცეული ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ამ ორი სახელმძღვანელო დებულების შემაგრებას აფხაზი ისტორიკოსები, გარდა უძველესი წყაროების მონაცემების ტენდენციური ინტერპრეტაციისა, ცდილობენ გამოგონილი თეორიული პოსტულატის – ერთ მიწაზე (ქვეყანაში) არ შეიძლება იყოს ორი აბორიგენი ხალხი – მოშველიებით. ამასთან, საუბრობენ ე.წ. „*ორ-აბორიგენობის თეორიის*“ მავნებლურ არსზე. აქედანვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ყბადაღებული ფორმულა „*ერთ მიწაზე არ შეიძლება ორი აბორიგენი ეთნოსი ცხოვრობდეს*“ ძირშივე მცდარია. ჯერ ერთი, ეს „*ერთი მიწა*“, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია, თანამედროვე ტერიტორიულ საზღვრებში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მოექცა (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **კვამილავა, 2008**: 461-487; **Квашилава, 2015**: 120-157). და მეორე, კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი სრულიად უნიკალური ეთნიკური მრავალფეროვნების² ფონზე, საერთოდ აბსურდულია საკითხის ამ ჭრილში დასმა. მით უფრო, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე საისტორიო წყაროები ერთნიშნად აფიქსირებენ სხვადასხვა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების (მათ შორის, დღევანდელ აფსუა-აფხაზთა წინაპრებიც ივარაუდება – ახ. წ. I-II საუკუნეებიდან მაინც) თანაცხოვრებას. ამ მცირე მეთოდოლოგიური განმარტების შემდეგ უშუალოდ დასმულ პრობლემაზე.

დავიწყოთ იმით, რომ ისტორიული კოლხეთის, რომელიც, როგორც ცნობილია, მოიცავდა აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიასაც, ეთნო-ტომობრივი იერსახის დადგენა წინა პერიოდთან შედარებით ბევრად უფრო გაადვილებულია, რაც

¹ ამ შემთხვევაში შ. ინალ-იფას აღნიშნული დასკვნის სახეობით გამოკვეთილ პოლიტიკურ შემადგენელს ვერ არბილებს იმის აღიარება, რომ „*აფხაზეთი დროთა განმავლობაში გახდა მრავალეროვანი ქვეყანა*“ (**Инал-ипа, 1976**: 437).

² ამის ნათელი მაგალითია თუნდაც დღევანდელი დაღესტანი, სადაც ათასწლეულების მანძილზე გვერდი-გვერდ ცხოვრობს 30-ზე მეტი მკვიდრი ეთნოსი (**Ибрагимов, 2016**: 88), ძირითადად კავკასიური მოდგმის ათეულობით ხალხი (თავ-თავიანთი ენით – მათ შორის ლიტერატურულითაც): *ავარები, დარგულები, ლეზგები, ლაკები, თაბარსარანელები* და ა.შ. (**Народы, 2002**), რომელთა აბორიგენობაში ამ „*ერთ მიწაზე*“ – დაღესტანში, ყბადაღებული „*ორაბორიგენობის*“, თუ მსგავს ხელოვნურად შეკონსტიტუირებულ „ეთნიკურ“ დაყრდნობით, წარმოუდგენელია ვინმემ შეიტანოს ეჭვი.

განპირობებულია უკვე თანადროული (ძველი ბერძნული) წერილობითი მემკვიდრეობის არსებობით. უძველესი წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის აღნიშნული რეგიონის ეთნიკური სტრუქტურის მეტ-ნაკლებად სრული სურათის დადგენას, მოგვეპოვება ცნობილი ბერძენი ლოგოგრაფოსის *ჰეკატაიოს მილეტელის* (ძვ. წ. VI ს.), თხზულებაში – „*დედამიწის აღწერილობა*“.¹ ჰეკატაიოსის ასახელებს „*კოლებს*“, რომელთაც ეკავათ კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები (ლომოური, 1963: 23; სტეფანე ბიზანტიელი, 1936: 281; Stephani Byzantii, 2014: 168; Стефан Византийский, 1948: 322; ინაძე, 1992ა: 8; Инадзе, 1999: 61).

იმავე წყაროში „*კოლების მეზობლად*“ დასახელებულია „*კორაქსები*“, რომელსაც ჰეკატაიოსი განმარტავს, როგორც „*კოლხურ ტომს*“ (ლომოური, 1963: 29; სტეფანე ბიზანტიელი, 1936: 288; Stephani Byzantii, 2014: 92; Стефан Византийский, 1948: 321; ინაძე, 1992ა: 8; Инадзе, 1999: 61).² ძვ. წ. IV ს. ავტორი *ფსევდო-სკილას კარიანდელი* იძლევა უფრო ვრცელ ინფორმაციას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებზე. ის ასევე ასახელებს *კოლებს* („*კოლიკე*“) და *კორაქსებს*, რომელთა ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ *ჰენიოხები*, ხოლო მათგან სამხრეთით, *მელანქლიანებისა* და *გელონების* შემდეგ ძველი ბერძენი ავტორი ათავსებს *კოლებს* (ლომოური, 1963: 33), რომელთაც ეკავათ ვრცელი ტერიტორია *დიოსკურიიდან* (დღევანდელი სოხუმი) მდ. *აფსაროსამდე* (მდ. ჭოროხი).³ აღსანიშნავია,

¹ როგორც ცნობილია, თხზულების სრული ტექსტი არ არსებობს, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემონახული ახ. წ. VI ს. ავტორის *სტეფანე ბიზანტიელის* ლექსიკონში „*ეთნიკა*“ (სტეფანე ბიზანტიელი, 1936: 280-282, 284-285; Stephani Byzantii, 2014).

² აფხაზ მკვლევართაგან *დიმიტრი გულია* იყო ერთადერთი, რომელიც *კორაქსებს* კოლებად (სვანებად) მიიჩნევდა (Гулия Д., 1925: 37, 66, 92), თუმცა სხვები უაპელაციოდ უარყოფენ ჰეკატაიოსის „*კოლებისა*“ და „*კორაქსების*“ კოლხურ (ქართველურ) წარმომავლობას და ყოველნაირად ცდილობენ ერთნიშნად აფხაზურ-ადიღურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნონ (Шамба Г., 1978: 339-340; Шамба Г., 1978: 198; Кварчия, 2015: 161-164, 219-223). სხვათა შორის, კოლებისა და კორაქსების ქართველურ (მეგრულ-ლაზურ) წარმომავლობას, ფაქტობრივად, გამორიცხავდა (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) თვით *ზურაბ ანჩაბაძე* (Анчабадзе З., 1964: 133-134), რომელსაც ეთანხმება *მიხეილ გუნბაე* (Гунба, 1989: 139-140). კორაქსებისა და კოლების საკუთრივ კოლხური (ქართველური) ეთნიკურ წარმომავლობას ეჭვის ქვეშ აყენებს რუსი არქეოლოგი *ალექსანდრე სკაკოვი*, რომელსაც ამის არგუმენტად მოჰყავს „*კოლებების*“ კრებითი მნიშვნელობა (Скаков, 2013: 26. შდრ. Берулава, Папаскири З., 2015: 238-245).

³ „*მათ შემდეგ კოლებების ტომია, ქალაქი დიოსკურიისი, ელინური ქალაქი გიენოსი და მდინარე გიენოსი... მდინარე ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი; და მდინარის ზევით ცურვით 180 სტადიონია დიდ ბარბაროსულ ქალაქამდე, საიდანაც იყო შედეა. აქ არის... მდინარე აფსაროსი*“ (ლომოური, 1963: 33-34, შდრ. ყაუხჩიშვილი, 1967: 48-49; Geographi graeci, 1855: 62-63; Pseudo-Skylax's, 2012; [Псевдо]-Скилак, 1988: 260; Инадзе, 1999: 61). კოლების განსახლებას დიოსკურიიდან აფსაროსამდე ადასტურებს ახ. წ. V ს. ანონიმი ავტორი, რომელიც ამასთან განმარტავს, რომ ძველი დროის კოლებები შემდგომი პერიოდის ლაზებია („*დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წი-*

რომ ფსევდო-სკილაკს კარიანდელის ამ თანმიმდევრობას ფაქტობრივად იმეორებს ახ. წ. I ს. რომაელი ავტორი *ჰომპონიუს მელაც (გამყრელიძე ა., 1965: 28-29)*.

კოლხების ეთნიკური ვინაობა, კერძოდ, მათი ქართველური (მეგრულ-ჭანური) წარმომავლობა დიდი ხანია დადგენილია ისტორიოგრაფიაში. ამას აღიარებდა *ზურაბ ანჩაბაძე*, რომელიც, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, აღნიშნავდა, რომ ეთნონიმ „*კოლხის*“ ქვეშ ანტიკური წყაროები გულისხმობდნენ ეგრებს (ეგრისელებს) – თანამედროვე მეგრელთა წინაპრებს – გვიანანტიკური პერიოდის ლაზებს. ამასთან მეცნიერი განმარტავდა, რომ ახ. წ. V ს. ანონიმი ავტორის მიხედვით, ეს **კოლხები** (იგივე ლაზები) **წარმოადგენდნენ დიოსკურიიდან სამხრეთით – მდ. აფსაროსამდე** (ჭოროხი) **მდებარე მხარეების მკვიდრ მოსახლეობას**.¹ ასევე საინტერესოა, რომ ამჟამად კოლხთა ქართველურ წარმომავლობას აღიარებენ თვით ის აფხაზი ისტორიკოსებიც კი (*ოლეგ ბლაჟა და სტანისლავ ლაკობა*), რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ჩამოშორონ აფხაზეთი ისტორიულად დანარჩენ საქართველოს (*Бгажба О., Лакоба С., 2006: 63; Бгажба О., Лакоба С., 2015: 68*). თუმცა ცალკეული აფხაზი მკვლევრები (*Гулия Д., 1925: 9, 35-52; Инал-ипа, 1976: 201-203; Инал-ипа, 1989; Кварчия, 2015: 156-164, 170; Бганба, 2000: 68*) და მათი ჩრდილოელი „კოლეგა“-მფარველები (გ. ტურჩანიშვილი²) ყოველნაირად ცდილობენ კოლხები აფხაზურ ტომებად წარმოაჩინონ. ამასთან, ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზულად არავის შეუტანია ეჭვი იმაში, რომ ეთნონიმმა „*კოლხი*“ თანდათანობით შეიძინა კრებითი მნიშვნელობა და მასში იგულისხმებოდნენ როგორც ქართველური, ისე არაქართველური ტომებიც.³

ნათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელმწიფვლილია“ (ფლავიუს არიანე, 1961: 88. შდრ. ლორთქიფანიძე ო., 2002: 156).

¹ „*Коренное население области, расположенной к югу от Диоскурии (совр. Сухуми) до р. Апсара /совр. Чорохи/“ (Анчабадзе З., 1964: 132, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. ამ ნაშრომის უახლესი გამოცემა იხ.: Анчабадзе З., 2010: 126. იხ. აგრეთვე: Анчабадзе З., 1976: 39). აქვე არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს იმან, რომ ზ. ანჩაბაძე რატომღაც უთითებს გვიანდელ კომპილატორს (ახ. წ. V ს. ანონიმს), მაშინ, როდესაც კოლხების განსახლების იგივე არეალი მოხაზული ჰქონდა ძვ. წ. IV ს. ავტორს *ფსევდო-სკილაქს კარიანდელს*, რომლის „*პერიპლუსიც*“ მკვლევართა (ვ. ლატიშევი) მიერ მიჩნეულია ანონიმის ერთ-ერთ წყაროდ (*Безыменный автор, 1948: 226*).*

² ამ მხრივ რად ღირს თუნდაც გ. ტურჩანიშვილის ნარკვევის სათაური – „*კოლხ(ილ)ურ (ძველ-აფხაზური) დამწერლობის ძეგლები*“ „*Памятники колх(ид)ского (древнеабхазского) письма*“ (*Турчанинов, 1971: 11*).

³ ჯერ კიდევ *ნიკო ბერძენიშვილს* „ყოვლად ანტიისტორიულად“ მიაჩნდა, რომ „*კოლხეთი ერთი ხალხი იყო*“. მისი აზრით „*ძველი კოლხეთი*“ იყო სხვადასხვა „*მონათესავე თუ არამონათესავე*“ ტომებისგან შემდგარი... „*დიდი... გაერთიანება... კოლხთა ტომის ჰეგემონობით*“ (*ბერძენიშვილი, 1990: 538*). ამავე თვალსაზრისს ავითარებდნენ სხვა მკვლევრებიც (*Меликишвили, 1959: 62-64; Анчабадзе З., 1964: 132; ლომოური, 1971: 19-31; ინაძე, 1993: 46-47*). თავის ღროზე, არც აკადემიკოსი *ივანე ჯავახიშვილი* უარ-

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არავითარი საბაბი არა გვაქვს, დავუჭვდეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისის (მ. ინაძე, დ. მუსხელიშვილი და სხვ.) საფუძვლიანობაში, რომლის მიხედვითაც ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია – როგორც მთისწინა რეგიონი, ისე ზღვისპირა ზოლი – ეკავათ დასავლურ-ქართველურ ტომებს (**ინაძე, 1992: 16-19; მუსხელიშვილი, 1999: 115**). ესენია: *კოლები, კორაქსები, კოლხები* და, შესაძლოა, „*მოსხ*“-*მესხებიც*, რომელიც ჰეკატაიოს მელეტელის განსაზღვრებით ასევე „*კოლხური ტომია*“ (**ლომოური, 1963: 33; სტეფანე ბიზანტიელი, 1936: 282; Stephani Byzantii, 2014**). „მესხ“ ეთნონიმის წარმომავლობისა და ეთნიკური შინაარსის შესახებ იხ. **ხაზარაძე, 1993: 21-42**). ეს „მოსხ“-მესხები, მკვლევართა საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდით, შესაძლებელია გაჭრილიყვნენ (სამხრეთიდან) ჩრდილოეთ კოლხეთისაკენ და დამკვიდრებელიყვნენ თანამედროვე აფხაზეთის მთისწინა და მთიან რაიონებში (**ინაძე, 1992: 19; ინაძე, 1999: 61; მელიქიშვილი, 1959: 87-88; გამახარია, 2007: 50-51**).

როგორც ცნობილია, ეს დასკვნა ეფუძნება *ჰელანიკე მიტილენელისა* (ძვ. წ. V ს.) და *ჰალეფატე აბიდოსელის* (ძვ. წ. IV ს.) ფრაგმენტებს (**სტეფანე ბიზანტიელი, 1936: 288-289**), აგრეთვე *სტრაბონის* მონაცემებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა მითრიდატეს ომების ისტორიკოსებს (**ყაუხჩიშვილი თ., 1957: 120; Страбон, 1964: 471**). ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მოსხ-მესხთა „*ბინდრობის შესახებ გაბჭული*“ (ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან – ძვ. წ. I საუკუნემდე) საისტორიო ტრადიცია (**ინაძე, 1992: 19**) უთუოდ ანგარიშგასაწევია და მისი კატეგორიული უარყოფა ცალკეული ქართველი მკვლევრების, მათ შორის, ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის მხრიდან, როგორიცაა *ნოდარ ლომოური*, მთლად გამართლებულად არ გვეჩვენება (**ლომოური, 1998: 20-30; ლომოური, 2008: 51-56**). იგივე შეიძლება ითქვას ნ. ლომოურის სკეპტიციზმზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკური წყაროების „*ჰენიოხების*“¹ მოსახლეობის თაობაზე (**ლომოური, 1998: 10-20**).

ყოფდა „*კოლხ-ის სახელის ზოგად, შემკრებლობით მნიშვნელობას*“ (ამის დადასტურებად ჰეკატაიოს თხზულებაში მესხებისა და კორაქსების კოლხურ ტომებად დასახელება მოჰყავდა და საკუთრივ კოლხეთსაც „*მთლიან პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ერთეულად*“ მოიხსენიებდა, რომელიც, მეცნიერის განმარტებით, მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას „*კავასიონის ქედითგან მოყოლებული ტრაპიზონამდე*“ (**ჯავახიშვილი, 1998: 21**). მაგრამ ნ. ბერძენიშვილისგან განსხვავებით, ის კოლხეთში, გარდა საკუთრივ კოლხურ-ქართველურისა – *ლაზები, მეგრელები* – სხვა (არაქართველურ) ეთნოსებს არ აფიქსირებდა (**ჯავახიშვილი, 1998: 22**). დიდი მეცნიერის ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით მკვლევარები (**მელიქიშვილი, 1959: 64; გამახარია, 2007: 59-60**) მიიჩნევენ, რომ ივ. ჯავახიშვილს ეთნონიმი „*კოლხი*“ მხოლოდ ვიწრო ეთნიკური (კოლხურ-ქართველური) გაგებით წარმოედგინა (მდრ.: **ინაძე, 1993: 47**).

¹ მკვლევართა დაკვირვებით, ჰენიოხებს ძვ. წ. V-II საუკუნეებში ეკავათ ტერიტორია ბიჭვინთა-პიტიუნტიდან დაწყებული მდ. აქუნტამდე – მდ. შახე-ტუაფსეს მიდამოებში (**ინაძე, 1955: 16-17; ყაუხჩიშვილი თ., 1980b: 69**).

ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ. **გამახარია, 1998:** 34-36; **გოგია, 2003:** 36-39, 54-60, 77-93; **გამახარია, 2007:** 54-56), რომელთაც მკვლევართა უმრავლესობა (*იოსებ ორბელი, ადოლფ კისლინგი, პავლე ინგოროყვა, გიორგი მელიქიშვილი, ბაქარ გიგინეიშვილი, მერი ინაძე, თინათინ ყაუხჩიშვილი, თამაზ გამყრელიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, გერონტი გასვიანი, ჯემალ გამახარია, ბადრი გოგია და სხვ.*) ასევე ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს (**Орбели, 1911:** 200, 208; **Kiessling, 1912:** 278; **ინგოროყვა, 1954:** 135; **მელიქიშვილი, 1965:** 63-68; **Меликишвили, 1989:** 183; **გიგინეიშვილი, 1975:** 115-124; **ინაძე, 1955:** 17-18; **ყაუხჩიშვილი, 1980:** 76; **გამყრელიძე თ., 1991:** 12; **გამყრელიძე თ., 1993:** 588; **Гамкრелидзе, 1992:** 93; **მიბჩუანი, 1989:** 56-64; **გასვიანი, 1991:** 212; **გამახარია, 1998:** 34-36; **გოგია, 2003:** 36-39, 54-60, 77-93; **ქავთარაძე, 1985:** 23-29).

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც (**Гулия, 1925:** 35-52, 69; **Анчабадзе З., 1964:** 136-137, 173-176; **Инал-ипа, 1976:** 18 და სხვ.), რომლის მიხედვითაც ჰენიოხები სრულიად უაპელაციოდ, რაიმე სერიოზული არგუმენტის მოშველიების გარეშე, უპირობოდ ძველ აფხაზურ ტომებად არიან გამოცხადებული.¹ როგორც არ უნდა გადაწყდეს თანამედროვე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, „*მოსხ*“-*მესხთა*, ხოლო, მეორე მხრივ, ჰენიოხთა განსახლების საკითხი, ერთი რამ ცხადია, აღნიშნული რეგიონის ეთნიკური იერსახე, ძველი ბერძნული წერილობითი ტრადიციის თანახმად, ძვ. წ. I ათასწლეულში, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც, ქართველური იყო.

ახ. წ. I-II საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამ დროიდან ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფიქსირებენ მანამდე უცნობ ტომებს. პირველ რიგში, ესაა *სანიგთა* ტომი, რომლის ყველაზე ადრინდელ მოხსენიებას ვხვდებით ძველ ბერძენ ავტორთან – *მემნონთან* /დაახლ. ძვ. წ. I ს. 70-50-იან წლები/ (**ყაუხჩიშვილი, 1987:** 11-13). მკვლევართა უმრავლესობა (*ი. ორბელი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, თ. მიბჩუანი, გ.*

¹ აღსანიშნავია, რომ 1991 წელს გამოცემული აფხაზეთის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, მართალია, ცალკეა გამოყოფილი ჰენიოხების პერიოდი, მაგრამ გამოკვეთილად არ არის მითითებული ამ ტომთა აფხაზურ-ადიღური წარმომავლობა (**История Абхазии, 1991:** 31-46). მოგვიანებით გამოცემულ „სახელმძღვანელოებში“ კი უკვე ჰენიოხები უპირობოდ გამოცხადებულია ძველ აფხაზურ ტომებად (**Бгажба О., Лакоба С., 2006:** 68; **Бгажба О., Лакоба С., 2015:** 45, 59, 64, 69, 71, 75). მეტიც, სახელმძღვანელოს ავტორთა მტკიცებით, ჰენიოხები იყვნენ „*კოლხური კულტურის თავისებური „აფხაზური ვარიანტის“ შემქმნელები*“ (**Бгажба О., Лакоба С., 2015:** 75). სხვა ავტორებიდან, რომლებიც ჰენიოხებს ერთნიშნად აფხაზურ ტომად მიიჩნევენ, არის ვ. კვარჭიაც (**Кварчия, 2015:** 43, 143, 224-230, 497). აღსანიშნავია, რომ ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას „*აფხაზეთის ისტორიაში*“ განვითარებულ თეზისს ჰენიოხების აფხაზთა წინაპრებად გამოცხადების შესახებ არ ეთანხმება ზემოთხსენებუნი ა. სკაკოვი, თუმცა ის არც ჰენიოხთა ქართველური (სვანური) სამყაროსადმი მიკუთვნებას უჭერს მხარს (**Скаков, 2013:** 34-35).

გასვიანი, ჯ. გამახარია და სხვ.) სანიგებს, რომელთა განსახლების არეალად ახ. წ. I-II საუკუნეებში მოიაზრებენ ტერიტორიას ცხუმი-სებასტოპოლისიდან ჩრდილოეთით – დღევანდელი განთიადის სექტორამდე (ლომოური, 1998: 31; ლომოური, 2008: 58), ასევე მიაკუთვნებს ქართველურ ეთნიკურ სამყაროს (Орбели, 1911: 200-208; ჯანაშია, 1959a 11-15; ინგოროყვა, 1954: 135; მელიქიშვილი, 1965: 67; ინაძე, 1992b: 45-50; Инадзе, 1999: 70; ლომოური, 1998: 30-34; ლომოური, 2008: 58-60; მიბჩუანი, 1989: 84-89; გასვიანი, 1991: 200; გამახარია, 2007b: 70-71).¹

რაც შეეხება აფხაზ მკვლევართა მცდელობას სანიგები უპირობოდ ერთ-ერთ აფხაზურ-ადიღურ (საძების) ტომად მონათლონ (Анчабадзе, 1964: 132; Анчабадзе, 1959: 15-16; Инал-ипа, 1965: 97; Инал-ипа, 1976: 35; Гунба, 1989: 154; Амичба, 2007: 64; Кварчия, 2015: 257, 269, 271; Дбар, 2015: 33-34, 37, 39-40, 44, 67, 222; Мамыхуба, 2017: 119, 122; Ньюшков, 2014: 19 და სხვ.), ის მთლიანად საფუძველს მოკლებულია.² გარდა იმისა, რომ, როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს ნ. ლომოური, ეთნონიმ „სანიგში“ „ადვილად გამოიყოფა ძირი სანი, რომელიც სრულად კანონზომიერად ბერძნულად გადმოსცემს სახელწოდებას ჭანი“, რაც უდავოდ ამ ტომის მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს (ლომოური, 1998: 33; ლომოური, 2008: 59; ლომოური, 1989; ლომოური, 2001: 346; Ломоури, 1990: 162), მხედველობაშია მისაღები დიოსკურია-სებასტოპოლისის უძველესი ქართული სახელწოდება „ცხუმიც“, რომელსაც, როგორც ცნობილია, ახსნა მხოლოდ ქართულ ენობრივ სამყაროში (სვანურად „რცხილა“) ეძებნება.³ დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისის, რომელიც ახ. წ. II ს. ავტორის ფლავიუს არიანეს განმარტებით, სანიგთა განსახლების ფარგლებში იყო (ფლავიუს არიანე, 1961: 43), სვანური (შდრ. მეგრული „ცხიშური“, ან „თხუშუ“) სახელწოდება შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ ახ. წ. I ს. წინარე ხანაში, როდესაც ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის, ჩვენი აზრით, მეტად სანდო ცნობის თანახმად,

¹ აღსანიშნავია, რომ ბრიტანელი მკვლევარი დონალდ რეიფილდი, რომელიც ბოლო დროს დაინტერესდა საქართველოს ისტორიით და, რომლის ზოგიერთი შეხედულება (არცთუ ისე დასაბუთებული) სიმპათიებს იწვევს აფხაზებში, მხარს უჭერს სანიგების ქართველურ (სვანურ, მეგრულ) წარმომავლობას (Rayfield, 2012: 21, 23; Рейфилд, 2017: 17, 27).

² ბოლო დროს სანიგთა აფხაზურ-ადიღურ წარმომავლობას აქტიურად იცავს გიორგი ანჩაბაძეც (იხ.: Анчабадзе Г., 2000: 29-30). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სანიგთა ეთნიკური წარმომავლობის აფხაზურ ვერსიას ღიად ემიჯნება ა. სკაკოვი, რომელიც თვლის, რომ სანიგების დაკავშირება გვიანდელ საძებთან (ადიღურ ტომთან), რასაც ემყარება სანიგთა აფხაზ-ადიღურობის თეზისი, ვერ მტკიცდება. თუმცა ის არც სანიგთა ქართველურობას ეთანხმება (Скаков, 2013: 74).

³ ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერის ვიაჩესლავ ჩირიკბას მეტად არაკვალიფიციური განცხადება იმის შესახებ, რომ სოხუმის ძველი ქართული სახელწოდება „ცხუმი“ „გაურკვეველი წარმომავლობისაა“ – „Древнегрузинское (неясного происхождения) наименование города – Цхуми“ (Чирикба, 2020: 99, ხაზგასმა ჩვენი – ზ.ვ.).

დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში ზემოთ კავკასიონის მწვერვალები ეპყრათ სვანებს (**ყაუხჩიშვილი, 1957: 126; Strabo, 1917: 214-215**), ხოლო მეორე, არანაკლებ კომპეტენტური გეოგრაფოსის, *კლავდიუს პტოლემეაიოსის* (ახ. წ. II ს.) ცნობით, „*კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვართან, დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ბზიფის (პტოლემეაიოსის კორაქსი) გასწვრივ*“ უნდა ეცხოვრათ „*სუანო-კოლხებს*“ (**ლომოური, 1955: 43-44; Claudius, 1991: 122**). მათი სახელწოდება ნ. ლომოურის არგუმენტირებული დასკვნით, უდავოდ მეტყველებს „*მათ შერეულ, სვანურ-კოლხურ*“ წარმომავლობაზე (**ლომოური, 1955: 43-44; ლომოური, 2008: 60**).¹

ახ. წ. I-II სს. წერილობით წყაროებში პირველად ჩნდება ცნობები „*ავსილებ*–*სა*“/პლინიუსი, არიანე/ (**Плиний Секунд, 1949: 290-291; ფლავიუს არიანე, 1961: 42-45**) და „*აბაზგებზე*“ /არიანე/ (**ფლავიუს არიანე, 1961: 42-45**).² მათი თავდაპირვე-

¹ აღსანიშნავია, რომ კლავდიუს პტოლემეაიოსის „*სუანო-კოლხების*“ ქართველურობას აღიარებდა თვით *იური ვორონოვი*, რომელიც ღიად წერდა, რომ ისინი იყვნენ „*თანამედროვე სვანებისა და მეგრელების წინაპრები*“ (**Воронов Ю., 2006: 311**). სვანო-კოლხებს ერთგვარი სიფრთხილით ქართველურ სამყაროს მიაკუთვნებს ა. სკაკოვიც და ამის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს ქართველური ტომების მოსახლეობას დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში (**Скаков, 2013: 74**). ამასთან, ბოლო დროს აფხაზი მკვლევრები ყოველნაირად ცდილობენ სტრაბონის სოანები და კლავდიუს პტოლემეაიოსის სვანო-კოლხებიც ჩამოაცილონ ქართველურ სამყაროს და ისინიც აფხაზთა წინაპრებად გამოაცხადონ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ვ. კვარჭია (**Кварчия, 2015: 142, 254**). უფრო შორს მიდის გ. გუმბა, რომელიც სტრაბონის „*ძღუვამოსილ სოანებში*“, ხედავს არა ქართველ სვანებს, არამედ ვეინახურ ტომს (**Гумба, 2017: 346-353**).

² ცალკეული აფხაზი ისტორიკოსები ცდილობენ აბაზგების პირველი მოხსენიება ძველ ბერძნულ წყაროებში დააფიქსირონ ძვ. წ. თხზულებები III საუკუნიდან – ელინისტური ხანის ცნობილი ბერძენი პოეტისა და გრამატიკოსის *ლიკოფრონის* პოემაში „*ალექსანდრა*“ („*კასანდრა*“). ამაზე ჯერ კიდევ 1989 წელს მიანიშნა შ. ინალ-იფაძე (**Инал-ипа, 1989; Страницы, 2015: 171**). იმავე პერიოდში ამ იდეის პოპულარიზაციას ეწეოდნენ *იგორ წვინარი* და *იგორ მარიხუბა* (**Цвинария, 1990; Страницы, 2015: 335-336; Марыхуба, 1993: 11**) თემის ხელახალი აქტუალიზაცია მოხდა 2011 წელს შ. ინალ-იფას მონოგრაფიის მეორე შვესებული გამოცემის (**Инал-ипа, 2011**) გამოსვლის შემდეგ – მასში შ. ინალ-იფა შეეცადა თავისი თუზისი ლიკოფრონის მიერ აბაზგების მოხსენიებაზე გაემყარებინა ა. კოლაუცის სტატიით (**Kollautz, 1969: 21-49**). შ. ინალ-იფას თვალსაზრისს მეტი კატეგორიულობით გამოეხმაურა ზემოთნახსენები ი. მარიხუბა (**Марыхуба, 2017: 38-40**). სინამდვილეში, როგორც ეს დაადგინა ძველი ბერძნული /ბიზანტიური/ წყაროების სპეციალისტმა *დოროთეოს დბარმა*, საქმე გვაქვს სრულ გაუგებრობასთან. აღმოჩნდა, რომ აბაზგებს იხსენიებს არა თვით ლიკოფრონი (ლიკოფრონის ცნობები და მისი ანალიზი იხ. **ყაუხჩიშვილი თ., 1980ა; Каухчишвили, 1980: 102-108**), არამედ მისი კომენტატორი, XII ს. ცნობილი ბიზანტიელი სწავლული *იონე ცეცე* (დაახლ. 1110-1180). კერძოდ, თავის „*სხოლიოებში ლიკოფრონის ალექსანდრასთვის*“ ცეცე უბრალოდ აზუსტებს პოემაში მოხსენიებული „*კუტაიელის (კიტაიელი*“–*Κυταιήεις*) – მისი აზრით მედეას – ვინაობას და აღნიშნავს, რომ „*კუტაია კოლხეთის ქალაქია*“ („*Κύταια δὲ πόλις Κολχίδος*“), ხოლო კოლხები, რომლებიც „*ასევე იწოდებიან ლაზებად... ცხოვრობენ აბაზგების მახლობლად*“ (**Дбар,**

ლი განსახლების არეალის დადგენა არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული და ამ საკითხზე საბოლოო აზრი არცაა ჩამოყალიბებული. მეტ-ნაკლები სიცხადე გვაქვს ახ. წ. VI საუკუნისათვის. ისტორიოგრაფიაში თითქმის დადგენილად ითვლება აბაზგ-აფსილთა გადაადგილება ჩრდილო-დასავლეთით (**მელიქიშვილი, 1970: 545-546; ლომოური, 1998: 33. შდრ. გამახარია, 2007b: 89**). აბაზგებმა დაიკავეს სანიგთა საცხოვრისი – ანაკოფია-ახალი ათონიდან მდ. ბზიფამდე (**ანჩაბაძე 3., 1959: 11-12, 16.**), ხოლო მათგან სამხრეთით განთავსდა აფსილია, რომლის ტერიტორია თავდაპირველად იწყებოდა მდ. ღალიძგიდან (**ანჩაბაძე 3., 1959: 8; მუსხელიშვილი, 1977: 117-120; მუსხელიშვილი, 1999: 124-125**), მოგვიანებით უკვე კოდორიდან (**ლომოური, 1998: 33; ლომოური, 1999: 99**),¹ შემდგომ კი მდ. კელასურიდან (VIII ს. 30-იანი წლებისთვის ეს მომხდარი ფაქტია).² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს შეინიშნება აფსილია-აფშილეთის სამხრეთი საზღვრის გადასინჯვის მცდელობა. აფხაზურ ნაციონალისტურ კონიუნქტურას აყოლილი ზოგიერთი ისტორიკოსი ჯიუტად ცდილობს უარყოს ისტორიოგრაფიაში, მათ შორის წამყვან აფხაზ მეცნიერთა (**ანჩაბაძე 3., 1959: 68; ინალ-იპა, 1976: 245, 247, 397; გუნბა, 1962: 193-194; გუნბა, 1989: 201-213**) მიერ საყოველთაოდ მიღებული შეხედულება ქართული წყაროების კლისურის მდ. კელასურთან იდენტიფიკაციის შესახებ³ და,

2018: 41-44). გარდა ამისა, დ. დბარმა მიუთითა შ. ინალ-იფას მიერ დაშვებულ მეორე უზუსტობაზეც და აღნიშნა, რომ ა. კოლაუცს თავის სტატიაში ლიკოფრონის მიერ აბაზგების ხსენებაზე არაფერი უწერია (**დბარ, 2018: 44-46**). ლიკოფრონის ცნობის ირგვლივ ატენილ გაუგებრობასთან დაკავშირებით ანალოგიური ხასიათის შენიშვნა გააკეთა კიდეც ერთმა სოხუმელმა ისტორიკოსმა *ვალენტინ ნიუშკოვმა* (**Нюшков, 2016: 47**).

¹ თუმცა არ გამორიცხავენ აფსილთა ნაწილის ჩარჩენას მდ. კოდორის აღმოსავლეთითაც (**ლომოური, 1999: 95**).

² აღსანიშნავია, რომ კელასურს VI-VIII საუკუნეებში სასაზღვრო მდინარედ თავიდან ლაზიკასა და აფსილია-აბაზგიას შორის, ხოლო შემდგომ საქართველოსა (კერძოდ, სამეგრელო-ეგრისსა) და „ბიზანტია-აფხაზეთის სამფლობელოებს“ შორის – თვლიდა ცნობილი რუსი არქეოლოგი, აფხაზეთის სიძველეების შესანიშნავი მცოდნე *მიხეილ ივანოვიჩი* (**Ивашенко, 1926: 86**).

³ ამგვარი იდენტიფიკაციის რევიზია ძირითადად ეფუძნება VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის *პროკოპი კესარიელის* ერთი განმარტების, რომლის მიხედვითაც „რომაელები „კლისურებს“... ელინური გამოთქმით“ უწოდებდნენ ორივე მხრიდან კლდეებით შემოსაზღვრულ „ვიწროებს“ (**პროკოპი, 1965: 102**) თვითნებურ ინტერპრეტაციას. მიაჩნიათ, რომ ამ ზოგადი განმარტების თანახმად სულაც არაა აუცილებელი აღნიშნულ „კლისურაში“, მაინც და მაინც, მდ. კელასური ვიგულისხმობთ (**Воронов Ю., 2006a 187; Бгажба О., 2003: 64-67; Нюшков, 2016: 39**). ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ, თავის დროზე, ზემოთ ნახსენებ რუს არქეოლოგ მ. ივანოვიჩის, რომელსაც მშვენივრად ესმოდა „კლისურების“ ზოგადი მნიშვნელობა ბერძნულში, სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა, რომ „კლისურა“ – საზოგადო სახელიდან ამ შემთხვევაში საკუთარ სახელად (მდინარის) ქვეულიყო (**Ивашенко, 1926: 85-86**). უფრო ადრე ამაზე მიახინა აგრეთვე ცნობილმა კავკასიოლოგმა *კარლ განმატ* (**Ган, 1909: 79**).

ამის საფუძველზე, აფსილ-აბაზგთა საზღვრები გადმოწიოს, რაც შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთით – დღევანდელი სამეგრელოს სიღრმისკენ.¹

ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში უწყევად იყო მიჩნეული დასკვნა, რომლის მიხედვითაც აფსილ-აფშილები და აბაზგ-აფხაზები უპირობოდ თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად ითვლებოდნენ. XX ს. 50-იანი წლებიდან ვითარება რამდენადმე შეიცვალა, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, ცნობილი ქართველი მეცნიერი-ფილოლოგი *ჰავლე ინგოროყვა* შეეცადა გადაესინჯა ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული ეს თვალსაზრისი და გვიანანტიკური ხანისა და აღრეული შუა საუკუნეების აბაზგ-აფსილები ქართველურ ტომებად გამოაცხადა (*ინგოროყვა, 1954: 118-189*). მაგრამ ქართულმა ისტორიოგრაფიამ და, პირველ რიგში, მისმა მაშინდელმა ლიდერმა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა არ გაიზიარა პ. ინგოროყვას ეს ნოვაცია და აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხში ტრადიციულ თვალსაზრისზე დარჩა (*ბერძენიშვილი, 1956: 125-131*). ამავე დროს, პ. ინგოროყვას შეხედულებას კრიტიკულად შეხვდნენ სხვა ქართველი და აფხაზი მეცნიერებიც (*ლომთათიძე, 1956: 132-139; Соселия, 1955: 2-4; Анчабадзе 3., 1956: 261-278; Бгажба Х., 1956: 279-303; Инал-ипа, 1976: 50-51, 406*). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის ოფიციალური პოზიცია არაერთხელ დაფიქსირდა 50-80-იან წლებში გამოცემულ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში, რომლებშიც არ ყოფილა ოდნავი მინიშნებაც კი აბაზგ-აფსილთა ქართველურ ეთნიკურ წარმომავლობაზე.²

¹ *იური ვორონოვი* ჯუანშერ-ჯუანშერიანის კლისურას ეძებდა „შიდა ლაზიკაში“ – ციხე-გოჯის მიდამოებში (*Воронов, Ю., 1998: 76*). ო. ბლაჟბას აზრით, VI საუკუნეში აფსილების (მისიმიანებთან ერთად, რომელსაც ის აფხაზურ ტომად მიიჩნევს) საზღვარი ლაზებთან გადიოდა ენგურზე (*Бгажба О., 2007: 113*). ამავე თეზისს ავითარებს ვ. ნიუშკოვიც (*Нюшков, 2016: 112*), გ. გუმბა კი ჯუანშერ-ჯუანშერიანის კლისურაში მდ. ტეხურს ხედავს (*Гумба, 2003: 124; Гумба, 2004: 88; Гумба: 2016: 54-61*). აფხაზ-აფსილთა სამხრეთ-აღმოსავლეთით განსახლების ზღვრად მდ. ტეხურის ვერსიას მხარს უჭერს *ოპარ მაანიც*, თუმცა ის არ გამორიცხავს მდ. ენგურის ვარიანტსაც (*Маан, 2020: 167*). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ო. ბლაჟბა, რომელიც თვითონ ცდილობს აფსილია-ლაზების საზღვარი მდ. ენგურამდე გადმოწიოს, მიუღებლად მიიჩნევს „ადგილობრივ აფხაზმცოდნეთა“ მცდელობებს აფსილები მოაქციონ თანამედროვე სამეგრელოს ფარგლებში (*Бгажба О., 2016: 4*). ამ განცხადების ფონზე კი, მას რატომღაც ავიწყდება, რომ იმავე წიგნისთვის (სადაც გამოქვეყნებულია მითითებული შესავალი წერილი და რომლის რედაქტორიც თვითონაა) დართულ (ვითომ პლინიუს უფროსისა და ფლავიუს არიანეს ცნობების მიხედვით შედგენილ) რუკებზე აფსილ-აფშილების განსახლების არეალი აღწევს ფაზისამდე (*Нюшков, 2016: 205*). ამ საკითხებზე ქართული ისტორიოგრაფიის ხედვის შესახებ ვრცლად იხ. (*კვაშილავა, 2008: 461-487; Квашилава, 2015: 120-157*).

² პ. ინგოროყვას ხედვას ძირითადად არაპროფესიონალები (*აღამია, 1968: 8*) და მწერალ-ფილოლოგები და პუბლიცისტები ახმოვანებდნენ (*მიმინოშვილი, ფანჯიკიძე, 1990*).

1992-1993 წლების სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ, ცალკეული პროფესიონალი ისტორიკოსები და აფხაზურ-ადიღური, ზოგადად კავკასია-ახლო მცირე აზიის ეთნოკულტურული სამყაროს მკვლევარ-ფილოლოგები შეეცადნენ ახალი არგუმენტებით გაემყარებინათ აბაზგ-აფსილთა ქართველური წარმომავლობა. ამ მხრივ პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ აკადემიკოსების *თამაზ გამყრელიძის* და *დავით მუსხელიშვილის* მცდელობები. მათ ეჭვს ქვეშ დააყენეს ქართულ ენათმეცნიერებაში მანამდე ურყევად მიჩნეული დებულებები „აბაზგი“-„აფხაზი“-„აბაზა“-სა და „აფსილი“-„აფსარი“-„აფსუა“-ს იგივეობის შესახებ.¹ ამ დასკვნის საპირისპიროდ, თ. გამყრელიძემ „აბაზა“ და „აბაზგი“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებად მიიჩნია. ამასთან, მეცნიერის შეხედულებით, ბერძნული ფორმა „აბაზგი“ წარმოებულია ქართული „აფხაზი“-საგან, რომელშიც ის მოიაზრებს არა აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომს, არამედ რომელიდაც ქართველურ (მეგრულ-ზანურ, სვანურ) ეთნიკურ ჯგუფს (**გამყრელიძე თ., 1991: 7-16; გამყრელიძე თ., 1993: 581-590; Гамкრелидзе, 1992: 89-95**).²

თავის მხრივ, *დავით მუსხელიშვილმა* კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ეთნონიმების „აფსილი“, „აფსარი“-სა და „აფსუა“-ს იდენტურობა. მეცნიერის თითქმის კატეგორიული განცხადებით, „აფსილს“ არც გეოგრაფიულად, არც ქრონოლოგიურად არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო აფსუასთან (**მუსხელიშვილი, 2000: 21; Мухелишвили, 1999: 122-123**). რაც შეეხება აფსილთა ეთნიკურ კუთვნილებას, ისინი მკვლევარს (მართალია, ნაკლები კატეგორიულობით) მიაჩნია არა აფსუა-აფხაზების წინაპრებად, არამედ „ერთ-ერთ დასავლურ-ქართველურ ტომად“ (**მუსხელიშვილი, 2000: 22**). აქვე აღსანიშნავია, რომ დ. მუსხელიშვილი არ უარყოფს ეთნონიმების „აფსარი“-სა და „აფსუა“-„აბაზა“-ს იდენტურობას, ოღონდ აფსარებში ის ასევე არ ხედავს თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს და მათ „საქართველოს ფეოდალური მონარქიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, ზღვისპირეთში, ციხე-ქალაქ ნიკოფსამდე მოსახლე“ აბაზა-ჯიქებთან აიგივებს (**მუსხელიშვილი, 2000: 23**).

სხვა მკვლევარებიდან, რომლებიც ცდილობენ პ. ინგოროყვას კონცეპტუალური ხედვის დაცვას და ზოგჯერ კატეგორიულადაც კი მოითხოვენ მის უპირობო

¹ როგორც ცნობილია, ქართველი მეცნიერი-კავკასიოლოგების *ქეთევან ლომთათიძის*, *ოტია კახაძის*, *ეკატერინე ოსიძის*, *თეიმურაზ გვანცელაძის* და სხვ. კვლევების საფუძველზე, დიდი ხანია დასაბუთებულად ითვლება ეთნონიმების „აბაზგი“, „აფხაზი“-სა და „აბაზა“-ს იდენტურობა და ამ უკანასკნელთან ეთნონიმ „აფსუა“-ს (თანამედროვე აფხაზთა თვითსახელწოდება) უშუალო კავშირი (**ლომთათიძე, 1900: 19-20; კახაძე, 1993: 551-564; ოსიძე, 1993: 565-570; გვანცელაძე, 1993: 571-580**), რომელსაც ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესაბამისად, ტერმინ „აბაზა“-დან წარმოებულად მიიჩნევენ (**გამყრელიძე თ., 1991: 10; გამყრელიძე თ., 1993: 586; Гамкრелидзе, 1992: 91**).

² თამაზ გამყრელიძის მითითებული პუბლიკაციები აფხაზურ სამეცნიერო წრეებში აღქმულ იქნა პ. ინგოროყვას იდეების რეანიმაციის მცდელობად (**Бранба, 2000: 51; Инал-ипа, 2011; Кварчия, 2015: 62**).

გაზიარებას ქართული ისტორიოგრაფიის მიერ, უნდა გამოვყოთ ისტორიკოსები: *თეიმურაზ მიბჩუანი (მიბჩუანი, 1989)*, *გერონტი გასვიანი (გასვიანი, 1998; გასვიანი, 2003)*. შდრ. *როგავა, 2014*: 29-40, 96-130), *ზურაბ რატიანი (რატიანი, 1995)*, *დერმიძა გოგოლაძე (გოგოლაძე, 1995*: 51-54) *ჯუმალ გამახარია (გამახარია, 1998; გამახარია, 2007b*: 71-85), *ბადრი გოგია (გოგია, 2003)*, *ნოე აფხაზავა (აფხაზავა, 2010*: 70-71) და ა.შ.; ფილოლოგები: *ალექსანდრე ონიანი (ონიანი, 1994; ონიანი, 1995; ონიანი, 1999)*. *თეიმურაზ გვანცელაძე (გვანცელაძე, 1998*: 15-16, 33-39; *გვანცელაძე, 2007*: 178-186)¹ და სხვ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ მკვლევართა არგუმენტაცია (მიუხედავად ზოგიერთი მათგანის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტისა) ნამდვილად არ არის იმდენად დამაჯერებელი, რომ მის საფუძველზე, ერთი ხელის მოსმით, გადაისინჯოს აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადიღურ ეთნიკური წარმომავლობის შესახებ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, აკადემიკოს *ივანე ჯავახიშვილისა*² და მისი მოწაფეების, ქართული საისტორიო სკოლის უპირობო ლიდერების, აკადემიკოსების *სიმონ ჯანაშიას (ჯანაშია, 1952*: 419; *ჯანაშია, 1988b*: 217, 245; *ჯანაშია, 1959a*: 26; *Джанашия, 1992*: 24 და სხვ. ამის შესახებ იხ.: *როგავა, 2014*: 14-16), *ნიკო ბერძენიშვილის*,³ მიერ დამკვიდრებული

¹ აღსანიშნავია, რომ თ. გვანცელაძეს აღრინდელ პუბლიკაციებში არ ექვევბოდა, რომ ამჟამინდელი ტერმინი „აფხაზი“ აღნიშნავს აფხაზეთის მკვიდრ ხალხს, რომელიც საკუთარ თავს „აფსუს“ ეძახის“ და რომ ძველბერძნულ – აბასგი, ლათინური – *Apsilae*, სომხური აფშიღ ეთნონიმები „აღნიშნავენ თანამედროვე აფხაზთა წინაპრი აბაზგებისა და აფშიღების ტომებს“ (გვანცელაძე, 1993: 71-72, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

² როგორც ცნობილია, აკადემიკოსი *ივანე ჯავახიშვილი*, თავისი მეცნიერული კარიერის საწყის ეტაპზე – „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემაში – აფშიღებს ლაზ-მეგრელებთან და სვანებთან ერთად, „ქართველთა სამ შტოს“ მიაკუთვნებდა (ჯავახიშვილი, 1913: 55), რაზე დაყრდნობითაც ცალკეული მკვლევარები ყოველნაირად ცდილობენ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი აფშიღ-აბაზგთა ქართველური წარმომავლობის შესახებ დიდი მეცნიერის ამ გამონათქვამით გაამყარონ. სინამდვილეში, როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ მომდევნო გამოცემაში ივ. ჯავახიშვილის სახსრებით მკაფიოდ განმარტებიდან, რომლის მიხედვითაც ის აფხაზებს მხოლოდ „ქართველთა მონათესავედ“ თვლიდა და ქართველებს არ უწოდებდა (ჯავახიშვილი, 1928: 104; *ჯავახიშვილი, 1979*: 152, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) და აგრეთვე სხვა გამოკვლევებში (მათ შორის იმავე „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემაში (ჯავახიშვილი, 1913: 66-67) გაკეთებული არაერთი კომენტარიდან ჩანს, მეცნიერი აბაზგ-აფსილებს ერთნიშნად აფხაზურ-ადიღური მოდგმის ეთნოსად – თანამედროვე აფხაზთა უშუალო წინაპრებად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი, 1998c: 51, 122; *ჯავახიშვილი, 1998a*: 50; *ჯავახიშვილი, 1998b*: 460 და სხვ.). ამის შესახებ ვრცლად იხ. (ხომტარია-ბროსე, 2000: 4-7, 30-33; *პაპასკირი, 2014*: 165-175; *Папаскири, 2016*: 372-387; *პაპასკირი, 2016b*: 368-379; *როგავა, 2014*: 8-14).

³ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ასევე ყოველნაირად ცდილობს *ნიკო ბერძენიშვილის* შრომებშიც მოიძიოს ცალკეული გამონათქვამები, რომლებიც თითქოს ადასტურებდეს მეცნიერის მხრიდან ე.წ. „ძველი“ აფხაზების (ანტიკური წყაროების „აფსიღ“-„აბაზგებისა“

თვალსაზრისი, რომელსაც მხარს უჭერს აკადემიკოსი გიორგი მელიქიძვილიც (მელიქიძვილი, 1970a: 360; Меликишвили, 1954: 76; Меликишвили, 1959: 90, 168). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საისტორიო მეცნიერების კორიფების ეს ხედვა მთლიანად გაზიარებულია ძველი და შუა საუკუნეების ხანის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის წამყვან სპეციალისტთა შორის (ინაძე, 1992: 50-65; Инадзе, 1999: 72-78; ლომოური, 1998: 33; ლომოური, 2001: 340, 344-345; Ломоური, 1990: 158, 160-16; ლომოური, 2008: 60-63; ხომტარია-ბროსე, 2000: 33-40; Цулая, 1995: 10, 49-50; ჰაპასქირი, 2002: 152-153; ჰაპასქირი, 2004: 28-30; Папаскири, 2010b: 20-21).¹

და აღრეშუასაუკუნეების ქართული წყაროების „აფხაზთა“) ქართველური წარმომავლობის აღიარებას (გასვიანი, 1998: 49, 80-81, 120, 122 და სხვ.; გასვიანი, 2003: 53-80; გამახარია, 2007b: 79). თავის დროზე ჩვენ საგანგებოდ შევხვეთ ამ საკითხს და, ვფიქრობთ, საკმაოდ მკაფიოდ ვაჩვენეთ, რომ ნ. ბერძენიშვილი, ფაქტობრივად, არსად და არასდროს არ საუბრობდა აღრეშუასაუკუნეების ხანის აფხაზთა ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილებაზე, და რომ მეცნიერს არ აეჭვებდა ე.წ. „ძველ“ აფხაზთა ეთნიკური ერთობა თანამედროვე აფსუა-აფხაზებთან. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება მეცნიერის დაკვირვებებიდან. აი თუნდაც ეს რეპლიკა: „ერთ-ერთი ხელის შემწყობი ჰირობათაგანი იმისა, რომ მთიელმა აფხაზებმა (იგულისხმება გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ აფხაზ-ადიღთა ახალი ტალღა – ზ.პ.) შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა (აქ კონტექსტის მიხედვით, ნ. ბერძენიშვილს ამკარად მხედველობაში ჰქონდა არა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად, არამედ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოსი), ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას“ (ბერძენიშვილი, 1990: 616, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამასთან, ნ. ბერძენიშვილი ერთნიშნად ასკვნიდა, რომ იმდროინდელი აფხაზები „კულტურულ-ისტორიულად“, ხაზს ვუსვამთ – „კულტურულ-ისტორიულად“, და არა ეთნო-ტომობრივად იყვნენ ისეთივე ქართველები, როგორც: „ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, მავში, ერი, სვანი, ზანი“ და რომ „აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო“ (ბერძენიშვილი, 1966a: 278, ხაზგასმა ავტორისაა). რაც შეეხება აწინდელი აფხაზეთის სოციალურ-კულტურული იერ-სახის შეცვლას გვიან შუა საუკუნეებში, ნ. ბერძენიშვილი ამას ნამდვილად უკავშირებდა ეთნო-დემოგრაფიულ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან „ახალი“ (მთიელი) აფხაზების გადმოსვლას. მისი განმარტებით, ახალმოსულებმა მოარყიეს განვითარებული ფეოდალური საზოგადოების საფუძვლები და კვლავ წარმართობისაკენ მოაქციეს დამხდური ცივილიზებული აფხაზობა, იგივე „კულტურულ-ისტორიული“ ქართველები (ჰაპასქირი, 2016b: 371-372; ჰაპასქირი, 2004: 90-94; ჰაპასქირი, 2007: 161-164; როგავა, 2014: 21-29).

¹ ფაქტობრივად იგივე თვალსაზრისი ჰქონდა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, რომელიც, მართალია, საგანგებოდ აღნიშნავდა აზრთა სხვადასხვაობას აფსილ-აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა პრინციპულად არსად არ უარყოფდა მათ აფხაზურ წარმომავლობას. პირიქით, მეცნიერის განმარტებით, ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობის გაფართოების დროიდან (VIII ს. 80-იანი წლები), როდესაც ეს ტერმინი „აღნიშნავდა მთელ დასავლეთ საქართველოს.. აფხაზად წერილობით

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, აფსილ-აბაზგთა აფხაზური ეთნიკურ წარმომავლობისა და მათი პირველსაცხოვრისის საკითხის ირგვლივ, ქართველი ისტორიკოსებში ფაქტობრივად სრული თანხვედრაა იმაში, რომ **დღევანდელი აფხაზობის, როგორც ეთნოსის ფორმირება მოხდა არა სადმე სხვაგან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთში** (აფხაზებს სხვა სამშობლო არა აქვთ).¹ ამასთან, ის წარმოადგენს ერთგვარ ნაჯვარს ადიღურ-ჩერქეზული მოდგმის აფსუა და ქარ-

წყაროებში იწოდებოდა, როგორც საკუთრივ აფხაზი (აბაზგი, აფსილი), ისე ყველა დასავლელქართველი“ (ლორთქიფანიძე მ., 1990: 10, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ასე რომ ზოგიერთი მკვლევრის მხრიდან მ. ლორთქიფანიძისადმი წაყენებული „ბრალდება“ თითქოს ის აფსილ-აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხში პ. ინგოროყვას თვალსაზრისს ახმოვანებდეს (Воронов Ю., 1991a), რბილად რომ ვთქვათ სიმართლეს არ შეესაბამება (ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ჰაპასქირი, 1998: 62).

¹ მართალია, ამ საკითხზე უფრო საგნობრივი მსჯელობა იქნება ნაშრომის შესაბამის თავებში, თუმცა მაინც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ზოგი რამ აქაც განგვემარტა. აფხაზთა ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო ადრე შუასაუკუნეებში, როდესაც აბაზგ-აფხაზთა გარშემო მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ტომების – აფსილ-აფშილთა, სანიგთა, სვანო-კოლხთა, მისიმიანთა და ა.შ. კონსოლიდაცია და შეიქმნა შუა საუკუნეების აფხაზობა. ეს აფხაზობა, მომდევნო საუკუნეებში, ინარჩუნებდა რა ეთნო-ტომობრივ ინდივიდუალობას (საკუთარი /საშინაო/ ენით და ყოფითი კულტურის ელემენტებით), პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად და სოციალურ-კულტურულად მხოლოდ და მხოლოდ საერთო-ქართული თვითშეგნების მატარებელი და ამ მხრივ არაფრით განსხვავდებოდა საქართველოს სხვა კუთხეების (სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და ა.შ.) მოსახლეობისაგან. მეტიც, ის თავს მოიაზრებდა საერთო-ქართული ნაციონალური სახელმწიფოს შემქმნელი ერთიანი ქართველი ხალხის ნაწილად. ეს თვითშეგნება არ მოშლილა, გვიანშუასაუკუნეებშიც, როდესაც (XIV-XV საუკუნეებიდან) ადგილი ჰქონდა აფხაზობის შევსებას ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული მონათესავე აბაზური ტომების ახალი ნაკადით, რამაც გამოიწვია საკმაოდ მკვეთრი ცივილიზაციური რყევები. XVII ს. II ნახევრიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა – *შარვაშიძეთა* აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულმა ექსპანსიამ სამეგრელო-ოდის მიმართულებით და სრული კონტროლის დამყარებამ დადიანების კუთვნილი ტერიტორიებზე – ენგურამდე, შექმნა ხელსაყრელი პირობები ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აფხაზურ თემში ინტეგრირებისათვის. ამით ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის მეტ-ნაკლებად მყარ ერთობად ჩამოყალიბების პროცესი. ეს ეთნიკური ერთობა, მიუხედავად ცარისტული რუსეთის დიდი მცდელობებისა, ამოეძირკვა საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური თვითშეგნება აფხაზურ მოსახლეობაში, XIX საუკუნეში მაინც ინარჩუნებდა დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობის შეგრძნებას. ეს მიზანი მიღწეულ იქნა მხოლოდ XX საუკუნიდან – რუსულ-საბჭოური იმპერიული კონიუნქტურის პირობებში, როდესაც აფხაზობა საბოლოოდ გაფორმდა ცალკე ხალხად/ერად, საკუთარი ეროვნული (მრავალსაუკუნოვანი ზოგად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული მენტალიტეტისაგან მთლიანად დაცლილი), თვითშეგნებით.

თველური (ძირითადად მეგრულ-ზანური – ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ამჟამინდელ აფხაზთა სულ ცოტა ნახევარი მაინც დღემდე ქართული /მეგრული/ გვარის მატარებელია) **ეთნიკური სეგმენტისა**. ამიტომაცაა, რომ **დღევანდელი აფხაზები** (ქართველებთან ერთად), უპირობოდ ითვლებიან საქართველოს /აფხაზეთის/ მკვიდრ მოსახლეობად. ეს თვალსაზრისი ურყევია და ის ოფიციალურადაა აღიარებული ქართული სახელმწიფოს მიერ, რისი იურიდიული დადასტურებაა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც აფხაზურ ენას, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მკვიდრი ხალხის – ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი ერთიანი ქართველი ერის ნაწილისა და საერთო-ქართული ისტორიის სუბიექტის – მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის (ქართულის ენის გვერდით) სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აღრუული შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (კოდორის ხეობაში, წებელდის ზემოთ) მოიხსენებიან *მისიმიანები*, რომელთაც მიიჩნევენ ქართველურ (სვანურ) ტომებად (**ყაუხჩიშვილი ს., 1936** 277-280; **Меликишвили, 1959**: 65, 100, 384; **მიბჩუანი, 1989**: 128-143; **გასვიანი, 1990**: 23-42; **Цулая, 1995**: 22; **Ломоური, 1999**: 97-98 და სხვ.). ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ბერძნული „*მისიმიანი*“ აშკარად გამომდინარეობს სვანთა თვითსახელწოდება „*მუშვან*“-ისაგან. არანაკლებ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ის რეგიონი, სადაც ბიზანტიური წყაროები აფიქსირებენ მისიმიანებს, მოფენილია სვანური ტოპონიმებით (**მუსხელიშვილი, 1977**: 121-123; **მიბჩუანი, 1989**: 131-133; **გასვიანი, 1991**: 201-209; **Ломоური, 1999**: 98 და სხვ.). ყოველივე ეს იმდენად მყარი არგუმენტებია,¹ რომ ცალკეულ აფხაზ მკვლევართა მცდელობები, მისიმიანები (ისევე, როგორც სანიგ-ჰენიოხები) მოწყვიტონ

¹ არაფერს ვამბობთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის თითქმის დოკუმენტურ ცნობაზე, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ მისიმიანები „**კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ. ისინი ამ აფსილთა ტომზე ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ**“ (აგათია, 1936: 86; **Agathias, 1975**: 85). ზოგიერთი აფხაზი და რუსი მეცნიერი ყოველნაირად ცდილობს აგათიას ეს ცნობა გაიგოს ისე, თითქოს ბიზანტიელი ავტორის განმარტება, რომ მისიმიანები „**კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ**“ იგულისხმება **განსხვავებულობა კოლხების ენასთან და არა აფსილების (Гунба, 1989: 143; Воронов, 1975: 147)**, რაც, კონტექსტიდან გამომდინარე, რთულად წარმოსადგენია. ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ფრაზაზე „**მსგავსად აფსილებისა**“. ანუ აგათიას აშკარად იმის თქმა უნდა, რომ მისიმიანები აფსილების მსგავსად კოლხთა მეფის ქვეშევრდომები არიან, თუმცა მათგან, ანუ **აფსილებისაგან „განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ**“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ზ.პ.). სწორედ ასე ესმის ეს პასაჟი (ორიგინალში) ძველი ბერძნული და ბიზანტიური ეპოქის წერილობითი ძეგლების ისეთ ავტორიტეტულ სპეციალისტს, როგორიცაა **ნოდარ ლომოური (Ломоური, 1999: 98**. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **გამახარია, 2007b: 93**).

ქართულ ეთნიკურ სამყაროს და ისინიც აფხაზურ ტომებად გამოაცხადონ, უბრალოდ კომიკურ ხასიათს იღებს¹ და ძალზე შორსაა მეცნიერული ლოგიკისაგან.

ახ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ვხვდებით ლაზებსაც, რომლებიც ზ. ანჩაბაძის დაკვირვებით (VI საუკუნისათვის) ძირითადად განსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონების სანაპირო ზოლში (ანჩაბაძე, 1959: 6), თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ლაზები ნაწილობრივ ამჟამინდელი აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც ცხოვრობდნენ. ამასთან დაკავშირებით, მკვლევართა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფლავიუს არიანე ახ. წ. II ს. 30-იანი წლების დამდეგს მდ. აქუუნტიდან /თანამედროვე მდ. შახე, ქ. სოჩას შემოგარენში/ (Воронов, 1979: 72) ჩრდილოეთით თითქმის დოკუმენტურად აფიქსირებს ტოპონიმს „ძველი ლაზიკა“

¹ ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ზემოთხასხენები აფხაზი ენათმეცნიერის ვ. კვარჭიას (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო დროს ძალზე დაინტერესდა ეთნიკური ისტორიის პრობლემატიკით, „მიგნება“, რომლის მიხედვითაც პომპეუსის მიერ იბერიის დამორჩილების (ძვ. წ. 66 წ.) შემდეგ, პონტოს მეფე მითრიდატე VI-ს თურმე განუხორციელებია „მცხეთის სამეფოდან“ ჩრდილოეთ კოლხეთში ერთ-ერთი ძველაფხაზური თემის – მოსხების (მასხები, ბასხების, ანუ გვიანდელი წყაროების მისიმიანთა) გადმოსახლება (Кварчия, 2015: 236, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.). სხვა ადგილას კი ავტორიტეტულად აცხადებს, რომ თურმე „თანამედროვე კავკასილოგთა უმრავლესობას“ არ ეეჭვება, რომ მისიმიანები აფხაზ-აბაზათა წინაპრები იყვნენ (Кварчия, 2015: 269-270). მისიმიანებს ერთნიშნად აფხაზურ ტომად მიიჩნევდა შ. ინალ-იფა (Инал-ипа, 1976: 54, 229-238). ეს აზრი გატარებულია სოხუმში გამოცემული აფხაზეთის ისტორიის „სახელმძღვანელოების“ შესაბამის პარაგრაფებში (Бгажба О., Лакоба С., 2015: 71, 87, 189; Куакуаскир, 2010: 38), აგრეთვე სხვა მკვლევართა პუბლიკაციებში (Гунба, 1989: 3, 17, 143-144, 179, 235; Воронов, 1975: 147; Воронов, 2006b: 409; Бгажба О., 2007: 113; Дбар, 2015: 220, 222; Нюшков, 2013: 94; Нюшков, 2018: 75, 78-79; Касландзия, 2017: 57). მისიმიანთა ეთნიკური კუთვნილების საკითხში წინააღმდეგობრივი იყო ზურაბ ანჩაბაძის პოზიცია. 1959 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ის უარყოფდა მისიმიანების ქართველურ (სვანურ) წარმომავლობას და მას აფხაზურ ეთნოსს მიაკუთვნებდა (ანჩაბაძე 3., 1959: 13-15). მოგვიანებით კი შეცვალა ეს შეხედულება და უკვე მისიმიანთა შესაძლო სვანური წარმომავლობა დაუშვა (ანჩაბაძე 3., 1964: 183). 1976 წ. გამოცემულ ნაშრომში მეცნიერმა კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი თვალსაზრისის კორექტირება და ამჯერად ერთგვარად კომპრომისული ვერსია ჩამოაყალიბა. მისი დასკვნით, მისიმიანები წარმოადგენდნენ აფხაზური და ქართველური ტომების მონათესავე „ინდივიდუალურ ტომს ჰალოკავკასიური ეთნოლინგვისტური ოჯახიდან“, რომელიც გაითქვიფა აფხაზ ხალხში (ანჩაბაძე 3., 1976: 57-58). მისიმიანთა აფხაზ ეთნოსში ინტეგრირებაზე საუბრობს გიორგი ანჩაბაძეც, რომელიც ამასთან არ გამორიცხავს საკუთრივ სვანური ეთნიკური ელემენტის ბინადრობას ამჟამინდელი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მთიან რაიონებში ახ. წ. I ათასწლეულში (ანჩაბაძე Г., 2000: 30-31). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისიმიანთა ეთნიკური კუთვნილების ზ. ანჩაბაძისეულ ვერსიას ემიჯნება ქართველთ-მოძულე რუსი ისტორიკოსი ვიქტორ მნირულმანი, რომელიც ეთანხმება გივი წულაიას და მათ ასევე სვანების წინაპრებად მიიჩნევს (Шнирельман, 2003: 336).

(**ფლავიუს არიანე, 1961: 53**), რომელსაც უკვე მოგვიანო ხანის (V ს.) ანონიმი აზუსტებს, როგორც მის დროინდელ *ნიკოფსისს (ნიკოფსია)*.¹ დადგენილია, რომ ეს პუნქტი მდებარეობდა თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. *ნეგოფსუხოს* შესართავთან (**Kießling, 1912: 259-280; Анчабадзе З., 1959: 67; Мусхелишвили, 1999: 118**).

შესაძლებელია ოდესღაც ამ რეგიონში მეგრულ-ლაზური მოსახლეობის ნაკვალები იყოს აგრეთვე ბიჭვინთასთან ჯერ *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს* (XIX ს. 30-იანი წლები), ხოლო შემდეგ *ალექსანდრე დიაჩკოვ-ტარასოვის* (XX ს. დამდეგი) მიერ დაფიქსირებული ტოპონიმი: „*კოტომი*“ (**Дюбуа де Монперэ, 1937: 97, 100-101, 113-114, 129; Дьячков-Тарасов, 1903: 46-47; დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 80**). აღსანიშნავია, რომ ორივე ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შესართავთან მდინარე კოტომი ქმნიდა მორევს, ანუ იქ წყალი ბრუნავდა (**Дюбуа де Монперэ, 1937: 101; Дьячков-Тарасов, 1903: 46; დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 80**). მეგრელები კი მდინარის იმ ადგილს, სადაც წყალი ბრუნავს, „*კოტო*“-ს (ქოთან) ეძახიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფრ. დიუბუა დე მონპერეს და ა. დიაჩკოვ-ტარასოვის იქ ყოფნის პერიოდში ხსენებულ რაიონში მეგრულენოვანი მოსახლეობის ყოფნა ნაკლებ სავარაუდოა, უპირაინია, რომ ამ ტოპონიმის გაჩენა უკავშირდებოდეს სწორედ იმ დროს, როდესაც ამ არემარეში ცხოვრობდა „*კორაქსთა კოლხური ტომი*“, ხოლო უფრო ჩრდილოეთით იყო პუნქტი „*ძველი ლაზიკა*“, ანუ კოლხეთ-ლაზიკის ეპოქაში (**დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 7-8; 171-172; Окүджавა, 2010**).

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი დაკვირვებები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (ანუ თანამედროვე აფხაზეთის) ეთნიკურ სიტუაციაზე ძვ. წ. I და ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის მანძილზე, შესაძლებელი ხდება საკმაოდ მკაფიო სურათის წარმოდგენა. დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდიდანაც ხერხდება მოცემულ საკითხზე კონკრეტული წერილობითი ინფორმაციის მოძიება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორია ეკავათ მხოლოდ კოლხურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ქართველურ ტომებს: *კოლებს, კორაქსებს, საკუთრივ კოლხებს, ჰენიოხებს*, შესაძლოა, „*მოსხ*“-მესხებსაც. ამასთან, „*კოლებს*“ კრებითი მნიშვნელობაც ჰქონდა და არაა გამორიცხული, რომ მათში ზოგიერთი არაქართველური (შესაძლოა, აფხაზურ-ადიღეური მოდგმის) ტომიც იგულისხმებოდა. ახ. წ. I-II საუკუნეებიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან ახალი ტომები: *სანიგები* (ძვ. წ. I საუკუნიდან), აფსილები, აბაზგები, მოგვიანებით მისიმიანები. აღნიშნული ტომებიდან სანიგთა და მისიმიანთა, ისევე როგორც ლაზების, რომლებიც ამ დროს ასევე იყვნენ განსახლებულნი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, როგორც სამხრეთ, ისე, შესაძლოა, ჩრ-

¹ „*ლაიადან ე. წ. ძველ ლაზიკედე /Παλαιάν Λάζικην/ (სადაც მოთავსებულია ე. წ. ნიკოფსისი, რომლის ახლოს მდინარეა ახლა ფსახაფსისად წოდებული) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მილი. ძველი ლაზიკიდან ძველ აქაიამდე (სადაც არის ახლა ტოფსიდად წოდებული მდინარე) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი*“ (**ფლავიუს არიანე, 1961: 93**).

დილოეთ ნაწილშიც, ქართველური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება აფსილ-აბაზგებს, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ისინი თანამედროვე აფხაზ-აფსუათა უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ.¹ ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „აფსილ-აბაზგებს“ თავდაპირველად (ახ. წ. I-II სს.) ეკავათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლ. მდ. დალიძგიდან მდ. კელასურამდე), რეგიონის ძირითად მოსახლეობას კი უდავოდ ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ტომები: ლაზები, სანიგები და მისიმიანები შეადგენდნენ.

§4. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან არამხოლოდ ეთნო-ტომობრივად, არამედ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც შემოდიოდა ქართულ სამყაროში და ქართული (კოლხურ-ლაზური) სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი იყო. პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები საქართველოს ტერიტორიაზე სულ ცოტა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან მაინც ივარაუდება. სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება უძველესი წერილობითი ინფორმაცია (ასურული ლურსმული ტექსტების ცნობები) დაიენისა (ურარტული წყაროების დიაუხი) და კილხის (კულხას) გაერთიანებების შესახებ, რომელშიც თითქმის დოკუმენტურად აირეკლა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა. მკვლევრები სულ უფრო დამაჯერებლად საუბრობენ ამ პოლიტიკურ წარმონაქმნთა, განსაკუთრებით კი კულხა-კოლხას „სამეფოს“ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საკმაოდ მაღალ ხარისხზე, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ძვ. წ. VIII ს. ერთ-ერთ ურარტულ ლურსმულ წარწერასა და აგრეთვე ძველ ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში (**Меликишвили, 1959: 218-219; Меликишвили, 1962: 323-325; მელიქიშვილი, 1970ა: 360; ლორთქიფანიძე თ., 2002: 154**).

დაახლოებით ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ძველი ბერძნული წერილობითი წყაროების მონაცემებით დასტურდება კოლხეთის² სამეფოს სახელით ცნობილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის

¹ აღსანიშნავია, რომ თავისი ანტიქართული გამოხდომებით ცნობილი რუსი კავკასიოლოგი ვლადიმირ კუზნეცოვი ანტიკურ ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლებული ტომებიდან: კორაქები, ჰენიოხები, სანიგები, აფსილები, აბაზგები, მხოლოდ აფსილ-აბაზგებს მიიჩნევს „აფხაზი ხალხის უშუალო წინაპრებად“ და მიუთითებს, რომ ისინი წყაროებში ჩანან ახ. წ. I საუკუნიდან (**Кузнецов, 2004: 16**).

² „კოლხეთის ქვეყანა“ პირველად მოხსენიებულია ევმელოს კორინთელის (ძვ. წ. VIII ს.) პოემაში „კორინთიკა“, რომელშიც ის აიეტის ლეგენდარულ სამეფო აიასთანაა გაიგავებული (**ურუშაძე, 1964: 195**). აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის დაკვირვებით, არგონავტების მითის: „აია“, „კოლხიდა“, „იასონი“ დოკუმენტურად დასტურდება მიკენური ეპოქის ძველბერძნულ წარწერებში /ძვ. წ. XV-XIV სს./ (**გამყრელიძე თ., 1999: 4**).

არსებობა.¹ სწორედ ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებასთან იდენტიფიცირდება ქსენოფონტეს „ფასიანების ქვეყანა“, სადაც ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთა ლეგენდარული მეფის – „აიეტის ჩამომავალი მეფობდა“ (Меликишвили, 1959: 218-219; მელიქიშვილი, 1970ა: 360). ისტორიული კავკასიოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (აშშ) საპატიო პროფესორის კირილე თუმანოვის ავტორიტეტული დასკვნით, კოლხეთი იყო „პირველი კავკასიური სახელმწიფო, რომელმაც მიაღწია სრულ კონსოლიდაციას“ და რომელიც „სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს არა პროტოქართულ, არამედ ქართულ (დასავლურ-ქართულ) სამეფოდ...“.²

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ხარისხთან დაკავშირებით. მეცნიერთა უმრავლესობას (სიმონ ჯანაშია, ოთარ ლორთქიფანიძე, თეიმურაზ მიქელაძე, მერი ინაძე, ნოდარ ლომოური, გურამ ლორთქიფანიძე და სხვ.) არ ეუჭვება, რომ კოლხეთი საკმაოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, რომლის სათავეში მეფე იდგა (ჯანაშია, 1952b: 19; Меликишвили, 1959: 186; მელიქიშვილი, 1970ა: 360; ლორთქიფანიძე ო., 2001: 31-97; ლორთქიფანიძე ო., 2002: 158-160; Инадзе, 1968: 161; Инадзе, 1973: 156-164; Микеладзе, 1973: 153; ლომოური, 1962; Лордкиपанидзе Г., 1978: 31). ამ შეხედულებების ყველაზე აქტიურ დამცველად გვევლინება ცნობილი ქართველი არქეოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე, რომელიც ანტიკური წერილობითი ტრადიციისა და არქეოლოგიური მასალების სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე უეჭველად მიიჩნევდა კოლხეთში საკმაოდ გამართული სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების – სკვპტუხიების – არსებობას არამხოლოდ ძვ. წ. VI-II საუკუნეებში, არამედ უფრო ადრეც ძვ. წ. VIII საუკუნიდან მაინც (ლორთქიფანიძე ო., 2002: 158-160).³ ეს ინსტიტუცია, მისი დაკვირვებით, იყო „ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული“ ერთეული, „რომელსაც საფუძ-

¹ ისტორიოგრაფიაში უპირობოდ იყო მიჩნეული, რომ ძველი ბერძნული მითების კოლხიდა და ურარტული წყაროების კულხა-კოლხას გაერთიანება მოიშალა ძვ. წ. VIII ს. მიწურულს კიმერიელების ლაშქრობების შედეგად (Меликишвили, 1959: 222-223; Меликишвили, 1962: 323-325; მელიქიშვილი, 1970c: 360). თუმცა ბოლო დროს სულ უფრო დამაჯერებელი ხდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კოლხეთის სამეფო ძვ. წ. VIII ს. დამლევს არ განადგურებულა და ის უწყვეტად აგრძელებდა არსებობას (მიქელაძე, 1974: 179-182; ლორთქიფანიძე ო., 1999: 6; ბერაძე, 1999: 34; გამახარია, 2007a: 39).

² „Colchis appears as the **first Caucasian State** to have achieved the coalescence of the newcomer and the autochthon; so that, whatever the subsequent, additional migrations, Colchis can be justly regarded as not a proto-Georgian, but **a Georgian (West-Georgian) kingdom**... It would seem natural to seek the beginnings of Georgian social history in Colchis, the earliest Georgian political formation“ (Toumanoff, 1959: 24, 38, ზაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

³ მერი ინაძე ასევე ფიქრობდა, რომ კოლხეთის მეფეთა მიერ „ქვეყნის სკვპტუხიებად (საგამგეო ერთეულებად) დაყოფა კოლხეთის სამფოს ჩამოყალიბების ხანაში უნდა მომხდარიყო“ (ინაძე, 1994: 181).

ლად ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ტერიტორიული¹ წარმონაქმნი დაედო“ (ლორთქიფანიძე ო., 2002: 160).

ქართველ მეცნიერთა ამ თვალსაზრისის სისწორეს ეჭვს ქვეშ აყენებენ რუსი მკვლევრები, რომლებიც, ფაქტობრივად, გამორიცხავენ სახელმწიფოებრიობის ელემენტების არსებობას კოლხეთში ძვ. წ. VI-II საუკუნეებშიც კი. თავის დროზე, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი ანა ბოლტუნოვა-ამირანაშვილი, რომელიც თვლიდა, რომ რაიმე კონკრეტული მონაცემები კოლხეთში „ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის“ შესახებ „ანტიკურ ლიტერატურაში უბრალოდ არ არსებობდა“ (Болтунова, 1979с: 260; Болтунова, 1979а: 3-4; Болтунова, 1979b: 51-55). უფრო შორს მიდიოდა, თავისი ანტიქართული განწყობილებებით გამორჩეული, სოხუმში მოღვაწე არქეოლოგი იური ვორონოვი, რომელიც კოლხეთის სამეფოს „მითიურ სახელმწიფოს“ უწოდებდა (Воронов Ю., 2006b: 95), ხოლო ამ „მითის“ შექმნას XX ს. 30-40-იან წლებში სტალინისა და ბერიას რეჟიმის პოლიტიკურ კონიუნქტურას უკავშირებდა (Воронов Ю., 1993).² ფაქტობრივად, ი. ვორონოვის ამ პოლიტიკურად ანგაჟირებული ნარატივის ერთგვარ გახმოვანებას წარმოადგენს კიდევ ერთი რუსი ქართველოგობის ვიქტორ შნირელმანის გახმაურებული მონოგრაფიის მე-5 თავი, მეტად ნიშანდობლივი სათაურით: „კოლხეთის მირაჟი“ (Шнирельман, 2003: 336). სხვა მეცნიერებიდან, რომელთაც ქართველი მკვლევრების არგუმენტები კოლხეთის სამეფოს, როგორც ჩამოყალი-

¹ და არა ტომობრივ-ტერიტორიული, როგორც ამას ფიქრობდნენ ცალკეული მკვლევარები (ჯანაშია, 1952a: 311; ინაძე, 1961: 783-790; ინაძე, 1994: 53-54, 182).

² იური ვორონოვის – აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგისა და ვ. არძინბას სეპარატისტული რეჟიმის მალაჩინოსნის – ამ დასკვნას, რომ მეცნიერებასთან არაფერი აკავშირებს და ის თავიდან ბოლომდე კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, დიდი მიხვედრა არ უნდა. მაგრამ ამ ფონზე კომიკურად გამოიყურება მეცნიერის მტკიცება 2500 წლოვანი „აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოებრიობის“ შესახებ, რომლის ათვლას ის იწყებს მილეტელი ბერძნების მიერ ძვ. წ. VI საუკუნეში ქალაქ-სახელმწიფო დიოსკურიის დაფუძნებიდან. ანუ რა გამოდის – ანტიკური ხანის ავტორთა მდიდარი წერილობითი ტრადიცია კოლხეთის სამეფოს არსებობის შესახებ მითია, ხოლო სახელმწიფოებრიობა იმ ტომებისა (აბაზგ-აფსილებისა), რომელთა ხსენებაც არ არის აღნიშნულ ავტორთა თხზულებებში, ისტორიული რეალობა. ი. ვორონოვს კოლხური სამყაროსთვის დიოსკურია და გიენოსი რომ არ ემეტება, ეს ცხადად უცხადესია, მაგრამ გაუგებარია, თუ რანაირად შეიძლება აფხაზური სახელმწიფოებრიობის გენეზისი დაუკავშირდეს ამ ბერძნული ახალმშენების აღმოცენებას. ერთი წუთითაც რომ დავუშვათ ი. ვორონოვის თეზისის სისწორე და წარმოვიდგინოთ, თანამედროვე აფხაზეთა წინაპრებმა (რომელთა განსახლება ძვ. წ. VI საუკუნეში დიოსკურიის მიდამოებში წყაროებით არ დასტურდება – იქ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლხები ცხოვრობდნენ) ბერძნების მიბადვით, მართლაც ჩაუყარეს საფუძველი „ეროვნულ სახელმწიფოებრიობას“, მაშინ რით ვერ მოახერხეს ფაზისის მიდამოებში მცხოვრებმა კოლხ-მეგრელებმა ასევე ესარგებლათ ბერძნების გამოცდილებით (განა ფაზისი რამით ჩამოუვარდებოდა დიოსკურიას?) და ვერ შექმნეს თავიანთი სახელმწიფო? (პაპასქირი, 1998: 96-97).

ბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შესახებ არადამაჯერებლად მიაჩნიათ, გამოვყოფთ ვალერი იაილენკოს (Яйленко, 1982: 247-258).

აქვე არაა დასამალი, რომ არც ქართველ მეცნიერებშია სრული ერთსულოვნება კოლხეთში ერთიანი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის არსებობის საკითხთან დაკავშირებით. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ნიკო ბერძენიშვილი, რომლის მსჯელობებში ნამდვილად შეინიშნება ერთგვარი სკეპტიციზმი ამ კუთხით. მეცნიერის დაკვირვებით, კოლხეთი ოდესღაც იყო „ძლიერი ერთეული“, სავარაუდოდ, „სამხედრო დემოკრატიის ხანისა“, რომელიც მოგვიანებით (სტრაბონის დროსა და... მომდევნო ხანაში) „კოლონია-ქალაქებად და ტომებად დაშლილი ჩანს“ (ბერძენიშვილი, 1990: 245, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ავითარებს რა ამ თეზისს, მკვლევარი წერს: „კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო.., ის არც აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახული აღმოჩნდა კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვიფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში. ეს იყო ტომთა დიდი გაერთიანება კოლხთა მეთაურობით“ (ბერძენიშვილი, 1990: 365, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სხვა ადგილას ნ. ბერძენიშვილი კოლხეთს (თანაც „ბრინჯაოს ხანის“ კოლხური კულტურის“ დროინდელს) უკვე პოლიტიკურ ერთეულად მოიაზრებს. მისი განმარტებით: „ბრინჯაოს ხანის“ კოლხური კულტურა სავსებით შესაფერისი საფუძველი ჩანს ასეთი პოლიტიკური ერთეულის არსებობისათვის“, თუმცა იქვე ამატებს, რომ ეს „გაერთიანება იყო ზედაპირული“ (ბერძენიშვილი, 1990: 145, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). უფრო შორს მიდის გურამ ყორანაშვილი, რომელიც შესაშური შემართებით (თვით რუსი და აფხაზი ისტორიკოსებისათვისაც კი) ილაშქრებს კოლხეთში სახელმწიფოებრიობის ელემენტების არსებობის წინააღმდეგ (ყორანაშვილი, 2000; ყორანაშვილი, 2001: 98-135; ყორანაშვილი, 2002: 191-224).

იმთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია მართებულად ძველი კოლხური სახელმწიფოებრიობის ერთგვარად ჰიპერბოლიზირებულად წარმოჩენა, მაგრამ ზემოხსენებულ მკვლევართა მცდელობა საერთოდ უარყონ სახელმწიფოებრიობის ნიშნების არსებობა კოლხეთში (ეს ნ. ბერძენიშვილს ნაკლებად ეხება), ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება იგნორირება იმ უცილობელი ფაქტის, რომ თითქმის ხუთსაუკუნოვანი გაბმული ანტიკური წერილობითი ტრადიცია აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში სტაბილურად აფიქსირებს მხოლოდ და მხოლოდ კოლხეთს, რომელიც მოიცავდა ვრცელ რეგიონს ტრაპეზუნდიდან დაწყებული დიოსკურია-პიტიუნტითა და უფრო ჩრდილო რეგიონებით დამთავრებული. არაფერს ვამბობთ ბიზანტიურ წერილობით მემკვიდრეობაზე, რომელიც თითქმის დოკუმენტურად აფიქსირებს იმავე ტერიტორიაზე ლაზიკის სამეფოს სახელით ცნობილ დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას და რომელსაც, არც მეტი არც ნაკლები, ძველი კოლხეთის პირდაპირ სამართალმემკვიდრედ მოიაზრებს. განა ასეთი მყარი და ხანგრძლივი ერთობა შესაძლებელია არ ყოფილიყო დაფუძნებუ-

ლი საკუთრივ კოლხთა, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სავსებით სწორი ფორმულირებით, „წამყვანი... ეთნიკური ელემენტის“ პოლიტიკურ ჰეგემონიაზე? მართლაც, ხომ სრულიად წარმოუდგენელია „კოლხური სამყაროს მთლიანობა... მთელი კოლხეთის სივრცეზე“, თანაც ასეთი ხანგრძლივი დროით, დამყარებული ყოფილიყო „ტომთა კავშირზე“ (ჯანაშია, 1952b: 19) სამხედრო დემოკრატიაზე. კოლხთა პოლიტიკურ ჰეგემონიის უზრუნველყოფას უდავოდ უფრო განვითარებული, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების (თუნდაც არასრულყოფილის) ფუნქციონირება სჭირდებოდა.

აღნიშნული, რასაკვირველია სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ VI-II საუკუნეების კოლხეთი წარმოადგენდა მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ მან ვერ მოასწრო „დიდ ხალხად“ (ბერძენიშვილი, 1990: 251), ანუ სრულფასოვან ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ კოლხ მეფეებზე მხოლოდ თითო-ორიოლა მწირი ინფორმაციით შემოვიფარგლებით. პირველ რიგში, ესაა აკესი, რომლის სახელით მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია ისტორიული კოლხეთის ფარგლებში – ქ. ტრაპეზუნტში (1865 წ.) და სოფ. კინჩხაში (ხონის მუნიციპალიტეტი – 1946 წ.). სწორედ მონეტების აღმოჩენათა ამგვარი ტოპოგრაფია აფიქრებინებს მკვლევრებს, რომ მონეტაზე დატანილი მეფის სახელი – ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ („მეფე აკესისა/აკასი“) უნდა ეკუთვნოდეს კოლხეთის ბასილევსს, რომელიც მეფობდა ძვ. წ. 195 წლის შემდგომ პერიოდში (დუნდუა გ., დუნდუა თ., 2013: 79-82; Dundua G., Dundua T., 2018: 62-64, იქვე შესაბამისი ლიტერატურა).

ცნობილია კოლხეთის კიდევ ერთი „აიეტის შთამომავალი მეფე სავლაკი“, (Saulaces) რომელიც ახ. წ. I ს. რომაელი ავტორი პლინიუს უფროსის განაგონით, „დიდძალ ოქრო-ვერცხლს ჰოულობდა სვანების ტომთა მიწა-წყალზე და საერთოდ თავის სახელმწიფოში, რომელიც განთქმული იყო ოქროს საწმისებით“ (ქართული თარგმანი ლათინური ორიგინალიდან მ. ინაძის. იხ.: ინაძე, 2003: 306; შდრ. ლორთქიფანიძე თ., 2010: 104; Pliny, 1952: 43; Плиний Секунд, 1949: 315). პლინიუსის ამ ცნობის სანდოობას ამყარებს ნუმისმატიკური მასალები, კერძოდ, სავლაკის სახელით მოჭრილი მონეტები /სულ ცნობილია – 8 ეგზემპლარი, რომელთაგან 5 ნაპოვნია დასავლეთ საქართველოში/ (დუნდუა გ., დუნდუა თ., 2013: 123; Dundua G., Dundua T., 2018: 62-64), რომელთაც მეცნიერთა დიდი ნაწილი მიაწერდა სწორედ პლინიუსის მიერ ნახსენებ კოლხთა მეფეს სავლაკს (Gutschmidt, 1976: 150-153; Голенко, 1951: 199-203; Капанадзе, 1951: 203-204; Голенко, 1960; Голенко, 1963: 69-81; ინაძე, 1994: 217-218.). მართალია, მკვლევართა ნაწილი (მათ შორის, ქართველი მკვლევრებიც) ამ მონეტების ლეგენდაზე ბერძნული წარწერის წაკითხვისას უპირატესობას ანიჭებს სახელს „სავმაკს“ – მასში გულისხმობენ ბოსფორის ცნობილ მეფეს (დუნდუა გ., 2002; დუნდუა გ., დუნდუა თ., 2013: 121-134; Dundua G., Dundua T., 2018: 89-99, იქვე შესაბამისი ლიტერატურა), მაგრამ ბოლო დროს (2006 წ.) ყირიმში აღმოჩენილმა მონეტამ, რომელზეც მკაფიოდ იკითხება სავლაკი/ΣΑΥΛΑΚΟΥ/ (Гаврилов, Шонов, 2007: 31-33), მოხსნა ყოველგვარი ეჭვები ამ მხრივ და

უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს მონეტები სწორედ კოლხეთის მეფე სავლაკის მიერაა მოჭრილი.

ამით ამოიწურება ინფორმაცია კოლხეთის მეფეებზე. ანუ სხვა კონკრეტული ფაქტოლოგიური მონაცემები კოლხეთის მეფეებზე ძველმა ბერძნულ-რომაულმა წერილობითმა ტრადიციამ ვერ შემოგვინახა. სწორედ ეს გარემოება და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ კოლხეთმა საერთოდ ვერ შექმნა ადგილობრივი – საკუთრივ კოლხური – საისტორიო ნარატივი (თუნდაც ბერძნულ ენაზე), არის ყველაზე სუსტი რგოლი კოლხური სახელმწიფოებრიობის სრულფასოვნებაზე მსჯელობისას. მხედველობაში გვაქვს ისეთი საისტორიო ნარატივი, რომელიც შეიმუშავა მოგვიანებით ქართლი-იბერიის აღმოსავლურ-ქართულმა გაერთიანებამ, და რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში არავითარი ცალკე სახელმწიფო არ არსებულა და ეს რეგიონი – ისტორიული კოლხეთი/ეგრისი, იმთავითვე ქართლის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილადაა გაცნობიერებული.

და მაინც, იმის უარყოფა, რომ VI-II საუკუნეებში კოლხეთში ნამდვილად არსებობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, თავისებური **პოლიტიკური კოლხეთი (ბერძენიშვილი, 1990: 145)**, კატეგორიულად მიუღებელია. ამაზე მიუთითებს კოლხთა გაერთიანების ტერიტორიული განფენილობა კავკასიის მასშტაბებით საკმაოდ ვრცელ არეალში, რომელიც ძველი ბერძნული საისტორიო ტრადიციით, სამხრეთში იწყებოდა – ტრაპეზუნდის მიდამოებში, ხოლო ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედს წვდებოდა (**ლორთქიფანიძე ო., 2002: 156**). აღსანიშნავია, რომ ეპოქის თანამედროვე ძველ ბერძენ ავტორთა კოლხეთის საზღვრების ამ მოხაზულობასთან სრულ თანხვედრაშია ქართული საისტორიო ტრადიციაც, რომლის მიხედვითაც *ეგროსის* წილხვედრი ქვეყნის – *ეგრისის* – უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო „*მდინარე მცირისა ხაზარეთისაჲ, სადა წარსწუდების წერი კავკასიისაჲ*“ (**ლეონტი, 2008: 26**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.3.**). არანაკლებ საინტერესოა, რომ ძველ ბერძნულ და შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ტრადიციას უფრო სანდოს ხდის ახ. წ. V საუკუნის ანონიმის „*პერიპლუსის*“ ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი ტოპონიმ „*ძველი ლაზიკაზე*“, რომელსაც ის ათავსებს „*ტოფსიდად წოდებული მდინარის*“ შორიანლო (**ფლავიუს არიანე, 1961: 93**), ანუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ნეგოფსუნოს შესართავთან (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **გამახარია, 2007a: 29-30**).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედიოდა ისტორიული კოლხეთის სამეფოს ფარგლებში და, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს *დავით მუსხელიშვილი*, ეთნიკურად და ტერიტორიულად კოლხური სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა (**Мусхелишвили, 1999: 119**). რაც შეეხება მოარულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა საკუთრივ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ქადაგებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები (**Воронов, 1993**), ჭეშმარიტ მეც-

ნიერებასთან ნამდვილად არაფერი აქვს საერთო და ის მთლიანად მათი ფანტაზიის ნაყოფია.

ძვ. წ. I საუკუნის დამდეგისათვის კოლხეთი უკვე არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. მიაჩნიათ, რომ თავის დროზე კოლხთა მეფის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულმა სხვადასხვა ტომებმა ამ პერიოდში დროებით მოიპოვეს დამოუკიდებლობა (**მუსხელიშვილი, 1999: 119**). ახ. წ. I-II საუკუნეებში კოლხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნი: *მაკრონებისა და ჰენიოხების, ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების „სამეფოები“*. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მოექცა ნაწილობრივ *ლაზების „სამეფოს“* (დაახლ. მდ. დალიძგამდე), ნაწილობრივ კი – *აფსილებისა და აბაზგების „სამეფოს“* (დაახლ. მდ. დალიძგიდან მდ. კელასურამდე), აგრეთვე *სანიგების „სამეფოს“* შემადგენლობაში (**მუსხელიშვილი, 1999: 119**). საკუთრივ ეს „სამეფო“ მოიცავდა ტერიტორიას დიოსკურია-სებასტოპოლისიდან, ანუ ცხუმი-სოხუმიდან ვიდრე სოჭი-ტუაფსეს რეგიონამდე (**მელიქიძეილი, 1970b: 545; Инадзе, 1999: 61; ლომოური, 1998: 33**). მოგვიანებით, VI საუკუნისათვის გაჩნდა კიდევ ერთი ქართული (სვანთა) გაერთიანება – *მისიმიანეთი*, რომელსაც ეკავა კოდორის ხეობის ჩრდილოეთი სექტორი (**მუსხელიშვილი, 1999: 119**). საკუთრივ აფხაზურ ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებებად მხოლოდ *აფსილებისა და აბაზგების „სამეფოები“* შეიძლება განვიხილოთ.

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული „სამეფოები“ წარმოადგენდნენ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს, რომელთაც *ფლავიუს არიანეს* თითქმის დოკუმენტური ცნობით, რომის იმპერიის მიერ დამტკიცებული ადგილობრივი დინასტიები („მეფეები“) მართავდნენ. დაახლოებით ახ. წ. III საუკუნიდან რომის იმპერატორთა მხარდაჭერით თანდათანობით გაძლიერება დაიწყო *ლაზების „სამეფომ“*, რომელმაც IV ს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთიც, მოიცვა და საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკური სამყარო *ლაზიკა-ეგრისის* სამეფოს ერთმნიშვნელოვნად განიხილავდა როგორც ძველი კოლხური სამეფოს სამართალმემკვიდრეს.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავ რჩებოდა *ლაზიკა-ეგრისის* სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად, თუმცა „აბაზგია“-*„აფხაზეთის“* (ამ პერიოდში მოიცავდა მდ. გუმისთასა და ბზიფს შორის ტერიტორიას) მმართველები გარკვეული სუვერენიტეტით სარგებლობდნენ და ფაქტობრივად მხოლოდ ნომინალურად ცნობდნენ *ლაზიკის* მეფეთა უზენაესობას (**მუსხელიშვილი, 1999: 119**). რაც შეეხება „აფსილია“-*„აფშილეთს“*, „აბაზგია“-*„აფხაზეთისაგან“* განსხვავებით, ის ადმინისტრაციულად უშუალოდ *ლაზიკა-ეგრისის* სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მას *ლაზიკის* სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელე მართავდა.

ამაზე პირდაპირ მიუთითებს ისეთი სანდო ავტორი, როგორიცაა *პროკოპი კესარიელი*. მისი განმარტებით „აფსილები, – ძველითგანვე ლაზთა ქვეშევრდომები“ იყვნენ და მას მართავდა (VI ს. შუა ხანებში) *ტურდეტი* – „*ლაზთა შორის ერთი“* წარ-

ჩინებულთაგანი, „რომელსაც ეგრეთწოდებული **მაგისტროსის ძალაუფლება** ეპყრა **ამ ხალხში**“ (აფსილებში – **ზ.პ.**). ეს ტერმეტი, „**ნაჩხუბებული**“ ყოფილა „**ლაზთა მეფე გუბაზთან... და მასთან უკმაყოფილება**“ ჰქონია, რის გამოც განდგომია ლაზიკა-ეგრისის ცენტრალურ ხელისუფლებას და სპარსელების მხარეს გადასულა. მაგრამ გუბაზ II-ს, ბიზანტიელთა აქტიური მხარდაჭერით, მოუხერხებია წესრიგის დამყარება განდგომილ მხარეში და აფსილ-აფშილები „**კვლავ ლაზთა ქვეშევრდომები**“ გამხდარან (**პროკოპი, 1965a: 162-164**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).¹

V-VI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერია ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა სწრაფვა სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად და ამ მიზნით აბაზგია-აფხაზეთის მმართველებს უპირისპირებდა ლაზიკის ცენტრალურ ხელისუფლებას. შედეგად, VI ს. I ნახევარში აბაზგია-აფხაზეთი ფაქტობრივად გამოყვანილი იქნა ლაზიკა-ეგრისის იურისდიქციიდან და უშუალოდ იმპერიის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. შესაძლოა, ამ პერიოდში (VI ს. I ნახ.) ბიზანტიის ხელისუფლებამ აბაზგია-აფხაზეთი ლაზიკა-ეგრისის ეკლესიურადაც ჩამოაცილა და იქ ლაზიკის სამიტროპოლიტოსაგან დამოუკიდებელი ეპარქია შექმნა. ამ თვალსაზრისით უდავოდ იპყრობს ყურადღებას სამისიონერო მოღვაწეობის განსაკუთრებული გააქტიურება აბაზგია-აფხაზეთში იმპერატორ იუსტინიანე I-ის მმართველობის პერიოდში (**პროკოპი, 1965a: 134-135**). ამან და კონსტანტინოპოლის მიერ ლაზიკა-ეგრისში გატარებულმა გამოკვეთილმა იმპერიულმა პოლიტიკამ საზოგადოდ უკიდურესად გააღიზიანა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს მესვეურები, რომლებმაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მომძლავრებული ირანის მხარდაჭერით, მოინდომეს ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ-

¹ ბიზანტიელი ისტორიკოსის, რომელიც ამ მოვლენების თანამედროვეა, ეს ცნობა იმდენად გამჭვირვალეა, რომ უბრალოდ წარმოუდგენელია მასში არ დაინახო აფსილიის ადმინისტრაციული დაქვემდებარება ლაზიკის ცენტრალური ხელისუფლებისადმი. მით უფრო დასანანია ამის მცდელობა (სრულიად დაუსაბუთებელი) ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის მხრიდან, როგორც იყო *ზურაბ ანჩაბაძე*, რომელიც თავის დროზე არ დაეთანხმა რუსი მკვლევრის *მიხეილ ივამჩენკოს* სავსებით მართებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში (VI ს.) ლაზიკა და აფსილია წარმოადგენდნენ „ერთ სახელმწიფოებრივ მთლიანობას“ (**Ивашенко, 1926: 85**). ზ. ანჩაბაძის აზრით, აფსილია იყო ცალკე პოლიტიკური სუბიექტი, რომლის ურთიერთობა ლაზიკის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებას არ სცილდებოდა (**Анчабадзе З., 1959: 30-31; Анчабадзе З., 1964: 207**). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კიდევ ერთი ავტორიტეტული რუსი მეცნიერი ვ. კუზნეცოვი, რომელიც, როგორც ითქვა, მაინც და მაინც, არ გამოირჩევა საქართველოსა და მისი ისტორიისადმი კეთილი განწყობით, ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში ასევე ერთნიშნად მიიჩნევს, რომ ან. წ. პირველ საუკუნეებში „აფსილია შედიოდა ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში“ (**Кузнецов, 2004: 16**). ამასთან, ბოლო პერიოდში ცალკეული ისტორიკოსების მხრიდან ადგილი აქვს ზ. ანჩაბაძის მცდარი მოსაზრების რეანიმაციის სრულიად უსუსურ მცდელობებს, რაც მთლიანად ამჟამინდელი ნაციონალისტური კონიუნქტურითაა განპირობებული (**Гунба Б., 2006: 161-162; Нюшков, 2016: 118-121**).

მოზიდან თავის დაღწევა. მაგრამ ბიზანტია-ირანის 20-წლიანმა „დიდმა ომიანობამ“ ეგრისში ლაზიკის სამეფოს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. ამ ომმა არათუ არ შეუწყო ხელი ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს პოლიტიკურ კონსოლიდაციას, არამედ, პირიქით, წელში გატეხა ქვეყანა და ახალი იმპულსი მისცა ლაზიკის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შემდგომ რღვევას.

VI ს. II ნახევარსა და VII ს. I ნახევრის მანძილზე ბიზანტიის იმპერია სულ უფრო აძლიერებდა თავის ზეწოლას ლაზიკა-ეგრისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა მისი გავლენა განაპირა რეგიონებზე. მიუხედავად ამისა, VII ს. შუა ხანებში აფსილია-აფშილეთი და მისიმიანეთი კვლავ რჩებოდა ლაზიკის ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში. მეტიც, ბიზანტიელი ავტორის – *თეოდოსი განგრელის* (VII ს.) მეტად სანდო ცნობით, ლაზიკის მმართველის, რომელიც ამ დროს უკვე არა მეფის, არამედ *პატრიკიოზის* ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა, ერთ-ერთი რეზიდენცია განთავსებული იყო თანამედროვე *მოქვის* (ოჩამჩირის რ-ნი) მიდამოებში (*თეოდოსი, 1941: 50; Папуашвили, 1985: 58*).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის – ე. ი. თანამედროვე აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე უძველესი დროიდან (ძვ. წ. I ათასწლეულიდან მაინც) VII ს. ბოლომდე ზოგადად ქართული იყო და ეს მხარე, მიუხედავად ეთნო-ტომობრივი სიჭრელისა, კოლხეთ-ლაზიკის ანუ ისტორიული ეგრისის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ნებისმიერი მცდელობა ამ ქრესტომათიული ჭეშმარიტების გადასინჯვისა და ამჟამინდელი აფხაზეთის დასავლურ-ქართული (კოლხურ-ლაზური) ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრციდან მოწყვეტისა მეცნიერულად სრულიად უპერსპექტივოა.

თავი III. „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახე

აფხაზურ ნაციონალისტურ საისტორიო ნარატივში, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ცენტრალური ადგილი უკავია მტკიცებას, რომ აფხაზ ხალხს ისტორიულად ყოველთვის გააჩნდა საკუთარი (დანარჩენი საქართველოსაგან დამოუკიდებელი) ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელიც თითქოს 1200 (ან კიდევ სულაც – 2500) წელს ითვლის. ეს საფუძველშივე ყალბი პოსტულატი მთლიანად აგებულია VIII ს. მიწურულს აღმოცენებული ე.წ. „აფხაზთა“ სამეფოს – ყველა პარამეტრით ქართული სახელმწიფოს – სახელწოდებით სპეკულირებაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირფესვიანადაა გამოკვლეული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა კარდინალური საკითხი და დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამ პოლიტიკური ერთეულის ჰეგემონური როლი და ადგილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საისტორიო სკოლის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელი (მათ შორის, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, ძველი და შუა საუკუნეების ხანის აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი ზურაბ ანჩაბაძე) ერთნიშნად მიიჩნევს „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად.

ამავსე დროს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ თვალსაზრისის სისწორეში არასოდეს შეუტანიათ ეჭვი არც წამყვან რუს კავკასიოლოგებს. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე, კავკასიის ისტორიის აღიარებული მკვლევარი, *ვლადიმირ მინორსკი* (1877-1966), რომელმაც შირვან-დერბენდის ისტორიისადმი მიძღვნილ კაპიტალურ გამოკვლევაში უადრესად საყურადღებო დაზუსტებები გააკეთა „აფხაზთა“ სამეფოსთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ქალაქ მცხეთის განმარტებისას, მეცნიერი მიუთითებს, რომ ის „*უფრო ეკუთვნოდა დასავლელ ქართველთა ე.წ. „აფხაზურ“ დინასტიას, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთ ბაგრატიდებს,*“ /*“Mtskheta, though the latter ancient town... may have belonged to the "Abkhaz" dynasty... and not to the south-western princes...”*/ (Minor-sky, 1958: 161, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ვ. მინორსკის შემთხვევით არ მოჰყავს დინასტიის სახელწოდება ბრჭყალებში და სრულიად ნათლად განმარტავს, თუ რომელ ეთნოპოლიტიკურ სამყაროს წარმოადგენდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია.

ანალოგიურად იქცევა მეცნიერი თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთებზეც. კერძოდ, ეხება რა IX-X საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონფიგურაციას, ის აღნიშნავს: „*გარდა კახეთის კვირიკიანელთა დინასტიისა, არსებობდა ბაგრატიდების ძირითადი დინასტია საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში და ე.წ. აფხაზური დინასტია დასავლეთ საქართველოში*“ /*„Apart from the Kuirikan dynasty of Kakhetia, there existed the main Bagratid dynasty in the central and southern parts of Georgia and the so-called Abkhazian dynasty of Western Geor-*

gia“/ (Minorsky, 1958: 84, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.). და ეს მაშინ, როდესაც ავტორმა მშვენივრად იცის, რომ საკუთრივ აფხაზები („მცირერიცხოვანი ხალხი“), ამჟამად ცხოვრობენ „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე /სოხუმთან ახლოს/“ (Minorsky, 1958: 84). ამ კუთხით, არანაკლებ საინტერესოა ვ. მინორსკის შემდეგი განმარტება: „X ს. I ნახევარში ქართლი შემოიერთეს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის მმართველებმა“/„In the first part of the tenth century Karthli was annexed by the rulers of the westernmost Georgian kingdom, of the so-called „Abkhazian dynasty“ (Minorsky, 1958: 164, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.). გარდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტიისა, მეცნიერს ბრჭყალებში აქვს მოქცეული აგრეთვე სიტყვები: „აფხაზეთი“ («Абхазия»), „აფხაზური“ და ა.შ. მაგალითად, კახეთის მეფის აღსართანის მოღვაწეობაზე თხრობისას, ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ „მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის, როგორც მას უწოდებდნენ მუსლიმები, მისი დინასტიის წარმომავლობიდან გამომდინარე) მეფესთან. „აფხაზეთის“ იმჟამინდელი მმართველი იყო ენერგიული ბაგრატი (1027-1072 წწ.), გიორგი I-ის (1014-1027) ძე“.¹ და ბოლოს, მასუდი ბენ ნამდარის ცნობის კომენტირებისას, რომლის თანახმად, თითქოს შირვანშაჰმა ფარიბურზმა „დაიპყრო აფხაზები“, ვ. მინორსკი აზუსტებს, რომ ამ შემთხვევაში „აფხაზების“ ქვეშ იგულისხმებიან ქართველები /„he subjugated the Abkhaz (i.e. the Georgians)“/ (Minorsky, 1958: 67, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, რომლებიც იკვლევენ აღმოსავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით კავკასიის ისტორიულ წარსულს ასევე აღიარებენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იერსახეს. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი-კავკასიოლოგის, ანატოლი ნოვოსელცევის გამონათქვამები. მისი განმარტებით VIII ს. წარმოქმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც „თავდაპირველად მოიცავდა ძირითადად აფხაზეთით დასახლებულ ტერიტორიებს, IX ს. (ცენტრის დასავლეთ საქართველოში გადატანის შემდეგ), არსებითად გადაიქცა დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში“ (Константин Багрянородный, 1991: 401, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

არანაკლებ ინტერესს იწვევს კავკასიის კიდევ ერთი ცნობილი მკვლევრის ვლადიმირ კუზნეცოვის ხედვა. აღნიშნავს რა VIII ს. მიწურულს აღმოცენებული „აფხაზთა“ სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ფაქტს „დედაქალაქით ქუთაისში“ («со столицей в Кутаиси»), მიზანშეწონილად მიიჩნევს საგანგებოდ აღნიშნოს, რომ „აფხაზეთის სამეფოს ყველა ხალხის საერთო ენად იქცა ქართული ენა“ (Кузнецов, 2004: 16, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.). კიდევ უფრო

¹ „Akhsartan, I son of Gagik, was the name of the contemporary ruler of Kakhetia (1058-84), who was usually on bad terms with the king of Western Georgia (Abkhaz, as it was called by the Muslims, in view of the origin of the dynasty). At the time in question the "Abkhaz" ruler was the energetic Bagrat IV /1027-7/, son of Giorgi I /1041-27/“ (Minorsky, 1958: 67, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

საგნობრივად მსჯელობს „აფხაზთა“ სამეფოზე მეცნიერული კავკასიოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი *სერგეი არუთიუნოვი*. მისი დასკვნით: „**აფხაზეთი ყოველთვის იყო დასახლებული აფხაზებით, მაგრამ ქართველებითაც. ... იქ ქართველები ზოგჯერ მეტნი იყვნენ, ზოგჯერ ნაკლებნი, მაგრამ არასოდეს ყოფილა ისე, რომ იქ ეცხოვრათ მხოლოდ აფხაზებს, ან მხოლოდ ქართველებს. ასეთი რამ არ ყოფილა. ეს ხალხები ცხოვრობდნენ ერთად, მინიმუმ, ორი ათასწლეულის მანძილზე... საქართველოს ისტორიაში აფხაზები იგივეა, რაც რუსეთის ისტორიაში რუს-ვარიანები. და აფხაზეთის სამეფო იქცა ქართული მიწების შემკრებად...**“ (*Суть событий*, 2004, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

ზემოხსენებულ ავტორიტეტულ მეცნიერთა აქ მოყვანილ დასკვნებში, რასაკვირველია, ყველაფერი არ არის უკრიტიკოდ გასაზიარებელი. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაჯერებლად გამოიყურება მტკიცება იმის შესახებ, თითქოს „აფხაზთა“ სამეფო „თავდაპირველად“ (დინასტიის ქუთაისში გადაბარგებამდე) შეიძლება ყოფილიყო აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია, რომ მათ ოდნავადაც არ აეჭვებთ „აფხაზთა“ სამეფოს ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იერსახე. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, აფხაზი ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება საპირისპიროში. სხვადასხვა პუბლიკაციებში მუდმივად მიდის სპეკულაცია სამეფოს სახელწოდებით და გაუთვითცნობიერებელ მკითხველს აჯერებენ, რომ „აფხაზთა“ სამეფო თითქოს იყო წმინდა აფხაზური (თანამედროვე გაგებით) ეთნოპოლიტიკური გაერთიანება.

„აფხაზთა“ სამეფოზე, როგორც აფხაზურ-აფსუურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე პირველად 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ არენაზე მოსულმა აფხაზეთის „ეროვნული“ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. მათ შორის პირველთაგანი იყო 1917-1937 წლების სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზი მოღვაწე *მიხეილ თარნავა*, რომელმაც 1917 წელს გამოაქვეყნა ბროშურა აფხაზეთის „ეროვნული“ ეკლესიის ისტორიისა – „დამოუკიდებელი“ (ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისაგან) აფხაზეთის საეკლესიო ორგანიზაციის შექმნის ერთგვარი „მეცნიერული“ დასაბუთება (*Тарнава, 1917*). მასში ავტორმა „აფხაზთა“ სამეფო თანამედროვე აფხაზების წინაპრების მიერ შექმნილ სახელმწიფოდ გამოაცხადა. მისი მტკიცებით, „აფხაზეთის (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო – ზ.პ.) ძლიერება და აყვავება იწყებს დაქვეითებას მას მერე, რაც დასრულდა მისი დამოუკიდებელ მმართველთა მეფობა“ და „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე – ქუთაისში – ავიდა ბაგრატ უფლისწული, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, რომლის შემდეგაც თითქოს „აფხაზეთის ბედი დაუკავშირდა საქართველოს ბედს“ (*Тарнава, 1917: 9*, ხაზგასმა ავტორისა).

ამ ტენდენციამ შემდგომი გაგრძელება ჰპოვა XX ს. 20-30-იანი წლების აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის ცნობილ წარმომადგენელთა პუბლიკაციებში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ *სემიონ აშხაცვა*, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, „აფხაზეთის სამეფო“ (*Абхазское царство*) ერთნიშნად მიაჩნდა

აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ. მისი მტკიცებით, ამ სახელმწიფომ იარსება XV საუკუნემდე, როდესაც ერთიანი „აფხაზური სახელმწიფო“ მოიშალა და ის დაიყო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად; სამცხე-საათაბაგოს, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებად (Ашхацава, 1925: 21).

ამავე თვალსაზრისს ავითარებდნენ ცალკეული რუსი ისტორიკოსებიც, რომლებიც იმჟამად იკვლევდნენ აფხაზეთის ისტორიას. მათ შორის უნდა გამოვყოთ ზემოთნახსენები კონსტანტინე კუდრიავცევი, რომელიც VIII-X სს. „აფხაზთა“ სამეფოს ერთნიშნად აფსუა-აფხაზთა ეროვნულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად აცხადებდა. მისი მტკიცებით „თევდოსე II უსინათლოს დამხობის მომენტიდან აფხაზეთის ტახტი დაიკავა ახალმა არანაციონალურმა, უცხო დინასტიამ“ (Кудрявцев, 1922: 121-122, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). მეორე რუსი ისტორიკოსი ანატოლი ფადეევი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოხუმში, მართალია, ღიად არ საუბრობდა „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ „ეროვნულ“ პერიოდზე, თუმცა ბაგრატ III-ის ერთიან ქართულ სახელმწიფოს „სამოკავშირეო სახელმწიფოდ“ – «союзным государством» (ანუ აფხაზურ-ქართულ – ზ.პ.) აცხადებდა, ხოლო ბაგრატ მეფეს – ამ „სამოკავშირეო სამეფოს ხელმწიფედ“ («союзным государем») მოიხსენიებდა (Фадеев, 1934: 84, 86). აქედან ამკარად ჩანს, რომ საკუთრივ „ლეონიდების“ ეპოქის გაერთიანებას იგი მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა სახელმწიფოდ მოიაზრებდა. დაახლოებით იგივე შეხედულებას იზიარებდა აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია (Гулиа Д., 1925: 191-222).

მოგვიანებით, სამეცნიერო წრეებში და მათ შორის აფხაზ ისტორიკოსებშიც თითქოს არ იყო სადავო „აფხაზთა“ სამეფოს ქართული შინაარსი, რაც, პირველ რიგში, ზურაბ ანჩაბაძის დამსახურება იყო (Анчабадзе, 1959: 95-158). მან ერთმნიშვნელოვნად აღიარა „აფხაზთა“ სამეფო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (აფხაზეთის ავტონომიური, 1981: 313; Абхазская Автономная: 324), რომლის „კულტურული და საეკლესიო პოლიტიკა... ისევე როგორც სოციალური და სახელმწიფო პოლიტიკა ნაკარნახევი იყო საერთოქართული ინტერესებით“ (Анчабадзе, 1959: 153, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). პრინციპში, იმავე თვალსაზრისს ავითარებდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და ეთნოლოგი შალვა ინალ-იფა, რომელიც თვლიდა, რომ „აფხაზთა“ სამეფო (დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგ) „არსებითად გადაიქცა ქართულ სახელმწიფოდ“, რომლის ტერიტორიას ძირითადად ქართული მიწები, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი ტომები შეადგენდნენ, თვით სახელმწიფო კი საერთოქართულ პოლიტიკას ატარებდა.¹

¹ „Абхазское царство... вскоре после своего образования... превратилось по существу в грузинское государство по своей основной территории, составу преобладающего населения... и осуществлявшейся... общегрузинской политике» (Инал-ица, 1976: 403, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ მითითე-

მიუხედავად ამისა, აფხაზეთში დრო და დრო ქვეყნდებოდა ნაშრომები, რომელშიც VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო წარმოდგენილი იყო, როგორც აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება (**Хонелия, 1967a; Хонелия, 1967b**). „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ-ეროვნული იერსახის პროპაგანდას ეწეოდა ვადიმ კოჟინოვი, რომელიც მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ „აფხაზთა“ სამეფოში საეკლესიო ღვთისმსახურება და სახელმწიფო მართვა-გამგეობა აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა (**Кожинов, 1977: 256**) გიორგი ტურჩანინოვის მიერ „გამიფრული“ აფხაზური დამწერლობის მეშვეობით. ყოვლისმცოდნე ვ. კოჟინოვის „აღმოჩენებიდან“ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ „**1931 წლამდე აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი. არასოდეს თავისი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. მაგრამ იყო დრო, როდესაც საქართველოს ნაწილი შედიოდა აფხაზეთის სამეფოში**“ (**Кожинов, 1993, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.**).

XX ს. 80-იანი წლების II ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 1988 წლიდან, სეპარატისტული მოძრაობის მორიგი აღმავლობის ფონზე, აფხაზმა მეცნიერებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს მტკიცება „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზ-აფსურული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კუთვნილების შესახებ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მიხეილ გუნბასა (**Гунба, 1989: 232-249**) და ალექსი პაპასკირის (**Папаскири А., 1988: 114-129**) პუბლიკაციებში. იგივე თვალსაზრისს ავითარებდა არაერთხელ ნახსენები არქეოლოგი იური ვორონოვი, რომლის „შემოქმედებაში“ ამ დროისათვის საბოლოოდ წაიშალა ზღვარი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის და იგი მთლიანად ჩადგა აფხაზურ-სეპარატისტულ მოძრაობის სამსახურში. გარდა იმისა, რომ ის უკიდურესად ტენდენციურად აშუქებდა ძველი და შუა საუკუნეების ხანის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკითხებს – მათ შორის, „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას – უხეშ ფაქტოლოგიურ შეცდომებსაც უშვებდა. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ფაქტი – მან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე – ბაგრატ III „**სამხრეთ საქართველოს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი**“, არც მეტი არც ნაკლები, **საკუთარ დედაზე – გურანდუხტზე „აფხაზეთის ტახტის მემკვიდრეზე“** დააქორწინა /„**В конце X века наследница абхазского престола Гурандухт вышла замуж за Баграта III – представителя рода южногрузинских Багратидов**“/ (**Воронов Ю., 1993: 28, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.**).

აფხაზ მკვლევართა „მონაპოვრები“ „აფხაზთა“ სამეფოს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი იერსახის „შესწავლაში“ ერთგვარად შეჯამდა 1991 წელს სოხუმში გამოცემულ ე.წ. **აფხაზეთის ისტორიის „დამხმარე სახელმძღვანელოში“**, (**История Абхазии, 1991: 68-88**). მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ ქვეთავის ავტორი ი. ვორონოვი ყოველნაირად შეეცადა დაემალა აღნიშ-

ბული ნაშრომის მეორე, გადამუშავებულ გამოცემაში, რომელიც გამოვიდა მეცნიერის გარდაცვალებიდან (1995 წ.) 15 წლის შემდეგ – უკვე „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში, ეს პასაჟი ამოღებულია (იხ.: **Инал-ипа, 2011**).

ნული გაერთიანების ქართული შინაარსი, იგი ძალაუნებურად იძულებული გახდა ეღიარებინა ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთობა და მათი თანაარსებობა საერთო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში. მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში ი. ვორონოვი ვერ გაექცა ქართველი ლიდერების წამყვანი როლის წარმოჩენასაც. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან კონსტატაცია (*ჯუანშურ ჯუანშურიანის თხზულების ცნობაზე დაყრდნობით*), ანაკოფიასთან („აფხაზეთის ერისთავ“ ლეონის რეზიდენცია) არაბი სარდლის *მურვან იბნ-მუჰამედის* (იგივე მურვან „ყრუ“) წინააღმდეგ მებრძოლ ქართულეთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის სათავეში, ქართლის „მეფეთა“ – *შირისა და არჩილის* ყოფნის ფაქტისა (**История Абхазии, 1991: 70**). სხვა ადგილას ი. ვორონოვი ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიის როლზე დასავლეთ საქართველოში ლეონ I-ის პოზიციის განმტკიცებაში და აღნიშნავს, რომ იმპერია ხელს უწყობდა „ქართლის მეფის შირის კუთვნილი სამეფო ღირსების ნიშნების ლეონ I-ისთვის გადაცემას“ (**История Абхазии, 1991: 74**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ი. ვორონოვისთვის ემტკიცებინა, რომ ლეონ II-ის მოქმედებები, რომლებიც, „განიხილება რაღაც საერთოქართული პოლიტიკის გამოვლინებად“, სინამდვილეში მიმართული იყო საკუთარი სამფლობელოების გაფართოებისათვის „რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ფეოდალური დესპოტიკისთვის“. „ამასთან, – ასკვნის ავტორი, – განუწყვეტლივ მიმდინარე“ ბრძოლა და მეტოქეობა „**მეზობელ სამეფოებთან და სამთავროებთან ქართლის დაუფლებისათვის... ობიექტურად... დროთა განმავლობაში დასრულდა ყველა ქართის ენოვანი (ქართველი) ტომების გაერთიანებით და აფხაზეთის სამეფომ ამ პროცესში ... პოზიტიური როლი შეასრულა**“ (**История Абхазии, 1991: 76**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

ცოტა ქვემოთ აღნიშნულია, რომ „X ს. მიწურულისათვის **აფხაზეთის სამეფოს ადმოსავლური პოლიტიკა**, რომელსაც ობიექტურად მიჰყავდა (ქვეყანა) დასავლეთ და ცენტრალური ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანებამდე, დასრულდა ახალი სახელმწიფოს: „**აფხაზთა და ქართველთა სამეფოს**“ – მოგვიანებით ცნობილი, როგორც **ერთიანი ქართული სამეფო**“ – შექმნით (**История Абхазии, 1991: 89**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). „975-978 წლების მოვლენები, – აგრძელებს ი. ვორონოვი, – განხილულ უნდა იქნას, ერთი მხრივ, როგორც წარმატება მეზობელი ტერიტორიების მიტაცებისა და აფხაზეთის სამეფოს გაძლიერების საქმეში, ხოლო მეორე მხრივ – როგორც **პირველი ნაბიჯები თვისობრივად ახალი ფეოდალური სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ქართული**“ (**История Абхазии, 1991: 89**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

რამდენადმე დაბნეული იმის კონსტანტაციით, რომ „აფხაზთა“ სამეფო მაინც ტრანსფორმირდებოდა ქართულ სახელმწიფოდ, ი. ვორონოვი ყოველნაირად ცდილობს „გადაფაროს“ ეს შემდეგი განცხადებით: „აფხაზეთის მეფეები, აფართოებდნენ რა ზოგჯერ ძალით, ზოგჯერ ინტრიგებით საკუთარი სამფლობელოების საზღვრებს, პირველ რიგში **ზრუნავდნენ თავიანთ კეთილდღეობაზე და**

ძლიერებაზე. მათ არ აღელვებდათ ნაციონალური (თანამედროვე გაგებით) პრიორიტეტის საკითხი, ხოლო შესაბამისი მომენტები (ოფიციალური დოკუმენტების ენა, საეკლესიო დაქვემდებარება, არქიტექტურული სკოლები და ა.შ.) – როგორც რეალური ცხოვრების გამოვლინებანი... გამომდინარეობდა კონკრეტული სიტუაციიდან“ (История Абхазии, 1991: 90, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

ამრიგად, გამოდის, რომ ლეონ II-სა და მისი მემკვიდრეების აშკარად გამოკვეთილი ქართული პოლიტიკა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში, საეკლესიო პოლიტიკასა და ა. შ. (ი. ვორონოვის მიერ უნებლიედ აღიარებული) იყო არა „ნაციონალური პრიორიტეტი“, არამედ მხოლოდ **„რეალური ცხოვრების გამოვლინება“**. და ეს მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში ქვეყნის განვითარებას „ბიზანტიური კულტურულ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებში“, რატომღაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია არა მარტო აბაზგიისა და აფსილიისათვის, არამედ „აფხაზთა“ სამეფოსთვისაც. „რომ არ ყოფილიყო VIII-X საუკუნეებში პოლიტიკურად დამოუკიდებელი, მაგრამ ქრისტიანული, ამასთან, უკვე ბიზანტიზირებული აფხაზეთის სამეფო, – წერს „სახელმძღვანელოს“ ავტორი, – XI-XII საუკუნეებში ვერ წარმოიქმნებოდა ამჟამად საერთოქართული სამყაროს სახელით ცნობილი... კულტურულ-ისტორიული ერთობა“ (История Абхазии, 1991: 90, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

თუ ბიზანტიის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა აბაზგიაზე და აფსილიაზე სრულიად აშკარა იყო, იგივეს ვერ ვიტყვით „აფხაზთა“ სამეფოზე. „აფხაზი“ მეფეების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გულისხმობდა ბიზანტიისაგან არამხოლოდ პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას (რაც მიღწეულ იქნა VIII ს. მიწურულს), არამედ იმპერიის კულტურულ-იდეოლოგიური სივრციდან გამოსვლასაც, რომელიც, რა თქმა უნდა, დრო და დრო არ გამორიცხავდა თანასწორ პარტნიორულ ურთიერთობას ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის (პაპასქირი, 1999b: 325-335; პაპასქირი, 2009: 184-195).

აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ სეპარატისტების გაზრდილ ამბიციებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ „ლეონიდების“ სამეფოს გამოცხადება აფხაზურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად და, არც მეტი არც ნაკლები, მას XI-XII საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოც მიაყოლეს. ამ ახალი თვალსაზრისით „აფხაზთა“ სამეფო – აფსუა-აფხაზეთის ეროვნული სახელმწიფო არსებობდა 1259 წლამდე. მოცემული შეხედულება მკვიდრდება ბოლო დროს გამოცემულ მთელ რიგ პუბლიკაციებში, მათ შორის, სერგეი შამბას სტატიებში, რომლებშიც ავტორი თვლის, რომ ლეონ II-ის მიერ შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო მხოლოდ აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო, რომელშიც VIII-XIII საუკუნეებში დომინირებდა აფხაზური მოსახლეობა (Шамба С., 1999: 253-266). ს. შამბას ინსინუაციები ამით არ მთავრდება. აღნიშნავს რა, რომ „978 წელს აფხაზეთის მეფეთა გვირგვინი დედის ხაზით გადავიდა“ ბაგრატ უფლისწულზე, ამ უკანასკნელს მოიხსენიებს როგორც „ბაგრატუნთა სომხური საგვარეულოს სამხრეთ საქართველოს შტოს“ წარმომადგენელს (Шамба

C., 1999: ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამასთან, ს. შამბა სხვა პუბლიკაციაში იძულებულია აღიაროს, რომ „აფხაზთა“ სამეფო – „იმ დროისათვის უძლიერესი სახელმწიფო“, რომელიც „VIII საუკუნეში შექმნა აფხაზმა ხალხმა... XI საუკუნეში, დინასტიური ქორწინებების შედეგად ტრანსფორმირდა ქართულ სამეფოდ, რომელმაც იარსება XIII საუკუნემდე“ (Шамба С., 2005, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) მაგრამ ყველაზე აგრესიულად „აფხაზთა“ სამეფოს, როგორც აფხაზთა „ნაციონალური სახელმწიფოს“ – არსებობაზე 1259 წლამდე საუბრობს ერმოლაი აჯინჯალი (Аджинджал, 1996: 12; Аджинджал, 2014: 16-17).

შამბას გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის, სეპარატისტული აფხაზეთის ყოფილი „პრემიერ მინისტრის“ ძმის – სპეციალობით იურისტის, ტარას შამბას მტკიცებით, აფხაზეთის „სახელმწიფო (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო – ზ.პ.) აფხაზებმა შექმნეს დამოუკიდებლად თავიანთ ძირძველ მიწაზე და ორი საუკუნის მანძილზე აფხაზეთის სახელმწიფო იყო უძლიერესი მეზობლებს შორის“ (Шамба Т., Непрошин, 2004, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). რაც შეეხება „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოებს, მისი სახელწოდება „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ («Абхазо-Картвельское царство»), ტ. შამბას და მისი იდეური თანამებრძოლისა და თანაავტორის, რუსული მოვიწინსტური კორპუსის ერთ-ერთი წარმომადგენლის, მანამდე უცნობი ეთნოპოლიტოლოგის ვინმე ალექსანდრე ნეპროშინის აზრით, „ფაქტობრივად, პირობითია, რადგანაც მის მმართველობაში მოსული ბაგრატ III იყო არა ქართველი, არამედ სომხური (კიდევ ადრე სპარსული) საგვარეულოს წარმომადგენელი ტაო-კლარჯეთიდან, რომლის დედაც იყო აფხაზი, ანუ არაფერი ჰქონდა საერთო ქართველურ ტომებთან“ (Шамба Т., Непрошин, 2004, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

შამბა-ნეპროშინის ტანდემი კიდევ უფრო შორს მიდის. მათი მტკიცებით, „რეგიონის ისტორიაში დადასტურებულია აფხაზეთის სამეფოს არსებობა VIII-X საუკუნეებში და აფხაზთა და ქართველთა სამეფოს არსებობა XIII ს. დამდეგამდე. აფხაზეთი ამ ცნობებზე დაყრდნობით აცხადებს პრეტენზიას საკუთარ სუვერენიტეტზე, მაგრამ საქართველო ამ სამეფოს განიხილავს, როგორც ქართულ სახელმწიფოს (?), რომელშიც გაბატონებული იყო ქართული ენა და კულტურა“ (Шамба Т., Непрошин, 2004; Шамба Т., Непрошин, 2004a). არადა, თურმე „აფხაზურ ვერსიას“, ადასტურებენ „აფხაზთა მეფეთა დივანი“, „ქართლის ცხოვრება“, შუა საუკუნეების აფხაზეთის სამეფოს ისტორიკოსთა შრომა“ (Шамба Т., Непрошин, 2004; Шамба Т., Непрошин, 2004a, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამასთან, „აფხაზეთი არასდროს არ თვლიდა თავს საქართველოდ, უფრო ამიერკავკასიის სამთავროები, მათ შორის ქართლი და კახეთი უნდა ჩაითვალოს აფხაზეთის ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ კუთვნილებად“ (Шамба Т., Непрошин, 2004). ე.ი., „აფხაზ მეფეთა დივანი“ და „ქართლის ცხოვრება“ გამოცხადებულია „აფხაზთა“ სამეფოს, შამბა-ნეპროშინის გაგებით – აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს წერილობით ძეგლებად ქართლი და კახეთი კი – ამიერკავკასიის და არა ქართულ სამთავროებად.

უფრო მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართველთა „მტკიცებებს საქართველოს არსებობის შესახებ 26 საუკუნის განმავლობაში“, არაფერი არ ჰქონია „საერთო

ისტორიულ სინამდვილესთან...“, რადგან თურმე „1918 წლის მაისამდე სახელმწიფო „საქართველო“, როგორც მისი ტერიტორია“ უბრალოდ „არ არსებობდა...“ (Шамба Т., Непрошин, 2004). და ეს მაშინ, როცა საკუთრივ, „აფხაზეთი VIII-XI საუკუნეებში და მოგვიანებითაც XVIII საუკუნემდე იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო“, რომელიც „VIII-XIII საუკუნეებში და გვიანაც, XVIII საუკუნემდე, პრაქტიკულად მთელ ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა, ამ ტერიტორიებზე არსებული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ჩათვლით. ქართველ პოლიტიკოსთა მითითებები იმის თაობაზე, რომ ყველა ეს ტერიტორია ეკუთვნოდა საქართველოს – სრული უაზრობაა, რადგან ასეთი სახელმწიფო 1918 წლის 26 მაისამდე არ არსებობდა“ (Шамба Т., Непрошин, 2004a, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

რა თქმა უნდა, სრულიად უაზროა ისტორიული მეცნიერებისაგან ასე შორს მდგარი „ექსპერტების“ ამ აბსურდული დასკვნების კომენტირება. მაგრამ ამ ტიპის „აღმოჩენები“ ზოგჯერ ჩნდება პროფესიონალ ისტორიკოსთა პუბლიკაციებშიც. ასე, მაგალითად, ზემოთნახსენები მიხეილ გუნბა უაპელაციოდ აცხადებს, რომ აფხაზეთმა შექმნეს „ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი ძლიერი აფხაზეთის სამეფო“ და იქიდან გამომდინარე, რომ „ქართველების ჩასახლებას აფხაზეთში“ ადგილი ჰქონდა მხოლოდ XIX ს. მიწურულიდან და „ძირითადად მიმდინარეობდა XX საუკუნეში“ „საქართველოს „მთლიანობის“ შენარჩუნებასთან აფხაზეთს არაფერი აკავშირებს“ (Гунба, 2000: 89, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). VIII-X საუკუნეების „აფხაზეთა“ სამეფო აფხაზურ სახელმწიფოდ მიაჩნია ირინე აგრბას (Арба, 2011: 82-87). გურამ გუმბას აზრით, „აფხაზეთა“ სამეფო VIII-X საუკუნეებში იყო მხოლოდ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, მაშინ როცა გაერთიანებული საქართველოს სამეფო XI-XV საუკუნეებში თურმე იყო არა საქართველო, არამედ მხოლოდ „ამიერკავკასიის ხალხების ფედერაციული სახელმწიფო“ (Гумба, 1994: 4-5). ტენდენციურადაა გაშუქებული „აფხაზეთა“ სამეფოს ისტორია სოხუმში გამოცემულ აფხაზეთის ისტორიის „სახელმძღვანელოში“ (Бгажба О., Лакоба С., 2015: 140-163).

„აფხაზეთა“ სამეფოს აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ წარმოჩენის ტრადიციას წარმატებით აგრძელებენ ახალი თაობის ისტორიკოსები. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდის პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ნაალა კასლანძიას (Касландзия, 2017. გამომხაურება აღნიშნულ ნაშრომზე – Хоравა, 2021: 8-19) და ომარ მაანის (Маан, 2020) მონოგრაფიები, რომლებშიც, მიუხედავად ავტორთა მცდელობისა მაქსიმალურად მოიცვან პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა,¹ რაიმე სერიოზული სიახლეს არგუმენტაციის კუთხით

¹ ეს, პირველ რიგში, უნდა ო. მაანის ნაშრომს. ის თითქოს მეტ-ნაკლებად იცნობს ქართულენოვან პუბლიკაციებს, რასაც ვერ ვიტყვით ნ. კასლანძიასზე, რომელსაც ძალზე ზერელე წარმოდგენა აქვს უახლეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ნ. კასლანძიას სტატია გურანდუხტ დედოფალზე (Касландзия, 2018: 41-48), რომელშიც ის ამჟღავნებს აღნიშნულ საკითხზე ქართული მასალების სრულ უცოდინრობას.

არ შეიცავენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს მკვლევრები ასევე ვერ ახერხებენ გამოვიდნენ *აშხაცვა-ინალ-იფას* „სააზროვნო ველიდან“ და თავი დაადნონ ნაციონალისტურ-სეპარატისტული კონიუნქტურის მარწუხებს. კერძოდ ეს ვლინდება იმაში, რომ ისინი ბრმად მიჰყვებიან ყალბი ავტორიტეტების „ნააზრების“ აფხაზეთის ისტორიის ნაციონალისტური ხედვის გასამყარებლად გაუაზრებლად გამოყენების ნაცად პრაქტიკას.

ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც „აფხაზთა“ სამეფოს – აფხაზური „ნაციონალური სახელმწიფოს“ წარმოსაჩენად *ო. მაანის* მიერ მოტანილი (**Маан, 2020: 233**) ცნობილი რუსი (წარმოშობით ოსი) მეცნიერი-კავკასიოლოგის *ვლადიმირ დეგოვის* შეფასება „აფხაზთა“ სამეფოზე, როგორც „ძლიერ, მდიდარ, **დამოუკიდებელ** სახელმწიფოზე“ (**Дегоев, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ. ჰ.**). სამწუხაროა, რომ ამ „ავტორიტეტული აზრის“ მოშველიებით *ო. მაანი* უბრალოდ სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს, რადგან, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სრულ უვიცობასთან რუსი მეცნიერის მხრიდან. ვ. დეგოვი, რომელიც ნამდვილად არის XVIII-XIX საუკუნეების კავკასიის ისტორიის საკმაოდ კომპეტენტური მკვლევარი, როგორც ირკვევა, ძალზე ზერელე წარმოდგენისაა ადრეულ ეპოქებზე. ამის დასტურია ვ. დეგოვის სტატიის სწორედ აღნიშნული პასაჟი (საიდანაც *ო. მაანი* მხოლოდ მისთვის სასურველი ნაწილი მოაქვს), რომელშიც ავტორი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას ასრულებს 1089 წლით – დავით აღმაშენებლის გამეფებით. უვიცობის მწვერვალი კი ისაა, რომ ვ. დეგოვის „ავტორიტეტული აზრით“, დავით აღმაშენებელს თურმე (1089 წელს – გამეფებისთანავე?) „დაუპყრია აფხაზეთი“ (**Дегоев, 2011**).

ანუ გამოდის, რომ „აფხაზთა“ სამეფოს სატახტო ქალაქ ქუთაისში, რომლის სახელწოდების წარმომავლობასაც *ო. მაანი* და აფხაზ მკვლევართა ნაწილი – *ნ. მარზე* დაყრდნობით¹ – საერთოდ აფხაზურ ეთნიკურ სამყაროში ეძიებს (**Маан, 2020: 56; Кварчия, 2015: 83, 147, 190, 441-442**), დაბადებულ და გაზრდილ „აფხაზთა“ მეფე დავით IV აღმაშენებელს „დაუპყრია“ საკუთარი ქვეყანა – „აფხაზეთი“. ყველაზე სავალალო ისაა, რომ ამ აბსურდს ვერ ამჩნევს თვით *ო. მაანი*. არადა, ვ. დეგოვის ეს „მიგნება“ მთლიანად ეწინააღმდეგება მისი და სხვა აფხაზ მეცნიერთა (*მიხეილ გუნბა, ოლეგ ბლაჟბა, ალექსი ჰაპასქირი, ვალერი კვარჭია* და ა.შ.) მიტებს „აფხაზი“ მეფეების მიერ ეგრისისა და სხვა ქართული ტერიტორიების მიმართ განხორციელებულ თითქმის პერმანენტულ სამხედრო ექსპანსიაზე, რომლის შედეგადაც დავით აღმაშენებლისა და თამარის – ასევე „აფხაზი“ მეფეების – ეპოქაში შეიქმნა არა ერთიანი საქართველო, არამედ „მრავალეროვანი აფხაზეთის სახელმწიფო“.

¹ *ნიკო მარი* ტოპონიმ „ქუთაისის“ ფუძედ მიიჩნევდა „ქუთა“/„კუტა“-ს, რომელსაც უკავშირებდა აფხაზურ სიტყვას „ქუთა-ა-ქითა“, რაც ნიშნავს სოფელს /„акыта“-«селение»/ (**Март, 1938a: 73**). ამ დასკვნაზე დაყრდნობით, *დიმიტრი გულია* ღიად საუბრობდა ოდესღაც ქუთაისის მიდამოებში აფხაზურ-ჩერქეზულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრებაზე (**Гулиа Д., 1925: 64**).

ასეთია, მთლიანობაში, „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის აფხაზური (სეპარატისტული) ხედვა. როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული ავტორები ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ მთელი სამყარო იმაში, რომ VIII ს. ბოლოს ლეონ II-ის მიერ შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც მინიმუმ ორი საუკუნის განმავლობაში (ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებამდე) წარმოადგენდა მხოლოდ აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სხვა პუბლიკაციების მოყვანაც, რომელშიც ტირაჟირებულია მოცემული თვალსაზრისი, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტიანილი მასალა სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად თუ რა ისტორიოგრაფიულ ბურანში ამყოფებენ დღეს აფხაზურ საზოგადოებას.

ამ საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფიული შესავლის შემდეგ შევეცდებით გავცეთ მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხი კითხვას – რატომაა VIII ს. მიწურულს წარმოქმნილი „აფხაზთა“ სამეფოს სახელით ცნობილი პოლიტიკური ერთეული, არა საკუთრივ აფსუა-აფხაზთა „ნაციონალური სახელმწიფო“, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. მაგრამ თავდაპირველად მიმოვიხილოთ პოლიტიკური პროცესები, რომლებმაც განაპირობეს დასავლეთ საქართველოში – ყოფილი ლაზიკა-ეგრისის ტერიტორიაზე – „აფხაზეთის ერისთავის“ ჰეგემონობით ახალი სუვერენული პოლიტიკური ერთეულის შექმნა.

VI ს. 40-50-იან წლებში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ოცწლიანმა სამხედრო დაპირისპირებამ დასავლეთ საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, წელში გატეხა ეგრისის სამეფო, რომელმაც თანდათანობით დაკარგა კონტროლი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებზე. VII ს. მთელ მანძილზე ბიზანტიის იმპერია სულ უფრო აძლიერებდა თავის პოლიტიკურ ზეწოლას ლაზიკა-ეგრისის ცენტრალურ ხელისუფლებას. ამის დადასტურებად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ VII ს. შუა ხანებისათვის ეგრისში უკვე არ ჩანს სამეფო ხელისუფლება და, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მართავს პატრიკიოზის ბიზანტიური ტიტულის მატარებელი ადგილობრივი დინასტია (**თეოდოსი, 1941: 50**). ყოველივე ამან, როგორც ჩანს, უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა ბიზანტიასთან.

კონფრონტაციამ განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი VII ს. მიწურულიდან. ბიზანტიელი ავტორის *თეოფანე ქამთააღმწერლის* ცნობით, 697 წ. ახლო ხანებში ლაზიკის პატრიკიოზმა *სერგი ბარნუკის ძემ* უარი თქვა კონსტანტინოპოლის მორჩილებაზე და თავისი ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა (**თეოფანე, 1941: 105**). VIII ს. დამდეგს კი არაბებმა ფეხი მოიკიდეს ლაზიკა-ეგრისის განაპირა მხარეებშიც, კერძოდ, მათი გარნიზონები ჩადგნენ კოდორის ხეობის ციხეებში (**Анчабадзе, 1959: 66-67**). სახალიფოს უზენაესობა ცნო აბაზგიამაც¹ (**თეოფანე, 1941: 107; Анча-**

¹ აღსანიშნავია, რომ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი ნამდვილად იყო თუ არა აბაზგია-აფხაზეთი მოქცეული არაბთა გავლენის ქვეშ. მაგ., ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე *მარიუს კანარი*, ალანიაში *ლეონ ისავრიელის* ყოფნის შესახებ *თეოფანე ქამთააღმწერლის* ცნობის კომენტარებისას, საუბრობდა მხოლოდ ლაზიკის მხ-

ბადზე, 1959: 89-90; **Богверадзе, 1988:** 174). ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ ოპერატიულად მოახდინა რეაგირება ლაზიკის პატრიკიოზის დემარშზე და გადადგა საპასუხო დიპლომატიური ნაბიჯები დასავლეთ საქართველოში შერყეული პოზიციების აღსადგენად. იმპერიის მესვეურებმა „ღალატისათვის“ ლაზთა და აბაზგთა სამაგალითო დასჯა გადაწყვიტეს. ამ მიზნით კონსტანტინოპოლმა საგანგებო დიპლომატიური მისიით კავკასიაში მოავლინა მაღალი რანგის მოხელე (სპათარი), ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე (მომავალი იმპერატორი), მოქნილი დიპლომატი *ლეონ ისავრიელი*, რომელსაც ალანთა მოსყიდვა და მათი აბაზგ-ლაზების წინააღმდეგ ამხედრება დაევალა (**თეოფანე, 1941:** 106-107). ლეონ ისავრიელის ვოიაჟმა კავკასიაში ძირითადად მიაღწია დასახულ მიზანს და ბიზანტიის იმპერიამ VIII ს. 10-იანი წლების დამდეგისათვის, ჩამოაცილა რა ლაზიკა-ეგრისს აბაზგია და აფშილეთი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ შეძლო თავისი გავლენის აღდგენა დასავლეთ საქართველოში (**პაპასქირი, 2008:** 439-447).

კონსტანტინოპოლის ამგვარმა რევანშმა უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის. ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირე და სატელიტი იყო ხაზართა ხაკანათი, რომელსაც, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესები გააჩნდა კავკასიაში. კონფრონტაციაში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ქართლის ერისმთავრის სახლი. VIII ს. 20-იან წლების მიწურულს სახალიფოს მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის ახალმა გამგებელმა *ჯარაჰ იბნ-აბდალაჰმა* განაახლა ე.წ. „დაცვის სიგელი“, რომლის თანახმადაც, ქართლის მოსახლეობას ახალი ვალდებულებები დაეკისრა (**სილაგაძე, 1991:** 75-85). ამან უკიდურესად დაძაბა ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში.

VIII ს. 20-30-იანი წლები აღინიშნა ბიზანტია-არაბების კონფრონტაციის შემდგომი ესკალაციით. ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის მთავარი მოკავშირე იყო ხაზართა ხაკანათი. სამხრეთ კავკასიაში ანტიარაბული ბლოკის მთავარ დასაყრდენად იქცა ქართლის ერისმთავრის *სტეფანოზის* სახლი. ცნობილია, რომ სწორედ ქართლის ერისმთავრის (არაბული წყაროთი – „მალიქის“) უშუალო ინიციატივით 730 წლის ახლო ხანებში მოეწყო ხაზართა მასშტაბური ლაშქრობა ამიერკავკასიაში ხაკანის ვაჟის – *ბარჯიკის* სარდლობით, რომელმაც *არდებილთან* გამანადგურებელი დარტყმა აგემა არაბთა მრისხანე სარდალს, ქართლის არაერთხელ დამლაშქრავს – *ჯარაჰ იბნ-აბდალაჰს* (ეს უკანასკნელი დაიღუპა კიდეც ამ ბრძოლაში). არაბთა ძლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია „ქართველთა მა-

რიდან არაბთა ბატონობის აღიარებაზე იმპერატორ *ლეონტის* (695-698) მმართველობის პერიოდში, რაც შეეხება აბაზგებსა და აფშილებს, მეცნიერის აზრით, ისინი უბრალოდ განუდგნენ ბიზანტიის იმპერიას (**Canard, 1971:** 354; **Чичуров, 1980:** 137). არაბთა ყოფნას აბაზგია-აფხაზეთში კატეგორიულად უარყოფს ს. ზეტეიშვილი (**Зетейшвили, 1976:** 85). მათგან განსხვავებით ი. ჩიჩუროვს სრულიად დამაჯერებლად მიაჩნია თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობა და ასევე თვლის, რომ აბაზგია-აფხაზეთი აღიარებდა არაბთა უზენაესობას (**Чичуров, 1980:** 137).

ლიქს“, რომელიც თავისი „ჭკვიანური რჩევებით“ დიდად დახმარებია ხაზართა სარდალს (Артамонов, 1962: 213; სილაგაძე, 1991: 85).

ბიზანტიის იმპერიამ, რომელიც არაბთა სახალიფო-ხაზარეთის დაპირისპირებისას აშკარად ხაზარებს უმაგრებდა ზურგს (Новосельцев, 1990: 178), თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქართლის მმართველი დინასტიის მზარდი ავტორიტეტი და, როგორც ჩანს, აქტიურად დაუჭირა მხარი მის შემდგომ აღზევებას სრულიად საქართველოს მასშტაბით. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი (მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის გამოკლებით) ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების ქვეშ მოექცა. ეს უნდა მომხდარიყო ბიზანტიის იმპერიის აქტიური დიპლომატიური მხარდაჭერით.¹ ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ამით ერთგვარად შური იძია „მოღალატე“ სერგი ბარნუკის ძის საგვარეულოზე და დასავლეთ საქართველოში მისთვის სასურველი რეჟიმი დაამყარა. ამის ირიბი დამოწმება უნდა იყოს ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ დაფიქსირებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა, რომლის მიხედვითაც ამ პერიოდში (VIII ს. 30-იანი წლების შუა ხანები) დასავლეთ საქართველოში არ ჩანს ადგილობრივი დინასტი² და ლაზიკა-ეგრისის ქართლის სახელმწიფოს ნაწილად განიხილება.³

¹ აღსანიშნავია, რომ მოვლენების ამგვარ განვითარებას აღიარებს ბოლო პერიოდში საქართველოს თემატიკაზე საკმაოდ ნაყოფიერად მომუშავე რუსი ისტორიკოსი ანატოლი ვინოგრადოვიც, რომელიც ასკვნის, რომ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ ეგრისის გადასცა ქართლის ერისმთავრს სტეფანოზ III-ს, თუმცა მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 711 წლის ახლო ხანებში (Виноградов, 2013: 164).

² ნაკლა კასლანდია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ ამ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში ნამდვილად არ ფიქსირდება არავითარი ადგილობრივი (ლაზი) ხელისუფალი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, იგონებს ვერსიას იმპერიის მიერ ლაზიკა-ეგრისში „მოღალატე“ სერგი ბარნუკის ძის ნაცვლად ძალაუფლების „ბარნუკიდების მმართველი სახლის“ რომელიმე სხვა (ბიზანტიის მომხრე) წარმომადგენლისათვის გადაცემის თაობაზე (Касландзия, 2017: 78-79).

³ ისტორიოგრაფიაში სულ უფრო პოპულარული ხდება აზრი იმის შესახებ, რომ ჯუანშერის ქრონიკაში დაფიქსირებული ქართლი-ეგრისის ერთიანობა და სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის ეგიდით საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნა ახლოს უნდა იყოს ისტორიულ რეალობასთან (ამის შესახებ ბერძენიშვილი, 1990: 270, 579; ალექსიძე ზ., 1967: 173, 181-186; აბრამიშვილი, 1977: 36-37; ბოგვერაძე, 1979: 98-100; მუსხელიშვილი, 1980: 76-77; მუსხელიშვილი, 2003: 376-383; Папуашвили, 1985: 64-65; პაპასქირი, 2008: 450-452; პაპასქირი, 2016b: 183-185). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოზე ქართლის ერისმთავართა სახლის ძალაუფლების გავრცელების ამ საკმაოდ დამაჯერებელ ვერსიას არ ეთანხმება ზემოთნახსენები აფხაზი ისტორიკოსი ნ. კასლანდია, თუმცა მას თავისი ეჭვების გასამყარებლად მეტად უსუსური არგუმენტი მოჰყავს, კერძოდ, ის გარემოება, რომ ქართლი იმ დროს არ იყო დამოუკიდებელი ერთეული – ის „შედიოდა“ არაბული პროვინცია „არმინიის“ შემადგენლობაში (Касландзия, 2017: 77-78). არადა, აფხაზ მკვლევარს (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე სუსტად იცნობს ქართულ ისტორიოგრაფიას, მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რუსულენოვან პუბლიკაციებსაც) ავიწყდება, მის მიერვე დაფიქ-

ამრიგად, VIII ს. 30-იან წლებისათვის აშკარად გამოიკვეთა ბიზანტია-ქართლის ერისმთავართა ალიანსი, რომელიც, პირველ რიგში, მიმართული იყო არაბთა სახალიფოს მხარდამჭერი ძალების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. მეტიც, ამ დროს, სავსებით დასაშვებია, რომ ბიზანტიამ და ქართლმა მოახდინეს ლაზიკა-ეგრისის ერთგვარი გადანაწილება. კონსტანტინოპოლმა „დააკმაყოფილა“ აბაზგია-აფხაზეთის ლიდერთა სწრაფვა, ჩამოშორებოდნენ ლაზიკა-ეგრისს და თავისთვის დაიტოვა ეს მხარე (მდ. კელასურამდე), ხოლო ლაზიკის დანარჩენ ნაწილში ქართლის ერისმთავრის მფლობელობა სცნო. ამით ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვა ლაზიკა-ეგრისის, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივი გაერთიანების, არსებობას. ეგრისის დიდი ნაწილის ქართლისათვის მიერთებითა და ბიზანტიის ერთგული ქართლი-ეგრისის ერთიანი სახელმწიფოს შექმნით იმპერია იურიდიულად განავრცობდა თავისი გავლენის სფეროებს და ფაქტობრივად ცდილობდა იმ ვითარების აღდგენას, რომელიც შეიქმნა 628 წელს – ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის აღების შემდეგ.

არაბთა სახალიფო, ბუნებრივია, ასე იოლად ვერ დათმობდა თავის პოზიციებს საქართველო-კავკასიაში. VIII ს. 30-იანი წლების შუა ხანებში არაბებმა მოაწყვეს გრანდიოზული სამხედრო ექსპედიცია ცნობილი სარდლის *მურვან იბნ-მუჰამადის* მეთაურობით, რომლის დროსაც დალაშქრეს მთელი კავკასია და სერიოზული დარტყმა მიაყენეს ხაზართა გავლენას რეგიონში. ამ ლაშქრობის დროს არაბებმა სასტიკად იძიეს შური „ურჩი“ ქართველებზე. ჯერ იყო და ააოხრეს აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი ქართლის ერისმთავრის *სტეფანოზის* ძეთა – *მირისა* და *არჩილის* დევნის მოტივით გადავიდნენ ლაზიკა-ეგრისშიც და იქაურობაც მოაოხრეს. ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, *ჯუანშერ ჯუანშერიანის* მატიაწემ და „*დავითისა და კონსტანტინეს წამება*“ შემოგვინახეს დასავლეთ საქართველოში მურვან „ყრუს“ ლაშქრობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამხედრო კამპანიის შესახებ არაფერს გვატყობინებენ არაბული წყაროები, რომლებიც საზოგადოდ კარგად იცნობენ *მურვან იბნ-მუჰამადის* მოღვაწეობას კავკასიაში, მკვლევართა უმრავლესობას (მათ შორის ფაქტობრივად ყველა აფხაზ ისტორიკოსს) არ შეაქვს ეჭვი ქართული წყაროების მონაცემების სანდოობაში და აღიარებს მურვან „ყრუს“ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის რეალურობას. ამ ლაშქრობის დროს არაბმა სარდალმა, *ჯუანშერ ჯუანშერიანის* ცნობით, „*შევლო... კლისურად, რომელი მას ეამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა და ცხუმი და მოადგა ციხეს ანაკოფიისასა*“ – ლეონ აფხაზეთის ერისთავის („*ერისთავი კეისრისა და ლეონ*“) რეზიდენციას, რომელსაც თავი შეაფარეს ქართლიდან გამოქცეულმა ერისმთავრებმა *მირმა* და *არჩილმა* (*ჯუანშერი, 2008: 235-236, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.*).

სირეხული (*Касландзия, 2017: 80*) კონფრონტაცია ქართლის ხელისუფლებასა და სწორედ „არმინიის“ არაბულ საოკუპაციო ადმინისტრაციას შორის, რომელსაც, როგორც დავინახეთ, მოჰყვა ქართლის განდგომა.

ანაკოფიის ციხის მისადგომებთან მოხდა შეტაკება მურვან „ყრუს“ 35-ათასიან ლაშქარსა და ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებულ მხედრობას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ ქართულ წყაროებში არ არის ერთიანი აზრი ანაკოფიის ბრძოლის შედეგზე, თუმცა ორივე წყარო აღნიშნავს, რომ არაბებს ანაკოფია არ დაუკავებიათ, ხოლო მესამე წყარო – „*არჩილის წამება*“ – ცალსახად მხარს უჭერს ჯუანშერ ჯუანშერიანს და ასევე აფიქსირებს „*დაცემას* (ე.ი. დამარცხებას – **ზ.3.**) *მას აფხაზეთს შინა სარკინოზთასა*“ (**ლეონტი, 2008b: 249**). ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, მურვან „ყრუს“ ლაშქრობამ ვერ განამტკიცა არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში და მათ, როგორც ჩანს, მოუხდათ იქიდან აყრა. ანაკოფიის ბრძოლის პერიპეტეებთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ ფაქტზეც. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებულ ლაშქარს (რომელშიც 2000 აფხაზი და მხოლოდ 1000 ქართლელი იყო) ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი სარდლობდნენ, „*აფხაზეთის ერისთავი*“ ლეონი კი, როგორც მემატინანე მიუთითებს, ამ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ანაკოფიაში და „*მესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა*“ (**ჯუანშერი, 2008: 236**). სავარაუდოა, რომ ლეონის იქ ყოფნა საერთო სამხედრო გეგმის ნაწილი იყო. როგორც ჩანს, აფხაზეთის ერისთავს კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა ჰქონდა დავალებული.¹

მურვან „ყრუს“ ლაშქარზე გამარჯვებას ქართული საისტორიო ტრადიცია უშუალოდ უკავშირებს გარკვეულ ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახლი ოფიციალურად აღიარა საერთოქართული პოლიტიკური სამყაროს მეთაურად და ისინი გაერთიანებული ქართლი-ეგრისის მეფეებად გამოაცხადა. ამის ნიშნად ბიზანტიის იმპერატორმა „*წარმოსცა ორი გზგვნი მიჭრისა და არჩილისა*“ (**ჯუანშერი, 2008: 239**),² ხოლო „*ერისთავს კეისრისა*“

¹ ამასთან დაკავშირებით ძალზე ხელოვნურად გვეჩვენება ი. ვორონოვის მცდელობა (რომელიც გამეორებულია 2015 წელს გამოცემული „სახელმძღვანელოშიც“), ლეონ ერისთავის სობღისში ყოფნა ახსნას მისი სურვილით სამოკავშირეო ურთიერთობები დაემყარებინა ოვსებთან (**История Абхазии, 1991: 70; Бгажба О., Лакоба С., 2015: 154**).

² აფხაზი ისტორიკოსი ნაალა კასლანძია ვერაფრით ვერ ეგუება ქართული წყაროს ნარატივს დასავლეთ საქართველოში სტეფანოზ ერისმთავრის სახლის ჰეგემონობის დამყარების შესახებ და იმავე სტეფანოზის ძეთა – მირისა და არჩილის წარმმართველ როლზე ანაკოფიის ბატალიებში. ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მკვლევარს მოაქვს თავისი უჭვების გასამართლებლად არის ბიზანტიური და სომხური წყაროების დუმილი, რომლებმაც არაფერი იციან მირისა და არჩილის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე (**Касландзия, 2017: 94**). სამწუხაროდ, აფხაზი მეცნიერი არ უფიქრდება მის მიერ მოტანილი არგუმენტის აბსურდულობას. ამ ლოგიკით ხომ გამოდის, რომ არც „*ერისთავი კეისრისა და ლეონის*“, ისევე როგორც მისი ძმისწულის – ლეონ „*აფხაზთა მეფის*“ – შესახებ არსებული ქართული ნარატივია დასაჯერებელი, რადგან ბიზანტიური და სომხური წყაროებისათვის არც მათ შესახებაა რამე ცნობილი. ისე, საინტერესოა, რომ

ლეონს კი აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში უბოძა და ამასთან, უბრძანა მას, „კეთილად“ მოპყრობოდა „*მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა*“, და არ მიეყენებინა ვნება „*მათდა და საზღვართა მათ ეგრისისათა, ვიდრემდის იყვნენ მუნ, და ანუ განვიდენ მუნით*“ (ჯუანშერი, 2008: 240).

ბიზანტიის იმპერატორის ეს ბრძანება გახდა საფუძველი ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ შემდგომი დაახლოებისა ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლთან, რომლის სათავეში ანაკოფიის ბრძოლაში დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ მისი უმცროსი ძმა არჩილი მოექცა. ეს ალიანსი დინასტიური ქორწინებით დაგვირგვინდა. ლეონი დაქორწინდა მირის ერთ-ერთ ასულ გუარანდუხტზე და ამით ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ აფხაზეთის ერისთავი უფრო შორს წავიდა, მან დიპლომატიურად უარი თქვა არჩილის მიერ საჩუქრად შემოთავაზებულ ტერიტორიულ წყალობაზე და თავი მის ვასალად გამოაცხადა („*შემრთე მეცა მონათა მუნთა თანა*“). უფრო მეტიც, ლეონმა თავისი სამკვიდრებელიც (ე. ი. აფხაზეთი) არჩილს გადასცა („*არა მინდა ნაწილი მუნგან, არამედ ჩემიცა ესე მუნდავე იყოს*“). ამის სანაცვლოდ შორსმჭვრეტელმა „აფხაზეთის ერისთავმა“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპენსაცია მიიღო: მას გადაეცა „სამეფო გვირგვინი“, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა მის სიმამრს მირს გამოუგზავნა (ჯუანშერი, 2008: 242).

ამით ლეონ ერისთავი ერთბაშად იქცა წამყვან პოლიტიკურ ფიგურად საერთოქართული მასშტაბით – ფაქტობრივად მეორე პირად სახელმწიფოში. ასე დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი აფხაზეთის ლიდერის პოლიტიკურ კარიერაში.¹ ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლებიდან საქართველოში იქმნება სრულიად ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა. დაბეჯითებით შეიძლება იმის

არა ნ. კასლანდიას მიერ „დაწუნებული“ ქართული საისტორიო მასალა, რომელიც ერთადერთია პირველი „ლეონიდების“ მოღვაწეობაზე, ვინმეს რამე ეცოდინებოდა საერთოდ „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის პერიპეტიებზე?! იგივე შეგვიძლია ვთქვათ ზემოთნახსენები რუსი ისტორიკოსის ანატოლი ვინოგრადოვის სკეპტიციზმზეც ამ საკითხთან დაკავშირებით. მას ზოგადად ეს ისტორია *მირის, არჩილისა და ლეონ აფხაზეთის ერისთავის მონაწილეობით, აგრეთვე ლეონ I-ისა* (რომლის არსებობაში მას ეჭვი შეაქვს) და *ლეონ II-ის* ბიძა-ძმისწულობაზე, ქართველი მემატიანეების მოგონილად მიაჩნია (Виноградов, 2013: 166-167; Виноградов, 2016: 14-15).

¹ ნაალა კასლანდია ლეონ აფხაზეთის ერისთავის ამგვარი ქმედების მოტივს ვერ ხედავს და უკვირს, თუ რატომ უნდა დაეთმო ლეონს თავისი სუვერენიტეტი (Касландзия, 2017: 101). არადა, მოვლენების შემდგომი განვითარება აფხაზეთის ერისთავის ამ ნაბიჯის პოლიტიკურ მოტივაციას სრულიად გამჭვირვალეს ხდის. თავისი ამ შორსმნიშავალი დიპლომატიური სვლით, რომელიც უეჭველად იქნებოდა შეთანხმებული იმპერიის ხელისუფლებასთან, „ერისთავი კეისრისა“ – ლეონი, რეალურად ინარჩუნებდა რა იმპერატორის მიერ მისთვის უკვე მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაცემულ აფხაზეთს, ამავე დროს ოფიციალურად ხდებოდა მეორე პირი – ერთგვარი „ვიცე-მეფე“ – არჩილისადმი დაქვემდებარებულ გაერთიანებულ ქართლ-ეგრისში.

მტკიცება, რომ ამ დროიდან მაინც, მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის – ჩათვლით, იურიდიულად ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცა, რომლის სათავეში ქართლის ერისმთავრის სახლი იდგა.¹ „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი ნებაყოფლობით შევიდა ამ საერთოქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროში² თავისი სიმამრის – ქართლის „მეფის“ მირის პოლიტიკური მემკვიდრის სტატუსით.

შემდგომ ლეონის სახლმა მოხერხებულად გამოიყენა რა თავისი ხელსაყრელი ლეგიტიმური მდგომარეობა, დაიწყო ბრძოლა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თავისი ჰეგემონობის დასამყარებლად და სულ მალე მიაღწია კიდევ დასახულ მიზანს. VIII ს. 80-იანი წლებისათვის, *იოვანე საბანისძის* დოკუმენტური დამოწმებით, აფხაზეთის მთავარი (და არა ერისთავი) უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს სრულუფლებიანი ხელმწიფე იყო, ხოლო თვით ეს ქვეყანა (უწინდელი ეგრისი) საერთოდ „აფხაზეთად“ იწოდებოდა (**წამებაჲ ჰაბოაღსი, 1963: 59-60**). ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით ვერ ხერხდება „აფხაზეთის ერისთავის“ მიერ მთავრის სტატუსის მიღების დროისა და გარემოებების დაზუსტება. ბოლო დროს გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს შესაძლებელია მომხდარიყო „მეფე“ არჩილის ძის – იოვანეს გარდაცვალების შემდეგ (რაც სულ ცოტა 760 წლამდე მაინც არაა მოსალოდნელი), თუნდაც VIII ს. 60-იან წლებში, მაშინ როდესაც ჯუანშერი /7 წლის განმავლობაში – *ივანე ჯავახიშვილის* გამოთვლით – 764-771 წლებში/ (**ჯავახიშვილი, 1983: 80-81**) „საპატიო ტყვეობაში“ ჰყავდა ხაზართა ხაკანს (**მატიანე, 2008: 254**). იქნებ, სწორედ იოვანეს გარდაცვალებითა და ჯუანშერის ტყვეობით გამოწვეული ვაკუუმით ისარგებლა „აფხაზეთის ერისთავმა“ (არაა გამორიცხული ეს ყოფილიყო ლეონ I) და, როგორც „*ხოსროვანთა*“ სახლის ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა (სიძემ) დაიკავა იოვანეს ადგილი (**ჰაპასქირი, 2006: 204; ჰაპასქირი, 2009:**

¹ ამ თვალსაზრისით არაა შემთხვევითი, რომ შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიცია (*ჯუანშერ ჯუანშერიანი*) ტერმინ „საქართველოს“ პირველად, მაინცდამაინც, ქართლის ერისმთავართა სტეფანოზ-არჩილის სახელმწიფოს მიმართ იყენებს. ეს რატომღაც ავიწყდება, აფხაზ ისტორიკოსს *გურამ გუმბას*, რომელიც აღნიშნავს რა, რომ ცნება „საქართველო“ პირველად ჩნდება XI ს. ქართულ წერილობით ძეგლებში: „*იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება*“ და „*მედოილანელის ცხოვრება*“, არ ახსენებს ჯუანშერის ქრონიკას (**Гумба, 1994: 10-11**).

² აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ქართლი-ეგრისის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება ქართლის ერისმთავრის *არჩილის* მესვეურობით, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დასტურითა და დიპლომატიური მხარდაჭერით უნდა მოხდარიყო, სინამდვილეში ფორმალური აქტი აღმოჩნდა. რეალურად ასეთი სახელმწიფო არც არსებობდა, ვინაიდან *მურვან იბნ მუჰამადის* სადამსჯელო ექსპედიციის შედეგად არჩილის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ნომინალური იყო. ფაქტობრივად, ის მხოლოდ კახეთ-ჰერეთს აკონტროლებდა. მეტიც, ამ დროიდან (არაბთა სახალიფოში აბასიდების დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლის /749 წ./ შემდეგ) არაბთა საოკუპაციო რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა, რაც სახალიფოს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის – თბილისის საამიროს შექმნით იყო გამოწვეული.

174). წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია „ხაზართა ტყვეობიდან“ დაბრუნებულ ჯუანშერს და დაიბრუნა თუ არა მან ხელისუფლება. ამ ფონზე მეტად ნიშანდობლივია ადარნასე ბაგრატიონის¹ (აშკარად არაბების მიერ ურჩი არჩილის ნაცვლად დაყენებული ქართლის ერისმთავრის) მოხსენიება კურაპალატის ტიტულით, რაც უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტიის იმპერიას იმჟამად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი პარტნიორი გამოუჩნდა, რომელსაც დაეკისრა არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება.² ანუ ის ფუნქცია, რომელსაც ადრე ასრულებდა არჩილის სახლი, ამჯერად ქართლის ერისმთავრის ტახტზე მისი მოქმედებებმა საგვარეულოს წარმომადგენელმა ადარნასე კურაპალატმა იტვირთა.

ასეთ ვითარებაში ფრიად უცნაურად მოჩანს აფხაზეთის მთავრის შემწყნარებლური დამოკიდებულება ადარნასე კურაპალატის მემკვიდრის ქართლის ერისმთავარ ნერსეს მიმართ. ის, რომ აფხაზეთის მთავარი – ხოსროვანთა სახლის წევრი (სიძე), რომელსაც ლოგიკურად უნდა დაეცვა არჩილის მემკვიდრეთა ინტერესები, არათუ არ მტრობს ადარნასე-ნერსეს სახლს (ხოსროვანთა თვალსაზრისით, ქართლის ერისმთავართა ტახტის მიმტაცებელს), არამედ პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს არაბებისგან დევნილ ერისმთავარს, აშკარად მეტყველებს შეცვლილ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.³ როგორც ჩანს, არჩილის

¹ მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში (პირველ რიგში, *სუმბატ დავითის ძის* მატეანეში) ამის შესახებ რაიმე კონკრეტული მითითება არა გვაქვს, თვალსაზრისი ქართლის ერისმთავარ ადარნასეს ბაგრატიონობის შესახებ (**აბრამიშვილი, 1977: 51-52; გოილაძე, 2008: 61, 68; შდრ. ალასანია, 2006: 40**) სავსებით ლოგიკური მოჩანს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოგვიანებით სწორედ ადარნასე-ნერსეს ტეფანოზის ხაზით დაუფლა ერისმთავრის ტახტს *აშოტ დიდი*, რომლის ბაგრატიონობაში ძნელია ეჭვის შეტანა. გარდა ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს სახელმა – „ადარნასე“, რომელიც ასე პოპულარული იყო ბაგრატიონთა საგვარეულოში (ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ჰაპასქირი, 2008: 453-454; ჰაპასქირი, 2016b: 186-187**).

² თავის დროზე, აკადემიკოსი *კორნელი კეკელიძე* ამახვილებდა რა ყურადღებას ერისმთავარ ადარნასეს კურაპალატობაზე, სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ კურაპალატის ტიტულს „მას არაბთა მოსისხლე მტერი ბიზანტია, სრულიად უანგაროდ არ მიანიჭებდა“ (**კეკელიძე, 1935: 32**).

³ როგორც იოანე საბანისძის თხზულებიდან ირკვევა, სახალიფოს ხელისუფლების მიერ ერთხელ უკვე (VIII ს. 70-იანი წლები) შეწყალებულმა ქართლის ერისმთავარმა ნერსემ კვლავ გამოიჩინა ურჩობა. იმის ნაცვლად, რომ ბაღდადში ხლებოდა ხალიფას, ის არაბთა წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებების დაწყებისათვის მზადებას შეუდგა და სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების იმედით ხაზართა ხაკანის კარს მიაშურა. მანამდე კი ოჯახი დასავლეთ საქართველოში, „სარკინოზთაგან კრძალულ“ აფხაზეთში გახიზნა. ხაზარებმა ნერსე ერისმთავარი მაღალ ღონეზე მიიღეს და კარგა ხანს ქართლის ერისმთავარი და მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალა დიდ პატივშიც ჰყავდათ. მაგრამ დიპლომატიური მოლაპარაკებები ხაზართა ხაკანთან უმაღლეს ღონეზე უშედეგო აღმოჩნდა. იმ ეტაპზე ხაზარებმა თავი შეიკავეს სამხედრო კამპანიისაგან აღმოსავლეთ საქართველოში. გაწბილებული ერისმთავარი იძულებული გახდა,

სახლმა 764 წელს ხაზარებთან განცდილი კატასტროფის შემდეგ ამოწურა თავისი შესძლებლობები და ასპარეზი საბოლოოდ ადარნასე კურაპალატის სახლს დაუთმო (ან დაათმობინეს). არაა გამორიცხული, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში აფხაზეთის ერისთავმა მხარიც კი დაუჭირა ქართლის სახელმწიფოს ახალ ლიდერს (იქნებ ეს კონსანტინოპოლის მითითებითაც მოხდა), რომელმაც ამის სანაცვლოდ აღიარა ლეონ I-ის ლეგიტიმური უფლებები დასავლეთ საქართველოზე (**ჰაპასქირი, 2008**: 458-459; **ჰაპასქირი, 2016b**: 192).

VIII ს. მიწურულს „აფხაზეთის ერისთავთა“ სახლის წარმომადგენელმა ლეონ II-მ, ლეონ I-ის ძმისწულმა, რომელიც ამავე დროს „ასულისწული იყო ხაზართა მეფისა“, ისარგებლა რა „ბერძენთა მოუძღურებით“, განუდგა მათ (ეს მოხდა ხაზართა მხარდაჭერით) „და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ღიხამდე“ და „სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“ (**მატიანე, 2008**: 254). ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს, რომელიც მმართველი დინასტიის წარმომავლობის გამო „აფხაზთა“ („აფხაზეთის“) სამეფოს სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. პირველი, რაც ამ საკითხზე მსჯელობისას იქცევს ყურადღებას, არის ის გარემოება, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია („მატიანე ქართლისაჲ“) ამ მოვლენას ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლი-ეგრისის „სამეფო“ (სტეფანოზ-არჩილის) სახლში შექმნილ დინასტიურ კრიზისს. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ცნობით, ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღება განაპირობა იმან, რომ იმ დროისათვის „მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერი. და შემდგომად ამისა ჯუანშერიცა მიიცვალა“ (**მატიანე, 2008**: 254-255).

სრულიად აშკარაა, რომ ამით ქართული მატიანე, რომელიც, სხვათა შორის, წარმოადგენს ამ მოვლენის ამსახველ ერთადერთ წერილობით წყაროს, თითქოს ცდილობს ხაზი გაუსვას ლეონ II-ის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური დინასტიის, გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის კანონიერებას. მაგრამ ეგრის-აფხაზეთის ახალი ლიდერის მიერ მეფის ტიტულის მიღება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ შინაპოლიტიკური აქტი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობდა ქართლი-ეგრისის მმართველი საგვარეულოს შიგნით შექმნილი დინასტიურ-პოლიტიკური სიტუაციიდან. ეს, პირველ რიგში, და უმეტესწილადაც, ხელსაყრელმა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა. შემთხვევითი არ არის, რომ ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღებას ქართველი მემატიანე ბიზანტიის იმპერატორთან ურთიერთობის გაწყვეტას და მისგან განდგომას უკავშირებს.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს ზედმიწევნით ზუსტად ესმოდათ, რომ ამა თუ იმ ქართველი მოღვაწის მიერ მეფის ტიტულის მიღება განპირობებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური სტატუსით და რომ საერთაშორისო კონი-

დაეტოვებინა ხაზარეთი და თავი აფხაზეთისათვის შეეფარებინა (**წამებაჲ ჰაბოძისი, 1963**: 56-60; **ჰაპასქირი, 2008**: 458; **ჰაპასქირი, 2016b**: 191-192).

უნქტურა ყოველთვის არ აძლევდა მათ უფლებას, ეტარებინათ ეს ტიტული. ყველაზე მკაფიოდ ეს ასახულია *ჯუანშერ ჯუანშერიანის* თხზულებაში, რომელშიც ქართლის ერისმთავრის *სტეფანოზ I*-ის სტატუსი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „*მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძნთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს*“ (*ჯუანშერი, 2008: 228*). ე. ი. მეფის ტიტულის მიღება უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას. სწორედ ამიტომაც, რომ *ლეონ II*-მ მხოლოდ მას შემდეგ გამოაცხადა თავი მეფედ, როდესაც ხაზართა დახმარებით ის „*გაადგა ბერძნთა*“ და სუვერენულ დინასტიად იქცა.

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ზუსტადაა გამორკვეული „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის საგარეო პოლიტიკური ფონი. აკადემიკოს *სიმონ ჯანაშიას* სავსებით არგუმენტირებული დაკვირვებით, *ლეონ II*-ის მიერ ბიზანტიის სიუზერენიტეტზე უარის თქმა და მეფის ტიტულის მიღება დაემთხვა პოლიტიკურ კრიზისს იმპერიაში, რომელიც გამოწვეული იყო VIII ს. მიწურულს კონსტანტინოპოლში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებით. 797 წლის ახლო ხანებში შეთქმულების შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს იმპერატორი *კონსტანტინე VI (780-797)* – ხაზართა ხაკანის შვილიშვილი (თუ დისწული). ს. ჯანაშიას აზრით, ამ ფაქტს ნეგატიური გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა ხაზარეთში (*Джанашия, 1952: 331-333*). არაა გამორიცხული, რომ ხაზართა ხაკანმა სწორედ ამის გამო დაუჭირა მხარი (თუ საერთოდ ინსპირირება არ მოახდინა) „აფხაზეთის ერისთავის“, ასევე თავისი შვილიშვილის (თუ დისწულის) და ამავე დროს ჩამოგდებული იმპერატორის ახლო ნათესავის – *ლეონ II*-ის ანტიბიზანტიურ დემარშს.

იმის გამო, რომ *ლეონ II* „აფხაზეთის ერისთავმა“ თავი იწოდა „მეფედ აფხაზთა“, მისდამი დაქვემდებარებულ გაერთიანებას (სახელმწიფოს), როგორც წესი, „აფხაზი“ („აფხაზეთის“) მეფის სამფლობელოდ, „აფხაზეთის სამეფოდ“, ან უბრალოდ „აფხაზეთად“ მოიხსენიებდნენ. მაგრამ ქვეყნის სახელწოდების შეცვლა სულაც არ ნიშნავდა ახლად შექმნილი გაერთიანების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის შეცვლასაც და დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ახალი – საკუთრივ აფხაზურ-აფსუური ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას, რომლის სამართალმემკვიდრე თითქოს იყოს არა ქართული სახელმწიფო ზოგადად, არამედ დღევანდელი თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკა“.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიაში გვაქვს არაერთი პრეცედენტი, როდესაც ქვეყნის (სახელმწიფოს) სახელწოდება გამომდინარეობს ერთი ეთნოსის სახელწოდებიდან, ხოლო პოლიტიკურ-კულტურულად ეს სახელმწიფო მთლიანად სხვა ეთნოსის კუთვნილებაა. ასე მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელწოდება „*ბულგარეთი*“ დღევანდელმა ბულგარეთის სახელმწიფომ მიიღო მისი ფუძემდებლის, ე.წ. „*ვოლგის ბულგარეთიდან*“ წამოსული (თურქული ეთნოსის) ხანის *ასპარუხისაგან (Никитин, 1952)*, მაგრამ განა ვინმეს თავში მოუვა სერიოზულად ამტკიცოს, რომ ასპარუხის მიერ შექმნილი სახელმწი-

ფო იყო არა სლავური, არამედ თურქული სახელმწიფო?! (აღსანიშნავია, რომ ეს მაგალითი „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საჩვენებლად ხშირად მოჰყავდა ზურაბ ანჩაბაძეს საჯარო გამოსვლებში).

ან ავიღოთ, ძველი რუსეთის მაგალითი. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ძველი რუსული სახელმწიფოს სახელწოდების მიმცემი „რუსთა“ ტომი ნორმანულ-სკანდინავიურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა და თვალსაზრისი ამ ტომის ვითომ სლავური წარმომავლობის შესახებ თვით წამყვანი რუსი მკვლევრების მიერ გამოცხადებულია „ისტორიოგრაფიულ მითად“ (Петрухин, 1995: 117). მაგრამ ე.წ. „ნორმანული თეორიის“ ყველაზე თავგამოდებული მომხრეც კი ვერ უარყოფს, რომ ვარიაცი კონუნგების რიურიკისა და ოლეგის მიერ შექმნილი კიევის რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ სლავური სახელმწიფო იყო და არა ნორმანულ-სკანდინავიური. იგივე შეიძლება ითქვას „ესპანურ პრეცედენტზეც“. განა საფრანგეთის დიდი მეფის ლუი XIV-ის შვილიშვილის, ანჟუს ჰერცოგის ესპანეთის სამეფო ტახტზე – ფილიპე V-ის სახელით (Mayaep, 1998: 197-215) – ასვლით ესპანური სახელმწიფო ფრანგული გახდა?!

ის, რომ მმართველი დინასტიის ეთნოტომობრივი წარმომავლობა არაა გადამწყვეტი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის განსაზღვრისას დასტურდება საკუთრივ ქართული პოლიტიკური პრაქტიკიდანაც. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ „რანთა და კახთა მეფის“ კვირიკე III-ის გარდაცვალების (დაახლ. 1039 წ.) შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა დისწულმა ტაშირ-ძორაკეთის სომხური დინასტიის წარმომადგენელმა გაგიკმა (მატიანე, 2008: 281), მაგრამ ამის გამო კახეთის ქართული სამეფო სულაც არ გადაქცეულა სომხურ სახელმწიფოდ.

არანაკლებ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ მოგვცა ზუსტი განმარტება, თუ როდის და რატომ ეწოდა ისტორიულ ეგრისს აფხაზეთი. აი, რას წერს ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.): „*ქუყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი, რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თვსთა ხუდა წილად ქუყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ (ე. ი. სტეფანოზ-არჩილის სახლის – ზ.პ.) გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვსსა, და მოიღო საერისთოსა თვსისა სახელი ეგრისსა ზედა“ (ვახუშტი, 1973: 742, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.)*

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვახუშტი ბატონიშვილის ამ განმარტებიდან გამომდინარე, „აფხაზთა“ სამეფოს ხშირად „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოსაც უწოდებენ. პირველად ეს ფორმულირება გაჩნდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (საქართველოს ისტორია, 1958: 135-137 – შესაბამისი ნაწილის ავტორი

თვით ნ. ბერძენიშვილი), მაგრამ ყველაზე თანმიმდევრულად ამ სახელწოდებას იცავდა აკადემიკოსი *მარიამ ლორთქიფანიძე* (**ლორთქიფანიძე მ., 1973: 421; Лордкипанидзе М., 1988: 285**). ჩვენი აზრით, ეს მთლად გამართლებული არ არის, ვინაიდან გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა იგი შეიძლება გაიაზროს არა როგორც „ეგრისი“=„აფხაზეთს“, ანუ ახალ ერთიან დასავლურქართულ სახელმწიფოს, არამედ ორი ქვეყნის („ეგრისი“+„აფხაზეთი“) შერწყმის შედეგად მიღებულ რაღაც ქართულ-აფხაზურ „ფედერაციულ“ გაერთიანებას.

„აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის შემდეგ სახელწოდებების „აფხაზეთი“ და „ეგრისი“ ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმჟამინდელი სომხური საისტორიო ტრადიცია. ირკვევა, რომ ზოგიერთ სომხურ საისტორიო ძეგლში (მაგ. X ს. სომეხი ისტორიკოსის *იოვანე დრასხანაკერტცის* თხზულებაში) „აფხაზთა“ მეფე „*ეგრისის*“ („*ეგერთა*“) მეფედ მოიხსენიება (**იოანე დრასხანაკერტელი, 1965: 38, 64, 109, 111, 119, 257; Иованнес Драсханакертци, 2011: 36, 73, 84, 93, 104-106, 109, 132, 164**), რაც იმის მანიშნებელია, რომ მეზობელ ქვეყნებში იმ პერიოდში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანას ეწოდა VIII ს. მიწურულიდან „აფხაზეთი“.

ის ფაქტი, რომ ლეონ II-მ თავის თავს „აფხაზთა“ მეფე უწოდა, ხოლო აქედან გამომდინარე, მის სახელმწიფოსაც „აფხაზთა“ სამეფო ანუ „აფხაზეთი“ დაერქვა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „აფხაზეთის ერისთავმა“ სამხედრო გზით დაიპყრო ეგრისი, შეუერთა ის „თავის აფხაზეთს“ და შექმნა ახალი აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელწიფო, რომელსაც თითქოს არაფერი არ აკავშირებდა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, როგორც ეს წარმოდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევრებს. ეს თვალსაზრისი აგებულია ლეონ აფხაზეთის ერისთავის მიერ „აფხაზთა“ მეფის ტიტულის მიღების ამსახველი ცნობის პასაჟში „*დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე*“ (**მატიანე, 2008: 254**) სიტყვა „*დაიპყრას*“ არასწორ გაგებაზე. იმის გამო, რომ აფხაზი მკვლევრები სპეკულირებენ სიტყვა „*დაიპყრას*“ თანამედროვე გაგებით და ამის საფუძველზე „აფხაზთა“ მეფეებს (თვით ბაგრატ III-სა და მის მემკვიდრეებს, მათი დეფინიციით – „აფხაზ ბაგრატიდებს“) არათუ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მესაძირკვლევად არ მოიაზრებენ, არამედ საერთოდ საქართველოს „დაპყრობას“ მიაწერენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხზე მცირე განმარტების გაკეთება.

„*მატიანე ქართლისაჲს*“ ფრაზის „*დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე*“ ისე გაგება, თითქოს ლეონ აფხაზეთის ერისთავს დაეპყროს ეგრისი ძირშივე მცდარია. სრულიად ამკარაა, რომ „*მატიანე ქართლისაჲს*“ ზემოთმოტანილ ფრაგმენტში სიტყვა „*დაიპყრა*“ ნიშნავს არა „*დაპყრობას*“ პირდაპირი გაგებით, არამედ „*დაუფლებას*“ (ამ შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში მოსვლას). აღსანიშნავია, რომ პირველი მეცნიერი, რომელმაც მკაფიოდ დააფიქსირა სწორედ ეს ინტერპრეტაცია იყო არა სხვა ვინმე, არამედ თვით *ზურაბ ანჩაბაძე*, რომლის ნაშრომში „*დაიპყრა*“ განმარტებულია, როგორც „*დაუფლა*“ / „*завладел*“ / (**Анчабадзе**

3., 1959: 95). „დაიპყრას“ „დაუფლად“ („завладел“) თარგმნის გიორგი ამიჩბაც (Амичба, 1988: 57). თავიდან ასევე ესმოდა „დაიპყრას“ მნიშვნელობა შალვა ინალიფასაც (Инал-ипа, 1976: 400), თუმცა თავისი მონოგრაფიის მეორე გამოცემაში, მან უკვე კატეგორიულად გაილაშქრა „დაიპყრას“ „დაუფლებად“ გაგების წინააღმდეგ და ამასთან მიანიშნა ამ სიტყვის კავშირზე „აფხაზურ ტერმინ“ „აპყარას“-სთან /ап̄қара – ცემა/узбивать, узбиение/ (Инал-ипа. 2011: 541)¹ და ამის არგუმენტად მოიტანა ის, რომ „დაიპყრას“ ამგვარი გაგების დამადასტურებელი მაგალითები ძველ ქართულ ტექსტებში „პირადად მისთვის უცნობია“/„примеры последнего значения этого слова мне лично неизвестны“/ (Инал-ипа, 2011: 541).

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადებით შ. ინალიფამ, არც მეტი არც ნაკლები, მოახდინა საკუთარი მეცნიერული კომპეტენციის დისკრედიტაცია, რადგან მან გამოავლინა არამხოლოდ ზოგადად ქართული წერილობითი ძეგლების (პრინციპში, ეს მას, როგორც ეთნოლოგს, არც მოეთხოვებოდა), არამედ უშუალოდ „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ამსახველი პირველწყაროების სრული არცოდნა. მხედველობაში გვაქვს ისეთი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი, როგორიცაა ე.წ. „აფხაზთა მეფეთა დივანი“ – ბაგრატი III-ის „აფხაზთა“ მეფეთა ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით შედგენილი ერთგვარი ისტორიულ-სამართლებრივი დასაბუთება, რომელშიც შავით თეთრზე წერია: „დავიპყარ მე ქყანა (ქვეყანა) აფხაზეთისა, დედული ჩემი ბაგრატი ბაგრატიანმან, ძემან სულჟრთხეულისა გურგენისამან და ასულის წულმა გიორგი აფხაზთ მეფისამან“ (თაყაიშვილი, 1913: 22, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. აქვე ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ „აფხაზთა მეფეთა დივანის“ რუსულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია ძველი ქართული საისტორიო წყაროების ჩინებული სპეციალისტის – გიორგი ამიჩბას მიერ, სიტყვა „დავიპყარ“ სავსებით სწორადაა თარგმნილი, როგორც „овладел“ (Амичба, 1988: 24, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

გარდა „აფხაზთა მეფეთა დივანის“ ამ პასაჟისა, სიტყვა „დაიპყრა“-ს დაპყრობის მნიშვნელობით გაგების აფხაზურ ვერსიას თავდაყირა აყენებს, ისიც, რომ „მატიანე ქართლისაჲს“. ცნობაში „დაიპყრა“ თანაბრად მიემართება აფხაზეთსა და ეგრისს. მეტიც, აფხაზეთი, როგორც დავინახეთ, საერთოდ პირველადაა დასახელებული ლეონის მიერ „დაპყრობილ ქვეყნებს“ („აფხაზეთი და ეგრისი“) შორის (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: Цулая, 1982: 31-32). ე.ი. გამოდის, რომ ლეონს აფხაზეთიც „დაუპყრია“, რაც აბსოლუტურად არ ჯდება მთელი ამ პროცესის აფხაზურ ხედვაში, რომლის მთავარი ამოცანა აფხაზეთის მიერ ეგრისის დაპყრობის დასაბუთებაა. ასე რომ ერთადერთი სწორი ახსნა, რაც ქართული ქრონიკის აღნიშნულ ფრაგმენტს შეიძლება მიეცეს, არის ის, რომ ლეონმა „იპყრა“ ძალაუფლება

¹ შ. ინალიფას ეს მინიშნება განავითარეს სხვა აფხაზმა მკვლევარებმა, რომლებიც სერიოზულად სვამენ საკითხს სიტყვა „დაიპყრას“ საერთოდ აფხაზური ენიდან ნასესხობაზე (Бганба, 2011: 103; Кварчия: 326–327, 382; Маан, 2020: 50-51).

უკვე გაერთიანებულ აფხაზეთსა და ეგრისში. ამასთან, არც ისაა გამორიცხული ამ „დაპყრობის“ ქვეშ იგულისხმებოდეს სახელმწიფო გადატრიალება.

ამ თვალსაზრისით, ნამდვილად საყურადღებოა მემატიალის აქცენტირება ლეონის ძმისწულობაზე „*ლეონ ერისთავისაჲ, რომლისაჲ მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი*“. იქნებ ეს დაზუსტება მომავალი „აფხაზეთა“ მეფის ლეგიტიმურობის გამყარებას ემსახურებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, აფხაზ მკვლევართა მტკიცება *ლეონ აფხაზეთის ერისთავის* მიერ ეგრისის დაპყრობის შესახებ სრულიად უსაფუძვლო და თითქმის გამორიცხულია. და მაინც, დავუშვათ, რომ ე.წ. „აფხაზური“ დინასტია ისტორიული ლაზიკა-ეგრისის სამეფოში მართლაც მოვიდა, როგორც „*გარეშე დამპყრობელი*“, რომელმაც სამხედრო ექსპანსიის გზით დაიკავა მეზობელი ქვეყნის ტერიტორია და იქაურ ქართულ მოსახლეობას თავს მოახვია მისთვის „უცხო“ აფხაზურ-აფსურული სახელმწიფოებრიობა, მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ მიიღო შუა საუკუნეების ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცნობიერებამ „აგრესიის“ ეს ფაქტი ასე მშვიდად და უმტკივნეულოდ?! ხომ საყოველთაოდ ცნობილია (ამისთვის შესაბამისი წერილობითი ძეგლების ზედაპირული გადათავლიერებაც კი საკმარისია), თუ როგორ მოწინააღმდეგეობას და კეთილგანწყობას ამჟღავნებს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის წარმომადგენლების მიმართ უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და მემატიალე, რომელსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია „აფხაზ“ მეფეებთან.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც იგივე „*მატიანე ქართლისაჲ*“ – ფაქტობრივად, ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელშიც გადმოცემულია „აფხაზეთა“ სამეფოს მეტ-ნაკლებად სრული ისტორია. განა ვინმე შეიძლება დაეჭვდეს იმაში, რომ „*მატიანე ქართლისაჲ*“, გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი (XI ს. 70-იანი წლები) თხზულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ხაზს ვუსვამთ – **ქართული** (და არა აფსურ-აფხაზური), კონიუნქტურის ამსახველი ნაწარმოებია, დაუშვებდა იმ „აფხაზ“ მეფეთა „ქებათა-ქებას“, რომლებიც ზოგიერთი ისტორიკოსის (მ. გუნბა და სხვ.) სრულიად უსაფუძვლო მტკიცებით, თურმე კი არ აერთიანებდნენ საქართველოს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, იპყრობდნენ მას.

ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის მაღალფარდოვანი შეფასებები, რომელსაც არ იშურებს „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორი იმ „აფხაზი“ მეფეების – გიორგი II (922-957), ლეონ III (957-967) – მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ქართლის „დაპყრობის“ საქმეში და, ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოაქციეს თავიანთ კონტროლქვეშ. აი რას წერს ისტორიკოსი გიორგი „აფხაზეთა“ მეფის შესახებ: „*იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმშნითა და ახოვნებითა; ღმრთისმოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა მამუნებელი უკლესიათაჲ, მოწყალე გლახაკთაჲ, უხვ და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული. ამან განაგნა და განაწყვნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისაჲ, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა*

სიმრავლითა წმიდათა მარტულთათა“ (მატიანე, 2008: 261). „მეზობელი ქართული“ ტერიტორიების „დამპყრობი“ გიორგი II განსაკუთრებული პატივითაა მოხსენიებული „მატიანე ქართლისაჲს“ იმ პასაჟშიც, რომელშიც მოთხრობილია ბაგრატ III-ის გონივრულ საქმიანობაზე „აფხაზეთში“. ქრონიკის ავტორის თქმით, ახალგაზრდა მეფემ „იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად ჰაჰისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა, გინა თუ უმეტესადრე ვთქუა, რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისა თჳსისასა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისასა“ (მატიანე, 2008: 269). ე.ი. მემატიანე ახალგაზრდა მეფეს, პირველ რიგში, უდარებს ჰაჰას – დიდ გიორგი „აფხაზთა“ მეფეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამზრდელს – დავით კურაპალატს. არანაკლებ შთამბეჭდავად ახასიათებს ავტორი ლეონ III-საც, რომლის მეფობა ისევე „განადიდა უფალმან ღმერთმან“, როგორც მისი მამისა, რადგან „იყო იგიცა ღმრთისმოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესიაჲ მოქცსაჲ და შექმნა საყდრად საქვის-კოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ (მატიანე, 2008: 265).

ერთადერთი ახსნა ქართველ მწერალთა და მემატიანეთა სრული ლოიალობისა და პანეგირიკული განწყობილებებისა „აფხაზი“ მეფეების ე.წ. „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ ისინი მათში „უცხოელ დამპყრობლებს“ კი არ ხედავდნენ, არამედ ისეთივე ქართველ ლიდერებს, როგორადაც მიაჩნდათ, მაგალითად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრიობა „აფხაზთა“ სამეფოს ცალსახად განიხილავდა, როგორც საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ნაწილს, რომელშიც დაწინაურდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია.

ასევე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აფხაზ ისტორიკოსთა მიერ ლეონ II-ის „აფხაზთა“ სამეფოს – მათი ღრმა რწმენით, აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს – ერთადერთ შემქმნელებად აფხაზური (აფსუა) ტომების გამოცხადება. აღნიშნული ყალბი თეზისი ეფუძნება თავის დროზე ზურაბ ანჩაბაძის მიერ შემუშავებულ არანაკლებ მცდარ დებულებას ცალკეული აფხაზური ტომების აფსილების, აბაზგებისა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ტომების ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველზე ე.წ. ერთიანი „აფხაზი ფეოდალური ხალხის“ («*абхазская феодальная народность*») ფორმირების შესახებ. „აფხაზი ფეოდალური ხალხის“ ჩამოყალიბების პროცესის დასრულების დადასტურებად მეცნიერს, არც მეტი არც ნაკლები, მიაჩნდა „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა (Анчабадзе, 1959: 69; Анчабадзе З., 1960a: 63-64; Анчабадзе З., 1976 51-52).

ჩვენ, რასაკვირველია, სულაც არ უარვყოფთ, რომ VIII ს. შუა ხანებისათვის მართლაც ჰქონდა ადგილი თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ტომების გარკვეულ ეთნიკურ კონსოლიდაციას აბაზგ-აფხაზების ირგვლივ. ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დროიდან (VIII ს. 30-იანი წლების შემდეგ) წყაროებში ქრება აფსილია-აფსილების ხსენება, რაც ნამდვილად ამ ტომების აბაზგ-აფხა-

ზებთან ინტეგრირებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა და შეიქმნა ერთიანი „აფხაზი ფეოდალური ხალხი“ თავისი ეთნოკულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტით, რომლის განსახიერება იყო „აფხაზთა“ სამეფო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, პირველ რიგში, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შრომებში, მთელი სისრულითაა ნაჩვენები, თუ რატომ გახდა შეუძლებელი ერთიანი საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე „აფხაზი ფეოდალური ხალხის“ ფორმირება (**ბერძენიშვილი, 1990: 590-593, 604-605**). ბოლო დროს ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო ნოდარ ლომოური, რომელმაც დამატებულად დაასაბუთა, რომ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე არ იყო ობიექტური პირობები აფხაზური ტომების ერთიან აფხაზ ხალხად კონსოლიდაციისა და რომ ამ პერიოდში სახეზეა ყველა პირობა ამ ტომების ერთიან ქართველ ფეოდალურ ხალხში ინტეგრაციისათვის (**Ломоури, 1999: 103-105; ლომოური, 2008: 73**). ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ყველაზე მკაფიო დადასტურებას იმისა, რომ აფხაზურმა ტომებმა ვერ შეძლეს, ან უკიდურეს შემთხვევაში ვერ მოასწრეს კონსოლიდაცია ერთიან ხალხად საკუთარი წერილობითი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციით, წარმოადგენს სწორედ ე.წ. „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია, რომელიც იმთავითვე იყო არა აფხაზურ-აფსუური ნაციონალური პოლიტიკური გაერთიანება, არამედ ქართული სახელმწიფო, რომელშიც იმავე ზ. ანჩაბაძის მოსწრებული გამოთქმით დაირწა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი.¹

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ლეონ II-ისა და მისი წინაპრების ეთნოტომობრივი წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძემ, მართალია, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პირველი „აფხაზი“ მეფეები ბერძნულ სახელებს ატარებდნენ, მაგრამ მათი ეთნიკური წარმომავლობის საკითხი უპასუხოდ დატოვა (**ბაქრაძე, 1889: 273-274**). *პრასკოვია უვაროვა* კი ლეონ II-ის წინაპრები ერთმნიშვნელოვნად „ბერძენ არქონტებად“ გამოაცხადა (**Уварова, 1894: 8**). „ლეონიდების“ დინასტიის ბერძნულ წარმომავლობას აღიარებდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულიაც (**Гулия Д., 1925: 208**). ქართველურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებდა „ლეონიდებს“ *ჰავლე ინგოროყვა*, რომელიც ლეონ II-ს ეგრისის მეფეთა მიერ აფხაზეთში დანიშნულ ლაზ მოხელეთა შთამომავლად მიიჩნევდა (**ინგოროყვა, 1954: 192**). მეცნიერთა ერთი ნაწილი (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა და სხვ.) კი დარწმუნებულია „ლეონიდების“ აფხაზურ (აფსუურ) წარმომობაში (**Анчабадзе З., 1959: 76-79; Инал-ипа, 1976: 407**).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია გამოკვეთილი პასუხი დასავლეთ საქართველოს „აფხაზ“ მეფეთა ეთნოტომობრივ წარმომავლობაზე, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან **ვინც არ უნდა**

¹ მართალია, წერილობით ეს აზრი არსად არაა დაფიქსირებული, მაგრამ თავის ლექციებსა და საჯარო გამოსვლებში *ჟურაბ ანჩაბაძე* ამას ხშირად ახმოვანებდა.

ყოფილიყვნენ „აფხაზთა“ მეფეები ეთნოტომობრივად, ისინი თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოდვანობით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდნენ საერთოქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს – აშენებდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს „საქართველოს“ და არა აფხა-აფხაზთა ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – „აფსნის“.

ის, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი აშენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ, და არა აფხაზურ (აფსურ) სახელმწიფოს, ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა „აფხაზ“ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ლეონიდები“, როგორც ცნობილია, აქტიურად შეუდგნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანისათვის ზრუნვას. სრულიად ნათელი იყო, რომ ბიზანტიის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა მანამ, სანამ არ მოხდებოდა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-იდეოლოგიური მარწმუნებიდან თავის დაღწევა და ჭეშმარიტად ეროვნული-იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა. „აფხაზთა“ მეფეთა ეს თანმიმდევრული ბრძოლა საეკლესიო სუვერენიტეტის მოსაპოვებლად წარმატებით დაგვირგვინდა დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის – „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შექმნით.¹

მართალია, წინამდებარე ნაშრომში საგანგებოდ იქნება ყურადღება გამახვილებული აფხაზი ავტორების ინსინუაციებზე „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ირგვლივ, მაგრამ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ერთ გაუგონარ სიყალბეს, რომლის პროპაგანდა განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო პერიოდში. მხედველობაში გვაქვს ცალკეულ აფხაზ მეცნიერთა სრულიად დაუსაბუთებელი განცხადებები იმის შე-

¹ ის, რომ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს სახელის მქონე საეკლესიო ორგანიზაცია, მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს ხანაში შეიძლებოდა შექმნილიყო ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ამ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შექმნას უკავშირებს სამეფოს დამმარსებელს ლეონ II-ს: „ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძღურებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაჲთგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“ (ვახუშტი, 1973: 746, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაარსების საკითხთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე დასაბუთებულად გამოიყურება თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაარსება უნდა მომხდარიყო IX ს. 80-90-იან წლებში (ბერძენიშვილი, 1966b: 45; კუდავა, 2000: 47; კუდავა, 2002: 565; ქორიძე, 2003: 9-10). ვფიქრობთ, „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვება ნამდვილად მოხდა IX ს. 80-იან წლებში, „აფხაზური“ მხარის „თხოვნით“ იმჟამად „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის დამყარებული კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების ფონზე და ეს იყო ოფიციალურ ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი რეალური ნაყოფი (პაპასქირი, 2006: 180-182; პაპასქირი, 2017: 95; Papaskiri, 2017: 58).

სახეზე, რომ „აფხაზთა“ სამეფოში ღვთისმსახურების ენა ბერძნულთან ერთად იყო აფხაზურიც (Дбар, 2006: 6; Амичба, 2012: 68, 71; Касландзия, 2017: 243-244; Маан, 2020: 249-250). ცხადია, ეს კეთდება მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ „აფხაზთა“ სამეფო ნამდვილად წარმოადგენდა აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოს. ერთი წუთითაც, რომ დავუშვათ „აფხაზთა“ სამეფოში ღვთისმსახურება აფხაზურ-აფსურ ენაზე, რაც სრულიად წარმოუდგენელია, ისმის სავსებით ბუნებრივი კითხვა – რას უნდა შეეფერხებინა ის „აფხაზ“ მეფეთა შეუქცევადი გაძლიერების ხანაში?! ან რანაირად უნდა მოშლილიყო ერთბაშად აფხაზური წიგნიერება და ღვთისმსახურება ბაგრატი ბაგრატიონის ქუთაისის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ – განა ის ვინმე „უცხო“ იყო და არა ყველაზე ძლევამოსილი „აფხაზი“ მეფის გიორგი II-ის (922-957) ღვიძლი შვილიშვილი?!

ანუ, თუ აფხაზობა ჯერ კიდევ VI საუკუნიდან ინტენსიურად ეწაფებოდა ქრისტიან მობღვრებას თავის მშობლიურ ენაზეც კი, როგორ მოხდა, რომ, პოლიტიკური აღზევების ფონზე, მან ვერ შეძლო ქრისტიანობის ეროვნულ ნადაგზე საბოლოოდ მოქცევა, საეკლესიო ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე გადაყვანა და ეროვნული ქრისტიანული წიგნიერების შექმნა, რაც ადრეულ შუა საუკუნეებში მოახერხეს ქართველებმა, სომხებმა სლავებმა და ა.შ.? ან რამ აიძულა „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურები, რომლებმაც იმთავითვე განაცხადეს პრეტენზია საერთო-ქართულ სამყაროში პოლიტიკურ ჰეგემონობაზე, თავიანთი „აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს“ ოფიციალური საქმის წარმოებისა და ქრისტიანული ღვთისმსახურების ენად მაინცდამაინც ქართული ექციათ?

ამ კითხვებზე ჩვენს ოპონენტებს რაიმე მეცნიერულ ანალიზზე და ელემენტარულ ლოგიკაზე დამყარებული პასუხი, ბუნებრივია, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. თანაც ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია ისტორიოგრაფიაში და, რაც მთავარია, ეს გააკეთა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით ყველაზე ავტორიტეტულმა აფხაზმა ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემ, რომელმაც ერთნიშნად მიუთითა იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს ქართული სალიტერატურო ენის გადაქცევა ღვთისმსახურებისა და სახელმწიფო საქმის წარმოების ენად.

ზ. ანჩაბაძის მართებული დასკვნით, *„ქართული ენის საყოველთაო გავრცელება დამწერლობისა და კულტურის ენად“* „აფხაზთა“ სამეფოში, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში სწორედ *„ქართველური ელემენტი წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას“* და მას *„ტერიტორიულადაც უმეტესი და წამყვანი ნაწილი ეკავა. გარდა ამისა, ქართველური ელემენტი აღმოჩნდა უფრო განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისითაც“* (Анчабадзе З., 1959: 106-107, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ თუ „აფხაზ“ მეფეებს არც უფიქრიათ აფხაზური (აფსური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაზე, რაც, პირველ რიგში, სათანადო აფხაზური (აფსური) წერილობითი ტრადიციისა და წიგნიერი კულტურის შექმნას გულისხმობდა, არამედ მათ ბერძნულ-ბიზან-

ტიურ იდეოლოგიას ქართული ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც ქართული ეკლესია განასახიერებდა ქართული ღვთისმსახურებით, დაუპირისპირეს.

აი, რატომ მიჰყვეს ხელი დიდ საეკლესიო აღმშენებლობას „აფხაზმა“ მეფეებმა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც რეგიონში ქართული წერილობითი კულტურისა და ქართული ქრისტიანული წიგნიერების ფართოდ დანერგვის პირობები შექმნეს. ამ პროცესს თან სდევდა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძველი ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს ქართულ მატრიანებსა (**მატიანე, 2008: 265, 273**) და სხვა წერილობით ძეგლებში. სწორედ საეკლესიო სფეროში „აფხაზთა“ მეფეების ამგვარი მტკიცე ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო ის, რომ უკვე X ს. დამდეგისათვის დასავლეთ საქართველო ანუ „აფხაზთა“ სამეფო მთლიანად ქართული წერილობითი კულტურისა და წიგნიერების ქვეყნად იქცა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კი ორგანიზაციულად მცხეთის საკათალიკოსოს შეერწყა (**Анчабадзе З., 1959: 146; Лордкипანიძე М., 1988: 289**).

ერთადერთი ახსნა, თუ რატომ მოიქცნენ ასე ე.წ. „აფხაზი“ მეფეები, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ **ჯერ კიდევ გამეფებამდე დიდი ხნით ადრე ლეონ II და მისი წინაპრები** (რომ არაფერი ვთქვათ მემკვიდრეებზე) **ეთნოტომობრივი წარმომავლობის მიუხედავად, თავს ერთმნიშვნელოვნად საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ. მათთვის ქართის ენა, რომელიც საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ქართულს, და ქართული ქრისტიანული კულტურა ისეთივე მშობლიური გახდა, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართული მოსახლეობისათვის, მათ შორის მეგრულ-ჭანური და სვანური ტომებისათვის, რომლებიც, როგორც ცნობილია, მეტყველებდნენ** (და დღესაც მეტყველებენ) **ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ენა-დიალექტებზე.**

ის, რომ „აფხაზთა“ სამეფოში სწორედ ქართველური ტომები წარმოადგენდნენ ეთნიკურ უმრავლესობას, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ვახუშტი ბატონიშვილის, ჩვენი აზრით, სრულიად უტყუარი ცნობის თანახმად, „აფხაზთა“ სამეფო ჯერ კიდევ ლეონ II-მ დაყო რვა საერისთავოდ (**ვახუშტი, 1973: 796**), რომელთაგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი, საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავო“ (უკეთეს შემთხვევაში, მდ. გუმისთის ჩრდილოეთი ტერიტორია ნიკოფსიამდე) იყო დასახლებული აფხაზური ტომებით (თუმცა არაა გამორიცხული, აფხაზური ტომების ერთ ნაწილს ეცხოვრა ცხუმის საერისთავოს ფარგლებშიც). დანარჩენი შვიდი საერისთავოს (მათ შორის, ცხუმის საერისთავოს) მოსახლეობა უდავოდ მთლიანად ქართული იყო. ქართული ეთნიკური ელემენტი, განსაკუთრებით მისი ქართიზირებული ნაწილი, რომელიც VIII ს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში რიცხოვნობრივად მნიშვნელოვნად მომრავლდა, როგორც სავსებით მართებულად მიუთითებდა *ზურაბ ანჩაბაძე*, აღმოჩნდა ყველაზე განვითარებული სოციალურ-ეკონომ-

მიკური და რაც მთავარია, კულტურული თვალსაზრისით (Анчабадзе З., 1959: 106-108). ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ „აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო ენად სწორედ „ქართის“ ანუ ქართული ლიტერატურული ენა გადაიქცა. ამ დროისათვის მას გააჩნდა წერილობითი ტრადიცია და უკვე დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის ფუნქციას აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურქართული („ქართის“) ელემენტის კულტურულ-პოლიტიკური წონის განუხრელი ზრდის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ „აფხაზთა“ მეფეებმა სატახტო ქალაქად არა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა ძველი რეზიდენცია – ციხე-გოჯი – არჩიეს, არამედ ქუთაისი, რომლის დაწინაურებას საისტორიო ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლის საერისმთავრო სახლის (სტეფანოზ-არჩილის) დამკვიდრებას ამ ქალაქში VIII ს. 30-იან წლებში. ამასთან, ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ლეონიდები“ თავიანთ თავს სტეფანოზ-არჩილის სახლის კანონიერ მემკვიდრეებად მოიაზრებდნენ. მართლაც, ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ანაკოფიიდან – „აფხაზეთის ერისთავთა“ რეზიდენციიდან – მაინცდამაინც ქუთაისში ქართლი-ეგრისის „მეფეთა“ სატახტო ქალაქში გადასვლით „ლეონიდებმა“ ნამდვილად ხაზი გაუსვეს თავიანთ უშუალო ლეგიტიმურ კავშირს სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი ხდება, რომ „აფხაზთა“ სამეფო იმთავითვე იყო ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც აღმოცენდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე. ის წარმოადგენდა ძველი კოლხეთის და ლაზიკის სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეს. მეტიც, „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ლაზიკა-ეგრისის სამეფოსაგან განსხვავებით, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი შორს იყო დასრულებისაგან (რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაზიკა-ეგრისში სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა ბერძნული იყო), „აფხაზთა“ სამეფო თავისი შინაარსით იყო ფაქტობრივად პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში, ქართული ეროვნული ქრისტიანული იდეოლოგიით და ქართული სახელმწიფო ენით. ქართული იყო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური მიზანსწრაფვაც. ის განუხრელად იდგა საერთოქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. სწორედ „აფხაზთა“ მეფეების თავდაუზოგავმა ზრუნვამ, მიმართულმა თავიანთი სახელმწიფოს შემდგომი ტერიტორიული განვრცობისა და გაძლიერება-განმტკიცებისაკენ, შექმნა მყარი საფუძველი ქუთაისის ტახტის ეგიდით ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის XI ს. დამდეგს.

თავი IV. აფხაზეთი ერთიან ქართულ სახელმწიფოში.

XI-XV საუკუნეები

§1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და თანამედროვე აფხაზეთის ადმინისტრაციული სტატუსი XI-XII საუკუნეებში

თანამედროვე აფხაზეთის ისტორიის აფხაზურ ნაციონალისტურ ნარატივში, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო დროს წინა პლანზე წამოიწია თავის დროზე *სემიონ აშხაყვას* მიერ შემოთავაზებულმა აბსურდულმა თეზისმა, რომ XI-XII საუკუნეების ერთიანი ქართული მონარქია (XV საუკუნის ჩათვლით) იყო არა ქართული, არამედ „აფხაზთა“ სამეფოს სახელით ცნობილი აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო. ანუ, თუ ადრე *ბაგრატ III ბაგრატიონის* მიერ დაფუძნებულ ერთიან ქართულ სახელმწიფოს მიიჩნევდნენ „აფხაზთა და ქართველთა სამეფოდ“, რომელშიც, რასაკვირველია, გულისხმობდნენ აფხაზების „აფხაზთა“ სამეფოსა (რასაკვირველია – აფხაზური სახელმწიფოს) და ქართველების „ქართველთა“ სამეფოს რაღაც ფედერაციულ გაერთიანებას (*История Абхазии, 1991: 95*), რომელმაც იარსება 1259 წლამდე (*История Абхазии, 1991: 98*), ამჟამად ესეც ეცოტავებათ და მთლიანად ერთიან ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეს ეპოტინებიან.

ამის ნათელი გამოხატულებაა თუნდაც აფხაზეთის ისტორიის ბოლო სახელმძღვანელოს შესაბამისი მონაკვეთის დასათაურება: „*აფხაზეთის სამეფო XI-XIII საუკუნეებში*“ (*„Абхазское царство в XI-XIII вв.“*), აგრეთვე ქვეპარაგრაფის დასათაურებაც – „*აფხაზი ბაგრატიდების სამეფო*“/„*Царство абхазских Багратидов*“/ (*Бгажба О., Лакоба С., 2015: 164*).¹ ამასთან, მასალა ისეა გადმოცემული, თითქოს ეს მართლაც ეთნიკურ აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფო იყოს, ხოლო მისი მეფეები თვით *დავით აღმაშენებლისა და თამარის* ჩათვლით ბაგრატიონთა „აფხაზური დინასტიის“ წარმომადგენლები. მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი ავტორის ამბიციური განცხადებით თამარის მმართველობის პერიოდი თურმე სულაც „აფხაზური მრავალეროვანი სახელმწიფოს ოქროს ხანა“ ყოფილა (*Кварчия, 2015: 534; Папаскир, 2019: 215*). მართლაც, ძნელია სახელი მოეძებნოს ამ დონის უწინგურობასა და თავხედობას. ეს არის ისტორიაზე ძალადობის უიშვიათესი მაგალითი. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება *დავითისა და თამარის* სახელმწიფოს, „*ვეფხისტყაოსნის*“ ეპოქის ცივილიზაციის ერთპიროვნული შემქმნელის მანტია მოირგოს ერმა, რომელიც დღეს თვითონვე უარყოფს ამ დიდ, ჭეშმარიტად მსოფლიო ღირებულების კულტურულ მემკვიდრეობას და ისტორიის წინაშე მხოლოდ თავისი ფოლკლორული მემკვიდრეობის ამარა რჩება?!

ეს, თავიდან ბოლომდე ყალბი, თეზისი ეფუძნება ერთადერთ „არგუმენტს“ – ცრუმეცნიერულ სპეკულაციებს „*მეფე აფხაზთას*“ ტიტულის ირგვლივ. ანუ იმ ტი-

¹ შედარებისათვის, 1991 წლის სახელმძღვანელოში იმავე ნაწილის სათაური იყო „*ბაგრატიდების სამეფო*“/„*Царство Багратидов*“/ (*История Абхазии, 1991: 89*).

ტულის, რომელსაც ატარებდნენ ჯერ *ლეონ II* და მისი მემკვიდრე *„ლეონიდი“* მეფეები, ხოლო 978 წლიდან იმავე *„ლეონიდების“* დინასტიის ლეგიტიმური წარმომადგენელი (დედის ხაზით) *ბაგრატ III ბაგრატიონი*, რომელმაც „აფხაზთა“ მეფის ძალაუფლების ქვეშ მოაქცია აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები და საფუძველი ჩაუყარა – ერთიან ქართულ სახელმწიფოს. რა ხასიათის იყო ეს მოვლენა, რომელ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს – საერთო-ქართულს, თუ მითიურ აფხაზურ-აფსურს – წარმოადგენდნენ სინამდვილეში ბაგრატ III და მისი მემკვიდრენი და როგორი იყო მათ მიერ შექმნილ სახელმწიფოში, რომელსაც XI-XII საუკუნეებში (ზოგჯერ უფრო გვიანაც – XV საუკუნის ჩათვლითაც კი), პირველ რიგში, აფხაზეთად მოიხსენიებდნენ, თანამედროვე აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ეთნო-კულტურული იერსახე.

დავიწყოთ X ს. 70-იანი წლების მოვლენებით. X ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს. დამდეგს ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა ჰეგემონობისათვის გადამწყვეტ სტადიაში შევიდა და საბოლოოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით დასრულდა. ამ ერთიანი სახელმწიფოს მეთაური გახდა „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფო ტახტზე 978 წელს აღზევებული ბაგრატ III – ძე „ქართულთა“ მეფის ბაგრატ II „რეგუნის“ ვაჟის *გურგენ ბაგრატიონისა* და დიდი „აფხაზთა“ მეფის *გიორგი II-ის* (922-957) ქალიშვილის *გურანდუხტ* დედოფლისა. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ არჩევანის შეჩერება ბაგრატ უფლისწულზე სულაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის წინასწარ გათვლილი, შორს გამიზნული სვლა, რომლის მთავარი შემოქმედი, *იოანე მარუშის ძე-სთან*¹ ერთად, იმდროინდელი საქართველოს უდავო ლიდერი *დავით III დიდი კურაპალატი* იყო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იმიერტაოს ხელმწიფის მიერ მაინცდამაინც ბაგრატის მიშვილება, რომელსაც ასეთი ვრცელი დინასტიურ-ლეგიტიმური არეალი გააჩნდა, იყო იმ დიდი გეგმის ნაწილი, რომელსაც შემდგომ სრულიად საქართველოს ერთი ტახტის ქვეშ გაერთიანება უნდა მოჰყოლოდა. ამის უარყოფა ალოგიკურად და უაზრო აკვიატებად მიგვაჩნია.²

¹ ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე დასმის ინიციატივით, როგორც ცნობილია, ქართლში (იგულისხმება შიდა ქართლი) „აფხაზთა“ სამეფო კარის მიერ ერისთავად დანიშნული *იოანე მარუშის ძე* გამოვიდა. სწორედ მან გააკეთა პირველი განცხადება ბაგრატ უფლისწულის მემკვიდრეობით უფლებებზე დასავლეთ საქართველოში 975 წელს, როდესაც თხოვნით მიმართა დავით III დიდ კურაპალატს, ან თვითონ დაეკავებინა ქართლი, ან კიდევ გადაეცა ის სამართავად თავის შვილობილ ბაგრატიანთა, რომელსაც, როგორც „*ასულისწულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა*“, ერგებოდა „*დედულად აფხაზეთი და ქართლი*“, (მატიანე, 2008: 267).

² თავის დროზე ამგვარი მცდელობა ჰქონდა აკადემიკოს *გიორგი მელიქიძის*ს, რომელმაც დავით კურაპალატი არათუ ბაგრატ უფლისწულის „აფხაზეთში“ გამეფების და შემდგომ მის გარშემო სხვა ქართული მიწების შემოკრების ინიციატორად და მოთავედ,

მართლაც, რა ფიცი-მტკიცე სჭირდება იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ 975 წელს, როდესაც დავით კურაპალატმა ბაგრატ უფლისწული ქართლის მმართველად დასვა, მას სრულიად ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი შვილობილის კარიერული წინსვლის პერსპექტივები. განა ამის პირდაპირი დადასტურება არ არის ის ოფიციალური განცხადება, რომლის დეკლარირება მოახდინა იმჟამინდელი საქართველოს ადიარებულმა ლიდერმა ქართლის აზნაურების წინაშე ბაგრატ უფლისწულის წარდგენისას – „ეს არს მკვდრი ტაოძის, ქართლისა და აფხაზეთისაჲ, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე...“ (მატიანე, 2008: 267-268). ასე რომ, დავით კურაპალატის ამ განცხადებაში, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, ნამდვილად ასახულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს – „საქართველოს“ მშენებლობის მკაფიოდ გაცნობიერებული პროგრამა იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსებისა, რომელთა შორის დავით კურაპალატი უცილობლად პირველთაგანი იყო (მუსხელიშვილი, 2012: 179, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

იოანე მარუშის ძის გეგმით ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი ბაგრატ უფლისწულის აფხაზეთში გასამეფებლად – „ესევე ივანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“ (მატიანე, 2008: 267). ცნობილია, რომ დაწყებული IX ს. 60-იანი წლებიდან, როდესაც ქართლი პირველად მოექცა ქუთაისის ტახტის კონტროლქვეშ, „აფხაზთა“ მეფეები, როგორც წესი, ამ რეგიონის მმართველობას ტახტის მემკვიდრე უფლისწულებს ავალებდნენ. ე.ი. 975 წელს ქართლის მმართველად ბაგრატ უფლისწულის დასმით ის ავტომატურად ცხადდებოდა დასავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრედ, მით უფრო, რომ „აფხაზთა“ სამეფო სახლში დინასტიური კრიზისი იყო და სხვა უფლისწული, რომელსაც შეეძლო რეალურად პრეტენზია განეცხადებინა ტახტზე ფაქტობრივად არ ჩანდა.

აქ დგება ერთი პრინციპული საკითხი – რამდენად იყო იოანე მარუშის ძის ინიციატივა და დავით კურაპალატის მიერ ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად დასმა შეთანხმებული ოფიციალურ ქუთაისთან და რა როლს თამაშობდა ამ ისტორიაში „აფხაზთა“ მეფე თეოდოსი „უსინათლო“. ისტორიოგრაფიაში დიდ ხანს თითქმის უალტერნატივოდ იყო მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იოანე მარუშის ძე მოქმედებდა „აფხაზთა“ სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სანქციით (მელიქიშვილი, 1973: 135; Лордкипаниძე М., 1988a: 375; სამუშია, 2012: 29). ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შევეცადეთ გადაგვესინჯა აღნიშნული დებულებაც და დაგვესაბუთებინა, რომ იოანე მარუშის ძის გეგმა ნამდვილად

არამედ, პირიქით, ამგვარი გაერთიანების („აფხაზეთი“+ქართლი+ტაო-კლარჯეთი) მოწინააღმდეგედ გამოაცხადა (მელიქიშვილი, 1973: 4-24). ქართულმა ისტორიოგრაფიამ არ გაიზიარა გ. მელიქიშვილის ეს მოსაზრება (Лордкипаниძე М., 1988: 327-339) და ახალი არგუმენტებით შეამაგრა თვალსაზრისი დავით III კურაპალატის – ამ დიდი ეროვნული მოღვაწის – გადამწყვეტ როლზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში (პაპასკირი, 1990: 14-62; Папаскири З., 2001: 13-33).

არ იყო ინიცირებული ქუთაისიდან და ის სინამდვილეში თეოდოსი „აფხაზთა“ მეფის ზურგს უკან შემუშავდა (**ლორთქიფანიძე მ., პაპასქირი, 1998**: 211-212).

მართლაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ მონაცემები არა თუ არ ადასტურებენ, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავენ ქუთაისის ტახტის რაიმე მონაწილეობას ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად დასმის პროცედურაში. „მატიანის“ მონათხრობი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ „აფხაზთა“ სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება იმაჟამად მთლიანად მოთიშული იყო ქართლში განვითარებული პროცესებიდან და იოანე მარუშის ძე სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ეს კი, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ თავის დროზე „აფხაზთა“ მეფის (დემეტრე III-ის) მიერ ქართლის ერისთავად დანიშნული მოხელე ეჭვის თვალით უყურებდა დასავლეთ საქართველოში ახლად გამეფებული თეოდოსის „განსაკუთრებულ“ ურთიერთობებს კახეთის მმართველ კვირიკესთან. რომელ „განსაკუთრებულ“ ურთიერთობებზეა საუბარი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მცირე ექსკურსის გაკეთება კახეთის ხელისუფალთა ჰეგემონისტურ მისწრაფებებსა და შიდა ქართლის მნიშვნელობაზე ამ მისწრაფებების რეალიზაციის გზაზე.

როგორც ცნობილია, კახეთის სამთავრო წარმოქმნის დღიდან აქტიურად ჩაება საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა, ისარგებლა რა ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის ტაო-კლარჯეთში გადასვლით, უმაღლესი მონღოლთა შიდა ქართლის მიტაცება (**მატიანე, 2008**: 255). იმ დროიდან, კახელები არ ეხსნებოდნენ შიდა ქართლს – ისტორიულად ქართლის მეფეებისა და ერისმთავრების დომენს, რომლის დაუფლება ერთგვარ ლეგიტიმაციას აძლევდა ცალკეული ქართველი მეფე-მთავრების ლიდერობას საერთო-ქართული პოლიტიკური სამყაროს ჰეგემონობისათვის ბრძოლაში. მას მერე, რაც „აფხაზთა“ მეფეები გაძლიერდნენ (დაახლოებით IX ს. II ნახევრიდან), ისტორიული ქართლის ეს ნაწილი ძირითადად მათ კონტროლქვეშ მოექცა. სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ტრადიციას, რომლის მიხედვითაც შიდა ქართლის მმართველად „აფხაზთა“ მეფეები ტახტის მემკვიდრეს ნიშნავდნენ. პირველი ასეთი მმართველი, იყო გიორგი I „აღწეულად“ წოდებული „აფხაზთა“ მეფის (861-868) ძმისწული, რომელიც უშვილო გიორგი მეფის მემკვიდრედ მოიაზრებოდა. მაგრამ საკმარისი იყო „აფხაზთა“ სამეფოს რაიმე სიძნელეები შექმნოდა, რომ კახეთი ეგრევე გადადიოდა შეტევაზე და ცდილობდა შიდა ქართლის „აფხაზთა“ სამეფოსაგან ჩამოცილებას.

X ს. შუა ხანებში „აფხაზთა“ სამეფო ჯერ გიორგი II-ის, შემდეგ კი მისი მემკვიდრის ლეონ უფლისწულის აქტიური მეცადინეობით გადავიდა ტოტალურ შეტევაზე კახეთ-ჰერეთის მიმართულებით და სერიოზული საფრთხე შეუქმნა კახეთის ქორეპისკოპოსის სუვერენიტეტს. ლეონ III-ის, გარდაცვალების შემდეგ კახეთმა ერთგვარად ამოისუნთქა (**მატიანე, 2008**: 263-265). უფრო მეტიც, მალე კვირიკე II-ს (929-976) თვითონ მიეცა საშუალება ჩარეულიყო ლეონ III-ის ძმებს – დემეტრესა

და თეოდოსის შორის ქუთაისის ტახტის დაუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაში და ეფიქრა გარკვეულ გამორჩენაზე. მან პოლიტიკური თავშესაფარი მისცა თეოდოსის, რომლის პირველი მცდელობა დაეკავებინა ტახტი მარცხით დამთავრდა. კახეთის ქორეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ძალზე დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოში თეოდოსის გამეფებით. ამიტომაც ენთუზიაზმით მიიღო დემეტრე „აფხაზთა“ მეფის წინადადება ორივე ძმის ერთობლივი მეფობის შესახებ. კვირიკემ პირობა დადო თეოდოსის წინაშე, რომ დემეტრე მეფის მხრიდან ღალატის შემთხვევაში თვითონ იქნებოდა „*მეძიებელი სისხლისა*“ და დაიყოლია ის ძმის წინადადებაზე. მცხეთაში „*სუეტსა ცხოველსა*“ შედგა დაფიცების ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ: „*კათალიკოსი, მღვდელთ-მოდღუარნი და დიდებულნი ყოველნი*“ (მატიანე, 2008: 265-266).

დემეტრესა და თეოდოსის ერთობლივი მეფობა, როგორც ცნობილია, ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე „*დემეტრე მეფემან დაივიწყა შუამდგომლობაჲ ღმრთისა და კაცთაჲ, და შემართა ფიცთა გატეხაჲ: შიპყრა თეოდოსი და დასწუნა თუალნი*“ (მატიანე, 2008: 266). მაგრამ არც მისმა ერთპიროვნულმა ხელმწიფობამ გასტანა დიდხანს. არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ რამდენად ადასრულა კვირიკე II-მ თავისი პირობა შურისძიების თაობაზე და რამდენად უკავშირდება დემეტრე მეფის სიკვდილი მის ამ დანაქადნს, მაგრამ, უსინათლო თეოდოსის გამეფებაში, როგორც ჩანს, კახეთის ქორეპისკოპოსს რაღაც წვლილი ნამდვილად უნდა მიუძღოდეს. ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ უმაღლვე, მას შემდეგ რაც „*ადესრულა დემეტრე მეფე, იხილეს ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა, რომელ არღარა დარჩა მკვდრი აფხაზეთსა და ქართლსა, გამოიყვანეს თეოდოსი და დასუჯეს მეფედ. მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა*“ (მატიანე, 2008: 266-267, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თეოდოსისა და კვირიკეს შორის დადებული ფარული გარიგება, რომლის თანახმადაც თეოდოსი თავის მოკავშირეს, მისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, ქართლს დაჰპირდა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია კახეთის ქორეპისკოპოსს თავისი პოლიტიკური პარტნიორისათვის ამ უკანასკნელის ტახტზე ასვლისთანავე ასეთი მტკივნეული დარტყმა მიეყენებინა. უფრო სავარაუდოა, რომ კვირიკე II მოქმედებდა თეოდოსისთან შეთანხმებით და რომ შიდა ქართლი იყო ერთგვარი კომპენსაცია, რომელსაც კახეთის ქორეპისკოპოსი იღებდა „აფხაზთა“ მეფისაგან გაწეული დახმარების სანაცვლოდ. ეტყობა, სწორედ ამ გარიგების წინააღმდეგ გამოვიდა იოანე მარუშის ძე, რომელმაც ქუთაისში კი არ აფრინა კაცი დამხმარე ძალის მოსახმობად (არადა ყველა ლოგიკით მას სწორედ „ცენტრისთვის“ უნდა მიემართა), არამედ იმიერტაოში – დავით კურაპალატთან. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ იოანე მარუშის ძეს ბაგრატი უფლისწული აინტერესებს არა უბრალოდ ქართლის მმართველის სტატუსში, არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, ის საერთოდ მთელი „აფხაზეთის“ მეფედ ესახება. ე.ი. ბაგრატი ჯერ ქართლში არ დაუსვამთ და იოანე მარუშის ძე უკვე მის „აფხაზეთში“ გამეფებაზე ფიქრობს. აქ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

ქართლის ერისთავისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო თეოდოსი-კვირიკეს გარიგება და მან იმთავითვე დაიწყო არა მხოლოდ ქართლის შენარჩუნებისათვის ზრუნვა, არამედ „აფხაზეთში“ მომავალი სახელმწიფო გადატრიალებისათვის თადარიგიც დაიჭირა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იოანე მარუშის ძის გეგმა თეოდოსი „აფხაზეთა“ მეფის ზურგს უკან შემუშავდა და ქუთაისის ოფიციალურ ხელისუფლებას მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა (**ჰაპასქირი, 2013-2014: 360-365; ჰაპასქირი, 2016b: 54-59**)

მაგრამ მოვუბრუნდეთ ბაგრატ უფლისწულის მიერ ქუთაისის ტახტის დაკავებას – 978 წელს, რომლის შემდეგაც მან მიიღო „აფხაზეთა მეფის“ ტიტული. ისტორიოგრაფიაში, არცთუ იშვიათად, ვხვდებით ამ ფაქტის არასწორ აღქმას. ასე მაგალითად, *ნოდარ ასათიანს*, თავის „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში, აქცენტი გადააქვს 975 წლის აქტზე და ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად დასმას აშკარად მისი მეფობის დასაწყისად მიიჩნევს,¹ მაშინ, როდესაც „აფხაზეთა“ მეფის ტახტის დაკავების ფაქტს მეცნიერი უბრალოდ, სხვათა შორის (ისიც თარიღის მიუთითებლად) აფიქსირებს (**ასათიანი, 1999: 148**). ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად დასმას მის ქართლის სამეფო ტახტზე აღზევებად მიიჩნევდა *ზურაბ ანჩაბაძე* (**ანჩაბაძე 3., 1960b: 75**).

ორივე შემთხვევაში გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ამ დროს არავითარი ქართლის სამეფო ტახტი არ არსებობდა. ქართლის სამეფოს (შემდგომ ქართლის საერისმთავროს) ერთგვარ სამართალმემკვიდრედ ითვლებოდა ტაოკლარჯეთში აღმოცენებული ბაგრატიონების „ქართუელთა“ სამეფო, რომლის ტახტი იმჟამად არ იყო თავისუფალი – ის ბაგრატ უფლისწულის პაპას – ბაგრატ II „რეგუენს“ ეკავა. საკუთრივ ქართლი კი, ანუ შიდა ქართლი – ისტორიული ქართლის სახელმწიფოს მეთაურთა დომენი – აშოტ ბაგრატიონის მემკვიდრეებს დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ და 975 წელს, როდესაც უფლისციხეში ბაგრატ უფლისწულს ქართლის მმართველად სვამდნენ, აღნიშნული რეგიონი „აფხაზეთა“ სამეფოს სამფლობელო იყო. ამდენად, ბაგრატ უფლისწული 975 წელს ვერანაირად ვერ მიიღებდა მეფის, მით უფრო „ქართლის მეფის“ ტიტულს. მხოლოდ „აფხაზეთა“ სამეფო ტახტის დაკავების (978 წ.) შემდეგ იწოდა ის მეფედ. ამიტომაც იწყებოდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ტიტულატურა სიტყვებით: „მეფე აფხაზეთა...“ (**ლორდკიპანიძე M., 1988a: 376-377**).

მართალია, დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელმა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ „აფხაზეთა“ სამეფომ არსებობა შეწყვიტა, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი მკვლევარი (**Кудрявцев, 1922: 120-121; Фадеев, 1934: 84, 86; ანჩაბაძე 3., 1959: 166,171; ანჩაბაძე 3., 1960b: 75; ანჩაბაძე 3., 1976: 57; ინალ-იპა, 1976: 412**). ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ დინასტიის ცვლას არსებითად არც კი ჰქონია ადგილი,

¹ შემთხვევითი არაა, რომ სახელმძღვანელოსათვის დართულ მეფეთა სიაში ბაგრატ III-ის მეფობის წლები 975-1014 წლებითაა განსაზღვრული (**ასათიანი, 1999: 148, 373**).

ვინაიდან ბაგრატი უფლისწულმა „აფხაზთა“ მეფის ტახტი დაიკავა არა როგორც ბაგრატიონმა, არამედ „ლეონიდების“ სამეფო დინასტიის ლეგიტიმურმა (დედის ხაზით) წარმომადგენელმა. სწორედ ამიტომ უსვამს ხაზს თავის „აფხაზურ“ წარმომავლობას ბაგრატი III „აფხაზთა მეფეთა დივანში“ რომელიც ე. თაყაიშვილის მოსწრებული თქმით წარმოადგენდა ერთგვარ მანიფესტს (**თაყაიშვილი, 1913: 23**), ბაგრატი უფლისწულის მიერ „აფხაზთა“ სამეფო ტახტის დაკავების იურიდიულ საფუძველს. ამასთან, კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია „აფხაზთა მეფეთა დივანში“ ბაგრატი III-ის მხრიდან თავის ე.წ. „აფხაზურ“ ფესვებზე ყურადღების გამახვილება მივიჩნიოთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის „ეთნიკური მენტალიტეტის ტენდენციებისა“, ან მის „ეთნიკური თვითშეგნების“ გამოვლინებად, როგორც ამას ფიქრობს გივი წულაია. მეცნიერის მტკიცებით, „ის გარემოება, რომ თავისი გენეალოგიის ჩვენებისას, **ბაგრატი მიზანმიმართულად მიჰყვება დედის ხაზით წარმომავლობას... უნდა ადასტურებდეს გაერთიანებული საქართველოს – ქუთაისით ცენტრში – პირველი მმართველის ეთნიკური მენტალიტეტის ტენდენციას**“ (**Цулая, 1995: 108**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). გ. წულაიას აზრით, ბაგრატი III-ის „ეთნიკური მენტალიტეტის“ ირიბ მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა გვირგვინოსანმა თავის სამუდამო განსასვენებელ ადგილად აირჩია არა ტაო, სადაც დაიბადა და მიიღო მამის ხაზით თავისი პაპის – ბაგრატი II-ის სახელი, არა ქუთაისი თავისი სამეფოს დედაქალაქი და არა ანაკოფია, არამედ ბედია, რომელიც მდებარეობდა „ძველი აფხაზური და ქართველური ტომების შესაყარზე“ (**Цулая, 1995: 108**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).¹

უფრო შორს მიდის გიორგი ანჩაბაძე, რომელსაც ბედია „აფხაზურ-ქართული პოლიტიკური ერთობის სიმბოლოდაც“ მიაჩნია და ამას ხსნის იმით, რომ „დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, აფხაზეთის ჩათვლით, პოლიტიკურად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ბედიის ტაძარი კი იყო ერთ-ერთი საკვანძო მომენტი... კულტურულ-ისტორიული მისიისა, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ აფხაზეთის სამეფოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში“ (**Анчабадзе Г., 2012**).²

¹ სხვა ნაშრომში გ. წულაია ბედიას პირდაპირ მოიხსენიებს „შუა საუკუნეების ქართულ-აფხაზურ ქალაქად“ (**Мровელი, 1979: 46**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

² სინამდვილეში, მიზეზი იმისა, თუ რამ განაპირობა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წმინდა სალოცავის, რომელიც შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის საძვალედ იქცა, მაინცდამაინც ბედიაში აშენება, სხვა რამეში უნდა ვეძიოთ და არა იმაში, რომ ეს „შუა საუკუნეების ქართულ-აფხაზური ქალაქი“, „ძველი აფხაზური და ქართველური ტომების შესაყარზე“ მდებარეობდა და „აფხაზურ-ქართული პოლიტიკური ერთობის სიმბოლო“ იყო. სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სწორედ ბედია ითვლებოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრ-სიმბოლოდ, რომელზედაც ერთნიშნად მიუთითა ქართველმა მემკვიდრეებმა. ბაგრატი III-ის ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, უდავოდ ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად „აფხაზ-

საკითხის ასე დაყენება, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. აფხაზურ „ეთნიკურ მენტალიტეტსა“ და „ქართულ-აფხაზური ურთიერთობების“ განმტკიცებას ბედიის ტაძართან არავითარი კავშირი არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბედია ისტორიულად ყოველთვის განიხილებოდა ეგრისის ცენტრად – „ამან ეგროს ალაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვის ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბედია“ (ლეონტი, 2008a: 26). საინტერესოა, როდის უნდა გამხდარიყო ეს ეგრის-ბედია ქართულ-აფხაზური ქალაქი? იმ დროიდან ხომ არა, როდესაც (გვიან შუა საუკუნეებში) პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსულმა და „ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილმა“ (მცნებაჲ, 1970: 222) ჯიქ-აფხაზებმა „დაიპყრეს“ ოდიში „ვიდრე ეგრისის მდინარემდე“ (ვახუშტი, 1973: 845, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.), პირწმინდად გაანადგურეს და ნანგრევებად აქციეს აქაური ქრისტიანული სიწმინდეები, მათ შორის, ბედიის ტაძარიც?!

წარმოდგენილი კვლევის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ ამ საკითხს ამდენ ყურადღებას ნამდვილად არ დავუთმობდით, რომ არა გავრთიანებული საქართველოს პირველი მეფის ე.წ. „ეთნიკური სენტიმენტების“ თემით სპეკულირება აფხაზი ისტორიკოსების მხრიდან. ამასთან, ისინი არ სჯერდებათ უბრალოდ ბაგრატ მეფის დედის „აფხაზურ“ წარმომავლობის კონსტატაციას და ყოველნაირად ცდილობენ ხაზი გაუსვან გურანდუხტ დედოფლის პოლიტიკურ ავტორიტეტს და ის წარმოაჩინონ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მიერ „მეზობელი“ საქართველოს ტერიტორიების „დაპყრობის“ აფხაზური „ნაციონალური“ პოლიტიკის „მთავარი დეოლოგად“ და მებაირახტრედ.

ამ აბსოლუტურად ისტორიულ რეალობას აცდენილი ნარატივის ნიმუშია ვრცელი პასაჟი აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სასკოლო სახელმძღვანელოდან“, რომელშიც გურანდუხტ დედოფალი დახასიათებულია, როგორც „ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფის ქალი“ (როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა – ზ.პ.), რომელიც თურმე „აფხაზეთის (სამეფო) კარისა და... ერთგული ფეოდალების ინიციატივით, პირველად გახდა ქართლის მმართველი“,¹ შემდეგ კი „შეასრულა მნიშვნელოვანი როლი

თა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობის იყო და სწორედ ისინი მოიპოვებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლებად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა. სწორედ ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დაცული თანამიმდევრობაც: „ადწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ (ვახუშტი, 1973: 742, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. ამის შესახებ დაწვრილ. იხ. პაპასქირი, 2000: 6-7; Папаскири З., 2012a: 417-428).

¹ ის, რომ გურანდუხტ დედოფალი თითქოს ყოფილიყოს ქართლის პირველი მმართველი სრული უვიცობაა. ეს რეგიონი, როგორც უკვე აღინიშნა, გურანდუხტამდე დიდი ხნით ადრე – ჯერ კიდევ IX ს. 60-იან წლებში – მოექცა ქუთაისის ტახტის კონტროლქვეშ, რო-

„აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ ფორმირებაში“. კერძოდ, ამის გამოხატულებად „სახელმძღვანელოს“ ავტორებს მიაჩნიათ „ის, რომ ბედიის საკურთხევლის ოქროს ბარძიმის წარწერაში გურანდუხტის – ლეონიდების სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის – სახელი ფიგურირებს მისი ვაჟის ბაგრატის გვერდით... ასე რომ, ბაგრატმა ტახტი მემკვიდრეობით მიიღო აფხაზი დედის ხაზით, რისი ხაზგასმის სურვილიც ჰქონდა (ბაგრატს – ზ.3.) მის მიერვე შედგენილ „აფხაზთა მეფეთა დივანში“ (Бражба О., Лакоба С., 2015: 164, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

კიდევ უფრო შორს მიდის დენის ჩაჩხალია, ანტიქართული განწყობილებებით ცნობილი აფხაზი პოეტი, რომელსაც გურანდუხტ დედოფალი წარმოუდგენია **„თავისი მცირეწლოვანი ვაჟის თანამმართველად“** (Чачхалиа, 2000). მისი მტკიცებითაც, **„ამაზე მეტყველებს მათი ერთობლივი წარწერა ოქროს ბარძიმზე, რომელიც უბოძეს აფხაზეთში ბაგრატის გამეფების აღსანიშნავად აგებულ ბედიის ტაძარს. ტაძარი აკურთხეს ზეციური დედოფლის – მარიამ დვთისმშობლის სადიდებლად და დედის, მიწიერი დედოფლის – გურანდუხტისადმი მადლიერების ნიშნად“** (Чачхалиа, 2000, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

ბედიის ტაძრისადმი შეწირული ოქროს ბარძიმის წარწერაში გურანდუხტ დედოფლის მოხსენიება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას რაიმე განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა ბაგრატის სახელისუფლებო სტრუქტურაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ წარწერას¹ და სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომლებშიც მოხსენიებულია გურანდუხტი (ქუთაისის ბაგრატის ტაძრის წარწერები (ქართული ლაპიდარული II, 1980: 259), ხცისის იოანე ნათლისმცემლის 1002 წლით დათარიღებული ეკლესიის წარწერა (Шмерлинг, 1955: 155.), ახალი სოფლის /თეთრი წყაროს რაიონი/ ეკლესიის წარწერა (ქართული ლაპიდარული I, 1980: 259), დაფიქსირებულია მხოლოდ და მხოლოდ გურანდუხტის საქველმოქმედო მოღვაწეობა – ეკლესია-მონასტრების მიმართ დედა-დედოფლის ზრუნვა (ეს შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი პრაქტიკაა), რაც იმას ნიშნავს, რომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ეპიგრაფიკულ წარწერებში გურანდუხტ დედოფლის თავისი გვირგვინოსანი ვაჟის გვერდით მოხსენიება რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად ჩავთვალოთ. ეს მასალა ნამდვილად არ შეიცავს რაიმე ისეთ ხელმოსაკიდ ინფორმაციას, რომელიც მაინც და მაინც ადასტურებდეს ბაგრატ მეფის გამიზნულ მოქმედებას – დასავლეთ საქართველოში თავისი ლეგიტიმური უფლებების განმ-

დესაც გიორგი I-მა ის სამართავად ჩააბარა ტახტის მემკვიდრედ გამზადებულ თავის ძმისწულს (პაპასქირი, 2006a: 64-71; პაპასქირი, 2009: 371-380). მოგვიანებით კი ქუთაისის ტახტის ხელისუფლებას შიდა ქართლში წარმომადგენდნენ სხვა „აფხაზი“ უფლისწულები, პირველ რიგში, სამეფო ტახტის მემკვიდრეები: კონსტანტინე და ლეონი.

¹ „წმიდაო დმრთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა – ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა, ამენ“ (სილოგავა, 2006: 313).

ტკიცების მიზნით „აფხაზი“ დედის პიროვნული ავტორიტეტისა და დინასტიური წარმომავლობის წინ წამოწევას (პაპასქირი, 2013-2014: 374-375).

მაგრამ არც ესაა მთავარი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, როგორც ირკვევა, გურანდუხტ დედოფალი – „აფხაზთა“ სამეფო სახლის „ღვიძლი შვილი“, სინამდვილეში, არათუ არ იყო ბაგრატი III-ის საქართველოს გაერთიანებისკენ (და არა ქართული ტერიტორიების „დაპყრობის“) მიმართული ცენტრალიზატორული პოლიტიკის იდეური სულისჩამდგმელი და ბურჯი, არამედ, ცალკეულ შემთხვევებში, ის საერთოდ ამ პოლიტიკური კურსის წინააღმდეგაც პოზიციონირებდა. კერძოდ, ეს მკაფიოდ გამოვლინდა X ს. 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც უკვე სრულწლოვანებაში შესულ ბაგრატი „აფხაზთა“ მეფეს მოუწია უმკაცრესი ზომების გატარება ქართლის აზნაურთა მორიგი „ანტიაფხაზური“ გამოსვლის ჩასახშობად. **„შემდგომად ამისა გარდამოვიდა (ბაგრატი – ზ.პ.) ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თილუას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არ ენება გარდამოსვლა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დადაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისა.¹ იწინამძღურეს ქავთარ ტბელი მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატი აფხაზთა მეფემან, აღუზანნა სპათა თვისთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს. მოვიდა (ე.ი. ბაგრატი – ზ.პ.) უფლისციხეს აღიღო ციხე დედისაგან თვისისა, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვნა დედა თვისი და წარვიდა ქუეყნად აფხაზეთისა“ (მატიანე, 2008: 269, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).**

¹ თავის დროზე, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ „მატიანე ქართლისაჲს“, ერთი შეხედვით, ფრიად უცნაურ და თითქოს უადგილო რეპლიკას: „მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა“ (მატიანე, 2008: 268). უცნაურობა იმაში გამოიხატება, რომ განმარტება უშუალოდ მოსდევს მემატიანის მონათხრობს დავით კურაპალატის მოთხოვნით კახელების მიერ დატყვევებული ბაგრატი უფლისწულისა და მისი დედ-მამის განთავისუფლების შესახებ. ამის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვქონდეს 975 წელს მიღებული გადაწყვეტილების – ბაგრატი უფლისწულის ქართლის მმართველად გამოცხადების – გადასინჯვასთან. ჩვენი ვარაუდით, ქუთაისის ტახტის მიმართ სეპარატისტულად განწყობილი შიდა ქართლის აზნაურთა და მათი მოკავშირის კახეთის ქორეპისკოპოსის გამომწვევმა სამხედრო დემარშმა, რომლის შედეგადაც მათ მოახერხეს უფლისციხის დალაშქვრა და ბაგრატი უფლისწულისა და მისი დედ-მამის შეპყრობა, მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწია. მართალია, დავით კურაპალატმა შეძლო დატყვევებულთა გამოსხნა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმიერტაოს ძლევამოსილმა მმართველმა სტატუს-კვოს აღდგენა – ბაგრატის ხელისუფლების შენარჩუნება ქართლში ვერ მოახერხა. ეტყობა, დავით კურაპალატს ერთგვარ დათმობაზე წასვლა მოუხდა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მიმართ და იძულებული გახდა ქართლის მმართველად დაეტოვებინა არა უფლისწული ბაგრატი, არამედ მისი დედა „აფხაზთა“ სამეფო სახლის ლეგიტიმური წარმომადგენელი გურანდუხტი (პაპასქირი, 1990: 67-71).

როგორც ვხედავთ, ქართლის აზნაურობა წინააღმდეგი ყოფილა ქართლში უშუალოდ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ხელისუფლების დამყარებისა და ამიტომ ყველანაირად ებღაუჭებოდა აქ გურანდუხტის გამგებლობის შენარჩუნებას. მართალია, მოტანილ ნაწყვეტში პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ გურანდუხტი ამბოხებულთა წინამძღოლია და ამდენად უპირისპირდება თავის ვაჟს, მაგრამ არსებობს კონკრეტული მასალა, რომელიც აშკარად მეტყველებს გურანდუხტის უშუალო კავშირზე „ანტიაფხაზურ“ ოპოზიციასთან. ესაა ატენის სიონის ერთ-ერთი სომხური წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს მე გერგოუმ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი (მოიხსენიეთ). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა **დედოფალს ქართველთა შეედავა და (სატახტო) უფლისციხე დაიკავა**“ (ალექსიძე ზ., 1978: 52, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).¹

როგორც ვხედავთ, სრულიად აშკარაა, რომ გურანდუხტ დედოფალი, ნებისთუ უნებლიედ, ჩართული აღმოჩნდა ქართლის არისტოკრატიის „ანტიაფხაზურ“ აქციებში, რომლის მიზანი იყო შიდა ქართლის ქუთაისის ტახტის დაქვემდებარებიდან გამოყვანა. რეგიონის პოლიტიკური ელიტის ამ სწრაფვას თავისი მოტივაცია გააჩნდა. მას მერე, რაც ქართლის უკანასკნელმა ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა დატოვა თავისი რეზიდენცია თბილისში და სამხრეთ საქართველოში გაიხიზნა, მან დაკარგა კონტროლი შიდა ქართლზეც. აქედან მოყოლებული თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, პერმანენტულად მიმდინარეობდა ბრძოლა „ქართლსა ზედა“ „ქვეყნის შუაგულის“ – დასაუფლებლად. ასეთ ვითარებაში ქართლის აზნაურობა მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა ამა თუ იმ ამბიციური ლიდერის მორჩილებისაგან და რეგიონი ნებისმიერი სამეფო („აფხაზთა“ თუ „ქართველთა“) ხელისუფლების კონტროლიდან გამოეყვანა.

ქართლის აზნაურთა პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა ადგილობრივი მარიონეტი დინასტიის ყოლა. ანუ, ქართლში შექმნილი იყო განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრატias, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად, სურს ჰყავდეს ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა, რათა „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“ (მატიანე, 2008:

¹ ამ ცნობაზე დაყრდნობით აკადემიკოსმა ზაზა ალექსიძემ სავსებით ლოგიკურად დაასკვნა, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მაინც და მაინც არ უნდა იყოს მთლად გულწრფელი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლაზე საუბრისას, რომ ის რატომღაც ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს გურანდუხტის ნების გარეშე მოხდა ეს კონფლიქტი. სინამდვილეში კი ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში არიან. ზ. ალექსიძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ წარწერაში გურანდუხტი მოხსენიებულია არა როგორც „დედოფალი“ ზოგადად, არამედ როგორც „ქართველთა დედოფალი“. მეცნიერის აზრით, „იმ ოთხიოდე წლის მანძილზე, როცა ბაგრატი აფხაზეთში იმყოფებოდა, გურანდუხტს დიდი უფლებები მოუპოვებია და თვითონაც „ქართველთა დედოფლის“ ტიტული მიუღია“ (ალექსიძე ზ., 1978: 56-57).

269). პირველად ეს მკაფიოდ გამოვლინდა X ს. 20-იან წლებში, როდესაც ქართლის აზნაურობა აუმხედრდა გიორგი „აფხაზთა“ მეფეს, გადაიბირა ქართლის მმართველად დანიშნული მისი უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე – კონსტანტინე (მატიანე, 2008: 262). ამ ბრძოლის მიზანი ქუთაისის ტახტისაგან შიდა ქართლის ჩამოცილება და აქ თავიანთი მარიონეტული სამეფო ხელისუფლების შექმნა იყო (ჯავახიშვილი, 1983: 129, 131-133). ე.ი. ისეთივე სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება, როგორც იყო სხვა ქართული სამეფო-სამთავროები („აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოები, კახეთი, ჰერეთი), საკუთარი სამეფო დინასტიით. მაგრამ ქართლის აზნაურთა ამ მისწრაფებებს განხორციელება არ ეწერათ. გიორგი „აფხაზთა“ მეფემ შეძლო განხეთქილების შეტანა აჯანყებულთა რიგებში და მკაცრად ჩაახშო ეს გამოსვლა. მამის მოღალატე უფლისწული „შეიპყრეს და მოჰგუარეს მეფესა, და მეფემან გააპატიჟა ბოროტად: პირველად თუაღნი დასწუნეს და მერმე გამოყურეს, და მოკუდა“ (მატიანე, 2008: 262-263).

„აფხაზთა“ სამეფო სახლის წარმომადგენელთა კონსტანტინე უფლისწულისა და გურანდუხტ დედოფლის ამგვარი – „მშობლიური“ ტახტისადმი „მოღალატური“ – ქმედებების ფონზე, საუბარი „აფხაზთა“ მეფეთა რაღაც აფხაზურ „ეთნიკურ სენტიმენტებზე“, რომელიც, თითქოს ასულდგმულზედა თვით ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების „დამპყრობლურ“ პოლიტიკას „საქართველოს“ მიმართულე-ბით, სრული აბსურდია. ისევე, როგორც მტკიცება იმისა, რომ „აფხაზთა“ სამეფო „აფხაზი ბაგრატიონების“ მმართველობის პერიოდში წარმოადგენდა აფხაზურ „ნაციონალურ“ სახელმწიფოს.

და მაინც რას წარმოადგენდა ბაგრატ III-ის სახელმწიფო. მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქუთაისში ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზთა“ სამეფოს არც ეთნოპოლიტიკური და არც სახელმწიფო-სამართლებრივი თვალსაზრისით რაიმე პრინციპული ხასიათის ცვლილება არ განუცდია. ამ დროიდან უბრალოდ დაიწყო ამ პოლიტიკური ერთეულის ტრანსფორმაცია დასავლურ-ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებიდან საერთო-ქართულ სახელმწიფოდ (Папаскири 3., 2010a: 50). ანუ მოხდა „აფხაზთა“ სამეფოს მხოლოდ ტერიტორიული განვრცობა-გაფართოება, არსებითად კი არაფერი შეცვლილა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის წარმოქმნის დღიდანვე (ლეონ II-ის ეპოქა) იყო ქართული სახელმწიფო. ამიტომაცაა, რომ XI-XIII სს. ქართველი მემკვიდრეები, ხშირად, მთელ საქართველოს „აფხაზეთად“ მოიხსენიებდნენ, რაც ასე მკაფიოდაა დაფიქსირებული „მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკაში (მატიანე, 2008: 287, 297), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის (ცხორებაჲ, 2008: 342), ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის (ლაშა-გიორგის, 2008: 354) თხზულებებში.

რასა ხან იყო წარმოდგენილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიან ქართულ სახელმწიფოში XI-XII საუკუნეებში. იმთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს მოცემულ პერიოდში ამჟამინდელ აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფოში გააჩნდა რაღაც განსხვავებული (სამთავ-

როს – „*владетельное княжество*“) – სახელმწიფოებრივი სტატუსი (Цулая, 1995: 130) ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. უფრო მეტიც, აღნიშნულ ხანაში დღევანდელი აფხაზეთი სულაც არ წარმოადგენდა ერთიან ორგანიზმს ადმინისტრაციულად. მისი ტერიტორია, როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის – დროიდან გადანაწილებული იყო სამი საერისთავოს ფარგლებში. ესენია: **აფხაზეთის საერისთავო** – მოიცავდა ტერიტორიას დაახლოებით ანაკოფიიდან (ამჟამინდელი ახალი ათონი) ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები); **ცხუმის საერისთავო** – ანაკოფიიდან სამხრეთით, მოიცავდა თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიას, აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის ნაწილს; **ბედიის (ოდიშის) საერისთავო** – ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიის ნაწილი, გალის რაიონი (Анчабадзе 3., 1959: 79).

თავის დროზე, ზურაბ ანჩაბაძემ, „*ისტორიანი და აზმანი მარავანდეღათანის*“ შესაბამისი ფრაგმენტის აკადემიკოს კორნელი კეკელიძისეულ წაკითხვაზე¹ დაყრდნობით, ივარაუდა ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების შერწყმა თამარის მეფობის ხანაში და ეს ეთნო-ტომობრივი ფაქტორით ახსნა. მეცნიერის აზრით, ამგვარი გაერთიანება განპირობებული იყო იმით, რომ ორივე საერისთავოს ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსურული) ტომები (Анчабадзе 3., 1959: 177-178). მაგრამ მოგვიანებით, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულების უფრო სრული ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ *ოთაღო მარვაშიძე* იყო აფხაზეთის ერისთავი, ხოლო *ამანელის-ძე*, რომელიც კ. კეკელიძემ რატომღაც არგვეთის ერისთავად მიიჩნია, სინამდვილეში სწორედ ცხუმის საერისთავოს განაგებდა.² აღსანიშნავია, რომ

¹ „*ისტორიანი და აზმანი მარავანდეღათანის*“ ხელნაწერებში თამარ მეფის მიერ დანიშნული ერისთავების ჩამოთვლისას დასახელებულნი არიან: *ოთაღო მარვაშიძე* – ცხუმის ერისთავი და *ბედიანი* – ოდიშის ერისთავი. ჩამოთვლილ ერისთავებს შორის მოხსენიებულია ერისთავი *ამანელის-ძე*, მაგრამ არაა მითითებული მისთვის სამართავად ჩაბარებული საერისთავოს სახელწოდება. ხელნაწერების ამ ხარვეზის შევსება სცადა კ. კეკელიძემ, რომელმაც *ამანელის-ძე* არგვეთის ერისთავად მიიჩნია და ამის საფუძველზე შეიტანა კიდევ შესაბამისი კონიექტურა მათიანის ტექსტში (**ისტორიანი და აზმანი, 1941:** 9-10), რაც შემდეგ გაიზიარა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა (**ისტორიანი და აზმანი, 1959:** 34).

² *კორნელი კეკელიძის* ამ შესწორების უსაფუძვლობა პირველმა აჩვენა გიორგი ცქიტიშვილმა, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ *ამანელის-ძენი* არ იყვნენ არგვეთის ერისთავები (**ცქიტიშვილი, 1966:** 222-227). ილია ანთელავამ გაიზიარა გ. ცქიტიშვილის არგუმენტაცია და *ვახუშტი ბატონიშვილის* მონაცემებსა (**ვახუშტი, 1973:** 172) და *მარი ბროსეს* ჰიპოთეზაზე (**ბროსესე, 1895:** 163) დაყრდნობით სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ *ამანელის-ძე* იყო ცხუმის ერისთავი, ხოლო *ოთაღო მარვაშიძე* – აფხაზეთის ერისთავი, რითაც გამორიცხა რაიმე ცვლილებები თამარის მეფობის დროს საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში (**ანთელავა ი., 1988:** 142-147. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ბახტაძე, 2003:** 245-247; **გოგოლაძე,**

ქართველ მკვლევართა ეს დასკვნა ბოლო დროს გაიზიარა აფხაზმა ისტორიკოსმა *ომარ მაანმა* (**Маан, 2020: 70**), თუმცა მისი მცდელობა *ამანელის-ძე* აფხაზური გვარის – *მაანის* ქართულ ფორმად წარმოაჩინოს (**Маан, 2020: 70**),¹ მეტად უსუსურია. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წყაროებში ცნობილია გვარასახელი *ამუნასკირი*, რომელიც სავსებით საფუძვლიანად მიჩნეულია *ამანელის-ძის* მეგრულ ფორმად (**ბერძენიშვილი, 1990: 363; ანთელავა ი., 1988: 270-271; გაბისონია, 2017/2018: 42**).² ვფიქრობთ, ამ დაზუსტების შემდეგ, „ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანის“ ტექსტის არასწორ გაგებაზე დაფუძნებული თვალსაზრისი თამარის ეპოქაში ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების გაერთიანების შესახებ, რაც, ამასთან, თითქოს განპირობებული იყო ამ საერისთავოების მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნებით, უნდა მოიხსნას.

რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზებს არ შეეძლოთ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებს გარეთ – მათ შორის, ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზე (ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა რეგიონში) – ცხოვრება. მაგრამ ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ სამეფოში „ლეონიდების“ ხანაშიც (IX-X სს.) და ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდშიც – ე.ი. ერთიან ქართულ სახელმწიფოში – სახელწოდება „აფხაზეთი“ ერქვა კონკრეტულ ოლქს – თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ერთ (ჩრდილოეთ) ნაწილს, რომელშიც არ შედიოდა ცხუმის საერისთავოს ტერიტორია, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ძირითადად სწორედ აღნიშნულ (ე.ი. **აფხაზეთის**) საერისთავოში ცხოვრობდნენ (**გოგოლაძე, 1995: 14-15**). იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური აფხაზები მართლაც სახლობდნენ ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზეც და, რაც მთავარია, ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ქვეყნის ადმინისტრაცია-

1995: 12-14; В. Папаскири 3., 1999: 178; ჰაპასქირი, 2009: 67-69; ჰაპასქირი, 2004: 59-60). დასანანია, რომ, მიუხედავად ქართველ ისტორიკოსთა სავსებით დამაჯერებელი არგუმენტებისა, „ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემაში უცვლელადაა დატოვებული *კველიძე-ყაუხჩიშვილის* რედაქცია (**ისტორიანი და აზმანი, 2008: 408**).

¹ ო. მაანის ეს დასკვნა ეყრდნობა *ვალერი ვარჭიას* მოსაზრებას „მაანი“ გვარსახელიდან ქართული „ამანელის“ და „ამანელისძის“ წარმომავლობის შესახებ (**Кварчия, 2015: 400, 420**). აქვე გაკვირვებას იწვევს, ო. მაანის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი დამოწმება („*такое мнение было высказано и грузинским историком З. Папаскири*“), რადგან ამის მსგავსი იმ პუბლიკაციაში რომელსაც ის უთითებს თავის ნაშრომში (**Папаскири, 1999**) და არც სხვაგან, არაფერი გვიწერია.

² ეს გვარსახელი დაფიქსირებულია 1477 წ. – *დავით მეფის მიერ მადნარაძეებისათვის მიცემული სასისხლო სიგელში*. მასში ჩამოთვლილ მოწმეთა შორის დასახელებულია **გავაშელ ამუნასკირი** (იხ.: **კაკაბაძე, 1924: 21**). კიდევ ერთი **ამუნასკირი** – სახელად ულამარი – დასახელებულია (სხვათა შორის, *არღუნაი შარვაშიძისა და ალთუმიშარ ამჩაბაძის* გვერდით, რაც მეტად ნიშანდობლივია და აშკარად მიუთითებს ამ გვარის ამჟამინდელ აფხაზეთთან კავშირზე) ე.წ. *თოფურიძეთა სასისხლო სიგელში* /დაახლ. 1428-1430/ (**ქრონიკები, 1897: 234; ანთელავა ი., 1988: 270-271**).

ციულ დაყოფას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ მოხდა ორი ეთნიკურად ერთგვაროვანი საერისთავოს ამგვარი შერწყმა იმთავითვე, ლეონ II-ის ხანაში, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, მიეწერება ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა.

აფხაზეთის, ცხუმისა და ბედიის (ოდიშის) ერისთავთა სტატუსი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ერისთავთა სტატუსისაგან.¹ ისინი, როგორც მართებულად შენიშნა ზ. ანჩაბაძემ, დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავების მსგავსად, არ იყვნენ მეფის უშუალო დაქვემდებარებაში, არამედ ემორჩილებოდნენ მსახურთუხუცესს, რომელიც, ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოს განაგებდა (**Анчабадзе З., 1959: 178**). ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფოში (XII ს.) მიღებული იყო ცენტრალური ხელისუფლების ცალკეული უწყებების ხელმძღვანელ დიდებულ აზნაურთა პარალელურად ამა თუ იმ რეგიონის მმართველებად დანიშვნის პრაქტიკა. ზოგიერთ ამ დიდებულს „მეფეთა ადგილზე მჯდომი“-დაც მოიხსენიებდნენ (მაგ. გუზან ტაოელი – „ტაოელ მეფეთა ადგილზე მჯდომი“ (**ისტორიანი და აზმანი, 2008: 422**), სარგის მხარგრძელი – „სომეხთა მეფეთა ადგილზე მჯდომი“ (**ისტორიანი და აზმანი, 2008: 427**). აღნიშნული სტატუსის მქონე დიდებულები უფრო დიდ პატივში იყვნენ ვიდრე რიგითი ერისთავები (**ბერაძე თ., 1967: 158**). დაახლოებით ამგვარივე უფლებებით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოს მიმართ XII ს. მიწურულს მსახურთუხუცესი ვარდან დადიანიც, თუმცა მას არ შეიძლება ბოდა ჰქონოდა „მეფეთა ადგილზე მჯდომის“ სტატუსი.²

¹ ამასთან დაკავშირებით, კატეგორიულად მიუღებელია გივი წულაიას მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთს (XI-XII საუკუნეებში) გააჩნდა რაიმე „საკუთარი გეოპოლიტიკური და ეთნიკური მახასიათებლები“ (**„Собственные геополитические и этнические характеристики“**), და რომ ის განეკუთვნებოდა საერისთავოთა იმ კატეგორიას, რომლებიც არაფრით ჩამორჩებოდნენ სამთავროებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ხანაშიც კი. მეტიც, თურმე დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც „აფხაზეთის ერისთავის ძალაუფლება“ არ ყოფილა მუხდუღული სამეფო ხელისუფლების მხრიდან (**Цулая, 1995: 37**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აქ არასწორადაა გააზრებული XI-XII სს. საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა და აგრეთვე მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. პირველ რიგში, აბსოლუტურად გაუგებარია, რა იგულისხმება მოცემულ კონტექსტში ტერმინ „აფხაზეთში“. თუ ეს მთლიანად თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაა, მაშინ საჭირო იყო სამივე საერისთავოს (და არა მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს) მოხსენიება. მით უფრო, რომ თავისი ნაშრომის სხვა ადგილას გივი წულაია საერთოდ გამორიცხავს (XIII საუკუნეში) ამგვარი საერისთავოს არსებობას. მეცნიერი იზიარებს ზურაბ ანჩაბაძის თვალსაზრისს ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოთა გაერთიანების შესახებ თამარის ეპოქაში და სწორედ ცხუმის საერისთავოს მოიაზრებს აფხაზეთად „კონკრეტული ეთნოტერიტორიული მნიშვნელობით“ (**Цулая, 1995: 131**).

² ამასთან დაკავშირებით, მიუღებელია მოსაზრება, რომ საქართველოში თამარის ეპოქაში უნდა ყოფილიყვნენ „აფხაზეთა მეფეთა ადგილზე მჯდომი“ ერისთავთ-ერისთავებიც მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყნის გაერთიანებამდე „აფხაზეთა“ სამეფო (ისევე რო-

წყარობმა მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები შემოგვინახეს ბედიის (ოდი-მის), ცხუმისა და აფხაზეთის ერისთავების შესახებ. პირველ რიგში, ეს არის ზემოთნახსენები *დოთადოდ (ოთადო) შარვაშიძე*, რომელიც XIII ს. დამდეგს სათავეში ედგა აფხაზეთის საერისთავოს. მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომავლობისა, მისი დაწინაურების დროისა და ვითარების საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე, აკადემიკოსმა *მარი ბროსემ* შარვაშიძეები შირვანის მმართველი *შარვანშაჰების* სახლს დაუკავშირა (**ბროსე, 1895**: 154). ფრანგი ქართველოლოგის ეს ჰიპოთეზა გაიზიარა *დიმიტრი გულიამ* (**Гулия Д., 1925**: 138, 208). ფაქტობრივად ამავე აზრს ავითარებდა **ზ. ანჩაბაძეც**, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ შარვაშიძის გვარის ძველი ქართული ფორმა – **შარვაშა(ი)ს-ძე** სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „**ში(ა)რვანშაჰის შვილს**“ (**Анчабадзе З., 1959**: 192 ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც *შარვაშიძეთა* წინაპრები აქტიურ როლს თამაშობდნენ აფხაზეთის საერისთავოში ჯერ კიდევ XI საუკუნეში.

კერძოდ, ყურადღება ექცევა „*მატიანე ქართლისაჲს*“ ცნობას ვინმე *ქუაბულელი ჭაჭას-ძე* *ოთადოს* შესახებ, რომელიც „*მოაყენა* (ბაგრატ IV-მ – **ზ.პ.**) *ანაკოფიას გარე ... აფხაზეთისა ლაშქრითა*“ (**მატიანე, 2008**: 283). ამ შემთხვევაში ყურადღება

გორც სომხეთი და ტაო-კლარჯეთი) ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (**ბერაძე თ., 1967**: 155). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ვერ იქნებოდნენ „*აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომი*“ ერისთავები, რადგან თვითონ ერთიანი საქართველოს მეფეები ითვლებოდნენ „*აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომად*“. სწორედ ამიტომ, რომ იგივე ვარდან დადიანი, რომელიც, ფაქტობრივად, მართლაც იყო დასავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონი, არ არის მოხსენიებული „*აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომად*“. არ შეიძლება დავეთანხმოთ აგრეთვე დასკვნასაც – თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე „*ქართულ-აფხაზური სიმბიოზის*“ ევოლუციის შესახებ, რომელიც თითქოს „*გამოიხატა აფხაზეთის ინტეგრაციის ხასიათში და ამის საფუძველზე VIII საუკუნის აფხაზეთის მთავრის გარდასახვაში სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული XI საუკუნის ერისთავში*“ (**Цулая, 1995**: 37). ჯერ ერთი, **აფხაზეთის მთავართა შთამომავლები იქცნენ** არა ერისთავებად, არამედ **გაერთიანებული საქართველოს მეფეებად**. მეორეც, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა საერისთავოებად მოხდა ჯერ კიდევ „*აფხაზთა*“ სამეფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე – ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფუძემდებლის ლეონ II-ის მმართველობის პერიოდში. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ერთგვარი წინააღმდეგობრიობა გ. წულაიას მსჯელობებში. სავსებით სწორად მიუთითებს რა, რომ „*აფხაზეთის მფლობელად*“ (**XII ს.**) *იყო ლეონილების შთამომავალი დავით IV აღმაშენებელი*“ (**Цулая, 1995**: 132), სხვა ადგილას რატომღაც სრულიად საწინააღმდეგოს აღნიშნავს. მისი განმარტებით, აფხაზეთისათვის დავით აღმაშენებლის მმართველობის პერიოდი განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, რადგან აფხაზეთმა „*მის დროს მოიპოვა სამთავროს სტატუსი*“/„*обрела статус владетельного княжества в пределах объединённой Грузии*“/ (**Цулая, 1995**: 130, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

მიიპყრო XIII ს. დამდეგის მოღვაწის ერისთავ მარვაშის-ძის სახელის – დ-ოთალო-დ – მსგავსებამ *ქუაბულელი ჭაჭას-ძის* სახელთან – *ოთალო* (ბერძენიშვილი, 1957), რის საფუძველზეც *შალვა ინალ-იფა* საერთოდ იხრება იქითკენ, რომ *ჭაჭას-ძე* შეიძლება იყოს აფხაზური საგვარეულო სახელის „ჩაჩბა“-ს ქართული ფორმა (Инал-ипа, 1976: 408). ნამდვილად არ გამოვრიცხავთ რა „ჭაჭას-ძე“-სა და „ჩაჩბა“-ს ურთიერთკავშირს, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება „ჭაჭას-ძე“-„ჩაჩბა“-ს დაკავშირება საგვარეულო სახელ „მარვაშიძეს“-თან. სავსებით სწორად მიუთითა *ზურაბ ანჩაბაძემ*, აფხაზ თავად-აზნაურთა გვარ-სახელების ქართული ფორმები უშუალოდ გამომდინარეობენ შესაბამისი აფხაზური გვარებიდან: **მარშანია-ამარშანი, ინალიშვილი-ინალ-იფა, ანჩაბაძე-აჩბა, ძიაპშიშვილი-ძიაპშიფა, მარღანია-მაანი** და ა.შ. „მარვაშიძე“ კი ამ წესს არ ექვემდებარება, რადგან აფხაზურ **აჩაჩბა-ჩაჩბას** – არაფერი აქვს საერთო – **მარვაშიძესთან** (Анчабадзе З., 1959: 194, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

§2. აწინდელი აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული იერსახე XI-XII საუკუნეებში. ტერმინ „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის ხაზგასმული, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში სრულებით არ წააგავდა „*შორეულ პროვინციულ მხარეს*“ (Инал-ипа, 1976: 411). პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოები ასრულებდნენ მნიშვნელოვან ფუნქციას მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, წარმოადგენდნენ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ დასაყრდენს ფეოდალური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიშანდობლივია, რომ წყაროებში არ მოგვეპოვება ოდნავი მინიმუმაც კი ეთნიკური აფხაზების ანტისამთავრობო, მით უფრო სეპარატისტულ განწყობილებებზე, რომლებიც თითქოს უკმაყოფილონი იყვნენ „აფხაზთა“ სამეფოს ე.წ. „გაუქმებით,“ როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი (Инал-ипа, 1976 : 412). ჯერ ერთი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, 978 წელს „აფხაზთა“ სამეფოს არანაირ გაუქმებას არ ჰქონია ადგილი. ამდენად საკითხის ასე დაყენება საფუძველშივე მცდარია. მეორეც, პრაქტიკულად ყველა ანტისამთავრობო გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში, მიზნად ისახავდა არა რომელიმე მხარის საქართველოს სახელმწიფოსაგან მოწყვეტას, არამედ ამა თუ იმ მონარქის დამხობას და სამეფო ტახტზე ამბოხებულთათვის სასურველი პრეტენდენტის აღზევებას. მოცემულ პერიოდში, ფეოდალური ოპოზიციის მთავარ მიზანს სამეფო კარზე თავისი გავლენის განმტკიცება, პოლიტიკური კურსის კონკრეტული მიმართულებით შეცვლა წარმოადგენდა (ბერძენიშვილი, 1965: 34).

ასე იყო მაგალითად, დემეტრე უფლისწულის ამბოხებისას, როდესაც ეს უკანასკნელი შეეცადა ბიზანტიის დანმარებით ჩამოეგდო ტახტიდან თავისი გვირგვინოსანი ნახევარძმა ბაგრატ IV. მართალია, ამ მოვლენის გაშუქებისას „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი აზნაური მხარს უჭერდა ანაკოფიაში გამაგრებულ უფლისწულს (XI ს. 30-იანი წლების დამდეგი), მაგრამ არა გვაქვს არავითარი საფუძველი მივიჩნიოთ ისინი მაინც და მაინც ეთნიკურ აფხაზებად, მით უფრო გამოვაცხადოთ ეს გამოსვლა აფხაზ ფეოდალთა სეპარატისტულ ამბოხად, როგორც ამას ფიქრობს მკვლევართა ერთი ნაწილი (**Анчабадзе З., 1959: 178; Гунба, 1999: 91; Цулая, 1995: 122**). „მატიანე ქართლისაჲს“ (ფაქტობრივად ერთადერთი წყაროს, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ამ დაპირისპირების შესახებ) მასალების ზერელე გადათვალთქვებაც კი საკმარისია, დავასკვნათ, რომ დემეტრე უფლისწულის მომხრეები იბრძოდნენ არა საქართველოს სახელმწიფოსაგან რომელიმე ოლქის გამოყოფისათვის, არამედ თავიანთი პრეტენდენტის ერთიანი ქართული მონარქიის სათავეში მოსაყვანად. ე.ი ამ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელშიც სულაც არ იყო აუცილებელი მხოლოდ აფხაზ (ეთნიკურად) აზნაურთა მონაწილეობა. მეტიც, როგორც შემდგომში (XI ს. 40-იანი წლების) მოვლენებმა ცხადყო, დემეტრე უფლისწულის გამეფებას ძირითადად მხარს უჭერდა ფეოდალური ოპოზიცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, მაშინ როდესაც ბაგრატ მეფე, შეიძლება ითქვას, მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას დასავლეთ საქართველოში (**ანჩაბაძე გ., 1987: 85-86**), მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც – ანაკოფიის გამოკლებით, რომელიც ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში გადასცა ბიზანტიის იმპერიას კონსტანტინოპოლში გაქცეულმა მეამბოხე უფლისწულმა (**ვაჰასქირი, 1990: 157-158**). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XI ს. 40-იან წლებში ანაკოფიის ციხის განთავისუფლება ბაგრატ IV-მ დაავალა „აფხაზეთის ლაშქარს“ ოთაღო ჭაჭას-ძის (სავარაუდოდ აფხაზეთის საერისთავოს ხელმძღვანელის) მეთაურობით, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ლამის შარვაშიძეთა – მოგვიანებით აფხაზეთის მმართველი საგვარეულოს – მამამთავრად მოიაზრებს (**Инал-ипа, 1976: 408**), მაშინ საუბარი მოცემულ პერიოდში აფხაზების მხრიდან რაიმე სეპარატისტული ქმედებების შესახებ აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

ასევე გაუმართლებელია სეპარატისტული განწყობილებების ძიება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის ხანაშიც (**Анчабадзе З., 1959: 182**). ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არგუმენტად გამოვიყენოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დაფიქსირებული ცნობა იმ დონისძიებების შესახებ, რომლებიც გაატარა დავით მეფემ „აფხაზეთს ბიჭვინტამდე“ თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად (**ცხორებაჲ, 2008: 323**). და ბოლოს, სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს (მათ შორის აფხაზი) დიდებულების მონაწილეობა თამარ მეფის პირველი ქმრის იური ანდრიას ძის ტახტზე დასაბრუნებლად მოწყობილ აჯანყებაში, ამბოხებულთა პარ-

ტიკულარული ტენდენციების გამობატულებად (Анчабадзе З., 1959: 184; Инал-ипа, 1976: 413). განა ცხადზე ცხადი არ უნდა იყოს ის, რომ აჯანყებულები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, ისინი იბრძოდნენ სამეფო კარზე გაბატონებული მდგომარეობის მოსაპოვებლად და არა რომელიმე რეგიონის გამოყოფისათვის

ერთი სიტყვით, არ არის არავითარი საბაბი, დავეჭვდეთ აფხაზთა ლოიალობაში საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ XI-XII საუკუნეებში. პირიქით, დღემდე შემორჩენილი უკლებლივ ყველა მასალა ერთნიშნად მეტყველებს, იმაზე, რომ აფხაზები საქართველოს მეფეთა უერთგულები ქვეშევრდომები იყვნენ. აფხაზი დიდებულები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამეფო კარზე. ამის ნათელი დადასტურებაა „ისტორიანი და აზმანი მარავანდელთანის“ თხზულებაში შემონახული მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მიღების ცერემონიალის აღწერა თამარის ეპოქაში. ამგვარი მიღებების დროს აფხაზები საპატიო ადგილას, უშუალოდ სამეფო აპარტამენტების სიახლოვეს, იმყოფებოდნენ (ისტორიანი და აზმანი, 2008: 436).

მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოების, კერძოდ ცხუმის საერისთავოს როლი. თვითონ ქალაქი ცხუმი-სოხუმი იქცა მეფეთა ერთ-ერთ საზაფხულო რეზიდენციად. თამარის ისტორიკოსის ცნობით „მეფე თამარ ზამთრის ღურს იყვის და ზაფხულის კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს“ (ისტორიანი და აზმანი, 2008: 478, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გეგუთს – ერთიანი საქართველოს მეფეთა რეზიდენციას ქუთაისის მახლობლად – ქართველი მემატიანე „აფხაზეთში“ ათავსებს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველო ისევ აფხაზეთად მოიხსენიებოდა. ცხუმი იყო სანავსადგურო ქალაქი. ცნობილია, რომ გიორგი III-მ აქედან გააცილა სამშობლოში რუმის სულთნის ყილიჩ-არსლანის ძმა შაჰანშაჰი, რომელიც თავისი ძმის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების მარცხის შემდეგ ერთი პერიოდი თავს საქართველოს სამეფო კარს აფარებდა (ჯაფარიძე გ., 1995: 127-128; ჰაპასქირი, 2003: 125). ყოველივე ეს უდავოდ მოწმობს იმას, რომ ცხუმი ნამდვილად იყო საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი (Сизов, 1889: 49).

საკუთრივ აფხაზები სისტემატიურად ფიგურირებენ საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში მთელი XI-XII საუკუნეების განმავლობაში. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა დიდ სამხედრო კამპანიაში. არცერთ წყაროში არ ვხვდებით რაიმე მინიშნებასაც კი, რომ აფხაზები რითიმე განსხვავდებოდნენ გაერთიანებული ქართული სამეფოს სხვა რეგიონების მკვიდრთაგან. ასე რომ ყოველგვარი მცდელობა აღმოაჩინონ აფხაზურ-აფსუური ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ელემენტები ავტონომიური სამთავროს სახით XI-XII საუკუნეებში (Воронов Ю., 1993) – ერთიანი ქართული მონარქიის აყვავების ხანაში

– სრულიად უპერსპექტივოა. XI-XII საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთს არავითარი ავტონომია არ გააჩნდა. ის, როგორც უკვე ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ადმინისტრაციულადაც კი არ ყოფილა ერთიანი. ერთადერთი პრივილეგია, რომელსაც უდავოდ ესწრაფვოდნენ XI-XII საუკუნეების აფხაზები, თავისი მშობლიური ქვეყნის – საქართველოს – სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისათვის თავგამოდებული ბრძოლა იყო. ანუ XI-XII საუკუნეებში აფხაზები ჩვეულებრივად იყვნენ ზოგად-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მატარებელნი.

მთლიანად ქართული იყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კულტურული თვალსაზრისითაც. ამ მხრივ ის ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებს (**Анчабадзе 3., 1960b: 86**). ამის ნათელი დადასტურებაა შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები, რომლებითაც მოფენილია მთელი აფხაზეთი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაგრატ III-ს მიერ აგებული „საყდარი ბედიისა“. ამ ტაძარსა და ბედიის საეპისკოპოსოს სრულიად განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა ზოგადად ქართული ქრისტიანული იდეოლოგიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ბაგრატ III-მ ბეღია საერთო-ქართული მნიშვნელობის წმინდა ადგილად გამოაცხადა და ის ერთგვარად სატახტო ქალაქს – ქუთაისს, სადაც ამავე პერიოდში აიგო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის კიდევ ერთი სიმბოლო ბაგრატის ტაძარი – გვერდით ამოუყენა (**პაპასქირი, 2000: 3-9; Папаскири 3., 2012a: 417-428**). შემთხვევით არაა, რომ სწორედ ბედიის ტაძრის აგება წარმოედგინათ თანამედროვეებს ბაგრატ III-ის სიძლიერისა და სიდიადის განსახიერებად, რაც ასე მრავლისმეტყველად გამოხატა XI ს. ქართველმა მემკვიდრემ: „უკუეთუ ვისძე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათჳს დიდების მისისა (ბაგრატ III-ისა –**ზ.3.**), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა-ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“ (**მატიანე, 2008: 273**).

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ჯერ „ლეონიდების“ ეპოქის, შემდეგ კი „აფხაზი ბაგრატიონების“ (ანუ ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების) „აფხაზთა“ სამეფოს – აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ „მონათვლის“ აფხაზური ანტი-ქართული ისტორიული ნარატივი ეფუძნება ამ სახელმწიფოს „აფხაზეთად“, ხოლო მისი მოსახლეობის „აფხაზებად“ მოხსენიებას იმდროინდელ წერილობით წყაროებში. ამასთან, თუ აღრე ამ მხრივ აქტიურობდნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული „ეროვნული“ მოღვაწენი (ს. აშხაცავა, ს. ბასარია) და ცალკეული დილექტანტი მარგინალები (ალ. პაპასქირი, ი. მარიხუბა), ბოლო პერიოდში საერთოქართული ისტორიის მითვისებისა და მისი აფხაზი ხალხის ისტორიად გასაღების ტენდენცია თითქმის ნორმად იქცა. ამის მკაფიო დადასტურებაა, პირველ რიგში, სოხუმში გამოცემული აფხაზეთის ისტორიის „სახელმძღვანელოები“,¹ აგრეთვე ამ პერიოდ-

¹ ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ოლეგ ბლაჟბასა და სტანისლავ ლაკობას „დამხმარე

დის ისტორიის ამსახველი მონოგრაფიები (Гунба, 1999: 7-160; Касландзия, 2017: 114-250; Маан, 2020: 233-258 და სხვ.). გარდა ამისა, ამ გამოცემებში, აფხაზი ავტორები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცდილობენ (XI-XII საუკუნეების მოვლენების გაშუქებისას) სხვადასხვა უცხოურ წყაროებში მოხსენიებული „აფხაზებისა“ და „აფხაზეთის“ ქვეშ იგულისხმონ არა სრულიად საქართველო და მისი მოსახლეობა მთლიანად, არამედ საკუთრივ ამჟამინდელი აფხაზეთი და აფსუა-აფხაზები.

სინამდვილეში, XI-XII საუკუნეების მოვლენების ამსახველ წყაროებში „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ ნიშნავს ერთიან ქართულ სახელმწიფოს და მის მოსახლეობას. ასე მაგალითად, თითქმის ყველა ბიზანტიელი ავტორი, რომელიც მოგვითხრობს ამ პერიოდის მოვლენებზე ქართველი მეფეების მონაწილეობით, როგორც წესი, მათ „აბაზგიის“ მმართველებად („არქონტებად“) მოიხსენიებს, ხოლო ქვეყნის მოსახლეობას – „აბაზგებად“ (კედრენე, 1963: 22-24, 31, 55-56; ატალიატი, 1966: 27-30; ზონარა, 1966: 235-236, 239; ცეცე, 1967: 23¹) და იშვიათად „იბერებად“.² მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელ ავტორთა ეს მონაცემები ძალიან გამჭვირვალეა (ამის შესახებ უფრო ვრცლად: ლომოური, 1993: 82-84) და რაიმე ზედმეტ კითხვებს არ უნდა იწვევდეს, აფხაზი ისტორიკოსები, ჯიუტად ცდილობენ ამ „აბაზგია“-„აბაზგებში“ საკუთრივ „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ (დღევანდელი გაგებით) იგულისხმონ. ზოგჯერ მათ ამ მცდელობებს სრულ კურიოზამდე მივყავართ.

ამის მკაფიო მაგალითია ინსინუაციები იოანე ზონარას ერთი ცნობის ირგვლივ. მასში მოთხრობილია „კესაროსის უფროს ვაჟზე“ დანიშნული, „აბაზგიიდან“ ჩამოყვანილი „ქალიშვილის“ თანმხლებ „აბაზგებზე“ (ზონარა, 1966: 239). ჯერ კიდევ 1976 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში შალვა ინაღ-იფამ, რომელსაც, როგორც ჩანს, წარმოდგენა არ ჰქონდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაზე საქართველოს სამეფო სახლსა და კომნენოსებს შორის (XII ს. I მეოთხედში) არსებულ დინასტიურ-ნათესაურ კავშირებს³ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობ-

სახელმძღვანელოს“ ბოლო გამოცემასა (Бгажба О., Лакоба С., 2015: 164-173), აგრეთვე ირინა კვეკვეციანის სასკოლო სახელმძღვანელოში (Квакваскир, 2010: 84-102), რომელშიც შესაბამისი თავის სათაურია „აფხაზეთის სამეფო VIII-XIII საუკუნეებში“.

¹ ამ ავტორის მითითებით: „იბერები, აბაზგები და ალანები წარმოადგენენ ერთ ტომს, რომლის შიგნითაც პირველობა ეკუთვნით იბერებს“ (ცეცე, 1967: 23, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. ამის შესახებ იხ.: Каждан, 1975: 143-144).

² ნიკიფორე ვრიენოსი – იმპერატორ ალექსი კომნენოსის ასულის ანას მეუღლე – ლამის ერთადერთი ავტორია, რომელიც ბაგრატ IV-ს – ბიზანტიის დედოფალ მარიამის მამას – მოიხსენიებს „იბერთა“ მმართველად (ვრიენოსი, 1963 306). ერთიან ქართულ სახელმწიფოს „იბერიას“ უწოდებს გიორგი კედრენეც (კედრენე, 1963: 79-81; ლომოური, 1993: 87). ანალოგიური სიტუაციაა მიხეილ ატალიატეს (ატალიატი, 1966: 23-26) და იოანე ზონარას თხზულებებშიც (ზონარა, 1966: 234, 236-237; ლომოური, 1993: 88).

³ „და მასვე წელსა ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძნთა მეფისა, რამეთუ პირველ ამისა პირმშოა ასული თვისი თამარ გაგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი, – ერთი აღმოსავლს და ერთი დასავლს, – ცისკროვან-

ლემის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებზე (ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **კოპალიანი, 1968**: 113-120; **მესხია, 2016**: 97-99; **Metreveli, 1997**: 34-35 და სხვ.), ზონარას ცნობა „აბაზგი ქალიშვილის“ იმპერატორის ვაჟზე დანიშვნის შესახებ მიიჩნია ბიზანტიის საიმპერატორო სახლის ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებთან დამოყვრების მოწმობად. მეტიც, შ. ინალ-იფამ, იმის გათვალისწინებით, რომ „აბაზგი ქალიშვილი“ (წყაროს მიხედვით) ალექსი კომნენოსის უფროს ვაჟს – მომავალ იმპერატორს იოანე II-ს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, ეს უკანასკნელი უაპელაციოდ „აფხაზების სიძედ“ გამოაცხადა. აფხაზი მეცნიერი არც ამაზე შეჩერდა და შეთხზა მითი იმ პერიოდში იოანე კომნენოსის გარემოცვაში (საპატარძლოს ამალის გარდა) აფხაზური წარმოშობის სხვა პირების ყოფნაზე, რომელთაგან ზოგიერთები თურმე იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს კონსტანტინოპოლში (**Инал-ипа, 1976**: 196).

მოგვიანებით, შ. ინალ-იფამ თავისი ეს ფანტაზიები შეამაგრა ცნობილი რუსი ბიზანტიისტი *იაკობ ლიუბარსკის* ანა კომნენოსის „ალექსიადის“ რუსული თარგმანისათვის დართული კომენტარით (**Инал-ипа, 2011**: 508), რომელშიც რუსმა მკვლევარმა იოანე ზონარას აბაზგები, ყოველგვარი დამატებითი განმარტების გარეშე, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მიიჩნია (**Анна Комнина, 1965**: 627). არადა, ი. ლიუბარსკი, მიუხედავად მისი ურყევი ავტორიტეტისა ბიზანტიოლოგიაში, როგორც აღმოჩნდა, საერთოდ არ იცნობდა XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიას და წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ იმ პერიოდში „აფხაზეთად“ („აბაზგთად“) სწორედ სრულიად საქართველო მოიხსენებოდა. ამას ადასტურებს სხვა კომენტარი, რომელშიც იმპერატორ რომანოზ არგიროსის მიერ ბაგრატ IV-ის ნახევარძმა – დემეტრე უფლისწულისათვის მაგისტროსის ტიტულის ბოძების ფაქტის აღნიშვნისას, მეცნიერი შემოიფარგლა მხოლოდ იმის განმარტებით, რომ მისი მამა იყო აფხაზი, ხოლო დედა – ალანი „*отец ... был абхазец, а мать аланка*“/ (**Анна Комнина, 1965**: 465) და არც დაინტერესებულა – ვინ იყო ის „გიორგი აფხაზი“, რომლის „მუდღე ალდემ“ იმპერატორს გადასცა „უმტკიცესი ციხე ანაკუფე“/ანაკოფია/ (**კედრენე, 1963**: 58). არადა, რომ დაინტერესებულიყო, უთუოდ გაიგებდა, რომ კედრენეს „გიორგი აფხაზი“ სხვა არავინაა, თუ არა გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფე – გიორგი I, რომლის უმწვავესი სამხედრო-დიპლომატიური კონფრონტაციის პერიპეტეები ბასილი კეისართან, გარდა თანადროული ქართული, სომხური, არაბული მასალებისა, აისახა თვით ბიზანტიურ წყაროებში.

აი, როგორ „ავტორიტეტებზე“ აგებდა თავის „აღმოჩენებს“ შ. ინალ-იფა. საწყენია, რომ ყოველივე ამის დღესაც ბრმად სჯერათ შ. ინალ-იფას „ეპიგონებს“ (**Маян, 2020**: 241), რომელთაგან ერთ-ერთმა (ნაალა კასლანძიამ) კიდევ უფრო ფანტასტიკური სურათი დახატა. მან, კატეგორიულად გამორიცხა იოანე ზონარას „აბაზგი ქალიშვილის“ გაიგივება დავით აღმაშენებლის ასულ კატაისთან „**Невесту из Авасгии» нет оснований отождествлять с Катой, дочерью царя Давида IV Строи-**

ჰყოფდენ სვეროსა, მამისაგან მიმღებელნი შუეებრთა მარავანდეთანი“ (**ცხორებაჲ, 2008**: 317, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ვ.**).

теля“/, მაგრამ, შ. ინალ-იფასგან განხვავებით, ანგარიში გაუწია ქართველი მემკვიდრის ცნობას, არ „დაჩაგრა“ საქართველოს მეფის ასული და მისთვისაც „გამოძებნა ადგილი“ იმპერატორ ალექსი კომნენოსის ოჯახში – უფლისწულ ისააკის თანამეცხედრედ აღიარა (ეს სინამდვილეში, მართლაც ასე უნდა ყოფილიყო). სამაგიეროდ „აფხაზი საპატარძლო“ – ვიღაც სრულიად უცნობი პერსონა – არც მეტი არც ნაკლები, თვით ტახტის მემკვიდრეს, მომავალ იმპერატორს – იოანე II კომნენოსს შერთო (**Касландзия, 2012: 95-104**).

„აფხაზეთად“ და შესაბამისად „აფხაზებად“ მოიხსენიებენ საქართველოსა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს მოსახლეობას არაბი ავტორები, რომლებიც მოგვითხრობენ XI-XII საუკუნეების მოვლენებზე. იაჰია ანტიოქიელი (XI ს.) გიორგი I-ს „აფხაზთა მეფეს“ /„მალიქ ალ აფხაზ“/ უწოდებს, ხოლო მის სამეფოს „აფხაზთა ქვეყანას“ /„ბილაღ ალ აფხაზიი“/, „აფხაზის ქვეყანას“ /„ბილაღ ალ აფხაზი“/, ან „აფხაზის სამეფოს“ /„მულქ ალ-აფხაზი“/ (**სილაგაძე, 1986: 116-118; ჯაფარიძე გ., 1993: 132**) „აფხაზთა მეფის“ ტიტულითაა მოხსენიებული ბაგრატ IV-ც, ხოლო „აფხაზთა და ქურჯთა მეფედ“ დავით აღმაშენებელი, დემეტრე I და გიორგი III (**ჯაფარიძე გ., 1993: 134**). სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით, სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი გამოედევნა „აფხაზთა მეფე“ ბაგრატ IV-ს „ქურჯისტანში“ /საქართველო/ (**შენგელია, 1976: 192-193; Садр ад-дин Али ал-Хусайни, 1989: 54; ჯაფარიძე გ., 1993: 132**). „აფხაზთა მეფედა“ მოხსენიებული დემეტრე I ცნობილი არაბი მოგზაურის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის თხზულებაში (**Minorsky, 1958: 170**). ზოგიერთი არაბი ავტორი უფრო გვიანდელი პერიოდის (XIII ს.) მოვლენების გაშუქებისას არ არღვევს ამ ტრადიციას და კვლავინდებურად საქართველოს „აფხაზეთს“ უწოდებს. ასე მაგალითად, ჯალალ ედ-დინ ხორეზმ-შაჰის ბიოგრაფი ან-ნასავი ჯალალ ედ-დინის ლაშქრობის აღწერისას აღმოსავლეთ საქართველოს არაერთხელ მოიხსენიებს „აფხაზეთად“ (**Шихаб ад-Дин, 1996: 154-155, 161-163, 183 160; ჯაფარიძე, 1993: 132**).¹ XIII ს. მეორე არაბი ავტორის – იაკუთისათვის „აფხაზთა“ ქვეყანა დასახლ-

¹ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თხზულების რუსულ ენაზე გამომცემელი, გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერი, აკადემიკოსი ზია ბუნიატოვი ტერმინ „აფხაზის“ განმარტებისას, საგანგებოდ მიუთითებს, რომ ეს „აფხაზი“ ნიშნავს არა საკუთრივ აფხაზეთს, არამედ „აფხაზურ ქართულ დინასტიას“ დაქვემდებარებულ ტერიტორიას /„Здесь и далее под Абхазом понимается территория, подвластная Абхазской грузинской династии, а не Абхазия“/ (**Шихаб ад-Дин, 1996: 336**, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). კიდევ უფრო გამჭვირვალეა მეცნიერის დაზუსტება წიგნისადმი დართულ გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, სადაც „აფხაზი“ განმარტებულია, როგორც „საქართველო“ /„**Абхаз см. Грузия**“/ (**Шихаб ад-Дин, 1996: 402**, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ანალოგიურ განმარტებას აკეთებს ზ. ბუნიატოვი მეორე არაბი ავტორის ალ ბუნდარის ცნობის (მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ აიძულა სულტანმა ალფ-არსლანმა „აფხაზის“ მეფე ბაგრატი მიეთხოვებინა მისთვის თავისი ასული და როგორ მიათხოვა ეს „ქართველი პრინცესა“ მოგვიანებით უკვე ნიჰამ ალ-მულქს) კომენტარებისას. ზ. ბუნიატოვი აქაც სწორად აღნიშნავს, რომ მოცემულ ცნობაში „აფხაზს ეთნიკური შინაარსი არა აქვს“

ბულია „ქურჯებით“ /ქართველებით/ (იაკუთი, 1964: 1; ჯაფარიძე გ., 1993: 132). კიდევ ერთი არაბი ავტორის – იბნ ალ-ასირის თხზულებაში XI ს. ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში მოხსენიებულია „აფხაზეთის მალიქ-კარიტად“ (სილაგაძე, 1971: 68; ჯაფარიძე გ., 1993: 133, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). იმად აღ-დინ ალ-ისპაჰანის ცნობით, 1154 წელს სელჩუკი უფლისწული სულეიმან-შაჰი დაქორწინდა ქართველი მეფის /„მალიქ ალ-ქურჯ“/ ასულზე, რომელიც იყო „აფხაზი ქალბატონი“ /„ხათუნ ალ-აფხაზიია“/ (ჯაფარიძე გ., 1993: 133. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

თითქმის ანალოგიური სიტუაციაა სპარსულ წერილობით წყაროებშიც. მაგალითად, იბნ ისფანდიარის (XII-XIII სს.) განმარტებით თამარი იყო „თბილისისა და აფხაზის ფადიშაჰი“ (ბერაძე, გ., 1976: 70, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) XII ს. ცნობილი პოეტის ფელეკი შირვანის ოდაში კი საქართველოს მეფე დემეტრე I გამოცხადებულია „აფხაზისა და მაქის შაჰინშაჰად, ჰორიზონტების მეფედ“ (Бунятов, 1966: 289. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამავე ხანის კიდევ ერთ შირვანელ პოეტს – ხაკანის (XII ს.) აქვს შემდეგი სტრიქონი: „გავხდი აფხაზეთის მცხოვრები და ავლაპარაკდი ქართულად“ /„Стал я жителем Абхазии и заговорил по грузински...“/ (Болдырев, 1938: 137, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). სელჩუკი ქრონისტის იბნ-ბიბის თხზულებაში თამარ მეფე („თამარ ხანუმ“) მოხსენიებულია „მალიქა გურჯ“-ად („ქართველ დედოფლად“), რომელიც მართავდა „მამლაქთ-აფხაზ“-ს („აფხაზთა ქვეყანას“) და ღარ-ალ მულქ (დედაქალაქს) ტფილისს“ (Новосельцев, 1972: 72. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

სომხურ წყაროებში, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გაერთიანებული საქართველოს მეფეები მოხსენიებულნი არიან „აფხაზთა“ მეფეებად. ასე უწოდებენ მაგალითად, ბაგრატ III-ს XI საუკუნის ისტორიკოსები: სტეფანოს ტარონაცი (ცაგარეიშვილი, 1973: 176; *Всеобщая история Степаноса, 1864: 200.*) და არისტაკეს ლასტივერტი (ცაგარეიშვილი, 1973: 179; არისტაკესი, 1974: 41-42; *Повествование, 1968: 57-58.*) ამ უკანასკნელის თხზულებაში ბაგრატ III-ის მემკვიდრე გიორგი I-ცაა მოხსენიებული „აფხაზად“, მისი ქვეყანა კი „აფხაზეთად“ (ცაგარეიშვილი, 1973: 182,185,187,190; არისტაკესი, 1974: 48,50-52; *Повествование, 1968: 57-58.*), თუმცა სომეხი ისტორიკოსი თავისი შრომის სხვა ადგილას მას „ქართველ მთავარსაც“ უწოდებს (ცაგარეიშვილი, 1973: 181; არისტაკესი, 1974: 45; *Повествование, 1968: 65.*) გიორგი I-ს „აფხაზთა“ მეფედ მოიხსენიებს XIII ს. სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველციც (ვარდანი, 2002: 117; *Всеобщая история Вардана, 1861: 117; ცაგარეიშვილი, 1973: 195.*)

XI-XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ერთი სახელწოდებით – „Обези“ /„აბაზას“ ძველი რუსული ფორმა – იგივე „აფხაზეთი“/ (Цулая,

„Абхаз“ этнического значения не имеет“/ (Шихаб ад-Дин, 1996: 190, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). თუმცა მისი ახსნა მთლად გამართული არ არის და გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს (ამ საკითხის დაზუსტება იხ.: Папаскири З., 2012с: 64; Папаскири З., 2012b: 371-373).

1975: 100-101; **Мухелишვილი, 1999: 129**), იცნობენ ძველი რუსული მატიანეები და სხვა წერილობითი ძეგლები (**Патерик, 1911: 8, 193; Ипатьевская Летопись, 1908: 468, 716; Галицко-Волынская летопись, 1981: 236; Воскресенская Летопись, 1856: 60; Московский летописный свод, 1949: 58, 118, 175, 222; Сказание о Вавилоне граде, 1953: 142**).¹ ისტორიოგრაფიაში სავსებით ნათლად და არგუმენტირებულადაა ნაჩვენები სრული უსუსურობა და აბსურდულობა ცალკეულ აფხაზ და რუს ავტორთა² მცდელობისა ძველი რუსული მწერლობის ძეგლების „Обези“, „Обежанин“-ში იგულისხმონ ამჟამინდელი „აფხაზეთი“ და „აფხაზები“. დღეისათვის ცნობილ უკლებლივ ყველა ძველ რუსულ ძეგლში ტერმინ „Обези“-ს ქვეშ მოიაზრება „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფო და მისი მოსახლეობა (ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ცინცაძე, 1956: 65-67; ცინცაძე, 1962: 15-26; Анчабадзе З., 1959: 171-177; Котляр, 1975: 7-19; Цулая, 1975; Папаскири З., 1976: 121-123; ჰაპასქირი, 2009: 205-208; Папаскири З., 1982: 116-123; Пайчадзе, 1989: 11-60** და სხვ.).

ეს არის არასრული სია იმ უცხოენოვანი წყაროებისა, რომლებშიც ტერმინ „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ ქვეშ იგულისხმება გაერთიანებული ქართული სამეფო და ამ ქვეყნის მოსახლეობა მთლიანად, პირველ რიგში, რასაკვირველია, ქართველები. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯერჯერობით მეცნიერება არ იცნობს XI-XII საუკუნეების მოვლენების ამსახველ არც ერთ უცხოურ წერილობით წყაროს, რომელშიც აღნიშნულ ტერმინებს ექნებოდა სხვა მნიშვნელობა.

უცხოური წყაროებისგან განსხვავებით XI-XII საუკუნეების მოვლენების ამსახველ ქართული წყაროებში გვხვდება ცნობები, სადაც „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ ქვეშ იგულისხმებიან საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორია და იქ მოსახლე აფხაზები, ან კიდევ დასავლეთ საქართველო. პირველ რიგში, ესაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის განმარტება გეგუთის ადგილმდებარეობის შესახებ (**ისტორიანი და აზმანი, 2008: 478**), რომელზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება. საკუთრივ აფხაზები იგულისხმებიან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ იმ ფრაგმენტშიც, სადაც აღწერილია შარვანშაჰს აღსართანის თბილისში დახვედრის ცერემონიალი.³ აფხაზეთის საერისთავოა დასახელებული

¹ ცნობილი რუსი კავკასიოლოგის ლ. ლავროვის თანახმად, რუსული წყაროების „Обез“-ის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ჩრდილოეთ კავკასიის აბაზური მოსახლეობა და არა აფხაზები (**Лавров, 1946: 170**), რაც სრული აბსურდია (**Папаскири З., 1982: 117-118**).

² სხვადასხვა დროს „Обези“, „безь“, „Обежанин“-ს თანამედროვე აფხაზეთსა და ეთნიკურ აფხაზეტთან აიგივებდნენ: *სიძონ ბასარია, მიხაილ სკრიპილი, შალვა ინალ-იფა, ვადიმ კოჟინოვი* და სხვ. (იხ.: **Басария, 1923: 6; Сказание о Вавилоне граде, 1953: 130-136; Инал-ипа, 1976: 53; Кожинов, 1991: 3**). ამ თემით სპეკულირების მთავარი რუპორი მაინც *ალექსი ჰაპასქირია*, რომელმაც მთელი მონოგრაფიები მიუძღვნა მის „დამუშავებას“ (**Папаскири, 2005; Папаскири, 2002**).

³ თამარის ისტორიკოსი ჩამოთვლის საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს, რომლებიც დახვედრიან შარვანშაჰს და მის ამაღლას: „ჭურნი და კახნი; შემდგომად –

ბული იმ კუთხეებს შორის, რომელიც „შეყარა“ ვარდან დადიანმა იური ანდრიას ძის ამბოხის დროს.¹

სხვა მასალებიდან, რომლებშიც „აფხაზი“ შეიძლება გულისხმებოდეს საკუთრივ ეთნიკურ აფხაზს, აღსანიშნავია 1040 წლით დათარიღებული ერთ-ერთ ხელნაწერზე გაკეთებული ანდერძ-მინაწერები, რომელსაც ყურადღება მიაქცია ელენე მეტრეველმა. პირველი მინაწერი გვაუწყებს: „*მე გლახკმან სულითა და საწყალობელმან ქვევითა, უღირსმან გიორგი აფხაზმან შევწირე წიგნი ესე წმიდის მართამს, დიდისა სპუონის დედისა ცხორებად მონასტერსა წმიდისა ძელისა ცხორებისასა...*“, მეორეში კი ვკითხულობთ: „*ესე წმიდისა მართამს ცხორებად გიორგი მიწიწივას ძემან აფხაზმან შემოიტანა...*“ (მეტრეველი, ე., 1976: 136, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ე. მეტრეველმა აღნიშნულ მინაწერებში დაფიქსირებული გიორგი აფხაზი მიწიწივას ძე იმის გამო, რომ იგი „მშვენივრად წერს ქართულად“ და „დახელოვნებული მწიგნობარია“, ზოგადად დასავლეთ საქართველოს მკვიდრად ჩათვალა და ეს ფაქტი მიიჩნია კიდევ ერთ დადასტურებად იმისა, რომ ამ პერიოდში „აფხაზი“ ნიშნავდა დასავლელ ქართველს (მეტრეველი, ე., 1976: 136). იმავე აზრი განავითარა დავით მუსხელიშვილმა (მუსხელიშვილი, 1999: 127).

ის, რომ „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ ქვეშ (XI-XII საუკუნეებშიც და მოგვიანებითაც) ნამდვილად იგულისხმებოდნენ დასავლეთი საქართველო და იქაური მკვიდრნი მთლიანად (მათ შორის, ბუნებრივია, ეთნიკური ქართველები) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია – მართლ „ქართლის ცხოვრების“ მატიანეებში გვხვდება არაერთი ამის დამადასტურებელი მასალა.² მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია

ქართველნი; და შემდგომად – მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად – სომხთარნი; შემდგომად – აფხაზნი და სუან-მერულ-გურიელნი თანა რაჭა-თაყურ-მარგუელითურთ“ (ისტორიანი და აზმანი, 2008: 436, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

¹ „შეყარა (ვარდან დადიანმა – ზ.პ.) ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაყური და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქაშკაშმან აფიცნა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუყანისანი“ (ისტორიანი და აზმანი, 2008: 422, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

² მაგალითისათვის: „შეიქცა (ხოვლეს მყოფი – ზ.პ.) მეფეცა (ბაგრატ IV) და წარვიდა აფხაზეთს“; „სულტანმან შეაქცია იგი (ივანე ბაღვაში – ზ.პ.) აფხაზეთად ბაგრატიისა“ (მატიანე, 2008: 292); „მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფომ თვისი: აფხაზეთი, ჰერეთი...“ (სუმბატ, 2008: 370) „*ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს, განაგიან საქმენი მანდაურნი და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო – გეგეთი და აჯამეთი“ (ისტორიანი და აზმანი, 2008: 468); „მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 542); „აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყურეთათვის...“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 567); „და რუსუდანისა ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 573); „წარვიდა აფხაზეთს დავით რუსუდანის ძე... წარვიდა აფხაზეთს, რამეთუ ლაშას ძე დავით ტფილისის იყო მას ჟამსა“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 575); „ხოლო დავით ევედრა სუმბატს, რათა არა განაცხადოს, და წარავლინოს აფხაზეთს“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 575); „და უზრახა*

ზემოთ მოტანილი მინაწერების ავტორის – „გიორგი აფხაზის“ ტომით აფხაზობის უარყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ ის გამართულად წერდა და აზროვნებდა ქართულად. გაუგებარია, რატომ უნდა იწვევდეს ეს გაკვირვებას?! განა ეთნიკურ აფხაზთა მწიგნობრობის ენა იმ პერიოდში (და ზოგადადაც – მთელი შუა საუკუნეების მანძილზე თითქმის XX საუკუნემდე) ქართული არ იყო?! აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აბსოლუტურად ზუსტი ფორმულა, რომლის მიხედვითაც იმდროინდელი „აფხაზი“ კულტურულ-ისტორიულად ისეთივე ქართველი იყო, როგორიც „ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვ. ან კიდევ „კახელი“, „ქართლელი“, „გურული“, „მეგრელი“ „იმერელი“ ... და ა.შ.“ (ბერძენიშვილი, 1966a: 279-280).

§3. აფხაზეთი და აფხაზები XIII-XV საუკუნეებში

XIII ს. 20-იან წლებში ხორეზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის ამაოხრებელი ლაშქრობებისა, ხოლო მოგვიანებით მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად, არა მარტო სერიოზულად შეირყა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, არამედ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაში პირველი ბზარიც გაჩნდა. როგორც ცნობილია, XIII ს. 40-იან წლებში მონღოლებმა საქართველო რვა დუმნად (სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად) დაჰყვეს, რომელთაგან ორი დასავლეთ საქართველოში იყო. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შევიდა დუმენში, რომელსაც ცოტნე დადიანი მართავდა (Анчабадзе, 3., 1959: 233). დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობა, მათ შორის საკუთრივ ეთნიკური აფხაზები, ამ პერიოდშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთო-ქართულ პოლიტიკურ პროცესებში. ასე მაგალითად, XIV ს. ჟამთააღმწერლის ცნობით, აფხაზები მონაწილეობდნენ ლაშა-გიორგის (1207-1222) ცნობილ კამპანიაში განძის ამირას წინააღმდეგ (ჟამთააღმწერელი, 2008: 524;). იმავე წყაროდან ირკვევა, რომ ლაშა-გიორგი „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 526). ეს ცნობა საყურადღებოა სხვა მხრივაც – ჟამთააღმწერელი ერთმანეთისაგან მიჯნავს ცხუმსა და აფხაზეთს რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ XIII ს. I მეოთხედში ეს ოლქები არ წარმოადგენდნენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულსაც კი,¹ რომ არაფერი ვთქვათ ცალკე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე (სამთავროზე) ლამის ამჟამინდელი ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში. თუ რამდენად ახლო იყო საქართველოს სამეფო სახლისათვის აფხაზური ეთნიკური სამყარო ნათლად ჩანს იქიდან, რომ თამარ მეფემ თავის ვაჟს და ტახტის მემკვიდრეს მეორე სახელად „ლაშა“ დაარქვა, რაც ძველი ქართველი მემკვიდრის (ან ამკარად ლაშა-გი-

სარგის ჯაყელსა, რათა მისცეს გზა, უკეთუ უნდეს წარსლვა აფხაზეთისა მეფესა დავითს წინაშე“ (ჟამთააღმწერელი, 2008: 600-601, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.);

¹ სხვათა შორის, ჟამთააღმწერლის აღნიშნული ცნობა ასევე ესმის აფხაზ ისტორიკოსს როინ აგრბას (Арпба Р., 2006: 82).

ორგის ეპოქის ახლო ხანებში მოღვაწე რედაქტორ-კომენტატორის – **Анчабадзе, З., 1959:** 215) განმარტებით, „*განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა /ავსართა ენი-თა/*“ (**ისტორიანი და აზმანი, 1959:** 58).¹

ავხაზები აქტიურობდნენ საერთო-ქართულ არენაზე რუსუდანის მეფობის პერიოდშიც (1222-1245). ასე მაგალითად, *ჯალალ ედ-დინის* წინააღმდეგ საომრად რუსუდანმა მოუწოდა „*ყოველსა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა... ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა., აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა სპათა თვსთა*“ (**ქამთააღმწერელი, 2008:** 544-545). აფხაზთა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა *დავით რუსუდანის ძის* საქართველოს მეფედ გამოცხადება ქუთაისში (**ქამთააღმწერელი, 2008:** 543). მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში (კონტასთავის შეთქმულება) სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ „*უმორეს მყოფნი აფხაზნი*“ (**ქამთააღმწერელი, 2008:** 566).

ავხაზი დიდებულების აქტიურ მონაწილეობაზე საქართველოსა და არა მარტო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მეფე რუსუდანის ეპოქაში მიუთითებს XIV ს. *ქამთააღმწერლის* ცნობა ვინმე აფხაზ *მარვაშის ძე დარდინზე*. მემატიანე მას ახსენებს რუმის სულთან *ყიასედინის* (ყიას ად-დინ ქეიჰუსრუე II) წინააღმდეგ მონღოლთა და ქართველთა ერთობლივი ლაშქრობის აღწერისას. ესაა ცნობილი *ქოსე დადის* ბრძოლა – გენერალური შეტაკება მონღოლებსა და მცირე აზიის სელჩუკებს შორის – 1243 წელს (**შენგელია, 2003:** 226-241). ამ ბრძოლაში ქართველები ორივე მხარეს ომობდნენ. ყიას ად-დინის მხარეს მებრძოლთა შორის განსაკუთრებით თავი გამოუჩინია სწორედ *დარდინ მარვაშიძეს* – „*და განჩინა (ყიას ად-დინმა – ზ.პ.) მუდართა თავად მარვაშის ძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიძუნისა მისისათვს პირველვე დიდსა დიდებასა აღეყვანა, და მტკიცედ ეპყრა სჯული*“ (**ქამთააღმწერელი, 2008:** 551, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ეს ბრძოლა სელჩუკთა დამარცხებით დამთავრდა – „*მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან*

¹ მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი „ავსარი“-„ავსილი“-„ავსუას“ (თანამედროვე აფხაზთა თვითსახელწოდება) – იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია იმ მკვლევართა თვალსაზრისი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან ამგვარი იდენტიფიკაციის სისწორეში (ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **Анчабадзе, З., 1959:** 213-216; **Цулая, 1995:** 137-139; **გვანცელაძე, 1993:** 575-576, იქვე იხ. შესაბამისი სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა). ამ დასკვნის სასარგებლოდ მოყვანილი მტკიცებულებებიდან განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ორი არგუმენტი: 1) „ავსარი“-„ავსილი“-„ავსუას“ ლინგვისტური მსგავსება და 2) მინაწერის ავტორის მიერ მაინც და მაინც „ავსართა ენიას“ დაფიქსირება. ამ შემთხვევაში კომენტატორი აშკარად გამოდიოდა XII-XIII საუკუნეების, და არა თავისი ეპოქის (ვარაუდობენ, რომ ეს რედაქციული ხასიათის შენიშვნა-კომენტარი ეკუთვნის XVIII ს. რედაქტორ-გადამწერს), ეთნო-კულტურული კონიუნქტურიდან. ანუ მინაწერის ავტორმა გამიზნულად ჩაწერა „ავსართა ენი-თა“ და არა „ავხაზთა ენი-თა“, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა XVIII ს. რეალობისთვის, XII-XIII საუკუნეებთან მიმართებაში კი „ავხაზთა ენა“ შეიძლებოდა აღქმულიყო როგორც მთლიანად საქართველოს, ქართველების ენა.

სულტნისა, სადა სახელოვანიცა შარვაშის ძე დარდინ აფხაზი, მუდართმთავარი მათი, მოიკლა“ (ქამთააღმწერელი, 2008: 552, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).¹

მოგვიანებით, დავით ნარინის აჯანყების (1249 წ.) მარცხისა და მისი დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ „აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიან-მან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ღიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე – ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ღიხთამდე“ (ქამთააღმწერელი, 2008: 575, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).² ამ დროიდან ერთიანი ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად ორ ნაწილად დაიყო – აღმოსავლეთ საქართველოს დავით ლაშას ძე მართავდა, დასავლეთ საქართველოს კი მისი მამიდაშვილი დავით რუსუდანის ძე განაგებდა. ანუ ეს იყო მხოლოდ დე ფაქტო დაყოფა და არა დე იურე, რადგან დავით ნარინსა და მის მემკვიდრეებს ოფიციალურად არასოდეს ჩაუთვლიათ თავი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფეებად და არასოდეს უთქვამთ უარი თავიანთ ლეგიტიმურ უფლებებზე ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე.³

რაც შეეხება აფხაზი ისტორიკოსების მცდელობებს ეს მოვლენა წარმოაჩინონ „აფხაზთა“ სამეფოს გაუქმებად (Гунба, 1989: 252; Аджинджал, 1996: 12; Аджинджал, 2014: 16-17), ეს სრული აბსურდი და უაზრობაა. თუნდაც დავუშვათ, რომ დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლით, მართლაც, საფუძველი ჩაეყარა ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, საკითხავია, რატომ უნდა ნიშნავდეს ეს „აფხაზთა“ სამეფოს ლიკვიდაციას. რა დიდი დაფიქრება უნდა იმას, რომ, დავით რუსუდანის ძის ქუთაისში „აფხაზთა მეფედ“ გამოცხადება, „აფხაზთა“ სამეფოს გაუქმება კი არა, არამედ, პირიქით, ფაქტობრივად, სწორედ მისი ერთგვარი რესტავრაცია – ლეონიდების ეპოქის (IX-X საუკუნეების) ისტორიულ რეალობაში დაბრუნება იყო. განა სწორედ ამაზე არ მიანიშნებს ქამთააღმწერელიც, როდესაც სწორედ მათ ასახელებს პირველს იმ სუბიექტებს შორის, რომლებმაც ქუთაისში საზეიმოდ აკურთხეს დავით რუსუდანის ძე მეფედ „აფხაზთა ვიდრე ღიხთამდე“ (ქამთააღმწერელი, 2008: 575, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

¹ ამ ცნობის კომენტირებისას ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ამიჩბა აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდში მონღოლთა ბატონობას გამოქცეული არაერთი ქართველი და აფხაზი ემიგრაციაში მიდიოდა და იქიდან ებრძოდა თათარ-მონღოლებს (Амичба, 1988: 32). თუმცა უფრო მართებული ჩანს, რომ დარდინ შარვაშიძე ყოფილიყო იმ ამაღლის წევრი დიდგვაროვანი, რომელიც, თავის დროზე, რუმის სასულთნოში ჩაჰყვა სულტან ყიას ად-დინის მომავალ მეუღლეს მეფე რუსუდანის ასულს – თამარს და შემდეგ დაწინაურდა სულტნის კარზე (ჯიქია ნ., 2002b: 79).

² ამ მოვლენის თარიღად, დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ცნობილია, მიჩნეული იყო – 1259 წელი, მაგრამ უკანასკნელ ხანს ეს დათარიღება სავსებით არგუმენტირებულად გადაისინჯა (ასათიანი, 2001: 28-49; ასათიანი, დარჩიაშვილი, 2004: 3-28).

³ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ახალი სახელმწიფოს ფორმირებაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ XV ს. მიწურულიდან, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა იმერეთის სამეფო (ამის შესახებ იხ.: გვენეტაძე, 2003).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ბუნებრივია, აღმოჩნდა დავით ნარინის საგანმგებლოში. ამ ტერიტორიაზე მისი მოღვაწეობის ნაკვალევი აისახა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი ვერცხლის ხატის წარწერაში: „წმიდაო გიორგი ილორისაო, აღიღენ და ასუფევენ ორთავე შინა სუფევათა ძლიერი და უძლეველი დვთივ გვირგვინოსანი მეფე დავით, ძე რუსუდანიისი, რომლისა ბრძანებითა მოიქცდა ხატი ესე ილორისა მთავარ მოწამისა“ (**Rapports, 1949: 95**), რაც იმის პირდაპირი დადასტურებაა, რომ აღნიშნული რეგიონი ამ პერიოდშიც საერთო ქართული სამყაროს ნაწილი იყო.

დავით ნარინის გარდაცვალების (1293 წ.) შემდეგ დასავლეთ საქართველო შინააშლილობამ მოიცვა, რითაც ისარგებლა გიორგი დადიანმა, რომელმაც „**მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ დაიპყრა აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანთი და განიძკდრეს თვსად და არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა**“ (**ვახუშტი, 1973: 801**. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობას, ჩვენი აზრით, არც თუ სწორი ინტერპრეტაცია მისცა ზურაბ ანჩაბაძემ. მკვლევარი გამოდიოდა რა არასწორი თეზისიდან, რომ თამარის ეპოქაში თითქოს ადგილი ჰქონდა ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების გაერთიანებას ერთიან ცხუმის საერისთავოში, რომელსაც სათავეში შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა, თვლიდა, რომ ცხუმის ერისთავები (ანუ შარვაშიძეები) ამჯერად უკვე იძულებულნი გახდნენ შემოფარგლულიყვნენ ყოფილი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიით (**Анчабадзе, 3., 1959: 235**). ე.ი. მეცნიერის აზრით, ცხუმის საერისთავო დადიანმა წაართვა შარვაშიძეს. მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან აღნიშნულ ერისთავთა საკმაოდ შეთანხმებული მოქმედება ჩანს და აქცენტი კეთდება ქუთაისის ტახტისაგან დისტანცირებაზე.

გარდა ამისა, **ზ. ანჩაბაძემ** რატომღაც ყურადღება არ მიაქცია მის მიერვე ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან მოტანილ ერთ ფრიად მნიშვნელოვან რეპლიკას, რომლიდანაც ირკვევა, რომ ოდიშის ერისთავი („ბედიელი“), რომელსაც გიორგი ბრწყინვალემ XIV ს. 30-იანი წლების დამდეგს დაუკანონა ცხუმის საერისთავო, „**პირველ ცხომისა იყო**“ (**ვახუშტი, 1973: 258**. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ეს კიდევ ერთი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ ამ მოვლენების წინა ხანებში არავითარი ცხუმ-აფხაზეთის ერთიანი საერისთავო, რომელსაც თითქოს სათავეში ედგა შარვაშიძე, არ არსებობდა და XIV ს. დამდეგისათვის ცხუმის საერისთავოს ტერიტორია მთლიანად ანაკოფიამდე (იმის იქით იწყებოდა აფხაზეთის საერისთავო) ცალსახად „სრულიად ოდიშის“ ნაწილი იყო.

დადიანსა და შარვაშიძეს შორის არავითარი კონფრონტაციის კვალი არ ჩანს XIV ს. I მესამედშიც. მათი მთავარი ამოცანა სხვა ერისთავებთან ერთად) ამ პერიოდში კუთვნილ საერისთავოებზე მემკვიდრეობითი უფლებების განმტკიცება იყო (**Анчабадзе, 3., 1959: 235**), რასაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევდნენ ლიხთიმერეთის მეფეები. ამიტომაც იყო, რომ ერისთავები გარკვეული ენთუზიაზმით მებხვდნენ ქუთაისში გიორგი V ბრწყინვალის მოსვლას და მის მიერ ბაგრატიის – და-

ვით ნარინის შვილიშვილის – ტახტიდან გადაყენებას – „დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერისთავი და აფხაზეთის მარვაშიძე მოურთენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა“. რასაკვირველია, ეს სრულეობითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ გულზე ეხატებოდათ თბილისის ხელისუფლება. ოდიშის ერისთავ მამია დადიანის, გურიელის, სვანეთის ერისთავისა და აფხაზეთის ერისთავ მარვაშიძის ენთუზიაზმი უდავოდ იძულებითი იყო. მათ არ გააჩნდათ საკმარისი ძალები საქართველოს მეფისათვის რეალური წინააღმდეგობის გასაწევად და, ალბათ, ამიტომ იჩქარეს მასთან გამოცხადება „ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა“ /ე.ი. სრულიად საქართველოსი – **ზ.პ./ (ვახუშტი, 1973: 258. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.)**.

ამან საშუალება მისცა გიორგი ბრწყინვალეს ძლევამოსილად განეგრძო გზა და ზედმეტი გართულებების გარეშე დაემყარებინა სრული კონტროლი მთელ დასავლეთ საქართველოზე. ამის შესახებ უტყუარ ინფორმაციას იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი: „**მთავიდა** (გიორგი V – **ზ.პ.**) ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა (საქმენი) მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვსად“. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გიორგი V-მ რატომღაც მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზეთის საერისთავოს ციხე-სიმაგრეებზე უშუალოდ სამეფო კონტროლის დამყარება („დაიპყრნა ციხენი თვსად“). ცხუმის საერისთავო კი ისევ გადაეცა ოდიშის ერისთავს – „ბედიელს, ვითარცა პირველ ცხოპისა იყო“ (**ვახუშტი, 1973: 258. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.**).

XIV ს. 80-იანი წლების ბოლოს, ისარგებლეს რა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით, დავით ნარინის შთამომავლებმა, კერძოდ, იმერეთის ერისთავმა ალექსანდრემ – გიორგი ბრწყინვალის მიერ ქუთაისის ტახტიდან გადაყენებული ბაგრატ მეფის ვაჟმა, სცადა იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა და ამ მიზნის მისაღწევად დადიან-გურიელის, მარვაშიძისა და სუანთა გამოყენება, მაგრამ მათ ამ საქმეში მონაწილეობა „არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯურეთ ბაგრატ მეფისა (ერთიანი საქართველოს მეფე 1360-1393 წწ.) და ეგნენ ერთგულებასა მისსა ზუდა“ (**ვახუშტი, 1973: 803, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.**). მიუხედავად ამისა, ალექსანდრემ, როგორც ჩანს, მაინც შეძლო ქუთაისის ტახტის დაკავება (1387-1389), მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრემ – გიორგიმ ვერ მოახერხეს მთავარ-ერისთავთა დამორჩილება. უფრო მეტიც, სრული კრაზი განიცადა მისმა მცდელობამ, დაემყარებინა კონტროლი ოდიშზე 1392 წელს (**ნინიძე, 1995: 123**). დადიანმა გიორგი იმერთა მეფეს „აფხაზეთა შეწევნითა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და „მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი“ (**ვახუშტი, 1973: 265, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.**). ერთი სიტყვით, მიუხედავად თემურ-ლენგის შემოსევებით გამოწვეული სირთულეებისა, ბაგრატ V-მ მაინც შეინარჩუნა ქვეყნის ერთიანობა და „ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი და ჰმონებდენ ჰიტიანხში ლორისა, კახეთისა, მარვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი“ (**ქართლის ცხოვრება, 1959: 342, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.**).

ამრიგად, მთელი XIV ს. მანძილზე დასავლეთ საქართველოს ერისთავები, მათ შორის აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე, სტაბილურად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ, რითაც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას. ამავე დროს, ქუთაისის ტახტის საწინააღმდეგოდ და, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ხდება ოდიშის მმართველების – დადიანების აღზევება და თანდათანობით მათი დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივ ლიდერებად გადაქცევა. როგორც უკვე აღინიშნა, ისინი ამ პერიოდში მუდმივად ფლობდნენ ცხუმის საერისთავოს. ამჟამად მათი გავლენა აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძეებზეც. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, ყოველთვის მონაწილეობდნენ ოდიშის ხელისუფალთა სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი უცხოური წყაროს მონაცემებით, საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაც იყო მოქცეული სამეგრელო-ოდიშის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია XIV ს. არაბი ავტორის *ალ-მუჰიბის* (გარდ. 1384 წ.) ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიმანი – მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხაზს. ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“ (არაბი ისტორიკოსები, 1988: 53, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).¹ ანალოგიურ ცნობას ვხვდებით მეორე არაბი ავტორის შიჰაბ ედ-დინ *ალ-კალკამანდის* „ენციკლოპედიაშიც“. ის წერს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია ... თბილისის გამგებელი ... მეორე სუხუმისა და აბხაზის გამგებელი, რომელსაც ეწოდებოდა დადიანი ... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“ (არაბი ისტორიკოსები, 1988: 56; (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). იხ. აგრეთვე: **Тизенгаузен, 1887: 214, კიკნაძე, 1989: 101**). ვენეციელი დიპლომატის *იოსაფაატ ბარბაროს* (იმოგზაურა აღმოსავლეთში 1436-1451 წლებში), ცნობით სამეგრელოს ტერიტორია ვრცელდებოდა ჩერქეზეთამდე (**მამისთვალისძილი, 1981a: 55; მამისთვალისძილი, 1992: 49-50**). ეს კი ნიშნავს იმას, რომ მთელი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორია ჩერქეზეთამდე ოდიშის საზღვრებში იყო მოქცეული (**მამისთვალისძილი, 1992: 50**). ამას ადასტურებს *ჯორჯო ინტერიანოც* (XV ს.), რომელიც საქართველოსა და ჩერქეზეთის საზღვრად ასახელებს *ანგაქსია*-ს (*Angaxia*). მკვლევართა დაკვირვებით ანგაქსია უნდა ვეძიოთ გაგრის ჩრდილოეთით – თანამედროვე ადლერის მიდამოებში (**მამისთვალისძილი, 1992: 50**).

ამრიგად, არსებობს ყველა საფუძველი დავასკვნათ, რომ ოდიშის საზღვრები ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა არა მდ. ბზიფამდე, როგორც ამას ფიქრობდა ზ. ანჩაბაძე (**Анчабадзе З., 1959: 240**), არამედ მდ. ფსოუმდე (**მამისთვალისძილი, 1992: 50**) და, რომ აფხაზეთის საერისთავო (მით უფრო დღევანდელი აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორია) წარმოადგენდა არა რაიმე და-

¹ დავით მეფე არის ერთიანი საქართველოს მეფე დავით IX /1346-1360/, ხოლო დადიმანი – გიორგი II დადიანია /1345-1384/ (**არაბი ისტორიკოსები, 1988: 45; ხორავა, 1996: 41**).

მოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელსაც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროსთან, არამედ იყო სამეგრელო-ოდის შემადგენელი ნაწილი, რომლის მმართველებიც – დადიანები, მიუხედავად სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალი ხარისხისა,¹ მაინც რჩებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალად დასავლეთ საქართველოში, იყვნენ მანდატურთუხუცეები² (შესაძლოა – ამირსპასალარებიც).³

XV ს. დამდეგს *ვამეყ I დადიანის* მემკვიდრემ – *მამიამ* /1396-1412/ (**ჯავახიშვილი, 1967:** 28; **ხორავა, 1996:** 41; **არახამია, 2002:** 107) დაუდასტურა თავისი ერთგულება ერთიანი საქართველოს მეფეს *გიორგი VII-ს* და არ დაუჭირა მხარი იმერეთის ბაგრატიონებს დასავლეთ საქართველოში ხელისუფლების უზურპაციის მცდელობაში. ამისათვის მეფემ კვლავ უბოძა ოდიშის პატრონს ცხუმის საერისთავო (**ვახუშტი, 1973:** 269). დადიანთა, როგორც მანდატურთუხუცესთა ერთ-ერთი მოვალეობა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების უსაფრთხოებაზე ზრუნვა იყო. ამიტომ ისინი ხშირად აწყობდნენ ამ თვალსაზრისით საჭირო სამხედრო ექსპედიციებს. ერთ-ერთი ამგვარი ექსპედიციის შესახებ, რომელიც მოუწყვია *ვამეყ II დადიანს* ჯიქეთში, ცნობა შემონახულია ხობის მონასტრის წარწერაში, რომლის თანახმად *ვამეყმა* დაანგრია „*და უხმარ იქმნა მათი სიმაგრეები გაგარი და უდაღნი*“ (**თაყაიშვილი, 1913-1914:** 133; **მამისთვალშიშვილი, 1992:** 49; **ბერაძე თ., 1973:** 122). არ არის გამორიცხული დადიანის ეს ლაშქრობა უშუალოდ შარვაშიძის წინააღმდეგაც ყოფილიყო მიმართული (**მამისთვალშიშვილი, 1992:** 49), რომელსაც, შესაძლოა, უკვე აღიზიანებდა დადიანის უზენაესობა და ცდილობდა მისგან თავის დახსნას.

ასეთ შემთხვევაში, ეს არის ქვეყნის შიგნით ფეოდალური ურთიერთდაპირისპირების ტიპური გამოვლინება და ჯერ კიდევ არ ნიშნავს აფხაზეთის ერისთავის სწრაფვას, გამოვიდეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან საერთოდ. თუ შემდგომი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ნათელი

¹ ოდიშის მმართველების სუვერენიტეტზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დადიანთა გვარის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი – *ვამეყ I* (1384-1396) საკუთარ მონეტას ჭრიდა ცხუმში (სებასტოპოლისი), სადაც იყო ზარაფხანა (**Д. Капанадзе, 1955:** 97; **Анчабадзе З., 1959:** 238; **По поводу искажения, 1989:** 12, 76).

² მანდატურთუხუცეებად დასახელებულნი არიან *ბედან დადიანი* (**თაყაიშვილი, 1913-1914:** 133; **ბერაძე, 1967:** 158), რომელსაც, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა ეკავა დავით ნარინის კარზე (**არახამია, 2002:** 104) და *ვამეყ I დადიანი* (**თაყაიშვილი, 1913-1914:** 132-133; **არახამია, 2002:** 106).

³ ამას ადასტურებს სებასტოპოლისის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელი ეპისკოპოსი *პეტრო გერალდი*, რომელიც *მამია დადიანს* (1323-1345) საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იხსენიებს/„*Principes sutem hujus terrae, qui est principes militiae in tota Georgiania*“ (**Petri episcopi Sebastopolitani, 1855:** 818; **კიკნაძე, 1983:** 101-102; **კიკნაძე, 1989:** 104, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ვ.**).

გახდება, რომ აფხაზეთის ერისთავი ამ ეტაპზე ცდილობდა მიეღწია მხოლოდ ოდიშის მმართველის შუალედური ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის და უშუალოდ დამორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1412 წლის ახლო ხანებში (**ჯავახიშვილი, 1967: 28; ხორავა, 1996: 41; არახამია, 2002: 107**), როდესაც „*მამია დადიანმან... ინება დამორჩილება აფხაზეთა*“ და ამ მიზნით „*შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა*“ სალაშქროდ შარვაშიძის წინააღმდეგ, სადაც მას „*ენყო შარვაშიძე აფხაზეთ... მოსწყვიდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია*“ (**ვახუშტი, 1973: 278**).

შეიტყო რა მეგრელ-აფხაზეთა შეიარაღებული დაპირისპირების შესახებ, საქართველოს მეფე *ალექსანდრე I* (1412-1442) დაუყოვნებლივ ჩავიდა ოდიშში, სადაც მას დახვდა *მამია დადიანის* ვაჟი – *ლიპარიტი*, რომელმაც ითხოვა შენდობა „*უკეთუ სცოდა რაჲ მამამან მისმან*“ (**ვახუშტი, 1973: 278**). ე.ი. გამოდის, რომ მამია დადიანის მიერ აფხაზეთში მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიცია არ იყო სანქცირებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ. შესაძლოა, თბილისს უკვე აფიქრებდა კიდევ ოდიშის ხელისუფალთა ზედმეტად გაძლიერება. იქნებ საქართველოს სამეფო კარი თვითონ იყო დაინტერესებული, გამოეყვანა აფხაზეთის ერისთავი დადიანის ქვეშევრდომობიდან. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია – *ალექსანდრე I*-მა მოახერხა კონფლიქტის ჩაქრობა. მან აპატია *ლიპარიტი* დადიანს მამამისის „თავნებობა“ და მასთან ერთად „*წარვიდა აფხაზეთს*“, სადაც მას „**მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა მუნებურნი და დაამძუნა იგინი და მოვიდა ქუთათისს. შემოკრებული იმერამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ**“ (**ვახუშტი, 1973: 278**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)¹

XV ს. I ნახევრის განმავლობაში შეიმჩნევა დადიანთა შემდგომი გაძლიერება. ამ პერიოდში მათი ძალაუფლება ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. *იოსაფაატ ბარბაროს* ცნობით, ზღვისპირა ზონაში ის ფლობდა სებატოპოლისს /სოხუმი/ და ვათს /ბათუმი/ (**მამისთვალისხილი, 1981a: 55; Анчабадзе 3., 1959: 239**). XV ს. შუა ხანებში სამეგრელო-ოდიშის მმართველი საერთაშორისო არენაზეც გავიდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ანტიოსმალურ კოალიციაში, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი ორგანიზატორი ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466) იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეფის მიერ რომში გაგზავნილ წერილში (1459 წ.) *ბედიანი* მოხსენიებულია „*სამეგრელოს მეფედ*“/«*Bandian rex Mingreliae*»/ (**თამარაშვილი, 1902: 595**), ხოლო რომში ჩასული ელჩები *ბედიანს* იხსენიებენ „*სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფედ*“/„*Bendas Megrelia et Abasiae rex*“/ (**თამარაშვილი, 1902: 595; Анчабадзе 3., 1959: 239; ჰაიტაძე, 1989: 99**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

¹ ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერი *ვიჩესლავ ჩირიკბა* ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის სრულ უცოდინრობას და ერთიანი საქართველოს მეფეს – *ალექსანდრე I*-ს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფედ აცხადებს (**Чирикба, 2020: 26**).

ამავე კოალიციაში მონაწილეობდა აგრეთვე „ანოკასიის მთავარი რაბია“, რომელსაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი „ანაკოფიის მთავრად“ მიიჩნევდა (**ჯავახიშვილი, 1967: 68**). ზურაბ ანჩაბადის აზრით კი რაბია იყო „აპოკაზიის“ ე.ი. „აფხაზეთის“ მთავარი (**Анчабадзе 3., 1959: 253-254**). ამ საკითხში გარკვეული კორექტივი შეიტანა ელდარ მამისთვალიშვილმა, რომელმაც (მიხეილ თამარაშვილის არქივის მასალებზე დაკვირვების შედეგად) დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ საქართველოს მეფის წერილის ლათინურ ტექსტში იკითხება არა „ანაკოფია“, ან „აპოკაზია“, არამედ „ანოკასია“ (**მამისთვალიშვილი, 1992: 51**). მკვლევრის ვარაუდით, „ანოკასია“ უნდა იყოს ჯიქებით დასახლებულ ტერიტორია, ხოლო რაბია – ჯიქეთის მთავარი (**მამისთვალიშვილი, 1992: 51-52**). აქედან და აგრეთვე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამ პერიოდში სწორედ ბედიანი ითვლებოდა „სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფედ“, ე. მამისთვალიშვილი აკეთებს სავსებით ლოგიკურ დასკვნას – XV ს. შუა ხანებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობდა ოდიშის პატრონისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული (**მამისთვალიშვილი, 1992: 52**).

დადიანთა უფლებები აფხაზეთზე სრულიად მკაფიოდ და არაორაზროვნად არის დაფიქსირებული გენუელთა კოლონიების მასალებში. როგორც ცნობილია, გენუელთა პირველი კოლონიები შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ XIII ს. II ნახევარში გაჩნდა (**მამისთვალიშვილი, 1992: 52**). მალე მათ ტანადან სებასტოპოლის-სოხუმამდე დაარსეს 39 დასახლება, აქედან 7 – საქართველოს სანაპიროზე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ესენია: 1. ჰაკარი (*Cacazy*) – დღევანდელი გაგრა; 2. სანტა-სოფია (*Santa-Soffia*) – ამჟამინდელი სოფ. ალახადის მახლობლად; 3. პეცონდა (*Pezonda*) – ბიჭვინთის ყურეში; 4. კავო დი ბუქსო (*Cavo di Buxo*) – გუდაუთის რაიონში; 5. ნიკოფა (*Nicoffa*) – თანამედროვე ახალ ათონთან; 6. სევასტოპოლი (*Sevastopoli*) – დღევანდელი სოხუმის ადგილას; 7. სანტ ანჯელო (*Sant-Angelo*) – მდ. ენგურის შესართავთან (**Фадеев, 1934: 110; Анчабадзе 3., 1959: 244; ქებულაძე, 1965: 89; ჯიქია ნ., 2002a: 89-90**).

ამ კოლონიებიდან განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნდა სევასტოპოლი-ცხუმს, სადაც 1354 წლიდან გენუის კონსულის რეზიდენცია იყო განთავსებული (**Зевакин, Пенчко, 1938: 86**). პირველ კონსულად მოხსენიებულია ამბროჯო დე პეტრო (**მამისთვალიშვილი, 1992: 52**). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გენუის რესპუბლიკის მთავრობა სევასტოპოლი-ცხუმში თავის წარმომადგენლის (კონსულის) დანიშვნას ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურთან – ბედიანთან ათანხმებდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს 1424 წლის „გენუის ანალების“ მონაცემები (**მამისთვალიშვილი, 1992: 52-53**). იოსაფაატ ბარბაროს ცნობით ბედიანს გარკვეული პრეტენზიები ჰქონია სებასტოპოლის (ფაქტორიის) შემოსავლებზეც (**მამისთვალიშვილი, 1992: 53**). სებასტოპოლის-ცხუმზე ოდიშის პატრონის რეალურ ძალაუფლებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გენუის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მისი კეთილგანწყობის მოპოვებას. მაგალითად, ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კაფის კონსულის სახელზე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „ყველაზე

მეტად ქებას იმსახურებს თქვენი მცდელობა, იცხოვროთ მეგობრულად მხარის ყველა ხელისუფალთან და ხალხთან და თავიდან აიცილოთ დაპირისპირება მათთან. ჩვენ ასევე კმაყოფილები ვართ იმით, რასაც იწერებოდით იმედებზე **სებასტოპოლისის მთავარ ბენდიანოსთან მტკიცე მშვიდობის დამყარების თაობაზე**“ (Зевакин, Пенчко, 1938: 113; Анчабадзе 3., 1959: 246, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). აღნიშნული მითითება, როგორც ჩანს, გენუის მთავრობის თავისებური რეაქცია იყო კაფის კონსულის (1465 წ.) მოხსენებაზე, რომელშიც კონსული გამოსატავდა თავის კმაყოფილებას იმით, რომ „**კარგად მოგვარდა საქმე სამეგრელოს მთავარ ბენდიანოსთან**“ (Зевакин, Пенчко, 1938: 114; Анчабадзе 3., 1959: 246, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).¹

თავის მხრივ, დადიანებიც ასევე დაინტერესებულნი იყვნენ გენუელ კოლონისტებთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებით და ყოველნაირად ცდილობდნენ არ ეწყენინებინათ მათთვის, ზოგჯერ თვით ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების იგნორირების ხარჯზეც კი. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო ცნობა აქვს ზემოთხსენებულ „**კათოლიკე ეპისკოპოსს ქვემო იბერიისა**“ – პეტრო გერალდის რომელსაც რეზიდენცია სოხუმში ჰქონდა. მისი მონათხრობით (ეპისკოპოსის წერილი დათარიღებულია – 1330 წლით), ადგილობრივი მოსახლეობა – **ქართველები**, მაჰმადიანები და ებრაელები (Petri episcopi Sebastopolitani, 1855: 819; კიკნაძე, 1983: 102-103; მამისთვალიძვილი, 1992: 56, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.)² აღუშფოთებია იმას, რომ დადიანმა კათოლიკეებს გამოუყო ცალკე სასაფ-

¹ სხვადასხვა (მათ შორის, უცხოური) წყაროებიდან აქ მოტანილი მასალების ფონზე, რომლებიც ერთნიშნად ადასტურებენ XIV-XV საუკუნეებში ოდიშის ერისთავთა იურისდიქციას ცხუმი-სებასტოპოლისსა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე – ანაკოფიამდე, სულ უფრო კომიკური ხდება ცალკეულ აფხაზ მკვლევართა უსუსური მცდელობები, წარმოაჩინონ ცხუმი-სებასტოპოლისის შარვაშიძეთა სამფლობელოდ. ამ მხრივ გამოირჩევა ზემოთ ნახსენები როინ აგრა, რომელიც იქამდეც კი მიდის, რომ გენუის კაფის საკონსულოს დოკუმენტებში მოხსენიებულ ბენდიანოს „ბედიის მკვიდრ მარვაშიძე-ჩაჩბას გვერდით შტოს“ მიაკუთვნებს /„разветвлении рода Шервашидзе-Чачба по их месту происхождения – Бедия“/ (Арба Р., 2006: 90).

² ესაა დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ იმჟამად ცხუმი-სებასტოპოლისში ცხოვრობდნენ ქართველები და არა აფხაზები, რისი აღიარებაც ჯიუტად არ სურთ აფხაზ მკვლევრებს. საპირისპიროს დასამტკიცებლად იქამდეც კი მიდიან, რომ 1350-1360-იანი წლებით დათარიღებული ანონიმი ესპანელი ფრანცისკელი ბერის მეტად საეჭვო დირებულების თხზულების „**ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის**“ (El Libro del conocimiento, 1999) ერთ ფრიად უცნაურ ცნობაზე დაყრდნობით, იგონებენ ახალ ეთნოსს – „**კომანებს**“ – „**გუმას** (გუმისთის) აფხაზებს“ (Инал-ипа, 1992: 29-30; Чирикба, 2020: 16; Маан, 2020: 351). აღნიშნულ წყაროში, რომლის მონაცემების ხარვეზები დამაჯერებლად აჩვენა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა თამაზ ბერაძემ (იხ.: Берадзе, 1989: 45-47, მეცნიერი სარგებლობდა 1912 წელს გამოცემული ინგლისური თარგმანით (Book of knowledge, 1912), ნახსენებია „სევასტოპოლის სამეფო“, რომელიც „**ეკუთვნის ქრისტიან კომანებს**“ /erreynado de Sant Estopoli, que es de cristianos comanes/ (El Libro del conocimiento, 1999: 96). აღსანიშნავია, რომ ესპანური ტექსტის ეს მონაკვეთი სხვადასხვა-

ლაო. განრისხებულმა ხალხმა მოგლიჯა ლათინური სასაფლაოს ცენტრში აღმართული ჯვარი და საფლავის ქვები. ლათინებმა კვლავ აღმართეს ჯვარი და აღადგინეს საფლავის ქვები. მაშინ ადგილობრივმა „სქიზმატიკოსებმა (მართლმადიდებლები), მღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზებისა და ებრაელების დახმარებით, მიუტანეს მესამედ აღმართული ჯვრები და საფლავის ქვები სქიზმატიკოსების მთავარ ეპისკოპოსს“ (**Petri episcopi Sebastopolitani, 1855: 818; კიკნაძე, 1983: 103; მამისთვალშივილი, 1992: 56**). პეტრო გერალდი აღნიშნავს, რომ ქართველები, მათი ტოლერანტობიდან გამომდინარე, არ იყვნენ წინააღმდეგნი, ჰქონოდათ ლათინებთან საერთო სასაფლაო, მაგრამ ლათინებმა თქვეს უარი თავიანთი მიცვალებულების ქართველთა შორის დამარხვაზე (**Petri episcopi Sebastopolitani, 1855: 819; კიკნაძე, 1983: 102-103; მამისთვალშივილი, 1992: 56**). ფიქრობენ, რომ ამ კონფლიქტს ადვივებდნენ სარკინოზები (რუმის სასულთნოდან გამოსული მაჰმადიანები) და ებრაელები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ სებასტოპოლიდან გენუელი კონკურენტების განდევნას (**მამისთვალშივილი, 1992: 56; მამისთვალშივილი, 1981b: 75-78**).

სამეგრელო-ოდშიის მმართველთა გენუელ კოლონისტებთან ურთიერთობებზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ გარემოებას: შავიზღვისპირეთში არსებულ გენუის კოლონიებთან დაკავშირებულ მასალებში ადგილობრივი (სამეგრელოს) ხელისუფლების მეთაური მოხსენიებულია ბედიანის (ბენდიანოს) სახელით. ამ და სხვა ევროპულ წყაროების მონაცემების გათვალისწინებით ივანე ჯავახიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ პერიოდში (XV ს. II ნახევარი) დასავლეთ საქართველოში არსებობდა პოლიტიკური ერთეული – საბედიანო. მანვე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოხაზა კიდევ საბედიანოს ტერიტორია, რომელშიც სამეგრელოსთან და გურიასთან (ბათუმ-აჭარითურთ) შედიოდა ამჟამინდელი აფხაზეთიც (**ჯავახიშვილი, 1967: 102-105**). ივ. ჯავახიშვილის ეს შეხედულება დიდხანს იყო საყოველთაოდ გაზიარებული ისტორიოგრაფიაში (**Анчабадзе З., 1959: 237; ლომინაძე, 1979: 740**). მაგრამ ის შემდგომ გადაისინჯა. თამაზ ბერაძის აზრით არავითარი საბედიანოს სამთავრო არ არსებობდა და თვით ეს ტერმინიც ხელოვნურადაა შექმნილი (**ბერაძე, 1967: 176-178**). ამ შეხედულებას იზიარებს

გვარად ესმით ფრანცისკელი ავტორის ინგლისურ ენაზე მთარგმნელებს. კლემენტ მარკჰემის მიხედვით „ქრისტიანი კომანები“ ცხოვრობდნენ „სევასტოპოლის სამეფოში“/„in the kingdom of Sant Estropoli which is inhabited by Comanes Christians“/ (**Book of knowledge, 1912: 57**), სხვა ინგლისური თარგმანით კი „სევასტოპოლის სამეფო“ ეკუთვნით „ქრისტიან კომანებს“/„the kingdom of Sant Estropoli, which belongs to Koman Christians“/ (**El Libro del conocimiento, 1999: 97**, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). როგორც არ უნდა ითარგმნოს ესპანური ტექსტის ეს პასაჟი, ერთი რამ ცხადია – კომან-ყივჩაყთა (თუნდაც ქრისტიან ყივჩაყთა) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლება, მით უფრო ე.წ. „სევასტოპოლის სამეფოს“ მათ კუთვნილებად გამოცხადება სრული ნონსენსია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან და მთლიანად ფანტაზიების სფეროს განეკუთვნება.

ბუჯან ხორავაც (**ხორავა, 1996:** 51-52). ჩვენ გვიჭირს დავადასტუროთ, ან ვუარყოთ დასკვნა საბედიალოს არსებობა – არარსებობის თაობაზე (ის ნამდვილად მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას), მაგრამ ერთი რამ ცხადია: XV საუკუნეში სამეგრელოს მმართველ დადიანთა შორის ნამდვილად არ გვხვდება ბენდია (ბენდიაწო, ან ბედან) დადიანი, ხოლო ის პიროვნება, რომელსაც ევროპული წყაროები რატომღაც ბენდიას, ან ბენდიაწოს უწოდებენ ლიპარიტ I დადიანი (1412-1470) უნდა იყოს (**პაიჭაძე, 1989:** 140; **ხორავა, 1996:** 51; **არახანია, 2002:** 108-110).

კონსტანტინოპოლის დაცემისა (1453 წ.) და თურქ-ოსმალთა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გააქტიურების შემდეგ, მკვეთრად გაუარესდა ვითარება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. უკვე 1454 წელს ოსმალებმა მოაწყვეს პირველი სამხედრო ექსპედიცია სოხუმის რაიონში, გაძარცვეს ქალაქი და აფხაზეთის სანაპირო.¹ საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ მყისიერად მოახდინა რეაგირება მომხდარზე, ის უმალ გაეშურა აფხაზეთისკენ, მაგრამ ოსმალებმა გაასწრეს. მეფემ მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ „*მკვიდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს*“ (**ვახუშტი, 1973:** 284; **მამისთვალისძვილი, 1992:** 54). როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი VIII-მ XV ს. 50-იან წლების ბოლოს სცადა შეექმნა მძლავრი ანტიოსმალური კოალიცია აღმოსავლეთში და ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად მოინდომა გადამწყვეტი დარტყმის მიყენება ოტომანთა იმპერიისათვის. მაგრამ მისი ეს ინიციატივა ჩაიფუშა, რამაც მკვეთრი გავლენა იქონია საქართველოს შიგნით პოლიტიკურ სიტუაციაზე. XV ს. 60-იან წლებში ქვეყანა მწვავე კრიზისმა მოიცვა, რომლის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა კიდევ.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავინდებურად სამეგრელოს მმართველი დადიანთა საგვარეულოს კონტროლის ქვეშ იყო, თუმცა სწორედ ამ დროიდან (XV ს. შუა ხანები) შეიმჩნევა ჯიქ-აფხაზეთა ექსპანსია *სოხუმი-სებასტოპოლისის* მიმართულებით. ამ პროცესს წინ უსწრებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯიქ-აფხაზეთა მონათესავე მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლა, რომლებმაც თანდათანობით (XIV ს. მიწურულიდან) ფეხი მოიკიდეს აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე. ეს იყო საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრების სიახლოვეს მთიელ ტომთა გააქტიურების პროცესის ნაწილი, რომელიც სათავეს იღებს XIII საუკუნიდან, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო სერიოზულად დადგა „ოვსთა“ საფრთხის წინაშე. მაგრამ XIV ს. I მესამედში გიორგი V *ბრწყინვალემ* შეძლო ოვსთა თარეშის ალაგმვა და შიდა ქართლში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა. რაც შეეხება ჯიქ-აფხაზებს, მათ შეკავებას ცდილობდნენ სამეგრელო-ოდიშის მმართველები, რომლებიც დრო და დრო ახერხებდნენ კიდევ პრევენციული ღონისძიებე-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი ოსმალთა პირველ გამოჩენას აფხაზეთის სანაპიროზე ათარიღებდა 1451 წლით, (**ვახუშტი, 1973:** 284), მაგრამ წყაროთა კრიტიკული ანალიზის შედეგად მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1454 წელს (**Анчабадзе С., 1959:** 252; **მამისთვალისძვილი, 1992:** 54; **Сванидзе, 1985:** 110).

ბის გატარებას მათ წინააღმდეგ და ამ გზით მთიელ ტომთა შემოღწევის შეჩერებას აწინდელი აფხაზეთის სიღრმეში.

ის, რომ ამ პერიოდში ნამდვილად ჰქონდა ადგილი ადიღურ-აფხაზური მოდგმის მთიელ ტომთა ექსპანსიას ჩრდილოეთ კავკასიიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასტურდება ადიღეულებში არსებული გადმოცემებით, რომლებიც თავის დროზე (XIX საუკუნეში) ჩაიწერა ცნობილმა ადიღმა განმანათლებელმა *შორა ნოგმოვმა*. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის თანახმად, ადიღელთა წინამძღოლმა *ინალმა* (XV ს. დამდეგი) შეკრიბა თავისი თანატომელნი და ანაპის მიდამოებიდან ჯერ ყაბარდოს მიმართულებით დაიძრა, ხოლო შემდეგ იქიდან აბაზა მთავრებთან *აშუ* და *შაშუსთან* ერთად აფხაზეთში გადმოვიდა. „აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ, – როგორც მიუთითებს შ. ნოგმოვი, – ძიბაზე (სპეციალისტების აზრით, მდ. ბზიფი) ყოფნისას, სადაც აწარმოებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს აფხაზურ ტომებთან, ის (მას მერე, რაც მორჩა ყველა ამ საქმეს) გარდაიცვალა (1427 წ.)... მისი გვამი დაფლეს ადნიშნულ მიწაზე და მისი საფლავი დღესაც ცნობილია ინალ-კუბას სახელით“ (აბაზურად „ინალის საფლავი“). გადმოცემის თანახმად, ინალის საფლავი – ინალ-კუბა მდებარეობს მაღალ მთაზე, სოფელ *ფსხუს* მიდამოებში (Ногмов, 1994: 95; Мухелишвили, 1999: 133). მოგვიანებით ინალის საფლავი აფხაზებისა და აბაზებისათვის წმინდა ადგილად გადაიქცა, სადაც იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაული (Мухелишвили, 1999: 133).

აბაზა მთავრებში – *აშუ* და *შაშუ*-ში გულისხმობენ *აჩბებისა* და *ჩაჩბების* აფხაზური წარჩინებულ საგვარეულოებს (Лавров, 1978: 46; Мухелишвили, 1999: 133). მკვლევართა აზრით, ამ გადმოცემაში აირეკლა აბაზურ ტომთა, კერძოდ, მთიელ აბაზა-აშხართა, ფართომასშტაბიანი გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე (Мухелишвили, 1999: 133). აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მონათესავე აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომების გადმოსახლებას აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში არ უარყოფდა თვით შ. ინალ-იფაც (მეცნიერი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, კატეგორიულად აცხადებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ აფსუა-აფხაზები არიან ამჟამინდელი აფხაზეთის აბორიგენები) კი. ამის დასტურად მას მიაჩნდა ისტორიულ გადმოცემებში დაფიქსირებული აფხაზეთში „საიდანღაც ჩრდილოეთიდან“ ცალკეული გვარებისა და პირთა მოსვლის ფაქტები *ინალ-იპა*, 1971: 141; *ინალ-იპა*, 2006; Мухелишвили, 1999: 133). ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ გადმოცემით აჩბების (ანჩაბაძეთა) საგვარეულო აფხაზეთში მართლაც ფსხუს მიდამოებიდან შემოვიდა. იმავე მონაცემების თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ფსხუს გზით არიან მოსულნი აგრეთვე ისეთი გვარები, როგორიცაა: *აშუბა*, *ადლეიბა*, *ინაფშბა* და ა.შ. (Мухелишвили, 1999: 133)

და მაინც, XV ს. I ნახევარში, ცალკეული გართულებების მიუხედავად, ერთიანი ქართული სახელმწიფო ასე თუ ისე ართმევდა თავს ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიის შეჩერებას და ინარჩუნებდა კონტროლს აფხაზეთის საერისთავოზე, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის მიერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროების დაკავე-

ბამ XV ს. II ნახევარში სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოება. სწორედ თურქ-ოსმალთა მიერ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რელიგიურ-იდეოლოგიური „ათვისების“ ფონზე, ჯიქ-აფხაზებმა გააძლიერეს ექსპანსია სამეგრელო-ოდის მიმართულებით, რომლის პირველი გამოვლინება იყო 1455 წელს *ავოგაზების* (აფხაზების) დამარბეველი თავდასხმა ცხუმი-სებასტოპოლისზე.

ამის შესახებ ცნობას იძლევა სებასტოპოლი-სოხუმის კონსული *ჯერარდო პინელი*. მისი თქმით, 1455 წ. 28 ივლისს ქალაქს მოულოდნელად დასხმიან თავს ავოგაზები. ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად აყრილა და გაქცეულა, ვინაიდან ავოგაზებს მათი დატყვევება ჰქონიათ განზრახული (**მამისთვალშილი, 1992: 55**). ავოგაზების ეს თავდასხმა სოხუმზე *ზურაბ ანჩაბაძეს* მიაჩნდა ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის აჯანყებად გენუელების წინააღმდეგ (**ანჩაბაძე 3., 1959: 248**). ელდარ *მამისთვალშილი*მა სავსებით მართებულად უარყო ზ. ანჩაბაძის ეს დასკვნა. მან სწორად შენიშნა, რომ არც ერთი წყარო არ აფიქსირებს XIV-XV საუკუნეებში აფხაზთა ყოფნას სოხუმის მიდამოებში, ამიტომ საუბარი გენუელთა წინააღმდეგ აფხაზთა განმათავისუფლებელ ბრძოლაზე სრულიად გაუმართლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავოგაზებს მივიჩნევთ აფხაზებად და არა ჯიქებად, – აღნიშნავს მკვლევარი, – სოხუმზე თავდასხმის ხასიათი მაინც არ შეიცვლება, რადგან სახეუა ადგილობრივი მოსახლეობის (და არა გენუელი კოლონისტების – **ზ.პ.**) მიმართ მტრულად განწყობილი უცხო ტომის მარბიელი ლაშქრობა ალაფისა და ტყვეების მოპოვების მიზნით (**მამისთვალშილი, 1992: 55**).¹

¹ ეტყობა, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა აფხაზი მკვლევარი *ვიჩხელავ ჩირიკბა* ერთგვარი კორექტივი შეეტანა ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისში და აფხაზ-ავოგაზების ეს თავდასხმა სებასტოპოლისზე მიეჩნია უკვე „*მეგრელების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის სამთავროს დედაქალაქის აფხაზთა კონტოლქვეშ დაბრუნების მორიგ მცდელობად*“ (**ჩირიკბა, 2020: 38**). აქვე არ შეიძლება არ გამოვხსნათ ვ. ჩირიკბას მცდელობას XV საუკუნეში სოხუმი გამოაცხადოს აფხაზების ქალაქად, რომელსაც, თურმე მაშინ ერქვა „*აყუა*“. ამის არგუმენტად კი მოაქვს XVI ს. იტალიელი კარტოგრაფის ბატისტა აგნეზის (*Battista Agnese*) 1540 წლით დათარიღებული რუკა, რომელზე დაყრდნობითაც ცდილობს თითქმის 2 საუკუნით დაადველოს სოხუმის აფხაზური სახელწოდების – „*აყუას*“ მოხსენიების თარიღი. მაგრამ აწყდება წინააღმდეგობას იმაში, რომ იტალიელი კარტოგრაფი ამ „*აყუას*“ რატომღაც ათავსებს ჩრდილოეთით – სადღაც მონღოლთა დედაქალაქ *სარაის* მახლობლად (**ჩირიკბა, 2020: 98**). აფხაზ მეცნიერს ეს აგნეზის შეცდომად მიაჩნია, თუმცა სრულიად აბსურდულია ამ „*შეცდომის*“ მისეული ახსნა. თურმე იტალიელ კარტოგრაფს ეს გადაცდომა მოსვლია მხოლოდ იმის გამო, რომ მან „*აფხაზეთის სამეფოს*“ („*Abacuas regi*“) და ქალაქ „*aqua*“-ს თურმე ვერ მოუნახა ადგილი საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, რადგან აქ უკვე დააფიქსირა სევასტოპოლი, როგორც „*სამეგრელოს*“ ნაწილი (**ჩირიკბა, 2020: 98**). ბატისტა აგნეზის კარტოგრაფიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ვერ ავუვლით გვერდს ვ. ჩირიკბას ერთ „*გულმავიწყობას*“. იტალიელი კარტოგრაფის 1525 და 1554 წლების რუკებზე სწორედ იმ არეალში, რომელიც მოიცავს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს (თანა-

ეს ახალმოსული ჯიქ-აფხაზები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებოდნენ აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. თუ ადგილობრივი „აფხაზობა“ წარმოადგენდა მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილს, ზოგადქართული ქრისტიანული იდეოლოგიითა და წიგნიერი კულტურით, მოსული ჯიქ-აფხაზნი პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსული „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელი დამანგრეველი ძალა იყო, რომელიც თავის გზაზე პირწმინდად ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს (**პაპასიერი, 2004: 89-90**). თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დაწყებული ამ პროცესების ერთგვარი ანარეკლია ზემოთნახსენები „მცნებაჲ სასჯულო“ – იოვაკიმეს „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად კურთხევასთან (1470-1474 წლები) დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტი. იგი ნ. ბერძენიშვილის მოსწრებული თქმით „მთელი ეპოქის მაჩვენებელი დოკუმენტია“ (**ბერძენიშვილი, 1990: 608**), რომელშიც ხაზგასმულია აფხაზთა ქრისტიანობისაგან განდგომა და „წარმართად მიქცევა“ (**მცნებაჲ, 1970: 221-233**).

მიუხედავად აფხაზეთის ამგვარი სახეცვლილებისა, XV ს. 60-იან წლებში აფხაზები კვლავინდებურად აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთო-ქართულ პოლიტიკურ პროცესებში. კერძოდ ისინი, „დადიან-გურიელ ... და სუანნი“ მხარს უჭერდნენ ბაგრატ ბაგრატიონს, რომელმაც თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა (**ვახუშტი, 1973: 806; გვენეტაძე, 2003: 115-133**). გაწეული სამსახურის სანაცვლოდ დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა ბაგრატ მეფისაგან ჯილდოდ მიიღეს: „დადიან-მან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძე აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ“ (**ვახუშტი, 1973: 806**. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობის ინტერპრეტაციისას არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს შემდეგმა გარემოებამ: სწავლული ბატონიშვილი რატომღაც განსხვავებულად წარმოგვიდგენს შარვაშიძის სტატუსს. კერძოდ, თუ დადიანმა, გურიელმა და გელოანმა განიმტკიცეს თავიანთი უფლებები კონკრეტულ რეგიონებზე – შესაბამისად ოდიშზე, გურიაზე და სვანეთზე, შარვაშიძეს ასეთი რეგიონი არ მიუღია, ის მხოლოდ აფხაზებისა და ჯიქების უფროსად გამოცხადდა.

ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია იმ პერიოდში ნამდვილად არ იყო ადმინისტრაც-

მედროვე აფხაზეთის ჩათვლით) დატანებულია მეფის მეტად შთამბეჭდავი სურათი, რომელსაც აწერია „საქართველოს მეფე“ / „Rex Georgianias“/ (**Баттиста Анъезе, 1554**). მაგრამ ჩვენმა ფრიად დაკვირვებულმა კოლეგამ რატომღაც „ვერ შეამჩნია“ ეს. არადა, ამ რუკების მკვლევარმა იგორ ფომენკომ (რომლის ნაშრომსაც ეყრდნობა ვ. ჩირიკბა) საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ამ გამოსახულების იკონოგრაფიულ თავისებურებებზე და მეტად მნიშვნელოვანი კომენტარიც გააკეთა „საქართველოს მეფის“, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთადერთი ანგარიშგასაწევი ფიგურის გამორჩეულობაზე (**Фоменко, 2011: 182-183**).

ციულად ერთიანი და რომ შარვაშიძეები იმ დროს, უკეთეს შემთხვევაში, რჩებოდნენ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს მფლობელებად. ასეა თუ ისე, ერთი რამ სრულიად ნათელია: ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში, როდესაც შარვაშიძეები ერთმნიშვნელოვნად ითვლებოდნენ აფხაზეთის მმართველებად (მის დღევანდელ საზღვრებში), ჰქონდა სერიოზული მიზეზები, არ გადაეტანა თავისი ეპოქის კონიუნქტურა XV ს. II ნახევარში და შარვაშიძეთა საგვარეულოს მაშინდელი წარმომადგენლები არ მიეჩნია ამჟამინდელი აფხაზეთის მფლობელებად (**ჰაპასიური, 1998a: 249-250; ჰაპასიური, 2009: 391**).

დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივად მთავართა რანგში აღზევებული ერისთავების, პირველ რიგში, მათ შორის ყველაზე გავლენიანი დადიანების, ლოიალობა ბაგრატ მეფისადმი, რაც ასე ნათლად გამომჟღავნდა როგორც XV ს. 60-იან წლებში, ისე მოგვიანებითაც, დიდხანს არ გაგრძელებულა. შამადავლე დადიანის – დასავლეთ საქართველოში მცხეთის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელი იერარქის დაყენების ერთ-ერთი ინიციატორის – გარდაცვალების შემდეგ, ოდიშის ახალმა მმართველმა *ვაჟე II დადიანმა* უკვე ბაგრატ VI-ის საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგა. მან „*შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაჰყრობა იმერეთსა*“ (**ვახუშტი, 1973: 807**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). მდგომარეობის გამოსწორება შესძლო ბაგრატის ვაჟმა – *ალექსანდრემ* (1484-1510), რომლის დროსაც დასრულდა იმერეთის სამეფოს საბოლოო ფორმირება, თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა. თავდაპირველად, როდესაც ალექსანდრემ მამის გარდაცვალების შემდეგ სცადა ქუთაისის ტახტზე დაჯდომა და „*ამისთვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს*“, მათ უარი შეუთვალეს (**ვახუშტი, 1973: 807-808**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). სწორედ ამან განაპირობა ალექსანდრე ბაგრატის ძის მარცხი ტახტისათვის ბრძოლაში და დასავლეთ საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენლის – *კონსტანტინე II*-ის (ქართლ-იმერეთის მეფე 1478-1484 წლებში, ქართლის მეფე 1484-1505 წწ.) მიერ (**ვახუშტი, 1973: 809**). „*ქართლის ცხოვრების*“ გაგრძელებაში შემონახულია საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ კონსტანტინე II-მ „*მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი ...*“ (**ქართლის ცხოვრება, 1959: 343**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). მოგვიანებით (1484 წ.), როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილმა მაინც მოახერხა ქუთაისში დამკვიდრება, მან „*დაიმშჳდა იმერეთი და დაიჰყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა...*“ (**ვახუშტი, 1973: 809**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

XV ს. მიწურულისათვის, როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოები, დასავლეთ საქართველოში კი შეიქმნა იმერეთის სამეფო. ფაქტობრივად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ სამეგრელო-ოდიში და სამცხე-საათაბაგო. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ჯერ კიდევ რჩებოდა ოდიშის მმართველის იურისდიქციის ქვეშ, თუმცა ტერიტორიულად სამეგრელოს ფარგლებში მოქცეული იყო მისი ერთი ნაწილი –

„აფხაზეთის ზემოთი“, ხოლო „აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსა ბრძანებასა დადიანისასა“ (**ქართლის ცხოვრება, 1959: 349**). მხოლოდ XVII საუკუნეში შეძლეს შარვაშიძეებმა დადიანთა სახლის იურისდიქციიდან გამოსვლა და დამოუკიდებელი სამთავროს შექმნა, რომლის საზღვარმაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ კოდორის ნაპირებს მიაღწია, ხოლო შემდეგ (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე) – მდ. ენგურსაც.

ასეთი იყო თანამედროვე აფხაზეთის ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე XI-XV საუკუნეებში. როგორც დავინახეთ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ამ პერიოდში სულაც არ წარმოადგენდა რაღაც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს – ე.წ. „ავტონომიურ სამთავროს“ სახით – ერთიანი ქართული მონარქიის ფარგლებში. XI-XII საუკუნეებში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ადმინისტრაციულად შედიოდა ცხუმისა და ოდიშის საერისთავოებში და ის ძირითადად ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ცხუმი – XII საუკუნეში ერთიანი საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია – ყველა მონაცემებით, ქართული ქალაქი იყო. XIV საუკუნიდან, ოდიშის ერისთავების მიერ ცხუმის საერისთავოს შემომტკიცების შემდეგ, ცხუმის-სებასტოპოლისი დადიანთა სახლის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ იყო მათი ზარაფხანაც. საკუთრივ აფხაზური ტომები ძირითადად განსახლებულნი იყვნენ აფხაზეთის საერისთავოში, რომლის სამხრეთი საზღვარი ანაკოფია-ახალ ათონს არ სცილდებოდა. აღნიშნული საერისთავო, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა სათავეში, ასევე საერთო-ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. XIII-XV საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე შარვაშიძეები ინარჩუნებდნენ ლოიალობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, ისინი ავლენდნენ მეტ ერთგულებას თბილისის ტახტისადმი (ვიდრე ლიხთიმერეთის სხვა ლიდერები) და წარმოადგენდნენ მის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში.

თავი V. აფხაზეთი XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დამდების ჩათვლით

§1. აფხაზეთი XVI საუკუნეში

XV ს. 70-90-იან წლებში ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. დასავლეთ საქართველოში არსებული ოდიშის, გურიის, სვანთა და აფხაზეთა საერისთავოები იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. აფხაზეთა ერისთავები იმერეთის მეფეების და იმავდროულად ოდიშის ერისთავების ვასალები იყვნენ. საერისთავოები თანდათან იფართოებდნენ უფლებებს და სამთავროებად ჩამოყალიბებას ცდილობდნენ.

XVI ს. დამდეგს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ოდიშის მმართველი დადიანთა სახლის იურისდიქცია ვრცელდებოდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოდიშის მთავარმა მამია III დადიანმა (1503-1533) „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს უბოძა „ბიჭვინტის გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“ (ბიჭვინტის იადგარი, 1965: 179; Антелава, 1951: 27-28; Анчабадзе З., 1959: 258). XVI ს. დამდეგს აფხაზეთის საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით გადიოდა ანაკოფიის მდინარეზე, სადაც მას ოდიში ესაზღვრებოდა. ანაკოფიის მდინარის მარჯვენა მხარეს თითქმის ზღვამდე პატარა ქელი მიუყვება, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამხრით ზღუამდე“ (ვახუშტი, 1973: 776). ამას ადასტურებს XVI ს. I მეოთხედის თურქული წყარო, სადაც ნათქვამია: „... სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები. მთებს უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა...“ (თურქული წყაროები, 1983: 57). ამ თურქული წყაროს მიხედვით, აფხაზეთა საერისთავოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ანაკოფიის მდინარეზე (ფსირცხა) გადიოდა. აქ ნახსენები „იალბუზის მთის კალთაში“ იგულისხმება „ანაკოფიის მცირე მთა“, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს.

ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთის საზღვარი მდ. ბზიფზე გადიოდა, სადაც მას ჯიქეთი ესაზღვრებოდა. გენუელი მოგზაური, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ჯორჯო ინტერიანო, რომელიც ავტორია ჯიქეთის აღწერისა სახელწოდებით „ყოფა და ქვეყანა ზიხებისა, რომლებიც ჩერქეზებად იწოდებიან“ (წიგნი პირველად 1502 წელს გამოვიდა), ჯიქების განსახლების ტერიტორიას ასე აღწერდა: „ზიხები, რომლებიც ცნობილნი არიან ასეთი სახელით იტალიურად, ბერძნულად და ლათინურად, ხოლო თურქებსა და თათრებში ჩერქეზების სახელით, თავიანთ თავს ადიღეს უწოდებენ. ისინი ცხოვრობენ ზღვის მთელ აზიურ სანაპიროზე ტანადან ანუ დონიდან ... სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბზის კონცხამდე (Cavo de buxo) და ესაზღვრებიან ავოგაზიას (აფხაზეთი – ბ.ხ.), კოლხეთის შემადგენელ ნაწილს“ (Интериано, 1974: 46-47). ბზის ნავსადგური სწორედ მდინარე ბზიფის შესართავთან მდებარეობდა. მას ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ უცხოელებს აქედან ძირითადად ბზა გაჰქონდათ.

ჯიქეთი, რომელიც აფხაზთა საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა, ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ საქართველოს ჩამოშორდა. ჯიქეთის დასავლეთით მრავალრიცხოვანი ადიღური ეთნოგრაფიული ჯგუფები ცხოვრობდნენ, რომლებიც ცნობილი იყვნენ თურქებისა და თათრების მიერ შერქმეული ჩერქეზების კრებითი სახელით. ადიღების შავიზღვისპირეთში ექსპანსიის გამო, სამეფო ხელისუფლების დასუსტების პირობებში, ჯიქები სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწვედნენ, რასაც აფხაზთა ერისთავი ვერ უმკლავდებოდა. ასეთ ვითარებაში, ჯიქებმა საზღვარი მდინარე ბზიფამდე გადმოწიეს (**ხორავა, 1996: 60**).¹

მთიელთა მიგრაცია აფხაზეთში XIII-XIV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარებით იყო გამოწვეული. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთის მოსახლეობის ლტოლვა შავიზღვისპირა ბარისაკენ აიხსნება ბუნებრივი კანონზომიერებებით: საარსებო მიწის ძებნით, რაც გამოწვეული იყო მონღოლების მიერ მათი შევიწროებითა და ადრინდელი საცხოვრისიდან გამოდევნით. კავკასიელ მთიელთა მოძალეობა და თანდათან ჩამოსახლება პოლიტიკურად დასუსტებულ, ზოგან აყრილ-აოხრებულ ბარში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მთის ჩამოწოლის სახელითაა ცნობილი, თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – აფხაზეთში, შიდა ქართლის მთიანეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთით – კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ჰერეთში. მთას თან მოჰქონდა მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, რელიგია (**ბერძენიშვილი 1964: 141**).

XV-XVI საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასია ოსმალთა აგრესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. 1475 წელს ოსმალებმა ყირიმის სახანოს დაიმორჩილეს; იმავე წელს მათ ანაპა დაიკავეს და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც ფეხი მოიკიდეს, რითაც დასავლეთ კავკასიაში ექსპანსიისათვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი შექმნეს. ამ დროიდან ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდანაც გაუმეზობლდა საქართველოს. იმავდროულად ოსმალთა წაქეზებით დასავლეთ კავკასიელი მთიელები, პირველ რიგში ჯიქები, სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწვედნენ და აფხაზეთის მისაკუთრებისათვის იბრძოდნენ. ისინი ძარცვავდნენ აფხაზეთის, ოდიშის, გურიის სანაპირო სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და შემდეგ მათ ოსმალებზე ყიდიდნენ (**სვანიძე, 1971: 38**).

¹ საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ავსტრიელი დიპლომატი სიგიზმუნდ ჰერბერშტაინი (XVI ს. დამდეგი) იგი წერს, რომ „ყუბანს იქით არის სამეგრელო“, ხოლო ყუბანის ქვემო წელზე ცხოვრობენ „აფგაზები“, მთებში კი ჩერქეზები (**Герберштейн, 1988: 181**). იმავე პერიოდის რუკებზე (*ანონიმის* 1542 წ. შავი ზღვის, ბატისტა აგნუზის 1553 წ., დიოგო ჰომეშის 1559 წ., *ჯაკომო გასტალდის* 1561 წ.) ყუბანის მარცხენა ნაპირიდან სამეგრელოს მიწებია. ამასთან, ზოგიერთ (*ჯაკომო გასტალდის*) რუკაზე „აფხაზეთის რეგიონი“ პოლიტიკური ცენტრით „აყუა“, ყუბანის შუა წელზეა მონიშნული (**Гогия, 2005: 30-36**). როგორც ჩანს, ევროპელი მოგზაურები და კარტოგრაფები ხშირად მთელ დასავლეთ საქართველოს სამეგრელოს უწოდებენ და მას ძველ კოლხეთთან აიგივებდნენ.

ჯიქების (რომლებიც „ეკირთებოდნენ...ოდიშს და გურიას“) მოწოლის შესაჩერებლად, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მხარდაჭერით, 1533 წ. იანვარში, *მაძია III დადიანმა* (1503-1533) და *მაძია I გურიელმა* (1512-1534), მოაწყვეს დამსჯელი სამხედრო ექსპედიცია ჯიქეთში ზღვით. ეს ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა. წყაროთა მონაცემებით, ქართველთა ლაშქრის დამარცხება, გადამწყვეტ მომენტში, „შეჩუენებულ“ ცანდია ინალდიფას (ინალ-იფას) და აფხაზთა ლაშქრის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას გამოუწვევია. მაძია III დადიანი შეიპყრეს და წამებით მოკლეს; მაძია I გურიელი, მისი სამი ძმა, ეპისკოპოსები და ლაშქარი ჯიქებმა ტყვედ ჩაიგდეს. შემდეგ ჯიქეთში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი *მალაქია I აბაშიძე* (დაახლ. 1519-1540 წწ.) ჩავიდა და ტყვეები და მიცვალებულთა ცხედრები ჯიქებისაგან დიდი საფასურით გამოიხსნა (**ქართლის ცხოვრება, 1959: 497; ვახუშტი, 1973: 811; ცხოვრება საქართველოსა, 1980: 42; ხორავა, 1996: 62**).

ამ უსიამოვნო ფაქტის მიუხედავად, აფხაზთა ერისთავი თავის მოვალეობას სიუზერენისადმი, რაც ლაშქრობით სამსახურს გულისხმობდა, კვლავაც ასრულებდა. 1547 წელს, როდესაც ოსმალებმა გურიას შემოუტიეს, *ლევან I დადიანმა* (1533-1572) გურიის დასახმარებლად „შემოიყარა სრულიად აფხაზნი და ოდიშარნი“ და „სპითა ოდიშ-აფხაზითა“ რიონის შესართავში დაბანაკდა (**ვახუშტი, 1973: 814; ქართლის ცხოვრება, 1959: 360, 502; ბერაძე თ., 2007: 147-148**).

XVI ს. დასაწყისში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში გაბატონებისათვის სპარსეთ-ოსმალეთის მეტოქეობას, მათ შორის პირველი ომი მოჰყვა. ომი, შესვენებებით, 1514-1555 წლებში მიმდინარეობდა და 1555 წელს *ამასიის ზავით* დასრულდა, რომლის ძალითაც სპარსეთმა და ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გულისტკივილით წერდა, „*ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს. სამცხე და ქართლი და კახეთი – ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია, ლაზის ქვეყანა ხონთქარსა*“ (**გორგიჯანიძე, 1925: 215**). ამდენად, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ.

საგარეო-პოლიტიკური ვითარების გაუარესების, სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და პოლიტიკური დამლილობის პირობებში, XVI ს. შუა ხანებიდან აფხაზეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა კავკასიელი მთიელების მიგრაცია. ერთი მხრივ აფსუა-აფხაზთა ახალი ნაკადის, მეორე მხრივ ჯიქების მიგრაციამ, აფხაზეთში წარმართობის აღორძინება გამოიწვია. ყოველივე ამან შეაფერხა საკათალიკოსო ცენტრის ნორმალური ფუნქციონირება, საფრთხე შეუქმნა თვით კათალიკოსის სიცოცხლესაც. ამის გამო, დაახლოებით 1557-1565 წლებში, აფხაზეთის კათალიკოსი *ევდემონ I ჩხეტიძე* იძულებული გახდა ბიჭვინტა დაეტოვებინა და გელათში გადასულიყო. მთავარი საკათალიკოსო რეზიდენცია სამეფოს პოლიტიკური ცენტრის სიახლოვეს გადმოვიდა (**ლომინაძე 1966: 177-186; ხორავა, ვაჭრიძე, 2019: 160-161**). ჯიქების შემოსევებით ოდიშის მთავარი იმდენად იყო შეწუხებული, რომ იძულებული გახდა დახმარება ოსმალეთისთვის ეთხოვა. 1557 წ.

თებერვალში ლევან I დადიანი სტამბოლში ჩავიდა. გარდა ჯიქების წინააღმდეგ დახმარებისა, მას პორტასაგან ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობის გარანტიები უნდა მიეღო. დადიანმა სულტნის უზენაესობა აღიარა, პორტამ ოდიშის სამთავრო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და დადიანს ჯიქებთან საბრძოლველად რამდენიმე სამხედრო ხომალდი გადასცა (**ტარდი, 1980: 76-77; მამისთვალნიშვილი, 1981b: 150; ხორავა, 1996: 67-68**).

მიუხედავად პორტას მხრიდან დახმარებისა, ლევან I დადიანი მალე აუმხედრდა ოსმალეთს და 1571 წელს მისი სასაზღვრო რაიონები, ბათუმის სანჯაყი, არხავის, გონიოს და ათინეს თემები დაარბია. იმავე ხანებში, საფიქრებელია, დადიანის ხელშეწყობით და წაქეზებით, აფხაზთა ხომალდები გონიოსა და მის შემოგარენს თავს დაესხნენ. აფხაზებმა აიკლეს იქაურობა და დიდძალი ნადავლი და ტყვეები ჩაიგდეს ხელში (**წურწუმია, 2012: 38**). ოსმალეთის ხელისუფლებამ მის სამფლობელოებზე თავდასხმების აღკვეთის მიზნით საგანგებო ზომებს მიმართა. ოსმალეთის საზღვრისპირა პროვინციების მესვეურებს ქართველებთან ვაჭრობა აკრძალათ. ამასთანავე მათ „ქართველ მეკობრეთა სანაპიროებზე“ დესანტის გადასხმისა და მათი თავშესაფრების განადგურების თაობაზე ბრძანება მიიღეს. 1571 წელს ოდიშსა და აფხაზეთში სამხედრო ფლოტით დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულებისთვის საზღვაო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. სურსათთან და საყოფაცხოვრებო საქონელთან ერთად ოსმალეთიდან და ყირიმის სახანოდან დასავლეთ საქართველოში იარაღიც შემოდოდა. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე ზემოქმედების მიზნით, პორტა საზღვაო ბლოკადას ხშირად აწესებდა. 1573 წელს აიკრძალა აფხაზეთსა და ოდიშში სავაჭრო გემების გაგზავნა. მიუხედავად მკაცრი სანქციებისა, ოსმალეების კონტრაბანდული ვაჭრობა მაინც გრძელდებოდა (**წურწუმია, 2012: 39-41**).

ლევან I დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის ტახტზე მისი უფროსი ვაჟი გიორგი ავიდა. მალე, *გიორგი III დადიანის* (1572-1582) წინააღმდეგ გურიის მთავარმა გაილაშქრა, ზუგდიდთან ბრძოლაში დაამარცხა იგი და მთავრად მისი ძმა მამია დასვა. გიორგი დადიანმა აფხაზეთს შეაფარა თავი. იგი აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა (ყაბარდოელთა) ლაშქრის დახმარებით ტახტის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ დამარცხდა და ისევ აფხაზეთს შეაფარა თავი. 1578 წელს იმერეთის მეფის შუამავლობით გიორგი III დადიანმა ოდიშის ტახტი დაიბრუნა, ამასთანავე, თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, იმერეთის მეფის ცოლისდა, ყაბარდოელი მთავრის ასული შეირთო, რომელიც ქუთაისის სასახლეში იზრდებოდა (**ვახუშტი, 1973: 817; ხორავა, 1996: 69**).

1578 წელს სპარსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ოსმალეთის მიზანს შეადგენდა ამასიის ზავით სპარსეთისთვის მიკუთვნებული მიწების – სამხრეთ კავკასიისა და მათ შორის საქართველოს დაპყრობა, ჩრდილოეთ კავკასიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. იმავე წლის 9 აგვისტოს ოსმალთა ჯარის სარდალმა *მუს-*

ტაფა ლალა ფაშაძე ჩილდირის ტბასთან სასტიკად დაამარცხა სპარსეთის არმია და სამცხე-საათაბაგო დაიპყრო. მესხეთიდან თურქები ქართლში გადავიდნენ, 24 აგვისტოს თბილისი აიღეს და საბეგლარბეგო დააარსეს. თურქებმა აგრესია საქართველოს შავიზღვისპირეთზეც მიმართეს. 1578 წ. ზაფხულში ცხუმის სანაპიროსთან გამოჩნდა ოსმალეთის ფლოტი, რომელსაც ბათუმის სანჯაყბეგი ჰაიდარ ფაშა მეთაურობდა. თურქებმა ცხუმი დაიკავეს და საბეგლარბეგო შექმნეს, რომელსაც სათავეში ჰაიდარ ფაშა¹ ჩაუყენეს (სვანიძე, 1971: 95-113, 124; წურწუშია, 2012: 39; ჩიქობავა, 2007-2008: 120-121). იმავე წელს მათ ადაღინეს ცხუმის ძველი ციხე (Дюбуга де Монперэ, 1937: 132). ამ დროიდან თურქები ცხუმს სოხუმის სახელით მოიხსენიებდნენ.

1580 წ. გაზაფხულზე აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად მუსტაფა ლალა ფაშას ნაცვლად სინან ფაშა დაინიშნა. მის წინაშე იგივე ამოცანა იდგა – დაემორჩილებინა საქართველო და სამხრეთ კავკასიის დაპყრობილ ქვეყნებში ციხესიმაგრეები აეგო და გაემაგრებინა (სვანიძე, 1971: 140). ამ ამბების თანამედროვე ფრანგი მწერლის ჟან-ჟაკ ბუასარის ცნობით, სინან ფაშა „1580 წლის 25 აპრილს თავისი ლაშქრით კონსტანტინეპოლიდან ანატოლიაში გადავიდა. მან მიადგინა საქართველოს საზღვრებს“, სადაც „ქართველი იბერიელების დამოუკიდებლობის ასალაგმავად ბათუმსა და სოხუმში თავისი ბეგლარბეგები და დევთერდარები დააყენა“ (ტაბაღუა, 1984: 113, ხაზგასმა ჩვენია – ბ.ბ.). ამასთან, პორტამ ჰაიდარ ფაშა სოხუმიდან გამოიწვია და ახალი ბეგლარბეგი დანიშნა (წურწუშია, 2012: 39; ჩიქობავა, 2007-2008: 123).

თურქულმა ადმინისტრაციამ სოხუმში დიდხანს ვერ იარსება. 1580 წ. შემოდგომისთვის თურქებმა სოხუმი დატოვეს და საბეგლარბეგომაც არსებობა შეწყვიტა (წურწუშია, 2012: 40). საფიქრებელია, რომ ამის შემდეგ გადავიდა სოხუმი აფხაზების ხელში. XVI ს. მიწურულს აფხაზეთზე კვლავ ვრცელდებოდა ოდიშის სამთავროს პოლიტიკური გავლენა. დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში, აფხაზი ფეოდალები მათ სიუზერენს – ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს (Анчабадзе З., 1959: 261). თუმცა უფრო ხშირად, ისინი თარეშით იყვნენ გატაცებულნი. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა სათარეშო ნავეები გურიამდეც აღწევდნენ. ასე მაგალითად, 1591 წელს „მოუხდნენ აფხაზნი გურიას ნავებითა. ამათ უკუეთა გურიელის ძე მამია, სძლო და მოსწყვიდნა სრულიად“ (ვახუშტი, 1973: 823).

¹ სოხუმის ბეგლარბეგად ჰაიდარ ფაშას დანიშვნაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. თურქი ისტორიკოსის მ. სადიკ ბელგეს ცნობით, თუმცა ჰაიდარ ფაშა ჩერქეზად იხსენიება, სინამდვილეში ის აფხაზური წარმოშობის იყო (წურწუშია, 2012: 39). მიუხედავად იმისა, რომ ბეგლარბეგის ხელისუფლება მხოლოდ სოხუმზე ვრცელდებოდა, მას საკმაო გავლენაც უნდა ჰქონოდა რეგიონში, სახელდობრ, აფხაზ-ჯიქთა შორის, როგორც ამ მხარის შვილს და მრისხანე იმპერიის წარმომადგენელს. ოსმალეთს უთუოდ სურდა ძლიერი ოდიშის სამთავროს დასუსტება და მხარს უჭერდა მის მოწინააღმდეგე ძალებს.

§2. აფხაზეთი XVII საუკუნეში

XVII ს. დამდეგს, სპარსეთ-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომის დროს, ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგინეს. ოდიშისა და გურიის დამორჩილების მიზნით, ოსმალეთმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადას მიმართა. შეწყდა აუცილებელი საქონლის, მათ შორის მარილისა და რკინის შემოტანა, რამაც მოსახლეობა მძიმე დღეში ჩააგდო (**ანთელავა ილ.**, 1990: 49). ოდიშისა და გურიის მთავრებმა პორტასთან მოლაპარაკებები გამართეს, რაც იმით დამთავრდა, რომ 1614 წ. დეკემბერში *მამია II გურიელმა* (1600-1625) *ბათომში* ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას და ხარკის გადახდა იკისრა. 1615 წ. თებერვალში *ლევან II დადიანმა* (1611-1657) *მერკულას* სასახლეში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას და ხარკის გადახდას დათანხმდა (**ტაბაღუა, 1986: 46**). ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულები, აფხაზეთიც ოსმალეთს „ხარაჯას“, სულადობრივ გადასახადს უხდიდა (**Анчабадзе З., 1959: 263**).

XVII ს. 10-იან წლებში შარვაშიძეებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროს გართულებული მდგომარეობით, გათავისუფლდნენ დადიანთა სახლის სიუზერენიტეტისაგან და დამოუკიდებელი მთავრის სტატუსი შეიძინეს, რომლის ცენტრი *ზუფუ (ლიხნი)* გახდა (**Антелава, 1951: 28; Анчабадзе З., 1959: 261-262**). აფხაზეთის სამთავრო არ წარმოადგენდა მკაცრად ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ერთეულს. ის დანაწევრებული იყო ცალკეულ სამფლობელოებად რამდენიმე მთავრით, თუმცა მათ შორის ერთი მაინც უფროსი იყო. დომინიკანელი მისიონერის *ჯოვანი და ლუკას* ცნობით, რომელმაც 1630 წელს იმოგზაურა აფხაზეთში, აფხაზებს ჰყავთ ორი მთავარი – *კარაბეი* და *ჰუტო*. ამ უკანასკნელის რეზიდენცია სოხუმშია, ხოლო კარაბეი ჰუტოს სამთავროს მოსაზღვრე ტერიტორიას განაგებს – საფიქრებელია, ბზიფის აფხაზეთს (**ტაბაღუა, 1987: 156-58, 169; Анчабадзе З., 1959: 239**). მოგვიანებით, აფხაზებს უკვე სამი მთავარი ჰყავთ. XVII ს. 40-იან წლებში ოდიშის სამთავროში მოღვაწეობდა თეატინელი მისიონერი *დონ კრისტოფორო კასტელი*, რომლის ერთ-ერთ დაუხატავ ქაღალდზე ასეთი მინაწერია: „*სამი ძმის სურათი. ეს არის აფხაზეთის (Abaz) მთავრის სამი ძმის სურათი. უფროსს ჰქვია დონ ბასლაკუსი, მეორეს სალამონი, მესამეს და უკანასკნელს სეტემანი*“ (**კასტელი, 1976: 194**). მეორე, ასევე დაუხატავ ქაღალდზე ასეთი მინაწერია: „*აფხაზეთის სამი მთავარი. ეს სამი რაინდი აფხაზეთის მთავრებია, რომელთაც მოგვცეს გამოუყენებელი ორი უმძვენიერესი ეკლესია. აფხაზეთის ქვეყნის მცხოვრებლები იმ ზომამდე უკმეხები არიან, რომ მათ ვერ უვლის მთავარი, ხოლო მეორე უნარიანი ბატონი ბესლაკო მარაშია ხანით უფროსი და უფრო დიდი თანამდებობისაა მათ ქვეყანაში, ამიტომ მას მმართველობაც შეუძლია*“ (**კასტელი, 1976: 192**). როგორც ჩანს, ამ სამ ძმათაგან, რომლებიც აფხაზთა სამთავროს განაგებდნენ, *ბესლაკო მარაშიძეს* (კასტელის გვარი მარვაშიძე მეგრული ფორმით – *მარაშია*, აქვს მოხსენიებული) უფროსობა ჰქონდა. მისი ძმები იყვნენ *სეტემანი* და *სოლომონი*. ისინი სულაც არ იყვნენ ერთიანი აფხა-

ზეთის სამთავროს მმართველები, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს განაგებდნენ. ამიტომაც უწოდებენ მათ „აფხაზთა მთავარს“ და არა „აფხაზეთის მთავარს“ (**ლომინაძე, 1966: 192-193; ანთელავა ილ., 1976: 110**).

აფხაზეთთან კავშირის განმტკიცების მიზნით 1615 წელს ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა აფხაზთა მთავრის სეტემან შარვაშიძის ასული დარუჯანი შეირთო (**ანთელავა ილ., 1976: 116**). ლამბერტის დახასიათებით, „ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებითა, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა, თავის სათნოებით მან მიიზიდა ყველა თავის ქვეშევრდომის გული“ (**ლამბერტი, 1938: 15-16**). ამ ქორწინებით ოდიშის მთავარი აფხაზეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. ამის გარეშე მას ხელი არ მიუწვდებოდა „აფხაზ-ჯიქთა“ ლაშქარზე, რომლის ძალასაც ოდიშის მთავრები XVI საუკუნის II ნახევარში ხშირად იყენებდნენ (**ანთელავა ილ., 1976: 110**). XVII ს. 20-იანი წლებიდან ოდიშის მთავარმა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლა დაიწყო. 1622 წელს ის იმერეთში შეიჭრა და მეფე დაამარცხა. ამ დროიდან ლევან II დადიანი ისე გაძლიერდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის უძლიერესი იყო (**ანთელავა ილ., 1976: 112-119**).

იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ, იმავე 1622 წელს, ლევან II დადიანი გაეყარა შარვაშიძის ასულს, რომელსაც ცოლქმრულ ღალატში დასდო ბრალი და სასტიკად დასაჯა, ა. ლამბერტის ცნობით – „ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა“ (**ლამბერტი, 1938: 16**). სეტემან შარვაშიძე ამ შეურაცხმყოფელ ფაქტს არ შეურიგდებოდა, ამიტომ ოდიშის მთავარმა დასწრება გადაწყვიტა, ლაშქარი შეკრიბა და აფხაზეთში შეიჭრა. დადიანის თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო აფხაზთათვის, რომ მათ წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ შეძლეს და მთებში გაიხიზნენ. ლევან II დადიანმა მოარბია ქვეყანა, ყოფილი ცოლი იქ დატოვა და ოდიშში დაბრუნდა. აფხაზეთში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ოდიშის მთავარმა თავის ბიძას, გიორგი ლიპარტიანს წაჰგვარა ცოლი, ნესტან-დარუჯან ჭილაძე, და მასზე იქორწინა (**ლამბერტი 1938: 16-19**). მკვლევართა აზრით, იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ ლევან II დადიანი აფხაზებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა, ამიტომ იყო რომ დედოფალი ასე ადვილად გასწირა (**Анчабадзе З., 1959: 263; ანთელავა ილ., 1990: 60**).

მალე ლევან II დადიანის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომელშიც გურიის მთავარი სიმონ გურიელი (1625-1626), იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) და სეტემან შარვაშიძე მონაწილეობდნენ. შეთქმულების მიზანი ლევან II დადიანის მოკვლა და მისი ძმის იოსების მთავრად დასმა იყო (**ლამბერტი, 1938: 19**). ლევან II დადიანის მოკვლა დაავალეს ასეთ საქმეებში გამოცდილ ვინმე აფხაზს, რომელმაც მიზნის ასრულება მთავრის ვახშმობის დროს განიზრახა, მაგრამ დადიანი გადარჩა (**ლამბერტი, 1938: 19-20**), რის შემდეგ ის შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა. „იმ დროს, – წერს ა. ლამბერტი, – როდესაც დადიანი გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, აფხაზები სულ თავს

ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“ (ლამბერტი, 1938: 22).

ლევან II დადიანმა შეკრიბა ლაშქარი და აფხაზეთში გაილაშქრა. „დადიანმან ლევან, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი, – განიწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი, ვიდრე დაპყრობამდე“ (ვახუშტი, 1973: 828). ლამბერტის ცნობით, ოდიშის მთავარმა მოარბია აფხაზეთი, მრავალი ტყვე და ნადავლი იშოვა და აფხაზებს მწევარ-ძაღლებისა და სანადირო ფრინველების სახით ხარკი დაადო (ლამბერტი, 1938: 22). ამ ამბების შესახებ კასტელიც მოგვითხრობს: აფხაზები ცხოვრობენ „მკაცრ და მიუვალ მთებში. ამის გამო დადიანს არ შეეძლო ცეცხლითა და მახვილით შესეოდა მთავორიან მხარეს და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში, მისი მცირე რაზმები აფხაზებს თავს ესხმოდნენ და ზიანს აყენებდნენ. რადგან ამ მთის ხალხმა ბევრი ნაკლოვანება ვეღარ დაითმინა, გადაწყვიტა მძიმე უღლის ქვეშ ყოფნა“ (კასტელი, 1976: 51). როგორც კასტელის ცნობიდან ირკვევა, ოდიშის სამთავროს მცირე რაზმები რამდენიმე წლის განმავლობაში თავს ესხმოდნენ აფხაზებს და საბოლოოდ მათ მორჩილებას მიაღწიეს. შემდეგ დადიანი, ლამბერტის ცნობით, ყოველ წელს მიდიოდა აფხაზეთის საზღვრებისკენ მათგან ხარკის – მონადირე ძაღლებისა და შვეარდნების მისაღებად (ლამბერტი, 2020: 267). ლევან II დადიანის მიერ აფხაზეთა სამთავროზე გარკვეული გავლენის მოპოვებას ქართული წყაროებიც აღნიშნავენ. „და იყო დადიანი მდიდარ ფრიად და ემორჩილებოდენ სრულად აფხაზნი და მარვაშიძენი ყმობდენ და ულაშქრებდენ დადიანსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 421, ხაზგასმა ჩვენია – ბ.ს.).

ლევან II დადიანი აფხაზებზე გამარჯვების აღსანიშნავად ილორის წმ. გიორგის ხატზე გაკეთებულ წარწერაში გვაუწყებს: „ჩუენ ცვა-ფარვითა მენტა მონღობილმან და მოსავმან მენმან ხელმწიფემან, დადიანმან, ჰატრონმან ლევან, ძემან ხელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა ოდეს მიუხედით მარვაშიძესა ზუფუს, მურუს წყალსა აქათ ავაოხრეთ, კიდევ მეორედ მიუხედით ზუფუს კაპოეტის წყალს აქათ სრულებით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარმანიები¹ და გაგვემარჯუა და დავხოცეთ, ზოგი ხელთ დაგურჩა და გამარჯვებულნი მოვედით“ (გრიგოლია, 1942: 157). წარწერაში მოთხრობილი ლევან II დადიანის ორი ლაშქრობიდან არც ერთი არ უნდა იყოს მისი პირველი გალაშქრება აფხაზეთში. აქ ლაპარაკია დადიანის საპასუხო ღონისძიებაზე იმ არაერთი მცდელობისათვის, რასაც მარვაშიძე ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ მიმართავდა (გრიგოლია, 1942: 157).² აფხაზები ლევან II დადიანის მიერ მათი დამარცხების შემდეგაც აგრძელებდნენ თავდასხმებს ოდიშის სამთავროზე. ლევან II დადიანი ნათლად ხედავდა იმ საფრთხეს,

¹ მარმანიები წარმოშობით მარუშიანები, კოდორის ზემო წელის მკვიდრი სვანები იყვნენ, მაგრამ შემდეგ გააფხაზდნენ, აფხაზ ფეოდალებად იქცნენ (გასვიანი, 1991: 210).

² წარწერაში მოხსენიებული ზუფუ მეგრული ტრადიციით მთელ აფხაზეთს აღნიშნავდა (Стражев, 1925: 143; Анчабадзе 3., 1959: 266).

რომელიც აფხაზთაგან ემუქრებოდა ოდიშის სამთავროს, ამიტომ იყო რომ ასეთი დაჟინებითა და სისასტიკით ებრძოდა მათ.¹ აფხაზეთის საზღვარი დასავლეთით კვლავინდებურად მდ. ბზიფზე გადიოდა, სადაც მას ჯიქეთი ესაზღვრებოდა (**ჩიქობავა, 2006**: 160). უცხოელ ავტორთა (*ლაძბერტი, კასტელი, შარდენი*) ცნობების საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხანს დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, თითქოს აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი XVII ს. I ნახევარში მდ. კოდორზე გადიოდა, სადაც ოდიშის სამთავრო ესაზღვრებოდა (**Анчабадзе, 3., 1959**: 261-262; **ჯამბურია, 1973**: 297).

აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1637 წ. მაისში, ოდიშის მთავრის დასჯის მიზნით, თურქთა სამხედრო-საზღვაო დესანტი კოდორის კონცხის მიდამოებში გადმოსხდა და კოდორის მარჯვენა ნაპირზე დრანდის ტაძარი და მისი შემოგარენი დაარბია (**Берадзе, 1989**: 61). ამავე ხანებში, 1639 წ. ნოემბერში, ოდიშის სამთავროში რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის (1613-1645) ელჩობა ჩამოვიდა. რუსმა ელჩებმა ფედოტ ელჩინმა და ჰავლე ზახარიევმა მოიარეს მთელი ოდიშის სამთავრო მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის სოფლებიდან მდ. რიონამდე და შავი ზღვიდან მდ. ცხენისწყლამდე, შეხვდნენ ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს და 1640 წ. მაისში სამშობლოში გაემგზავრნენ. ელჩებმა შეადგინეს ოდიშის სამთავროს მუხლობრივი აღწერილობა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კოდორის დასავლეთი მხარე ოდიშია როგორც პოლიტიკური ისე ეთნიკური თვალსაზრისით (**გამახარია, 2014**). ამდენად, XVII ს. 30-40-იან წლებში აფხაზეთის საზღვარი ოდიშის სამთავროსთან მდ. კოდორზე არ გადიოდა. უცხოელი ავტორები საუბრობენ ძველი კოლხეთის საზღვრებზე და მექანიკურად გადმოაქვთ ანტიკური წყაროების ცნობები მათ თანადროულ ეპოქაში.

1630 წელს აფხაზეთში იმოგზაურა იტალიელმა მისიონერმა ჯოვანი და ლუკა გემი, რომელზეც ის იმყოფებოდა, 21 მაისს სოხუმში ჩავიდა. „ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, – წერს მისიონერი, – სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ჰყოფს“ (**ტაბაღუა, 1987**: 157). „სკისორნუმ“ არის თურქული „ესკისუმენ“, თურქული „ძველი სუხუმი“ (*ესკი სუხუმ*), ხოლო მდ. აბსი – ბასლა, იგივე ბესლეთი. შუა საუკუნეების ქალაქი ცხუმი მდებარეობდა ბესლეთის (ცხომის წყალი) მარცხენა ნაპირზე, მდინარეებს ბესლეთსა და კელასურს შორის, სოხუმი კი მდებარეობდა ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, მისი შესართავიდან თურქულ ციხესიმაგრემდე (**ხორავა, 1996**: 95; **ჩიქობავა, 2006**: 156-157). ამ დროს ცხუმი უკვე გაუკაცრიელებული იყო და წინანდელი მნიშვნელობაც დაკარგული ჰქონდა. ჯოვანი და ლუკას ცნობით, სოხუმში იყო აფხაზთა ერთ-ერთი მთავრის რეზიდენცია. 1649 წ. ოქტომბერში, ოდიშიდან ყირიმში მიმავალი გემი, რომელზეც სამშობლოში მი-

¹ ამ მხრივ მეტად მრავლისმეტყველია ქართველი პოეტის ფემანგი ხითარიშვილის (XVII ს.) შეფასება: „აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმელად; ზაფხულ სუფუს მივიდოდის, იგი იყუის ხანდაზმულად; ჯიქისა და აღანისა დაუდგრომლად სისხლთა მღურელად, ორგულისა მავნებელი, ერთგულთათვის კარგის მქნელად“ (**ფემანგი, 1935**: 84).

მავალი თეატინელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი იმყოფებოდა, შევიდა „აბასხების პორტში“, რომელსაც „სოხუმი ჰქვია“ (ლამბერტი, 2020: 348).

როგორც ჩანს, ლევან II დადიანმა დიდხანს ვერ შეძლო მდ. ცხომის წყალზე (ბესლეთი) საზღვრის შენარჩუნება და XVII ს. 40-იან წლებში მან მდ. კელასურზე გადმოინაცვლა. ოდიშის მთავარი შეეცადა აქ გაემაგრებინა საზღვარი აფხაზეთთან (ხორავა, 1996: 94; ჩიქობავა, 2006: 157-158). თავისი მთავრობის ბოლო წლებში ლევან II დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო აფხაზეთის მიმართ. მისმა ლაშქრობებმა აფხაზეთში მიზანს ვერ მიაღწია და ვერ მოსპო ის საშიშროება, რაც სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ადგა. მეტიც, აფხაზეთმა ოდიშზე თავდასხმები გააძლიერეს. ის ძალა, რომელსაც ოდიშის მთავრები ხშირად იყენებდნენ ადრე (XVI – XVII ს. დამდეგს), „აფხაზ-ჯიქთა ლაშქარი“, ამჯერად მთლიანად შარვაშიძეების სამსახურში ჩამდგარიყო.

აფხაზ-ჯიქთა თარეშისაგან სამთავროს დასაცავად ლევან II დადიანმა აფხაზეთის საზღვარზე დაიწყო საფორტიფიკაციო ნაგებობების გამაგრება და აგება. ა. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს მტრების შემოსევებისაგან ჩრდილო-დასავლეთიდან იცავდა მთები, მაგრამ „ზღვის მხრით ზოგან არც ტყე არის და არც ქაობი და იქიდან მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცვლად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“ (ლამბერტი, 1938: 166). შარდენის ცნობითაც, სამეგრელო „აფხაზეთისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით“ (შარდენი, 1975: 107). ქათიბ ჩელების „ჯიჰან ნუმას“ ჩანართში, რომლის ავტორია აბუ ბაქრი (გარდ. 1691 წ.) ნათქვამია: „აბხაზი ძირითადი ტომის სახელია ... რომელსაც ჩვენ დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ ... მათი თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან მდ. კოდორს აღწევს ... ამ ადგილს სოხუმს უწოდებენ“ (ქათიბ ჩელები, 1978: 132-133). ქათიბ ჩელების „ჯიჰან ნუმას“ დართულ რუკაზე აბაზასა და სამეგრელოს შორის საზღვარი მდ. კელასურზე გადის. აქვეა ჩახატული სიმაგრეთა სისტემა (ქათიბ ჩელები, 1978: 56).

ლევან II დადიანის მიერ სიმაგრეთა სისტემის აგების ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათვის“ (ვახუშტი, 1973: 782). ეს ზღუდე სწორედ კელასურის კედელია (დაწვრილებით იხ. ბერაძე თ., 1971). ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი უარყოფს კელასურის კედლის XVII საუკუნეში აგების ფაქტს, და აქედან გამომდინარე, მის დანიშნულებასაც, რომ ის აფხაზეთისაგან თავდაცვის მიზნით იყო აგებული და მას „აფხაზეთის დიდ კედელს უწოდებს“ (Гунба, 1977; Гунба, 1989: 201-213). თუმცა ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებენ. ა. ლამბერტის რუკაზე, იმ ადგილას, სადაც აღნიშნულია თავდაცვითი

სიმაგრეთა სისტემა, წარწერაა: „კელლი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“. ანალოგიური წარწერაა კასტელის „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) იმ ადგილას, სადაც კელლია ჩახატული: „აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კელლი“ (ბერაძე თ., 2013: 53-54).

აფხაზეთის საზღვარი ოდიშთან მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე გადიოდა, შემდეგ კი კოდორის ქედს მისდევდა. ამ საზღვარზე ააგო ოდიშის მთავარმა სიმაგრეთა სისტემა, რომელიც კელასურის კედლის სახელითაა ცნობილი. იგი იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. კელელი მიუყვებოდა კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთდა მდინარეებს მაჭარასა და კოდორს (კოდორის ხეობის ზემო წელი უკვე აფხაზთა ხელში იყო). აქედან ის კოდორის ქედს მიუყვებოდა, გადაკვეთდა მდ. მოქვს და მდ. დალიძგამდე (ტყვარჩელამდე) აღწევდა. მდ. დალიძგის აღმოსავლეთით, მდინარეების – ოქუმისა და მდ. ერისწყლის ხეობებში აშენდა, თუ შეკეთდა ციხეები, რომლებიც მთიდან მომავალ გზებს კეტავდნენ. საგულისხმოა, რომ კელასურის კედელს ატყვია ნაჩქარევად აგების კვალი, ზოგჯერ კომპები უსაძირკვლოდ, პირდაპირ ბალახზე ან ნახევრადგადამწვარ ბუჩქნარზე დადგმული. კელასურის კედლის ერთი ნაწილი აგებულია სწორედ იქ, სადაც ადრეფეოდალურ ხანაში იდგა „ზღუდე კლისურისა“ და იცავდა იმ გზას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გაგრისა და ანაკოფიის გავლით შავი ზღვის სანაპიროს მოუყვებოდა (ბერაძე თ., 1967: 273; ბერაძე თ., 1971: 67-73; ხორავა, 1996: 91-97; Воронов Ю., 1973: 98-115; Воронов Ю., 1978: 98-103). მთავრის ბრძანებით, ოდიშის თავადები და ეპისკოპოსები ვალდებული იყვნენ თავიანთი რაზმებით თითო თვეს ედარაჯათ აფხაზეთის საზღვარზე (ლამბერტი, 1938: 166). გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დროებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება (ბერაძე, ხორავა 2007: 7-8; ბერაძე თ., 2013: 7-14).

30-40-იან წლებში ოსმალეთი აფხაზეთს თავის ვასალურ ქვეყნად თვლიდა, მაგრამ აქ თურქთა გარნიზონი არ იდგა. ამდენად, ოსმალთა პოლიტიკურ ბატონობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. 1641 წელს შავიზღვისპირეთში იმოგზაურა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ. იგი აფხაზებს აბაზების სახელით მოიხსენიებს და ამ ტერმინში აფხაზებსა და აბაზებს გულისხმობს. მისი ცნობით, ზღვისპირა აფხაზეთი დამორჩილებული იყო, მაგრამ მთიან მხარეებში ოსმალეთის გავლენა ვერ აღწევდა. ფართოდ იყო გავრცელებული ტყვის სყიდვა: „აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ“ (ევლია ჩელები, 1971: 102). იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე“ (ევლია ჩელები, 1971: 96). მას თვითონაც შეუძინია აფხაზეთში ორი ტყვე ბიჭი, ყირიმში ჩასულს კი უკვე ნაყიდი და ოსმალთა დიდებულებისაგან ნაჩუქარი თვრამეტი მონა ქართველი ჰყოლია (ევლია ჩელები, 1971: 122).

1657 წელს ლევან II დადიანის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660) მხარდაჭერით მთავრის ბიძაშვილმა

ვამეყ ლიპარტიანმა ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. მის გამთავრებას ოდიშში მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. ოდიშის მრავალი თავადი სამთავრო ტახტის უზურპაციის წინააღმდეგი იყო. აქეთ, აფხაზეთიც აშლილა მის წინააღმდეგ. აფხაზებსაც არ სურდათ ლიპარტიანის ცნობა მთავრად (**ბორომეო, 1964**: 25-26). ახალი ვითარებით უკმაყოფილო ძალებს ლევან II დადიანის ძმისწული ლიპარტი ჩაუდგა სათავეში. ვამეყ დადიანს მხარს უჭერდა იმერეთის მეფე ალექსანდრე, ხოლო ლიპარტის – ახალციხის ფაშა და ქაიხოსრო გურიელი. ვამეყ III დადიანისა და ლიპარტის მომხრეები 1658 წლის ივნისში ბანძასთან შეებნენ ერთმანეთს. ლიპარტი დამარცხდა და სტამბოლში გადაიხვეწა (**გორგიჯანიძე, 1925**: 268; **ქართლის ცხოვრება, 1959**: 432; **ვახუშტი, 1973**: 833-834; **ხორავა, 1996**: 99-100). ბანძის ბრძოლის შესახებ ცნობა დაცულია „ბიჭვინტის სახარების“ მინაწერში, სადაც ნათქვამია: „ქ. პატიოსანო დიდო ბიჭვინტის მღთის მშობელო თქვენ შევაედრეთ და შეწევნითა თქვენითა მეფესა და დადიანს წინ გავიმარჯვეთ გურიელსა და ლიპარი დადიანზედა და ამისთვინ მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება“. იქვე მიწერილია: „ესე პატიოსანი დიდი სახარება მოვაჭედინეთ ჩუენ შარვაშიძემ სოლომონ და ძემან ჩუენმა აზრაყან თქვენდა სადიდებლად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და აზრაყანისა აღსაზრდელად და მას საუკუნოსა ჩუენისა სულის სახსრად და საოხად“ (**ხელნაწერთა აღწერილობა, 1949**: 74).

როგორც ჩანს, ვამეყ III დადიანს (1657-1661) ძალაუფლება აფხაზეთზეც გაუზრცელებია და აფხაზებს მის მხარეზე მიუღიათ მონაწილეობა ბანძის ბრძოლაში. საგულისხმოა, რომ ვამეყის ძმას გიორგი ლიპარტიანს ცოლად ჰყავდა აფხაზთა მთავრის ასული (**კასტელი, 1976**: 80). საფიქრებელია, რომ შარვაშიძის ასული ლიპარტიანმა პოლიტიკური მოტივით შეირთო და ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოდიშის მთავრის აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარებაში. საინტერესოა, რომ შარვაშიძეს ბანძის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად ბიჭვინტის სახარება მოუჭედინებია. სახარების მინაწერში სოლომონ შარვაშიძე ხაზს უსვამს იმერეთის მეფისა და დადიანის უზენაესობას. მას ეამაყება, რომ მეფისა და დადიანის წინ თავი გამოიჩინა.

სოლომონ შარვაშიძე ბესლაკო და სეტემან შარვაშიძეების ძმაა. ის და მისი ძე *არზაყანი* იხსენიებიან აგრეთვე ლიხნის ტაძრის ვერცხლის ფეშხუმის მხედრულ წარწერაში, სადაც ნათქვამია: „ქ. ეჰა, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთ უწმინდესო, ადამიანთა მხსნელო, ლიხნისა და ღვთის მშობელო. შემოგწირეთ ფეშხუმი ესე ვერცხლისა ჩვენ შარვაშიძემან სოლომონ ამ სოფელს სადღეგრძელოდ, გასამარჯვებლად და ცოდვილის სულის ჩემის სახსრად და საოხად, ძისა ჩემისა არზაყანისა აღსაზრდელად. ამინ“ (**სახოკია, 1903**).

ბანძის ბრძოლის შემდეგ ვამეყ III დადიანი ქაიხოსრო გურიელის დასაჯის მიზნით გურიაში შეიჭრა. მის ლაშქარში ამჯერადაც იყვნენ აფხაზები – აფხაზთა მთავარი შარვაშიძე და თავადი ანჩაბაძეები (**ბაქრაძე, 1889**: 163). ამდენად, ბანძის ბრძოლისა და გურიაში ლაშქრობის ფაქტებიდან ჩანს, რომ ოდიშის მთავარს კვ-

ლავ მიუწვდებოდა ხელი აფხაზთა ლაშქარზე. შარვაშიძის ვასალური დამოკიდებულება დადიანისადმი ლაშქრობით სამსახურსაც ითვალისწინებდა.

XVII ს. 60-იანი წლებიდან მთელი დასავლეთ საქართველო სამინელო ანარქიამ მოიცვა. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინაომში ქართლის მეფე ვახტანგ V (1658-1675) ჩაერია. ქართლის მეფე იმერეთში გადავიდა და სატახტო ქალაქი ქუთაისი დაიკავა, შემდეგ ოდიშში გაილაშქრა. ასეთ ვითარებაში ვამეყ დადიანი სვანეთში გაიქცა. ოდიშის დედოფალი ელენე გურიელი შეეცადა დახმარება მიეღო აფხაზთა მთავრის სოლომონ შარვაშიძისაგან, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა, მეფეს როგორ შევებრძოლოო (**ფეშანგი, 1935: 73-74**). მართალია, ვახტანგ V ქართლის მეფე იყო, მაგრამ აფხაზთა მთავარი მას, ასევე იმერეთის მეფესაც, საქართველოს მეფედ მიიჩნევდა, მათ უზენაესობას აღიარებდა და თავის სამთავროს საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდა.

შაჰნავაზმა ოდიშის ციხეები დაიკავა და გამარჯვებული შევიდა სამთავროს პოლიტიკურ ცენტრში ზუგდიდში. ქართლის მეფემ ოდიშის მთავრად დასვა ლევან II დადიანის ძმისწული შამადავლე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. ზუგდიდში მეფეს ეახლა „*შარვაშიძე ძღუნითა დიდითა და აფხაზითა*“ და მორჩილება გამოუცხადა მას (**ვახუშტი, 1973: 836; Аччабадзе 3., 1959: 267**). მეფემ აფხაზეთი კვლავ ოდიშის მთავარს დაუმორჩილა (**ფეშანგი, 1935: 83**). ფეშანგის ცნობით, „*აფხაზნი სრულად მოვიდნენ*“. საფიქრებელია, რომ შაჰნავაზს ზუგდიდში არა მარტო სოლომონ შარვაშიძე ეახლა, არამედ სხვა „*აფხაზი ბატონებიც*“. 1664-1666 წლებში ოდიშში ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან (1647-1672) ერთად იმყოფებოდა მისი ვაჟი, მთავარდაიკვანი *ჰავლე ალეპოელი*. მისი ცნობა აფხაზეთის შესახებ ბევრ რამეს ნათელს ჰფენს: „*აფხაზანა ორი სახელმწიფოა; ერთი მათგანის მცხოვრებნი, დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავნი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნოები არიან. მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზგები, ზიხები, ჩერქეზები. ისინი სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს“ (**ასათიანი, 1973: 75**). შაჰნავაზმა აფხაზეთი დადიანის „*სამკვიდრო*“ ქვეყნად ჩათვალა და აფხაზებს ოდიშის მთავრის მორჩილება უბრძანა. თუმცა, რეალურად, ოდიშის მთავრის გავლენა აფხაზეთის მხოლოდ ერთ ნაწილზე – სოლომონ შარვაშიძის სამთავროზე, რომელიც უშუალოდ ოდიშის სამთავროს ესაზღვრებოდა – გავრცელდა.*

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომში ოსმალები ჩაერივნენ. 1672 წ. სექტემბერში ახალციხის ფაშა იმერეთში შეიჭრა და ქუთაისი დაიკავა. ფაშამ თავისთან დაიბარა ოდიშის მთავარი. დადიანმა აფხაზთა მთავარს მიმართა დახმარებისათვის. აფხაზები მართლაც შევიდნენ ოდიშში, მაგრამ დახმარების ნაცვლად გზადაგზა არბევდნენ და წვავდნენ ყველაფერს, ხალხს და პირუტყვს იტაცებდნენ. მოსახლეობა გარბოდა და თავშესაფარს ეძებდა. 20 სექ-

ტემბერს, საღამოს, აფხაზებმა დაარბიეს და გადაწვეს ოდიშის საზღვაო პუნქტი და ბაზარი *სკურჩა* (ისგაური, ტყაურუ) კოდორის შესართავში. აფხაზებმა ძარცვარბევით თითქმის ანაკლიამდე მიაღწიეს და ნადავლით დატვირთულნი ოქტომბრის დასაწყისში უკან გაბრუნდნენ, თან 1200 კაცი წაუყვანიათ ტყვედ და უამრავი პირუტყვი გაუტაცნიათ (**შარდენი, 1975**: 206-209, 215-216; **ხორავა, 1996**: 108).

გამუდმებულმა ფეოდალურმა შინაომებმა ოდიშის თავდაცვისუნარიანობა შეარყია. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, ასე საგანგებოდ გამაგრებული ლევან II დადიანის მიერ, თანდათან მოიშალა, რადგან მას უკვე არავინ იცავდა. შარდენის სამეგრელოში ყოფნის დროს (1672 წ.) ოფიციალურად საზღვარი ჯერ კიდევ მდ. კელასურზე გადიოდა, მაგრამ კელასურის კედელი, სანაპირო ზოლში მაინც, განადგურებული იყო დაუცველობისა და უყურადღებობის გამო, ხოლო კოდორის შესართავი და მიმდებარე ტერიტორია აფხაზთა თავდასხმების გამო, სრულიად გაუკაცრიელებული (**შარდენი, 1975**: 107; **ხორავა, 1996**: 109-110). მოიშალა ის ვასალური დამოკიდებულებაც, რომელიც ლევან II დადიანისა და ვამეყ III დადიანის დროს, აგრეთვე ლევან III დადიანის მთავრობის დასაწყისში, აფხაზებს ოდიშთან აკავშირებდა. XVII ს. 70-იან წლებში, როდესაც შარვაშიძეები სიუზერენისადმი ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდნენ, აფხაზთა სამთავროს ჩამოყალიბება დასრულდა (**ოკუჯავა, 2002**: 24; **ოკუჯავა, 2007**: 159).

ოდიშის სამთავროს შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავებით ისარგებლეს აფხაზებმა და XVII ს. 60-იან წლებში ოდიშზე თავდასხმები განაახლეს. „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, – აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი (**ვახუშტი, 1973**: 842). ამრიგად, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშზე აფხაზთა შემოტევის ახალი ტალღა დაიწყო. აფხაზები თავისუფლად თარეშობდნენ არამარტო ოდიშის საზღვრისპირა მხარეში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებამდეც აღწევდნენ. XVII ს. II ნახევრის (60-იანი წლები) მოღვაწე ქალი ანიკა ქორთოძე (ქორთუა) ცაიშის სახარების მინაწერში აღნიშნავდა: „*მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა ... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით*“. აფხაზებს ტაძარი გაუტეხნიათ და აუხრებიათ. ანიკა ქორთოძეს ხატები და ცაიშის სახარება (XVII ს.) მოუტაცნია და გადაურჩენია; იმავე ხანებში აფხაზებს წალენჯიხის მონასტერიც აუკლიათ (**თაყაიშვილი, 1913-1914**: 188, 222).

იტალიელი მისიონერი ძამპი, რომელიც ამ პერიოდში ცხოვრობდა ოდიშში, 1674 წლის ახლო ხანებში გაგზავნილი წერილით რომს ატყობინებდა აქ შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ. ძამპი წერდა: „*სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია, თვით ხომალდები, რომლებიც სავაჭროდ მოდიოდნენ კავროს (ტყაურუ, სკურჩა) და მორბილაში (მერკულა) ახლა შიშის გამო ანარგიაში (ანაკლია) მიდიან, ეგრეთვე ხმელეთზედ ვიდრე ფუწყურამდე აფხაზებისა ეშინიათ, რადგან იქაურობას ხშირად იკლებენ,*

რის გამო არკამაში ჩვენი ხალხი ღამით ტყეშია გახიზნული და დღისით დარაჯები ჰყავთ დაყენებული“ (**თამარაშვილი, 1902:** 204-205, 655). იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) გულისტკივილით წერდა: „...დადიანი ისეთი უძღური იყო, რომ აბაზებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (სოხუმიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე), ამასთან „დადიანი ისეთი უმწუო იყო, რომ ძალა არ შესწევდა გაერეკა აფხაზები“ (**Досифей, 1847:** 46). აფხაზები არა მარტო მეზობელ ოდიშს იკლებდნენ, არამედ გურიამდეც აღწევდნენ. გიორგი III გურიელმა (1664-1684) „მოსრნა მეკობრედ მისრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის“ (**ვახუშტი, 1973:** 840).

XVII ს. 60-70-იან წლების აფხაზთა გამანადგურებელ თავდასხმებს ოდიშის სამთავროზე აფხაზთა მთავარი საუსტან მარვაშიძე ხელმძღვანელობდა (**Антелава 1951:** 38). ეს ის საუსტან (ბაგრატი) მარვაშიძეა, რომელიც „ბიჭვინტის სახარების“ მინაწერში იხსენიება: „... შენ ცათა საწორო ბიჭუტისა მღთისმშობელო, ჩუენ მარვაშიძემან საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი – ერთი გოგო ჩუენდა სადღერძელოდ და გასამარჯვებლად და სავარების აღსაზრდელათ... შენ, დიდათ შვენიერო და ცათა აღმატებულო, შენ ბიჭვინტის მღთის მშობელო, ჩუენ შენმან მონღობილმან და მოსავმან მარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შემოსაწირავი გაიჩინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღერძელოდ და გასამარჯვებლად და ძისა ჩუენისა სავარების აღსაზრდელად და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სულის საცხოვნებლად და საოხად, ოდეს მოვიდეთ სუფევითა შენითა“. იქვე მიწერილია: „... ცათა უმაღლისა და ქერაბინთ უქესთესა ყულწმინდავ ბიჭვინტისავო მღთის მშობელო, შემოგწირეთ მცირე შესაწირავი ჩვენ ბაგრატიმან მარვაშიძემან საუსტანმან ჩვენდა სადღერძელოდ და გასამარჯვებლად ჩვენი შვილის სავარების ერთ დიდ გვამსწრეთ“ (**ხელნაწერთა აღწერილობა, 1949:** 74).

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ღალიძგამდე. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბების შესახებ აღნიშნავდა: „...გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწრეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდინან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდინან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (**ვახუშტი, 1973:** 845). როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, აფხაზთა შემოსევები აშკარად განსხვავდებოდა იმ შინაფეოდალური ომებისაგან, რომელშიც ჩაბმული იყვნენ იმერეთის სამეფო, გურიისა და ოდიშის სამთავროები და, რომლის მთავარი მიზანიც იყო ბრძოლა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის. ამისგან განსხვავებით, აფხაზები მიწებს იკავებდნენ და ზედ „დაეშენებოდენ“, ე. ი. სახლდებოდნენ. აფხაზების ბრძოლა მიმართული იყო ტერიტორიის მისატაცებლად. საგულისხმოა, რომ წარმართი აფხაზების (აფსუების) მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები.

იმავედროულად, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში გადაჰქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. ქიაჩის მონასტრიდან წმ. გიორგის ხატი სოფ. ობუჯში, ხოლო მთავარანგელოზის ხატი, სოფ. ჭოღაში გადმოუსვენებიათ; *მოქვის სახარება* (1300 წ.) მარტვილში გადმოუტანიათ; მოქვის ორი ღვთისმშობლის ხატიდან ერთი, მოგვიანებით ზუგდიდის ეკლესიაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე – ხობის მონასტერში; ვლადიკავკასიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დადიანების მთავარ სალოცავად ითვლებოდა, ბედიის ტაძრიდან მარტვილში გადმოასვენეს, და სხვა (**ხორავა, 1996**: 112-113).

1681 წ. ზაფხულში ოდიშის მთავარი ლევან III დადიანი გარდაიცვალა. ოდიშში დარჩა მთავრის გარეშე და რეალურად არც არსებობდა სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ამ დროს ოდიშის წარჩინებულთა წრეში მომწიფებულა აზრი ახალი მთავრის არჩევის შესახებ. ოდიშის ფაქტობრივი მმართველი კაცია ჩიქვანი იყო, რომელიც გამთავრებაზე ოცნებობდა და მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა (**ვახუშტი, 1973**: 845; **ხორავა, 1996**: 113-114). ოდიშში შექმნილი რთული ვითარებით ისარგებლა აფხაზთა მთავრის საუსტან შარვაშიძის ვაჟმა სორეხმა (სავარეხმა) და ოდიშის სამთავრო ტახტზე პრეტენზია განაცხადა. 1681 წ. შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში, სორეხ შარვაშიძემ ოდიშში გაილაშქრა და თავი მთავრად გამოაცხადა, თუმცა ოდიშის მთელ ტერიტორიას ვერ აკონტროლებდა (**თამარაშვილი, 1902**: 208). როგორც ჩანს, სორეხს რაღაც ლეგიტიმური უფლებაც ჰქონდა ოდიშის ტახტზე. სავარაუდოა, რომ ის დედის ხაზით დადიანთა საგვარეულოს ენათესავებოდა (**ხორავა, 1996**: 114).

ოდიშის წარჩინებულთა ერთი ნაწილი არ ცნობდა სორეხ შარვაშიძის პრეტენზიებს სამთავრო ტახტზე. ასეთ რთულ ვითარებაში, იმავე 1681 წელს კაცია ჩიქვანი გარდაიცვალა და ლიპარტიანობა და ოდიშის თავობა მის ვაჟს გიორგის დარჩა. გიორგი ლიპარტიანი გამთავრებაზე ოცნებობდა და მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა (**ვახუშტი, 1973**: 845). ამ დროს ოდიშში შექმნილი ვითარების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „*გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნად ლაშქრად და აოხრებდნად ჟუყანა ავაზაკობით და ცხადად*“ (**ვახუშტი, 1973**: 850). როგორც ჩანს, სავარეხ შარვაშიძე ოდიშის მთელ ტერიტორიაზე გაბატონებას ლამობდა. ოდიშში გამთავრებაზე ფიქრობდა გიორგი III გურიელიც.

გიორგი ლიპარტიანმა, ბოლო რომ მოეღო ოდიშის ტახტზე შარვაშიძისა და გურიელის პრეტენზიებისათვის, ახალციხის ფაშას შუამდგომლობით სულტნისაგან გამოითხოვა ნებართვა ლევან III დადიანის უკანონო შვილის ლევანის გამთავრებლად. 1683 წელს ოდიშის ტახტზე ლევან IV დადიანი (1682-1695) ავიდა, მაგრამ სამთავროს, ფაქტობრივად, გიორგი ლიპარტიანი განაგებდა (**ვახუშტი, 1973**: 850). საბოლოოდ, ოდიშის მთელ ტერიტორიაზე, გარდა მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისა, სადაც *სორეხ შარვაშიძე* გაბატონდა, ნომინალურად

მაინც, ლევან IV დადიანის ხელისუფლება გავრცელდა (**ხორავა, 1996: 115**). დასავლეთ საქართველოში შინაომს ბოლო არ უჩანდა. ასეთ ვითარებაში იმერეთის ყოფილი მეფე არჩილი კვლავ ქუთაისის ტახტის დაუფლებას შეეცადა. 1689 წელს ის ოდიშში ჩავიდა, იქიდან კი აფხაზეთში გადავიდა, სადაც დიდებულად მიიღო აფხაზთა მთავარმა: „მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა ჰატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზუფუს ქამრაოდენმე“ (**ვახუშტი, 1973: 851**). აფხაზთა მთავარი, რომელმაც არჩილი ისტუმრა, *ზეგნაყ შარვაშიძე* უნდა იყოს. ეს მიღება აშკარად ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზე მეტი იყო და მას უდავოდ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რაზეც დიად მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილი – „ისტუმრა ჰატივით, ვითარცა მეფე“, (**ხორავა, 1996: 115**).

სავარეხ შარვაშიძის მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცების მიუხედავად, ეს მხარე აფხაზეთს არ შეერთებია, ის ოდიშად იწოდებოდა და მისი ხელისუფალი ოდიშის მთავრად. სავარეხ შარვაშიძე არ ემორჩილებოდა აფხაზთა მთავარს და კიდევაც უურჩებოდა მას. ამის გამო, 1685 წ. აპრილში, აფხაზეთი მის სამფლობელოს შემოესივნენ და აიკლეს (**თამარაშვილი, 1902: 209-210**). სორეხ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ ეს მხარე აფხაზეთის სამთავროს შეუერთდა, მაგრამ როდესაც გარდაიცვალა მთავარი *ზეგნაყ შარვაშიძე*, მისმა შვილებმა დაინაწილეს მდინარეებს ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული მიწაწყალი. უფროსმა მათ შორის *როსტომმა*, მიიღო მდინარეებს ბზიფსა და კოდორს შორის მდებარე მიწები და აფხაზეთის მთავრის ტიტული; საშუალო ძმამ, *ჯიქეშიამ* – მდინარეებს კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე მიწები, რომელსაც შემდეგ *აბჟუა* (აფხ. შუა ნაწილი) ეწოდა; უმცროსმა, *ყვაჟუმ* – მდინარეებს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორია (**ჭიჭინაძე, 1897: 393-394**).

ამდენად, XVII ს. მიწურულს ოდიშის საზღვარმა მდ. ენგურზე გადმოინაცვლა. ეს მხარე იმდენად იყო მოოხრებული და გაუკაცრიელებული, რომ *ყვაჟუ შარვაშიძემ* უფროსი ძმის სამფლობელოდან, ბზიფის აფხაზეთიდან, თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარი – *ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვანბაია, ლაკირბაია* და *აქირთავა*, – გადმოასახლა. ამ მხარეში მცხოვრები შარვაშიძეები სწორედ ყვაჟუ შარვაშიძის შთამომავლები არიან (**ჭიჭინაძე, 1897: 393-394**). ენგურსა და ღალიძგას შორის ტერიტორიაზე გადმოსახლებულ თავად-აზნაურებს, რა თქმა უნდა, თავისი ხალხიც მოყვებოდა – გარკვეული რაოდენობა გლეხებისა, თუმცა აქ არ მომხდარა რადიკალური ეთნო-დემოგრაფიული ცვლილება და მხარის ძირითადი მოსახლეობა მაინც ქართული იყო.

ყვაჟუ შარვაშიძე და მისი შვილი ავთანდილი აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს (1696-1742) საფიცრის წიგნით (1696-1704) აძლევენ „*ქამთა ვითარებით ამოწყვეტილი ქვეყნის*“ საკათალიკოზო „*კაცებს*“ ნაჟანურიდან „*სასამსახუროდ*“. ეს „*კაცები*“, სულ ათი მოსახლე მოჯალაბიანად, მათ „*მოურჩენიათ*“, ე. ი. გადაურჩენიათ ტყვედ გაყიდვასა და სიკვდილისაგან. „...*ესე საფიცრის წიგნი მოგეცით ჩუენ შარვაშიძემ ყვაჟუმ და ჩუენმა შვილმან ავთანდილ თუენ კათალიკოზს*

ბატონს გრიგოლს ასე და ამა პირსა ზედა რომე ჟამთა ვითარებითა ქუეყანა ამოწყდა და საკათალიკოზო ნაქანური და ხოირული კაცები ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ. ახლა დაგელაპარაკეთ ბატონისშვილი ჩუენი დისწულის შუამავლობით და რომელიც ნაქანურიდამ ხოილური კაცები ჩუენ გვყავს თავს ხატისთვის და მერმე თქუენტვის სასამსახუროდ მოგვირთმევია, თავს ერთი მოსახლე კაცი ბაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე კაცი ხუცესი ღრუბელაია, მესამე მოსახლე კაცი კაკა ელიშია; მეოთხე მოსახლე ზუმალი კოლია; მეხუთე მოსახლე ჯიმადიში უჩადე, მეექუსე მოსახლე მამაკოჩი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ობოლი ციცორია, მოჯალაბე ბაძღალი მარკოზია და მის გარეთ ერთი მოსახლე სახოირო მიამია ბიგვაა. ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც სხვა კათალიკოზს მსახურებდა, აგრე გემსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არცა ჩუენგან ამ კაცებს არცა აყრიოთ და არცა გაყიდვით არა უშავდეთ რა...“ (კაკაბაძე, 1921: 88).

იმავედროულად, ამ ტერიტორიაზე გრძელდებოდა ტყვის სყიდვა და მოსახლეობის „აყრა აფხაზისგან“. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1706 წ.) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „ნაქანეს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოზის ხელშიდ აფხაზისგან აყრილიყო, ყვაპ მარვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოსიც ბევრს ედავა და ჩუენც, მაგრამ არც მას და არც ჩუენ ჰასუხი მოგუცა, რომ მარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიდეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი ადარ იყო და ის წამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერთა: ღრუბელაია ამხსნელი და მისი სახლის კაცი ელიშია ხუტალა და მისი ძმები; კიდე ელიშია ხუხა და მისი ძმები ზუმალა, კოლია და მისი შვილები; კიდე ჯგუბურია, სუბუქია და ბიგვაა; კიდე ერთი მოსახლე კაცი ჯღერიას ნაყმევი ჰაპა ხუცობავა და მისი ძმა მარვაშიძისგან სადუო კაცი იყო ჩუენი და იმაშიდ წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანია ყვაპსუელი კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ. კიდე ელიმახუ ნანაისშვილი ეგურს გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ ხიბულას დავასახლეთ“ (შეწირულობის სიგელი, 1970: 647-648).

როგორც ჩანს, ნაქანულში, მას შემდეგ, რაც ის აფხაზებმა დაიკავეს, 1706 წელს მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ვინც აფხაზთაგან აყრას გადაურჩა, ყვაპუ მარვაშიძეს დაუყიდა ჯერ კიდე კათალიკოს დავით ნემსაძის (1673-1696) დროს და კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს უკვე ენგურის გაღმიდან უსაფრთხოდ ადგილას, ენგურის მარცხენა ნაპირზე გადმოჰყავს გლეხები. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1712 წ.) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „...ნაქანეს სოფელი აფხაზს აყარა, სამოცი მოსახლე კაცი, ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ მარვაშიძისადთვის მიებარებინა...“ (შეწირულობის წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა, 1970a: 670).

ამდენად, აფხაზთაგან დარბული ქართველი გლეხები კათალიკოსმა მარვაშიძეს მიაბარა. კათალიკოსს ენგურის გაღმიდან გლეხების „ფასით ამოყვანა“, გამოსყიდვა უხდებოდა. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნ-

ში (1706-1712) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „ბიბია ბოლქუაძე აფხაზს ცოლიან-შვილიანად წაყვანა, ნემსაძე კათალიკოსს სორეხისაგან დაეხსნა, ნოჯიხევს დაესახლე-ბინა“ (**შეწირულობის წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა, 1970b: 677**). აფხაზთაგან მოსახლეობის „აყრა“ ისეთ ფართო მასშტაბებს იღებს, რომ ერთი სოფლიდან, ნაჟანულიდან, მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ასეთივე ვითარება იყო ენგურის გაღმა სხვა სოფლებშიც. ყვაპუ შარვაშიძე იძულებული გამხდარა კათალიკოს დავით ნემსაძისათვის ფიცის წიგნი (1681-1696) მიეცა, რომ ამინერიდან გლეხებს აღარ გაყიდდა: „ესე ... მტკიცე, უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყუაპუ და ჩემმან ძმამან ქერქიმ თქვენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოსსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ ნაჟანურელი და ხოირული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის მუეცოდებლად და თქვენდა უკითხვად აღარც გავყიდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ“ (**თაყაიშვილი, 1920: 36; ხორავა 1996: 119**).

თუმცა არც ამ ფიცის წიგნმა უშველა და ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გრძელდებოდა მოსახლეობის „აყრა, ოხრება და ტყვედ გაყიდვა“. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის წყალობის წიგნში შუმანიებისადმი, ნათქვამია: „... ჩუენ კურთხეულმან აფხაზეთისა კათალიკოსმან პატრონმან გრიგოლ ესე წყალობისა წიგნი გიბოძე შენ შუმანიას ხუცეს გაბრიელს და შენს ძმას მამისთვალს ... ასე და ამა პირსა ზედა რომე შენი სახლიკაცი ძველად ეგურს გაღმა ესახლა და კარგი მოსახლე აზნაურისშვილნი ყოფილიყვნენ თქვენი ძველნი, მერმეთ ჟამთა ვითარებისაგან ქვემოთ ქვეყანა აფხაზისგან წამხდარიყო...“ (**ჩიტაია გოგიტა, 2017: 167-168**). მდინარეებს კელასურსა და ენგურს შორის მდებარე მიწა-წყლის მოსახლეობის ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს აქედან გადაიხვეწა. ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზებმა ტყვედ მიჰყიდეს თურქებს (**კაკაბაძე, 1922: 102**). დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. მათ თავიდან ეთნიკურად აითვისეს მდინარეებს კელასურსა და ლალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, შემდეგ უკვე დაიწყო ლალიძგის მარცხენა ნაპირის ეთნიკური ათვისება, თუმცა ეს პროცესი რამდენადმე გაჭიანურდა (**Анчабадзе З., 1959: 297**). ფეოდალთა წრეში გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს, თუმცა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამ მხარეში მაინც ქართული (მეგრული) რჩებოდა.

გიორგი IV დადიანმა (1701-1709, 1710-1714) შეწუხებულმა იმით, რომ აფხაზები „აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა“, 1702 წელს სთხოვა იმერეთის ფაქტობრივ მმართველს გიორგი აბაშიძეს შეწევნა „აფხაზთა ზედა“ (**ვახუშტი, 1973: 862-863**). აბაშიძემ და დადიანმა აფხაზეთში გაილაშქრეს. აფხაზთა მთავარი იძულებული გახდა დაეთმო მიტაცებული მიწების ერთი ნაწილი და მდ. ენგურსა და მდ. ლალიძგას შორის ტერიტორიაზე ოდიშის მთავრის იურისდიქცია აღდგა, თუმცა მის გამგებლად აფხაზთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმო-

მადგენლები დარჩნენ (**ხორავა, 1996: 121-122**). 1704 წელს *ყვაპუ შარვაშიძე* რუხში გარდაიცვალა. აფხაზეთის კათალიკოსი *გრიგოლ ლორთქიფანიძე* გელათიდან ჩამოვიდა და „ნიშანი“ (ერთდროული გადასახადი, რომელიც მართებდა მიცვალებულის ქირისუფალს: გარდაცვლილის პირადი ნივთ-იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული ეკლესიისათვის და სხვ.) აიღო. ეს ფაქტი არის მკაფიო დადასტურება იმისა, რომ მიუხედავად ქრისტიანობისაგან „მიდრეკისა“, შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები კვლავინდებურად ითვლებოდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსის სამწყსოდ.

ყვაპუ შარვაშიძის შემდეგ ოდიშის სამთავროს ამ ნაწილს მისი ვაჟი მურზაყანი განაგებდა. ზეპირი ხალხური გადმოცემით მას თავის სამფლობელოში ტყვეთა სყიდვა აუკრძალავს, ქურდ-ავაზაკნი სასტიკად დაუსჯია, შედარებით მშვიდობიანობა დაუმყარებია, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოგვიანებით ოდიშის ამ მხარეს სამურზაყანო ეწოდა (**ჭიჭინაძე, 1897: 394; ზუხბაია, ზანთარაია, 1988: 72-73**).

§3. აფხაზეთის სამთავრო XVIII საუკუნეში

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველო ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში რჩებოდა. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს ოსმალეთი თავის ვასალ ქვეყნებად თვლიდა და მათ საშინაო საქმეებში აქტიურად ერეოდა. იმერეთის მეფეს, ოდიშის, გურიის, აფხაზეთა მთავრებს ტახტზე სულტანი ამტკიცებდა. ამ პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალნი ქრისტიანები იყვნენ და თურქებს მათი გამაჰმადიანება არც უცდიათ, მათი ოსმალეთზე დამოკიდებულება სულტნისათვის ყოველწლიურად მისართმეველის – „ქრთამის“ გაგზავნაში გამოიხატებოდა. რაც შეეხება სასულიერო ხელისუფლებას, ის ოსმალეთზე არ იყო დამოკიდებული და მაჰმადიანობის მოძალეობას ენერგიულად ებრძოდა (**ისტორიული დოკუმენტები, 1958: 45; ჩხატარაიშვილი, 1972: 43-44; ჩხატარაიშვილი 1973a: 455**). დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ, რომ ოსმალთა დამოკიდებულებიდან გათავისუფლებულიყვნენ, მაგრამ XVII ს. II ნახევარში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურმა შინაომებმა პირიქით, აქ ოსმალთა ბატონობის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

1702 წელს იმერეთის, გურიის, ოდიშის მესვეურებმა ახალციხის ფაშას ყოველწლიური მისართმეველის მიცემა შეუწყვიტეს, რითაც ოსმალეთის მორჩილებაზე უარი თქვეს. ოსმალთა მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თურქ ვაჭრებს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ. ქართველებს ოსმალეებისთვის რამდენიმე ციხეც წაურთმევიათ (**ვახუშტი, 1973: 863; მეჰმედ რაშიდი, 1976: 25, 581**). „ბრწყინვალე პორტამ“ დასავლეთ საქართველოში გადამჭრელ ზომებს მიმართა. 1703 წ. ზაფხულში ოსმალეები დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ. მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ მომხდურთა სიმრავ-

ლემ და ფეოდალურმა განკერძოებულობამ მტრის წარმატებას შეუწყო ხელი. თურქებმა გურიის ციხეები დაიკავეს, რის შემდეგაც გურიელი იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა მათთვის. შემდეგ ისინი ოდიშში შეიჭრნენ და ქვეყანა ააოხრეს, რუხის ციხეში მეციხოვნეები ჩააყენეს და ზღვისპირას ახალი დასაყრდენის შექმნის მიზნით ანაკლიის ციხე ააგეს. იმავდროულად, თურქებს ხომალდები გაუგზავნიათ აფხაზების წინააღმდეგ, რომლებმაც „შექმნეს ზოგიერთი არევ-დარევა სანაპიროებზე“ (**ვახუშტი, 1973:** 863-864; **ჩხატარაიშვილი, 1972:** 58-61; **ჩხატარაიშვილი 1973a:** 457-458; **ტაბაღუა, 1972:** 63). დასავლეთ საქართველო სრული დაპყრობის საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ ოსმალეთში ამტყდარმა შიდაპოლიტიკურმა არეულობამ სულტანი აჰმედ III (1703-1730) იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოდან ლაშქარი გაეწვია და აქ (ბათუმში, ფოთში, რუხსა და ანაკლიაში) მეციხოვნეების დატოვებით შემოფარგლულიყო.

1704 წ. ზაფხულში ოდიშის მთავარმა თურქთა მიერ დაკავებულ ციხეებზე მიიტანა იერიში. მას აფხაზებიც ეხმარებოდნენ. ქუთაისის ყადის ელჰაჯ ომერის 1704 წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ დადიანი მორჩილებიდან გამოვიდა, ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე აფხაზები შეუერთდნენ და თურქთა ხელში მყოფი რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს. თუმცა, რუხისა და ანაკლიის ციხეები მალე ოსმალებმა დაიბრუნეს (**შენგელია, 1982:** 21, 23-27). თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდებოდა. ოდიშის ლაშქარი აფხაზებთან ერთად თურქთა წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. ისინი თავს ესხმოდნენ ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს და აწიოკებდნენ. 1714 წელს დიდი სიძნელეები შექმნია რუხისა და ანაკლიის მეციხოვნეებს „აფხაზ და მეგრულ ურწმუნო ყაჩაღთა“ თავდასხმების გამო. ოსმალეები იძულებული გახდნენ რუხის ციხე დაეცალათ, თუმცა 1719 წ. მიწურულს თურქებმა ციხე კვლავ დაიკავეს და 65 მეციხოვნე ჩააყენეს (**შენგელია, 1982:** 90-92, 97).

XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართულებით რუსეთის იმპერია გააქტიურდა. რუსეთის მიერ შირვანის დერბენტის დაკავებამ და, საერთოდ, წინსვლამ კასპიისპირეთში, ურთიერთობამ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან, ოსმალეთის მმართველი წრეების შემფოთება გამოიწვია. 1723 წელს ოსმალეთმა სასწრაფოდ გადმოისროლა დამატებითი ძალები კავკასიაში და რუსეთი აიძულა შეეწყვიტა წინსვლა კასპიისპირეთში. იმავე წლის ივნისში თურქებმა თბილისი აიღეს. პორტამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც დამატებითი ძალები გადმოისროლა, თავიდან ააშენეს ფოთისა და სოხუმის ციხეები, დაარღვიეს რუხის ციხე, ხოლო ანაკლია კიღევ უფრო გაამაგრეს; ხელახლა გაამაგრეს ბათუმის ციხეც, ოსმალე მეციხოვნეები ჩადგნენ ციხისძირში, ანაკოფიასა და ბიჭვინთაში (**ქათიბ ჩელები, 1978:** 134-135, 253; **ვახუშტი 1973:** 883; **ბურჯანაძე 1959:** 192-197; **ჩხატარაიშვილი 1973a:** 461-462). ოსმალებმა საგანგებოდ გაამაგრეს საქართველოს შავიზღვისპირეთში მათ ხელში არსებული ციხეები: ფოთს 200 თურქი მეციხოვნე იცავდა, სოხუმის ციხეში 100 მეციხოვნე იდგა 10 ზამ-

ბურაკით (საციხო თოფებით); ანაკლიის ციხეში 10 მეციხოვნე იყო. ამდენივე იდგა ზამბურაკებით ანაკოფიაში. 1725 წელს ოსმალებმა ფოთში ორთულიანი ფაშა დასვეს და მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს (**ბურჯანაძე, 1959: 183; ჩხატარაიშვილი 1973a: 462**).

ამრიგად, ოსმალეთი დაეუფლა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებს და მათი მეშვეობით ავრცელებდა თავის გავლენას ქვეყანაში. მოსახლეობა თურქთა ძალადობას არ ურიგდებოდა. ოსმალთა მემკვიდრის ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობით, აფხაზები ზღვიდან და ხმელეთიდან ნიადაგ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, რომლებიც სოხუმში ციხეს აშენებდნენ. ამიტომ ისინი იძულებული გამხდნენ თავი მოეყარათ მთელი თავიანთი ძალებისათვის და აფხაზეთი დაემორჩილებინათ (**შენგელია, 1974: 116**). 1725 წ. გაზაფხულზე ოდიშის მთავარი ბეჟან დადიანი და იმერეთის მესვეურები ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს გამოსვლა ვერ განხორციელდა. იმავე წელს აფხაზებმაც სცადეს თურქთა განდევნა სოხუმის ციხიდან, მაგრამ უშედეგოდ (**ჩხატარაიშვილი 1973a: 467**).

რუსეთის დესპანი სტამბოლში ა. რუმიანცევი და რეზიდენტი ი. ნეპლიუევი ამ ამბების შესახებ იტყობინებოდნენ: „სამეგრელოს ცნობილი მთავრის ბეჟან დადიანის მიერ დაწყებული არეულობა იზრდება და თითქოს აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ახლადაგებული ერთ-ერთი ციხიდან თურქები განდევნეს“. 1726 წ. 22 ივნისს ა. რუმიანცევი ყარსიდან იტყობინებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთში ახალი არეულობის შესახებ; 1728 წ. აფხაზებმა ისევ შემოარტყეს ალყა სოხუმის ციხეს. თურქები ეჭვობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში ანტიოსმალური გამოსვლები რუსეთის მხარდაჭერით ხორციელდებოდა და მას ქართლის დევნილი მეფე ვახტანგ VI (1703-1724) ხელმძღვანელობდა (**Паичадзе, 1970: 63, 79**). 1728 წელს ახალციხელი ისაყ ფაშას შვილმა აფხაზები შემოირიგა, ხოლო ანტიოსმალური ბრძოლის მოთავე ბეჟან დადიანი ღალატით მოაკვლევინა (**ჩხატარაიშვილი, 1973a: 469**). მიუხედავად ამისა, ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ საქართველოში ამის შემდეგაც არ ჩამცხრალა. ქართველთა და აფხაზთა თავდადებული ბრძოლის შედეგად ოსმალებმა ვერ შეძლეს თავიანთი მიზნის – საქართველოს სრული დამორჩილების მიღწევა.

ოსმალური დოკუმენტური წყაროს მონაცემებით, სოხუმის ციხეში სასმელი წყალი არ იყო, რის გამოც მეციხოვნეები და მცხოვრებნი დიდად შეწუხებული ყოფილან. 1729-1730 წლებში მდ. სოხუმ-ხაკედან ციხეში წყალი გაუყვანიათ. როგორც ჩანს, წყალსადენი ცუდად იყო გაყვანილი, ამასთან დაუცველი არხი აფხაზთა თავდასხმების შედეგად მალე მწყობრიდან გამოსულა. ამის შემდეგ ციხის მცხოვრებნი კვლავ მწარე, მლაშე წყალს ხმარობდნენ. რადგან სოხუმის ციხის მცხოვრებთა და გარნიზონის მტკნარი წყალი სჭირდებოდა, მათი თხოვნით წყალგაყვანილობა აღადგინეს (**ჯიქია, 1984: 217-223**).

1730 წ. გაზაფხულზე ოსმალებმა ბათუმიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს საბოლოოდ დაპყრობა და ჯიქების დამორჩილება გადაწყვიტეს. ლაშქრობას, რო-

მელშიც იმერეთის მეფეც მონაწილეობდა, ფოთის ფაშა სარდლობდა. ოსმალებმა ოდიში მოარბიეს. მოსახლეობა, ვიდრე აფხაზეთამდე, მდ. დალიძგამდე, სრულიად დახიზნულიყო. „არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევნიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი, – შვიდნენ ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შუედვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრჰენისა და მოსჰნეს დახატულებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“ (ვახუშტი, 1973: 886-887). აფხაზთა მთავარმა წინააღმდეგობა გაუწია მათ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა. ოსმალებმა აფხაზთა მთავარი და მისი ახლობლები ძალით გაამაჰმადიანეს. ამის შემდეგ, ისინი ჯიქეთისაკენ დაიძრნენ. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა მისი ქვეყნისთვის, ამიტომ თავისი ლაშქრით გზიდან გამოიპარა. მალე აფხაზებიც აჯანყდნენ და ოსმალებმა ვედარ გააგრძელეს ლაშქრობა. აფხაზებმა მათი დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი ზღვით გაიქცა. ფაშამაც გაქვევით უშველა თავს (ვახუშტი, 1973: 887-888), თუმცა, მოგვიანებით, ოსმალებმა კვლავ აღადგინეს გავლენა აფხაზეთზე. ოსმალური დოკუმენტური წყაროებით, 1730-1731 წლებში სოხუმის ციხეში ოსმალთა 70-დან 100-მდე მეციხოვნე იდგა; 1731-1735 წწ. 70 ოსმალო მეციხოვნე იდგა ანაკოფიის ციხეში. სოხუმის ციხის უფროსი ამ დროს იყო ალი არსლან ბეგი (შენგელია, 1991: 311-314; Шенгелия, 1988: 274-286).

აფხაზები კარგად გრძნობდნენ იმ საფრთხეს, რასაც დასავლეთ საქართველოში თურქების გაბატონება უქადდა მათ, ამიტომ, ოდიშთან დაპირისპირების მიუხედავად, ისინი მეგრელებთან ერთად ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ. ამავე დროს, აფხაზები მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინაომში და, ამ ბრძოლაში ისინი ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს. ეს ალბათ ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ოდიშარ-აფხაზთა ერთობლივი ბრძოლისა და შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობის შედეგი იყო (ხორავა, 1996: 129).

მალე, ანაკოფიიდან და ბიჭვინთიდან თურქი მეციხოვნეები გაიყვანეს (Берадзе, 1989: 63). სამაგიეროდ, პორტამ სოხუმის ციხე გააძლიერა. 1737 წელს სოხუმში ორთუღიანი ფაშა იჯდა, რომელსაც ანაკლიის ციხეც ემორჩილებოდა (ბურჯანაძე, 1959: 123, 225-226). შინაომებისა და ოსმალთა შემოსევებისაგან დასავლეთ საქართველო საშინლად იყო აოხრებული. მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზეთში, სადაც შინაურმა არეულობამ მთელი სამთავრო მოიცვა. აფხაზთა მთავრები ვითარებას ვერ აკონტროლებდნენ. შავი ზღვის სანაპიროზე ტყვის მსყიდველები თარეშობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აფხაზები აქტიურობდნენ. ისინი ასევე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მეკობრეობას და ძარცვას ეწეოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზები „უჭლებიან ოსმალთა ნავთა და ლაზქანთა უფროსად ოდიშ-გურიასა“ (ვახუშტი, 1973: 785). ამასთან, აფხაზეთიც ხშირად განიცდიდა მეზობელი კავკასიელი მთიელების თავდასხმებს, ქვეყნის შიდა

რაიონებში ხშირად იჭრებოდნენ თავისუფალი აფხაზური თემების – *წებელის, დალის, ფსხუს, აჭიფსის*, – მკვიდრნი (**Торнау, 1864:** 45; **Инал-Ипа, 1958:**78,81). ერთი გადმოცემით, რომელიც *კონსტანტინე მაჭავარიანს* აქვს ჩაწერილი, აფხაზთა მეზობელმა მთიელებმა, წებელისა და დალის თემების მკვიდრთა მხარდაჭერით, ერთ-ერთი ასეთი მძარცველური თავდასხმისას მოარბიეს *დრანდა, მერხული, კვიტოული*, დიდძალი ნადავლი და ტყვე იგდეს ხელთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. აფხაზთა მთავარი *ჯიქეშია შარვაშიძე* მომხვდურებთან მოსალაპარაკებლად ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულა. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემდეგ უკან მობრუნებულ ჯიქეშიას ღამით ტყვეში მარბიელთა რაზმი დასხმია და მათთან შეტაკებაში დაღუპულა (**Мачавариани, 1913:** 246).

აფხაზთა სამთავრო ტახტზე ჯიქეშიას უფროსი ვაჟი მანუჩარი ავიდა. ამ პერიოდში, ოსმალებმა მოახერხეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება, რის შემდეგ, ისინი სულ უფრო აქტიურად ერეოდნენ სამთავროს საშინაო საქმეებში და სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ძალებს უჭერდნენ მხარს. XVIII ს. 30-იან წლებში ოსმალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს *მანუჩარ შარვაშიძე* და ორ უმცროს ძმასთან – *ზურაბთან* და *შირვანთან* ერთად ოსმალეთში გააგზავნეს, სადაც ძალით გაამაჰმადიანეს. აფხაზეთის გამგებლობა სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის *ასლან-ბეი გეჩის* ხელში გადავიდა. ამ დროიდან აფხაზეთში დიდი გავლენა მოიპოვა სამთავრო სახლის მეტოქე დაფშ-იფების საგვარეულომ, რომლის გაძლიერებასაც მხარს უჭერდა ასლან-ბეი გეჩი. დაფშ-იფებმა დაიკავეს სოხუმის მიდამოები, ტერიტორია მდინარეებს – ფსირცხასა და კოდორს შორის და მთავრის კუთვნილი მთელი რიგი ფეოდალური შემოსავლები მიითვისეს (**ხორავა, 1996:** 131).

შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს ოსმალებთან საერთო ენის გამოწახვა. შედეგად, 1744 წელს *მანუჩარ შარვაშიძე* ბათუმის ბეგად იქდა, *ზურაბი* სოხუმისა, ხოლო *შერვანი* ფაშას ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიხეს „ამოღმა“ (**ჩხატარაიშვილი 1973ა:** 469). ერთი ცნობით, *ზურაბი* დიდი პატივით მიიღეს აფხაზეთში, მაგრამ გაქრისტიანება მოსთხოვეს, ისიც მოინათლა ილორის ეკლესიაში და სამთავრო ტახტი დაიკავა (**Мачавариани 1913:** 247). როგორც ჩანს, აფხაზეთში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიცია, რომ აფხაზთა მთავარი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო.

ზურაბს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ამიტომ ოსმალეთიდან ჩამოიყვანა თავისი ძმისწული *ქელიშ-აჰმედ-ბეი* (ქელემ-ბეი) მანუჩარის ძე, რომელიც ახალგაზრდობიდან მძევლად იყო სტამბოლში და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ, *ზურაბმა* ბათუმიდან ჩამოიყვანა მეორე ძმისწული – *ბეჟირ-ბეი შერვანის ძე*, რომელსაც აბჟუა უბოძა. აფხაზთა მთავარმა დაფშ-იფების ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს მისამხრობად მათი ქალიშვილი შერთო ქელემ-ბეის, რასაც დაფშ-იფების ოპოზიციის რამდენადმე შესუსტება მოჰყვა (**ხორავა, 1996:** 131-132).

XVIII ს. შუა ხანებში აფხაზთა სამთავროს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას ოდიშის სამთავრო ესაზღვრებოდა; ჩრ-

დილო-დასავლეთით – მდ. ბზიფზე (კაპკეტის წყალი), სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა (**ვახუშტი, 1973:** 783; **ხორავა, 1996:** 132). მდინარეებს დალიდგასა და ენგურს შორის ტერიტორია – სამურზაყანო, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამ მხარის მმართველებად აფხაზთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. ამის გამო, სამურზაყანოს აღმნიშვნელად XVIII ს. II ნახევრის ქართულ წყაროებში ტერმინები „*ზემო აფხაზეთი*“ და „*სამურზაყანო აფხაზეთი*“ მკვიდრდება (**ხორავა 1996:** 132). XVIII ს. 60-იან წლებში აფხაზეთში თურქული გარნიზონი მხოლოდ სოხუმის ციხეში იდგა. *მაქსიმე ჟუთათელის* მიერ 1769 წელს შედგენილ იმერეთის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ სოხუმი არის ნავსადგური და ციხე, სადაც ოსმალთა გარნიზონი იდგა (**Цагарели, 1891:** 28). რუსი ოფიცერი, კაპიტანი *იაზიკოვი*, 1770 წლის მოხსენებით ბარათში, შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეთა შორის ასახელებს აყუს, ანუ სოხუმს, სადაც დგას ოსმალთა გარნიზონი და მცხოვრებნიც ყველანი თურქები არიან (**Цагарели, 1891:** 261).

1768 წ. რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1768-1774) დაიწყო. ომის თეატრმა სამხრეთ კავკასიაც მოიცვა. *ერეკლე II* და *სოლომონ I* რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ თურქთა განდევნას საქართველოდან. 1769 წელს საქართველოში რუსეთის საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა. მოკავშირეთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს შავიზღვისპირეთიდან თურქების განდევნა იყო. 1770 წ. ოქტომბერში რუსეთის კორპუსი ფოთისაკენ დაიძრა. რუსეთის კორპუსის სამეგრელოში შემოსვლისას, ოსმალებმა რუხისა და ანაკლიის ციხეები დაცალეს და ისინი ოდიშის მთავარმა დაიკავა (**Цагарели, 1891:**175, 261 380, 382). ამის შემდეგ, *ტოტლებენმა* დადიანთან ერთად ფოთს ალყა შემოარტყა. 1771 წ. თებერვალში სოლომონ I-მა ტოტლებენს აცნობა, რომ *ზურაბ* და *ქელემ-ბეი მარვაშიძეები* აპირებდნენ რუსეთის კორპუსს თავს დასხმოდნენ, რათა ის აეძულებინათ ფოთს გასცლოდა. მართლაც, აფხაზები თავს დაესხნენ რუსთა კორპუსს და ცხენები გაიტაცეს (**მაჭარაძე, 1997:** 42-45). 1771 წ. ზაფხულში რუსთა კორპუსმა ფოთს კვლავ შემოარტყა ალყა, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ. ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში ფოთთან იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი *ლევან მარვაშიძეც* თავისი რაზმით. იმავდროულად, აფხაზები აჯანყდნენ თურქების წინააღმდეგ. აფხაზთა მთავარმა *ზურაბ მარვაშიძემ* და სამურზაყანოს მფლობელმა *ლევან მარვაშიძემ* შეუპოვარი ბრძოლის შედეგად სოხუმის ციხე დაიკავეს და თურქები განდევნეს. მაგრამ, მალე, *ზურაბ* და *ლევან მარვაშიძეებს* შორის უთანხმოება ჩამოვარდა და, ამ უკანასკნელმა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ციხე თურქებს მიჰყიდა. ამ ამბების შემდეგ „ბრწყინვალე პორტა“ *ზურაბ მარვაშიძეს* აღარ ენდობოდა და ყოველმხრივ მხარს უჭერდა ქელემ-ბეის, თუმცა, ამჯერად, მაინც ვერ გაბედა *ზურაბისათვის* მთავრობა ჩამოერთვა (**ხორავა, 1996:** 161; **წურწუშია, 2012:** 58).

XVIII ს. 70-იან წლებში იმერეთის ციხეებიდან თურქები განდევნეს. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ. 10 ივლისი) დადების შემდეგ, ოსმალეთი კარგად ხელავდა, რომ იმერეთი ხელიდან ეცლებოდა, ამიტომ ოდიშის სამთავროში ცდილობდა პო-

ზიციების განმტკიცებას. ასეთ ვითარებაში, პორტამ ხელი შეუწყო აფხაზი „ბატონების“ ლაშქრობას ოდიშზე. ოსმალები შეუთანხმდნენ აფხაზებს („აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ“) აფხაზთა მთავარი ზურაბ შარვაშიძე, სამთავრო ტახტის მემკვიდრე, სოხუმის (აყუს ციხე) მფლობელი ქელემ-ბეი და აბუყას მფლობელი ბექირ-ბეი შეკავშირდნენ; ოდიშის მთავარს განუდგა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც და ისიც ხსენებულ შარვაშიძეებს შეუერთდა (**დადიანი, 1962**: 180; **ჩხატარაიშვილი, 1973b**: 665). „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისი ბატონებით, შარვაშიძეები, ჯიქი, ალანი, და ჩერქეზი, სხვანი კიდე უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი...ჯაბახანით, თიფხანით, ზარბაზნებით“ და ოდიშისაკენ დაიდრნენ (**ჩხატარაიშვილი, 1973b**: 665). ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს ცნობით, ოდიშის სამთავროზე ამ ლაშქრობას აფხაზთა მთავარი ზურაბ შარვაშიძე კი არ სარდლობდა, არამედ ქელემ-ბეი (**ხორავა, 1996**: 162). საფიქრებელია, რომ თურქები სწორედ ქელემ-ბეის შეუთანხმდნენ ლაშქრობაზე და ზურაბმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონმა სწორად შეიცნო მტრის ზრახვები, ლაშქარი შეკრიბა და თავად წარუძღვა მას (**ხორავა, 1996**: 162).

ბრძოლა გაიმართა 1780 წ. მარტში ზუგდიდის მახლობლად, რუხში, რის გამოც ის ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. რუხის ბრძოლამ, რომელიც მომხდურთა დამარცხებით დასრულდა, ბოლო მოუღო აფხაზების შემოტევას ოდიშის სამთავროზე. ეს ბრძოლა ქართველმა საზოგადოებრიობამ თავიდანვე აღიქვა, როგორც ბრძოლა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის. ქართველთა სიმამაცემ და მხნეობამ ოდიში „სჯულის ძმობით“ შეკავშირებულ აფხაზ-ჯიქ-ჩერქეზთა („ქრისტიანობის დამკვლელთა“) მიერ წალეკვისაგან იხსნა. მაშინათვე აშკარა იყო, რომ აფხაზ-ჯიქ-ჩერქეზთა ზურგს უკან ოსმალეთი და ყირიმის ხანი იდგნენ (**ხორავა, 1996**: 163).

§4. აფხაზთა სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVII-XVIII საუკუნეებში

აფხაზთა სამთავრო არ წარმოადგენდა მკაცრად ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ერთეულს. ის დაყოფილი იყო სამთავროებად და რამდენიმე მთავარი ჰყავდა, თუმცა, მათ შორის ერთი მაინც უფროსი იყო. აფხაზთა მთავარს (აჰ) ეკუთვნოდა უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება და სამთავროს მთელი მოსახლეობა მის ვასალად თვლიდა თავს. მთავრის ხელისუფლება შეზღუდული იყო. ცალკეულ სამფლობელოთა მფლობელები მასთან მხოლოდ ნომინალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ფაქტობრივად, მთავარი იყო „თანასწორთა შორის პირველი“ (**Дзидзария, 1988a**: 212). ეს გამოწვეული იყო პატრიარქალურ-გვაროვნული გადმონაშთების, პირველ რიგში, სასოფლო თემების (აფხ. – „აქითა“) არსებობით. „აქითა“ იყო რაღაც საშუალო თემსა და ფეოდალურ ერთეულს შორის. მთელი აფხაზეთი დაყოფილი იყო აქითებად, რომლებიც მთავრის ხელისუფლე-

ბასთან მიმართებაში, ფაქტობრივად, ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ (ისინი თავისი შინაარსითა და სოციალური სტრუქტურით ქართული სათავადოების ადექვატურია) და რომელთა სათავეშიც რომელიმე სათავადო სახელი იდგა (**Краевич, 1870: 3-5; Кудрявцев, 1922: 16; Дзидзария 1988a: 212**). აქითა შედგებოდა როგორც პრივილეგირებული წოდების – ათაუად (თავადი) და აამსთა (აზნაური), ისე თავისუფალ და დამოკიდებულ გლეხთა ყველა კატეგორიისაგან. აქითას სათავეში იდგა თავადი, რომელსაც *ახილაფშუ* (პატრონი, მფარველი, უფროსი, დამცველი) ერქვა. აქითას ყოველი წევრი ახილაფშუს მიმართ წარმოადგენდა ხიფშს, ანუ საპატრონოს, სამეურვეოს (**Краевич, 1870: 6-7; Кудрявцев, 1922: 16**).

გვიანი შუასაუკუნეების აფხაზეთი, მართალია, ფეოდალური ქვეყანაა, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობები აქ არ იყო ისეთ დონეზე განვითარებული, როგორც მეზობელ ოდიშში. ფეოდალიზმი აფხაზეთში აშკარად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა და, რაც მთავარია, ბატონყმობის მძიმე ფორმები მან საერთოდ არ იცოდა (**გრიგოლია, 1990: 129**). შუა საუკუნეების აფხაზეთის საზოგადოებრივი წყობა ქართული ფეოდალიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა, რაზეც აფხაზურ ენაში ქართული წარმომავლობის სოციალური ტერმინების არსებობაც მიუთითებს. თავადის აღმნიშვნელი აფხაზური ტერმინი „ათაუად“ ქართული სოციალური ტერმინიდან „თავადი“ მომდინარეობს. სათავადოთა სისტემა საქართველოში იმ დროს ჩამოყალიბდა, როდესაც აფხაზეთი ერთიანი ქართული ფეოდალური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ შევიდა ქართული ტერმინი აფხაზურ ენაში. თავადობის ბოძება მეფის პრეროგატივა იყო, ამიტომაც აფხაზი თავადები თავს საერთო-ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.

წინა პერიოდისათვის აფხაზეთში უეჭველად საგულისხმებელია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები და დაწინაურებული კულტურა, მაგრამ გვიან შუასაუკუნეებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც აფხაზების რელიგიურ და, ამდენად, სოციალურ ცხოვრებასაც ასახავენ. აფხაზებში კულტურის დაქვეითება ჩანს მათი ცხოვრების წესშიც, რომელსაც უცხოელი ავტორები ჩერქეზებისას ადარებენ. *ჯოვანი და ლუკა წერს: „აფხაზები („აბკასა“, „აბაცა“) ცხოვრობენ მთებში, რომლებიც გადაჭიმულია ჩერქეზეთამდე. ამ ქვეყანაში არ არის ქალაქები, მაგრამ ბევრი სოფელია მთებში... მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორიც ჩერქეზების. ტყეები მათ ემსახურებათ როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ. რადგან მათ არა აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ ცოტა მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად. ისინი კმაყოფილებიან თავლისაგან გაკეთებული ღვინოთი, ნადირით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით. ხორბალი მათთან არ მოდის. მარილს აქ არ ხმარობენ“* (**ტაბაღუა 1987: 169-170**). უფრო გვიან, გიულდენშტედტიც (XVIII ს.) აღნიშნავდა, რომ „აფხაზები შინაური წყობის მიხედვით ყველაზე მეტად ჩერქეზებს ემსგავსებიან. აქ უმთავრესად მესაქონლეობას მი-

სდევნ, მათი მიწათმოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ დომის მოყვანით, მაღლა მთებში კი სთესვენ ცოტა საგაზაფხულო ხორბალს და ქერს“ (გიულდენშტადტი, 1964: 51). ა. ლამბერტის ცნობით „ალანებსა და ჯიქებს ისეთივე ჩვეულება აქვთ, როგორც მათ მეზობელ ... აფხაზებს“ (ლამბერტი, 1938: 169). ეს მსგავსება არც ვახუშტის დარჩენია შეუმჩნეველი: „გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი“ (ვახუშტი, 1973: 787).

აფხაზები გვაროვნული დასახლებებით ცხოვრობდნენ გორებზე (Анчабадзе 3., 1959: 291-292; ბერძენიშვილი, 1990: 614). ლამბერტის ცნობით, „აფხაზები ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და დრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა, გარეშე ხალხი კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და სძარცვავენ ერთმანეთს... ჩვეულებრივ ღამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახელებენ, დაიჭრენ და წაიყვანებენ. გაუფრთხილებლობით რომ ეს არ დაემართოთ, აფხაზები საშიშ დროს ჯავშანს ჩაიცვამენ, ხელში შუბს დაიჭრენ, ფარს სასთუმალს ქვეშ დაიდებენ, შეკაზმულ ცხენს ლოგინთან დააბამენ და ისე დაიძინებენ“ (ლამბერტი, 1938: 168). ევლია ჩელები აფხაზებს აბაზების სახელით მოიხსენიებს. მისი ცნობით, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ აბაზებს „მოწნული, ყავრით დახურული სახლები აქვთ. შუაცეცხლი უნთიათ. ათ კომლს ერთ კაბაკს ეტყვიან და მას ოთხ მხარეს ციხის მსგავსად აქვს შემოვლებული ღობე. საქონელი ყველას ჰყავს და მათ დღედაღამ ყარაულობენ ღომივით ძაღლები. ასეთივე მდგომარეობაა აბაზას ყველა ტომისათვის, რადგანაც ყველა სახლი ტყეშია აშენებული. ერთმანეთისა ეშინიათ“ (ევლია ჩელები, 1971: 105).

წყაროები იმის შესახებ, რომ აფხაზები ასე ჰგვანან დასავლეთ კავკასიის მთის ხალხებს (და არა მეგრელებს), ყოფითა და სარწმუნოებით; რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში კი არ ცხოვრობენ, არამედ გვაროვნული დასახლებებით; უმთავრესად მისდევნ მეჯოგეობას და არა მიწათმოქმედებას, – ნათელყოფენ, რომ აფხაზეთში დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფითაა შეცვლილი; ქრისტიანობა დაკნინებულია და წარმართობაა აღორძინებული; ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიური მთის მეურნეობითაა შეცვლილი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში პატრიარქალური სათემო წყობაა გაბატონებული; სოციალური სტრუქტურა უფრო განუვითარებელ მთის საზოგადოებას შეესაბამება, ვიდრე ბარში გაბატონებულ განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას; რელიგიური დონეც ამ საზოგადოების შესაფერისია (Анчабадзе 3., 1959: 292, 300; ლომინაძე, 1966: 228 და სხვ.; ბერძენიშვილი, 1990: 615-616; გრიგოლია, 1990: 130-131).

ამრიგად, სახეზეა აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და კულტურის დაქვეითების ფაქტი. ზურაბ ანჩაბაძეს ამ საერთო დაქვეითების მიზეზად დასახელებული აქვს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური შინაომები, ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა და სხვა. (Анчабадзе 3., 1959: 300). სავსებით

სწორია ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე, მაგრამ ამ მიზეზებს არ შეეძლო გამოეწვია დაქანება კავკასიის მთის ხალხთა ცხოვრებისა და სარწმუნოების დონემდე. ასეთი მეტამორფოზა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ ძნელბედობით, რაც თავს დაატყდა საქართველოს XIII-XV საუკუნეების შემდეგ (ფეოდალური მონარქიის დაშლა, გარეშე მტრების შემოსევები, ფეოდალური შინაომები და სხვ.), რადგან ყველა ქართული პოლიტიკური ერთეული თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა; მათ შეეძლოთ გამოეწვიათ ქრისტიანობის დაკნინება-დამახინჯება, როგორც მეზობელ ოდიშში, მეურნეობის დაცემა, მოსახლეობის გაწყვეტა, ფეოდალური ურთიერთობის პრიმიტიული ფორმების გამოცოცხლება, მაგრამ ეს, ასეთი საყოველთაო და ფართო მასის მომცველი ვერ იქნებოდა. აფხაზეთის მსგავს ძნელბედობას განიცდიდა მისი მეზობელი ოდიშიც, თუმცა სოციალური წყობის ისეთი რეგრესი, როგორსაც აფხაზეთში აქვს ადგილი, აქ არ შეიმჩნევა, ხოლო რაც შეეხება ბატონყმობას, მისი უღელი კიდევ უფრო მძიმდება (**ლომინაძე, 1966:** 229 და სხვ.; **გრიგოლია 1990:** 130). აღნიშნული მოვლენები შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ მთის ჩამოწოლით, დასავლეთ კავკასიელ მთიელთა ახალი ტალღის აფხაზეთში ჩამოსახლებით (**ლომინაძე, 1966:** 229; **ბერძენიშვილი, 1990:** 613-614; **გრიგოლია, 1990:** 130).

ამრიგად, გვიან შუასაუკუნეებში, აფხაზეთში მთიელთა მიგრაციის შედეგად, რადიკალური ეთნიკური ცვლილებები მოხდა. მთლიანად შეიცვალა ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკური სახე. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა. მთიელთა მიგრაციის შედეგები აფხაზეთში ამკარად გამოჩნდა XV საუკუნიდან, როცა ამ მხარის მკვიდრმა მოსახლეობამ ვერ შეძლო მთის ჩამოწოლის სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება. ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა. „აფხაზი“ უკვე არ არის კულტურულ-ისტორიულად ქართველი (**ხორავა, 1996:** 87). XVII-XVIII სს. აფხაზები პირველყოფილობის სტადიაზე მყოფი ბარბაროსული მენტალიტეტის ეთნოსად ჩამოყალიბდა პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით. ეს აფხაზები ცივილიზაციურად ნამდვილად არაა ადრინდელ აფხაზთა – „*კულტურულ-ისტორიულ ქართველთა*“ – ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს დიდი კულტურულ-პოლიტიკური აღმშენებლობის შემოქმედთა ტრადიციების გამგრძელებელი. მათ შორის ცივილიზაციური ხაზი მოსახლეობის ძირითად მასაში, დაბალ ფენებში, გაწყვეტილია. მხოლოდ აფხაზ ფეოდალთა წრეში ჩანს შენარჩუნებული ქართული კულტურის ტრადიციები. როგორც აკადემიკოსი *ნიკო ბერძენიშვილი* შენიშნავდა, აფხაზი ქალის, შარვაშიძის ასულის ლამბერტისეული დახასიათება ჩინებულად მოწმობს, რომ ამ დროს აფხაზი ფეოდალის სახლი „ქართულია“ და, არა მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთო კულტურის თვალსაზრისითაც (**ბერძენიშვილი, 1990:** 610-614). საგულისხმოა, რომ აფხაზ ფეოდალთა ქალებს, რომლებიც ოდიშ-იმერეთ-გურიაში იყვნენ გამოთხოვილნი, ტიპური ქართული სახელები ჰქვიათ (*დარეჯანი, თინა-*

თინი, რუსუდანი და სხვ.). ნ. ბერძენიშვილმა ისტორიოგრაფიაში სპეციალურად შემოიტანა ტერმინი „აწინდელი აფხაზეთი“ (ბერძენიშვილი, 1990: 610), რითაც შეცადა გაემიჯნა „ძველი“ და „ახალი“ აფხაზეთი.

აფხაზეთის ისტორიის კვლევაში ერთგვარი გაურკვევლობა შექმნა „აფსუა“ და „აფხაზ“ ეთნონიმების გაიგივებამ. მიჩნეული იყო, რომ „აფსუა“ არის ამ ხალხის თვითსახელწოდება, ხოლო „აფხაზი“ სხვა ხალხების მიერ შერქმეული სახელი. დასავლეთ კავკასიის მთიელთა (ჯიქები, აფსუა-აფხაზები) აფხაზეთში მიგრაციის შედეგად, მათთან ასიმილირებულ მოსახლეობას ქართველებმა მექანიკურად ისევ „აფხაზი“ უწოდეს. ისინი კი თავს „აფსუას“ უწოდებენ (ხორავა, 1996: 88). გამოთქმულია მოსაზრება (Услар, 1887с. 78-79), რომ აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“ ეთნონიმ „აბაზას“ ფონეტიკური სახეცვლილებაა. სხვა მოსაზრებით, აბაზები და აფსუები უახლოესი მონათესავე ეთნიკური ჯგუფები იყვნენ. მათ საერთო სახელწოდებად მეზობელი ხალხები (ჩერქეზები, თურქები) „აბაზა“ ტერმინს იყენებდნენ (გვანცელაძე, 2011: 571-577). ადრინდელ თურქულ წყაროებში „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინი „apkaz“ („დედე ქორქუთის წიგნი“, „ნუსრეთ-ნამე“), მაგრამ XVI საუკუნიდან თურქი ავტორები (ასევე ევროპელებიც) აფხაზებს „აბაზა“ ტერმინით იხსენიებენ. „აფხაზ“ და „აბაზა“ ტერმინების გაიგივებაში აფხაზეთში მთის ჩამოწოლის პროცესის დადასტურება უნდა დავინახოთ (აბულაძე, 1993: 274-275). ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური (აფსუა) ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური სხვაობაა (Ломтатидзе, 1967: 123). საინტერესოა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხები აფხაზებს თავიანთი მეზობელი მთის აბაზური თემების სახელებს ეძახდნენ: ყაბარდოელები – „აიბლას“, უბიხები – „ბასხიგს“, ყარაჩაელები – „აჰჩიფს“ (Инал-Ипа, 1965: 46). ე.ი. ისინი ამ თემებსა და აფხაზეთის მოსახლეობას ერთ ხალხად მიიჩნევდნენ.

აფხაზურ-ადიღური მოდგმის კავკასიელ მთიელთა ახალი ტალღის აფხაზეთში მიგრაციასთან დაკავშირებით საინტერესოა აფხაზური ფოლკლორული მასალები: ისტორიული თქმულებები, ეთნოგენეტიკური და გენეალოგიური გამოცემები. ისინი მიუთითებენ აფხაზური (აფსუა) ეთნოსის ფორმირების რთულ და ხანგრძლივ პროცესზე, რომელშიც როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა მხრიდან მოსული გვარტომობრივი ჯგუფები მონაწილეობდნენ (Бражба Х., 1964: 249; Инал-Ипа, 1976: 175; ზუხბა, 1988: 215). მთელი რიგი აფხაზური გვარების შესახებ არსებულ გამოცემებში მოთხრობილია თუ როგორ გადმოსახლდნენ ოდესდაც ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი წინაპრები. ასეთი გამოცემები აქვთ ავიძბებს, ამფარებს, აშუბებს (ზუხბა, 1988: 214). თვით შალვა ინალ-იფას დაკვირვებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულ გვარებს ეკუთვნიან: აჩბა, მარმანი, ქაბბა, ადლეიბა, ინაფშბა და სხვები (Инал-Ипа, 1976: 175).

ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის აფხაზური გვარების დიდი ნაწილის ფუძე-სალოცავად, საგვარეულო მფარველ ღვთაებად ფსხუს მთა ითვლებოდა. აქ

იყო სალოცავი ფსხუ-ნიხა, რომელიც იმ გვარების მფარველად ითვლებოდა, რომელთა წარმოშობაც მასთან იყო დაკავშირებული. ფსხუ-ნიხა იყო აფხაზური გვარების: ადღეობა, ამიჭბა, არძინბა, აშუბა, აძინაა, ბაგაფში, ბაზბა, ბენია, ზუხბა, ინალ-იფა, მარმანია, ნანბა, ჰტიში, საძბა, სიმსიმ, თრაფში და სხვათა ძირი-სალოცავი. ფსხუ იყო აფხაზეთში მიგრირებულთა თავდაპირველი საცხოვრისი, საიდანაც ამ საგვარეულოების აფხაზეთში განსახლება ხდებოდა. ამან განაპირობა ფსხუში ამ საგვარეულოების ფუძე-სალოცავის გაჩენა (**ბახია-ოქრუაშვილი, 2000: 6-7**). ნიშნდობლივია, რომ აფხაზეთში მიგრირებული აფსუების ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის პროცესი ყველაზე ადრე მთის თემებში – აიბღა, ფსხუ, წებელი, დალი, – დაიწყო.¹ მიგრაციის ამსახველი გენეალოგიური გადმოცემები და ისტორიული ჭეშმარიტება ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა, ზოგჯერ კი ისტორიული სიმართლე უცვლელადაა შემონახული ფოლკლორში. აჩბები თითქოს სწორედ ფსხუს გავლით ჩამოსახლებულან აფხაზეთში (**Лавров, 1982: 45**). ამფარების გადმოცემით, მათი წინაპრები სოფელ კალდახვარის მახლობლად გადმოსულან ზღვიდან. ზღვის ღვთაებისადმი მადლიერების ნიშნად, რომელიც მათ მგზავრობისას წყალობდა, ამფარები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ იმ ადგილას, სადაც გადმოცემით მათი წინაპრები ნაპირზე გადმოვიდნენ, საკლავს კლავდნენ და ლოცულობდნენ (**ზუხბა, 1988: 214-215**). მთელ აფხაზეთში გაფანტული ზუხბები ამბობენ, რომ ისინი გენეტიკურად ენათესავებიან ჩრდილოკავკასიურ „აზაზ“-ს (ზიხები, ჯიქები) და ოდესღაც გადმოსახლდნენ აფხაზეთში, ისევე როგორც მრავალი მათი მონათესავე ჯგუფი (**Бгажба Х., 1964: 246**). აშუბების გადმოცემით, მათი წინაპრები აფხაზეთში, სოფელ ჯგერდაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან ფსხუს გავლით ჩამოსულან (**Фадеев, 1934: 51**).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური ეთნიკური ჯგუფების ახალი ნაკადის მოსვლის შესახებ ცნობა აფხაზურმა ფოლკლორმაც შემოგვინახა. მკვლევართა აზრით, ალბათ, სწორედ ეს პროცესი აისახა ლეგენდებში ნართების და მათი გმირების მოსვლისა და აქ დამკვიდრების შესახებ. ნართების აფხაზური ეპოსის მიხედვით, ნართები (იგივე აფხაზები, აფსუები), მდ. ყუბანის სანაპიროზე ცხოვრობენ. ნართების შესახებ ზოგიერთ თქმულებაში იხსენიება მდ. ბზიფიც, მაგრამ ეს, აშკარად, გვიანდელი რეალიების ასახვაა. აფხაზური ნართების ეპოსის გმირთა სამოქმედო არეალი ყუბანისპირეთია. „ეპოსის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ნაწილი ყუბანისპირეთში მცხოვრები ხალხის შემოქმედების ნაყოფია“ (**ანთელავა ნ., 2006: 56**). ერთი ლეგენდის მიხედვით, აფხაზების წინაპ-

¹ სოსხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2007-2008 წლებში მდინარე კოდორის სათავეებში, სოფ. საკენში, ადგილ „ლაბურყვამში“ მიაკვლია ციხესიმაგრის ნაშთებს და დიდ ტერიტორიაზე გადამწვარ ფენას; გადამწვარი ფენა დადასტურდა ასევე სოფ. ომარიშარაში, ბოკერის ციხესა და მის მიმდებარედ ვრცელ ტერიტორიაზე. ეს ფენები XV-XVI საუკუნეებით თარიღდება (ცნობა მოგვანოდა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, სოსხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რევაზ ხვისტიანმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ).

რები გამოსულან არაპთა ქვეყნიდან და ჯერ ყუბანში დასახლებულან, მაგრამ რადგან იქაური სიცივეები ვერ აუტანიათ, აფხაზეთში გადმოსახლებულან (**Инал-Ипа, 1958: 103-105; ზუზბა, 1988: 201-202**). თვით შ. ინალ-იფა აღნიშნავს, რომ მათში ასახულია რეალური ისტორია (**Инал-Ипа, 1958: 201-212**).

აფხაზეთში ახლად მიგრირებული აფხაზურ-ადიღური ჯგუფები გვაროვნულ თემებად (აფხ. *აქითა*) სახლდებოდნენ. თემები გვაროვნული დასახლებებისაგან (აფხ. *აჰბლა*) შედგებოდა. ცალკეულ გვარებს ეკავათ მთელი სოფლები. მაგალითად: *ემბებით* იყო დასახლებული სოფ. ბედიის ერთი ნაწილი – *ემქით*; სოფ. *ბაზა-არქით* (ამჟამად სოფ. *აბღარხუქის* ერთ-ერთი უბანი) დასახლებული იყო გვარით *ბაზბა*; *ბაღარქით* (ამჟამად სოფ. *აბღარხუქი*) – გვარით *ბაღბა*; *ზვანდრიფში* (ზვანბების სამფლობელო) – გვარით *ზვანბა*; *თარკილაარჰაბლა* (თარკილების უბანი სოფ. *დურიფში*) – გვარით *თარკილ*; სოფ. *ყულანურხვა* (ყულანების მალლობი) – გვარით *ყულანბა*; *ბლაბრხვა* (ბლაბების მალლობი) – გვარით *ბლაბბა*; სოფ. *ჩაბალურხვა* (ჩაბალების მალლობი) – გვარით *ჩაბალ* (**ხორავა 2014: 114**). აღსანიშნავია, რომ „ხვა“ აღნიშნავს როგორც გვაროვნულ-თემობრივ დასახლებას, ისე მალლობს (**Инал-Ипа, 1976: 379-380; Бгажба Х., 1964: 259**). ჩამოსახლებული მთიელები ტრადიციულად სწორედ მალლობებზე სახლდებოდნენ.

ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა და აფხაზთა წარჩინებული წრეებიც „გააფხაზდნენ“, თუმცა მათ მეტწილად შეინარჩუნეს ქართულად გაფორმებული გვარები: *მარვაშიძე* (*ჩაჩბა*), *ანჩაბაძე* (*აჩბა*), *მარშანია* (*მარშან*), *ინალიშვილი* (*ინალ-იფა*), *ემუხვარი* (*ემხაა*), *მარღანია* (*მაან*). საერთოდ, შუა საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა აფხაზი თავადი და აზნაური როგორც ასეთი, არსებობდა ქართველი თავადაზნაურობა. ამიტომაცაა აფხაზეთში თავადაზნაურთა გვარები გაფორმებული საერთოქართული (ძე, იანი) დაბოლოებებით. „გააფხაზების“ მიუხედავად, აფხაზმა თავადაზნაურობამ მეტწილად შეინარჩუნა ქართული თვითშეგნება და ქართული ენა. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის (XVIII ს.) აფხაზების შესახებ აღნიშნავდა: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (**ვახუშტი, 1973: 786**). „წარმართად მიქცეულ“ თავადაზნაურობას შეემატა მიგრირებულთა წარჩინებული საგვარეულოები: *აჩბა*, *ინალ-იფა*, *ძაფშ-იფა*, *მიქანბა*, *ზვანბა*, *ჩაბალურხვა* და სხვ. ამასთან, გარკვეულწილად, მათაც განიცადეს ქართული კულტურის გავლენა.

ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის მიგრაცია აფხაზეთში ყოველთვის ბრძოლით როდი ხდებოდა. გარდა იმისა, რომ მათ ფაქტობრივად მიტაცებული ჰქონდათ აფხაზეთის მიწა-წყალი მდ. ბზიფამდე და მთის თემები: *აიბლა*, *ფსხუ*, *წებელი*, *დალი*, – ისინი ძირითადად მაინც მარვაშიძეთა სამთვარო სახლის წარმომადგენელთა და თავადაზნაურების, მიწის მეპატრონეთა ნებით სახლდებოდნენ აფხაზეთში, როგორც უმიწაწყლო მთიელები. თავადაზნაურობა ხელს უწყობდა მათ ჩამოსახლებას თავიანთ მამულებში. არა მარტო აფხაზეთში, საერთოდ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული მწარმოებელი მოსახლეობის მთიდან, იმიერკავკასიიდან გადმობირება-გადმოსახლება (**ბერძე**

ნიშვილი, 1964: 238). ჯიქებისა და აფსუების თემებიდან აფხაზეთში მიგრირებულებს თავადაზნაურები *ასასის* (აფხ. *სტუმარი*, შეესაბამება ქართულ *ხიზანს*) სტატუსით ასახლებდნენ. გადმოცემით, *გუნბას*, *ტვანბას* და *თანიას* გვარის წარმომადგენლები პირველად სოფ. დურიფში დამკვიდრებულან აამსთა *ლაკრბასთან* ერთად, რომლისთვისაც მთავარს ეს სოფელი უბოძებია (**ინალ-იპა, 1958:** 82). XVIII ს. ბოლოს ზვანდრიფში დასახლებულა *აჭიფსიდან* ჩამოსახლებული *ფჩკულ* ამაბა ერთ *დაუთიასთან* და სამ *ჰაბბასთან* ერთად. მათ მოუყვანიათ დამოკიდებული გლეხების 18 კომლი გვარად *კიასლაა*. მთავარს *ამაბასთვის* თავისი ვენახისა და მარნის მოვლა-პატრონობა დაუვალებია (**ანტელავა, 1951:** 109). *ჩირიკები* ყაბარდოდან ჩამოსახლებულან ჯიქეთში, შემდეგ კი აფხაზეთში, სოფ. *იამთხვაში*; ანხაიუ *არგუნები* – წებელიდან, ხოლო *ბაალოუ* ადიღედან გადმოსახლებულა სოფ. იამთხვაში (**Пахомов, 1953:** 253-258).

აფხაზეთში მიგრირებულ მთიელებს მთავრები მოლაშქრეებად იყენებდნენ თავიანთი მიწაწყლის გაფართოებისათვის ბრძოლაში, ძირითადად ოდიშის წინააღმდეგ. სწორედ მათი მეშვეობით შეძლეს აფხაზებმა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება. ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობა მთიელთა სისასტიკისაგან თავის გადარჩენის საშუალებას გააფხაზებაში ხედავდა, რაც მათი ენის, რელიგიისა და ზნე-ჩვეულებების გათავისებაში გამოიხატა. ამიტომაცაა, რომ აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ქართულ გვარსახელებს ატარებს.

აფხაზთა მიერ მიტაცებული მხარის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაბალი ფენები მოისპო, ტყვედ გაყიდეს ან მონებად აქციეს (**კაკაბაძე, 1922:** 102). საინტერესოა, რომ ტყვეებისაგან შემდგარი უფლებო ადამიანთა კატეგორიის, მონის აღსანიშნავად, აფხაზურ ენაში დამკვიდრდა ეთნონიმი „*აგრუა*“, რაც „*მეგრელს*“ ნიშნავს აფხაზურად (**გვანცელაძე, 1993:** 317). ბარონ ტორნაუს ცნობით, მონები (*აგრუა*) აფხაზეთში ორი სახის იყო: ადგილობრივი, ამ მხარეში დაბადებული (ე. ი. ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლები), და ახლები – ომში ან თარეშის დროს შეძენილი (**Торнау, 1864:** 58).

აფხაზთა მიერ მიტაცებული ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის (ტერიტორია მდინარეებს ენგურსა და კელასურს შორის) მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, უპირველეს ყოვლისა, ძველი ქართული საეკლესიო საბუთების მიხედვით. ამ რიგის საბუთებიდან ყველაზე უადრესია *მაძია III დადიანის* (1503-1533) წყალობის სიგელი „*ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი*“, სადაც ნათქვამია: „... *კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მაძიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმა გიორგი და დადიანმან პატრონმან მაძია თქუენ, ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა ... ეგურისპირს ნაჟანეო სამოცის კუამლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია ოცდახუთის კუამლის კაცითა; წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე მაძიგია ჭუჭური და დათია; მარმარისკარს*

ეგზობტია და ჩხუნბურია, აგრეთვე ბიჭვინტის გარემო სოფელი აითარნე, არუნა და რაბინა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“ (ბიჭვინტის იადგარი, 1965: 179-180).

ნაქანულის საკათალიკოსო ბეგარის ნუსხაში (XVI ს.) დასახელებულია ამ სოფელში მცხოვრები გლეხები: „შუმანია, ჯგვიბურია თოლიოქრო, სუბუქია თემნა, ჯაკობია გუგუტია, შჭიშია კაკური, ვარსიმეა უჩაია, ხვარაშია უჩაია, მამისშურო უჩაია, სოხერდია უჩაია, თოლსკუამია უჩაია, გაბრიელა დიდია, კაციბაი კოდუა, თომინილა ელიშია, გულაბა ელიშია, რუსაყია მარცვალაია, მატუფია შურითოლი, მამისმამა გოგილავა, შურითოლი გოგილავა, სამელია, მამისმამა დრუბელაია, მამასფერი, ჭუჭა გურუა, ცისტარია მამისმამა, ინალი კოდია, ივანე კოდია, თოლიბედი კოდია, დეისმამა ქაჯაია, კურცხაი ლოგუა, გაბელია, შია ქაჯაია, გუტია ხუხუშია, ჯგუბურია ნიკოლაა, სახლობს ოთხი კვამლი მსახური ძაძუა, კონჯარია ოთხი კვამლი მსახური, სამი კვამლი ფიოლია, ივანე დავითია; არის ხოირს საკათალიკოზო გლეხნი ოცდარვა კვამლი“ (ნუსხა ნაქანულის, 1970: 382-386).

ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი ლევან II დადიანის შეწირულობის წიგნში (1611-1616 წწ.) ნათქვამია: „...ბიჭვინტისა ღვთისმშობელო... ჩვენ დადიანმან ბატონმან ლეონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბიძამ ჩვენმან ბატონმან გიორგი ლიპარტიანმან გკადრეთ და შემოგწირეთ... ჭალა კაკა ჯაიანისეული მამული და მისის შვილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი – ერთი ჯვარის ჰატიოსნისა და მეორე წმიდის გიორგისა მისის სასახლითა, მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადიროთა, სახობბითა, სათივითა, ბელლითა და მარნითა, ჭურითა, შესავლითა და გამოსავლითა, როგორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისე თქვენ იხმარეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუტუ ჯაიანი რომ იხმარებდა ერთი კვამლი კაცი გრიგოლ გოგოლდა, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა, მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე ქვაქვალაია მანტაი, მეხუთე მოსახლე მიკალანდი ფივლია, მეექვსე მოსახლე ვაგიჭორდი კვიკა, მეშვიდე მოსახლე ობიშხუა ფელია, მერვე მოსახლე მაჭიხოლი ჭანია, მეცხრე მოსახლე ფშიას ბიბილია ხუტუს ჯაიანის სეული...“ (არახანია, 2009: 73-74).

მალაქია კათალიკოსის ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში (1616-1639 წწ.) ნათქვამია: „ხაუქელს სასახლე აოხრებული იყო და გარეშემო სხვისი ადგილები იყო და ჩემის თეთრით მიყიდა და გამიძებნა და სასახლე ამიშენებია და ქვითკირისა საყდარი და ქვითკირისა ჯიხური ამიშენებია, დარბაზი დამიდგამს... თილითს სასახლე გამიკეთებია... დალიძგას სასახლე არ იყო და ბატონის დადიანის ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შევეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თვითან ხატსა შესწირა და ჩუენცა დაგვამაღლა... ამას გარეთ ილორს ჩხოხობისაგან ერთი ჰარტახი მიყიდა და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდა და ერთი კვამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია. ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია... ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე; და რაიც სახლები დგას, ყველა ჩემის თეთრითა

მიყიდა და სხუა საყანეები, საკრეფი მამულები და ჭურები მიყიდა და შემომატებია, მოსახლეები დამისახლებია... ამას გარეთ ნაჟანურს ერთი დიდი სასახლე ამიშენებია...” (შენიშვნების წიგნი მალაქია კათალიკოსისა, 1970: 500-501).

ლევან II დადიანი ბიჭვინტის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში (1628 წ.) ნათქვამია: „... ჩვენ ხელმწიფე დადიანი ლევან და თანამეცხედრე მისი დედოფალთ-დედოფალი ჭილაძის ასული ნესტან-დარეჯან ... შემოგვიწირავს დალიძგას ძველი ჩვენი სასახლე მისის კარის ეკლესიითა, მოსახლე კაცი ერთი ჰარასქია აღესანდრია და მისი კაცი, მეორე მოსახლე ხახუტა კომა რეკას, მესამე მოსახლე თილითს ელიჯარი ჩანგელია, მეოთხე მოსახლე კამულეთს გურმინილი კუბეცია, მეხუთე მოსახლე თხალარი გაიდრითი გაბრაა, მეშვიდე მოსახლე ზეგანს მუთაგიდუნ ხუბილავა, მერვე მოსახლე სიქანდარა გოგუა მებოსტნე არის, მეცხრე მოსახლე სქვამიშია ნადარაია, მეათე მოსახლე ილორს გომიძულა წაწულუა, მეთერთმეტე მოსახლე კიდეჯ ანაკლიას ფაცულაი წაწულუა...” (კაკაბაძე 1921: 40-41).

აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში (1621 წ.) ჩამოთვლილია გლეხები სოფლების მიხედვით, რომელთაც გარკვეული გამოსავალი მართებთ. **ნაჟანულში:** მიხილია უჩია, ზაქარია უჩია, თოლიოქრო ჯაკობია, გურმინილი უჩია, მირჩილია უჩია, ჯგუკოჩი დიდა, ორქოლეი კოდა, ჯგუბურია გურიშია, ჯგუბურია ნაკადმელიუ, ბუბუტია სუბუქია, სოხერდია შუმანია, იანე შუმანია, ივანე შუმანია, კოჩივარა კუატარა, ბახუტა დიდა, კოჩილეი დიდა, მჭითანა ჩარაჩუ, აბრამიას შვილი, გაბრიელ ძაძუა, აბრამ ძაძუა, ირდამულა ძაძუა, ინგარია ძაძუა, მარსალია სამელია, თოლიოქრო გოგილაა, ხუხურია გოგილა, მატოფია, მესტუმრია ქაჯაია, კოჩილა მარკოზია, თოთიბია ჯომნია, მიძირუდა ციკუტია, გვანიშა ბაგუძლა, კოჭოლა ღრუბლაია, გეჩი ღრუბლაია, გემჭიშია გურუა, თოლიმაფუ ხისტარია, მესტუმრია დათია, კოჩია ცისტარია, თოლიშია ლოგუა, მაჭინოლა კოდა, სოლერდია კოდა, ბუბუტია კოდა, მიხილია კოდა, მარსალია რუსაყია, კოჩილა ელიშია, თოლმინილა ელიშია, უსკუამადა ელიშია მამალეი კონჯარია, გიორგი კონჯარია, ხახუტა კონჯარია, თოსკუამია კონჯარია, გვიანიშა კონჯარია, ჯვიტიშია თოლიოქრო, მირჩილია ფიოლია, გოროშია კოტარია, ჭუჭუ კონტარია.

სიორში: ხახუტა დიდა, კაკაია ჩაგუა, გოგია ჩაგუა, უკულაში ლასურია, უსკუამა ლასურია, მიხილია მაზურგნია, მამულია წებულარა, ჯგერგეშია ჩაგუა, გურმინილი ჩაგუა, ხუხული ჩაგუა, ქაქალია ჩაგუა, ბაბადია ქუნია, ჯიტა, ჯუარისა ჯიტა, გრიგოლია ვაჟობა, გოკურცხია გრიგოლია, სკუამილეი ჯიქია, გამიგონა ბიჭვა, მამუტია დიდა, თოლიოქრო დიდა, გავაშელ დამაკოჩია, ხუხულია ამბალია, ხუცეს ამბალია, ივანე ამბალია, გამიგონა ჯომნია, ვაჟიკოჩა ჯომნია, მხიარულა კაკუა, იშამორთა კაკუა, მოირდინა კაკუა, ქურია, ხუხინია ჯაკობია, კოსატია, ხახუტა გამკერვალა, ხერგუა.

მუხურში: თაიმაზ კიტია, ქუაქუალია კიტია, ქერაბინ კიტია, მამულია კიტია, ბაბაკვა კიტია, შურიმიდგი კიტია, ჰერტია, ჯგერგეკოჩი კიტია, ძღირუა, ელიჯარ კიტია, გავაშელ კიტია, აშულაბარ კიტია, გავაშელი ამილდამბარნი, ქორჩოლუა ყელგრძელი, მამაში ქორჩოლუა, კაკა ჯაკონია, ვაჟობა ჯაკონია, ჰაპიშია ჯაკონია, მაჭაჭვა ჯა-

კონია, თენა ჯაკონია, ბაბადიში ჯაკონია, სკუამილი ჯაკონია, ქოძირი ჯაკონია, სანატრულ ღუაჯაგია, გომთინირია მახუტია, მამულია არტონია, გაგო არტონია, კუერკუეშია კიტია, მიხილია კიტია, ხვინგია უწყინარა, მიქა მიქელია, შურიმიდგი მიქელია, უჩაღი ბიგუა, ქრისტეშია არტონია, მიქა არტონია, გუგურია ჯიშია, სუბი ღუაჯაგია, თოსკუამია პეტრია, დემეტრე კიტია, პირნათე კიტია.

თილითში: თიფშხუა ხუცესი, მარტიშია თიფშხუა, იესე თიფშხუა, ნანარტია თიფშხუა, ჯგეკოჩი ცქურია, მიხილია შუნია, შორდა გულუა, თუთაშხია გულუა, მიხილია სთუფანესკირი, ბაბაშური ჟვანესკირია, ბადია მომარდია, მორდილია ბულია, თუთაშხია ქუფაჩა, თოლისკუამი ფაჟა, თოლისკუა კირჩხელი, ქადარა ჟვანესკირია, თოსკუამია ხუხუა, ხუხულობა ზარქუა, უჩაკოჩი მანტია, ხუხუა ტოროჯია, გუაგულა მარინავა, ბართიმე მარინავა, ლომინია ცისკარავა, შურითოლი მალურავა, მამა შუნია, თოსკუამია მარხალია, შურიმიდგი ჩხირუა, ბებელი შუნია, ორქოია გირგოლავა, ვარგიბია გირგოლა, თაუზარ გირგოლა, პინათე გირგოლა.

საუჟელში: ხუცესი ვარდანია, ქაქალია ვარდანია, ვართანგია, ფარსმანია, ბაგია მითანაფი, გინძია, ჩოქუა, კუკაა, ივანა კუკაა, თალაბერ წებლარია, გუგურიში წებლარია, ქაქალია წებლარია, გაწირულ წებლარია, დასკუდა წებლარია, ზანგელარ წებლარია, გირდია, გაირჩქინდი სალატია, უჩარდია სალატია, თოსკუამია ღუშია...

გუფუში: მახუ ვარდანია, გიორგი ვარდანია, საბედო ვარდანია, მიხილია ვარდანია, თენა შონია, სკუმიშია ვარდანია, ხვიტია ნისერია, უჩარდია შონია, უწყინარ ნისერია, ქაქალია ნისერია, ასპანდელი მარინა, მაჭიხოლია, წიწა ნისერია.

ტყაურუში: თავაზა შამბია, მამუტუა შამბია, ქუაქუალია შამბია, უჩაკოჩი ჭუჭურია, გავაშელი დათია.

ჭალაში: ხუცესი გოგორდავა, გვატა გოგორდავა, მიხილია ჩაგლია, ბიშხუფლია, მაჭიხოლია ჭანია, შურიმიდგი ფალია, გიჭორდი ჰკა, მარლია ქვაცხა, ლორთელი ბიბილია (აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი, 1970: 419-435).

საბუთებში დასახელებული პირები სახელითაც და გვართაც ქართველები (მეგრელები) არიან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მდინარეებს ენგურსა და კელასურს შორის ტერიტორია პოლიტიკურად და ეთნიკურად ოდიში (სამეგრელო) იყო. აფხაზეთში და ჯიქ-აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ეთნო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა გამოიწვია: ანაკოფიას და ანაკოფიის მდინარეს ფსირცხა ეწოდა, ადაცოსწყალს – ააფსთა, ზუფუს მდინარეს – ხიფსთა, შუწისწყალს – მჭიმთა, ცხომის წყალს – ბასლა, სოფ. ხოფს – ხვაფ, სოფ. ადაცოს – ააც, სოფ. მარმარისკარს – მარმალ აბაა (აბაა, აფხ. კომკი, ციხე), სოფ. კელასურს – აბგიძირა (აფხ. შინდი), სოფ. ღალიძგას – ბესლახუბა, სოფ. თილითს – აბაჟვანუ (აფხ. ძველი ციხესიმაგრის ბორცვი), სოფ. შქა წყარს (მეგრ. შუაწყალი) – ატუბჟა, რაც ქართული სახელწოდების პირდაპირი თარგმანია აფხაზურად, და ა. შ. (ცხადაია, ხორავა, 2016).

§5. აფხაზეთი XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის მფარველობაში

XVIII ს. მიწურულს ოსმალეთი ცდილობდა პოზიციები განემტკიცებინა აფხაზეთში, ამიტომ შეეცადა თავიდან მოეშორებინა პროქართულად განწყობილი ზურაბ შარვაშიძე და მის წინააღმდეგ ქელემ-ბეი წააქეზა. „დროსა ამას, – წერს ნიკო დადიანი, – შეიშურვენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა“. ზურაბ შარვაშიძემ ოდიშის მთავარს კაცია დადიანს სთხოვა დახმარება. დადიანმა სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი, სარდლად თავისი ძმა გიორგი ჩაუყენა და აფხაზეთში გაგზავნა. „მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩინი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგნენ ცხომის ციხეს“. მეციხოვნეების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად გიორგი დადიანის ძემ ციხე აიღო და ურჩინი ისევ ზურაბ შარვაშიძეს დაუმორჩილა (დადიანი, 1962: 181).

ამრიგად, ზურაბ შარვაშიძემ ოდიშის მთავრის დახმარებით შეინარჩუნა ხელისუფლება. დადიანისათვის, რა თქმა უნდა, აფხაზეთა სამთავრო ტახტზე სასურველი იყო პროქართული ორიენტაციის ზურაბ შარვაშიძე, ვიდრე თურქოფილი ქელემ-ბეი. ამ პერიოდში, აფხაზეთის სამთავროს მხარეებიდან შუა სოფელს, ანუ აბჟუას, ტერიტორიას მდ. დალიძგასა და მდ. კოდორს შორის, ფლობდა ზურაბ შარვაშიძის ძმისწული ბეჟირ-ბეი; სოხუმის ციხეს (აყუ) და მის მიმდებარე ტერიტორიას, გუმის აფხაზეთს, მდ. კოდორსა და მდ. გუმისთას შორის, – ქელემ-ბეი; ბზიფის აფხაზეთს, ტერიტორიას მდ. გუმისთასა და მდ. ბზიფს შორის, – ზურაბ შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთს დანარჩენ მხარეთა სიუზერენი იყო (დადიანი, 1962: 183-184; Пахомов, 1953: 244).

მიუხედავად განცდილი მარცხისა, პორტა აფხაზეთის მიმართ თავისი გეგმის განხორციელებას ჯიუტად ცდილობდა. მისი მორიგი მცდელობა წარმატებით დასრულდა. XVIII ს. 80-იანი წლების შუა ხანებში ქელემ-ბეიმ ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ზურაბ შარვაშიძე და თვითონ გამთავრდა. იმავდროულად, პოლიტიკური მოსაზრებით, მთავრის რეზიდენცია ლიხნიდან, სამთავროს ძველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრიდან, სოხუმის ციხეში გადმოიტანა, სადაც თურქი მეციხოვნეები იდგნენ (Антелава, 1951: 82; Дзидзария 1988b: 22; წურწუმია, 2012: 64). თანამედროვეთა დახასიათებით, ქელემ-ბეი იყო მამაცი, საზრიანი, ჭკვიანი ადამიანი. მას დიდი სახელი ჰქონდა ხალხში და გავლენით სარგებლობდა დასავლეთ კავკასიის მთიელებში (ხორავა 2007a: 203). როდესაც მთავარი გახდა, ქელემ-ბეი გაშორდა ცოლს – ძაფშ-იფების ასულს, რომელიც პოლიტიკური გარიგებით შერთეს. ამის შემდეგ, მან შეირთო დაბალი წარმოშობის (გლუხი ანხაიუ) ქალი, გვარად ლეიბა სოფ. მუგუძირხვადან, ტომით ჯიქი (Пахомов, 1953: 231, 244). ამ ნაბიჯით ქელემ-ბეი ძაფშ-იფების გავლენიან საგვარეულოს დაუპირისპირდა.

ქელემ-ბეი მტკიცე მმართველი გამოდგა. მან თავიდანვე დაიწყო ზრუნვა მთავრის ხელისუფლების განმტკიცებისათვის: დაამარცხა და დაიმორჩილა მე-

ტოქე ბიძაშვილი, აბჟუს მმართველი ბეჟირ-ბეი, რომელსაც ანჩაბაძეთა მსხვილი და გავლენიანი ფეოდალური საგვარეულო უჭერდა მხარს; დაიმორჩილა წებელის მფლობელი მარშანიებიც; ცდილობდა თავისი გავლენა სამურზაყანოზეც გაეკრცვლებინა. დაქუცმაცებული სამთავროს გაერთიანებასა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში მან მაქსიმალურად გამოიყენა ოსმალეთის მხარდაჭერა, ამასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ჯიქებთან და უბიხებთან (Фадеев, 1934: 143; Дзидзария 1988b: 22, 27-28). ამრიგად, ქელემ-ბეიმ განამტკიცა თავისი ხელისუფლება და მთელი აფხაზეთის მბრძანებელი გახდა (ვრცლად: ზაქარაია, 2003: 62-91). მას საკმაოდ სოლიდური შეიარაღებული ძალა ჰყავდა, რომელიც 10 ათასი მეომრისაგან შედგებოდა (Броневский, 1823: 346). ჰყავდა აგრეთვე „კარგად შეიარაღებული გალერებისაგან“ შემდგარი ფლოტილია (Инал-Ипа, 1956: 20-21). მას ანგარიშს უწევდნენ იმერეთის მეფე და ოდიშის მთავარი (Дзидзария, 1940: 8).

ქელემ-ბეის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან. მისი, როგორც ადგილობრივი ხელისუფლის ძალაუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იყო სოხუმის ციხეში მდგარი ოსმალთა გარნიზონის უფროსის მიერ. პორტა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოხუმის ციხისა და ნავსადგურის შენარჩუნებას. სელიმ III-ის (1789-1807) ბრძანებით სოხუმში ააგეს გემსაშენი, სადაც ოსმალეთის სამხედრო ფლოტისათვის საბრძოლო ხომალდი „კილიდ ულ ბაჰირ“ ააგეს. ამ ხომალდის აგების შემდეგ, პორტამ სოხუმში გემთმშენებლობა შეწყვიტა. ოფიციალური ვერსიით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სოხუმის გემთსაშენი იმპერიის ცენტრიდან შორს იყო, ვერ ხერხდებოდა დროულად გემის მშენებლობისათვის აუცილებელი მასალების მიწოდება, არ იყო საკმარისი რაოდენობით მუშახელი და სპეციალისტები (წურწუშია, 2012: 66-67). თუმცა, საფიქრებელია, პორტა შიშობდა აფხაზთა მთავრებს თავიანთ სასარგებლოდ არ გამოეყენებინათ გემთსაშენი.

XVIII ს. 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ფეოდალურმა შინაომმა, რომელშიც ქელემ-ბეიც ჩაერია. იმერეთის მეფემ, სოლომონ II-მ (1789-1810) მიზნად დაისახა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. ამას ხელს უწყობდა საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. ოსმალეთის იმპერია ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო და სათანადო კონტროლს ვერ უწევდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამით ისარგებლა სოლომონ II-მ და დასავლეთ საქართველოს ხელმწიფის პრეტენზიებით გამოვიდა. იგი თავს „ქუცმოისა ივერიისა და სხუათა მეფეს“ უწოდებდა. მეფის მარჯვენა ხელი სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო“, მასვე ეკუთვნოდა ფოთის ციხეც (დუმბაძე, 1957: 134-135). დასავლეთ საქართველოს მთავრები იმერეთის მეფის უზენაესობას არ ცნობდნენ. 1792 წელს შეთქმულებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა იმერეთის მეფე, გრიგოლ დადიანი გადააყენეს და მთავრად მისი უმცროსი ძმა მანუჩარი დასვეს. გრიგოლ დადიანმა სამურზაყანოს შეაფარა თავი (დადიანი, 1962: 186; რეხვიაშვილი, 1982: 220).

1794 წელს იმერეთის ტახტის მაძიებელი დავით გიორგის ძე იმერეთში შეიჭრა და ქუთაისის ახლოს დაბანაკდა. იმერეთის მეფის დასახმარებლად მანუჩარ დადიანი მოვიდა ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქრით. ამავე დროს, სამურზაყანოდან გრიგოლ დადიანი გამოემართა მეფის წინააღმდეგ. „*ქამსა ამას, – წერს ნიკო დადიანი, – შეკრბენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწევნად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ*“. სოლომონ მეფემ გრიგოლ დადიანი დაამარცხა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა დახმარების თხოვნით აფხაზთა მთავარს მიმართა. ქელეშ-ბეი აფხაზთა ლაშქრით ოდიშში გადავიდა და ხიბულაში დაბანაკდა. ამასობაში იმერეთის მეფემ დაამარცხა დავით გიორგის ძე, რომელიც ამის შემდეგ გრიგოლ დადიანისა და ქელეშ-ბეის ბანაკში მივიდა. ქელეშ-ბეიმ თავი აარიდა იმერეთის მეფესთან ბრძოლას და აფხაზეთში დაბრუნდა (**დადიანი, 1962: 186-188; ხორავა, 1996: 167-168**). 1798 წელს გრიგოლ დადიანი კვლავ დაეუფლა ოდიშს.

სოლომონს ამის შემდეგაც არ აუღია ხელი ოდიშის სამთავროს იმერეთთან შეერთების განზრახვაზე. 1802 წ. ზაფხულში იმერეთის მეფემ ისევ დაამარცხა გრიგოლ დადიანი. ოდიშის მთავარმა დახმარება კვლავ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს სთხოვა, „*რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე დალიძებამდე და მძღავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო აფხაზეთსა*“ (**დადიანი, 1962: 192**). აფხაზთა მთავარმა მძევალი მოითხოვა. დადიანმა ტახტის მემკვიდრე ლევანი გაუგზავნა მძევლად, რის შემდეგ, ქელეშ-ბეი 20 ათასი მეომრითა და 3 ზარბაზნით ოდიშში გადმოვიდა და სოფ. აბდათში დაბანაკდა. შემოდგომაზე სოლომონ II ოდიშში შეიჭრა და ქვეყნის შემომტკიცებას შეუდგა. ქელეშ-ბეიმ მეფესთან შებრძოლება ვერ გაბედა, დაუზავდა მას და აფხაზეთში დაბრუნდა (**AKAK, I, 1866: 577; AKAK, II, 1868: 340; დადიანი 1962: 192; ხორავა 1996: 169**). გრიგოლ დადიანისთვის ცხადი შეიქნა, რომ საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის მძღავრობას წინ ვერ აღუდგებოდა, ამიტომ რუსეთის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და შესაბამისი თხოვნით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ადმინისტრაციას (**დადიანი, 1962: 192-193**).

როგორც ცნობილია, რუსეთთან მფარველობითი კავშირის ძიება 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ინკორპორაციით დამთავრდა. ამიერიდან, აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა (**დუმბაძე, 1973b: 825-827**). აღმოსავლეთ საქართველოს მიერთების შემდეგ დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების შეერთების საკითხი დადგა. გადამწყვეტი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე 1802 წლიდან გადაიდგა, როდესაც საქართველოს მთავარსარდალსა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს, ფაქტობრივად, კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ ჰავლე ციციანოვს (1802-1806) დაევალა ყველა ღონე ეხმარა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისა და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე განმტკიცებისათვის (**ლომინაძე რ., 2000: 127**). გარკვეული მიზეზების გამო, რუსეთის ხელისუფლება

ამ მხარეში ფრთხილად მოქმედებდა და ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით ქვეყნის უშუალო მიერთებისაგან თავს იკავებდა. 1803 წელს გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა „სათხოვარ ჰუნქტებს“, სადაც ის ოდიშისა და აფხაზეთის მთავრად აცხადებდა თავს, რითაც ამ მხარეზე პრეტენზიას აცხადებდა. სამეგრელოს ნაწილად აფხაზეთის წარმოჩენას ისახავდა მიზნად გრიგოლ დადიანის მიერ რუსეთში დესპანად გაგზავნილ არქიმანდრიტ ჰაფნოტი ხოზიაშვილისთვის მოქვის ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება (გამახარია, 2005: 343). 1803 წ. 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა სამფარველო ხელშეკრულებას და რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა (ხორავა, 1996: 170).

ცოტა უფრო ადრე, იმავე 1803 წ. გრიგოლ დადიანმა პ. ციციანოვს აცნობა, რომ „ქელემ-ბეგ მარვაშიძე, მფლობელი აფხაზეთისა, ეძიებს მფარველობასა რუსეთისა“, და თითქოს ის არ იყო დამოკიდებული ოსმალეთზე და მან თვითონ სთხოვა სამეგრელოს მთავარს რუსეთის ხელისუფლებასთან შუამავალი ყოფილიყო. პ. ციციანოვმა გრიგოლ დადიანს შესთავაზა, ერჩია ქელემ-ბეისთვის ამ საქმისთვის საგანგებო კაცი გამოეგზავნა ან წერილობით განეცხადებინა თავისი სურვილი, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა სურდა. ამასთან, განეცხადებინა, რომ ფოთს თავისი ხალხით იცავდა არა იმიტომ, რომ ოსმალეთისაგან ჯამაგირს იღებდა, არამედ იცავდა როგორც საკუთარ სამფლობელოს, რომელიც მზად იყო გადაეცა რუსეთისთვის, ასევე ანაკლიაც. პ. ციციანოვი გრიგოლ დადიანს პირობას აძლევდა, რომ ყოველივე ეს შეწყნარებული იქნებოდა და ის მფარველობას მიიღებდა. სამეგრელოს სამთავროს შეერთებით რუსეთი გზას იკაფავდა შავი ზღვის სანაპიროსკენ და შეეძლო ზეწოლა მოეხდინა იმერეთის სამეფოზეც. 1804 წ. 25 აპრილს, რუსეთის ადმინისტრაციის ზეწოლით სოლომონ II იძულებული გახდა რუსეთის მთავრობის მიერ ნაკარნახევი სამფარველო პირობები მიეღო. 25 აპრილის ელაზნაურის სამფარველო ხელშეკრულება გურიის სამთავროზეც ვრცელდებოდა, რადგან გურია იმერეთის სამეფოს შემადგენელ სამთავროდ ცხადდებოდა (დუმბაძე, 1973a: 855-856).

იმპერატორმა იმერეთის მეფესთან დადებული ხელშეკრულება და დადიანის „სათხოვარი ჰუნქტები“ ერთდროულად, 1804 წ. 4 ივლისს დაამტკიცა. ამ აქტით ოდიშის სამთავრო, გურიის სამთავრო და იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ავტონომიური ერთეულები გახდნენ. მალე, საქართველოს მთავარსარდალმა „სამეგრელო-იმერეთისა და გურიის მმართველად“ საგანგებო მოხელე – გენერალი პეტრე ლიტვინოვი გამოგზავნა, რომლის მიზანი მეფე-მთავრებთან დადებული შეთანხმების პრაქტიკული ხორცშესხმა იყო (AKAK, II, 1868: 545). მას შემდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე რუსეთი გაბატონდა, ცხადია, აფხაზეთი ამ პროცესის მიღმა ვერ დარჩებოდა. ქელემ-ბეი მარვაშიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები, ამასთან ოსმალეთის იმპერია ღრმა კრიზისს განიცდიდა. იგი ხვდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა,

რადგან აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ნაწილი იყო (**Антелава, 1951**: 98-99; **ქორთუა, 1964**: 187). ამიტომ იგი რუსეთთან დაახლოებისკენ ისწრაფვოდა.

პირველი ინფორმაცია აფხაზეთის მთავრის ამგვარ განწყობებზე გაჩნდა ჯერ კიდევ 1803 წელს, როდესაც სამეგრელოს მთავრის რწმუნებულებმა, *ქახოს-რო* და *როსტომ კვინიხიძეებმა* პავლე ციციანოვს აცნობეს, რომ ქელემ-ბეი შარვაშიძეს რუსეთის მფარველობის მიღება და ოსმალთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდა (**АКАК, II, 1868**: 536). მეტიც, 1803 წ. 30 ივნისს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ ქელემ-ბეის სურდა სამეგრელოს სამთავროსთან ერთად შესულიყო რუსეთის მფარველობაში. გრიგოლ დადიანი ხაზს უსვამდა, რომ ქელემ-ბეი აფხაზეთის სამთავროს ოსმალეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნევდა (**АКАК, II, 1868**: 536). მაგრამ, მიუხედავად ქელემ-ბეის სურვილისა, დაახლოებოდა რუსეთს, ცარიზმი რთული საერთაშორისო ვითარების გამო, სიფრთხილეს იჩენდა. პეტერბურგი კარგად ხედავდა, რომ მოსალოდნელი იყო ომი ნაპოლეონთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა. თავის მხრივ, ქელემ-ბეიც ფრთხილობდა და მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ეძიებდა რუსეთის მფარველობას, ოფიციალურად არ წყვეტდა კავშირს ოსმალეთთან და მის სამსახურში იმყოფებოდა – ის ერთგვარად ორმაგ თამაშს ეწეოდა (**Антелава, 1951**: 98-99). თანდათან იკვეთებოდა ოსმალეთთან ქელემ-ბეის დაპირისპირების კონტურები, რასაც კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყურადღებით აკვირდებოდა (**АКАК, II, 1868**: 190). პ. ციციანოვმა დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ დიპლომატს პ. ლიტვინოვს დაავალა საიდუმლოდ ეწარმოებინა მოლაპარაკება ქელემ-ბეისთან რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის შესვლის თაობაზე. პ. ლიტვინოვს ქელემ-ბეის სურვილის გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა, რის შესახებაც მან მოახსენა კიდევ პ. ციციანოვს (**АКАК, II, 1868**: 536).

ამ პერიოდში, აფხაზეთის მთავარს, მასთან მძევლად მყოფი სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის გამო, კავკასიაში რუსეთის სარდლობასთან ურთიერთობა დაეძაბა. 1804 წ. 23 ოქტომბერს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე, 12 წლის ლევანი აფხაზთა მთავარს ჰყავდა მძევლად. სამეგრელოს სამთავროს მესვეურებმა ქელემ-ბეის სთხოვეს ტახტის მემკვიდრის გათავისუფლება, მაგრამ მან საზღაურად დიდი თანხა მოითხოვა. როდესაც ეს ცნობილი გახდა პ. ციციანოვისათვის, იმერეთსა და სამეგრელოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ ი. რიკპოვს უბრძანა, თუ ქელემ-ბეი ლევანს არ გაათავისუფლებდა, „წარვიდეს თვისითა რწმუნებულითა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა დაშთეს ქვა-ქვასა ზედა, რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად“ (**დადიანი, 1962**: 194).

1805 წ. მარტში ი. რიკპოვმა თავისი რაზმით და სამეგრელოს სახალხო ლაშქრით მდ. ენგური გადალახა, სამურზაყანოში 20 ვერსის სიღრმეზე შეიჭრა, სამურზაყანოს თავად-აზნაურებს რუსეთის ერთგულების ფიცი დაადებინა და მძევლები

აიყვანა. შეტევის შემდგომი გაგრძელება შეაფერხა უგზოობამ, ამიტომ გენერალი უკან მობრუნდა და გეზი ანაკლიისკენ აიღო. 28 მარტს ი. რიკჰოფმა სამ საათში აიღო კარგად გამაგრებული ანაკლიის ციხე და ზღვით სოხუმზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, როდესაც საომარი მოქმედებებით შეშინებულმა ქელემ-ბეიმ 2 აპრილს ლევანი გაათავისუფლა, 8 მძევალიც გამოგზავნა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა ითხოვა (**AKAK, II, 1868: 510**). 1805 წ. 16 აპრილს ი. რიკჰოფი პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ აფხაზი თავადები, ვისგანაც მძევლები მიიღო, და ასევე ისინიც, ვინც წინათ დადიანის მორჩილებაში იყვნენ მდ. ლალიძგამდე, გარდა ბეჟან შარვაშიძისა, რომელიც ვერაფერმა დაარწმუნა და მთებში გაიქცა, კვლავ სამეგრელოს სამთავროს მფლობელობაში შემოვიდნენ, რაზეც ფიცი მისცეს ლევან დადიანს, და რუსეთის მფარველობაში შესვლა სურდათ (**AKAK, II, 1868: 514**).

რუსეთის გააქტიურება აფხაზეთის მიმართ, მტკივნეულად განიცადა ოსმალეთმა. ანაკლიის ციხის აღების გამო, რომელსაც ქელემ-ბეი ფლობდა, თუმცა ფორმალურად ოსმალეთს ეკუთვნოდა და ოსმალთა მეციხოვნეებიც იდგნენ, პორტამ რუსეთის ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა. ალექსანდრე I იძულებული გახდა სულტნისადმი გაგზავნილ წერილში ბოდიში მოეხადა ამ ინციდენტის გამო და ელიარებიანა, რომ ეს ფაქტი შეცდომისა და გაუგებრობის ნიადაგზე მოხდა (**ქორთუა, 1964: 111**). 1805 წ. ივლისში გენერალ პ. ლიტვინოვს შეხვდა ოსმალეთის რეის ეფენდი, რომელმაც მას კატეგორიულად მოსთხოვა შავი ზღვის სანაპიროს „სოხუმიდან დაწყებული ვიდრე ბათუმამდე“ დაეცა (**AKAK, II, 1868: 518**). იმპერატორმა პ. ციციანოვს დაავალა, დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ოსმალეთისათვის ანაკლია (**ქორთუა, 1964: 111**). ოსმალეთი აღნიშნული განმარტებით დაკმაყოფილდა. 1805 წ. ოქტომბერს რუსებმა ქელემ-ბეის ანაკლია დაუბრუნეს და ათასი მანეთიც გადასცეს იმ ზარალის საზღაურად, რაც მას მიადგა. ამასთან, ლიტვინოვმა კატეგორიულად გააფრთხილა პორტა, შარვაშიძისთვის ტყვის სყიდვა აეკრძალა (**AKAK, II, 1868: 534; ქორთუა, 1964: 111**).

1805 წ. 9 ივლისს სამეგრელოს ახალმა მთავარმა ლევან V დადიანმა (1805-1840) რუსეთის ერთგულების ფიცი დადო. ფიცი დადეს აგრეთვე სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ და ლევან შარვაშიძეებმა, როგორც ოდითგან სამეგრელოს კუთვნილი სამფლობელოს მფლობელებმა: „ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, აფხაზეთის თავადნი, სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვლით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავადაზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ დემეროს და წმინდა სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამიწდლოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და დალატობაში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან დალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიან სწრაფად შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და როგორც ზემო სწერია ის არ აღვასრულო, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც

ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი და-ლიანისა“ (AKAK, II, 1868: 527, ხაზგასმა ჩვენია – ბ.ხ.). ე.ი. სამურზაყანომ, სადაც XVIII ს. 90-იანი წლების მიწურულიდან ქელემ-ბეის გავლენა ვრცელდებოდა, სამეგრელოს მთავრის უზენაესობა აღიარა.

სამურზაყანოს რუსეთის მფარველობაში შესვლისა და დასავლეთ საქართველოში რუსეთის პოზიციების განმტკიცების პირობებში ქელემ-ბეის აეჭვებდა რა წარმატების გარანტია შეეძლო მისთვის მიეცა ოსმალეთთან კავშირს და კურსი სიუზერენთან აშკარა კონფრონტაციისკენ აიღო. ასეთ ვითარებაში, 1806 წ. მარტის ბოლოს, ქელემ-ბეისთან თავშესაფარი ჰპოვა ტრაპეზუნდელმა თაიარ ფაშამ, რომელსაც სახელმწიფო დალატში ედებოდა ბრალი და გადაწყვიტა რუსეთისთვის შეეფარებინა თავი (AKAK, II, 1868: 534, ქორთუა, 1964: 111). ჭანეთის ფაშა თაიარი განუდგა სულტან სელიმ III-ს (1789-1807) და ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ანატოლიის სხვა ფაშებზე აემხედრებინა. მან მიმოწერა გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან მფარველობაში შესვლის შესახებ და პირობას ედებდა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და მთელ ანატოლიას რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანდა (AKAK, II, 1868: 885). როდესაც თაიარ ფაშას დალატი გამჟღავნდა, სულტანმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, მაგრამ მეამბოხე ფაშა აფხაზეთში გაიქცა (ქობერი, 1997: 92). როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა ქელემ-ბეის ანტიოსმალური და პრორუსული განწყობის შესახებ, რადგან სწორედ მას შეაფარა თავი. სოხუმიდან თაიარ ფაშამ მოლაპარაკებები გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან, ამასთან თავისი სამსახური შესთავაზა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის საქმეში, რაც, ფაქტობრივად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის გაბატონებას მოასწავებდა (AKAK, II, 1868: 872; Дзидзария, 1988b: 32-33).

ბრწყინვალე პორტამ ქელემ-ბეის მოსთხოვა თავი მოეკვეთა მეამბოხე ფაშასათვის, მაგრამ მთავარმა ბრძანება არ შეასრულა. მაშინ, სულტანმა თაიარ ფაშას გადაცემის მოთხოვნით მიმართა აფხაზ ფეოდალებს (ძაფშ-იფა, მარტანია და სხვ.) და შესთავაზა გავლენა მოეხდინათ ქელემ-ბეიზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა (Дзидзария, 1988b: 33). ამის პასუხად, 1806 წ. მაისში ქელემ-ბეიმ თხოვნით მიმართა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას, მიეღო აფხაზეთი რუსეთის მფარველობაში და ოსმალეთისაგან ძალადობის შემთხვევაში დაეცვათ იგი. მაგრამ, რადგან ის ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა, რუსეთის ხელისუფლება მასთან ურთიერთობისგან თავს იკავებდა. ამასთან, რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ქელემ-ბეის მიმხრობა ან თუნდაც მისი ნეიტრალიზებაც კი სასარგებლო იქნებოდა; კარგი იქნებოდა მისი დაყოლიება, რომ ურთიერთობა არ ჰქონოდა იმერეთის მეფესთან, რომელიც თუ მას თავის მხარეზე გადაიყვანდა, სამეგრელოს მნიშვნელოვან ვნებას მოუტანდა (AKAK, III, 1869: 190, 194).

იმავდროულად, ქელემ-ბეიმ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სამეგრელოს სამთავროსთან. გენერალ ი. რიკჰოფის შუამავლობით, აფხაზეთისა და სამე-

გრელოს მთავრები, რომლებიც XIX ს. დასაწყისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ. 20 მაისს სამეგრელოს დედოფლის *ნინო დადიანისადმი* გაგზავნილ წერილში ქელემ-ბეი წერდა: „ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შევიდეთ და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე“ (AKAK, III, 1869: 190). ამასთან, აფხაზთა სამთავრო სახლი დაუმოყვრდა სამეგრელოს სამთავრო სახლს. ქელემ-ბეის ვაჟი *საფარ-ბეი* ფარულად მოინათლა (ნათლობის სახელი – *გიორგი*) და სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და *თამარი* შეირთო (AKAK, III, 1869: 202, 209; *Утверждение*, 1904: 541). ეს ფაქტი მოასწავებდა აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ კავშირს რუსეთის მფარველობაში მყოფ სამეგრელოსთან და ქელემ-ბეის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე ნათლად მეტყველებდა.

როგორც ჩანს, აფხაზთა მთავარს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის მფარველობაში შესვლა და ეს საკითხი ივნისში სახალხო ყრილობაზე განსახილველად გაიტანა. სახალხო ყრილობამ, რომელიც ჩვეულებრივ ლიხნში, მთავრის სასახლისწინა მოედანზე გაიმართა, მხარი დაუჭირა ქელემ-ბეის პოლიტიკურ კურსს (AKAK, III, 1869: 191-192, 574). ამ ფაქტმა აფხაზთა მთავრის პოზიციები კიდევ უფრო გაამყარა. „ბრწყინვალე პორტა“ შეეცადა სამხედრო ძალით დაემორჩილებინა ურჩი ვასალი. ამასთან, ოსმალეთი დიდი ხანია დასავლეთ საქართველოში შეჭრისათვის საბაბს ეძებდა და ჩათვალა, რომ ხელსაყრელი დრო დაუდგა. 1806 წ. ივნისის დასაწყისში სულტანმა ახალციხისა და არზრუმის ფაშებს უბრძანა ქელემ-ბეის დასჯის მოტივით იმერეთსა და სამეგრელოში შეჭრილიყვნენ და შავი ზღვის სანაპიროს დაუფლებოდნენ. ხმელეთზე მოქმედი ჯარისათვის მხარი უნდა დაეჭირა ოსმალეთის საზღვაო ფლოტს (AKAK, III, 1869: 517-518).

1806 წ. ივლისში აფხაზეთის სანაპიროსაკენ დაიძრა ოსმალეთის ესკადრა 11 ხომალდის შემადგენლობით *იურიუ ბაირახდარის* მეთაურობით. საზღვაო ესკადრის მეთაური ცდილობდა გადაებირებინა ზოგიერთი აფხაზი ფეოდალი, მათ შორის, სამუზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე, მაგრამ უშედეგოდ. ქელემ-ბეიმ რუსეთის ხელისუფლებას მიმართა დახმარების თხოვნით, მაგრამ რუსეთი აფხაზეთის საკითხში ისევ სიფრთხილეს იჩენდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმიის კავკასიის სარდლობამ მიიღო ალექსანდრე I-ის ბრძანება, რომ თუ ოსმალეთის არმია სამეგრელოს გავლით აფხაზეთისაკენ დაიძრებოდა, მისთვის გზა მოეჭრათ (AKAK, III, 1869: 192-193; *Очерки I*, 1960: 133-134). ოსმალეთის აგრესიის მოსაგერიებლად ქელემ-ბეიმ შეძლო 25 ათასი მეზრძოლის დარაზმვა. აქედან, 10-12 ათასი იყო მხოლოდ აფხაზი, დანარჩენი – დაქირავებული ჩერქეზები იყვნენ. 25 ივლისს ოსმალეთის ესკადრა სოხუმს მიადგა, მაგრამ როდესაც თურქები დარწმუნდნენ, რომ ქალაქი მტკიცედ იყო დაცული და ქელემ-ბეის განზრახული ჰქონდა მტკიცე წინააღმდეგობა გაეწია, იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ახალციხისა და არზრუმის ფაშებმაც აფხაზეთში ლაშქრობისაგან თავი შეიკავეს. პორტასთვის ცხადი გახდა, რომ რა საბაბითაც არ უნდა ყოფილიყო ოსმალეთის ჯარების შეჭრა

იმერეთსა და სამეგრელოში, რუსეთის ხელისუფლების მიერ ეს ფაქტი აღქმული იქნებოდა როგორც „სამშვიდობო ტრაქტატის“ დარღვევა, რადგან ეს კუთხეები რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა. ამიტომ, ოსმალეთის ხელისუფლებამ ხმელეთით ჯარის გაგზავნისაგან თავი შეიკავა. ამ დროიდან, როგორც თაიარ-ფაშა აღნიშნავდა, აფხაზთა მთავარი „სულტნის ბრძანებებს არ ასრულებდა“ (AKAK, III, 1869: 191-193, 519-521).

მალე, აფხაზეთში პოლიტიკური ვითარება გართულდა. ოსმალეთმა გამოიყენა აფხაზთა სამთავრო კარზე არსებული უთანხმოება და ქელემ-ბეის მის მიერ ათვალწუნებული უფროსი შვილი ასლან-ბეი დაუპირისპირა. ცოტა ხნით ადრე, ქელემ-ბეიმ სამთავრო ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა ასლან-ბეის, რომელიც მას პირველი ქორწინებიდან, ძაფშ-იფას ქალისაგან ჰყავდა და ეს უფლება გადასცა საფარ-ბეის, რომელსაც, როგორც დაბალი წარმოშობის ქალის შვილს, ქელემ-ბეის მეორე ცოლის, ანხაიუ ლეიბასაგან, ეს არ ეკუთვნოდა. ოსმალოფილური დაჯგუფების მიერ, რომელშიც შედიოდნენ ემერელი ძაფშ-იფები და ასლან-ბეი, ოსმალეთის მხარდაჭერით მომზადდა შეთქმულება აფხაზთა მთავრის წინააღმდეგ, მაგრამ იგი გამჟღავნდა. ქელემ-ბეი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს, მან თავის სასახლეში ვითომცდა მოსალაპარაკებლად მიიწვია სამი ძმა ძაფშ-იფა და მოაკვლევინა. ამ საგვარეულოს დანარჩენი წარმომადგენლები შურისძიების შიშით წებელში გაიქცნენ, მათი საგვარეულო მამული მდ. შიკვარას და მდ. აძაფშს (დამჰალა) შორის, ქელემ-ბეიმ უშუალოდ თავის მამულს შეუერთა, რადგან ადათით, ძაფშ-იფებმა, როგორც აბრაგად გავარდნილებმა, საკუთრებაზე ყოველგვარი უფლება დაკარგეს (Пахомов, 1953: 231; Дзидзария, 1988b: 38-39). ამ ღონისძიებებით ქელემ-ბეიმ ვითარების სტაბილიზაცია შეძლო.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობა, რომელიც დღე-დღეზე მოელოდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ცდილობდა მოფერებოდა ყველას, ვინც მის მიმართ კეთილგანწყობას იჩენდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი ბუდბერგმა 5 სექტემბერს კავკასიის ხაზზე და საქართველოში მთავარსარდალს ივანე გუდოვიჩს (1806-1809) აუწყა ხელმწიფის ნება, ოსმალეთთან ურთიერთობის გაწყვეტისთანავე გამოეცხადებინა ქელემ-ბეისათვის რუსეთის ქვეშევრდომობაში ოფიციალურად მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში არ გაჭირდებოდა პეტერბურგიდან სიგელისა და ინვესტიტიურის ქელემ-ბეისათვის გაგზავნა (AKAK, III, 1869: 193).

რუსეთის ხელისუფლება დიდად იყო დაინტერესებული შავი ზღვის ადმოსავლეთ სანაპიროს და, სახელდობრ, აფხაზეთის დაუფლებით. ცარიზმს აწუხებდა ის გარემოება, რომ ამ რეგიონში მხოლოდ მცირე მონაკვეთს ფლობდა, – მდ. ენგურის მარცხენა ნაპირიდან, ანაკლიის ციხიდან – მდ. რიონის შესართავამდე, ერთადერთი სიმაგრით, სახელდახელოდ აგებული ყულევიტ (რედუტ-კალე). შავი ზღვის ვრცელი სანაპირო ზოლი ანაპის ციხიდან მდ. ენგურის შესართავამდე და რიონის მარცხენა ნაპირიდან, – პორტას მფლობელობაში იყო, მათ შორის, სოხუმ-კალეს, ისგაურის, ანაკლიის, ფოთის, ბათუმის, გონიოს ციხეები. ამიტომ რუსეთის

საგარეო საქმეთა მინისტრი ბარონი ა. ბუდბერგი ი. გუდოვიჩს 1806 წ. 25 სექტემბრის წერილში წერდა: „**ეს ციხეები უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამიტომ არ შეიძლება არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება და მთის ხალხების, ყუბანს იქით მცხოვრები ტომების, – დამორჩილება, რომლებიც ანაპასა და სხვა თურქულ ციხეებში თავშესაფარს პოულობენ**“ (AKAK, III, 1869: 525-526, ხაზგასმა ჩვენია – ბ.ბ.).¹

1806 წ. ოქტომბერში ქელემ-ბეიმ თაიარ ფაშა თავრიდაში გაისტუმრა და ნება დართო შუამდგომლობა გაეწია აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში მიღების საქმეში. ამასთან, მას გადასცა ის მოთხოვნები, რა პირობებითაც სურდა რუსეთის მფარველობაში შესვლა. მაჰმედ თაიარ-ბეიმ ნოვოროსიის გენერალ-გებერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ ემანუელ დიუკ დე რიშელიეს გადასცა ქელემ-ბეის მოთხოვნები, რომელიც რვა მუხლისაგან შედგებოდა: აფხაზები მზად იქნებიან ერთგულად ემსახურონ იმპერატორს თავის ქვეშევრდომად აღიარების შემთხვევაში; ქელემ-ბეი დარჩეს აფხაზთა მთავრად; ებოძოს მას ჩინი და დაენიშნოს წოდების შესაფერისი ჯამაგირი; მისი 6 შვილიდან საფარ-ბეის ებოძოს ასევე შესაფერისი ჩინი და დაენიშნოს ჯამაგირი; ხოლო მეორე შვილი მზად იყო პეტერბურგში სასწავლებლად (ფაქტობრივად, მძევლად) გაეგზავნა; ითხოვდა 30 აფხაზი აზნაურის დაჯილდოებას; პორტას თავდასხმის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სურსათით; ქელემ-ბეის სიმაგრე შეიარაღდეს რუსული ქვემეხებით და გაიგზავნოს იქ კანონირები; რუსეთში აკრძალული ტყვის სყიდვა, მათ არ უნდა აეკრძალოთ, რადგან უამისოდ არსებობა არ შეუძლიათ. ამასთან, ქელემ-ბეი პირობას დებდა, რომ თავისი 6 ათასი მეომრით საქართველოს საზღვრებზე და თბილისის მახლობლად გააგრძელებდა რუსეთის ტახტისადმი სამსახურს, ხელისუფლებას ჰპირდებოდა ხე-ტყეს გემთმშენებლობისათვის, რამდენიმე ადგილს ნავმისადგომად, რომლებიც კარგი თავშესაფარი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსე-

¹ როგორც ა. ბუდბერგის ამ მოწერილობიდან ირკვევა, რუსეთის იმპერიის საგარეო უწყებას XIX ს. დამდეგისათვის ჰქონია საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ისტორიული საქართველოს საზღვრებზე, რომელიც უთუოდ შესაბამისი საისტორიო მასალის ცოდნას ეფუძნებოდა. სწორედ ამ ცოდნაზე დაყრდნობით აცხადებდა რუსეთის ხელისუფლება, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ციხე-სიმაგრე – სოხუმ-კალედან დაწყებული გონიოს ჩათვლით „**უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა**“/„...издревле принадлежавшая к царству грузинскому“. მეტიც, ა. ბუდბერგის წერილის მოცემული პასაჟის კონტექსტიდან გამომდინარე, რუსული მხარე თვით ანაპასაც კი ისტორიულად ამკარად საქართველოს სამეფოს კუთვნილ ტერიტორიად მიიჩნევდა. ყოველივე ამის ფონზე უბრალოდ კომიკურად გამოიყურება დღევანდელი რუსეთის უმაღლესი ხელისუფლის „ბრძნული“ გამონათქვამები იმის შესახებ, რომ აფხაზეთი 1810 წელს, როგორც „დამოუკიდებელი სამთავრო“ შეუერთდა რუსეთს, ხოლო „**საქართველოს საერთოდ არ არსებობდა – ეს თბილისის გუბერნია იყო**“/„Никакой Грузии не было, это была Тифлисская губерния“ (Путин, 2019. ამის შესახებ იხ. Гамахария, 2019).

თის ფლოტისათვის ზამთარში. 1806 წ. 14 ნოემბერს ა. ბუდბერგი რიშელიესადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა აფხაზთა მთავრის რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების მნიშვნელობას და რეკომენდაციას აძლევდა, ხელი მოეწერა ქელეშ-ბეისთან პრელიმინარული შეთანხმებისთვის მის მიერ წარმოდგენილ პირობებზე (AKAK, III, 1869: 191-192, 194-195).

1806 წ. 24 დეკემბერს პორტამ რუსეთს ომი გამოუცხადა. 1807 წ. 7 იანვარს ა. ბუდბერგმა ოსმალეთთან ომის დაწყებასთან დაკავშირებით საგანგებო მიწერილობა გაუგზავნა ი. გუდოვიჩს და დაავალა ეცადა სპარსეთთან ზავის დადება ან დროებითი დაზავება მაინც; კავკასიაში არსებული რუსეთის მთელი ძალები საქართველოს მეზობელი თურქული ოლქების წინააღმდეგ წარემართა; ოსმალეთთან საბრძოლველად მიეწვია ქელეშ-ბეი, ყარსის ფაშა, ტრაპიზონის ფაშა თაიარი, რომელიც სულტანს შეურიგდა, და მოლაპარაკება დაეწყო ანაპის ციხის უფროსთან რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე (AKAK, III, 1869: 531-532). ოსმალეთთან ახალი ომის (1806-1812 წწ.) დაწყება ხელ-ფეხს უხსნიდა რუსეთს აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად. ომის დაწყებისას ქელეშ-ბეიმ რუსეთის სარდლობას აცნობა, რომ თურქებს განზრახული ჰქონდათ თავს დასხმოდნენ ყულევს, ამავე დროს, აფხაზეთის მთავარი საჭიროების შემთხვევაში ჯარის მოშველიებას თხოულობდა (AKAK, III, 1869: 196).

ოსმალეთის მოკავშირე საფრანგეთი ცდილობდა მტკიცე ანტირუსული ფრონტის შექმნას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირანმა 1807 წ. 20 იანვარს საფრანგეთის ელჩს ოსმალეთში სებასტიანს, საგანგებო ინსტრუქცია მისცა: „აუცილებელია, რომ თურქეთის ესკადრამ იმოქმედოს შავ ზღვაში, სადაც რუსებს არ ძალუძთ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ. საჭიროა ასევე სპარსეთის ძალისხმევა საქართველოსაკენ წარვმართოთ. მიაღწიეთ პორტსაგან, რომ მან უბრძანოს არზრუმის ფაშას, მთელი თავისი ძალებით დაიძრას ამ პროვინციისაკენ. კეთილი ურთიერთობა შეინარჩუნეთ აფხაზთა მთავართან და დაარწმუნეთ ის მონაწილეობა მიიღოს საერთო მტრის წინააღმდეგ დიდ დივერსიაში. დაე, ამ მთავარმა, არზრუმის ფაშამ, სპარსელებმა და პორტამ ერთდროულად შეუტიონ საქართველოს, ყირიმსა და ბესარაბიას“ (Иоаннисян, 1958: 145). როგორც ჩანს, ტალეირანისთვის ქელეშ-ბეი ცნობილი იყო როგორც პორტას ვასალი და მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალის მქონე მმართველი, რომლის გამოყენებას აუცილებლად თვლიდა. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, ცნობილი იყო რუსეთის მთავრობისათვის. ამიტომაც არ ენდობოდნენ სანქტ-პეტერბურგში ქელეშ-ბეის და მიიჩნევდნენ, რომ ის ორმაგ თამაშს ეწეოდა.

კავკასიაში საომარი მოქმედებები დაიწყო 1807 წ. 8 თებერვალს თურქების რედუტ-კალეზე თავდასხმით, რომელსაც ბელევის პოლკის სამი ასეული იცავდა. რუსებმა შეძლეს ამ შეტევის მოგერიება. რუსეთის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა ხელთ ეგდო შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები – ანაპა, სოხუმი, ფოთი და სხვა. ამიტომ ი. გუდოვიჩს ებრძანა არ შემოფარგლულიყო პასიური თავდაცვით,

შეტვივითი მოქმედება ეწარმოებინა ოსმალების წინააღმდეგ და ეს ციხეები დაიპყრო. რუსეთის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფოთის ციხის აღებას. მაისის დასაწყისში რუსთა და ქართველთა ლაშქარი გენერალ ი. რიკჰოფის სარდლობით ფოთის აღებას შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო (**ქორთუა, 1964**: 160-170).

მთელი ამ საომარი მოქმედებების მსვლელობისას ქელეშ-ბეის მომლოდინე პოზიცია ეკავა. 1807 წ. 14 ივლისის წერილში ქელეშ-ბეისადმი, ი. გუდოვიჩი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ის რუსეთის არმიას დახმარებას არ უწევდა და, უფრო მეტიც, ეჭვს აღძრავდა, რომ მოწინააღმდეგეს ეხმარებოდა. ი. გუდოვიჩი ქელეშ-ბეისაგან მოითხოვდა რუსეთისადმი ერთგულების დამტკიცებას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით. იგი აფხაზთა მთავარს აშინებდა, რომ თუ მაშველ ჯარს ყუღევთან არ გამოიყვანდა, მაშინ „დიდ წყალობას“, ანუ იმპერატორის მფარველობას ვერ მიიღებდა. ქელეშ-ბეი ომში არ ჩაბმულა, მაგრამ მან საშუალება არ მისცა თურქებს დესანტი გადმოესხათ აფხაზეთის სანაპიროზე და ეს მხარე საომარი მოქმედებების პლაცდარმად ექციათ (**АКАК, III, 1869**: 197-199).

1807 წ. აგვისტოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულებით დასავლეთ საქართველოში რჩებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები, მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები შავი ზღვის სანაპიროზე და ოსმალეთის ხელიდან შავიზღვისპირა პროვინციების, მათ შორის, აფხაზეთის, გამოსხნისათვის ნიადაგი მზადდებოდა (**ქორთუა, 1964**: 185). 1807 წ. 23 აგვისტოს რედუტ-კალედან სოხუმში ჩავიდა გემი „კონსტანტინე“, რომლის მეთაური ფ. სკირნევსკი შეხვდა ქელეშ-ბეის. მისი ინფორმაციით, მთავარი მოუთმენლად ელოდა ცნობას რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ (**ВПР, 1965**: 49). როდესაც ქვეშევრდომობაში მიიღებდნენ, იგი მზად იყო თავისი 16 წლის შვილი პეტერბურგში გაეგზავნა სამხედრო სამსახურში; ამასთან, თანახმა იყო, რუსეთის ფლოტის ხომალდებს სოხუმის რეიდისათვის თავი შეეფარებინათ (**ВПР, 1965**: 50).

ბრწყინვალე პორტასთვის ძნელი შეიქნა მემამბოხე ვასალის დამორჩილება და მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. პორტას დასაყრდენი კვლავაც სამთავრო კარიდან განდევნილი ასლან-ბეი იყო. იგი აფხაზთა და ჯიქთა რაზმით თავს ესხმოდა სამეგრელოს სამთავროს სანაპირო სოფლებს და არბევდა. შემდეგ ის მონანიე შვილის სახით მივიდა ქელეშ-ბეისთან და შეურიგდა მას, თუმცა, როგორც ჩანს, მამისა და ძმის – საფარ-ბეის ჩამოშორებას და გამთავრებას იმთავითვე ფიქრობდა (**Дзидзария, 1940**: 16). 1808 წ. 2 მაისის დამეს ასლან-ბეი, ბეჟან შარვაშიძესთან და თავის ამაღლასთან ერთად, სოხუმის სასახლეში თავს დაესხა ქელეშ-ბეის, სასიკვდილოდ დაჭრა და შემდეგ ხმლით აკუნა. თავდასხმისას დაიჭრა ქელეშ-ბეის უმცროსი შვილი ბათალ-ბეი. ასლან-ბეი დაუფლა სოხუმის ციხეს და თავი აფხაზთა მთავრად და ოსმალეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა.

ბრწყინვალე პორტამ სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და ასლან-ბეის სამხედრო და მატერიალური დახმარება გაუწია (**АКАК, III, 1869**: 200; **Утверждение, 1902**: 41; **დადიანი, 1962**: 197; **Очерки I,**

1960: 137). *საფარ-ბეი (გიორგი)*, რომელიც ქელემ-ბეის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული მემკვიდრედ, ზუფუში (ლიხნი) იმყოფებოდა. იგი შეეცადა საკუთარი ძალებით აეღო სოხუმის ციხე, მაგრამ ვერ შეძლო და სამეგრელოში წავიდა (**დადიანი, 1962: 197**). მას ფართო მხარდაჭერა არ ჰქონდა აფხაზეთში, ამიტომ გადაწყვიტა რუსეთის დახმარებით დაემარცხებინა ასლან-ბეი და მთავრის ტახტზე დამკვიდრებულიყო. თავის მხრივ, *ნინო დადიანი* ჩააგონებდა საფარ-ბეის, რომ საუკეთესო საშუალება სამთავრო უფლების განსამტკიცებლად მისთვის იქნებოდა მამის სურვილის შესრულება – რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, და ამაში შუამდგომლობას და დახმარებას შეპირდა. სამეგრელოდან საფარ-ბეი დედოფალ ნინოს მეშვეობით დაუკავშირდა ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციას, დახმარება ითხოვა და აცნობა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება რუსეთის მფარველობაში შესულიყო (**AKAK, III, 1869: 200, 201-202; დადიანი, 1962: 197; Очерки I, 1960: 137**).

1808 წ. 19 მაისის წერილით ი. გუდოვიჩმა ალექსანდრე I-ს აცნობა აფხაზეთა მთავრის ქელემ-ბეის მოკვლა შვილის, ასლან-ბეის მიერ და რომ იგი მთელი აფხაზეთის დაუფლებას ცდილობდა; ტახტის კანონიერი მემკვიდრე საფარ-ბეი დახმარებას ითხოვდა და პირობას დებდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდა. ი. გუდოვიჩი აღნიშნავდა, რომ იმჟამად არ შეეძლო მის დასახმარებლად ჯარის გაგზავნა, რადგან ეს ოსმალეთს საბაბს მისცემდა ზავი დაერღვია (**AKAK, III, 1869: 198-199**). სამეგრელოს დედოფალი ნინოც დაუკავშირდა რუსეთის ხელისუფლებას და ცდილობდა აფხაზეთის ტახტზე გიორგი შარვაშიძის დამკვიდრებისათვის ხელი შეეწყო. დედოფალი ნინო ი. გუდოვიჩისადმი 8 ივნისს გაგზავნილ წერილში მიუთითებდა რუსეთისათვის აფხაზეთის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ასეთი შენაძენით, მისი აზრით, რუსეთის სახელმწიფოს შეუერთდებოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი, აფხაზეთის მეზობელი ჯიქები და ალანებიც დაუყოვნებლივ დამორჩილდებოდნენ რუსეთის იმპერატორს. იგი წერდა, რომ საფარ-ბეი საიდუმლოდ მონათლული იყო და თუ ხელმწიფე მას ქვეშევრდომობაში მიიღებდა, მთელ აფხაზეთში ქრისტიანობა გავრცელდებოდა. ამიტომ ითხოვდა, რომ მისთვის ანგარიში გაეწიათ და იმპერატორს მისი სიძე ქვეშევრდომობაში მიეღო, ებოძებინა ნიშანი და სიგელი, აგრეთვე აფხაზეთში ჯარები შეეყვანა. იმავე დღეს დედოფალმა იმპერატორსაც გაუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა, რომ სწორედ ახლა იყო ხელსაყრელი დრო რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მისაღებად, რადგან საფარ-ბეი სამეგრელოს სამთავრო სახლის წევრი და მეზობელი იყო, წინათაც ეს მხარე სამეგრელოს სამთავრო სახლის სამფლობელოს წარმოადგენდა (**AKAK, III, 1869: 201-203**). საფარ-ბეი შარვაშიძე რუსეთის ადგილობრივი სარდლობისაგან მფარველობაში მიღებას დაჟინებით ითხოვდა. 1808 წ. 21 ივნისს მან გენერალ-მაიორ ი. რიკჰოფს მიმართა წერილით და სთხოვა მის ქვეშევრდომ ხალხთან ერთად რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღო (**AKAK, III, 1869: 206**).

ოსმალეთთან დროებითი ზავის (1807-1809) პირობებში, როდესაც საზავო მოლაპარაკებები კვლავ გრძელდებოდა, რუსეთი აფხაზეთის საშინაო საქმეებში

ვერ ჩაერეოდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აფხაზეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლაზე ის ხელს აიღებდა (**ქორთუა, 1964**: 261). ი. გუდოვიჩმა ბრძანება მიიღო შედგომოდა ზრუნვას რუსეთის იმპერიის მფარველობაში აფხაზეთის შესაყვანად, მაგრამ ის არ ჩქარობდა და ოსმალეთთან მოლაპარაკებების დამთავრებას უცდიდა. ი. გუდოვიჩმა არ გაუწია ჯარით აშკარა დახმარება საფარ-ბეის, რასაც ის ითხოვდა, მაგრამ ი. რიკჰოფს მისწერა, აფხაზეთის დასამინებლად ეჩვენებინა, რომ ის მზად იყო საფარ-ბეისთვის დახმარება გაეწია, თუმცა აფხაზეთის საზღვრებში არ შესულიყო. ამასთან, ი. გუდოვიჩმა სამეგრელოს დედოფალს და მანუჩარ შარვაშიძეს დაავალა საფარ-ბეისთვის დახმარება გაეწიათ; იმავედროულად, მან საფარ-ბეის აცნობა, რომ იმპერატორი მას ქვეშევრდომობაში მიიღებდა (**АКАК, III, 1869**: 208-209).

ი. გუდოვიჩის ბრძანებით, 1808 წ. აგვისტოში ი. რიკჰოფმა სოხუმისკენ დაძრა ჯარის ნაწილი სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად. ლაშქრობას *ნიკო დადიანი* სარდლობდა. სოხუმის ციხის აღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ასლან-ბეი აიძულეს გაეთავისუფლებინა ქელემ-ბეის მეუღლე, მისი მესამე ცოლი *რებია-ხანუმ შარშანია* და მისი შვილი *ბათალ-ბეი*, რომელიც ქელემ-ბეიზე თავდასხმისას დაიჭრა. „და დავმძევლეთ ყოველი აფხაზეთი, – წერს ნ. დადიანი, – *ჯიქეთის საზღვრიდან ვიდრე ტალიძგა – დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მშვიდობით წამოვედით ოდიშამდე*“ (**დადიანი, 1962**: 197). ამავე ხანებში, ასლან-ბეის დასახმარებლად სოხუმში სამი ხომალდით ჩავიდა მისი ნათესავი, ფოთის ციხის კომენდანტი *ჟუჩუქ-ბეი შარვაშიძე*, ხოლო მთიდან სამასამდე ჩერქეზი ჩამოვიდა. ასლან-ბეისთანავე იყო ქელემ-ბეიზე თავდასხმის მონაწილე, რუსეთის სასტიკი მოწინააღმდეგე *ბუჯან შარვაშიძე*, რომელიც სამურზაყანოს რუსეთის მფარველობაში შესვლის დროიდან მთებში იყო გაქცეული (**АКАК, III, 1869**: 207, **Очерки, I, 1960**: 138; **История Абхазии, 1986**: 75). ასლან-ბეის მნიშვნელოვანი მომხრეები ჰყავდა აფხაზ ფეოდალთა შორის. მას მხარს უჭერდნენ მისი ძმა, აფხაზეთის ოლქის მმართველი *ჰასან-ბეი*, და აბჟუის მფლობელი *ალი-ბეი შარვაშიძე*, საფარ-ბეისადმი სიძულვილის გამო და იმის შიშით, რომ ის რუსეთის შემწეობით გამთავრდებოდა (**Маевский, 1896**: 1 приложение, 42).

სოხუმის ციხის დაუფლების უშუალოდ ცდამ *გიორგი შარვაშიძე* დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო რუსეთთან სამფარველო ხელშეკრულების, ე.წ. „*სათხოვარი პუნქტების*“ გაფორმება. „*სათხოვარი პუნქტების*“ ტექსტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეადგინეს, შემდეგ ის ქართულად ითარგმნა და როგორც ორიგინალი, გიორგი შარვაშიძეს წარედგინა. 1808 წ. 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და აფხაზეთის თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა „*სათხოვარი პუნქტების*“ ქართულ ტექსტს ხელი მოაწერეს. ამ დოკუმენტით გიორგი შარვაშიძე ითხოვდა, მისთვის მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ ამ მხარის მმართველობა და მისი სამფლობელოთი მფარველობაში მიეღოთ (**АКАК, III, 1869**: 209; **ВПР, 1965**: 526). „*სათხოვარი პუნქტების*“ ეს ტექსტი გიორგი შარვაშიძის ხელმოწერითა და ბეჭდით, აგ-

რეთვე აფხაზეთის თავადთა ხელმოწერებით დამოწმებული, რუსეთში გაიგზავნა. „სათხოვარ პუნქტებში“ ნათქვამია:

„უადუსტესისა მონარხის ყოვლად მოწყალისასა ხელმწიფისა ჩვენისა უშევრ-ლომილესი სათხოველი და მიცემა თავისა ჩემისა ქვეყნითურთ ჩემით წერი-ლითა ამით ჩემითა ესევითარად.

1. შჯულიერი მეძვიდრე და მპყრობელი აფხაზეთისა თავითვე სინდისი-თა ჩემითა შევეკრავ და შემოვალ მონად და მსახურად ვითარცა ყმა ყუდ უმოწყალესისა და უთვითმპყრობელისა სრულიად როსიის და სხვათა მპყრობლისა იმპერატორისა აღუქსანდრეს ჰავლეს ძისა და აგრეთვე ტახტისა მისისა მიმღებელისადმი ვითარცა სარწმუნონი ყმანი მისნი.
2. შეკვირი ამიერიდან წერილითა ამით და მივსცემ ჩემსა და ჩემთანა აფ-ხაზეთსა და აფხაზეთის შინა მკვიდრად ყმად და მონად ტახტსა ყუდ უმოწყალესისა ანუ უთვითმპყრობელისა, სუდ როსიისა მონარხისა და ეგრეთვე ტახტის მისისა მიმღებელისადმი ჰირველითავი სარწმუ-ნობითა ჩვენითა, რომელიცა წინაპარნი ჩვენნი ქრისტიანედ ბერძნითავე კანონითა სჯულისათა.
3. ინებოს მოწყალებით მოხედვა ჩვენი სახიერებისაგან მისის იმპერატო-რებითა დიდებულების და აღმინიშნოს მე ნიშნითა ვითარცა სხვანი მთავარნი აღნიშნული არიან საიმპერიოსა ტახტისადმი მონად.
4. უსამღთოესითა მოქმედებითა და მოწყალებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა გარდამომცეს მე მეძვიდრეობისა ჩემისა დამამ-ტკიცებელი და დამადგინებელი გრამატა, რათა ვიყო მე მთავრად და გამგებლად ქვეყნისა ჩემისა და აგრეთვე ძე ჩემი და ძის ძენი საუკუ-ნოდ იყვნენ აღუხოცელ მთავრობისაგან და მპყრობელობისა სამკვი-დროს სამფლობელოთა მოწყალებით ესრეთ, რომელ ყუე ტახტი სა-იმპერიო იყოს ბედნიერებით და ძლიერებით ხელმწიფედ მდგომარ-ე, ეგრეთვე, მეძვიდრეობა და მთავრობა ჩემი ეგოს უსამღთოესითა მოწყალებისა გრამოტითა ყუდ უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა უსაშუალოდ ხელმოწერითა და დამტკიცებით.
5. შეიზღუდოს ქვეყანა ჩემი მხედრობითა ყუდ უმოწყალესისა და უთვით-მპყრობელისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისათა.
6. სახიერებისა და კაცთმოყვარებისა გამო უთვითმპყრობელისა ხელმ-წიფისა ჩვენისა იმპერატორისა დაუკლებელ მექმნეს მე სარგებლობა და მოწყალება რა იგი აქუნდა მეძვიდრესა და მფლობელსა აფხაზე-თისა ქელაიმ აჰმად ბეგს მამასა ჩემსა.
7. ყოვლითა გულს მოდგინებითა ვიდრე სისხლითა წვეთამდე ვიწოდებ და ვინებებ ერთგულებასა და მონებასა და შეკვირი ფიცითა და აღთქ-მითა საუკუნისა ჰირისა დიდებითა და ვექმნები მორჩილ საქართვე-

ლოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნოთა მონათა და ყმათა ჩემთათანა და მივართმევ ხესა ხომალდისათვის ვითარი იგი მიირთვა უწინარეს ამისა პორტამან ათამანმან და აგრეთვე მადანსა ოქროსა და ვერცხლისასა უკეთუ იპოების ქვეყანასა შინა ჩემსა რაოდენისა ნაწილისა გარდმოცემათა უხვებისაგან ყუდ უმონყალესის და უთვითმპყრობელესისისა ხელმიფისა ჩვენისა.

ეს ვითარ უქვეშევრდომილესთა და უმხურვალესისა ერთგულებითა მივცემ თავსა ჩემ ქვეშე ქვეყანასა ჩემსა ტახტსა რუსეთის საიმპერიოსასა აღთქმითა და ფიცითა და სარწმუნოებითა ბერძენთა სჯულისათა რომელსაცა ხელს ვაწერთ ესრედ.

მთავარი მარვაშიძე გიორგი

თავადი მარვაშიძე თულა

ხელს ვაწერთ და ვამოწმებთ წერილსა ამას თავადნი, თულაფსუ ლაკერბაია ხიტუ ჯამბულათ მუთ: თავადი აფხაზეთისანი: ნარჩოუ ინალის შვილი თეღარუყა შერამეტ ბესლან ზეფის შვილი ლევან და ნარჩოუ, თავადი ჩაბალუხა ვომერ, თემურყა, შერამეტ წესუბია ნარეჯებ ნარჩოუ მარვან, ზენუბია ედგინ დეღარუყა მარვან, ბაზუხ აქურთავა თელაფსუ ედგინ შერამეტ, თავადი ანჩაბაძე ხუტუნია, თავადი ანჩაბაძე ლევან ადლაგიყვა, მიქამბია შალამათ შერვან სალმან, მარდანია როსტომ, ხიტუ, ბეჟან, ლევან, ჯამბულათ, ასლანბეგ, როსტომ წელსა 1808 აგვისტოს 12“ **(სახალხო განათლება, 1989)**.

ქართულ ენაზე გაფორმებული დიპლომატიური დოკუმენტით, რომლითა აფხაზთა სამთავრო ოფიციალურად ამყარებდა რუსეთის სახელმწიფოსთან დიპლომატიურ ურთიერთობას, ნათლად ჩანდა აფხაზეთის სამთავრო სახლის ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სამყაროსადმი კუთვნილება (Паичадзе, 1999: 217).

1809 წ. 5 იანვარს საქართველოსა და კავკასიის ხაზზე ჯარების მთავარსარდალმა ი. გუდოვიჩმა მოლდავეთის არმიის მთავარსარდალს ა. პროხოროვსკის აუწყა, რომ სასურველი იყო ოსმალეთთან ზავის დადებისას გაეთვალისწინებინათ: პორტას ეცნო საქართველო (აღმ. საქართველო – ბ.ს.), იმერეთი, სამეგრელო და გურია რუსეთის მფლობელობაში, ხოლო აფხაზეთი მის მფარველობაში; საზღვარი ოსმალეთის სამფლობელოებსა და საქართველოს შორის დარჩეს უცვლელი; თუ პორტა არ დათანხმდებოდა ახალციხის დათმობას, სასურველი იქნებოდა რუსეთის ხელში ფოთი მაინც გადასულიყო (АКАК, III, 1869: 574-575). 1809 წ. ივნისში საქართველოს ახალ მთავარმართველს ალექსადრე ტორმასოვს პეტერბურგიდან აცნობეს, რომ საფარ-ბეის მიღება მფარველობაში გადაწყვეტილი იყო და ინვესტიტურის ნიშნებიც მალე გამოეგზავნებოდა. იმპერატორის ბრძანებით გიორგი მარვაშიძე დაჯილდოვდა წმ. ანას 1 ხარისხის ორდენით და დაენიშნა პენსია 2500 მან. წელიწადში, ხოლო მის დედინაცვალს – რებია-ჰანუმ მარშანიას – 1500 მან. როგორც ვარაუდობდნენ, ხელმწიფის ეს წყალობა გავლენას მოახდენდა აფხაზ

თავადაზნაურებზე და საფარ-ბეის ავტორიტეტს აამაღლებდა (AKAK, III, 1869: 204; ბერძენიშვილი, 1965a: 408). ამრიგად, აფხაზეთი აღიარებულ იქნა რუსეთის მფარველობაში მყოფ პროვინციად (ქორთუა, 1964: 263).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საფარ-ბეი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად აღიარა, ის რეალურად ყოველგვარ ძალას და ხელისუფლებას მოკლებული იყო. ამიტომ იყო, რომ ა. ტორმასოვი გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანს ავალებდა აფხაზი მფლობელების გადმობირებას და მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფას (AKAK, IV, 1870: 206).¹ ოსმალეთი ასლან-ბეის კვლავაც პოლიტიკურ და მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა. სამეგრელოს დედოფალმა დ. ორბელიანს აცნობა, რომ სტამბოლიდან სოხუმში ჩამოვიდა თურქული გემი საჩუქრებით და ფულით. პორტა ასლან-ბეის ჰპირდებოდა, რომ ყველანაირ დახმარებას

¹ ბოლო დროს აფხაზმა ისტორიკოსებმა რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნეს, სადაც ცდილობენ ასლანბეი შარვაშიძეს მამის მკვლელის ბრალდება მოუხსნან. მათი მტკიცებით, ქელეშ-ბეის ჩამოშორებით დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთი, ადგილობრივი ფეოდალური ოპოზიცია და სამეგრელოს სამთავრო სახლი; ასლანბეი ნამდვილად იყო შეთქმულების მონაწილე, მაგრამ არა მამისმკვლელი; ვინ მოკლა ქელეშ-ბეი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან წყაროები ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა (Лакоба С., 1999; Гумба М. В., 2014; Гумба М. В., 2017). აფხაზი ისტორიკოსების ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ გიორგი (საფარბეი) შარვაშიძე მამის სიცოცხლეშივე გამოცხადებული იყო ტახტის მემკვიდრედ, ხოლო ასლანბეი ადრეც მონაწილეობდა მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში. ასე რომ, 1808 წელი არ იყო მის ბიოგრაფიაში შემთხვევითი ფაქტი. სტანისლავ ლაკობასა და მიხეილ გუმბას შეხედულებებში მთავარი მაინც ის არის, რომ ისინი აფხაზეთის სამთავროს საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებენ სამეგრელოს მმართველს ნინო დადიანს, რომლის ძალისხმევით და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მხარდაჭერით სამთავრო ტახტზე გიორგი (საფარბეი) შარვაშიძე ავიდა. მაგრამ რატომ უნდა იყოს მიუღებელი სამეგრელოს სამთავრო სახლის მიერ ამ სახლის წევრის, ტახტის მემკვიდრედ მამის სიცოცხლეშივე გამოცხადებული რუსულ-ქრისტიანული ორიენტაციის გიორგი (საფარბეი) შარვაშიძის და არა ოსმალური ორიენტაციის ასლანბეის მხარდაჭერა? ეს ხომ ჩვეულებრივი პოლიტიკური ინტერესია. სამეგრელოს სამთავრო კარი რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული რუსულ-ქრისტიანული ორიენტაციის ქელეშ-ბეის ჩამოშორებით, როცა ეს უკანასკნელი თავისი ინიციატივით შეურიგდა სამეგრელოს სამთავრო სახლს და მასთან პოლიტიკური კავშირი დაამყარა. გიორგი (საფარბეი) ისედაც იყო გამოცხადებული ტახტის მემკვიდრედ და რაში სჭირდებოდა უკვე რუსულ ორიენტაციაზე გადასული ქელეშბეის ჩამოშორება სამეგრელოს სამთავრო სახლს? თუ ოსმალეთი დაინტერესებული იყო ქელეშბეის ჩამოშორებით, ვის დაუჭირა მხარი მისი სიკვდილის შემდეგ? რა თქმა უნდა ასლანბეის; ვინ ისარგებლა ქელეშ-ბეის მკვლელობით? რა თქმა უნდა ასლანბეიმ, რომელმაც ტახტი დაიკავა. ამდენად, ს. ლაკობასა და მ. გუმბას ნაშრომების გაცნობის შემდეგ მთელი რიგი პასუხგაუცემელი კითხვები ჩნდება. სამწუხაროდ, წინამდებარე წიგნის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, დეტალური პასუხი გაეცეს აფხაზ ისტორიკოსთა ამ შეხედულებებს – ეს საგანგებო პუბლიკაციას მოითხოვს.

მიიღებდა სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის, ჯარს და ფულს. მანუჩარ შარვაშიძემ რუსულ ადმინისტრაციას აცნობა, რომ ფოთის კომენდანტმა ქუჩუქ-ბეი შარვაშიძემ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს სთხოვა დახმარება ჯარით და ეს ჯარი თითქოს უკვე იკრიბებოდა იმ განზრახვით, რომ ფოთი დაეცვა, ხელში ჩაეგდო რედუტ-კალე და ანაკლია. ა. ტორმასოვმა დ. ორბელიანს უბრძანა ფოთიდან თურქების თავდასხმის შემთხვევაში რედუტ-კალესა და სამეგრელოს დასაცავად საჭირო ზომები მიეღო; ასევე, ცალკეული აფხაზი მფლობელები ასლან-ბეისაგან ჩამოეშორებინა (**АКАК, IV, 1870: 202-203, 389-390**).

1809 წ. 12 აგვისტოს დ. ორბელიანი რუსეთის ჯარის ნაწილებით რედუტ-კალედან ფოთისკენ დაიძრა. მას სამეგრელო-სამურზაყანოს სახალხო ლაშქარიც ახლდა *ნიკო დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის* მეთაურობით. სამეგრელოს სახალხო ლაშქარში იმყოფებოდნენ *ლევან V დადიანი, ჭყონდიდელი და ცაიშელი. ვახტანგ და დავით გურიელებმა* გურიის სახალხო ლაშქრით ბათუმის გზა დაიკავეს, რათა თურქთა დამხმარე ძალისთვის გზა მოეჭრათ. რუსთა და ქართველთა მხედრობამ 14 აგვისტოს ქალაქი აიღო და ციხეს ალყა შემოარტყა, სადაც 600 მეციხოვნით *ქუჩუქ-ბეი შარვაშიძე* იყო გამაგრებული (**АКАК, IV, 1870: 390-391, 392; დადიანი, 1962: 199; Михайловский-Данилевский, 1849: 172; ქორთუა, 1964: 248**).

ოსმალთა სარდლობამ ფოთის დასახმარებლად ჯარი გამოგზავნა. 1809 წ. 30 ოქტომბერს ტრაპიზონის სერასკირი *შერიფ-ფაშა* 9 ათასიანი ლაშქრით ფოთისკენ დაიძრა და ზღვის სანაპიროზე, ფოთიდან 20 ვერსზე დადგა. ა. ტორმასოვმა დ. ორბელიანის დასახმარებლად იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი *ფიოდორ სიძანოვიჩი* გაგზავნა 2 ბატალიონით, მაგრამ მის ჩასვლამდე, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. 2 ნოემბერს გურიის სახალხო ლაშქარი *შაშია გურიელის* მეთაურობით ზურგიდან დაესხა თურქებს, ხოლო დ. ორბელიანმა ფლანგებიდან შეუტია. თურქები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ფოთის გარნიზონის მდგომარეობა უიმედო გახდა. 15 ნოემბერს ქუჩუქ-ბეიმ ციხე დ. ორბელიანს ჩააბარა, თვითონ კი მეციხოვნეებთან ერთად ტრაპიზონში გაემგზავრა (**АКАК, IV, 1870: 393-394, 209, 207; დადიანი, 1962: 200; Михайловский-Данилевский, 1849: 172-174; ქორთუა, 1964: 248-255**). აღსანიშნავია, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ფოთისათვის ბრძოლაში გურიისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად მხნედ იბრძოდნენ საფარ-ბეის მომხრე აფხაზებიც (**ბერძენიშვილი, 1965a: 408**).

ფოთის ციხის აღებამ რუსეთის გავლენა დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად განამტკიცა. ა. ტორმასოვი 1810 წ. 11 იანვარს იმპერიის საზღვაო ძალების მინისტრს *დე ტრავერსეის* აუწყებდა, რომ ანაპისა და ფოთის აღების შემდეგ დღის წესრიგში სოხუმის დაკავების საკითხი დგებოდა. შავი ზღვის აუზში გაბატონებისათვის რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთისა და სოხუმის დაუფლებას და კარგად ესმოდა ამ ფაქტის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ სოხუმის დაუფლებით, არსები-

თად შესუსტდებოდა ოსმალეთის კავშირი მთის ხალხებთან და მათი მტრული მოქმედება რუსეთის მიმართ შეიზღუდებოდა. აფხაზეთის შეერთებით ამ მხრიდან თურქების თავდასხმის საფრთხეს ბოლო მოეღებოდა; რუსეთის ხელში იქნებოდა ორი სიმაგრე – ანაკლია და სოხუმ-კალე და ამ მხრიდან სამეგრელო სრულიად დაცული იქნებოდა; აგრეთვე, ყირიმიდან მომავალი გემები მშვიდობიანად გასცურავდნენ ზღვას; რუსეთი გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალას დიდი რაოდენობით მიიღებდა (**AKAK, III, 1869:209; ქორთუა, 1964: 257**).

1810 წ. 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გიორგი შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად რუსეთის უმაღლესი ძალაუფლების აღიარებით და შინაგანი ავტონომიის ცნობით (**AKAK, III, 1869: №571**). მაგრამ, ეს იყო ფორმალური აღიარება, რადგან აფხაზეთში ძალაუფლებას ასლან-ბეი ფლობდა, რომელიც სოხუმის ციხეში იჯდა. მას მხარს უჭერდნენ სოხუმისა და აბჟუს ოლქების მფლობელები – ჰასან-ბეი და ალი-ბეი. თავადები არ ცნობდნენ საფარ-ბეის უფლებას სამთავრო ტახტზე, რადგან ადათით მას ტახტი არ ეკუთვნოდა. საფარ-ბეის თავისი ძალებით არ შეეძლო აფხაზეთის დაუფლება. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ აუცილებელი იყო საფარ-ბეის აფხაზეთში გაბატონება და ამით იმპერატორის ბრძანების შესრულება, მაგრამ ამ განზრახვის შესასრულებლად თავისუფალი ძალები იმჟამად არ ჰყავდა.

ა. ტორმასოვმა ფ. სიმანოვიჩს დაავალა თვალყური ეღვენებინა სოხუმისა და ბათუმის ციხეებისათვის და აუხსნა, რომ მნიშვნელოვანი იყო სოხუმის ციხის დაუფლება ზაფხულში და იქიდან ასლან-ბეის განდევნა ან მისი ხელში ჩაგდება. იგი ჰპირდებოდა, რომ ზაფხულში შავი ზღვის სანაპიროზე მოვიდოდნენ ხომალდები და წინადადებას აძლევდა გამოეყენებინა დრო, რათა ამ ფლოტილიის მოსვლისას ეცადა სოხუმის დაუფლება აფხაზეთისა და სამეგრელოს ძალებით (**AKAK, IV, 1870: 280**). 1 ივნისს ა. ტორმასოვმა სამეგრელოს დედოფალს, ნინო დადიანს, აუწყა, რომ იმპერატორმა საფარ-ალი-ბეი დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად, უბოძა სიგელი და დროშა, დააჯილდოვა წმ. ანას 1 ხარისხის ორდენით და დაუნიშნა პენსია. საფარ-ბეი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მას ყოველგვარი დახმარება გაეწეოდა ასლან-ბეის წინააღმდეგ და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში შავი ზღვის ფლოტილია სოხუმს დაიკავებდა, ამასთან სამეგრელოს სანაპიროზე მდგარი ხომალდები არ დაუშვებდნენ, რომ ასლან-ბეის თავისი ოჯახი ბათუმში გადაეყვანა (**AKAK, IV, 1870: 396**).

8 ივნისს ა. ტორმასოვმა დედოფალ ნინოს სთხოვა საფარ-ბეისათვის გაეგზავნა სამეგრელოს სახალხო ლაშქარი *მანუჩარ შარვაშიძის* მეთაურობით, თუნდაც 1000 მეომარი, სანამ სოხუმის დასაუფლებლად ჯარი და ფლოტილია მოვიდოდა, რაც სამეგრელოს სამთავრო სახლს იმპერატორის სამსახურში ჩაეთვლებოდა (**AKAK, IV, 1870: 396-397**). სოხუმის ციხის დაუფლების მიზნით, ივნისის დასაწყისში სევასტოპოლში თავი მოუყარეს საზღვაო ესკადრას, რომელიც 6 სამხედრო ხომალდისაგან შედგებოდა. ოპერაციის ხელმძღვანელად კაპიტან-ლეიტენანტი კ.

დოტი დაინიშნა (АКАК, III, 1969: 398; Маевский, 1896: 1 приложение, 42; ქორთუა, 1964: 264). ესკადრას სოხუმის სანაპიროზე უნდა გადმოესხა დესანტი – მე-4 საზღვაო პოლკის ბატალიონი 600 მეომრით, რომელიც სახმელეთო ჯარების მოსვლამდე იქ უნდა დარჩენილიყო. ესკადრას ასევე აქტიური ზომები უნდა მიეღო აფხაზების სოხუმიდან გასახლებასთან დაკავშირებით (АКАК, IV, 1870: 421; Михайловский-Данилевский, 1849: 266). ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო სამეგრელო-სამურზაყანოს სახალხო ლაშქარს. 19 ივნისს ესკადრა სევასტოპოლიდან გამოვიდა (АКАК, IV, 1870: 397). ა. ტორმასოვი 26 ივნისის წერილში ლევან V დადიანისადმი აღნიშნავდა, რომ, როდესაც სოხუმის ციხის აღების დრო დადგებოდა, იგი იმედოვნებდა სამეგრელოს მთავარი საფარ-ბეის და ფ. სიმანოვიჩის დახმარებას გაუწევდა. სოხუმის ციხის აღება მას უსათუოდ ამ ზაფხულს სურდა და მასში სამეგრელოს მთავრის მონაწილეობა იმპერატორისადმი სამსახურიც იქნებოდა და სამეგრელოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანიც. იგი სამეგრელოს მთავარს სთხოვდა, საფარ-ბეი დაერწმუნებინა, რომ თავისი მომხრე აფხაზების რაც შეიძლება მეტი გუნდი შეეკრიბა (ქირია, სარია, 1967: 30). ასეთ ვითარებაში იმერეთში დაიწყო აჯანყება სოლომონ II-ის მეთაურობით, ამიტომ სამეგრელო-იმერეთში განლაგებულ ნაწილებს და სამეგრელოს სახალხო ლაშქარს საშუალება არ მიეცა მონაწილეობა მიეღოთ სოხუმის დაკავების ოპერაციაში.

1810 წ. 8 ივლისს, დილით, რუსეთის ესკადრა სოხუმს მიაღწა. კაპიტან-ლეიტენანტმა კ. დოტმა ციხის გარნიზონს დანებების წინადადება მისცა, მაგრამ უარი მიიღო. იმავდროულად, მოწინააღმდეგემ რუსეთის ესკადრას ცეცხლი გაუხსნა. მეორე დღეს, 9 ივლისს, დღის 4 სათზე ესკადრამ სოხუმის დაბომბვა დაიწყო და ნავსადგურში მდგარი 7 თურქული ხომალდი ჩაძირა. ციხეში ინგრეოდა და იწვოდა სახლები, მაგრამ მოწინააღმდეგე დანებებას არ აპირებდა. 10 ივლისს რუსული დესანტი ნაპირზე გადასხდა და ჯერ ქალაქი, ხოლო შემდეგ ციხე-სიმაგრე მტურმით აიღო. თურქები ჩრდილო-დასავლეთის ჭიშკრით გაიქცნენ (АКАК, IV, 1870: 425; Михайловский-Данилевский, 1849: 266; ქორთუა, 1964: 264; Дзидзария, 1988b: 46). ვიდრე სოხუმისათვის ბრძოლა დაიწყებოდა, ასლან-ბეი სოლომონ II-ის დასახმარებლად გაემართა 4 ათასიანი მხედრობით. ის აპირებდა სამეგრელოს დასხმობა და ლევან V დადიანის ძალები შეებოროკა, რათა მას იმერეთის აჯანყების წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის ჯარისთვის დახმარება ვერ გაეწია. სოხუმზე რუსების თავდასხმის ცნობის მიღებისთანავე, ასლან-ბეი სამეგრელოს საზღვრებიდან უკან გამობრუნდა, მაგრამ ციხე უკვე აღებული დახვდა და იძულებული გახდა მთებში გაქცეულიყო (АКАК, IV, 1870: 328; დუმბაძე, 1973a: 873; ქორთუა, 1964: 264-265). 25 ივლისს რედუტ-კალედან სოხუმში კიდევ ერთი ასეული ჩავიდა (АКАК, IV, 1870: 400; ქორთუა, 1964: 266).

სოხუმისა და მისი შემოგარენის მცხოვრებნი გარკვეული იმედებით შეხვდნენ რუსების მიერ ციხის აღებას. ისინი კაპიტან-ლეიტენანტ კ. დოტთან მიდიოდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილს გამოთქვამდნენ (Михаи-

ловский-Данилевский, 1849: 266; ქორთუა, 1964: 265). კ. დოტს ეახლნენ აგრეთვე საფარ-ბეის ძმები – ჰასან-ბეი და ბათალ-ბეი (АКАК, IV, 1870:425; Дзидзария 1988b: 46). სოხუმის აღებას რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 6 აგვისტოს, მთავარმართებელი ა. ტორმასოვი (1809-1811) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნიკოლოზ რუმინცევს ადფრთოვანებით ულოცავდა „სოხუმის ციხის შეძენას, რომელიც ბატონობს მთელ აფხაზ ხალხზე“. გენერალი იმედს გამოთქვამდა, რომ სოხუმის ფლობა რუსეთს „შავი ზღვის იმ ნაპირის სრულ მბრძანებლად“ აქცევდა (Очерки, I, 1960: 140). 1810 წ. აგვისტოში ფ. სიმონოვიჩი იმერეთის მმართველად დაინიშნა (АКАК, IV, 1870: 312). იმერეთის მმართველის იურისდიქცია დასავლეთ საქართველოს სამთავროებზეც ვრცელდებოდა. ა. ტორმასოვი 9 აგვისტოს ფ. სიმონოვიჩს აცნობებდა, რომ იგი „იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მმართველად“ დაინიშნა (АКАК, IV, 1870: 324). იმერეთის მმართველი იმავე დროს დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდალი იყო. მას ემორჩილებოდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ციხე-სიმაგრეები და ნავსადგურები. მის ხელში იყო თავმოყრილი მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში (ვაჭრიძე, 1999: 117).

23 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ ფიცის ტექსტს ხელი მოაწერა, რაც აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ნიშნავდა (АКАК, IV, 1870: 425). ოქტომბერში, რუსთა ჯარის ასეულის თანხლებით, გიორგი შარვაშიძე რედუტ-კალედან სოხუმში ჩავიდა და აფხაზი თავად-აზნაურების, უხუცესებისა და ხალხის თანდასწრებით, ფიცი დადო რუსეთის ერთგულებაზე. მას საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები და სიგელი მისი აფხაზეთის მთავრად დამტკიცების თაობაზე. როგორც ა. ტორმასოვი აღნიშნავდა, „იქ დამსწრე აფხაზებმა, მოხიბლულებმა მათთვის ესოდენ ახალი სანახაობით, საფარ-ალი-ბეი თავიანთ მთავრად საზეიმოდ აღიარეს“ (АКАК, IV, 1870: 425).

რუსეთის ჯარის მიერ სოხუმის აღების შემდეგ თურქებმა, რომლებიც აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ქალაქისა და მისი შემოგარენის დატოვება დაიწყეს. ისინი მცირე აზიის სანაპიროზე გადასახლდნენ (Кудрявцев, 1922: 158). სოხუმის ციხის დაუფლება, რაც მთელი აფხაზეთის დაუფლების წინაპირობას წარმოადგენდა და ქრისტიანი მთავრის დასმა, რუსეთის დიდი გამარჯვება იყო. ის ფენს იკიდებდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. სოხუმ-კალეს აღება რუსების მიერ და ასლან-ბეის განდევნა იყო არა იმდენად საფარ-ბეის გამარჯვება ასლან-ბეიზე, არამედ რუსეთის გამარჯვება ოსმალეთზე აფხაზეთში (Кудрявцев, 1922: 158).

გიორგი შარვაშიძემ თავის რეზიდენციად სოხუმის ციხე აირჩია. იგი მხოლოდ საშინაო თვითმართველობას ინარჩუნებდა. სამთავრო ხელისუფლების დასაცავად რუსეთის სარდლობამ სოხუმის ციხეში 3 ასეული დატოვა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გაეძლიერებინა საფარ-ბეის ხელისუფლება, აფხაზი მფლობელები მისთვის დაემორჩილებინა. ა. ტორმასოვი სამეგრელოს დედოფალს,

ნინო დადიანს წერდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მისი პატივისცემით და ხათრით გაუწია დახმარება გიორგი შარვაშიძეს და კვლავაც მხარს დაუჭერდა. მთავარმართებელი ნინო დადიანს ავალებდა, დახმარებოდა საფარ-ბეის, რომ მას „აფხაზი ხალხი მიემხრო“ და ხელისუფლება განემტკიცებინა; მას აინტერესებდა, რა გავლენა ჰქონდა საფარ-ბეის ხალხში, ჰყავდა თუ არა მომხრეები, რომელთა მეშვეობითაც, აგრეთვე სამეგრელოს სამთავრო სახლისა და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის დახმარებით, ხელისუფლებას განამტკიცებდა; გარდა ამისა, ამ მიმართულებით რას აკეთებდა სამეგრელოს სამთავრო სახლი; სჭირდებოდა თუ არა მას კიდევ რუსეთის ჯარის დახმარება (**AKAK, IV, 1870: 398-399**).

XIX ს. დამდეგს აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ საზღვრად ჩრდილოდასავლეთით მდ. ბზიფი ითვლებოდა, რადგან გაგრის ვიწროებიდან მდ. ბზიფამდე მიწა-წყალი ჯიქებს ჰქონდათ მიტაცებული (**ხორავა, 1996: 135-136**). სამხრეთაღმოსავლეთით მისი საზღვარი მდ. დალიძგაზე გადიოდა, სადაც მას სამეგრელოს სამთავრო ესაზღვრებოდა. ჩრდილოეთით საზღვარი ნომინალურად კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვებოდა, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა ეკვროდა. რუსეთის მფარველობაში შესვლის დროისთვის აფხაზეთის სამთავრო ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. ის ცალკეულ მხარეებად იყოფოდა. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება მხოლოდ ზუფუზე ანუ ბზიფის ოლქზე (მდ. ბზიფსა და მდ. გუმისთას შორის) ვრცელდებოდა; გუმის ანუ აფხაზეთისა (მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის) და აბჟუას (მდ. კოდორსა და მდ. დალიძგას შორის) ოლქებს შარვაშიძეთა სამთავრო სახლის სხვა წევრები ფლობდნენ. მასთან ნომინალურად იყო დაკავშირებული მთიანი მხარეები: წებელი და დალი მდ. კოდორის შუა და ზემო წელში, და ფსხუ – მდ. ბზიფის შუა წელში, რომელსაც – *მარშანიები* განაგებდნენ. მარშანიებმა არ ცნეს გიორგი შარვაშიძის (1810-1821) ხელისუფლება და არც რუსეთის მფარველობაში შევიდნენ (**AKAK, IV, 1870: 425**). იმავე 1810 წ. აფხაზეთის მთავრის მაგალითით და გავლენით, ჯიქების მთავარი *ლევან ცანბა (ვანუბაია)* რუსეთის მფარველობაში შევიდა და აფხაზეთის მთავრის უზენაესობა აღიარა (**AKAK, IV, 1870: 426, 429**).

თავი VI. თანამედროვე აფხაზეთის რელიგიური და კულტურული იერსახე შუა საუკუნეებში

§1. ქრისტიანობის გავრცელება. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო IX-XVIII საუკუნეებში

სეპარატისტული ისტორიოგრაფია განსაკუთრებული მონდომებით ცდილობს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსოს ისტორიის გაყალბებას. აღნიშნული თემის პირველი აქტუალიზაცია უკავშირდება 1917 წ. 12 (25) მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა სოხუმის (აფხაზეთის) ეპარქიის კუთვნილების, მისი ისტორიულ-სამართლებრივი სტატუსის საკითხი. სწორედ მაშინ ბროშურის სახით გამოიცა *მიხეილ თარნავას* მოხსენება აფხაზეთა საეკლესიო ყრილობაზე (1917 წლის 24-27 მაისი) (**Тарнава, 1917**). მოხსენებაში „აფხაზეთის“ საკათალიკოსო აფხაზეთა ეროვნულ ეკლესიად არის წარმოჩენილი. ამ გზით ავტორი დამოუკიდებელი აფხაზეთი ეკლესიის ჩამოყალიბების მოთხოვნას ისტორიულად „ასაბუთებდა“ (**გამახარია, 2011: 5-8**). თანამედროვე სეპარატისტული ისტორიოგრაფია მ. თარნავაზე შორს ვერ წავიდა. საბჭოური ათეიზმის ხანაში სეპარატისტები ეკლესიურ თემატიკას ყურადღებას ნაკლებად აქცევდნენ, მაგრამ XX ს. 80-იანი წლების II ნახევრიდან, სეპარატიზმის აღმავლობის პირობებში, ის კვლავ აქტუალური გახდა.

სეცესიონისტური მოთხოვნების ისტორიული სამართლიანობის დამტკიცებაში სეპარატისტებს ხელს უშლის აფხაზეთში არსებული უძველესი ქართული ტაძრები ქართული ეპიგრაფიკით, ქართული წიგნებითა და ქართველი სასულიერო პირებით, ამასთანავე აფხაზეთ-აფსუური კულტურული მემკვიდრეობის, აფხაზეთ-აფსუური ეპიგრაფიკის, ლიტერატურისა და სამღვდელთა არარსებობა. ეს გარემოება უბიძგებს მათ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ისტორიის ფალსიფიკაციისკენ, ამ წმინდა ქართული საეკლესიო ორგანიზაციის აფხაზეთ ეროვნულ ეკლესიად გამოცხადებისკენ აფხაზე-აფსუა სასულიერო პირებით, აფხაზეთი საეკლესიო წიგნებითა და ღმრთისმსახურებით (**ჰაპასკირი, 2017: 69-108; Papaskiri, 2017: 39-68**). ისტორიული რეალობა სრულიად განსხვავებულია. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ისტორია არ იცნობს აფხაზე სასულიერო პირებს, აფხაზეთეოვან წიგნებს, აფხაზეთი ქრისტიანულ ტერმინოლოგიასაც კი (**გვანცელაძე, 2011: 330-349**).

აფხაზეთში – ზოგადად დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცება, შემდგომ ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ჩამოყალიბება განაპირობებს რომი-ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა მიზნებმა და ამ მიზნების თანხვედრამ ან წინააღმდეგობაში მოსვლამ ქართულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ინტერესებთან. ქართული და ბიზანტიური ისტორიული ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ქრისტეს მოციქულების *ანდრია პირველწოდებულისა* და *სიმონ კანანელის* სახელებთან აკავშირებს (**ლეონტი, 2008a: 56**).

ქრისტიანობის ისტორიაში ახალი ეტაპი IV ს. პირველ ათწლეულებში იწყება, როდესაც რომის იმპერიაში ახალი სარწმუნოება იქნა აღიარებული. იმ პერიოდში საქართველოს შავიზღვისპირეთშიც შეიქმნა ყველა წინაპირობა ქრისტიანობის შემდგომი გავრცელებისთვის. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო IV ს. 20-30-იან წლებში ქრისტიანობის ქართლის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ. *გელასი კვიზიკელის* (V ს.) მიხედვით, რომელიც *გელასი კესარიელის* (IV ს.) მონაცემებს ეყრდნობა, *კონსტანტინე I-ის* (306-337) ზეობის პერიოდში „*ღმერთის მცნება მიიღეს ჰონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა*“, რასაც იგი „*ტყვე დედაკაცის*“ – წმინდა ნინოს დამსახურებად მიიჩნევდა (**გელასი კესარიელი, 1961: 186-198**).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე IV საუკუნეში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებენ ბიჭვინთის საეპისკოპოსოს არსებობა, ბიჭვინთის ეპისკოპოსის *სტრატოფილეს* 325 წელს ნიკეას პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დასწრება (**ნიკეის, 1961: 3**); ასევე *პროკოპი კესარიელის* ცნობა, რომ აფსილები „*ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ*“ (**პროკოპი, 1965a: 128**). ამავე ისტორიკოსის სხვა ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565) წარმართობისკენ მიბრუნებული აბაზგები მოაქცია; „*აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიადნია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები*“ (**პროკოპი, 1965a: 133-135**). იმავე პერიოდში დაფუძნებული ჩანს სებასტოპოლისის (აბაზგიის) ეპარქია, რომელმაც შთანთქა ბიჭვინთის კათედრა. ჰერაკლე კეისრის მმართველობის პერიოდში (610-641) შედგენილ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებში-ნოტიციებში დაფიქსირებულია აბაზგიის ეპარქიის სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და *ლაზიკის (ფაზისის) სამიტროპოლიტოს ზიგანევის* (გუდავის) საეპისკოპოსო (**ბასილი სოფენელი, 1952: 130, 140**). აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობას VII ს. II ნახევარში ასახავს *თეოდოსი განგრელი*, რომელიც მოიხსენიებს „*ქრისტესმოყვარე*“ ლაზებისა და აბაზგების ქვეყნებს მათი „*ქრისტესმოყვარე მმართველებით*“, „*ქრისტესმოყვარე მთავრებით*“ (**თეოდოსი, 1941: 45, 50**).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფა, IX ს. 80-90-იან წლებში უნდა დასრულებულიყო (**ბერძენიშვილი, 1966b: 45; კუდავა, 2000: 47; კუდავა, 2002: 565; ქორიძე, 2003: 9-10; გამახარია, 2005: 105-108; პაპასქირი, 2017: 95; Papaskiri, 2017: 58**).¹ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს მიერ ავტოკეფა-

¹ აფხაზი მკვლევრების მხრიდან მიღის სპეკულირება ანტიოქიის პატრიარქის *მაკარიოსის* (დაახლ. 1647-1672 წწ.) ცნობის, რომელშიც პატრიარქი საუბრობს 744-751 წლებში *თეოფილაქტე* ანტიოქელი პატრიარქის მიერ აფხაზეთის პირველ კათოლიკოსად *იოანეს* კურთხევის შესახებ (**Жызе, 1905: 118; მაკარი ანტიოქიელი, 1982: 89-90**). მათი მტკიცებით, ეს იყო საკუთრივ აფხაზთა პირველი კათოლიკოსი (**Гунба, 1989: 94; Дбар, 2015: 254-264 და სხვ.**). ამ საკითხზე ვრცლად იხ. **გამახარია, 2005: 108-111, 117-118**).

ლიის მოპოვებამ დააჩქარა ეკლესიის „ნაციონალიზაცია“ – მთლიანად ქართულ ღმრთისმსახურებაზე გადასვლა, ეროვნულ ნიადაგზე დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის სულიერი და კულტურული ცხოვრების აღორძინება. საკუთრივ აფხაზეთშიც ქართული ენა იყო გაბატონებული. „უკვე IX საუკუნის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველო, ანუ „აფხაზეთა“ სამეფო, მთლიანად ქართული წერილობითი კულტურისა და წიგნიერების ქვეყნად იქცა. სწორედ ამ ფონზე მოხდა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის – „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს საბოლოო ფორმირება“ (პაპასკირი, 2017: 91-92; Papaskiri, 2017: 58).

XI ს. დამდეგიდან, როდესაც ძირითადად დასრულდა ქართული მიწების გაერთიანებისა და ერთიანი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, „აფხაზეთის“ საკათალიკოსო მცხეთის ტახტს დაექვემდებარა. ფიქრობენ, რომ ამიტომაც იწოდა ამ დროიდან ქართლის კათოლიკოსი კათოლიკოს-პატრიარქად (პაპასკირი, 2017: 95-96; Papaskiri, 2017: 58). XI-XIII საუკუნეებში თითქმის დოკუმენტურადაა დაფიქსირებული „კათალიკოსნის“, „კათალიკოსთა ორთავეს“, „კათალიკოსნი ორნივეს“ არსებობა (ქართლის ცხოვრება, 1959: 156, 157, 168; გვენეტაძე, 1991: 72-76; გვენეტაძე, 2003: 38-42). „აფხაზეთის“ საკათალიკოსო კათედრა განაგებდა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებს, მათ შორის ღრანდის, მოქვისა და ბედიის კათედრებს. საქართველოს პატრიარქს „უხუცესი“, ხოლო აფხაზეთის კათოლიკოსს „უმრწემესი“ (უმცროსი) მამამთავარი ეწოდებოდა. მაგალითად, XIII ს. 40-იანი წლების „აფხაზეთის“ კათოლიკოსი არსენ ბულმანისძისძე თავის თავს მოიხსენიებს როგორც „მრწემი სიწმინდისა მათისა“ (ქორიძე, 2002: 6). აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია მოფენილია ძირითადად X-XIV საუკუნეებში აგებული ტაძრებით. აღსანიშნავია, რომ თვით აფხაზეთის მთავარი ქელეშ ბეი მარვაშიძე XIX ს. დასაწყისში აღიარებდა, რომ ეს ტაძრები ქართველების აშენებულია: „როცა იმურეთსა და საქართველოში ერთმეფობა არსებობდა, – აცხადებდა იგი 1806 წელს, – აფხაზეთიც იმ მეფეთა და არა ოტომანის პორტას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, რასაც ამტკიცებს მათ მიერ აქ აშენებული ეკლესიები“ (AKAK, III, 1869: 193).

აფხაზეთში მდებარე ეკლესია-მონასტრები ქართული სულიერების ერთ-ერთ საფუძველს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. პირველ რიგში, უნდა დასახელდეს ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრა, ღრანდისა და მოქვის ეპარქიები. გუდაყვის ბერძნული საეპისკოპოსო, ბაგრატი III-ის მეცადინეობით, 999 წელს დაფუძნებულმა ბედიის კათედრამ „მოცვალა“ (მატიანე, 2008: 265, 273). ბედია საქართველოს სამეფოს სიმღიდრისა და ბაგრატი III-ის დიდების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა, სადაც ის დაიკრძალა კიდევაც. X-XIV საუკუნეებში აშენდა აგრეთვე ზოგადქართული მნიშვნელობის ათობით ტაძარი, მათ შორის ლიხნის, ილორის, მსიგზვას, ანუხვის, ხუაფის, ანაკოფიის, ბომბორის, კამანის, წებელის, ქიაჩის, თილითის, ლაშქენდარის, ჩხორთოლის, დუმურიძის და მრავალი სხვა. აფხაზეთის ტაძრებს ქართული ეპიგრაფიკა ამშვენებს (სილოგავა, 2006; ახალაძე, 2005).

ბედიის კათედრა საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა სრულიად საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული საეკლესიო ცენტრის როლს. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში არსებობდა ბედიელ-ალავერდელის ექსტერიტორიული კათედრა. სხვა მსგავს კათედრებთან (*ჭყონდიდელ-მანყვერელი, ჭყონდიდელ-სამთავნელი, ჭყონდიდელ-უჯარმელი*) ერთად მის მთავარ მისიას საქართველოს პოლიტიკური და სულიერი ერთიანობის განმტკიცება წარმოადგენდა. 1118 წლიდან, როდესაც გიორგი *ჭყონდიდელი* გარდაიცვალა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა მისი დისშვილი *სვიმონი* – „*მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისა, კაცი ყოვლითურთ რჩეული და ბრძენი*“ (**ცხოვრება, 2008**: 329).

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის შემოღებამ რამდენადმე შეზღუდა „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს თვითმმართველობა. მიუხედავად ამისა, მან დიდი როლი შეასრულა საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დამსახურებაა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საბოლოო გამიჯვნა კონსტანტინეპოლისაგან, ბერძნული კათედრების ქართული კათედრებით ჩანაცვლება, ღმრთისმსახურების მთლიანად ქართულ ენაზე გადაყვანა, ქართული მწიგნობრობის განვითარება. საკათალიკოსო მხარში ედგა „აფხაზეთა“ მეფეებს საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი ერთიანობისთვის ბრძოლაში. XIII ს. II ნახევრიდან, როდესაც მონღოლ დამპყრობთა პოლიტიკის შედეგად საქართველოში დეზინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობდა, „აფხაზეთის“ საკათალიკოსომ, რჩებოდა რა ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილად და საქართველოს პატრიარქის საერთო დაქვემდებარებაში, კვლავ შეიძინა რეალური ფუნქციები.

„აფხაზეთის“ კათოლიკოსები მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაში. პატრიარქთან, მწიგნობართ-უხუცესთან და მოძღვართმოძღვართან ერთად, ისინი შედიოდნენ ქვეყნის უმაღლესი საეკლესიო და საერო ხელისუფლების შემადგენლობაში (**ჯაფარიძე ა., 1999**: 35-38; **ქორიძე, 2002**: 6). საქართველოს მეფეთა კურთხევისას, პატრიარქის შემდეგ მთავარ ფიგურას „აფხაზეთის“ კათოლიკოსი წარმოადგენდა (**წესი და განგება, 1965**: 51-53;) ცნობილია 1225 წელს „აფხაზეთის“ კათოლიკოსის მიერ საქართველოს მეფის კურთხევის ფაქტიც. იმჟამად თბილისი ხვარაზმელებს ჰქონდათ დაპყრობილი, სამეფო კარი კი დასავლეთ საქართველოში იყო განიზნული. სწორედ მაშინ „აფხაზეთის“ კათოლიკოსმა ქუთაისში სრულიად საქართველოს მეფედ მცირეწლოვანი დავით VI რუსუდანის ძე აკურთხა (**ჟამთააღმწერელი, 2008**: 553).

ქართულ წყაროებში პირველად სახელით იხსენიება XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე „*სვიმონ აფხაზეთისა კათოლიკოსი*“ (**ქორიძე, 2002**: 4-6). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წელი) მთავარ დოკუმენტში – „*ძეგლისწერაში*“ მოხსენიებული *ევსტათი*, სავარაუდოდ, არის „აფხაზეთის“ კათოლიკოსი (**ჯაფარიძე ა., 1999**: 36-37). XII ს. II ნახევარში აფხაზეთის კათედრა *ნიკოლოზს* ეკავა. *ლაშა-გი-*

ორგის სიგელში გელათის მონასტრისადმი (1207-1208) სახელის გარეშე იხსენიება „აფხაზეთა და ქართლის კათალიკოზნი...“ (**ქართული ისტორიული, 1984:** 106). XIII ს. 40-იან წლებში „აფხაზეთის“ კათოლიკოსია არსენ ბულმაისიძისძე, XIV ს. 70-80-იან წლებში – დანიელი. 1390 წელს იმერეთის მეფემ გიორგი I-მა (1389-1392) „აფხაზეთის“ კათოლიკოსად არსენი დანიშნა (**ვახუშტი, 1973:** 803).

„აფხაზეთის“ საკათალიკოსოს, მისი იერარქების როლი და ადგილი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იცვლებოდა. XV ს. ბოლოს საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაშლის პირობებში ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI (III)-ისა (1455-1478) და სამეგრელოს მთავრის შამდავლეს დადიანის (1470-1474) ერთობლივი გადაწყვეტილებით, XV ს. 70-იანი წლების I ნახევრიდან „აფხაზეთის“ საკათალიკოსო არსებობას დამოუკიდებლად აგრძელებს. იმავე დროს დასავლეთ საქართველოში მყოფმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილ IV-მ (1454-1476) აფხაზეთის კათოლიკოსად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოაკიმე აკურთხა. ყოველივე ამის შესახებ საუბარია მიხეილ IV -ის მიერ დამტკიცებულ „მცნება სასჯულოში“. აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე კი აღნიშნულ დოკუმენტში არ მოიხსენიება. მას „აფხაზეთის“ კათოლიკოსის დანიშვნას არ ეკითხებიან, თუმცა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო კათედრა კვლავაც აფხაზეთის საერისთავოშია – ბიჭვინთაში. „მცნება სასჯულოში“ მიხედვით, საკათალიკოსოს საზღვრები გადაჭიმულია „ჭროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაი ჰონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭვინთისა სამზღვარი მიაწევს“ (**მცნება, 1970:** 223; **გამახარია, 2005:** 872). უნდა აღინიშნოს, რომ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს მცხეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა იყო არა ეკლესიური განხეთქილების შედეგი, არამედ შექმნილი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული დროებითი მოვლენა.

იოაკიმეს მომდევნო კათოლიკოსი იყო ბართლომე. ცნობილია კიდევ ერთი კათოლიკოსის – სტეფანეს სახელი. ცნობები ამ სამი კათოლიკოსის შესახებ საკმაოდ მწირია. გაცილებით მეტი მონაცემები მოიპოვება მალაქია I-ზე (აბაშიძე). „აფხაზეთის“ კათოლიკოსად იგი იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ (1510-1565) 1519 წელს დანიშნა და ამ თანამდებობაზე XVI ს. 40-იანი წლების დასაწყისამდე რჩებოდა. მალაქია I-ის კათოლიკოსობის პერიოდში შეიქმნა ქართული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – „ბიჭვინთის იადგარი“ (**ბიჭვინთის იადგარი, 1965:** 176-183). იგი შეიცავს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შემოწერილობების ჩამონათვალს, ბიჭვინთის კათედრის ქონების, მღვდელმსახურთა და ყმების დამცავ სამართლებრივ ნორმებს, საერო და სასულიერო პირთა მინაწერებს. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს საზღვრებთან დაკავშირებით, „ბიჭვინთის იადგარში“ ნათქვამია: „კათალიკოზის საკურთხე არის სამწყსო – ლიხსა და კავას შუა და რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“ (**ბიჭვინთის იადგარი, 1965:** 180).

„ბიჭვინთის იადგარი“ დამოწმებულია აფხაზეთის რვა კათოლიკოსის ხელმოწერით, რომელიც მალაქია I-ით იწყება და დავით ნემსაძით (1673-1696) მთავრ-

დება. სეპარატისტი ფალსიფიკატორების „მრომებში“ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შესახებ „ბიჭვინთის იადგარი“ არა თუ გამოყენებული, ნახსენებაც არ არის. დაახლოებით 1541 წლიდან „აფხაზეთის“ კათოლიკოსის ტახტზე იოსებ I (მაჭუტაძე) ავიდა. 1557-1578 წლებში იგი *ევდემონ I-ს (ჩხეტიძე)* ეკავა. ჯიქ-აფხაზთა პერმანენტული შემოტევის შედეგად შეიქმნა სრულიად აუტანელი მდგომარეობა აფხაზეთის საერისთავოში (თანამედროვე გუდაუთისა და გაგრის რაიონები), რამაც აიძულა კათოლიკოსი ევდემონ I დაეტოვებინა ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენცია და კათოლიკოსის ტახტი გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაეტანა (**ლომინაძე, 1966:** 164-240). აღნიშნული ეკლესია 1569 წელს მას ოფიციალურად გადაეცა. აფხაზეთის კათოლიკოსებს XVIII საუკუნის შუახანებამდე მაინც რეზიდენცია ჰქონდათ ასევე შხეფში /სენაკთან / (**ვახუშტი, 1973:** 781). არსებობს მოსაზრება, რომ შხეფში იყო აფხაზეთის კათოლიკოსთა საზაფხულო რეზიდენცია (**კელენჯერიძე, 1918:** 108).

აფხაზეთის კათოლიკოს *ევდემონ I-ის* სახელს უკავშირდება XVI ს. 50 - 60-იანი წლების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევა. კრებამ მიიღო ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი – „*სამართალი კათოლიკოსისა*“ (**გამახარია, 2005:** 183-184, 892-896). საეკლესიო კრებას ქართლის კათოლიკოს-პატრიარქი მალაქია და „აფხაზეთის“ კათოლიკოსი ევდემონ I ხელმძღვანელობდნენ, რითაც ხაზი გაესვა ქართული ეკლესიის ერთიანობას. სხვა მღვდელმთავრებთან ერთად კრებას ესწრებოდნენ „*ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე*“ (**ვახუშტი, 1973:** 824). ევდემონ I-ის განკარგულებით 1568 წელს დამზადდა „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს მთავარი სიწმინდე – ბიჭვინთის ღრმთისმშობლის ხატი. თავიდან იგი დასვენებული იყო ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში, რომელიც კანონიკურად საკათალიკოსო კათედრად რჩებოდა. შემდგომში ხატი გელათში გადაიტანეს.

ევდემონ I-ის გარდაცვალების შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1578-1614 წწ.) „აფხაზეთის“ კათოლიკოსის ტახტი მოქველ *ევთიმე I-ს (საყვარელიძე)* ეკავა. კათოლიკოსი ევთიმე I ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც. ეს დიდი სასულიერო მოღვაწე ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება როგორც „*აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარხი, კათოლიკოზი*“ (**კათოლიკოს-პატრიარქები, 2000:** 141-142). 1614-1639 წლებში „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს სათავეში ედგა *მალაქია II (გურიელი)*. 1625 წლიდან ის გურიის მთავარიც ხდება. მალაქია II-ის მოღვაწეობა ღრმში ემთხვევა ლევან II დადიანის მთელს დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, დომინირების პერიოდს. მან სცადა აფხაზეთის საერისთავოში დამკვიდრებული ახალმოსულ ჯიქ-აფხაზთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა. იერუსალიმის პატრიარქის *დოსითეოსის (1669-1707) ცნობით, „ლევანმა, რომელიც დიდხანს მეფობდა იქ (აფხაზეთში – ჯ. გ.) 1600 წლის შემდეგ 40 ათასი აფხაზი მონათლა და მათ ეპისკოპოსიც მისცა“ (დო-*

сифей, 1847: 28). აფსუა-აბაზების ქრისტიანულ სარწმუნოებაში განმტკიცება ვერ მოხერხდა. XVII ს. 20-იანი წლების ბოლოს მხოლოდ ბიჭვინთაში, როგორც იქ ჩასული *ჯოვანი* და *ლუკა* მოწმობს, ქართველი მღვდელი წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე აღავლენდა. სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით კი, იმავე *ჯოვანი* და *ლუკას* მიხედვით, ფუნქციონირებდნენ სამეგრელოს სამთავროს კუთვნილი *დრანდის*, *მოქვის*, *ბედიის* საეპისკოპოსოები, *ქიაჩის* (თანამედროვე *ჯგერდა*), *წიფურიის* ეკლესიები (**ტაბაღუა, 1987: 155-181**).

მალაქია II პერიოდულად ჩადიოდა ბიჭვინთაშიც, სადაც წმინდა მირონი მზადდებოდა. 1638 წელს მოსკოვში მყოფმა სამეგრელოს ელჩმა *გაბრიელ გეგენავამ* სხვადასხვა შეხვედრებზე განაცხადა, რომ მათი პატრიარქი მალაქია ბიჭვინთის მიძინების მონასტერში ცხოვრობს (**გამახარია, 2014: 225, 232**). მალაქია II ბიჭვინთაში 1634-1639 წლებს შუა პერიოდშიც იმყოფებოდა მისიონერ ქრისტოფორო კასტელთან ერთად. მისი ხელმძღვანელობით ბიჭვინთის ტაძარში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. *ქრ. კასტელი* მალაქია II-ს „*იბერიის პატრიარქად*“ მოიხსენიებს და წერს: „*იბერიის პატრიარქის ბრძანებითა და განკარგულებით, აფხაზებს მოაქვთ სვეტი წმინდა ანდრია მოციქულის ეკლესიის შესაკეთებლად*“ (**კასტელი 1976: 177**). კათოლიკოსი მალაქია II ზრუნავდა საეკლესიო ადგილ-მამულეების გაფართოებისთვის. მის მიერ 1621 წელს შედგენილ ბიჭვინთის დიდ დავთარში, რომლის ხსენებაც არ არის აფხაზ მკვლევართა პუბლიკაციებში, აღწერილია სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანუ სამეგრელოს სამთავროში „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს გამგებლობაში არსებული 24 მეურნეობა. დავთარში ასობით ყმა-გლეხია დასახელებული, რომელთა გვარ-სახელები მხოლოდ ქართულია. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, ანუ აფხაზეთის საერისთავოში „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს კუთვნილი არც ერთი მეურნეობა უკვე არ ფუნქციონირებდა (**აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი, 1979: 419-435; გამახარია, 2005: 198-199**).

1640-1657 წლებში „აფხაზეთის“ კათალიკოსის ტახტი *მაქსიმე I-ს (მაჭუტაძე)* ეკავა. მან რამდენჯერმე იმოგზაურა იერუსალიმში და ქართული მონასტრებისთვის შესაწირავი ჩაიტანა. ამ დვაწლისთვის მაქსიმე I იერუსალიმის ჯვრის მონასტერში IV და V საუკუნეების წმინდანი მეფეების მირიანისა და ვანტანგ გორგასლის ფრესკებს შორის იქნა გამოსახული (**კათოლიკოს-პატრიარქები, 2000: 149**). სავარაუდოდ, ის იმავე მონასტერში უნდა იყოს დაკრძალული. მაქსიმე I-ის შემდეგ „აფხაზეთის“ კათალიკოსი გახდა (1657-1658) ცნობილი დიპლომატი და მწიგნობარი, კათოლიკური წარსულის მქონე მართლმადიდებელი, XVII საუკუნის შუახანებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი და ბედიელი ეპისკოპოსი *ნიკიფორე /ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი/* (**კასტელი 1976: 178**). აფხაზეთის კათალიკოსების ქრონოლოგიაში ნიკიფორე არ მოიხსენიება, რისი მიზეზიც სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

XVII ს. II ნახევარში „აფხაზეთის“ კათალიკოსის ტახტი ეკავათ 1658 -1660 წლებში *ზაქარიას (ქვარიანი)*, 1660-1666 წლებში – *სვიმონს (ჩხეტიძე)*, 1666-1669

წლებში – *ევდემონ II-ს (საყვარელიძე)*, 1669-1673 წლებში – *ექთიმე II-ს (საყვარელიძე)*. ისინი საკუთარ სამწყსოს გელათის რეზიდენციიდან მართავდნენ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ბიჭვინთაში საერთოდ ვერ ჩადიოდნენ. იგივე ითქმის აფხაზეთის კათოლიკოს *დავითის (ნემსაძე)* შესახებაც. საკათალიკოსოს იგი 1673-1696 წლებში მართავდა. სწორედ დავითის მმართველობის პერიოდში შარვაშიძეთა სამთავრო სახლმა და კვლავ „წარმართად მიქცეულმა“ აფსუა-აფხაზებმა დაასრულეს სამეგრელოს სამთავროს მიწების მიტაცება მდ. კელასურიდან მდ. ენგურამდე. მიუხედავად ამისა, ამ დამანგრეველი პროცესების ერთ-ერთმა მთავარმა შემოქმედმა *ყვანუ შარვაშიძემ* სხვადასხვა დროს ფიცი მიართვა „აფხაზეთის“ კათოლიკოსებს – *დავით ნემსაძეს* (1673-1696) და *გრიგოლ ლორთქიფანიძეს* (1696-1742). ის ოფიციალურად აღიარებდა მათ თავის სულიერ მამად და ცდილობდა, ემართლებინა თავი მის მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის (**თაყაიშვილი, 1920: 35-36; კაკაბაძე, 1921: 88**).

დაპყრობილ ტერიტორიაზე განადგურდა ქართული ქრისტიანული მოსახლეობა. სიკვდილს გადარჩენილები ოსმალეთში გაყიდეს ან მონებად აქციეს, ნაწილმა ენგურს გამოღმა საქართველოს შეაფარა თავი (**გამახარია, 2005: 276-283**). იგივე ბედი ეწია ქართულ სამღვდელეობებს. ახალ აფხაზეთში უამრავი მართლმადიდებელი სასულიერო პირი დახოცეს, ბევრმა თავს გაქცევით უშველა. მათი ნაწილი კათოლიკე მისიონერებმა შეიფარეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ყვანუ შარვაშიძის ბრძანებით, „ბერძენ“ ანუ მართლმადიდებელ მღვდელს სპეციალური ნებართვის გარეშე აფხაზეთის ახალ საზღვრებში სამსახური აკრძალა. კათოლიკე მისიონერების მიერ 1686 წელს ვატიკანში გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ „*ჩვენმა მამებმა საჭიროდ დაინახეს იქაურობას თავი არ დაანებონ, მეტადრე ახლა, როდესაც ადვილად შეიძლება მოზარდთა შორისაც ნაყოფი გამოვიდოთ, ვინაიტგან იქ აღარ არიან ჩვენი ქადაგების მოწინააღმდეგე ბერძენები*“ (**თამარაშვილი, 1902: 210-212**). ეს წერილი ნათლად ადასტურებს XVII ს. ბოლოს აფხაზეთში მართლმადიდებელი ქრისტიანობის მოშლის ფაქტს.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური ვითარების რადიკალური ცვლილების შედეგად დაინგრა ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა, მათ შორის ზოგადქართული მნიშვნელობის რელიგიურმა და კულტურულმა ცენტრებმა: ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრამ, *დრანდისა* და *მოქვის* საეპისკოპოსოებმა, აგრეთვე *ლიხნის*, *ანუხვის*, *ანაკოფიის*, *ქიაჩის*, *ჭალას (ჭლოუს)*, *თილითის* და სხვა ეკლესიებმა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „*არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი*“ (**ვახუშტი, 1973: 845**). მოქვში არსებული დადიანისა და ეპისკოპოსის ორი სასახლე „*აფხაზებმა 1678 წელს ტაძართან ერთად გაანადგურეს*“ (**Селезнев, 1847b: 162-163**). წარმართ აფსუა-აფხაზთა მიერ ქრისტიანული ტაძრების აოხრების მომსწრე გახდა 1677 წელს საქართველოში ჩამოსული იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი /1669-1707/ (**Досифей, 1847: 31, 46**). ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი მთ-

ლიანად მოძალეს საკათოლიკოსო მეურნეობები. მხოლოდ მდინარეების ენგურ-ღალიძგის მონაკვეთზე, სადაც შემორჩა ქართული მოსახლეობა და რომელიც XVIII ს. დასაწყისში სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნდა, მოხერხდა ბედიის საეპისკოპოსო კათედრისა და ილორის ტაძრის შენარჩუნება.

ამრიგად, VIII-XVII საუკუნეებში აფხაზეთის საეკლესიო ისტორია, ერთის მხრივ, ქრისტეს მოციქულების მიერ გავრცელებული ქრისტიანობის აყვავების, ქართული ქრისტიანული ცენტრების დაფუძნებისა და ქართული კულტურის გაფურჩქვნის ისტორიაა; მეორეს მხრივ, ეს არის XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პირველყოფილობის სტადიაზე მყოფ ბარბაროსული მენტალიტეტის ჯიქაფხაზთა მოძალების შედეგად ადგილობრივი ქართული მოსახლეობის, სამღვდელეობების, ქრისტიანული ცენტრების, ქართული კულტურის კერების განადგურების, აფხაზეთის კათოლიკოსების ბიჭვინთიდან განდევნის ტრაგიკული ისტორია. XVIII საუკუნეში საკათოლიკოსოს იურისდიქცია აფხაზეთზე უკვე ვერ ვრცელდებოდა, თუმცა კანონიკურად ეს რეგიონი კვლავაც მის სამწყსოდ, ხოლო ბიჭვინთა საკათოლიკოსო კათედრად და კათოლიკოსთა რეზიდენციად რჩებოდა. აფხაზეთში წარმართულმა წყვდიადმა დაისადგურა (**ბახია-ოქრუაშვილი, 2000: 3-42**).

1696-1742 წლებში „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე გრიგოლ I (ლორთქიფანიძე) განაგებდა. წყაროებში ის იხსენიება როგორც „*მეუფე და მღვდელმთავარი აფხაზეთისა*“, „*მეუფე და მღვდელმთავარი ყოვლისა აფხაზეთისა*“, „*გრიგორ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზი*“ (**გამახარია, 2005: 298-307**). დიდი იყო მისი კეთილისმყოფელი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე – მეფე-მთავრებს შორის ურთიერთობების დალაგებაში, ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვაში და ა. შ. გრიგოლ I-ის ერთ-ერთი დამსახურება გახლდათ XVIII ს. დასაწყისში თანამედროვე გალის რაიონში ჩასვლა, საკათოლიკოსოს კუთვნილი გლეხების ტყვეობიდან დახსნა და სამეგრელოში მათი დასახლება. კათოლიკოს გრიგოლ I-ს, რომელიც ბიჭვინთაში ვერ ჩადიოდა, ჰქონდა წარმართი აფსუა-აფხაზების ქრისტეს რჯულზე მოქცევის მცდელობა. სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც საფრანგეთში დიპლომატიური მისიით ფრანგ მისიონერთან ი. რიშარდთან ერთად მიემგზავრებოდა, აფხაზეთის კათოლიკოსთან სამეგრელოში 40 დღე გაატარა. გრიგოლ I-მა სტუმრებს სთხოვა ევროპიდან სამი კათოლიკე მისიონერის ჩამოყვანა. ერთ-ერთ მისიონერს „*აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში*“ უნდა ემოღვაწა. სულხან-საბამ და ი. რიშარდმა მოახერხეს გრიგოლ I-ის თხოვნის დაკმაყოფილება. 1715 წ. 7 მაისს რომის პაპი კლიმენტი XI (1700-1721) გრიგოლ I-ს წერდა მისიონერების დანიშვნის შესახებ და თხოვდა მას პატრებისთვის დახმარების აღმოჩენას (**თამარაშვილი, 1902: 313, 322-323**). მისიონერებს საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715) აფინანსებდა, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაცვალების (1715 წ.) გამო ეს მისია ჩაიშალა.

„აფხაზეთის“ საკათალიკოსო ტახტი იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ს (1660-1681) შვილიშვილმა *ბესარიონმა (ერისთავი)* დაიკავა (1742-1769). საინტერესოა ამ კათოლიკოსის ტიტულატურა: „*ღიხთამერთა, ოდიშართა, პონტო-აფხაზ-გურიათა,*

რაჭა-ლეჩხუმთ-სვანთ-ოსთ-დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა საქეთმპყრობელი“; „განმგებელი ყოვლისა აფხაზეთისა მწყემსმთავარი და ბიჭვინტისა ეკლესიისა საქეთმპყრობელი“ (ისტორიული დოკუმენტები, 1958: 117). ბესარიონი ბიჭვინთაში ვერ ჩადიოდა. მისი იურისდიქცია მხოლოდ სამურზაყანოზე – ბედიის ეპარქიაზე ვრცელდებოდა. ბედიელი მიტროპოლიტი *მაქსიმე (იამვილი)* 1759 და 1761 წლებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებებში მონაწილეობდა და იმერეთის მეფესთან – სოლომონ I-თან, კათოლიკოს ბესარიონთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერდა ორივე კრების გადაწყვეტილებებს (**კაკაბაძე, 1913: 3-4; შეწირულობის წიგნი ბესარიონ კათალიკოზისა, 1970: 880**). XVIII ს. 60-იანი წლების მიწურულს ბედიის კათედრამაც ფუნქციონირება შეწყვიტა. მთელს აფხაზეთში მარტო ცაიშის ეპარქიას დაქვემდებარებული ილორის წმინდა გიორგის ეკლესია მოქმედებდა. სოლომონ I-ის წინააღმდეგ გამოსვლის გამო (1769 წ.) ბესარიონს კათოლიკოსის უფლებამოსილება შეუწყდა და „აფხაზეთის“ კათოლიკოსის ტახტი სოლომონ I-ის ძმამ – *იოსებმა (ბაგრატიონი)* დაიკავა (1769-1776). წყაროებში იოსები მოიხსენიება როგორც „*ჰონტო-ჩრდილო და აფხაზ-იმერთა სავსებისა კათოლიკოზი*“, „*აფხაზ-იმერ-გურია-სამეგრელოსა, ესე იგი სრულიად ქვემოთისა ივერიისა კათოლიკოზ მამამთავარი*“ (**შეწირულობის წიგნი იოსებ კათალიკოზისა, 1970: 896-897; კათოლიკოს-პატრიარქები, 2000: 167-168**).

აფხაზეთის უკანასკნელ კათოლიკოსად *მაქსიმე II (აბაშიძე)* არის მიჩნეული (1776-1795). მთავარ ამოცანად მან ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრის აღდგენა დაიხატა. ეს იყო მაქსიმე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დედააზრი. ამასთანავე მას კარგად ესმოდა, რომ დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნის გარეშე დასახული მიზნის აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც დაეთანხმა იგი იმერეთის მეფის დავითის (1784-1789) წინადადებას პეტერბურგში ხელმეორედ გამგზავრებისა¹ და რუსეთის იმპერატრიცა *ეკატერინე II-სთან* (1762-1796) მოლაპარაკების გამართვის შესახებ. იმერეთის სამეფოს სამკაციანი ელჩობა კათოლიკოს მაქსიმე II-ის, *ზურაბ წერეთლისა და დავით კვინიხაძის* შემადგენლობით 1784 წ. 29 დეკემბერს მართლაც შეხვდა ეკატერინე II-ს. მოლაპარაკებამ სამფარველო ტრაქტატის გაფორმების შესახებ შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, მაქსიმე II რუსეთში დარჩა და აქტიურად აგრძელებდა დიპლომატიურ მისიას. 1792 წ. 27 ივლისის წერილში დასავლეთ საქართველოს სამღვდლოებისადმი „აფხაზეთის“ კათოლიკოსი წერდა დიპლომატიურ სარბიელზე გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც წერილიდან ირკვევა, ანაპიდან ოსმალების განდევნის (1791 წ. 22 ივნისი) შემდეგ კათოლიკოსი მაქსიმე II იმედოვნებდა, რომ რუსული ჯარი გააგრძელებდა წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, გაათავისუფლებდა ბიჭვინთას, აფხაზეთს, მთლიანად დასავლეთ საქართველოს და, ეკატერინე II-ის წყალობით, ბიჭვინთის ტაძარსაც აღადგენდა. „*მაგრამ ჩემის ცოდვის ძალით, ესეც*

¹ *მაქსიმე II (აბაშიძე)*, რომელიც ადრე ქუთათელი მიტროპოლიტი იყო, სოლომონ I-ის დავალებით 1768-1769 წლებში პირველად იყო მივლინებული რუსეთის სამეფო კარზე.

უსრულ შეიქმნა და საუკუნო ტკივილი დამთა სულსა შინა ჩემსა“ – წერდა მაქსიმე II (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, 1953, 339). დასავლეთ საქართველოს მომავალ კათოლიკოსს, მთელ სამღვდლოებას მან ასეთი ანდერძი დაუტოვა: „უმეტესი ღვაწლი თქვენი იყავნ აფხაზეთის მოქცევასა და ბიჭვინთის ეკლესიის განახლებისათვის“ (კათოლიკოს-პატრიარქები, 2000: 171). 1792 წელს „აფხაზეთის“ კათოლიკოსი მაქსიმე II (აბაშიძე) კიევ-პეჩერის ლავრაში გადავიდა, სადაც ის 1795 წლის 30 მაისს აღესრულა, დაკრძალულია იქვე.

მაქსიმე II-ის გარდაცვალების შემდეგ „აფხაზეთის“ საკათალიკოსო აგრძელებდა ფუნქციონირებას, თუმცა, როგორც ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) წერდა, დაიწყო მისი თანდათანობით მცხეთის გავლენის ქვეშ მოქცევის პროცესი (გამახარია, 2006b: 341). აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობდა „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს უკანასკნელი მმართველი, ქუთაისის მიტროპოლიტი, შემდგომში ქართული ეკლესიის წმინდანად შერაცხული დოსითეოსი (წერეთელი). ზოგიერთი საბუთის მიხედვით, სოლომონ II -მ (1789-1810) მას კათოლიკოსობაც უბოძა (კათოლიკოს-პატრიარქები, 2000: 71-72; გამახარია, 2005: 342). XIX ს დასაწყისში, როდესაც რუსეთმა სრულიად საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, ანექსია დაასრულა, ქართულმა ეკლესიამაც ავტოკეფალია დაკარგა და იგი რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა დაიქვემდებარა. საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, ქართლ-კახეთის კათოლიკოსსა და მცხეთის მთავარეპისკოპოს ანტონ II-ს (1788-1811), იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებულების შესაბამისად, 1811 წ. 30 ივნისს უფლებამოსილება შეუწყდა, კათოლიკოსის წოდებაც გაუქმდა. იმავე ბრძანებულების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მეთაური იწოდებოდა მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტად, საქართველოს ეგზარქოსად. პირველ ეგზარქოსად 1811 წ. 8 ივლისს მიტროპოლიტი ვარლამი (ერისთავი) დაინიშნა (1811-1817). ეგზარქოსთან არსებული სასულიერო დიკასტერიის ნაცვლად 1814 წ. 30 აგვისტოს დაფუძნდა საეგზარქოსოს მართვის უმაღლესი ორგანო – რუსეთის უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. ოფიციალურად იგი 1815 წ. 8 მაისს გაიხსნა. ამიერიდან დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთის“ საკათალიკოსომაც არსებობა შეწყვიტა.

§2. თანამედროვე აფხაზეთის კულტურული იერსახე შუა საუკუნეებში

თანამედროვე აფხაზეთის კულტურული იერსახე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქართული საზოგადოებისა და კულტურის ფუნქციური ერთიანობის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოსტულატს წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულ ადმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იქმნება იდენტური სოციალური და კულტურული სტანდარტები, სოციალურ და კულტურულ ფასეულობათა მსგავსი სისტემა, ადასტურებს, რომ შუასაუკუნეების საქართველოს საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო ერთიანი კულტურული სივრცის თვითმყოფადი განცდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის თანამედროვე ეტაპზე, აფხაზეთის მხარის მრავალფეროვანი მატერიალური კულტურა პირობითად შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. ძველი არქიტექტურული ძეგლები;
2. წერილობითი კულტურის ძეგლები
3. საეკლესიო დანიშნულების ნივთები.
4. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოძიებული მასალა.

აღნიშნული კლასიფიკაცია, ამ ეტაპზე რეალურად ასახავს შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის საერთო სურათს (**ახალაძე, 2012: 131; გამახარია, ახალაძე, ჯოჯუა, 2018: 70-72**).

თანამედროვე აფხაზეთის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიაში პირობითად სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტაპი შეიძლება გამოვყოს:

1. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი – ეპოქა, როდესაც ევროპელმა, რუსმა და ქართველმა სიძველეთმცოდნეებმა და მკვლევრებმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება არამარტო აფხაზეთის, არამედ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საკითხს;
2. საბჭოთა ეპოქა, რომელშიც აქტივობის თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა ქვეპერიოდები შეიძლება გამოვყოს;
3. პოსტსაბჭოთა ეტაპი, ანუ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის პირველ ეტაპზე – XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, საკითხით დაინტერესებული იყვნენ მოგზაურები და კავკასიის სიძველეთმცოდნეული საზოგადოება, შესაბამისად მათი პუბლიკაციები, ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომები ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდიან აღნიშნული ძეგლების ძველი ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მოტივების, არქიტექტურული ელემენტების, მათზე დაცული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის საეკლესიო ნივთების შესახებ. ამ პერიოდის პუბლიკაციებიდან გვერდს ვერ ავუვლით მარი ბროსეს, პრასკოვია უვაროვას, დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოდიმ კონდაკოვის, ანდრეი ჰავლინოვის, სერგეი ბელოკუროვის, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა შრომებს.

თანამედროვე ეტაპზე აფხაზეთის საერო და საეკლესიო არქიტექტურის შესახებ არსებული ჩვენი ცოდნა ძირითადად ეყრდნობა მუორე ეტაპის, ანუ საბჭოთა ეპოქის კვლევებს, რომელთა დიდი ნაწილი, ბუნებრივია ვერ ასცდა იდეოლოგიურ ზეწოლას და ტაბუდადებული თემებისაგან თავის არიდების პროცესს. ამ დროიდან აფხაზეთის ისტორიული ძეგლების მკვლევართა შორის იშვიათად ვხედავთ ევროპელებს, სამაგიეროდ ქართველ და რუს მეცნიერებთან ერთად საკითხით დაინტერესდნენ აფხაზი მხარეთმცოდნეები: ივანე აჩინჯალი (აჩინჯოლია), იოსებ აძინბა, სემიონ აშხაჯავა, ვიანორ ფაჩულია. ამ ეტაპზე ქართული ხელოვნების ის-

ტორიაში ფუნდამენტალური ნაშრომები შექმნეს ისეთმა ავტორიტეტულმა მკვლევრებმა, როგორებიც იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, რენე შმერლინგი, ლევან რჩეულიშვილი, მარიამ დიდებულიძე, აფხაზი მეცნიერები ხუხუტი ბღაჟბა, ანატოლი კაცია და ლეონ შერვაშიძე და სხვები, რომლებმაც რეგიონის მონუმენტური ძეგლების კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს. თითოეული მათგანი, საქართველოს სხვადასხვა ისტორიული მხარეების ხელოვნების ძეგლებთან ერთად იკვლევდა აფხაზეთის ხუროთმოძღვრულ მოტივებსაც და დღეს, როდესაც ოკუპაციის პირობებში მოკლებულნი ვართ ამ ძეგლების ადგილზე შესწავლის შესაძლებლობას, მათ ნაშრომებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ. ცალკე უნდა აღინიშნოს მონუმენტურ ძეგლებზე შემორჩენილი წარწერების პალეოგრაფიული შესწავლა სარა ბარნაველის, თეიმურაზ ბარნაველის, თამარ ხაჟომიას, ლეონ შერვაშიძის, ვალერი სილოგავას, გიორგი ოთხმეურის და სხვ. მკვლევართა მიერ. ვალერი სილოგავამ აფხაზეთის 22 ქართული წარწერა (ძეგლისა და რაიონების მითითებით) ლაპიდარული წარწერების კორპუსის მეორე ტომში (**ქართული ლაპიდარული II, 1980**) სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიტანა.

აფხაზეთში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ფრესკული ხელოვნებისა და სხვა მცირე ფორმის არტეფაქტების შესწავლას დიდ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა ეპოქის რუსი ხელოვნებათმცოდნეები: ნიკოლაი სვეროვი, ნატალია ტოლმაჩევსკაია, მოგვიანებით საკითხით დაინტერესდნენ ლიუდმილა ხრუშკოვა, იური ვორონოვი და სხვები (ევროპელ, რუს და ქართველ მოგზაურთა, სიძველეთმცოდნეებთან და მკვლევართა პუბლიკაციების სრული აღწერილობა მოკლე ანალიზით იხ. **აფხაზეთის კულტურული, 2018**). ყველა დასახელებული ავტორის ნაშრომი, წარმოადგენს ჩვენს უმნიშვნელოვანეს არგუმენტაციას აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ავთენტურობის დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის პროცესში.

ამჟამად – კვლევის *მესამე ეტაპზე*, როდესაც საქართველოს ეს მხარე ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ, ქართველი ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორ-რესტავრატორები, ეპიგრაფიკის მკვლევრები და ფრესკული ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის სპეციალისტები მოკლებულნი არიან ადგილზე მუშაობის შესაძლებლობას. ამ ტიპის ძეგლებზე მუშაობის ნაკლები გამოცდილება აქვთ რუს მეცნიერებსაც, რომელთა დახმარებით აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას ცდილობს. დღემდე *ილორის, ბედიის, დრანდის, ლიხნის, სიმონ კანანელის, ანაკოფიის* ტაძრებზე და *ანაკოფიის ციხეზე* ჩატარებულ სამუშაოებში არ მონაწილეობდა ძველი ხუროთმოძღვრების მცოდნე, პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორი. ამ ფაქტს ნაწილობრივ ადასტურებს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს რუსეთის კომიტეტის (რუსეთის *ICOM*) ანგარიშები (**Отчет о миссии ИКОМ, 2011**), აფხაზური პრესა და საინფორმაციო საშუალებები.

„სარესტავრაციო“ სამუშაოების ჩატარების პარალელურად დღეს სამეცნიერო სივრცეში ვრცელდება ისეთი ნაშრომები, რომლებიც ცდილობენ ახალი „კონცეფციები“ და „თეორიები“ წამოაყენონ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის „არაქართულობის“ შესახებ. მართალია, მსგავსი ნაშრომები ოპონირებას ვერ უწყვენ წინარე პერიოდის კვლევებს, მაგრამ ცხადია, მათი დახმარებით ცდილობენ მყარი სამეცნიერო საფუძველი შეუქმნან და ეჭვქვეშ დააყენონ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, შუა საუკუნეებში შექმნილი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების კუთვნილების საკითხი.

ცხადია, აფხაზეთი, ისევე, როგორც საქართველოს ყველა მხარე, მდიდარია სხვადასხვა დანიშნულების ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობებით, მათ ახასიათებთ გარკვეული თავისებურებანი, მაგრამ თავისებურებები ყველა ქვეყნის კულტურას, როგორც ადამიანური გამოხატულების განცალკავებულ სამყაროს, გააჩნია. ბუნებრივია, ეს ახასიათებს არქიტექტურასაც, რადგან ის კულტურის უნიკალური ფენომენია, არ სცნობს საზღვრებს და გავრცელების საკუთარი გზები გააჩნია. ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებულად წერს ქართული ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი დიმიტრი თუმანიშვილი: „როდესაც აფხაზეთის შუასაუკუნოვან კულტურაზე წამოიწყებენ საუბარს, მხედველობაში უპირატესად იქ შემორჩენილი საეკლესიო ხელოვნების ნაწარმოებები აქვთ... აფხაზეთის მხატვრული მემკვიდრეობა, ისევე როგორც მთელი ქართული შავიზღვისპირეთისა, ნაკლებად ჰომოგენურია“. ეს მეცნიერის აზრით, განპირობებულია დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში „ჯერ ელინური, შემდგომ ელინისტური, რომაული, და ბოლოს ბიზანტიური პოლიტიკური და კულტურული გავლენით“ (თუმანიშვილი, 2008: 174).

სწორედ აქედან ხორციელდებოდა მთელ საქართველოში კულტურული ელემენტების „იმპორტი“, რამაც ის როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქრისტიანული ქვეყანა, ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებში მოაქცია, ხოლო ამ კულტურულ ნათესაობას ბიზანტიური ცივილიზაციის პარადიგმა ეწოდა. ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე, განსაკუთრებით საეკლესიო ნაგებობებზე ასახული ეს ნათესაობა, სულაც არ ცვლის საერთო სურათს ძველი ქართული არქიტექტურის ავთენტურობის შესახებ, რადგან ძველი ქართული საეკლესიო ძეგლები, მათ შორის აფხაზეთის ხუროთმოძღვრება თვალსაჩინოდ თვითმყოფადი და განსახვავებულია აღმოსავლური ქრისტიანობის სხვა ძეგლებისაგან.

თუ გადავხედავთ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აფხაზურ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც მოცემულ თემატიკას ეხება, მათი შინაარსი, კვლევის სანდოობა და სამეცნიერო ღირებულება ქრონოლოგიურად განსხვავებულია. გვაქვს XX ს. 90-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისის სრულიად მითოლოგიზირებული „ნაშრომები“, რომლებიც ყოველგვარი არგუმენტაციისა და დასაბუთების გარეშე მოუთხრობენ მკითხველს, რომ ეს ძეგლები კავშირშია ბიზანტიურ, გოთურ, კელტურ, სლავურ, სომხურ არქიტექტურასთან, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ძველ

ქართულ არქიტექტურულ ფორმებთან. სამწუხაროდ, ეს „ნაშრომები“ დაწერილია სიძულვილის ენით. მომდევნო პერიოდში – XXI ს. 10-იანი წლების II ნახევრიდან რიტორიკა თითქოს შეიცვალა – პუბლიკაციებიდან თანდათანობით გაქრა სიძულვილის ენა. ამ „ნაშრომების“ ძირითადი იდეაა მოგვითხრონ ე. წ. ძველ აფხაზურ ხუროთმოძღვრებაზე, რომელთა ფორმები დღემდე ცოცხლობს თანამედროვე აფხაზურ არქიტექტურაში.¹

2008 წლის შემდეგ სულ უფრო ინტენსიური ხდება აფხაზურ-რუსული სამეცნიერო თანამშრომლობა, ერთობლივი კვლევები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. აფხაზეთის შუასაუკუნეების კულტურის ძეგლების შესწავლაში აქტიურად არიან ჩართულნი ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნეები *ლიუდმილა ხრუშკოვა*, *ანდრეი ვინოგრადოვი*, *დენის ბელეცკი*, *ელენა ენდოლცევა* და სხვები. აფხაზი ავტორებიდან ამ მიმართულებით აღსანიშნავია *ანზორ აგუმაჯას*, *დავით კანდელაკის*, *ტაჩუ გიგბას* და სხვათა პუბლიკაციები. ამ მკვლევართა ნაშრომებში ბევრი რამ შეიძლება არ იყოს მისაღები, თუმცა მათში დაცულია აკადემიური და მეცნიერული ეთიკა. ამას ვერ ვიტყვით აფხაზი მწერალ-ფილოლოგის *დენის ჩაჩხალიას* „შრომებზე“. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს პროფესიული განათლება არც ხელოვნებათმცოდნეობაში და არც ისტორიაში, ის აქვეყნებს „ეპოქალურ ნაშრომებს“ „აფხაზურ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე“ და ამბიციურად საუბრობს „ბიზანტიური არქიტექტურის აფხაზური სკოლაზე“ (*Чачхалиа*, 2011), მის გავლენაზე „*ალანის, რუსეთისა და ტრაპეზუნდის არქიტექტურაზე*“ (*Чачхалиа*, 2016)² და ა.შ.

ცალკე განსახილველია აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხები-სადმი მიძღვნილი რუს და აფხაზ მკვლევართა ერთობლივი გამოცემები, რომლებშიც იკვეთება აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის იმპერიულ-სეპარატისტული ხედვა. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ რუსი მკვლევრები მაინც იჩენენ ერთგვარ სიფრთხილეს და რამდენადმე დისტანცირებენ დ. ჩაჩხალიას ტიპის მარგინალი ავტორების მითებისაგან. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მათ სამეცნიერო პროდუქციაში გვხვდება ყალბი თეზისების აკადემიზმით შეფუთვის ტენდენციები. ამის ნიმუშია 2011 წელს სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის ქრისტიან-

¹ *ელიზაბეტ ოუნის* სტატია სოხუმის საქალაქო არქიტექტურაზე (*Owen, 2011; Оуэн, 2011; ახალაძე, 2018: 54*).

² ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ ის აფხაზური ნაციონალური არქიტექტურული სკოლის განსაკუთრებულ ნიმუშებად აცხადებს, *ბაგრატს*, *მანგლისს*, *ნიკორწმინდას*, *ბეთანიას*, *მეტეხის ტაძარს*, *ფიტარეთს*, *ბოჭორმის ტაძარს*... მეტიც, დ. ჩაჩხალიას „გენიალური მიგნებით“ თბილისის სამების არქიტექტორი *არჩილ მინდიაშვილი* ტაძრის მშენებლობისას აფხაზთა სამეფოს იმ არქიტექტურულ ფორმებსა და ტექნიკას ეყრდნობა, რომლითაც აგებულია *გელათი*, *ბაგრატის ტაძარი*, *მცხეთის სვეტიცხოველი* (*Чачхалиа, 2016: 87*). ავტორი ომკსაც, რომელსაც ის გამიზნულად სომხური ფორმით – „*ომკვანე*“ (ტაოს კი ასევე სომხურ „*ტაიკად*“) მოიხსენიებს, გადაწვდა ისიც, არც მეტი არც ნაკლები, „აფხაზური არქიტექტურული სკოლის“, გავლენით შექმნილ ძეგლად გამოაცხადა (*Чачхалиа, 2016: 51*. ამავე „სკოლის“ გავლენაზე იხ. აგრეთვე: *Чачхалиа, 2018*).

ნულ-ჰუმანიტარული აკადემიის ეგიდით გამოცემული „აფხაზთა“ სამეფო ეპოქის ხელოვნებისადმი მიძღვნილი კოლექტიური ნაშრომი (**Искусство Абхазского царства, 2015**). წიგნი გამოცემულია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე და დაფინანსდა რუსეთის ჰუმანიტარულ კვლევათა ფონდის სპეციალური გრანტით.

ავტორები (*ოლეგ ბლაჟბა, ანზორ აგუმაჯა, დიმიტრი ბელეცკი, ანდრეი ვინოგრადოვი, ეკატერინე ენდოლოცევა*) ცდილობენ ფართო კულტურულ-ისტორიულ ჭრილში, ბიზანტიური და კავკასიური ანალოგიების გათვალისწინებით განიხილონ ანაკოფიის ქრისტიანული ხელოვნების ძეგლები და მის საფუძველზე წარმოაჩინონ „აფხაზთა“ სამეფოს ხელოვნება და ისტორია. წიგნის ყველა თავი, გარდა ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგისა, დატვირთულია ისტორიული მასალითა და პარალელებით, რაც იშვიათი გამოწაკლისის გარდა, გამიზნულია იქითკენ, რომ კარგად „შეიფუტოს“ „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ნარატივი და შექმნან მყარი ბაზა ამ სახელწიფოს ქართული კულტურული და პოლიტიკური სამყაროდან მოწყვეტით წარმოსაჩენად. ნაშრომში გამოკვეთილად იგრძნობა სეპარატისტული კონიუნქტურის გავლენა და მთლიანად მიმართულია დღევანდელი რეალობის გამართლებისაკენ. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაშრომი შექმნილია იმპერიული ნომენკლატურის დაკვეთით და მისი უმთავრესი დანიშნულებაა ასევე ამჟამინდელი აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის საერთო ქართული ისტორიულ-კულტურული სივრციდან ჩამოცილება. ეს არის ერთგარი გაგრძელება იმ კონცეპტუალური ხედვისა კავკასიის ისტორიისა და კულტურის კვლევებში, რომლის საწყისები გამოიკვეთა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.¹

ფაქტობრივად, ამ კონცეფციის გამყარებას ემსახურება *ანდრეი ვინოგრადოვისა და დენის ბელეცკის* ერთობლივი ნაშრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია „აფხაზთა“ სამეფოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა (**Виноградов, Белецкий, 2015**). მართალია, ნაშრომი უთუოდ ღირებულია აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების, ადრე შეუსწავლელი ცალკეული საეკლესიო ნიმუშების კვლევის თვალსაზრისით, მაგრამ კონცეპტუალურად ეს არის კავკასიის კულტურის ისტორიაში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-კულტურული სივრცის სრული იგნორირების კიდევ ერთი მცდელობა.

¹ ამის ერთ-ერთ პირველ გამხმოვანებლად შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილი რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი *პრასკოვია უვაროვა*, რომელიც გამოთქვამდა წუხილს იმის გამო, რომ აფხაზეთიდან „ადგილობრივი“ (აფხაზური) მოსახლეობის აყრისა და მათ ადგილას „მეგრულელებისა“ და „ინოროდების“ დაფუძნების შემდეგ თურმე გამქრალა ძველი დასახლებების კვალი, დავიწყებას მისცემია ძველი სახელწოდებები და დამოცემები (**Уварова, 1894: 7**). არადა, უვაროვას ეს რიტორიკა მთლიანად ეწინააღმდეგება მისსავე ნაშრომში აღწერილ აფხაზეთის ქრისტიანული სიძველების აღწერილობას და მონაცემებს (**Уварова, 1894: 14, 23**). იმ სიძველეებისა, რომელთა შემომქმედნი სწორედ „მეგრულეები“ (ე. ი. ქართველები) იყვნენ. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი კულტურისადმი ამგვარი დამოკიდებულება ერთ-ერთმა პირველმა გააკრიტიკა აფხაზმა მეცნიერმა *იოსებ აძინბამ* (**Адзинба, 1958: 7**).

ეს ნაშრომები იური ვორონოვისეული იდეების გაგრძელებაა და მათ სამეცნიერო მიმოქცევაში ეტაპობრივად შემოაქვთ ახალი ცნებები და ტერმინები: „ბიზანტიური არქიტექტურის აფხაზური სკოლა“, „ბიზანტიური არქიტექტურის ალანური სკოლა“, „პონტოს (ბიზანტიის) არქიტექტურა“, „აფხაზური არქიტექტურა“, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქიტექტურა“ და ა. შ. ამით, რუსი მეცნიერები, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ აყენებენ ძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების არსებობას არამარტო აფხაზეთში, არამედ დანარჩენ საქართველოშიც. ამ თეორიის კონტექსტში არ რჩება კულტურული სივრცე ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის.¹ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ მიდგომებით მთლიანად იგნორირებულია *ძეგლის ენა* და *საღამურლობო კულტურა*, როგორც ეროვნული, თვითმყოფადი კულტურის ძირითადი მახასიათებელი. იქნებ დავსვათ კითხვა, ძღვეამოსილმა „აფხაზთა“ სამეფომ, რომელმაც „აფხაზური არქიტექტურა“ შექმნა, ნუთუ ვერ შექმნა თვითმყოფადი კულტურის მთავარი საფუძველი – დამწერლობა?! მიუხედავად ამ და სხვა მცდელობებისა, შეუძლებელია ისტორიული რეალობის შეცვლა და იმის უარყოფა რომ შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა არის ზოგადქართული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი. სწორედ ამის დადასტურებაა ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტოლოგიური მასალა. დავიწყოთ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებით.

აფხაზეთში უძველესი ქრისტიანული ტაძრები, რომლებიც მეცნიერებისთვისაა ცნობილი *ბიჭვინთის ნაქალაქარზე* გათხრილი (**თუმანიშვილი, 2008: 175**). ქრონოლოგიურად ადრეული პერიოდის საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *გაგრის ტაძარს* (VI ს.), რომელიც, წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას – ფასადებზე მკაფიოდ გამოვლენილი ბაზილიკური სილუეტი: მაღალი ცენტრალური ნავი ორფერდა სახურავის ქვეშ, დაბალი, ცალი ფერდით გადახურული გვერდის ნავეები, გვერდის ფასადების ჰორიზონტალური დანაწევრება (**დიდებულიძე, 1977: 16**). ძველი გაგრის ეკლესია ერთი ნიმუშია სამნავიანი ბაზილიკის საფუძველზე აღმოცენებული იმ თავისებური გადაწყვეტისა, რომელიც საქართველოს გარეთ თითქმის სრულიად უცნობია. იგი გავრცელებული იყო ადრეფეოდალური ხანის ქართულ არქიტექტურაში და პირობითად „*სამეკლესიან ბაზილიკადაა*“ წოდებული. ამ ტიპის ტაძრები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთსა და ქართლში გვხვდება და აკადემიკოს *გიორგი ჩუბინაშვილის* ავტორიტეტული დასკვნით, ის ქართული ხუროთმოძღვრების პირმშოა (**Чубинашвили, 1959: 161; დიდებულიძე 1977: 25**).

ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ეკლესიის თაღოვან საბჯენთან გამოსახული „ბოლნური ჯვრის“ არქაული,

¹ ბუნებრივია, ჩვენ კულტურასა და მით უფრო ხუროთმოძღვრებას არ განვიხილავთ, როგორც თავის საზღვრებში ჩაკეტილ ფენომენს. ცხადია ის გარედან შემოტანილი თემებითაც საზრდობს, თუმცა ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია სხვა ქვეყნების კულტურული გამოცდილების გამოტანა (**ჩაჩხუნაშვილი, 2012: 145**).

მარტივი ვარიაცია, რომელიც დამახასიათებელია V-VI სს. აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის. *მარიამ დიდებულის* აზრით, V-VI სს. ფარგლებში ათავსებს ძეგლს წრეში ჩაწერილი ჯვრის გამოსახულებაც. ქართლსა და მეტაღრე, კახეთში გავრცელებული სამეკლესიანი გეგმით ნაგები, შემკული რელიეფებით, რომელნიც თითქოს ბოლნისის სიონისა და ქართლის სხვა ეკლესიების დეკორითაა შთაგონებული, ეს ძეგლი მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურის ერთიანობას და მთლიანობას მისი განვითარების ადრეულ ეტაპზედაც კი (**დიდებულიძე, 1977: 26**).

ქრონოლოგიურად მომდევნო პერიოდის ბაზილიკა უნდა იყოს VI-VII სს. დათარიღებული *განთიადის ბაზილიკა* გაგრის მუნიციპალიტეტში. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ეს სწორედ ის ტაძარია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565) აბაზგებს – აფხაზთა წინაპარ ტომს აუგო მათი გაქრისტიანებისას (**Воронов Ю., 1978: 96-97**). 1980 წელს ბაზილიკის ნანგრევებში აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელზეც ბერძნული ასომთავრული წარწერა იკითხება „აბაზგას“. წარწერა თარიღდება VI საუკუნით.

დრანდის ღმრთისმშობლის ეკლესია (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) დათარიღებულია VIII საუკუნით. მართალია, ტაძარი არქიტექტურული თავისებურებებით განსხვავდება ქართული საეკლესიო ნაგებობებისაგან, თუმცა მსგავსი ძეგლები იმ ეპოქის საქართველოს სხვა ისტორიულ კუთხეებშიც გვხვდება. VI-VII საუკუნეების ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული მსგავსი – ოთხსაყრდენიანი ჯვარგუმბათოვანი ტიპის საეკლესიო ნაგებობა, მაგრამ დრანდის ეკლესიის ხუროთმოძღვარს ზოგი რამ ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებიდანაც აუღიათ, კერძოდ, მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსად, აქაც საკურთხევლის თავზე აღმართული ნახევარწრიული უბეები პატარ-პატარა თაღებითაა გადაბმული (**Рчеулишвили, 1988: 27; Мепишავილი 1989: 12; Тумანიшвили, 1999: 378**). ეკლესიაში კარგად არის შემონახული გუმბათის თაღთან გამოსახული უფლის სახება, დასავლეთის კარების ზემოთ მონატული მიქაელ მთავარანგელოზის ფრესკული სახე და ხარების ფრაგმენტი დაჩოქილ ღმრთისმშობლის სახებასთან ერთად.

დრანდის ეკლესიამ XIX – XX საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე განიცადა რესტავრაცია – განსაკუთრებით 1877-1878 წლების ომის დროს გაჩენილი ხანძრის შემდეგ. საფუძვლიანი გადაკეთების დროს აღმოსავლეთის ფასადის ზედაპირი თითქმის მთლიანად მოაპირკეთეს, რისთვისაც გამოიყენეს იმ დროის რუსული სტანდარტის აგური, ასევე გუმბათს დაადგეს ხის კონსტრუქციის რუსული ძეგლებისთვის დამახასიათებელი „ხახვის“ თავი, გააფართოვეს სარკმლები, დასავლეთით გამართეს ხის პატრონიკენი (მეორე სართული) და სხვ. ძეგლს შიგნით და გარეთ ნაღესობით გამოყვანილმა დეკორმა შეუცვალა თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახე (**ცინცაძე ვ., 1979: 38-39**). დრანდის ეკლესიის რესტავრაციამდე, XIX ს. I ნახევარში, შესრულებული რეალური ანახაზების საფუძველზე, XX ს. 70-იანი წლების მიწურულს მეტნაკლებად აღდგენილი იქნა ტაძრის თავდაპირველი სახე (**ცინცაძე ვ., 1979: 35- 42**). დრანდის ეკლესია მიუთითებს, თუ რამდენად იყო ბი-

ზანტიური არქიტექტურის გავლენა (Туманишвили 1999: 378) ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე, პრაქტიკულად, ეს ტაძარი ბიზანტიური და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნაზავს წარმოადგენს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფ. პრიმორსკოეს (ძველად სოფელი „სანაპირო“) მიდამოებში, შავი ზღვიდან 3 კმ. დაშორებით, მდინარე წკუარას ხეობაში შემადღებულ ადგილზე მდებარეობს მსიგხვას მთის მონასტერი, რომელიც დათარიღებულია VIII-IX სს., ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს მსიგხვას მთას უწოდებს და ტაძრის სახელწოდებაც აქედან მოდის. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ქართული წარწერების მიხედვით ტაძარი მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე იყო აგებული. მსიგხვას მთის ეკლესია წარმოადგენს შუა საუკუნეების ცენტრალურ გუმბათოვან საეკლესიო ნაგებობას, რომელიც ნაღისებური თაღით არის წარმოდგენილი. ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით, მსიგხვას ეკლესია ქართულ ხუროთმოძღვრულ მოტივებს ატარებს და პარალელურ პოულობს საქართველოს სხვა ისტორიული მხარეების ამავე ტიპის საეკლესიო ნაგებობებთან (Кацяя, 1967: 65-77). ტაძრის ნანგრევებში ყურადღებას იქცევს შენობის სხვადასხვა სტრუქტურული დეტალი, სხვადასხვა სახის ხუროთმოძღვრული დეკორით გაფორმებული ქვის საკურთხევლის ფრაგმენტები, ტაძრის სახურავის ფილების ფრაგმენტები და კრამიტის კერამიკული კალიპტერები ანტიფიქსებით, რომლებზეც ე.წ. „მალტური ჯვარია“ გამოსახული ქართული წარწერებით (Кацяя, 1967: 66-67). სულ აღმოჩენილია 46 წარწერიანი კრამიტის კალიპტერი. ანტიფიქსებზე ამოკვეთილი წარწერები ჩასმულია ორმაგ რელიეფურ ჩარჩოში და შინაარსის მიხედვით ორი ჯგუფისაა. პირველი ჯგუფის წარწერებში იკითხება: „ქ(რისტ)ე, მ(ე)ფყ(ა)ლე მ(ი)ქ(ა)ელ, ა(მ)ე“. ამ შინაარსის 30 წარწერა ცნობილი. მეორე ჯგუფის წარწერებში იკითხება: „მ(ი)ქ(ა)ელ, ა(მ)ე“. მსგავსი ტექსტი დაცულია 16 კრამიტის კალიპტერზე (სილოგავა, 2004: 257-259). წარწერების შინაარსიდან ჩანს, რომ ვინმე მიქაელი ითხოვს შენდობას, სავარაუდოდ მის მიერვე აგებულ მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, მსიგხვას ეკლესიის წარწერებში ჩანს ქართული ასომთავრული ანბანისთვის დამახასიათებელი არქაული ნიშნები: წარწერები წარმოდგენილია მსხვილი რელიეფური კვეთით – გრაფემები რელიეფს ზემოთაა ამოკვეთილი. კვეთის დროს დაცულია ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიცია და ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მონუმენტურობა (ახალაძე, 2005: 140-146).

მსიგხვას მთის ეკლესიის არქიტექტურული დეტალებისა და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, ეკლესიის მშენებლობისა და წარწერების შესრულების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა იყოს VIII საუკუნე, ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნის დასაწყისი. მსიგხვას მთის ეკლესიიდან ჩრდილოეთით, 2 კმ. მანძილზე აჭანუას (ჭანების – ლ.ა.) მთის ფერდობზე მიკვლევულ იქნა კიდევ ერთი ტაძარი, რომელსაც მისმა აღმომჩენმა, აფხაზმა მკვლევარმა ანატოლი კაციამ ადგილის სახელწოდების მიხედვით „აჭანუას ეკლესია“ უწოდა. მსიგ-

ხვას მთისა და „აჭანუას ეკლესიის“ შესახებ წერილობით წყაროებში ცნობებს ვერ ვხვდებით და მათ შესახებ ინფორმაცია არც *პრიმორსკოეს* თემში შემავალი მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებაშია ასახული.

გუდაუთის მუნიციპალიტეტის დაბა ახალ ათონში ივერიის მთის ფერდობზე დგას IX-X საუკუნეებში აგებული *სვიმონ კანანელის ტაძარი*, რომლის თავდაპირველი მშენებლობა VII-VIII საუკუნეებით, ხოლო დღევანდელი ნაგებობა IX-X საუკუნეებით თარიღდება. ძველი ქართველი და უცხოელი მემკვიდრეების ცნობით, ქრისტეს მოციქულებმა *სვიმონ კანანელმა* (ზილოტი) ანდრია მოციქულთან ერთად სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში პირველებმა იქადაგეს ქრისტიანობა. წმინდა მამათა გადმოცემით, ახ. წ. 55 წელს ქრისტეს მოციქული სვიმონი წარმართებმა, ქრისტეს დარად, ჯვარზე გააკრეს და დაასაფლავეს ახალ ათონში, მდინარე ფსირცხის სანაპიროზე. არსებობს თვალსაზრისი, რომ იგი დაასაფლავეს ნიკოფსიაში – ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. „*ქართლის ცხოვრების*“ ერთ-ერთი ჩანართის მიხედვით, „*სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა*“ (*ქართლის ცხოვრება, 1955: 42-43*).

IV საუკუნეში ახალ ათონში მოციქულის საფლავზე პატარა ეკლესია ააგეს, რომელიც სავარაუდოდ ხის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში აქ თეთრი თლილი ქვის ტაძარი აშენდა, რომელიც „*ჩაწერილი ჯვრის ტიპის*“ გეგმის მიხედვით არის აგებული, სადაც გარე კონტური მართკუთხაა, ხოლო გუმბათი ეყრდნობა თავისუფალ სვეტებს (*Туманишвили 1999: 379-380*). XIX-XX სს. ამ ტაძარსაც რამდენჯერმე ჩაუტარდა რესტავრაცია. ტაძრის ფრესკული მოხატულობა შემორჩენილი არ არის, მაგრამ ის ოდესღაც მოხატული ყოფილა (*დიდებულიძე, 2015: 53*). არქიტექტურული დეკორიდან ყურადღებას იქცევს ქრისტიანული სიმბოლოების თევზის, ლომისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებანი. ტაძარზე არსებული ქართული წარწერები დღეს აღარ იკითხება, ხოლო ბერძნული წარწერებიდან შემორჩენილია IX-X საუკუნეებით დათარიღებული რვა ლაპიდარული წარწერა (*Виноградов, 2011: 221-223*).

აღრე შუა საუკუნეების დარბაზული ფორმის ეკლესიას გალის მუნიციპალიტეტის სოფ. *ჩხორთოლში* აგებული ტაძარი, რომლის პირველ სამშენებლო პერიოდად განსაზღვრულია IX-X სს. (*ხვისტანი, 2009: 41*). ჩხორთოლის ეკლესია სწორკუთხედში ჩაწერილ აფსიდიან დარბაზული ეკლესიების ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით, ანალოგიებს პოულობს სხვა ქართულ არქიტექტურულ ნიმუშებთან – *კერძოდ, ერედვის, ხეთის, დისევის, კუსირეთის, ლაშქენდარის, ილორის ეკლესიებთან*. ჩხორთოლის დარბაზული ტიპის ეკლესია ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან, ზუსტადაა ჩაწერილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო ხაზში და გამოხატავს ერთიან შემოქმედებით ძიებებსა და მიმართულებებს ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაძრის არქიტექტუ-

რული სტილისა და ანალოგიების გათვალისწინებით, ეკლესია აგებული უნდა იყოს „აფხაზთა მეფის“ კონსტანტინეს (893-922 წწ.) ეპოქაში და ის უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ ექსპანსიას დასავლეთის მიმართულებით (ხვისტანი, 2009: 13-24).¹

გაგრის მუნიციპალიტეტის სოფელ ბზიფში, მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე შემადგენულ ადგილას შემორჩენილია IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის გალავნით შემოზღუდული ციხე და ტაძარი. თავად ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზედა ნაწილში მდებარეობდა ტაძარი, ქვედა ნაწილის ეზოში გადიოდა ძველი საქარავნო გზა. ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის ლევან რჩულიშვილის, რომლის სახელსაც უკავშირდება ტაძრის პირველი მეცნიერული კვლევა (Рчеулишвили, 1988: 8; რჩულიშვილი, 2018: 10), აღწერით, ეკლესიის ნაგებობიდან გადარჩენილია მხოლოდ კედლები და გადახურვის მცირეოდენი ფრაგმენტები (რჩულიშვილი, 2018: 11).

ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარგუმბათოვანი, „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, სამი შვერილი აფსიდით და თარიღდება IX-X საუკუნეებით. ტაძრის სამხრეთის სარკმლის თავსართზე გამოსახულია გოლგოთაზე ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება, ასევე შემორჩენილია თავსართებით შემკული ეკლესიის კარ-სარკმლები და სხვა ორნამენტები. ამ მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლებით ტაძარი ნათესაობას ავლენს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლებთან და IX – X სს. თარიღდება. ბზიფის ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს კიდევ ერთი, უფრო ძველი ტაძრის ნანგრევები (რჩულიშვილი, 2018: 22-23). რაც შეეხება ბზიფის ციხეს, რომლის ნაწილი არის ეკლესია, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის თავდაცვით სისტემაში. იგი კეტავდა ჩრდილოეთ კავკასიის გადასასვლელებისაკენ მიმავალ გზებს. ციხის გალავანი აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით, დატანებული აქვს ოთკუთხა და ნახევარწრიული კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე.

აფხაზეთის მთისწინეთში, გუდაუთის ცენტრიდან 18 კმ. დაშორებით, სოფელ ხოფში (ხუაფში), შემადგენულ გორაკზე, მდებარეობს წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებული ეკლესია, რომელიც შეისწავლა ცნობილმა აფხაზმა ხელოვნებათმცოდნემ ლეო შერვაშიძემ. მან ხუაფში ორი დარბაზული ტიპის ეკლესია აღმოაჩინა, მათ შორის ერთ-ერთის გაწმენდისას დამატებით აღმოჩნდა წარწერიანი ქვების ფრაგმენტები. მათ, ადრე აღმოჩენილი წარწერის სხვა ფრაგმენტებთან ერთად, შექმნეს ქვის ერთიანი ფილა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც ხოფის (ხუაფის) ტაძრის ფასადის ქვას წარმოადგენს. ფილის შუაში გამოსახულია რელიეფური, ტოლმკლავებიანი მალტური ჯვარი წარწერით „ჯ(ვარ)ე ქ(რისტე)სა“.

¹ ჩხორთოლის ცენტრში არის ტაძარი, აგებული XIX-XX სს. მიჯნაზე ადგილობრივი თავადებისა და ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ. საბჭოთა პერიოდში, ეკლესია მიზანმიმართულად იქნა დაზიანებული. ამ ეკლესიის ეზოში ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე პოულობს საფლავის ქვებს ქართული წარწერებით.

დარბაზული ტიპის ეკლესიები, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, დამახასიათებელი იყო ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის. მცირე ზომის სამლოცველოები, რომლებიც სამეფო კარის, ფეოდალთა რეზიდენციების, ან ციხე-სიმაგრეთა ეკლესიებს წარმოადგენდნენ, უმეტესად მეფეთა, ფეოდალთა, ერისთავთა ან მსხვილ საეკლესიო პირთა მიერ იყო აგებული. ხოფის (ხუაფის) დარბაზული ტიპის ორი ეკლესიის არქიტექტურული ფორმები პარალელურ პოლოსებზე ადრე შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის მრავალრიცხოვან ნიმუშებთან, რომელთა კომპოზიცია ეფუძნება მსგავს სივრცულ კონსტრუქციებსა და გადაწყვეტებს. ხოფის (ხუაფის) ეკლესიები სამეფო კარის ეკლესიები უნდა ყოფილიყო და ერთ-ერთი მათგანი, მასზე დაცული წარწერის შინაარსის მიხედვით, წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე იქნა აგებული „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957) მიერ (**Шервашидзе 1968: 23-24; შერვაშიძე, 1971: 94-97**)

წარწერის პირველადმომჩენის *ლეო შერვაშიძის* მიხედვით, ტექსტის შინაარსი მოგვითხრობს გიორგი მეფის მიერ, ქალიშვილის – გურანდუხტის დაბადების გამო, წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე ტაძრის მშენებლობის ისტორიას: „[ქ] ად(ა)შ(ე)ნა წ(მი)და) ე [სუ ეკლესია] [...] მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)რმ[ან], [...] მ(ე)ფ(ო)-ბ(ა)სა გ(იორგ)მ(ს)სა, /ოღ(ე)ს / [ბ(უ)რ(ა)ნდ(უ)ხტ] [დაი]ბადა , [.....] მ(ი)სსა. წ(მი-და)ო ნ(ი)კ(ო)ლო(ო)ზ, მ(ე)ო)ხ ეყავ წ(ინამ)ე ქ(რისტ)ც)სა“ (**ახალაძე, 2005: 148**). პალეოგრაფიული თვალსაზრისით, წარწერა კიდურწაისრული დამწერლობის ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ ქართულ ეპიგრაფიკაში X საუკუნით მყარად დათარიღებული კიდურწაისრული ქვის კალიგრაფიის ძეგლების არსებობა ხოფის წარწერის 922-957 წლებით დათარიღების საშუალებას იძლევა. ხოფის (ხუაფის) ეკლესიის მაშენებელი გიორგი მეფე არის „აფხაზთა“ მეფე გიორგი II (922-957), რომელმაც ქალიშვილის დაბადების გამო, მადლიერების ნიშნად, წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე ტაძარი ააგო (**ახალაძე, 2008: 3-14**).

ოჩამჩირიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს *მოქვის საკათედრო ტაძარი* რომელიც სამნავიან გუმბათოვან ეკლესიას წარმოადგენს, გუმბათის თოთხმეტწახნაგოვანი ყელით. XI საუკუნის ქართველი მემკვიდრის ცნობით, „აფხაზთა“ მეფე ლეონ III-მ (957-967 წწ) „აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“ (**მატიანე, 2008: 265**). მოქვში საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქართული კულტურის მძლავრი კერა, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების განახლება. დღემდე მოღწეულია მოქვის წიგნთსაცავის ხელნაწერები, რომლებიც გვამცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. მოქვის სიძველეიდან განსაკუთრებით მაღალი ღირებულება აქვს *დანიელ მოქველის* თაოსნობით 1300 წელს გადაწერილ მოქვის ცნობილ ოთხთავს, რომელიც მოხატულია მდიდრულად და შემკულია მაღალი ოსტატობით შესრულებული ორნამენტებით. მოქვის ოთხთავის გადამწერი და გამფორმებელია ბერი *ეფრემი (ხელნაწერთა აღწერილობა 1958: 312-315)*. მოქვის წიგნთსაცავის სხვა ხელნაწერებიდან გამოვყოფდით *გიორგი დიაკონის* მიერ XIII საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერს – *მარხვანი A-446*; ცნობილი კალიგრაფების *ნავკრატოზ* და *ისააკ ციმცაძეების* მიერ XVI ს. გადა-

წერილ ხელნაწერებს: *მეტაფრასი* Q-39 (XVI ს), რომლის მომგებელია მოქველი მთავარეპისკოპოსი *ეფთვიძე საყვარელიძე*, რიგის სახარება (Q-271), ოთხთავი (H-1031), *გულანი* (596), *თვენი* (A-507), ოდიშის მთავრის *გიორგი III-ისა* (1572-1582) და მისი ძის *ლეონ დადიანის* დაკვეთით *გიორგი ზებედეს* თაოსნობით გადაწერილი *მოქვის გულანი* A-743 (**ქართველიშვილი, 2014: 214-216, 218**) და სხვა.

მოქვის ეკლესია მდიდარი იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებითაც, მაგრამ დღეს მოქვის წარწერებიდან შემორჩენილია მხოლოდ სამრეკლოს XII საუკუნის წარწერა, რომელშიც მოქველი ეპისკოპოსი გრიგოლი არის დასახელებული. ფრესკული წარწერებიდან ცნობილია 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707) მიერ მოქვის მონასტერში ნანახი წარწერა, რომელშიც საქართველოს მეფე *დავით IV აღმაშენებელი* (1089 -1125) და ბიზანტიის იმპერატორი *ალექსი კომნენოსი* (1081-1118) არიან დასახელებული (**Досифей, 1847: 31**). ტაძარი დავით აღმაშენებლის ხანაშიც საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ, მაგრამ ფრესკული მოხატულობის კვალი დღეს ძლივს შეიმჩნევა. ქართული წარწერები აქ მრავლად ყოფილა, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში განადგურებულა.¹

მოქვის საეპისკოპოსო კათედრა X საუკუნეში დაარსდა, მაგრამ მოქვი, როგორც ქართული კულტურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი განსაკუთრებით XIII საუკუნიდან დაწინაურდა. ქართულმა წყაროებმა შემოინახეს, მოქველი ეპისკოპოსების სახელები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი საეკლესიო პირები *გრიგოლ მაგნისძე* (XII), *დანიელ მოქველი* (1300 წლის ახლო პერიოდი), *აბრაამ მოქველი* (XIV ს. I ნახევარი), *ფილიპე ჩხეტიძე* (XV ს.), *ეფთვიძე საყვარელიძე* (XVI ს. II ნახევარი, 1578-1614 წლებში აფხაზეთის კათოლიკოსი) და სხვები (**კალანდია, 2004: 123-134; ახალაძე, 2005: 116**).

მოქვის ტაძართან არის დაკავშირებული ღმრთისმშობლის ხატი ლეონ III (957-967) აფხაზთა მეფის წარწერით. ხატზე გამოსახულია დედა ღვთისა ვედრების პოზაში, რომელიც მიმართულია ხატის მარჯვენა კუთხეში გამოსახული მაცხოვარისაკენ. მარცხენა კუთხეში გამოსახულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ღმრთისმშობლის ფერწერული სახე XIX საუკუნეშია რესტავრირებული. ხატის ორნამენტირებული ჩარჩო მორთულია წმინდანების მინანქროვანი მედალიონებით. ხატის ქვედა არშიაზე ქართული ასომთავრული წარწერაა, სადაც მოხსენიებულია მოქვის ტაძრის ამგები „აფხაზთა“ მეფე ლეონ III (**Чубинашвили 1959: 14, N63-65; გამახარია, ახალაძე, ჯოჯუა, 2018: 92**). კიდევ ერთი საეკლესიო ნივთი უკავშირდება მოქვის ტაძარს – *მოქვის ღვთისმშობლის ხატი ანდრია საყვარელიძის წარწერით*. ეს არის XVII ს. 50-60-იანი წლებით დათარიღებული მოქვის ვერცხლის კარედი, რომელშიც მოთავსებულია ოქროთი შეჭედელი ღმრთისმშობლის

¹ 1902 წელს თეოდორ დანია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ, ან უკეთ რომ ვთქვათ გაფუჭებულ მოქვის ტაძარში უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი... ქართულ წარწერას თუ სადმე მოიხელთებდნენ, ჰშლიდნენ, რყვნიდნენ (**ქორდანია თ., 1902: 92**).

ხატი, წარმოადგენს იმ პერიოდის ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს. ხატის შუაში გამოსახულია ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობელი, მარჯვნივ იოანე წინამორბედი, მარცხნივ კი სტეფანე მთავარდიაკონი. ხატი ჩასვენებულია დიდ ვერცხლით შექადილ კარედ ბუდეში, რომელსაც ახლავს ქართული წარწერები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ხატის ქტიტორი *ანდრია საყვარელიძის* – 1660-1666 წლებში მოქველი მთავარეპისკოპოსის სავედრებელი წარწერა, რომელშიც ანდრია საყვარელიძე მოგვითხრობს ღმრთისმშობლის ხატის მოქვის წმინდა ტაძრისადმი შეწირვის ამბავს¹ (**Ахаладзе, 2011; გამახარია, ახალაძე, ჯოჯუა, 2018: 92**).

საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ძეგლია *ბიჭვინთის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი* (X-XI სს.), რომელიც აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გაგრის მუნიციპალიტეტში, დღევანდელი ბიჭვინთის, ანტიკური ქალაქის – *დიდი პიტიუნტის* ფარგლებში მდებარეობს. პიტიუნტ-ბიჭვინთამ, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ადგილობრივი რელიქტური ფიჭვის სახელთან, განსაკუთრებული როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ბიჭვინთის ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება, რომელმაც ახ. წ. I საუკუნეში, აქ ქრისტიანობა იქადაგა და საყდარიც ააგო. საუკუნეების მანძილზე ბიჭვინთაში საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, რომელსაც „წმ. ანდრიას საყდრად“ მოიხსენიებდნენ. დღევანდელი გუმბათიანი ტაძარი მოგვიანებით, X-XI საუკუნეების მიჯნაზე, აშენდა. ის წარმოადგენს იმ პერიოდის ქართულ ხუროთმოძღვრულ ნიმუშს, თუმცა გარეგნულად გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნულ არქიტექტურასთან.

XVII ს. ბოლოდან ბიჭვინთის ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. ამ დროს მას მეხი დაეცა და ძლიერ დაზიანდა. აფხაზეთში სასულიერო მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა *ანტონ დადიანმა* 1835 წ. ივლისში ოფიციალურად დასვა საკითხი ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის შესახებ, მაგრამ მიზეზთა გამო, სათანადო გადაწყვეტილების მიღებასა და აღდგენითი სამუშაოების დასრულებას რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. მხოლოდ 1869 წ. 28 სექტემბერს აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა *გაბრიელმა (ქიქოძე)* ბიჭვინთის ტაძარი საზეიმოდ აკურთხა (**გამახარია, 2005: 396-397, 476**). ტაძრის შეკეთებისას შეიძვალა გუმბათის ფორმა, შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის გამოც ნაგებობამ სახე იცვალა. XX ს. 60-იან წლებში ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გუმბათს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, გამოიცივალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და ტაძრის თავდაპირველი სახე აღდგა.

XIX ს. დამდეგს რუსული ჯარების ბიჭვინთაში შესვლის დროს, როცა გაიწმინდა ტაძართან მისასვლელი გზა, საკურთხეველზე გადაშლილი იღო შუა საუკუნეების ხელნაწერი ქართული სახარება (**დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 97**). ბიჭვინთის

¹ ლეონ III-ისა და ანდრია საყვარელიძის ხატები ინახებოდა ხობის მონასტერში.

წერილობითი სიძველეებიდან ფასდაუდებელია XII საუკუნის ბიჭვინთის ქართული სახარება, რომელიც მოხატულია მინიატურებით და შემკულია ორნამენტებით (**ქართველიშვილი, 2014: 212-214**), XVI საუკუნის ბიჭვინთის ქართული იადგარი (ვრცლად იხ. **არახამია, 2009**), ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი (XVI ს.), რამდენიმე ბერძნულენოვანი წარწერა, ქართული ფრესკული წარწერა ა. შ. ბიჭვინთის ბერძნული წარწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია V-VI საუკუნეების ორი მოზაიკური წარწერა, მათ შორის ერთ-ერთი, წარჩინებული პირის – *ორელის* მოსახსენებელს წარმოადგენს. წარწერის შინაარსიდან ირკვევა, რომ მისი ინიციატივითა და საფასით გაკეთდა ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი VI საუკუნეში. ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძრის დასავლეთ ნაწილის სამხრეთ კუთხეში აგებულია პატარა ეკვდერი, *ე. წ. ევდემონის კაპელა*, რომლის ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა. ფრესკულ მოხატულობას თან ახლდა XVI ს. ბერძნული წარწერები, რომლებშიც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი *ევდემონ ჩხეტიძე* (1557-1578) და მხატვარი *პარასკევა* არიან დასახელებული. პარასკევას წარწერის ქვემოთ არის ჯვრის გამოსახულება ბერძნული განმარტებითი წარწერებით, რომლებსაც ქვემოთ შესაბამისი ქართული ფრესკული წარწერა ახლავს: „იესუ“, „ქრისტე“, „ღლუვა“ (**ყაუხჩიშვილი თ., 2004: 61**).

ბიჭვინთის ტაძრის ფრესკულ წარწერებში გვაქვს წმინდანთა ფრესკული გამოსახულებების განმარტებითი წარწერები. ცნობილია, წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. სვიმონ კანანელის, წმ. პეტრეს ფრესკები შესაბამისი ბერძნული განმარტებითი წარწერებით. იოანე ოქროპირის ფრესკას ახლავს, როგორც ფრესკის განმარტებითი წარწერა „*იოანე ოქროპირი*“, ასევე ექვესსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ბიბლიურ ტექსტს წარმოადგენს (**ყაუხჩიშვილი თ., 2004: 61-62**).

ბიჭვინთის ტაძართან არის დაკავშირებული ღმრთისმშობლის ხატი აფხაზეთის კათალიკოზისის *ევდემონ ჩხეტიძის* წარწერით. წარწერის შინაარსიდან ირკვევა, რომ 1568 წელს „*ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოზმან*“ ევდემონ ჩხეტიძემ მოაჭედინა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის კარედი ხატი, რომლის „თავი ხატი“ გააკეთებინა ოქროსი, ხოლო სახატე ვერცხლისა და დაასვენა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარში. ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადმოტანის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად ხატიც გელათში აღმოჩინდა. ხატის უკანა მხარეს მოთავსებულია ისტორიული შინაარსის ქართული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს მისი შექმნის ისტორიას. წარწერაში დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ ჩხეტიძე, ოდიშის მთავრები *მამია III* (1512-1533) და *ლევან I* (1533-1572) *დადიანები*. კარედი ხატიდან დღეს შემორჩენილია მხოლოდ „თავი ხატი“, სახატე კი არ არსებობს. ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (**გამახარია, ახალაძე, ჯოჯუა, 2018: 86**).

ოჩამჩირიდან 25 კმ-ის დაშორებით, სოფელ ბედიის ცენტრში აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში *ბედიის სამონასტრო კომპლექსი*, რომელშიც დღეისთვის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, სა-

ეპისკოპოსო პალატი და სამრეკლო შედის. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014) და მისი მშენებლობა, დაახლოებით, 999 წელს დასრულდა. ქართველი მემათიანის ცნობით, ბაგრატ მეფემ ბედია „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“ (მატიანე, 2008: 273).

სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეუზოს ცენტრში აგებული ბედიის ღმრთისმშობლის ტაძარი. მისგან დასავლეთით, 40 მეტრზე კარიბჭა, სადაც მდებარეობს ტაძრის სამრეკლო, ხოლო ტაძრის სამხრეთიდან კარიბჭეს ებჯინება ბედიელ მიტროპოლიტთა სასახლე, რომელიც ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულა XIII-XIV მიჯნაზე და XV საუკუნეებში. სამრეკლო XIII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო საეპისკოპოსო პალატა აშენდა XVI საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის ანტონ ჟუანისძის მიერ, რაც დასტურდება პალატის ტიმპანზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერით. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომელიც X-XI, XIII-XIV და XVI საუკუნეებით თარიღდება (შმერლინგი, 1947: 504-511; Шервашидзе, 1980: 42-66).

ბედიის ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში ფრესკებზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ლაპიდარული, ფრესკული და ქედური წარწერები, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით და მოგვიტხოვრობენ ტაძრის მშენებლობისა და განახლება-რესტავრაციის ამბავს. მათ შორის დღეს სრული სახით იკითხება 11 წარწერა. დანარჩენი წარწერების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. წარწერებში დასახელებულია ბედიის ტაძრის ხუროთმოძღვარი სკძეონ გალატოზთუხუცესი (X ს. დასასრული), აფხაზეთის კათალიკოზი ნიკოლოზ გონგლიბაძესძე (XIII საუკუნის 80-90-იანი წლები), ბედიელი მიტროპოლიტები: სოფრონ გონგლიბაძესძე (XIII-XIV საუკუნეების მიჯნა), ანტონ ჟუანისძე (XVI ს.), გერმანე ჩხეტიძე (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა), ბედიის ტაძრის ქტიტორები მისი მშენებლობისა და შემდგომი რესტავრაციის დროს: გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014 წწ), ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძე (1293-1327 წწ), „დიოფალი“ როდაბი და ძე მისი კახაბერი (XIII ს), ოდიშის „დიოფალთ დიოფალი“ მარიხი და მისი ძე, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი (XIV-XV საუკუნეების მიჯნა) და ა. შ. წმინდანთა ფრესკულ გამოსახულებებთან შემორჩენილია, ქართული ასომთავრული წარწერები: წმ. კონსტანტინე, წმ. ელენე, წმ. ბასილი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. სტეფანე, წმ. ზაქარია, წმ. ნიკოლოზი და ა. შ. (ახალაძე, 2005: 21-74).

ბედიის საეპისკოპოსო საუკუნეების მანძილზე შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა ბედიელ მთავარეპისკოპოსს სვიმეონ გულასბერისძეს ბედიელ-ალავერდელის წოდება უბოძა, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ და ეკლესიურ ერთიანობას განასახიერებდა; 1118 წელს კი

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად ანუ სახელმწიფოში მეორე პირად დანიშნა. მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ ბედიის სამონასტრო კომპლექსში XVI საუკუნის შუახანებში შექმნა შესანიშნავი წიგნთსაცავი, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება – რესტავრაცია, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგნთსაცავის შევსება ახალი ხელნაწერებით. მიტროპოლიტმა გერმანე ჩხეტიძემ ბედიის წიგნთსაცავში სპეციალურად მოიწვია გამოცდილი კალიგრაფები სამხრეთ საქართველოდან. ბედიის წიგნთსაცავში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი კალიგრაფები *გაბრიელ ლომსანიძე, ამბროსე კარგარეთელი და სვიმეონ ევფრატელი*, იგივე *გიორგისძე*, რომელთა ხელნაწერების ერთმა ნაწილმა დღემდე მოაღწია (**ახალაძე, 2005**: 46-48; 53-59). ბეღიაში არსებულ მდიდარ წიგნთსაცავზე მიუთითებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები, მათი ნაწილი ბეღიაშია გადაწერილი, ხოლო ნაწილი ბეღის უკუღმართობით მოხვედრილა ტაძრის წიგნთსაცავში: *ბედიის გულანი A-187, ვარძიის ოთხთავი, ურბნისის ოთხთავი და სხვები*, რომელთა მინაწერებში ოდიშის მთავრების და ბედიელი მთავარეპისკოპოსებია დასახელებული (**ქართველიშვილი, 2014**: 216, 217, 219, 220).

ბედიის ტაძართან არის დაკავშირებული ბედიის ბარძიმი (999 წელი), რომელიც ტაძრის კუთვნილ საეკლესიო ნივთებს შორის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში – ბედიის ბარძიმი, რომელიც წარმოადგენს მრგვალი ფორმის ბაჯალლო ოქროს თასს (სიმაღლე – 12,5 სმ., დიამეტრი – 14 სმ.) წარმოადგენს. ბარძიმზე გამოქანდაკებული წმინდანებისა და მაცხოვრის გამოსახულებებთან მოთავსებულია განმარტებითი ქართული წარწერები. ბარძიმის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მიერ ბედიის ტაძრისადმი ამ ძვირფასი ნივთის შეწირვის ამბავს (**სილოგავა, 2004**: 309-315).

ბარძიმთან კიდევ ერთი წარწერაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ბარძიმს ასევე ბაჯალლო ოქროსგან დამზადებული ფეხი – სადგარი ჰქონდა, რომელიც დაიკარგა. ბარძიმის ფეხზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობდა, რომ ოქროს ფეხი XVII საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით გაუკეთებიათ (**სილოგავა, 2004**: 315). როგორც ჩანს, ბედიის ბარძიმისთვის სადგარი ორჯერ შემოუძარცვავთ – პირველად XVII საუკუნეში, ხოლო მეორედ XIX საუკუნეში. ბარძიმის ზედა მრგვალი ფორმის ნაწილი – თასი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ბედიის ტაძარში, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ ორგანიზებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს, განადგურდა 999 წლით არის დათარიღებული ბაგრატ III ბაგრატიონის ფრესკა ქართული წარწერით.

გულაუთიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი *ლიხნი*, რომლის შუაგულში აღმართულია X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – *ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი*. იგი ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარ-

მოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. მოგვიანებით ტაძრისთვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ღია ეგვტერები მიუშენებიათ. ტაძრისა და ეგვტერის შიდა კედლები მთლიანად მოხატული ყოფილა. ლიხნის ტაძარში შემორჩენილია, როგორც X-XI საუკუნეების, ასევე გვიანი პერიოდის მოხატულობის კვალი და ქართული წარწერები. ლიხნის ტაძრის სიძველეები პირველად აღწერა მარი ბროსემ, რომელმაც ტაძრის კედლებიდან გადმოიწერა რამდენიმე ქართული წარწერა, მათ შორის 1066 წლით დათარიღებული ცნობილი ტექსტი კომეტის გამოჩენის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის ტაძარი ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულს წარმოადგენს, რადგან მის მხატვრობაში არის ასომთავრული და მხედრული დამწერლობით შესრულებული ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერები. ქართული წარწერები ორ ათეულამდე აღწევს. წარწერებში დასახელებულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები, მაღალი საერო და სასულიერო პირები. მათ შორის არიან გაერთიანებული საქართველოს მეფეები ბაგრატ IV (1027-172), გიორგი II (1072-1089); სასულიერო მოღვაწეები ვახე პროტოისპათარი და იპატოსი (XI ს. 60-იანი წლები) და პეტრიკ პატრიკი, მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი იოანე (1060-XII ს. 10-იანი წლები) და ა. შ. პეტრიკ პატრიკი გახლდათ ბაგრატ IV-ის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი წარმომადგენელი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე (სილოგავა, 2004: 198-211).

როგორც აღვნიშნეთ, ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის ოდესღაც მდიდარი მოხატულობიდან შემორჩენილია ფრესკები ბერძნული და ქართული წარწერებით. ბერძნული წარწერები XIV საუკუნით თარიღდება: აქ ვხვდებით კონსტანტინოპოლის პატრიარქების წმ. ნიკიფორეს, წმ. გერმანეს, წმ. კირილეს, წმ. ბასილის, ფრესკებს განმარტებითი ბერძნული წარწერებით. გარდა განმარტებებისა, წმ. კირილესა და ბასილის გრაგნილებზე არის ექვსსტრიქონიანი ბერძნული წარწერები, რომლებიც ბიბლიურ ტექსტებს წარმოადგენენ (ახალაძე, 2005: 167-169).

XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ილორის წმ. გიორგის ეკლესია, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ზღვის კიდუზედ... არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“ (ვახუშტი, 1973: 779). ტაძარი აგებულია ადგილობრივი ფეოდალის გიორგი გურგენისძის მიერ, რაზეც მოგვითხრობს ტაძარზე შემორჩენილი წარწერებიდან ერთ-ერთი. ილორის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც კარგად იკვეთება შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მისწრაფებანი. იგი აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა სახის მინაშენები აქვს. ეკლესია ნაგებია თლილი ქვის წყობით, მას აქვს კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან, ხოლო შიდა სივრცე – ინტერიერი განა-

თებულისა ექვსი სარკმელით (**Кацяя, 1963: 108**). XXI ს. დასაწყისში ჩატარებული რესტავრაციის საფუძველზე, ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა – დაადგეს ე. წ. რუსული გუმბათი, შეეთეთრებულისა, როგორც ინტერიერი, ასევე ექსტერიერი, რის შედეგად აღმოსავლეთის ფასადზე, ადრე არსებული, 6 ქართული წარწერიდან არც ერთი აღარ იკითხება.

ილორის ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილი იყო ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი ლაპიდარული წარწერა, ხოლო მეექვსე წარწერიდან კი იკითხებოდა რამდენიმე გრაფემა. ფრესკული მოხატულობა აქ დაცული არ არის, რადგან ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ შეკეთებული და მოხატული ილორის ეკლესია ოსმალებმა დაწვეს 1730 წელს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ტაძრის მოხატულობაც სწორედ მაშინ განადგურებულა: „შვიდნენ ოსმალონი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სავმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. მუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და ადარცვეს კრამიტი ბრჰენისა და მოსჰნეს მოხატულობანი, და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“ (**ვახუშტი, 1973: 886-887**). ეკლესია თავიდანვე წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული, ტაძრის ქტიტორები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი და მღვდელი გიორგი *ქოჩოლავა*, ტაძრის მშენებელთა შორის დასახელებულია გიორგი *გალატოზი*, საერო პირი *მიქაელი*.

საეკლესიო ნივთებიდან ილორის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ცნობილია ვერცხლის ბარძიმი, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს იპოვეს. გარეგნულად ძალზე წააგავს ბედიის ბარძიმს – ზედაპირი ისევე, როგორც ბედიის ოქროს ბარძიმისა, დაყოფილია თაღებით რვა ნაწილად. თითოეულ თაღში მოთავსებულია წმინდანის ფიგურა. შუა თაღში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვარი მალლა აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხენა ხელში – სახარებით. გვერდით თაღებში გამოსახულია ქრისტესაკენ გადახრილი მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ბარძიმითა და ფეშხემით ხელში (**Чубинашвили, 1959: N98**). ილორის ვერცხლის ბარძიმის პირს შემოუყვება ქართული ასომთავრული წარწერა. ილორის ბარძიმის ადგილსამყოფელი უცნობია.

ილორის ეკლესიასთან ჭედური ხელოვნების მრავალი ნიმუშია დაკავშირებული, ცნობილია სამეგრელოს მთავრების ილორისადმი შეწირული მრავალრიცხოვანი ხატები, მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს *ილორის წმინდა გიორგის ხატი* (XVII ს). ხატი იხსნება და შიგნით გამოსახულია ფეხზე მდგომარე, საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა გიორგი, რომლის გამოსახულების მარჯვნივ ვედრების ფორმაში გამოქანდაკებულია ბედიელი მიტროპოლიტი *კირილე ჟუანისძე*. გამოსახულებებს ახლავს განმარტებითი წარწერები. ხატის ჩასასვენებელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბედიელი მიტროპოლიტის *კირილე ჟუანისძის* მიერ ილორის ტაძრისადმი წმინდა გიორგის ხატის შეწირვის ისტორიას. წარწერაში კირილე ჟუანისძესათან ერთად დასახელებულია მისი თანამედროვე ოდიშის მთავარი გიორგი III დადიანი და მისი თანამედვედრე დედოფალი *თამარი* (**Чубинашвили, 1959: N530-532; Ахаладзе, 2011**).

გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანუხვაში, ანაკოფიის ციხე-სიმაგრიდან სამი კილომეტრის მანძილზე, გუდაუთიდან აღმოსავლეთით, მთისწინა ზოლზე შეფენილ სოფელში მდებარეობს **ანუხვის მონასტერი**. ერთ ძველ წყაროში სოფელი და მონასტერი დასახელებულია როგორც „*მონასტერი აფნახსაჲ*“ (Чаидзе, 2017: 63). ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში ანუხვაში გამოვლინდა ტაძრის ნანგრევები ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით. ტაძარი წარმოადგენს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიმუშს, რომელიც არქიტექტურისა და მაღალმხატვრული ჩუქურთმის ხასიათით აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს ენათესავება. ტაძრის ირგვლივ და ახლომანლო არსებული სხვადასხვა ზომის ნაგებობანი და მათი ნანგრევები ანუხვაში სამონასტრო ცხოვრებაზე მიუთითებს.

ანუხვის ტაძრიდან შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტები ყურადღებას იქცევენ ნატიფი დეკორითა და მაღალმხატვრული გემოვნებით. მათ შორისაა ანუხვის ქვაჯვარი ვაზის ორნამენტებით,¹ ანუხვის სვეტი, ანუხვის ჯვარცმა, ანუხვის წმ. გიორგის რელიეფი, ანუხვის ბეჭედი და სხვ. არტეფაქტების უმრავლესობა შემონახულია ქართული ასომთავრული წარწერებით. ანუხვის მონასტრის ორი წარწერის ფოტოსურათი, ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში გამოქვეყნდა რუსი სიძველეთმცოდნეობის მიერ. აღნიშნული წარწერები მხარეთმცოდნე იოსებ აძინბამ, სხვა არტეფაქტებთან ერთად ხელმეორედ იპოვა XX ს. 30-იან წლებში. აფხაზეთში დამწერლობის ისტორიის განვითარების კვლევისას ხუხუტი ბლაჟბამ გამოაქვეყნა ანუხვის ორი წარწერის ფოტოსურათი, აქედან ერთის მხედრული ტრანსლიტერაცია *ლეო შერვაშიძის* წაკითხვით (Бражба, 1967: 15-17). ანუხვის წარწერებიდან გამოაქვეყნა სამი წარწერა *ვალერი სილოგავამ* (ქართული ლაპიდარული II, 1980: 64-65, 66, 142-143). აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ჯვარცმის ფილის იდენტიფიცირების შემდეგ, ანუხვის ოთხი ლაპიდარული წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ღირებულება დაზუსტებული დათარიღებით წარმოდგენილია ჩვენს ნაშრომში (ახალაძე, 2005: 154-164). წარწერების რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1999 წელს (Ахаладзе, 1999: 366-367, 371). ოთხივე წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა შევიდა ვალერი სილოგავას ნაშრომში (სილოგავა, 2004: 260-264, 280-281, 283).

აღნიშნული წერილობითი არტეფაქტებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ანუხვის ქვაჯვრის წარწერები. ესაა ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული საამშენებლო ქტიტორული შინაარსის წარწერა, რომელიც გვაუწყებს: „ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)მთა, ა(ღ)ვ(ა)შ(ე)ნე ჯუ(ა)რი ესე ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ე)და ღ(მრთი)სა მ(ა)მისა, ძისა, ს(უ)ლისა წ(მი)დ(ი)სსა. მე, გ(იორგ)ი ბ(ა)ს(ი)ლის ძემ(ა)ნ. აწ, ვინცა ევედრ(ე)ბ(ო)დ(ე)თ, ჩ(უ)ენ, გ-ნივე ძმანი ლ(ოცვასა მოგუიჴსენენით. ა(მ)ენ, იყ(ა)ვნ.“ (Бражба,

¹ ანუხვის ქვაჯვარი, რუსმა ხელოვნებათმცოდნემ ელენა ენდოლცევამ 2008 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში იხილა, მაგრამ შემდგომ ის საგამოყენო სივრცეს მოაშორეს და ამჟამად საცავშია განთავსებული (Ендольцева, 2019:21).

1967: 15-16; **Шервашидзе, 1974:** 183; დაზუსტებული წაკითხვით იხილეთ: **ქართული ლაპიდარული II, 1980:** 62; **Ахаладзе, 1999:** 366; **სილოგავა, 2004:** 261-262). ასევე საყურადღებოა, რომ ქვაჯვარის ოთხივე გვერდზე ამოკვეთილი ჯვრები ქართული ასომთავრული წარწერებით: „წ(მიდა)მ ბ(ა)ს(ილი)“, „წ(მიდა)მ თ(ეოლორ)ე“, „წ(მიდა)მ დ(ე)მ(ე)ტრე“, „წ(მიდა)მ მ(ე)რკ(ი)ლე“ (**Шервашидзе, 1974:** 184; დაზუსტებული წაკითხვით იხ. **სილოგავა 2004:** 263-264. წარწერების პუბლიკაციები ქართულ და რუსულ ენებზე: **ქართული ლაპიდარული II, 1980:** 66-67; **Ахаладзе, 1999:** 366-367; **ახალაძე, 2005:** 158-161).

ფასდაუდებელია ანუხვის ქვაჯვრის წარწერების, როგორც ისტორიული მნიშვნელობა, ასევე პალეოგრაფიული ღირებულება. საქართველოში ტაძრის მშენებლობას წინ უძღოდა ჯვრის აღმართვის პროცესი. საგულისხმოა, რომ ანუხვის ქვაჯვრის კომპოზიციის თემატიკას აფხაზი მეცნიერი ლეონ შერვაშიძე საქართველოში ჯვრის აღმართვის ტრადიციას უკავშირებს და მოჰყავს პარალელები სვეტიცხოვლის, მცხეთის ჯვრის, სვანეთის ეკლესიების ისტორიიდან (**Шервашидзе, 1974:** 176). ანუხვის წარწერების შინაარსიდან ირკვევა ქვაჯვრისა და ტაძრის ქტიტორთა ვინაობა. დასახელებული ისტორიული პირები XI საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან, რომლებიც აფხაზეთში, საკუთარ მამულში აგებენ ტაძარს, რასაც ტრადიციულად, წინ უძღოდა ჯვრის აღმართვის პროცესი. სახლის უფროსი *გიორგი ბასილისძე* და მისი ძმები *თეოდორე, დემეტრე* და *მერკილე*, მამის ხსოვნისა და საკუთარი სულის სალოცავად, უფლის სახელზე ჯვრის გამოსახულებიან სტელას აღმართავენ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, *გიორგი ბასილისძის* წარწერაში აისახა ქართულ დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, ანბანის კიდურწარსრულობის პროცესი. მეცნიერები გამოყოფენ ქვის კალიგრაფიულ სკოლებს, მათ შორის კიდურწარსრული დამწერლობის ქვის კალიგრაფიულ სკოლას, რომლის ქრონოლოგია თავდაპირველად XI საუკუნეს, ხოლო თანამედროვე კვლევებით, X-XII და XIII ს. დასაწყისამდეც მოდის. მათი ნიმუშები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარწერებში (**ახალაძე, 2008:** 3-14). ანუხვის წარწერის შედარება კიდურწარსრული ქვის კალიგრაფიული სკოლის საუკეთესო ნიმუშებთან – *სვეტიცხოვლის, სამთავისის, ალავერდის, ნიკორწმინდის, მრავალძალის, გოდოგანის, კაცხის* წარწერებთან, ცხადყოფს მათ საერთო მახასიათებლებსა და იდენტურობას (**ახალაძე, 2005:** 190-197) ამ თვალსაზრისით, გიორგი ბასილის ძის წარწერა ქართული კიდურწარსრული სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ჩანს, ოსტატი გაურბოდა ერთფეროვან ორნამენტებს და ცდილობდა ოთხივე მხარეს მრავალფეროვანი მოტივები ამოეკვეთა, ამიტომ ქვაჯვრის კიდეები განსხვავებული ორნამენტით არის წარმოდგენილი. ორნამენტებსა და მოტივებს შორის ყურადღებას იქცევს ვენახის სიმბოლური გამოსახულება სავესტუვენის სახით. ცნობილია, რომ ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი, ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდეს სიმბოლოა და

ქართველებისთვის, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო ერისათვის, ვაზი ოდითგანვე შეადგენდა თავყვანისცემის სიმბოლოს. ქართულ რელიგიურ ხელოვნებაში ვენახის, ვაზის სიმბოლო გვხვდება ტაძრების ფასადებზე, ქვაჯვრებზე, სტელებსა და სვეტებზე. მაგ. *ბოლნისის, წილკნის, მცხეთის ჯვრის, ბანას, ბაგრატის ტაძრის* ფასადებზე. ვაზის გამოსახვის განსაკუთრებულ სახეს ქმნის *სვეტიცხოველი, სამთავისი და ანანური* – ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სამი უბრწყინვალესი ტაძარი (**ოქროპირიძე, 2010: 14-23**).

ანუხვის ვაზის სავსე მტევნები სტილისტურად ჩამოგავს თბილისის *მეტეხის* სამხრეთ კედლის დეკორაციულ თაღნარში ჩართულ მტევანს, *მარტვილის ტაძრის* გარე ფასადის მსხმოიარე ვაზის სავსე მტევნებს, *სამთავისის* აყვავებული ვაზის მტევნებს და ა. შ. ანუხვის ქვაჯვარი ასევე პარალელს პოულობს რელიგიური დანიშნულების სტელებთან და ქვაჯვრებთან, რომლებიც ყოველთვის გვირგვინდება ძღვევის მიმანიშნებელი ჯვრით. ამ მახასიათებლით ქვაჯვარი გავს *პანტიანის, დმანისის, ბოლნისის* სტელებს, თუმცა როგორც ყველგან, ოსტატი აქაც ჯვრის ორიგინალურ კომპოზიციას ქმნის. თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, ანუხვის ქვაჯვარი რელიგიური კომპოზიციით, ვაზის რქისა და სავსე მტევნის არაორდინალური გამოსახვით, კიდურწაისრული ხელოვნებითი დამწერლობის ვარიაციებით ერთიანდება ქართული საკელესიო ხელოვნების მრავალფეროვან მოზაიკაში.

არანაკლებ საინტერესოა *ანუხვის ჯვარცმა*, რომელიც ასევე აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ეს ქვის ფილა – სამ ნაწილად გატეხილი, ე. ენდოლცევას დამოწმებით, ამჟამად ჩანს, რესტავრირებულია (**Ендольцева, 2019: სურ. 12**). ფილის დაწვრილებითი ხელოვნებათმცოდნეობითი აღწერილობა, იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზი შეასრულა *რენე შმერლინგმა* (**Шмерлинг, 1962: 158**). ფილის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებული ჯვარცმის ყველაზე ცნობილი სცენა. ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ, მარიამ ღმრთისმშობელი და იოანე ღმრთისმეტყველი ვედრების პოზაში არიან გამოსახული. ჯვარცმის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიგიური გამოსახულებებია, ხოლო მათ გასწვრივ, ჯვარცმიდან ოდნავ მარცხნივ ამოკვეთილია ბერძნული ასომთავრული წარწერა ერთ სტრიქონად: „ჯვარცმა“. ქრისტეს თავს ზემოთ ჯვრის ზედა მკლავზე მართკუთხა ფილაზე, ამოკვეთილია ორსტრიქონიანი განმარტებითი წარწერა ქართული ასომთავრულით: „აჰა მუფე ჰურიათა“. ჯვრის ორივე განივი მკლავის ზემოთ კი ისევ ქართული ასომთავრულით წარწერა იკითხება: „ჯვარცმაჲ ქრისტესი“.

ძეგლის დათარიღებისას ყურადღება მიექცა კანკელის ორნამენტის ხასიათს, რომელიც პირობითად მეორდება X-XI საუკუნეების მიჯნის არქიტექტურულ ფორმებში. კერძოდ, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ერთ-ერთი სარკმლის ფორმებში, სოფ. ეხვევის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანის რელიეფზე და ა. შ. მათი ორნამენტიკა იძლევა ქართული კანკელის დეკორში რელიგიური კომპოზიციის თანდათანობით დანერგვის სურათს (**Шмерлинг, 1962: 106**). ანუხვის ჯვარცმა ქართული ხელოვნების სხვა ნიმუშებსაც ენათესავება. ჯვარ-

ცმის მრავალრიცხოვანი ნიმუშები გვხვდება როგორც მონუმენტურ, ასევე მცირე ზომის ქვის რელიეფებზე და ქედურ ხელოვნებაში. ესენია: ზემო სვანეთის XI-XII სს. *ლენჯერის ეკლესიის ჯვარცმა*, XII-XIII სს. *მაცხვარიშის ჯვარცმა (ალიბეგაშვილი, 1994: N10, N22, N23)*, რაჭის *მრავალძალის ტაძრის ჯვარცმის* კომპოზიცია, რომელიც XI ს. თარიღდება (*სხირტლაძე, 1982: 49*); იმავე აფხაზეთიდან, კოდორის ხეობისა და სამათოს მთის ეკლესიის რელიეფები. ჯვარცმის კომპოზიცია ფართოდაა წარმოდგენილი ქედური ხელოვნების ძეგლებშიც. მაგ. XI ს. I მეოთხედის *ზარზმის ხატი „ღმრთისმშობელი ყრმით“*, *მარტვილის 1644 წლის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“*, შემოქმედის XVI ს. II ნახ. საეკლესიო დღესასწაულთა ხატი, აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის დაკვეთით 1619 წელს შექმნილი *ცაიშის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“ (საყვარელიძე, 1994, N24: 72, 60, 80)* და სხვა.

1938 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება *ანუხვის სვეტიც*, რომელიც წარმოადგენს ქვის თლილი მრგვალი ფორმის არქიტექტურულ დეტალს, მრგვალი ფორმის კვარცხლბეკით. კვარცხლბეკის ზემოთ, სვეტზე ამოკვეთილია ოთხ სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც შინაარსით მემორიალური ჯგუფის ძეგლებს განეკუთვნება და წარმოადგენს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისადმი მიმართულ, სავედრებელი ხასიათის ეპიგრაფიკულ ძეგლს. წარწერაში იკითხება: „ქ წ(მიდა)ნი მთ(ა)ვარა(ნ)გ(ე)ლოზნი მ(ი)ქ(ა)ლ და გ(ა)ბრ(ი)ლ“ (*Бражба, 1967: 16; ქართული ლაპიდარული II, 1980: 142-143; სილოგავა, 2004: 283; ახალაძე, 2005: 162; Ахаладзе, 1999: 366*). ანუხვის სვეტის წარწერა *ხუხუტი ბღაჟბამ XI* საუკუნით დაათარიდა (*Бражба, 1967: 16*). ვალერი სილოგავას ის XII ს. ძეგლად მიაჩნია (*ქართული ლაპიდარული II, 1980: 142-143; სილოგავა, 2004: 283*); *ელენა ენდოლცევა*, წარწერის ბღაჟბასეულ დათარიღებაზე დაყრდნობით, ანუხვის სვეტს X-XI სს. მიჯნით ათარიღებს (*Ендольцева, 2019: 21*). ჩვენთვის მიუღებელია წარმოდგენილი დათარიღებები და ვთვლით, რომ ანუხვის სვეტის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისადმი მიძღვნილი სავედრებელი წარწერა შეუძლებელია ქართული კულტურისა და დამწერლობის აღმავლობის ხანაში იყოს შექმნილი. მისი პალეოგრაფიული ნიშნები X-XI ან XII საუკუნით დათარიღების შესაძლებლობას გამორიცხავს. ჩვენი დაკვირვებით, ანუხვის სვეტის წარწერა XIV-XV საუკუნემდელი არ უნდა იყოს (დასაბუთება იხ. *ახალაძე, 2005: 164-163*).

ბოლო დროს მეცნიერთა ყურადღების ქვეშ მოექცა *ანუხვის ტყვიის საბეჭდავი*,¹ რომლის შუბლზე წმინდა გიორგის გამოსახულებასთან ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერა იკითხება „წ(მიდა) გ(იორგ)ი“, ხოლო ზურგზე „წ(მიდა) გ(იორგ)ი, მ/ონ(ა)სტრ(ი)სა ადნახვისა“ (*Чаидзе, 2017: 63; ჩხაიძე, ვინოგრადოვი, გუგუშვილი, 2019: 273*). საბეჭდავის წარწერაში დაფიქსირებული ტოპონიმი „ადნახ“ ამჟამინდელი ანუხვის ოდნავ შეცვლილი ფორმა უნდა იყოს.

¹ აღმოჩენილ იქნა 2015 წელს ზღვაში სამხრეთ ყირიმის (სუდაკის?) სანაპიროს მახლობლად, სხვა ცხრა ბიზანტიურ ბეჭედთან და ერთ ყალიბთან ერთად; ამჟამად იგი კერძო კოლექციაშია (*Чаидзе, 2017: 62-63; ჩხაიძე, ვინოგრადოვი, გუგუშვილი, 2019: 273*).

ფიქრობენ, რომ ანუხვაში წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, XI საუკუნეში არსებობდა აგრეთვე ქართული მონასტერი (**Виноградов, Белецкий, 2015: 96-97. შდრ. ჩხაიძე, ვინოგრადოვი, გუგუშვილი, 2019: 271-278**), საიდანაც შემოგვრჩა განხილული უნიკალური საბეჭდავი (**ჩხაიძე, ვინოგრადოვი, გუგუშვილი, 2019: 274**).

ამრიგად, ანუხვის არტეფაქტებით და მათზე დაცული ისტორიული წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ანუხვაში XI საუკუნეში ადგილობრივი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებმა აღაშენეს „*ჯუ(ა)რი ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა დ(მრთი)სა მ(ა)მისა, ძისა, ს(უ)ლისა წ(მი)დ(ი)-სასა*“. როგორც ჩანს, ანუხვის ჯვარი და ტაძარი თავდაპირველად უფლის სახელზე იყო აგებული. ამაზე ირიბად მიანიშნებს იმავე ტაძარში ნაპოვნი უფლის ჯვარცმის გამოსახულებიანი ფილა ქართულ-ბერძნული წარწერებით. მოგვიანებით XIV-XV საუკუნეებში, ტაძრის მორიგი განახლების დროს, ან თავიდან მშენებლობის დროს ტაძარს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელი ეწოდა. ანუხვის არტეფაქტებზე დაცული საამშენებლო და სავედრებელი ხასიათის წარწერები ადასტურებს, რომ სამონასტრო კომპლექსის ღმრთისმსახურების ენა ქართული იყო.

სოხუმის მახლობლად, მდინარე ბესლეთის კალაპოტზე გადებულია ერთ-მალისანი თაღოვანი ხიდი (X-XI სს).¹ ხიდის დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „*ქ(რისტ)ე [მუფ(ე)ო] ყ(ოველთ)ა [ად]იდუ ორთავე ს(უ)ფ(ე)ვათა უ[ძლეველი] [მუფეთა მეფე ბაგრატ]*“. მიუხედავად იმისა, რომ წარწერაში დასახელებულია მეფე ბაგრატ III (97-1014) ხალხმა თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის დასტურად ამ ხიდს *თამარის ხიდი* შეარქვა. წარწერაც და ხიდიც X საუკუნის მიწურულითა და XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ბესლეთის თაღოვანი ხიდიდან 200 მეტრის დაშორებით იდგა *ბესლეთის ეკლესია*. მისი მასშტაბურობა გვაფიქრებინებს, რომ აქ ოდესღაც სამონასტრო კომპლექსი ყოფილა, რომლის ძირითადი ნაგებობა – ტაძარი დღეს თითქმის დანგრეულია და მისი კონტურები ძლივს ჩანს მიწის ზემოთ.

XI საუკუნის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს შორის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობით ყურადღებას იქცევს *წკელიკარის წმ. გიორგის ეკლესია*, რომელიც გალიდან დაშორებულია 20 კილომეტრის მანძილზე. ადგილობრივი მცხოვრებნი მას *წკელიკარს* („*წყევლის კარს*“) უწოდებენ. ეკლესია შეისწავლა აფხაზმა ხელოვნებათმცოდნე *ლეონ შერვაშიძემ*, რომელმაც სპეციალურ ნაშრომში *თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვით გამოაქვეყნა აღმოჩენილი წარწერებიც* (**Шервашидзе, 1967: 39-56**). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია წკელიკარის ეკლესიის სამი ლაპიდარული და შვიდი ფრესკული წარწერა, რომელთა შინაარსიდან ირკვევა, რომ XI საუკუნეში წკელიკარის ეკლესია აგებულია საეკლესიო პირის მერკილეს ინიციატივითა და ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალების ქტი-

¹ ბესლეთის ხიდის ანალოგები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვაქვს, კერძოდ, რკონის ხიდი ქართლში, დონდალოს ხიდი აჭარაში, თაღოვანი ხიდების მთელი კასკადი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთში).

ტორობით. საამშენებლო წარწერები: ა) „ესე ს(ა)კურთხევე[ლი] [მე] აღვმ[ართე] წმიდაო გიორგი, შეიწყალე [...] ჟამთა [განკითხვისასა]; ბ) ქ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკ(ე)ლ[ი]კარისაო, მეოხ ეყავ[ი] წინამუ] ღმ[რთისა] მონა[სა] მ(ე)ნსა [მე]რკილი[ს] [ტაძრის] ხუცე[სსა]“ (ახალაძე, 2005: 88-92); გ) წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მ(ე)იწყალე რ(უ)მ(ა) მ(ე)ოხ ეყავ[ი] წ(ინამუ] ქ(რისტ)ეს(ა)“ (სილოგავა, 2004: 272); დ) „დ(ი)დ(ი) [თავალი] ჩ[იჩ]უა [...] აფ [...] [...] და [...]“ (Шервашидзе, 1967: 54; ახალაძე, 2005: 95). ტაძარს მომდევნო საუკუნეებში რამდენჯერმე განუცდია საფუძვლიანი გადაკეთება – რესტავრაცია. XVII საუკუნეში ტაძრის ქტიტორი და რესტავრატორი ყოფილა ჩიჩუას საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ფრესკული გამოსახულება ტაძრის კედლებზეა შემორჩენილი შესაბამისი ქართული წარწერის ფრაგმენტებით (Шервашидзе, 1967: 39-56; ახალაძე, 2005: 87-95).

აფხაზეთის კულტურული იერსახის წარმოჩენა შეუძლებელია წებელდის მხარის კულტურის ძეგლების, მათ შორის გასაოცარი რელიეფური კომპოზიციებითა და ეპიგრაფიკული ნიმუშების გარეშე. ფაქტობრივად, წებელდა – არის მიკრორეგიონი, რომელიც თავისებურ კულტურულ ოაზისს ქმნის ქართული კულტურის ისტორიაში. აქ გვხვდება როგორც დიდი სამონასტრო კომპლექსები, პატარა ეკლესიები და სამლოცველოები, ასევე ოდესღაც ძლევამოსილი წიბელიუმის ციხესიმაგრის სისტემის ნაშთები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს ყველაფერი ნანგრევების სახით არის შემორჩენილი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე აღდგენილია რეგიონის კულტურულ ისტორიული სურათი. წებელდის ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს წმ. თევდორეს ეკლესია.

ტაძარს რუსმა არქეოლოგმა პრასკოვია უვაროვამ, XIX ს. 80-იან წლებში წებელდაში მოგზაურობისას, მიაკვლია, ოდნავ მოგვიანებით კი ის მოინახულა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც აღწერა ტაძარი და წაიკითხა იქ აღმოჩენილი წარწერა. „წ(მიდა)ო თ(ევდორ)ე, მ(ე)იწყალე მ(იქა)ლ“ – გვაუწყებს ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რაც მიუთითებს, რომ ტაძარი იმთავითვე წმ. თევდორეს სახელზე იყო აგებული. თლილი, მოჩუქურთმებული ქვებითა და გამორჩეული არქიტექტურული დეკორით აგებული ტაძარი გამორჩეულია მცენარეული ორნამენტებით შემკული მცირე ფორმებით. ხელოვნების ამ ნიმუშებით, არქიტექტურული ფორმების პარალელებითა და ანალოგიებით, ტაძრის წარწერის პალეოგრაფიული მახასიათებლებით წმ. თევდორეს ტაძარი პარალელებს პოულობს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სხვა ნიმუშებთან. დათარიღებულია X-XI სს. მიჯნით (ახალაძე, 2005: 173-174).

3. უვაროვამ იპოვა დაზიანებული ხატი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მთელი სიმაღლით გამოსახულია წმ. ეკატერინე. ფოტოზე ხატის დაზიანების გამო წმინდანის ცალი ხელი ჩანს. წმ. ეკატერინეს ნიშბის ორივე მხარეს ამოკვეთილია გამოსახულების განმარტებითი წარწერა „წ(მიდა)ე ეკატ(ე)რინე“. ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე ამოკვეთილია ორსტრიქონიანი, ქართული ასომთავრული წარწერა შესრულებული ულამაზესი კიდურწაისრული დამწერლობით, რომელიც მოგ-

ვითხრობს ხატის უცნობი ქტიტორის – წარჩინებული ქალბატონის – მარიამის შესახებ. ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით წმ. ეკატერინეს ხატი XI საუკუნით არის დათარიღებული (**Чубинашвили, 1959: 21**).

3. უვაროვამ წებელდის კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევებში ასევე იპოვა ხატი, რომლის ჩარჩო მოოქროვილი ვერცხლისა ყოფილა. ხატის ცენტრალურ ნაწილში ფერწერით გამოსახული იყო *იოანე ნათლისმცემელი*, რომლის სახე ამჟამად ფოტოზე აღარ ჩანს. ნიშნის ზედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მოთავსებულია წმინდანის გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერა – „წმინდა იოანე“, ხოლო ხატის ქვედა ჩარჩოზე მოთავსებული წარწერა მოგვითხრობს *საბა მალელის ძის შესახებ*: „მამკობი ხ(ა)ტ(ი)სა ღმობ(ი)თ მქენ, ს(ა)ბა მ(ა)ლელის [ძე]“, რომელიც არის ხატის „მამკობი“ და ქტიტორი (**ახალაძე, 2003: 48**). ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით იოანე ნათლისმცემლის ხატიც XI საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების შედევრს წარმოადგენს (**Чубинашвили, 1959: 312**. განსახვავებული წაკითხვა იხილეთ: **სილოგავა, 2004: 317**).

3. უვაროვას მიერ ნაპოვნ საეკლესიო ნივთებს შორისაა წმ. ანდრია მოციქულის სახელზე შექადილი ხატიც, რომელიც მთლიანად ვერცხლისგან არის დამზადებული. დღეს შემორჩენილია ხატის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელზეც ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს თამარ მეფის ეპოქის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ერისთავთ ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცეს აბულასან იობის ძის შესახებ: „ქ ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო მ(ო)ციქ(უ)ლო ქ(რის)ტ(ე)ს ღ(მრ)-თისაო ანდრია, შეიწირუ [მცირე]დი ესე მსახურებაი ჩ(ე)მგან – ე(რისთავთა) ე(რისთავ)ისა და მეჭურჭლეთუხუცესისა აბულასანის(ა)გ(ა)ნ იობისძისა, [რ(ომელმა)ნ ვეც]ხლითა შევქადე კუბოი ესე მ(ე)ნი, [სალოცველად] სულისა ჩემისა და ძმათა [ჩემთა] – [ბ(ა)ს(ი)ლისა] და ელიასათუის“ (**სილოგავა, 2004: 321**). აბულასან იობის ძის წინაპრები წარმოშობით დალი-წებელდის ხეობიდან ყოფილა, რისთვისაც აბულასანმა წებელდაში, ანდრია მოციქულის სახელზე ააგო ტაძარი და სპეციალურად მისთვის მოაჭადინა შეწირა მას წმ. ანდრიას ხატი (**ჩხატარაიშვილი, 1990, 83-105; ახალაძე, 2003: 50-54**).

1988 წელს წებელდის მიდამოებში *იური ვორონოვმა* და *ოლეგ ბლაჟბამ* გამოავლინეს ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები, რომელშიც აღმოჩნდა ტაძრის ერთ-ერთი საამშენებლო დეტალი ქართული წარწერით. „[...აღ]ვაშენე [სა]ყოფელი წ(მი-დი)სა გ(იორგი)სი, შევქადენ [კარი მისი] სალოცველად და საჯსრად ს(უ)ლ(ი)სა../[ქრის]ტე მჯსნელ და მფარველ ექმ(ენ) დ[ღესა] მას განკითხვისასა“ (**ახალაძე, 2002: 43-44**). წარწერა მოგვითხრობს უცნობი ქტიტორის მიერ წებელდაში წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობისა და „კარის შექადვის“ შესახებ. წარწერის პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის მიხედვით, აგებული უნდა იყოს XII-XIII საუკუნეებში (**ახალაძე, 2005: 177-179**).

XX ს. 60-იან წლებში გალის მუნიციპალიტეტის სოფელ ღუმურიში აფხაზმა ხელოვნებათმცოდნე *ლეო შურვაშიძემ* გამოავლინა ძველი ეკლესიის ნანგრევები,

რომელშიც მიაკვლია ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერას. იგი ამოკვეთილია ქვის ფილაზე, რომელზეც გამოსახული ყოფილა რელიეფური ორნამენტირებული ჯვარი. წარწერა საგდუხტ „დიოფალთ დიოფალის“ მიერ ჯვრისა და ტაძრის მშენებლობის ისტორიას მოგვითხრობს: „[ქ. შეიწყალე ამის ტაძარი]სა მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი დ(ეო)ფ(ა)ლთა დ(ეო)ფალ[ი] ს(ა)გდ(უ)ხტ, ნ(ია)ნ(ია)ს ას(უ)ლი, ა(მე)ნ“ (სილოგავა 2004: 268). წარწერის შინაარსის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზის თანახმად, „დეოფალთ დიოფალი“ საგდუხტი ოდიშის ერისთავთ ერისთავის მეუღლე და ღუმურიშის ტაძრის მამნებელი უნდა იყოს. ტაძარი და წარწერაც დათარიღებულია XI საუკუნით (ახალაძე, 2005: 76-82).¹

გალის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაზურგაში, აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე ნანგრევების სახით შემორჩენილია დიხაზურგის ეკლესია. რომელსაც მოსახლეობა წმ. ბარბარეს ეკლესიას უწოდებდა. საბჭოთა პერიოდში, 1952 წლამდე, დიხაზურგას „დიდი წიფური“ ეწოდებოდა. სოფელი ასეთი სახელწოდებით გვხვდება იტალიელი კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ისტორიულ თხზულებაში და 1654 წლის რუკაზე, რომელზეც აღნიშნულია ეკლესიის არსებობაც. „წიფურიას მონასტერი – წერდა ლამბერტი, – აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად... აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღმრთისმშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე“ (ლამბერტი, 1991:107). როგორც ჩანს, წიფურიაში ორი ერთმანეთთან გაერთიანებული ეკლესია არსებობდა.

XX ს. დამდეგს ამ ეკლესიის ნანგრევებში იპოვეს ქვის ორი ფილა, ერთ-ერთზე ამოკვეთილი წარწერით. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების დავალებით დიხაზურგის ეკლესია და წარწერა ინახულა, იმავე საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა, ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა, რომლის აღწერით, ტაძარი მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე, აზნაურ მიქაიას სამფლობელოში და აგებული იყო თეთრი კირქვის ფილებით. დიხაზურგის ეკლესია დარბაზული ტიპის სამლოცველოს წარმოადგენდა, რომელიც ადგილობრივი მსხვილი ფეოდალის კარის ეკლესია უნდა ყოფილიყო. ეკლესიის იდენტიფიცირება არქანჯელო ლამბერტის მიერ დასახელებულ ორი, ერთმანეთთან გაერთიანებულ ეკლესიასთან, ამ ეტაპზე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, სოფლის ტერიტორიაზე დაცული მრავალრიცხოვანი ისტორიული ნაშთი, შუა საუკუ-

¹ ღუმურიშის ცენტრში მდებარეობს მეორე ეკლესია, აგებული ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით XIX საუკუნეში, მანამდე არსებული ძველი ტაძრის ადგილზე. საბჭოთა პერიოდში ტაძარში ღმრთისმსახურება არ აღევლინებოდა და მასში კოლმეურნეობის საწყობი იყო განთავსებული. XXI ს. დამდეგს ეკლესიის გაწმენდისას გამოვლინდა მრავალრიცხოვანი საფლავის ქვები ქართული მხედრულით შესრულებული ეპიტაფიებით. მათში დასახელებულია ადგილობრივი ფეოდალური გვარის წარმომადგენლები: პოლკოვნიკი ემხვარი და სალომე ანჩაბაძე (ახალაძე, 2006: 208-212).

ნების დინამურგამი საერო დანიშნულების მსხვილი კომპლექსის, ან საეკლესიო ცენტრის არსებობაზე მიუთითებს.

დინამურგის ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი ქვებიდან ერთ-ერთზე გამოსახულია ჯვარი, რომლის მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მკლავებს შორის მთელი ტანით წარმოდგენილია მამაკაცის გამოსახულება. ჯვრის ვერტიკალური მკლავების ზემოთ, მარჯვენა უბეში ამოკვეთილია მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა, რომელშიც დინამურგის ტაძრის ხუროთმოძღვარი გრიგოლ გალატოზთუხუცესია დასახელებული. თავიდან წარწერა არასწორად იყო წაკითხული, მაგრამ *მოსე ჯანაშვილმა* გაასწორა ტექსტის შინაარსი, გამოსცა და დაათარიდა იგი X-XI საუკუნეებით (*Джанашвили, 1907: 18-20*). მოსე ჯანაშვილის შემდეგ, გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერა დაიკარგა და ხელმეორედ აღმოჩნდა ამჯერად დინამურგის სასაფლაოზე. წარწერიანი ფილა 1992-1993 წლების ომამდე ინახებოდა გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. წარწერა XI საუკუნით დაათარიდა *ვალერი სილოგავამ*: „*ქ.გრ(ი)გოლს, გ(ა)ლ(ა)ტოზთუხ(უ)ცე(ს)ს, შ(უ)ნ-დ(ო)ს დ(მერტმ)ა(ნ)*“ (*სილოგავა, 2004: 267*). გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მხედრულთ შესრულებულ წარწერებს შორის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშებს მიეკუთვნება. წარწერა შინაარსით პარალელურებს პოულობს *ბედიისა და შოროთას* (ასპინძის მუნიციპალიტეტი) ტაძრების წარწერებთან, რომლებშიც „*სკმეონ გალატოზთუხუცესი*“ და „*ნიკოლოზ ორბისძე, გალატოზთუხუცესი*“ არიან დასახელებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ XI საუკუნეში, დინამურგის ეკლესია საქართველოს სამეფო კარის უხუცესთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა, სამეფო ხუროთმოძღვარმა გრიგოლ გალატოზთუხუცესმა ააგო. დინამურგის ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა XI საუკუნით თარიღდება (*ახალაძე, 2005: 83-86; 23-32*).

გალის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდავამი, სამურზაყანოს დაბლობზე, ოქუმის მარცხენა ნაპირას, გალის ცენტრიდან 12 კმ. დაშორებით მდებარეობს *გუდავის ეკლესია*. ბიზანტიური წყაროებით, გუდავის საეპისკოპოსო ჯერ კიდევ VII ს. არსებობდა, რაც გუდავის ტერიტორიაზე, იმავე ეპოქაში, ტაძრის არსებობას ადასტურებს. ქართული წერილობითი წყაროს მიხედვით, XV საუკუნეში გუდავის ეკლესიის ხელმეორედ მამენებლები და ქტიტორები მსხვილი ფეოდალი *რაბაძე*, მისი მეუღლე *ნუგაძე* და ადგილობრივი დეკანოზი იყვნენ. ისტორიული სოფელი გუდავა მოიცავდა ახლანდელი სოფლების: პირველი გუდავის, მეორე გუდავისა და საკუთრივ გუდავის ტერიტორიებს. გვიან ანტიკურ ხანაში და ადრე შუა საუკუნეებში გუდავა ქალაქის ტიპის დასახლება იყო გარშემორტყმული ციხით და ცნობილი იყო ზიგანისის ანუ ზეგანის სახელწოდებით (*ზაქარაია, ლუქვინაძე, 1971: 100-102*). VII-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი გუდავამი იყო. ცნობილია, რომ X საუკუნის 70-იან წლებში გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ *ბაგრატ III ბაგრატიონმა* მოშალა გუდავის საეპისკოპოსო და მის საპირწონედ შექმნა ახალი კათედრა ბედიამი: „*აღაშენა საყდარი ბედიისაჲ და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყსა საეპისკოპოსოდ*“ (*მატი-*

ანე, 2008: 273). გუდავა კონსტანტინოპოლის ეკლესიის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო დასავლეთ საქართველოში და გუდავის საეპისკოპოსოს მოშლა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის გაძლიერებისა და საერთო ქართული საეკლესიო პოლიტიკის შექმნის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამის შემდეგ გუდავა, როგორც მსხვილი საეკლესიო ცენტრი, წყაროებში აღარ იხსენიება.

გუდავაში ციხისა და სხვა ისტორიული ნანგრევების არსებობა არ გამორიცხავს, სხვადასხვა ეპოქაში, რამდენიმე ეკლესიის მშენებლობას. დღემდე შემორჩენილი ისტორიული ნაშთი დარბაზული ტიპის ეკლესიას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ეპოქის რესტავრაციების კვალს ატარებს. ეკლესიის მშენებლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი VI-VIII საუკუნეები უნდა იყოს, ხოლო მისი რესტავრაცია XV, ან XVI საუკუნეში დაკავშირებულია ადგილობრივი ფეოდალის რაბაძისა და მისი მეუღლის ნუგაძერას სახელებთან, რომლებიც დასახელებულია ეკლესიის საამშენებლო ქტიტორულ წარწერაში.

გუდავის ეკლესიის უზომი ნაპოვნი ქვის ფართო ფილა, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება და თითოეულ ნაწილს ახლავს წარწერები: ა) პირველ ნაწილში, სადაც გამოსახული ყოფილა ჯვარი, სუსტად იკითხება „*ჯ(უარ)ა ქ(რისტე)სი*“; ბ) ჯვრის ქვედა მკლავის მარცხენა მხარეს ამოკვეთილია წარწერა „*[სუ]ლი დეკ(ანოზისა) შ(ეიწყალე)ნ დ(მერთმა)ნ*“; გ) ფილის დამუშავებული ზედაპირის ცენტრში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელსაც სამმაგი წიწვოვანორნამეტიანი ჩარჩო აქვს გარშემორტყმული. ქვის ზედა მარჯვენა კუთხის მოტეხვის გამო ფილა და წარწერის რამდენიმე გრაფემა დაზიანებულია, მაგრამ კარგად იკითხება: „*სულსა რაბ[ა]ძის შ(ეუ)ნდ(ვნე)ს დ(მერთმა)ნ და მეუ[ლ]დ(ლეს)ა მისა ნუგაძერას შ(ეუ)ნდ(ვნე)ს დ(მერთმა)ნ*“ (ცისკარიშვილი, 1980: 141).

ჩვეულებრივ, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ეკლესიის ფასადებზე მსხვილ საერო, ან სასულიერო პირთა მოსახსენებლებს, მშენებელ ოსტატთა ან კარის შემბმელთა ქტიტორულ წარწერებს კვეთდნენ, შესაბამისად წარწერის ტექსტებში დასახელებული რაბაძე, ნუგაძერა და დეკანოზი ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალური სახლის წევრები და სასულიერო პირები არიან, რომლებიც გუდავის ეკლესიის რესტავრაციისას საკუთარ სახელს უკვდავყოფენ. წარწერაში დაფიქსირებული ქალის სახელი „*ნუგაძერა*“ ტიპური და დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ონომასტიკისათვის. წარწერა დათარიღებულია XV ს., ან XV-XVI სს. (ახალაძე, 2005:133-138), რაც ადასტურებს გუდავის დარბაზული ტიპის ეკლესიის რესტავრაციას, ან ხელმეორედ მშენებლობას XV-XVI საუკუნეებში.

შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურული იერსახის მნიშვნელოვანი ნაწილია სამხედრო-თავდაცვითი სისტემის ძეგლები. ქალაქ სოხუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე აღმართულ გორაკზე მდებარეობს ციხე, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის (978-1014 წწ.) სახელს ატარებს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ბაგრატის ციხე აგებულია გაცილებით ადრე და ბაგრატ III -ის ეპოქაში, X-XI სა-

უკუნეების მიჯნაზე იგი მხოლოდ საფუძვლიანად განაახლეს. ბაგრატის ციხეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვის დამახასიათებელი საამშენებლო ტრადიციები ახასიათებს. ბაგრატის ციხე გაერთიანებული საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში (X-XV სს.) წარმოადგენდა ქალაქის ციტადელს. ის ცხუმის ერისთავთა რეზიდენცია იყო. XVI საუკუნიდან, როდესაც ქალაქმა დასავლეთისაკენ, მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე გადაინაცვლა, მან მნიშვნელობა დაკარგა და დაცარიელდა (**გამახარია, ახალაძე, ჯოჯუა, 2018: 102**).

სოხუმიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ივერიის მთის ერთ მონაკვეთზე მდებარეობს ისტორიული ანაკოფია, რომელსაც 1875 წლიდან ახალი ათონი ეწოდება. ამ მთაზე ზღვის დონიდან 350 მეტრზე აღმართულია ანაკოფიის ციხე-სიმაგრის ციტადელი. ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვის გალავნით შეკრულ შეუვალ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით, სააღმოსავლეთი აუზითა და კირის გამოსახდელი ღუმელით. ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ანაკოფიის ტაძარი, რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. მის ნანგრევებში ახლაც შეინიშნება შედარებით გვიანი პერიოდის შესანიშნავი ჩუქურთმის ნაკვალევი. ივერიის მთაზე, წმ. თევდორეს ტაძარზე შემორჩენილ ბერძნულ წარწერებში მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ტაძრის ისტორიის შესახებ: კერძოდ, ტაძრის კედელზე, ჯვრის თავზე, ერთ-ერთი წარწერა მოგვითხრობს არქიეპისკოპოს მიქაელის მიერ, აპრილის თვეში, წმ. თევდორეს ტაძრის კურთხევის შესახებ (**ყაუხჩიშვილი, 2004: 69**). მკვლევარები წარწერას IX, ან XI საუკუნით ათარიღებენ. იქვეა 929 წლით დათარიღებული ევსტათი ხუცესის წარწერა, აგრეთვე 1046 წ. საამშენებლო წარწერა, რომელშიც ბიზანტიის იმპერატორი *კონსტანტინე მონომახოსი* (1042-1055), ტაძრის შემამკობელი უცნობი პროტოსპათარი, დაღმაცის უფალი *ევგენიოსი* და სარდალი *თეოდორე ბალანტი* არიან დასახელებული. საგულისხმოა, რომ ბიზანტიური ტიტული პროტოსპათარი გვხვდება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებშიც. მათ შორის ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელებულია *ვაჩე პროტოსპათარი* და *იპატოსი*. ევსტათის წარწერის ქვემოთ არის დიდი ჯვარი, რომლის მკლავებზე ბერძნული ასოებით ამოკვეთილია: „*იესუ ქრისტე*“. იქვე ამოკანწრულია „*წმიდა კონსტანტინე*“. წმ. თევდორეს ტაძრის წარწერებში *თეოდორე ბალანტი*, კიდევ ერთხელ გვხვდება, ამჯერად პროტოსპათარ *ევგენი დესპოტთან* ერთად (**ყაუხჩიშვილი, 2004: 69-72**). ისტორიულ ვითარებათა გამო, ანაკოფიას 1032 წლიდან ბიზანტიელები აკონტროლებდნენ და იგი საქართველოს მხოლოდ 1074 წელს დაუბრუნდა (**მატიანე, 2008: 280, 299**). წმ. თევდორეს ტაძრის ბერძნული წარწერებიც ამ ეპოქით თარიღდება.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა და რამდენჯერმე განაახლდა. აქ საქართველოს სამეფო ჯარი იდგა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა. ანაკოფიის ციხე-სიმაგრის გათხრების დროს

აღმოჩნდა საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტა წარწერით: „ქრისტე! ადიღე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“ (სილოგავა, 2004: 242-244). გიორგი II-ის დროს ანაკოფიის ციხე-სიმაგრემ საფუძვლიანი განახლება-რესტავრაცია განიცადა. ანაკოფიის ციხიდან ცნობილია რამდენიმე ბერძნული წარწერა, მათ შორის არის რამდენიმე შუასაუკუნეების გრაფიტი, რომლებსაც ძირითადად, საკულტო დანიშნულება აქვთ. მას შემდეგ, რაც XV ს. მიწურულს საქართველოს სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ანაკოფია ჯერ აფხაზთა ერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო XVIII საუკუნეში თურქები დაეუფლნენ და აფხაზთა მთავრების რეზიდენციამ ლიხნში გადაინაცვლა. XVIII საუკუნეში ანაკოფია უკვე ნანგრევებად იქცა – „აწ ოხერ არს“ (ვახუშტი, 1973: 781).

ჩამოთვლილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უმრავლესობა შექმნილია ლაზიკა-ეგრისის სამეფოს, „აფხაზთა“ სამეფოსა და გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს (XI-XV სს.) არსებობის დროს. XVI-XVII საუკუნეებიდან, როდესაც დაიწყო კავკასიის მთის მოსახლეობის მიგრაცია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არათუ იქმნებოდა, არამედ თანდათან ნადგურდებოდა წინა საუკუნეებში შექმნილი უნიკალური ღირებულების მქონე ქართული ძეგლები. ამის დადასტურებას წარმოადგენს ბიჭვინთის, ბედიის, დრანდის და სხვა ეკლესიების გაუკაცრიელება XVI- XVII საუკუნეებიდან. სამწუხაროდ, იგივე ვითარებაა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიიდან გამოდევნილია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, სეპარატისტული ხელისუფლების ხელშეწყობით ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების საფუძველზე თავდაპირველი სახე დაკარგა ილორის, ბედიის, დრანდის, სიმონ კანანელის ტაძრებმა, მძიმე ვითარებაშია ლიხნის, გაგრისა და ჭუბურხინჯის ტაძრები.

აღნიშნული ტაძრები მოინახულეს ICOM-ის რუსეთის კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომელთა ანგარიშში აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების სავალალო მდგომარეობაა ასახული (Отчет о миссии ИКОМ, 2011). აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, ირკვევა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დარღვეულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა საერთაშორისო ნორმა. ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ საერთაშორისო ქარტიის თანახმად, ისტორიული და კულტურული ძეგლი ხელშეუხებელია (ვენეციის, 1964). ილორისა და ბედიის ტაძრების ე. წ. „რესტავრაციის“ დროს დაიკარგა მათი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულება, წაიშალა წარსულსა და თანამედროვეობას შორის არსებული ერთიანობა. ამ ერთიანობის აუცილებლობაზე მიუთითებს ზემოთნახსენები „ვენეციის ქარტიის“ მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, „ძეგლი განუყოფელია მისი ისტორიისგან, რომლის მოწმეცა და მისი გარემოსგან, რომელშიც იგი გვხდება“ (ვენეციის, 1964). კონფლიქტურ სიტუაციებში კულტურულ ფასეულობათა დაცვის მიზნით 1994 წელს იაპონიის ქალაქ ნარაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე სპეციალურად იქნა შემუშავებული „ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ“. მის მე-6 პუნქტში ვკითხულობთ: „კულტურული მემკვიდრეობის მრავალ-

ფეროვნება არსებობს დროსა და სივრცეში და მოითხოვს პატივისცემას სხვა კულტურების და მათი შეხედულებათა სისტემის ყველა ასპექტის მიმართ. იმ შემთხვევებში, სადაც კულტურული ფასეულობები კონფლიქტშია ერთმანეთთან, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპი მოითხოვს თითოეული მხარის კულტურული ფასეულობის ლეგიტიმურობის აღიარებას“ (ნარას დოკუმენტი, 1994).

ოკუპირებულ აფხაზეთში გარკვეული ჯგუფები საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით ცდილობენ შეცვალონ შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურული იერსახე, წაშალონ ქართული კულტურის კვალი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აფხაზეთა და ქართველთა იდენტობის ძირითად მარკერს წარმოადგენდა. ეს არამართო ქართული კვალის წაშლა, არამედ აფხაზეთა ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტის, მათი იდენტობის დაკარგვის, არსებულ ფაქტობრივ რეალობასთან იოლად ადაპტირების ერთ-ერთი საშუალებაა.

თავი VII. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1810 წლიდან 1864 წლამდე

§1. აფხაზეთის სამთავრო 1810-1864 წლებში

აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ სოხუმის ციხეში რუსეთის სამხედრო ნაწილი ჩადგა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარმა რუსეთის პროტექტორატი აღიარა, მოსახლეობის დიდი ნაწილი არათუ რუსეთის, არამედ აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებასაც არ ცნობდა. მთავრის ხელისუფლება სუსტი იყო და ის მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. რუსეთის სარდლობას, აფხაზეთის მთავრის არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად ვერ გადაეწყვიტა ქვეყნის სიღრმეში შესვლა და ურჩი მთიანი მხარეების – *ფსხუ, წებელი, დალი*, – დამორჩილება. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროზე განმტკიცებულიყო და, ფაქტობრივად, ქვეყნის მართვაში არ ერეოდა. ამასთან, სამთავროში არსებობდა მძლავრი პროთურქული ბანაკი, რომელსაც მთავრის ძმა *ასლან-ბეი შარვაშიძე* ედგა სათავეში. ამ უკანასკნელს ხალხში მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰქონდა ანტირუსულად განწყობილი ძალების სახით. რუსეთის ხელისუფლების პოზიციები აფხაზეთში სუსტი იყო. სოხუმის დაუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა აფხაზეთის დაუფლებას. უფრო მეტიც, ასლან-ბეის მომხრეები სოხუმის ციხიდან 20 ვერსზე თავს ესხმოდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ, ადამიანებს და საქონელს იტაცებდნენ. ამ უწესრიგობების აღსაკვეთად და ქვეყნის დასამორჩილებლად გიორგი შარვაშიძემ 1810 წ. დეკემბერში გენერალ-მაიორ ფ. სიმანოვიჩის სთხოვა მისი ნათესავი, სამურზაყანოს სარდალ-მოურავი *მანუჩარ შარვაშიძე* ჯარით მის დასახმარებლად გაეგზავნა. ფ. სიმანოვიჩმა აფხაზეთის მთავრის თხოვნის დაკმაყოფილება სამეგრელოს დედოფალს, *ნინო დადიანს* სთხოვა (**AKAK, IV, 1870: 339**).

დედოფალმა ნინომ სამეგრელოს სახალხო ლაშქარი აფხაზეთში გაგზავნა. ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის დახმარებით სამეგრელოს ლაშქარმა ასლან-ბეი და მისი ოსმალოფილური პარტია დაამარცხა, რის შემდეგაც ასლან-ბეი ტრაპიზონში გაიქცა. სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა აფხაზეთის მთავარს ჯიქების რამდენიმე თემიც დაუმორჩილა. დედოფალმა ნინომ გიორგი შარვაშიძესთან შეარიგა და მას დაუმორჩილა ბექირ-ბეი შარვაშიძის შვილები, გავლენიანი აფხაზი მფლობელები სოსლან-ბეი და ალი-ბეი, რომლებიც მას მტრობდნენ და ასლან-ბეის უჭერდნენ მხარს. სამეგრელოს დედოფალმა მათგან მძევლები აიყვანა და იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა. მისივე მითითებით *რებია-ჰანუმ მარშანია* მოლაპარაკებებს აწარმოებდა თავის ძმებთან, წებელის მფლობელ მარშანიებთან, გიორგი შარვაშიძის მთავრად ცნობისა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის თაობაზე (**AKAK, IV, 1870: 405-407; ქორთუა, 1964: 266**).

1811 წ. მიწურულს საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. ამას დაერთო 1811-1812 წლების მოუსავლიანობა და შიმშილობა. ხელისუფლების

მხრიდან უსულგულო დამოკიდებულებას მოჰყვა კახეთის აჯანყება. შიმშილობა და შავი ჭირის ეპიდემია დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა და დიდი მსხვერპლი მოჰყვა (AKAK, VI, I, 1874: 646, 658). იმერეთიდან და სამეგრელოდან ხალხი გარბოდა და აფხაზეთს აფარებდა თავს. ნიკო დადიანის ცნობით, „გაჩნდა იმერეთსა შინა ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსრველი სენი (ესე იგი ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნენ, კნინდა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსრველი სენი. და განგრძელდა ესეკითარი რისხვა დვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად“ (დადიანი, 1962: 203).

შიმშილობისა და შავი ჭირის ეპიდემიის გამო იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი სამურზაყანოსა და აფხაზეთში იყო გახიზნული, გაძლიერდა ტყვის სყიდვა. სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ სამეგრელოს მთავარს, ლევან V დადიანს (1805-1840) წესრიგის დასამყარებლად აფხაზეთში გალაშქრება ურჩია: „თუ ახლავე არ უშველეთ, ტყვეები დაიყიდაო და კიდევ მრავალი დაიკარგებაო“. სამეგრელოს მთავარმა ლაშქარი შეკრიბა, ჭყონდიდელი და ცაიშელი მღვდელმთავრები იახლა და აფხაზეთისკენ გაემართა. სამურზაყანოში გადასული ლევან V დადიანი მანუჩარ შარვაშიძის ძმის, ლევანის მამულში, ბედიამი გაჩერდა დამის გასათევად. დამით, ლევან შარვაშიძის შვილის, ხუტუნias მიგზავნილებმა მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. სამეგრელოს მთავრის ცნობით, მოკვლას მასაც უპირებდნენ, მაგრამ დროზე შეიტყო და გადარჩა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, 1953: 136).

ლევან V დადიანი დაუყოვებლივ დაბრუნდა ზუგდიდში. მას არ შეეძლო საკუთარი ძალებით აედო კარგად გამაგრებული ბედიის ციხე, ამასთან ლევან შარვაშიძეც საკმაოდ გავლენიანი კაცი იყო სამურზაყანოში. ამიტომ მან დახმარება რუსულ ადმინისტრაციას სთხოვა. მთავარმართებლის ბრძანებით, დადიანის დასახმარებლად ორი ასეული გაიგზავნა ზარბაზნების თანხლებით, აგრეთვე იმერეთისა და გურიის სახალხო ლაშქარი. 1812 წ. დეკემბერში ლევან V დადიანი ბედიისკენ გაემართა. ჯარის მიახლოებისთანავე ხუტუნია შარვაშიძე წებელში გაიქცა. ლევან შარვაშიძე მიხვდა, რომ დადიანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ციხე ჩააბარა. სამეგრელოს მთავარმა გულმოწყალება გამოიჩინა, ლევან შარვაშიძე მოხუცებულობის გამო არ დასაჯა, „გამოსაზრდელად“ სოფ. ფახულანი მიუჩინა და იქ გაგზავნა, შემდეგ ბედიის ციხე გაამაგრა, თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და ზუგდიდში დაბრუნდა (დადიანი, 1962: 204).

ამ ფონზე მწვავედ დადგა სოხუმ-კალეს ოსმალეთისთვის გადაცემის საკითხი. ჯერ კიდევ 1812 წ. 16 მაისს დადებული ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების VI მუხლი რუსეთს საშუალებას აძლევდა თავის მფლობელობაში შეენარჩუნებინა დასავლეთ საქართველო. მართალია, იმერეთსა და აფხაზეთში რუსეთმა „იარა-

დის ძალა“ გამოიყენა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ყველა პროვინციაში რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მოსახლეობას უკვე დადებული ჰქონდა და რუსეთის ხელისუფლება ამ პროვინციების მის ქვეშევრდომობაში ნებაყოფლობით გადასვლას ამით ასაბუთებდა (**ქორთუა, 1964:** 420-421; **დუმბაძე, 1973a:** 876). განსხვავებული ვითარება იყო სოხუმ-კალეს ირგვლივ, რადგან გიორგი შარვაშიძის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისას მას თურქული გარნიზონი იცავდა და მისი დაკავება იარაღით მოხდა. იმის გამო, რომ აფხაზები ემორჩილებოდნენ მხოლოდ იმას, ვინც სოხუმს ფლობდა, თუ ოსმალეთი დაეუფლებოდა სოხუმს, აფხაზები მთავარს განუდგებოდნენ. ანუ სოხუმ-კალეს დათმობის შემთხვევაში, აფხაზების მორჩილებაში მოყვანა და აფხაზეთის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმპერატორმა დირექტივა მისცა საქართველოს მთავარმართებელს ნ. რტიშჩევს, მიუხედავად თურქების მოთხოვნისა, სოხუმი არ გადაეცა. ამ უკანასკნელმა აღასრულა ალექსანდრე I-ის მითითება და თურქებს სოხუმის გადაცემაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ აფხაზეთი პორტას უშუალო საკუთრებას არასოდეს წარმოადგენდა, სამშვიდობო ხელშეკრულებაშიც არ იხსენიებოდა (**AKAK, V, 1873:** 785-786, 504-505).

პასუხად, თურქები შეუდგნენ მზადებას დასავლეთ საქართველოს ძალით დასაუფლებლად. ამ მიზნით მათ საგანგებოდ გაამაგრეს ფოთის ციხე. 1813 წ. 29 ივნისს ფოთში ჩავიდა სერასკირი *სეიდ-სულეიმან ფაშა*, რომელმაც 2 ათასი ჯარისკაცი ჩამოიყვანა. მას რწმუნება ჰქონდა დასავლეთ საქართველო დაეპყრო. ამავე ხანებში, ჯიქეთში მყოფი ასლან-ბეი სტამბოლში ჩავიდა. როგორც ჩანს, მას დახმარებას შეპირდნენ. სტამბოლიდან ასლან-ბეი ფოთში ჩამოვიდა, შემდეგ თურქთა რაზმით ზღვით სოფ. გუდავაში გადასხდა, მერე სოფ. ტამიშიც დაიკავა. გიორგი შარვაშიძემ დახმარების თხოვნით რუსეთის ხელისუფლებას მიმართა (**დადიანი, 1962:** 205; **ქორთუა, 1964:** 446). ასლან-ბეის აფხაზების დიდი ნაწილი მიემხრო. მის მხარეზე გადავიდა რებია-ჰანუმ მარშანია ორ უმცროს შვილთან ერთად. მათ სოხუმი დატოვეს და ასლან-ბეის ბანაკში გადავიდნენ; აფხაზეთის დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილიც მიმხრეს (**დადიანი, 1962:** 205; **AKAK, V, 1873:** 798). ასლან-ბეის მხარს უჭერდნენ აფხაზეთის ოსმალოფილური და ანტირუსული ძალები. თურქები მას ჯარით, საომარი საჭურვლით და სურსათით ფოთიდან ამარაგებდნენ. 6 ივლისს სერასკირმა ფოთიდან ასლან-ბეის 17 ნავით ჯარი და სურსათი, აგრეთვე ფული გაუგზავნა, ხოლო ჯარის მეორე ნაწილი სოხუმის ასაღებად გაემართა (**AKAK, V, 1873:** 798; **ქორთუა, 1962:** 446).

ივლისის დასაწყისში არზრუმის სერასკირმა ნ. რტიშჩევს მოსთხოვა ოსმალეთისთვის გადაეცა იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი ყველა სიმაგრით. ასეთივე მოთხოვნით მას ტრაპიზონის სერასკირმა სეიდ-სულეიმან ფაშამაც მიმართა (**AKAK, V, 1873:** 790). ნ. რტიშჩევს აზრით, ეს გაუგონარი მოთხოვნა იყო, რომელიც ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების VI მუხლის პირობას არ შეესაბამებოდა და, ამდენად, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა. სეიდ-სულეიმან ფაშასა-

დმი გაგზავნილ წერილში იგი განმარტავდა, რომ რუსებმა ომის დროს იარაღის ძალით დაიკავეს ახალქალაქი და ფოთი, რომლებიც ოსმალეთს უკვე გადაეცა, ხოლო დასავლეთ საქართველოს პროვინციები – იმერეთი, გურია და სამეგრელო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ომამდე შევიდა მათი მფლობელების ნებით და ბრწყინვალე პორტაზე დამოკიდებული მანამდეც არ იყვნენ. რაც შეეხება აფხაზეთს ის რუსეთს ომის დროს კი შეუერთდა, მაგრამ იარაღის ძალით არ იყო დაპყრობილი, რუსეთის ქვეშევრდომობაში ნებაყოფლობით შევიდა (AKAK, V, 1873: 796-797). ნ. რტიშჩევმა ტრაპიზონის სერასკირი გააფრთხილა, რომ თურქთა ჯარის შესვლა აფხაზეთში ასლან-ბეის მეთაურობით და იმ ტერიტორიების იარაღით დაპყრობის მცდელობა, რომელსაც ადრე პორტას სახელით მოითხოვდა, ტრაქტატის დარღვევად მიაჩნდა, რის გამოც ამ სამფლობელოების დასაცავად სათანადო განკარგულება გასცა. იგი სერასკირს მოუწოდებდა აფხაზეთიდან ჯარები გაეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც ადექვატურ ზომებს მიიღებდა (AKAK, V, 1873: 797).

აფხაზეთიდან თურქების განდევნა მე-15 ეგერთა პოლკის მეთაურს მაიორ კუტიევს დაევალა (AKAK, V, 1873: 798, 800). ეს რაზმი, რომელსაც სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც ახლდა, ენგურზე გადავიდა და ერთდღიანი ლაშქრობის შემდეგ ილორში ჩავიდა. რუსთა და ქართველთა ჯარის მიახლოებისთანავე თურქებმა მიატოვეს ასლან-ბეი და ფოთში დაბრუნდნენ, ასლან-ბეი კი ჯიქეთში გაიქცა. გიორგი შარვაშიძემ ითხოვა, დახმარებოდნენ სამთავროს მოსახლეობის დამორჩილებაში, ამიტომ ჯარმა წინსვლა განაგრძო, აბჟუს ოლქში მძევლები აიყვანა თავადაზნაურებისაგან და მთავრის ერთგულებაზე დააფიცა, შემდეგ კოდორი გადალახა, აფხაზეთის ოლქშიც აიყვანა მძევლები და თავადაზნაურები მთავრის ერთგულებაზე დააფიცა. როდესაც ჯარი სოხუმში ჩავიდა, რებია-ჰანუმი და მისი ორი უმცროსი შვილიც მონანიებით ეახლა სარდლობას. სოხუმში მოიწვიეს ზუფუელი თავადაზნაურებიც, მძევლები ჩამოართვეს და ერთგულების ფიცი დაადებინეს.

ამრიგად, მთელი აფხაზეთი გიორგი შარვაშიძეს შემოუმტკიცეს. ლევან V დადიანის რჩევით, აფხაზეთის მთავარმა მოლაპარაკება გამართა წებელის მფლობელ მარშანიებთან, მოსთხოვა მათ შეეწყვიტათ ყაჩაღობები და არ შეეფარებინათ ყაჩაღები, თუ ამ გაფრთხილებას არ შეისმენდნენ, ყაჩაღთა ბუდეს დააქცევდა და ააოხრებდა. ამის შემდეგ ჯარი უკან გამობრუნდა და თან წამოიყვანა ის ხალხი, რომლებსაც აქ შიმშილობისა და შავი ჭირის ეპიდემიის დროს თავი შეეფარებინათ და აფხაზებს დაეტყვევებინათ (AKAK, V, 1873: 505-506; დადიანი, 1962: 205). უკან გამობრუნებულმა რუსთა და ქართველთა ლაშქარმა სამურზაყანო ლევან V დადიანის დის, მანუჩარ შარვაშიძის ქვრივის – ქეთევანის, – მორჩილებაში მოიყვანა (AKAK, V, 1873: 506). ამრიგად, აფხაზეთში დაწყებული მღელვარება ხელისუფლებამ აგვისტოში სისხლისღვრის გარეშე ჩაახშო და მოსახლეობის დიდი ნაწილიც დაიმორჩილა.

ოსმალეთი თავის პრეტენზიებს არ თმობდა. 1813 წ. ნოემბერში პორტამ კვლავ მოითხოვა დასავლეთ საქართველოს პროვინციების – იმერეთი, გურია, სა-

მეგრელო და აფხაზეთი, ასევე ციხეების – სოხუმ-კალე, ანაკლია და კემხელი, – მისთვის დაბრუნება, მაგრამ ნ. რტიშჩევმა პორტას მედიებლობას დასაბუთებული პასუხი გასცა (AKAK, IV, 1870: 805, 807). ამ ფონზე აფხაზეთში ვითარება რთული რჩებოდა. მთავარს, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდნენ მისი ძმები და აფხაზეთის ცალკეულ მხარეთა მფლობელები. გახშირდა მეზობელი კავკასიელი და აფხაზეთის მთის თემების მკვიდრთა თავდასხმები. აქ არსებული უწყესრიგობა და ანარქია მეზობელ სამეგრელოს სამთავროზეც ახდენდა გავლენას. ამიტომ, 1814 წ. 3 ოქტომბერს ლევან V დადიანმა ნ. რტიშჩევს აფხაზეთში ლაშქრობის მოწყობის ნებართვა სთხოვა. ლაშქრობის მიზანი უნდა ყოფილიყო წებელში წესრიგის დამყარება (ხეც: A-1130: 34 რ). მაგრამ ლაშქრობის მოწყობა გაჭიანურდა, მალე კი მისი საჭიროება მოიხსნა. 1815 წ. შემოდგომაზე ლევან V დადიანმა წებელთან ურთიერთობა მშვიდობიანად მოაგვარა. 29 ნოემბერს, სამურზაყანოს სოფ. ოქუმში, წებელის თემის ბატონებმა – მისოსტ, სარალუფუ და ზურუფხუ მარშანიებმა ლევან V დადიანს ერთგულების ფიცი მისცეს, შეპირდნენ კეთილმეზობლობას და აღუთქვეს, რომ სამეგრელოს მიმართ ტყვის სყიდვას და სხვა ბოროტმოქმედებას მათგან ადგილი არ ექნებოდა. ფიცში იგულისხმებოდა, რომ ისინი გიორგი შარვაშიძეს აქტიურ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, შეწყვეტდნენ თავდასხმებს აფხაზეთსა და დადიანის სამფლობელო სამურზაყანოზე.

ფიცის ტექსტში, რომელიც ქართულადაა შედგენილი, ნათქვამია: „*ქ. ჩვენ ქვემო ხელის მომწერელნი წებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შოთობმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან, და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განგვიახლეთ, და ჩვენც რწმუნებულ – ვართ ამ თქვენის ქუმპარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმიდასა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდეგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა, და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართველთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლებისაებრ ჩვენისავე მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წინააღმდეგომ ყოვლითა გზითა და არცა რაიმესა შინა თანხმა მათთანა სიტყვით ანუ საქმით, და ვიყვნეთვე კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა თქვენისა სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მასთა მცხოვრებთა და არცა შევიწყნაროთლა წინააღმდეგომი ვინმე უმაღლესის რუსეთის ტახტისა და თქვენის უგანათლებულესობისაგან გამოქცეულნი ვინმე, და არცა ჩვენგან რაიმე იქმნას ავის მოქმედება სამფლობელოსა რუსეთისა და საკუთრათ თქვენისაც უგანათლებულესობისა სამთავროსა შინა, – არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე, და რომელიც არა არიან აქა სახლისკაცნი ჩვენნი, მათსაცა ვეცდებით ესთავე მოყვანასა და*

მორჩილებასა ესრეთვე, ვითა აღვთქვით ჩვენ. და ამა ფიცისა შემდგომად ვემთხვე-
ვით ამას წმიდასა ალყურანსა დასამტკიცებელათ ფიცისა ჩვენისასა და ვაწერთ ხელ-
თა: თავადი მისოსტ შვილი უჩარდიასი მარშანია, თავადი სარალუფ შვილი თულა-
ფსისა მარშანია, თავადი ზერუფხუ ომერის ძე მარშანია“ (AKAK, V, 1873: 507-508).

მიუხედავად წებელის მფლობელთა მიერ ფიცის დადებისა, ეს მხარე აფხა-
ზეთის მთავრის ხელისუფლებისა და რუსეთის გავლენის მიღმა რჩებოდა. იმავედ-
როულად, ლევან V დადიანმა ბექირ-ბეი შარვაშიძის შვილი სოსლან-ბეი რუსეთის
მხარეზე გადმოიბირა და იმპერატორის ერთგულების ფიცი დაადებინა (ხეც, A-
1130: 79რ-82ვ). იგი აქტიურად ჩაერია სამურზაყანოს საქმეებშიც და ამ მხარეში
წესრიგის დამყარებას შეეცადა. 1815 წ. 20 ნოემბერს „სამურზაყანოს აფხაზეთისა
მთავარმა“ ლევან V დადიანმა დადგენილება გამოსცა, რომლითაც მოითხოვა სა-
მურზაყანოში ქურდობის, ავაზაკობის, ტყვის სყიდვის აკრძალვა, შავი ჭირის ეპი-
დემიისა და შიმშილობის დროს (1811-1812 წწ.) აქ გადმოსხვეწილი იმერელი და მე-
გრელი გლეხების ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, ამ მხარეში
წესრიგის შენარჩუნება, რისი შესრულებაც სამურზაყანოს თავადაზნაურებმა ფი-
ცით აღუთქვეს (ხეც, A-1130: 94რ-98ვ). ფიცს ხელს აწერდნენ *შარვაშიძეები, ანჩაბა-
ძეები, ჩქოტუები, ემუხვარები, მარღანიები* და სხვ.

რუსეთი შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე მხოლოდ სოხუმ-კალეს ფლობ-
და, სადაც 500 ჯარისკაცი იყო დისლოცირებული. სოხუმის მცირერიცხოვანი გარ-
ნიზონი ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურობას ამ მხარეში, სარდლობას კი მისი
გაზრდის საშუალება არ ჰქონდა. რუსეთის პოზიციების სისუსტეს აფხაზეთში მნიშ-
ვნელოვანწილად განაპირობებდა სუსტი მთავრის ხელისუფლება და მისი დაბა-
ლი ავტორიტეტი ხალხში. აფხაზეთის მთავარი უძლური იყო საკუთარი ძალებით
დაეცნრო შინაპოლიტიკური ბრძოლა სამთავროში. იგი მუდმივად ქვეშევრდომე-
ბის დაუმორჩილებლობაზე ჩიოდა. აქ კვლავ გრძელდებოდა ადამიანების გატაცე-
ბა, მკვლელობები, ძარცვა, მთავრისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა. 1817 წ. გი-
ორგი შარვაშიძე ლევან V დადიანთან და იმერეთის მმართველთან, გენერალ-მაი-
ორ ივანე კურნატოვსკისთან (1817-1820) ჩავიდა. იგი ითხოვდა მისთვის მიეცათ სა-
მეგრელოსა და იმერეთის ლაშქარი, რათა მათი მეშვეობით ქვეშევრდომები დაე-
მორჩილებინა. დადიანმა და იმერეთის მმართველმა უმჯობესად ჩათვალეს მშვი-
დობიანი საშუალებით ემოქმედათ და აფხაზეთის მთავარს პოლკოვნიკი ნიკო და-
დიანი გააყოლეს, რომელიც აფხაზეთში დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარ-
გებლობდა. ნიკო დადიანმა აფხაზეთის მთავართან შეარიგა და მას დაუმორჩილა
მისი ძმა ჰასან-ბეი, დედა – *რუბია-ჰანუმ მარშანია*, აბჟუს მფლობელი *ალი-ბეი
შარვაშიძე* თავისი თავადაზნაურებით, ბზიფის ოლქის აზნაურები: *თლაფს ლაქ-
რიბა, ჯამლეთ ლაკრიბა, კაც მარღანია*, რომლებმაც იმპერატორის ერთგულების
ფიცი დადეს და მძევლები მისცეს. მხოლოდ ბზიფის ოლქის თავადებმა, ძმებმა
ნარჩოუ, დარუკელ და გიორგი ინალიფებმა და აზნაურმა *ედგი ზვანბაიამ* განაც-
ხადეს უარი მთავრის მორჩილებაზე. იმავე ხანებში, ლევან V დადიანმა *ალი-ბეი*

მარვაშიძე მოანათვლინა, ალექსანდრე უწოდა და ნიკო დადიანის ასული კესარია შერთო (AKAK, VI, I, 1874: 643-644; დადიანი 1962: 209).

აფხაზეთში ღროებით სიმშვიდე ჩამოვარდა, მაგრამ მალე, 1818 წ. აპრილში, გიორგი მარვაშიძემ ი. კურნატოვსკის კვლავ აცნობა თავისი ქვეშევრდომების აშკარა დაუმორჩილებლობის თაობაზე. აფხაზეთის მთავარი ითხოვდა მისთვის მიეცათ სამეგრელოს ლაშქარი და 300-მდე იმერელი მხედარი, რომელთაც ის თავის ერთგულ ქვეშევრდომებს დაუმატებდა და სამთავროს მოსახლეობას სისხლისღვრის გარეშე მორჩილებაში მოიყვანდა; გარდა ამისა, იგი ითხოვდა აფხაზეთში რუსეთის ჯარის ნაწილების ჩაყენებას, რომელთა შიშითაც აფხაზები დაუმორჩილებლობას ვერ გაბედავდნენ. მისი აზრით, ეს ორი საშუალება არსებობდა აფხაზების მორჩილებაში მოსაყვანად. ი. კურნატოვსკი, თვლიდა, რომ გიორგი მარვაშიძე აფხაზეთის იმაზე უფრო სუსტი იყო, ვიდრე ჩანდა – მას ხალხთან მარტო გამოჩენაც არ ძალუძდა, მაგრამ ხელისუფლებამ რადგან არჩევანი მასზე შეაჩერა, ვალდებული იყო ის დაეცვა. ამიტომ უნდა დაეკმაყოფილებინათ მისი თხოვნა იმერეთისა და სამეგრელოს ლაშქრის მიცემის თაობაზე, რათა ამ მხარეში წესრიგი დაემყარებინა (AKAK, VI, I, 1874: 644).

ამავე ხანებში ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია შეეცადა მოეგვარებინა სამურზაყანოს საკითხი, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროს სახლებს შორის დაპირისპირების საგანი იყო. 1818 წ. მაისში ი. კურნატოვსკის თანდასწრებით აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის შეთანხმება დაიდო. გიორგი მარვაშიძემ სამურზაყანო დადიანის სამფლობელოდ ცნო. შეთანხმების მიხედვით, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვრად მდ. ღალიძგა განისაზღვრა (სცსსა: ფ. 1087, აღწ. 2, ს. 357, ფურც. 14). ამრიგად, აფხაზეთის მთავარმა სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში აღიარა, რითაც ბოლო უნდა მოღებოდა მარვაშიძეთა სამთავრო სახლის პრეტენზიას ამ მხარეზე.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია გიორგი მარვაშიძის თხოვნის დაკმაყოფილება აფხაზეთში წესრიგის დასამყარებლად ჯარის გაგზავნის შესახებ, მაგრამ მუდამ მშფოთვარე მხარეში რუსეთის ჯარის ნაწილების გაგზავნა და მათი საფრთხეში ჩაგდება არ სურდა, ხოლო სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის გაგზავნის წინააღმდეგი არ იყო (AKAK, VI, I, 1874: 645). ლევან V დადიანის აზრით, აფხაზეთში ლაშქრობის მოწყობა შემოდგომაზე სჯობდა. იგი თვლიდა, რომ სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის აფხაზეთში გამოჩენის შემთხვევაში, აფხაზები წინააღმდეგობას არ გასწევდნენ და მორჩილებას გამოაცხადებდნენ, მაგრამ გაზაფხულზე, მდინარეების ადიდების გამო მათი გადალახვა გაძნელებოდა, აფხაზები კი, ჩვეულებრივ, ტყეს შეაფარებდნენ თავს. მისი აზრით, ლაშქრობის მოწყობა სასურველი იქნებოდა ოქტომბერში, როდესაც აფხაზები ღომს მოიწევდნენ და ღვინოს დააყენებდნენ. მაშინ მათ გაუჭირდებოდათ თავიანთი საცხოვრებლების დატოვება; ამასთან, მთებისთვის თავის შეფარება შეუძლებელი იქნებოდა თოვლის გამო, და აფხაზები იძულებული გახდებოდნენ მორჩი-

ლება გამოეცხადებინათ. რუსეთის სარდლობამ გაითვალისწინა სამეგრელოს მთავრის რჩევა და აფხაზეთში ლაშქრობა ოქტომბრისთვის გადადო. მაგრამ ლაშქრობის საჭიროება არ დადგა. შემოდგომისთვის აფხაზეთის მთავარმა ურჩ ქვეშევრდომებთან საქმე მშვიდობიანად მოაგვარა, ერთგულების ფიცი დაადებინა და მძევლები ჩამოართვა (AKAK, IV, 1870: 645-646).

1819 წ. ივლისში იმერეთში აჯანყება დაიწყო. ი. კურნატოვსკი საქართველოს კორპუსის შტაბის უფროსს, გენერალ ალექსეი ველიამინოვს მაშინ წერდა: „აჯანყების სული საყოველთაოა და აშკარად ჩვენს მხარეზე არავინაა, გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ, ხოლო აფხაზი გლეხები იმდენად თანაუგრძნობენ იმერეთის აჯანყებას, რომ იმერლებს ისლა დარჩენიანთ, მხოლოდ მოიწვიონ აფხაზები... აქ ისეთი ხმებიც არის, თითქოს მთავრები ჩვენს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისთვის იწვევენ: სამეგრელოსი – სვანებს და აფხაზებს, ხოლო გურიელი – აჭარლებს“ (AKAK, VI, I, 1874: 537, ხაზგასმა ჩვენია– ბ.ს.). აჯანყებამ გურიაც მოიცვა და სამეგრელოშიც ჰპოვა გამოძახილი. ფრანგი კომერსანტის ჰოლ გიბალის ცნობით, რომელიც აფხაზეთში ამ ხანებში იმყოფებოდა, სოხუმსა და მის მიდამოებში დაახლოებით 8 სახალხო კრება – „სეიმი“ შედგა, სადაც იმერეთისა და სამეგრელოს მღელვარების საკითხი განიხილებოდა. სეიმის მიზანი იყო განესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა აჯანყებულებთან შეერთება. აღსანიშნავია, რომ „სეიმის მონაწილეთა დიდი ნაწილი ბრძოლის მომხრე იყო“ (Дзидзария, Качарава, 1981: 21).

1819 წ. აგვისტოში სოხუმში იმყოფებოდა ქართველი მწერალი და მოგზაური გიორგი ავალიშვილი. მისი დაკვირვებით, „არა ცხრებიან აქაურნი მცხოვრებნი, ესე იგი აფხაზნი, ავაზაკებრითა ქცევითა თვისითა“ რუსეთის ხელისუფლების სავნებად (ავალიშვილი, 1967: 29-30).¹ ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა აფხაზეთის მთავარს და მის ურჩ ძმებს, რომ მეამბოხეებისათვის, რომლებიც სამეგრელოდან აფხაზეთში გარბოდნენ, თავშესაფარი არ მიეცათ (AKAK, VI, I, 1874: 630). მიუხედავად ამისა, სამეგრელოში აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, მთავრის ძმამ გიორგი დადიანმა 1820 წ. ივნისში აფხაზეთს შეაფარა თავი. ლევან V დადიანმა მისი გაცემა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, რომ „ძლევაძმოსილ რუსეთის ჯარებთან ერთად მთელ აფხაზეთს გადააბრუნებდა“. როგორც ჩანს, გიორგი დადიანმა აფხაზეთში თავი უსაფრთხოდ ვერ იგრძნო და ჯერ ფოთში, შემდეგ კი სვანეთში გაიქცა, სადაც სამეგრელოს მთავრის ბრძანებით შეიპყრეს და რუსეთის

¹ გიორგი ავალიშვილის დახასიათებით, გიორგი შარვაშიძე საშუალო ასაკის იყო, ხმელი, „ფერხდვლარჭნილი და ჩანსაცა უფლად კმად მცირეისა გონებისა“. გ. ავალიშვილი შეეცადა გამოერკვია რამდენი ენა იცოდა მთავარმა და გაარკვია, რომ რუსული არ იცოდა. მთავრის მხლებელმა უთხრა, რომ „არ უწყის მან სხუა ენა, გარდა აფხაზურისა, თუმცა ესმის კუალად მცირედ რაოდენმე ქართულიცა“. როდესაც გ. ავალიშვილი მთავარს ქართულად შეეკითხა, მხლებელმა უპასუხა, რომ „არ ძალუძს ლაპარაკი არა რომელსამე ენასა ზედა, ვითარ ოდენ აფხაზურისა“ (ავალიშვილი, 1967: 29-30).

ხელისუფლებას გადასცეს (**Утверждение, 1902:** 525, 535-537; **ხორავა, 2001:** 62). 1820 წ. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილებმა იმერეთის აჯანყება მთელი სისასტიკით ჩაახშვეს. აფხაზებს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა მას თანაუგრძნობდნენ.

1821 წ. 7 თებერვალს აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე ლიხნში გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მთავარი რეალურად აფასებდა ქვეყანაში არსებულ ძალთა თანაფარდობას და სიკვდილის წინ უმცროს ძმას, ჰასან-ბეის, მეუღლესა და შვილებზე მზრუნველობა სთხოვა და რუსეთის ხელისუფლების მორჩილება ურჩია (**ხეც:** ე. ვეიდენბაუმის ფონდი, №1717). მეორე დღეს, 8 თებერვალს, თამარ შარვაშიძემ წერილით აუწყა სოხუმის ციხის კომენდანტს, მაიორ პ. მოგილიანსკის, გიორგი შარვაშიძის გარდაცვალება და სთხოვა მთავარმართებლისთვის ეუწყებინა. ამასთანავე, ის ითხოვდა გამოეგზავნათ უფროსი შვილი დიმიტრი, რომელიც პეტერბურგში პაჟთა კორპუსში იზრდებოდა და მისთვის ქვეყნის მართვა ჩაებარებინათ (**ხეც,** ე.ვეიდენბაუმის ფონდი, №1716).

14 მარტს თამარ შარვაშიძემ წერილით უშუალოდ ა. ველიამინოვს მიმართა და სთხოვა ტახტის მემკვიდრე დიმიტრი აფხაზეთში გამოეგზავნათ. დედოფალი წერდა, რომ მან ამ ქვეყნის „არც ქვევა და არც უნა“ არ იცოდა, მაგრამ ქვეყანას კარგად მოუვლიდა (**ხეც,** ე. ვეიდენბაუმის ფონდი, №1718). 1 აპრილს ა. ველიამინოვმა თამარ შარვაშიძეს დამამშვიდებელი წერილი გაუგზავნა. იგი წერდა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლს იმპერატორის მფარველობა არ მოაკლდებოდა, რუსეთის ჯარის ნაწილები მუდამ მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ მისი სახლისათვის და აფხაზეთში მას ვერავინ შეავიწროვებდა. 1821 წ. ივნისის ბოლოს ოსმალეთიდან ჯიქეთში ჩავიდა ასლან-ბეი. მან თამარ შარვაშიძეს დეპუტაცია გაუგზავნა და მძევლები და აფხაზეთში თავისუფლად შეშვება მოსთხოვა. დედოფალმა ასლან-ბეის პარლამენტორები სოხუმის ციხის კომენდანტის მაიორ მიხინის თანდასწრებით სოხუმის ციხეში მიიღო, მოისმინა მათი წინადადება და განუცხადა, რომ მამის მკვლელს აფხაზეთში არასდროს შეუშვებდა. დედოფლის ამაღლაში მყოფი ბზიფელი თავად-აზნაურებიც მას დაეთანხმნენ. შემდეგ უკვე, მიხინთან საუბარში დედოფალმა აღნიშნა, რომ დარწმუნებული არ იყო თავის ქვეშევრდომთა ერთგულებაში, ამიტომ სთხოვა, მისი სასახლის დასაცავად ლიხნში მცირე რაზმი გაეგზავნა (**Утверждение, 1904:** 558-589).

ამასობაში, პეტერბურგში ა. ერმოლოვი აქტიურად მხარს უჭერდა დიმიტრი შარვაშიძის აფხაზეთში საჩქაროდ გაგზავნას, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მთავრის არყოფნაში მთავრობის მიერ შერისხული გარდაცვლილი მთავრის ძმის – ჰასან-ბეი შარვაშიძის მომხრეები უწესრიგობებს მოაწყობდნენ. მას საჭიროდ მიაჩნდა, დიმიტრისათვის პოლკოვნიკის ჩინი ებოძებინათ და თბილისში გაეგზავნათ. ამასთან, ა. ერმოლოვი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ „აფხაზეთის ველური და მხეცური ხალხი სრულიად დაემორჩილებოდა ახალ მთავარს“ (**АКАК, VI, I, 1874:** 655), თუმცა იმედს მაინც არ კარგავდა. აგვისტოში დიმიტრი შარვაშიძე პაჟთა კორ-

პუსიდან გამოიყვანეს, იმპერატორის ბრძანებით მას პოლკოვნიკის ჩინი ებოდა და აფხაზეთის მთავრად დაინიშნა (**დადიანი, 1962:** 209; **АКАК, VI, I, 1874:** 656), რის შემდეგ დიმიტრი შარვაშიძე თბილისში გამოემგზავრა.

სწორედ ამ დროს ასლან-ბეი 600 კაციანი რაზმით ჯიქეთიდან აფხაზეთში შეიჭრა. 11 სექტემბერს აჯანყებულთა მხედრობა გაშლილი დროშებით მიადგა სოხუმის ციხეს, მაგრამ გარნიზონმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნა და უკუაგდო. ასლან-ბეიმ ალყა შემოარტყა სოხუმს და თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავა. სექტემბრის შუა რიცხვებში ის სამეგრელოს სამთავროს საზღვართან, მდ. ტალიძგაზე გამოჩნდა. ლევან V დადიანმა მას შეუთვალა, რომ ნებას არ მისცემდა მის სამფლობელოში შეჭრილიყო და ქვრივსა და ობლებს, ე.ი. აფხაზეთის დედოფალს და მის შვილებს დაიცავდა (**დადიანი, 1962:** 209; **АКАК, VI, I, 1874:** 659; **АКАК, VI, II, 1875:** 746; **Утверждение, 1904:** 560; **Дубровин, 1888:** 464-466). იმავდროულად, სამეგრელოს მთავარმა პ. გორჩაკოვს აცნობა, რომ ლაშქარს აგროვებდა, რათა თავისი სამფლობელო დაეცვა და გიორგი შარვაშიძის ქვრივ-ობლებს დახმარებოდა. იმერეთის მმართველმა ჩათვალა, რომ ლევან V დადიანს სურდა აფხაზეთა მღელვარებით ესარგებლა და აფხაზეთის ის მიწა-წყალი შეეერთებინა, რომელიც ოდესღაც სამეგრელოს ეკუთვნოდა. ამიტომ სამეგრელოს მთავარს დაჟინებით მოსთხოვა აფხაზეთში ლაშქრობის განზრახვაზე ხელი აეღო და მთავრის ქვრივ-ობლებზე ზრუნვა ხელისუფლებისთვის მიენდო (**Дубровин, 1888:** 460; **Утверждение, 1904:** 560). ამკარაა, რომ, ხელისუფლება აფხაზეთში სამეგრელოს მთავრის აქტიურობით დაინტერესებული არ იყო და მისგან მხოლოდ მეამბოხეთა სამურზაყანოში შესვლის აღკვეთას მოითხოვდა (**ქირია, სარია, 1967:** 38-39).

ასლან-ბეიმ გამოაცხადა, რომ მას ხელთ ჰქონდა სულტნის ფირმანი, რომლის ძალითაც ის აფხაზეთის მთავრად იყო დანიშნული და რუსეთიც სოხუმს მას უთმობდა. ყოველივე ამან აფხაზეთზე დიდი გავლენა მოახდინა და ბევრი თავადი მის მხარეზე გადავიდა. ასლან-ბეის შეუერთდნენ მისი უმცროსი ძმები – *ბათალ-ბეი, თაიარ-ბეი* და *როსტომ-ბეი*, აგრეთვე ჰასან-ბეის სიმამრი *ნარჩოუ ინალიშვილი*, მისი ძმა *გიორგი ინალიშვილი*, აბჟუის მფლობელი *ალი-ბეი შარვაშიძე*, რამაც მისი ძალები კიდევ უფრო გაზარდა. ასლან-ბეის მიემხრო აფხაზეთა დიდი ნაწილი, რომლებმაც ცნეს მისი ხელისუფლება და მძევლებიც მისცეს. მის დასაყრდენს შეადგენდნენ სოფ. კელასურისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი – ჰასან-ბეის ქვეშევრდომები, აგრეთვე ბიჭვინთისა და მისი შემოგარენის მცხოვრებნი და წებულელები. ბზიფის ოლქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, მათ შორის, ლიხნელები, დიდხანს ინარჩუნებდნენ თამარ შარვაშიძის ერთგულებას და აჯანყებულებს იარაღითაც უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ შემდეგ ისინიც ასლან-ბეის მხარეზე გადავიდნენ (**АКАК, VI, I, 1874:** 659; **Дубровин, 1888:** 464).

ამრიგად, 1821 წ. ოქტომბრისთვის ასლან-ბეის მთელი აფხაზეთი ემორჩილებოდა. ნიკო დადიანის ცნობით, „ასლან-ბეე შარვაშიძე... მოვიდა აფხაზეთად, და ვინათგან არღარავინ იყო მეძკვიდრე, თვინიერ მცირეწლოვანთა ზედა საფარ-ბეგი-

სათა, ამისთვის მიმართა ყოველმან აფხაზეთმან და მოვიდნენ ასლან-ბეგისა და მისცეს ყოველთა ერთგულების პირი“ (დადიანი, 1962: 209). კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აფხაზეთში ექსპედიციის მოსაწყობად მზადებას შეუდგა. სექტემბრის ბოლოს დიმიტრი შარვაშიძე თბილისში ჩამოვიდა. აფხაზეთა აჯანყების ჩახშობა და სამთავრო ტახტზე მისი აყვანა პ. გორჩაკოვს დაევალა. ექსპედიციაში სამეგრელოს სამთავროს ლაშქარსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. ა. ველიამინოვმა დიმიტრი შარვაშიძეს დაწვრილებითი ინსტრუქცია მისცა. აფხაზეთში ჩასვლისთანავე მას უნდა მოეხმო სამთავრო სახლის ერთგული თავადები და მათი მეშვეობით გაეწვრცელებინა პროკლამაცია, რომელიც ახალგაზრდა მთავრის სახელით იყო შედგენილი და აფხაზეთის მოსახლეობას აუწყებდა, რომ ის დანიშნული იყო აფხაზეთის მთავრად, მოსახლეობას მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, ხოლო თავადებისაგან ერთგულების ნიშნად მძევლებს მოითხოვდა (დადიანი, 1962: 209; АКАК, VI, I, 1874: 658-659).

ამასობაში, პ. გორჩაკოვმა რედუტ-კალეში თავი მოუყარა აფხაზეთის ექსპედიციას, რომელიც შედგებოდა სამეგრელოს ქვეითთა და 44-ე ეგერთა პოლკების ორი ბატალიონისაგან 600 მეომრით, კაზაკთა რაზმისა და სამეგრელოს სამთავროს ცხენოსანი მილიციისაგან. 21 ოქტომბერს დიმიტრი შარვაშიძე ქუთაისში გაემგზავრა, იქიდან კი პ. გორჩაკოვისა და სამეგრელოს სამთავროს ცხენოსანი მილიციის თანხლებით აფხაზეთისკენ გაემართა. ლევან V დადიანმა პ. გორჩაკოვი სამეგრელოს სამთავროს საზღვრამდე, მდ. ღალიძგამდე გააცილა, იქიდან კი სამეგრელოს ლაშქარს პოლკოვნიკი ნიკო დადიანი წარუძღვა (დადიანი, 1962: 209; АКАК, VI, I, 1874: 659; Дубровин, 1888: 465; Утверждение, 1904: 565-566).

ასლან-ბეი 3 ათასკაციანი აფხაზეთა და ჯიქთა რაზმით კოდორის კონცხსა და სოფ. კელასურს შორის იყო გამაგრებული (დადიანი, 1962: 209-210), თვითონ კი აფხაზეთა ლაშქრით მოქვე იდგა. ნიკო დადიანმა გადმოიბირა ასლან-ბეის ბანაკში მყოფი სიძე ალი-ბეი შარვაშიძე და ცოლისძმა საღარუფუ მარშანი, და ისინი თავის ბანაკში გადმოიყვანა. მათი გადაბირების შემდეგ, ასლან-ბეი მოქვიდან გაიქცა (დადიანი, 1962: 210; Дубровин, 1888: 468; Утверждение, 1904: 566). 14 ნოემბერს სამეგრელოს მხედრობა, რომელიც ავანგარდში იყო, მდ. კოდორიდან 4 ვერსზე მოწინააღმდეგის ძლიერ საფარს წაწყდა და მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. მას მიემკვლა ეგერთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ივანე აფხაზი, რომელმაც მოწინააღმდეგის ხერგილები ბრძოლით დაიკავა. ასლან-ბეის მომხრეები უშედეგოდ ცდილობდნენ შეტევის შეჩერებას. ნ. დადიანის ცნობით, დიდი ბრძოლა მოხდა ამიღვარასთან ახლოს, რომელიც 16 საათს გაგრძელდა. რუსთა და ქართველთა ლაშქარმა ასლან-ბეის საფრები აიღო და მისი რაზმი გააქცია, თუმცა თავადაც საკმაო ზარალი ნახა. პ. გორჩაკოვის რაზმი იმ დამით მდ. მაჭარის პირას დაბანაკდა, ხოლო დილით ისევ გააგრძელა შეტევა.

პ. გორჩაკოვის რაზმი თუბუნში ჩავიდა და დაბა, ახლო-მახლო სოფლები, ჰასან-ბეი შარვაშიძის სასახლე სოფ. კელასურში, გადაწვა და ააოხრა, აქედან კი ყო-

ველგვარი წინააღმდეგობის გარეშე სოხუმში ჩავიდა (**დადიანი, 1962: 210-211.**). პ. გორჩაკოვის დამსჯელი ექსპედიციის სოხუმში ჩასვლის შემდეგ აჯანყება თანდათან ჩაცხრა. ასლან-ბეი ჯიქეთში გაიქცა. რუსთა და ქართველთა ლაშქარი სოხუმის ციხეში რამდენიმე დღე დარჩა, მცირედ დაისვენა და ლიხნისაკენ გაემართა. ლიხნში მოვიდნენ ბზიფის აფხაზეთის თავადები და მორჩილების პირობა დადეს. რადგან ნარჩოუ და გიორგი ინალიშვილები მათ შორის არ იყვნენ, პ. გორჩაკოვმა საინალიშვილოს ასაოხრებლად და მათ მორჩილებაში მოსაყვანად დამსჯელი რაზმი გაგზავნა ნიკო დადიანისა და ივანე აფხაზის მეთაურობით. გიორგი ინალიშვილმა დამსჯელი რაზმის მეთაურებს მორჩილება გამოუცხადა და ეპატია დანაშაული, ხოლო ნარჩოუ ინალიშვილი მიიმალა. ნიკო დადიანი და ივანე აფხაზი ამ უკანასკნელის სახლში დაბანაკდნენ მდ. *კაპოეტის წყლის* (ბზიფი) პირას. დამსჯელმა ექსპედიციამ *ნარჩოუ ინალიშვილის* სახლი და ახლო-მანლო სოფლები გადაწვა და აფხაზეთთან მცირე შეტაკების შემდეგ ლიხნში დაბრუნდა (**დადიანი, 1962: 211; Дубровин, 1888: 469; Утверждение, 1904: 566**).

30 ნოემბერს ლიხნში აფხაზ თავად-აზნაურთა და რუსეთის ჯარის ნაწილების თანდასწრებით პ. გორჩაკოვმა დიმიტრი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად საზეიმოდ გამოაცხადა. მას გადაეცა დროშა და ხმალი, როგორც უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო და აფხაზმა თავად-აზნაურებმა მისი ერთგულების ფიცი დადეს. პ. გორჩაკოვმა მთავრის დასაცავად ლიხნში *სამეგრელოს ეგერთა პოლკის* ორი ასეული დატოვა. ამის შემდეგ მან თავისი ფუნქცია აფხაზეთში ამოწურულად ჩათვალია, რუსთა და ქართველთა ლაშქრით სოხუმში დაბრუნდა, იქიდან კი, რეგულარული ჯარის ნაწილებით ზღვით რედუტ-კალეში ჩავიდა, ხოლო ნ. დადიანი სახალხო ლაშქრით სახმელეთო გზით სამეგრელოში დაბრუნდა (**დადიანი, 1962: 211; Дубровин, 1888: 469-470; Утверждение, 1904: 566**).

დიმიტრი შარვაშიძემ (1821-1822) ვერ შეძლო მტკიცე ხელით აეღო სამთავროს მართვა. მისი ხელისუფლება სუსტი იყო და მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. როგორც საფრანგეთის კონსული თბილისში *ჟაკ-ფრანსუა გამბა* აღნიშნავდა, პეტერბურგიდან, ალექსანდრე I-ის სასახლიდან „*მამისეულ ხის უბრალო სახლში გადმოსახლებული მთავარი, რომელიც არც თავის ხალხს იცნობდა და არც მათი ენა იცოდა, ორი წლის განმავლობაში უფრო ტყვეს ჰგავდა, ვიდრე სუვერენს*“, ქვეყანას ფაქტობრივად დედამისი განაგებდა (**გამბა, 1987: 86**).

1821 წ. მიწურულს ცნობილი გახდა, რომ ასლან-ბეი ანაპის ფაშას დახმარებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებში ლაშქარს აგროვებდა და რუსეთის მიერ დანიშნული მთავრის განსაღვენად აფხაზეთში შეჭრას აპირებდა. დიმიტრი შარვაშიძემ ჯიქების თავადებს, რომლებიც ადრე აფხაზეთის მთავარს ემორჩილებოდნენ, მოსთხოვა ასლან-ბეი თავიანთ სამფლობელოზე არ გაეტარებინათ. ჯიქეთის თავადებმა უარი თქვეს ამ მოთხოვნის შესრულებაზე და განაცხადეს, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის მემკვიდრედ დიმიტრის არ ცნობდნენ. ისინი მისგან აფხაზეთიდან და სოხუმიდან რუსების განდევნას მოითხოვ-

დნენ (АКАК, VI, II, 1875: 437, 438; Дубровин, 1888: 471). ასლან-ბეის მოსალოდნელი შემოსევით შეშინებული მთავარი ლიხნიდან სოხუმის ციხეში გადავიდა. 1822 წ. იანვარში ასლან-ბეი ჯიქებისა და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელთა ლაშქრით აფხაზეთში შეიჭრა და ლიხნის გარნიზონზე მიიტანა იერიში, მაგრამ რუსებმა დაამარცხეს, ალაფი დააყრევინეს და უკუაგდეს (დადიანი, 1962: 211). ლიხნისათვის ბრძოლაში (31 იანვარი – 3 თებერვალი) დამარცხებული ასლან-ბეი ჯიქეთში გაიქცა, შემდეგ კი ოსმალეთში წავიდა და ტრაპიზონში დამკვიდრდა, თუმცა ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის იმთავითვე აშკარა იყო, რომ აფხაზთა მღელვარებების მიზეზი ასლან-ბეი პორტას მხარდაჭერით სარგებლობდა და მას გარეშე ძალები აქეზებდნენ (АКАК, VI, II, 1875: 437, 438).

აფხაზეთი მცირე ხნით სიმშვიდემ მოიცვა, თუმცა ფარული დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. დიმიტრი შარვაშიძე შეეცადა ეს პერიოდი ხელისუფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა და ოპოზიციურ ძალებთან მოლაპარაკებებს შეუდგა. ლიხნში დაბრუნებულ დიმიტრი შარვაშიძეს ციების ნიშნები აღმოაჩნდა. მალე სენი გაუძლიერდა და ლოგინად ჩააგდო. რუსი ოფიცრები მას მზრუნველობით ეპყრობოდნენ. 15 ოქტომბერს მთავარი თავიანთ სიმაგრეში გადაიყვანეს, სოხუმიდან ექიმი ჩამოიყვანეს, მაგრამ მალარიის წინააღმდეგ ყველაფერი უძღური აღმოჩნდა. 1822 წ. 16 ოქტომბერს დიმიტრი შარვაშიძე, რომელიც მაშინ მხოლოდ 20 წლის იყო, გარდაიცვალა (დადიანი, 1962: 211; Дубровин, 1888: 471; Утверждение, 1904: 568-569).

რადგან დიმიტრი შარვაშიძეს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, აფხაზეთის სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი მომდევნო ძმა, 13 წლის მიხეილი იყო. რუსეთის ხელისუფლება სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული აფხაზეთის სამთავრო ტახტზე გიორგი შარვაშიძის სახლის განმტკიცებით. ამასთან, ხელისუფლება ცდილობდა რამდენადაც შესაძლებელი იყო, თამარ შარვაშიძე გაემხნეებინა. ნოემბრის ბოლოს თამარ შარვაშიძემ ა. ერმოლოვთან გაგზავნა თუმურყვა ანჩაბაძე და თლაფს მარღანია წერილით, რომელშიც მთელი აფხაზი ხალხის სახელით მიხეილის მთავრად დამტკიცებას ითხოვდა (АКАК, VI, I, 1874: 661; Утверждение 1904: 569).

1823 წ. 14 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად დაამტკიცა. მას ებოძა მაიორის ჩინი და ჯამაგირი დაენიშნა (დადიანი, 1962: 212; АКАК, VI, I, 1874: 662-664; Дубровин, 1888: 471). ა. ერმოლოვმა მიხეილ შარვაშიძე თბილისში დაიბარა და გააცნო იმპერატორის ბრძანება მისი მთავრად დამტკიცების შესახებ. მთავარმართველმა დაარიგა ის ყოფილიყო სამართლიანი, გამოეჩინა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, ხალხთან დამოკიდებულებაში ყოფილიყო მშვიდი და თბილი, რაც მას ხალხის სიყვარულს მოუტანდა, ამასთანავე მისი ბედნიერი მმართველობის გარანტი იქნებოდა, და აფხაზეთში გაისტუმრა (АКАК, VI, I, 1874: 664; Утверждение, 1904: 570). პ. გორჩაკოვმა მიხეილ

შარვაშიძე ლიხნში ჩაიყვანა, სადაც აფხაზი თავად-აზნაურობისა და ჯარის ნაწილის წინაშე წაიკითხა იმპერატორის ბრძანება მისი მთავრად დამტკიცების თაობაზე, რის შემდეგაც მიხეილ შარვაშიძემ იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო. პ. გორჩაკოვმა მის დასაცავად ლიხნში სამეგრელოს ეგერთა პოლკის ორი ასეული დატოვა 2 მსუბუქი ქვემეხით და ქუთაისში დაბრუნდა (**ხორავა, 2007b: 233**).

მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლებაც სუსტი იყო. ძნელი იყო ახალგაზრდა, გამოუცდელ მთავარს იმ შეთქმულებებთან და ინტრიგებთან ებრძოლა, რომლის ძაფები თავს იყრინდა მისი ძლიერი და მოხერხებული ბიძის ასლან-ბეის ხელში. მიხეილის მცირეწლოვნობის გამო სამთავროს ფაქტობრივად დედამისი – თამარ შარვაშიძე მართავდა. ა. ერმოლოვი დედოფალ თამარს ურჩევდა მიხეილი სათანადოდ დაემოძღვრა, თავად მთავარს კი დაავალა მუდმივად ჰქონოდა კავშირი პ. გორჩაკოვთან, რომელსაც მისი მოთხოვნები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებდნენ და „სამთავროს მართვისა და რუსეთის იმპერატორის ინტერესებს წაადგებოდნენ“, უნდა დაეკმაყოფილებინა (**АКАК, VI, I, 1874: 662. Утверждение, 1904: 570**).

1823 წ. მარტში აფხაზმა და წებელელმა თავადაზნაურებმა, რომლებიც მანამდე რუსეთის ხელისუფლებას და აფხაზეთის მთავარს არ ემორჩილებოდნენ, მათ შორის როსტომ-ბეიმ, თამარ შარვაშიძეს იმპერატორის ერთგულებისა და ქვეშევრდომობის და აფხაზეთის მთავრისადმი მორჩილების ფიცი მისცეს. იმავდროულად, პ. გორჩაკოვს ეთხოვა პატიება გამოეცხადებინა როსტომ-ბეისთვის და ლევან V დადიანის დაზე, ქეთევანზე, მანუჩარ შარვაშიძის ქვრივზე, ქორწინების ნება დაერთო. კავკასიის რუსული ადმინისტრაციამ სამეგრელოს მთავრის პატივისცემით მიუტევა მას და ქორწინების ნებაც დართო. 1823 წ. ლევან V დადიანმა როსტომ-ბეი მოანათვლინა და ქეთევანი შერთო (**დადიანი, 1962: 212; АКАК, VI, I, 1874: 662-663**). ამ ნაბიჯით, სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ერთ-ერთი გავლენიანი აფხაზი თავადი შემორიგებულ იქნა.

თამარ შარვაშიძე კარგად ხედავდა, რომ მიხეილის ხელისუფლება მყარი არ იყო, ამიტომ ა. ერმოლოვს ლიხნის გარნიზონის გაძლიერება სთხოვა. კავკასიის სარდლობას საამისო ძალები არ გააჩნდა, ამიტომ მთავარსარდალმა დედოფალს თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. თამარ შარვაშიძე დროდადრო შეახსენებდა რუსულ მმართველობას იმ საფრთხის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, სამთავრო სახლს ემუქრებოდა. როგორც ჩანს, ამ მიზნით, დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ მან ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციას ყოფილი მთავრის მოწამვლის თაობაზე აცნობა. დედოფალი სოხუმის ციხის კომენდანტს, პოდპოლკოვნიკ მიხინს, წერილებში და პირად საუბარში არწმუნებდა, რომ დიმიტრი შარვაშიძე მისმა მოსამსახურემ ურუს ლაკვარმა მოწამლა. ურუს ლაკვარი დააპატიმრეს, მაგრამ იგი ბრალდებას უარყოფდა. მიხეილ შარვაშიძის განცხადებით, ურუს ლაკვარი მისი და უმცროსი ძმის – კონსტანტინეს მოწამვლასაც ცდილა. აფხაზი თავადაზნაურები ადასტურებდნენ, რომ ურუს ლაკვარს ნამდვილად ჰქონდა კავშირი ასლან-ბეისთან. სხვა მოწმობა მის დასადასამაჟულებლად არ არსებობ-

და. ლიხნის გარნიზონის რუსი ოფიცრები ამტკიცებდნენ, რომ დიმიტრი შარვაშიძე გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე გახდა ცუდად; ექიმი *ვორონცოვიც* ადასტურებდა, რომ მთავარი ციებით გარდაიცვალა. ამის მიუხედავად, პ. გორჩაკოვმა მიხეილ შარვაშიძისა და დედოფალ თამარის პრესტიჟის ამაღლების მიზნით ჩათვალა, რომ მათი მოწმობა სავსებით სანდო ჩანდა, ურუს ლაკვარი დამნაშავედ ცნო და ა. ერმოლოვს მისი ჩამოხრჩობის ნებართვა სთხოვა, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. 1823 წ. შემოდგომაზე დიმიტრი შარვაშიძის მოწამვლაში ბრალდებული ურუს ლაკვარი ლიხნში, მთავრის სასახლისწინა მოედანზე ჩამოახრჩვეს (**АКАК, VI, I, 1874: 663-665; Утверждение, 1904: 571**).

აფხაზეთში პოლიტიკური ხელისუფლების სისუსტით დასავლეთ კავკასიის მთიელები სარგებლობდნენ. ჯიქები და უბიხები ყოველწლიურად მთებით ან შავი ზღვის სანაპირო ზოლით გადმოდიოდნენ მდ. ბზიფზე და ქვეყანაში იჭრებოდნენ. ისინი ძარცვავდნენ სოფლებს, მიერეკებოდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა მარბიელი ლაშქრობები ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდებოდა, ქვეყანას დიდ ზიანს აყენებდა. 1823 წლის ზაფხულში უბიხების ათასკაციანი რაზმი *საჰათური ადაგვას ძე ბარზეგის* მეთაურობით მთის ბილიკებით აფხაზეთში გადმოვიდა, მაგრამ მწყემსებმა შენიშნეს და ხალხს შეატყობინეს. აფხაზებმა უბიხებს უკანდასახევი გზები მოუჭრეს და მთლიანად ამოწყვიტეს. მათი წინამძღოლიც შეტაკებისას დაიღუპა. ამის შემდეგ, უბიხები მხოლოდ ზამთარში ესხმოდნენ თავს აფხაზეთს (**Званба, 1982: 15-16**). დასავლეთ კავკასიის მთიელთა თავდასხმებმა მიხეილ შარვაშიძე აიძულა რუსეთის სარდლობისათვის აფხაზეთის ბუნებრივი ჭიშკრის – გაგრის დაკავება ეთხოვა (**დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 93**). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სარდლობას კარგად ესმოდა გაგრის სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი დაკავების ძალა არ შესწევდა. ჯერ საჭირო იყო ბზიფის აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრება (**დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 93**).

მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების განმტკიცებას, მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლება სუსტი იყო. სამთავროს სხვადასხვა მხარე მღელვარებამ მოიცვა. მოსახლეობაში ანტირუსული მოძრაობის ზრდას საფუძველს აძლევდა თვით მთავრობის პოლიტიკა. რუსი მოხელეები აფხაზებს მხეცებს და მოურჯულებლებს უწოდებდნენ და ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში მზად იყვნენ მათ მხეცურად გასწორებოდნენ. მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა 1824 წ. გაზაფხულზე. ასეთ ვითარებაში, წებელელმა *ხინკურას მარშანიაშ როსტომ-ბეი შარვაშიძე* მოკლა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. აფხაზების დამინების მიზნით რუსულმა ადმინისტრაციამ ზოგიერთ სოფელში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადაწყვიტა. 1824 წ. 22 მაისს სოხუმის ციხის გარნიზონის რაზმი, 225 მეომარი პოდპოლკოვნიკ მიხინის მეთაურობით, თავს დაესხა სოფ. აკაფას, სადაც მისი ინფორმაციით მუამბოხეები აფარებდნენ თავს. რუსთა რაზმმა დაარბია და გადაწვა სოფელი, შეიპყრო ხინკურას მარშანია და უკან გამობრუნდა. უკან დაბ-

რუნებულ რაზმს თავს დაესხნენ აფხაზები. შეტაკებისას მიხინი და 42 ჯარისკაცი დაიღუპა (**აიხვალდი, 2005:217; АКАК, VI, I, 1874: 668; Дубровин, 1888: 512; Утверждение, 1904: 572**). ეს შემთხვევა აფხაზთა ანტირუსული საერთო-სახალხო აჯანყების ნიშანი გახდა.

ამით ისარგებლა ასლან-ბეი შარვაშიძემ, ოსმალეთიდან ჯიქეთში სასწრაფოდ ჩამოვიდა, ლაშქარი შეკრიბა და აფხაზეთში შეიჭრა. მან თამარ შარვაშიძის მმართველობით უკმაყოფილო აფხაზებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. აჯანყებულები თავს ესხმოდნენ რუსული ორიენტაციის თავადაზნაურთა მამულებს და აწიოკებდნენ. მიხეილ შარვაშიძე ამ დროს დედასთან და და-ძმებთან ერთად ლიხნში იმყოფებოდა. მან სწორად განჭვრიტა შექმნილი მდგომარეობის მთელი სიძძიმე, დედა და და-ძმები სოხუმის ციხეში გაგზავნა, თვითონ კი ლიხნის სასახლეში გამაგრდა, რომელსაც სამეგრელოს პოლკის 300 ჯარისკაცი იცავდა (**Утверждение, 1904: 572; ხორავა, 2007b: 235**).

აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს იმათაც, ვინც მიხეილ შარვაშიძის ყველაზე ერთგულებად ითვლებოდნენ. ბზიფის ოლქში ამბოხებას მეთაურობდა აზნაური კაც მარდანი, რომელსაც თავისი ჭკუით, სიმამაცით და ძლიერი ხასიათით დიდი სახელი ჰქონდა არა მარტო აფხაზთა, არამედ მეზობელ მთიელთა შორის. ბევრი აფხაზი თავადი და აზნაური მასთან მეგობრობას და კავშირს ეძიებდა (**Филипсон, 1885: 191**). აჯანყებას შეუერთდნენ დიდი გავლენის მქონე თავადი ნარჩოუ ინალ-იფა, აზნაური გიდ ლაკრბა, ჯიქი თავადი ედიგეი ცაშბა და სხვ. მუამბოხებმა ფიცი დადეს ბოლომდე ებრძოლათ მიხეილ შარვაშიძის წინააღმდეგ და სიცოცხლე მოესპოთ ყველასთვის, ვინც ფიცს გატეხდა, თუნდაც მათი ახლო ნათესავი ყოფილიყო. აჯანყებულებმა შიკრიკები გაგზავნეს წებელში, ჯიქეთში, უბიხეთში, სხვა ადიღურ ტომებში, და დახმარება ითხოვეს. დას. კავკასიის მთიელებმა სიამოვნებით მიიღეს ეს მოწოდება და ლიხნისკენ ხალისით გამოემართნენ. მუამბოხეთა რაოდენობამ 10-12 ათასს მიაღწია (**Утверждение, 1904: 572**).

8 ივნისს აჯანყებულებმა ლიხნის სასახლეს და სიმაგრეს ალყა შემოარტყეს, ეკლესიაც დაიკავეს და იქიდან სიმაგრეს ცეცხლი დაუშინეს. სოხუმიდან დახმარების იმედი არ ჩანდა, რადგან სოხუმიც ალყაშემორტყმული იყო მუამბოხეების მიერ და ყოველდღე იერიშს ელოდა (**Утверждение, 1904: 574-575**). აფხაზთა აჯანყების ჩახშობა კავკასიის სარდლობამ პ. გორჩაკოვს დაავალა. მას ლიხნის გარნიზონი და მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში სიმშვიდისა და მისი ხელისუფლების აღდგენამდე სოხუმში უნდა გადაეყვანა (**Дубровин, 1888: 513-514**). სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობის შესახებ მიწერილობა ლევან V დადიანმაც მიიღო. 1 ივლისს დამსჯელი ექსპედიცია პ. გორჩაკოვის მეთაურობით რედუტ-კალედან აფხაზეთისკენ დაიძრა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდა სამეგრელოს ქვეითთა და 44-ე ეგერთა პოლკების 1400 მეომარი ქვემეხით, აგრეთვე სამეგრელოს სახალხო ლაშქარი – 1100 მეომარი ლევან V დადიანის მეთაურობით. ექსპედიციას სამხედრო ხომალდები – ბრიგი „ორფოსი“ და ფრეგატი „სპეშნი“ აცილებდა.

8 ივლისს ექსპედიციამ მდ. კოდორს მიაღწია. კოდორიდან სოხუმამდე პ. გორჩაკოვს კვლავ აფხაზთა ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა. 10 ივლისს, საღამოს, მან დიდი მსხვერპლის ფასად სოხუმს მიაღწია. 16 ივლისს პ. გორჩაკოვი „ორფოსკით“ სანაპიროს გასწვრივ ლიხნისაკენ გზის დასაზვერად გაემართა და დარწმუნდა, რომ სოხუმიდან ლიხნამდე გზის გაგრძელება დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა, რადგან აფხაზებს ყველგან საფრები ჰქონდათ მოწყობილი. განსაკუთრებით ძლიერი საფარი მოეწყოთ სოფ. *ფსირცხასთან*, ანაკოფიის ძველ სიმაგრესთან, რომელზეც ჯიქებისა და სხვა ჩერქეზთა ბელადების ალმები ფრიალებდა. ამიტომ მან ჯარის ნაწილების ზღვით გადაყვანა გადაწყვიტა. 21 ივლისს, დილით, პ. გორჩაკოვმა ექსპედიციის ნაწილი, 800 მეომარი, ბამბორის მახლობლად გადასხა. 24 ივლისს, განთიადისას, პ. გორჩაკოვი ლიხნისკენ გაემართა. მუამბოხეები დესანტს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მათ ზურგიდან ლიხნის გარნიზონმაც შეუტია. ისინი ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ და გაიფანტნენ. პ. გორჩაკოვმა დაიხსნა მიხეილ შარვაშიძე ლიხნის გარნიზონთან ერთად და იმავე საღამოს სოხუმში დაბრუნდა (*საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის*, 1957: 265; *ახვალდი*, 2005: 217-218; *Дубровин*, 1888: 514-517, 575-576; *Утверждение*, 1904: 577-578). ამის შემდეგ აჯანყება თანდათან ჩაცხრა. ასლან-ბეი კვლავ ჯიქეთში გაიქცა. რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძეს, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა აფხაზეთს გასცლოდა. დედასთან და და-ძმასთან ერთად პ. გორჩაკოვმა იგი სამეგრელოში გადაიყვანა, სადაც სოფ. *ხეთაში*, ხოლო შემდეგ რედუტ-კალეში სახელმწიფო ხარჯზე რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა (*Краевич*, 1870: 211; *Дубровин*, 1888: 517).

1824 წ. ივლისის ექსპედიციის წარმატებით დასრულების შემდეგ, ა. ერმოლოვს აინტერესებდა, როდის შეიძლებოდა ექსპედიციის განმეორებით მოწყობა აფხაზთა მორჩილებაში მოყვანის მიზნით. 24 აგვისტოს პ. გორჩაკოვმა ა. ერმოლოვს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, სადაც აღნიშნავდა, რომ აფხაზები არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ; მათ არ ჰქონდათ მიწათმოქმედება და არც დიდი მესაქონლეობა, ისინი ჩერქეზების მსგავსად ძარცვით და ტყვის სყიდვით ცხოვრობდნენ, შესაბამისად, მათ თავიანთი ზნე-ჩვეულებები უნდა შეეცვალათ. მისი აზრით, დაიმორჩილებდნენ აფხაზებს, მაგრამ ყოველთვის იქნებოდა მღელვარებები, ამიტომ სამხედრო მოქმედებებს არ ექნებოდა დასასრული, რაც ჯარისკაცების მსხვერპლს გამოიწვევდა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა აფხაზეთის სანაპიროზე რამდენიმე ადგილას – გაგრასა და ბიჭვინთაში, აგრეთვე ილორში, სიმაგრეების მოწყობა, მაშინ, ერთი წლის შემდეგ აფხაზეთი სრულად იქნებოდა დამორჩილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპედიციები უშედეგო იქნებოდა. ა. ერმოლოვმა დამაჯერებლად მიიჩნია პ. გორჩაკოვის არგუმენტები და აფხაზეთში დამსჯელი ექსპედიციის მოწყობაზე ხელი აიღო (*Утверждение*, 1904: 578-581).

1826 წ. 1 ივლისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქ. *აკერმანში* (ამჟ. უკრაინა, ოლესის ოლქის ქ. ბელგოროდ-დნესტროვსკი) დაიდო ე. წ. *აკერმანის კონვენცია*,

რომელიც ადასტურებდა ბუქარესტის ზავის პირობებს. ოსმალეთმა რუსეთის შემადგენლობაში ოფიციალურად აღიარა შავი ზღვის ნავსადგურები: სოხუმი, რედუტ-კალე (კუმხელი), ანაკლია, რითაც მის მრავალწლიან პრეტენზიებს ამ მხარეზე ბოლო მოეღო (**ВПР, 1985:** 850-853).

აფხაზეთში არსებული რთული ვითარება სამეგრელოზეც ახდენდა გავლენას. აფხაზები ხშირად იჭრებოდნენ სამეგრელოში, იტაცებდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები. კარლ აიხვალდის ცნობით, როგორც კი სამეგრელოს მთავარი მათ დასასჯელად გაილაშქრებდა, ისინი ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს და მათი დასჯა მხოლოდ ზამთარში იყო შესაძლებელი, როდესაც ასეთ თავშესაფარს მოკლებული იყვნენ. 1826 წ. მაისში, როდესაც კ. აიხვალდი სამეგრელოში ჩავიდა, გაიგო, რომ აფხაზები კვლავ შემოჭრილიყვნენ სამთავროში და ლევან V დადიანი მათ გასადევნად და აფხაზეთთან საზღვრის გასამაგრებლად იყო წასული. აღმოჩინდა, რომ სამეგრელოს მთავრის მიახლოებისთანავე აფხაზები ჩვეულებრივ მთებში გაქცეულიყვნენ (**აიხვალდი, 2005:** 173).

ლევან V დადიანი და კავკასიის რუსული ადმინისტრაცია სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული აფხაზეთში მდგომარეობის მოწესრიგებით. მიხეილ შარვაშიძეც ფიქრობდა იმ გზებზე, რომელიც მას აფხაზეთის ტახტს დაუბრუნებდა. როგორც ჩანს, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების მიერ გაციმბირებული ბიძის – ჰასან-ბეი შარვაშიძის ავტორიტეტს შეეძლო მისთვის ურჩი აფხაზების მიმხრობა და, საბოლოოდ, ძალაუფლების მოპოვება. ამიტომ მან ა. ერმოლოვს ჰასან-ბეის შეწყალება სთხოვა. 1827 წ. 15 იანვარს ა. ერმოლოვმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა. იგი აღნიშნავდა, რომ 6 წლის გადასახლების შემდეგ ჰასან-ბეი განკურნებული იქნებოდა სამთავროს დაუფლების სურვილისაგან და თავისი გავლენით ხელისუფლებას აფხაზეთში დიდად დაეხმარებოდა (**Утверждение, 1904:** 581-582.). იმავდროულად ა. ერმოლოვმა ლევან V დადიანს დაავალა გაეგო აფხაზეთში არსებული ვითარება და ამ მხარეში პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგების საქმეში აქტიურად ჩართულიყო. დავალების შესრულების მიზნით, სამეგრელოს მთავარმა აფხაზეთში თავადები მანუჩარ ჩქოტუა და თლაფს მარღანია გააგზავნა. 14 მარტს ისინი აფხაზეთიდან დაბრუნდნენ. მათი ცნობით, აფხაზი და წებულელი თავადები მზად იყვნენ მოსულიყვნენ ალი-ბეი შარვაშიძის კუთვნილ სოფელ გუფუში და მორჩილება გამოეცხადებინათ (**АКАК, VI, I, 1874:** 665).

ასეთ ვითარებაში, კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. 1827 წ. 27 მარტს ა. ერმოლოვი კავკასიიდან გაიწვიეს. 28 მარტს კი კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი ივანე პასკევიჩი დაინიშნა. ამ გარემოებამ მცირე ხნით შეაფერხა აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების მოწესრიგება. 30 აპრილს აფხაზი თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა მოინანია აჯანყებაში მონაწილეობა და რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო. მათ შორის, ვინც ფიცი დადო, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი კაც

მარდანიაც იყო. თავადაზნაურებისაგან ფიცის ჩამოსართმევად ლევან V დადიანი და კაპიტანი ნიკოლოზ დადიანი გაიგზავნა (AKAK, VIII, 1881: 401).

ამრიგად, აფხაზეთი კვლავ დამორჩილდა რუსეთის ხელისუფლებას, რაშიც ლევან V დადიანის წვლილი დიდი იყო. 3 მაისს ი. პასკევიჩმა იმერეთის მმართველს ვასილი ბებუთოვს (1825-1827) უბრძანა მიხეილ შარვაშიძე ლიხნში გაეგზავნა. როგორც ჩანს, ი. პასკევიჩი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული აფხაზეთში სიმშვიდის შენარჩუნებაში, ამიტომ ვ. ბებუთოვს უბრძანა დედოფალი თამარი და მისი ქალიშვილები სოხუმში გადაეყვანა (AKAK, VI, I, 1874: 401). 1827 წ. მაისში მიხეილ შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს, რეილზე მდგარმა რუსეთის სამხედრო ხომალდებმა მისი დაბრუნება ზარბაზნების სალუტით აღნიშნეს (Селезнев, 1847a: 180).

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მცდელობებისა, აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება სუსტი იყო და რეალურად მხოლოდ ბზიფის ოლქზე ვრცელდებოდა. მას ნომინალურად ემორჩილებოდა აფხაზეთისა და აბჟუის ოლქები. მთავრის ხელისუფლებას არ ცნობდნენ აფხაზეთის მთის თემები – წებელი, დალი და ფსხუ. სამთავროში ხშირად იჭრებოდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ჯიქები და უბიხები, სანაპირო ზოლში – აფხაზეთის მთის თემების მკვიდრნი; გრძელდებოდა ადამიანების გატაცება, ტყვის სყიდვა და სხვა დანაშაულობები. 1827 წ. მიხეილ შარვაშიძემ რუსეთის სარდლობისაგან დაჟინებით ითხოვა გაგრის დაკავება, რათა ჯიქებისა და უბიხების თავდასხმებს აფხაზეთზე ბოლო მოეღებოდა (დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 94).

1828 წელს გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნდა ჰასან-ბეი შარვაშიძე. ამ დროიდან აფხაზეთში კვლავ განახლდა შიდა დაპირისპირება. ჰასან-ბეის არ სურდა მიხეილ შარვაშიძის ერთგული ვასალის როლში ყოფნა. მთავარსა და ჰასან-ბეის შორის არსებული დაპირისპირება მალე ღია მტრობაში გადაიზარდა. მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ჩარევამ აიძულა მოწინააღმდეგეები გარეგნულად შერიგებულიყვნენ (Пахомов, 1953: 233; Фадеев, 1939: 108).

ირანთან (1826-1828 წწ.) და ოსმალეთთან (1828-1829 წწ.) ომებში გამარჯვების შემდეგ, XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჯარებმა გაააქტიურეს მოქმედება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ნიკოლოზ I-ის დირექტივის¹ საფუძველზე ი. პასკევიჩმა შეიმუშავა კავკასიის მთის ხალხების, მათ შორის აფხაზების, სწრაფი დამორჩილების გეგმა, რომელიც იმპერატორმა 1829 წ. ოქტომბერში დაამტკიცა (Утверждение, 1889: 123). გეგმა ითვალისწინებდა დასავლეთ კავკასიაში – ყუბანის მხარეში და კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე

¹ ეს დირექტივა მოცემული იყო იმპერატორის მილოცვაში ი. პასკევიჩისადმი (რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვებასთან დაკავშირებით), რომელშიც ის მოუწოდებდა კავკასიის მთავარმართველსა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალს ასევე სახელოვნად დაემთავრებინა „ისეთივე დიდებული, ხოლო პირდაპირი სარგებლის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი – მთიელთა სრული დამორჩილება ან მათი განადგურება“ (Щербатов, 1891: 229-230).

მცხოვრები ადილური ეთნოგრაფიული ჯგუფების დამორჩილებას, რისთვისაც საჭიროდ იყო მიჩნეული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული სიმაგრეების – *რედუტ-კალეს, სოხუმის, ანაპის*, – გარდა ახალი სიმაგრეების აგება, მათი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირება სანაპირო გზით, აგრეთვე ჩრდილოეთიდან რამდენიმე ექსპედიციის მოწყობა ყუბანის მხარეში. ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით შეიქმნა „*აფხაზეთის ექსპედიცია*“, რომლის მიზანი იყო სოხუმიდან ანაპამდე სანაპირო ზოლის დაკავება, გამაგრებული სანაპირო ხაზის შექმნა და სიმაგრეებს შორის სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში კი – დასავლეთ კავკასიის მთიანეთში რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარება.

1830 წ. 8 ივლისს რუსთა დესანტი სოხუმიდან ზღვით გაგრამი გადასხდა და დაიკავა იგი. ამ ცნობის მიღების შემდეგ „*აფხაზეთის ექსპედიცია*“, რომლის უშუალო მეთაურად დანიშნული იყო გენერალი *კარლ გესე*, სოხუმიდან გავიდა და 16 ივლისს ბამბორა დაიკავა. აქვე, ექსპედიციას ლიხნიდან აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე შეუერთდა. შემდეგ ექსპედიციამ წინსვლა განაგრძო და 19 ივლისს ბიჭვინთა დაიკავა. მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, გაგრის ჩრდილო-დასავლეთით რუსეთის ჯარის წინსვლა შეფერხდა ჯიქებისა და უბიხების მედგარი წინააღმდეგობის გამო. „*აფხაზეთის ექსპედიციის*“ მოქმედების პარალელურად ი. პასკევიჩმა მდ. ყუბანი გადალახა და შაფსუღების რამდენიმე აული განაღდურა, ამასთან მდ. ყუბანზე რამდენიმე სიმაგრე ააგო. ამდენად, სრულად ვერ იქნა მიღწეული ის მიზანი, რაც ექსპედიციას ჰქონდა დასახული. აფხაზეთის სანაპირო ზოლში – ბამბორა, ბიჭვინთა, გაგრა, – რუსები სიმაგრეების აგებას შეუდგნენ. ბამბორაში დაბინავდა „*აფხაზეთის ექსპედიციის*“ შტაბიც. ამ სიმაგრეებს ჯიქებისა და უბიხებისათვის უნდა გადაეკეტათ ის სანაპირო გზა, რომლითაც ისინი აფხაზეთში იჭრებოდნენ, მათ უნდა განემტკიცებინათ აგრეთვე რუსეთის ბატონობა აფხაზეთში (**ხორავა, 2003: 93-112**). რუსების მიერ აფხაზეთის სანაპირო ზოლის დაკავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯიქებზე, უბიხებზე და თვით აფხაზეთზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაგრის გასასვლელის დაკავება, რასაც მიხეილ შარვაშიძე დიდი ხანია რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდა.

ამავე ხანებში მიხეილ შარვაშიძემ სამურზაყანოზე განაცხადა პრეტენზია. 1834 წ. ის სოფ. ილორში შეიჭრა და სოფლის მცხოვრებლებს ერთგულების ფიცი დაადებინა. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მკაცრად გააფრთხილა აფხაზეთის მთავარი, თვითნებობაზე ხელი აედო. მთავარმართველი, *ბარონი როზენი* მიხეილ შარვაშიძეს წერდა: „*ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში უწყსრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ... გა-*

მოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიცემული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და, ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს“ (AKAK, VIII, 1881: 449, ხაზგასმა ჩვენია – ბ.ხ.). მიხეილ შარვაშიძე იძულებული გახდა ილორი დაეტოვებინა.

1834-1835 წლებში კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ რედუტ-კალედან სოხუმამდე და სოხუმიდან გაგრამდე გზა გაიყვანა. იმავდროულად, 1835 წელს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ორი სიმაგრე ააგეს – *ილორსა და დრანდამი*. სოხუმიდან ბამბორისა და ბიჭვინთის გავლით გაგრამდე გზის გაყვანის შემდეგ, მდ. ბზიფსა და გაგრას შორის ტერიტორია აფხაზეთის მთავრის იურისდიქციაში დაბრუნდა. იმავე ხანებში, რუსეთის ხელისუფლებამ მიხეილ შარვაშიძეს აბჟისა და აფხაზეთის ოლქების მფლობელები ალი-ბეი და ჰასან-ბეი შარვაშიძეები დაუმორჩილა, რითაც ის ერთმმართველად აქცია. ამდენად, ფაქტობრივად, აფხაზეთის სამთავრო მხოლოდ XIX ს. 30-იან წლებში რუსეთის სამხედრო ძალით შეიქმნა (*ღიაჩკოვ-ტარასოვი 2003: 108; ხორავა, 2007b: 241*). 1837 წ. მაისში ბარონმა როზენმა ექსპედიცია მოაწყო წებელში და მარშანიები დაიმორჩილა, რომლებმაც მას რუსეთის ერთგულების ფიცი მისცეს. ამ დროიდან, თემის სახელწოდებად რუსული ფორმა – წებელდა მკვიდრდება, რომელიც წებელს და დალს გულისხმობდა. იმავდროულად როზენტან გამოცხადდნენ დალელი მარშანიები, რომლებმაც ასევე მორჩილება აღუთქვეს მას. ამ მთის თემებში რუსული მმართველობა დამყარდა, შეიქმნა წებელდის საბოქაულო ადმინისტრაციული ცენტრით სოფ. მრამბაში (*ხორავა, 2006: 201-205; Очерки, I, 1960: 180*).

1839 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველა რუსული სიმაგრე ერთმანეთთან სახმელეთო გზით დააკავშირეს. ეს სიმაგრეები – მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე, აგრეთვე აფხაზეთი და წებელდა იქ განლაგებულ ჯარებთან ერთად – შევიდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სისტემაში, რომლის უფროსად გენერალი *ნიკოლოზ რაევსკი* დაინიშნა. სანაპირო ხაზი ორ განყოფილებად გაიყო: I. მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. სოჩის შესართავამდე (*ნავაგინსკი*); II. მდ. სოჩის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე (*წმ. ნიკოლოზის საგუმბაგო, შუკვეთილი*). სანაპირო ხაზის II განყოფილების უფროსი იმავდროულად აფხაზეთში განლაგებული ჯარების უფროსის მოვალეობას ასრულებდა (*AKAK, IX, 1884: 460-461; ხორავა, 2014: 37-39*). შავი ზღვის სანაპირო ხაზის სისტემაში აფხაზეთის გაერთიანება ამ მხარის საქართველოდან ჩამოშორების პირველი მცდელობა იყო.

1840 წ. ოქტომბერში შავი ზღვის სანაპირო ხაზის რეორგანიზაცია განხორციელდა. ჩამოყალიბდა სამი განყოფილება: I. ყუბანის შესართავიდან გელენჯიკამდე; II. გელენჯიკიდან ნავაგინსკამდე; III განყოფილებას შეადგენდა: *ნავაგინსკის, გოლოვინსკის, ადლერის, გაგრის, ბიჭვინთის, ბამბორის, სოხუმ-ყალეს სიმაგრეები; მრამბის, დრანდის, კვიტოულის, ილორის საგუმბაგოები; ანაკლიის, რედუტ-ყალეს, ფოთის, ოზურგეთის სიმაგრეები და წმ. ნიკოლოზის საგუმბაგო*. III განყოფილების უფროსი ვალდებული იყო „პოლიტიკური მეთვალყურეობა გაეწია აფხაზეთზე“.

აუცილებლობის შემთხვევაში მას იარაღის გამოყენების უფლებაც ჰქონდა (**Дзидзария, 1988b: 50; ხორავა, 2014: 39-40**).

რუსეთის სარდლობა სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ სანამ ჯიქებსა და უბიხებს არ დაიმორჩილებდა, მანამდე აფხაზეთის დამორჩილება სრული ვერ იქნებოდა. 1840 წლის დასაწყისში ჯიქებმა, უბიხებმა და შაფსულებმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გაააქტიურეს მოქმედება რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. თებერვალ-მარტში მთიელებმა ლაზარევსკოე, ველიამინოვსკოე და მიხაილოვსკოე დაიკავეს. იმავედროულად აჯანყდა წებელი და დალი. მათ დასახმარებლად მოუწოდეს ფსხუელებსა და სვანებს. ზაფხულში რუსეთის სარდლობამ აფხაზეთის მთის თემების დასამორჩილებლად დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა, რომელშიც აფხაზეთის სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა მთავრის მეთაურობით. ექსპედიციამ წებელისა და დალის მარშანიებს ერთგულების ფიცი დაადებინა (**АКАК, IX, 1884: 492-493; Очерки, I, 1960: 180**). იმავე 1840 წ. ივლისში რუსებმა ფსხუ დალაშქრეს. აფხაზეთის ამ მთის თემში რუსული მმართველობა დამყარდა. შეიქმნა ფსხუს საბოქაულო (**Дзидзария, 1988b: 63**).

წებელისა და დალის დამორჩილება მოჩვენებითი აღმოჩნდა. მალე, სიტუაცია ამ მხარეში კვლავ დაიძაბა. ოქტომბერში ნ. რაევსკი წერდა: „წებელდელებს უბიხები აქეზებენ... აფხაზეთში ხალხის ნაწილი მზადაა აჯანყდეს მთავრის წინააღმდეგ და უბიხებს შეუერთდეს“ (**Лакоба С., 1990b: 17-18**). მალე, რუსეთის სარდლობისთვის ცნობილი გახდა, რომ დალელებმა დახმარებისთვის მეზობელ მთიელებს მიმართეს, ხოლო უბიხებმა დალის დასახმარებლად ათასკაციანი რაზმი შექმნეს. რუსეთის სარდლობამ გადაწყვიტა არ დაეშვა მთიელთა გაერთიანება და დალი მანამდე დაემორჩილებინა. 1840 წ. დეკემბერში დალის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიცია გაიგზავნა შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ნ. მურავიოვის მეთაურობით. ექსპედიციაში აფხაზეთისა და სამურზაყანოს სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა. 1841 წ. იანვარში ექსპედიციამ მტურმით დაიკავა დალის „ჭიშკარი“ – ბაგალის ვიწროები, და ხეობაში შეიჭრა. დალელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურთ, მაგრამ დამარცხდნენ. ნ. მურავიოვის ბრძანებით რუსებმა სასტიკად ააწიოკეს დალი, ცეცხლს მისცეს მთიელთა დასახლებები და სურსათის მარაგი, ხოლო მოსახლეობა თავიანთი სამკვიდროდან გაასახლეს (**АКАК, IX, 1884: 496-497; ხორავა, 2014: 41-42**). ნ. მურავიოვმა სარდლობას სთხოვა დალში 500 რუსის ოჯახი ჩაესახლებინათ, რათა ამ გზით დაეცვათ აფხაზეთი და წებელდა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შემოსევებისაგან, რადგან ყუბანის აუზიდან აფხაზეთისაკენ გზა კავკასიონის ქედის გავლით სწორედ დალზე გადიოდა. ამასთან, მან ზომები მიიღო, რომ დალში არ დაეშვა ადგილობრივ მთიელთა ოჯახების დაბრუნება. მაგრამ ნ. მურავიოვმა ასეთი ნებართვა ვერ მიიღო. შემდეგ იქ ჩრდილოკავკასიელი მთიელები ჩასახლდნენ (**Дзидзария, 1982: 373**), ადგილობრივ მკვიდრთა ძირითადი ნაწილიც დაბრუნდა.

1841 წ. მარტში სანაპირო ჯიქების თემები რუსებს დამორჩილდნენ, რაშიც დიდი იყო აფხაზეთის მთავრის მიხეილ მარვაშიძის წვლილი. ამის შემდეგ, რუ-

სეთის ხელისუფლების მთავარი ამოცანა გახდა ჯიქეთში განმტკიცება. ამ მიზნით რუსეთის სარდლობა აფხაზეთიდან ჯიქეთისაკენ გზის გაყვანას და მდინარეებზე ხიდების აგებას შეუდგა. ზაფხულში უბიხების თემმა *საშუმ* და ჯიქების მთის თემმა *წვიჯიმ* რუსეთის სარდლობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყეს. ასეთ ვითარებაში დასავლეთ კავკასიაში გავრცელდა ცნობა გურიის აჯანყების შესახებ. იმავე ხანებში რუსეთის სარდლობა აპირებდა ექსპედიციის მოწყობას უბიხეთში, მაგრამ არ გამოცხადდა გურიისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარი, ძალიან მცირერიცხოვანი იყო სამურზაყანოდან და სვანეთიდან მოსული მილიცია. რუსეთის სარდლობა ბოლომდე არ ენდობოდა აფხაზეთის მთავარსაც.

ჯიქებამდე და უბიხებამდე გურიის აჯანყების (1841 წ. მაისი-სექტემბერი) ამბები დამახინჯებული და გაზვიადებული აღწევდა. მაგრამ სექტემბერში რუსებმა გურიის აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს და კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მეტი შესაძლებლობა მიეცათ. სექტემბრის ბოლოს რუსეთის სარდლობა უბიხეთში დაგეგმილი ექსპედიციის მომზადებას შეუდგა. სანაპირო ხაზის III განყოფილების ჯარის ნაწილებთან ერთად მასში აფხაზეთის, სვანეთის, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა. ოქტომბრის დასაწყისში, ჯიქეთის გავლით ექსპედიცია უბიხეთში შეიჭრა, რამდენიმე სოფელი გაანადგურა და ნავაგინსკამდე მიაღწია (**დიაჩკოვ-ტარასოვი 2003**: 121; **ხორავა, 2014**: 44-45). 1841-1842 წწ. კვლავ იყო გამოსვლები *დალში*, *წებელში*, *ფსხუში*, სოფლებში: *გუმა*, *ჯგერდა*, *ჭლოუ*, რომლებიც რუსეთის სარდლობამ სასტიკად ჩაახშო (**Дзидзария, 1982**: 55, 69-70). 1843 წ. დეკემბრის ბოლოს დამსჯელმა ექსპედიციამ აფხაზეთის მთავრის უშუალო მეთაურობით კვლავ დალაშქრა და დაიმორჩილა *ფსხუ* (**Очерки, I, 1960**: 183).

XIX ს. 30-იანი წლების მიწურულს აფხაზეთის მთავარი შეეცადა ხელისუფლებაზე ზეწოლით სამურზაყანოს დაუფლებოდა. 1839 წელს მიხეილ შარვაშიძემ თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, რომ სამურზაყანო, როგორც ადრე აფხაზეთის კუთვნილი ქვეყანა, ჩამორთმეოდა დადიანს და აფხაზეთის სამთავროს გადასცემოდა (**ცინცაძე ზ., 1989**: 97). ამით აღშფოთებულმა ლევან V დადიანმა ვრცელი მოხსენებითი ბარათით მიმართა ხელისუფლებას. იგი აფხაზეთის მთავრის პრეტენზიებს უსაფუძვლოდ მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო ძველთაგანვე სამეგრელოს სამთავროში შედიოდა და მან მემკვიდრეობით მიიღო. ამასთან, სამეგრელოს მთავარს ამ ოლქზე მისი კანონიერი უფლებების დასამტკიცებლად გიორგი შარვაშიძესთან 1818 წელს და მიხეილ შარვაშიძესთან 1827 წელს დადებული შეთანხმებები მოჰქონდა, რომლითაც აფხაზეთის მთავრები სამურზაყანოს სამეგრელოს სამთავროს შემადგენელ ნაწილად აღიარებდნენ (**დუმბაძე, 1957**: 268). მიხეილ შარვაშიძეს სამურზაყანოს გადაცემაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ის აფხაზეთის სამთავროსაგან დიდი ხნის წინ იყო გამოყოფილი, მაგრამ ხელისუფლების გადაწყვეტილებით ის არც სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო. რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი

ჰქონდა ახლად შექმნილ ტერიტორიებზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, უმტკივნეულოდ შემოეღო რუსული მმართველობა.

1840 წ. თებერვალში რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო, ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის, ჩამოართვა სამეგრელოს მთავარს და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო, რომელიც უშუალოდ ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა (AKAK, X, 1885: 248; კვაშილავა, 2011: 288). სამურზაყანოს მიმართ ცარიზმს ასეთი გადაწყვეტილების მიღება აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის ამ მხარის მფლობელობის გამო ატენილმა დავამ გაუადვილა, თუმცა მთელი XIX ს. პირველი მესამედის მანძილზე რუსეთის ადმინისტრაცია სამურზაყანოს სამეგრელოს ნაწილად აღიარებდა. ლევან V დადიანმა გაასაჩივრა სამურზაყანოს ჩამორთმევა და მოითხოვა, თუ დაბრუნება არა, საზღაურის მიცემა მაინც. 1847 წ. ხელისუფლებამ სამეგრელოს მთავარს სამურზაყანოს სანაცვლოდ კომპენსაციის სახით 25 ათასი ვერცხლის მანეთი მისცა. ამ ფაქტმა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე გაანაწყენა. იგი იმითაც იყო ნაწყენი, რომ 1847 წ. მაისში ხელისუფლებამ მას ჩამოართვა გუდას (გუდაუთის), ოჩამჩირის, კელასურის ნავსადგურები, საიდანაც კონტრაბანდული ვაჭრობიდან მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. ეს ნავსადგურები საბაჟო უწყებას გადაეცა, ხოლო მთავარს სანაცვლოდ პენსია დაენიშნა – 12 ათასი მანეთი წელიწადში. მიხეილ შარვაშიძე ხედავდა, რომ ცარიზმი მის ხელისუფლებას მაქსიმალურად ზღუდავდა, რამაც ის უკიდურესად გააღიზიანა. ამ ფაქტების გამო პროტესტი მან 1847 წ. 10 ნოემბერს სამთავრო უფლებებზე უარის თქმით გამოხატა (AKAK, X, 1885: 268; Эсадзе, 1907: 134-135).

აფხაზეთის მთავარი გრძნობდა, რომ მისი მომავალი ბეწვზე ეკიდა, ამიტომ გადაწყვიტა მოვლენებისთვის დაესწრო. მაგრამ მისმა ნაბიჯმა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა, რადგან მას იმხანად სრულებით არ შეეძლო საკუთარი ძალებით აფხაზეთისთვის მოევლო. ფაქტობრივად, მიხეილ შარვაშიძე რუსებმა აქციეს აფხაზეთის ნამდვილ მთავრად, აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერების კვალად ძლიერდება მისი ხელისუფლება. მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტი 30-40-იან წლებში გაიზარდა. ამასთან, რუსეთის ხელისუფლება სათანადოდ აფასებდა მიხეილ შარვაშიძის დამსახურებას აფხაზეთის მთის თემების დამორჩილებაში, დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 1841 წელს რუსეთის ხელისუფლებისადმი ჯიქების სანაპირო თემების დამორჩილებაში და სხვ. აფხაზეთის მთავარს დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა – *ჯიქებს, უბიხებს, შაფსულებს, აბაძეხებს* შორის, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა (1844-1854) აფხაზეთის მთავარს წერილით მიმართა, რომელშიც მთელი მონღოლებით არწმუნებდა, ხელი აეღო თავის განზრახვაზე (Эсадзе, 1907: 135-137). მართლაც, ეს ამბავი მაშინ ჩაიფარცხა.

1853 წ. 4 (16) ოქტომბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. დაიწყო *ყირიმის ომი* (1853-1856), რომელიც ასევე აღმოსავლეთის ომის სახელითაა ცნობილი. ომის მთავარი მოვლენები *ყირიმის ნახევარკუნძულზე* განვითარდა, მაგრამ ყირიმსა და ღუნაისპირეთში რუსეთის მიერ განცდილი მარცხის ერთგვარი კომპენსაცია გახდა რუსეთის ჯარების წარმატება კავკასიის ფრონტზე. შავ ზღვაზე ოსმალეთის მოკავშირეების – ინგლის-საფრანგეთის ფლოტის გაბატონების გამო რუსეთის სარდლობას არ შეეძლო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, მათ შორის, აფხაზეთთან კავშირურთიერთობის განხორციელება. ამიტომ რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა 1854 წ. მარტ-აპრილში სრულებით დაეცალა აფხაზეთი და შავი ზღვის სანაპირო ხაზის ლიკვიდაციაც მოეხდინა. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეებიდან გარნიზონები ევაკუირებულ იქნა, ხოლო თვით სიმაგრეები ააფეთქეს (**AKAK, X, 1885: 270, 271, 273-274; ბურჭულაძე, 1960: 268-270**). აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის *სოხუმის, ბამბორის, ბიჭვინთის, წებელდის* სიმაგრეებიდან რუსეთის სამხედრო ნაწილების ევაკუაცია, რასაც რუსეთის სარდლობა მთავარს დიდად უმაღლიდა.

1855 წ. მარტში სოხუმში ოსმალეთის ჯარის ნაწილი გადმოსხდა. თურქული ადმინისტრაციის უფროსი სოხუმში *მუსტაფა-ფაშა* აფხაზური არისტოკრატის გადაბირებას აქტიურად ცდილობდა. ქართველი მისიონერების მიერ აფხაზების მონათვლამ, ეკლესიების განახლებამ, აგრეთვე მიხეილ შარვაშიძის ძალისხმევამ ჩაშალა თურქთა გეგმები, მათ ვერ შეძლეს აფხაზების მასობრივად გადაბირება (**გამახარია, 2005: 431**). აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში, სიმამრის – *გიორგი დადიანის* მამულში (ამჟამინდელი სოფ. *ჭადლაში* – ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დამკვიდრდა. ის იმედოვნებდა, რომ როგორც რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს და იმპერატორის გენერალ-ადიუტანტს, შესაფერის სამსახურს შესთავაზებდნენ, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. იგი საომარი მოქმედებებისაგან გარიყული აღმოჩნდა. ამასთან, სამეგრელოს დედოფალი *ეკატერინე დადიანი* ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, მას სამეგრელო დაეტოვებინა. მაისში მიხეილ შარვაშიძემ აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტა, სადაც თურქთა სარდლობასთან პირდაპირი ურთიერთობა დაამყარა. იგი თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში გადასვლას იმით ხსნიდა, რომ არ სურდა სამთავროში განვითარებული მოვლენების პასიური მაცქერალი ყოფილიყო და რუსეთის სარდლობას შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. მართლაც, მას არ შეუწყვეტია ფარული კონტაქტები რუსეთის სარდლობასთან და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა. ივნისში მან ჩაშალა ლიხნში თავმოყრილი დასავლეთ კავკასიელი მთიელებისა და აფხაზების განზრახვა, მარბიელი ლაშქრობა მოეწყობათ სამურზაყანოში ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით. ამასთან, იგი ცდილობდა თურქებთან საერთო ენა გამოენახა (**თაკალანძე, 1999: 114-115**).

1855 წ. ივნისში რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ყარსს და ამით ოსმალეთის უმთავრეს ცენტრებს საფრთხე შეუქმნა. ყარსის გადასარჩენად თურქებმა სექტემბრის დასაწყისში სოხუმში *ომერ ფაშას* სარდლობით 45-ათასიანი დესანტი გადმოსხეს (**ბურჭულაძე, 1960: 270**). *ომერ ფაშას* გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს გავლით ყარსამდე ჩაეღწია და ალყაშემორტყმულ ციხეს დახმარებოდა. ოქტომბერში თურქეთის არმიამ თითქმის მთელი სამეგრელო დაიკავა, მაგრამ შემდგომი წინსვლა შეფერხდა. 1855 წ. 16 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრე რუსებს დანებდა. ამდენად, *ომერ ფაშას* ლაშქრობამ ყარსის დასახმარებლად აზრი დაკარგა. სამეგრელოში გაჩაღებული პარტიზანული ბრძოლითა და რუსთა მამველი ჯარების მიერ შევიწროებულმა *ომერ ფაშამ* შავი ზღვის სანაპიროსაკენ დაიხია, ხოლო 1856 წ. თებერვალში მისი საკმაოდ შეთხლეებული არმია სოხუმიდან და რედუტ-კალედან ზღვით ბათუმისა და ტრაპიზონისაკენ გაემართა. 10 ივლისს კი სოხუმი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს (**ბურჭულაძე, 1960: 405-421; Очерки, I, 1960: 196**). თურქებთან ერთად აფხაზეთიდან მოსახლეობის მცირე ნაწილიც წავიდა, უმთავრესად თავადაზნაურთა წრიდან (**Нинუа, 1956: 196**).

1856 წ. მარტში პარიზში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც რუსეთმა შეინარჩუნა თავისი კავკასიური სამფლობელოები ომამდელ საზღვრებში, ხოლო დაპყრობილი ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები ოსმალეთს დაუბრუნა. მას აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და შავი ზღვის ნავსადგურების გამაგრება. ამდენად, პარიზის ტრაქტატმა ზღვარი დაუდო ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ რუსეთის სწრაფვას.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმს თითქმის თავიდან მოუხდა აფხაზეთის დაპყრობა. სანაპირო ზოლში ისევ ჩადგნენ რუსეთის სამხედრო ნაწილები. განმათავისუფლებელი მოძრაობა აფხაზეთში დაქვეითების გზას დაადგა. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება თავს დამშვიდებულად ვერ გრძნობდა. ამიტომაც იყო, რომ როცა 1856 წ. ივნისში კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა (1854-1856) ყირიმის ომის დროს თითქოსდა მიხეილ შარვაშიძის ტალატიც გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის რუსეთის რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადასახლების საკითხი აღძრა (**АКАК, XI, 1888: 54**), თუმცა იმპერატორმა ეს წინადადება არ მიიღო. რუსეთის ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთსა და დას. კავკასიაში რუსეთის გავლენის აღდგენისა და განმტკიცების ერთგვარ გარანტიად მიიჩნევდა. საომარი მოქმედებები კვლავ გრძელდებოდა ჩეჩნეთ-დაღესტანში, დასავლეთ კავკასია დასაპყრობი იყო, არც აფხაზეთში იყო სიმშვიდე. ამიტომ მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ საჭირო იყო. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ტალატიც დამტკიცებულად არ ცნო და ეს საქმე მიყუჩდა.

1856 წ. ივნისში კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალი *ალექსანდრე ბარიატინსკი* (1856-1862) დაინიშნა. ახალმა მეფისნაცვალმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი ახლებურად გაიაზრა. ყირიმის ომის დროს საომარმა მოქ-

მედებებმა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაერთიანება გამოიწვია. მართვის ცენტრალიზაციის მიზნით, 1856 წ. აგვისტოში ქუთაისის გუბერნიისა და შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების გაერთიანებით შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო; შემოღებულ იქნა აფხაზეთის ჯარების უფროსის თანამდებობა. აფხაზეთის სამთავრო ნომინალურად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ხოლო რეალურად კი მეფისნაცვალს დაექვემდებარა (**Эсадзе, 1907:** 97-99). იმავდროულად ცარიზმი შეეცადა თავისი პოზიციების განმტკიცებას საქართველოში და ამ მიზნით ქართულ სამთავროებში – 1857 წელს სამეგრელოში, ხოლო 1858 წელს სვანეთში, რუსული მმართველობა შემოიღო.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კავკასიის საბოლოო დამორჩილებას. ცარიზმს საშუალება მიეცა კავკასიაში თავი მოეყარა მნიშვნელოვანი ძალებისათვის. კავკასიის კორპუსი არმიად გარდაიქმნა. ა. ბარიატინსკის ყურადღება ძირითადად ჩეჩნეთ-დაღესტნისაკენ იყო მიპყრობილი (**Зиссерман, 1888:** 33-35). განხორციელდა მასირებული შეტევა ამ მიმართულებით. 1859 წ. 25 აგვისტოს რუსეთის სარდლობას დაწებდა კავკასიელ მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური შამილი. რუსეთის მიერ ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები. დასავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აფხაზეთს, სადაც რუსები მხოლოდ სანაპირო ზოლს აკონტროლებდნენ. 1860 წ. დამდეგს რუსეთის სარდლობამ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების გაყვანაზე, რასაც სამხედრო და ადმინისტრაციული მნიშვნელობა ჰქონდა. იმავე წლის აგვისტოში რუსეთის ჯარის ნაწილები ფსხუსკენ დაიძრნენ. ექსპედიციაში სამ ათასი აფხაზი მილიციელიც მონაწილეობდა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ფსხუელები დამარცხდნენ და რუსეთის სარდლობას მორჩილება გამოუცხადეს. ექსპედიციას, მიუხედავად წარმატებისა, ამ მთის თემში რუსეთის გავლენის გაძლიერება არ მოჰყოლია (**АКАК, XII, 1904:** 859-860, 861-865; **ხორავა, 2004ა:** 110-111) ფსხუ კვლავ რჩებოდა რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობაში მიხეილ შარვაშიძის როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთის სარდლობა ფიქრობდა, რომ აფხაზეთის მთავარი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა – *ჯიქებს, უბიხებს, შაფსულებს, აბაძეებს* და სხვ. შორის, ფარულად უჭერდა მხარს მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. აფხაზეთის მთავარმაც კარგად იცოდა, რომ დასავლეთ კავკასიის მთიელთა რუსეთისადმი დამორჩილების შემდეგ მის ხელისუფლებასაც ბოლო მოეღებოდა. ამიტომაც იყო, რომ მიხეილ შარვაშიძე კეთილგანწყობით არ უცქერდა აფხაზეთის მთის თემების გავლით ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გზების გაყვანას (**ხორავა, 2004ა:** 116-117).

1864 წ. მაისში რუსეთის ჯარის ნაწილებმა კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა, ჯიქების მთის თემი აჭიფის დაიკავეს მდ. მძიმთას ზემო წელში. 21 მაისს, აჭიფის ცენტრში, აულ გუბაადში, კავკასიის ომი დამთავრებულად გამოცხადდა. კავკასიის არმიის უკანასკნელ სამხედრო ოპერაციაში და ომის დამთავრებისადმი მიძღვნილ ალბუმში აფხაზთა სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა (**Эсадзе 1914**: 167-174). აფხაზი ისტორიკოსები ყოველთვის ხაზს უსვამენ რუსეთ-კავკასიის ომში რუსებთან ერთად ქართველების მონაწილეობას (**Бражба О., Лакоба С., 2015**: 244, 271), მაგრამ არ აღნიშნავენ აფხაზთა სახალხო ლაშქრის წვლილს ამ ომში, განსაკუთრებით, ჯიქებისა და უბიხების სოფლების განადგურებაში, ასევე აფხაზეთის მთის თემების – *წებელის, დალის, ფსხუს, აიბლას*, – დამორჩილებაში (**გამახარია., 2018**: 184-186). ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები ფსხუში შეიჭრნენ, ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის მხრიდან *სანჭაროს* უღელტეხილით, და აფხაზეთიდან, დოუს უღელტეხილით. ფსხუელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ბრძოლის შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა ფსხუელებმა ცეცხლი წაუკიდეს თავიანთ სახლებს და ხეობა დატოვეს (**ხორავა, 2014**: 73-74). ფსხუელთა ნაწილი, 105 ოჯახი (862 კაცი) ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. კუმას ხეობაში გადასახლდა, ხოლო დიდი ნაწილი – 3,5 ათასი, ოსმალეთში წავიდა (**Дзидзария, 1982**: 195; **ხორავა, 2004b**: 256-259). ამის შედეგად, ბზიფის ხეობის ზემო წელი მთლიანად დაცარიელდა.

დასავლეთ კავკასიის დაპყრობისა და კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა, უკვე არ არსებობდა აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს შენარჩუნების აუცილებლობა და თვითმპყრობელობა დაპყრობილი მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობისა და კოლონიზაციისათვის ზრუნვას შეუდგა. ჯერ კიდევ კავკასიის ომის დამთავრებამდე, როცა აფხაზეთის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, კავკასიის არმიის მთავარსარდალმა და მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა *მიხეილ რომანოვმა* (1862-1881) სამხედრო მინისტრის *დიმიტრი მილიუტინისადმი* 1864 წ. 27 მარტს გაგზავნილ წერილში სამთავროს გაუქმების საკითხი ადრია. მისი აზრით, ეს ღონისძიება საჭირო იყო იმისათვის, რომ შესრულებულიყო უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული პროექტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე კაზაკთა სტანიცების მოწყობის შესახებ (**სცსსა**: ფ. 5, აღწ. 1, ს. 7506, ფურც. 41). მან ამის თაობაზე პრაქტიკული წინადადებებიც წამოაყენა:

1. *მთავრისა და მისი მემკვიდრის დათანხმება, რათა უარი თქვან ტახტზე;*
2. *მთავარს და მის მემკვიდრეებს დაენიშნოთ შესაფერისი ჯამაგირი;*
3. *აფხაზეთისაგან შეიქმნას სამხედრო ოკრუგი, რომელიც წებელდასთან ერთად დაქვემდებარება განსაკუთრებულ სამხედრო ჰირს ოლქებში განყოფილებების უფროსების უფლებით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი დაქვემდებარებით;*

4. თუკი თავისუფალი მიწების რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ენგურის შესართავამდე, შეიქმნას კაზაკთა დასახლებები, რომლებიც მდ. ბზიფზე განლაგებულ დასახლებებთან ერთად შექმნიან აფხაზეთის კაზაკთა ჯარს აფხაზეთის სამხედრო ოკრუგის უფროსის მეთაურობით;
5. ყუბანისა და აფხაზეთის ჯარებს შორის საზღვრად დაწესდეს ქედი, რომელიც გაგრის ვიწროებს კეტავს და ამჟამად აფხაზეთს ჯიქების მიწა-წყლისაგან გამოყოფს“ (სცსსა: ფ. 5, აღწ. 1, ს. 7506, ფურც. 47-48).

ამრიგად, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთის მიმართ სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. ისევე, როგორც თურგისა და ყუბანის ოკრუგებში, აქ დასახლებულ კაზაკებს უნდა შეექმნათ აფხაზეთის კაზაკთა ჯარი. ამ მიზნის მისაღწევად აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებისა და მემამულური მიწისმფლობელობის არსებობა დაბრკოლებას წარმოადგენდა, რადგან ასეთ პირობებში აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმას ცარიზმი ვერ განახორციელებდა. მხარის კოლონიზაციისათვის თავისუფალი მიწები არ არსებობდა, ამიტომ ჯერ საჭირო იყო მკვიდრი მოსახლეობისაგან ამ მიწა-წყლის „გაწმენდა“.

1864 წ. აპრილში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ მოიწონა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ წარმოდგენილი წინადადებები. 24 ივნისს მიხეილ რომანოვმა ოფიციალურად აუწყა მიხეილ შარვაშიძეს იმპერატორის ბრძანება აფხაზეთის მთავრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ (სცსსა: ფ. 416, აღწ. 3, ს. 177, ფურც. 48; **Дзидзария, 1982**: 250-252). რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე მზად ჰქონდათ წინადადებები აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ მისი მიწაწყლის მკვიდრი მოსახლეობისაგან გათავისუფლების თაობაზე. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ ა. კარცოვს 1864 წ. 27 ივნისს წერდა: „თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ვფიქრობ, ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“ (**ჯანაშია, 1988a**: 7). ხელისუფლებას სურდა, რაც შეიძლება ჩქარა შედგომოდა აფხაზეთის კოლონიზაციას. „თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკ-რუსების მეშვეობით“ (**ჯანაშია, 1988a**: 7), აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მისი წინადადებით ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიას შორის საზღვრად უნდა დადგენილიყო გაგრის ქედი და ესეც მხოლოდ ერთი მიზნით: „თუ ჩვენ ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფის ორსავე მხარეს, – წერდა დ. სვიატოპოლკ-მირსკი 1864 წ. 6 ივნისის წერილში გენერალ ა. კარცოვს, – შევძლებთ საფუძველი ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში“ (**ჯანაშია, 1988a**: 7).

1864 წ. 12 ივლისს იმპერიის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. სამთავროს გაუქმების შემდეგ, აფ-

ნაზეთის მართვის დებულების დამტკიცებამდე შემოღებულ იქნა დროებითი „სამხედრო-სახალხო მმართველობა“, რომლის სათავეშიც აფხაზეთის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი *ჰავლე შატილოვი* იდგა (*Дзидзария, 1988b: 67; ხორავა, 2014: 81*). აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელიც მაშინ ავადმყოფობდა და ითხოვდა აფხაზეთში თუ არა იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში ცხოვრების უფლება მიეცათ, 1864 წ. ნოემბერში ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც 1866 წ. 16 აპრილს გარდაიცვალა. ივლისში, მისი ნეშტი ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში მეუღლის *ალექსანდრა დადიანის* გვერდით დაკრძალეს (*ხორავა, 2011: 283*). მათ საფლავებს ქართული ასომთავრული წარწერები ამშვენებს, რაც აფხაზეთის სამთავრო სახლის ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსადმი კუთვნილებაზე ნათლად მეტყველებს (*ჰაპასქირი, 2004: 187*). აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით და რუსული მმართველობის შემოღებით ამ მხარეში კოლონიური პოლიტიკური რეჟიმი დამკვიდრდა (*История Абхазии, 1986: 87*).

1865 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა ოკრუგების მიხედვით ასეთი იყო

- **სოხუმის ოკრუგი** – 2826 კომლი, 16475 სული;
- **ბზიფის ოკრუგი** – 3726 კომლი, 20090 სული;
- **აბჟის ოკრუგი** – 5049 კომლი, 32182 სული;
- **წებელდის საბოქაულო** – 1436 კომლი, 10443 სული.

სულ – 13037 კომლი, 79190 სული (*Аверкиев, 1866: 298*).

§2. აფხაზეთი XIX საუკუნის 60-იანი წლების II ნახევრიდან 80-იანი წლების დამდეგამდე

აფხაზეთში უშუალო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, რუსული ადმინისტრაცია შეუდგა ზრუნვას ამ მხარეში „სახელმწიფოებრივი წესრიგის“ დამყარებისათვის, რაც პირველ რიგში, თანმიმდევრული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. 1865 წელს აფხაზეთში გენერალ *ჰონსეს* მეთაურობით გაიგზავნა კომისია, რომელსაც საგლეხო რეფორმის გატარების წინ *მიხეილ შარვაშიძის* მამულების აღწერა და აფხაზეთის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გარკვევა დაევალა. 1866 წელს კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შეუდგა მზადებას საგლეხო რეფორმის გასატარებლად აფხაზეთში და ამ მიზნით ივლისის დასაწყისში იქ ახალი კომისია ჩავიდა თავად *ს. ბარატოვის (სულხან ბარათაშვილი)*, *კაპიტან-ლეიტენანტ ყორდანოვისა* და მოხელე *ჩერეპოვის* შემადგენლობით. კომისიის მუშაობამ, განსაკუთრებით კი ჩერეპოვის მოუფიქრებელმა და თავხედურმა ქმედებებმა ბზიფის ოკრუგის გლეხობის მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხებს რამდენადმე აშინებდათ რეფორმა; განსაკუთრებით აღელვებდათ ხმები იმ მიწების აუცილებელი გამოსყიდვის შესახებ, რომლებსაც თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ. ამ ხმებმა, აგრეთვე რუს მოხელეთა განუკითხაობამ გლეხები უკიდურესად გაანაწყენა და მღელვარება დაიწყო.

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვ. კონიარი მიხეილ შარვაშიძის ვაჟის – გიორგისა და ძმის – ალექსანდრეს თანხლებით, მოსახლეობასთან შესახვედრად სოფელ ლიხნში ჩავიდა. 26 ივლისს ლიხნში შეკრებილ ხალხს კონიარმა ხელისუფლების მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულება მოსთხოვა, რამაც აფხაზები მოთმინებიდან გამოიყვანა. შეიარაღებულ შეტაკებაში აფხაზებმა კონიარი და მისი თანმხლები პირები სიცოცხლეს გამოასალმეს. გიორგი შარვაშიძე ამაოდ ცდილობდა, შეეჩერებინა თანამემამულენი, მაგრამ ხალხმა მას არ დაუჯერა. აფხაზთა მღელვარება, რომელიც საგლეხო რეფორმისადმი უარყოფით დამოკიდებულებას მოჰყვა, რუსეთის იმპერიის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს და მოსთხოვეს სათავეში ჩასდგომოდა მათ ბრძოლას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ისიც იძულებული შეიქნა, მათ სურვილს დაჰყოლოდა. აფხაზთა აჯანყებამ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია საგრძნობლად შეაშფოთა. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო აჯანყების ჩასახშობად, სოხუმში დამატებითი ჯარის ნაწილები გადაისროლეს. ხელისუფლების სიფრთხილე დროული აღმოჩნდა. 30 ივლისს აჯანყებულებმა გაშლილი დროშებით სოხუმს შეუტიეს. გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა სოხუმის მისადგომებთან და ქალაქის ქუჩებში, მაგრამ ჯარის ნაწილებმა აჯანყებულების უკუგდება შეძლეს. აგვისტოში აჯანყება ჩაახშვეს, მისი მეთაურები კი სასტიკად დასაჯეს. აჯანყების აქტიურ მონაწილეთა ერთი ნაწილი სოხუმში საჯაროდ დახვრიტეს, ბევრი ციმბირსა და რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. გიორგი შარვაშიძე სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად ორენბურგის სამხედრო ოკრუგში გააგზავნეს (Дзидзария, 1955; ჭანტურია, 2006: 61-78).

ამდენად, აფხაზთა აჯანყების მიზეზი იყო აფხაზეთის სოციალურ-საზოგადოებრივი წყობის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, ჩინოვნიკური აპარატის უხეში ჩარევა აფხაზთა ცხოვრების წესში, ეკონომიკური სიღუხჭირე, თავისი ხასიათით ბატონყმური რეფორმისათვის ნიადაგის მომზადება, რამაც აფხაზეთის მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა.¹ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ცარიზმი მხარის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმის მომზადებას შეუდგა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული კონტროლის გაძლიერებას. 1866 წ. 11 აგვისტოს იმპერატორმა დაამტკიცა დებულება სოხუმის სამხედრო განყოფილების მართვის შესახებ.

დებულების თანახმად გაუქმდა აფხაზეთის ჯარების სარდლის მმართველობა და სამოქალაქო კანცელარია, სოხუმის საქალაქო რატუშა, სოხუმის კომენდან-

¹ ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის სტანისლავ ლაკობას შეფასებით აფხაზთა ეს აჯანყება ატარებდა „ძველთრად გამობატულ, ანტიკოლონიურ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს“/„ярко выраженный, антиколониальный национально-освободительный характер“ (Лакоба С., 1990b: 26). ამ შეხედულებას იზიარებს ზურაბ ჰაპასიერიც (ჰაპასიერი, 2004: 192; Папаскири З., 2010a: 142).

ტის მმართველობა, აგრეთვე წებელდისა და სამურზაყანოს საბოქაულოები. „აფხაზეთის, ქ. სოხუმთან ერთად, წებელდისა და სამურზაყანოს მიწებისაგან“ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ბიჭინთის, დრანდის, წებელდის, ოქუმის ოკრუგებად დაიყო. ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით შევიდა მასში ქ. სოხუმი. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლება მიენიჭა, თუმცა ნომინალურად ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსად გენერალ-მაიორი პ. შატილოვი დაინიშნა (**ხორავა, 2014: 82**). იმის გამო, რომ ცარიზმს გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. ბზიფიდან მდ. ენგურამდე შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაცია კაზაკ-რუსებით, სამურზაყანო (ოქუმის ოკრუგი) აფხაზეთს შეუერთეს.

1866 წლის აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა ოსმალეთში გადასახლების გეგმის პირველი დასაბუთება, რომელიც მოცემულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლკ-მირსკის 1866 წ. 27 ოქტომბრის მიმართვაში კავკასიის მთიელთა მმართველობის უფროსის დ. სტაროსელსკისადმი. მასში ნათქვამია: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება“ (**სცსსა: ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფურც. 21; Дзидзария, 1982: 283**). დ. სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, თუ ამ ნაბიჯზე წავიდოდნენ საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდებოდა. (**სცსსა: ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფურც. 21**). კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აფხაზთა გადასახლებას მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნევდნენ, რამდენადაც აფხაზეთი და წებელდა გეოგრაფიული მდებარეობის გამო დიდ როლს ასრულებდნენ კავკასიის ომის დროს და, მათი აზრით, კვლავაც ექნებოდა დიდი მნიშვნელობა კავკასიაში შესაძლო სამომავლო მოქმედების დროს. ამიტომ ამ მხარის მუსლიმი მოსახლეობის შემცირება მათი ოსმალეთში გადასახლების გზით, ხელს შეუწყობდა პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, მეფის ხელისუფლების განმტკიცებას მხარეში. მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „აფხაზთა გადასახლების მთავარ ამოცანად მიაჩნია რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან მოსახლეობის იმ ნაწილის მოშორება, რომელიც ხელისუფლებისადმი ყველაზე უფრო მტრულად არის განწყობილი“ (**Дзидзария, 1982: 284**).

1866 წ. ნოემბერში ალექსანდრე II დათანხმდა პირველივე შესაძლებლობისთანავე გაესახლებინათ აფხაზეთისა და წებელდის მუსლიმი მოსახლეობა ოსმალეთში. თავის მხრივ მუსლიმი აფხაზებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ოსმალეთში გადასახლებას, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს ოსმალეთში ნიკოლოზ იგნატიევს, დაავალა ამის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა პორტასთან. მალე, რუსეთის ელჩი შეუთანხმდა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს აფხაზთა გადასახლების შესახებ, იმ პირობით, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას მუჰაჯირები რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა (**Дзидзария, 1982: 284-285**). კავკასიის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ იმჟამად ხელისუფლებისათვის უმთავრესი აფხაზთა გადასახლების საკითხი იყო. ამასთან, ხელისუფლება აღია-

რებდა, რომ თუ აფხაზეთის მთელი მუსლიმი მოსახლეობა მოისურვებდა გადასახლებას, გარკვეულ სირთულესა და უხერხულობას შექმნიდა. ამიტომ, მათი აზრით, ეს პროცესი უნდა დაერეგულირებინათ. რეკომენდირებული იყო ასევე, რომ გადასახლებულთათვის უკან დაბრუნების ნება არ დაერთოთ (**Дзидзария, 1982: 285**). რუსეთის ხელისუფლებამ განსაზღვრა ემიგრანტთა რიცხვი. პორტა მზადყოფნას გამოთქვამდა აფხაზეთიდან 4000 ოჯახი მიეღო (**Дзидзария, 1982: 283**).

ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველ რიგში, გაესახლებინა წებელი-დალის მუსლიმი მოსახლეობა ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ითვალისწინებდნენ, რომ ამ თემების მოსახლეობა ცხოვრობდა მთის ძნელად მისაღწეობად ადგილებში და კავკასიონის ქედის უღელტეხილებით კავშირი ჰქონდა ყარაჩაელებთან და ყაბარდოელებთან. ამასთან, მათ რეფორმის საწინააღმდეგო მოძრაობაში ეღებოდათ ბრალი. პორტასაგან თანხმობის მიღების შემდეგ, ივნისში აფხაზთა გადასახლების ორგანიზებული პროცესი დაიწყო. თუმცა, მანამდე, 1867 წ. 6 აპრილს, სოფ. ფსირცხადან მუჰაჯირთა პირველი ნაკადი სამი ხომალდით გადასხეს ბათუმში, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ესენი იყვნენ ჯიქები და ფსხუელები (49 ოჯახი, 218 სული), რომლებიც სოფ. ფსირცხაში 1864 წლიდან ცხოვრობდნენ (**Дзидзария, 1982: 285-286**).

აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა, რაც ამკარად ჩანს იმდროინდელი დოკუმენტებიდან. 1867 წ. 31 მარტს მეფისნაცვალ იმპერატორს წერდა, რომ ბიჭვინთის ოლქის მცხოვრებთ არ სურდათ ოსმალეთში წასვლა. აფხაზები ნებაყოფლობით ქრისტიანობასაც იღებდნენ, რომ დარჩენა მოეხერხებინათ (**Дзидзария, 1982: 288**). გაზ. „დროება“ მაშინ იუწყებოდა: „აფხაზები ძლიერ დაჯავრიანებულნი არიან... სამურზაყანოში კანკალებენ შიშით, ვაითუ ჩვენც გადაგვასახლონო... აქაურებს და აფხაზებს დიდი ნათესაობა აქვთ. წებელი-დალები, დალელები და გუფუელები წავიდნენ. აბჟუის მაზრიდანაც მრავალი წავიდა. ჭილოუელები და ჯგერდელები გამორეკეს თავიანთი ბინიდან. მათ საშინელი გულით არ უნდათ წასვლა. აფხაზები დიდად აქებენ ბზუფუს მაზრის უფროსს დიმიტრი ჭავჭავაძეს. მან მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათ, რომ რუსის მმართველობის ქვეშ ყოფნა სჯობს ოსმალეთში გადასახლებას“ (**დროება, 1867**).

მუჰაჯირობა სამურზაყანოელებს არ შეხებია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ აქაური მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, ხოლო აფხაზები, ვინც აქ ცხოვრობდნენ, ქრისტიანები იყვნენ. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, *ამბროსი ხელაიას* ცნობით, მუჰაჯირობის დროს აფხაზეთის ეპისკოპოსთან *ალექსანდრე ოქროპირიძესთან* (1862-1869), რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა აფხაზებში, მოსულა მაჰმადიანი აფხაზი, სახელად *ურუსი*, 12 წლის შვილთან ერთად. მან მღვდელმთავარს აუხსნა მოსვლის მიზეზი – შენთან მოვედი კეთილ მოწყემსო, მე ოსმალეთში მივდივარ, სამშობლოს სამუდამოდ ვეთხოვები და ჩემი ვაჟი მინდა დავტოვო შენთან. ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება ჩემს ერთადერთ შვილს გავუზიარო და შენთან მოვიყვანე. ვიცი მიი-

ლებ, აღზრდი ქრისტიანულად და ბედნიერი იქნებაო. თვალ-ცრემლიანი მამა დაემშვიდობა შვილს, რომელიც ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აღზარდა, მღვდელი გახდა და დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში (**ხორავა, 2014:** 85-86).

კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ა. კარცოვი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა გადასახლების ხელშემწყობი გარემოება იყო „აფხაზური საგვარეულოების ნათესაური თუ მეგობრული კავშირები თურქეთში წასულ აფხაზურ თუ დასავლეთ კავკასიის მთიელებთან“ (**Дзидзария, 1982:** 282). აღსანიშნავია, რომ დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლებამ დიდი გავლენა იქონია ამ მოძრაობის დაწყებაზე აფხაზეთში. იგივე ა. კარცოვი ხაზს უსვამდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით საზოგადოების ზედაფენებს არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, მიებაძათ ერთმორწმუნე დას. კავკასიის მთიელებისათვის და ოსმალეთში წასულიყვნენ (**სცსსა:** ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფურც. 28). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზი მემამულეები დაშინებული იყვნენ საგლეხო რეფორმით. ისინი ხედავდნენ, რომ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და 1866 წლის აჯანყების შემდეგ, ხელისუფლების დამოკიდებულება მათ მიმართ შეიცვალა. იმპერიას ადგილობრივი თავადაზნაურობა უკვე არ მიაჩნდა თავის დასაყრდენად, რაც იმაში გამოიხატა, რომ გლეხთა მიწებზე მათი უფლებები არ ცნო. ეს მიმართული იყო ამ უკანასკნელთა კუთვნილი მიწების გამოთავისუფლებისა და შემდგომი კოლონიზაციისაკენ (**Дзидзария, 1982:** 279-280). ამის გამო აფხაზმა თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ოსმალეთში წაეყვანა დამოკიდებული გლეხობაც და მათ ხარჯზე აეგო თავისი ბედნიერება უცხოეთში. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, გენერალი *მიხაილ ტოლსტოი* 1867 წ. 16 მარტს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს წერდა, რომ დაახლ. 40 წებელდელ თავადს 1 მაისიდან განზრახული ჰქონდა ოსმალეთში გადასახლება გლეხთა 2170 ოჯახთან ერთად (**Дзидзария, 1982:** 280-281). გლეხები უნდა წაყოლოდნენ თავიანთ მემამულეებს, თუნდაც ამისი სურვილი არ ჰქონოდათ. ამას განაპირობებდა გლეხების ტრადიციული ურთიერთობა და, მათ შორის, ნათესაური დამოკიდებულება თავად-აზნაურებთან.

აღსანიშნავია, რომ წებელი-დალიდან გადასახლებულთა შორის იყვნენ 1866 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეები: *კვაჩ ზურაბ-იფა მარშანი, თათლასთან თენგიზ-იფა მარშანი, ფსხუბეი სასთანდაზ-იფა მარშანი, ყაზილბაქ მარშანი, შირინბეი მარშანი* და სხვები (**Чхетия, 1954:** 118-119). როცა გადასახლების პროცესმა მნიშვნელოვანი გაქანება მიიღო, ხელისუფლება შეეცადა შეეზღუდა იგი, რასაც მიაღწია კიდევ. 1867 წ. ივნისის დასაწყისში გადასახლების პროცესი დასრულდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ, შეთანხმებისამებრ, მუჰაჯირები რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან შორს დაასახლა – ნაწილი ანატოლიაში, ხოლო ნაწილი ბალკანეთში, ძირითადად ბულგარეთში (**Дзидзария, 1982:** 287-289).¹

¹ ოსმალეთში გადასახლებული აფხაზები თავდაპირველად კომპაქტურად დასახლდნენ და თავიანთ დასახლებებს ის სახელები შეარქვეს, საიდანაც იყვნენ გადმოსახლებულები. ასე გაჩნდა ოსმალეთში სოფლები: *ააცი, ანხუა, გუფ, ჯგერდა, ქლოუ, დალ, აჭან-*

გადასახლების პროცესში დგებოდა მუჰაჯირთა სიები სოფლების მიხედვით, ოჯახების რაოდენობის, ოჯახის თავკაცების სახელისა და გვარის მითითებით, ოჯახის წევრთა (ქალები, კაცები) რაოდენობის ჩვენებით. ამ სიების მიხედვით, სოფ. *ფსირცხადან* გადასახლდა 51 ოჯახი (210 სული), სოფ. *ფოქვეშიდან* – 10 (69 სული). აქედან 9 ოჯახი ფაჩულია – 65 სული, 1 ოჯახი ჯინჯია, სოფ. *ჭლოუდან* – 125 (539 სული), სოფ. *ათარიდან* – 7 (43 სული) და ა.შ. *ბიჭვინთის* ოკრუგიდან გადასახლდა 226 ოჯახი (1357 სული), *დრანდის* ოკრუგიდან – 629 ოჯახი (3245 სული), *წებელდის* ოკრუგიდან – 2503 ოჯახი (14740 სული). ამრიგად, აფხაზეთიდან, წებელი-დალთან ერთად, გადასახლდა არა დაგეგმილი 4500, არამედ 3358 ოჯახი, 19342 სული (**ხორავა, 2014: 89**). კავკასიის მთიელთა მმართველობის ცნობით, 1867 წლის ნოემბრისათვის სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის საერთო რაოდენობა უდრიდა – 64933 კაცს (**Сборник, 1869: 39**).

თითქმის მთლიანად „გაიწმინდა“ წებელი და დალი, რაც გამოწვეული იყო ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობით. ამ თემების თითქმის 15 ათასიანი მოსახლეობა თავისი სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გადასახლეს. 1868 წლის მონაცემებით, წებელში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში – არცერთი (**Сборник, 1869: 39**). აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ სულ მალე, 1874 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ინგლისელი მოგზაური *ფლორენს გროუვი (Florence Crauford Grove)*. იგი ყარაჩიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში, სადაც მოიხიბლა იქაურობით: „*ძნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელითი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება*“, – აღფრთოვანებით წერდა ფ. გროუვი და წუხდა იმაზე, რომ „*ხეობის ზემო წელი სრულიად უკაცრიელი იყო*“ (**Grove, 1875: 324-325; Грове, 1879: 212**).

1867 წელს აფხაზეთა მუჰაჯირობის გამო დაცარიელებული მიწა-წყლის დასახლებისა და სოხუმის სამხედრო განყოფილების მმართველობის შემდგომი ცენტრალიზაციის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება, რომელიც 1868 წ. მაისში განხორციელდა. გამსხვილდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. შეიქმნა ორი ოკრუგი – ბიჭვინთის,

დარა, უარჩა, ეშერა, აბყყვა, გუმა, წაბალ, აკაფა და სხვ. სოფლების მთელი რიგი სახელები დაკავშირებული იყო აფხაზურ საგვარეულო სახელებთან: ცგუა (ცგუას გვარის სოფელი), ტვანიქითა (ტვანების სოფელი), აუბლარქითა (აუბლას გვარის სოფელი), აშვიქითა (აშუბას გვარის სოფელი) და სხვ. სოფლების სახელები დაკავშირებული იყო აგრეთვე საკუთარ სახელებთან: თაფშიქითა (თაფშის სოფელი), კადირიქითა (კადირის სოფელი) და სხვ. (**Басариа, 1923: 107; Инал-Ипа 1990: 40-44**). აფხაზეთა კომპაქტური დასახლება ოსმალეთის ხელისუფლებას მრავალ პრობლემას უქმნიდა და ხელს უშლიდა მუჰაჯირთა გათურქების პროცესს, ამიტომ შემდეგ უკვე მუჰაჯირები გაფანტულად დაასახლეს. მართალია, თურქეთში ამჟამად ოფიციალურად არ არის აფხაზური ტოპონიმები, მაგრამ მუჰაჯირთა შთამომავლები თავიანთი განსახლების ადგილებს კვლავაც აფხაზურ სახელებს უწოდებენ (**Инал-Ипа 1990: 43-44**).

რომელიც შედგებოდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებისაგან, და ოჩამჩირის, რომელიც შედგებოდა კოდორისა და სამურზაყანოს უბნებისაგან. წებელდაში, რომელიც განსაზღვრული იყო მთლიანად კოლონიზაციისათვის, დასახლებათა მზრუნველობა შეიქმნა (**Эсадзе, 1907:279; История Абхазии, 1986: 89-90; ხორავა, 2014: 90**). ასეთმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1883 წლამდე იარსება. სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბაღრიფსტაზე (ხოლოდნაია რეჩკა) გადიოდა, სადაც მას ყუბანის ოლქის შავი ზღვის ოკრუგი ესაზღვრებოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგურზე, ხოლო ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (**ხორავა 2014: 90**).

XIX ს. 60-70-იან წლებში აფხაზეთა საზოგადოების ზედაფენა, რომელსაც უსიტყვოდ მიჰყვებოდა ხალხის დიდი ნაწილი, ქართული ორიენტაციისა იყო, რაც კარგად ჩანს აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის დეპუტატთა 1870 წ. 23 მარტის მოხსენებითი ბარათიდან წოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ დ. სვიატოპოლკ-მირსკისადმი. მას ხელს აწერდნენ ბათა ემუხვარი, მისოუსტ მარშანი, ტიტუ მარღანი, კონსტანტინე ინალიფა. მოხსენებითი ბარათის შემდგენლებს, აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. ისინი ხაზს უსვამდნენ აფხაზეთა და ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების ერთობას, ისტორიული ბედის ერთიანობას (**Ментешавили, 1998: 28-30; Папаскири 3., 2010a: 139-140; პაპასქირი, 2004: 187-189**).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ ცარიზმმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. აფხაზეთის კოლონიზაცია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. ამიტომ ცარიზმი ამ ამოცანის რეალიზაციისათვის ზრუნვას ენერგიულად შეუდგა. მაგრამ ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების საფიქრალს წარმოადგენდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ შავი ზღვის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ეს მხარე სრულიად დაცარიელებული იყო. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის იდეოლოგი ა. ვერეშჩაგინი მაშინ წერდა: „როგორც ფსოუს, ისე მძიმთას აუზებში, უკვე რამდენიმე წელია სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ იყო“ (**Верещагин, 1874: 66**).

ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების წინაშე იდგა ამოცანა, კვლავ დაესახლებინა ბუნებით უხვად დაჯილდოებული მაგრამ გაუკაცრიელებული მხარე; ეს მხარე ყაჩაღებისა და კონტრაბანდისტების თავშესაფარი არ უნდა გამხდარიყო, ამასთან მისი ბუნებრივი სიმდიდრე – ვრცელი ტყეები და ნაყოფიერი მიწები – აეთვისებინა, განევითარებინა მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, რისთვისაც აქ შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. მაგრამ უმთავრესი იყო მხარის მოსახლეობის საკითხი. ხელისუფლებას სურდა შავი ზღვის სანაპირო ზოლში პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად საიმედო მოსახლეობა ჰყოლოდა (**Вереща-**

გინ, 1878: 7-16). ამ ამოცანების რელიზაციის მიზნით შემუშავდა „*დებულება შავი ზღვის ოკრუგის დასახლებისა და მისი მართვის შესახებ*“, რომელიც იმპერატორმა 1866 წ. 10 მარტს დაამტკიცა. დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა შავი ზღვის ოკრუგი, რომელიც მოიცავდა შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიას მდ. ტუაფსედან მდ. ბადრიფსტამდე (**Верещагин, 1878: 7-11; Верещагин 1874: 24**).

1866 წ. 10 მარტის დებულების თანახმად შავი ზღვის სანაპირო ზოლი განსაზღვრული იყო რუს მოახალშენეთა „*სანაპირო სასოფლო დასახლებების*“ შესაქმნელად. გადმოსახლებულებისათვის განსაზღვრული იყო მთელი რიგი შეღავათები: ნადელები – ოჯახზე 30 დესეტინა, ერთდროული ფულადი დახმარება (50 მან.), გადასახადებისაგან გათავისუფლება 15 წლით, სარეკრუტო ვალდებულებისაგან გათავისუფლება და სხვ. მაგრამ, პირველ ხანებში, შავი ზღვის ოკრუგში გადმოსახლებული რუსების რიცხვი მაინც მცირე იყო. რუსეთის შიდა გუბერნიების მკვიდრთ უჭირდათ ადგილიდან დაძვრა, აშინებდათ გადასახლების სირთულე, ჰავის საკითხი. ამასთან, მათ ძირითადად აინტერესებდათ პური, ხოლო შავი ზღვის ოკრუგში სახნავი მიწები მცირე იყო და პურს აქ მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადმოსახლებაზე უარი არ ეთქვა ქრისტიანებისთვის ამიერკავკასიიდან და ანატოლიიდან, სლავებისათვის, მოლდაველებისათვის და სხვ. (**Верещагин, 1874: 20; Верещагин, 1878: 16-17**).

აფხაზეთის კოლონიზაცია იმავე პრინციპებით უნდა განხორციელებულიყო, როგორც შავი ზღვის ოკრუგის კოლონიზაცია. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, ცარიზმმა ყოფილი მთავრისა და სამთავრო სახლის წევრთა ვრცელი სამფლობელოების კონფისკაცია მოახდინა. 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთში ბევრი „თავისუფალი მიწა“ გაჩნდა. ეს მიწები შევიდა სახაზინო მიწების ფონდში, რომელსაც კავკასიის მთიელთა სამმართველო განაგებდა (**Дьячков-Тарасов, 1909-1910: 191; Дзидзария, 1982: 431**). სახაზინო მიწების ფონდში შევიდა აგრეთვე მოსახლეობისაგან სრულიად გათავისუფლებული წებელდა, რომელსაც ასევე კავკასიის მთიელთა სამმართველო განაგებდა. წებელდის ოკრუგის ნაცვლად, როგორც უკვე აღინიშნა, შეიქმნა წებელდის დასახლებათა „მზრუნველობა“. პირველ მზრუნველად რუსი ოფიცერი ნ.ა. დიაჩკოვ-ტარასოვი დაინიშნა. მის მოვალეობას შეადგენდა მხარის გაწმენდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რომლებიც თავს აფარებდნენ ხეობის მიუვალ ადგილებს, განსაკუთრებით მდ. საკენის ხეობას; მას უნდა შეერჩია ადგილები მომავალი დასახლებების მოსაწყობად, წარმოედგინა მათი დაწვრილებითი აღწერა და დასაბუთება, თუ რამ გამოიწვია ამ ადგილის არჩევა (**Дьячков-Тарасов 1909-1910:194**).

ხელისუფლება თვლიდა, რომ წებელდის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს მხარე პოლიტიკური თვალსაზრისით სანდო ხალხით უნდა დასახლებულიყო. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის აზრით, წებელდის კოლონიზაცია საჭირო იყო ამ მხარეში მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც

აფხაზთა ხელში „საცოდავ დღეში იყო“. მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, აქ უნდა განვეითარებინათ მებაღეობა, მეხილეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა. რადგან პურის მოყვანა მიზანშეწონილი არ იყო, უნდა დაენერგათ სიმინდი. მრეწველობის განვითარებისთვის აქ იყო სამშენებლო ხე-ტყე, სპილენძის, რკინის, ტყვიის მადნები (**Дьячков-Тарасов Н., 1868**). წებულდა თავისუფალი იყო მალარიისაგან, რაც აგრერიგად იყო გავრცელებული აფხაზეთის სანაპირო ზოლში, გამოირჩეოდა ჯანსაღი ჰავით, რბილი კლიმატით, ნაყოფიერი ნიადაგით, ამიტომ წებულდის დასახლებათა მზრუნველის აზრით, პრობლემა არ უნდა გამხდარიყო აქ მოსახლეობის მოზიდვა. ამდენად, წებულდა შეიძლებოდა გამხდარიყო აყვავებული მხარე – შესანიშნავი ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, სამთამადნო წარმოებით, ოღონდ ამისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი და მთავარი პირობა – გზების გაყვანა (**Дьячков-Тарасов, 1909-1910: 196**).

ხელისუფლებას სურდა წებულდაში აუცილებლად რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი პირველ ხანებში ხალისით არ მოდიოდნენ. ამასთან, მიწის სიმწირე-სივიწროვით სულმეხუთული ქართველები დასავლეთ საქართველოდან მოიწვედნენ აქ დასახლებლად, რაც ხელისუფლების შემფოთებას იწვევდა. ასეთ პირობებში, მთავრობამ არჩევანი უცხოელებზე შეაჩერა, უფრო სანდოდ ანატოლიელი ბერძნები და ბულგარელები მიიჩნია. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ ვ. გეიშანის ბრძანებით ოსმალეთიდან გადმოსახლებული პირველი ბერძენი კოლონისტები 1869 წ. თებერვალ-მარტში სამ სოფელში – *ალექსანდროვსკოე, გეორგიევსკოე, ოლგინსკოე* – ჩაასახლეს. 1869 წ. ივნისში სოხუმში ჩამოვიდა 1800-იანი წლების დასაწყისიდან ტირასპოლის გუბერნიაში მცხოვრები ბულგარელების 62 ოჯახი, რომლებიც *ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში* ჩაასახლეს (**Дьячков-Тарасов, 1909-1910: 196-199**).

იმავდროულად, ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი უბოძა რუს ჩინოვნიკებს – სამხედრო და სამოქალაქო პირებს, მაგრამ მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა სამსახურის პარალელურად მეურნეობის გაძღოლა, მიწების იჯარით გადაცემის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, რადგან მსურველები არ ჩანდნენ. ამის გამო მიწების დიდი ნაწილი გამოუყენებელი იყო. ასე თუ ისე აწყობილი მეურნეობა კოლონისტების მხოლოდ 8-10%-ს ჰქონდა. ჩინოვნიკთა დასახლებები არ ვითარდებოდა, მიწები დაუმუშავებლად იყო მიგდებული (**Олонецкий, 1934: 78; Дзидзария, 1982: 432**). 1866 წლის აფხაზთა აჯანყების ჩახშობისა და 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ იმპერიის უფრო მშვიდად შეუდგა აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებას. 1870 წ. 8 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა დებულება სოხუმის სამხედრო განყოფილებაში საგლეხო რეფორმის შესახებ, რომლის გამოცხადება მთავრობამ რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ათ წლისთავს – 1871 წ. 19 თებერვალს დაამთხვია. აფხაზეთში გაუქმდა ბატონყმობა, გლეხოთა გათავისუფლდა ფეოდალთა პირადი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ უმნიშვნელო ნაღვლები მიიღო და და დროებით დამოკიდებულ ურთიერთობაში დარჩა.

1872 წლიდან აფხაზეთში მიმდინარეობდა ე.წ. „საკურორტო“ კოლონიზაცია. ერთიდან სამ დესეტინამდე მიწა, ე.წ. „სანიტარული ნაკვეთები“ სოხუმსა და მის შემოგარენში შეღავათიანი პირობებით ეძლეოდათ რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს, მაგრამ 70-იან წლებში არც ამას მოჰყოლია დიდი წარმატებები (**Олонецкий, 1934: 79**). ხელისუფლება ფსხუს დასახლებასაც შეეცადა. ამ მიზნით აქ 21-ე სახაზო ბატალიონის შტაბი და 2 ასეული განათავსეს, რომლებიც 1874 წლამდე დარჩნენ. ამ დროიდან ბზიფის ხეობის ზემო წელი სრულიად დაცარიელდა. აფხაზებს, მათი პოლიტიკური არასაიმედოობის გამო, ისევე როგორც *წებულდაში*, *ფსხუში* დასახლება ეკრძალებოდათ (**Маевский, 1896: 90**). 70-იანი წლებიდან აფხაზეთში სამონასტრო კოლონიზაციაც წარიმართა. 1872 წ. დაფუძნდა ბიჭვინთის რუსული მონასტერი, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა 1049 დესეტინა მიწის ნაკვეთი, ფიჭვნარი და ინკითის ტბა. 1875 წ. ფსირცხაში *ათონის მთის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი* დაფუძნდა. მონასტერს გამოეყო 327 დესეტინა მიწა და 200 დესეტინა ტყის მასივი, მოგვიანებით, კიდევ 1000 დესეტინა მიწა გამოეყო (**ხორავა, 2007b: 260**).

1877 წ. აპრილში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. ომის დაწყებისთანავე რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. რუსული კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის კულმინაციას მიაღწია და და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, 29 აპრილს გუდაუთასთან ოსმალთა დესანტი გადმოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა, გენერალ-მაიორმა *ჰავლე კრავჩენკომ* ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან შებმა, სოხუმი დატოვა და მდ. კოდორისკენ დაიხია. აპრილ-მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ბრწყინვალე პორტას იმედი მიეცა, რომ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის მთელ მაჰმადიანურ მოსახლეობას აამხედრებდა, მაგრამ რუსეთის ჯარების წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე და განსაკუთრებით ბალკანეთში, იმედები გაუცრუა. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ აფხაზეთში და უკვე აგვისტოში მთელი მხარე გაწმინდეს თურქებისაგან (**Мерелидзе, 1955:77-84; მეგრელიძე, 1974:74**). აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა. მაგრამ მათი მეტი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები (მეგრელები) და ბერძნები ძალით წაიყვანეს (**Дьячков-Тарасов, 1909-1910: 206-208; Дзидзария, 1982: 356-369**).

1877 წელს აფხაზეთიდან მუჰაჯირობაში წასულთა რიცხვის გაანგარიშება შესაძლებელია 1878 წ. ბოლოს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ პ. არაკინის მასალების მიხედვით. 1878 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების ოჩამჩირის ოკრუგის სამურზაყანოს უბანში (9 სასოფლო თემი) 24 461 სული ცხოვრობდა. სამურზაყანოს მუჰაჯირობის პროცესი ამჯერადაც არ შეხებია.

ოჩამჩირის ოკრუგის კოდორის უბანში (9 სასოფლო თემი) 3 935 ოჯახი ცხოვრობდა. აქედან 1 071 ოჯახი გადასახლდა. „*Кавказский календарь*“-ის რედაქციას საჭიროდ მიუჩნევია კოდორის უბნის მოსახლეობის სულადობრივი გაანგარიშება, რისთვისაც ამოსავლად აუღია გუმისთისა და გუდაუთის უბნების კომლობრივი-სულადობრივი მონაცემები. კერძოდ, თითოეული კომლის წევრთა საშუალო ოდენობის განმსაზღვრელად, არგუმენტირებული ვარაუდით, ოთხნახევარი სული მიუჩნევიან. ასეთი გაანგარიშებით ოსმალეთში გადასახლებამდე კოდორის უბანში მოსახლეობის ოდენობა დაახლ. 17 707 სული უნდა ყოფილიყო, საიდანაც ოსმალეთში დაახლ. 4819 სული გადასახლდა, ხოლო დაახლ. 12 888 ადგილზე დარჩა. ბიჭვინთის ოკრუგის გუმისთის უბნიდან (8 სასოფლო თემი), სადაც 2 221 ოჯახი (9 985 სული) ცხოვრობდა, ყველა გადასახლდა. გუდაუთის უბნის (17 სასოფლო თემი) 5 293 ოჯახიდან (23 545 სული) 17 160 მცხოვრები (3 775 ოჯახი) გადასახლდა, ხოლო 6 385 სული ადგილზე დარჩა (**КК, 1878**: 330-331). ამრიგად, 1877 წელს მუჰაჯირობაში აფხაზეთის დაახლ. 31 964 მცხოვრები წავიდა. თუ 1867 წლის მუჰაჯირობის შედეგად მთლიანად დაიცალა კოდორის ხეობის ზემო წელი – წებელი და დალი, 1877 წლის მუჰაჯირობის შედეგად თითქმის დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. აღსანიშნავია, რომ ქართველი მისიონერების დაუღალავმა საქმიანობამ, ათასობით აფხაზის მონათვლამ, აფხაზი ხალხი მასობრივად გადასახლებისაგან იხსნა და, ამრიგად, უბიხების მსგავსად ფიზიკური განადგურებისაგან დაიფარა (**გამახარია, 2005**: 511).

როდესაც მიწიერი სამოთხის შესახებ მითი დაიმსხვრა, მუჰაჯირები დაბრუნებას შეეცადნენ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას მათი მიღება არ სურდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებული შეთანხმებითაც მუჰაჯირებს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ, რამაც უკან დაბრუნების მსურველთა ნაკადი შეამცირა, მაგრამ, მიუხედავად ამისა მუჰაჯირები ყოველნაირად ცდილობდნენ სამშობლოში დაბრუნებას. *სან-სტეფანოს ზავის* დადების შემდეგ ისინი პირველ რიგში ბათუმისკენ გაემართნენ და იქიდან შეეცადნენ აფხაზეთში დაბრუნებას. ბევრი მათგანი ბათუმსა და მის შემოგარენში დამკვიდრდა და მათი შთამომავლები დღესაც იქ ცხოვრობენ. 1879 წ. 27 იანვარს რუსეთ-ოსმალეთს შორის ხელი მოეწერა კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ დაუშვა აფხაზების ნაწილობრივი რეპატრიაცია ხელშეკრულების მოწერის დღიდან სამი წლით. 1881 წლისთვის აფხაზეთში 15 ათასამდე მუჰაჯირი დაბრუნდა (**Дзидзария, 1982**: 381, 396). მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. მუჰაჯირობის შემდეგ გაუკაცურებული აფხაზეთი დამორგუნველი სანახავი იყო. როგორც ნ. მარი აღნიშნავდა: „*აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გავლურებული ეზოები ხეხილით, არ იყო არც ერთი აფხაზი და არც აფხაზური სიტყვა ისმოდა*“ (**Март, 1938b**: 177).

რუსეთის ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი მიიღო საკოლონიზაციოდ, ამჯერად აფხაზეთის სანაპირო ზოლში, და მის წინაშე კვლავ დადგა საკითხი, ვინ

დაესახლებინა აფხაზეთში. მაშინ, ცხელ კვალზე, 1877 წ. 27 სექტემბერს, გაზ. „*Тифлисский вестник*“-ი წერდა: „ახლანდელმა ომმა, სხვა მრავალ შედეგებთან ერთად, გამოიწვია ის შედეგიც, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე მოულოდნელად გაუღებურდა, ვინაიდან ის მიატოვა თითქმის ყველა მისმა მკვიდრმა მცხოვრებმა. ჩვენ ვლანარაკობთ აფხაზეთისა და მისი მცხოვრებლების შესახებ, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ თურქეთში. უჭვს გარეშა, რომ ეს გადასახლება დროებითი არ არის, არამედ საშუადამოა: აფხაზეთი ვერასოდეს ვეღარ იხილავს თავის შვილებს. ეს გარემოება რიგში აყენებს საკითხს: ვინ უნდა დასახლდეს ამ მხარეში, რომელიც საშუადამოდ დატოვა მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ“.

წერილის ავტორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) იყო. მისი გამოქვეყნება გამოწვეული იყო იმით, რომ 1877 წ. №207 გაზ. „*Кавказ*“-ში დაიბეჭდა სოხუმის ოკრუგის უფროსის ა. ვედენსკის სტატია, რომელიც, თავის მხრივ, მიმართული იყო ი. გოგებაშვილის წერილების წინააღმდეგ, რომლებიც „*Тифлисский вестник*“-ის 209-ე, 210-ე ნომრებში გამოქვეყნდა. ი. გოგებაშვილის ამ წერილებში ის აზრი იყო გატარებული, რომ დაცარიელებული აფხაზეთისათვის საუკეთესო კონტინგენტს შეადგენდნენ მეგრელები, იმერლები და გურულები. სწორედ ამ წერილს მოჰყვა ა. ვედენსკის მწვავე გამომოხმარება. პასუხად, ი. გოგებაშვილმა ყოველმხრივ შეისწავლა საკითხი და ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ასაბუთებდა. როგორც აღმოჩნდა, ა. ვედენსკი დაეთანხმა მის მოსაზრებას, გაზეთის რედაქციას ესტუმრა და განაცხადა, რომ ამიერიდან სადავო არაფერი ჰქონდა (**გოგებაშვილი, 1954: 317**).

აფხაზი ისტორიკოსები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას XIX ს. II ნახევარში აფხაზეთში ქართველთა ჩასახლებაზე მაშინ, როცა სიტყვას არ სძრავენ რუსების, სომხების, ბერძნებისა და სხვათა დამკვიდრებაზე, ხოლო ი. გოგებაშვილს აფხაზეთის კოლონიზაციის იდეოლოგიად მიიჩნევენ (**Бражба О., Лакоба С., 2015: 270-271**). ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. **Лакоба С., 1993**). ფაქტობრივად, ქართველების ჩასახლება აფხაზეთში ისტორიული სამართლიანობის აღდგენას წარმოადგენდა, XVII-XVIII სს. მათი წინაპრების ამ მხარიდან გამოდევნის გამო (**გამახარია., 2018: 194**). რაც შეეხება ი. გოგებაშვილს, ის კარგად ხედავდა, რომ რუსეთის ხელისუფლება არ დაუშვებდა ეს მხარე არ აეთვისებინა, იმპერიის ევროპული ნაწილიდან გადმოსახლებულები კი ვერ ეგუებოდნენ აფხაზეთის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს და მათში სიკვდილიანობის მაჩვენებელი დიდი იყო, ამ მხარეს ყველაზე უკეთ ეგუებოდნენ მეგრელები, იმერლები და გურულები.

1878 წ. გაზაფხულიდან ხელისუფლება აფხაზეთის კოლონიზაციისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა. 1878 წ. 1 მაისს ბიჭვინთის ოკრუგის მმართველობამ გამოაქვეყნა განცხადება სოფ. ანუხვის ვენახებისა და ხეხილის ბაღების ერთი წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. იმავე წლის 25 მაისს გამოცხადდა მდ. გუმისთიდან მდ.კოდორამდე ტერიტორიაზე არსებული ხეხილის ბაღებისა და ვენახების ერთი წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. 5 ოქ-

ტომბერს სოხუმის სამხედრო განყოფილების სახელით გამოცხადდა მდ. მაჭარასა და მდ. კოდორს შორის ტერიტორიიდან გადასახლებული აფხაზების მიწების იჯარით გაცემის თაობაზე. გარდა მოიჯარეთა მოწვევისა, ბიჭვინთის ოკრუგში სამინაკვეთი გამოიყო რუსი კოლონისტებისათვის სამუდამო მფლობელობაში გადასაცემად. 1879 წ. ბიჭვინთის ოკრუგში რუსი გლეხების 137 ოჯახი ჩაასახლეს, მაგრამ უკვე 1881 წელს მათგან მხოლოდ 99 ოჯახი იყო დარჩენილი. აქ ვერც გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ. 24 გერმანელი კოლონისტის ოჯახიდან 1883 წლისთვის აფხაზეთში მხოლოდ 3 ოჯახი იყო დარჩენილი (**Олонецкий, 1934: 79**).

ამდენად, 60-70-იან წლებში კოლონიზაციის წარმატებები აფხაზეთში უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ცარიზმის დიდი მონდომებისა, აფხაზეთის კოლონიზაცია გაჭიანურდა. რუსები ვერ ეგუებოდნენ აფხაზეთის ბუნებრივ პირობებს – ნოტიო ჰავა, ტყიანი, მთიანი ქვეყანა, ჭაობიანი სანაპირო ზოლი; პური არ მოდიოდა, მარცვლეული კულტურებიდან სიმინდი მოდიოდა, რაც მიუჩვეველი იყო რუსებისათვის (**მესხი, 1878**). სანაპირო ზოლში ციებიანი ჰავა მუსრს ავლებდა კოლონისტებს; წებელისა და დალის მატალმთიანი პირობები შეუჩვეველი იყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მიწები რუს ჩინოვნიკებს დაურიგეს, ქვეყანა კვლავ დაუსახლებელი იყო, მიწები კი უპატრონოდ მიგდებული. წებულდაში მიწებს 24, ხოლო დალში 23 მემამულე ფლობდა. ისინი რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ აკითხავდნენ თავიანთ მამულებს. დალში, სადაც 1867 წლის მუჰაჯირობამდე 5 ათასამდე მცხოვრები იყო, XIX ს. მიწურულსაც კი არავინ ცხოვრობდა. ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე ჭარაია 1897 წელს დალის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაჭედილი იყო აფხაზეთითა... ძველათ იქურ მცხოვრებთა ვაჟკაცობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს“ (**ჭარაია, 1897: 268**).

აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, როდესაც აფხაზეთის დიდი ნაწილი გაუკაცრიელდა და გავერანდა. რუსები და უცხოელები ხალისით სულაც არ მოდიოდნენ აქ დასასახლებლად. ამ ფონზე იმერეთიდან და სამეგრელოდან მიწის სიმცირითა და სიმწირით სულშეხუთული გლეხობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, ამრობდა ჭაობებს, კაფავდა ბუჩქნარებს, ნარ-ეკალს და მეურნეობას მისდევდა. დასავლეთ საქართველოდან გლეხების გადასვლამ და აფხაზეთში დამკვიდრებამ ხელისუფლება შეაშფოთა. გაზეთი „Черноморский Вестник“-ი მაშინ წერდა: „აუცილებელია ჩქარა დავასახლოთ რუსები შავი ზღვის სანაპიროზე, თორემ მეგრელები დაღუპავენ ამ წმიდა საქმეს“ (**ცნობის ფურცელი, 1905, №2821**). ცარიზმის მოხელეები თვლიდნენ, რომ წლების განმავლობაში ხელისუფლებას აფხაზეთის კოლონიზაცია „საჭირო სისტემურობის გარეშე უწარმოებია, რადგან რუსებს აქ ფეხი ისე ვერ მოუკიდებიათ, როგორც საჭირო იყო“ (**Гершельман, 1908: 21**). შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ზემოთნახსენები იდეოლოგი ა. ვერემჩაგინი ამის თაობაზე 1878 წ. 19 იანვარს აღნიშნავდა: „...შავი ზღვის კავკასიის სანაპი-

როზე, როგორც სახელმწიფოს განაპირა მხარეში, რომელიც ასე ბევრი რუსული სისხლი და ფული დაჯდა, სამართლიანად უნდა ბატონობდნენ რუსული ეკლესია, რუსული ენა, რუსული წერა-კითხვა. მოსახლეობის სხვადასხვატომობრიობა იწვევს სკოლების დაარსების აუცილებლობას, რადგან მხოლოდ სკოლით შეიძლება ეს სხვადასხვატომობრივი მოსახლეობა მომავალში რუსად იქცეს“ (**Верещагин 1878: 22**).

იმპერიის პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო აფხაზთა და ქართველთა წინააღმდეგ. 1877 წლის აჯანყების გამო, იმპერატორის 1880 წ. 31 მაისის ბრძანებულებით გუდაუთის, გუმისთის და კოდორის უბნების „დამნაშავე მოსახლეობად“ გამოცხადებულ აფხაზობას ჩამოერთვა მიწაზე საკუთრების უფლება, მათი მიწები სახაზინო უწყებას გადაეცა. აფხაზებს აკრძალათ აგრეთვე სოხუმიდან 20 ვერსზე და სანაპირო ზოლში – მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის დასახლება (**Лакоба С., 1990b: 35**). იმხანად, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ჯუღელი წერდა: „ახლა აფხაზეთში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია აქაური უდაბური ადგილების დასახლება. უკანასკნელი ომის (1877-1878 წწ. ომი, – **ბ.ბ.**) შემდეგ უმადლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შუა მდებარე ადგილებზე აფხაზები არ დასახლებულიყვნენ. მათ გარდა ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა. ქვეყანას მიღეთის ხალხი მოაწყდა, მაგრამ აქაურობას ვერავინ შეეთვისა გარდა იმერელ-მეგრელებისა და ბერძნებისა. ამჟამად სოხუმის გარშემო შვიდი-რვა მეგრელების სოფელია და სამი თუ ოთხი ბერძნებისა“ (**გადაღმელი, 1883**).

მოგვიანებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი სერგეი მარაჰოვი რუსეთის ზრახვებზე აფხაზეთში გულახდილად აღნიშნავდა: „მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლისას, მიისწრაფვის რა სამხრეთისაკენ, თბილი ცისა და თბილი ზღვისაკენ, რუსი ხალხი იღებს მსხვერპლს და, აი, ბოლოს მას ექვს ეს ცაც და ეს ზღვაც. აქ ფრიალებს რუსული დროშა, დალივლივებს რუსული არწივი. მაგრამ რატომაა, რომ რუსი კაცი აქ ლაღად ვერ გრძნობს თავს, რატომაა რომ ის აქ შევიწროებულია, სულმეხუთულია? რატომაა უცხო ის ამ თბილ ნაპირზე, ამ კაშკაშა მზის ქვეშ? ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსული სიკეთის წყალობით აქ, ამ მიწაზე, რომელიც რუსული სისხლითაა მოპოვებული, მოკალათდა ყოველგვარი უცხოტომელი, განსახლდა საუკეთესო ადგილებზე და არა მარტო ავიწროებს რუს ადამიანს, არამედ დასცინის მას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნავი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“ (**ყაუხჩიშვილი ს., 1946: 134-135**).

§3. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს

1877-1878 წლების ომისა და მუსლიმ აფხაზთა ოსმალეთში გადასახლების შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მთავარ ამოცანად იქცა მხარეში ე.წ. „რუსული მოქალაქეობის“ დამკვიდრება. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების მთავარი პირობა კი, როგორც აღნიშნავდა კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი *ფეოდორ გერშელმანი*, სწორედ აფხაზეთის მხოლოდ და მხოლოდ „რუსული მოსახლეობით“ კოლონიზაცია იყო (**სილაგაძე, გურული, 2001: 309; ჰაპასქირი, 2004: 210**). აფხაზეთის რუსიფიკაციის გზაზე ხელისუფლებას ხელს მხოლოდ აქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა უშლიდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ფონზე ქართველთა (მათ შორის აფხაზეთის მკვიდრთა) საერთო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. ამის გამო კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა ცალკეული ქართული კუთხეების ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბება. ამიტომაც ცარიზმი გამალებით შეუდგა „დაყავი და იბატონეს“-ს ცნობილი იმპერიული ფორმულის რეალიზაციას საქართველოში.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი „სამუშაო“ ჩატარდა მეგრელთა „ეროვნული“ თვითშეგნების გამოსადვიძებლად. მეგრულ მოსახლეობას ყოველნაირად უნერგავდნენ აზრს, რომ ისინი ქართველები არ არიან. სწორედ ამ ვერაგული პოლიტიკის ნაწილი იყო ე.წ. „სამურზაყანოელთა“ გამოცხადება არაქართველებად და მათი აფხაზი ეთნოსისადმი მიკუთვნების მცდელობა. ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ზემოთ ნახსენები ფ. გერშელმანის კანცელარიიდან გამომავალი ოფიციალური დოკუმენტებიდან. ასე მაგალითად, თავის მოხსენებით ბარათში (1900 წ. 2 სექტემბერი) გენერალი ფ. გერშელმანი, ხაზს უსვამდა რა სოსხუმის „ოკრუგის“ (ანუ თანამედროვე აფხაზეთის) მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელეს, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის (სულ: 96 377 მცხოვრები) 71%-ს შეადგენდა აფხაზობა, რომელთაგან 33,5% იყვნენ საკუთრივ აფხაზები, ხოლო 37,5% – სამურზაყანოელები (**სილაგაძე, გურული, 2001: 303; ჰაპასქირი, 2004: 211**). სხვა დოკუმენტში (სოსხუმის „ოკრუგის“ მოსახლეობის შესახებ 1900 წ. იანვრისათვის) იგივე ფ. გერშელმანი იძლევა შემდეგ სტატისტიკას: მოსახლეობის საერთო რაოდენობა – 103 262 სული, მათგან: 36 352 – სამურზაყანოელი; 32 127 – აფხაზი; 16 195 – მეგრელი; 7 812 – თურქეთის ქვეშევრდომი სომეხი; 4 486 – რუსი; 3 862 – ბერძენი; 6 – ქართველი; 3 – იმერელი; 3 – გურული; 820 – გერმანელი და ესტონელი; 934 – თურქი და სხვ. (**სილაგაძე, გურული, 2001: 303; ჰაპასქირი, 2004: 212**).¹ აი, ასე ურცხვად, ერ-

¹ არადა, რუს მოხელეს თავისი დოკუმენტის სხვა ადგილას რატომღაც „ავიწყდება“ ზემოთ მოყვანილი ციფრები და უკვე მარტო ქ. სოსხუმში ასახელებს 1300 იმერელს (3-ის ნაცვ-

თი ხელის მოსმით, რუსეთის იმპერიის ოფიციალური პირები ცდილობდნენ სამურზაყანოს მოსახლეობის მოწყვეტას დანარჩენი საქართველოსაგან.

სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხით სპეკულირება ცარისტულმა რეჟიმმა ჯერ კიდევ XIX ს. I ნახევარში დაიწყო. აქ პირველობა რუს ოფიცერსა და მოგზაურს მიხაილ სელეზნიოვს ეკუთვნის, რომელმაც უკვე 1847 წელს – სამურზაყანოზე უშუალო კონტროლის დაწესებიდან 7 წლისთავზე – გამოსცა ნაშრომი, რომელშიც სამურზაყანოელები ერთმნიშვნელოვნად აფხაზებად გამოაცხადა (**Селезнев, 1847: 135-136**). როგორც ჩანს, მ. სელეზნიოვმა XIX ს. 30-იან წლებში საქართველოში მყოფი ფრანგი მეცნიერისა და მოგზაურის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომითაც ისარგებლა. მან შენიშნა, რომ სამურზაყანოში ქართველები და აფხაზები თანაცხოვრობდნენ და ორივე ენაზეც საუბრობდნენ (**Дюбуа де Монпере, 1937: 163**). ამგვარი ვითარება შენარჩუნდა XX საუკუნის დასაწყისისთვისაც. სამურზაყანოს მოსახლეობა მეგრული იყო, მაგრამ მას, ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, შეეთვისებინა აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულება (**ჯავახიშვილი, 1998c: 461**). აფხაზური ენა, უმთავრესად, სამურზაყანოელმა მამაკაცებმა იცოდნენ, ადგილობრივი მეგრული და აფხაზი ქალები და ბავშვები კი მეზობლების ენას არ ფლობდნენ (**ბახია-ოქრუაშვილი, 2008: 70**).

მ. სელეზნიოვის თეზისმა გაგრძელება ჰპოვა ა. ბერჟეს, ს. დუხოვსკის, გ. ფილიპსონის პუბლიკაციებში (**Берже, 1857: 6-7; Духовский, 1864: 44; Филиппсон, 1885: 208**). 1860 წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნდა ამ რუსული ნარატივის პირველი კრიტიკა. დიმიტრი ბაქრაძე, მართალია, ამ საკითხს ძალიან არ უღრმავდებოდა, მაგრამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამურზაყანოელები მეგრელებისა და აფხაზების შერევისგან ჩამოყალიბდნენ (**Бакрадзе, 1860**). ა. ბერჟეს მოსაზრება მალევე გააკრიტიკა დიმიტრი ფურცელაძემ, რომელმაც თავის არგუმენტებში ხაზი გაუსვა სამურზაყანოს წარსულს, ისტორიულ ძეგლებს ქართული წარწერებითა და მის თანამედროვე სამურზაყანოელთა სასაუბრო ენას, რომელიც, ავტორის თქმით, მეგრული იყო (**Пурцеладзе, 1864: 14-17**). სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხის რუსული ხედვა დაედო საფუძვლად XIX ს. 60-იან წლებში აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გასატარებლად საგანგებოდ შექმნილი „წოდებრივ-სამიწათმოქმედო კომისიის“ ოფიციალურ დოკუმენტაციას, რომელშიც სამურზაყანოელები უაპელაციოდ აფხაზებს მიაწერეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს მეგრელებად მიიჩნევდნენ (**Эсадзе, 1907: 514**).

ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ პეტრე ჭარია წერდა: „სამურზაყანოელები კი იგივე მეგრელები არიან, თუმც ბევრს არა ჰჯერა. ენა, ეს უმთავრესი ნიშანი ეროვნობისა, ამტკიცებს ამას. მთელ სამურზაყანოში მეგრულათ ლაპარაკობენ. იმის დასავლეთ ნაწილში, უფრო მთაგორიან ადგილებზე, აფხაზურიც იციან“ (**ჭარია, 1897: 218**). სამურზაყანოელთა წარმომობის შესახებ ცარიზმის პროპაგანდისტ

ლად), 200 „ქართველ“-„грузин“-ს (ნაცვლად 6-ისა) და მხოლოდ 100 აფხაზს (**სილაგაძე, გურული, 2001: 303; პაპასქირი, 2004: 212**).

რუსი მკვლევარებისაგან განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული ანონიმი ავტორის (ვარაუდობენ, რომ ხელმოუწერელი წერილი ეპისკოპ გაბრიელ ქიქოძეს ეკუთვნის) მიერ 1868 წელს გაზეთ «Кавказ-ში გამოქვეყნებულ ვრცელ მასალაში ამიერკავკასიის მოსახლეობაზე. აქ, მართალია, სამურზაყანოელები ცალკე ტომად არიან მოხსენიებული, მაგრამ ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი მეგრელებისგან მომდინარეობენ (**Главнейшие сведения...**, 1868: 2-3). თავის მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ამყარებს: იგი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელები, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თავად-აზნაურობა, ძირითადად მაინც, აფხაზური წარმოშობისაა, უმთავრესად, მეგრულად მეტყველებენ (**Главнейшие сведения...**, 1868: 2). მეგრული კი, მისი აზრით, ქართული ენის ერთ-ერთი კილოა (**Главнейшие сведения...**, 1868: 3). ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება ადოლფ ბერჟესა და გერმანელი მეცნიერის *შნიცლერის* მოსაზრებებს, რომ სამურზაყანოელები აფხაზები არიან; სამურზაყანოელებს საკუთარი საღვთისმეტყველო ენის შექმნა არც უცდიათ, რადგან ამისათვის, ტრადიციულად, ქართულს იყენებენ (**Главнейшие сведения...**, 1868: 2). „ჩვენთვის ცნობილია, – წერს პუბლიკაციის ავტორი, – რომ სასულიერო ხელისუფლებამ ერთ სამურზაყანოელ ღვთისმსახურს დაავალა წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გადათარგმნა, მაგრამ სამეგრელოსა და სამურზაყანოს მოსახლეობის ყველა წოდება წინ აღუდგა ამ საქმეს... ამიტომ მთარგმნელის ეს საპატიო შრომა პრაქტიკული გამოყენების გარეშე დარჩა“ (**Главнейшие сведения...**, 1868: 3).

სტატიაში სამურზაყანოელთა ქართველობის დამადასტურებლად ისტორიული ფაქტებიცაა მოტანილი, რომელთა მიხედვით თანამედროვე სამურზაყანოს ტერიტორია ჯერ ისტორიული კოლხიდის, მოგვიანებით კი ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა. ამ მხარის ქართული სამყაროსადმი კუთვნილებას, ადასტურებენ ისტორიული ძეგლები, რომელთა შორისაა ილორისა და ბედიის ტაძრები, სადაც დაკრძალულია საქართველოს მეფე ბაგრატ III და იქ არსებულ ხატებზე შემონახულია წარწერები. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს მხარე მეგრელი მთავრების – დადიანების – კუთვნილება ყოფილა (**Главнейшие сведения...**, 1868: 2).

სამურზაყანოელთა იდენტობის გარკვევის საკითხში საინტერესოა „რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის“ მონაცემები. აღნიშნული გამოცემის IV ტომის ავტორები აღიარებენ სამურზაყანოელთა „ქართულ წარმომავლობას“, თუმცა აღნიშნავენ, ისინი უფრო აფხაზებს ჰგვანან, განსაკუთრებით სამურზაყანოს დასავლეთი ნაწილის მცხოვრებნი (**Географическо-статистический словарь...**, 1873: 423). აქ სადაო არც არაფერია, რადგან სამურზაყანოსა და აბჯუის მოსაზღვრე ზოგიერთ სოფელში მართლაც ცხოვრობდნენ აფხაზები. რაც შეეხება მოსახლეობის სარწმუნოებრივ მდგომარეობას, „ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ ადრე ისინი ქრისტიანები ყოფილან, თუმცა ამჟამად, ძირითადად, წარმართები არიან (**Географическо-статистический словарь...**, 1873: 423).

XIX ს. 80-იან წლებში ჩატარებული აღწერების შედეგად, „გაირკვა“, რომ სამურზაყანოში ქართული (მეგრული) მოსახლეობა უმცირესობაში იყო აფხაზურ

ეროვნულ უმრავლესობასთან: 5 572 აფხაზური ოჯახი და მხოლოდ 222 – ქართული /მეგრული/ (Кудрявцев, 1922: 179). 1886 წელს იქვე ცხოვრობდა 29 520 აფხაზი და მხოლოდ 984 ქართველი /მეგრელი/ (Введенский, 1882-1883: 95; Ачугба, 2010: 163). ის, რომ სამურზაყანოელებს ქართველებს (მეგრელებს) მიაკუთვნებდნენ, მშვენივრად იცოდა აფხაზეთის ნაციონალ-ბოლშევიკური რეჟიმის ლიდერმა ნესტორ ლაკობაძე, რომელიც, როგორც ცნობილია, ქართველთა მიმართ დიდი სიყვარულით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. მისი განმარტებით, XX ს. 30-იანი წლებისათვის მთელს აფხაზეთში აფხაზთა რაოდენობა 60 000 ადამიანიც კი არ იყო, რადგან იმ რაოდენობაში მითვლილი იყო მეგრულენოვანი მოსახლეობაც, რომელიც, აფხაზი ბოლშევიკის აზრით, ქართველთა საერთო რიცხვისათვის უნდა მიემატათ (Лакоба Н., 1987: 213; ჰაპასქირი, 2004: 219; Папаскири 3., 2010a: 159).

XIX ს. 90-იანი წლების დამდეგს, რუსმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა ნიკოლაი ალბოვმა კი, რომელიც ეთნოლოგიისა და ისტორიის ცოდნისაგან საკმაოდ შორს იდგა სამურზაყანოელთა ეთნოლოგიის კვლევაში არსებითი „სიახლე“ შემოიტანა. მისი მტკიცებით, სამურზაყანოელები იგივე აფხაზები არიან, რადგან, ისევე როგორც აფხაზები, ვაჭრობისადმი ზიზღით განსხვავდებიან მეგრელებისაგან (Альбов, 1893: 306). ამავე პერიოდში თავისი „კვლევის“ შედეგები წარმოადგინა რუსმა მეცნიერმა ივანე პანტიუხოვმაც, რომელიც ჯერ საგაზეთო სტატიის, შემდეგ კი, იმავე წელსვე, ცენტურის ანუ ხელისუფლების ნებართვით, ცალკე ბროშურის სახითაც გამოიცა (Пантюхов, 1892). მკვლევარმა მიზნად დაისახა სამურზაყანოელთა და აფხაზთა იდენტურობის დამტკიცება და, ძირითადად, მეგრელებისა და სამურზაყანოელების განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ეძებდა.

მისი განცხადებით, „სამურზაყანოდ ძველთაგანვე იწოდება ქვეყანა, მდებარე სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის“; ისტორიული წყაროებით (თუმცა არ აკონკრეტებს ამ „წყაროებს“) სამურზაყანოს ტერიტორიაზე „რომელიდაც განსაკუთრებულ ხალხს უცხოვრია“, ხოლო ადგილობრივი ქრისტიანული ტაძრები ბიზანტიელების მიერ ყოფილა აგებული იუსტინიანეს კეისრობის დროს (Пантюхов, 1892: 1).¹ პანტიუხოვს მიაჩნდა, რომ სამურზაყანოელები თავდაპირველად აფხაზურად საუბრობდნენ, თუმცა, მეგრელთა მოწოდის შემდეგ, მათ მშობლიური ენა დაივიწყეს და ამჟამად თავს მეგრელებად მიიჩნევენო (Пантюхов, 1892: 2).

ი. პანტიუხოვს საგანგებოდ ანთროპოლოგიური „კვლევებიც“ ჩაუტარებია, რომლის შედეგაც მან „დაასკვნა“, რომ ამ მხარის მოსახლეობა განსხვავდებოდა ზუგდიდისა და სენაკის მეგრელებისგან. რუსი ავტორის „დასკვნებს“ რაიმე სამეცნიერო ღირებულება რომ ჰქონოდა და სამურზაყანოელებიც აფხაზებად მიგვეჩინა, როგორც მას სურდა, მისი დასკვნები მაინც ადვილად გაბათილდებოდა, ვინაიდან ამ „მკვლევრამდე“ საუკუნე-ნახევრით ადრე ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავდა,

¹ არადა, საეჭვოა, რომ ავტორს ბელის ტაძარი თვალმოკვრით არ ენახა და ან რამე არ გაეგო ქართული ხუროთმოძღვრების ამ შედევრისა და მისი ქტიტორის, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის შესახებ.

რომ აფხაზები არიან „მგვანენი მერგელთა“ (ვახუშტი, 1973: 785). ი. პანტიუხოვისგან განსხვავებით სხვა რუსმა მკვლევარმა, კერძოდ, ალექსანდრე დიაჩკოვ-ტარასოვმა აფხაზურ ზნე-ჩვეულებებზე, მათში დაცულ გადმოცემებისა და ისტორიული მონაცემების ანალიზით, სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ აფხაზები ენგური-დალიძგის შუამდინარეთში მოსული მოსახლეობა იყო. ამიტომ სრულიად გაუგებარია მისი მტკიცება აფხაზთა და მერგელთა შერევის შედეგად ჩამოყალიბებულ სამურზაყანოელთა ცალკე ეთნიკურ ჯგუფზე (Дьячков-Тарасов, 1905: 65). აღსანიშნავია, რომ სხვაგან ის სამურზაყანოელებს მერგელებად ასახელებდა (Дьячков-Тарасов, 1909-1910: 159). ნ. დუბროვინისთვის კი სამურზაყანოელები აფხაზები არიან, თუმცა მან ისიც კარგად იცოდა, რომ სამურზაყანოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. დალიძგაზე გადიოდა (Дубровин, 1871: 2).

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა რენეგატმა კ. მაჭავარიანმა მხარი დაუჭირა „წოდებრივ-სამიწათმოქმედო კომისიის“ ზემოთ ნახსენებ შეფასებას (Мачавариани, 1913: 311). მისი მტკიცებით, სამურზაყანოელები უმთავრესად აფხაზები იყვნენ, ხოლო ამ მიწა-წყალზე მობინადრე მერგელი კი სამეგრელოდან იყო „გამოსული“ (Мачавариани, 1913: 311). კ. მაჭავარიანმა თავისი „მოსაზრებების“ გამოქვეყნება XIX ს. მიწურულიდან დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურად ამ იდეების პროპაგანდისტის მას თავის გვერდებს უთმობდა ბათუმში გამომავალი შავრაზმული გაზეთი «Черноморский вестник», სადაც ის ამტკიცებდა, რომ სამურზაყანოელები, ადათ-წესებით, ენით და სარწმუნოებით, აფხაზები იყვნენ (კვამილავა, 2011: 325-326). ეს გამოცემა, რომელსაც თედო სახოკიამ „უკაცრავად პასუხია, გაზეთი“ უწოდა და, რომელიც დაკავებული „უშვერი თრევა-ლანძღვითა“ და „უგვანო ჭორიკანული“ ცილისწამებით „საქართველოს შესახებ“, სამურზაყანოშიც აქტიურად ვრცელდებოდა (სახოკია, 1985: 323-324). თუმცა, მისი „ნაშრომები“ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისგან უპასუხოდ არ რჩებოდა. კ. მაჭავარიანის „შრომებს“ „Самурзаканец“-ის ფსევდონიმით საკადრისი პასუხი გასცა იმჟამად მღვდელმა, ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა ბესარიონ ხელაიამ (Самурзаканец, 1899; გამახარია, 2006a: 422-439; კვამილავა, 2011a: 151-157).

სტატისტიკური მონაცემებით XIX ს. II ნახევარში ამ მხარის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების სიჭარბე თვალმისაცემია (თოთაძე, 1995: 81-85, 89). ეს ფაქტები ეთნოლოგიურ დადასტურებასაც პოულობს. კერძოდ, საქართველოში ცნობილი 25 000-ზე მეტი გვარიდან, 500-ზე მეტი სამურზაყანოში გვხვდება, რომელთაგან დიდი ნაწილი ქართულია, რაც ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების მნიშვნელოვან წილზე მიუთითებს, ხოლო აფხაზური და სხვა ეროვნების გვარები უმცირესობას შეადგენენ (კვამილავა ი., 2003: 123). თ. სახოკია სამურზაყანოში ყურადღებას აქცევდა დაკრძალვის განსაკუთრებულ წესსაც. კერძოდ, სასაფლაოები მოწყობილი იყო, ძირითადად, ეკლესიების გარეთ, გზის პირებთან გაკაფულ ტყეში, მათ საცხოვრებლებთან ახლოს (სახოკია, 1985: 336-339). აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში აღწერილი ეს ამბავი დადასტურებულია XIX ს. II ნახევარში ეთნოლოგიური ექსპედიციებით, რის საფუძველზეც ცნო-

ბილი ქართველი ეთნოლოგი, აფხაზოლოგი *სალომე ბახია-ოქრუაშვილი* შენიშნავს, რომ ტაძრების ეზოში დაკრძალვის უფლება ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა, ამიტომაც მას იქ მოსული ხალხი არ ეკარებოდა. მკვლევრის დასკვნით, ესეც დამატებითი არგუმენტი სამურზაყანოში ადგილობრივ ავტოქტონ მოსახლეობად მეგრელების (ქართველების) მისაჩნევად (*ბახია-ოქრუაშვილი, 2008: 67*).

ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სამურზაყანოში XIX საუკუნეში საერთოდ არ ცხოვრობდნენ აფხაზები. პირიქით, წარმოდგენილი ნაშრომის სათანადო ადგილას საკმაოდ სრულად იყო გაშუქებული ის ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა თანამედროვე აფხაზეთის ამ ნაწილშიც XVII-XVIII საუკუნეებში ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიის შედეგად, მაგრამ მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ XIX ს. II ნახევარში სამურზაყანოში ეთნიკური აფხაზები რიცხობრივად ბევრად ჩამორჩებოდნენ ადგილობრივ ქართულ (მეგრულ) მოსახლეობას. ამასთან, ისინი იყვნენ ქრისტიანები. უფრო მეტიც, მიმდინარეობდა მათი გაქართველების (გამეგრელების) პროცესი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბევრმა მათგანმა გვარი მეგრულ ყაიდაზე გადაიკეთა (*თარბა გახდა თარბაია, ბუთბა – ბუთბაია, აძინბა – აძინბაია, ქეცბა – ქეცბაია და ა.შ.*).

ის, რომ სამურზაყანო ეთნო-კულტურულად და პოლიტიკური მენტალიტეტით აფხაზეთის სხვა („უშინაგანესი“) რაიონებისგან სრულიად განსხვავებული რეგიონი იყო, მკაფიოდ გამოჩნდა 1810-1877 წლებში მიმდინარე აფხაზთა პერმანენტული ანტირუსული გამოსვლების დროს, როდესაც სამურზაყანოელი აფხაზები ფაქტობრივად განუდგნენ თავიანთ თანამოქმედთა და ცალკეულ შემთხვევებში აქტიური მონაწილეობაც კი მიიღეს ამბოხებული აფხაზების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ დამსჯელ ოპერაციებში. მათ ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოუჩინათ 1877 წლის აჯანყების დროს. ეს ოფიციალურად დადასტურებულია სოხუმის განყოფილების უფროსის გენ. კრავჩენკოს 1877 წ. 4 მაისით დათარიღებულ დეპეშაში, სადაც ხაზგასმულია სამურზაყანოელ მოლაშქრეთა მხედრული მამაცობა და ერთგულება (*Материалы, 1909: 160*).

ერთი სიტყვით, ყველა საფუძველი გაგვაჩნია ვამტკიცოთ, რომ როგორც ეთნო-კულტურულად, ისე პოლიტიკური განწყობილების თვალსაზრისით, სამურზაყანო დანარჩენი აფხაზეთისგან სრულიად გამორჩეული მხარე იყო. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რეგიონის აბსოლუტურ უმრავლესობას (სულ ცოტა 80% მაინც) ქართული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობა შეადგენდა, რომელთა მიკუთვნება აფხაზი ეთნოსისადმი სრულიად გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა დანარჩენ მეგრულს (გენ. გერმელმანის მონაცემებით 17 000 კაცი) მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში ჩამოსახლებულად ჩავთვლით, რაც თავისთავად წარმოუდგენელია, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ამ დროს რიცხობრივად მაინც აფხაზებზე მეტი აღმოჩნდება.

მაგრამ ყოველივე ეს არ მოსწონთ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსებს. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, დაარწმუნონ თავიანთი თანამემა-

მულეები იმაში, რომ მთელ აფხაზეთში (1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე) მხოლოდ აფხაზები სახლობდნენ და რომ ამას თითქოს ადასტურებს უამრავი თვითმხილველი (მათ შორის ქართველი), აგრეთვე საარქივო დოკუმენტები და პრესის მასალები (Лакоба С., 1990ა: 8). არადა, ამ დასკვნას მთლიანად აქარწყლებს სწორედ დოკუმენტური მასალები და თვითმხილველთა დაკვირვებები, რომლებშიც ნაჩვენებია მუჰაჯირობამდელი აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების უტყუარი სურათი. პირველ რიგში ესაა 1866-1870 წლებში შედგენილი „მოხსენებითი ბარათი“ თავად გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამულების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი მოხელე თავადი მუხრანბატონი. მასში ნათქვამია, რომ მუჰაჯირობამდე აფხაზეთის ბარის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა „ნახევრად მეგრული წარმოშობის“ („полумингрельского происхождения“) ხალხი, რომელთაც კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული (მეგრული) წარმომავლობა (Документы, 1952: 527).

ბუნებრივია, ჩვენ შემოგვეკამათებინან, რომ „მოხსენებითი ბარათის“ ავტორი თვითონ ქართველია და ამის გამო ის არ შეიძლება იძლეოდეს აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების ობიექტურ სურათს. მაგრამ რა უყოთ სხვა თვითმხილველებს, რომელთაც არავითარი დაინტერესება არ ჰქონდათ, საგანგებოდ მოეძიათ მეგრულ-ქართველები აფხაზეთში. მაგალითად, კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ოფიცოზის – გაზეთ „Кавказ“-ის კორესპონდენტი სოხუმის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების გაშუქებისას 1866 წ. დამდეგს, ანუ აფხაზთა აჯანყებამდე, რომლის შედეგადაც აფხაზეთი მუჰაჯირთა პირველმა დიდმა ტალღამ დატოვა, პირდაპირ წერს, რომ ქალაქში ცხოვრობენ მხოლოდ რუსი ჯარისკაცები და მეგრელები (მასალა გაზეთ „Кавказ“-იდან /№7, 26.01.1866/ იხ.: **პაპასქირი, 2004: 215-216; Папаскири 3., 2010ა: 157-158**). იმავე გაზეთის სხვა ნომერში („Кавказ“, 01.06.1866) ასევე საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ აფხაზები სოხუმში საერთოდ არ არიან („постоянных жителей из туземцев в Сухуме вовсе нет“) და იქ მხოლოდ რუსები და მეგრელი ვაჭრები ცხოვრობენ (**პაპასქირი, 2004: 216-217**).

ეს არის რეალური ფაქტი, დაფიქსირებული ხელისუფლების ოფიციალური გაზეთის რუსი კორესპონდენტის მიერ და არა ვინმეს მოგონილი ამბავი. ქართველთა (მეგრელთა) მოსახლეობა ქ. სოხუმში მუჰაჯირობამდე დასტურდება საარქივო მასალებითაც. ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში – „აღწერა ქ. სოხუმისა, 1864 წ. ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა წოდებრივი და ეროვნული შემადგენლობის მიხედვით“, პირდაპირაა მითითებული, რომ ქალაქის მოსახლეობას შეადგენდნენ „ა. ადგილობრივნი: მეგრელები – 450, ბერძნები – 217, სომხები – 78, რუსები – 25. ბ. გარედან მოსულნი: უცხოელები – 320, ოფიცრები – 42, ჩინოვნიკები – 42, ვაჭრები – 5. არც ერთი თურქი და არც ერთი აფხაზი ქალაქში არ ჩასახლებულა“ (მასალა მოტანილია: **ლეკიშვილი, 1990: 14**). ერთი სიტყვით, აფხაზ მკვლევართა დემაგოგიური მტკიცებები იმის შესახებ, თითქოს მუჰაჯირობამდელ აფხაზეთში მარტო აფხაზები ცხოვრობდნენ, სრულიად უსაფუძვლოა.

XIX ს. ბოლო მეოთხედისა და XX ს. დამდეგის აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული ვითარების სრული სურათის საჩვენებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ „სამურზაყანოელთა“ ეთნიკური ვინაობის პრობლემას, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“ უაპელაციოდ მიაკუთვნებს აფხაზურ ეთნოსს. აფხაზ მკვლევართა ეს მტკიცება მთლიანად აგებულია ცალკეული (მეტად საეჭვო) სტატისტიკური მასალის (კერძოდ, 1886 და 1897 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის, რომლებშიც სამურზაყანოელები თვითნებურად მიათვალეს ეთნიკურ აფხაზობას) მონაცემებზე. ქართველმა მეცნიერებმა (*ანზორ თოთაძემ, სოლომონ ლეკიშვილმა* და სხვ.) კარგა ხანია ამხილეს ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მონაწიორი ამ საკითხზე და კონკრეტული ციფრების მოშველიებით დამაჯერებლად აჩვენეს, თუ როგორ იცვლებოდა რეალურად აფხაზთა რაოდენობა აღწერიდან აღწერამდე. ასე მაგალითად, 1886 წელს საკუთრივ აფხაზური მოსახლეობა შეადგენდა 28323 კაცს, სამურზაყანოელთა კი – 30640-ს, მაგრამ აფხაზთა საერთო რაოდენობა უდრიდა 58963 კაცს. როგორც ვხედავთ, ეს საბოლოო ციფრი მიღებული იყო აფხაზთა და სამურზაყანოელთა რაოდენობის უბრალო არითმეტიკული შეკრების გზით. მაგრამ არსებობს სხვა სტატისტიკაც, რომლის შესახებაც დუმს ს. ლაკობა. ესაა 1883 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აფხაზთა რაოდენობა უდრის 27526 კაცს, სამურზაყანოელთა – 25424-ს, 1914 წელს აფხაზები 42073 იყვნენ. 1917 წელს ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდა და გაუტოლდა 38121-ს, ხოლო 1923 წელს – 36816-ს (სტატისტიკა მოტანილია: **ლეკიშვილი, 1990: 14**).

აფხაზთა რაოდენობის შემცირების პარალელურად იზრდებოდა ქართული მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1886 წელს (როდესაც აფხაზებს მიათვალეს სამურზაყანოელები) ქართველები ითვლიდნენ მხოლოდ 25873 კაცს, 1923 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 71181-მდე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა 1926 წელს, როდესაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 36816-დან გაიზარდა 55918-მდე. ამასთან, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ს. ლეკიშვილი, არც 1897-1923 წლებში იყო განსაკუთრებით არახელსაყრელი დემოგრაფიული ფაქტორები (ემიგრაცია, რეპრესიები, ეპიდემია და ა.შ.) მოსახლეობის შემცირებისათვის და რაც მთავარია, არც 1923-1926 წლებში შექმნილა შესაფერისი პირობები დემოგრაფიული ბუმისათვის, რომლის შედეგადაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 20000 კაცით გაზრდილიყო (**ლეკიშვილი, 1990: 9**). ამ ერთი შეხედვით უცნაურ ციფრობრივ აღრევას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – სამურზაყანოელებით მანიპულირება. 1886, 1897 და 1826 წლების აღწერისას სამურზაყანოელები მიათვალეს აფხაზებს, ხოლო 1914, 1917 და 1923 წლებში – ქართველებს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობის აფხაზებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე აფხაზთა რაოდენობის გაზრდისა XIX საუკუნეში, არის ისტორიული ჭეშმარიტების უხეში გაყალბება, რომელიც

მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული ისტერიის გავრცელებისაკენ. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ არ შეიძლება უარყოფთ, რომ XIX ს. 60-70-იანი წლებიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქართული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობის გადმოსახლებას აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონებიდან. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მეგრულთა ჩასახლებას აფხაზეთის შიდა რაიონებში მეტ-ნაკლებად ლოიალურად ეკიდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში შეამჩნია რა, რომ „ქართველების, უპირატესად მეგრულთა მხრიდან“ მოდიოდა „ძლიერი წინააღმდეგობა“ („*сильное сопротивление*“), რაც საფრთხეს უქმნიდა „რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას სოხუმის ოკრუგში“ / „*развитию русской гражданской ответственности... в Сухумском округе*“ / (სილაგაძე, გურული, 2001: 309), კავკასიის რუსული ადმინისტრაცია წინ აღუდგა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან გლეხების აფხაზეთის შიდა რაიონებში გადასახლებას.¹

XIX ს. 90-იანი წლებიდან იმპერიის ხელისუფლება უკვე ღიად წავიდა დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაზე ქართველების მიმართ. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა, შედგენილი სოხუმის „ოკრუგის“ (ანუ აფხაზეთის) ადმინისტრაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაჟერის მიერ 1895 წელს ოფიციალური დოკუმენტი სოხუმის ოკრუგში კოლონიზაციის შესახებ („*Памятная записка о колонизации в Сухумском округе*“). მასში ღიად იყო გაცხადებული, სოხუმის ოკრუგში „გარედან მოსული ელემენტის“ („*иностранного элемента*“), „განსაკუთრებით მეგრულთა“ ჩასახლების შეწყვეტა, რათა შემოენახათ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი მიწა მხოლოდ და მხოლოდ რუსული მოსახლეობის დასამკვიდრებლად / „*Желательно сберечь возможно большой фонд свободной земли для водворения исключительно коренных русских людей*“ (ლაკობა С., 1990b: 40, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ., კ.კ.).

ამავე დროს კოლონიური მმართველობა ყოველნაირად ცდილობდა დაეახლოებინა „აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობა რუსებთან და „დამკვიდრებინა მათში რუსული მოქალაქეობა“ / „*водворить среди него начала русской гражданской ответственности*“ / (სილაგაძე, გურული, 2001: 309) ამ ვერაგული იმპერიული პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზნები ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ქუთაისის სამხედრო

¹ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1872 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა განსაკუთრებული „წესები“, რომელთა მიხედვითაც არ უნდა დაეშვათ „დასავლეთ საქართველოდან გამოსულთა“ დამკვიდრება აფხაზეთში (ლაკობა С., 1990b: 40). ეს „წესები“ იყო ერთგვარი დამატება 1870 წელს შემუშავებული „დებულებისა“, რომლის მიხედვითაც მთავრობა „მუდმივად მცხოვრებლის“ („*окончательно водворившиеся*“) – სტატუსს აძლევდა მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც 1865 წ. 1 იანვრამდე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, სხვები კი „დროებით მაცხოვრებლებად“ ითვლებოდნენ. ისინი, ვინც ამ წესს დაარღვევდნენ, სათანადოდ ისჯებოდნენ. ამასთან დაკავშირებით აფხაზ ისტორიკოსს – ს. ლაკობას მოჰყავს იმდროინდელ ქართულ პრესაში („*სასოფლო გაზეთი*“) დაფიქსირებული ფაქტი, იმის შესახებ, თუ როგორ გააძევა სოხუმის განყოფილების უფროსმა ოჩამჩირის „ოკრუგიდან“ იქ ჩასახლებული მეგრული გლეხები (ლაკობა С., 1990b: 40).

გუბერნატორმა ფ. გერშელმანმა, რომელმაც თავის „*მოხსენებით ბარათში*“ საგანგებოდ მიუთითა, რომ „*მხარის რუსულ კოლონიზაციას პოლიტიკური კუთხით აქვს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა*“. აღსანიშნავია, რომ ის აფხაზებს მიიჩნევდა „*უკიდურესად დაბალი კულტურის.., როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად*“ ნაკლებად განვითარებულ ხალხად, „*არამყარი რელიგიური მრწამსით*“, რომელმაც არაერთხელ გამოავლინა პოლიტიკური არასანდობაც. ასეთ ვითარებაში, – მიუთითებდა ქუთაისის გუბერნატორი, – საქმის გამოსწორება შეიძლება მხარეში რუსული მოქალაქეობრიობის დამკვიდრებით, ამ მხრივ საუკეთესო საშუალება კი, მისი აზრით, იქნებოდა რუსული მოსახლეობის კოლონიზაცია.¹

ხელისუფლება დიდი მონდომებით ახორციელებდა აფხაზეთის მხოლოდ რუსებით კოლონიზაციის პოლიტიკას. რუსებს აძლევდნენ მიწის დიდ „ნაღებებს“ – აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას მონაცემებით კომლზე 5-დან 30 დესეტინამდე. მათ ეძლეოდათ აგრეთვე ფულადი დახმარება და სხვა არაერთი შეღავათი (**Лакоба С., 1990b**: 41). განსაკუთრებული ხელშეწყობა ჰქონდა რუს თავადაზნაურობას. რუსული თავადაზნაურული ელიტის ცალკეული წარმომადგენლებისათვის გამოიყო მსხვილი მამულები. იმავე ს. ლაკობას გამოანგარიშებით, მხოლოდ გუმისტის უბანზე, დალის ხეობაში და წებელდაში მაღალი ჩინის რუსმა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა მიიღეს 27 ათას დესეტინაზე მეტი მიწა. მკვლევრები (გ. ძიძარია, ს. ლაკობა და სხვ.) განსაკუთრებით გამოყოფენ *გრაფ ბობრინსკის*, თავადების: *ვიტგენშტეინის*, *ტოლსტოის* და სხვ. მამულებს, აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ დიდი მთავარი *ალექსანდრე მიხეილის ძე*, *ოლდენბურგის პრინცი*, *ნიკოლოზ სმეცკოი* და სხვ. (**Очерки I, 1960**: 220; **Лакоба С., 1990b**: 40).

ასეთი იყო ძირითადად ცარიზმის საკოლონიზაციო პოლიტიკა აფხაზეთში. ჩვენს მიერ მოტანილი მასალა სრულიად ნათლად ცხადყოფს, თუ რა იყო ამ პოლიტიკის ქმმარბი მიზანი და რეალურად რას უშზადებდა აფხაზეთს რუსეთის იმპერიას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნის მისაღწევად მხოლოდ იმპერიული საკოლონიზაციო პოლიტიკის გატარებით არ იფარგლებოდა. არანაკლები პრიორიტეტი ენიჭებოდა ღონისძიებებს მიმართულს „*აფხაზთა სრული გათქვეფისაკენ იმპერიის მოსახლეობასთან*“/„*для полного слияния абхазцев с населением империи*“ (**სილაგაძე, გურული, 2001**: 335), რაც უბრალოდ მათ გარუსებას ნიშნავდა. ამისათვის კი აუცილებელი იყო აფხაზების მოწყვეტა საერთო ქართული ისტორიულ-კულტურული ორგანიზმისაგან.

¹ „*Русская колонизация округа имеет... большое государственное значение в политическом отношении. Абхазцы... до сих пор представляют из себя народность крайне мало культурную, мало развитую как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность... Помочь делу можно внесением в край русской гражданственности... Лучшим средством к осуществлению ся надо бесспорно признать колонизацию края русским населением*“ (**სილაგაძე, გურული, 2001**: 309, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ., კ.კ.).

ეს აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ მიუხედავად დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის ერთგვარი დაშორებისა ცივილიზაციურად, რომელიც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, დაკავშირებული იყო ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის დამკვიდრებასთან, მთლიანობაში, ეს რეგიონი XIX საუკუნეშიც რჩებოდა ქართული კულტურის, დამწერლობისა და წიგნიერების არეალში. ქართული იყო ქრისტიანული ეკლესიაც. ყოველივე ეს კი ხელს უშლიდა ხელისუფლებას თავისი იმპერიული გეგმების განხორციელებაში. ამიტომაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება რუსულ კირილიცაზე გაწყობილი აფხაზური დამწერლობის შექმნის შესახებ, რომლის მთავარი დანიშნულება, თვით ამ „კულტურული წამოწყობის“ ინიციატორების (ევგენი ვეილენბაუმი) აღიარებითვე იყო არა აფხაზი ხალხის ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე ზრუნვა, არამედ მათი ქართული საგანმანათლებლო სივრციდან მოწყვეტა და მათ საგანმანათლებლო-სააზროვნო ველში ქართული ენის სახელმწიფო (რუსული) ენით შეცვლა (*Инал-ипа, 1965: 163-164; Анчабадзе З., 1976: 119-120*).

იგივე დატვირთვა ჰქონდა იმპერიის პოლიტიკას საეკლესიო სფეროშიც. ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ მთავარ დაბრკოლებას მხარის გარუსებაში წარმოადგენდა ქართული სამღვდლოება, რომლის ხელშიც კვლავ იყო „ისეთი ძლიერი საშუალებები როგორიცაა ეკლესია და სკოლა“. ეს გარემოება რუსი ოფიციალური პირების მიერ განიხილებოდა, როგორც „ბოროტება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს ფესვებიანად“/„*это которое надо пресечь раз и навсегда, вырвать с корнем*“/ (*სილაგაძე, გურული, 2001: 312*).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს გატარებული მკვეთრად გამონატული კოლონიური პოლიტიკის შედეგად არა მარტო სოხუმში და აფხაზეთის სხვა ნაწილებში, არამედ თვით სამურზაყანოშიც კი შეიქნა უაღრესად საშიში ვითარება, რომელიც აშფოთებდა იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. სწორედ მათ აღიმადლეს ხმა აფხაზეთში ქართული ეკლესიისა და სკოლების შევიწროების გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი მოღვაწის – *თედო სახოკიას* პუბლიკაცია გაზეთში: „*Санкт-Петербургские Ведомости*“ (№177, 01.07.1900), რომელშიც ავტორი ამხელდა მაშინდელი საქართველოს საეგზარქოსოსა და სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ სწორედ თედო სახოკია ჩაუდგა სათავეში ე.წ. „*ქართულ პარტიას*“, რომლის საქმიანობის მთავარ მიზანს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ფ. გერშელმანის არცთუ უსაფუძვლო მტკიცებით, წარმოადგენდა ყოველმხრივ ხელი შეეშალა „*მთავრობის დონისძიებებისათვის დაეახლოებინა აფხაზეთისა და სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობა რუსებთან და გაეღვივებინა მათში რუსული მოქალაქეობრიობის საწყისები*“ (*სილაგაძე, გურული, 2001: 300*).

თედო სახოკიას მიერ შექმნილი „*ქართული პარტიის*“ აქტიური წევრები იყვნენ არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში ცნობილი ადამიანები: *ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა და-*

ვითაია; დეკანოზები დავით მაჭავარიანი, იოანე კერესელიძე, იოანე ჩხენკელი, მღვდელი ბესარიონ ხელაია და სხვ. კავკასიის რუსული ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული ძიების მასალების თანახმად, „ქართული პარტიის“ საქმიანობა მიმდინარეობდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძისა და ვიკარი კირიონის (მომავალში საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II – **ზ.პ., კ.კ.**), სინოდალური კანტორის წევრის ლეონიდეს (მომავალში ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – **ზ.პ., კ.კ.**) ფარული მხარდაჭერით (**სილაგაძე, გურული, 2001: 300**). „ქართულმა პარტიამ“, პირველ რიგში, დაიწყო ბრძოლა აფხაზეთში მოდვანე რენეგატი ქართველების წინააღმდეგ, რომელთა შორის იყვნენ *ღუშურიძის* ეკლესიის წინამძღვარი *ივანე ქავკარაძე*, ოჩამჩირის ზედამხედველი *ბორის ხორავა* და სხვ. ისინი აქტიურად ახორციელებდნენ ცხოვრებაში რუსეთის კლერიკალური წრეების გეგმას.

მიუხედავად რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების მცდელობებისა, როგორმე ამოეძირკვათ ქართული ეკლესია და ქართული წიგნიერება აფხაზეთში და ამით გაეხლიჩათ ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობა, თვით აფხაზთა შორის ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ ადამიანები, პირველ რიგში აფხაზური საზოგადოების ელიტარულ წრეებში – თავად-აზნაურთა შორის, რომლებიც არ აჰყვნენ რუსეთის ხელისუფლების პროპაგანდას და ბოლომდე შეინარჩუნეს ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობისადმი ერთგულება. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც „აფხაზთა დეპუტაციის“ ჩამოსვლა თბილისში და მისი შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალ დიდ მთავარ *ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან* 1916 წ. 26 აპრილს. აფხაზი თავადაზნაურობისა და უბრალო ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს (დელეგაციაში, შედიოდნენ თავადები: *ალექსანდრე შარვაშიძე*, *დიმიტრი მარშანია*, *ასტაშურ ინალ-იფა*, *გიორგი შარვაშიძე*, *პეტრე ანჩაბაძე*; გლეხები: *ანტონ ჩუკბარი* და ვინმე *უზუხბაია*) კარგად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე. მათ, როგორც იტყვიან, ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების ურყეობა, ამიტომაც ითხოვდნენ კიდევ ხელისუფლებისაგან კატეგორიულად – არ დაეშვათ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტა ეკლესიურად¹ / „не отчислять и не отделить (Сухумскую епархию) от существующей с древнейших времен структур, создаваемых веками исторической и культурной жизнью Грузии и Абхазии“ (**Гамахрия, Гогия, 1997: 385-386**).

ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის სიცოცხლისუნარიანობაზე (მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ღია და დაუფარავი იდეოლოგიური ექსპანსიისა) მსჯელობისას, არ შეიძლება საგანგებოდ არ შევიჩრდეთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟისა და მემკვიდრის, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული მწერ-

¹ იმ დროს უწმინდესი სინოდის მიერ იგეგმებოდა სოხუმის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საეპარქოსოს იურისდიქციიდან (ვრცლად იხ.: **გამახარია, 2005: 739-748**).

ლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობაზე.

გიორგი შარვაშიძე უდავოდ ტრაგიკული პიროვნებაა. ის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მოგვევლინა თავისი თანამემამულეების მძლავრი ანტირუსული ამბოხების (1866 წლის აფხაზთა აჯანყება) მედროშედ, რის გამოც თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში იღვენებოდა რუსეთის იმპერიული რეჟიმის მიერ. ქართული ფეოდალური არისტოკრატის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი შარვაშიძემ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა როგორც მშობლიური აფხაზეთის, ისე თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს, რომელსაც ის ხშირად *ივერიას* უწოდებდა, სიყვარული და ერთგულება. ის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სამშობლოდ პირველ რიგში მიიჩნევდა საქართველოს მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა, ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, ეჭვი შევიტანოთ მის, ისევე როგორც საერთოდ გვიანი შუა საუკუნეების შარვაშიძეთა საგვარეულოს, აფხაზობაში ეთნო-ტომობრივი თვალსაზრისით. **გიორგი შარვაშიძეს, რომელიც უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად, სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ეთნო-ტომობრივი აფხაზობა.** ამის ნათელი დადასტურებაა მისი პოეტური შედევრი „ვარადა“ (აფხაზური მისამღერი), რომელშიც ის მთელი გრძნობით გამოხატავს სურვილს, რომ არ მოსწყდეს თავის აფხაზურ ფესვებს: „*განგებავ! ამას ნუ მიწყენ, / ვერ გადავგვარდე გვარადა, / ხანდისხან წავიდუღუნო მამაპაპური ვარადა*“ (შარვაშიძე, 2006a: 97).

სწორად აღნიშნავდა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომ „*მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლება მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედევრი, როგორიცაა... აფხაზური სიმღერა „ვარადა“ – უშინგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება*“ (ჯანაშია, 1988a: 22). ეს აფხაზი, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი კუთხისა და აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე (ჯანაშია, 1988a: 22), ამავე დროს იყო თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს – ჭეშმარიტი შვილი და გულანთებული პატრიოტი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მედგრად დამდგარიყო საქართველოს სადარაჯოზე, დაეცვა მისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა და საკადრისი პასუხი გაეცა დიდი სამშობლოს არაკეთილმოსურნეებისათვის. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის „*Berliner Tageblatt*“-ის რედაქტორისადმი ამავე გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიის¹ პასუხად.

¹ ამ პუბლიცაციაში კორესპონდენტი მკითხველებს მოუთხრობდა თავისი მოგზაურობის შესახებ გაგრაში, სადაც იგი პრინც ოლდენბურგელის მიწვევით იმყოფებოდა. მისი მონათხრობით, წვეულების დროს „*ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სუფრას*“, თურმე „*ერთ-ერთი სტუმრისათვის პალტო მოუპარავთ*“. ერთგვარი ზიზღით წერდა ლორენცი თბილისზეც, იგი აღნიშნავდა, რომ „*აქ ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში არიან*“ (პაპასქირი, 2007a: 235-236).

„დიახ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივადწიეთ ევროპული ცივილიზაციის სიმაღლეებს... – წერდა გიორგი შარვაშიძე, – და ამგვარი ჩამორჩენა შეიძლება გვამსგავსებს კიდევ სპილენძის ხანის ადამიანებს, მაგრამ ამის გამო არ ვწუხვართ, რადგან ვთვლით, რომ არაა აუცილებელი აითვისო ყველანაირი ნაკავი, ზოგიერთების მიერ პროგრესად მიჩნეული. ჩვენ ვცდილობთ მისგან გამოვარჩიოთ, ვითარცა მარგალიტი, ლიტერატურისა და ხელოვნების უთვალსაჩინოესი ნაწარმოებები, თვალს ვადევნებთ სიახლეებს მეცნიერებაში. ერთი სიტყვით ვიღებთ მხოლოდ იმას, რომელსაც ვთვლით სასარგებლოდ ... საზოგადოებისათვის. ასე უშუალოდ ვცხოვრობთ ჩვენ და ბ-ნი ლორენცი მეტად რომ ჩაწვდომოდა ყოფით მხარეებს, ის გაიგებდა ამას და ბევრ სხვასაც. გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომლის მიმართაც ის ზიზზით განეწყო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული; რომ ქართველები-რაინდები, რომლებიც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიდიოდნენ პირველქრისტიანობის დასაცავად, იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არა იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებში შეჭრილიყვნენ და სხვისი ქონება მიეტაცათ, არამედ მამულის დასაცავად, ქრისტიანული კულტურის და სამოქალაქო ყოფის დასაცავად; გაიგებდა ასევე, რომ ქართველებს აქვთ უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა – მსოფლიო (დონის) ნაწარმოებების დარი; გაიგებდა, რომ ქართველ მეფეთა იერარქიაში და ხალხში გვხვდება არაჩვეულებრივი გმირებისა და გენიალური სიბრძნის ადამიანთა სახელები და ა. შ...“ (Письмо, 1911; ლეკიშვილი, 1975: 85-86. რუსული ტექსტის ქართულად თარგმნისას გამოყენებულია ოთარ ჭურდულის თარგმანი. იხ.: ჭურდულია, 2006: 88-90, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ., კ.კ.).

ამ წერილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზები და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო. სწორედ ქართველთა და აფხაზთა ამ საერთო სამშობლოთი ამაცობს ის. აი, რატომაა, რომ 1917 წელს, როდესაც გამოიკვეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების კონტურები, გიორგი შარვაშიძე მთელი არსებით მიესალმა ახალი ეპოქის დადგომას. ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მისი წერილი, გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს“ (1917 წ. 25-29 ივნისი) ფურცლებზე: „მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ეკისრება გაუმედა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის მარა და კანონი. დიად, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც კი ვიქნებოდით ჩვენ დღეს... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელგულდაკრეფილი, იღგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნალარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!“ ასეთი ეროვნული გამოღვიძების ფონზე გიორგი შარვაშიძეს გულს უკლავს მავანთა შეძახილები: „ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხო-

ლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შეღავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათ მუშებს, ძირს წოდება და მიწათპატრონობა.... აგრე – სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა“ (შარვაშიძე, 2006a: 306-307. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ., კ.კ.). მართლაც, ძნელია არ აღფრთოვანდე გიორგი შარვაშიძის ამ დიდი ეროვნული, ჭეშმარიტად ილიასეული შემართებით.

გიორგი შარვაშიძის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტის, მამულიშვილის, მუდამ მშობლიური ქვეყნის ჭირ-ვარამზე დაფიქრებული კაცის, ეროვნული სატიკივარი შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში „პასუხი ვ.ო.“, რომელიც მას დაუწერია ბათუმში. ამ ნაწარმოებით ავტორი გამოხმაურა გაზეთ „დროებაში“ (#1, 1883 წ.) გამოქვეყნებულ ვახტანგ ორბელიანის ლექსს – „ამერ-იმერს“. ლექსი ცენზურის ზეწოლის გამო ვერ დაბეჭდა „დროებაში“. გიორგი შარვაშიძე უერთდება მეგობარი პოეტის პატრიოტულ სულისკვეთებას და გულისტკივილით იგონებს იმ დროს, როდესაც საქართველო იყო ერთიანი და მწარედ განიცდის, რომ ქართველობაში დაიკარგა ერთიანობის შეგრძნება, ქვეყანა მოიცვა შურმა და დაპირისპირებამ (ლუკიშვილი, 1975: 256-257). გიორგი შარვაშიძის ეს ლექსი თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს (პაპასქირი, 2007a: 237-238).

გიორგი შარვაშიძის, როგორც ქართველი მოღვაწის, საქართველოზე, ქართულ ენაზე, მშობლიურ ქართულ მწერლობაზე მზრუნველი კაცის სახე არაჩვეულებრივად წარმოჩნდა მის კიდევ ერთ პუბლიკაციაში: „ქართული ენის გარშემო“ (საქართველო, 1915). სტატიაში ის ქართული სამწიგნობრო ტრადიციების აქტიური დამცველის როლში გვევლინება. მას არ მოსწონს „სხვათა ენიდან უხედად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა“. გიორგი შარვაშიძის აზრით, ეს „სამშობლო ენის გადაგვარებისადმი“ მისწრაფების გამოხატულებაა (საქართველო, 1915; ჯანაშია, 1988a: 20). იგი მეტად შეწუხებულია, აგრეთვე, ქართულში უცხო სიტყვების უსისტემო მომრავლებით. მწერლის აზრით, უცხო სიტყვებსა და ტერმინებს „უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრისა შინაარსი... დიად, საჭიროა ვეცადოთ ჩვენს ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ“ (საქართველო, 1915; ჯანაშია, 1988a: 20). როგორც ვხედავთ, აქაც ჭეშმარიტად ილიასებურ ზრუნვას იჩენს გიორგი შარვაშიძე თავისი მშობლიური სამწერლობო ენისადმი.

დასასრულს, გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ თვითშეგნებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის გამოსვლას ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობაზე“ 1917 წ. 8 ნოემბერს. ანტიქართულად განწყობილი აფხაზი ნაციონალისტი ლიდერების მიერ მოწვეულმა ამ თავყრილობამ ფეხქვეშ გათელა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრება და აფხაზი ხალხის მომავალი დაუკავშირა ე.წ. „კავკასიის გა-

ერთიანებულ მთიელთა კავშირს“.¹ გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა „ყრილობის“ მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და ქართველ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა: „*თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში*“.

ამ განცხადების შემდეგ თანამოდმეთა ანტიქართული დემარშით გაწბილებულმა გიორგი შარვაშიძემ დატოვა დარბაზი და შემდგომ არც მობრუნებულა. სულ რაღაც სამ თვეში კი – 1918 წლის 19 თებერვალს – საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ დიდი მამულიშვილის გარდაიცვალეების შესახებ.

გიორგი შარვაშიძის, აფხაზური თავადაზნაურული ელიტის ამ უკანასკნელი მოპიკანის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის ნამდვილი ბურჯის, უეცარი გარდაცვალება 1918 წლის დამდეგს, როდესაც ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მშობლიური კუთხის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას, რამდენადმე სიმბოლურიც კი იყო. თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს – მხურვალე პატრიოტიკა ქვეყნის მამულიშვილური, შეურიგებელი პოზიციის გამო არაერთხელ იწვინია რუსეთის ხელისუფლების რისხვა. მისმა გულმა ვერ აიტანა თანამოდმეთა დალატი. სავსებით ნათელი იყო, რომ ახალ აფხაზ ლიდერებს სრულიად განსხვავებული იდეალები ჰქონდათ. მათ უკვე არ შეეძლოთ და არც სურდათ გიორგი შარვაშიძის ნაკვალევზე სვლა. ამისთვის არ აღუზრდია ისინი „დედა-რუსეთს“.²

¹ „ყრილობის“ მკვეთრად გამონატულმა ანტიქართულმა პათოსმა და მიმართულებამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. როგორც აღნიშნავს თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მიხეილ ტარნავა (*История Абхазии, 1991: 283*), ყრილობაზე გამოცხადდნენ აკაკი ჩხენკელი – რუსეთის (IV) სათათბიროს დეპუტატი, „ოზაკომის“ (ამიერკავკასიაში რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ორგანო) წევრი და სხვა ცნობილი პიროვნებები, მათ შორის გიორგი შარვაშიძე.

² ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. კერძოდ, აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკოთა თავდგირიძემ გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე: „*იმ აფხაზებმა, რომლების ღირსებას უცხოელები შენით პატივს ცემდნენ, რომლების თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი დიდებული კარიერა, ყოველივე შენი ქონება, სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერც კი შეამჩნიეს... შენი აქ ყოფნით ვერ ისარგებლეს... შენდამი უყურადღებობა სწორედ დანაშაულება იყო... რა უსამართლობა, რა ირონია ცხოვრების: მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით ადსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთად-ერთ საფასურ-*

მეორე დიდი აფხაზი, რომელიც ამ პერიოდში ასევე აქტიურად იღვა ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის სადარაჯოზე, იყო დავით ზურაბის ძე ჩქოტუა. გიორგი შარვაშიძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, დავით ჩქოტუა, თავისი მსოფლმხედველობით ქართული ფეოდალური ინტელიგენციის ლიბერალურ ფრთას წარმოადგენდა, რომელიც აღზრდილი იყო ძველ ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ტრადიციებზე (Джанашия, 1988: 79-80). სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ დავით ჩქოტუამ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროდ აირჩია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და საკმაოდ სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა ამ სფეროში (იხ. ჯაიანი, 2005).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, არამარტო გიორგი შარვაშიძისა და დავით ჩქოტუასათვის, არამედ აფხაზური თავადაზნაურული არისტოკრატიის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობისათვის ქართული კულტურულ-ისტორიული სამყარო მაინც რჩებოდა მშობლიურად. მაგრამ ხელისუფლების მიერ გატარებულმა მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ (XX ს. დამდეგიდან) ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა ე.წ. „ხალხის წილიდან გამოსულ“ აფხაზურ ინტელიგენციაში. ძირითადად ესენი იყვნენ დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული „მოღვაწენი“, რომელთაც რუსული ოფიციალური განათლება ჰქონდათ მიღებული. სწორედ ამ „ახალი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებმა, რომელთაც ველიკორუსული შოვინიზმის იდეოლოგები ყოველნაირად უნერგავდნენ აზრს, რომ აფხაზეთი არ იყო საქართველო, თავიანთი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მთლიანად ანტიქართული სულისკვეთებით წარმართეს.

XX ს. დამდეგიდან იმპერიის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ადმინისტრაციულად ჩამოცილებას. 1900 წ. გაზაფხულისთვის სახელმწიფო საბჭოში შეტანილი პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ოკრუგი შავიზღვისპირეთის გუბერნიას უერთდებოდა, სამურზაყანო კი ზუგდიდის მაზრას გადაეცემოდა (გელენავა, 2014: 16). როგორც ჩანს, ამით იმპერიას, ერთგვარად, ქართველების „მომადლიერება“ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუკი სამურზაყანოს მიიღებდნენ და დანარჩენ აფხაზეთზე უარს იტყოდნენ. საეკლესიო-ადმინისტრაციული რეფორმის მსგავსად, ვერც აღნიშნულ პროექტს შეესხა ხორცი იმ ხანად.

1902 წ. 13 იანვარს კი სოხუმის ოკრუგს ჩამოაჭრეს 14 000 დესეტინის ფართობის საუკეთესო მიწა გაგრის კლიმატოლოგიური სადგურისათვის და ის შავი-

განძს – აფხაზეთის თავისუფლება მოვლინებოდა და მენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიჰგებებოდი მას, მაგრამ მენმა საყვარელმა ხალხმა – აფხაზებმა გვერდი აგისვია, ვერ შეგამჩნია მენ და იმ რუსის აღზრდა-აზროვნება-მომართულებით გაქდენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას მენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი მენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე“ (შარვაშიძე, 2006b: 39-40. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ., კ.კ.).

ზღვისპირეთის გუბერნიას მიუერთეს (**Очерки I, 1960: 237**). 1904 წელს პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის შუამდგომლობის საფუძველზე მთავრობამ გადაწყვიტა გაგრილა და მისი შემოგარენის შავიზღვისპირა გუბერნიისათვის მიერთება, ხოლო 1914 წ. პირველი მსოფლიოს ომის დაწყების წინ კავკასიის მეფისნაცვალმა სოხუმის ოკრუგის დამოუკიდებელ გუბერნიად გარდაქმნის საკითხი დააყენა. ამ პერიოდში გაძლიერდა რუსი კოლონიზატორების მიერ ადგილობრივ აფხაზ მოსახლეთა მიწების მიტაცების პროცესი. ამასთან, ახალმოსახლეებს უფრო მეტი ფართობის საკარმიდამო ნაკვეთიც ჰქონდათ მიზომილი (**გელენავა, 2014: 111-112**).

დნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ამ ღონიძიებებით იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას და რეგიონის ტიპიურ რუსულ პროვინციად გადაქცევის პროცესის დასრულებას. რუსეთის იმპერიული მანქანის პერმანენტულმა ანტიქართულმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კამპანიამ, რომელიც ინიტებოდა „ტუზემცების“ (ამ შემთხვევაში აფხაზების) ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების ამადლებაზე ფარისევლური ზრუნვით, შედეგი უკვე პირველი რუსული რევოლუციის წლებში გამოიღო. ბედის ირონიით აფხაზობა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ „სადვთო ომში“ მონაწილეობისათვის ხელისუფლებამ თავის დროზე სასტიკად დასაჯა და „*დაძნაშვე მოსახლეობად*“ („*суновное население*“) გამოაცხადა, ამჯერად ამიერკავკასიის ხალხებს შორის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისადმი ყველაზე ლოიალურად მოგვევლინა.

1905-1907 წლების რევოლუცია, როგორც ცნობილია, იყო სახალხო დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც შეძრა მთელი იმპერია. დემოკრატიულმა მოძრაობამ მოიცილა იმპერიის განაპირა მხარეებიც. მეტიც, ამ რეგიონებში მან მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ დიდი ეროვნული ბრძოლის ავანგარდში (მიუხედავად სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით მათი ბოლშევიკური ფრთის მხრიდან სოციალურ-კლასობრივ მოტივებზე ყურადღების ზედმეტად აქცენტირებისა) იდგა საქართველო. რევოლუციურმა გამოსვლებმა მოიცილა საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის აფხაზეთიც. მაგრამ საქართველოს ამ კუთხეში რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ არა აფხაზები, რომლებმაც გასაოცარი პასიურობა გამოამჟღავნეს და ფაქტობრივად ფეოდალურ-ბატონყმური იმპერიული რეჟიმის დამცველებად მოგვევლინნენ, არამედ ქართველები.

აფხაზეთის ქართველობამ იმთავითვე აიტაცა რუსეთის რევოლუციის პროგრესული, დემოკრატიული იდეები და უყოყმანოდ შეუერთდა დანარჩენ საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ აქციებს. აფხაზური მოსახლეობის ამგვარი პასიურობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ აფხაზებს შორის კლასობრივი წინააღმდეგობების არარსებობას.¹ ამ თვალსაზრისს ავითარებს თანამედროვე აფხაზი

¹ აფხაზთა პასიურობით ფრიად გაკვირვებული და გაღიზიანებული ყოფილა გიორგი მარკაშიძე, რომელიც ამ მოვლენას „*მოულოდნელ კაზუსს უწოდებდა*“ და აფხაზთა „*ცნობილ მეშობხეთა*“ სიმშვიდეს, როცა „*მთელი რუსეთი ბობოქრობდა*“ გაუგებრობად თვ

მკვლევარი *სტანისლავ ლაკობა*, რომელიც ხაზს უსვამს პატრიარქალური წყობის სიცოცხლისუნარიანობას აფხაზებში და იმ გარემოებასაც, რომ აფხაზები იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ცხოვრობდნენ ქალაქ *სოხუმში*, ასევე *გუდაუთასა* და *ოჩამჩირეში*. აფხაზი ისტორიკოსის დაკვირვებით, აფხაზებისთვის უცხო იყო კაპიტალისტური ურთიერთობები (**ლაკობა С., 1990b: 55**). ე. ი. აფხაზობა არ აღმოჩნდა ჩართული რევოლუციურ პროცესებში სოციალურ-კულტურული ჩამორჩენილობის გამო. სხვათა შორის, აფხაზთა რევოლუციური პროცესებისაგან განდგომის გამო თავიანთ კმაყოფილებას ვერ მალავდნენ რუსეთის იმპერიის მესვეურები. შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთი ოფიციალური გაზეთი („*Окраины России*“) 1906 წელს აღფრთოვანებით წერდა, რომ აფხაზებმა ვერ იგუეს სოციალიზმი, რის გამოც მათთან ცხოვრება შეიძლება *„К абхазцам еще не привился социализм, а потому с ними жить можно“* / (**ლაკობა С., 1990b: 55**).

1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენებიდან აფხაზთა განდგომის მიზეზებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ს. ლაკობას დასკვნას იმის შესახებაც, რომ აფხაზმა გლეხებმა რევოლუციური გამოსვლები აფხაზეთში ადიქვეს, როგორც ქართული რევოლუცია (**ლაკობა С., 1990b: 55**). მაგრამ აფხაზ ისტორიკოსს ავიწყდება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება – აფხაზების ამგვარი „უნდობლობა“ ქართველებისადმი რუსეთის იმპერიის „აგიტატორების“ მიერ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული პროპაგანდისტული მუშაობის ნაყოფი იყო. სწორედ ისინი უნერგავდნენ „დაჩაგრულ“ აფხაზებს სიძულვილს „ქართველი დამპყრობლებისადმი“.

დაძაბულობა 1905 წ. აპრილის მიწურულს დაიწყო და ლამის 1906 წლის ბოლომდე გაგრძელდა (**გამახარია, 2006b: 36-37**). 1905 წლის დეკემბერში გუდაუთაში შეიარაღებული გამოსვლა იგეგმებოდა *სერგო ორჯონიკიძის* ხელმძღვანელობით. საამისოდ საზღვარგარეთიდან შეიარაღებაც იქნა შემოტანილი (**Фадеев, 1933: 26**). სამურზაყანოში ადგილობრივი „რესპუბლიკაც“ კი შეიქმნა (იარსება 1905 წ. 15 დეკემბრიდან 1906 წ. 9 იანვრამდე), რომელსაც ადგილობრივი ბოლშევიკი თავადი *ჰლატონ ემხვარი* მეთაურობდა (**ლაკობა, 1984: 40-63**). ამიტომ აფხაზეთში „გადღიერებული დაცვის მდგომარეობის“ რეჟიმი დაწესდა, ხოლო 1906 წ. 28 თებერვალს მთელ მხარეში სამხედრო მდგომარეობა შემოიღეს (**ლაკობა С., 1990b: 47**).

ქართული საზოგადოებრიობა შეშფოთებული იყო აფხაზეთში 1905 წელს შექმნილი სიტუაციით. ამაზე ნათლად მეტყველებს იმდროინდელ ქართულ დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. მათში მხილებულნი არიან „ბნელი ძალები“, რომლებიც აფხაზეთში ავრცელებდნენ ათასგვარ ბინძურ მონაჭორს, თითქოს ქართველები აპირებდნენ აფხაზთა ამოწყვეტას და მათი მამულების მიტაცებას. გარუსების ამ იმპერიული პოლიტიკის სავალალო შედეგის შესახებ გა-

ლიდა („*Тут вышел неожиданный казус. Каким образом абхазы, „известные бунтари“ вдруг сидели спокойно, когда вся Россия волновалась. Не поймешь ведь этих подлецов. Всегда проделывают то, чего никак не ждешь...*“). იხ. **ლაკობა С., 1990b: 55**).

ზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (№2786, 1.IV.1905წ.) აფხაზეთში შექმნილი ე.წ. „ქართული პარტიის“ ლიდერი – თედო სახოკია წერდა: „სამწუხაროა, რომ აფხაზები რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯურჯურობით სრულს ინდეფერენტობას იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავის მეზობლებს – ქართველებს. ამ პოლიტიკამ უკუღმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუკი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებულნი არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არ აქვს. დღეს კი... შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვადასხვა ოინებით და ხრიკებით ავრცელებდნენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს (იგულისხმება რუსული ოფიცინოზი – «Черноморский вестник» – **ზ.პ., კ.კ.**), რომელიც ქართველობას და მის კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გარდა ამისა, აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხვ.“

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1905 წ. აპრილში, როდესაც ზოგიერთმა „წყლის მღვრევის“, „ძმების გადაკიდების“ მოტრფიალებმა... აფხაზებს (გავლენიან პირებს) დაუწყეს რიგება... ვიცით, რომ თქვენ მშვიდი, კეთილი და წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უწესობა არ არის მოსალოდნელი. დარწმუნებულნი ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები სანდონი არ არიან. იმათგან თქვენს დასაღუპავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ ჰკა მაგათაო. კინაღამ უდანაშაულოთა სისხლით არ მოირწყო გუდაუთის ქუჩები, რომ უბრალო შემთხვევას არ ეხსნათ“ (**გელენავა, 2014: 113**).

1906 წ. აპრილ-მაისში კი საქართველოში 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტით გათვალისწინებული I სათათბიროს არჩევნები ჩატარდა და სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან სათათბიროს წევრი გახდა გენერალი პროკოფი შარვაშიძე. მეორე სახელმწიფო სათათბიროში (1907 წ. თებერვალ-ივნისი) იმავე ოლქებიდან წარმოდგენილი იყო კონსტანტინე კანდელაკი, მესამეში (1907 წ. სექტემბერ-ოქტომბერი – 1912 წ. ივნისი) – კვლავ პროკოფი შარვაშიძე, მეოთხეში (1912 წ. სექტემბერ-ოქტომბერი – 1917 წ. თებერვალი) – სამურზაყანოელი აკაკი ჩხენკელი (**გელენავა, 2007: 278**).

მიუხედავად დიდი მცდელობისა, იმპერიის ხელისუფლებამ მაინც ვერ მოახერხა მორჩილი აფხაზების გამოყენება ამბოხებული ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ აფხაზთა ლოიალობა მაინც იქნა დაფასებული რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელური რეჟიმის მიერ. ჯერ კიდევ 1906 წ. მაისში გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ „დამნაშავე მოსახლეობად“ შერაცხული აფხაზობა „ბოლო თვეების

განმავლობაში გამოირჩეოდა მთავრობისადმი ლოიალობით“, კავკასიის მეფისნაცვალმა ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენა მათი რეაბილიტაციის საკითხი. 1906 წ. დეკემბერში თბილისიდან – კავკასიის რუსული ადმინისტრაციიდან წამოსულ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა პეტრე სტოლიპინმა, რის შემდეგაც, 1907 წ. 27 აპრილს გამოქვეყნდა იმპერატორის „წყალობა“, რომლის მიხედვითაც აფხაზებს ოფიციალურად მოეხსნათ „დამნაშავე მოსახლეობის“ იარლიყი. ეს იყო ჯილდო, რომელიც აფხაზმა ხალხმა მიიღო „სამშობლოსა და მეფის“ წინაშე გამოჩენილი ერთგულებისათვის. „აფხაზები ღირსეულად გაუძლეს გამოცდას“/„Абхазцы с честью вышли из испытания“/, – აცხადებდა კავკასიის მეფისნაცვალი და გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ ამიერიდან „აფხაზები დამნაშავენი თავიანთი ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე არასოდეს იქნებიან“ /„абхазцы виновными против своего Государя Императора никогда и при никаких обстоятельствах более не будут“/ (Гамахария, Гогия, 1997: 385-386).

მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აფხაზებმა (მათმა დიდმა ნაწილმა მაინც) ნამდვილად გაამართლეს ეს იმედები და ამ დროიდან ისინი მართლაც ერთგულად ჩადგნენ ძველი თუ ახალი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში. პირველად მკაფიოდ ეს გამოჩნდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ განვითარებული მოვლენებისას.

თავი VIII. თანამედროვე აფხაზეთის რელიგია და კულტურა 1810-1917 წლებში

§1. სარწმუნოებრივი მდგომარეობა აფხაზეთში რუსული ანექსიის პირობებში (1810-1917)

XIX ს. დამდეგს, როდესაც დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხი, სამეგრელოს სამთავრო კარის მეცადინეობით გააქტიურდა რეგიონში, ვითარებათა გამო, მოშლილი ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენის თემა. ამაზე იყო საუბარი სამეგრელოს დროებითი მმართველის ნინო დადიანის 1808 წ. 8 ივნისის წერილში საქართველოს მთავარმართველ ი. გუდოვიჩის (1806-1809) სახელზე, რომელშიც აუწყებდა *მას ქელემ-ბეის* მემკვიდრის, გრიგოლ დადიანის სიძის – *გიორგი შარვაშიძის* ფარულად მონათვლის შესახებ (AKAK, III, 1869: 202). არსებობს ინფორმაცია თვით ქელემ-ბეის მონათვლის შესახებაც (გამბა, 1987: 85; გამახარია, 2005: 346, 367-368).

ქართველი სამღვდლოება, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩახედული რუსეთის იმპერიის ნამდვილ მიზნებში, მხარში ედგა იმავე იმპერიას აფხაზეთისთვის ბრძოლაში. აღსანიშნავია ამ მხრივ ჭყონდიდელი მიტროპოლიტის *ბესარიონის* (დადიანი), ცაიშელი მიტროპოლიტის *გრიგოლის* (*ჩიქოვანი*), სამეგრელოს სამთავრო კარის დეკანოზის *იოანე იოსელიანის*, არქიმანდრიტ (შემდგომში ეპისკოპოს) *გიორგის* (*კუხალაშვილი*) დეაწლი აფხაზეთის, მისი ცალკეული ოლქების (სამურზაყანო, წებელი) რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ მოქცევის საქმეში (AKAK, II, 1868: 209; AKAK, III, 1869: 527; AKAK, V, 1873: 507-508). იმავდროულად ქართველი სამღვდლოება ცდილობდა რუსეთის დახმარებით აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენას. სამეგრელოს სამთავრო კარის დეკანოზმა იოანე იოსელიანმა 1809 წ. 23 დეკემბერს საქართველოს მთავარმართველ ალექსანდრ ტორმასოვს სთხოვა ხელშეწყობა ბიჭვინთის, ლიხნის, დრანდის, მოქვის, ბედიის ტაძრების აღდგენაში. 1810 წ. 2 იანვარს მან კიდევ ერთხელ მიმართა ა. ტორმასოვს დახმარებისთვის (AKAK, IV, 1870: 415-416), მაგრამ უშედეგოდ. მაშინ იოანე იოსელიანმა საკუთარი სახსრებით ადადგინა ლიხნის ტაძარი და იქ მღვდლები *იოანე ქავთარაძე* და *სიმონ ჟორდანი* მიავლინა (გამახარია, 2005: 368).

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა მთიელებში, მათ შორის აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობას და ამ საქმეში ქართველი სამღვდლოების ჩართვის აუცილებლობას. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა 1818 წ. 28 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ეპარქიებს მისიონერული ფუნქციის შესრულების ვალდებულებას აკისრებდა მათ მოსაზღვრედ მცხოვრებ ურწმუნოთა მიმართ. ეს გადაწყვეტილება აფხაზეთსაც ეხებოდა, მაგრამ საქართველოს საეგზარქოსომ ვერ მოახერხა იქ მისიონერთა შეგზავნა ანტირუსული შეიარაღებული გამოსვლების მიმდინარეობის გა-

მო. ცალკეული სასულიერო პირები მაინც ახერხებდნენ აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის წარმართვას. XIX ს. 20-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დეკანოზმა იოანე იოსელიანმა, მღვდელმა სიმონ ჟორდანიამ (მიხეილ შარვაშიძის სულიერი მოძღვარი), რომლებიც ლიხნში მსახურობდნენ, ასევე სოლომონ ნადროვმა, იოანე ქავთარაძემ. ეს უკანასკნელი 1816 წლიდან მთავრის კარზე იმყოფებოდა, 1818 წლიდან კი პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაშია. 1821 წ. 15 აგვისტოს, იმპერატორის ბრძანებითა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, ის ლიხნის „ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრისა და მთელი აფხაზეთის ოლქის არქიმანდრიტად“ აკურთხეს. იმავე წლის ოქტომბერში იოანე ქავთარაძე ახლადდამტკიცებულ მთავართან დიმიტრი შარვაშიძესთან ერთად აფხაზეთში დაბრუნდა. უკვე დეკემბერში მან ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი ჩაიბარა „ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აფხაზი ხალხის მოქცევის ღმრთივსათნო სამსახურის გასაწევად“ (სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 963, ფ. 3). იოანე ქავთარაძის ხელმძღვანელობით ქართველმა სასულიერო პირებმა ასობით აფხაზი მონათლეს (სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 963, ფ. 1-2, 9, 14, 15, 17-20, 22).

აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის წარმატებას, რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყებასთან ერთად, აფერხებდა სამთავრო სახლის შიგნით პოლიტიკური, შესაბამისად სარწმუნოებრივი ორიენტაციის საკითხებზე არსებული განხეთქილება. 1824 წ. ოქტომბერში იოანე ქავთარაძე საქართველოს ეგზარქოსს აცნობებდა: „მთელი აფხაზეთი აჯანყდა, სოუკ-სუ დატოვეს რუსის რაზმებმა, ტაძარი გაწითლებულია სისხლით. ტაძრის შიგნით აფხაზების მიერ მოკლულია ათი კაცი, საეკლესიო ნივთები და ფული დაიკარგა. ბუნტოვშიკების მალე დაწყნარება შეუძლებელია“ (როგავა, 2002: 81). XIX ს. 20-იანი წლების ბოლოსათვის აღნიშნული ხელისშემშლელი ფაქტორები მოიხსნა. 1825 წ. 26 მარტს დასრულდა საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციის სამეგრელოს ეკლესიებზე გავრცელების პროცესი, რასაც ხელი უნდა შეეწყო აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის ორგანიზებაში. ამ დღიდან ეგზარქოსისა და ლევან V დადიანის მოთხოვნით, ჭყონდიდის ეპარქიის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა გახდა აფხაზეთში მისიონერების გაგზავნა. პირველი მისიონი 30-იანი წლების დასაწყისში სამურზაყანოში გაიგზავნა ბლადოჩინი მღვდლის იესე მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. მოკლე დროში მისიონმა დიდ წარმატებებს მიაღწია (Состояніе христіанства въ Абхазіи, 1903: 60-61).

აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენის დაჩქარების მიზნით, მიხეილ შარვაშიძემ 1831 წელს საქართველოს რუსული ადმინისტრაციის წინაშე დასვა საკითხი აფხაზეთის ცალკე ეპარქიის შექმნის შესახებ. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ, შეისწავლა რა ვითარება აფხაზეთში, სადაც მხოლოდ ლიხნის კარის ეკლესია ფუნქციონირებდა (წინამძღვარი – სვიმონ ჟორდანიამ), არ დააკმაყოფილა მიხეილ შარვაშიძის თხოვნა. ამასთანავე მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელოს ეპარქიიდან აფხაზეთში სასულიერო მისიის მივლინების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მხარი უწმინდესმა სინოდმაც დაუჭირა. გარკვეული ორგანიზაციული

ზომების გატარების შემდეგ 1834 წ. მარტის დასაწყისში სასულიერო მისია არქიმანდრიტ ანტონ დადიანის ხელმძღვანელობით აფხაზეთში ჩავიდა. მისიის ხელმძღვანელი მთავრის სახლში დაბინავდა და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა. XVII საუკუნის შემდეგ ეს იყო საკუთრივ აფხაზეთში მივლინებული პირველი სასულიერო მისია.

XIX ს. 30-იანი წლებიდან აფხაზეთში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ სვიმონ ჟორდანი, დავით ახვლედიანი, თეოფანე გაბუნია, ანდრია გელოვანი, იოსებ და მარკოზ თათარაშვილები, ათანასე ჭადუა, რომან მერჭვილე, ვასილ ნემსაძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები. საქართველოს საეგზარქოსო მაღალ შეფასებას აძლევდა ანტონ დადიანის მისიონის წარმატებულ საქმიანობას (**AKAK, VIII, 1881: 252**). მარტო 1834-1836 წლებში 2 ათასამდე აფხაზი მოინათლა, აშენდა სამი ეკლესია (**გამახარია, 2005: 374-379**). მისიონერებმა განსაკუთრებულ წარმატებებს ბზიფის მხარეში და აბჟუაში მიაღწიეს. ბზიფის მხარეში წარმატების მიღწევას დიდად შეუწყო ხელი მთავრის დედამ – *თამარ კაციას ასულმა დადიანმა*, აბჟუაში – ამ მხარის მფლობელის ალექსანდრე (ალი-ბეი) შარვაშიძის მეუღლემ *კესარია ნიკოს ასულმა დადიანმა* (**სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 3741, ფ. 65, 66**).

XIX ს. 30-იანი წლების მეორე ნახევარში სამისიონერო საქმიანობა რამდენადმე შეფერხდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ მაჰმადიანი და წარმართი მთიელების გააფთრებული წინააღმდეგობა. აფხაზები ხვდებოდნენ, რომ მათ გაქრისტიანებას რუსეთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ცდილობდა, ამიტომაც მათი მხრიდან სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას იწვევდა. შექმნილი ვითარების შესახებ 1836 წ. 31 მარტს *ლევან V დადიანმა* წერილით მიმართა მთავარმართებელ *გრიგოლ როზენს*. მასში ჩამოყალიბებულია აფხაზთა შორის მისიონერულ საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტური და სუბიექტური ხასიათის დაბრკოლებები, რომლებიც თან ახლდა ამ რთულ პროცესს. სამეგრელოს მთავარი ეჭვსქვეშ აყენებდა მთავრობის პოლიტიკის რეალობას „*საჭურვლისა ჯვარისათა*“ დაეძლია მთიელთა წინააღმდეგობა და ურჩობა; აღნიშნავდა, რომ მთიელი ტომების მფლობელთა მხრიდან ქრისტიანობის მიღებაზე თანხმობაც და თავშეკავებაც მათი პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახევი (**სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 5095, ფფ. 1-3**).

ლევან V დადიანის მოსაზრებებმა გარკვეული გავლენა იქონიეს მთიელთა შორის მთავრობის სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე. საქართველოს მთავარმართებელმა *ევგენი გოლოვინმა* (1837-1842), რომელსაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აფხაზთა მოქცევა შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდა, უარი თქვა ქრისტიანობის გავრცელების გზით („*საჭურვლისა ჯვარისათა*“) აფხაზეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცების ილუზიაზე და გეზი სამხედრო ძალაზე – შავი ზღვის სანაპირო ხაზის მოწყობაზე აიღო. იმავე მოსაზრებით, ე. გოლოვინმა უარყო ანტონ დადიანის მიერ 1835 წლის ივლისში წამოყენებული წინადადება ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის თაობაზე. ნიკოლოზ II-მ 1838 წ. დეკემბერში გაიზიარა ე. გოლოვინის პოზი-

ცია და ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა გაურკვეველი ვადით გადადო (Мурзакевич, 1877: 22-24; გამახარია, 2005: 372-373, 396-398).

ძალისმიერმა სამთავრობო პოლიტიკამ შეცვალა დამოკიდებულება ქართველი მისიონერების მიმართაც. 1840 წ. 10 და 20 მარტს საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილებში კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსმა გენერალმა ჰავლე კოცებუმ წამოაყენა წინადადება „ნახევრად ველურ მთიელთა შორის“ – აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით რუსი სასულიერო პირების დანიშვნისა და აფხაზეთის ეკლესიის შავი ზღვის სანაპირო ხაზის საეკლესიო განყოფილებისადმი დაქვემდებარების შესახებ. პ. კოცებუს წინადადებას მხარი დაუჭირა ევგენი გოლოვინმა. საბოლოო სიტყვა აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს ეკუთვნოდა. გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა ანტონ დადიანის სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშვნამ (1842 წ.) და აფხაზეთში სასულიერო მისიის ხელმძღვანელის გარეშე დარჩენამ. აფხაზეთის მთავარმა განაცხადა: „მე მსურს ჩემს სამფლობელოში ანტონის წასვლის შემდეგ მის ადგილზე ვიხილო იღუმენი თეოფანე, რომელიც ანტონთან ერთად კარგად იცნობს აფხაზებს და თავისი კეთილგანწყობილებითა და გონიერი მიდგომით დაიმსახურა მათი პატივისცემა... მე მსურს, რომ ჩემი სამფლობელოს ეკლესია უშუალოდ დაექვემდებაროს სამეგრელოს ეპისკოპოსს ანტონს“ (როგავა, 2002: 93-94).

მიხეილ შარვაშიძის ნებით, ქართველმა მისიონერებმა გააგრძელეს საქმიანობა ეპისკოპოს ანტონისა და იღუმენი თეოფანე გაბუნიას ხელმძღვანელობით. ორ წელიწადში მათ ხუთასამდე აფხაზი მონათლეს (სცსსა: ფ. 48, ანაწ. 1, ს. 9600). 1845 წ. შემოდგომაზე ეპისკოპოსმა ანტონმა აფხაზეთში იმოგზაურა. იმავე წლის 5 დეკემბერს იგი ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი – 1844-1858) წერდა, რომ აკურთხა „ახლად აღმენებულნი აფხაზეთსა შინა სამრევლო და სასახლის ეკლესიები“; აღნიშნავდა ააცის, მაზუხვის, შუა წყაროს (შქაწყარი), გუდავის ეკლესიებისა და მათი ქართველი წინამძღვრების კარგ მუშაობას (სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 10653, ფფ. 1, 2, 7-10, 14, 15, 19). 1845 წლის ბოლოდან ქართულ სასულიერო მისიას აფხაზეთში სათავეში ჩაუდგა მიხეილ შარვაშიძის სულიერი მოძღვარი იღუმენი გერმანე გოგელაშვილი. მისი მეცადინეობით, სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ათასამდე აფხაზი მოინათლა.

1846 წ. დასაწყისში უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში რუსული სასულიერო მისიის დაფუძნების შესახებ. მისიის ხელმძღვანელი შავი ზღვის სანაპირო ხაზის სამღვდელოების ხელმძღვანელიც იქნებოდა და უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაექვემდებარებოდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვი არ დაეთანხმა. მან დაარწმუნა საერო და საეკლესიო მთავრობა, რომ აფხაზეთში მისიონერული მიზნებისთვის აუცილებელი იყო ქართველი სასულიერო პირების გამოყენება, ამ საკითხში მთავრის სურვილის გათვალისწინება, სასულიერო მისიის საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში დატოვება. მ. ვორონცოვის მოსაზრებებს უწმინდესი სინოდი დიდწილად და-

ეთანხმა (AKAK, X, 1885: 225-227). 1847 წელს, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, გერმანე გოგელაშვილი აფხაზეთის არქიმანდრიტად დაინიშნა და ამ ხარისხში იგი ეპისკოპოსმა ანტონ დადიანმა აკურთხა (როგავა, 2002: 95).

XIX ს. 40-იანი წლების ბოლოსათვის მომწიფდა აფხაზეთის ეპარქიის დაფუძნების საკითხი. 1849 წ. 14 მარტს მიხეილ შარვაშიძემ შესაბამისი წერილით ეგზარქოს ისიდორუს მიმართა, თანაც მიუთითა, რომ აფხაზეთის მღვდელმთავრად მას სურს იხილოს არქიმანდრიტი გერმანე გოგელაშვილი. წერილს თან ერთვოდა აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრის დაფუძნების პროექტი (სცსსა: ფ. 545, ანაწ. 1, ს. 314, ფ. 104-116; გამახარია, 2007c: 567-568). მთავრის წინადადება გაიზიარეს როგორც ეგზარქოსმა, ისე მეფისნაცვალმაც, რომელმაც კიდევ ერთხელ მოითხოვა აფხაზეთში ქართველი სასულიერო პირების მივლინება და, მიხეილ შარვაშიძის სურვილის შესაბამისად, აფხაზეთის ეპისკოპოსად არქიმანდრიტ გერმანე გოგელაშვილის დანიშვნა (AKAK, X, 1885: 230-232).

აფხაზეთის ეპარქია და მასთან სასულიერო სასწავლებელი იმპერატორის 1851 წ. 15 აპრილის ბრძანებულებითა და უწმინდესი სინოდის 1851 წ. 30 აპრილის განჩინებით დაფუძნდა. 1851 წ. 30 მაისს აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად გერმანე გოგელაშვილი დაინიშნა, სასწავლებლის ზედამხედველად – მღვდელმონაზონი ალექსანდრე (ოქროპირიძე). ეპარქიისა და სასწავლებლის ადგილსამყოფელად ბიჭვინთა განისაზღვრა, მაგრამ ლიხნში ფუნქციონირებდნენ ბიჭვინთაში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის გამო. აფხაზეთის ეპარქიისა და სასულიერო სასწავლებლის მისიას რუსული ადმინისტრაცია ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებასა და იმამ შამილის მიმდევართა იდეოლოგიისაგან – მიურიდიზმისაგან აფხაზეთის დაცვაში ხედავდა (AKAK, X, 1885: 233-239). ყირიმის ომმა და ოსმალურმა ოკუპაციამ შეაფერხა მისიონერული საქმიანობა, აფხაზთა დიდი ნაწილი ოსმალებს მიემხრო და ქრისტიანული სარწმუნოება უარყო. ეპარქია და სასულიერო სასწავლებელი მთავართან ერთად აფხაზეთიდან გაიხიზნა.

ქრისტიანთა მხარდასაჭერად ეპისკოპოსმა გერმანემ საეპარქიო კათედრის თარჯიმანი სიმონ ეშბა 1854 წელს, ხოლო ახლადკურთხეული პირველი აფხაზი მღვდელი იოანე გეგია 1855 წ. მაისში აფხაზეთში მიავლინა. მათ გამხმნევეს ქრისტიანები და ასობით ადამიანი ქრისტეს რჯულზე მოაქციეს. ეპისკოპოსი გერმანე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იოანე გეგიას დიდ დამსახურებას, რისთვისაც იგი 1855 წ. ივლისში ათარის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა (სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 16878, ფფ. 1-5). ქრისტიანთა პოზიციების განმტკიცებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1855 წ. მაისში მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნებამ და ლიხნის კარის ეკლესიაში ღმრთისმსახურების აღდგენამ. 1855 წ. პირველ ნახევარში მოხერხდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენა ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭადუაში (სადაც მიხეილ შარვაშიძე ოსმალთა მიერ აფხაზეთის ოკუპაციის პერიოდში – სიმამრის გიორგი დადიანის მამულში – თავს აფარებდა). შემდგომ სასწავლებელი, რომელსაც ალექსანდრე ოქროპირიძე საკუთარი სახსრებით ინახავდა, სენაკ-

ში – სოფელ ქვაშხორში – ელიზბარ დადიანის სახლში გადაიტანეს. მასში სულ 6 აფხაზი ბავშვი ირიცხებოდა, მათ შორის იყო გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე. 1855 წ. ოქტომბერში, როდესაც სამეგრელო ოსმალებმა დაიკავეს, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელმა ფუნქციონირება შეწყვიტა (**გამახარია, 2016a: 74-75**).

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენის საქმეში დიდი დამსახურება არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილ (1856 წ. 26 თებერვალი) ალექსანდრე ოქროპირიძეს მიუძღვის. 1856 წ. 22 ივლისს, მან აფხაზეთის მღვდელმთავარს წარუდგინა საფუძვლიანი მოხსენება ეპარქიაში ეკლესიების სავალალო მდგომარეობის შესახებ (**სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 25933, ფფ. 41-41ა**). 1856 წ. სექტემბერში ეპისკოპოს გერმანეს იმერეთის მღვდელმთავრად დანიშვნის შემდეგ იმავე წლის 20 ოქტომბერს ეგზარქოსმა ისიდორემ არქიმანდრიტ ალექსანდრეს აფხაზეთის ეპარქიის მართვა და ეკლესიების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება დაავალა. ალექსანდრემ ეგზარქოსის დავალება შეასრულა და მას აფხაზეთში ეკლესიების მდგომარეობის შესახებ 1857 წ. 2 და 15 სექტემბერს მოხსენებები წარუდგინა (**გამახარია, 2016a: 78-81**). თავისი მოღვაწეობით არქიმანდრიტმა ალექსანდრემ მიხეილ შარვაშიძის მაღალი ნდობა და აფხაზი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. 1857 წ. 17 აგვისტოს აფხაზეთის ეპისკოპოსად გერონტი (ვაკიტაშვილი) დაინიშნა. 1859 წ. 16 ნოემბერს ის იმავდროულად სამეგრელოს ეპისკოპოსიც გახდა და საცხოვრებლად მარტვილში გადავიდა. ეპარქიის ფაქტობრივი მართვა კვლავ ალექსანდრე ოქროპირიძეს დაეკისრა. მან 1860 წელს სასულიერო და სამხედრო ხელისუფლებას სამი ანალიტიკური ხასიათის მოხსენება წარუდგინა სათანადო რეკომენდაციებითა და წინადადებებით (**გამახარია, 2006c: 83-96; გამახარია, 2007c: 569-579**). მოხსენებებში **პირველად არის ოფიციალურად დასმული აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნის აუცილებლობის საკითხი**, რის გარეშე ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

1861 წ. 21 ნოემბერს ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთის ეპისკოპოსად ინიშნება. მისი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ახალი ეკლესიების განსნა, სასულიერო პირების მომრავლება, ქართულ და აფხაზურ ენებზე ღმრთისმსახურების დამკვიდრება, აფხაზთა სწავლა-განათლება, რისთვისაც საკუთარ სახსრებს არ იშურებდა. მან ჩაუყარა საფუძველი აფხაზთა სასკოლო განათლების საქმეს, წამოაყენა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნის იდეა. ალექსანდრე ოქროპირიძის მღვდელმთავრობის პერიოდში აფხაზეთ-სამურზაყანოში ოცამდე ახალი ეკლესია გაიხსნა, მათ შორის სოხუმის სასაფლაოს ძველი ეკლესია მან საკუთარი სახსრებით აღადგინა (**გამახარია, 2005: 427-435, 938-948**). ეს იყო იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც აფხაზეთში მოხერხდა XIX ს. უმძიმეს 60-იან წლებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1867 წელს მუჰაჯირობამ ყველაზე მეტად აფხაზეთის ის რეგიონი დააზარალა, სადაც ქართველმა მისიონერებმა ვერ შეაღწიეს, ვერ გახსნეს ეკლესიები და სკოლები. ასეთი იყო წებელდის ოკრუგი, რომელიც მთლიან-

ნად დაიცალა მოსახლეობისაგან. მხოლოდ ნაწილობრივ დაზარალებულნი ის რეგიონები (ბიჭვინთისა და დრანდის ოკრუგები), სადაც მისიონერებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. მუჰაჯირობა საერთოდ არ შეხებია ოქუშის ოკრუგს, რომლის მთელი მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანული იყო.

1867 წ. 7 ნოემბერს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს გენერალ ვასილი გეიმანს, მისივე თხოვნით, წარუდგინა მოხსენება აფხაზთა სარწმუნოებრივი მდგომარეობისა და მართლმადიდებლობაზე მათი მოქცევისთვის საჭირო ზომების შესახებ (**გამახარია, 2007c** : 579-600). თავის მხრივ, ვ. გეიმანმა, რომელიც გამოსატყვევდა უკმაყოფილებას აფხაზთა არარელიგიურობით, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მათი მულღვივი მერყეობით თურქეთსა და რუსეთს, მაჰმადიანობასა და ქრისტიანობას შორის, 1867 წ. 14 ნოემბერს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს წარუდგინა საკუთარი მოხსენება „აფხაზეთში ქრისტიანობის საკითხის შესახებ“. ქრისტიანობის წარუმატებლობაში ის მიხეილ შარვაშიძეს, ეპისკოპოს ალექსანდრეს და ქართველ სამღვდლოებას ადანაშაულებდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვ. გეიმანის აზრით, საჭირო იყო აფხაზეთის ეპარქიის გაუქმება და იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისთვის (ქიქოძე) მისი დაქვემდებარება – აფხაზეთის დაყოფა ორ საბლადოჩინოდ უფროსი ბლადოჩინის საერთო ხელმძღვანელობით.

ვ. გეიმანის წინადადებები მოიწონა საქართველოს ეგზარქოსმა *ევსევიმ (გამახარია, 2007c*: 200-209). მასში კორექტივები შეიტანა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) აფხაზეთში პირველი მისიონერული მოგზაურობის შემდეგ (1868 წ. 10 მაისი – 7 ივნისი). მან მიზანშეწონილად მიიჩნია აფხაზეთის ეპარქიის არა გაუქმება, არამედ სამართავად იმერეთის მღვდელმთავრისთვის გადაცემა, მაღალი შეფასება მისცა ქართველი სამღვდლოების საქმიანობას. კავკასიის რუსულმა საერო და სასულიერო ადმინისტრაციამ მიიღო ეპისკოპოს გაბრიელის წინადადებები. იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1869 წ. 30 მაისის ბრძანებულებითა და უწმინდესი სინოდის 1869 წ. 6 ივნისის გადაწყვეტილებით ის აფხაზეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა. იმავე ბრძანებულებით, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გორის კათედრა დაიკავა (**გამახარია, 2007c**: 212-220, 226-229, 247-253, 256-258).

ეპისკოპოს გაბრიელის მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში წარმოადგენს მთელს ეპოქას რეგიონის საეკლესიო ისტორიაში. პირობითად ის სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს 1868-1872 წლებს. ეპისკოპოს გაბრიელის შეფასებით, ეს იყო მასობრივი ნათლობების პერიოდი. ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში მღვდელმთავრის მიერ განხორციელებულმა მისიონერულმა მოგზაურობებმა აფხაზეთში, სოფელ-სოფელ სიარულმა, მოსახლეობასთან შეხვედრებმა, ქადაგებებმა და საუბრებმა, აფხაზი ხალხის მიმართ გამომჟღავნებულმა სიყვარულმა და მამობრივმა ზრუნვამ უაღრესად დადებითი შედეგები გამოიღეს. აღნიშნულ პერიოდში 17800 ადამიანი მოინათლა, გაიხსნა 30-ზე მეტი ახალი ეკლესია (**გამახარია, 2007c**: 354-534). ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა

განახლებული ბიჭვინთისა (1869 წ. 27 სექტემბერი) და დრანდის (1871 წ. 21 ოქტომბერი) ისტორიული ტაძრები. მისიონერულ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა აფხაზეთის უფროსმა ბლალოჩინმა დავით მაჭავარიანმა, ასევე ათანასე ყორდანიამ, ანტონ დგებუაძემ, ბესარიონ მიქაბერიძემ, გიორგი ახვლედიანმა, იოანე კურუსელიძემ, იოსებ ბერძენიშვილმა, ტიმოთე სახოკიამ, ზოსიმე ხელაიამ და სხვებმა (გამახარია, 2005: 843-865; გამახარია, 2007c: 661-668). აქტიურ მისიონერულ და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ლიხნის ეკლესიის წინამძღვარი, ეთნიკურად აფხაზი მღვდელი იოანე გეგია.

აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის მეორე პერიოდი (1873-1877 წლები) რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე გრძელდებოდა. როგორც ეპისკოპოსი გაბრიელი აღნიშნავდა, ამ პერიოდში მასობრივი ნათლობების ხანა დასრულდა. ამის მიზეზი გახლდათ როგორც მაჰმადიანთა გაზრდილი წინააღმდეგობა, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციის უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკა. 1873 წ. 4 დეკემბერს სოხუმის განყოფილების ახალი უფროსი პავლე კრაჟჩენკო მეფისნაცვალს წერდა, რომ „ამჟამინდელი 49 სამრევლო მღვდლის ნაცვლად 10 რუსი მქადაგებელი დიდ სარგებლობას თუ ვერ მოიტანდა, უკიდურეს შემთხვევაში მთლიანად გამოდევნიდა ქართულს, რომელიც სრულიად უსარგებლოა აქ და ამუხრუჭებს რუსულ განვითარებას“ (გამახარია, 2005: 988, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.). მსგავსი პოლიტიკა სერიოზულად აბრკოლებდა მისიონერულ საქმიანობას. ეპისკოპოსმა გაბრიელმა ამიერიდან მთავარ ამოცანად წინა წლებში მონათლულთა რწმენაში განმტკიცება, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების დანერგვა დაისახა, არც აფხაზთა გაქრისტიანების პროცესი შეწყვეტილა. ქართველმა მღვდელმთავარმა აფხაზეთში კიდევ ორი (1874 და 1875 წლები) მისიონერული მოგზაურობა განახორციელა. ოფიციალური მონაცემებით, 1873-1877 წლებში 1007, 1868 წლიდან კი – 18807 ადამიანი მოინათლა (გამახარია, 2007c: 124, 278-279, 535-555). მეორე პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იმაში მდგომარეობდა, რომ ადრე მონათლულები მყარად იდგნენ სარწმუნოებაში და ქრისტიანობისაგან განდგომის ფაქტები მათი მხრიდან თითქმის არ მომხდარა.

აფხაზეთში ეპისკოპოს გაბრიელის მისიონერული მოღვაწეობის მესამე პერიოდი რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ – 1879-1886 – წლებს მოიცავს. აღნიშნულ ომში დიდ როლს თამაშობდა სარწმუნოებრივი ფაქტორი – ოსმალების ხელით განადგურდა ან დაზიანდა ეკლესიების დიდი ნაწილი. 1877 წ. 5 აგვისტოს მაჰმადიანმა აფხაზებმა – მუჰაჯირებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ლიხნის ეკლესიის წინამძღვარი იოანე გეგია. აფხაზებს კვლავ თავს დაატყდათ ეროვნული ტრაგედია - კიდევ ერთი მასობრივი მუჰაჯირობა. ისევე როგორც 1867 წელს, ამჯერადაც ყველაზე მეტად ის რეგიონი დაზარალდა, სადაც ქართველ მისიონერებს მუშაობის საშუალება არ მიეცათ, სადაც საკმარისი რაოდენობით ვერ ამოქმედეს ეკლესიები და სკოლები, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა მაჰმადიანთა გავლენა. 1877

წელს ეს იყო გუმისთის უბანი, რომელიც მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. 1877 წლის მუჰაჯირობის შედეგები არის პირდაპირი დადასტურება იმისა, რომ ეპისკოპოს გაბრიელის მისიონერულმა ღვაწლმა, თითქმის 19 ათასი ადამიანის ქრისტეს რჯულზე მოქცევამ და რწმენაში განმტკიცებამ აფხაზი ხალხი ერთიანად თურქეთში გადასახლებას, უბიძგის მსგავსად, სრულ გადაშენებას, ეროვნულ კატასტროფას გადაარჩინა. ამაში მდგომარეობს ეპისკოპოს გაბრიელისა და სხვა ქართველი მისიონერების ისტორიული დამსახურება.

რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა გაბრიელმა აფხაზეთში ერთი მისიონერული მოგზაურობა განახორციელა (1879 წლის აპრილ-მაისი). თავის ქადაგებებში ქართველი მღვდელმთავარი საუბრობდა მუჰაჯირობის მტკივნეულ თემაზეც, რომლის მიზეზად, რუსული ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, ის არა აფხაზთა ღალატს, არამედ მოწინააღმდეგის მხრიდან მოტყუებასა და ძალადობას ასახელებდა (**გამახარია, 2007c: 561, 563**). ეპისკოპოსი გაბრიელი აღნიშნავდა, რომ მუჰაჯირთა დიდ ნაწილს სურდა სამშობლოში დაბრუნება. აფხაზეთის ქართველი სამღვდლოებაც ყოველნაირად ხელს უწყობდა ამ პროცესს. მაგალითად, *აჟანდარის* აღდგომის ეკლესიის მღვდელმა *სტეფანე სახოკიამ* 160 აფხაზი მუჰაჯირი საკუთარი სახსრებით ბათუმიდან აფხაზეთში ჩამოიყვანა (**სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 40793, ფ. 38**).

1877-1878 წლებიდან აფხაზეთში მისიონერებისთვის უადრესად არახელსაყრელი პოლიტიკური გარემო შეიქმნა – მუჰაჯირობის უმძიმესი შედეგები, აფხაზთა „დამნაშავე ერად“ გამოცხადება, რუსიფიკაციის პოლიტიკის გააქტიურება, ქართველებსა და აფხაზებს შორის ხელოვნურად უნდობლობის ჩამოგდება, რეგიონის დაჩქარებული უცხოური კოლონიზაცია და ა. შ. მიუხედავად ამისა, ეპისკოპოს გაბრიელის, სხვა ქართველი სასულიერო პირების ძალისხმევით 1879-1886 წლებში მოხერხდა ქრისტიანულ საწყისებზე სულიერი ცხოვრების აღდგენა, აშენდა ან განახლდა ოცამდე ეკლესია, მათ შორის სოხუმის საკათედრო ტაძარი /1884 წელი/ (**გამახარია, 2005: 509, 516, 519**).

მოსახლეობის რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკით იყო ნაკარნახევი აფხაზეთში რუსული მონასტრების დაფუძნებაც. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებების მიღება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე ხდებოდა. მონასტრების დაფუძნება XIX ს. 70-იანი წლებიდან XX ს. დამდეგამდე გრძელდებოდა. რუსული მონასტრები სავსებით მიზანმიმართულად იხსნებოდა ისტორიულ ტაძრებში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ზოგადქართული მნიშვნელობის საეკლესიო და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. მონასტრები გაიხსნა *ბიჭვინთაში* (1872 წ.), *ანაკოფიაში* (ახალ ათონში – 1875 წ.), *დრანდაში* (1881 წ.), *კამანში* (1901 წ.), *მოქვში* (1902 წ.). ქართული ცივილიზაციის ეს უმნიშვნელოვანესი კერები ქართველთა და აფხაზთა დენაციონალიზაციის კერებად უნდა ქცულიყო. აფხაზეთში დაფუძნებულ მონასტრებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ახალი ათონის *სიმონ კანანელის მონასტერი* იმსახურებს. იგი დაარსდა როგორც XI საუკუნიდან ათონში

მოქმედი წმინდა პანტელეიმონის რუსული მონასტრის – „*რუსიკას*“ ფილიალი. 1877-1878 წწ. ომის შედეგად დანგრეული მონასტრის აღდგენა 1878 წ. ოქტომბერში დასრულდა. 1879 წ. 8 დეკემბერს დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მიხედვით, ახალი ათონის მონასტერი მხოლოდ ეთნიკური რუსების საკუთრებად ცხადდებოდა (**Абхазія и въ ней, 1898**: 216-219). სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა გრძელდებოდა. 1879 წ. 3 თებერვალს *ღმრთისმშობლის საფარველის ტაძარი* გაიხსნა, 1881 წ. 10 მაისს – *სიმონ კანანელის*, 1894 წ. 11 აგვისტოს – *ამაღლების*, 1895 წ. ოქტომბერში – *ანდრია პირველწოდებულის*, 1896 წ. 30 იანვარს კი *ყოველთა წმინდანთა* ტაძრები იკურთხა.

1888 წ. 24 სექტემბერს ახალი ათონის მონასტერს იმპერატორი *ალექსანდრე III*, იმპერატრიცა *მარია თევდორეს ასული*, ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზი, სასახლის მინისტრი *ილარიონ ვრონცოვ-დაშკოვი*, კავკასიის მთავარმართებელი *ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი* და მათი თანმხლები პირები სტუმრობდნენ. საპატიო ყარაული მხოლოდ სამურზაყანოელებით იყო დაკომპლექტებული („დამნაშავე ერად“ გამოცხადებულ აფხაზებს არ ენდობოდნენ). იმავე დღეს ალექსანდრე III-ის თანდასწრებით საძირკველი ჩაეყარა მთავარ სამონასტრო ტაძარს დიდმოწამე პანტელეიმონის სახელზე. ტაძრის მშენებლობას იმპერატრიცამ 5000 მანეთი შესწირა. ადგილობრივ მკვიდრთა („ტუზემცების“) სახელით სტუმრებს ქართულ ენაზე მიესალმა კნენა *მარვაშიძე (Потто, 1889*: 93; *Платонов, 1910*: 124; **Абхазія и въ ней, 1898**: 187). დიდმოწამე პანტელეიმონის ტაძარი 1900 წ. 28 სექტემბერს იკურთხა (**Епископ Кирион, 1901**: 330-331). ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში 1885 წლიდან ბიჭვინთაც შედიოდა, აფხაზეთში და მის ფარგლებს გარეთ უზარმაზარ ქონებას ფლობდა. ის მალევე იქცა რეგიონის რუსიფიკაციის სამთავრობო და საეკლესიო პოლიტიკის ციტადელად.

აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ჩატარდა აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაცია. იმპერატორის 1885 წ. 12 ივნისის ბრძანებულებით, აფხაზეთის ეპარქიას სოხუმის ეპარქია ეწოდა, მის შემადგენლობაში შევიდა სოხუმის ოკრუგი და შავი ზღვის ოლქი ადლერიდან ანაპამდე (**სცსსა**: ფ. 489, ანაწ.1, ს. 40323, ფ. 1-2, 6). ეპისკოპოსი გაბრიელი ახალი მღვდელმთავრის დანიშვნამდე აგრძელებდა სოხუმის ეპარქიის მართვას. 1886 წ. 27 სექტემბერს მან ღრანდის მონასტერი აკურთხა (**Гамахария, 2007**: 128-129); მეორე დღეს სოხუმის საკათედრო ტაძარში სწირა და მრევლს გამოემშვიდობა (**გამახარია, 2007**: 266, 269). ამით სოხუმის ეპარქიაში ეპისკოპოს გაბრიელის სახელოვანი ეპოქა დასრულდა. მის სახელს უკავშირდება აფხაზთა შორის ქრისტიანობის მასობრივი გავრცელება, ათობით ახალი სამრევლოსა და სკოლის გახსნა, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების დანერგვა, ყოველივე ამის შედეგად აფხაზთა უმრავლესობის მუჰაჯირობის ტრაგედიისაგან გადარჩენა.

1886 წლის 29 ნოემბერიდან 1889 წ. 31 მარტამდე სოხუმის ეპარქიას *გენალი (პავლინსკი)* მართავდა (**სცსსა**: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 40323, ფ. 131, 139, 161). სოხუმის ეპარქიაში დაიწყო რუსი ეპისკოპოსების, ასიმილაციური პოლიტიკის გატარე-

ბის ხანა. ახალმა ეპისკოპოსმა 1887 წ. ივნისში სამურზაყანოში იმოგზაურა, მომდევნო წლის ივლისში საქართველოს ეგზარქოსს გუდაუთის მაზრაში 1918 აფხაზის მონათვლის შესახებ უპატაკა (**Епископ Кирион, 1901:** 121). როგორც შემდგომში გაირკვა, ეპისკოპოსი გენადი, სხვა რუსი მღვდელმთავრები აფხაზთა „გაქრისტიანებისას“ მიმართავდნენ ძალადობას, „მონათლულთა“ სიები კი გაბერილი იყო (**Басария, 1923:** 55; **გამახარია, 2006b:** 185). სოხუმის რუსი ეპისკოპოსის პოლიტიკაზე მიუთითებს ჩანაწერი *კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების* 1887 წლის ანგარიშში იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზეთში ხელს უშლიდა „გაუგებარ ქართულ ენაზე“ ღმრთისმსახურება, ასევე აფხაზი მღვდლების ნაკლებობა, თურქეთიდან დაბრუნებული მუჰაჯირების მავნე გავლენა, მოლების მომრავლება და ა. შ. იმავე ანგარიშში პირველად გაჟღერდა ქართველი ერის გათიშვის იმპერიული გეგმა – სამურზაყანოსა და სამეგრელოში ღმრთისმსახურებისა და სწავლების მეგრულ ენაზე შემოღება (**Отчет, 1888:** 27-28, 71). გრძელდებოდა ქართული ენისა და ყოველივე ქართულის დევნა-შევიწროება. ასიმილაციორები აფხაზებსაც უდიერად ეპყრობოდნენ. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1888 წლის ანგარიშშიც კვლავ „გაუგებარ ქართულ ენაზე“ იყო საუბარი. ეპისკოპოს გენადის მტკიცებით, პასუხისმგებლობა აფხაზეთში ქრისტიანობის წარუმატებლობისთვის ქართველ სამღვდლოებას ეკისრებოდა (**Отчет, 1889:** 23).

1889 წ. 24 მაისიდან 1891 წ. 12 თებერვლამდე სოხუმის ეპისკოპოსად *ალექსანდრე (ხოვანსკი)* მსახურობდა. ის იყო რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკის ერთგული, თუმცა მისიონერული საქმიანობით თავს დიდად არ იწუხებდა. 1891 წ. 2 მარტიდან 1893 წ. 17 ივლისამდე სოხუმის კათედრა *აგაფოდორს (პრეობრაჟენსკი)* ეკავა. ის აგრძელებდა ქართველთა შევიწროების იმპერიულ პოლიტიკას, თუმცა არც მისიონერულ საქმიანობას ივიწყებდა. აგაფოდორის სახელს უკავშირდება 1891 წ. 27 დეკემბერს წმინდა *ალექსანდრე ნეველის საეპარქიო საძმოს* ჩამოყალიბება და საძმოსთან მისიონერის თანამდებობის შემოღება (ამ თანამდებობაზე პირველად *იოანე კერესელიძე* დაინიშნა), ღარიბ სასულიერო პირთათვის საეპარქიო სამზრუნველოს შექმნა, საკათედრო ტაძრის გაფართოება, სოხუმის საეკლესიო-სამრევლო სკოლისა და საეპარქიო საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის დაფუძნება და ა. შ. 1891 წლის აპრილიდან აგაფოდორი (ასევე მომდევნო მღვდელმთავრებიც) *დრანდის მონასტრის* წინამძღვრის თანამდებობასაც ითავსებდა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი *დრანდის მონასტრის შესახებ*, რომელიც დღემდე ინარჩუნებს წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას (**Агафодор, 1894**)

1893 წ. 21 აგვისტოდან 1895 17 იანვრამდე სოხუმის კათედრას ეპისკოპოსი *პეტრე (დრუგოვი)* განაგებდა. მისიონერობით ის დაკავებული არ ყოფილა, მაგრამ პიროვნული თვისებებით მან ადგილობრივი სამღვდლოების პატივისცემა დაიმსახურა. სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი *დავით მაჭავარიანი* წერდა (1894 წ. 1 იანვარი), რომ ეპისკოპოსი პეტრე „ქართველებსა და რუსებს ჯერ-

ჯერობით თანასწორ უყურებს და ღმერთთან განაგრძობინოს“ (გამახარია, 2006c: 198). შედარებით ლოიალური დამოკიდებულება ქართველი სამღვდელთაგან, დიდი ალბათობით, გახდა ეპისკოპოს პეტრეს აფხაზეთიდან საჩქაროდ გაწვევისა (1895 წ. 17 იანვარი) და სოხუმის ეპისკოპოსად უკიდურესი შოვინისტის არსენის (იზოტოვი) დანიშვნის (1895 წ. 2 თებერვალი) მთავარი მიზეზი. მისი მღვდელმთავრობის ათწლიანი პერიოდი იყო ეკლესიიდან და სკოლიდან ქართული ენის გამოდევნის, ავღირახსნილი რუსიფიკაციის, ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირების ოფიციალური პოლიტიკის რანგში აყვანის, საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის მცდელობის, აფხაზეთში ქრისტიანობის პოზიციების დასუსტების პერიოდი. 1898 წელს შედგენილ ანგარიშში ეპისკოპოსი არსენი აღიარებდა, რომ აფხაზთა გამაჰმადიანება იღებს ქრისტიანობისთვის საშიშ ხასიათს. 1901 წ. 27 თებერვალს იგივეს წერდა კავკასიის მთავარმართებელი გიორგი გოლიცინი უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ კონსტანტინე პობედონოსცევს (Отчет, 1903: 80-82; სცსსა: ფ. 493, ანაწ. 1, ს. 851, ფ. 11).

ქრისტიანული სარწმუნოების დასუსტებაზე მიუთითებს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მისიონერის ევტიხი მამინაიშვილის მიერ 1896 წელს აფხაზეთში განხორციელებული მოგზაურობის შედეგები. როგორც სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი ამბროსი ხელაია წერდა, მისიონერმა „მოიარა აფხაზეთი და ქრისტიანობის გავრცელების საქმე ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჰპოვა, ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზედ გადასულან. სოფლებში მოღობი გამრავლებულან და მედრესეები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისთვის“ (გამახარია, 2006a: 16-17, 136). აფხაზურ სამრევლოებში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ 1897 წ. 16 მარტს სოხუმის ეპარქიის 40 ქართველმა მღვდელმა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას სპეციალური მიმართვა წარუდგინა. მიმართვის ავტორები აფხაზთა შორის ქრისტიანობის დასუსტებაში სოხუმის ოკრუგის სასულიერო მთავრობას ადანაშაულებდნენ (სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 63448, ფ. 3-50). სოხუმის ეპარქიაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭომ 1898 წ. 18 დეკემბერს შექმნა აფხაზეთის ცალკე სამისიონერო რაიონი. 1899 წ. 1 იანვრიდან 1903 წლამდე აფხაზეთის მისიონერად მსახურობდა ინგილოელი ქართველი მღვდელი ტარას ივანიცკი. მაჰმადიანებთან მუშაობის მისეულმა გამოცდილებამ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო (გამახარია, 2005: 562; Анчабадзе Г., 2018: 299-302).

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის აზრით, აფხაზთა გარუსების იმპერიული გეგმის განხორციელებას ქართველი სასულიერო პირები და პედაგოგები აფერხებდნენ. უწმინდესი სინოდის 1898 წ. 3 სექტემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, აფხაზურ სამრევლოებში ღმრთისმსახურება სლავურ, ხოლო მეგრულ სამრევლოებში – „ქართულ საეკლესიო ენაზე“ უნდა ჩატარებულიყო. ეპისკოპოსმა არსენიმ მხოლოდ სამ სამრევლოში (მერხულში, აბჯავასა და ფახულანში) დაუშვა ღმრთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულება. სამურზაყანოში კი, რომლის მოსახ-

ლეობას, პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, ხან მეგრელებად, ხან აფხაზებად, ხან კიდევ ცალკე ერად აცხადებდნენ, ეპისკოპოს არსენის 1896 წ. 19 იანვრის, ასევე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წ. 17 მარტის ბრძანებულებების საფუძველზე, ქართულ ენაზე ღმრთისმსახურება და სწავლება აიკრძალა. აფხაზეთის ქართული საზოგადოება წინ აღუდგა რუსიფიკაციის გეგმას, რომელსაც მართლმადიდებლობის ინტერესები ეწირებოდა. დიდი რეზონანსი გამოიწვია *თედო სახოკიას* მიერ გაზეთ „*Санкт-Петербургские Ведомости*“-ში 1900 წ. 1 (13) ივლისს გამოქვეყნებულმა მამხილებელმა წერილმა „სოხუმიდან“ (სილაგაძე, გურული, 1999: 137-156). ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი *ფეოდორ გერშელმანი* მთავარმართებლისთვის 1900 წ. 28 ივლისს, 3 აგვისტოს და 2 სექტემბერს წარდგინილ მოხსენებებში უარყოფდა თედო სახოკიას ბრალდებებს, პირიქით, ადანაშაულებდა მას ე. წ. „ქართულ პარტიის“ შექმნაში, ეკლესიისა და სკოლის გამოყენებით აფხაზეთის გაქართველების მცდელობაში. ფ. გერშელმანი ითხოვდა სათანადო ზომების გატარებას, აფხაზურ სამრევლოებში, აგრეთვე სამურზაყანოში ქართველების ნაცვლად რუსი და აფხაზი მღვდლების, სკოლებში კი რუსი პედაგოგების დანიშვნას. მისი აზრით, ეს ყოველივე შექმნიდა პირობებს „*მომავალში ადგილობრივ მკვიდრთა რუსულ მოსახლეობასთან შერწყმისთვის*“ (სილაგაძე, გურული, 1999: 71-85)

ფ. გერშელმანის მოხსენებებისა და სპეციალური „გამოძიების“ მასალების საფუძველზე მთავარმართებლის საბჭომ 1904 წ. 1 მაისის გადაწყვეტილებით „ქართული პარტიის“ ლიდერები სოხუმის ოკრუგიდან გაასახლა „ოკრუგის მოსახლეობის გარუსებისკენ მიმართულ სამთავრობო ღონისძიებებისთვის“ წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით (სილაგაძე, გურული, 1999: 130-131). იმავე გადაწყვეტილებაში საუბარი იყო აფხაზეთში მოღვაწე ქართველი სამღვდლოების შესახებაც, რომელიც „*თავისი უკიდურესი პოლიტიკური არასაიმედოობის გამო არა მხოლოდ არ თანაუგრძნობს ოკრუგის მოსახლეობის უსწრაფესად გარუსებისკენ მიმართულ მთავრობის ყველა სასიკეთო ღონისძიებას, არამედ თავის მხრივ ღიად ეწინააღმდეგება მათ*“ (სილაგაძე, გურული, 1999: 132; დარსალია, 2010: 12-14).

სოხუმის ეპარქიის ქართველი სამღვდლოების მიმართ მთავარმართებლის საბჭოს მიერ წაყენებული ოფიციალური ბრალდება, სინამდვილეში გახლავთ მისი მოღვაწეობის უმაღლესი შეფასება და ისტორიული მნიშვნელობის კიდევ ერთი დიდი დამსახურება ეკლესიისა და აფხაზი ხალხის წინაშე. ქართველი მისიონერების ძალისხმევამ XIX ს. 60-70-იან წლებში, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზი ხალხი ერთიანად თურქეთში გადასახლებას გადაარჩინა. XIX-XX სს. მიჯნაზე, რუსეთის იმპერიის ყველაზე შავბნელი ძალების აღიარებითაც კი, ქართველმა სამღვდლოებამ იხსნა აფხაზი ხალხი ასიმილაციის რეალური საფრთხისაგან.

აფხაზეთის რუსიფიკაციის დაჩქარების მიზნით ეპისკოპოსმა *არსენიმ* 1901 წ. 20 ოქტომბერს უწმინდესი სინოდის წინაშე აღძრა შუამდგომლობა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან გამოყოფის შესახებ. წინადადება მოიწონეს

მთავარმართებელმა გიორგი გოლიცინმა და ეგზარქოსმა ალექსიმ (სცსსა: ფ. 488, ანაწ. 1, ს. 24544, ფ. 2, 5, 8, 9, 13; სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 47709, ფ. 2; გამახარია: 2005: 615-616,759). არსებული მონაცემებით, უწმინდესმა სინოდმა ეპისკოპოს არსენის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, მაგრამ მის განხორციელებას ხელი 1905-1907 წლების რევოლუციამ შეუშალა (გამახარია, 2006b: 89-90). მრევლის მიერ აფხაზეთიდან ფაქტობრივად განდევნილი არსენისგან განსხვავებით, 1905 წ. 27 მარტს სოხუმის კათედრაზე დანიშნული ეპისკოპოსი სერაფიმე (ჩიჩაგოვი) შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ატარებდა. 1905 წ. 5 ივნისს მან დაუშვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ღმრთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულება. 1906 წ. 10-12 იანვრიდან აფხაზეთს სამრევლოებშიც შესაძლებელი გახდა ღმრთისმსახურების მრევლისთვის სასურველ ენაზე ჩატარება (სცსსა: ფ. 1458, ანაწ. 1, ს. 180, ფ. 15). ეპისკოპოსი სერაფიმე მალე იმასაც მიხვდა, რომ სოხუმის ეპარქიაში წარმატებული მუშაობისთვის საჭირო იყო ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნა. ორიოლ-სევსკის ეპისკოპოსმა კირიონმა (სადაგლიშვილი) და ეპისკოპოსმა სერაფიმემ კათედრების გაცვლა მოახერხეს. 1906 წ. 3 თებერვალს კირიონი სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნა. ეპარქიაში მან მხოლოდ ექვსი თვე გაატარა. დანარჩენი პერიოდი, უწმინდესი სინოდის მიწვევით, პეტერბურგში იმყოფებოდა, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან და საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო-სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობდა.

ეპისკოპოსმა კირიონმა ღრმა კვალი დატოვა აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში. რუსი მღვდელმთავრებისაგან განსხვავებით, მან უარი თქვა აფხაზეთა იძულებითი გაქრისტიანების მანკიერ პრაქტიკაზე, „მონათლულთა“ ყალბი სიების შედგენაზე და ყურადღება მრევლთან შეხვედრებზე, ქადაგებებზე, ახალი სამრევლოების გახსნაზე, ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაზე გადაიტანა. ეპარქიის მართვის სრულყოფის, მიზნით საბლადოჩინო ოლქების რაოდენობა ექვსიდან ათამდე გაზარდა. ამასთანავე საბლადოჩინო ოლქები ისეთნაირად ჩამოყალიბდა, რომ ყველა მართლმადიდებელი ერის მრევლს თავისი ბლადოჩინი ჰყავდა. 1906 წ. 6-11 სექტემბერს სოხუმის ეპისკოპოსი დრანდისა და მოქვის მონასტრებს, ასევე აფხაზეთს სამრევლოებს სტუმრობდა. „აბხაზეთის სოფლებშიაც ყველგან ჰურ-მარლით მხვდებოდნენ, – წერდა კირიონი, – ოჩამჩირელების დეჰუტაციამ მთხოვა დახმარება, რომ მუდამ ქართული წირვა-ლოცვა ჰქონდეთ“ (გამახარია, 2006b: 189). 1906 წ. 30 სექტემბერ – 1 ოქტომბერს ეპისკოპოსი კირიონი ახალი ათონის მონასტერს სტუმრობდა; იმავე წლის 18-24 სექტემბერს სოხუმის სამღვდლოების ყრილობა მოიწვია, 10 ნოემბერს მონაწილეობდა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ტრადიციულ დღესასწაულში, სადაც ქართულად სწირა (გამახარია, 2006b: 203-206, 212). 1907 წ. იანვარში უკვე პეტერბურგში მყოფი კირიონის ლოცვა-კურთხევით გაიმართა სოხუმის ეპარქიის სამღვდლოების კრება. 12 იანვარს კრებამ მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მხარდამჭერი გადაწყვეტილება (საქართველო, 1917).

მოკლე დროის განმავლობაში კირიონმა ბოლო მოუღო ეროვნული ნიშნით მრევლის დისკრიმინაციას. ქართველებს, აფხაზებს, რუსებს, ბერძნებს მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების უფლება მიეცათ. აფხაზურ სამრევლოებში აფხაზი ან აფხაზურენოვანი მღვდლები ინიშნებოდნენ. კირიონის ზრუნვის საგანი გახდა აფხაზური ენა. „ყოველმა ნამდვილმა ქართველმა აფხაზური ენა გაქრობას უნდა გადაარჩინოს, – წერდა იგი 1907 წელს...– აფხაზური ენის მხარდაჭერის, სკოლის საჭიროებისთვის აფხაზური დამწერლობის, ლიტერატურის საწყისების შექმნისა და საღმრთისმსახურო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნის მიზნით დავაარსე კომისია, რომელიც დღემდე მუშაობს“ (გამახარია, 2006b: 306, 466). ასეთი კომისია 1906 წ. ბოლოს ჩამოყალიბდა საკათედრო ტაძრის წინამძღვრის გიორგი გოლუბცოვის (თავმჯდომარე), სოხუმის ოკრუგის უფროსის ლევან ჯანდიერის, თავად ალექსანდრე შარვაშიძის, საეკლესიო სკოლების საეპარქიო ზედამხედველის ს. ალფიოროვის და სხვათა მონაწილეობით (Анчабадзе Г., 2018: 311,326). ეპარქიიდან კირიონის განწვევის შემდეგ კომისია ანტიქართულ, ასიმილაციურ პოლიტიკას ემსახურებოდა. მისი მიზნების შესახებ მოგვიანებით, 1923 წ. 31 დეკემბერს, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა იხსენებდა: „ოდესღაც, მეფის დროს, ალფიოროვი ემნიდა აფხაზურ ანბანს, რადგანაც აფხაზეთს არ ჰქონია არც მწერლობა და არც ლიტერატურა; აგრეთვე დეკანოზი გოლუბცოვი თარგმნიდა საეკლესიო სიმღერებსა და ლიტურდიას აფხაზურ ენაზე. ამაზე შორს აფხაზეთის კულტურული განვითარება არ მიდიოდა. მართალია, ალფიოროვი ცდილობდა აფხაზეთის ლიტერატურით დაემარცხებინა საქართველოს ლიტერატურა, მაგრამ ვერ შესძლო“ (სრულიად საქართველოს, 1925: 56).

1906 წ. ნოემბრის დასაწყისში ეპისკოპოს კირიონის განკარგულებით გუდაუთის ორკლასიანი სამასწავლებლო სკოლის (ხელმძღვანელი – გუდაუთის უბნის ბლალოჩინი მღვდელი იოანე ქავთარაძე) სასწავლო პროგრამაში აფხაზური ენა პირველად ისტორიაში ცალკე საგნად იქნა შეტანილი. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა, ეპისკოპოსმა კირიონმა, რომელიც დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას, სთხოვა მას აფხაზური ენის სახელმძღვანელოს შედგენაში მონაწილეობის მიღება. „ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში“ (გოგებაშვილი, 1955: 201). ქართული და აფხაზური ენების პოზიციების გაძლიერებას ისახავდა მიზნად კირიონის მიერ საეპარქიო სასწავლო საბჭოს სოხუმის სამაზრო განყოფილების შექმნა, ცალკე სოხუმის ოკრუგისთვის და ცალკე შავი ზღვის გუბერნიისთვის საეკლესიო-სამრევლო სკოლების სამაზრო ზედამხედველის თანამდებობის შემოღება.

ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა სოხუმის ეპარქიაში სულ უფრო და უფრო მიუღებელი ხდებოდა რუსული ხელისუფლებისთვის. უკიდურესად მწვავე დაპირისპირება ჰქონდა მას ეგზარქოს ნიკონთან (სოფიისკი). მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვთან ერთად ეგზარქოსმა მხარი დაუჭირა სოხუმიდან და მთლი-

ანად საეგზარქოსოდან კირიონის მოშორებას „*მკვიდრ აფხაზურ მოსახლეობაზე პოლიტიკური თვალსაზრისით მავნე გავლენის*“, აგრეთვე იმის გამო, რომ სოხუმის ქართველი ეპისკოპოსი ცდილობდა რუსი მღვდელმთავრების მიერ გაკეთებული საქმეების მოსპობას (**გამახარია**, 2011: 13). უწმინდესმა სინოდმა 1906 წ. ნოემბრის ბოლოს ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგში გამოიძახა, 1907 წ. 25 იანვარს კი *კოვნოს* ეპისკოპოსად, ლიტვის ეპარქიის ვიკარად დანიშნა. იმავე გადაწყვეტილებით, სოხუმის კათედრა ეპისკოპოსმა *დიმიტრიმ (სპეროვსკი)* დაიკავა. სოხუმის ეპარქია კვლავ რუსიფიკატორულ, ქართველთა დევნის, ეროვნებათაშორისი შუღლის ჩამოგდების პოლიტიკას დაუბრუნდა. პირველ რიგში, ეპისკოპოსმა დიმიტრიმ გააუქმა ეპისკოპოს კირიონის მიერ წამოწყებული თუ უკვე განხორციელებული თითქმის ყველა რეფორმა, ამასთანავე გაამკაცრა ქართველი სამღვდლოების შევიწროების პოლიტიკა. უწმინდესი სინოდის 1910 წ. 21 სექტემბრის ბრძანებულების თანახმად, ეპისკოპოსი დიმიტრი ეპარქიაში მხოლოდ რუს სასულიერო პირებს ნიშნავდა. ქართული საზოგადოების ზეწოლით უწმინდესმა სინოდმა იმავე წლის 25 ოქტომბერს ეპისკოპოს დიმიტრის ქართველი სასულიერო პირების დანიშვნის უფლება მისცა (**პავლიაშვილი**, 1995: 44-45).

1907-1908 წლებში გააქტიურდა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან გამოყოფის საკითხი. ამის თაობაზე ეგზარქოსმა *ნიკონმა* 1907 წ. 7 ივლისს იმპერატორს „სამახსოვრო ბარათი“ წარუდგინა. იმპერატორის კანცელარიიდან დოკუმენტმა გადაინაცვლა უწმინდეს სინოდში, რომლის დავალებით *ნიკონმა* 1908 წ. 14 აპრილს საკუთარი გეგმის უფრო დაზუსტებული ვარიანტი წარმოადგინა. გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს საეგზარქოსოსგან ბაქო-ერევნის და სოხუმის ეპარქიების გამოყოფას. ასეთი ზომების გატარება საჭირო ყოფილა „*საქართველოს საზღვრების შემცირებით ქართველთა ავტონომიური და ავტოკეფალური მისწრაფებების დასუსტებისთვის*“ (**Гамახария**, 2016b: 38-40, 329-335). ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამ (1908 წ. 28 მაისი) მისი გეგმის განხილვა ჩაშალა, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

1908 წ. 20 დეკემბერს უწმინდესმა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო მმართველობის რეფორმირების საკითხის განსახილველად ჩამოაყალიბა განსაკუთრებული სათათბირო მოსკოვის მიტროპოლიტ *ვლადიმირის (ბოგოივლენსკი)* თავმჯდომარეობით. სათათბიროს მიერ მომზადებული პროექტი ითვალისწინებდა საეგზარქოსოსა და მისი სტრუქტურების გაუქმებას, თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის დამოუკიდებელი ეპარქიების ჩამოყალიბებას. სოხუმის ეპარქიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო *სოხუმის ოკრუგი, სამეგრელო, ზემო სვანეთი და ბათუმის ოლქი*. უწმინდესმა სინოდმა 1909 წ. 16 მაისს დოკუმენტი დასკვნისთვის კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს გადაუგზავნა, რომელმაც მხარი არ დაუჭირა, მისი აზრით, ზედმეტად პოლიტიზირებულ პროექტს. 1909 წ. 19 ნოემბერს უწმინდესმა სინოდმა ცნობად მიიღო ი. ვორონცოვ-დაშკოვის დასკვნა და პროექტის განხილვა გადადო „*იმ დრომდე, როდესაც... ამ სა-*

კითხზე მსჯელობა მიზანშეწონილი და აუცილებელი გახდება“ (Гамахария, 2016b: 108-110, 127, 156-157, 337-338).

სოსხუმის ეპისკოპოსი დიმიტრი საქართველოს საეგზარქოსოსთან კავშირის გაწყვეტას უფრო ადრე ცდილობდა, ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა (Гамахария, 2016b: 132). მისი უხეშობითა და პოლიტიკანობით უკმაყოფილო აფხაზეთის სამღვდელთა ხშირად აფხავენიდა საჩივრებს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში. საჩივრებმა შედეგი გამოიღო – 1911 წ. 25 იანვარს სოსხუმის კათედრაზე ახალი ეპისკოპოსი ანდრია (უხტომსკი) დაინიშნა. მოკლე ხანში ეპისკოპოსმა ანდრიამ სამღვდელოებისა და მრევლის პატივისცემა დაიმსახურა. ამის შესახებ 1912 წ. ნოემბერში ამბროსი ხელაიამ გაზეთში „Санкт-Петербургские Ведомости“ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა (გამახარია, 2006a: 486-491). პირველ ეტაპზე ეპისკოპოსი ანდრია ცდილობდა ყველა ეროვნების მრევლის ინტერესების გათვალისწინებას. 1912 წ. 14 იანვარს – წმინდა ნინოს ხსენების დღეს – მან დაუშვა სოსხუმის საკათედრო ტაძარში ქართულ ენაზე წირვის ჩატარება. ეპისკოპოს ანდრიას ინიციატივითა და უწმინდესი სინოდის 1912 წ. 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით სოსხუმში საეკლესიო-სამრევლო სკოლების პედაგოგებისა და მეღვთისმეტყველების მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები გაიხსნა (Сотрудник, 1912: 66-67; 1914, № 4: 49-52; 1914, №9: 129-130; 1914, №10: 145-150; 1915, №4: 54-56). კურსები ათობით ქართველმა, აფხაზმა, რუსმა და ბერძენმა დაამთავრა. ეპისკოპოს ანდრიას ხელმეფნობით 1913 წელს დასრულდა ჯერ კიდევ ეპისკოპოს კირიონის მიერ დაწყებული საქმე – საეკლესიო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნა. იმავე წლის 27 თებერვლს კი ლიხნში ღმრთისმსახურება აფხაზურ ენაზე გაიმართა.

ეპისკოპოს ანდრიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დაპირისპირება შოვინისტებთან, რომლებმაც 1912 წელს გაზეთ „Голос Кавказа“-ში ატყვეს განგაში სოსხუმში ქართული ეკლესიის აშენების გეგმასთან დაკავშირებით. გაზეთის აზრით, სოსხუმში ქართული ეკლესიის აშენება გააძლიერებდა ქართველთა კულტურულ შეტევას აფხაზეთზე, რაც „რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით“, იქნებოდა „უარყოფითი მნიშვნელობის მოვლენა“. შოვინისტებს პასუხი გაცა ეპისკოპოსმა ანდრიამ გაზეთ „Закавказье“-ში გამოქვეყნებული წერილით. ავტორი გოცებას ვერ მაღავდა იმის გამო, რომ ოჩამჩირეში უზარმაზარი მეჩეთის მშენებლობა არავის ადარდებდა, ხოლო სოსხუმში მართლმადიდებლური ტაძრის აშენების გეგმა „განიხილებოდა, როგორც ქართველთა შეტევა აფხაზეთზე“. ეპისკოპოს ანდრიას აზრით, აფხაზეთში არსებობდა არა ქართული, არამედ თურქულ-მაჰმადიანური გავლენა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ არაერთი აფხაზური სოფელი აშენებდა ან ითხოვდა მეჩეთების აშენებას (აჭანდარა, აბგარხუკი, ააცი და ა. შ.). ამ ვითარებაში, წერდა ეპისკოპოსი ანდრია, მხოლოდ სინანული უნდა გამოვხატოთ იმის გამო, რომ „გუდაუთის უბანზე არ ყოფილა მართლმადიდებელი საქართველოს შეტევა, რისიც ეშინია „Голос Кавказа“-ს. მაშინ, ყოველ შემთხვევაში, იქ ამაჰამად ქრისტიანები იქნებოდნენ, როგორც არის საბურზაყანოში... ნუთუ ჩვენი მო-

პოლიტიკანო პატრიოტებისთვის თურქული მაჰმადიანობა ეს რაღაც უფრო მოსათმენი რამ არის, ვიდრე ქართული მართლმადიდებლობა“?

წერილის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „მაშასადამე, ყოველგვარი საუბარი აფხაზეთზე ქართველთა შეტევის შესახებ ვიდაცეების უხეირო გამოწვევებზეა. საუბარი შეიძლება აფხაზეთზე რუსული დაუდევრობის შეტევის, რუს ხელისუფალთა (და სამღვდელთა) მხრიდან რეგიონში კულტურული ამოცანების არცოდნის, თურქეთის ქვეშევრდომთა შემოსევის შესახებ. ეს ყოველივე სიმართლეა, მაგრამ ქართველები აქ რა შუაში არიან“ (**Закавказье, 1912**) ეპისკოპოსმა ანდრიამ ძალაუვნებურად ამხილა იმპერიული საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში, გააქარწყლა წინამორბედი რუსი ეპისკოპოსების, სხვადასხვა ჯურის შოვინისტების გაუთავებელი ბრალდებები აფხაზეთის „გაქართველების“ თაობაზე; აჩვენა რომ „აფხაზეთზე ქართული შეტევის“ წინააღმდეგ პოლიტიკანების ბრძოლამ მხოლოდ მართლმადიდებლობა დააზარალა და გზა გაუხსნა მაჰმადიანობას.

ეპისკოპოსი ანდრია საუბრობდა იმის შესახებაც, რომ აფხაზეთში იმპერიის „კულტურული ამოცანები“ არ იყო სათანადოდ გაცნობიერებული. მას მიაჩნდა, რომ ერთ-ერთი ასეთი ამოცანა ათასობით რუსის ჩამოსახლებაში მდგომარეობდა (**გამახარია, 2005: 699**). სოხუმის მღვდელმთავარი თავად შეუდგა რუსული „კულტურული ამოცანების“ განხორციელებას. 1912 წ. ნოემბერში მან მხარი დაუჭირა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გარდაქმნის იდეას. 1913 წ. აპრილსა და დეკემბერში აღნიშნული იდეის წინააღმდეგ გადასახლებაში მყოფმა ამბროსი ხელაიამ გაზეთ „*Закавказье*“-ში გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია (**გამახარია, 2006a: 492-547**). ბრძოლა ამ საკითხის გარშემო 1916 წლამდე არ შეწყვეტილა. ამბროსი ხელაიას, ასევე ილორის ეკლესიის მღვდლების კონსტანტინე მაჯგანაძისა და პორფირ ხელაიას ძალისხმევით, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრის აკაკი ჩხენკელის მხარდაჭერით ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გარდაქმნის გეგმა ჩაიშალა (**გამახარია, 2012: 84-86**).

XX ს. 10-ანი წლების დასაწყისისთვის უფრო თვალსაჩინო გახდა აფხაზეთში ქრისტიანობის დაკნინებისა და მაჰმადიანობის გავრცელების პრობლემა. ვერ გამოიღო შედეგი მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მიერ მისიონერული მიზნებისთვის 1908 წელს შექმნილი მოძრავი ეკლესიისა და მისი აფხაზური კრებულის საქმიანობამ. განსაკუთრებით გუდაუთის უბანი, როგორც ეპისკოპოსი ანდრია აცხადებდა, „მთლიანად მაჰმადიანობით იყო გაჟღენთილი“. ამ დროს აფხაზი მოღვაწეები – მწერალი დიმიტრი გულია, მღვდლები ნიკოლოზ ჰატიევა, დიმიტრი მარღანია და სხვები ღიად წერდნენ, რომ აფხაზები არასოდეს ყოფილან ქვემარტი ქრისტიანები, რომ ყოველთვის იყვნენ და ამჟამადაც წარმართებად რჩებიან, რომ მიმდინარეობს მეჩეთების მშენებლობა და ა. შ. (**Сотрудник, 1912, №10: 152; №11: 173, 176; №13: 204-207**). შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ეპისკოპოსმა ანდრიამ 1912 წ. 1 სექტემბერს მოძრავი ეკლესია გააუქმა და აფხაზი მღვდლებით დაკომპლექტებული მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მისია ჩამოაყა-

ლიბა (სცსსა: ფ. 493, ანაწ. 1, ს. 1439, ფ. 1-9). გუდაუთისა და გუმისთის უბნების მისიონერად ღურიფშის ეკლესიის მღვდელი, იმავე უბნების საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი *ნიკოლოზ ლადარია* დაინიშნა. 1912-1914 წლებში ის მთლიანად სოხუმის ოკრუგის მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მისიის საერთო ხელმძღვანელიც გახლდათ. კოდორისა და სამურზაყანოს უბნების მისიონერად *ნიკოლოზ ჰატიევა* დაინიშნა (1914 წლიდან სოხუმის ოკრუგის მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მისიისავე ხელმძღვანელობდა). მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისა და საეგზარქოსოს მხრიდან უყურადღებობის გამო მისია მხოლოდ 1913 წლის 29 მაისს დაფინანსების გამოყოფის შემდეგ ამუშავდა (სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 55664, ფ. 1; ფ. 493, ანაწ. 1, ს. 1439, ფ. 12-18).

ეპისკოპოს ანდრიას წინადადებით, უწმინდესმა სინოდმა 1913 წ. 13 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ეპარქიაში ისტორიული ტაძრების აღდგენისა და მოქმედი ეკლესიების განახლების მიზნით იმპერიის ფარგლებში შემოწირულობების შეგროვების შესახებ. შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც პირველი შენატანი 2000 მანეთის ოდენობით იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ განახორციელა. ერთ წელიწადში 30 ათასი მანეთი შეგროვდა. აღნიშნული თანხის განკარგვის მიზნით შეიქმნა საეპარქიო-სამშენებლო კომიტეტი. 1913 წელს კომიტეტმა შეაკეთა ლიხნის ტაძარი, ააშენა ეკლესია ღურიფშში, შემდგომ წლებში სოხუმის ოკრუგის ფარგლებში მრავალი ეკლესია განაახლა (**Сотрудник, 1912, №22: 337-339; 1914, №1: 5; 1915, №2: 24-27; სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 55788, ფ. 38**).

ეპისკოპოსმა ანდრიამ არ შეასრულა დაპირება ბედიის ტაძრის აღდგენის შესახებ. უწმინდესი სინოდის 1913 წ. 17 ოქტომბრის განკარგულებით დაფუძნდა ბედიის *ვლადიმერის მამათა მონასტერი*. წინამძღვარი გახდა სქემონაზონი *იოსები (იესე შელია)*. რადგანაც რუსიფიკაციის ოფიციალური პოლიტიკის ჩარჩოებში ახალი მონასტერი ვერ თავსდებოდა, ეპისკოპოსმა ანდრიამ ხელი არ შეუწყო მის განვითარებას, არ გაიღო თანხები ბედიის ისტორიული ტაძრის აღსადგენად. 1916 წ. ნოემბერში, როცა სქემონაზონი იოსები გარდაიცვალა, დაისვა საკითხი ბედიის მამათა მონასტრის დედათა მონასტრად გარდაქმნის შესახებ. აღნიშნული საკითხი დადებითად გადაჭრა უკვე ავტოკეფალია აღდგენილმა ქართულმა ეკლესიამ. ბედიის დედათა მონასტრის წინამძღვრად იღუმენია *ნინო* დაინიშნა (სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 64566, ფ. 1-2; ს. 64613, ფ. 30-31; **გამახარია, 2006a: 670-673**).

1913 წ. 22 დეკემბერს სოხუმის კათედრა ეპისკოპოსმა *სერგიმ (პეტროვი)* დაიკავა. მეუფე ანდრია კი იმავე დღეს უფის მღვდელმთავრად იქნა დანიშნული. აფხაზეთის საზოგადოებამ, განურჩევლად ეროვნებისა, მას გრანდიოზული გაცილება მოუწყო. 1914 წ. 24 იანვარს, როდესაც ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული ეპისკოპოსი ანდრია სოხუმიდან გაემგზავრა, მას ათასობით ადამიანი აცილებდა (**გამახარია, 2005: 713-714**). რა იყო ყოფილი მღვდელმთავრისადმი ასეთი უჩვეულო, მანამდე არნახული დამოკიდებულების მიზეზი? სოხუმის რუსი ეპისკოპოსების პოლიტიკანობით უკიდურესად შეწუხებული მრევლისთვის ეპისკოპოს ანდრი-

ას ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკა ბევრად უფრო მისაღები აღმოჩნდა. მის მიმართ გამოსატული პატივისცემა შეიძლება მივიჩნიოთ სოხუმის რუსი ეპისკოპოსების უხეში ასიმილაციური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის გამოსატვის თავისებურ ფორმადაც.

ეპისკოპოსი სერგი, პირველ რიგში, მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მისიის საქმიანობით დაინტერესდა. პერიოდულ გამოცემებში გახშირდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციები. აფხაზური სამრევლოებისთვის მომზადდა ლოცვების კრებული აფხაზურ ენაზე, გაძლიერდა კონტროლი მოღვინების საქმიანობაზე. 1916 წ. 14 დეკემბერს დაფუძნდა სოხუმის ეპარქიალური სამისიონერო საბჭო ეპისკოპოს სერგის თავმჯდომარეობით. დამფუძნებელ კრებაზე რუსი და აფხაზი სასულიერო პირები ერთხმად საუბრობდნენ სარწმუნოებრივი მდგომარეობის გაუარესებაზე, მაჰმადიანთა პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებაზე. ეპისკოპოს სერგის მისიონერული გეგმები ქაღალდზე დარჩა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე მსოფლიო ომი არ იყო საუკეთესო პერიოდი მისიონერული საქმიანობისთვის.

1916 წლიდან კვლავ აქტიურ ფაზაში გადავიდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციისა და მისგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, უწმინდესი სინოდის 1909 წ. 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მისი განხილვა დროებით გადაიდო. 1911 წ. 10 დეკემბერს უწმინდესი სინოდის კანცელარიის წინაშე პირველად დაისვა შეკითხვა, ხომ არ დადგა შესაფერისი დრო *საქართველოს საეგზარქოსოს* რეორგანიზაციის პროექტის თაობაზე მსჯელობის განახლებისთვის. პასუხი იყო დადებითი – უწმინდესი სინოდის 1912 წ. 12 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაცია განსახილველად წინასაყრილობო სათათბიროს (შეიქმნა 1912 წლის 28 თებერვალს) გადაეგზავნა (**Гамахария, 2016: 263-265**). განხილვები უწმინდეს სინოდშიც მიმდინარეობდა. პეტერბურგის მიტროპოლიტი *პიტირიმი (ოკნოვი)* 1916 წ. 8 მარტს საქართველოს ეგზარქოს პლატონს (*როკდესტვენსკი*), ასევე სოხუმის ეპისკოპოს სერგის ატყობინებდა, რომ აპირებს საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხის დაყენებას. ამასთან დაკავშირებით ითხოვდა მისთვის სოხუმის ეპარქიის სამრევლოების სიის მიწოდებას „*თითოეული სამრევლოს მართლმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებითა და ყოველ სამრევლოში ამ მოსახლეობის დაყოფით ეროვნებათა მიხედვით*“ (**სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 59479, ფ. 1-3**). 1916 წ. მაისის ბოლოს ეგზარქოსი პლატონი პეტერბურგს გაემგზავრა. მას თან მიჰქონდა მიტროპოლიტი პიტირიმის მიერ მოთხოვნილი მონაცემები სოხუმის ეპარქიის შესახებ (**გამახარია, 2005: 748-749**).

ქართული საზოგადოებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფა. იგეგმებოდა სოხუმის ეპარქიის გამოყოფა სამურზაყანოს გარეშე (**Церковные Ведомости, 1907: 299-301**). ამა-

სთანავე ცნობილი გახდა, რომ უწმინდესი სინოდი ემზადებოდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისთვის, რომელსაც კავკასიის სამიტროპოლიტო ჩაანაცვლებდა. შექმნილ ვითარებაში ქართველმა სამღვდლოებამ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოითხოვა და ამის შესახებ კავკასიის საერო და სასულიერო მთავრობას საეპარქიო კრებების გადაწყვეტილებები და მოხსენებები წარუდგინა. მეფისნაცვალმა აღნიშნული დოკუმენტები უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს გადაუგზავნა (**გამახარია, 2012: 95-97**).

უწმინდესი სინოდის გეგმების ჩაშლაში დიდი როლი ითამაშა *ალექსანდრე მარვაშიძის* ხელმძღვანელობით თბილისში ჩასულმა აფხაზთა დეპუტაციამ. 1916 წლის 27 აპრილს ეგზარქოს *პლატონთან* შეხვედრაზე დეპუტაციამ გამოხატა წუხილი სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან შესაძლო გამოყოფასთან დაკავშირებით; მოითხოვა აფხაზურ სამრევლოებში ქართულ ენაზე ღრმთისმსახურების აღდგენა, ასევე საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლება. ეგზარქოსი დაპირდა, რომ აფხაზთა დეპუტაციის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა (**სახალხო ფურცელი, 1916**). აფხაზეთის საზოგადოების პოზიციას გამოხატავდა ასევე სოხუმის საქალაქო სათათბიროს მიერ ორი აფხაზი ხმოსნის (*ნიკო ჯანაშია* და *ტიმოთე ანუა*) მხარდაჭერით 1917 წ. 27 თებერვალს მიღებული რეზოლუცია, რომელიც მიესალმებოდა სოხუმის ეპარქიის ივერიის ეკლესიასთან გაერთიანების იდეას და ამით „აფხაზეთ-საქართველოს ეკლესიის ისტორიული და კანონიკური უფლებების აღდგენას“ (**სახალხო ფურცელი, 1917**). უწმინდესი სინოდისგან მომდინარე საფრთხე საქართველოს საეგზარქოსოს და მის შემადგენლობაში შემავალ სოხუმის ეპარქიას თავიდან ააცილეს 1917 წლის თებერვალში რუსეთში განხორციელებულმა რევოლუციამ და შემდგომმა მოვლენებმა.

§2. კულტურული ცხოვრება აფხაზეთში 1810-1917 წლებში

XIX საუკუნე აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიაში თვისებრივად განსხვავებული ეპოქაა. მას შემდეგ, რაც XVII ს. მიწურულიდან აფხაზეთში ადგილობრივი ქრისტიანული კულტურულის ცენტრები მოიშალა და იქაურობა სასულიერო პირებისგან დაიცალა, აქ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ფაქტობრივად ჩაკვდა. ამ დროიდან აფხაზეთის კულტურული ცხოვრების იმპულსების შენარჩუნება მთლიანად სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საეკლესიო ცენტრებს დაეკისრათ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა აფხაზ და ქართველ წარჩინებულ ფენებს შორის ტრადიციადქვეული გაძიძავებისა და ძუძუმტეობის ინსტიტუტმა. სამეგრელოში, იმერეთში, ან გურიაში გაძიძავებული აფხაზეთის მკვიდრნი (აფხაზები და ქართველები) აქაურ საეკლესიო ცენტრებში ეუფლებოდნენ წერაკითხვას, ეწაფებოდნენ წმინდა წერილს, გეოგრაფიას, ვარსკვლავთმრიცხველობას (ასტრონომიას), არითმეტიკას, ჰაგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიას და ა. შ. ეს ეფუძნე-

ბოდა ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციებს, რომელიც, მთის მოწოლისა და მაჰმადიანური ოსმალეთის გავლენის გაძლიერების მიუხედავად ბოლომდე არ მოშლილა. ამ ფაქტმა განაპირობა აფხაზეთის ერთიანი ქართული კულტურულ-ისტორიული სივრცის ნაწილად დარჩენა.

ამაზე მიუთითებს მხარის მოსახლეობის: აფხაზეთის მთავრების, აფხაზი და ქართველი წარჩინებულებისა და დაბალი სოციალური ფენების შემორჩენილი წერილობითი ნიმუშები – ოფიციალური დოკუმენტები, ეპისტოლარული მასალა, შეწირულობანი, საჩივრები და განჩინებები, საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომლებიც ქართულ ენაზეა შესრულებული. ეს არტეფაქტები მიუთითებენ, რომ კულტურისა და სწავლა-განათლების ენა, ისევე როგორც შუა საუკუნეების აფხაზეთში, ახლაც ქართული იყო. მართალია, უკვე აღარ ფუნქციონირებდა გვიანი შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საეკლესიო (ილორის ტაძართან) და საოჯახო სკოლები, სადაც ქართულად წერა-კითხვასა და მწიგნობრობის სხვა დარგებს ასწავლიდნენ.

XIX – XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში მიმდინარე კულტურული (ასევე საგანმანათლებლო) ცხოვრების ცალკეული ისტორიები არაერთი სწავლულის კვლევის ინტერესების სფერო გახდა. მცირე გამონაკლისის გარდა, აღნიშნულ ნაშრომებში აფხაზეთში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესები იმთავითვე საქართველოსგან მოწყვეტილადაა წარმოდგენილი, არსად გვხვდება აფხაზეთის ქართველთა ღვაწლი ან მათი წვლილი აფხაზეთში კულტურისა და განათლების განვითარების საკითხში. ხშირად აღნიშნული თემების განხილვა აფხაზური ინტელიგენციის ჩამოყალიბების, აფხაზური სკოლის დაარსების ან აფხაზური ანბანის შექმნის საკითხებით შემოიფარგლება. ამ კონტექსტში ამოვარდნილია აფხაზეთის სამთავრო სახლის, ქართველ მისიონერთა, კულტურისა და განათლების დარგის მოღვაწეთა ღვაწლი არამარტო აფხაზური კულტურისა და განათლების, არამედ ზოგადად აფხაზეთში კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების და საკუთრივ აფხაზური კულტურის განვითარების საქმეში.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე, აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო სახლი, ხოლო მისი გაუქმების (1864 წ.) შემდეგ, სამთავრო სახლის წარმომადგენლების, ან მათთან დაახლოებული პირების მხრიდან მოდიოდა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ძირითადი იმპულსები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის, მიხეილ შარვაშიძის, კონსტანტინე შარვაშიძის, გიორგი შარვაშიძის, სოლომონ ზვამბას, დიმიტრი მაჭავარიანის, საეკლესიო პირების იოანე იოსელიანის, ალექსანდრე ოქროპირიძის, გაბრიელ ქიქოძის, ამბროსი ხელაიას, კირიონ II საძაგლიშვილის, ივანე გეგაას და სხვათა მოღვაწეობა. ფასდაუდებელია მათი ღვაწლი, რადგან ამ ადამიანებმა წარუშლელი კვალი დატოვეს აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის – ქართველთა და აფხაზთა კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და გამოცოცხლებისათვის.

აფხაზეთის სამთავრო სახლის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება შეუძლებელი იყო განათლების გარეშე, აუცილებელი იყო სკოლების გახსნა და განათლების გავრცელება მოსახლეობაში. აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 1810 წელს, აფხაზეთის სამთავროს ცენტრში, სოფელ ლიხნში, სამეგრელოს სამთავრო კარის ეკლესიისა და იმავდროულად ლიხნის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა იოანე იოსელიანმა ოფიციალურად სცადა გაეხსნა საეკლესიო სკოლა. შემორჩენილია 1810 წლის 26 ნოემბრით დათარიღებული მისი წერილის თარგმანი ქართულიდან რუსულ ენაზე. წერილში საინტერესო ცნობებია დაცული მაშინდელი აფხაზეთის განათლებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ საჭიროა ლიხნში სკოლის გახსნა, იმ შერჩეული 12 ყმაწვილისთვის, რომლებსაც ქართულ წერა-კითხვას და გალობას ასწავლის. ერთი წლის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა რუსულის სწავლაც და რუსულის მასწავლებლის მოწვევაც. წერილის ავტორი სიამაყით აცხადებს რომ აფხაზეთის მთავარი გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძეც მისი გაქრისტიანებულია და ახლა მთავრის მხარდაჭერით აპირებს სკოლის გახსნას. სასულიერო პირი დარწმუნებულია, რომ სკოლის გახსნას გადამდები ეფექტი ექნებოდა. მალე ამ 12 ყმაწვილის ნათესავებსაც მოუნდებოდათ წერა-კითხვის სწავლა და გაქრისტიანება და ნელ-ნელა აფხაზები ისევ მიუბრუნდებოდნენ ქრისტიანობას (AKAK, VI, 1875: 850-851).

იოანე იოსელიანის წერილი მრავალმხრივი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: ავტორი არაპირდაპირ მიუთითებს, აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილის უწიგნურობისა და გაუნათლებლობის მიზეზებზე: ოსმალეთის გავლენის გაძლიერება, ძველი საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრების მოშლა, აფხაზთა მიდრეკილება წარმართობისკენ და ა. შ. თავის დროზე, ლიხნიც (ავტორი მას *ლუხუნის ტაძარს* უწოდებს) ამ მდგომარეობაში ყოფილა, მაგრამ იოანეს ინიციატივით, ლიხნიც და ბედიის ტაძარშიც წირვა-ლოცვა აღდგა. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ლიხნში წერა-კითხვისა და საღვთო სჯულის სწავლება უკვე მიმდინარეობს და ავტორს იმის დაკანონება სურს, რაც უკვე რეალობაა (AKAK, VI, 1875: 850-851). ფაქტობრივად, ეს არის საეკლესიო სკოლის ინსტიტუციური დაფუძნების პირველი მცდელობა აფხაზეთში. იოანე იოსელიანის სურვილი ლიხნში საეკლესიო სკოლის ოფიციალური დაარსებისა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ლიხნი, XIX ს. I ნახევარში აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. რაც შეეხება სოხუმს, ამ დროს ის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და მაშინდელ მოგზაურთა და რუსი მოხელეების აღწერით, ქალაქი მუდმივი მღელვარების ქვეშ ცხოვრობდა ამას ზედ ერთვოდა მძიმე კლიმატური პირობები, რომელიც აღწერილი აქვს ქართველ მწერალს გიორგი ავალიშვილს, ფრანგ მოგზაურს *ჟაკ ფრანსუა გამბას*, გერმანელებს: *ედმუნდ სპენსერს*, *კარლ კოხს* და სხვებს. სოხუმის გადაქცევა აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად XIX ს. შუახანებიდან იწყება, მას შემდეგ რაც დაარსდა პირველი სასულიერო და საერო სასწავლებლები.

აღნიშნული სიახლეები მთავრის სახლის მხარდაჭერითა და ინიციატივით მიმდინარეობდა. დიდი იყო მათი გავლენა სამთავროში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაზეც. გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის შვილებს, მიხეილს, კონსტანტინეს და ალექსანდრეს ოჯახში კარგი ქართული განათლება ჰქონდათ მიღებული. ამას ხელმძღვანელობდა მათი დედა თამარ დადიანი (სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და). ეს ტრადიცია მიხეილის ოჯახშიც გაგრძელდა, რომლის თანამეცხედრე, ასევე სამეგრელოს სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, დიდი ნიკოს სახელით ცნობილი მოღვაწის – ნიკო დადიანის შვილიშვილი – ალექსანდრა (გუცა) დადიანი იყო.

XIX საუკუნის აფხაზეთში კულტურისა და განათლების ენა ძირითადად ქართული იყო. ამაზე ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები მეტყველებენ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აფხაზეთის სამთავროს სახლის შერვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მიმოწერა, როგორც საოჯახო ასევე პოლიტიკური ხასიათის წერილები, რომელთა უმრავლესობა ქართულ ენაზეა შექმნილი. თვით რუსული ოფიციალური ცნობებითაც კი აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. დაცულია მიხეილის ამ ქართული საბუთების რამდენიმე დედანიც (**ჯანაშია, 1988: 27**). საყურადღებო ცნობაა დაცული 1855 წ. 11 ივლისით დათარიღებულ თავად ვასილ ბებუთოვის ანგარიშში თავად დოლოგორუკოვისადმი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ მან 7 ივნისს აფხაზეთის მთავრის წერილი მიიღო ქართულ ენაზე (**AKAK, XI, 1888: 46-47**) და გადმოსცემს წერილის შინაარსს. ამასვე ადასტურებენ XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთში მყოფი რუსი სიძველეთმცოდნეები, რომელთა ნაშრომებში გვხვდება არაერთი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთში კულტურის ენა ქართული იყო და აფხაზი მთავრები და სამთავროს წარჩინებული მოსახლეობა ქართულს შესანიშნავად ფლობდნენ.

მაგ. რუსი მკვლევარი მიხეილ სელუზნევი, რომელიც 1841 წელს აფხაზეთში იყო, აღწერს, რომ მაღალი წრის წარმომადგენლებმა კარგად იციან ქართული (**Целезнев, 1847b: 206**). იმავე რუსი მკვლევრების და მოგზაურების ნაშრომებში მრავლად ვხვდებით ცნობებს XIX საუკუნის აფხაზეთში ქართული ასომთავრული წარწერებით შემკული არტეფაქტების შესახებ. მაგ. ქართული წარწერებითაა შემკული მიხეილ შარვაშიძის დაკვეთით 1829 და 1848 წლებში შეჭადილი ხატები, რომლებიც მან ლუხუნის (ლიხნის) ტაძარს შესწირა. ერთ-ერთზე ამოკვეთილი წარწერა იუწყება, რომ ხატი შეაჭადინა „მთავარმან სრულიად აფხაზეთისამან, მიხეილ გიორგის ძემ შარვაშიძემან“, „სადღეგრძელოდ საყვარლისა მუდლისა ჩემისა და მემკვიდრისა ჩვენისა გიორგისა...“ (**სახოკია, 1903**). ქართულადაა დაცული მიხეილის მიერ რუსული ხელისუფლებისა და ოჯახის წევრებისადმი გაგზავნილი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მაგ. 1864 წ. 6 ნოემბრით დათარიღებული წერილი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკისადმი (**ჯანაშია, 1988: 33**). მიჩნეულია, რომ ეს წერილი არის მიხეილ შარვაშიძის უკანასკნელი წერილი. საგუ-

ლისხმობა, რომ მთავრის ოჯახის წევრების მიმოწერაც ქართულია და შესრულებულია გამართული ქართულით. ს. ჯანაშია მიხეილ შარვაშიძის წერილების ფორმისა და სტილის დაკვირვებით ასკვნის რომ „ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთის ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო“ (ჯანაშია, 1988: 35).

მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ მოქვის კათედრალურ ტაძარში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და მისი მეუღლის ალექსანდრა დადიანის საფლავის ქვის ეპიტაფიებიც ქართული ასომთავრული დამწერლობით არის შესრულებული 1862 და 1866 წლებში. (Бражба Х., 1967: 32-33; სილოგავა, 2004: 298-301). ვფიქრობთ, ეს არ არის ერთეული შემთხვევები, როდესაც აფხაზეთში – აფხაზი, ან ქართველი წარჩინებული წრის წარმომადგენელი ქართულ ენაზე აკეთებდა წარწერებს. იმავე ტაძარში გვაქვს თავად მიხეილ მარშანიას საფლავის ქვის მხედრული ეპიტაფია (Бражба Х., 1967: 31; სილოგავა, 2004: 302-303). მრავალრიცხოვანი საფლავის ქვის ეპიტაფიები აღმოჩნდა გალის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მრევლის მიერ სოფლის ეკლესიების გაწმენდისას. მაგ. სოფ. ლუმურიძის ცენტრში XIX საუკუნეში აგებული ეკლესიის გაწმენდის დროს ნაპოვნი საფლავის ქვის ეპიტაფიებს შორის ყურადღებას იქცევს კნინა სალომე ანჩაბაძისა და მისი მეუღლის კიაზო ემხვარის საფლავის ქვის ეპიტაფია (ახალაძე, 2006: 208-208, 212).

გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ძიძარია, როცა აფხაზეთის სამთავრო კარის კულტურულ ცხოვრებაზე საუბრობს, ხაზგასმით აღნიშნავს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ოჯახის დამოკიდებულებას რუსული ენისა და რუსული კულტურისადმი და იმოწმებს 1867 წ. ზაფხულში კავკასიაში ჩამოსული ტურისტის ჩანაწერებს, რომლის მიხედვით მთავრის ბიბლიოთეკაში ნახავდით ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“, დისერტაციას ლათინურ ენაზე, იტალიური ოპერების ლიბრეტოს, ფრანგულ სამედიცინო წიგნებს, გაფანტულ მრავალრიცხოვან რუსულ რომანებს, ჟურნალებსა და სხვა გამოცემებს... აქ იყო ნაპოლეონისა და სუვოროვის ისტორიები, 1812 წლის ლაშქრობის ისტორია და ა. შ. (Дзидзария, 1979: 35). მართალია, აფხაზი მკვლევარი აღნიშნავს მიხეილ შარვაშიძის ახლო ურთიერთობებს ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, მაგრამ აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე სხვა, უფრო თვალსაჩინო მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა. მაგალითად, მთავრის ახლო ურთიერთობა ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, მათ შორის დიმიტრი ყიფიანთან. გ. ძიძარიას მოჰყავს მიხეილ შარვაშიძის 1859 წ. 16 ივნისის წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი, მაგრამ ავტორი მთავრის ეპისტოლედან მშრალად იმოწმებს მხოლოდ ერთ წინადადებას: „სასიამოვნოა იხილო ისეთი მეგობარი, როგორიც ისაა“ (ხეც, დ. 1715; შდრ. Дзидзария, 1979: 35). ეს არის მიხეილ შარვაშიძის მაღლიერების წერილი მეგობრისადმი, მას შემდეგ რაც მთავარმართებელმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის შემდეგ (1856 წ.), მოითხოვა მიხეილ შარვაშიძის, როგორც „მოღალატის“ გადაყენება და რუსეთის შორეულ გუბერნიაში გაგზავნა (АКАК, XI,

1888: 54). მაგრამ დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც სახელმწიფოსგან მინდობილი ჰქონდა მიხეილ შარვაშიძის „ღალატის“ საქმის გამოძიება, დიდი რისკის ფასად, დოკუმენტურად დაადასტურა აფხაზეთის მთავრის სიმართლე (**Эсадзе 1907: 147; ჯანაშია, 1988: 9**) ფაქტობრივად, მისი აფხაზეთიდან გასახლება რამდენიმე წლით გადაიდო. სწორედ, ამ მეგობრობის გამო წერს მიხეილ შარვაშიძე სამადლობელ წერილს, რაც ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ეს არის საერთო ფესვების მქონე იდენტურად მსგავსი მენტალობის ადამიანების ბრძოლა იმ ერთი მთლიანის გადარჩენისთვის, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ.

და მაინც აფხაზი მეცნიერი დუმილით უვლის გვერდს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის კანცელარიის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან ცნობებს, რომლებიც ადასტურებენ მიხეილ შარვაშიძის სამთავრო კანცელარიის ქართულენოვანებას (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **ჯანაშია, 1988: 7-13; პაპასქირი, 2010a**). გარდა გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძისა და მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობისა და მათი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა ამას მიხეილ შარვაშიძის კარზე მყოფი რუსი გენერლის ჰაველ კოცებუს განცხადება: „მთავარ შარვაშიძეთა გვარში მიღებული წერილობითი ენა ქართულია“ (**პაპასქირი, 2010a**, იქვე იხილეთ შესაბამისი ლიტერატურა).

სამთავრო სახლის წევრებს შორის, ყურადღებას იქცევს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის უმცროსი ძმა კონსტანტინე შარვაშიძე. მართალია მან განათლება პეტერბურგში პაჟთა კორპუსში მიიღო, მაგრამ დაახლოებული იყო მოწინავე ქართულ არისტოკრატიულ წრეებთან და იზიარებდა მათ იდეებს, რასაც ადასტურებს მისი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, რომელიც საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენას ისახავდა მიზნად (**Потто, 1994: 25-26**). როგორც ერთ-ერთი შეთქმულის ჩვენებიდან ჩანს, კონსტანტინე შარვაშიძე შეთქმულთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, „თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა“ და ამბობდა, რომ „შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყო; ორი ათასი აფხაზით სრულებით გავწმენდავ აფხაზეთს რუსებისგან“, ხოლო „აჯანყების პირველ დღეებში თბილისში 300 (სხვა საბუთში – 500) შეიარაღებული აფხაზის გამოგზავნას აპირებდა“ (**გოზალიშვილი, 1970: 363-364**). ეს არის კიდევ ერთი პირდაპირი მტკიცებულება, როგორ ცდილობენ მსგავსი მენტალობის ადამიანები საერთო ღირებულებებისა და ფასეულობების გადარჩენას. 1832 წლის შეთქმულები დანაშაულის მიხედვით, რვა კატეგორიად დაყვეს, კონსტანტინე შარვაშიძე მერვე კატეგორიაში შეიყვანეს, რუსეთში სამხედრო სამსახურში გაამწესეს და განსაკუთრებული ნებართვის გარეშე საქართველოში ჩამოსვლა აუკრძალეს (**AKAK, VI, 1875: 410**). 1858 წლიდან, გარკვეული დროით საქართველოში იმყოფებოდა (ძირითადად ცხოვრობდა ქუთაისსა და თბილისში). ამ პერიოდს უკავშირდება მისი აქტიური ჩართულობა პირველი აფხაზური ანბანის შექმნის პროცესში.

ცნობილია, რომ XIX ს. შუახანებამდე აფხაზური უდამწერლობო ენა იყო და XIX საუკუნეში დრომ განსაზღვრა აფხაზური ანბანის შექმნის საჭიროება. პირველი მკვლევარი, რომელმაც შენიშნა აფხაზური სპეციფიკური ფონემები და არა მარტო მათი აღნიშვნა სცადა საგანგებო გრაფემებით, არამედ შექმნა აფხაზური დამწერლობა, იყო რუსეთის არმიის გენერალი *ჰეტრე უსლარი*, რომელმაც 1862 წელს ამ ენის გრამატიკული მიმოხილვის შედეგისას გამოიყენა რუსული გრაფიკა (კირილიცა) მის მიერვე გამოგონილი ასო-ნიშნების (ძირითადად, მოდიფიცირებული რუსული ასოების) დამატებით. სწორედ პ. უსლარის ამ ნაშრომით იწყება აფხაზური დამწერლობისა და სალიტერატურო ენის ისტორიაც (**გვანცელაძე, 2012: 11**). პ. უსლარის მონოგრაფია „*კავკასიის ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა – აფხაზური ენა*“, (**Услар, 1887d**) 1887 წელს თბილისში დაიბეჭდა. 1862 წელს „*კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ*“, აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად, თბილისში სპეციალური კომისია შექმნა, რომელსაც გენერალი *ივანე ბართოლომეი* ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრები იყვნენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი *დიმიტრი ფურცელაძე*, რომელიც მამინ კავკასიის მეფისნაცვალთან ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოებას განაგებდა და *ვლადიმირ ტრიროგოვი* – კავკასიის მეფისნაცვლის სპეციალური წარმომადგენელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. ანბანი შეიქმნა აფხაზი მღვდლის *იოანე გეგას*, ოფიცერ *გიორგი ქურციკიძის* და *სიმეონ ეშბას* დახმარებით. გარდა ამისა, აფხაზური ტექსტი გასწორდა ორჯერ: 1863 წელს *კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძის*, ხოლო 1864 წელს *გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძის* მიერ, რომელთა წინადადებით წიგნში თავიდან გამოყენებული აფხაზური ენის ბზიფის გამოთქმა, შეიცვალა საერთო აფხაზურით (**Дзидзария, 2014: 399-400**).

პ. უსლარის მიერ ანბანის კირილიცას გრაფიკით შექმნა კრიტიკის ობიექტი გახდა თვით აფხაზთა მხრიდან. ნაწილს მიაჩნდა რომ ქართული გრაფიკა უკეთ ასახავდა აფხაზური ბგერების ფონემებს: „*აფხაზური ენა იმდენად მდიდარია სხვადასხვა ბგერებით, რომ ის უსლარმაც ვერ შენიშნა, რადგან ვერც ერთი ალფავიტი, მათ შორის რუსულიც, ვერ გამოხატავს ამდენ ბგერას, ამიტომ აფხაზური ანბანის შედგენაში საფუძვლად უნდა მიეღოთ ქართული ანბანი, რადგან ქართული ენა ბერათა სისტემის მხრით, ყველაზე მეტად უახლოვდება აფხაზურს*“ – წერდა აფხაზური ენის ზედმიწევნით მცოდნე *ჰეტრე ჭარაია* (**ჭარაია, 1907**). ამ ფაქტს, თავად პეტრე უსლარიც აღიარებდა, როდესაც წერდა: „*ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებული იქნეს აქამდე დამწერლობას მოკლებული ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძვლად; მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არამარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით სრულიად უნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული წიგნიერება კავკასიაში*“ (**Гамахария, Гогия, 1997: 353; მდრ. გვანცელაძე, 2009: 210**) საზოგადოების მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ ამ

ფაქტით რუსეთის იმპერია ცდილობდა აფხაზები ჩამოეშორებინა მისი მონათესავე ხალხებისაგან (**Ашхацava, 1925: 37-38**). აფხაზური დამწერლობა შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით და მიზნად ისახავდა ერთი მხრივ აფხაზთა იზოლირებას ქართული კულტურული ველისაგან, მეორე მხრივ კი მათი საბოლოო გარუსებისთვის ნიადაგის შემზადებას რუსულ გრაფიკასთან და რუსული ენის შეჩვევის გზით (**გვანცელაძე, 2009: 212**). მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამ ანბანმა ვერ ჰპოვა სათანადო გამოყენება და მის საფუძველზე ვერ მოხერხდა ვერც აფხაზური დაწყებითი სკოლის, ვერც აფხაზური ლიტერატურის ჩამოყალიბება, უსლარისა და ბართოლომეის საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთი მხრივ, ამ ფაქტმა აფხაზურ საზოგადოებაში გააჩინა იმედი საკუთარი დამწერლობისა და კულტურის ახალი დარგების ჩამოყალიბებისა, ხოლო მეორე მხრივ, იმპერიულმა იდეოლოგიამ კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ავანსცენაზე საჭირო შემთხვევაში მანიპულირებისთვის მძლავრი იარაღი შექმნა.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში და ზოგადად აფხაზი ეთნოსის გადარჩენის საკითხში განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს საეგზარქოსოს ქართველმა მისიონერებმა. მათმა საქმიანობამ ხელი შეუწყო აფხაზეთში განათლებისა და კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას. პირველი საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების დაარსება სწორედ მათ სახელებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ თემას საბჭოთა პერიოდის ქართული და აფხაზური ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა, მაგრამ დღეს ეს საკითხი სათანადო მტკიცებულებებით, საკმაოდ კარგად არის გაშუქებული. ქართველ მისიონერებს პოლიტიკურად რთულ და მატერიალური თვალსაზრისით მძიმე პირობებში უწევდათ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

ჯერ კიდევ 1846 წელს ბიჭვინთაში ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, კავკასიის მეფისნაცვლის *მიხეილ ვორონცოვის* მხარდაჭერით ჰქონდათ მცდელობა გაეხსნათ სასულიერო სკოლა საკუთრივ აფხაზი ბავშვებისთვის. სამწუხაროდ, ქართველთა ეს წამოწყება 1851 წლამდე ვერ განხორციელდა. მომდევნო წლებში აფხაზეთის ეპარქიამ ფართო მუშაობა გააჩაღა სასულიერო სკოლების დაარსების მიმართულებით. პირველი იყო ოქუმის სამრევლო სკოლა, რომელიც 1851 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულმა *დავით მაჭავარიანმა* გახსნა თავადაზნაურთა შვილებისთვის, მაგრამ მალე ამ სკოლას გლეხთა ნიჭიერი შვილებიც შეემატნენ. ოქუმის სკოლის გახსნას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ოქუმის სკოლის გახსნის შემდეგ, აქ წიგნთსაცავიც უნდა გახსნილიყო. მოგვიანებით, XX ს. დამდეგს ოქუმში ჩასული *თედო სახოკია* ივანე გეგიას მიერ დაარსებული წიგნთსაცავის შესახებ საუბრობს: „ყველაზე სასიამოვნო და სასურველი მოვლენა ოქუმის ცხოვრებაში აქური წიგნსაცავია... გამუხებულა აქური მკვიდრის ივანე გეგიას საფასით“, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ შეუგროვებია: „შეძლებისდა კვალად, ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაუწია ყველამ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან...“ (**სახოკია, 1985: 333-335**).

ითვლება, რომ ოქუმის სკოლა დიდი ხნის მანძილზე იყო ერთადერთი, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების სკოლებსა და სამრევლო სკოლებს შორის (**Дудко, 1956: 3**), თუმცა არსებობს მონაცემები, რომ აფხაზეთში 1851-1852 წლებამდეც ფუნქციონირებდა სხვა ტიპის სკოლებიც. სავარაუდოდ, ეს არაოფორმალური სკოლები უნდა ყოფილიყო ლიხნსა და ილორში. ლიხნის სკოლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, რაც შეეხება ილორში სკოლას, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის საქართველოს საეგზარქოსოს აფხაზეთის ეპარქიის პირველი ეპისკოპოსის *გერმანეს (გოგელაშვილი)* 1852 წ. 27 სექტემბრის წერილი ეგზარქოს ისიდორესადმი. მასში ავტორი მიუთითებს, რომ ბავშვები, რომლებიც მარშან (ე. ი. 1851 წელს – **ლ.ა.**) ილორში სწავლობდნენ, შეიძლება მეორე კლასში გადავიყვანოთ, რათა სწავლა გააგრძელონ ლიხნის სკოლაში (**გამახარია, 2006c: 67**). გარდა ამისა, ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით, 1852 წ. 8 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ეპისკოპოსი *ალექსანდრე ოქროპირიძე*, ილორის ბავშვებისთვის სკოლის გამართვის გამო, დააჯილდოვა (**სცსსა, ფ. 493, ს. 96, ფ. 18**). ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ილორის სკოლაში მოსწავლეები 1852 წელს უკვე მზად არიან მეორე კლასში გადასასვლელად და შედეგი იმდენად ეფექტურია რომ ეპარქიისა და საეგზარქოსოს მხრიდან ჯილდოთი აღინიშნა. ორივე დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ილორში სკოლის გახსნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1850, ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1851 წ. მაისი უნდა იყოს. ანუ, აფხაზეთში პირველი არაოფიციალური სკოლები ლიხნსა და ილორში უნდა დაარსებულიყო.¹ სამურზაყანო-აფხაზეთის სოფლებში – ბეღია, საბერიო, დიხაზურგა, გუდავა – ადგილობრივი მღვდლების მიერ ეკლესია-მონასტრებთან სკოლების დაარსების შესახებ საუბრობს რუსი მეცნიერი ა. დუდკოც (**Дудко, 1956: 20**).

ლიხნის სასულიერო სასწავლებელი ოფიციალურად 1852 წ. 25 სექტემბერს გაიხსნა და აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, *ალექსანდრე ოქროპირიძეს* ექვემდებარებოდა. 1856 წელს სოხუმში გაიხსნა სამინისტრო სკოლა, რომელიც მალევე, ყირიმის ომის გამო დაიხურა. 1868 წელს აფხაზეთის ახლადდანიშნული ეპისკოპოსი *გაბრიელ ქიქოძე* წერდა, რომ ოქუმის მოსახლეობა ითხოვდა ქალთა სკოლის გახსნას, ხოლო ორკლასიანი ვაჟთა სკოლის ოთხკლასიან სკოლად გადაკეთებას (**Тарба, 1964: 5-6**). მალე კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ სამურზაყანოსა და აფხაზეთში ახალი სკოლები გახსნა. მაგალითად, სამურზაყანოში, 1868 წლისთვის მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 11 სკოლა (*ოქუმის, დიხაზურგის, ბეღიის, გუდავის, თაგილონის, I და II საბერიოს, ბარღების, ნაბაკვის, ჭებურხინჯის, ფახულანის*) მოქმედებდა. ფუნქციონირებდა ილორის სკოლაც, რომელსაც ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ საკუთარი ხელფასიდან 200 მანეთი შესწირა (**გამახარია 2005: 457**).

¹ *ალექსანდრე ოქროპირიძის* ნამსახურობის ნუსხის დოკუმენტზე დაყრდნობით, ოქუმის სკოლასთან ერთად, ან უფრო ადრე ილორში სასულიერო სკოლის დაარსება პირველად ივარაუდა გივი როგავამ (**როგავა, 2002: 121**).

1859 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დამტკიცდა წესდება მთის სკოლების შესახებ. აღნიშნულ სკოლაში მიღების დროს პრიორიტეტი მთის რეგიონის თავადაზნაურობის შვილებს ენიჭებოდათ. მსგავსი სკოლები გაიხსნა კავკასიაში: *ნალჩიკში* – 1860 წელს, *გროზნოსა და სოხუმში* – 1963 წელს, *მაიკოპში* – 1866 წელს, *ნაზრანში* – 1870 წელს. აქედან ნალჩიკის სკოლა იყო სამკლასიანი, გროზნოს, სოხუმისა და მაიკოპის ორ კლასიანი, ხოლო ნაზრანის ერთკლასიანი სკოლა (**Тарба, 1964: 7**). დიმიტრი გულიას ცნობით, კავკასიის მეფისნაცვლის წარდგენის შემდეგ 1859 წ. 20 ოქტომბერს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II დაეთანხმა ნიმუშად გაეხსნათ მთიელთა სკოლები ოთხი წლით. სოხუმის სკოლა გათვლილი იყო 20 ვაჟზე, აქედან 15 ადგილი აფხაზი წარჩინებულებისთვის, ხოლო 5 რუსი ჩინოვნიკების შვილებისთვის (**Гулия, 1962: 140**). წლების მანძილზე სოხუმის მთიელთა სკოლის ზედამხედველი იყო კონსტანტინე მაჭავარიანი (ოქუმის სკოლის დამაარსებლის – დავით მაჭავარიანის ვაჟი). ეს სკოლა, რომელიც აფხაზეთში ყველაზე მსხვილ სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენდა, თავიდან განკუთვნილი იყო აფხაზი ბავშვებისთვის (**Тарба, 1964: 10**). ამ ნაბიჯით იმპერია ცდილობდა ქართული გარემოდან სრულიად მოწყვეტით აღეზარდა აფხაზი ახალგაზრდები და შეექმნა მისი მხარდამჭერი ადგილობრივი საზოგადოებრივი ელიტა. მიუხედავად ამისა, სოხუმის მთიელთა სკოლის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო აფხაზეთის განათლების ისტორიაში. მომდევნო წლებში აქ სხვა ეროვნების მოწაფეებიც სწავლობდნენ.

გაზეთ „*Кавказ*“-ის 1866 წ. 1 ივნისის ნომერში განთავსებულია ცნობა სოხუმში, 1866 წ. 3 მარტს, ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის მიერ ქალთა სასწავლებლის გახსნის შესახებ, სადაც სხვებთან ერთად ჩაურციხავთ 5 აფხაზი (**ვაჰას-ქირი, 2004: 216-217**). 1870 წელს აფხაზი გოგონებისთვის გაიხსნა სოხუმის ქალთა მეორე სამინისტრო სკოლა – პროგიმნაზია (**Дудко 1956: 40**), რომელიც სუბსიდიურებას ქალაქის ხაზინიდან იღებდა. როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის შუახანებიდან აფხაზეთში ნელ-ნელა და ეტაპობრივად იცვლება საგანმანათლებლო ვითარება: თუ თავიდან სკოლების გახსნის ინიციატივით აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები, ან ქართველი საერო სასულიერო პირები გამოდიან, XIX ს. 70-იანი წლებიდან ამ ინიციატივას ხელში მთლიანად იმპერია იღებს: მთიელთა სკოლისა და ქალთა პროგიმნაზიის დაარსება მხოლოდ აფხაზი და რუსი მოსამსახურეების ბავშვებისთვის, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, იმპერიის მიზანს დაყოს ადგილობრივი საზოგადოება და რეგიონში სრული გაბატონებისთვის ეტაპობრივად შექმნას საკუთარი საყრდენი.

სკოლების განვითარებაზე ცუდად იმოქმედა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, როდესაც სოხუმსა და მის შემოგარენში არსებული სკოლები განადგურდა. სოფლის მოსახლეობამ უკიდურესი სიღარიბის გამო ვერ მოახერხა მათი ნაწილის აღდგენა. მთლიანად აღდგა სოხუმის მთიელთა სკოლა და ქალთა პროგიმნაზიის შენობები (**Дудко 1956: 43- 45; გამახარია, 2005: 519**). 1880-1882 წლებში განაახლეს ბიჭვინთის ოლქში მანამდე არსებული სასწავლებლებიდან მხოლოდ

ერთი-ახალი ათონის სკოლა, სადაც 22 სტიპენდიანტი სწავლობდა და ცხოვრობდა იქვე მოწყობილ პანსიონში. სკოლის აღდგენა მოხერხდა ახალი ათონის მონასტრის მღვდლისა და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მასწავლებლის *თომა ეშბას* – შემდგომ ცნობილი პედაგოგის – მიერ (**გამახარია, 2005: 519**). ის იყო სამურზაყანოელი აფხაზი, დამთავრებული ჰქონდა ჯერ ბედიის, შემდეგ სოხუმის მთიელთა სკოლები. გაგზავნილი იქნა *გორის სამასწავლებლო სემინარიაში*, რომლის დასრულების შემდეგ მასწავლებლად მოღვაწეობდა *ახალი ათონის, ლიხნის, ოჩამჩირის, ბედიისა და წალენჯიხის* სკოლებში (**Дудко 1956: 75**); მიაჩნდა, რომ მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად გორი საუკეთესო ადგილი იყო და აფხაზ ახალგაზრდებს მოუწოდებდა სწავლა გორის სამასწავლებლო სასწავლებელში გაეგრძელებინათ (**გამახარია, 2005: 519-520**).

XIX ს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული შეინიშნება სკოლების სწრაფი ზრდა, რასაც სამი ძირითადი გარემოება უწყობდა ხელს: გაიხსნა ძირითადად, წერაკითხვის გამავრცელებელი სკოლები, რომელთა შენახვა ძვირი არ ჯდებოდა; რუსეთის სინოდი დიდი რაოდენობის ფულს ხარჯავდა საეკლესიო სკოლების შესახად და კავკასიის ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება ყოველმხრივ უწყობდა ხელს სკოლების გახსნის პროცესს. 1917 წლისთვის აფხაზეთში უკვე ფუნქციონირებდა დაახლოებით 79 სასწავლებელი, რომელშიც 3407 მოსწავლე ირიცხებოდა (**Дудко 1956: 309-328**). აფხაზეთში განათლების გავრცელებისა და განათლების ინსტიტუციური განვითარების პროცესს ხელი შეუწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების დაარსებამ, რომელსაც სოხუმში, გუდაუთასა და გალში საკუთარი სასწავლებლები, ხოლო სოფლებში წერა-კითხვის პატარა სკოლები ჰქონდა გახსნილი. სოხუმის განყოფილების დაარსების იდეა *ილია ჭავჭავაძის* სოხუმში ყოფნის დროს დაიბადა.

ილიას მოგზაურობას გაგრასა და სოხუმში აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1903 წ. მაისში ილია ჭავჭავაძე პრინც *ალექსანდრე ოლდენბურგელის* მიწვევით გაგრამი იმყოფებოდა. 1903 წელს გაგრიდან დაბრუნებული ილია სოხუმში ჩავიდა. 24 მაისს *ალექსანდრე მარვაშიძის* ოჯახში სოხუმის ქართულმა საზოგადოებამ, *თედო სახოკიას* ინიციატივით საქართველოს უგვირგვინო მეფეს გულთბილი შეხვედრა მოუწყო (**გელენავა, 2007: 274**). ილიას მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს შემდეგ, ერთ-ერთმა სოხუმელმა ახალგაზრდამ ილიას, როგორც „*წერა-კითხვის საზოგადოების*“ თავმჯდომარეს, სთხოვა ეშუამდგომლა სოხუმში ამ საზოგადოებისა და სკოლის დაარსებისთვის. მართლაც, თბილისში ჩამოსულმა ილია ჭავჭავაძემ იმავე წლის 10 ივნისს საზოგადოების კომიტეტთან ერთად დაადგინა სოხუმში დააარსონ სკოლა, რომელსაც სოხუმის საზოგადოებამ შემწეობა აღუთქვა. 12 ივნისს ილია ჭავჭავაძემ აღძრა შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე სოხუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გახსნის შესახებ (**ცნობის ფურცელი, 1903**), მაგრამ ამ პროცესს ახლდა შემაფერხებელი გარემოებები (იმპერიული ძალების

წინააღმდეგობა, საზოგადოების უსახსრობა, ილიას მკვლელობა და ა.შ). შედეგად, სოხუმში საზოგადოების განყოფილებისა და სკოლის დაარსება 1910 წლამდე ვერ მოხერხდა. ამის შესახებ შუამდგომლობა კიდევ ერთხელ აღიძრა 1909 წ. ივნისში და მას სოხუმის ქართველების სახელით ხელს აწერდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო თავდგირიძე. სოხუმის განყოფილება საზეიმოდ გაიხსნა 1910 წელს და მისი დაარსების ინიციატორები იყვნენ ანთიმოზ ჯუღელი, მარიამ ნიკოს ასული დადიანი-ანჩაბაძისა (გამგეობის თავმჯდომარე), ნიკო თავდგირიძე, საჩინო იოსელიანი, ნიკო ჯანაშია და სხვები (**კვარაცხელია, 2009: 41**). აღნიშნულ საზოგადოებას 1913 წელს უკვე 355 წევრი ჰყავდა. საზოგადოების სოხუმის განყოფილების დაარსებისთანავე, ქართული სკოლის მასწავლებლად გამგეობის თხოვნით, ნიკო ჯანაშია მოიწვიეს, რომელიც 1910 წელს შეუდგა მუშაობას და სიცოცხლის ბოლომდე აქ მოღვაწეობდა.

ნიკო ჯანაშია იყო ადამიანი, რომელიც XIX ს. მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. საოცარია, რომ მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არ შემოფარგლულა მხოლოდ აფხაზეთში მოღვაწეობით. 1891 წლიდან სოხუმის მთიელთა სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. ნიკო ჯანაშიამ სკოლაში მისვლისთანავე ფართო საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა ქართული მწერლობისა და ეროვნულ-განმანათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა სკოლის ადმინისტრაციას. ნიკო ჯანაშიას ადგილობრივი მოსახლეობის გაქართველების პოლიტიკის გატარება დასწამეს და იძულებული გახდა სამუშაოდ გურიაში, სოფ. მაკვანეთში გადასულიყო (**კვარაცხელია, 2009: 11**). 1894 წელს ნიკო ჯანაშია ისევ აფხაზეთშია და გუდაუთის სამინისტრო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. პარალელურად, აფხაზეთის სასკოლო განათლების საქორბოროტო საკითხებზე ხშირად აქვეყნებდა წერილებს „ივერიას“ და სხვა ქართულ გაზეთებში. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ჯანაშია 1899 წლიდან ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში იქნა გადაყვანილი, ის მუდამ იმყოფებოდა აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ცენტრში. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თავისი კორესპონდენციებით ხშირად ეხმაურებოდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებისა და სკოლის გახსნას სოხუმში.

სოხუმის სკოლის გახსნის დროს ნიკო ჯანაშია „დროების“ ფურცლებზე წერდა: „ეს სკოლა უნდა გადაიქცეს პატარა კერად, რომლის გარშემოც მოიყრის თავს სოხუმელი ქართველობა... გამარჯვება იმას ეკუთვნის, ვინც ორივე ხელით იბრძვის და თავის ბედს თვითონვე სჭედს. მამ, მეტი მხნეობა და და მეტი სიყვარული, რათა მომავალი თაობა მაინც ვიხსნათ დამახინჯებისა და გადაგვარებისაგან (**კვარაცხელია, 2009: 51**). მართლაც, მან შეუდარებლად მოკლე დროში შეძლო სკოლის ფეხზე დაყენება. სკოლას თავიდან საკუთარი შენობა არ ჰქონდა და მხოლოდ 48 ბავშვი მიიღეს (**კვარაცხელია, 2009: 55**). განუზომლად დიდია ნ. ჯანაშიას წვლილი სო-

ხუმის ქართული სკოლისთვის შენობის აგების საქმეში. ქალაქის ხელმძღვანელობამ სკოლის ასაგებად უვარგისი და ჭაობიანი ადგილი გამოუყო, მის ამოსაშრობად ნიკომ დიდი შრომა გასწია და იქ მშენიერი სკოლა ააგო. 1912 წ. სექტემბერში სოხუმის ქართული სკოლა საკუთარ შენობაში გადავიდა. სკოლის კადრებიც სპეციალურად შეარჩია და მასწავლებლად გამოცდილი პედაგოგები: *ნოე ქურიძე, თამარ თაყაიშვილი*, ქართული გუნდის ყოფილი ლოტბარი *ნოე ურუშაძე* მიიწვია (**კვარაცხელია, 2009**: 53-56). 1914 წელს, როდესაც სოხუმის ქართულ სკოლას ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი *პეტრე ჭარია* ეწვია, მან აღფრთოვანება ვერ დამალა: „*ვამა სოხუმელ ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმესო*“ (**ჭარია, 1914**: 57).

სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ნიკო ჯანაშიას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საქმეში. მას კარგად ესმოდა სკოლებისთვის მასწავლებელთა კადრების მომზადების მნიშვნელობა. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1906 წელს დაისვა სოხუმის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ. 1909 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა სასწავლებლის დაარსებისთვის აუცილებელი ღონისძიებანი. სკოლის დაარსების საკითხში აქტიურად იყვნენ ჩართული *ნიკო ჯანაშია, ანთიმოზ ჯუღელი, ალექსანდრე შარვაშიძე, ანდრია ჭოჭუა* და სხვები. 1915 წ. 1 ივლისს, კავკასიის მეფისნაცვლისა და სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებათა საფუძველზე, გაიხსნა ოთხწლიანი სამასწავლებლო სემინარია. მისი პირველი დირექტორი იყო *ვლადიმერ პარდომენკო*. 1917 წლიდან, მისი ავადმყოფობის გამო, სემინარიას სათავეში ჩაუდგა მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული *ალექსანდრე გიორგობიანი (გელენავა, 2000*: 38-40). გარდა ქართული და რუსული სკოლებისა, აფხაზეთში არსებობდა ორკლასიანი სომხური და ბერძნული სასწავლებლები, რომლებსაც ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოებები ინახავდნენ.

როგორც განსახილველი პერიოდის მასალებიდან ჩანს, აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, რამდენიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობდა. მათ შორისაა: *კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების* დაარსებული; *ეპარქიალური, საეკლესიო-სამრევლო, სამინისტრო* სკოლები. ცალკე იყო *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* სკოლები და *აფხაზთა წერა-კითხვის სასწავლო* სკოლები, რომლებიც გვიან დაარსდა. არსებობდა სხვა ტიპის სკოლებიც (**Дудко 1956**: 309-328), რომელთა დაფინანსებას მთლიანად კერძო სექტორი ახორციელებდა. 1911 წელს სოხუმელთა ინიციატივით დაარსდა *სახალხო უნივერსიტეტი*. თავიდან მოწაფეთა რიცხვი 40-მდე იყო მეცადინეობა კვირაში 5 დღის მანძილზე მიმდინარეობდა, ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვასაც. აქ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იკრიბებოდნენ: მეცნიერები, პედაგოგები, აგრონომები, მსახიობები, ზოგადად ქალაქის განვითარებით დაინტერესებული საზოგადოება. სხვადასხვა საკითხებზე კითხულობდნენ საჯარო ლექციებს, განიხილავდნენ ქალაქის განვითარების იდეებს და ა. შ. (**სახალხო გაზეთი, 1911, N 440**).

XIX – XX ს. დამდეგის აფხაზეთის კულტურის ისტორია შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მკვიდრი ქართველი და აფხაზი მოღვაწეების გარეშე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაზე. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟი და ტახტის მემკვიდრე. გიორგი შარვაშიძე, როგორც პოეტი, დრამატურგი, ლიტერატორი, პუბლიცისტი და თეატრის კრიტიკოსი თავისი შემოქმედებითა და საქმიანობით საერთო-ქართული კულტურის ორგანული ნაწილია. ან როგორ შეიძლება არ ვაღიაროთ ქართული კულტურის ნაწილად შემოქმედი, რომელიც საქართველოს „ჩვენს სამშობლო ივერიას“ უწოდებდა და აფხაზეთი ამ ივერიის (საქართველოს) ორგანულ ნაწილად მიაჩნდა. სავსებით სწორად აღნიშნავდა ცნობილი აფხაზი მეცნიერი შალვა ინალ-იფა, რომ „ისწარფვოდა ორი მოძმე ხალხის – ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთიანობის აღდგენისაკენ“ (ინალ-იფა, 1973: 8).²

გიორგი შარვაშიძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთში ახლადჩამოყალიბებულ სცენისმოყვარეთა საზოგადოებასთან, რომელიც შემდეგ დრამატულ თეატრის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ქართული პრესის მიხედვით, სოხუმში თეატრალური წარმოდგენების გამართვა XIX ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო, პირველი წარმოდგენები სოხუმის სცენის მოყვარულთა წრემ განახორციელა და ამიერიდან სოხუმი არამარტო აფხაზეთის, ზოგადად ქართული თეატრალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ წარმოდგენებს სანახაობის გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო დანიშნულებაც ჰქონდა. სცენის მოყვარულთა წრეს ძირითადად ადგილობრივი არისტოკრატიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მფარველობდნენ და თავადაც მონაწილეობდნენ თეატრალურ წარმოდგენებში. ამ საქმის სულისჩამდგმელები იყვნენ შარვაშიძეთა და ანჩაბაძეთა გვარის ქალბატონები: მარიამ, ალათი და ტერუზია შარვაშიძეები, ასევე მამო და დიანა-ანჩაბაძისა იყვნენ. თეატრალური საღამოებიდან მიღებულ შემოსავალს თავიდან საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა და ხმარდებოდა სკოლებს, საავადმყოფოებს, ღარიბებსა და სტუდენტებს. 1885 წელს სოხუმის სცენის მოყვარულთა საზოგადოებამ მაცურებელს უჩვენა პირველი ქართული სპექტაკლი; 1886 წლიდან სოხუმის სცენისმოყვარულთა საზოგადოებასთან თანამშრომლობდა ლადო მესხიშვილი, რომელსაც სოხუმის თეატრთან განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა (ფადავა, 1941: N5).

სოხუმის თეატრალური დასის საქმიანობის შესახებ საოცრად მდიდარი მასალაა იმ პერიოდის ქართული გაზეთების ფურცლებზე. მაგ. გაზეთი „ივერია“ ზოგადად მრავალფეროვან მასალას აქვეყნებდა აფხაზეთის თემატიკაზე და მათ შორის სოხუმის თეატრალური ცხოვრების შესახებ. 1893 წელს მარიამ შარვაშიძის თაოსნობით სოხუმში დაუდგამთ პიესა თბილისელი მსახიობების ლადო ალექსი

² გიორგი შარვაშიძის მამულიშვილური დვაწლის შესახებ მშობლიური ქვეყნის წინაშე უფრო ვრცლად აქვე, გვ. 301-305.

მესხიშვილის, ა. ქიქოძის, ფრანგულიანცის, გვაზავას და სხვათა მონაწილეობით. იმავე 1893 წელს მარიამ შარვაშიძის თაოსნობით ადგილობრივმა სცენისმოყვარულებმა თბილისის ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ დადგეს პიესები „ბაიყუმი“ და „ფინჯანი ჩაი“ (ივერია, 1893, N52). 1894 წელს სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე წარმატებული გასტროლები ჰქონდა ქუთაისის ქართული დრამატული თეატრის დასს, აღნიშნული მასალაც გამოქვეყნებულია „ივერიის“ ფურცლებზე (ივერია, 1894, N256). 1895 წელს სოხუმის ქართულმა დასმა დადგა ვოდევილები: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „წუთის საცოლუ“. იმავე წელს საქველმოქმედო მიზნით სოხუმელ სცენისმოყვარეებს დაუდგამთ დრამა „და-ძმა“ და მოლიერის „საკაპუნის ოინები“, ხალხური ლექსი მიხედვით დაიდგა „არსენა“ და ვოდევილი „მშვირები“ (ივერია, 1895, N21; N36; N74; N256). 1996 წელს დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა „მონადირე“, „რაც არ მერგება არ შემერგება“ (ივერია, 1896, N89). სპეციალურად „ივერიისთვის“ ქველმოქმედების გაწევის მიზნით 1897 წ. ს 11 ივლისს სოხუმის დრამატულმა დასმა დადგა პიესა „ბნელს ოთახში“. საინტერესოა, მარიამ ჯამბაჯურ-ორბელიანის მიერ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამადლობელი წერილი ალათი მერვაშიძისადმი, რომელმაც ტფილისის ქალთა მომავალი სკოლის სასარგებლოდ სოხუმში წარმოდგენა გამართა (ივერია, 1900, N69).

„ივერიის“ ფურცლებიდან ვგებულობთ, რომ 1894 წელს სოხუმში წარმატებით ჩაიარა, თბილისში 1886 წ. 15 ნოემბერს დაარსებული, ქართული სიმღერის პირველი პროფესიული ანსამბლის „ქართული ხორო“-ს მომღერალთა გუნდის გასტროლებმა, რომელსაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ქართულ ხალხურ სიმღერაზე უზომოდ შეყვარებული ჩუხი მომღერალი იოსებ რატილი (ნავრატელი) ხელმძღვანელობდა. ასევე 1897 წელს სოხუმს სტუმრობდა ცნობილი ლოტბარი ალექსანდრე კავსაძე, რომლის კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა სოხუმის თეატრის სცენაზე (ივერია, 1897, N122).

სოხუმთან და სოხუმის დრამატულ თეატრთან არის დაკავშირებული ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და თეატრის მოღვაწის შალვა დადიანის სახელი, რომლის აქტიური თეატრალური მოღვაწეობა და სამსახიობო კარიერა სწორედ სოხუმში დაიწყო. 1912 წლიდან შალვა დადიანმა შეძლო სოხუმში ნახევრად პროფესიული თეატრის ჩამოყალიბება. ქართულ დასში რამდენიმე პროფესიონალი მსახიობი იყო, მათ შორის ელო ანდრონიკაშვილი, ვასო აგულიშვილი, მოგვიანებით ეველინა წუწუნავა და დავით კობახიძე. დასი აქტიურად თანამშრომლობდა ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდთან. სხვადასხვა დროს სოხუმში თეატრალურ წარმოდგენებს მართავდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი. 1912 წ. თებერვალს შ. დადიანმა დადგა დავით ერისთავის „სამშობლო“, 1911-1912 წლის სეზონზე სოხუმში 12 წარმოდგენა გამართულა (გელენავა, 2014: 258).

შალვა დადიანის წასვლის შემდეგ დასი დაიშალა, მაგრამ მოგვიანებით, სოხუმის დრამატული დასი და სოხუმის სახალხო უნივერსიტეტი გაერთიანდა და დაერქვა „სოხუმის სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული დრამატული სექცია“. 1914 წლიდან თეატრალური მუშაობა შეფერხდა, თუმცა წარმოდგენები მაინც იმართებოდა. რეჟისორი იყო ივანე ბარველი (მგელაძე). მსახიობები: ნატალია ჯავახიშვილი და მიხეილ სულთანშივილი. 1918 წლიდან თეატრის რეჟისორად ზაქარია ურუშაძე დაინიშნა. დაიდგა შალვა დადიანის „შვილი ან სიყვარული“. 1920-1921 წლების სეზონი რეჟისორ მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით დაიწყო. დასში შედიოდნენ: ნუცა ჩხეიძე, ნიკო გოძიაშვილი, მიხეილ სულთანშივილი, ალექსანდრე მგალობლიშვილი. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დასთან ერთად მათ დადგეს დავით ერისთავის „სამშობლო“, ენგელის „ზღვასთან“, ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“ და სხვ. (ვრცლად იხ. ქაჯაია, 2006).

ქართულის პარალელურად XX საუკუნის 10-იან წლებში, საფუძველი ეყრება აფხაზურ თეატრს. 1918 წელს დიმიტრი გულიას ინიციატივით სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზური ლიტერატურულ-დრამატული წრე, რომელსაც ანტონ შაკია ხელმძღვანელობდა. პირველი აფხაზურენოვანი სპექტაკლი გაიმართა 1918 წელს ოჩამჩირეში, ადგილობრივი სცენისმოყვარული პლატონ შაყრილის ხელმძღვანელობით (ქართული საბჭოთა, 1985: 503). აფხაზეთში თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე საუბრისას, შეუძლებელია არ გავიხსენოთ პირველი აფხაზი პროფესიონალი მხატვარი ალექსანდრე შარვაშიძე.³ მან განათლება მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. ის იყო გრაფიკოსი, ფერმწერი, სცენოგრაფი და ხელოვნების კრიტიკოსი და თეორეტიკოსი. მუშაობდა სანქტ-პეტერბურგში, მოგვიანებით პარიზის თეატრშიც. 1918 წელს დაბრუნდა სოხუმში და როგორც თეატრის მხატვარმა აფხაზეთში თეატრალური ხელოვნების განვითარებასაც შეუწყო ხელი. 1918 წელს ალ. შარვაშიძის ინიციატივით სოხუმის ქალთა გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ბავშვთა სამხატვრო სტუდია, სადაც ის ხატვის გაკვეთილებს თავად ატარებდა (Шервашидзе, 1961). 1920 წელს ევროპაში მიიწვიეს და 1921 წლიდან ცხოვრობდა ევროპაში, მაგრამ 1958 წელს, თავისი შემოქმედების 500-მდე ნიმუში თბილისისა და სოხუმის მუზეუმებს უსახსოვრა (Шервашидзе, 2011).

თანამედროვე აფხაზური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა აფხაზმა სამხედრო მოღვაწემ, სწავლულმა და ეთნოგრაფმა სოლომონ ზვანბამ. მან პეტერბურგში მიიღო განათლება და მსახურობდა კეთილშობილთა პოლკში, რის შედეგად რუსეთში შვიდი წელი გაატარა. მოგვიანებით, ჩაირიცხა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბატალიონში. სოლომონ ზვანბა იყო თავისი მხარის მოსახლეობის, ყოფისა და ტრადიციების კარგი მცოდნე, რასაც ადასტურებს მისი ეთნოგრაფიული შრომები. პირველი ნაბეჭდი შრომა „უბიხთა

³ 1921 წლიდან უცხოეთში მცხოვრები ალექსანდრე შარვაშიძე თავს ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლად თვლიდა.

ზამთრის ლაშქრობები აფხაზეთში“, 1852 წელს გამოქვეყნდა „Кавказ“-ში, ხოლო მისი რჩეული ნაწერები ეთნოგრაფიული ეტიუდების სახით პირველად 1935 წელს გამოაქვეყნა გიორგი ძიძარიაძე. ეტიუდებში შევიდა ავტორის ეთნოგრაფიული კვლევები: „გაგრისა და ჯიქების შესახებ“, „უბისთა ზამთრის ლაშქრობები აფხაზეთში“, „აფხაზეთში ყოველწლიურად ჩატარებული წმ. გიორგისადმი მიძღვნილი შეწირვის რიტუალი“, „კოცნა ფარდის მიღმა“, „აფხაზური მითოლოგია და რელიგიური მრწამსი და რიტუალები აფხაზეთის მცხოვრებთა შორის“ (Званба, 1982; Дзидзария, 1979: 45-47). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აფხაზ მოღვაწეთა შორის სოლომონ ზვანბა პირველია, ვინც აფხაზებს კულტურულ-ისტორიულად დანარჩენ საქართველოსგან და ქართული კულტურისაგან მოწყვეტილად განიხილავდა. ის იყო პირველი აფხაზი სწავლული, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა და კულტურული იდენტობა მთლიანად რუსულ კულტურულ სივრცესთან ასოცირდება. თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით სოლომონ ზვანბამ აფხაზთა დიდი ნაწილის ნაციონალური მენტალობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

აფხაზური კულტურისა და აფხაზური ნაციონალური ფასეულობების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი გულიას, რომელმაც საზოგადოებრივი მოღვაწეობა XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო. სწავლა ჯერ სოხუმის მთიელთა სკოლაში, ხოლო შემდეგ გორის საოსტატო სემინარიაში გააგრძელა. დიმიტრი გულიას, როგორც მეცნიერის, პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფორმირებაზე, დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ქართველ მოღვაწეებთან დაახლოება დიმიტრი გულიას სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებასა და გზის გაკვალვაში დაეხმარა. თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც აფხაზური ენის მასწავლებლადაც იყო მიწვეული. 1892 წელს დიმიტრი გულიამ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, უსლარის მიერ შექმნილი ანბანი აფხაზური ენის ბგერებთან შესატყვისობაში მოიყვანა და კირილიცაზე დაფუძნებული ახალი აფხაზური ანბანი გამოსცა. აღნიშნული ანბანის საფუძველზე, ანდრია ჭოჭუას მიერ, 1909 წელს თბილისში, აფხაზური ანბანის სახელმძღვანელო გამოქვეყნდა. 1912 წელს, ამ ანბანით დაიბეჭდა დიმიტრი გულიას ლექსების ორი მნიშვნელოვანი კრებული, რომლებიც აფხაზურ ფოლკლორს ეფუძნება, 1913 წელს, ისევ თბილისში გამოქვეყნდა მისი პოემა „სატრფიალო წერილი“ და სხვ. ასე ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაეყარა საფუძველი აფხაზურ კულტურას, ლიტერატურას, პოეზიას, რომელიც ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის წიაღში იშვა.

დიმიტრი გულიას სახელს უკავშირდება, 1919 წ. 27 თებერვალს, პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ გამოსვლა. ქართველი მეგობრების მხარდაჭერით გაზეთისთვის აფხაზური შრიფტი თბილისში ჩამოსახეს და სოხუმში ანდრია ჭოჭუამ ჩამოიტანა. გაზეთის რედაქცია სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის შენობაში იყო განთავსებული, სულ 35 ნომერი გამოვიდა და 1921 წ. 12 თებერვლის შემდეგ, „აფსნის“ გამოცემა შეწყდა. როგორც დ. გულია წერს, ის დროებით დაიხურა

(Гулия, 1925: 22). რეალურად, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი რეპრესიული ნაბიჯი საკუთრივ აფხაზური ნაციონალური კულტურის წინააღმდეგ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში საფუძველი ეყრება სამუსიკო ინსტიტუციებს. 1904 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობის, კერძოდ მარიამ დადიანი-ანაჩაბაძის ინიციატივით სოხუმში სამოღვაწეოდ გადავიდა ქართველი მუსიკოსი, მეჩონგურე, მომღერალი და ლოტბარი *თუკუ ლოლუა*.⁴ მან არამარტო ქართულ ხალხურ მუსიკას, არამედ აფხაზური ხალხური მუსიკის განვითარებასაც დიდი ამაგი დასდო. სოხუმში ჩასულმა მაშინვე შექმნა სამკითხველო „*დიოსკურია*“, შემოიკრიბა ოთხმოცამდე მომღერალი და ჩამოაყალიბა გუნდი. რეპერტუარში ქართულთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აფხაზურ სიმღერებს, რომლებიც დ. ლოლუამ სოფელ-სოფელ სიარულით შეაგროვა, ფონოგრაფზე ჩაიწერა, სცენაზე აიტანა და სამუდამოდ გადაარჩინა. პრაქტიკულად, ის არის აფხაზური ხალხური სიმღერების პირველი შემგროვებელი და ჩამწერი. ნიშანდობლივია მისი შეხედულებები ქართული ჰანგის, როგორც ქართველი ერის თვითმყოფადი კულტურის ფენომენის შესახებ (ლოლუა, 2015: 597-598).

აფხაზეთში მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე, მაგრამ საინტერესო ხანაში. ქართული სამუსიკო საზოგადოების დავალებით, 1919 წლის 23 აპრილს, ცნობილმა ქართველმა ლოტბარმა და პედაგოგმა *ზაქარია ჩხიკვაძემ* სოხუმში მუსიკალური საზოგადოების განყოფილება დააფუძნა, რომელსაც სოხუმის აფხაზ-ქართველთა სამუსიკო საზოგადოება ეწოდა. თავმჯდომარედ არჩეული იქნა *ასტაშურ ინალიფა* ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ფილარმონიული საზოგადოება სოხუმში.

კიდევ ერთი გამორჩეული აფხაზი, წარმომობით არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება აფხაზი ხალხის ბუნებრივი კულტურულ-ისტორიული გზით განვითარდა, არის *დავით ჩქოტუა*. ის იყო ქართველ 60-იანელთა უმცროსი თაობის წარმომადგენელი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, პუბლიცისტი, ნიჭიერი ჟურნალისტი, სწავლა-განათლების დაუცნომელი პროპაგანდისტი და უზადო მეცნიერი. მისი სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის წერილები ეხება ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურის, განათლების, ეთნოგრაფიისა და გეოლოგიის სხვადასხვა თემატურ პრობლემებს. ქართულ ლიტერატურაში ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც რუსთაველის უკვდავი პოემის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე დაიწყო მსჯელობა (ჯაიანი, 2005: 148-149). ტრაგიკული და უსამართლო ბე-

⁴ საერთოდ, აფხაზურმა სიმღერამ საკონცერტო ესტრადაზე პირველად 1886 წელს ლადო აღნიაშვილის გუნდის რეპერტუარში გაიჟღერა (კალანდაძე, კვიცინაძე, 2011: 29), ხოლო აფხაზური ტრადიციული მუსიკის პირველი სანოტო ჩანაწერები ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელს დიმიტრი არაყიშვილს ეკუთვნის (კალანდაძე, კვიცინაძე, 2011: 95).

დის მიუხედავად, დავით ჩქოტუამ თავისი პუბლიცისტიკითა და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობით დიდი კვალი დატოვა რუსთველოლოგიასა და ზოგადად, ქართული ნაციონალური კულტურის ისტორიაში.

XIX-XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორია არაერთი გამოჩენილი ადამიანის მოღვაწეობას იცნობს, რომელთა შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სპეციალურ მონოგრაფიულ კვლევებს იმსახურებს. განვითარების რთული და წინააღმდეგობებით სავსე ისტორიის უკან დგანან ადამიანები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია განსახილველი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. *მიხეილ, კონსტანტინე, გიორგი მარვაშიძეები, იოანე იოსელიანი, ანტონ დადიანი, ალექსანდრე, ოქროპირიძე, გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, დავით მაჭავარიანი, ივანე გეგია, მარიამ, ალათი, ტერეზა მარვაშიძეები, სოლომონ ზვანბა, დავით ჩქოტუა, დიმიტრი გულია, თედო სახოკია, პეტრე ჭარია, მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძისა, ნიკო ჯანაშია, ლუარსაბ ბოცვაძე, ტარას ანჩაბაძე, ნიკო თავდგირიძე, კონსტანტინე მაჭავარიანი, შალვა დადიანი და მრავალი სხვა.* ეს ის ადამიანებია, რომლებიც ქმნიდნენ ამ ეპოქის აფხაზეთის კულტურულ იერსახეს.

თავი IX. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული

§1. აფხაზეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. 1917 წ. თებერვალი – 1918 წ. მაისი

1917 წ. თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ვითარება მთელს იმპერიაში, მათ შორის კავკასიასა და თვით აფხაზეთშიც რადიკალურად შეიცვალა. რუსეთში ხელისუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. ამიერკავკასიაში შეიქმნა მისი სამხარეო ორგანო – *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (Особый Закавказский комитет – ОЗАКОМ)*, რომლის თავმჯდომარედ დონის ჯარების ოლქიდან ოთხივე მოწვევის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი *ვასილი ხარლამოვი* (კადეტი) დაინიშნა. განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ – IV სახელმწიფო სათათბიროს წევრები: *აკაკი ჩხენკელი* (სოციალ-დემოკრატი), *მაშად-იუსუფ ჯაფაროვი* (მუსავატიისტი) და *მიხეილ ჰაპაჯანოვი* (დაშნაკი); სოციალისტ-ფედერალისტებს კომიტეტში *კიტა აბაშიძე* წარმოადგენდა. 1917 წ. 10 მარტს შეიქმნა სოხუმის ოკრუგის ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანო – *საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი ალექსანდრე მარვაშიძის* თავმჯდომარეობით. მალე იგი *დიმიტრი ზახაროვმა* შეცვალა. ოკრუგის მილიციის უფროსი გახდა *ტატაშ მარშანია*, სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობა *ბენიამინ ჩხიკვიშვილმა* დაიკავა. 1917 წ. 2 ივლისს გაიმართა სოხუმის ოკრუგის სათათბიროს არჩევნები, რომელიც სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დასრულდა. იმავე წლის 12 ოქტომბერს ოკრუგის აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა *ვარლამ მარვაშიძე (ჩიტაია დ, 2006: 106-108)*.

რუსეთში მონარქიული წყობილების დამხობის შემდეგ დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე აქტუალური გახდა იმპერიაში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევის საკითხი. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს პრობლემა კავკასიის ქედის ორივე მხარეს. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა 1917 წ. 3 და 12 აგვისტოს ჩამოაყალიბეს ინტერპარტიული საბჭო და დაიწყეს ერთობლივი მზადება პირველი ეროვნული ყრილობისთვის, რომელსაც საქართველოს თვითგამორკვევის საკითხებზე უნდა ემსჯელა. თვითგამორკვევის პროცესი ჩრდილოეთ კავკასიაშიც მიმდინარეობდა. აფხაზეთა პოლიტიკური ლიდერების გარკვეული ნაწილიც მხარს უჭერდა კავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წ. 1-7 მაისს ვლადიკავკაზში გაიმართა მთიელ ხალხთა კავშირის I ყრილობა, რომელმაც მიიღო „*ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელ ხალხთა კავშირის კონსტიტუცია*“, კავშირის „*პოლიტიკური პლატფორმა და პროგრამა*“.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, მთიელ ხალხთა კავშირის მიზანს წარმოადგენდა კავკასიისა და რუსეთის ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, თებერვლის რევოლუციის დემოკრატიული მონაპოვრების, მთი-

ელთა საერთო პოლიტიკური, სოციალური და კულტურულ-ეროვნული ინტერესების დაცვა, რუსეთის გარდაქმნა თვითმმართველი ავტონომიური ოლქებისაგან შემდგარ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად. ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი ორგანო – ცენტრალური კომიტეტი ტაჰა ჩერმოვის თავმჯდომარეობით, რომელიც იმავე წლის დეკემბერში რაშიდხან კაჰლანოვმა შეცვალა. როგორც ჩანს, აფხაზთა წარმომადგენლები ყრილობას არ ესწრებოდნენ, ამიტომ აღმასრულებელ ორგანოში ვერ მოხვდნენ, თუმცა კონსტიტუცია „აფხაზი ხალხისგან“ ერთი წევრის არჩევას ითვალისწინებდა (**Союз объединенных, 2013: 23-24, 30**). აფხაზებმა ნამდვილად მოახერხეს დასწრება ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელ ხალხთა კავშირის II ყრილობაზე, რომელიც 1917 წ. 20-30 სექტემბერს ისევ ვლადიკავკაზში გაიმართა. ცენტრალური კომიტეტის წევრად „აფხაზი ხალხისგან“ არჩეულ იქნა სიმონ ბასარია, კანდიდატად – სემიონ აშხაცავა. ეს უკანასკნელი მთიელთა მთავრობის წევრად ითვლებოდა (**Союз объединенных, 2013: 41, 46-51, 84**).

ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული გამაერთიანებელი მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა. 1917 წ. 20 ოქტომბერს ჩამოყალიბდა „კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელებისა და სტუპების თავისუფალი ხალხების სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი“. მის შემადგენლობაში შედიოდა „სოხუმის მხარის მთიელი ხალხი (აფხაზები)“. იმავე წლის 16 ნოემბერს ეკატერინოდარში დაიწყო ფუნქციონირება სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის გაერთიანებულმა მთავრობამ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ვასილი ხარლამოვის თავმჯდომარეობით. გაერთიანებული მთავრობის შექმნის შესახებ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ კავშირი უზრუნველყოფდა მასში შემავალი სუბიექტების – „მომავალი დემოკრატიული ფედერაციული რუსეთის მტატების“ – დამოუკიდებლობას საშინაო საკითხებში (**Союз объединенных, 2013: 43-44, 54-57**). 1918 წ. 29 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა ვ. ხარლამოვის მონაწილეობით განიხილა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირთან ურთიერთობის საკითხი. ვ. ხარლამოვმა ისაუბრა კავშირის მიზნებზე და ამოცანებზე. კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგუჭკორმა დაადასტურა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირთან ამიერკავკასიის კომისარიატის თანამშრომლობის სურვილი, თუმცა მისი ფორმები არ ყოფილა განხილული (**Трапезундская, 2018: 21, 315-317**). 1918 წლის მარტში ბოლშევიკებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი დაშალეს.

1917 წ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთი ქაოსმა მოიცვა, მოიშალა კავშირი ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამან განაპირობა 1917 წ. 6 ნოემბრიდან ადგილობრივ სახელმწიფო ხელისუფლებად კავკასიის მთიელთა დელეგატების ყრილობისა და მის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის აღიარება (**Союз объединенных, 2013: 51-52**). ეს იყო პერიოდი, როდესაც აღნიშნული კომიტეტის მიერ აფხაზეთში მივლინებული ასლანბეკ შერიპოვი ცდილობდა აფხაზთა ჩათრევას მთიელთა პოლიტიკურ კავშირში (**Эшба, 1990: 158, 161**). აფხაზი ხალხის ყრილობამ 1917 წ. 7-8 ნოემბერს არ

გაითვალისწინა სამურზაყანოელი დელეგატების, თბილისიდან ჩამოსულ აფხაზეთის მკვიდრთა – აკაკი ჩხენკელის, ვალიკო ჯუღელის, ასევე ივანე გომართელის პოზიცია და მიიღო გადაწყვეტილება მთიელთა კავშირში გაწევრიანების შესახებ, დაამტკიცა აფხაზეთა სახალხო საბჭოს დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია სახალხო საბჭო (თავმჯდომარე სიმონ ბასარია). სახალხო საბჭო აფხაზეთის ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა და რეგიონის სახელისუფლებო ორგანოს როლზე პრეტენზიას არ აცხადებდა. ის აღიარებდა „სოხუმის ოკრუგის კომიტეტის, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ადმინისტრაციული დაწესებულებისა და პირის ძალაუფლებას და კომპეტენციას“ (**Союз объединенных, 2013: 52-54**). ამრიგად, მთიელთა კავშირის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებად მთიელთა ყრილობისა და მის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის აღიარება არ ნიშნავდა მისი იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელებას. აფხაზეთი კვლავაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დაქვემდებარებაში რჩებოდა.

1917 წ. 25 ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებამ, ვლადიმირ ლენინის თავმჯდომარეობით რუსეთის უკანონო მთავრობის ჩამოყალიბებამ ამიერკავკასიის ხელისუფლების რეორგანიზაციაც გამოიწვია. 1917 წ. 11 ნოემბერს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა დროებითი მთავრობა – კომისარიატი (თავმჯდომარე – ვგენი გეგუჭორი). მისი იურისდიქცია აფხაზეთზეც ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, ჯერ განსაკუთრებულმა კომიტეტმა, შემდეგ კი კომისარიატმა იზრუნეს სოხუმის ოკრუგისთვის 1904 წელს ჩამოჭრილი გაგრის დაბრუნებისთვის. წინასწარი დადგენილება ამ საკითხზე 1917 წ. 30 ოქტომბერს აკაკი ჩხენკელის ინიციატივით ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა მიიღო. ამიერკავკასიის კომისარიატმა ე. გეგუჭორის თავმჯდომარეობით 1917 წ. 7 დეკემბერს საბოლოოდ დაადგინა: „გაუქმდეს 1904 წლის 25 დეკემბერს უზენაესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება, ადღგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვრები მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეტანის გზით“ (**Статус, 2004: 213-214, 218**). აღნიშნული ფაქტიც მიუთითებს, რომ აფხაზეთი კვლავ ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ცალსახა პრეტენზიას არც მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობა აცხადებდა. მთიელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1917 წ. 3 დეკემბრის დადგენილებით განსაზღვრა მის სრულ გამგებლობაში შემავალი ტერიტორიები. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მეორე დღეს – 4 დეკემბერს გამოიცა მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის №1 დეკრეტი, რომელშიც შავით თეთრზე წერია:

1. „მთიელთა დროებითი მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლება სრულად ვრცელდება დაღესტნის ოლქის მთელს ტერიტორიაზე, ხასავ-იურტის, გროზნოს, ვედენოს, ნაზრანის, ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის ოკრუგებზე, თერგის ოლქის ყარა-ნოღაის უბანზე, აგრეთვე სტავროპოლის გუბერნიის ნოღაელებისა და თურქმენების ტერიტორიაზე.

2. ზაქათაღისა და სოხუმის ოკრუგების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება გააჩნია ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში, ხოლო ამ ოკრუგებზე მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავ და მთლიანად გავრცელება გადასაწყვეტად ზაქათაღისა და სოხუმის ოკრუგების სახალხო საბჭოებს მიენდოს“ (**Союз объединенных, 2013: 59-60; Гамахария, Гогия: 397-398**).

აფხაზთა სახალხო საბჭოს არასოდეს მიუღია ჩრდილოეთ კავკასიასთან სახელმწიფოებრივი გაერთიანების გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მთიელთა კავშირთან, შემდეგ კი მთიელთა რესპუბლიკასთან აფხაზეთის მიერთების მცდელობა სეპარატისტულად განწყობილ ძალებს შემდგომშიც არ შეუწყვეტიათ.

რუსეთში მიმდინარე პროცესებმა დააჩქარა საქართველოს I ეროვნული ყრილობის მოწვევა (1917 წ. 19-24 ნოემბერი). ყრილობის დღის წესრიგში ცალკე აფხაზეთის საკითხი არ იდგა, მაგრამ ამ თემაზე აკაკი ჩხენკელმა და სამურზაყანოს წარმომადგენელმა ივანე გეგიამ ისაუბრეს. აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ „აფხაზეთის შესახებ ჩვენ ვიყავით და ვართ ერის თვითგამორკვევის პრინციპის მოზიარენი და ეროვნულ საკითხს ისე გადაწყვეტთ, როგორც ამას მოითხოვს მისი არსებითი ინტერესები“ (**ერთობა, 1917, 23.10**). ივანე გეგიამ თავის გამოსვლაში მოიტანა აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების დამადასტურებელი ისტორიული ფაქტები; ხაზი გაუსვა სამურზაყანოს მომრიგებელ როლს ქართველებსა და აფხაზებს შორის; აღნიშნა, რომ სამურზაყანო არ შეუერთდა აფხაზებს მთიელებთან კავშირის საკითხში. „მოქალაქენო! ჩვენი სურვილია აფხაზეთი საქართველოს შეუერთდეს“, – განაცხადა ი. გეგიამ და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ჩვენი სურვილია აფხაზეთ-სამურზაყანო, სოხუმის ოლქი დარჩეს უცვლელად და მიეცეს ეროვნულ-კულტურული ავტონომია თავის საზღვრებში“ (**გამახარია, 2007c: 314**).

საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება დიდად იყო დამოკიდებული რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარებაზე, 1917 წლის 12 (25) ნოემბერს არჩეული დამფუძნებელი კრების ნებაზე. პოლიტიკური პროცესები საპირისპირო მიმართულებით განვითარდა. დამფუძნებელი კრება, რომელიც 1918 წ. 5 იანვარს გაიხსნა და რომელმაც საბჭოების ხელისუფლება არ აღიარა, ვ. ლენინის მთავრობამ მეორე დღესვე გარეკა. ამის შემდეგ რუსეთი კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო სამოქალაქო დაპირისპირების ჭაობში. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიამ გეზი დამოუკიდებლობისაკენ აიღო. საგარეო-პოლიტიკური პირობებიც ამ ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. რუსეთ-გერმანიას შორის 1918 წ. 3 მარტს დადებული ბრესტის ზავის თანახმად, თურქეთი მოითხოვდა ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქების და სხვა რეგიონების მისთვის გადაცემას. ამ ვითარებამ დააჩქარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა ამიერკავკასიიდან 1918 წ. 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი (**პარლამენტი**) ჩამოაყალიბეს. იგი შეივსო პოლიტიკური პარტიების მიერ არჩეული ახალი წევრებითაც.

სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. აფხაზეთის მკვიდრთაგან მისი წევრები იყვნენ აკაკი ჩხენკელი, ვასილ გურჯუა, ვალიკო ჯუღელი; წევრობის კანდიდატი – ვლადიმერ ემუხვარი (ერთობა, 1918, 07.02). კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარედ ევგენი გეგეჭორი რჩებოდა. ამიერკავკასია არ ცნობდა ბრესტის ზავის პირობებს და ცდილობდა თურქეთთან ურთიერთობის დიპლომატიური გზებით მოგვარებას. 1918 წ. მარტში ტრაპიზუნდში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. თურქეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო და აჭარა, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი დაიკავა. შექმნილი მდგომარეობა 1918 წ. 9 (22) აპრილს სეიმმა განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, დაამტკიცა მთავრობა. მისი თავმჯდომარე გახდა აკაკი ჩხენკელი.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის შექმნამდე, აფხაზეთთან ურთიერთობის გარკვევის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 9 თებერვალს თბილისში გამართა შეხვედრა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და სამურზაყანოს წარმომადგენლებთან. შეხვედრაში ქართული მხრიდან მონაწილეობდნენ: ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე; აფხაზეთის მხრიდან: ა. შარვაშიძე, მ. ემუხვარი, ნ. მარდანი, რ. ჩქოტუა, მ. ცაგურია. აფხაზეთის წინადადება რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ უარყოფილ იქნა. მხარეებმა გაიზიარეს ა. ჩხენკელის წინადადება საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით აფხაზეთის შესვლის შესახებ და შეთანხმდნენ: „საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე შხიმთამდე აღდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი, რომლის შემადგენლობაში შევლენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო“. აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიული წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. შეთანხმების მიხედვით, სხვა ერებთან ან სახელმწიფოებთან პოლიტიკურ სახელმეკრულებო ურთიერთობებში შესვლის საკითხზე მხარეებს ერთმანეთთან წინასწარი მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინათ (Гамахария, Гогия: 402, 744-745). აღნიშნული შეთანხმებით, ერთის მხრივ, დასტურდება, რომ 1918 წ. 9 თებერვლისთვის აფხაზეთი არ იყო გაერთიანებული მთიელთა კავშირში; მეორეს მხრივ, გადაიდგა პირველი ნაბიჯი ქართველებისა და აფხაზების ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების აღდგენისკენ.

აფხაზეთში ვითარების ნორმალიზება რუსი ბოლშევიკების გეგმებში სულაც არ შედიოდა. მათ ორჯერ სცადეს აფხაზეთის დაპყრობა. ორივე შემთხვევაში სოხუმის აღება და საკუთარი ხელისუფლების – ე. წ. რევოლუციური კომიტეტის (თავმჯდომარე – ეფრემ ეშბა) სისხლიანი დიქტატურის დამყარებაც მოახერხეს. პირველად ეს მოხდა 1918 წ. 16-21 თებერვალს, მეორედ – იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აფხაზეთის დიდი ნაწილი ბოლშევიკური ტერორისა და ძარცვის ასპარეზი გახდა. ბოლშევიკებმა დაითხოვეს აფხაზეთის სახალხო საბჭო, მისი თავმჯდომარე ს. ბასარია და არაერთი წევრი დააპატიმრეს (ერთობა, 1918, 17.04.). ამიერ-

კავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართულმა სახალხო გვარდიამ სოხუმელი ვალიკო ჯუღელის სარდლობით 1918 წლის 17 მაისს სოხუმი, შემდეგ კი მთელი აფხაზეთი ბოლშევიკებისაგან გაანთავისუფლა, ამასთანავე დიდძალი შეიარაღება და სურსათიც ჩაიგდო ხელში (**Джугели, 1920: 17-18**).

პარალელურად რთული პროცესები მიმდინარეობდა ბათუმის საზავო კონფერენციაზე, რომლის გადაწყვეტილებებზე აფხაზეთის მომავალიც იყო დამოკიდებული. ბათუმში იმყოფებოდნენ მთიელთა მთავრობის წევრები, ასევე გავლენიანი პირები აფხაზეთიდან – *ალექსანდრე შარვაშიძე* და *ტატაშ მარშანი*. ჯერ კიდევ 1918 წ. 28 აპრილს თურქეთის არმიის კავკასიის ფრონტის სარდალი *ვეჰიბ-მაჰმუდ-ფაშა* ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს და საზავო კონფერენციაზე დელეგაციის მეთაურს *აკაკი ჩხენკელს* აცნობებდა თურქეთის მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის აღიარებისა და მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ (**Союз объединенных, 2013: 68**), თუმცა დამოუკიდებლობა მთიელთა მხრიდან არ ყოფილა ოფიციალურად დეკლარირებული. მთიელთა დელეგაცია 1918 წ. მარტში თბილისში იმყოფებოდა და ამიერკავკასიის მთავრობას, ეროვნულ საბჭოებს, პოლიტიკურ პარტიებს კავკასიის ორივე ნაწილის გაერთიანების აუცილებლობაში არწმუნებდა. კავკასიის გაერთიანების თემა 1918 წ. 9 მაისს ამიერკავკასიისა და მთიელთა წარმომადგენლებმა ბათუმის კონფერენციაზე განიხილეს. გამოითქვა საერთო აზრი, რომ ასეთი გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის აღიარებისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მიღების შემდეგ (**Трапезундская, 2018: 199-206, 464; Союз объединенных, 2013: 69**).

გადაწყდა მთიელთა დელეგაციის ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე ოფიციალურად დაშვების საკითხიც. გერმანიის წარმომადგენელი ოტო ფონ ლოსოვი და ა. ჩხენკელი 1918 წ. 10 მაისს შეთანხმდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციის სრულუფლებიანი მონაწილეობა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე შესაძლებელი იქნებოდა მთიელთა მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ. მეორე დღეს, 1918 წ. 11 მაისს, მიღებულ იქნა დეკლარაცია „*ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირისა და დაღესტნის რესპუბლიკის (მთიელთა რესპუბლიკის) დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ*“. იმ დღიდან მთიელთა დელეგაცია ბათუმის კონფერენციის მუშაობაში ოფიციალურად მონაწილეობდა (**Трапезундская, 2018: 207, 208**). 11 მაისის დეკლარაციის მეორე პუნქტში განსაზღვრულია მთიელთა რესპუბლიკის საზღვრები: „*ჩრდილოეთით იგივე გეოგრაფიული საზღვრები, რაც ჰქონდათ ყოფილ რუსეთის იმპერიაში დაღესტნის, თურგის, სტავროპოლის, ყუბანისა და შავი ზღვის ოლქებსა და პროვინციებს; დასავლეთიდან – შავი ზღვა, აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვა; სამხრეთით – საზღვარი, რომელიც დაწვრილებით იქნება დადგენილი ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით*“ (**Союз объединенных, 2013: 76**). 1918 წ. 13 მაისს მთიელთა მთავრობის თავმჯდომარის ტ. ჩერმოვიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. ბამატოვის მიმართვაში საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი, ასევე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ა. ჩხენ-

კელისადმი მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე განმეორებულია 11 მაისის დეკლარაციის მეორე პუნქტი საზღვრების შესახებ (**Трапезундская, 2018: 423; Союз объединенных, 2013: 77**). ამრიგად, მთიელთა რესპუბლიკის ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ მის შემადგენლობაში აფხაზეთი არ შედიოდა, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 310**).¹

1918 წ. 17 მაისს ქართული სახალხო გვარდიის მიერ ბოლშევიკებისაგან სოხუმისა და მისი გარეუბნების განთავისუფლებამ ოსმალები აიძულა იმ ეტაპზე უარი ეთქვათ სოხუმში დესანტის გაგზავნაზე (**Трапезундская, 2018: 277**). აფხაზეთიდან ბოლშევიკების განდევნის შემდეგ 1918 წ. 20 მაისს გაიმართა აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომა რამდენადმე განახლებული შემადგენლობით, რის გამოც მას პირობითად მეორე მოწვევის სახალხო საბჭოს უწოდებდნენ. სხდომამ დაადასტურა საკუთარი და ასევე იმავე წლის 4-9 მარტს გამართული სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობის გადაწყვეტილებები ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში აფხაზეთის გაერთიანების შესახებ (**ერთობა, 1918, 22.03, 24.03, 24.05**). ყოველივე ამის შემდეგ სრულიად უსაფუძვლოა მტკიცება მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წ. 11 მაისს, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის თაობაზე (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 310-311**). სახელმწიფოებრიობას აფხაზეთი (ჯერ კიდევ სოხუმის ოკრუგი) ვერ აღადგენდა ბოლშევიკური ოკუპაციის, სახალხო საბჭოს დათხოვნისა და მისი წევრების დაპატიმრების პირობებში. 20 მაისის გადაწყვეტილება სახალხო საბჭოს დელეგაციას ბათუმის საზავო კონფერენციისთვის უნდა მიეწოდებინა, როგორც ამას *აკაკი ჩხენკელი* ით-

¹ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთიელებს და აფხაზთა ცალკეულ წარმომადგენლებს ნამდვილად ჰქონდათ მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის შეყვანის იდეა, რომელსაც მხარს უჭერდა თურქეთიც. აფხაზეთიდან ბათუმში ჩასული ა. შარვაშიძის, ტ. მარშანიას, ასევე მთიელთა დელეგაციისა და თურქეთის ოფიციალური პირების მონაწილეობით მიმდინარეობდა მზადება აფხაზეთზე თავდასხმისთვის, ამ რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან მიერთების მიზნით. 1918 წ. 15 მაისს *ნოე ჟორდანიას* სახელზე ბათუმიდან გაგზავნილ წერილში *აკაკი ჩხენკელი* წერდა: „აქ აფხაზების წარმომადგენლებიც არიან, არამკითხენი, რასაკვირველია. აგრეთვე აფხაზი მხედარნი მოჰაჯირები, ე. ი. თურქეთიდან. სრულიათ ნათლად გამოირკვა, რომ მათ უნდათ და კიდევ შეასრულებენ თურქების თავდასხმას აფხაზეთზე, არის გეგმა, არის ძალები გამზადებული სადღაც ახლო. მე ვმოქმედებ ხელი შევუშალო. თქვენც გმართებთ ახლავ დავაგზავნოთ მიკრიკები საიღუმლოთ. უნდა მოვიდნენ აქ გლეხების წარმომადგენლები აფხაზეთ-სამურზაყანოდან ...სოხუმის ოლქზე არაა დავა თვით თურქებისაგან. ის მიიღებს იმავე უფლებას, რასაც საქართველო, იქნება კავკასიის ფედერაციის ერთი ნაწილი, როცა მთიელები სახელმწიფოს შექმნიან, ჩვენ შემოგვიერთდებიან. ახლა კი საჭიროა ამიერკავკასიის ფარგლებში დარჩეს სოხუმის ოლქი იმიტომ, რომ ზავი მხოლოდ მასთან იკვრის. ამ ზავის ხელშეკრულებაში შევიტან ორ მუხლს: 1) რომ მოჰაჯირი აფხაზები დაბრუნდნენ სრულიად თავისუფლათ; 2) რომ აფხაზეთ-სამურზაყანო გახდეს სრულყოფილებიანი წევრი ამიერკავკასიის, შემდეგ კი კავკასიის ფედერაციისა“ (**Трапезундская, 2018: 248; ჭუმბურიძე, 2018: 135-136**).

ხოვდა. ბათუმში ჩავიდნენ ვარლამ მარვაშიძე, ანდრია ჭოჭუა, სიმონ ბასარია, ჰაკი ავიძბა, ხუჯინ გიცბა, გრიგოლ ზუხბაია, კიაგვა კიუტი, ანტონ ჩუკბარი, ბაგაფში და სხვები. დელეგაციამ თავისი მისია შეასრულა, თუმცა მისი ნაწილი (ს. ბასარია, ბაგაფში, კ. კიუტი, ხ. ავიძბა) ა. მარვაშიძის ჯგუფს შეუერთდა, შეხვდა თურქეთის წარმომადგენლებს და აფხაზეთის მთიელებთან გაერთიანებას დაუჭირა მხარი. ვ. მარვაშიძისა და ა. ჭოჭუას მოწმობით, კავკასიელ მთიელთა სახელმწიფოს შექმნის მიზნით, თურქეთი პირდებოდა მათ აფხაზეთში თურქული ჯარების გამოგზავნას (**Чочуа, 1987: 69-70; Гамахария, Гогия, 1997: 764**).

მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, სწრაფად იცვლებოდა პოლიტიკური ვითარებაც. ბათუმის კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა ამიერკავკასიის წინაშე მდგარი პრობლემები. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში. საქართველო გერმანულ ორიენტაციას ადგა, სომხეთი – ბრიტანულს, აზერბაიჯანი კი – თურქულს. აღნიშნულმა უთანხმოებამ და თურქეთის აგრესიულმა ქმედებამ 1918 წ. მაისში ამიერკავკასიის სახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. 1918 წ. 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა, იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ მიიღო *აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ*, დამტკიცდა მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც 1918 წ. 24 ივლისს ნოე ჟორდანიამ შეცვალა. *აკაკი ჩხენკელის* რეკომენდაციით, 26 მაისის აქტში საქართველოს საზღვრები მითითებული არ ყოფილა. 28 მაისს სოხუმის ოკრუგის სასამართლომ განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობისა და საქართველო-აფხაზეთის შემდგომი ურთიერთობების საკითხი. სასამართლომ დაასკვნა, რომ დღემდე ქუთაისის გუბერნიაში შემავალი აფხაზეთი ამიერიდან საქართველოს ნაწილს წარმოადგენს (**ჩიტაია დ., 2006: 169**). იმავე 28 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარი გარანტიის – გერმანიის წარმომადგენლის *ოტო ფონ ლოსოვის* საიდუმლო წერილი. მისი ავტორი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ოლქი გაგრის ჩათვლით წარმოადგენს საქართველოს ნაწილს, მაგრამ საქართველოს მონაწილეობით კავკასიის კონფედერაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში, აფხაზეთის მოსახლეობას თვითონ უნდა განესაზღვრა საკუთარი ადგილი კონფედერაციაში (**Ментешашвили, 1998: 16**). *ფონ ლოსოვის* წინადადება, რომელიც სულაც არ წარმოადგენდა „გერმანიის გეგმას“ (**Бгажба О, Лакоба С, 2015: 310-311**), გარკვეულ თანხმობაში იყო აკაკი ჩხენკელის ზემოთ მოტანილ მოსაზრებებთან.

§2. აფხაზეთის ავტონომია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვითარება აფხაზეთშიც შეიცვალა. სახალხო საბჭომ 1918 წ. 2 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული ამიერკავკასიის გვარდია, ამჟამად კი საქართველოს

სამხედრო ნაწილი, 26 მაისის შემდეგ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. რეალური ძალაუფლება კი მის ხელში რჩებოდა. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, თვითონ აიღოს ხელში ძალაუფლება და მიმართოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნით აფხაზეთის ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში დახმარების აღმოჩენის, გვარდიის ნაწილების აღვილზე დატოვებისა და სახალხო საბჭოს დაქვემდებარებაში მათი გადაყვანის შესახებ (**Гамахария, Гогия, 1997: 413**). მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საბჭომ თბილისში მიავლინა დელეგაცია *რაჟდენ კაკუბას, ვასილ გურჯუას, გიორგი აჯამოვისა და გიორგი თუმანოვის* შემადგენლობით. როგორც სახალხო საბჭოს სეპარატისტული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი *მიხეილ თარნავა* წერდა, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, სახალხო საბჭოს წევრებმა ერთიანად აირჩიეს „ორიენტაცია მენშევიკურ საქართველოზე“ და მის „შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის საფუძვლების თაობაზე“ ხელშეკრულების გასაფორმებლად „სახალხო საბჭოს დეპუტეტებმა თბილისში დელეგაცია გაგზავნეს“ (**Литературная, 1991: 199**). 6 ივნისს აფხაზეთა დეპუტაცია შეხვდა საქართველოს მთავრობის წევრებს სამხედრო მინისტრის *გრიგოლ გიორგაძის* ხელმძღვანელობით. 1918 წ. 10 ივნისს სახალხო საბჭოსთან გამართული კონსულტაციების შემდეგ უკვე 11 ივნისს აფხაზეთმა დელეგაციამ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ხელშეკრულება. დოკუმენტის თანახმად:

1. საქართველოს მთავრობასთან, სახალხო საბჭოს წარდგინებით, ინიშნებოდა მინისტრი აფხაზეთის საქმეებში;
2. აფხაზეთის საშინაო მმართველობა ეკუთვნოდა სახალხო საბჭოს;
3. ფული და კრედიტები აფხაზეთს საქართველოს სახსრებიდან გამოეყოფოდა;
4. აფხაზეთში წესრიგის დასამყარებლად საქართველოს მთავრობა სახალხო საბჭოს განკარგულებაში აგზავნიდა გვარდიას;
5. მთავრობა ფინანსებითა და აღჭურვილობით ეხმარებოდა აფხაზეთის ინტერნაციონალური რაზმის ჩამოყალიბებაში;
6. სოციალური რეფორმები აფხაზეთში საერთო კანონების საფუძველზე გატარდებოდა;
7. ახლო მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეული წარმომადგენლობითი ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას აფხაზეთის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
8. ხელშეკრულების გადასინჯვა შეეძლო აფხაზეთის ეროვნულ კრებას (**Гамахария, Гогия, 1997: 414, 749**).

1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულება წარმოადგენდა იმავე წლის 9 თებერვლის მეთანხმების გაგრძელებას და განვითარებას, საქართველოსთან აფხაზეთის გაერთიანების სამართლებრივ საფუძველს. აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა. მაგალითად, საქართველოსადმი მტრულად

განწყობილი და მაშინდელი მოვლენების უშუალო მოწმე ს. დანილოვი წერდა: „საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა (26 მაისი), აფხაზი ხალხის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ აფხაზეთმა ავტონომია მიიღო“ (Данилов, 1990: 9). 11 ივნისის ხელშეკრულების თანახმად დანიშნული მინისტრი აფხაზეთის საკითხებში რაფიელ ჩქოტუა 1918 წ. 20 სექტემბერს აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შარვაშიძეს წერდა: „თუ აფხაზმა ხალხმა თავისი ბედი ავტონომიურ საწყისებზე ქართველ ხალხს დაუკავშირა, მაშინ საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობისთვის უნდა შემუშავდეს ნათელი და არაორაზროვანი პირობები“. იმავე დღეს რ. ჩქოტუამ საქართველოს მთავრობას მიართვა განცხადება, რომელშიც 11 ივნისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წერდა: „ცალკეული უწყებები და ზოგიერთ დაწესებულებათა ჩინოსნები აფხაზეთს უყურებენ არა როგორც საქართველოს რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიას, არამედ როგორც მის პროვინციას“. 1918 წ. 25 აგვისტოს სოხუმში ჩამოყალიბებული რუსული ეროვნული საბჭოც აფხაზეთს განიხილავდა როგორც საქართველოს ავტონომიას (Гамахария, Гогия, 1997: 753).

საქართველოს მთავრობა ცდილობდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების, მათ შორის ბერძნებისა და სომხების ინტერესების დაცვას. პირველ მსოფლიო ომამდე აფხაზეთში მცხოვრები და მომუშავე ადამიანები ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები გახდნენ. მათ მიეცათ მიწაზე საკუთრების, აგრეთვე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება (საქართველოს დემოკრატიული, 1990: 46-47, 179-197, 222-223, 270-273). საქართველოს მთავრობას ამის სრული უფლება ჰქონდა, რადგანაც 11 ივნისის შეთანხმებით სოციალური რეფორმები აფხაზეთში საერთო კანონების საფუძველზე ტარდებოდა. ერთა თანასწორობის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებში მათი გათანაბრების პოლიტიკა უზრუნველყოფდა მთავრობისადმი მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას, მაგრამ იწვევდა სეპარატისტთა უკმაყოფილებას. მაგალითად, ს. ბასარია საყვედურობდა ბერძნებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი მხარდაჭერის გამო (Басария, 1923: 95). ადგილი ჰქონდა ბერძნებზე თავდასხმის ფაქტებსაც. ასე, მაგალითად, 1918 წ. 20 ივლისს სახალხო საბჭომ განიხილა გუდაუთის უბნის ბერძნული მოსახლეობის წარმომადგენლის განცხადება ბოლშევიკური ორიენტაციის აფხაზური ფორმირების „კიარაზის“ მხრიდან ბერძნების დევნისა და ძარცვის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ ვარლამ შარვაშიძემ აღნიშნა, რომ „კიარაზის“ წევრები შურს იძიებენ ბერძნებზე კომუნისტების საწინააღმდეგო გამოსვლებისთვის. ის დაემუქრა „კიარაზელებს“ მათ წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებით, თუ ისინი მშვიდობიან ცხოვრებას არ დაუბრუნდებოდნენ (ოქროს საწმისი: 1991, № 2). მიუხედავად ამისა, ბერძენთა დევნა არ შეწყვეტილა, რამაც აიძულა მრავალი ოჯახი აფხაზეთიდან გასახლებულიყო (Иоаниди, 2006: 10). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სომხური და ბერძნული მოსახლეობა არ მონაწილეობდა შოვინისტებისა და სეპარატისტების მიერ მოწყობილ ავანტიურებში. აფხაზეთის

ელინური საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელად 1918 წ. 3 თებერვალს არჩეული იქნა ცნობილი ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე *ივანე ფაშალიდი (Иоаниდი, 2006: 26-27; ხვადაგიანი, 2017)*, მუდამ იდგა სახელმწიფოებრივ პოზიციაზე, მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სახელმწიფოებრივ პოზიციაზე იდგა სომეხთა ეროვნული საბჭოც *ხ. ავღალბეკიანის ხელმძღვანელობით (გამახარია, 2007c: 327)*.

საბჭოთა რუსეთს არ აწყობდა ურთიერთობის დალაგება ქართველებსა და აფხაზებს შორის, აფხაზეთში მშვიდობის დამყარება. 1918 წ. ივნისის შუა რიცხვებში რუსმა ბოლშევიკებმა სოჭიდან მორიგი შეტევა განახორციელეს, დაამარცხეს გუდაუთაში დისლოცირებული ქართული სამხედრო რაზმი, რომელიც სახალხო საბჭოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და ახალ ათონთან გამაგრდნენ. აფხაზეთა სახალხო საბჭოს წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში გენერალ *გიორგი მაზნიაშვილის* სარდლობით დამატებითი სამხედრო ძალა გამოგზავნა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის 18 ივნისის სხდომაზე აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის სარდლად დანიშნული გენერალი *გიორგი მაზნიაშვილი* უკვე 19 ივნისს სოხუმში ჩავიდა. აფხაზეთა 300-კაციანი ესკადრონით, ასევე კარგად შეიარაღებული გემებით გაძლიერებულმა ქართულმა რაზმმა 27 ივნისს ელვისებური შეტევა განახორციელა და უკვე 28 ივნისს აფხაზეთი სრულად გაათავისუფლა. აფხაზეთა სახალხო საბჭოს 1918 წ. 24 ივნისის დადგენილების (*Гамахария, Гогия, 1997: 415*) თანახმად, შეტევა გაგრძელდა და ქართულმა შენაერთებმა 29 ივნისს დაიკავეს *ადლერი*, 6 ივლისს – *სოჭი*, 26 ივლისისათვის – *ტუაფსე*. რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკური წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლი თეთრი გვარდიის ზეწოლით, 1918 წ. აგვისტოში ქართულმა ჯარებმა სოჭისკენ დაიხიეს (*გამახარია, 2007c: 319*).

ქართული სამხედრო შენაერთების აფხაზეთში შემოყვანას 1918 წ. ივნის-ივლისის ბრძოლებში დამარცხებულმა ბოლშევიკებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის ოკუპაცია უწოდეს, რასაც დღემდე იმეორებენ აფხაზი ისტორიკოსები (*Бгажба О., Лакоба С., 2015: 320-321*).¹ ამ დროს ისტორიის ფალსიფიკატორე-

¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას აფხაზეთის ოკუპაციაში ბრალს დებდა *მთიელთა რესპუბლიკის* მთავრობაც, რომელმაც 1918 წ. 1 ივნისს პროტესტით მიმართა ოფიციალურ თბილისს, ხოლო იმავე წლის აგვისტოს II ნახევარში – გერმანიის მთავრობასაც. მთიელთა რესპუბლიკის საზღვრებთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებში აფხაზეთი არსად მოხსენიებული არ ყოფილა. აფხაზეთსაც არასოდეს მიუღია გადაწყვეტილება მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, მთიელთა მთავრობა აფხაზეთს ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილად აცხადებდა. იგი აპროტესტებდა საქართველოს მიერ გერმანიის სამხედრო რაზმების მონაწილეობით აფხაზეთის „ოკუპაციას“, მოითხოვდა აფხაზეთიდან „საოკუპაციო“ ძალების გაყვანას და „ოთხთა კავშირის“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი) ძალებით მის ჩანაცვლებას (*Союз объединенных, 2013: 83-84*). ჰეიდარ ბამატოვი 1918 წ. 31 აგვისტოს ტაპა ჩერმოვის

ბი არაფერს ამბობენ 1918 წ. ივნისში რუსეთიდან ბოლშევიკური რაზმების შემოჭრის, აფხაზეთის ნამდვილი ოკუპაციის რეალური საფრთხის შექმნის, სახალხო საბჭოს 1918 წ. 24 ივნისის გადაწყვეტილების შესახებ.

სეპარატისტული ისტორიოგრაფია და ოკუპანტები¹ დღემდე მიზანმიმართულად იმეორებენ თეზისს „ოკუპაციის“ თაობაზე, რითაც ცდილობენ 1918-1921 წლებში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის „უკანონობის“ დამტკიცებას. „ოკუპაციის“ თემა არაერთხელ დასმულა სახალხო საბჭოს სხდომებზეც. 1918 წ. 17 ივლისს მან განიხილა გიორგი მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხი და დაადგინა: „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“ (**Гамахария, Гогия, 1997: 418**). 1918 წლის 18-19 ივლისს სახალხო საბჭოს წევრებმა მხარი არ დაუჭირეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ი. რამიშვილის წინადადებას ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ (**Гамахария, Гогия, 1997: 418-421**). მოტანილი ფაქტები უარყოფენ „უაზრო მითს“ 1918-1921 წლებში საქართველოს მიერ აფხაზეთის „ოკუპაციის“ თაობაზე (**Червонная, 1993: 39-42**). ქართული ჯარები აფხაზეთში, ანუ საკუთარ ქვეყანაში 1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულებისა და აფხაზეთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე იმყოფებოდნენ.

რუსეთიდან ბოლშევიკური რაზმების შემოსევა აფხაზეთს სეპარატისტებმა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. როგორც კი ქართულმა სამხედროებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს, *აღუქსანდრე მარვაშიძემ* და *ტატაშ მარშანიამ* იმავე დღეს, 1918 წ. 27 ივნისს, კოდორის უბანში აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებით დაკომპლექტებული თურქული სამხედრო დესანტი ჩამოიყვანეს. იმთავითვე სრულიად აშკარა იყო, რომ დესანტის უკან ოსმალეთის არმიის აღმოსავლეთის დაჯგუფების სარდალი *ვეჰიბ ფაშა* იდგა. ვინაიდან აფხაზეთში თურქული დესანტის შემოყვანა ბრესტის ზავის დარღვევას ნიშნავდა, ოსმალეთის მთავრობა თავს იმით იმართლებდა, რომ დესანტი თითქოს იყო არა ოსმალური, არამედ აფხაზური, მთიელთა კერძო ექსპედიცია და ა. შ. (**ანდერსენი, 2016: 36, 39**). თანამედროვე სეპარატისტული ისტორიოგრაფიაც ზუსტად იგივეს იმეორებს (**Бгажба О, Лакоба С, 2015: 325-326**).

ოდნავ მოგვიანებით სეპარატისტთა ლიდერები *ივანე მარღანია*, *დიმიტრი ალანია*, *მიხეილ თარნავა* და *მიხეილ ცაგურია* აღიარებდნენ რეალობას და საქართველოს მთავრობაში წარდგენილ მოხსენებაში (1919 წ. 29 ნოემბერი) დესანტს „თურქულ დესანტად“ მოიხსენიებდნენ. ისინი წერდნენ, რომ გენერალმა მაზნია-

კონსტანტინოპოლიდან ატყობინებდა აფხაზეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის წინააღმდეგ თურქეთის რესპუბლიკაში და დიპლომატიურ წრეებში გაწეული მუშაობის შესახებ (**Союз объединенных, 2013: 93**).

¹ როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო დროს აფხაზ ისტორიკოსთა ამ ყალბი ნარატივის პროპაგანდაში აქტიურად ჩაერთო თვით რუსეთის ფედერაციის – პრეზიდენტი *ვლადიმირ პუტინი*. 2019 წ. 9 ივლისს მან განაცხადა, რომ თითქოს „საქართველომ 1918 წელს გერმანული ჯარების დახმარებით აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა“ (**Путин, 2019**).

მვილმა „კაზაკებისგან, გერმანელებისგან, ბერძნებისგან და ადგილობრივი მეგრული მოსახლეობისგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსი კოდორის მაზრაში თურქული დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა“ (Гамахария, Гогия, 1997: 82). დესანტის საკითხი აქტიურად იხილებოდა აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომებზეც. 1918 წ. 30 ივლისის სხდომაზე ვლადიმერ ემუხვარმა განაცხადა, რომ დესანტის წევრები წარმოშობით ჩვენი ძმები არიან. ამავე დროს მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „ისინი მოვიდნენ ჩვენთან როგორც თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილი და დღემდე ასეთებად რჩებიან. ომიანობის დროს ჯარისკაცები თურქეთიდან თვითნებურად ვერ წამოვიდოდნენ; დემობილიზაცია ჯერ გამოცხადებული არ არის. თურქეთის მთავრობა თუ ამას უშვებს, მაშინ ეს ხდება შეგნებულად“ (Гамахария, Гогия, 1997: 423). სახალხო საბჭოს ნაწილი, როგორც მ. თარნავა წერდა, „აფხაზეთში თურქული ხელისუფლების სასარგებლოდ იყო განწყობილი“, საბჭოს ხელმძღვანელობა და უმრავლესობა კი ეხმარებოდა არმიას მის ლიკვიდაციაში (Литературная, 1991: 201-202).

გიორგი მაზნიაშვილი სოფელ წყურგილში – ალექსანდრე შერვაშიძის მამულში პირადად შეხვდა დესანტის ერთ-ერთ მეთაურს. მასთან მოლაპარაკების შედეგად მუჰაჯირთა დიდი ჯგუფი გ. მაზნიაშვილის მიერ გამოყოფილი მცურავი საშუალებებით ფოთში, იქიდან კი თურქეთში დაბრუნდა (მაზნიაშვილი, 1990: 70-72). დესანტის უმეტესი ნაწილი კოდორის მაზრის სოფლებში მიმოიფანტა. 1918 წ. 12 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა ადგილობრივი მოსახლეობისა და მუჰაჯირების წარმომადგენლებთან. მასში მონაწილეობა მიიღეს სახალხო საბჭოს წევრებმა ვასილ გურჯუამ, დიმიტრი გულიამ და ანდრია ჭოჭუამ, რომლებსაც სახელმწიფოებრივი პოზიცია ეკავათ. მუჰაჯირთა ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ისინი ჩამოვიდნენ სიმონ ბასარიას, ტატამ მარშანიას და სხვათა მოწვევით „აფხაზეთის გასანთავისუფლებლად“ (Гамахария, Гогия, 1997: 764). შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო და ქართულმა ჯარებმა ბოლშევიკურ ტერორს გამოქცეული რუსი კაზაკების, აფხაზეთში მაცხოვრებელი ბერძნების, სომხების, გერმანელებისა და ადგილობრივი ქართველების დახმარებით, ასევე გერმანული სამხედრო ნაწილების სიმბოლური მონაწილეობით დესანტის ნეიტრალიზაცია მოახდინეს. 1918 წ. 15 აგვისტოს მოქვის ტაძართან გამართულ ბრძოლაში თურქული დესანტი დამარცხდა. მისმა გადარჩენილმა წევრებმა სხვადასხვა სოფლებს შეაფარეს თავი. მათ სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს პარტიზანული ომის აგორება და სოხუმის აღება. თურქ ასკერებში და თურქოფილ თავადებში აფხაზები „განმათავისუფლებლებს“ ვერ ხედავდნენ. დესანტის ნარჩენები სამურზაყანოში – ბეღიაში გადავიდნენ, სადაც 15 ოქტომბერს ვ. ჯუღელის წინამე კაპიტულაცია გამოაცხადეს (ანდერსენი, 2016: 55-56).

აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას თურქული დესანტის ნეიტრალიზაციაში გერმანული სამხედროების მონაწილეობის შესახებაც. საქართველო-გერმანიას შორის 1918 წ. 28 მაისს ფოთში დადებული შეთანხმების საფუძველზე გერმანიის მთავრობამ თბილისში მოავლინა კავკასიის სამხედრო-დიპლომატიური მისია გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტიინის ხელმძღვანელობით. მისია თბილისში

24 ივნისს ჩამოვიდა. უფრო ადრე, 8 ივნისს, ფოთში დაიწყეს შემოსვლა პირველმა გერმანულმა ქვედანაყოფებმა. მათი პირადი შემადგენლობა შეივსო საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეებით და 1918 წ. სექტემბრისთვის 19 ათასი კაცი შეადგინა. გერმანული გარნიზონები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე იყო განლაგებული, მათ შორის ოჩამჩირეში, სოხუმსა და სოჭში (**კრესენშტაინი, 2002: 30, 31, 36, 60, 76**). აფხაზეთში გერმანელებს საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა მათი იქ ყოფნა იყო შემაკავავებელი ფაქტორი რუსებისთვის – როგორც ბოლშევიკებისთვის, ისე თეთრგვარდიელებისთვის.¹

სამხედრო ოპერაციას თან ახლდა რეპრესიული ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. მიმდინარეობდა თურქული დესანტის მხარდაჭერაში „ეჭვმიტანილი“ აფხაზური ოჯახების ძარცვა და სახლ-კარის გადაწვა, რითაც უფრო მეტად რუსი კაზაკები იყვნენ დაკავებულები. აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 ოპოზიციური (სეპარატისტული) დეპუტატის სახელით საქართველოს მთავრობისათვის 1919 წ. 29 სექტემბერს წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კაზაკები „შეკარდებოდნენ მშვიდობიან აფხაზურ სოფლებში, მიჰქონდათ ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ღირებული იყო, ძალადობდნენ ქალებზე“ (**Ходжаа, 1999: 21**). ყოველივე

¹ თურქული დესანტის ლიკვიდაციაში მათი მონაწილეობის შესახებ *კრესენშტაინი* წერდა: „ივნისის ბოლოს სოხუმიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ დაახლოებით 800 კაციანი თურქული რაზმი გადმოსხეს და იგი ჩრდილოეთით ბოლშევიკური ბანდების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის ზურგში მოექცა. მე, ჟორდანიას სასწრაფო თხოვნით მივმართე და იქაური მოსახლეობის დასამშვიდებლად, მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი (ასეულის ნაწილი და მეტყვიამფრქვევეთა ერთი ოცეული) გავაგზავნე სოხუმისკენ“ (**კრესენშტაინი, 2002: 87**). კრესენშტაინი იქვე აგრძელებს, რომ საქართველოს მთავრობის თხოვნით, ავსტრიისა და ბულგარეთის მისიების ხელმძღვანელებთან ერთად, 29 ივნისს ბათუმში ჩავიდა, სადაც შეხვდა ვეჰიბ-ფაშას, ასევე მის ძმას უსად-ფაშას, რომელიც იმ დღეს ვეჰიბ-ფაშას ადგილზე დაინიშნა. საუბარი ეხებოდა თურქების ხელში მყოფი გერმანელი ტყვეების განთავისუფლებას და აფხაზეთიდან დესანტის გაყვანას. კრესენშტაინი წერს: „შევიტყვეთ, რომ სოხუმში დესანტის გადასხმა მას (ვეჰიბ-ფაშას – **ჯ.გ.**) კონსტანტინოპოლისგან უცნობებლად გაუკეთებია, რადგანაც აფხაზებს მისთვის დახმარება უთხოვიათ. სინამდვილეში აფხაზეთის მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ემინოდათ, მიმართეს ვეჰიბს დახმარებისთვის“. როდესაც დიპლომატები ბათუმიდან ფოთში ბრუნდებოდნენ, შეიტყვეს თურქული დესანტის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესახებ. „მაშასადამე ჩვენი მისია მთლად უნაყოფო არ ყოფილა“ – ასკვნის კრესენშტაინი (**კრესენშტაინი, 2002: 87-89**). მისი სიტყვებით, აფხაზეთში თურქულ დესანტზე გერმანელები ზემოქმედებდნენ უფრო დარწმუნების, ვიდრე იარაღის ძალით (**ანდერსენი, 2016: 57-58**). ამრიგად, მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის და პრეზიდენტ ვ. პუტინის 2019 წლის განცხადებები და სეპარატისტთა მტკიცება საქართველოს მიერ გერმანული ჯარების დახმარებით აფხაზეთის ოკუპაციის შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ამაზე პასუხისმგებლობა მაინც ქართულ სარდლობას ეკისრებოდა. 1918 წ. სექტემბრის დასაწყისში აფხაზეთში ჩასულმა მიტროპოლიტმა *ამბროსიმ* (ხელაია) *ვარლამ* და *ჯოტო შარვაშიძეების* თხოვნით მიმართა ქართველ სამხედროებს, რათა მათ აღეკვეთათ მშვიდობიანი სოფლების აწიოკება, სახლების გადაწვა, ძარცვა; მიტროპოლიტმა *ამბროსიმ* მიიღო ზომები დაპატიმრებულ აფხაზთა გასანთავისუფლებლად, იმ სოფლებიდან ჯარისკაცების გამოსაყვანად, სადაც მათი ყოფნა დიდად აუცილებელი არ იყო (**გამახარია, 2006a: 223**).

კოლორის მაზრაში სამხედროთა მიერ სახლების გადაწვის, მოსახლეობის ძარცვისა და უდანაშაულოთა დაპატიმრების შესახებ *ვარლამ შარვაშიძემ* 1918 წ. 2 ოქტომბერს ტელეფონით ესაუბრა რ. ჩქოტუას და სთხოვა ამ საკითხის საჩქაროდ დაყენება მთავრობის წინაშე. უკვე მეორე დღეს, 3 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ, მოისმინა რა რ. ჩქოტუას მოხსენება, სამხედრო, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებისაგან შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა: „ჩვენი რაზმების მოქმედებაზე აფხაზთა სახალხო საბჭოს საჩივარში მითითებული ყველა გარემოების აფხაზთა სახალხო საბჭოს სამ წევრთან ერთად გამოძიება, კერძოდ, აფხაზთა დაპატიმრებების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის მოცულობის დადგენა“ (**სცსსა: ფ. 1861, ანაწ. 2, ს. 37, ფ. 12**). საგანგებო კომისია (ხელმძღვანელი – გენერალი დიმიტრი თოფურია) დაუყოვნებლივ გაემგზავრა აფხაზეთში და შეუდგა დავალების შესრულებას. მის მიერ გამოძიებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის, საქართველოს მთავრობის 1918 წ. 17 დეკემბრის დადგენილებით, იუსტიციის მინისტრს შ. ალექსი-მესხიშვილს გადაეცა (**გამახარია, 1991: 73**).

1918 წ. ივლის-აგვისტოში სახალხო საბჭოს რეორგანიზაცია განხორციელდა. აფხაზეთის მაზრებში, გარდა სამურზაყანოსი, სადაც ბოლშევიკური ბანდები დათარეშობდნენ, მიტინგები და კრებები გაიმართა, რომლებზეც მოხდა სახალხო საბჭოს გადარჩევა. 31 ივლისს საბჭომ თავის შემადგენლობაში არჩეულად სცნო 35 დეპუტატი. მათ შორის არ იყვნენ *ალექსანდრე შარვაშიძე*, *ტატამ მარშანია* და სხვები, რომელთა მიმართ, თურქული დესანტის შემოყვანის გამო, სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული (**Гаммахария, Гогия, 1997: 762-766**). სეპარატისტები ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოს რეორგანიზაციას, სხვადასხვა საბაბით ცდილობდნენ ამ ორგანოს მუშაობის პარალიზებას. რადგანაც მითმა „ოკუპაციის“ შესახებ დიდად ვერ იმუშავა, 1918 წ. 4 აგვისტოს სხდომაზე ახალი დაპირისპირების საგნად აქციეს საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთიდან თამბაქოს გატანის საკითხი. სეპარატისტებს არ მოსწონდათ სახალხო საბჭოს 1918 წ. 27 ივლისის გადაწყვეტილებაც საბჭოში სხვა ერების წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. სახალხო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ აფხაზეთში მოქმედი ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა, ესტონელთა ეროვნული საბჭოების ხელმძღვანელები ი. გოგელაშვილი, ი. ფაშალიდი, ხ. ავდალბუკიანი, მოგვიანებით – ი. მიხელსონი და სხვები. რეორგანიზაცია ძირითადად 1918 წ. 15 აგვისტოსთვის დასრულდა. უმრავლესობა

ხელახლა არჩეულმა საბჭოს ძველმა წევრებმა შეადგინეს. მათ მოიწონეს ჩატარებული რეორგანიზაცია, სხვადასხვა ერების წარმომადგენლების შემოყვანა საბჭოში, დაგმეს უცხო ქვეყანასთან შეკრული სეპარატისტები, რომლებიც სამშობლოდან განდევნილად გამოაცხადეს (**ჩიტაია დ., 2006: 226-227**). ჯერ თურქებთან, შემდეგ კი თეთრგვარდიელებთან შეხიზნულმა ა. შარვაშიძემ სახალხო საბჭოს რეორგანიზაციას საქართველოს მთავრობის მიერ საბჭოს დაშლა უწოდა (**ანდერსენი, 2016: 47**). სახალხო საბჭოს „დაშლის“ შესახებ ს. ბასარიამ 1918 წ. 15 აგვისტოს დაღესტანში თურქეთის არმიის წარმომადგენელს ჰაიდარ-ბეის აცნობა (**Союз объединенных, 2013: 94-95**). ამ მითს დღემდე იმეორებს აფხაზური ისტორიოგრაფია (**Лакоба С., 1990b: 68; Бгажба О., Лакоба С., 2015: 327**).

სახალხო საბჭო არჩევნებისთვის მზადებას შეუდგა. ამ მიზნით, მან 8 აგვისტოს ჩამოაყალიბა კომისია ვ. გურჯუას, რ. კაკუბას, ნ. ხასაიას და ა. ინალ-იფას შემადგენლობით. საერთო ვითარებაც ნორმალიზაციისკენ მიდიოდა, რაც სეპარატისტებს არ აწყობდათ. თურქული და ბოლშევიკური ავანტიურის ჩაშლის შემდეგ მათ იპოვეს ახალი მოკავშირე ანტიბოლშევიკური ძალის – „მოხალისეთა არმიის“ სახით გენერალ *მიხაილ ალექსევის* მეთაურობით. 1918 წ. 15 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა სოჭიდან ნ. ჟორდანიას აცნობა მ. ალექსეევთან აფხაზების გამოცხადების შესახებ, რომლებიც ქართველებსაგან „დაცვას“ ითხოვდნენ. ე. გეგეჭკორის იფორმაციით, ადგილობრივ სოციალისტურ პარტიებს სურდათ სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთება. მინისტრის აზრით, ამ კოზირის გამოყენებით მთავრობას უნდა მოეხდინა „*ოლქის შემოერთების დეკრეტირება*“ (**Гамахария, Гогия, 1997: 84**), რაც „მოხალისეთა არმიის“ სარდლების მ. ალექსევისა და ა. დენიკინის ფაქტის წინაშე დაყენება იქნებოდა მათთან დაგეგმილი შეხვედრის წინ. 1918 წ. 18 სექტემბერს სოჭის სოციალისტური პარტიების გაერთიანებულმა საბჭომ მართლაც მიიღო რეზოლუცია სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ. 20 სექტემბერს იგივე გადაწყვეტილება მიიღო სოჭის მოსახლეობის საერთო კრებამაც (**Ментешашвили, 1998: 25-26**).

საქართველოს მთავრობა არ ჩქარობდა სოჭის შემოერთებას, მაგრამ ბრძოლა ოლქისთვის გრძელდებოდა. აღნიშნული საკითხი გახდა განხილვის მთავარი თემა საქართველოს დელეგაციის (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) შეხვედრაზე მოხალისეთა არმიის სარდლობისა და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებთან (მ. ალექსევი, ა. დენიკინი, ი. რომანოვსკი, ა. დრაგომიროვი, ა. ლუკომსკი, ვ. შულგინი, ვ. სტეპანოვი, ლ. ბიჩი, ნ. ვორობიოვი). შეხვედრა 1918 წ. 25-26 სექტემბერს *უკატერინოლარში* მიმდინარეობდა. მისი ინიციატორი იყო გენერალი მ. ალექსევი (**Деникин, 2002a, 398-399**). მოლაპარაკებისას ნ. ვორობიოვი ყურადღებას გაგრაზე და მთლიანად აფხაზეთზე ამახვილებდა. მისი აზრით, საქართველოს საზღვრები აფხაზეთამდე უნდა განსაზღვრულიყო. ე. გეგეჭკორმა დაუშვებლად მიიჩნია გადაწყვეტილ საკითხზე საუბარი მოხალისეთა „კერძო ორგანიზაციასთან“ და მოითხოვა მოლაპარაკების გაგრძელება მხოლოდ სოჭის ოლქთან დაკავშირებით, რო-

მელიც დროებით საქართველოს ფარგლებში უნდა დარჩენილიყო (დოლიძე, 2007: 65, 71, 73, 81, 83). ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნის გამო, მ. ალექსეევმა მოლაპარაკების გაგრძელება და სხვა საკითხების განხილვა შეუძლებლად მიიჩნია (გამახარია, 2007c: 324). მოგვიანებით ნ. ვორობიოვმა გამოსცა სრული სიყალბე – თანამედროვე სეპარატისტების სამაგიდო „წიგნი“, რომლიც შეიცავდა გაგრაზე და მთლიანად აფხაზეთზე ა. დენიკინის პრეტენზიების მართებულობის „ისტორიულ დასაბუთებას“ (Воробьев, 1919).

როგორც ეკატერინოდარის შეხვედრაზე გაირკვა „მოხალისეები“, ბოლშევიკების მსგავსად, საქართველოს წინააღმდეგ აფხაზი სეპარატისტების გამოყენებას აპირებდნენ. 1918 წ. 9 ოქტომბერს „მოხალისეთა“ დახმარებით სეპარატისტებმა სცადეს სოხუმში გადატრიალების მოწყობა, სახალხო საბჭოს პრეზიდიუმისა და თავმჯდომარის გადაყენება. გადატრიალების მიზანი იყო სოხუმის ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტა (ანდერსენი, 2016: 65). როგორც მ. თარნავა იგონებს, ვარლამ შარვაშიძე არ დაიბნა, შეამბოხებებს არ დაემორჩილა და სამთავრობო ჯარები გამოიძახა, რის შემდეგაც წესრიგი მალევე აღსდგა (Литературная, 1991: 202-203). საქართველოს მთავრობამ გაიზიარა ვ. შარვაშიძის, დ. ემუხვარის, ი. გოგელაშვილის, ი. ფაშალიდის, პ. გელოვანის წინადადება და 1918 წ. 10 ოქტომბრის დადგენილებით აფხაზეთა სახალხო საბჭო დაშლილად გამოაცხადა, დანიშნა ახალი არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია ვ. შარვაშიძის, ი. რამიშვილის, ვ. გურჯუას, ი. ფაშალიდისა და გ. შანშიევის შემადგენლობით; სახალხო საბჭოს არჩევნებამდე სოხუმის ოლქის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა, აფხაზეთის საქმეთა მინისტრის რ. ჩქოტუას უფლებამოსილება ამოწურულად იქნა ცნობილი, მისი ფუნქციები კი დროებით შინაგან საქმეთა მინისტრს დაეკისრა (Гамахария, Гогия, 1997: 424-425).

აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (თავმჯდომარე – ვ. შარვაშიძე) შეიმუშავა არჩევნების დებულების პროექტი. საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 17 დეკემბერს იგი მოიწონა და დასამტკიცებლად პარლამენტს (ამ ფუნქციას მაშინ საქართველოს ეროვნული საბჭო ასრულებდა) გადასცა; ამასთანავე დაადგინა: „გამოქვეყნდეს მთავრობის მიმართვა, სადაც მითითებული უნდა იქნეს, რომ აფხაზეთს ენიჭება სახალხო წარმომადგენლობის უფლება და ამით შინაური ცხოვრების მოწყობა ავტონომიის საწყისებზე“ (გამახარია, 1991: 73). 1918 წლის 27 დეკემბერს პარლამენტმა აფხაზეთის საარჩევნო დებულება დაამტკიცა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ენიჭებოდათ 1914 წლის 19 ივლისამდე – პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აფხაზეთში დამკვიდრებულ ადამიანებს (ასეთი გადაწყვეტილება სახალხო საბჭომ 1918 წლის 2 ოქტომბერს მიიღო). საბჭოში არჩევნის უფლებით სარგებლობდნენ პირები, რომლებმაც აფხაზეთში ბინადრობის უფლება 1914 წლის 19 ივლისის შემდეგაც მოიპოვეს, აგრეთვე აფხაზეთში არაბინადარი საქართველოს ქვეშევრდომები (Гамахария, Гогия, 1997: 426).

აფხაზეთში სახალხო საბჭოს არჩევნები 1919 წ. 13 თებერვლისთვის დაინიშნა. სეპარატისტთა მტკიცებით, თბილისმა ეს „არადემოკრატიული“ არჩევნები საჩქაროდ დაინიშნა იმის შიშით, რათა ბრიტანელებსა და ა. დენიკინს აფხაზეთის ნეიტრალიტეტისთვის არ მიედწიათ (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 339-340, 343**), რაც სრული სიცრუეა. აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება პოლიტიკურ ველზე ა. დენიკინის გამოჩენამდე და ბრიტანელთა შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი. წინასაარჩევნო პერიოდის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია და თურქეთი სამხრეთ კავკასიაში ბრიტანელებმა 1918 წ. ნოემბერში – 1919 წ. იანვარში ჩაანაცვლეს. თბილისში ბრიტანულ სამხედრო მისიას გენერალი *ჯორჯ ფორესტიუ-უოკერი* წარმოადგენდა. ბოლშევიკებთან ბრძოლაში ბრიტანელთა მთავარ მოკავშირედ იმთავითვე განიხილებოდა ე. წ. სამხრეთ რუსეთის მთავრობა და მისი მოხალისეთა არმია ა. დენიკინის მეთაურობით. წინასაარჩევნო პერიოდი იმითაც იყო გამორჩეული, რომ იმჟამად საქართველოს მოუხდა ორ ერთმანეთთან კოორდინირებულ ფრონტზე ბრძოლა, საომარი მოქმედებების წარმოება სომხურ-დენიკინური სამხედრო – პოლიტიკური კოალიციის წინააღმდეგ, რომლის მიზანს საქართველოს დანაწევრება წარმოადგენდა (**ჩაჩხიანი, 2014: 226-236; ანდერსენი, 2016: 74**).

1918 წ. ბოლოს სომხურმა საჯარისო ნაწილებმა ომის გამოუცხადებლად საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოუტიეს. ჩრდილო-დასავლეთის – სოჭის მხრიდან ნ. დენიკინი მოქმედებდა. 1918 წ. 2 დეკემბერს სოჭის საოლქო ყრილობამ მიიღო რეზოლუცია რუსეთში ერთიანი დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბებამდე, საქართველოსთან შეერთების შესახებ. 1919 წ. 5 იანვარს იგივე შინაარსის რეზოლუცია მიიღო სოჭის დემოკრატიულ ორგანიზაციათა პლენარულმა სხდომამ (**ჩაჩხიანი, 2014: 251-254**). მიუხედავად ამისა, ინგლისელებთან შეთანხმებით, საქართველომ დაიწყო სამხედრო ნაწილების გაყვანა სოჭიდან, რომელიც ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა. ამასთან დაკავშირებით შავიზღვისპირეთის სარდალი გენერალი *ალექსანდრე კონიაშვილი* 1918 წლის 16 დეკემბერს განმარტავდა: „*სოჭის ოლქი ინგლისელებთან შეთანხმებით ნეიტრალურადაა აღიარებული. ამ შეთანხმების ძალით, ნებისმიერი არმიის ან სახელმწიფოს შეიარაღებული ჯარის ოლქის ტერიტორიაზე შესვლა არ უნდა მოხდეს... ოლქში რჩება ქართული მართვა-გამგეობა*“ (**გამახარია, 2007c: 326**). ინგლისელებისგან შესაბამისი მითითება ა. დენიკინმაც მიიღო (**Деникин, 2002b: 282**). მაშინ მან ნაცად ხერხს მიმართა – სოჭის ოლქში მოაწყო ქართველების მიერ ვითომ შევიწროებული სომხების აჯანყება, ორგანიზება გაუკეთა სოჭის სომხების „თხოვნას“, რომ მოხალისეთა არმიამ „*სოხუმის ოლქის, კერძოდ, სოფელ გუდაუთის სომხური ეროვნების მოსახლეობა დაიცვას ძალადობისაგან ქართული ჯარების მხრიდან*“ (**Деникин-Юденич-Врангель, 1927: 96; Деникин, 2002b: 282-283**). ა. დენიკინმა დაარღვია სიტყვიერი შეთანხმება და ქართული ჯარების ევაკუაციის კვალდაკვალ დაიწყო სოჭისკენ წინსვლა. მან არაფრად ჩააგდო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საპროტესტო განცხადებები, არც ინგლისელებმა შეასრულეს მიცემული პირობა სოჭის ოლქის ნეიტრალურ ზონად გამოცხადების შესახებ. „აჯანყებულ“ სომხებს ამოფარებულმა მოხალისეთა ნაწილებმა 1918 წ. 24 იანვარს (6 თებერვალს) სოჭი, ოთხი დღის შემდეგ კი გაგრაც დაიკავეს და მდინარე ბზიფზე გამაგრდნენ (**Деникин, 2002b: 283**).

გაგრის ოკუპაციიდან სამ დღეში – 13 თებერვალს აფხაზეთში სახალხო საბჭოს არჩევნები გაიმართა. ეს იყო ისტორიაში პირველი დემოკრატიული წესით ჩატარებული და იმდენად თავისუფალი არჩევნები, რომ მასში მონაწილეობა 1918 წ. 9 ოქტომბრის ამბოხების მონაწილეებმაც კი მიიღეს. გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციამ. თითქმის ერთდროულად, 1919 წ. 14-16 თებერვალს, გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებიც. აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტის წევრები გახდნენ უკვე სახალხო საბჭოში არჩეული დიმიტრი ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, ვასილ გურგუა, ივანე ფაშალიძე და დიმიტრი ზახაროვი (**გამახარია, 2007c: 327**). 1919 წ. 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე აფხაზეთიდან წარგზავნილებმა ხელი მოაწერეს 1918 წ. 26 მაისს ეროვნული კრების მიერ მიღებულ აქტს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს აგრეთვე აფხაზეთის მკვიდრმა დამფუძნებელი კრების წევრებმა სამურზაყანოელმა აკაკი ჩხენკელმა – საქართველოს პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და სოსუმელმა ვალიკო ჯუღელმა – საქართველოს ეროვნული გვარდიის მეთაურმა.

აფხაზეთა სახალხო საბჭომ, რომელიც პროპორციული წესით არჩეული 40 დეპუტატისაგან შედგებოდა, პირველი სხდომა 1919 წ. 18 მარტს ჩაატარა. დეპუტატთა შორის იყო 27 სოციალ-დემოკრატი, 4 – დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 – ესერი, 3 – მემარჯვენე, თითო – სოციალისტ-ფედერალისტი, ეროვნულ-დემოკრატი და კოლონისტი. დეპუტატთა შემადგენლობა ეთნიკური ნიშნით ასე გამოიყურებოდა – 20 აფხაზი, 9-10 – ქართველი, 9-10 სხვა ეროვნების (რუსი, ბერძენი, სომეხი, ესტონელი) წარმომადგენლები (**პაპასქირი, 2007: 33-34; ანდერსენი, 2016: 152-153**). პირველმა სხდომამ სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი აირჩია, მოადგილედ – მ. ბერულავა, მდივნად – ვ. კოროლიოვი. მეორე სხდომაზე – 1919 წ. 20 მარტს საბჭომ მიიღო სამი პუნქტისაგან შემდგარი რეზოლუცია:

1. ავტონომიის შესახებ;
2. ავტონომიის დაფუძნება სოციალ-დემოკრატიების პლატფორმაზე;
3. აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავება საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს პარიტეტული კომისიის მიერ.

იმავე სხდომაზე დამტკიცდა „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. სახალხო საბჭომ მოითხოვა გაგრის უბნის განთავისუფლება მდინარე მზიმთამდე, წარდგინებით მიმართა სა-

ქართველოს მთავრობას ამნისტიის გამოცხადების თაობაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ პირთა მიმართ (Гамахария, Гогия, 1997: 429-435, 772-774). 1919 წ. 20 მარტის „აქტივ აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ მოხდა სოხუმის ოკრუგის თვითგამორკვევა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, ეს ძირძველი ქართული ტერიტორია, გარეშე მტრული ძალების მხრიდან მისი მიტაცების არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. ამით აფხაზეთისთვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი წარმატებით დასრულდა.

ახალ ვითარებაში, როდესაც აფხაზეთის წინაშე ავტონომიის რეალურად განხორციელების ამოცანა დადგა, მთავარი გახლდათ მტკიცე დემოკრატიული ხელისუფლების ორგანიზაცია. სახალხო საბჭო სრულად მოიცავდა აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ სპექტრს. მყარი უმრავლესობის მქონე მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ძლიერი, მაგრამ გარედან მართული ოპოზიცია ჰყავდა. მათ შორის ყველაზე რადიკალური იყო „დამოუკიდებელი სოციალისტების“ ფრაქცია (დიმიტრი ალანია, მიხეილ ცაგურია, სამსონ ჭანბა, ივანე მარლანია, რაჟდენ კაკუბა, ალექსანდრე დემიანოვი, რაფიელ ჩოტუა). მათი ერთი ნაწილი ბოლშევიკებთან თანამშრომლობდა, მეორე – თეთრგვარდიელებთან. ფრაქციის საერთო „პლატფორმას“ აფხაზეთში მდგომარეობის დესტაბილიზაცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტაცია წარმოადგენდა. 1919 წ. ნოემბერში სოციალ-დემოკრატებს გამოეყო „ინტერნაციონალისტთა“ ფრაქცია (კ. ბარციცი, დ. ძკუია, მ. თარნავა), რომელიც ასევე მონაწილეობდა ყველა ანტიქართულ აქციაში.

მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში ხელისუფლების ამოცანა იყო ავტონომიის ეფექტური მართვა, დემოკრატიული წესრიგის უზრუნველყოფა, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, დეკლარირებული ავტონომიის რეალობაში გარდასახვა. 1919 წ. 8-10 აპრილს სახალხო საბჭომ მართვის ორგანოების ფორმირების საკითხები განიხილა, იმავე წლის 13 მაისს კი ჩამოაყალიბა აღმასრულებელი ორგანო – კომისარიატი დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის თავმჯდომარეობით. კომისარიატი სამი წევრისაგან შედგებოდა – შინაგან საქმეთა კომისარი, იუსტიციის, განათლებისა და ჯანდაცვის კომისარი, სახალხო მეურნეობის კომისარი. კონსტიტუციის მიღებამდე კომისარიატს სახალხო საბჭოს ინსტრუქციებით უნდა ეხელმძღვანელა. 13 მაისის სხდომაზე აფხაზეთა სახალხო საბჭოს აფხაზეთის სახალხო საბჭო (ასს) ეწოდა, სოხუმის ოკრუგს – აფხაზეთი, უბნებს – მაზრები. კომისარიატის ხელმძღვანელად დამტკიცებული დიმიტრი ემუხვარის ნაცვლად 20 მაისს სახალხო საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია ვარლამ მარვაშიძე, მოადგილედ – მიხეილ ბერულავა. 1920 წ. თებერვალში იგი ტარას კვარაცხელიამ (მომავალში გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი) შეცვალა. საბჭოს მდივნის თანამდებობა ნ. აქირთავას ეკავა.

დემოკრატიული გარდაქმნების მიუხედავად, ავტონომიური აფხაზეთის ირგვლივ ბრძოლა უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობდა. განსაკუთრებით ა.

დენიკინი აქტიურობდა, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფთან. მოხალისეთა არმიის შტაბში გამოაცხვეს სეპარატისტთა „თხოვნა“ აფხაზეთიდან ქართველთა განდევნისა და რუსეთთან მისი მიერთების შესახებ, ასევე მემორანდუმი, რომელიც ა. დენიკინმა 1919 წ. 1 თებერვალს ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიაში ბრიტანელთა ჯარების სარდლებს, შესაბამისად, ჯორჯ მილნს და ჯორჯ ფორესტიე უოკერს გაუგზავნა. „აფხაზეთის დამოშმინებისა და საქართველოსთან ჩვენი შეტაკების საბაბის მოხსნის“ მიზნით, მემორანდუმის ავტორი შემდეგ წინადადებებს აყენებდა: „1.გამოცხადდეს სოხუმის ოკრუგი ნეიტრალურად; 2.დაუყოვნებლივ გავიდნენ იქიდან ქართული ჯარები და ადმინისტრაცია; 3. წესრიგის დაცვა დაეკისროს მათ მიერ თავისუფლად არჩეულ აფხაზურ ხელისუფლებას და აფხაზეთისაგან შემდგარ სახალხო რაზმებს“ (Деникин, 2002c: 284). ა. დენიკინის გეგმით, ქართულ ჯარებს მდინარე ენგურამდე უნდა დაეხიათ.

სახალხო საბჭომ 1919 წ. 15 აპრილს მოისმინა ი. რამიშვილის მოხსენება ე.წ. მემორანდუმის შესახებ და მიიღო მკაცრი განცხადება. მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთის ერთადერთი უფლებამოსილი და სრულუფლებიანი წარმომადგენელია სახალხო საბჭო, რომლის მეშვეობით აფხაზეთმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოსთან, გახდა მისი ავტონომიური ნაწილი და ზუსტად დაადგინა საერთო საზღვრები; მემორანდუმში მოხსენიებული „აფხაზი ხალხის წარმომადგენლები“ საბჭომ თვითმარქვევად, დემოკრატიის მტრებად და საკუთარი ხალხის მოღალატეებად გამოაცხადა; საბჭომ სთხოვა საქართველოს მთავრობას, 15 აპრილს მიღებული რეზოლუცია მოკავშირე სახელმწიფოებს მიაწოდოს (Гамахария, Гогия, 1997: 435-437). სახალხო საბჭოს ყველა ფრაქციამ, მათ შორის სეპარატისტულმა ჯგუფებმაც დაგმეს ა. დენიკინის მემორანდუმი. მალევე გაირკვა, რომ ამ ავანტიურის უკან არაუფლებამოსილი პირები – ალექსანდრე შარვაშიძე და ალექსი ხასაია იდგნენ. ამის თაობაზე, გაზეთმა „*Наше Слово*“-მ (რედაქტორი – დიმიტრი გულია) გამოაქვეყნა წერილი „აფხაზეთის იუდა“. წერილში ვკითხულობთ: „აფხაზეთის წარმომადგენელი, რომელიც ა. დენიკინთან გამოცხადდა დაჟინებული თხოვნით დენიკინის ჯარების მიერ აფხაზეთის დაკავების თაობაზე, აფხაზეთის მოღალატე, გამოვლენილია. ეს არის ალექსანდრე შარვაშიძე, ვინც თავის დროზე აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმას ცდილობდა, ის რუსი „პატრიოტი“, რომელსაც სურდა თურქებისათვის რუსეთის ყოფილი ნაწილის გადაცემა. აი, ვისი სახელით ამართლებდა დენიკინი ევროპის წინაშე საქართველოზე, აფხაზეთზე თავის ყაჩაღურ თავდასხმას“ (გამახარია, 2007c: 329).

საქართველოს მთავრობამ, ასევე ბრიტანელებმაც კატეგორიულად უარყვეს ა. დენიკინის მემორანდუმში ჩამოყალიბებული გეგმა აფხაზეთთან დაკავშირებით (ანდერსენი, 2016: 84-85). ამასთანავე ბრიტანელები კვლავ აყენებდნენ სოჭის ოლქისა და გაგრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადების მოთხოვნას, რასაც ა. დენიკინი არ ეთანხმებოდა. 1919 წ. თებერვალში მდინარე ბზიფზე დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინგლისელთა ასეული ჩადგა. მიუხედავად ამისა, დაიწყო მზადება

გაგრის განთავისუფლებისთვის. აფხაზეთში ქართული სამხედრო ნაწილები შემოდის და დიდხანს სახალხო საბჭომ საზეიმო შეხვედრა მოუწყო მათ მეთაურს, გენერალ იოსებ გედევანიშვილს. გაზეთი „*Наше Слово*“ 1919 წ. 21 მარტს წერდა, როგორ მიესალმა გენერალს ვარლამ შარვაშიძე: „აფხაზეთის სახალხო საბჭო მოგესალმებათ თქვენ, გენერალო, და თქვენი სახით, სახელოვან არმიას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიას, რომელიც არაერთხელ მოსულა ჩვენთან დასახმარებლად ჩვენთვის მძიმე მომენტებში. და ახლა, როცა თქვენ ისევ მოხვედით ჩვენს მიწაზე დაიცვათ იგი ცარიისტი გენერლების ხელყოფისაგან, არ გაშინებთ არანაირი მსხვერპლი, მე საბჭოს სახელით, გისურვებთ თქვენ და თქვენს სახელოვან ჯარებს წარმატებებს თქვენს მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეში. ყველა ფეხზე დგას და აპლოდირებს, ესაღმება არმიას სახალხო გენერლის გედევანოვის სახით. დამოუკიდებელთა ჯგუფი ზის. „დენიკინელები“! ისმის ხმები. ჯგუფი უხალისოდ დგება და ისინიც აპლოდირებენ“ (ჩაჩხიანი, 2014: 295-296). ქართულ არმიას ტაშს უკრავდნენ უკიდურესი სეპარატისტებიც, რომლებიც იმავე არმიას სულ ცოტა ხნის წინ „ოკუპანტებს“ უწოდებდნენ.

ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლის ბირთვის სახალხო გვარდია წარმოადგენდა ვალიკო ჯუღელის სარდლობით, ისარგებლა ა. დენიკინის წინააღმდეგ მის ზურგში დაწყებული სახალხო ამბოხებით და 1919 წ. 16 აპრილს დაიწყო გაგრის განთავისუფლების ოპერაცია. ამის შესახებ ბრიტანელთა ჯარების სარდლობის ახალი წარმომადგენელი გენერალი უილიამ ტომპსონი წინასწარ იყო ინფორმირებული. 17 აპრილს გაგრა უკვე ქართველთა ხელში იყო, 18 აპრილს გვარდია მდინარე მესადირზე გავიდა, გააგრძელა წინსვლა და რამდენიმე დღეში მდინარე მზიმთამდე მიაღწია. მალე ოდნავ უკან დაიხია და მდინარე მესადირზე გამაგრდა (Деникин, 2002b: 288-293; ჩაჩხიანი, 2014: 308-313). ქართული ჯარების შემდგომი შეტევა ბრიტანელთა კატეგორიული მოთხოვნით შეჩერდა.

ა. დენიკინის კონტროლის ქვეშ მყოფ სამხრეთ რუსეთთან საქართველოს საზღვრის საკითხი იხილებოდა 1919 წ. 21-23 მაისს ე. გეგეჭკორისა და ნ. რამიშვილის შეხვედრაზე ინგლისელ გენერალ როუტონ ბრიგსთან (ბრიტანელთა სამხედრო წარმომადგენელი ა. დენიკინის მთავრობაში), 24 მაისს კი ნ. ჟორდანიას შეხვედრაზე გენერალ ლ. ბიჩთან და პოლკოვნიკ სანდერსთან. ორივე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ უარყო წინადადება მდინარე ბზიფამდე უკანდახევის შესახებ (ჩაჩხიანი, 2014: 313-317). როგორც ა. დენიკინი მოწმობს, 1919 წ. 9 აპრილს გენერალი ჯორჯ მილნი საქართველოსაგან მდინარე ბზიფამდე ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. იგივე მოთხოვნა გაიმეორა ბრიტანელთა მისიამ 12 ივნისს, მაგრამ, „ეტყობა, ბრიტანელთა ავტორიტეტი, – წერდა ა. დენიკინი, – უკვე აღარ იყო საკმარისი არც შეტაკების თავიდან აცილებისთვის, არც ლიკვიდაციისთვის... ქართველები დარჩნენ მესადირზე... ერთმანეთის წინააღმდეგ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში სანაპიროზე იდგნენ ორივე მხარის ჯარები, რომლებიც ყოველ წუთს რისკავდნენ იმით, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო თოფები და ქვემეხები

„თავად აღაპარაკდებოდნენ“. ხშირი იყო უნდობლობითა და ეჭვებით გამოწვეული შეტაკებები მდინარე მეხადირზე. „არც მშვიდობა, არც ომის“ მდგომარეობა ბოლომდე გაგრძელდა (Деникин, 2002b: 296; Деникин, 2002c: 273).

ქართული შეიარაღებული ძალების, პირველ რიგში სახალხო გვარდიის, მისი სარდლის ვალიკო ჯუღელის ჭეშმარიტად ისტორიული დამსახურებაა გაგრის განთავისუფლება და საქართველოს ფარგლებში მისი დაბრუნება. სწორედ 1919 წ. 16-20 აპრილს ჩატარებული ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციის წყალობით რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არა მდინარე ბზიფზე, არამედ ფსოუზე დაფიქსირდა. სეპარატისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ, როგორ განდევნა ა. დენიკინმა ქართული ჯარები გაგრიდან (Бгажба О., Лакоба С., 2015: 340), მაგრამ კრინტს არ ძრავენ იმავე ჯარების გამირობაზე – თვით ბრიტანელთა ნების წინააღმდეგ გაგრის სამუდამოდ დაბრუნებაზე.

გაგრის განთავისუფლების შემდეგაც გენერალ ა. დენიკინის მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ არ შეწყვეტილა, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში მისი სამხედრო წარმატებების ფონზე სახიფათო ხდებოდა. ამ ვითარებაში აფხაზ სეპარატისტთა ერთი ნაწილი აგრძელებდა მჭიდრო თანამშრომლობას მოხალისეებთან, მეორე ნაწილი კი ერთგულებას ეუფლებოდა მოხალისეთა წინააღმდეგ მებრძოლ მთიელთა რესპუბლიკას. მთიელთა მთავრობა, რომელსაც 1918 წ. დეკემბრიდან პშემახო კოცევი ხელმძღვანელობდა, საქართველოსთან მიმართებაში ორმაგ თამაშს ეწეოდა. როგორც ზემოთაც ითქვა, მთიელთა რესპუბლიკას არც ერთ თავის ოფიციალურ დოკუმენტში აფხაზეთი მის შემადგენელ ნაწილად არ გამოცხადებია. მისი საგანგებო დელეგაციის განცხადებაში გენერალ ა. დენიკინის მიმართ (1919 წ. 10 თებერვალი), მთიელთა რესპუბლიკის საზღვრებში არა თუ აფხაზეთი, შავი ზღვის გუბერნიაც არ იყო მოხსენიებული (Союз объединенных, 2013: 133).

აფხაზეთის რომელიმე უფლებამოსილ ორგანოსაც არასოდეს მიუღია მთიელთა რესპუბლიკასთან გაერთიანების გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, აფხაზეთიდან ჩამოსული კერძო პირების განცხადებების მოშველიებით, მთიელები მუდმივად აცხადებდნენ პრეტენზიას აფხაზეთზე. 1919 წ. 21 იანვარს მთიელთა რესპუბლიკის სამოკავშირეო საბჭოს – დროებითი პარლამენტის სხდომაზე ანტიქართული განცხადებებით გამოვიდა „აფხაზეთის წარმომადგენელი“ გიორგი თუმანოვი. მთიელთა პარლამენტის დებულების თანახმად, ის ვერ იქნებოდა და არც იყო აფხაზეთის უფლებამოსილი წარმომადგენელი (Союз объединенных, 2013: 115-116, 119-121). თანაც დ. თუმანოვი გახლდათ პიროვნება, რომელიც სხვა სეპარატისტებთან ერთად მთიელთა დაუძინებელი მტრის – მოხალისეების ბანაკში იმყოფებოდა. სხვათა შორის, გ. თუმანოვმა მადლობა გადაუხადა მთიელთა პარლამენტს პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი დელეგაციის შემადგენლობაში აფხაზეთის წარმომადგენლის ჩართვისთვის. იმ წარმომადგენლის ვინაობა (რომელიც დიდი ალბათობით არც არსებობდა) ისტორიისათვის უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ პარიზში გამგზავრებულმა მთიელთა დელე-

გაცია მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე ჩაადწია. იქიდან დელეგაციის წევრი ჰასან ხაჯარატი 1919 წ. 28 თებერვალს საკუთარ მთავრობას ატყობინებდა ქართველების მიერ საერთო კავკასიური საკითხების განხილვისთვის თავის არიდების შესახებ და იქვე დასძენდა, რომ „მათ წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს ისეთი კოზირები, როგორცაა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი“ (**Союз объединенных, 2013: 152**). მათი „კოზირი“ უნდა ყოფილიყო პარიზში წარსადგენი რუკა, რომლის მიხედვით აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მთიელთა რესპუბლიკის ნაწილს წარმოადგენდნენ (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 334**).

მთიელთა რესპუბლიკის ცალკეული ლიდერები ბოლომდე არ ენდობოდნენ საქართველოს. ეს კარგად ჩანს საგარეო საქმეთა მინისტრის ჰეიდარ ბამატოვის მიერ პ. კოცევისთვის 1919 წლის 17 თებერვალს ბერნიდან გამოგზავნილი წერილიდან. ავტორი საქართველოს ორმაგ თამაშში იქით აღნაშაულებდა, რაც, მისი აზრით, იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები მხოლოდ სიტყვიერად ეთანხმებოდნენ კავკასიური კონფედერაციის იდეას, რეალურად კი მათ აფხაზეთის დაუფლება და მერე მთიელთა ხარჯზე რუსეთთან კავშირის დამყარება სურდათ. პ. ბამატოვი, რომლის მთავარ საზრუნავს შავ ზღვაზე გასასვლელი წარმოადგენდა, აგრძელებს: „აფხაზეთის საკითხში არავითარ დათმობაზე არ მივდივარ, მაგრამ ყველგან ვაცხადებ, რომ ჩვენ გვაკავშირებს (ქართველებთან – **ჯ.ბ.**) მჭიდრო მეგობრობა და ახლოს ვართ კონფედერაციის შექმნასთან. იმედი მაქვს, ეს ხაზი თქვენს მიერ მხარდაჭერილი და მოწონებული იქნება. კარგ ურთიერთობაში უნდა ვიყოთ სომხებთან, განსაკუთრებით აფხაზეთთან, რომელსაც ყოველთვის შეგვიძლია დავეყრდნოთ ქართველების წინააღმდეგ“ (**Союз объединенных, 2013: 140**).

მთიელთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ლიდერის ეს და სხვა წერილები ნათლად წარმოაჩენენ არსებული უნდობლობის მიზეზებს, რაც ნამდვილად უშლიდა ხელს კავკასიისათვის უკიდურესად აუცილებელი ერთობის, კონფედერაციული კავშირის გაფორმებას. პირველ რიგში, ეს იყო სრულიად უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ. მეორეც, საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, მთიელთა რესპუბლიკას არ ჰქონდა უსაფრთხოების არანაირი საერთაშორისო გარანტიები, მოკავშირეთა მიერ ის უპირობოდ რუსეთის ნაწილად განიხილებოდა; ამიტომ მასთან კონფედერაციული კავშირის გაფორმება სამხრეთ კავკასიისთვის უდიდესი საფრთხის შემცველი იყო. მესამეც, შექმნილ ვითარებაში მთიელები ბოლომდე არ იყვნენ ჩამოყალიბებული ბოლშევიკებთან ურთიერთობის საკითხშიც. როგორც პ. ბამატოვი 1918 წ. 15 დეკემბერს ბერნიდან წერდა, მთიელთა რესპუბლიკა ბოლშევიკების წინააღმდეგ მხოლოდ დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების მოპოვების შემდეგ იბრძოლებდა. სხვა შემთხვევაში აქტიურად მხარს დაუჭერდა ბოლშევიკებს მათგან თავისუფლების მაქსიმუმის მიღების პირობით (**Союз объединенных, 2013: 114**). მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველო მხარს უჭერდა მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იდეას მის ბუნებრივ საზღვრებში. როდესაც 1919 წ. მარტში დენი-

კინმა დაიწყო საომარი მოქმედებები მთიელთა წინააღმდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (3 მარტი) და მთავრობამ (6 მარტი) გააკეთეს განცხადებები მთიელთა რესპუბლიკის სრული მხარდაჭერის შესახებ (**Союз объединенных, 2013: 155-158**). მთიელების მდგომარეობას რამდენადმე ამსუბუქებდა ქართული სამხედრო შენაერთების მიერ მოხალისეთა განდევნა გაგრძელდა, შემდგომში კი შავი ზღვის გუბერნიის დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა და აქტიური მოქმედებები ა. დენიკინის ზურგში (**ჩაჩხიანი, 2014: 323-332**).

1919 წ. 27 აპრილიდან 10 ივნისამდე თბილისში მიმდინარეობდა კავკასიის თვითგამორკვეული რესპუბლიკების წარმომადგენლთა კონფერენცია, სადაც იხილებოდა კავკასიურ ერთობასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მოხალისეთა ჯარების შეტევების შედეგად მთიელთა რესპუბლიკაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა. ამ რთულ ვითარებაშიც კი მთიელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ა. კანტემირი კონფერენციაზე აფხაზურ „კოზირის“ გამოსაყენებლად ფარულად ემზადებოდა. 1919 წ. მაისის დასაწყისში საკუთარი მთავრობის თავმჯდომარეს პ. კოცევს მან შეატყობინა: „ჩვენს დელეგაციას ჰქონდა რამდენიმე გასაუბრება აფხაზი ხალხის წარმომადგენელთან, რომელთანაც შემდეგ დასკვნამდე მივედით: შვისწავლოთ მთელი მასალა, რომელიც ეხება აფხაზეთს და საქართველოსთან მის ურთიერთობას და ხელსაყრელ შემთხვევაში კონფერენციაზე გამოვიდეთ“ (**Союз объединенных, 2013: 189**).

ეს იყო უკიდურესად არამეგობრული, კონფერენციის სულისკვეთების საწინააღმდეგო ქმედება. აფხაზეთის შესახებ ა. კანტემიროვი კონფერენციაზე არ გამოსულა. 18 მაისს კი მთიელთა მთავრობის სახელით გააკეთა განცხადება, რომ მზად ვართ „დავკარგოთ ტერიტორიის ნაწილი, ოღონდ მოვიპოვოთ პოლიტიკური ერთიანობა და პრინციპში ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება“ (**Союз объединенных, 2013: 202**). როდესაც ა. კანტემიროვი ამ განცხადებას აკეთებდა, მოხალისეები უკვე პეტროვსკს (მახაჩკალა) უახლოვდებოდნენ, რომელიც 21 მაისს დაიკავეს. ამით ა. დენიკინმა ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპაცია დაასრულა. 23 მაისს მთიელთა პარლამენტმა არსებობა შეწყვიტა, მთავრობამ კი ფუნქციონირება თბილისში გააგრძელა. კავკასიური კონფერენციის მორიგ სხდომაზე 1919 წ. 9 ივნისს ე. გეგეჭკორმა გამოხატა სრული სოლიდარობა მთიელთა მიმართ და იმედი გამოთქვა, რომ საერთო ძალისხმევით მოხერხდებოდა მთიელთა რესპუბლიკის ფეხქვეშ გათელილი უფლებების აღდგენა. 10 ივნისის სხდომაზე კი თბილისის კონფერენციამ პარიზის საერთაშორისო კონფერენციის წინაშე გააპროტესტა ა. დენიკინის დამპყრობლური მისწრაფებები და მიიღო დადგენილება: „გაერთიანდეს ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის სამხედრო-დიპლომატიური ძალისხმევა კარსმოდგარი საფრთხის მოსაგერიებლად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად“ (**Союз объединенных, 2013: 209**).

სეპარატისტებს, რომლებიც აფხაზეთს მთიელთა რესპუბლიკის ნაწილად აცხადებდნენ, კრინტიც არ დაუძრავთ ა. დენიკინის მიერ ამ რესპუბლიკის განად-

გურებასთან დაკავშირებით. მათი მიზანი იყო და არის ჩრდილოეთ კავკასიელთა მოტყუება მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. თანამედროვე სეპარატისტული ისტორიოგრაფიაც გვერდს უვლის აღნიშნულ თემას და დაკავებულია მხოლოდ ცილისწამებებით საქართველოს წინააღმდეგ. არადა, სწორედ საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელიც აზერბაიჯანთან ერთად ყოველნაირად მხარში ედგა მთიელებს, ამარაგებდა მათ იარაღით, ეხმარებოდა ცოცხალი ძალით. ნ. ჟორდანიას თავის მოგონებებში წერდა, რომ მთიელთათვის გულუხვ დახმარებას „ითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების უზრუნველყოფა: ძლიერი, დამოუკიდებელი მთა იყო ჩვენი სიმაგრე, მოსკოვის წინააღმდეგ ამართული. მის არსებობაში ვიყავით ყოველნაირად დაინტერესებული და ეს გვიკარნახებდა ჩვენს დამოუკიდებულებას მასთან“ (ჟორდანიას ნ., 1990: 110-111). მთიელთა მიმართ საქართველოს მეგობრულ დამოკიდებულებაზე უკვე დამხობილი მთიელთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად 1919 წ. აგვისტოში გენერალ ლეო კერესელიძის დანიშვნაც მიუთითებს. ქართველი გენერალი ჩეჩნეთში იმყოფებოდა და ა. დენიკინის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს ხელმძღვანელობდა. ამის გამო ა. დენიკინმა საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა (Деникин, 2002с: 266-271). აფხაზ სეპარატისტებს კი მთიელთა დაცვაში მონაწილეობაზე არც უფიქრიათ. მთიელთა რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორია მუდამ შეგვახსენებს ურთიერთმისაღებ ფორმებში კავკასიური ერთობის აუცილებლობას. ასეთი ერთობის მიღწევას 1917-1919 წლებიდან დღემდე ხელს უშლიდა და უშლის მთიელთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა.

მთიელთა რესპუბლიკის დამხობით ა. დენიკინის აგრესიული მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. ამ ფაქტის მიმართ მსოფლიოს ყურადღების მიპყრობის მიზნით, 1919 წ. 14 ივნისს პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ნიკოლოზ ჩხეიძემ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის დელეგაციებს აცნობა ა. დენიკინის გეგმებზე – მიეტაცა აფხაზეთის ნაწილი, „რომლის საქართველოსთან შემოერთება სანეცირებული იყო მისი ხალხის კენჭისყრით და რომლის მმართველობას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში უზრუნველყოფდა საყოველთაო კენჭისყრით არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭო“ (Ментешашვილი, 1998: 46). 1919 წ. ივნისის დასაწყისში თეთრგვარდიელებისაგან საქართველოს დაცვის მიზნით დიდ სახელმწიფოებს ნოტები გაუგზავნეს ესტონეთის, ლატვიის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის, ლიტვის, პოლონეთისა და საქართველოს წარმომადგენლობებმა (Ментешашვილი, 1998: 46-47).

1920 წ. მარტში ა. დენიკინი ბოლშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდა. ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთის გუბერნიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1920 წ. აპრილის ბოლოს წითელი არმიის 34-ე დივიზია სოჭში შევიდა, მისი მეწინავე ქვედანაყოფები მდინარე ფსოუზე გავიდნენ, სადაც მათ ქართული სამხედრო შენაერთები დახვდნენ. ტაქტიკური მოსაზრებით საბჭოთა რუსეთმა

1920 წ. 7 მაისს დადებული ისტორიული ხელშეკრულების ძალით საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა; გადაწყდა საზღვრების საკითხიც – აფხაზეთი გაგრის ჩათვლით საქართველოს უდავო ტერიტორიად იქნა აღიარებული, სახელმწიფო-თაშორისი საზღვარი კი მდინარე ფსოუზე დაფიქსირდა (**Оккупация, 1990: 75-76**). ყოველგვარ სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძველს მოკლებულია სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე იმის გამო, რომ ის თითქოს ოკუპირებული იყო საქართველოს მიერ (**Бражба О., Лакоба С., 2015: 351**). რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თაობაზე დ. ემუხვარის ინფორმაცია 1920 წ. 18 მაისს სახალხო საბჭომ სიხარულით მიიღო და საქართველოს მთავრობას, ასევე დამფუძნებელ კრებას მხარდამჭერი რეზოლუციაც გაუგზავნა (**გამახარია, 1991: 80**).

შოვინისტებისა და მათი დამქაშების გეგმები საზღვრებთან დაკავშირებით ჩაიშალა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არ აკმაყოფილებდა საზღვარი მდინარე ფსოუსთან. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართულმა დელეგაციამ 1919 წ. მარტში და ივლისში წარადგინა თავისი მოთხოვნები საზღვრებთან დაკავშირებით. ისტორიულ დასაბუთებაში (შეადგინა *ივანე ჯავახიშვილმა*) ნაჩვენები იყო, რომ საქართველოს ეთნიკური და სახელმწიფოებრივი საზღვარი უძველესი დროიდან მდინარე ყუბანამდე, XV საუკუნის შემდეგ კი მდინარე მაკოფსემდე აღწევდა. საქართველო სწორედ აქ მოითხოვდა რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის გავლებას. ამასთანავე, თურქეთში იძულებით გადასახლებულ მთიელთა დაბრუნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, საქართველო დაეთანხმებოდა საზღვრის გადასინჯვასა და ახალი მიჯნის დადგენას მდინარე შიმიტასა და მაკოფსეს შორის (**Оккупация, 1990: 64-68; თოიძე, 1991: 211-215**). აღნიშნულ ფაქტს მალავს სეპარატისტული ისტორიოგრაფია და რუსეთის საამებლად საქართველოს „იმპერიალისტურ მისწრაფებებზე“ საუბრობს (**Бражба О., Лакоба С., 2015: 330-335**); ამავე დროს, ვერ „ამჩნევს“ ზრუნვას საქართველოს, იგივე აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენაზე, შავ ზღვაზე გასასვლელის მქონე ჩრდილოკავკასიური სახელმწიფოს აღდგენაზე, მთიელ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნებაზე.

სეპარატისტული ისტორიოგრაფია გვერდს უვლის საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აფხაზ მუჰაჯირთა დაბრუნების საკითხთან მიმართებაშიც. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჯერ კიდევ 1918 წ. 15 მაისს ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე მყოფი ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს *ნოე ჟორდანიას* წერდა, რომ ამიერკავკასია-თურქეთის ხელშეკრულებაში ის აპირებდა ცალკე მუხლის შეტანას, რომლის ძალითაც აფხაზი მუჰაჯირები დაბრუნდებოდნენ „*სრულიათ თავისუფლათ*“ (**ჭუმბურიძე, 2018: 136**). მუჰაჯირთა დაბრუნების პრობლემა მუდამ აწუხებდა აფხაზურ მოსახლეობას, ინტელიგენციას, რომელმაც ამ საკითხზე 1920 წ. თებერვალში თავის ყრილობაზე სპეციალური რეზოლუცია მიიღო და სა-

ქართველოს მთავრობას გაუგზავნა (**გამახარია, 1991: 81**). ისე დაემთხვა (არც თუ ისე შემთხვევით), რომ იმავე წლის 1 თებერვალს აფხაზმა მუჰაჯირებმა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე თხოვნით მიმართეს თურქეთში საქართველოს მისიის ხელმძღვანელს გ. რცხილაძეს. მუჰაჯირების სურვილის თაობაზე. გ. რცხილაძემ პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. ჩხეიძეს შეატყობინა. 1920 წ. 7 აპრილს ნ. ჩხეიძემ მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, რათა თურქეთთან მომავალ ხელშეკრულებაში შეეტანათ სპეციალური მუხლი ქართველი და აფხაზი მუჰაჯირების სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების შესახებ (**Ментешашვილი, 1998: 47-49**). ქართული მხარის ამ კეთილი ნების განხორციელებას ხელი შეუშალა 1921 წ. თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ.

საქართველოს მთავრობა ზრუნავდა აფხაზეთის, განსაკუთრებით აფხაზთა კულტურული განვითარებისათვის. ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა მშობლიურ ენაზე პირველი გაზეთის გამოშვება. აფხაზებმა ასეთი გაზეთი სახელწოდებით „აფსნი“ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამოსცეს. მისი პირველი ნომერი 1919 წ. 27 თებერვალს სოხუმში გამოვიდა, აფხაზური შრიფტი კი თბილისში დამზადდა (**პაპასქირი, 2007: 65**); ისტორიაში პირველ აფხაზურ გაზეთს ხელმძღვანელობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი *დიმიტრი გულია*. ასევე პირველად ისტორიაში სოხუმის საოსტატო სემინარიაში 1918 წ. 1 სექტემბრიდან გაიხსნა აფხაზური ენის მასწავლებლის შტატი, რომელიც იმავე დ. გულიას ეკავა (**ქორდანიას ო., 1990: 3**). აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1918 წელს მხატვარ *ალექსანდრე მარვაშიძის* თაოსნობით დრამატული სასწავლებლის გახსნა; 1919 წელს სოხუმში დაარსდა აგრეთვე ლიტერატურულ-დრამატული წრე და ა.შ. (**Дзидзария, 1963: 273; Лакоба С., 1988: 69-70**).

საქართველოს მთავრობა ყურადღებით ეკიდებოდა ნებისმიერ თხოვნას აფხაზეთიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი აფხაზი ხალხის ინტერესებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, 1919 წ. 1 ნოემბერს *ნოე რამიშვილი* მთავრობას მოახსენებდა აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის დ. ემუხვარის შუამდგომლობის თაობაზე, განურჩევლად სარწმუნოებისა, ყველა აფხაზის სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ (მანამდე ჯარში მხოლოდ ქრისტიანი აფხაზები მიჰყავდათ). იგივეს ითხოვდა ლიხნში 1920 წ. 13 მაისს ჩატარებული გუდაუთის მაზრის თემთა წარმომადგენლების კრებაც (**Гамахария, Гогия, 1997: 453-454, 781**). საქართველოს მთავრობამ დ. ემუხვარისა და საზოგადოების ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

სეპარატისტული ისტორიოგრაფია საქართველოს შოვინიზმში, აფხაზეთის გაქართველებაში, დაწესებულებებსა და სკოლებში ქართული ენის შემოღებაში ადანაშაულებს (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 350**). არადა, დაწესებულებების ნაციონალიზაციის საკითხში მთავრობა ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა. მაგალითად,

აფხაზეთისთვის სავალდებულო არ ყოფილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1918 წ. 20 ივლისის დამტკიცებული დებულება ფოსტა-ტელეგრაფის „ნაციონალიზაციის“ (ქართულ ენაზე გადაყვანის) შესახებ. აღნიშნული დებულების თაობაზე სახალხო საბჭომ 1918 წ. 25 ივლისის იმსჯელა. დაწესებულებათა „ნაციონალიზაცია“ საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, თუმცა საამისო პირობების არარსებობის გამო გადაწყდა: „აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებების ენად დროებით დარჩეს რუსული ენა“ (**Гамахария, Гогия, 1997: 420, 761-762**). იგივე ფოსტა-ტელეგრაფი არა მარტო აფხაზეთში, არამედ თბილისში, ზაქათალასა და ბორჩალოშიც რუსულ და ქართულ ენებზე მუშაობდა. რაც შეეხება 1919 წლიდან სკოლებში ქართული ენის შემოღებას, ეს საკითხიც სახალხო საბჭომ 1919 წ. 18 ნოემბერს განიხილა. ამასთან დაკავშირებით აფხაზმა ვიანორ ანჩაბაძემ სავსებით სწორად განმარტა, რომ „სახელმწიფო სამართლის ანბანა სახელმწიფო ენის შესწავლა, მეტიც სწავლება სახელმწიფო ენაზე“/„**Азбукой государственного права является изучение государственного языка, если не обучение на нём**“ (**Гамахария, Гогия, 1997: 454-456**, ხაზგასმა ჩვენია – **ჯ.გ.**). ეს ელემენტარული ქეზმარიტება სეპარატისტებს არ ესმოდათ.

საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ჩქარობდა სახელმწიფო დაწესებულებების „ნაციონალიზაციას“, ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას, რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა დამფუძნებელი კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური ოპოზიცია. ზოგადად აფხაზეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეკითხვის საფუძველზე, საკმაოდ ცხარე დებატების საგანი გახდა 1919 წ. 2 აგვისტოს გამართულ საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე. შეკითხვის ავტორებს აინტერესებდათ ინფორმაცია აფხაზეთში „საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჯგუფის მეცადინეობით“ შექმნილი განწყობილების, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ და ა.შ. შეკითხვას პასუხი ნოე რამიშვილმა გასცა. „აფხაზეთის მდგომარეობა როგორც შინაური, აგრეთვე საგარეო ძალთა შეჯახების მხრივ მეტისმეტად რთულია და თავისთავად აშკარაა, რომ ამ რთულ პირობებში მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს ფხიზელი და არავითარ აჩქარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეჭვს გარეშე არის, რომ იქ, აფხაზეთში, არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ებრძვიან ჩვენს სახელმწიფოებრიობას და ეს ელემენტები არიან, უპირველეს ყოვლისა, ის მემარჯვენეები, რომელნიც თავიდანვე ცდილობენ, რომ საქართველოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონოდა აფხაზეთს“ (**სტენოგრაფიული ანგარიშები, 1919, 45-ე სხდომა: 12-16**). საქართველოს მთავრობა, – ნ. რამიშვილის თქმით, – მიზანმიმართულად ატარებდა რეგიონის მთელი მოსახლეობის აგრარულ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებში გათანაბრების დემოკრატიულ პოლიტიკას. ანტიქართული ძალები ცდილობდნენ, ეს პოლიტიკა სახელმწიფოს წინააღმდეგ აფხაზთა ასამხედრებლად გამოეყენებინათ. ნ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, აფხაზეთის სახალხო საბჭო, აფხაზური მოსახლეობის უმრავლესობა

მხარს უჭერს საქართველოს ფარგლებში კონსტიტუციით გარანტირებულ ავტონომიურ მართვა-გამგეობას. მინისტრის გამოსვლას მხარი დაუჭირეს დამფუძნებელი კრების წევრებმა, აფხაზმა ვ. გურჯუამ და ბ. ჩხიკვიძილმა. მთავრობის პოლიტიკა გააკრიტიკეს ეროვნულ-დემოკრატიმა ს. კელიამ, ესერმა ლ. შენგელაიამ, სოციალისტ-ფედერალისტმა ს. მდივანმა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო დამფუძნებელი კრებისა და იმავდროულად აფხაზეთის სახალხო წევრის ვასილ გურჯუას გამოსვლა. აფხაზმა დეპუტატმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობების, მათ შორის უფლებამოსილების განაწილების მთავარ საკითხზე. „ჩვენ გვესმის, – განაცხადა ვ. გურჯუამ, – რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან. და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად (ტაში). რამდენიც უნდა დაგვწამონ ცილი ბატონებმა თავდგირიძეებმა (სოხუმელი ნიკო თავდგირიძე – დამფუძნებელ კრებაში შეკითხვის შეტანის ინიციატორი – **ჯ.გ.**), ჩვენ სწორ გზიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის (ტაში). აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოსა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ გამოთქმული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოიწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო. ჩვენ მეტს არაფერს არ ვთხოვლობთ და ამის წინააღმდეგ საქართველოში ნამდვილი დემოკრატიის წარმომადგენლები არასოდეს არ იყვნენ და არც იქნებიან წინააღმდეგნი. ჩვენ ეს არაერთხელ გამოგვითქვამს. მაშ, გაუმარჯოს საქართველოს და მის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს“/ტაში/ (სტენოგრაფიული ანგარიშები, 1919, 45-ე სხდომა: 16-17). ვასილ გურჯუას გამოსვლა დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას.

დამფუძნებელ კრების, ისევე როგორც სახალხო საბჭოს წევრებს, ყველაზე მეტად აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება აინტერესებდათ. სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წ. 30 მარტს თავის პირველ სხდომაზე ერთხმად მიიღო მომავალი კონსტიტუციის პირველი მუხლი – იგივე „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტის“ პირველი პუნქტი: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“ (Гамахария, Гогия, 1997: 97). სხვა მუხლებთან დაკავშირებით კომისიაში მწვავე დისკუსიები მიმდინარეობდა. 1919 წ. 23 მაისს საკონსტიტუციო კომისია ორ ქვეკომისიად გაიყო. მათ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროექტი მოამზადეს. მესამე – შემრიგებლური პროექტი აფხაზეთის კომისარიატმა შეადგინა (Ментешавили, 1998: 80-94). მათ შორის ვერც ერთმა ვერ მიიღო სახალხო საბჭოს წევრთა ხმების საჭირო რაოდენობა, მაგრამ მეტი მოწონება (20 ხმა) მაინც კომისარია-

ტის პროექტმა დაიმსახურა. საქართველოს მთავრობასთან საკონსტიტუციო საკითხების განხილვის მიზნით 1919 წ. 21 ივლისს სახალხო საბჭომ აირჩია დელეგაცია (დომიტრი ემუხვარი, გიორგი კოროლიოვი, მიხეილ უბირია, ვასილ გურჯუა, მიხეილ ცაავა, მიხეილ გრიგოლია). 1919 წ. სექტემბერ-ოქტომბერში დელეგაციის წევრები თბილისში იმყოფებოდნენ. მოხსენებით ბარათში, რომელიც 4 ოქტომბერს მათ მთავრობას მიართვეს, საუბარი იყო ცენტრსა და ავტონომიას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის, კონსტიტუციის მიღების დაჩქარების შესახებ, აგრარულ რეფორმაზე, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. დამფუძნებელი კრების პრეზიდენტმა, სახალხო საბჭოს თხოვნით, აფხაზეთის საკონსტიტუციო საკითხებზე სამუშაოდ გამოყო ხუთკაციანი (პავლე საყვარელიძე, სამსონ დადიანი, გიორგი გვაზავა, გიორგი ნანეიშვილი, მუხრან-იონა ხოჭოლაძე) კომისია. სახალხო საბჭოს დელეგაციისა და დამფუძნებელი კრების კომისიის ერთობლივი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. შეიქმნა შეთანხმების პროექტი აფხაზეთის მმართველობის ძირითადი დებულებების შესახებ. დოკუმენტში აისახა ცენტრსა და ავტონომიას შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობები. სახალხო საბჭოს დელეგაციის 1919 წ. 4 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მთავრობამ იმავე წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა „აგრარული რეფორმისა და აფხაზეთში სახელმწიფო ქონების მართვის დროებითი დებულება“ (Гамахария, Гогия, 1997: 99-100; 451-453).

საქართველოს მთავრობის მოწვევით 1919 წ. სექტემბრის ბოლოდან თბილისში იმყოფებოდა კიდევ ერთი დელეგაცია აფხაზეთიდან (ივანე მარღანია, დომიტრი ალანია, მიხეილ ცაგური, მიხეილ თარნავა), რომელიც სახალხო საბჭოს 14 სეპარატისტულად განწყობილი წევრის პოზიციას გამოხატავდა. მთავრობა, როგორც ვხედავთ, ყველა მიმდინარეობასთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზას ადგა. სეპარატისტებთან შეხვედრას მიეძღვნა სპეციალური სხდომა, რომელზეც დელეგაცია მოხსენებით წარსდგა. ნ. ჟორდანიას თხოვნით, ეს მოხსენება წერილობით გაფორმდა და 1919 წ. 29 სექტემბერს მთავრობას წარედგინა. მასში სეპარატისტებისათვის ჩვეული ტენდენციურობით იყო გაშუქებული აფხაზეთში არსებული ვითარება. გამოსავალს დელეგაციის წევრები მათ მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტის (Ментешавили, 1998: 89-94) მიღებაში ხედავდნენ.

1919 წ. 15 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ თბილისში ოფიციალურად მივლინებული დელეგაციის მოხსენება მოისმინა. სიტყვით გამოსულმა მ. უბირიამ აღნიშნა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობისას თავიდანვე წარმოქმნილი ორი მიმდინარეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებისადმი მიდგომებით; ერთ მიმდინარეობას, ისტორიული მომენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთის რაც შეიძლება მალე შეერთება საქართველოსთან, რაც ჩვენს ბობოქარ ეპოქაში მისი უსაფრთხოების, ხოლო მომავალში მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საწინდარი იქნებოდა. მ. უბირიას აზრით, მეორე მიმდინარე-

რეობაც სცნობდა აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობას, მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო მართებულად მიაჩნდა რესპუბლიკასთან რაც შეიძლება სუსტი კავშირის დამყარება, მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ვითარების შეცვლის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემდა (**გამახარია, 2007c: 335-336**). სწორედ ეს ორი მიდგომა აისახა საკონსტიტუციო კომისიაში შედგენილ პროექტებში. მიხეილ უბირიამ ასევე აღნიშნა, რომ თბილისი არ ჩქარობდა აფხაზეთის კონსტიტუციის დამტკიცებას სახელმწიფოს ძირითადი კანონის მიღებამდე. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, მოხერხდა აფხაზეთის მმართველობის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება.

სახალხო საბჭოს 15 ნოემბრის სხდომაზე თბილისში მიწვეული მეორე დელეგაციის წევრებიც გამოვიდნენ. მ. თარნავას განცხადებით, მთავრობასთან ჩვენი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. ი.მარდანიამ დაუმატა, რომ, ნ. ჟორდანიას სიტყვებით, შეთანხმება შესაძლებელია, თუ მოვრიგდებით გენერალ დენიკინისადმი დამოკიდებულების საკითხში. სახალხო საბჭოს 1919 წ. 25 ნოემბრის სხდომაზე მ. თარნავამ გააჟღერა სოციალ-დემოკრატი-ინტერნაციონალისტთა ახლად შექმნილი პრობოლშევიკური ფრაქციის დეკლარაცია. მასში ნათქვამი იყო, რომ თანამედროვე კონიუნქტურის პირობებში აღიარებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას; საქართველოს დამოუკიდებლობა ფრაქციისთვის წარმოადგენდა მიზნის მიღწევის საშუალებას; შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში „ინტერნაციონალისტები“ მხარს დაუჭერდნენ საქართველოსა და აფხაზეთის მიერთებას „რუსეთის ხალხების საერთო ოჯახთან“, ამ „საერთო ოჯახში“ მათი პოლიტიკური მოწყობის პირობების წინასწარ წამოყენების გარეშე (**Гаммахария, Гогия, 1997: 111**). ამრიგად, კონსტიტუციის გარშემო სეპარატისტთა მიერ ატეხილი აურზაური ვითარების დესტაბილიზაციის, აფხაზეთის ძირითადი კანონის მიღების ჩაშლის ინტერესებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე რეალური ავტონომიის, „ნამდვილი თვითმმართველობის“ მოპოვების მიზანს, როგორ ამას ამტკიცებს სეპარატისტული ისტორიოგრაფია (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 348**). ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა, მ. თარნავას თქმით, მიზნად ისახავდა მხოლოდ შეთანხმების ჩაშლას და მთავრობის კრიტიკას; „*ვმოქმედებით რა ასე, ერთდროულად ჩვენ ვეძებდით რსფსრ-თან ურთიერთობისა და მის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობას*“, – აცხადებდა მ. თარნავა (**Тондзе, 1996: 6**). აი ასეთი „პატრიოტები“ იყვნენ სახალხო საბჭოში წარმოდგენილი სეპარატისტები.

აფხაზეთის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიციის შესახებ სახალხო საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 თებერვალს მოხსენებით გამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მისასალმებელ სიტყვაში ვ. შარვაშიძემ განაცხადა: „*არც ერთ ჯგუფს არ შეუძლია განაცხადოს, რომ აფხაზეთი არაა რესპუბლიკის მთავრობისგან დავალებული იმისათვის, რომ მან ერთხელ თურქთა შემოსე-*

ვებისაგან დაგვიცვა, მეორედ – ჩრდილოეთის დესპოტიზსაგან – გენერალ დენიკინისაგან“. სახალხო საბჭოს ყველა წევრი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა ნ. რამიშვილს. თავის მოხსენებაში მინისტრმა უარყო ჭორები, თითქოს მთავრობას სურს შეკვეცოს აფხაზეთის ავტონომიური უფლებები, შეზღუდოს სახალხო საბჭო და ა. შ. პირიქით, მთავრობის სახელით ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ „აქ, აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მშენებლობის ერთადერთი გზაა აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განმტკიცება“ (Гамахария, Гогия, 1997: 101-102). მინისტრის ეს საკმაოდ ვრცელი და საინტერესო გამოსვლა პროკლამაციის სახით დაიბეჭდა და აფხაზურ დასახლებულ პუნქტებში გამოიკრა. სეპარატისტული ისტორიოგრაფია კი იტყუება, როცა ამტკიცებს, თითქოს ნ. რამიშვილი სახალხო საბჭოზე მუქარის შემცველი სიტყვით გამოვიდა (Бгажба О., Лакоба С., 2015: 348).

1920 წ. 22-23 თებერვალს სოხუმში აფხაზური ინტელიგენციის ყრილობა გაიმართა, რომელსაც გრიგოლ ზუხბაია, ვიანორ ანჩაბაძე და დიმიტრი გულია ხელმძღვანელობდნენ. მის მუშაობაში სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების მონაწილეობამ ყრილობა პოლიტიკურ ტრიბუნად აქცია. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართული ორიენტაციისა და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები. „ჩვენ, აფხაზები, რუსულ კულტურასთან ვართ ნაზიარები, გვართმევენ ამ კულტურას, ამ ენას და იტყუებით თავს გვახვევენ ქართულ ენას. ქართველები მოვიდნენ და წავართვეს ჩვენი კულტურა, ქართველები ძალმომროებით შემოიჭრნენ აფხაზეთში“, – ასეთი იყო ივანე მარღანიას პოზიცია. მას და სხვა სეპარატისტებს საკადრისი პასუხი გასცა ვარლამ მარვაშიძემ და ყრილობაც დატოვა. დ. ალანაის, ვ. ანჩაბაძის, მ. თარნავას, მ. უბირიას, ვ. ღურჯუას, დ. ემუხვარის გამოსვლებმა თვალნათლივ წარმოაჩინეს აფხაზურ ინტელიგენციაში არსებული უთანხმოებანი პოლიტიკური ორიენტაციისა და საკონსტიტუციო საკითხებში (Гамахария, Гогия, 1997: 102-105).

აფხაზური ინტელიგენციის ყრილობამ დაადასტურა კონსტიტუციის პროექტის სასწრაფოდ შემუშავებისა და დამტკიცების აუცილებლობა. სახალხო საბჭოში გრძელდებოდა მუშაობა ამ მიმართულებით. 1920 წ. 21 მაისს სახალხო საბჭომ აირჩია დელეგაცია (ვ. მარვაშიძე, დ. ემუხვარი, დ. ზახაროვი, გ. ზუხბაია, მ. თარნავა, ვ. ანჩაბაძე), რომელიც მალე თბილისს ეწვია. 1920 წ. 1 ივლისს დელეგაციამ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. დელეგაცია ითხოვდა აფხაზეთის აღიარებას საქართველოს ავტონომიურ ერთეულად, სახალხო საბჭოსა და მთავრობის კომპეტენციის საკითხების განხილვას. სოხუმში დაბრუნებულმა დელეგაციამ 1920 წ. 10 სექტემბერს სახალხო საბჭოს მოახსენა თბილისში ჩატარებული მუშაობის, აფხაზეთის კონსტიტუციის ორი ვარიანტის შემუშავების შესახებ. მათ საფუძველზე საკონსტიტუციო კომისიამ (გ. ზუხბაია, დ. ზახაროვი, მ. წულუკიძე, გ. კოროლიოვი, მ. თარნავა) ერთი პროექტი შეადგინა. რამდენიმე სხდომაზე მისი დეტალური მუხლობრივი განხილვის შემდეგ, 1920 წ. 16 ოქტომბერს სახალხო საბჭომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის საკუთარი ვარიანტი დაამტკიცა.

პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ დოკუმენტი შემუშავებულია 1919 წ. 20 მარტის „აქტის“ და საქართველოს კონსტიტუციის (პროექტის) საფუძველზე. პირველი მუხლის მიხედვით, აფხაზეთი მდინარე ენგურიდან ყუბანისა და თერგის ოლქების მიმდებარე კავკასიის ქედამდე შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით. როგორც ვხედავთ, სახალხო საბჭომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტში ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიერ პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი საზღვრები მიუთითა. კონსტიტუციის პროექტი ზუსტად მიჯნავდა ცენტრისა და ავტონომიის ფუნქციებს; აფხაზეთის კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება 15 დღის ვადაში განსახილველად გადასცემდა მას სენატს (უმადლეს სასამართლოს), რომლის კომპეტენციას განეკუთვნებოდა აფხაზეთის გაპროტესტებული კანონის მოქმედების შეჩერება. პროექტის თანახმად, აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლება მხოლოდ საერთოსახელმწიფოებრივი თანამდებობის პირებს ნიშნავდა, თანაც, შეძლებისდაგვარად, ადგილობრივ მკვიდრთაგან. აფხაზეთის მთავრობას შეეძლო რეკომენდაცია გაეწია აღნიშნულ თანამდებობებზე დასანიშნი პირებისთვის, ან, პირიქით, ეშუამდგომლა მათი განთავისუფლების თაობაზე. მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებების გარანტი აფხაზეთში იქნებოდა საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები აფხაზეთის ტერიტორიაზეც მოქალაქეობის უფლებით ისარგებლებდნენ (**Гамахария, Гогия, 1997: 105-108**).

1920 წ. 4 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა სახალხო საბჭოს დელეგაცია (3. შარვაშიძე, 3. ღურჯუა, დ. ზახაროვი, მ. უბირია, ი. ფაშალიდი, მ. ცაგურია, დ. ალანია, მ. თარნავა, მ. ბერულავა). 16 ნოემბერს ის ნ. ჟორდანიას შეხვდა. მთავრობის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ აფხაზეთის ავტონომიის საკითხი ეჭვგარეშეა, კონსტიტუციის შემუშავების პრეროგატივა კი მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის. აფხაზეთს ავტონომია უნდა მიეცეს, – განაცხადა ნ. ჟორდანიამ, – საერთო კონსტიტუციის მიღების შემდეგ; თუ ძირითადი კანონის დამტკიცება გაჭიანურდება, მაშინ გამოიცეს ჯერ დროებითი კანონი, რომელიც შემდგომში ქვეყნის კონსტიტუციის ცალკე თავი გახდება. ნ. ჟორდანიას ასეთი პოზიცია მისაღები იყო სახალხო საბჭოს დელეგაციისთვის.

ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა ის გარემოება, რომ დამფუძნებელი კრება არ დაეთანხმა *პარიტეტული საკონსტიტუციო კომისიის* შექმნას, როგორც ამას სახალხო საბჭოს 1919 წ. 20 მარტის აქტი და დელეგაციის მანდატი ითვალისწინებდა. აფხაზეთის კონსტიტუციის განხილვა, ქართული მხარის წინადადებით, გაიმართებოდა დამფუძნებელ კრებაში სახალხო საბჭოს წევრების მონაწილეობით. როცა ამის თაობაზე საბჭოს ეცნობა, მან 5 დეკემბერს დელეგაციის წევრები სოხუმში გამოიძახა მოხსენებისთვის. 6 დეკემბერს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა მ. ცაგურიას, დ. ალანიას და მ. თარნავას განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი უარს ამბობენ აფხაზეთის კონსტიტუციის შემოთავაზებული წესით

განხილვაში მონაწილეობაზე. განცხადება ცნობად იქნა მიღებული. თბილისიდან დელეგაციის წევრების უშედეგოდ დაბრუნების შემდეგ სახალხო საბჭოში კრიზისული ვითარება შეიქმნა. ვ. შარვაშიძემ 24 დეკემბერს თავისი და ასევე პრეზიდენტის წევრების გადადგომის საკითხიც კი დასვა კენჭისყრაზე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. სახალხო საბჭომ 1921 წ. 4 იანვარს მოიწონა დელეგაციის მიერ თბილისში გაწეული მუშაობა.

სახალხო საბჭოში შექმნილი კრიზისული ვითარება კარგად გამოიყენა საბჭოთმა რუსეთმა და მისმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა აგენტურამ. 1918 წ. გაზაფხულ-ზაფხულში განცდილი სამხედრო-პოლიტიკური მარცხის შემდეგ ბოლშევიკურმა მოძრაობამ აფხაზეთში სრული კრაზი განიცადა. მისი აღორძინება 1919 წ. გაზაფხულიდან იწყება, რასაც ხელი შეუწყო ორმა ფაქტორმა: დენიკინის მიერ დაკავებული შავი ზღვის გუბერნიიდან რეპრესიებს გამოქცეული ბოლშევიკების ჩამოსვლამ და სახალხო საბჭოს შუამდგომლობით (1919 წ. 20 მარტი), ბოლშევიკური გამოსვლების მონაწილეთა შეწყალებამ. ამის შემდეგ ნ. ლაკობაც კი 1919 წლის ზაფხულამდე კოდორის მაზრის კომისრად მსახურობდა. 1919 წ. აპრილში მოხერხდა დროებითი ბოლშევიკური კომიტეტის (ა. ბელიაკოვი, ს. კუნალიშვილი, მ. მგელაძე, ი. ჟვანია, ი. ხიოტი და სხვ.) შექმნა; იმავე წლის აგვისტოში კომუნისტებმა დააარსეს ახალი იატაკქვეშა კომიტეტი ს. კუნალიშვილის თავმჯდომარეობით. 1920 წელს აფხაზეთის საოლქო კომიტეტს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ი. ვიგრიანოვი, ნ. სვანიძე, ნ. აქირთავა და ს. კუნალიშვილი. ბოლშევიკებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტულ ნაწილს. მ. ცაგურია 1919 წლიდან იყო რუსეთის კომპარტიის წევრი. დ. ალანასა და ი. მარტანიასთან ერთად 1920 წ. გაზაფხულზე იგი დააპატიმრეს ბოლშევიკებთან თანამშრომლობისათვის; მ. თარნავა 1920 წლის ბოლოს აფხაზ ბოლშევიკებთან (ე. ეშბა, ნ. ლაკობა, კ. ინალ-იფა, მ. ლაკობა) ერთად რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ (კავბიურომ) თურქეთში მიავლინა, სადაც ახლადდაფუძნებული კომპარტიისათვის (იგი კავბიუროს ექვემდებარებოდა) დახმარება უნდა აღმოეჩინათ პროპაგანდისტულ საქმიანობაში, პირველ რიგში, კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის.

ბოლშევიკური მოძრაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო საქართველო-რუსეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ (1920 წ. 7 მაისი), რომელიც საქართველოში კომპარტიის ლეგალიზაციასაც ითვალისწინებდა. კომუნისტურ მოძრაობას რუსეთის საელჩო, პირადად ელჩი *სერგეი კიროვი* წარმართავდა. მისი მითითებით სოხუმში მოქმედებდა საგანგებო კომისია. მას ევალებოდა საელჩოსათვის ჯამუშური ცნობების მიწოდება. 1920 წ. ოქტომბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღკვეთა აფხაზეთში ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა (დააპატიმრა ს. კუნალიშვილი, ნ. სვანიძე და სხვები). დაგეგმილი ამბოხების მოთავეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გაგრის ფრონტზე განლაგებულ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ნაწილებთან, საიდანაც მოდიოდა შეიარაღება და დიდძალი ფი-

ნანსური დახმარება (20 მლნ. მან.). გაგრამი მოქმედი ე.წ. რევოლუციური კომიტეტი ჯაშუშურ მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, ფრონტის დასუსტების მიზნით აგიტაცია-პროპაგანდას უწევდა ქართული ჯარის ნაწილებს. ჯარისკაცთა ფორმაში გადაცმულმა ბოლშევიკებმა 1919 წ. ოქტომბერში სცადეს სოხუმში დისლოცირებული მეორე ქვეითი რაზმის იარაღის საწყობის გაძარცვა (**ჩაჩხიანი, 2014: 326**). 1920 წ. მაისიდან გაგრის ბოლშევიკურ კომიტეტს ჰყავდა თავისი საბრძოლო რაზმი. საქართველოზე წითელი არმიის შეტევის შემთხვევაში მას შეიარაღებული აჯანყება უნდა დაეწყო. რაზმის უშუალო ამოცანას გაგრის ქართული ფრონტის ლიკვიდაცია, „ქართული ფრონტის ზურგის მოშლა“ წარმოადგენდა. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას თან ახლდა მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, „ავრცელებდნენ ხმებს აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების შესახებ, ურჩევდნენ აფხაზებს რუსეთთან შეერთებას“ (**Гамахария, Гогия, 1997: 456, 785-786**).

1920 წ. შემოდგომაზე სახელმწიფომ განახორციელა ზომები გაგრა-ბიჭვინთის ზონაში ქართული გარნიზონის გასაძლიერებლად. შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად გენერალი დავით ართმელაძე დაინიშნა (**ჩაჩხიანი, 2014: 365-366**). 1920 წ. ბოლოსათვის აღიკვეთა ადგილობრივ ბოლშევიკთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, თუმცა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა 1921 წ. იანვარში კვლავ იწყეს აღორძინება. 1921 წ. 2 იანვარს სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი რუსეთის კომპარტიის ცეკა-ს არწმუნებდნენ საქართველოს ძალით გასაბჭოების აუცილებლობაში და წერდნენ, რომ საჭირო არ არის უშუალო თავდასხმა, არის „შესაძლებლობა დავიწყით მოძრაობა აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაში“ (**გამახარია, 2007c: 339**). იმავე წლის 25 იანვარს საბჭოთა რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე თბილისში პავლე სიტინი მოსკოვს აცნობებდა, რომ მუშაობა აფხაზეთში წარმატებით მიდის, შექმნილია აქტიური პარტიული მუშაკების კოლექტივი, სოხუმის გარნიზონში კი სამკაცციანი რევოლუციური კომიტეტი მოქმედებდა. პ. სიტინის შეფასებით, 1920 წ. ბოლოს თბილისში კონსტიტუციურ საკითხებზე მუშაობის ჩაშლამ აფხაზეთში უკმაყოფილება გამოიწვია და „ეს ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს ჩვენთვის“ (**Борьба за октябрь, 1967: 172-173**).

რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მითითებით, 1921 წ. 14 თებერვალს აფხაზეთში ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტი ჩამოყალიბდა ისაკი ჟვანიას (თავმჯდომარე) მ. კარგაროდსკაიას (კავბიუროს წარმომადგენელი) და ე. სვერდლოვის შემადგენლობით. 18 თებერვალს შეიქმნა აფხაზეთის დროებითი რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელშიც შევიდნენ ი. ჟვანია (თავმჯდომარე), ე. სვერდლოვი და მ. ცაგურია (**Борьба за октябрь, 1967: 175-176**). ამრიგად, არ შეესაბამება სინამდვილეს სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცება, თითქოს „1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში აფხაზეთის რევკომი შეიქმნა ე. ეშბას, ნ. ლაკობას, ნ. აქირთავას შემადგენლობით“ (**Бгажба О., Лакоба С., 2015: 354**). დროებითი რევკომის ამოცანას ადგილობრივი რევკომებისა და მეამბოხეთა რაზმის ფორმირება წარმოადგენდა. იმ დღეებში მ. ცაგურიამ მიიღო კავბიუროს წარ-

მომადგენლის *ალექსი საჯაიას* წერილი, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ მალე მოხდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და აფხაზეთს თვითგამორკვევის უფლება მიეცემოდა; წერილის ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ სახალხო საბჭოს დამოუკიდებელთა ფრაქცია ყველა ზომას მიიღებდა „აფხაზეთის მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის... შემოდგოა წინასწარ ვთქვა, – წერდა ა. საჯაია, – რომ აფხაზეთს აქვს უფლება ისეთივე თავისუფალი განვითარებისა, როგორიც მისცა საბჭოთა რუსეთმა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა მცირერიცხოვან ხალხს“ (**Борьба за октябрь, 1967**: 175). მოტანილი მასალები ადასტურებენ, რომ „რევოლუციური“ მოძრაობა აფხაზეთში ინსპირირებული იყო გარედან და იმართებოდა არააფხაზი ბოლშევიკების მიერ. მათ გაითვალისწინეს 1918 წლის გამოცდილება და თავიანთი პროპაგანდისტული საქმიანობა არა ინტერნაციონალურ, კომუნისტურ დოგმებზე, არამედ ნაციონალისტურ, სეპარატისტულ, აფხაზეთის საქართველოსაგან „განთავისუფლების“ იდეებზე ააგეს.

1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. ქართული შეიარაღებული ძალები, მიუხედავად გმირული წინააღმდეგობისა, ვერ უმკვლავდებოდნენ დიდი უპირატესობის მქონე მტრის შემოტევას. ამ ვითარებაში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ. 21 თებერვალს მოასწრო რესპუბლიკის ძირითადი კანონის – *კონსტიტუციის* მიღება. კონსტიტუციის 107-ე მუხლი ადგენდა: „*საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოკრუგი), სამხედრო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოკრუგი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური თვითმმართველობა*“ (**საქართველოს დემოკრატიული, 1990**: 476). იმავე კონსტიტუციის 108-ე მუხლის შესაბამისად, 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა აგრეთვე კანონი „*ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების შესახებ*“ (**Гамахария, Гогия, 1997**: 108-110, 466-469, 787). მის პროექტს, რომელიც დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა და 1920 წ. 21 დეკემბერს დაამტკიცა, საფუძვლად დაედო სახალხო საბჭოს მიერ 1920 წ. 16 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის ზემოთ განხილული პროექტი. კანონის მიხედვით, ავტონომიურ აფხაზეთს საშინაო საკითხების მართვა-გამგეობაში ფართო უფლებები ენიჭებოდა. მაგრამ ყოველივე ეს ამაო გამოდგა. საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარები საქართველოს სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ. 1921 წ. მარტში დასრულდა საქართველოს სრული ოკუპაცია მისი შემდგომი ანექსიით. დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ისტორიაში, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

1917-1920 წლები – უმნიშვნელოვანესი ეტაპია აფხაზეთის ისტორიაში. აფხაზეთი, რომელიც 1864 წლიდან წარმოადგენდა რუსულ ადმინისტრაციულ ერთეულს – სოხუმის ოკრუგს (1864-1883 წლებში – სოხუმის სამხედრო განყოფილებას) საქართველოს შემადგენლობაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტად – ავტონომიურ აფხაზეთად გარდაიქმნა. ავტონომიის სტატუსი საქართველოს კონსტიტუციაში

დაფიქსირდა. სოხუმის ოკრუგის უფროსების (რუსი ოფიცრების) ნაცვლად, ამიერიდან ავტონომიურ აფხაზეთს დემოკრატიული წესით არჩეული *სახალხო საბჭო* და მის მიერ დამტკიცებული მთავრობა მართავდა ეთნიკური აფხაზებით სათავეში. გაგრის ზონის შემოერთებით აფხაზეთის ტერიტორია მდ. ფსოუმდე გაფართოვდა. აღმოიფხვრა ეროვნებათაშორისი შუღლი და დაპირისპირება, რომელიც ათწლეულების მანძილზე მიზანმიმართულად ინერგებოდა, შეიქმნა ყველა პირობა აფხაზეთის ეროვნულ-კულტურული, თავისუფალი განვითარებისთვის.

§3. საეკლესიო ცხოვრება აფხაზეთში 1917-1921 წლებში

ქართულმა სამღვდელოებამ ისარგებლა რუსეთის 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით და იმავე წლის 25 მარტს საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევამდე ეკლესიის მართვა-გამგეობა დროებით კომიტეტს დაევალა (**საქართველოს მართლმადიდებელი, 2016**). 1917 წ. 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღიარა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალია. 1917 წ. 25 ივლისს რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა „*რუსეთის სახელმწიფოში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის დროებითი წესები*“. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში, რუსეთის იმპერიის მასშტაბით არსებული ქართული სამრევლოების გარდა, გაერთიანება სურვილისამებრ შეეძლოთ ასევე აფხაზებს, ოსებს და სხვა ერის წარმომადგენლებს. 1917 წ. 11 ივლისს უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა „*ამიერკავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის დროებითი წესებიც*“. საქართველოს საეგზარქოსო კავკასიის საეგზარქოსოდ გარდაიქმნა, რომელსაც კავკასიის ეგზარქოსი და თბილისის მიტროპოლიტი უხელმძღვანელებდა. უწმინდესი სინოდის ამ გადაწყვეტილების ძირითადი დებულებები მთავრობამ 1917 წ. 6 ოქტომბერს დააკანონა (**სცსსა: ფ. 489, ანაწ. 1, ს. 60353, ფ. 2, 7-9; კალისტრატე ცინცაძე, 2010: 426-427**).

მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოში ფილექტიზმის ანტიკანონიკურ პრაქტიკას ამკვიდრებდნენ, მაგრამ ისინი მაინც იძლეოდნენ ქართული ეკლესიის ტერიტორიული პრინციპით აღდგენის შესაძლებლობას. ეს კი დიდად იყო დამოკიდებული სოხუმის ეპარქიაზე. ახლად ჩამოყალიბებული კავკასიის რუსული საეგზარქოსო და სოხუმის ეპისკოპოსი *სერგი (პეტროვი)* ყველა ღონეს მიმართავდნენ რუსული ეკლესიის გამგებლობაში სოხუმის ეპარქიის შესანარჩუნებლად. ქართული ეკლესია კი, პირიქით, თავის კანონიკურ ტერიტორიაზე – სოხუმის ეპარქიაზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას ცდილობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1917 წ. 12 აპრილს სოხუმში გამართული საეპარქიო კრება. მასში ძირითადად ქართული სამღვდელოება მონაწილეობდა, რომელიც სოხუმის ეპარქიაში შემავალ სამრევლოთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა.

1917 წ. 24-27 მაისს სოხუმში აფხაზთა საეკლესიო ყრილობაც გაიმართა. მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „საეკლესიო ყრილობა“, ვინაიდან დელეგატების ძირითად ნაწილს სხვადასხვა აღმსარებლობის საერო პირები წარმოადგენდნენ. ამასთან, 1917 წლისთვის სოხუმის ეპარქიაში მომსახურე ასზე მეტი სასულიერო პირიდან ეთნიკურად აფხაზი იყო რვა. ყრილობის მუშაობას კომუნისტურ-ათეისტური ორიენტაციის აფხაზი საზოგადო მოღვაწეები (*სიმონ ბასარია, სამსონ ჭანბა, მიხეილ თარნავა* და სხვები) წარმართავდნენ. საეკლესიო ყრილობის თავმჯდომარედ პელაგოგი *სიმონ ბასარია* იქნა არჩეული, თანათავმჯდომარედ – მუგუძირხვის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის მღვდელი *ვასილ აგრბა* – კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი (?!). ყრილობას სიტყვით მიმართა აფხაზი კომუნისტების მომავალმა ლიდერმა *ნესტორ ლაკობაძე*. საეკლესიო საკითხზეც მოხსენება კომუნისტური ორიენტაციის მქონე მიხეილი თარნავამ გააკეთა.

მომხსენებელი უხეშად ამახინჯებდა ისტორიას – „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს ეთნიკურ აფხაზთა ნაციონალურ საეკლესიო ორგანიზაციად ასაღებდა. მიუხედავად ამისა, მიღებულ იქნა საკმაოდ გაწონასწორებული რეზოლუცია, რაც ყრილობაზე წარმოდგენილი აფხაზი თავადებისა (*ალექსანდრე მარვაშიძე, ტატაშ მარშანია* და სხვ.) და საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის (*პარმენ გოთუა, გენერალი ვასილ გაბაშვილი, დავით ნიჟარაძე* და სხვ.) დამსახურება იყო (**საქართველოს მართლმადიდებელი, 2016: 115, 133-135**). არ გამართლდა რუსული სამღვდლოების იმედები აფხაზური სამრევლოების რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში დარჩენის თაობაზე. ყრილობამ მოითხოვა დამოუკიდებელი აფხაზური ეკლესიის ჩამოყალიბება, რომელსაც აფხაზი ხალხის მიერ არჩეული ეპისკოპოსი უხელმძღვანელებდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა უწმინდეს სინოდს, *ეზარქოს პლატონს* და უფის (სოხუმის ყოფილ) ეპისკოპოს *ანდრიას (უხტომსკი)*. ყრილობა მიესალმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და იმედი გამოთქვა, რომ იგი ჩვეულ სიყვარულს გამოიჩენდა „აფხაზური ეკლესიის“ მიმართ. თავის მხრივ, ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობა მიესალმა ყრილობის მონაწილეებს და აღუთქვა ყოველგვარი დანმარება „*ჩვენთვის მოძვე აფხაზური ეკლესიის აყვავებაში*“ (**საპატრიარქოს უწყებანი, 2011: 5-8**). აფხაზთა საეკლესიო ყრილობას სამურზაყანოს სამღვდლოების კრება მოჰყვა. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას. 1917 წლის 3 ივნისს კრებას ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობა მიესალმა (**გამახარია, 2005: 781**).

რუსული სამღვდლოება ცდილობდა არ დაეშვა სოხუმის ეპარქიის ქართულ ეკლესიასთან გაერთიანება. 1917 წ. ივლისიდან კავკასიის ეგზარქოს პლატონისა და სოხუმის ეპისკოპოს სერგის ძალისხმევით, ამიერკავკასიის საეკლესიო მოწყობის საკითხი გადაეცა რუსეთის საეკლესიო კრებას (გაიხსნა 1917 წ. 15/28 აგვისტოს), რომლის მუშაობაში აფხაზი სასულიერო პირები არ მონაწილეობდნენ. აღნიშნული კრების XVIII განყოფილებამ მიიღო სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძ-

ღვრის გიორგი გოლუბცოვის წინადადება სოხუმის ეპარქიის თვითმდგომ აფხაზეთის ეპარქიად გარდაქმნის შესახებ იმავე საზღვრებში მდინარე ენგურიდან ანაპამდე. XVIII განყოფილების ამ გადაწყვეტილებას რუსეთის პატრიარქი ტინონიც დაეთანხმა. შემდგომში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის პირველი კრება 1917 წ. 8-17 სექტემბერს გაიმართა. აფხაზეთ-სამურზაყანომ კრებაზე 22 დელეგატი მოავლინა. მათ შორის რაფიელ ჩქოტუა, მოგვიანებით აფხაზეთის საქმეთა მინისტრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში, რომელიც კრებაზე სიტყვიტაფ გამოვიდა. აღორძინებული ეკლესიის საჭეთმპყრობელად ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) იქნა არჩეული. დამტკიცდა ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომელიც ითვალისწინებდა ცხუმ-ბედიის ეპარქიის შექმნას ადგილსამყოფელით სოხუმში. ვინაიდან ქართული ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთზე ჯერ კიდევ სრულად არ ვრცელდებოდა, ცხუმ-ბედიის ეპარქია დროებით ჭყონდიდის ეპარქიას მიეწერა. ჭყონდიდის მიტროპოლიტის ამბროსის (ხელაია) ძალისხმევითა და კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მხარდაჭერით, 1917 წლის ბოლოსათვის მოხერხდა აფხაზეთის ქართული სამრევლოების უმრავლესობის /55 სამრევლო/ (გამახარია, 2005: 748-749, 783-786) დროებით ჭყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში გადმოყვანა. 1918 წ. 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, მის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამ და იქ ვითარების სტაბილიზაციამ დღის წესრიგში დააყენა სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციის საკითხიც. სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი), რომლის დაქვემდებარებაში ჯერ კიდევ რჩებოდა 40 სამრევლო სოხუმის საკათედრო ტაძრის ჩათვლით, სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით უმაღლეს საეკლესიო მმართველობას ემორჩილებოდა. საქართველოს ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წ. 25 აპრილის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოგვარება მიტროპოლიტ ამბროსის დაევალა, რომელმაც იმავე წლის მაისში აფხაზეთში იმოგზაურა და დიდი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა.

1919 წ. 1 სექტემბერს ავტონომიური აფხაზეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ. საეკლესიო ქონება აფხაზეთის საკუთრებაში გადავიდა, საეპისკოპოსო კათედრა ვაკანტურად გამოცხადდა (Гаммахария, Гогия, 1997: 450-451). საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წ. 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ეპარქიის დროებით მმართველად მიტროპოლიტი ამბროსი დაინიშნა. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ 1919 წ. 7 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრება გაიმართა, რომელსაც 350 დელეგატი ესწრებოდა. კრებამ მოისმინა მიტროპოლიტი ამბროსის (ხელაია) მოხსენება და ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. ამიერიდან სოხუმის ეპარქია, რომელსაც კრების დადგენილებით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა, დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად მიტროპოლიტი ამბროსი ერთხმად იქნა არჩეული (გამახარია, 2012: 113-117).

1919 წ. 17-23 ოქტომბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი *ლეონიდე (ოქროპირიძე)* სტუმრობდა. 19 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა საკათედრო ტაძარში სწირა ქართველი, ბერძენი და რუსი სასულიერო პირების თანამწირველობით. წირვაც ქართულ, ბერძნულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. იმავე დღეს მოხდა ბერძენი და რუსი მღვდლების კურთხევაც. თბილისში დაბრუნებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა 1919 წ. 28 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა მოიწვია, რომელმაც აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები დაამტკიცა (**გამახარია, 2006a: 241-281**).

აფხაზეთში განხორციელებული რეფორმა არ მოსწონდათ შოვინისტებს და ადგილობრივ სეპარატისტებს. 1919 წ. 18 ნოემბერს ეს საკითხი აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე განხილვისა და ცხარე დებატების საგანი გახდა. ოპონენტებმა აფხაზეთში ჩატარებული საეკლესიო რეფორმა ანტიკანონიკურად გამოაცხადეს, რითაც თითქოს დაირღვა სინდისის თავისუფლება. ოპონენტებს დასაბუთებული პასუხი გასცა ავტონომიური აფხაზეთის განათლების კომისარმა *ივანე ლორთქიფანიძემ*. დებატებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრმა *ივანე ფაშალიძემ*. მან დაიცვა აფხაზეთის მთავრობის პოზიცია და ხაზი გაუსვა ქართული ეკლესიის ისტორიულ უფლებას იყოს ავტოკეფალური (**გამახარია, 2005: 820-821**).

საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელებას არ ცნობდა რუსული სამღვდლოება. *ანტონ დენიკინმა* საჩივრითაც მიმართა სამხრეთ რუსეთში ბრიტანეთის მისიას. რუსეთის თეთრგვარდიული მთავრობის წარმომადგენელმა სერგეი საზონოვმა კი ეს საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაიტანა, მანვე სოხუმის ეპარქიაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე დამახინჯებული ცნობები მიაწოდა *ლორდ კერზონს* – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სამხრეთ კავკასიაში *ოლივერ უორდროპმა* 1919 წ. ნოემბერში აღნიშნულ საკითხზე ახსნა-განმარტება მოითხოვა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა *ევგენი გეგუჭორმა* მას მიაწოდა საკათალიკოსო საბჭოს მიერ 1919 წ. 25 დეკემბერს სპეციალურად მომზადებული ცნობა სოხუმის ეპარქიაში განვითარებული მოვლენების შესახებ. დოკუმენტი შეიცავდა პასუხს დიდი ბრიტანელებისთვის საინტერესო ყველა კითხვაზე (**გამახარია, 2006a: 291-295**).

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დელეგაციამ მიტროპოლიტ ამბროსის მეთაურობით აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის მესამე კრების მუშაობაში, რომელიც 1920 წ. 27 ივნისს გაიხსნა. სხვა საკითხებთან ერთად კრებამ იმსჯელა აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ და დაადგინა, რომ „*საქართველოს ეკლესიებში დაწესებულ იქმნეს რომელიმე დიდ საუფლო დღეს მორწმუნეთა მორის კეთილმნებლობითი შემოწირულობის შეკრება აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების საჭიროებათათვის*“. კათოლიკოს-პატრიარქი *ლეონიდე (ოქროპირიძე)* დიდ ყურადღებას აქცევდა აღნიშნული დადგენილების შესრულებას. კრების დელეგატებმა აფხაზეთიდან 1920 წ. 15 ივლისს საქართველოს მთავრობის თავმჯ-

დომარეს *ნოე ჟორდანიას* მოხსენება წარუდგინეს. აფხაზეთა სრული გამაჰმადიანების თავიდან აცილების მიზნით, მოხსენების ავტორები ითხოვდნენ დრანდის მონასტრისთვის ჩამორთმეული სტამბის დაბრუნებას, ასევე საჭირო თანხის გამოყოფას ქართულ-აფხაზეთურ ენებზე საეკლესიო წიგნებისა და გალობების გამოსაცემად (**გამახარია, 2005: 825-826**).

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ფინანსური პრობლემებისა, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სხვა სიძნელეებისა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია აშკარად დაადგა აღორძინების გზას. 1919-1920 წლებში აშენდა ეკლესიები და გაიხსნა სამრევლოები *კოჩარაში, ვარჩეში, ლეჩქოფში, წებელდაში, II ჩხორთოლში, ოტობაიაში* და ა. შ. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში შემოვიდნენ *გაგრის, აბგარხუკის, ბომბორის* და სხვა ეკლესიები, რომლებსაც, მიზეზთა გამო, 1919 წ. 7 ოქტომბერს მონაწილეობა არ მიუღიათ აფხაზეთის სამღვდლოების კრების მუშაობაში. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ერთი წლის განმავლობაში სამრევლოთა რაოდენობა 93-დან ასამდე გაიზარდა. ბოლო მოედო ეროვნული ნიშნით მრევლის დისკრიმინაციას. მართლმადიდებელ ერებს – ქართველებს, აფხაზებს, ბერძნებს, რუსებს მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების შეუზღუდავი უფლება მიეცათ.

თაზი X. საბჭოთა აფხაზეთი 1921-1953 წლებში

§1. აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში 1921-1937 წლებში

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების IX არმიის 31-ე დივიზიამ – 1921 წ. 4 მარტს სოხუმი დაიკავა. ავტონომიური აფხაზეთის ხელმძღვანელი *არზაყან ემუხვარი* ემიგრაციაში წავიდა. აფხაზეთის დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა *ისაკი ჟვანიას* თავმჯდომარეობით იმავე წლის 6 მარტს ძალაუფლება გადასცა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიურო) მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს) *ეფრემ ეშბას* (თავმჯდომარე), *ნესტორ ლაკობას* (თავმჯდომარის მოადგილე) და *ნიკოლოზ აქირთავას* შემადგენლობით. 1921 წ. ივნისში რევკომის წევრები დამატებით გახდნენ აფხაზეთის შსს სახალხო კომისარი *ჰეტრე აღნიაშვილი* და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი *ხოროშვი* (**კომუნისტი**: 29.06.1921).

იძულებით გასაბჭოებული აფხაზეთი კავბიუროს გამგებლობის ქვეშ მოექცა. აფხაზეთის რევკომის წევრებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საბოლოო პოზიცია რეგიონის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით, თუმცა ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე ქართველი და აფხაზი ბოლშევიკები მოსკოვში შეთანხმდნენ ავტონომიის უფლებებით აფხაზეთის საქართველოს სსრ შემადგენლობაში შესვლის თაობაზე (**Ментешашвили, 1998**: 59). აღნიშნული შეთანხმება სხვა ფორმით იქნა რეალიზებული. 1921 წ. მარტის დასაწყისში აფხაზეთის რევკომმა კავბიუროს სთხოვა განმარტება რამდენიმე საკითხზე: ა) *თურქეთის შესახებ*, ბ) *მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის (მათ შორის აფხაზეთისა) ურთიერთობის შესახებ*, გ) *აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ* (**Сагария, 1981**: 41). კონკრეტული წინადადების შემუშავება მოხდა აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა ორ თათბირზე, რომლებსაც წარმართავდნენ კავბიუროს წარმომადგენლები *ლიაკი (Ляк)*, *ივანიცკი* და რუსეთის IX საოკუპაციო არმიის სამხედრო საბჭოს წევრი *ეპშტეინი*. ამ სამი პიროვნების კარნახით, აფხაზეთის რევკომის მიერ ვ. ლენინისა და ი. სტალინის სახელზე 1921 წ. 26 მარტს გაიგზავნა წერილი შუკიტხვით: საბჭოთა აფხაზეთი დამოუკიდებელი (самостоятельная) რესპუბლიკა იქნება თუ ადმინისტრაციული ერთეული და როგორი იქნება საერთო პოლიტიკა აფხაზეთში (**Дзидзария, 1957**: 31). წერილის ავტორები ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსსაც არ თაკილობდნენ, მაგრამ სასურველად მიიჩნევდნენ აფხაზეთის გამოცხადებას საერთო რუსულ ფედერაციაში შემავალ დამოუკიდებელ რესპუბლიკად. აღნიშნული წინადადება მოტივირებული იყო მოსახლეობის ვითომდა ანტიქართული განწყობით. ასეთივე შინაარსის წერილები გაიგზავნა როსტოვში კავბიუროს სახელზე და თბილისში იმავე კავბიუროს ხელმძღვანელთან – *გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძესთან*. ეს უკანასკნელი 27 მარტს დაეთანხმა „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად აფხაზეთის გამოცხადების იდეას, მაგრამ უარი თქვა რუსეთთან ფედერირებაზე იმ მოტივით,

რომ დასავლეთი ამას რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიად ჩათვლიდა (**Орджоникидзе, 1956b**: 200-201; **Ментешашვილი, 1998**: 59-60).

1921 წ. 28 მარტს ბათუმში გაიმართა საოკუპაციო ორგანოთა –კავბიუროს, საქართველოს კომპარტიისა და აფხაზეთის რევკომის წარმომადგენელთა თათბირი გრიგოლ ორჯონიკიძის, შალვა ულიაშვილს, სერგო ქავთარაძის, მაღაქია ტოროშელიძის, ევრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მონაწილეობით. მათ განიხილეს საკითხი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის სტრუქტურის შესახებ და დაადგინეს: „აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე (ხაზგასმა ჩვენია – **ჯ.გ.**) საბჭოთა აფხაზეთის რსფსრ-სთან თუ საქართველოს სსრ-თან ფედერაციის საკითხი რჩება ღიად და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ რესპუბლიკად. პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდე (ხაზგასმა ჩვენია – **ჯ.გ.**) ატარებს სახელს – რკპ(ბ)-ს ორგბიურო აფხაზეთში და მუშაობს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს დირექტივების შესაბამისად. საქართველოს რევკომის დეკრეტები უნდა წარმოადგენდნენ მასალას (აფხაზეთის) რევკომისათვის, რათა ორივე რევკომის მოქმედებაში წინააღმდეგობა არ იყოს“ (**Гамахария, Гогия, 1997**: 469). თათბირის ეს გადაწყვეტილება გახდა 1921 წ. 31 მარტს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (ასსრ) გამოცხადების საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წელს აფხაზეთის საკითხი ერთხელაც არ გამხდარა საბჭოთა რუსეთის ცენტრალური პარტიული თუ სახელმწიფო ორგანოების მსჯელობის საგანი. არც ვ. ლენინს ჰქონია რაიმე შეხება აფხაზეთის საკითხთან, მისი სტატუსის დადგენასთან. აფხაზეთიდან ვ. ლენინის სახელზე გაგზავნილი არც ერთი წერილი, მიმართვა პირადად მას არ მიუღია, არ განუხილავს და არც პასუხი გაუცია. აფხაზეთთან დაკავშირებული ყველა პრობლემა თბილისში კავბიუროს სხდომებზე, ან გ. ორჯონიკიძესა და რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარს (მინისტრს) – ი. სტალინს შორის სიტყვიერი შეთანხმებით წყდებოდა. შესაბამისად, სრულიად უსაფუძვლოა აფხაზეთის სსრ-ის გამოცხადების ვ. ლენინის სახელთან დაკავშირება, როგორც ამას აკეთებს სეპარატისტული ისტორიოგრაფია (**Бгажба О., Лакоба С., 2015**: 355).

აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“, რომელსაც არავინ აღიარებდა, იყო წმინდა წყლის ფიქცია. ეს ფიქტიური სტატუსი მოგონილი იყო საქართველოს დამომინების, მისი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ სწრაფვის დათრგუნვის მიზნით. რუსეთის ყოფილმა სამხედრო ატაშემ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰავლე სიტინმა, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც აგრძელებდა თბილისში თავის ჯაშუშურ საქმიანობას, 1921 წ. 22 აპრილს მოსკოვს „ქართული შოვინიზმის“ (ანუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის) წინააღმდეგ ბრძოლის „გეგმა“ წარუდგინა. სხვადასხვა ზომებთან ერთად (ჯარების განლაგება უპირატესად თურქეთის საზღვართან, სამეგრელოს ავტონომიზაცია, რუსული მოსახლეობის მხარდაჭერა და გააქტიურება, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსკოვისათვის გადაცემა), ეს გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის საზღვრის გადატანას მდინარე ბზიფამდე, აფხაზეთში პლებისციტის ჩატარებას და რუსეთთან მის მიერთებას; სხვა შემთხვევა-

ში, წერდა პ. სიტინი, აფხაზეთი მთიელთა რესპუბლიკასთან გაერთიანდებოდა და მაშინ, გართულებების დროს, რუსეთს შეექმნებოდა „დაბრკოლება ზღვიდან ზღვამდე“ (Гамахария, Гогия, 1997: 470-471). ამრიგად, პ. სიტინის გეგმა არსებითად არ განსხვავდებოდა ა. დენიკინის ზემოხსენებული გეგმისაგან.

საქართველოს რევკომმა 1921 წ. 21 მაისის დეკლარაციით აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა და იქვე გამოთქვა იმედი, რომ საქართველოსთან მისი ურთიერთობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა ორივე რესპუბლიკის „მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე“ (Гамахария, Гогия, 1997: 473-474). ისმის კითხვა: რა მიზნით შეიქმნა აფხაზეთის სსრ? ოფიციალური ვერსიით, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დროებითი გამოცხადება მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების იდეის განმტკიცებას, აგრეთვე მენშევიკების მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის ვითომ დათესილი ეროვნული შუღლის აღმოფხვრას; აფხაზეთის სსრ-ის გამოცხადებით ბოლშევიკები, რომლებიც გაჰყვიროდნენ საქართველოს მიერ აფხაზეთის ოკუპაციის, ჩაგვრის შესახებ, ცდილობდნენ აფხაზების „განთავისუფლების“, 1918-1920 წლებთან შედარებით „უფრო ფართო“ უფლებების მინიჭების ილუზიის შექმნას. უნდა ითქვას, რომ რეგიონის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებით აფხაზთა შორის ადრე არაპოპულარული საბჭოთა იდეის განმტკიცების მიზანი ნამდვილად იქნა მიღწეული. ამიერიდან საბჭოთა ხელისუფლება აფხაზისთვის „დამოუკიდებლობასთან“ გაიგივდა. რაც შეეხება ქართველთა და აფხაზთა შორის ეროვნული შუღლის აღმოფხვრას, რეალურად ასეთი მიზანი საბჭოთა ხელისუფლებას არც დაუსახავს. პირიქით, აფხაზეთის სსრ-ის გამოცხადებით მეფის რუსეთის (და არა მენშევიკების) მიერ დათესილი შუღლი და უნდობლობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

ამ საკითხზე ქართულ პრესაში 1921 წ. ივნის-ივლისში რამდენიმე უადრესად მწვავე წერილი გამოქვეყნდა (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **დარსანია, 2000**). „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში, ისევე როგორც თავის დროზე მეფის რუსეთში, გაძლიერდა ანტიქართული პროპაგანდა, ქართველთა დევნა-შევიწროება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეროვნული შუღლის გაღვივება და ამ მოტივით საქართველოსაგან მისი ჩამოცილების გეგმის განხორციელება იყო, რასაც ცალსახად ადასტურებს პ. სიტინის ზემოთ მოტანილი მოხსენებაც. აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ წარმოდგენდა მხოლოდ პირველ ნაბიჯს ამ გეგმის რეალიზაციის გზაზე, მიზნის მიღწევის ერთგვარ შუალედურ მოდელს, პოლიტიკური მოწყობის გარდამავალ ფორმას იმ ეტაპისათვის, როცა რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ რეგიონი გასაბჭოებელი საქართველოს იურისდიქციის მიღმა დააფიქსირა და ღიად დატოვა მისი შემდგომი ბედის (რუსეთთან თუ საქართველოსთან შეერთების) საკითხი.

აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის მცდელობა ქართულმა საზოგადოებამ ჩაშალა; ზედმეტი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ი. სტალინი და გ. ორჯონიკიძე, ეტყობა, არ წავიდნენ მორიგ მძიმე დანაშაულზე, სამაგიე-

როდ მარჯვედ გაითამაშეს „აფხაზეთის კარტი“ ურჩი საქართველოს დასასჯელად. აფხაზეთის დროებით „დამოუკიდებლობას“ რუსეთი იყენებდა საქართველოზე ზეწოლისათვის და აიძულებდა მას შეგუებოდა საბჭოთა წყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდა მხოლოდ „დროებით ჩამორთმეულ“ ტერიტორიას; აფხაზეთს კი ამ დროს მოჩვენებითი დამოუკიდებლობის უფლება საბჭოთა რუსეთისადმი გაორკვებული ერთგულებით უნდა დაემსახურებინა, თუ არ სურდა კვლავ საქართველოსთან მიერთება.

აფხაზეთის ახლადმოვლენილი ლიდერები ე. ეშბა და ნ. ლაკობა მუდმივად უსვამდნენ ხაზს, რომ „დამოუკიდებლობა“ გამოცხადდა დროებით, „ერთი წუთით“, რომ ეს იყო მხოლოდ „აბრა“ (გამახარია, 1991: 117-118). საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიურომ 1921 წ. 14 მაისს მოისმინა ე. ეშბას მოხსენება აფხაზეთში მშრომელთა ყრილობის მზადების შესახებ. ბიურომ დაადასტურა ბათუმის 1921 წ. 28 მარტის თათბირის გადაწყვეტილება (მსს არქივი: ფ. 14. ანაწ. 1. ს. 8, ფ. 22). აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების I ყრილობა კი 1921 წ. 28 მაისს გაიმართა და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან, „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობით, ყოფით ყველაზე ახლოს მდგომი საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“ უმჭიდროესი კავშირის დამყარების შესახებ; ყრილობამ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების I ყრილობა „საბოლოოდ განსაზღვრავდა აფხაზეთისა და საქართველოს ძმური თანამშრომლობის ფორმებს“ (Укрепление, 1957: 44-51).

აფხაზეთი „ერთი წუთითაც“ არ ყოფილა რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. რეგიონის მმართველი პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების, მათი ხელმძღვანელების დამტკიცება ხდებოდა ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისში მოქმედი კავბიუროს გადაწყვეტილებით. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები აფხაზეთის რეკომს ქართულ ენაზე უგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“. საქართველოს შს სახალხო კომისარიატის ლტოლვილთა სამმართველომ ნ. სოკოლოვსკის ხელმოწერით 1921 წ. 3 აგვისტოს ცირკულარული წერილი გაუგზავნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაზრებისა და ქალაქების, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რეკომების თავმჯდომარეებს“ და მოსთხოვა, „არც ერთი ლტოლვილი არ იქნეს შემომკვებული საბჭოთა საქართველოს საზღვრებში“ (Гаммахария, Гогия, 1997: 482, ხაზგასმა— ჯ.გ.). შს სახალხო კომისარიატში იცოდნენ, რომ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ფაქტობრივად წარმომადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს ფარგლებში (გამახარია, 1991: 118-119).

საქართველოს რეკომიც აფხაზეთს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. 1921 წ. 14 აპრილის სხდომაზე მან განიხილა ტყვარჩელის მდაროების საკითხი, 21 აპრილს 1 მილიარდი მანეთის კრედიტი გაუხსნა აფხაზეთს, 30 მაისს იმსჯელა ბზიფის კონცესიების შესახებ (ეს საკითხი მრავალჯერ იქნა განხილული). იგივე საკით-

ნი საქართველოს კომპარტიის ცკ-მ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების დღეს – 1921 წ. 21 მაისს განიხილა და დაადგინა, რომ არაა წინააღმდეგი საქართველოს „მთავრობის მიერ ამ კონცესიის დადებისა, თუ ის არის სოლიდური და სასარგებლო“ (**გამახარია, 1991: 120-121**). საქართველოს კომპარტიაც აფხაზეთს „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად არ მიიჩნევდა და თავის თეზისებში აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ძალისხმევის გაერთიანება სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, ნაკარნახევია“ საერთაშორისო და სამინაო პირობებით (**გამახარია, 2007d: 342**) აფხაზეთის სსრ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებს შორის არ ჩანს.

კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკის გამტარებელი – კავბიურო აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად არ თვლიდა. აღნიშნული ორგანოს პლენარულ სხდომებს აფხაზეთის, მთიელთა რესპუბლიკისა და დაღესტნის, როგორც ავტონომიების, წარმომადგენლები მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ. 1921 წ. 2-3 ივლისს კავბიუროს პლენუმმა საჭიროდ ცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარება – „დამოუკიდებელ“ აფხაზეთზე კი საუბარი არ ყოფილა. აფხაზეთის სსრ რეალური სტატუსი ზოგჯერ უფრო დაბალი ჩანდა, ვიდრე დაღესტნისა და მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკებისა, ნახიჭევანისა და ყაბარდოსი. მათგან განსხვავებით, აფხაზეთი უშუალოდ არ შედიოდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში (შეიქმნა 1921 წ. აგვისტოში); იგი ვერ მოხვდა ასევე კავბიუროს მიერ 1921 წლის 16 აგვისტოს შექმნილ ეკონომიკურ ბიუროში, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებდა (**გამახარია, 1991: 121-122**).

აფხაზეთის დაბალ პოლიტიკურ სტატუსზე მიუთითებს კავკასიელი კომუნისტებისადმი ვ. ლენინის 1921 წ. 14 აპრილის წერილი, რომლის აღრესატები იყვნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკების ბოლშევიკური ორგანიზაციები, მაგრამ არა აფხაზეთი (**Ленин, 1970b: 198-200**). ის არ მოიხსენიება ვ. ლენინის მიერ 1921 წ. 28 ნოემბერს დაწერილ რკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიუროს დადგენილების პროექტში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ. მასში მხოლოდ საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზეა საუბარი (**Ленин, 1970a: 255**). აფხაზეთის სსრ ვ. ლენინს ორივეჯერ იმიტომ „გამორჩა“, რომ ოფიციალური მოსკოვი მას არ აღიარებდა და საქართველოს ფარგლებში გულისხმობდა. ეს ფაქტი ვ. ლენინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 1921 წ. 1 სექტემბერს, როცა მას წარუდგინეს საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების მიერ ბზიფის ხე-ტყის დამუშავების თაობაზე დადებული საკონცესიო ხელშეკრულება. ამასთან დაკავშირებით, ვ. ლენინმა მთავრობის საქმეთა მმართველის თანაშემწეს ვ. სმოლიანინოვს დაავალა, გაერკვია საქართველოს მთავრობამ (აფხაზეთისას არ ახსენებს) დაიცვა თუ არა ის პირობა, რომ რსფსრ-ის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ხელშეკრულებების დადება არ შეიძლება (**Ленин, 1980: 270**).

საბჭოთა რუსეთი მხოლოდ ფორმალურად ცნობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობას. 1921 წლის 2-3 ივლისს კავბიურომ მიი-

ლო გადაწყვეტილება „კავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარების“ შესახებ (Гамахария, Гогия, 1997: 475). სამივე რესპუბლიკასთან რუსეთმა დადო სამოკავშირეო ხელშეკრულებები (საქართველოსთან – 1921 წლის 21 მაისს), გაცვალა წარმომადგენლობები (ვაჩნაძე, გურული, 2007: 270). აფხაზეთი ასეთ „პატივს“ მოკლებული იყო. არ არსებობს საბჭოთა რუსეთის მთავრობის, რკპ(ბ) ცკ-ის, საკანონმდებლო ორგანოების – საბჭოების ყრილობებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ი) თუნდაც ერთი დოკუმენტი, სადაც აფხაზეთის დამოუკიდებლობაზეა საუბარი. რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი აფხაზეთს საქართველოს ნაწილად განიხილავდა. მისი ხელმძღვანელი იოსებ სტალინი 1921 წ. 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ის მდივანს აბელ ენუქიძეს წერდა: „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური ნაწილი, ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ-დან მას არ შეუძლია“ (Ментешашვილი, 1998: 67). ი. სტალინის ეს სიტყვები უარყოფენ მტკიცებას, თითქოს 1921 წ. 31 მარტიდან 1922 წ. 17 თებერვლამდე აფხაზეთი „იყო ფორმალურად დამოუკიდებელი როგორც საბჭოთა რუსეთისაგან, ისე საბჭოთა საქართველოსაგან“ (Бгажба О., Лакоба С., 2015: 356). ამგვარ მტკიცებას არც ნ. ლაკობას მიერ 1921 წ. 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე გაკეთებული მოხსენება ეთანხმება, როცა ის ამბობს: „საბჭოთა საქართველო ან აფხაზეთი დამოუკიდებლები არიან სამეურნეო და ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკურად ყველა ისინი ცენტრს ემორჩილებიან კომპარტიის მეშვეობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რკპ ცკ-ს კავბიუროს სახით“ (Гамахария, Гогия, 1997: 475).

აფხაზეთის სსრ 1921 წელს არ იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი კი ფორმალურად ჯერ კიდევ რჩებოდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. 1921 წ. 13 ოქტომბერს მათ ხელიც მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას თურქეთთან. აფხაზეთი, ცხადია, მსგავს დოკუმენტებს ხელს არ აწერდა. ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ 1921 წელს აფხაზეთი საბჭოთა გაგებითაც კი დამოუკიდებელ (უშუალოდ მოსკოვს დაქვემდებარებულ) პოლიტიკურ ერთეულს, მით უფრო საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენდა. ის რჩებოდა საქართველოს ნაწილად და ფორმალურად, დროებით, „ერთი წუთით“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა.

მალევე დაისვა საკითხი და დაიწყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არსებული ფორმალობის აღმოსაფხვრელად, რუსული ანექსიის შედეგად თბილისსა და სოხუმს შორის წარმოქმნილი სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად. 1921 წ. 5 ივლისს კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, გაწეულ იქნეს პარტიული მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში (Ментешашვილი, 1998: 67). იმავე წლის 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე ნ. ლაკობა საუბრობდა აფხაზე-

თის რუსეთთან მიერთების შეუძლებლობაზე და საქართველოსთან ფედერირების აუცილებლობაზე ეთნოგრაფიული და ისტორიული პირობების გათვალისწინებით. თათბირმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის შესახებ საქართველოს რევკომის დეკლარაცია (1921 წლის 21 მაისი) აფხაზ ხალხს აძლევს „მაქსიმალური ავტონომიური უფლებების გარანტიას“, სრული დამოუკიდებლობა კი „პრაქტიკულად განუხორციელებელია“; ამიტომ თათბირმა ახლო მომავალში საქართველოსთან ფედერაციული კავშირის დამყარების რწმენა გამოთქვა; იგივე შინაარსის რეზოლუცია მიიღო აფხაზეთის პასუხისმგებელი მუშაკების 1921 წ. 15 ოქტომბრის თათბირმაც (**გამახარია, 1991**: 123-124). 1921 წ. 1 ნოემბერს კავშირომ აფხაზეთ-საქართველოს მომავალი ხელშეკრულების პროექტის შემუშავების მიზნით შექმნა კომისია *ეფრემ ეშბას, შალვა ელიაშვილი* და საქართველოში რუსეთის წარმომადგენლის *ბორის ლეგრანის* (თავმჯდომარე) მონაწილეობით. 14 ნოემბერს ე. ეშბამ წამოაყენა წინადადება ამიერკავკასიის ფედერაციაში, რომელიც მხოლოდ ყალიბდებოდა, აფხაზეთის უშუალოდ შესვლის თაობაზე. ე. ეშბას წინადადების პასუხად კავშირომ 1921 წ. 16 ნოემბერს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „1. *უკონომიკურად და პოლიტიკურად მიზანშეუწონლად ჩაითვალოს დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა. 2. წინადადება მიეცეს ამხანაგ ეშბას, წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა სახელშეკრულებო საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის საწყისებზე რსფსრ-ში შესვლის შესახებ*“ (**Гамახария, Гогия, 1997**: 481-482).

კავშიროს ეს დადგენილება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში განსაზღვრულია აფხაზეთის სტატუსი საბჭოთა რუსეთის კრიტერიუმების მიხედვით – *ავტონომიური ოლქი*. უფრო მაღალი სტატუსი მას ეძლეოდა იმისათვის, რომ მოსკოვის ხელში ყოფილიყო დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს სწრაფვის შემაფერხებელი ბერკეტი. 1921 წ. 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-მ და აფხაზეთის სსრ-მ ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. გაერთიანდა *სამხედრო, საფინანსო, სახალხო მუერნობის, ფოსტისა და ტელეგრაფის, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტის* კომისარიატები, ასევე *საგანგებო კომისია* და *მუშურ-გლეხური ინსპექცია*. ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთი შედიოდა საქართველოს მეშვეობით, რომელიც აძლევდა მას თავისი ადგილების ერთ მესამედს (**Гамახария, Гогия, 1997**: 483-484).

აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ 1922 წ. 17 თებერვალს მოიწონა საქართველოს სსრ-სთან დადებული ხელშეკრულება. აფხაზეთის სსრ-ის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში დაადასტურა საქართველოს საბჭოების I ყრილობის მიერ 1922 წ. 2 მარტს მიღებულმა კონსტიტუციამ, რომელშიც ვკითხულობთ: „*საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ სა-*

ბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ ხელშეკრულების საფუძველზე“ (საქართველოს სსრ კონსტიტუციური, 1983: 73). მიუხედავად ამისა, სეპარატისტული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, თითქოს აფხაზეთის სსრ საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა (Бгажба О., Лакоба С., 2015: 356), მაგრამ არაფერს ამბობს რომელი რესპუბლიკის ნაწილს წარმოადგენდა აფხაზეთი. ის უშუალოდ არ შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში, შესაბამისად, არ მოიხსენიება როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულებაში (1922 წ. 12 მარტი), ისე ფედერაციის კონსტიტუციაში (1922 წ. 13 დეკემბერი). აფხაზეთი არც სსრ კავშირის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების /1922 წ. 30 დეკემბერი/ (Образование Союза, 1972: 257-259, 349-359, 381-386) უშუალოდ მონაწილე ყოფილა. სიცრუეა, თითქოს ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა „აფხაზეთის სსრ-ის წარმომადგენელმა ნ. აქირთავამ“ (Бгажба О., Лакоба С., 2015: 356). სინამდვილეში, აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის ფედერაციის წარმომადგენლებმა. ამიერკავკასიის სახელით დოკუმენტს ხელს აწერდა 22 კაცი, მათ შორის იყო არა ნ. აქირთავა, არამედ ნ. ლაკობა (გამახარია, 2007d: 344).

საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და 1921 წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე 1922 წელს დასრულდა აფხაზეთის ინტეგრაცია საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა სტრუქტურები საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების შემადგენელი და მის წინაშე ანგარიშვალდებულნი გახდნენ. კავბიუროს 1921 წ. 24 ნოემბერის დადგენილებით, რუსეთის კომპარტიის აფხაზეთის ორგბიურო ორგანიზაციულად საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დაექვემდებარა; რუსეთის კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაცია, პირველი საოლქო კონფერენციის (1922 წლის 7-12 იანვარი) გადაწყვეტილებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციად გარდაიქმნა (Гамახария, Гогия, 1997: 482). პარტიული და სამთავრობო სტრუქტურების გაერთიანების შემდეგ აფხაზეთის ნამდვილ სტატუსზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობებს შორის 1922 წ. 30 იანვარს დადებული სამხედრო ხელშეკრულება. დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოსა (პ. აღნიაშვილი) და აფხაზეთის (ი. ნერონოვი) წარმომადგენლები, ნათქვამია:

1. საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის სსრ-ის სამხედრო-ადმინისტრაციული მართვის ცენტრალურ ორგანოს წარმომადგენს საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატი;
2. აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატი აერთიანებს და წარმართავს სამაზრო სამხედრო კომისარიატების საქმიანობას:
 - ა) მოსახლეობის, გამწევი საქონლისა და მატერიალური რესურსების აღრიცხვის წარმოება;
 - ბ) სამხედროვალდებულთა გაწვევა სამხედრო სამსახურში;
 - გ) მობილიზაციის წარმოება და სამობილიზაციო გეგმების შედგენა;

– დ) ადგილობრივი მოსახლეობის გაწვევადელი და სპორტული მომზადება;

3. აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატს ენიჭება საგუბერნიო სამხედრო კომისარიატის უფლებამოსილება და არსებობს საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ცალკე შტატიით;
4. აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ბრძანებებით, ინსტრუქციებით, დარიგებებით და სხვა კანონდებულებებით;
5. აფხაზეთის სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი ინიშნება საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატისა და აფხაზეთის რევკომის ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ბრძანებით;
6. ჯარები და სამხედრო კომისარიატების დაწესებულებები ყველანაირი საჭიროებით მარაგდებიან საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის შესაბამისი ორგანოების განკარგულებით“ (**ხორავა, ჭანტურია, 2019: 20-23**).

1922 წელს საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის სამხედრო კომისარიატს 5 მლნ. მანეთი გამოუყო (**სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 77, ფ. 1**).

ასეთივე ურთიერთობა არსებობდა 1921 წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულებაში მითითებულ სხვა გაერთიანებულ სამთავრობო უწყებებს შორის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთის სსრ 1922 წლიდან უკვე არა მარტო ფაქტობრივად, არამედ სამართლებრივადაც საქართველოს ავტონომიურ ნაწილს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის ფედერაციის პარტიულმა ხელმძღვანელმა გ. ორჯონიკიძემ აფხაზეთის საბჭოების II ყრილობაზე 1923 წ. 21 დეკემბერს განაცხადა: „აფხაზეთმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და თანასწორუფლებიანია ჩვენს კავშირში“. გ. ორჯონიკიძემ აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენია აგრეთვე 1924 წ. 5 სექტემბერს გამართულ თბილისის საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას (**История Абхазской, 1983: 121, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.**). იგივე გაიმეორა მან რკპ(ბ) ცკ-ის 1924 წ. ოქტომბრის პლენუმზე: „ჩვენმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა (აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და არაქართველი მოსახლეობის რაიონებში არ ისარგებლეს აჯანყებით (1924 წლის – ჯ.გ.) სეპარატისტული მიზნებისათვის“ (**გამახარია, 2007d: 345, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.**). საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დოკუმენტებშიც აფხაზეთი ზოგჯერ ავტონომიის სტატუსით მოიხსენიება. ცკ-ს 1922 წ. 27 თებერვლის დადგენილებაში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ადგილების გადანაწილების შესახებ ნათქვამია: „**მიეცეს: ცენტრს 35, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს სამ-სამი ადგილი**“ (**Тондзе, 1999: 303, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.**). საქართველოს

მთავრობამ 1924 წ. 30 აპრილს განიხილა საკითხი ასეთი ფორმულირებით: „**აფხაზეთის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის შტატების დამტკიცება /შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება/“ (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 295, ფ. 24; 301, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.).**

აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის (1924 წ. 31 იანვარი) მიხედვითაც, აფხაზეთს ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. აღნიშნული კონსტიტუციის II განყოფილების IV თავის მე-15 პუნქტში ნათქვამია: „აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს აგზავნიან“ (Гамахария, Гогия, 1997: 488-489, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.). „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი, როგორც ვხედავთ, გათანაბრებული იყო ავტონომიურ ოლქებთან და ეროვნებათა საბჭოში ხუთჯერ ნაკლებ წარმომადგენელს აგზავნიდა, ვიდრე რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკები. ამრიგად, სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც 1924-1936 წლებში მოქმედებდა, აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას ავტონომიური ოლქის უფლებებით.

ამასობაში მიდიოდა მუშაობა ე.წ. „აფხაზეთის სსრ“-ის კონსტიტუციის პროექტზე. კონსტიტუციის მიღებამდე (1926 წელი) და შემდეგაც აფხაზეთზე სრულად ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია, მისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ძალაუფლება. კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი პირები 1921 წელს რუსეთის კომპარტიის ცკ-ს კავშიურს, 1922 წლიდან კი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მიერ ინიშნებოდნენ.¹ 1922 წლიდან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს საქართველოს კომპარტიის ცკ აფინანსებდა (შსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 192, ფ. 244ა).

სახელმწიფო და პარტიულ პოლიტიკას აფხაზეთში საქართველოს კომპარტიის ცკ განსაზღვრავდა. ცკ-ს პრეროგატივა გახლდათ საოლქო კომიტეტის, საბჭოთა ორგანოების ჩამოყალიბებასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, საკადრო პრობლემები. ის ნიშნავდა აფხაზეთში პარტიულ მუშაკებს, მთავრობის წევრებს, სამართალდამცავი (რეალურად სადამსჯელო) ორგანოების ხელმძღვანელებს. ასე მაგალითად, 1922 წ. 14 თებერვალს საქართველოს კომპარ-

¹ 1921 წ. აპრილიდან 1922 წ. იანვრამდე აფხაზეთში რკპ (ბ)-ს ორგბიურს ხელმძღვანელობდნენ გ. კრიშტოფი, პ. აღნიაშვილი, ლარიონოვი და ნ. სვანიძე. 1922 წ. იანვრიდან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის პასუხისმგებელი, 1928 წლიდან კი პირველი მდივნები იყვნენ სერაჰიონ გუბელი /მეძმარიაშვილი – 1922/, ნიკოლოზ აქირთავა /1922-1923/, გერასიმე მარქაროვი /1923-1924/ (შსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 492, ფ. 82, 84), ერვანდ ასრიბეკოვი (1924-1925), კლატოზოვი/კლატოზიშვილი /1925/, გიორგი სტურუა /1925-1927/, ალექსანდრე ამასი/ამირბეკოვი – 1928-1929/, ჰავლე მელაძე /1929-1930/, ვლადიმერ ლადარია /1930-1936/, ალექსი აგრბა /1936-1937/, მიხეილ გობეჩია /1937/, კირილე ბუჭაია /მოვალეობის შემსრულებელი – 1937-1938/.

ტიის ცკ-ს პრეზიდიუმმა აფხაზეთის საოლქო კომიტეტში არსებული უთანხმოებების გამო, აფხაზეთის საბჭოების პირველი ყრილობის ჩატარება დაავალა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს წევრებს ს. გუბელს, ე. ეშბას და ბ. ათარბუკოვს; იქვე დაადგინა: „შერიგების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოხდეს საოლქო კომიტეტის დათხოვნა და პარტკონფერენციის მოწვევა არაუგვიანეს სამი კვირისა“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 192, ფ. 150-151). 1922 წ. 3 მაისს ცკ-ს პრეზიდიუმი იხილავს სოხუმიდან მიღებულ დეპუტას აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ ე. დამენიას დანიშვნის შესახებ და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: „კანდიდატურის შერჩევამდე სოხუმის (აფხაზეთის – ჯ.გ.) საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ დროებით დატოვებულ იქნას კუხალეიშვილი“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 192, ფ. 470ა). იმავე წლის 30 მაისს იგივე ცკ-ს პრეზიდიუმი, ნ. ლაკობას მოხსენების საფუძველზე, აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ი) თავმჯდომარედ ამტკიცებს ს. კარტოზიას და შეჰყავს იგი პარტიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში, 28 ივლისს კი თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარეს კრემლიანსკის (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 192, ფ. 541, 844ა) და ა. შ.

1923 წ. 24 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის დღის წესრიგში დგას „აფხაზეთის საკითხები“. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „საოლქო კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცდეს; წინადადება მიეცეს საოლქო კომიტეტს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოაყენოს აფხაზი...; სამდივნომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან ერთად გაითვალისწინოს კომისიის შექმნა ადგილზე მდგომარეობის დეტალურად გაცნობისთვის“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 492, ფ. 93). ასეთი კომისიის შემადგენლობა, ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, იმავე წლის 28 ნოემბერს ცკ-ს პრეზიდიუმმა დაამტკიცა (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 492, ფ. 94). თითქმის ორი წლის შემდეგ – 1925 წ. 26 სექტემბერს ცკ-ს პრეზიდიუმმა მოისმინა ლ. ბერიას მოხსენება. „მოახდინა რა აფხაზეთის ორგანიზაციაში არაჯანსაღი (კინკლაობის) ვითარების კონსტატირება, მისი გაჯანსაღების მიზნით“ პრეზიდიუმმა შენიშვნა მისცა 11 ხელმძღვანელ მუშაკს, მათ შორის აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარეს სამსონ ჭანბას, რომელიც სხდომას ესწრებოდა; დაკავებული თანამდებობებიდან გაანთავისუფლა აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ალანია, იუსტიციისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისრები ეგნატე (Игнать) ვარდანია (ასევე მისი მოადგილე კონსტანტინე სემურჯიევი) და ზოსიძე ბენია (სხდომას ესწრებოდა), უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. აგრბა, მსს სახალხო კომისრის მოადგილე მიხეილ ლაკობა, აგრეთვე სხვა პირები; მიწათმოქმედების სახალხო კომისრის დანიშვნა დაევალა საოლქო კომიტეტს, რომელსაც წინადადება მიეცა: „გადახედოს რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა წრეს, გადაჭრით ჩამოაშოროს ხელმძღვანელობას საეჭვო წარსულის მქონე პირები“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 358, ფ. 45-45ა). ამას მოჰყვა ცკ-ს პრეზიდიუმის 1925 წ. 5 ოქტომბრის საკადრო გადაწყვე-

ტილება: „ადდგეს პრეზიდიუმის წინა დადგენილება ამხანაგ კალატოზოვის განთავისუფლების შესახებ და მის ნაცვლად აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე რეკომენდაცია მიეცეს გ. სტურუას“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 358, ფ. 49) პრეზიდიუმის სხდომას ნ. ლაკობა ესწრებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცკ პერიოდულად იღებდა გადაწყვეტილებებს აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურასთან, საქმიანობასთან და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით. 1924 წ. 21 მაისს ცკ-ს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის (მუშგლეხინი) ცალკე კომისარიატის შექმნის შესახებ და დაადგინა: „1) საოლქო კომიტეტს ეცნობოს, რომ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისისა და სსრ კავშირის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, ავტონომიურ რესპუბლიკებში გაუქმდეს მუშგლეხინის ორგანოები... 2) გაითვალისწინეთ ამიერკავკასიის ორგანოების გადაწყვეტილება, რომლებმაც შესაძლებლად მიიჩნიეს ავტონომიურ რესპუბლიკებში მუშგლეხინის რწმუნებულთა ინსტიტუტის შექმნა“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 12, ფ. 25.). აღნიშნული დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის მთავრობაში შეიქმნა საქართველოს მუშგლეხინის კომისარიატის რწმუნებულის ინსტიტუტი.

1925 წ. 8 ივლისს ცკ-ს სამდივნომ, მოისმინა ნ. ლაკობას მოხსენება და თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ აფხაზეთის სსრ გაერთიანებული კომისარიატები (საქართველოს ფინანსთა და საშინაო ვაჭრობის კომისარიატების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საგანგებო კომისის რწმუნებულები აფხაზეთში) ამიერკავკასიის ფედერაციის დაწესებულებებთან ურთიერთობენ საქართველოს შესაბამისი სახალხო კომისარიატების მეშვეობით. საჭიროდ ჩაითვალა აფხაზეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის არსებობა, რომელსაც ევალებოდა საქართველოს საგეგმო კომიტეტისთვის მასალების მიწოდება საერთო რესპუბლიკურ გეგმაში გასათვალისწინებლად. ბიუჯეტის შედგენისას აფხაზეთს „მკაცრად უნდა ეხელმძღვანელა დადგენილი დებულებებით ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“. სამდივნომ მიუთითა აფხაზეთში არსებულ გარკვეულ ხარვეზებზე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში, რომელთა გამოსწორება კომპარტიის საოლქო კომიტეტს დაევალა (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 363, ფ. 128-129, 132; **Съезды Советов, 1964**: 686-700). სამდივნოს ეს გადაწყვეტილებები ცკ-ს პრეზიდიუმმა, რომელსაც ლ. ბერია ესწრებოდა, 1925 წ. 31 ივლისს დაადასტურა.

ამასთანავე პრეზიდიუმმა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის რესპუბლიკური ორგანოების საურთიერთობო ენაზე უპირატესად ქართველებით და სხვა ეროვნებებით დასახლებულ მაზრებთან; „აუცილებლობად იქნა აღიარებული სახაკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ბახტაძის სამუშაოდ აფხაზეთში დატოვება. როგორც ნ. ლაკობა, ისე ნ. ბახტაძე ვალდებული არიან იმუშაონ ერთმანეთთან შეთანხმებით“ (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 358, ფ. 39-40). იმავე წლის 27 ოქტომ-

ბერს ცკ-ს სამდივნომ განიხილა საკითხი „აფხაზეთის შესახებ“ (ესწრებოდნენ ნ. ლაკობა, ნ. ბახტაძე, ნ. აქირთავა...) და მიიღო გადაწყვეტილება ოცამდე მაღალი თანამდებობის პირის, მათ შორის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, ცალკეული სახალხო კომისრების, კომისართა მოადგილეების, მაზრების პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელებისა და სხვა პირების დანიშვნის შესახებ (**შსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 363, ფ. 128-129, 132).

გასაბჭოების პირველი წლებიდან აფხაზეთის სტატუსის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებიც. ასე მაგალითად, საქართველოს სახკომსაბჭომ 1924 წ. 5 იანვარს დაამტკიცა აფხაზეთის 1923-24 წ. ბიუჯეტი, 16 მაისს განიხილა აფხაზეთის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო ქვეგანყოფილების 1923-24 წლების ხარჯთაღრიცხვა; 20 აგვისტოს დაამტკიცა აფხაზეთის 1924-25 წლის ბიუჯეტი. დადგენილებაში ნათქვამია: „*საქართველოს სახკომსაბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის სსრ 1924-1925 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს... წინადადება მიეცეს აფხაზეთის სახკომსაბჭოს საქართველოს სახკომსაბჭოს 1924 წლის 26 აგვისტომდე დასამტკიცებლად წარმოუდგინოს აფხაზეთის 1924-25 წლის სამშენებლო გეგმა*“ (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 295, ფ. 25, 43ა; 301, ფ. 92, 146ა). 1925 წ. 21 აპრილს საქართველოს მთავრობა იხილავს აფხაზეთის მთავრობის შუამდგომლობას ხუთივე მაზრაში სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილების გამგეების თანამდებობის დაწესების შესახებ (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 529, ფ. 16). აფხაზეთის მთავრობა, ცალკეული კომისარიატები ვალდებული იყვნენ საქართველოს მთავრობაში, ასევე ცაკ-ში ყოველწლიურად წარედგინათ დეტალური ანგარიშები გაწეული მუშაობის თაობაზე (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 268, ფ. 1-28; ფ. 284, ანაწ. 1 ს. 177, ფ. 1-84 და ა. შ).

საქართველოს ცაკ-ის პრეროგატივას წარმოადგენდა აფხაზეთის ტოპონიმიკის დადგენაც. აფხაზეთის სახკომსაბჭომ და ცაკ-მა 1925 წ. 27 თებერვალს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „*ნოვი აფონის*“ ისტორიული სახელწოდების – „*ფსირცხის*“ აღდგენის შესახებ და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცაკ-ში წარადგინეს, საიდანაც დოკუმენტი საქართველოს ცაკ-ს გადაეგზავნა. ამასთან დაკავშირებით, 1925 წ. 24 ნოემბერს საქართველოს ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: „*აფხაზეთის ავტონომიური სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს ა.წ. თებერვლის 27 დადგენილება „ნოვი აფონის“ სახელწოდების „ფსირცხად“ შეცვლის შესახებ დამტკიცებულ იქნეს... ეცნობოს აფხაზეთის ავტონომიურ ცაკს, რომ ამ დადგენილების დამტკიცება შეადგენს სრულიად საქართველოს ცაკის კომპეტენციას და მომავალში ამგვარი დადგენილებანი დასამტკიცებლად აფხაზეთის ცაკმა უნდა უშუალოდ წარმოადგინოს საბჭოთა საქართველოს ცაკში*“ (**სუიცა**: ფ. 284, ანაწ. 1, ს. 152, ფ. 34ა).

წარმოდგენილი დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ აფხაზეთის სსრ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით, როგორც ეს იყო აღნიშნული სსრ კავშირის 1924 წლის ზემოხსენებულ კონსტიტუციაში. საკუთარი კონსტიტუცია კი აფხაზეთს, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ არ გააჩ-

ნდა. 1924-1925 წლებში მიმდინარეობდა წინასწარი კონსულტაციები საქართველოს კონსტიტუციიდან „სახელმწიფოებო რესპუბლიკის“ ცნების ამოღების შესახებ. შესაბამისად, ეს ცნება ვერც აფხაზეთის მომავალ კონსტიტუციაში შევიდოდა. საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე 1924 წ. 8 მაისს ნ. ლაკობამ ბრძანა: „ახლა ლომინაძე (ცკ-ს მდივანი – **ჯ.გ.**) მიცხადებს, რომ ერთ წელიწადში ამოვშლით სიტყვას „სახელმწიფოებო რესპუბლიკა“... ჩვენ უბრალოდ ვამბობთ, რომ ვართ სახელმწიფოებო რესპუბლიკა, და მე მყოფნის გამბედაობა, განვაცხადო, რომ აფხაზეთის გლეხობა ორ წელიწადში ამ სიტყვებსაც ამოშლის“. გაიხსენა რა, თუ როგორ უპირისპირებდა მეფის ხელისუფლება „კულტურულ ქართველ ერს აფხაზურ ეროვნებას („народность“); ნ. ლაკობა აღნიშნავდა: „აფხაზებს ისტორიული თვალთახედვით რომ მიუდგეთ, რა თქმა უნდა, არავითარი როლის თამაში კაცობრიობის ისტორიაში არ შეეძლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხს... არა აქვს არც თავისი ისტორია, არც თავისი დამწერლობა, არც თავისი ლიტერატურა“ (Тоидзе, 1996: 29-30, ხაზგასმა ჩვენია – **ჯ.გ.**).

ერთი წლის შემდეგ – აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (1925 წ. 26 მარტი – 1 აპრილი) 1925 წ. 1 აპრილს ყოველგვარი განხილვის გარეშე დაამტკიცა სულ სხვა კონსტიტუცია, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციას იმეორებდა. ამ მიზეზის გამო ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებს, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას. სოხუმში მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად. მასში დეკლარირებული იყო ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. სახელმწიფო ენად რუსული დგინდებოდა (Гамахария, Гогия, 1997: 489-490). მართალი იყო ნ. ლაკობა, როცა 1925 წლის კონსტიტუციას სულ მალე „კონსტიტუციური სისულელე“ უწოდა (Лакоба Н., 1987: 177). ძირითადი „სისულელე“ იმაში მდგომარეობდა, რომ კონსტიტუციაში იგნორირებული იყო განსაკუთრებული ხელმწიფოების საფუძველზე აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისა და მხოლოდ მისი მეშვეობით ამიერკავკასიის ფედერაციაში, ამ უკანასკნელის მეშვეობით კი სსრ კავშირში გაერთიანების ფაქტი. გამომდინარე აქედან, ის ვერანაირად ვერ იქნებოდა სუვერენული რესპუბლიკა, ვერ გავიდოდა ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, რომელთა სუბიექტი არც იყო.

1925 წლის კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა, შესაბამისად, ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში, რომელიც აფხაზეთის ცაკ-მა გამოსცა, ნათქვამია: „ყრილობამ გადაწყვიტა, დასრულდეს მუშაობა ყრილობისათვის წარდგენილ პროექტზე, მოყვანილ იქნეს იგი შესაბამისობაში საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სსრ კონსტიტუციებთან“ (Съезды Советов, 1964: 673). ამრიგად, აფხაზეთის ცაკ-მა 1925 წ. 1 აპრილს ნამდვილად მიღებული კონსტიტუცია, რომელიც არსად განხილულა და გამოქვეყნებულა, აღიარა მხოლოდ პროექტად. ამ ფაქტს მალავს სეპარატისტული ისტორიოგრაფია.

რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1925 წ. 6 სექტემბერს აფხაზეთის კონსტიტუციასთან დაკავშირებით დაამტკიცა სამხარეო ცაკის კომისიის წინადადებები და დაადგინა: „1. ...გადაისინჯოს აფხაზეთის საბჭოების III ყრილობაზე მიღებული კონსტიტუცია; 2. წინადადება მიეცეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს ეროვნული საკითხის დარეგულირების მიზნით ამიერკავკასიის ცაკისა და საქართველოს ცაკის არსებული დეკრეტების საფუძველზე შეიმუშაოს პროექტი ენების გამოყენების შესახებ და წარუდგინოს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს; 3. საბჭოთა და პროფესიული ორგანოების არჩევისას მხედველობაში იქნეს მიღებული რაიონისა და მაზრის ეროვნული შემადგენლობა“ (Тоидзе: 1996: 25).

აფხაზეთის კონსტიტუციის საკითხი 1925 წ. 6 და 31 ივლისს განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სხდომებზე (История Абхазской, 1983: 197). იმავე წლის 11 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ცაკ-ს და მთავრობას დაავალა კონსტიტუციის იმ მუხლების გადასინჯვა, რომლებიც საქართველოსთან ურთიერთობას ეხებოდნენ, აგრეთვე კონსტიტუციის ახალი პროექტის მომზადება. კომისიამ ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით მოკლე დროში მოამზადა აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი და 1925 წ. 27 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სამდივნოს წარუდგინა დასამტკიცებლად. სამდივნომ პროექტი მოიწონა და აფხაზეთის ცაკ-ს დაავალა მისი „საბჭოთა წესით“ გატანა (მსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 2, ს. 364, ფ. 63). ცვლილებები შეეხებოდა „სუვერენიტეტისა“ და სახელმწიფო ენის (ენების) საკითხებს. ახალი პროექტით აფხაზეთის ხელისუფლების დამოუკიდებლობა იზღუდებოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებით (პირვანდელი ვარიანტი), არამედ საქართველოსთან სახელმეკრულებო ურთიერთობებითაც. სახელმწიფო ენებად ცხადდებოდა აფხაზური, ქართული და რუსული (Тоидзе: 1996: 25).

აღნიშნულმა ცვლილებებმა ასახვა ჰპოვეს აფხაზეთის 1926 წლის კონსტიტუციაში. მის მიღებას წინ უძღვოდა საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცება 1926 წ. 11-16 ივნისს სოხუმში გამართულ სრულიად საქართველოს ცაკ-ის III სესიაზე. საქართველოს მთავრობის ანგარიში სესიას შალვა ელიავამ წარუდგინა. როგორც „დიდი ერის“ წარმომადგენელმა, მან დაგმო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობა, რომელიც, ორატორის მტკიცებით, აფხაზეთს განიხილავდა არა ავტონომიურ რესპუბლიკად, არამედ პროვინციად. ისაუბრა რა ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის „მიღწევებზე“, შ. ელიავამ განაცხადა: „ბუნებრივია, აფხაზეთიც, რომელიც ერთგვარ ხელშეკრულების პირობებში შედის საქართველოს შემადგენლობაში, თავის თავს ამ დიდი კავშირის ნაწილად გრძნობს“ (კომუნისტი: 13.06.1926). აფხაზეთის მთავრობის ანგარიშით საქართველოს ცაკ-ის სესიაზე ნ. ლაკობა წარდგა. როგორც „მცირე ერის“ წარმომადგენელი, ის სხვა ერების ინტერესების დაცვაზე და საქართველოსთან კავშირზე საუბრობდა. „აფხაზეთის რესპუბლიკა, – თქვა ნ. ლაკობამ, – ზოგიერთს ესმის ისე, რომ თუ რესპუბლიკას აფხაზეთისას უწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკა მხოლოდ აფხაზებისათ-

ვის არის. ასეთი შეხედულება არ შეესაბამება საქმის ნამდვილ მდგომარეობას აფხაზეთში. აქ უმთავრესი ერები თავისი რიცხვით და ხვედრითი წილით არიან აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები და ბერძნები“. მომხსენებელმა ყურადღება გამახვილა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე: „აი, რას ეძყარებიან ისინი: აფხაზეთი მონიდომებს – წავა საქართველოდან, მონიდომებს – დარჩება საქართველოში, – დასძენდა ნ. ლაკობა. – იმისათვის, რომ ამის შესახებ არ იყოს ოდესმე რაიმე გაუგებრობა, საჭიროა, სრულიად გადაჭრით განვაცხადოთ, რომ აფხაზეთს საქართველოდან წასვლა არ შეუძლია, არ აქვს განზრახვა და არც სურს ეს. მაგრამ საბჭოთა საქართველოსთან ერთად აფხაზეთი წავა თუგინდ საიქიოში“ (Шамба Т., Непрошин, 2004; გამახარია, 2007d: 346).

სესიაზე სიტყვით გამოვიდა რკპ(ბ)-ის კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი მამია ორახელაშვილი (14 ივნისი). მან ასევე დაგმო აფხაზეთის „მჩაგვრელი“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; განაცხადა, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკას უმთავრესად, თუ შეიძლება ასე ითქვას, საწარმოო ხასიათი აქვს. ის მოწოდებულია შექმნას და გამოასწოროს სავსებით აფხაზეთის მშრომელთა კულტურა“ (ანუ დაამყაროს ფაქტობრივი თანასწორობა ერებს შორის, როგორც იმ პერიოდში ქადაგებდა კომპარტია). მ. ორახელაშვილი აკრიტიკებდა აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის მოწინააღმდეგეებს, ასევე იმ პირებს, ვინც, თითქოს, შეეგუა ასეთი რესპუბლიკის შექმნის ფაქტს, მაგრამ, ორატორის თქმით, ქართული უმრავლესობისთვის გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფას მოითხოვდა. უმცირესობაში აფხაზთა ყოფნას „როდი აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, – აცხადებდა მ. ორახელაშვილი. – ჩვენ რომ გვინდოდეს აფხაზეთის გადაქცევა საქართველოს რესპუბლიკის მეორე გამოცემად, ეს სასაცილო იქნებოდა. ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის დუბლიკატი არ შეგვიქმნია და არც ვფიქრობთ მის შექმნას. ამიტომ, ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია საკითხის ასე დაყენება, რომ რაკი აფხაზეთში ქართული მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენს, ამიტომ ძალაუფლება, პირველობა და პოლიტიკური ხელისუფლების ყველა უპირატესობა მოსახლეობის ქართულ ნაწილს უნდა ეუთვნოდეს“ (გამახარია, 2007d: 346-347).

მ. ელიაშვილს, ნ. ლაკობასა და მ. ორახელაშვილის გამოსვლებში მკაცრად იყო დაცული XX ს. 20-30-იან წლებში სსრ კავშირის კომპარტიის ე.წ. ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც დიდმპყრობელურ მოვინიზმთან და „წვრილბურჟუაზიულ“ ნაციონალიზმთან ბრძოლას ითვალისწინებდა. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ქართველ ბოლშევიკებს ევალებოდათ „ქართული მოვინიზმის“ დაგმობა¹ და აფხაზების, ასევე სხვა ერების დაცვა, აფხაზ ბოლშევიკებს კი აფხაზეთში ნაციონალისტურ გადახრებზე და საქართველოსთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე უნდა ესაუბრათ. ასეც მოიქცნენ ძირითადი გამომსვლელები საქართველოს ცაკ-ის III ყრილობაზე (გამახარია, 2007d: 247).

¹ 1923 წლის მარტში ი. სტალინი ცილისმწამებლურად წერდა „ქართული მოვინიზმის“ შესახებ, „რომელიც თითქოს მიმართული იყო სომხების, ოსების და აფხაზების წინააღმდეგ“ (Сталин, 5, 1947: 189).

საქართველოს ცაკ-ის III სესიამ მიიღო საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1926 წლის 7 ივნისს დეტალური განხილვის შემდეგ მოწონებული იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის მიერ (**შსს არქივი**, ფ. 14, ანაწ. 3, ს. 2, ფ. 36); კონსტიტუციის V თავი – „*მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა*“ – ეძღვნებოდა საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის ურთიერთობის დარეგულირებას. საქართველოს ძირითადი კანონის V თავი უცვლელად შევიდა საბჭოთა აფხაზეთის ფაქტობრივად პირველ კონსტიტუციაში და შეადგინა მისი მეორე თავი. 1926 წ. 27 ოქტომბერს იგი მიიღო აფხაზეთის ცაკ-ის III სესიამ (**Съезды Советов, 1964: 711-729**) და საბოლოოდ დაამტკიცა ჯერ აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ (1927 წ. 5-10 მარტი), შემდეგ კი საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ (1927 წ. 28 მარტი-3 აპრილი). საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარმა *იაკობ ვარძიელმა* ყრილობაზე გამოსვლისას, ენებოდა რა ავტონომიებისადმი მიძღვნილ საქართველოს კონსტიტუციის IV (აჭარა, სამხრეთ ოსეთი) და V (აფხაზეთი) თავებს, განაცხადა: „*ამ თავებში დაწვრილებით გვაქვს ჩამოყალიბებული ყველა ის ნორმები, რომელნიც ასე თუ ისე გამოხატავენ ავტონომიური რესპუბლიკების არსებობას*“ (**სრულიად საქართველოს, 1927: 338**).

აფხაზეთის სსრ კონსტიტუციაში დაფიქსირებულია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა წარმოადგენს მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სსრ შემადგენლობაში (მე-2, 17-ე მუხლები), ხოლო მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის ფედერაციაში. სახელმწიფო ენად აღიარებულია აფხაზური, ქართული და რუსული (მუხლი 8). აფხაზეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საქართველოს საბჭოების ყრილობების მუშაობაში, მათი არჩევა საქართველოს ცაკ-ის შემადგენლობაში ხდებოდა ყრილობის მიერ განსაზღვრული ოდენობით (მე-18-19 მუხლები). თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებას მიჯნავდა 21-ე მუხლი. *შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედების და სოციალური უზრუნველყოფის* სახალხო კომისარიატები საქართველოს სათანადო კომისარიატებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ; *სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო* იმყოფებოდა ორმაგ დაქვემდებარებაში; აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით (ამის შესახებ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ცაკ-ი იღებდა) შედიოდნენ საქართველოს ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულები აფხაზეთში, რომლებიც პერიოდულად ანგარიშს აბარებდნენ აფხაზეთის ცაკ-ს და მთავრობას; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემული საქართველოს ცაკ-ის კოდექსები, დეკრეტები და დადგენილებები სავალდებულო იყო აფხაზეთშიც; კონსტიტუციასთან შეუსაბამო აფხაზეთის საბჭოების ყრილობების, ცაკ-ის სესიებისა და მთავრობის დადგენილებებს აუქმებდა საქართველოს საბჭოების ყრილობა ან ცაკ-ი; აფხაზეთის სსრ ბიუჯეტი მისი დამტკიცების შემდეგ საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი ხდებოდა.

ერთი შეხედვით, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილება საკმაოდ მკაფიოდ გაიმიჯნა. სინამდვილეში, საბჭოთა კონსტიტუციები ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ; რეალური ძალაუფლება პარტიული ორგანოების ხელში იყო თავმოყრილი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ნებისმიერი გადაწყვეტილება ნებისმიერ სფეროში სავალდებულო გახლდათ აფხაზეთის არა მხოლოდ პარტიული ორგანიზაციებისთვის, არამედ ყველა სახელმწიფო დაწესებულებისთვის. გარდა ამისა, აფხაზეთისათვის, ცხადია, სავალდებულო იყო ამიერკავკასიის და სსრ კავშირის პარტიული თუ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებები. ამრიგად, აფხაზეთის სსრ-ის განსაკუთრებულ გამგებლობას არ განეკუთვნებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მას ბევრად მეტი უფლებები ჰქონდა. 1921 წ. 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, ავტონომიური აფხაზეთის სრულ გამგებლობაში რჩებოდა სახალხო განათლება, მათ შორის უმაღლესი, კულტურული მშენებლობა, სამომრიგებლო სასამართლო, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, ჯანდაცვა და ა.შ. (**Гамахрия, Гогия, 1997**: 451-453, 466-469).

1925-1926 წლებში შემუშავებულ და მიღებულ კონსტიტუციას აფხაზეთის რეალურ სტატუსზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, ის კვლავაც საქართველოს ნაწილად რჩებოდა და მთლიანად იყო დამოკიდებული საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სამდივნომ 1926 წ. 23 იანვარს განიხილა საკითხები „*სამეცნიერო-საცდელი დაწესებულებებისათვის საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის თანხების განაწილების შესახებ*“ და „*ცხენსაშენისთვის საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის თანხების განაწილების შესახებ*“ (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 17, ფ. 8). აღნიშნული მიზნებისთვის ავტონომიურ აფხაზეთს 9 ათასი მანეთი გამოეყო.

1926 წლის 13 აპრილს ცკ-ს პრეზიდიუმმა მოისმინა სპეციალური კომისიის (სამსონ მამულია და სხვ.) მოხსენება „*აფხაზეთის შესახებ*“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში არსებობს „*ღია და ფარული ნაციონალისტური გადახრა როგორც ქართული, ისე აფხაზური და რუსული*“. საოლქო კომიტეტს დაევალა „*ეროვნულ ურთიერთობებში ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად აწარმოოს გადაწყვეტი ბრძოლა ყველა გადახრასთან*“; იქვე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული პარტიული დირექტივები *გალის მაზრის* საბჭოთა აპარატის ნაციონალიზაციის შესახებ; მიღებულ იქნა საკადრო გადაწყვეტილებებიც (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 2, ფ. 27). ცკ-ს პრეზიდიუმის 1926 წ. 4 მაისის სხდომაზე აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა გ. სტურუამ და ნ. ლაკობამ ითხოვეს 13 აპრილის დადგენილების ნაწილობრივ შეცვლა. პრეზიდიუმმა კი დაადგინა: „*დადასტურდეს აფხაზეთის საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის 13 აპრილის დადგენილება*“ (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 2, ფ. 30). 30

მაისს-3 ივნისს ცკ-ს პრეზიდიუმმა მოისმინა გ. სტურუას მოხსენება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც შეეხებოდა ორგანიზაციულ, ეროვნულ, სოფლად, კომკავშირთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობის საკითხებს (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 1, ფ. 9-10). ყურადღება კვლავაც გამახვილებული იყო ე. წ. ნაციონალისტურ გადახრებზე, რაც ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირებებს იწვევდა.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მოხსენება 1926 წ. 1 ივნისს მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პლენუმმაც, სადაც ითქვა, რომ ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობამ, გაუმართლებელმა პრივილეგიებმა აფხაზეთისთვის (სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება, მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილება, უპირატესობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე კადრების შერჩევისას და ა.შ.) გამოიწვიეს მოსახლეობის იძულებითი ასიმილაცია (გააფხაზება) (**Гамахария, Гогия, 1997**: 122). 1926 წ. 10 დეკემბერს ცკ-ს სამდივნომ უკვე მოიწონა ნ. ლაკობას მოხსენება „აფხაზეთში საბჭოთა აპარატის ნაციონალიზაციის შესახებ“ (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 29, ფ. 57ა). 1927 წ. 15 ივნისს კი სამდივნომ მიიღო დადგენილება პარტიის სოხუმის სამაზრო-საქალაქო კომიტეტის გაუქმებისა და მისი ფუნქციების საოლქო კომიტეტისთვის გადაცემის შესახებ (**მსს არქივი**: ფ. 14, ანაწ. 3, ს. 344, ფ. 151ა).

საქართველოს საბჭოთა ორგანოების იურისდიქცია ასევე სრულად ვრცელდებოდა აფხაზეთზე, როგორც ამას 1926 წლის კონსტიტუციაც ითვალისწინებდა. ამაზე მიუთითებენ საქართველოს მთავრობისა და ცაკ-ის მრავარიცხოვანი გადაწყვეტილებები. ყოველ საბიუჯეტო წელს საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა აფხაზეთის დაწესებულებათა შტატებს. 1926 წლის 29 მაისს მან განიხილა საკითხი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატების შესახებ“ და დაადგინა: „წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საჩქაროდ წარმოუდგინოს საქართველოს მუშურ-გლეხურ ინსპექციასთან არსებულ სამტატო კომისიას აფხაზეთის სახალხო კომისარიატთა შტატების პროექტი“. აფხაზეთის მთავრობამ დავალება დროულად შეასრულა და იმავე წლის 9 ივნისს საქართველოს მთავრობამ კვლავ განიხილა საკითხი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებათა 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატების შესახებ“. მიღებულ დადგენილებაში გაწერილია შტატების რაოდენობა აფხაზეთის ცაკ-ში (8 კაცი), სახალხო კომისართა საბჭოში (32 კაცი), ყველა სამთავრობო უწყებასა და მათში შემავალ დაწესებულებაში (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 895, ფ. 34ა, 39). საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ხდებოდა აფხაზეთში ახალი დაწესებულებების შექმნა, მათთვის შტატების გამოყოფა. მსგავსი საკითხები მან განიხილა 1926 წლის 19 ივნისს, 6 ივლისს და 17 აგვისტოს; 24 აგვისტოს არ დააკმაყოფილა აფხაზეთის სახალხო მუერნეობის უმაღლესი საბჭოს შუამდგომლობა ორი შტატის დამატების თაობაზე (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 895, ფ. 41ა, 48ა, 50-51, 62ა, 63ა, 65ა), ასევე მიზანშეუწონლად ცნო აფხაზეთში სახელმწიფო საგეგმო კომისიის დაარსება (**სუიცა**: ფ. 600, ანაწ. 1, ს.

897, ფ. 90ა). 1927 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ფინანსთა კომისარიატის წარდგინებით, დაამტკიცა „აფხაზეთის სსრ სახალხო კომისარიატების ახალ დაწესებულებათა კანონიერი ტიტულების სია“ (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 1384, ფ. 75ა).

აფხაზეთის წლიური ბიუჯეტების საკონტროლო ციფრების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანაც საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა. 1927 წ. 19 აპრილს საქართველოს მთავრობამ, ფინანსთა კომისარიატის მოხსენების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთის ცალკე(ულ) უწყებათა 1926/27 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვის“ 51 516 მანეთით შემცირების შესახებ. ხარჯთაღრიცხვა შეუმცირდა აფხაზეთის ცაკ-ს (1260 მანეთით), სახკომსაბჭოს (3172 მანეთით) და სხვა სამთავრობო დაწესებულებებს (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 1384, ფ. 25ა). 1927 წ. 6 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ არ დააკმაყოფილა აფხაზეთის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1927/28 წლის ხარჯთაღრიცხვის გადიდების შესახებ (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 1384, ფ. 83). ხარჯთაღრიცხვის შემცირება გამოწვეული იყო სსრ კავშირში ბიუროკრატიული აპარატის შემცირების კამპანიის დაწყებით.

ამასთან დაკავშირებით, 1927 წ. 20 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პრეზიდიუმმა და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება ავტონომიებში, მათ შორის აფხაზეთში სახელმწიფო აპარატის შემცირების შესახებ. გაუქმდა საგეგმო კომიტეტები; შსს ორგანოები სახელმწიფო-პოლიტიკური სამმართველოების (ყოფილ საგანგებო კომისია) თავმჯდომარეებს დაექვემდებარა; აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ასევე ყველა კომისარიატში მცირდებოდა შტატები; გადაწყდა ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ტექნიკური აპარატების შერწყმა (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 919, ფ. 3-4,13). აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის თაობაზე 1927 წლის ივნისში საქართველოს მუშგლეხინის კომისარი ა. დოლიძე ამიერკავკასიის მუშგლეხინის კომისარს წერდა: „გეგმიური დავალების შესაბამისად, სახელმწიფო აპარატის გამარტივების ძირითადი შედეგად **ავტონომიური რესპუბლიკები აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც საქართველოს შემადგენლობაში შედიან**“ (სუიცა: ფ. 600, ანაწ. 1, ს. 919, ფ. 5, ხაზგასმა ჩვენია – **ჯ.გ.**). საქართველოს მთავრობის ან ცაკ-ის გადასაწყვეტი იყო აფხაზეთში ადგილობრივ გადასახადებთან, ტარიფებთან, დაზღვევასთან, ჩინოვნიკების ხელფასებთან, ამა თუ იმ დარგის განვითარებასთან, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული და სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები (სუიცა: ფ. 600, ანაწ.1, ს. 295, ფ. 5ა; ს. 301, ფ.33; ს. 302, ფ.24; ს. 895, ფ. 65ა, 84ა, 88; ს. 919, ფ. 13; ს. 1384, ფ. 3,9, 25, 48, 58ა, 60ა, 69, 75, 83, 185ა; ფ. 284, ანაწ. 1, ს. 350, ფ. 131).

აფხაზეთის რეალური სტატუსის შესახებ მეტყველებენ საქართველოს ცაკ-ის დოკუმენტებიც. ცაკ-ის პრეზიდიუმის 1925-1927 წლების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ავტონომიურ ერთეულებში გლეხობას 1926 წლის ოქტომბრის პირველამდე გადაეცა – აფხაზეთში 32107 დესეტინა, აჭარისტანში – 8953 დესეტინა და სამხრეთ

ოსეთში – 9000 დესეტინა“ (მოკლე ანგარიში, 1927: 29, ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.). საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმის 1929 წლის 20 მარტის სხდომამ განიხილა „მოხსენება მაზრებისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობების შესახებ საქართველოს საბჭოთა V ყრილობაზე“ (სუიცა: ფ. 284, ანაწ. 1, ს. 350, ფ. 36). აფხაზეთს 24 ადგილი გამოეყო. მოტანილი დოკუმენტები – უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ 20-იან წლებში არსებული აფხაზეთის სსრ წარმომადგენდა არა „მოკავშირე რესპუბლიკას, რომელსაც სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი ჰქონდა“ (Бгажба О., Лакоба С., 1997: 356-357), არამედ ჩვეულებრივ ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ზემოთაც ითქვა, „აფხაზეთის სსრ“ – ავტონომიის თავისებური ფორმა – ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკა“ („Договорная республика“) შეიქმნა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე, 20-იანი წლების ბოლოსათვის მან თავისი ფუნქცია ამოწურა და სავსებით კანონზომიერად დადგა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. ამის აუცილებლობას გულისხმობდა ნ. ლაკობა, როდესაც 1929 წ. 4 ივლისს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე განაცხადა: „თვით აფხაზეთს მოუწევს რაღაცეების გასწორება თავის კონსტიტუციაში; საუბარი იმაზე, რომ აფხაზეთი უკმაყოფილოა საქართველოთი, სრული სისულელეა“ (Тондзе, 1996: 26). მისი თქმით, საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელების პოლიტიკური თანასწორობა დიდი ხნის უზრუნველყოფილია, მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად კი საქართველო ყველაფერს აკეთებდა. ეს იყო მინიშნება იმაზე, რომ აფხაზეთის რესპუბლიკამ მასზე დაკისრებული მისია შეასრულა და ფუნქცია ამოწურა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 20-30-ან წლებში მიმდინარეობდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიების რეორგანიზაცია. აფხაზეთზე ბევრად მრავალრიცხოვანი და განვითარებული, უზარმაზარი მატერიალური რესურსების მქონე ერები ავტონომიური ოლქების, საუკეთესო შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ინარჩუნებდნენ, ან ღებულობდნენ.

1930 წ. 17 აპრილს აფხაზეთის ცაკ-ის III სესიამ განიხილა აფხაზეთ-საქართველოს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი. სესიისათვის აფხაზეთის მთავრობის მიერ მომზადებულ ცნობაში ნათქვამია: „იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებამ დაკარგა რეალური მნიშვნელობა და, შესაბამისად, იგი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც შეთანხმება აფხაზეთის სსრ და საქართველოს სსრ გაერთიანების შესახებ, ხოლო ამ რესპუბლიკების ნამდვილი ურთიერთობები ზუსტადაა განსაზღვრული მათ კონსტიტუციებში, – აუცილებელია ვადიაროთ, რომ აფხაზეთის სსრ სახელწოდებას „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ რეალური შინაარსი არ გააჩნია“ (Тондзе, 1996: 27). სესიამ ეს გარემოება გაითვალისწინა და აფხაზეთის კონსტიტუციიდან ამოიღო სა-

ხელწოდება „სახელმწიფოებრივი რესპუბლიკა“ და იგი „ავტონომიური რესპუბლიკა“-თი შეცვალა. ამასთანავე, 1926 წ. კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების გადასინჯვა არ მომხდარა. საკონსტიტუციო ცვლილებები საბოლოოდ აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ 1931 წ. 11 თებერვალს დაამტკიცა.

ყრილობაზე ნ. ლაკობამ აღნიშნა: „საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებს შორის ურთიერთობის საკითხი მთლიანად გადაწყვეტილია... ჩვენ შეგვიძლია დიად განვაცხადოთ, რომ აფხაზეთისა და საქართველოს მშრომელების ურთიერთობის საკითხი, როგორც განსაკუთრებული საკითხი, დღის წესრიგიდან მოხსნილია“. მან გააკრიტიკა აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელიც, მისი აზრით, არ ითვალისწინებდა აფხაზეთის ენის შესაძლებლობებს და ცდილობდა ამ ენაზე „უთარგმნელის თარგმნას“, აგრეთვე იმის „დამტკიცებას, რომ აფხაზეთი ლიტერატურა ჯერ კიდევ ადამზე ადრე არსებობდა. ისტორიაში ის არ არსებულა და დაუსვით წერტილი“ (Гамахария, Гогия, 1997: 503, 504). ამ კრიტიკით ნ. ლაკობამ პრევენტიული დარტყმა მიაყენა ინსტიტუტის სეპარატისტულად განწყობილ თანამშრომლებს, რომლებსაც შეეძლოთ უკანასკნელი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ გალაშქრება. 1931 წ. 14 თებერვალს საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დაადასტურა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილება, რაც საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა. 1921 წ. 16 დეკემბრის ხელმწიფოებრივი კი ძალადაკარგულად გამოცხადდა (Съезды Советов: 1964: 557-561). 1931 წელს აფხაზეთის კონსტიტუცია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციასთან, სადაც აფხაზეთი დაფიქსირებულია როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

აფხაზეთისა და საქართველოს საბჭოების VI ყრილობების საკონსტიტუციო გადაწყვეტილებებს დაემთხვა გუდაუთის რაიონში სეპარატისტთა შეიარაღებული გამოსვლები საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ, რომლებშიც ნ. ლაკობას დედაც მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ გამოსვლების უკან ნ. ლაკობა იდგა (Бгажба О., Лакоба С., 2015: 358-359). 1922 წ. თებერვლიდან ის აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს – მთავრობას თავმჯდომარეობდა; 1930 წ. აპრილიდან, როცა მთავრობა და ცაკ-ი გაერთიანდა, მან ცაკ-ის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა, რომელზეც 1936 წლის ბოლომდე (გარდაცვალებამდე) რჩებოდა. ნ. ლაკობამ ღრმა კვალი დატოვა აფხაზეთის 20-30-იანი წლების ისტორიაში. მის სახელს უკავშირდება როგორც იმ პერიოდის აღმშენებლობა, ისე სისხლიანი ტერორი. სხვა საბჭოთა და პარტიული ლიდერების მსგავსად, ნ. ლაკობა იყო ჩვეულებრივი ჯალათი. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა მან 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა მიმართ. ნ. ლაკობამ, როგორც საგანგებო სპეციალური ორგანოს – „სამეურლის“ (ე. წ. „ტროიკა“) თავმჯდომარემ, მარტო ერთ სხდომაზე, რომელიც 1924 წ. 15 და 17 სექტემბერს მიმდინარეობდა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 13 ადამიანს. მათ შორის იყო 1918 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმის, 1917-1921 წლებში აფხაზეთის სახალხო საბჭოს, 1919-1921 წლებში საქართველოს

დამფუძნებელი კრების წევრი, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტი, ეთნიკური აფხაზი ვასილ გურჯუა.¹

სწორედ ტერორსა და ძალადობაში გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური რეჟიმის ბუნება, რომლის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ნესტორ ლაკობა და აფხაზეთის სხვა ხელმძღვანელები, განურჩევლად ეროვნებისა. ნ. ლაკობამ აფხაზეთში ჩამოაყალიბა კლანური, ეთნოკრატიული, სეპარატიზმისკენ მიდრეკილი ერთპიროვნული რეჟიმი, რომელიც შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდა (**ჰაპასქირი, 2007**: 110-113, 117, 122-123; ნ. ლაკობას მოღვაწეობის შეფასების შესახებ ვრცლად იხ.: **ანჩაბაძე ჯ, 2016**: 324-338; **ანჩაბაძე ჯ, 2017**: 189-197). მისი მუშაობის სტილი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის სრული იგნორირება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის (*ლავრენტი ბერია*) გაღიზიანებას და უკმაყოფილებას იწვევდა (**ჰაპასქირი: 2007**: 122-126). მხოლოდ ი. სტალინთან სიახლოვემ იხსნა ნ. ლაკობა პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ 1936 წ. დეკემბრის ბოლოს იგი თბილისში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ნ. ლაკობა დაიკრძალა როგორც „ნაცადი ბოლშევიკი და აფხაზეთში სოციალიზმის მშენებლობის დაუღალავი ხელმძღვანელი“, მაგრამ მალე საბჭოთა ხელისუფლებამ „ხალხის მტრად“ გამოაცხადა. 1937 წ. თებერვლიდან სექტემბრამდე აფხაზეთის ცაკ-ს, შესაბამისად, მთავრობას *ალექსი აგრბა* ხელმძღვანელობდა, რომელიც *აქსენტი რაფაევამ* შეცვალა (1937 წლის ნოემბერი-1938 წლის ნოემბერი).

30-იან წლების შუახანებში აფხაზეთის კონსტიტუციამ ძირეული ცვლილებები განიცადა. ცვლილებები განხორციელდა სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ პოლიტიკის კონტექსტში, რომელსაც იმჟამად საბჭოთა რეჟიმი ატარებდა. მომზადდა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც 1935 წ. 7 იანვარს დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ /1935 წ. 2-7 იანვარი/ (**Съезды Советов, 1964**: 766-773). 1926 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელიც ფორმალურად მაინც მიჯნავდა თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებას, 1935 წლის კონსტიტუცია ხელისუფლების სრულ ცენტრალიზაციას ითვალისწინებდა. ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატი საქართველოს შესაბამის უწყებებს დაექვემდებარა. აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ნორმა სამი სახელმწიფო ენის შესახებ ცხოვრებაში გატარდა მხოლოდ *გალის რაიონში*, სადაც საქმისწარმოება ქართულ ენაზე გადავიდა. ყრილობამ სოფლებში საქმის წარმოების მშობლიურ ენაზე გადაყვანა მოითხოვა (**Съезды Советов, 1964**: 764-765).

აფხაზეთის კონსტიტუციაში 1935 წელს განხორციელებული ცვლილებები აისახა საქართველოს კონსტიტუციაშიც. შესაბამისი ცვლილებები საქართველოს

¹ რეპრესირებულებს შორის (*ვასილ გურჯუას* გარდა) იყვნენ *ბესარიონ აფრასიძე, კოკო დაღუქელიანი, სამსონ ჯანდილიანი, ნოჩო მიქელაძე, გიორგი ცინცაძე, მიხა ასათიანი, ტარას ანჩაბაძე, ერმოლაი ანჩაბაძე, ნაპარ ხუნტუა, მაქსიმე კორსანტია, ნარბეი მარშანია* და *ბაბილო მარღანია* (**მსს არქივი**: ფ. 6, ს. 23480, ფ. 145-146).

საბჭოების VII ყრილობამ (1935 წლის 10-14 იანვარი) დაამტკიცა **(სტენოგრაფიული ანგარიში, 1935: 248)**. სსრ კავშირის უნიტარიზაციის, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936 წ. 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე „სტალინური კონსტიტუციის“ მიღებით დასრულდა. იმავე წელს ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა და საქართველო უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ 1937 წ. 13 თებერვალს მიიღო. საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ, მოისმინა რა ცაკის თავმჯდომარის *ალექსი აგრბას* მოხსენება, 1937 წ. 2 აგვისტოს მიიღო აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუცია (**Советская Абхазия, 1937, 04.08.**). ამ კონსტიტუციით აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

§2. აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX საუკუნის 20-30-იან წლებში

1931 წლის დამდეგს, როგორც უკვე აღინიშნა, ე.წ. „აფხაზეთის სსრ“-ის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნით ოფიციალურად გაფორმდა თბილისსა და სოხუმს შორის ამ დროისათვის რეალურად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები. რატომ გაჭიანურდა ასე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების პროცესი და რამ განაპირობა მოჩვენებითი, ე.წ. „სუვერენული“ აფხაზეთის სსრ-ის ათწლიანი არსებობა?

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ზემდგომი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინსტანციები თბილისსა და მოსკოვში ითმენდნენ ე.წ. აფხაზეთის სსრ-ის „დამოუკიდებლობას“, იყო ის დემაგოგიური დაპირებები, რომელთაც, თავის დროზე, ასე უხვად ურიგებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ „გმირულად მებრძოლ“ აფხაზ კომუნისტებს ქართველი ბოლშევიკები. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, ყოველნაირად ცდილობდა რა მენშევიკური ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაქილიკებას, სულაც არ უფიქრდებოდა იმას, რომ ამით აღვივებდა ანტიქართულ განწყობილებებს აფხაზეთში. საქართველოს ბოლშევიკური მარიონეტული რეჟიმის ამ არაშორსმჭვრეტელური, თავისი არსით მოღალატური ანტიქართული პროპაგანდის ნათელი ნიმუშია ამიერკავკასიის კომუნისტების აღიარებული წინამძღოლის *სერგო ორჯონიკიძის* რიტორიკა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, სადაც ის ქუმმარიტად რევოლუციური პათოსით „ამხელდა“, „*მენშევიკების ანტიხალხურ პოლიტიკას*“, საუბრობდა იმაზე, თუ როგორ „*მორწყეს სისხლით უბედური სამხრეთელი ოსების, აჭარლებისა და აფხაზების მინდვრები და მთები...*“ (**Орджоникидзе, 1956a: 226; Сагария, 1981: 39**).

ასეთი იდეოლოგიური პოსტულატები მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა აფხაზ ბოლშევიკთა შორსმიმავალი სეპარატისტული ზრახვების რეალიზაციისათვის. მაშინდელი აფხაზეთის ლიდერები *ეფრემ ეშბა* და, განსაკუთრებით, *ნესტორ ლაკობა*, სიტყვით აღიარებდნენ რა აფხაზეთის ყოფნას საქართველოს სსრ-ის ფარგლებში, მალულად აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური ერთობის მოსაშლელად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კომუნისტური ხელისუფლების წაყრუებით და, შესაძლოა, მისი ფარული წაქეზებითაც კი, დაიწყო აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ ისტორიულ-პოლიტიკური საფუძვლების შექმნა.¹

მაგრამ აფხაზეთის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას სულაც არ აკმაყოფილებდა ისტორიოგრაფიულ ასპარეზზე მოპოვებული „მიღწევები“ და ის პარალელურად თანმიმდევრულ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა სხვა მიმართულებითაც. მაგალითად, ნ. ლაკობამ და მისმა გუნდმა მთლიანად ჩაიგდო ხელში სახელმწიფო აპარატი. საკვანძო თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზები ინიშნებოდნენ. ოფიციალური თბილისი, შესაძლო გართულებების შიშით, „ვერ ამჩნევდა“ აფხაზეთის ბოლშევიკ ლიდერთა ვოლუნტარიზმს საკადრო საკითხებში. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის, არასახელმწიფოებრივი მიდგომა აფხაზეთში გატარებული საკადრო პოლიტიკისადმი ნათლად ჩანს საქართველოს პარტიული ლიდერის *ლევან დოდობერიძის* გამოსვლიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წ. ივნისის პლენუმზე, სადაც ის ამართლებდა აფხაზეთში გატარებულ დისკრიმინაციულ საკადრო პოლიტიკას და ღიად აცხადებდა, რომ აფხაზეთში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნვისას უპირატესობა უნდა მინიჭებოდა აფხაზებს. და ეს მაშინ, როდესაც იმავე ლ. დოდობერიძის განცხადებით, აფხაზეთში რიცხობრივად „*აფხაზები ნაკლებნი არიან ვიდრე ქართველები*“ (*Сагария, 1981: 184, ხაზგასმა ჩვენი – ზ.3.*)²

ქართული საზოგადოებრიობა, საქართველოს ბოლშევიკი ლიდერებისაგან განსხვავებით, შეშფოთებას გამოხატავდა აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შოვინისტური პოლიტიკის გამო. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „*სოციალისტ-ფედერალისტის*“ 1921 წ. 23 ივლისის პუბლიკაცია, რომელშიც პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ ე.წ. „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ რეალურად ნიშნავს იქ რუსების სრულ გაბატონებას (*დარსანია, 2000: 152*). იმავე გაზეთის 1921 წ. 24

¹ სწორედ ამას ემსახურებოდა თავიანთი სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილი აფხაზი მოღვაწეების *სიმონ ბასარიასა* და *სემიონ აშხაცვას*, ზემოთნახსენები პუბლიკაციები აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე.

² ის, რომ იმ დროს (1926 წ.) აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ჭარბობდა აფხაზურს აღიარებული თვით ქართველთა მიძღვლულ აფხაზი ისტორიკოსი *სტანისლავ ლაკობას* მიერაც, რომელსაც მოჰყავს 1926 წლის აღწერის მონაცემები. ამ მონაცემებით აფხაზები ითვლიდნენ 55918 ადამიანს, ხოლო ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 67494 ადამიანს (*Лакоба, С., 1990b: 99*).

ივლისის ნომერში კიდევ უფრო მუქ ფერებშია წარმოჩენილი აფხაზეთის ვითარება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „აფხაზეთის დამოუკიდებლობა სახელად აფხაზეთის არის, სახრავად კი იმ რუსებისა, რომლებიც წითელი იმპერიალიზმის სახელით შესდგომიან მის კეთებას, რაც საოცნებელი იყო ცარიზმის აგენტებისა“ (დარსანია, 2000: 151). კიდევ უფრო კრიტიკული იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელმაც ფარისევლობა უწოდა აფხაზეთში არსებული რეალობის აფხაზი ხალხის აღორძინებად წარმოჩენის მცდელობას და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ აფხაზი ხალხის დაცინვად მიაჩნია. სრულიად აშკარა იყო, რომ მამინდელი აფხაზეთის ბოლშევიკი ლიდერები ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა, რომელთაც, ვ. კოტეტიშვილის თქმით, აფხაზეთი თავიანთ მამულად წარმოედგინათ, სრულიად არ ითვალისწინებდნენ რეგიონის ქართული მოსახლეობის ინტერესებს (Гамахария, Гогия, 1997: 479). მათი ერთადერთი მიზანი იყო, შეექმნათ ეთნოკრატიული რეჟიმი. ამგვარი პოლიტიკის წყალობით 1925 წლისათვის ნესტორ ლაკობამ ფაქტობრივად დაასრულა ეთნოკრატიული რეჟიმის დამყარება,¹ ხოლო 1925 წელს, ე.წ. „კონსტიტუციის“ მიღებით, საერთოდ თბილისის კონტროლიდან ოფიციალურად გამოსვლას შეეცადა.

აფხაზეთის სსრ-ის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნამ 1931 წ. თებერვალში სერიოზული დარტყმა მიაყენა სეპარატისტულად განწყობილ ძალებს აფხაზეთში, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში კვებავდნენ თავიანთ თანამემამულეებს ცრუ დაპირებებით. ამ აქტმა ნათლად აჩვენა ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ მთელი სიყალბე და დემაგოგიურობა. მითი იმის შესახებ, თითქოს კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ მთავრობის მიერ „ჩაგრულ“ აფხაზ ხალხს უბოძა „თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“, საპნის ბუმბუკით გასკდა. უფრო მეტიც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ის „დამოუკიდებლობა“, რომელიც ბოლშევიკებმა თითქოს უბოძეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ „გმირულად მებრძოლ“ აფხაზ ხალხს 1921 წლის გაზაფხულზე, იმთავითვე ფიქცია აღმოჩნდა.

1931 წლის თებერვალში ე.წ. „აფხაზეთის სსრ“-ის გარდაქმნამ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური საზოგადოების რისხვა გამოიწვია. 1931 წ. 18 თებერვალს, აფხაზეთის ასსრ-ის შექმნიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, გუდაუთის რაიონის სოფელ ღურიფში დაიწყო ე.წ. „აფხაზთა სახალხო ყრილობა“, რომელიც გაგრძელდა 26 თებერვლამდე (Сводка, 2016: 4-15). საბჭოთა ხელისუფ-

¹ ამის მკაფიო დადასტურებაა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორის ვ. ადამსკაიას მოხსენებითი ბარათი (1922 წ. 3 აპრილი) აფხაზეთში პარტიული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ. მასში პირდაპირაა მითითებული, რომ ნესტორ ლაკობა „ცენტრში და ადგილებზე ყველა უწყებაში ნიშნავდა თავის ნათესავებს...“ (Гамахария, Гогия, 1997: 486).

ლები წლებში აფხაზთა ამ გამოსვლის მიზეზად სახელდებოდა აფხაზური მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამო, მაგრამ ეს შეხედულება დღეს გადასინჯულია. აფხაზი ისტორიკოსის სტანისლავ ლაკობას სახვებით არგუმენტირებული დასკვნით, აფხაზთა ეს ამბოხი პირდაპირ უკავშირდებოდა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლას (ლაკობა, С., 1990b: 90-91).¹

სიტუაცია უკიდურესად გამწვავებულა. ამბოხებულ აფხაზებს ხელისუფლებისათვის დიად განუცხადებიათ, რომ მათ „*დარჩათ მხოლოდ ორი გამოსავალი, ან იარაღით ხელში დაიკვან თავისი უფლებები, ან დატოვონ აფხაზეთი, რადგან რუსეთის სახელმწიფო როგორც ადრე ისე დღეს ატარებს ეროვნული უმცირესობების განადგურების პოლიტიკას*“ (Сводка, 2016: 9). მიუხედავად ასეთი რადიკალური ანტისამთავრობო განცხადებებისა, ვარაუდობენ, რომ აფხაზთა ეს სეპარატისტული გამოსვლა ინსპირირებული იყო თვით ნ. ლაკობას მიერ. ამასთან დაკავშირებით ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ „ანტისამთავრობო“ ამბოხის უშუალო მონაწილე ყოფილა თვით ნ. ლაკობას დედა – მახუსნა, რომელიც, თურმე შეიარაღებული აფხაზების წინ მიდიოდა და ერთგვარად იცავდა მათ (ლაკობა, С., 2004: 108).

მაგრამ აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობის ამ ავანტიურამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ნესტორ ლაკობა გამოიძახეს მოსკოვში, სადაც, როგორც ჩანს, კონფიდენციალური შეხვედრა ჰქონდა ი. სტალინთან. „*მსოფლიოს ყველა ხალხის ბელადს*“ აფხაზი ბოლშევიკების ნაცადი წინამძღოლისადმი განსაკუთრებული პირადი კეთილგანწყობის მიუხედავად, რასაკვირველია, არ შეეძლო გამონაკლისის დაშვება აფხაზებისთვისაც კი – იმ აფხაზებისათვის, რომლებიც, იმავე ი. სტალინის აღიარებით, ეწეოდნენ (1918 წ.) „*გმირულ ბრძოლას*“ „*თბილისის მთავრობის შავი ბანდების*“ წინააღმდეგ (Сталин, 4, 1947: 96; Тоидзе, 1999: 297). ი. სტალინს ჰქონდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი მოწყობის სრულიად მკაფიო ხედვა (ამის შესახებ იხ. ჰაპასქირი, 2015: 408-420; ჰაპასქირი, 2016b: 103-113), რომლის მიხედვით, არათუ აფხაზეთი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისედაც ავტონომია (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში) იყო, არამედ ოფიციალურად აღიარებული სუვერენული სახელმწიფოები, პირველ რიგში, საქართველო (რომლის დამოუკიდებლობა დე-იურე თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა ცნო 1920 წ. 7 მაისს), უნდა შესულიყვნენ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების სახით.

ასე რომ, ცალკეული აფხაზი ისტორიკოს-პოლიტოლოგების (პირველ რიგში, ს. ლაკობას) მცდელობა მიაწერონ ი. სტალინს განსაკუთრებული ზრუნვა თავის

¹ მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ აფხაზები ასე დიად გამოსულიყვნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, მით უფრო 1931 წელს. როგორც ცნობილია, 1930 წ. 2 მარტს გაზეთ „*Правда*“-ში ი. სტალინის საპროგრამო წერილის: „*თავბრუდახვევა წარმატებებისაგან*“ (Сталин, 12, 1947: 191-199) გამოქვეყნების შემდეგ კოლექტივიზაციის პროცესი უფრო ლიბერალურად მიმდინარეობდა, რამაც რამდენადმე მოხსნა დაძაბულობა სოფლად.

სამშობლო – საქართველოზე და ამით ახსნან აფხაზეთის სსრ-ის „ლიკვიდაცია“, რასაკვირველია, მთლიანად საფუძველს მოკლებულია. იოსებ სტალინის, ისევე, როგორც მისი მასწავლებლის, „*მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის*“ – ვლადიმირ ლენინის, ერთადერთი მიზანი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ სახით მსოფლიო კომუნისტური იმპერიის შექმნა იყო და სხვა არაფერი. ყოფილი რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები კი მათ საერთოდ არ აღელვებდათ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ მოაშთეს იმავე ი. სტალინმა და მეორე „დიდმა“ ქართველმა სერგო ორჯონიკიძემ „ნაციონალ-უკლონისტების“ სახელით ცნობილი ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილის მორიდებული მცდელობა, შეენარჩუნებინათ საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარეგნული ატრიბუტები მაინც.

ის, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლა¹ სულაც არ იყო რაღაც არაბუნებრივი მოვლენა, მით უფრო საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მოფიქრალი „ყოვლისშემძლე ქართველის“ ი. სტალინის ახილება და რომ ეს უშუალოდ გამომდინარეობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის საერთო-პოლიტიკური კურსიდან, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ XX ს. 20-30-იან წლებში ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1920 წ. ივლისში გამოცხადებულ იქნა *ნახიჭევანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის* შექმნა, რომელიც უკვე 1923 წ. თებერვალში გარდაიქმნა ავტონომიურ მხარედ, ხოლო მოგვიანებით ავტონომიურ რესპუბლიკად აზერბაიჯანის სსრ-ში. ცნობილია ასევე, რომ 1918 წელს შეიქმნა *სტავროპოლის, ყუბანის, შავიზღვისპირეთის* სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებმაც მოგვიანებით მხოლოდ რსფსრ-ში შემავალი ადმინისტრაციული ოლქების (ამჟამად მხარეების) სტატუსი მიიღეს (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Шнайдер, 2007**).

XX ს. 20-30-იან წლებში აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სეპარატისტულ კურსზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის“ ბურჯად მიჩნეული ეროვნული ლიდერის *ნესტორ ლაკობას* პიროვნებას. ნესტორ ლაკობა, როგორც ცნობილია, ძველი რევოლუციონერი იყო. ის 19 წლის ასაკში შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ)

¹ აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცნობილი გერმანელი *სამართალმცოდნის ანგელიკა ნუსბერგერის (Angelika Nußberger)* რუსულ-საბჭოური სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში დაშვებულ უხეშ ფაქტოლოგიურ შეცდომას. მისი განმარტებით, თურმე სტალინმა 1924 წელს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოაქვეითა ავტონომიურ რესპუბლიკად და ის მიუერთა საქართველოს რესპუბლიკას/“*Warum hatte Stalin Abchasien, das bis 1924 eigenständige Republik war, zu einer autonomen republik zurückgestuft und der Republik Georgien einverleibt?*”/ (**Nußberger, 2010**: 45; ამის შესახებ იხ.: **პაპასკირი, 2014b**: 7-8; **Papas-kiri, 2012**: 168-169).

რიგებში. ეს მოხდა ბათუმში 1912 წელს (**Бгажба М., 1965: 12-13**). 1917-1921 წლებში ნ. ლაკობა აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა, დროდადრო ეთანამშრომლა ხელისუფლებასთანაც, რომელსაც ამ პერიოდში აფხაზეთის სახალხო საბჭო განასახიერებდა. კერძოდ, ცნობილია, რომ ის ერთი ხანობა ასრულებდა ოჩამჩირის კომისრის მოვალეობას (**Ментешашвили, 1998: 61**).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ლაკობა თავისი გავლენით აფხაზ ბოლშევიკებში მეორე კაცი იყო, აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერად კი რევკომის თავმჯდომარე *ეფრემ ეშბა* ითვლებოდა (**Дзидзария, 1967**). სწორედ ე. ეშბა იქნა არჩეული (სხვათა შორის, ნ. ლაკობას წინადადებით) აფხაზეთის ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) – ადგილობრივი უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარედ, ხოლო ნ. ლაკობა დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარედ. ეს ნ. ლაკობას ეშმაკური სვლა იყო. ისარგებლა რა იმით, რომ ქვეყნის ლიდერად ითვლებოდა ვ. ლენინი, რომელსაც ოფიციალურად არა ცაკის თავმჯდომარის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ნ. ლაკობამ მაშინვე ხელთ იგდო ინიციატივა და ფაქტობრივად აფხაზეთში პირველი პირი გახდა. მალე ე. ეშბამ საერთოდ დატოვა აფხაზეთი – ის გადაიყვანეს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) თანამდებობაზე, რის შემდეგაც ნ. ლაკობა აფხაზეთის სრულ ბატონ-პატრონად იქცა. ის არაფრად აგდებდა არც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და არც ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს.

ნესტორ ლაკობას ამგვარმა ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ აფხაზეთის უმაღლესი პარტიული ორგანოს მიმართ გააღიზიანა საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელმაც, როგორც ჩანს, ამის შესახებ (1929 წ.) აცნობა მოსკოვს. მაგრამ სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ი. სტალინმა ფაქტობრივად დაიცვა ნ. ლაკობა, თუმცა ამავე დროს არც მის შეცდომებზე დაუხუჭავს თვალი (**Лакоба, С., 1990b: 112**). მაგრამ ნ. ლაკობა ი. სტალინის ამ შენიშვნის შემდეგაც აგრძელებდა პარტიის საოლქო კომიტეტის იგნორირებას. მეტიც, მას შემდეგ, რაც ნესტორ ლაკობა 1930 წელს გახდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე და ერთდროულად მოექცა აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში, ის პარტიის საოლქო კომიტეტს საერთოდ არაფრად აგდებდა. ცნობილია, რომ თვით პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომები ტარდებოდა არა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში, არამედ ნ. ლაკობას აპარტამენტებში. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ინსტანციის ამ დამამცირებელი პრაქტიკის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა *ალექსი აგრბამ*, რომელიც ლავრენტი ბერიას რეკომენდაციით 1936 წ. იანვარში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. მან აიძულა ნ. ლაკობა, გამოცხადებულიყო

ბიუროს სხდომებზე საოლქო კომიტეტში. ის ამასაც არ დასჯერდა და საოლქო კომიტეტის ბიუროს სპეციალური გადაწყვეტილებით აუკრძალა ბიუროს წევრებს სოხუმიდან გასვლა ბიუროსთან (ანუ, ფაქტობრივად, პირველ მდივანთან) შეთანხმების გარეშე (Лакоба, С., 1990b: 131).

ამ გადაწყვეტილებამ ნ. ლაკობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა 1936 წ. ზაფხულში, როდესაც ის ვერ დახვდა მიუსერაში დასასვენებლად ჩამოსულ ი. სტალინს. კითხვაზე, თუ რატომ არ დახვდა მას ნ. ლაკობა, აფხაზეთის ლიდერმა ითხოვა ი. სტალინისთვის გადაეცათ, რომ ის „*მოხარული და ბედნიერი იქნებოდა დახვედროდა მას, მაგრამ როგორც დისციპლინირებულ კომუნისტს არ შეეძლო დაერღვია საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება*“ (Лакоба, С., 1990b: 131-132). ი. სტალინმა გულთან ახლოს მიიტანა თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ეს „ჩივილი“ და უბრძანა ლ. ბერიას, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ჭირვეული მდივანი. მართლაც, ა. აგრბა გაიწვიეს თბილისში, თუმცა, მოგვიანებით, 1937 წ. დამდეგს ის კვლავ დააბრუნეს აფხაზეთში ამჯერად უკვე თვით ნ. ლაკობას თანამდებობაზე – აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარედ (Лакоба, С., 1990b: 132).

დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ნ. ლაკობა დიდხანს რჩებოდა ი. სტალინის ფავორიტად. როგორც ირკვევა, ი. სტალინმა 1935 წელს აფხაზეთის ლიდერს მოსკოვში გადასვლა და იქ მაღალი პოსტის დაკავება შესთავაზა. არის მოსაზრება (ს. ლაკობა), რომ მას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გენრიხ იაგოდა უნდა შეეცვალა, მაგრამ ნ. ლაკობამ თითქოს „თავაზიანი“ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე, რითაც გაანაწყენა ი. სტალინი. ნ. ლაკობას უარი, ყოფილიყო უფრო ახლოს ბელადთან, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი რამით – ის ბოლომდე არ ენდობოდა ი. სტალინს. რაც შეეხება აფხაზი ისტორიკოსის მცდელობას, ნ. ლაკობას უარი ახსნას იმით, თითქოს აფხაზი ბოლშევიკების ნაცად წინამძღოლს ჰქონდა ერთი სერიოზული „ნაკლი“ – „*ის არ იყო ჯალათი*“ (Лакоба, С., 1990b: 122), ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც უშუალოდ ნესტორ ლაკობას თავმჯდომარეობით ე. წ. „ტროიკას“ მიერ 1924 წელს 13 პირისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, რომელზეც ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება (გვ. 412-413)

მას მერე, რაც ნათელი მოეფინა 20-30-იანი წლების წითელი ტერორის ხასიათსა და მასშტაბებს, არა გვგონია ს. ლაკობა იმდენად გულუბრყვილო იყოს, რომ სერიოზულად ილაპარაკოს როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მასშტაბის პარტიულ ხელმძღვანელთა ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო სისხლსმოწყურებული ფანატიკოსების ეპოქა, რომლებიც არაფერზე უკან არ იხევდნენ „კაცობრიობის საყოველთაო კეთილდღეობის“ მისაღწევად. რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში ვერც ნ. ლაკობა და ვერც სხვა ვინმე ვერ იქნებოდნენ ანგელოზები, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ ყოფილ თანამებრძოლებს.

ამავე დროს, მართლაც არ არის გამორიცხული (როგორც ამას ფიქრობს ს. ლაკობა), რომ არა მარტო საქართველოს პარტიულ ლიდერს, *ლავრენტი ბერიას*, არამედ თვით ი. სტალინსაც უკვე აღიზიანებდა ნ. ლაკობას მცდელობები, როგორც მოეპოვებინა მაქსიმალური სუვერენიტეტი თბილისისგან და საერთოდ გამოეყვანა აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა ს. ლაკობას მიერ მოყვანილი ცალკეული ფაქტები, რომლებიც რამდენადმე ადასტურებენ იმას, რომ 1935-1936 წლებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წინ (რომელმაც, როგორც ცნობილია, შეცვალა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი) ნ. ლაკობა ცდილობდა, აფხაზეთის ასსრ რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეეყვანა (*ლაკობა, С., 1990b: 123*).

ყოველივე ზემოაღნიშნული, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ფაქტი პირველი აფხაზი ბოლშევიკის ცხოვრებიდან, რომელთა ფართო რეკლამირებას გაურბიან აფხაზი ისტორიკოსები, ნათლად ადასტურებენ, რომ ნესტორ ლაკობამ აფხაზეთში ნამდვილად შექმნა ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტა და მისი *რსფსრ-ის* სათვის მიერთება.

ერთ-ერთ ყბადაღებულ თემას, რომელსაც ხშირად იყენებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები თავიანთ ანტიქართულ კამპანიაში, წარმოადგენს 30-იანი წლების რეპრესიები. სეპარატისტთა მტკიცებით, რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ აფხაზეთში ჩატარდა და ამაში მთავარი დამნაშავე თურმე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და „ძღვევამოსილი ქართველები“ – *იოსებ სტალინი* და *ლავრენტი ბერია* იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ სეპარატისტთა ეს ყალბი ნარატივი თავისი ანტიქართული პროპაგანდის „არსენალში“ შეიტანა რუსეთის პრეზიდენტმა *ვლადიმირ პუტინმა*, რომლის მტკიცებით, თურმე „*სტალინის მითითებით შინსახკომმა ბერიას მეთაურობით განახორციელა მკაცრი ზომები აფხაზეთა მიმართ... საქართველოს მიერ ამ ტერიტორიისა და აფხაზი ხალხის მთანეთქმის მიზნით*“/„*с целью поглощения Грузией этой территории и абхазского народа*“/ (*Путин, 2019*, ხაზგასმა ჩვენია – *ზ.პ. ვ. პუტინის* ამ და სხვა გამონათქვამების კრიტიკა იხ. *Гамахария, 2019*).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX ს. 30-იან წლებში საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა სსრ კავშირის მასშტაბით სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანი აქცია სისხლიანი ტერორის მსხვერპლად. მართალია, რეპრესიები დაიწყო ჯერ კიდევ *ვლადიმირ ლენინის* სიცოცხლეში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა შეიწირა არაერთი მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მაგრამ თავის აპოგეას რეპრესიებმა 30-იანი წლების II ნახევარში – „*სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტ სტადიაში*“ გადასვლის პერიოდში მიაღწია. ტოტალიტარულ რეჟიმს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ დროს გამწვავდა უკიდურესად კლასობრივი წინააღმდეგობები და მტრულმა ელემენტებმა მოინდომეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება. რეპრესიებმა მოიცვეს მთელი ქვეყანა. ბუნებრივია, ის ვერ ასცდებოდა საქართველოსაც.

პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საქართველოში ჩატარდა წმენდა განსაკუთრებული სისასტიკით და სწორედ აქ მიაღწია რეპრესიებმა არნახულ მასშტაბებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მიუხედავად დიდი მონღომებისა, მაინც ვერ მოახერხა ქართული ინტელიგენციის ბოლომდე „დამუშავება“ და ის არ იჩენდა საჭირო ლოიალობას რეჟიმისადმი. დევნაში მოჰყვნენ და სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლნი გახდნენ „განათლებული საქართველოს“ საუკეთესო წარმომადგენლები – მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი: *პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი* და სხვ.

რეჟიმის რისხვა დაატყდათ საქართველოს ბოლშევიკური ელიტის წამყვან ფიგურებსაც. როგორც უკვე აღინიშნა, დახვრეტილ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური“ ხელმძღვანელობა. უფრო მეტიც, არ დაინდეს ისინიც კი, ვისაც ლომის წილი ედო ე.წ. „საქართველოს გასაბჭოების“ მომზადებაში, იყვნენ პირველი რევიკომის ხელმძღვანელები, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი თანამდებობები ეკავათ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ და საბჭოთა სტრუქტურებში: *ბულუ მღვიანი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლევან დოდობერიძე, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, ლავრენტი ქართველიძე, მარიამ ორახელაშვილი* და ა.შ.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება „მტრულ ელემენტებს“, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ შეთითხნილი საქმის მასალები. ამ პირებს ბრალად ედებოდათ მხოლოდ ერთი რამ – ზრუნვა ქართულ ეკლესიაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ 21 სასულიერო მოღვაწეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მათ შორის, ვინც ხელისუფლებამ გაწირა, იყვნენ: *ბესარიონ ვაშაძე, მიხეილ ნაწიშვილი, იოსებ მირიანაშვილი, ილარიონ ოქროპირიძე, გიორგი ეპიტაშვილი, ივანე ჩიტაძე, ერმილე გოგოლიძე, ივანე ქააძე, მაღაქია წიკლაური, სამსონ მდინარიძე, იოანე ბობოხიძე, პროკოფი ჩიგოგიძე, გიორგი დარჩია, ელიზბარ ანჩაბაძე* და სხვ. (**ვარდოსანიძე, 2001: 195**) აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი პიროვნებები სულაც არ წარმოადგენდნენ საქართველოს ეკლესიის ელიტას, არამედ იყვნენ ეკლესიის რიგითი მსახურნი. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უბრალო ადამიანი შეეწირა რეჟიმს. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი *ამბროსი (ხელაია)*, რომელიც ფაქტობრივად ხელისუფლების მხრიდან უხეში ზეწოლის მსხვერპლი გახდა. ასევე ცნობილი ფაქტია 1924 წ. აგვისტოში ქუთაისის მიტროპოლიტის *ნაზარეს (ლეჟავა)* დახვრეტა.

XX ს. 20-30-იან წლებში გატარებულმა რეპრესიებმა საქართველოს დიდი ტკივილი მიაყენა. ტერორს შეეწირნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები და სულ ტყუილად ცდილობენ ჩვენი აფხაზი ოპონენტები, ეძიონ ბოროტება საქართველოსა და ქართველებში. ეს ბოროტება შვა საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ, რომლის მომლას ასე მწარედ განიცდიან აფხაზური სეპარატიზმის იდეო-

ლოგები. განა გულუბრყვილობა არაა იფიქრო, რომ ყველაფერი ეს იყო „დიდი ქართველების“ – ი. სტალინისა და ლ. ბერიას „თვითშემოქმედება“. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ბოლშევიკური წითელი ტერორის იდეური სულისჩამდგმელი და მთავარი ორგანიზატორი იყო თვით „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი“ ვლადიმირ ლენინი (ამის შესახებ იხ. **Розин, 1996**: 236-248).

ი. სტალინი იყო მხოლოდ გამგრძელებელი ვლადიმირ ლენინის „დიალ საქმეთა“. მას ჰყავდა ერთგული შემსრულებლები, რომელთა შორის, რასაკვირველია, არცთუ უკანასკნელი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის ჩეკისტების ნაცად წინამძღოლს ლავრენტი ბერიას, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას, ხოლო მოგვიანებით (1938 წლიდან) სსრ კავშირის მთავარ რეპრესიულ ორგანოს – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს რეპრესიები, რასაკვირველია, ვერ ასცდებოდა აფხაზეთსაც, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ სტალინურმა რეპრესიებმა რაღაც განსაკუთრებული მასშტაბები მაინცდამაინც აქ მიიღო და ამაში მთავარი დამნაშავე იყო ლავრენტი ბერია, რომელიც ვერ იტანდა აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერს ნესტორ ლაკობას – „დიდი ბელადის“ „პირად მეგობარს“.

ჩვენი აფხაზი კოლეგები, ყველაფერში ადანაშაულებენ რა ი. სტალინსა და ლ. ბერიას, საგულდაგულოდ უმაღავენ თავიანთ თანამემამულეებს, რომ მაშინდელ აფხაზ კომუნისტებს შორის არცთუ მცირენი უშუალო მონაწილეობას იღებდნენ „რევოლუციის მტრების“ ლიკვიდაციაში. თვით ნ. ლაკობა, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სულაც არ იყო „მამა აბრამის ბატკანი“, რომ არაფერი ვთქვათ მის შემცვლელზე აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, *ალექსეი აგრაზოვი* – ლ. ბერიას უახლოეს თანამებრძოლზე, რომელმაც დაიკავა ამიერკავკასიის ფედერაციის ГПУ-ს შეფის თანამდებობა. ა. აგრაზოვი პირადად ხელმძღვანელობდა ნ. ლაკობას მიერ შექმნილი „კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური, ტერორისტული, მეამბოხური ორგანიზაციის“ განადგურების კამპანიას (**Лакоба, С., 1990b**: 132).

XX ს. 30-40-იანი წლების დამდეგის რეპრესიებს ცნობილი პარტიული მოღვაწეების: ნესტორ ლაკობას, ეფრემ ეშბას, მიხეილ ჩალმაზის, მიხეილ ლაკობასა და სხვებთან ერთად შეეწირნენ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ვიანორ ანჩაბაძე, სამსონ ჭანბა, სიმონ ბასარია, მიხეილ ტარნავა, რაქდენ კაკუბა, ვიქტორ კუკუბა და სხვ. „წითელი ტერორისაგან“ არანაკლებ დაზარალდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, იქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ასე რომ, ეს იყო საყოველთაო ტრაგედია, საერთო ტკივილი და არა აფხაზი ხალხის გენოციდი, რომელიც თითქოს მოაწყო საქართველოს სსრ-ის „სტალინურ-ბერიასეულმა ხელმძღვანელობამ“, როგორც ეს წარმოუდგენია სტანისლავ ლაკობას (**Лакоба, С., 1990b**: 91) და აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგებს.

როგორც ცნობილია, ამ „ბრალდებით“ სპეკულირებას უკავია ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აფხაზი ნაციონალისტების ანტიქართულ პროპაგანდისტულ კამპანიაში. ბოლო დროს მათ ამ საქმეში მხარში ამოუდგნენ ცალკეული უცხოელი

მეცნიერები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გერმანელმა მკვლევარებმა, რომლებმაც მოამზადეს და ორ ტომად გამოსცეს მასალები XX ს. 30-იან წლებში საქართველოში (მათ შორის აფხაზეთში) მიმდინარე ბოლშევიკურ ტერორზე (**Большевицкий порядок, 1, 2015; Большевицкий порядок, 2, 2015**. აღსანიშნავია, რომ ეს კრებულები გამოიცა ქართულადაც. იხ.: **იუნგე, 2015; იუნგე, თუშურამვილი, 2015a; იუნგე, თუშურამვილი, 2015b**), ხოლო შემდეგ უკვე ერთგვარი შემაჯამებელი ნაშრომიც (**Грузия в пути, 2017**).

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გერმანელ მეცნიერთა ეს გამოცემები, განსაკუთრებით მისი მე-3 ტომი არის ღია იდეოლოგიური დივერსია საქართველოს წინააღმდეგ – თავისი არსით მავნებლური, პოლიტიკურად ანგაჟირებული პასკვილი, რომელიც მთლიანად ჯდება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციის რუსულ იმპერიულ სცენარში. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც უკვე შესავალში, სათაურშივე: „*საქართველო გზაზე – საით?*“ („*Грузия в пути – куда?*“) გაკეთებული სრულიად არაორაზროვანი მინიშნება – არის კი მზად საქართველო სახელმწიფო ევროატლანტიკურ ოჯახში ადგილის დასაკავებლად. ამგვარი დაქვების საფუძველს ავტორებს თურმე აძლევთ „*არამდგრადი ეკონომიკური მდგომარეობა*“ და, რაც მთავარია, „*ნაციონალისტური ტენდენციები*“, რომლებიც „*სათუოს ხდის უახლოეს მომავალში დასავლური ფასულობების*“ დამკვიდრებას. მეტიც, სწორედ საქართველოში დაფიქსირებულმა „*ნაციონალისტურმა ტენდენციების საგანგაშო ასპექტებმა*“ უბიძგეს თურმე ავტორებს საქართველოში 1937-1938 წლების „დიდ ტერორზე“ ადრე გამოცემული ორი ტომი შეევსოთ კიდევ ერთი ტომით (**Грузия в пути, 2017: 10**).¹

§3. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობის შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში

აფხაზ ისტორიკოსთა მხრიდან ისტორიული რეალობის უხეში დამახინჯებისა და მის საფუძველზე კიდევ ერთი ანტიქართული მითოლოგემის შექმნის მკაფიო მაგალითია ინსინუაციები XX ს. 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იანი წლების შუა ხანებში გატარებული აფხაზური დამწერლობისა და სასკოლო განათლების რეფორმების ირგვლივ. ეს დღემდე რჩება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე „მაკომპრომეტირებელ“ თემად. ოფიციალურ თბილისს ღიად ბრალდება

¹ როგორც უკვე აღინიშნა, ქართველმა ისტორიკოსებმა ჯერ კიდევ კრებულების მომზადების სტადიაში და გამოცემის შემდეგაც მკაცრად გააკრიტიკეს გერმანელ მეცნიერთა ტენდენციური მიდგომები და დამაჯერებლად აჩვენეს მათი მტკიცებების სრული უსაფუძვლობა (იხ.: **Большевицкий порядок, 1, 2015: 375-551; Грузия в пути, 2017: 19-110, 123-158; Гамахария, 2017**).

აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოძლა აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანისა და ე.წ. „აფხაზური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის“ ლიკვიდაციის გზით. ანუ ადგილი აქვს მცდელობას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დამწერლობისა და განათლების სფეროში 30-იანი წლების მიწურულიდან გატარებული ნოვაციები ადგილობრივ ინიციატივად წარმოაჩინონ და ყოველივე ეს აფხაზი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ვერაგულ ქმედებად მონათლონ. არადა, სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა.

1936 წ. 5 დეკემბერს სრულიად საკავშირო საბჭოების VIII ყრილობაზე დამტკიცებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, როგორც ცნობილია, გარკვეულწილად შეაჯამა ერთიანი საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განვლილი გზა. ახალმა კონსტიტუციამ რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაში, კერძოდ, გაუქმდა ე.წ. „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა“ და მისი სუბიექტები – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები – უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკების“ სახელმწიფოებრივი სტატუსის ასამაღლებლად. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური გადაწყვეტილება ე.წ. „მცირე ერების“, ანუ ავტონომიური რესპუბლიკების ხალხების დამწერლობათა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დამწერლობის შრიფტზე გადაყვანის შესახებ.

უკანასკნელ პერიოდში ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია დამწერლობის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებისა და საბჭოთა მთავრობის ოფიციალური დოკუმენტების საკმაოდ ამომწურავი ანალიზი. ამ მხრივ ჩვენ საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ XX ს. აფხაზეთის ისტორიის ცნობილი მკვლევრის გრიგოლ ლეჟავას პუბლიკაციები, პირველ რიგში, მისი ფუნდამენტური მონოგრაფია აფხაზურ-ქართული დაპირისპირების ისტორიულ ფესვებზე და რუსეთის როლზე ამ დაპირისპირების ინსპირირებაში. მასში სათანადო დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია სსრ კავშირის მასშტაბით გატარებული „მცირე ერების“ დამწერლობათა რეფორმის არსი და გამოამკარავებელია აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან თბილისისთვის წაყენებული დემაგოგიური ბრალდებების სრული აბსურდულობა (Лежава, 1997:).¹

¹ გ. ლეჟავას ეს ნაშრომები განსაკუთრებით ფასეულია იმის გამო, რომ ისინი გამოქვეყნებულია რუსული ნაციონალისტურ-შოვინისტური განწყობილებებით ცნობილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფით (სწორედ ეს ნაშრომები დაედო საფუძვლად სადოქტორო დისერტაციას, რომელიც გ. ლეჟავამ დაიცვა

ავხაზური დამწერლობის ქართულ შრიფტზე გადაყვანა ნამდვილად არ იყო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ინიციატივა. ის მთლიანად გამომდინარეობდა კრემლის საერთო პოლიტიკიდან, რომლის ერთადერთ მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები „მცირე ერების“ დამწერლობათა უნიფიცირება სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე და ამ გზით მათი შემდგომი გარუსებისათვის ხელსაყრელი ფონის შექმნა. როგორც ცნობილია, XX ს. 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა დამწერლობის რეფორმა, რომლის არსი მდგომარეობდა „მცირე ერებისა“ და ხალხების დამწერლობების ლათინურ ანბანზე გადაყვანაში (ამის შესახებ იხ. **Яковлев, 1936: 26-38**). ამ კამპანიის ფარგლებში 1926 წელს ავხაზური დამწერლობა გადაიყვანეს ლათინურ გრაფიკაზე (**Бражба X., 1967: 58-59; გვანცელაძე, 2012; გვანცელაძე, 2000: 83**). ეს, რასაკვირველია, რამდენადმე აბრკოლებდა ამ ხალხების მოქცევას რუსული წიგნიერების არეალში, რაც ძირუღადა ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის იმპერიულ ზრახვებს. 1936 წლისათვის, როდესაც ძირითადად დასრულდა საერთო საკავშირო სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პროცესი, კრემლმა საჭიროდ ჩათვალია 1922 წელს დაშვებული „ხარვეზის“ აღმოფხვრა და შეუდგა „მცირე ერების“ დამწერლობათა ხელახალი რეფორმის გატარებას. ასე (1936 წლიდან) დაიწყო და საბოლოოდ 1941 წელს დასრულდა ლათინურ შრიფტზე გაწყობილი დამწერლობების გადაყვანა სლავურ-რუსულ ანბანზე – ე.წ. „კირილიცაზე“ (**გვანცელაძე, 2012; გვანცელაძე, 2000: 83**).

გარეგნულად ეს არ გამოიყურებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოვლინებად, რადგან ოფიციალურად „მცირე ერების“ დამწერლობა თითქოს გადაწყვიდათ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ალფაბეტზე, მაგრამ სინამდვილეში რუსულ „კირილიცაზე“ დამწერლობების გადაყვანა ხდებოდა ფაქტობრივად მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო საქართველოს სსრ და არა იმიტომ, რომ სსრ კავშირის სათავეში მაშინ ქართველი იოსებ სტალინი (*ჯუღაშვილი*) იდგა. ამის მიზეზი სრულიად ბანალურია: იმ მოკავშირე რესპუბლიკებს (რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ) შორის, რომელთა შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულები ფიგურირებდნენ, მხოლოდ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენას – ქართულს გააჩნდა თავისი ორიგინალური ანბანი.

აი, რატომ გახდა საჭირო ავხაზური დამწერლობის ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლა. იმავე პერიოდში ანალოგიური რეფორმა გატარდა სამხრეთ

იმავე ინსტიტუტში). ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ გ. ლეჟავა მაინცდამაინც არასოდეს გამოიჩინა „ანტიავხაზური მიკერძობით“ (ის ათეული წლების განმავლობაში ფაქტობრივად უპრობლემოდ მუშაობდა ანტიქართული იდეოლოგიის მთავარ ინტელექტუალურ შტაბში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულისას სახელობის ავხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და სეპარატისტული წრებისათვის სავსებით მისაღები პიროვნება იყო), მისეულ ანალიზს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც, სადაც ოსური დამწერლობა ასევე გადაიყვანეს ლათინურიდან ქართულ ალფაბეტზე. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ოსური დამწერლობის ლათინური შრიფტი შეცვალეს „კირილიცით“. ე. ი. ერთი და იგივე ენას, ენას ერთი და იმავე ოსი ხალხისა, რომელიც სსრ კავშირის ფედერაციის ორი სხვადასხვა სუბიექტის (ოფიციალურად სხვადასხვა „სახელმწიფოს“) ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ერთდროულად ორი დამწერლობა აღმოაჩნდა: ერთი ქართულ ანბანზე გაწყობილი, ხოლო მეორე – „კირილიცაზე“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადება დაიწყო 1937 წელს, მას მერე, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ქართულ ანბანზე. პარტიის ამ გადაწყვეტილებით „აღფრთოვანებულმა“ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა – *არსენ ხაშბამ*, *დიმიტრი ჩაგავამ* და *მუშნი ხაშბამ* გაზეთ „*Советская Абхазия*“-ში (17.06.1937) გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც დაასაბუთეს აფხაზური დამწერლობისათვის ლათინური ალფაბეტის უვარგისობა და მოიწონეს პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილება ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლის თაობაზე. კიდევ უფრო შორს წავიდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი *დიმიტრი გულია*, რომელიც ასევე მიესალმებოდა დამწერლობის რეფორმას და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართული ანბანი იყო ყველაზე შესაფერისი აფხაზური ბგერების ზუსტად გადმოსაცემად. კიდევ ერთი ცნობილი აფხაზი მოღვაწე *მიხეილ დელბა* გამოხატავდა ღრმა რწმენას, რომ ახალი ალფაბეტი ხელს შეუწყობდა „მშრომელ მასებში“ უწიგნურობის აღმოფხვრას (მასალები მოტანილია წიგნიდან: **Лежава, 1997: 115-116**).

უადრესად საინტერესო მასალა აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადების შესახებ აღმოჩნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნის, აკადემიკოს *სიმონ ჯანაშიას* პირად არქივში. აღნიშნული მასალა გამოაქვეყნა ცნობილმა ფილოლოგმა, აფხაზური ენის მკვლევარმა, *თეიმურაზ გვანცელაძემ*. ეს არის 1937 წ. 4-5 დეკემბერს სოხუმში, *ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტში* ჩატარებული თათბირის ოქმები (**Протоколы, 2011**). ამ მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, 4-5 დეკემბერს შედგა სამუშაო თათბირი მეცნიერ-სპეციალისტებისა და აფხაზური კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობით. თათბირის 33 მონაწილიდან 8 ქართველი მეცნიერი იყო, 4 – რუსი, ხოლო დანარჩენი 21 – აფხაზი. ქართველი მეცნიერებიდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ იმ დროისათვის უკვე აღიარებული ქართველოლოგები და კავკასიოლოგები: *აკაკი მანიძე*, *ვარლამ თოფურია*, *არნოლდ ჩიქობავა*, *სიმონ ჯანაშია* (ყველა თბილისიდან), აგრეთვე სოხუმელი მეცნიერები: *ნიკანდრო ბასილაია*, *სერგო აქირთავა* და *ბაგრატ ჯანაშია*. რუსი მეცნიერებიდან

მონაწილეობდნენ: ა. გრენი, ი. ტიშჩენკო, ზ. მორინა, ა. ფადეევი. აფხაზებს წარმოადგენდა მთელი აფხაზური სამეცნიერო ელიტა: სიმონ ბასარია, ხუხუტი ბღაქბა, ნიკოლოზ გერია, დიმიტრი გულია, გიორგი გულია, მიხეილ დელბა, ბაგრატ კაცია, ნიკოლოზ ჰატეიფა, გიორგი შაკირბაი, კონსტანტინე შაყრილი, პლატონ შაყრილი, გიორგი ძიძარია, კონდრატე ძიძარია, ანდრია ჭოჭუა, მუშნი ხაშბა, და სხვ. (გვანცელაძე, 2012; Gvantseladze, 2012; გვანცელაძე, 2000: 83).

განსახილველად წარმოდგენილი იყო 4 პროექტი: 1) აკაკი შანიძის პროექტი, 2) სიმონ ჯანაშიას პროექტი, 3) დიმიტრი გულიას პროექტი და 4) დიმიტრი გულიას, ანდრია ჭოჭუას და მუშნი ხაშბას ერთობლივი პროექტი. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: დიმიტრი გულია (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, პლატონ შაყრილი, მუშნი ხაშბა, ვერა ხარაზია, ვასილი შანი. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი ვარიანტები (მე-4 ვარიანტის გამოკლებით) და მიიღო ერთიანი პროექტი. ეს პროექტი დამტკიცდა 5 დეკემბერს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გიორგი ძიძარია (გვანცელაძე, 2012; Gvantseladze, 2012; გვანცელაძე, 2000: 88-89).

მიუხედავად იმისა, რომ თათბირის მონაწილე აფხაზ მოღვაწეთა შორის არცთუ ცოტანი იყვნენ ისინიც, რომელთაც ყოველთვის აღიზიანებდათ ქართულ-აფხაზური ერთობის ნებისმიერი გამოვლენა (მაგალითად, სიმონ ბასარია, კონსტანტინე და პლატონ შაყრილები და ა.შ.), არც ერთ მათგანს სიტყვა არ დასცდენია აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანის იდეის წინააღმდეგ. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ შემთხვევაში მათი დუმილი იმ პერიოდში აფხაზეთში არსებული საერთო-პოლიტიკური კონიუნქტურით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს ცვლის. ფაქტი ფაქტად რჩება: აფხაზური დამწერლობის ლათინური ანბანიდან ქართულზე გადაყვანა (1938 წ.) მოხდა იმდროინდელი აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ერთსულოვანი დასტურით. ყოველივე ამის ფონზე აფხაზ მკვლევართა და პოლიტიკოსთა მტკიცებები იმის შესახებ, რომ აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა თითქოს გამიზნული იყო აფხაზთა ეთნოიდენტურობის მოსასპობად, არის კიდევ ერთი წინასწარ განზრახული სიცრუე, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების გასაღვივებლად.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა, რომ თვით რუსეთის კავკასიის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებიც კი, რომლებიც, თავის დროზე, უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას აფხაზური ანბანის შექმნაში, იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ ქართული ანბანის უპირატესობა სლავურ-რუსულ „კირილიცასთან“ შედარებით. ამის დასტურია თუნდაც ცნობილი კავკასიოლოგის, ენათმეცნიერისა და ეთნოგრაფის, გენერალ პეტრე უსლარის მიერ მოცემული ქართული ანბანის შეფასება. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „არსებულ ანბანთა შორის“ ქართული ანბანი იყო ყველაზე დახვეწილი და შესაფერისი დამწერლობის არ მქონე კავკასიის ყველა ენებისათვის, მაგრამ მაშინ ამ იდეის რეა-

ლიზაციისაგან რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ თავი მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით შეიკავა, რადგან იგივე პ. უსლარის აღიარებითვე ქართული გრაფიკის გამოყენება შექმნიდა „სიძნელეს“ კავკასიაში რუსული წიგნიერების გავრცელების საქმეში (**Услар, 1887b: 48-49; Сихарулидзе, 2006**).

ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს მიდიოდა მეორე ცნობილი რუსი მოღვაწე *ვვგენი ვეიდენბაუმი*, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნის მთავარი მიზანი იყო ქართული ენისა და დამწერლობის შევიწროება: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია ლიტერატურა, რასაკვირველია, განწირულია გაქრობისათვის ახლო თუ შორეულ მომავალში“ და იქვე აყენებდა საკითხს, რომ აფხაზებში კულტურისა და განათლების ენა უნდა იყოს არა ქართული არამედ – რუსული. ე. ვეიდენბაუმის აზრით, „აფხაზური დამწერლობის შექმნა არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება უკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის საჭიროების შესუსტებისა და თანდათანობით მისი სახელმწიფო ენით შეცვლისათვის“ (**Инал-ипа, 1965: 163-164; Анчабадзе 3., 1976: 119-120**). ერთი სიტყვით, დიდი დაფიქრება არაა საჭირო იმის მისახვედრად, თუ რომელი ანბანი უფრო შესაფერისი იქნებოდა მეცნიერული თვალსაზრისით აფხაზური დამწერლობისათვის და რომელი ანბანის შემოტანა ისახავდა მიზნად აფხაზი ხალხის „სახის დაკარგვას“ („обезличивание“).

აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანასთან ერთად არანაკლები აგრესიით მიდის სპეკულურება ე.წ. „აფხაზური ეროვნული სკოლების“ მოშლისა და მათი ქართულ სკოლებად გადაკეთების თემით. აფხაზ მეცნიერთა მტკიცებით, ეს რეფორმა, მიზნად ისახავდა აფხაზთა ისტორიული თვითმყოფადობისა და ეთნიკური ინდივიდუალობის ამოძირკვას და მათ გაქართველებას. აღნიშნულ რეფორმას, რომლის განხორციელება დაიწყო 1945-1946 სასწავლო წლიდან, საფუძვლად დაედო აფხაზეთის ასსრ-ის და საქართველოს სსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების მიერ 1945 წ. 13 მარტსა და 23 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებები: „აფხაზეთის ასსრ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ (**Лакоба С., 1990b: 93**).

უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა შეეხო მხოლოდ ე.წ. „აფხაზურ სკოლებს“ (რუსული სკოლებისთვის ხელი არავის უხლია და ისინი ჩვეულებრივ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას). ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სკოლები აფხაზური მხოლოდ ფორმალურად იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, აფხაზურ ენაზე სწავლება მხოლოდ დაწყებით (I-IV) კლასებში მიმდინარეობდა, ხოლო V-X კლასებში სწავლების ენა უკვე რუსული იყო. ანუ ეს სკოლები ფაქტობრივად რუსული სკოლები იყო. შედეგად, აფხაზთა მთელ თაობებს არ ჰქონდა საშუალება შეესწავლათ მოკავშირე რესპუბლიკის – საქართველოს სსრ-ის – სახელმწიფო ენა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს იყო განათლების სფეროში ცარიზმის იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი კი მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის მოშლა და აფხაზთა

გარუსება იყო. ამავე დროს, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1945 წელს აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმა სულაც არ იყო საქართველოს სსრ-ის ცენტრალური ხელისუფლების თვითშემოქმედება, როგორც ამას ისტერიულად გაჰკვირიან სეპარატისტთა იდეოლოგები. ამჯერადაც საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის პარტიული სტრუქტურები უბრალოდ ასრულებდნენ კრემლის მითითებებს. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ თბილისი და სოხუმი კარგა ხნის მანძილზე რამდენადმე ურჩებოდნენ მოსკოვს და თავს იკავებდნენ სასკოლო რეფორმის გატარებისაგან.

ასე, ჯერ კიდევ 1937-1938 წლებში სსრ კავშირის უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი დადგენილებები, რომლებიც საფუძვლად დაედო სამთავრობო გადაწყვეტილებებს ნაციონალური სკოლების „ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა (იგულისხმება **რუსული – ზ.პ.) სკოლებად**“ გარდაქმნის შესახებ, რომლებშიც სწავლება განხორციელდებოდა ან „შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ან რუსულად“ (Лежава, 1997: 111-112). მითითებული იყო რეფორმის გატარების ვადებიც, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების (მათ შორის, საქართველოს) განათლების სახალხო კომისრებს (მინისტრებს – **ზ.პ.**) ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია უნდა დაესრულებინათ 1938-1939 სასწავლო წლის დაწყებისათვის (Лежава, 1997: 112).

საქართველოს ხელისუფლებამ, განსხვავებით სხვა რესპუბლიკებისაგან, თავი შეიკავა საკავშირო ცენტრიდან მოსული ამ დირექტივის შესრულებისაგან და არ გაატარა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში.¹ მაგრამ ეს პრობლემა საბოლოოდ მაინც არ მოხსნილა. რამდენიმე წლის შემდეგ ხელისუფლებამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხი. 1945 წ. 9 იანვარს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე გატარდა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში (Лежава, 1997: 134-135).

¹ ამასთან დაკავშირებით გ. ლეჟავას მოჰყავს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა, საიდანაც ნათელი ხდება, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს 1938 წელს გადაწყვეტილი ჰქონია სკკ(ბ) ცკ-ის ზემოთ ნახსენები დადგენილების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოსულა აფხაზეთის ასსრ-ის განათლების მამინდელი სახალხო კომისარი, ქართველი *იასონ დარსანია*, რომელიც შეწინააღმდეგებია საოლქო კომიტეტის მამინდელ პირველ მდივანს (ასევე ქართველს) *კირილე ბეჭკაიას*. მას განუცხადებია, რომ აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა გამოიწვევდა აფხაზური მოსახლეობის უკმაყოფილებას. თავისი პოზიცია აფხაზეთის განათლების უწყების ხელმძღვანელს მტკიცედ დაუცავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში – პირველ მდივანთან *კანდიდ ჩარკვიანთან* შეხვედრისას და დაურწმუნებია ეს უკანასკნელი, არ გაეტარებინათ სასკოლო რეფორმა აფხაზეთში. შედეგად, კ. ჩარკვიანს უბრძანებია აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისათვის, საერთოდ არ წამოეჭრა განსახილველად აღნიშნული საკითხი (Лежава, 1997: 117).

აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენცია, პირველ რიგში, ცნობილი აფხაზი პედაგოგები, სრულიადაც არ იდგნენ განზე აფხაზეთის განათლების სფეროში მიმდინარე გარდაქმნებისაგან. მეტიც, აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის ინიციატივით სწორედ აფხაზი პედაგოგები გამოვიდნენ. ესენი იყვნენ აფხაზური პედაგოგიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები: ბაგრატ კაცია (მოქვის აფხაზური სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მასწავლებელი), ნიკოლოზ გერია (აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე) და სხვ. (Лежава, 1997: 133). მათ გარდა სასკოლო რეფორმის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაშინდელი აფხაზური პარტიულ-პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა წარმომადგენლებმა: მიხეილ დელბამ (მოგვიანებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) და ანდრია ჭოჭუამ (აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი).

რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აფხაზ მოღვაწეთა ეს „ენთუზიაზმი“ არ იყო „შეკვეთილი“ ზემოდან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მაშინ – 1945 წელს, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ოფიციალურად არავინ გამოსულა. აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ აფხაზმა მოღვაწეებმა პირველად ხმა მხოლოდ 1947 წ. თებერვალში აღიმადღეს, როდესაც აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამმა ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელმა – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა კონსტანტინე შაყრილმა და ბაგრატ შინკუბამ, აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ძიძარიამ – საპროტესტო წერილით მიმართა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს (Абхазия в советскую, 1994: 81-87). ის გაიგზავნა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის მდივნის ალექსანდრე კუზნეცოვის სახელზე.¹

სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კ. შაყრილისა და მისი თანამოაზრეების საჩივარი გადმოაგზავნა თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კო-

¹ ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულიაა შენიშნული, რომ საპროტესტო წერილის ადრესატი შეირჩა გამიზნულად – ა. კუზნეცოვის აპარატში იყვნენ ადამიანები, რომლებმაც შეიძლება უბიძგეს კიდევ აფხაზ მეცნიერებს ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაკენ (Лежава, 1997: 130-131). მათ რიცხვში უნდა ყოფილიყო ცნობილი მეცნიერი-ლინგვისტი, ნიკო მარის მოწაფე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გიორგი სერდიუჩენკო, რომელმაც მანამდე, შეთითხნა ანალოგიური ხასიათის პასკვილი და გაგზავნა ის სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში. როგორც ირკვევა, გ. სერდიუჩენკო ყოფილა კ. შაყრილის მეცნიერ-კონსულტანტი და მას მეგობრული ურთიერთობები ჰქონია თავის მოწაფესთან. ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოსა და აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკა ენობრივ სფეროში (Лежава, 1997: 121).

მიტეტში, რომელმაც საჩივარში აღძრული საკითხების შესწავლა დაავალა ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში, ცნობილ მეცნიერ-ფილოსოფოსს პეტრე შარიას. ეს უკანასკნელი საგანგებოდ ჩავიდა აფხაზეთში და იქ ადგილზე შეისწავლა საქმის რეალური ვითარება. პ. შარიამ თავისი საქმიანობის შედეგები შეაჯამა მოხსენებით ბარათში, რომელიც აახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. მასში უსაფუძვლოდ იყო მიჩნეული აფხაზ მეცნიერთა მიერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტისადმი წაყენებული ბრალდებები (Лежава, 1997: 126). 1947 წ. 2 აგვისტოს საჩივრის ავტორები დაიბარეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, სადაც მათ პეტრე შარიამ შესთავაზა, უარი ეთქვათ წერილზე. შედეგად „გამოცხვა“ ყბადაღებული „აღიარება“, რომელშიც ავტორები ინანიებდნენ ჩადენილ საქციელს.¹ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „აღიარება-მონანიებამ“ წერილის ავტორები, სულ ცოტა, პარტიულ სასჯელს გადაარჩინა.

კიდევ ერთი თემა, რომლითაც ხდება აფხაზური საზოგადოების ზომბირება ე.წ. „ქართველთა მასობრივი ჩასახლება“ აფხაზეთში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1939-1953 წლებში. ძირითადად იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში XX ს. 40-იან წლებში. ეს პროცესი, რომელიც ინიცირებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების მიერ (Постановление № 1447, 1939: 22-23), განიხილება, როგორც საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში (წარმოდგენილ ნაშრომშიც) სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან XX საუკუნემდე ქართული მოსახლეობა მუდამ სჭარბობდა აფხაზურს. ასე რომ, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის დემაგოგიური მტკიცება, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური უმრავლესობა გაჩნდა მხოლოდ XX ს. 30-40-იან წლებში ქართველთა ე.წ. „მასობრივი ორგანიზებული ჩასახლების“ შედეგად, უბრალოდ სიცრუე და ისტორიის უხეში გაყალბებაა. რასაკვირველია, რომ არა აფხაზი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა, რომლის ინსპირატორი და ნამდვილი შემოქმედი რუსეთის იმპერია იყო, აფხაზური მოსახლეობა XX ს. 30-40-იან წლებში რიცხობრივად უფრო მეტი იქნებოდა.

¹ აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ – 1991 წელს, წერილი-საჩივრის ერთ-ერთმა ავტორმა და სულისჩამდგმელმა კ. შაყრილმა უარყო მისი მხრიდან „მონანიება-აღიარების“ ხელისმომწერა. კ. შაყრილის მტკიცებით, ბ. შინკუბასა და გ. ძიძარასგან განსხვავებით, მისი ხელმოწერა ყალბი იყო. იმავე კ. შაყრილის განცხადებით, ბატონატი შინკუბამ მასთან სატელეფონო საუბარში თითქოს დაადასტურა, რომ „მონანიება-აღიარება“ დაწერილი იყო მის (შინკუბას – ზ.პ.) მიერ (Лежава, 1997: 137-139).

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მას მერე, რაც XIX ს. 60-70-იან წლებში აფხაზეთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადაიხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები მართლაც დაიკავეს სხვა ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და, რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან). საკითხავია, რატომ აღიზიანებთ აფხაზ კოლეგებს მაინცდამაინც ქართველთა ჩასახლება არა სხვა სახელმწიფოში, არამედ თავისივე ქვეყნის, საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში. დიახ, ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა – „საქართველოს სსრ“-დ, ხოლო „აფხაზეთის ასსრ“ მისი შემადგენელი ნაწილი იყო. მოსახლეობის მიგრაციის გამოცხადება კი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით დანაშაულად, უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება.

მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში იყო ერთიანი მოქალაქეობა: თითოეულ ადამიანს პასპორტში ეწერა არა საქართველოს სსრ-ის (მით უფრო, აფხაზეთის ასსრ-ის) მოქალაქე, არამედ „სსრ კავშირის მოქალაქე“. აქედან გამომდინარე, ამ ერთიანი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ აერჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. რაც შეეხება „ორგანიზებულ გადასახლებას“ (მხედველობაში არა გვაქვს ზოგიერთი „დამნაშავედ“ მიჩნეული ხალხის ძალით აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან), მას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც და, პირველ რიგში, მოტივირებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით. ამისათვის თუნდაც ყაზახეთის მაგალითის გახსენება იკმარებდა, როდესაც ყამირი მიწების ასათვისებლად ამ რესპუბლიკაში ჩასახლდა ასეულ ათასობით რუსული ოჯახი. განა ასევე რუსული მოსახლეობის დიდი მასის „გადასროლა“ არ ახლდა თან მრეწველობის გიგანტების მშენებლობას ამა თუ იმ ნაციონალურ რესპუბლიკაში? შორს რომ არ წავიდეთ, რად დირს თუნდაც ენგურის ქალაქკომბინატისა და ენგურჭქისის მშენებლობები, რომლის დროსაც ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში მთელი რუსული დასახლებები აღმოცენდა.

რატომ აღელვებთ ჩვენს აფხაზ ოპონენტებს რამდენიმე ათეული ათასი ქართველის ჩასახლება აფხაზეთში და რატომ არ იმაღლებენ ხმას, მაგალითად, იმის გამო, რომ 1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, თითქმის 62-ჯერ /1886 წლის აღწერით – 1216; 1989 წლის აღწერით – 74 913/, ხოლო სომხური მოსახლეობა სულაც 70-ჯერ /1886 წლის აღწერით – 1090; 1989 წლის აღწერით – 76 541/ (Население Абхазии). ან რა ასეთი ზიანი მიაყენა აფხაზეთს იქ ჩასახლებულმა ქართველობამ? იქნებ ის, რომ გაპარტახებული და გავერანებული რაიონები ნამდვილ წალკოტად აქცია. დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, თუ ვინ იყო აფხაზეთში მატერიალური კეთილდღეობის ნამდვილი შემქმნელი და თუ როგორი „შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა“ ძალუძთ მხარის „ერთადერთ აბორიგენებს – აფხაზებს“. ისტორიამ უკვე მეორედ მოუწყო მათ გამოც-

და. პირველად ეს იყო გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც მთიდან დაძრულმა ჯიქ-აფხაზთა ტალღამ ერთიანად წალეკა ცივილიზებულ ქრისტიან ქართველ-აფხაზთა მიერ საუკუნეების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნილი აყვავებული მხარე, განვითარებული ეკონომიკითა და მოწინავე ქრისტიანული კულტურით. ისმის კითხვა: იქნებოდა კი საერთოდ ამჟამინდელი აფხაზი ერი, თავისი ნაციონალური კულტურით, რომ არა გააფხაზებული ქართველები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით სწორედ რომ საფუძველი დაუდეს აფხაზურ ეროვნულ-კულტურულ თვითშეგნებას?

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ აფხაზური ეროვნულ-კულტურული ცნობიერების შემქმნელი ინტელექტუალური ელიტის პირველ ხუთეულში შედიან სწორედ ის მოღვაწენი, რომელთა ქართულ (მეგრულ) წარმომავლობაში წარმოუდგენელია ვინმემ ეჭვი შეიტანოს. ესენი არიან: აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი და ამავე დროს აფხაზურ ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი **დიმიტრი გულია**; საყოველთაო აღიარებით აფხაზური პროზის პატრიარქად მიჩნეული **ივანე ჰაპასქირი**; აფხაზური პოეზიის კლასიკოსი **იუა კოლონია**; გამოჩენილი აფხაზი მეცნიერ-პედაგოგი **ანდრია ჭოჭუა**; გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი **გიორგი ძიძარია**. რასაკვირველია, აფხაზური კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში არაერთმა სხვა მოღვაწემაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ **ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი ერის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული ბიძგი სწორედ ამ „დიდმა ხუთეულმა“ მისცა**. ამაში ნამდვილად ძნელია ვინმე მათ პირველობას შეეცილოს. აი, როგორი „შევსება“ მისცა ქართველობამ აფხაზ ხალხს.

თავი XI. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის 50-90-იანი წლების დამდეგს

§1. სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში XX საუკუნის 50-70-იან წლებში

პირველი სეპარატისტული ამბოხი აფხაზეთში 1957 წელს. 1953 წლის გაზაფხულზე, იოსებ სტალინის გარდაცვალებისა და, ოდნავ მოგვიანებით, ლავრენტი ბერიას პოლიტიკური არენიდან გაქრობის შემდეგ, სსრ კავშირში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, დაიწყო სტალინური სისტემის მოჩვენებითი დემონტაჟი. გაჩაღდა ფართო კამპანია პიროვნების კულტისა და ე.წ. „ბერიევშინის“ პერიოდში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად გამოცხადდა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში და აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა. უკვე 1954 წელს სახელდახელოდ შეიცვალა აფხაზური ანბანი და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“. „ადაღინეს“ ე.წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ კვლავინდებურად, ისევე როგორც 1945 წლამდე, დაწყებით კლასებში სწავლება მიმდინარეობდა აფხაზურად, ხოლო V-X კლასებში – რუსულ ენაზე. ყოველივე ეს, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გრიგოლ ლეჟავა, ნიშნავდა აფხაზური მოსახლეობის გარუსების ადრინდელი ტენდენციების რეანიმირებას და მათი „გაქართველების მცდელობების აღკვეთას“ (Лежава, 1997: 150).

სკკპ XX ყრილობამ და 1956 წ. მარტის ტრაგიკულ დღეებში ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის თავგანწირულმა აქციამ, რომელიც ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო (ამის შესახებ ვრცლად იხ. ნოზაძე, 1992; Georgia after Stalin, 2016), ახალი იმპულსი მისცა ანტიქართული განწყობილებების გამოვლინებას აფხაზეთში. სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს დაბეზღებითი საჩივრის წერილების გაგზავნა მოსკოვში. ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. მეტიც, აფხაზი მოღვაწეები, გამოდიოდნენ რა ერთგვარი ბრალმდებლის როლში, ზემდგომი ორგანოებისაგან თითქმის პროკურორის ტონით მოითხოვდნენ „საქართველოსა და აფხაზეთში 5-9 მარტის ნაციონალისტური დემონსტრაციების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების“ დასჯას (Лежава, 1997: 157). აფხაზი სეპარატისტების გაღიზიანება არ იყო შემთხვევითი. ისინი დააფრთხო იმ ენთუზიაზმმა, რომლითაც გამოენამაურა აფხაზეთის ქართველობა (პირველ რიგში, ახალგაზრდობა) თბილისში განვითარებულ მოვლენებს.

სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ნიკიტა ხრუშჩოვის პოზიციების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი ანტიქართული პროპაგანდა. ასეთ ვითარებაში ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა ვერც საქართველოს კომპარ-

ტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ვერც აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა. ორივე ამ ორგანომ ვერ გაუძლო, ერთი მხრივ, აფხაზი ნაციონალისტების შემოტევას, ხოლო, მეორე მხრივ, კრემლის ახალი ხელმძღვანელობის ზეწოლას და ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის *ოთარ გოცირიძის* გამოსვლა აფხაზეთის პარტიული აქტივის კრებაზე 1956 წ. 16 აგვისტოს, რომელზეც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“ ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლს ქართველებსა აფხაზებს, სომხებს, ოსებს და შორის (*Лежава, 1997: 149*).

მაგრამ აფხაზური სეპარატიზმის იმდროინდელი ლიდერები¹ არ დაკმაყოფილდნენ პარტიული ხელმძღვანელობის მხრიდან „ჩადენილი შეცდომების“ აღიარებით და 1957 წელს ისინი თბილისის წინააღმდეგ ახალ გადაწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ამჯერად საბაბად გამოყენებულ იქნა ცნობილი ქართველი ფილოლოგის *ჰავლე ინგოროყვას* წიგნი „*გიორგი მერჩულე*“ (*ინგოროყვა, 1954*). პ. ინგოროყვას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა გამოიცა 1954 წელს, მაგრამ ის ერთბაშად არ გამხდარა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. აღნიშნული ნაშრომი ყურადღების ცენტრში მოექცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1955 წ. ივლისში გაზეთ „*Заря Востока*“-ში გამოქვეყნდა აკადემიკოს *გიორგი ახვლედიანის* რეცენზია ამ წიგნზე. მასში ავტორმა მხარი დაუჭირა პ. ინგოროყვას თვალსაზრისის იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან გვიან ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსიღთა“ და „აფხაზების“ შთამომავალნი და რომ ადრინდელი „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ.

გ. ახვლედიანის რეცენზიის პუბლიკაციამ სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია. მათ ულტიმატუმი წაუყენეს საქართველოს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვეს პ. ინგოროყვას წიგნის აკრძალვა. სიტუაცია ვერ განმუხტა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის მაშინდელი ლიდერის აკადემიკოს *ნიკო ბერძენიშვილისა* და ცნობილი აფხაზმცოდნე-ფილოლოგის *ქეთევან ლომთათიძის* სტატიებმა (*ბერძენიშვილი, 1956*:

¹ მათ შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის *ასლან ოტირბას* პიროვნება. სწორედ ა. ოტირბა ჩაუდგა სათავეში მაშინ ე.წ. „აფხაზურ ფრონტს“ პარტიულ-იდეოლოგიურ უბანზე. ამავე დროს, ის ყოველნაირად ცდილობდა, პარტიულ-იერარქიულ კიბეზე წინ წაწევას და უფრო მაღალი პარტიული თანამდებობის დაკავებას. აღსანიშნავია, რომ მისი ეს ამბიციები მთლად უსაფუძვლო არ იყო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განიხილებოდა საკითხი ა. ოტირბას საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე შესაძლო არჩევის შესახებ, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაჭრას ხელი თვით ა. ოტირბამ შეუშალა, რომელმაც იქვე, ბიუროზე, ღიად მოითხოვა 1937-1953 წლებში აფხაზეთში ჩასახლებული ქართველების გამოსახლება (*Лежава, 1997: 168*. ა. ოტირბაზე იხ.: *Авидзба, 2017: 5-56*).

125-131; **ლომთათიძე, 1956:** 132-139), რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ 1956 წ. მე-12 ნომერში. ამ სტატიებში საკმაოდ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხზე პ. ინგოროყვას ნაშრომში გამოქვეყნებული თვალსაზრისი. ამის პასუხად, იმავე „მნათობის“ 1957 წ. მე-2 ნომერში გაჩნდა გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და დავით კობიძის პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები იცავდნენ პ. ინგოროყვას შეხედულებათა სისწორეს (**ახვლედიანი, 1957:** 107-114; **ყაუხჩიშვილი ს., 1957:** 115-125; **კობიძე, 1957:** 126-128). პ. ინგოროყვას თვალსაზრისს მხარი დაუჭირა გიორგი ჩიტაიამაც (**ჩიტაია გ., 2000:** 112-122).

ამ ფაქტმა აფხაზ სეპარატისტთა მოთმინების ფიალა აავსო. 1957 წ. 11 აპრილს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე გაიგზავნა დეპეშები, რომელთაც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერდნენ პარტიული მუშაკებიც.¹ ამ დეპეშა-საჩივრებში, რომელიც იგზავნებოდა უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციებში – სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ უმაღლეს საბჭოში, არც მეტი, არც ნაკლები, დაყენებული იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი (**Лежава, 1997:** 1166). პარალელურად, 1957 წ. 11-13 აპრილს სოხუმში დაიწყო მღელვარება. აფხაზური მოსახლეობის ცალკეულმა ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას. შეწყვიტეს მეცადინეობები აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა* და პედაგოგიურ სასწავლებელში. მოწვეულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც დაგმო ჟურნალ „მნათობის“ 1957 წ. მე-2 ნომრის ზემოხსენებული პუბლიკაციები. ამავე დროს აფხაზური ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები გავიდნენ ხალხში და მოუწოდეს საპროტესტო გამოსვლებისაკენ. დემონსტრაციულად უარი განაცხადა რეპეტიციებზე *სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის* აფხაზურმა დასმა. პროტესტის ნიშნად ასევე უარი თქვა თბილისში კონცერტში მონაწილეობაზე *აფხაზური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის* ხელმძღვანელმა *ალექსი ჩიჩბამ* (**Лежава, 1997:** 166-167).

ამრიგად, შეიქმნა აფხაზური მოსახლეობის „საყოველთაო დაუმორჩილებლობის“ ფონი. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ უმაღლეს მოახდინა რეაგირება აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და უკვე 12 აპრილს სასწრაფოდ მოიწვია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს *ივანე თარბამ* – ცნობილმა აფხაზმა პოეტმა, იმჟამად პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში, *არქიფო ლაბახუამ* (იმჟამად აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბ-

¹ მათ შორის იყვნენ: იმჟამად საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული განყოფილების გამგის მოადგილე, შემდგომში ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი *ბაგურ საღარია* და *რუფეტ ბუთბა* – 80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში.

ჭოს თავმჯდომარე), *ხუხუტი ბღაქბამ* (ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი) და ზემოთ ნახსენებმა *ასლან ოტირბამ*. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ დაგმო ჟურნალ „მნათობის“ 1957 წ. მე-2 ნომრის პუბლიკაციები და შეცდომად მიიჩნია დისკუსია საკითხზე, რომელიც არსებითად საექვოდ მიიჩნევდა აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს. ამასთან, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ვერ მოახერხა ცალკეული მტრული ელემენტების ანტისაზოგადოებრივი ქმედებების აღკვეთა (**Лежава, 1997: 167-168**).

1957 წ. 15-16 აპრილს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებები და მიიღეს ისინი „აუცილებლად შესასრულებლად“ (**Лежава, 1997: 169**). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ერთგვარად ჩააცხრო ვნებათაღელვა და საერთო პოლიტიკური ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა. ასე დასრულდა პირველი „საყოველთაო-აფხაზური ამბოხი“ 1957 წელს.

სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში ზუსტად შეარჩიეს მომენტი თბილისის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. მათ კარგად გამოიყენეს საქართველოში 1956 წ. 5-9 მარტის „ანტისაბჭოური გამოსვლების“ შედეგად გამოწვეული კრემლის გაღიზიანება და თავიანთი დამაბეზლებელი დეპეშა-წერილებითა და მიმართვებით „ცეცხლზე ნავთი დაასხეს“, რითაც დამატებითი იმპულსი შესძინეს ანტიქართულ ისტერიას ცენტრში. სავსებით სწორია გ. ლეჟავა, როდესაც აღნიშნავს, რომ „სტალინური ხელმძღვანელობის შეცდომების გამოსწორების“ მომიზეზებით აფხაზეთში იქმნებოდა ნოყიერი ნიადაგი ნაციონალისტური მოძრაობის ასაღორძინებლად (**Лежава, 1997: 155**). რაც შეეხება საბაბს, რომელიც გამოყენებულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ ხალხის ასამხედრებლად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოვნურად იქნა გაზვიადებული.¹

და ბოლოს, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის (*ვასილ მქავანაძის* მეთაურობით) ერთგვარ კა-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ *ჰავლე ინგოროყვას* კონცეფცია არ იშვა შემთხვევით. ეს იყო ერთგვარი საპასუხო რეაქცია ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის იმ უხეში გაყალბებისა, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, XX ს. 20-იან წლებში, *ნესტორ ლაკობას* ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის პარპაშის პირობებში, ეწეოდნენ, *სიმონ ბასარია*, *სემიონ აშხაცვა*, *კონსტანტინე კუდრიავცევი* და სხვ. მართებულად აღნიშნავს გ. ლეჟავა, რომ პ. ინგოროყვას ამ ნოვაციებისაკენ უბიძგა აფხაზთა სეპარატისტულმა გამომხდომებმა, კერძოდ, მათმა მცდელობამ, გამოეცხადებინათ აფხაზები ერთადერთ აბორიგენებად „თავიანთ ტერიტორიაზე“ და ამის საფუძველზე დაეცვათ საკითხი „საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის“, საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ“ (**Лежава, 1997: 163**).

პიტულანტურ პოზიციას, რომელმაც იმთავითვე ჩათვალა „შეცდომად“ ქართული მხარის ქმედება და სამაგალითოდ დასაჯა ამ „დრამის“ მხოლოდ ქართველი ფიგურანტები: ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დავით მჭედლიშვილი, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგე მიხეილ კვესელავა. ამით, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, წაახალისა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ახალი „გმირობებისაკენ“ თავიანთ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში“. ამგვარი კაპიტულანტური პოლიტიკის ნაყოფი საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოიმკო ზუსტად 10 წლის შემდეგ – 1967 წელს, როდესაც აფხაზეთში იფეთქა მორიგმა ანტიქართულმა ამბოხმა.

აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული „ამბოხი“ 1967 წელს. ნაციონალისტური ისტერიის ახალი ტალღის აგორების საბაბად კვლავ იქნა გამოყენებული ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიების აზრით, გაყალბებული იყო აფხაზი ხალხის ისტორიული წარსული. მომავალი „საერთო-სახალხო“ პროტესტის სიმპტომები გაჩნდა ჯერ კიდევ 1965 წელს, როდესაც სეპარატისტებმა „ანათემას გადასცეს“ გამორჩენილი აფხაზი ფილოლოგის, ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის ხუხუტი ბღაჟბას მონოგრაფია: „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი“ (Бражба Х., 1964). ჩაღვნილი „ცოდვებისათვის“ (სეპარატისტთა განმარტებით, წიგნში არასწორად იყო ახსნილი ცალკეული აფხაზური გვარები) ხუხუტი ბღაჟბა გადაყენებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

1966 წელს თბილისში გამოიცა დიდი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თხზულებების III ტომი, რომელშიც მოთავსებული იყო მეცნიერის წერილი: „მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო“ (ბერძენიშვილი, 1966a). ამ წერილში განვითარებული ცალკეული დებულებები მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური სეპარატიზმის „მამებისთვის“, რომლებმაც მათში „დაინახეს“ აფხაზი ხალხის ეთნიკური ინდივიდუალობის უარყოფის მცდელობა. სინამდვილეში კი აღნიშნულ სტატიაში (ისევე, როგორც ნ. ბერძენიშვილის სხვა შრომებში) მსჯელობა იყო აფხაზთა „ისტორიულ-კულტურულ“ ქართველობაზე. რაც შეეხება აფხაზთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობას, ამ საკითხზე ცალსახა პასუხი მეცნიერს არ ჰქონია, თუმცა ამ წერილში (სხვა შრომებში ეს ფაქტობრივად არ გვხვდება) ნ. ბერძენიშვილი თითქოს არ გამორიცხავდა იმას, რომ „ძველი აფხაზები“ შეიძლება ტომობრივადაც ეკუთვნოდნენ ქართველურ ეთნიკურ სამყაროს.

ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც მეცნიერის მსჯელობა ამჟამინდელ აზერბაიჯანელთა ეთნიკურ იერ-სახეზე. ნ. ბერძენიშვილს არ მიაჩნია „ენის მომენტი... ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად“ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას. „დღეს აზერბაიჯანელები, – წერს იგი, – ენით თავანკარი თურქები არიან, მაგრამ ასეთივე თურქები არიან განა ისინი წარმოშობით? ვის შეუძლია უარ-

ყოფს, რომ ისინი წარმოშობით სანახევროდ მაინც, თუ უფრო მეტად არა, კავკასიური მოდემის „აღბანელები“ არიან?“ (ბერძენიშვილი, 1966a: 278). საკუთრივ აფხაზებთან დაკავშირებით კი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანაში... აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია წარმოადგენდა რიგს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საერისთავოს... და მხოლოდ ერთ მათგანს ეწოდებოდა „აფხაზთა საერისთავო“ (ხაზგასმა ნ. ბერძენიშვილისეულია), რომელიც მოიცავდა ქვეყანას აწინდელი ახალი ათონის (ანაკოფიის) დასავლეთით ვიდრე კაპოეტის მდინარემდე (ბზიფამდე) ან, შეიძლება გაგრის ვიწროებამდეც“. აქვე ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ „ფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს – მექმნისათვის ამოსავალი პრინციპი ტომობრივი მონტი იყო“ (ბერძენიშვილი, 1966a: 278).

ამ მსჯელობიდან თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ბერძენიშვილი „აფხაზთა-საერისთავოში“ მცხოვრები „აფხაზური ტომების“ ეთნო-ტომობრივ გამორჩეულობას ნამდვილად აღიარებს. თუმცა, ის იქვე შენიშნავს, რომ მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოეპოვება იმის საბუთი, რომ აფხაზეთში მობინადრე ტომები (მეცნიერს უთუოდ მხედველობაში ჰქონდა სწორედ აფხაზები) უფრო შორს იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე, ვთქვათ, სვანები, მესხები, ჰერები. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ქართული საისტორიო ტრადიციის („ქართლის ცხოვრება“) მიერ დაფიქსირებულ ფაქტზე იმის შესახებ, რომ „აფხაზთა საერისთავო“ უძველესი დროიდანვე ეგროსის წილხვედრი ქვეყნის ნაწილი იყო. „ეს გადმოცემა, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – ანგარიშგასაწევი მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტომთა როგორც ეთნიკური მონათესავეობისა, ისე მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობისა“ (ბერძენიშვილი, 1966a: 278-279, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ე. ი. როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი ამ სტატიაში, მართალია, არა გადაჭრით, მაგრამ მაინც უშვებდა „ძველი აფხაზეთის“ დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებთან „ეთნიკური მონათესავეობის“ შესაძლებლობას, რაც, ერთი შეხედვით, პ. ინგოროყვას თვალსაზრისის ფონზე, მართლაც შეიძლება გამაღიზიანებელი ყოფილიყო სეპარატისტული იდეოლოგიისათვის.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტების მიერ ნ. ბერძენიშვილის ამ პუბლიკაციის გამოყენება პოლიტიკური სპეკულაციებისათვის სრულიად გაუმართლებელი იყო, რადგანაც მეცნიერის მთავარი მიზანი ამჯერად იყო არა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის დადგენა, არამედ იმ უცილობელი ფაქტის წარმოჩენა, „რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად საქართველოს ორგანიული ნაწილია, რომ კულტურულ-ისტორიულად (ხაზს ვუსვამთ კულტურულ-ისტორიულად, და არა ეთნიკურად – ზ.პ.) საქართველოში „აფხაზი“ იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვ. ან კიდევ „კახელი“, „ქართლელი“, „გურული“, „მებრელი“, „იმერელი“, „აჭარელი“ და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ „ქართული“ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო“ /ხაზგასმა ავტორისა/ (ბერძენიშვილი, 1966a: 278-279).

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ აქ, ამ შემთხვევაში, ეთნო-ტომობრივი მომენტი სულაც არ არის ნაგულისხმევი. მეტიც, სტატიის მეორე ნაწილში, რომელშიც ნ. ბერძენიშვილი იძლევა აფხაზეთის მთავრის *ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძის* პიროვნების შეფასებას (სეპარატისტები არანაკლებ გააღიზიანა ამ შეფასებამ), მეცნიერი **ამჟამინდელ აფხაზებს ერთნიშნად მოიაზრებს ქართველთა მოძმე ხალხად**. ის საყვედურობს იმათ, ვინც მოინდომა ქელემ ბეი შარვაშიძის აფხაზი ხალხის გმირად გამოცხადება. „*ქელაიშ ბეგები*, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – *ეს აფხაზეთის ათასწლიანი ისტორიის უარყოფაა, თანამოდებთან ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის უარყოფაა, ქართველობისაგან გამოთიშვაა, საქართველოს (და თვით აფხაზეთის) დალატია. და როგორ შეუძლია დღეს აფხაზ საბჭოთა მოქალაქეს (ე. ი. ამჟამინდელ აფსუა-აფხაზს – ზ.პ.) უარყოს საკუთარი წარსული, საკუთარი სახელოვანი ისტორია და გმირი სწორედ ამ ისტორიის შემგინებელ-უარისმყოფელში დაიგულოს? გმირი იყო ლეონ I, ლიხთიქითის გამაერთიანებელი, გმირები იყვნენ ის გიორგი-კონსტანტინეები, საქართველო-კავკასიის გაერთიანებას რომ აძლევდნენ ძალებს, გმირები იყვნენ მოქვის, ბედიისა და ლიხნის თუ ანაკოფიის მამუნებელნი, გაერთიანებულნი საქართველოს მამუნებელნი და არა ქელაიშ-აჰმედ-ბეგები – სულტნის ყურმოჭრილი მონები. გმირი იყო ის ახალგაზრდა აფხაზი (მთავრის შვილი), ხრესილის ომში სოლომონ მეფესთან ერთად რომ ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა და არა ქელაიშ აჰმედ ბეგი, რუხის ომში რომ ოსმალეთის გადამწყვეტ შემოტევას ხელმძღვანელობდა... მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინტა თუ სხვა ხომ ყველა ქართველ მოძმებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია“ (ბერძენიშვილი, 1966a: 285-286, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).*

ობიექტური მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მოტანილ ციტატაში სრულიად გარკვევითაა აღიარებული ამჟამინდელ აფხაზთა უპირობო უფლება, იამაყონ საკუთარი ისტორიული წარსულით, დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის იმ დიდი მოღვაწეებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ერთიან ძლიერ საქართველოს, **იამაყონ იმ სწორუპოვარი ძეგლებით, რომლებიც მათ წინაპრებს „ქართველ მოძმებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში“ შეუქმნიათ**. და ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება ვინმე დაეჭვდეს იმაში, რომ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნულ სტატიამშიც ფაქტობრივად ადასტურებდა ე. წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზთა იდენტურობას, მაგრამ, ბუნებრივია, ეს გარემოება ოდნავადაც არ შეაჩერებდა სეპარატისტთა იდეოლოგიებს, რომლებმაც ნ. ბერძენიშვილის შრომების III ტომის გამოსვლა გამოიყენეს ახალი პროვოკაციული ანტიქართული კამპანიის წამოსაწყებად.

ვნებათაღელვა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისიდან სოხუმში გაიგზავნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების აფხაზ სტუდენტთა წერილი-საჩივარი (Кварчия, 2020: 110-112). ამ წერილების აღრესატები იყვნენ როგორც სტუდენტთა ახლობლები, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურები. საჩივრის წერილებს, პირველ რიგში, *მაქსიმ გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო ჰელდაგოგური ინსტიტუტის* აფხაზი სტუდენტები და *საქართველოს მეცნიერ-*

ბათა აკადემიის დირექტორი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები გამოეხმაურნენ. ასე დაიწყო მღელვარება, რომელმაც თავის აპოგეას 1967 წლის 7-9 აპრილს მიაღწია (**Кварчия, 2020: 117-149**).

ის, რომ აფხაზთა მორიგი „ამბოხის“ დრო ასევე საგანგებოდ იყო შერჩეული, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს – ის „ართემეტიკული სიზუსტით“ იყო გამოანგარიშებული და ემთხვეოდა აფხაზთა პირველი ამბოხის 10 წლისთავს. ახალი „ამბოხის“ ინიციატივა მიანდეს ახალგაზრდობას. ჯერ კიდევ 1967 წ. მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა (სულ 45 ხელმოწერა) მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის ასსრ-ის სახელისუფლებო ორგანოებს. ამ მიმართვაში ისინი ულტიმატუმის ფორმით კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის ცალკეული ქართული ტოპონიმების აფხაზურით შეცვლას (**Кварчия, 2020: 107-109**). 1967 წ. 28 მარტს სეპარატისტებმა უკვე თვითნებურად დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის სისრულეში მოყვანა. ასე, ქ. სოხუმის ავტონომიური სატელეფონო სადგურის ტექნიკოსმა ვინმე აბგაჯავამ და მძღოლმა ცუამ საღებავებით გადაშალეს ყველა ქართული წარწერა საგზაო ნიშნებზე დაწყებული საქართველოს საზღვრიდან ბიჭვინთამდე. ამ ქმედებისათვის ორივე ეს პიროვნება დააპატიმრეს. პასუხად, 1967 წ. 31 მარტს გაგრის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი ჩამოვიდა სოხუმში, სადაც მათ შეუერთდა რამდენიმე ათეული ადგილობრივი მცხოვრები და ისინი (სულ 150 კაცამდე) ერთდროულად – ორ ნაწილად გაყოფილნი გაემართნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობებისაკენ. აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები შეაშინა პროტესტის ასე ღიად გამოხატვამ და მათ მოსალოდნელი კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს დაკავებულნი (**Кварчия, 2020: 145; Лежава, 1997: 171-172**). მაგრამ სეპარატისტები ამან არ დააკმაყოფილა და ისინი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

1967 წ. 7 აპრილს აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლებმა (400 კაცამდე) ალყა შემოარტყეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობას, ხოლო მოგვიანებით გაემართნენ *საზაფხულო თეატრისკენ* და თვითნებურად დაიკავეს ის. შეხვედრამ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან „ამბოხებულები“ ვერ დააკმაყოფილა და მათ უშუალოდ მოსკოვის ჩარევა მოითხოვეს. მომზადდა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც კვლავ იქნა დაყენებული აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი „დამოუკიდებელ“ მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი (**Кварчия, 2020: 145-146; Лежава, 1997: 172**). 1967 წ. 9 აპრილს შედგა კიდევ ერთი შეხვედრა „ამბოხებულებსა“ და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შორის, რომლის შემდეგაც მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა დატოვა საზაფხულო თეატრის შენობა. დარჩნენ მხოლოდ აქტივისტები (100-მდე კაცი), რომლებმაც აირჩიეს სარედაქციო კომისია (20 კაცის შემადგენლობით) სკკპ ცენტრა-

ლურ კომიტეტში გასაგზავნი მიმართვის მოსამზადებლად. ამ კომისიაში შევიდნენ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგი *თამარა შაყრილი*, ახალგაზრდა მწერალი *ჯუმა ახუბა*, იურისტი *ნიკოლოზ ყოლბაია* – ქ. სოხუმის პროკურორის თანამემწე, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის სახალხო არტისტი *აზიზ აგრბა* და სხვა. 10 აპრილს დოკუმენტი უკვე მომზადებული იყო. იმავე დროულად შეირჩა დელეგაცია, რომელიც უნდა ჩასულიყო მოსკოვში. ამ დელეგაციაში შევიდნენ *თამარა შაყრილი*, *ჯუმა ახუბა*, *აზიზ აგრბა*, *ხარაზ ჭამალუა*, *ოლეგ შამბა*, აგრეთვე *ანატოლი ზუხბა* და *ოლეგ დომენია*, რომლებიც დელეგაციას მოსკოვში უნდა შეერთებოდნენ. დელეგაციას თან ახლდა 10 ახალგაზრდისაგან შემდგარი ერთგვარი „დაცვა“. დელეგაცია მოსკოვში მატარებლით აღლურიდან გაემგზავრა (*Кварчия, 2020: 146-147; Лежава, 1997: 172-173*).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში¹ მოყვანილი იყო თბილისის მხრიდან აფხაზეთის შევიწროების „უტყუარი ფაქტები“. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების 90% და სავაჭრო ობიექტების 83% უშუალოდ თბილისისადმი იყო დაქვემდებარებული; რომ კურორტებისა და ტურიზმის მთელი შემოსავალი (აფხაზეთის ასსრ-ის საერთო ბიუჯეტის 50%) ირიცხებოდა საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტში; რომ მიმდინარეობს აფხაზეთის ტყის სიმდიდრეების დაუნდობელი განადგურება და ა.შ. ამავე დროს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დოკუმენტებში სეპარატისტები აყენებდნენ აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმების აფხაზურად გადარქმევის, აფხაზი ეროვნების ადამიანებისათვის ქალაქებში ჩაწერისას უპირატესობის მინიჭებისა და მათი შრომითი მოწყობისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სკოლაში აფხაზური ენის სავალდებულო სწავლების შემოღების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნის, თურქეთიდან 200 ათასი მუჰაჯირ-აფხაზთა შთამომავლის გადმოსახლების ორგანიზაციის, საქმის წარმოების აფხაზურ ენაზე გადაყვანისა და ა.შ. მოთხოვნებს. სეპარატისტთა ლიდერების განცხადებით, ამ და აფხაზი ხალხისათვის „სასიცოცხლო“ სხვა საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში. აქედან გამომდინარე, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან და მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსში აყვანას (*Абхазия в советскую, 1994: 159-163; Лежава, 1997: 173-174*).

1967 წ. 18 აპრილს სეპარატისტთა დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა *ვიქტორ ვასილიევმა* (ის კურირებდა საქართველოს), თუმცა „ოფიციალური დოკუმენტები“ მისთვის არ გადაუციათ. თ. შაყრილი

¹ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, ამ „ნაციონალისტური დოკუმენტის“ რედაქტირებაში მონაწილეობა მიუღიათ პროფესორ *შალვა ინალ-ივას* და მწერალ *გიორგი გულიას* (იხ. *Кварчия, 2020: 147*).

და მისი ჯგუფი ითხოვდა შეხვედრას უშუალოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან (თუ ვისთან კონკრეტულად, არ სახელდებოდა), ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან – *ალექსი კოსიგინთან*, მაგრამ სეპარატისტების ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. აუდიენცია ასეთ მაღალ დონეზე არ შედგა, რის გამოც დელეგაცია იძულებული შეიქნა, „დოკუმენტები“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისაღებაში ჩაებარებინა და სოხუმში დაბრუნებულიყო (**Лежава, 1997: 174-175**). ამასობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზეთში სიტუაციის განსამუხტავად გარკვეული სამუშაო ჩაატარა. ჯერ კიდევ 31 მარტს შედგა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს მოხსენებითი ბარათი. ამ ბარათს ხელს აწერდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი *ვალერიან კობახია*, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე *ბაგრატ შინკუბა* და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *მიხეილ ჩიქოვანი*. ბიუროს სხდომაზე მათ გარდა მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები. რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე არ მიუღიათ და მხოლოდ საკითხის განხილვით დაკმაყოფილდნენ, თუმცა აკადემიკოს *ნიკო ბერძენიშვილის* წიგნისა და ზოგიერთი სხვა ნაშრომის პუბლიკაცია შეცდომად იქნა აღიარებული. ბიუროზე ასევე მართებულად მიიჩნიეს მოთხოვნა ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის აფხაზური სახელწოდებების დაბრუნების შესახებ და სხვ. (**Лежава, 1997: 177-182**).

1967 წ. 12 აპრილს, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის დამთავრებისთანავე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა შეხვედრა აფხაზეთიდან წარმოდგენილ დეპუტატებთან, რომლის დროსაც შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს „*აფხაზეთის ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების ქმედებები*“ (**Лежава, 1997: 182**). 14 აპრილს უკვე შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც მიიწვიეს წამყვანი მეცნიერები, აკადემიკოსები: *გიორგი წერეთელი*, *გიორგი მელიქიშვილი*; პროფესორები: *მოთა მუსხია*, *მამია ღუმბაძე*, *ირაკლი ანთელავა*, *ნიკოლოზ სტურუა*, *მარიამ ლორთქიფანიძე* და სხვ. ბიუროს სხდომის მსვლელობისას, ქართველმა მეცნიერებმა მოახერხეს ნიკო ბერძენიშვილის წიგნის დაცვა და, მიუხედავად სეპარატისტების კატეგორიული მოთხოვნისა, ის გადაურჩა აკრძალვას. ამავე სხდომაზე მოწონებულ იქნა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „*აფხაზეთის ასსრ-ის ზოგიერთი სოფლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ*“ (**Стурға, 1995: 30-31**).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში პოლიტიკური აქცენტები სწორად იყო დასმული (**Стурға, 1995: 31-32**). და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს საკმაოდ მკაცრი შეფასებაც მიეცა, საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს ქმედებებში ერთგვარი წინააღმდეგობრიობა მაინც შეიმჩნეოდა. პირველ რიგში, ეს გამოვლინ-

და იმაში, რომ საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ორგანომ, მოუწოდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის, მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების განყოფილებებს განეხორციელებინათ მუდმივი კონტროლი და დახმარება აღმოეჩინათ სამეცნიერო-საგამომცემლო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოსაცემი პროდუქციის „თეორიული და იდეური დონის აძაღლების“ საქმეში (Лежава, 1997: 184), ფაქტობრივად მკაცრი ცალმხრივი ცენზურა დააწესა. შედეგად, ქართველ მეცნიერებს დიდი ხნის მანძილზე არ ეძლეოდათ საშუალება, სათანადო პასუხი გაეცათ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა მოღვაწეთა ფალსიფიკატორული პროპაგანდისათვის, რომელიც ფართოდ გაიშალა აფხაზეთში 70-იან წლებში. ცალკეულ ქართველ მკვლევართა (უნდა ითქვას, რომ ამას ერთეულები თუ ბედავდნენ) ნებისმიერი მცდელობა, როგორც წინ აღდგომოდნენ აფხაზი კოლეგების „ისტორიოგრაფიულ თარეშს“, ხელისუფლების მხრიდან ძირშივე იკვეთებოდა, ხოლო სეპარატისტული პროპაგანდა ეგრევე აკერებდა ამ მეცნიერებს აფხაზი ხალხის „მტრის“ იარლიყს.

მაგრამ მოკვებრუნდეთ 1967 წლის გაზაფხულის მოვლენებს. 18 აპრილს სოხუმში შედგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით წარსდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. კრების მონაწილეებმა ერთნიშნად დაგმეს აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენელთა 7-9 აპრილის „უკანონო შეკრება“ და მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, „განამტკიცონ შრომითი და სახელმწიფო დისციპლინა, გამოიჩინონ შეურიგებლობა საბჭოთა წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების ნებისმიერი დარღვევისადმი“ (Лежава, 1997: 186). სერიოზული მსჯელობა ამავე საკითხზე გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VII პლენუმზე, რომელზეც საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალერიან კობახიამ დაგმო ანტიქართული ამბოხის ინსპირატორთა ქმედებები და დაასახელა კონკრეტული პიროვნებები, მათ შორის, ფილოლოგი თამარა მაყრილი, მწერალი ჯუმა ახუბა და სხვ. (Лежава, 1997: 186).

მაგრამ სეპარატისტულ ამბოხს სხვა, უფრო გავლენიანი ლიდერებიც ჰყავდა. პირველ რიგში, ეს იყო ზემოთნახსენები ასლან ოტირბა – იმჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ითვლებოდა ე.წ. „იბატკევემა საოლქო კომიტეტის“ ხელმძღვანელად. თითქმის დიად უჭერდნენ მხარს ამბოხებულებს და გამოსვლების ორგანიზატორთა როლში გვევლინებოდნენ აფხაზეთის მამინდელი კულტურის მინისტრი ვლადიმირ კვარჩელია, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე აკიბეი ხონელია (Стурца, 1995: 24). საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია, რომ საპროტესტო აქციების ორგანიზატორები ცდილობდნენ ცდილობდნენ მოეპოვებინათ ცნობილი აფხაზი პოეტისა

და მეცნიერის, იმჟამად აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატი შინკუბას მხარდაჭერა (Стурца, 1995: 27).

მიუხედავად საკმაოდ პრინციპული შეფასებებისა, რომელიც მიეცა აფხაზთა მორიგ „ამბოხს“, ხელმძღვანელი პარტიული სტრუქტურების მხრიდან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტები სულაც არ გრძნობდნენ თავს დამარცხებულად. უფრო მეტიც, საკადრო ცვლილებები, რომელიც განახორციელა საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ, გარკვეულწილად იმედინად განაწყობდა სეპარატისტულ ბანაკს და ქმნიდა მეტად ხელსაყრელ ფონს აფხაზური ნომენკლატურის პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი აფხაზი მაღალჩინოსანი, რომელიც ფაქტობრივად „ამბოხის“ ორგანიზატორი იყო, არ დასჯილა. ერთადერთი პიროვნება ვისზეც თითქოს „ჯოხი გადატყდა“, იყო იგივე *თამარა შაყრილი*, რომელიც ჩამოამორეს სტუდენტურ აუდიტორიას პედაგოგიურ ინსტიტუტში და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე (დირექტორი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში) გადაიყვანეს (Лежава, 1997: 186).

სამაგიეროდ, რეპრესიული ღონისძიებები გატარდა ქართველი ნომენკლატურული მუშაკების მიმართ. ასე, 1967 წ. 21 მაისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დემონსტრაციულად გამოიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი *დამიანე გოგობია* და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *მიხეილ ჩიქოვანი* (Лежава, 1997: 192). აფხაზი ხელმძღვანელების: საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის *ვალერიან კობახიასა* და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატი შინკუბას პასუხისმგებლობის საკითხი არავის დაუსვამს. პირიქით, 1967 წ. „აპრილის ეპოპეის“ შემდეგ მკვეთრად გაიზარდა მათი გავლენა. ამრიგად, კვლავ შეიქმნა მხოლოდ ქართველთა დასჯის პრეცედენტი.¹ ამან კიდევ უფრო გაათამამა სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიები, რომლებიც ამ დროიდან ხელიდან არ უშ-

¹ 1967 წლის ანტიქართული ამბოხის შეფასებისას უაღრესად საინტერესოა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იმჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველისა და მონაწილის დევი სტურუას აქცენტები. დ. სტურუა სავსებით სწორად მიიჩნევს, რომ სეპარატისტები ამ „პუტჩს“, პირველ რიგში, განიხილავდნენ როგორც „თავიანთი საბოლოო ვერაგული ზრახვების განხორციელების მორიგ ეტაპად“ (Стурца, 1995: 44). ავტორი ცდილობს ახსნა მოუძებნოს, ოფიციალური თბილისის დათმობით პოლიტიკას, თუმცა მის მიერ მოტანილი არგუმენტები მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ერთადერთი, რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, არის ის, რომ თბილისი „ამ კონფლიქტების“ დარეგულირებისას პროცესში არ იყო დამოუკიდებელი და უდავოდ განიცდიდა ცენტრის ზეწოლას (Стурца, 1995: 45-46), რომელიც, თავის მხრივ, ფარულად თვითვე აღვივებდა კიდევ იმ კონფლიქტებს.

ვებდნენ ნებისმიერ საბაბს თავისი „ბრძოლისუნარიანობის“ მორიგი დემონსტრირებისათვის (*Лежава, 1997: 186192*).¹

აფხაზთა სეპარატისტული გამოსვლები 1977-1978 წლებში. XX ს. 70-იანი წლები აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი დაძაბულობით აღინიშნა. სეპარატისტულმა ძალებმა მოიგეს რა მორიგი რაუნდი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში 1967-1968 წლებში, კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. სულ უფრო იგრძნობოდა აღნიშნული ძალების მზარდი გავლენა ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე. მაშინდელი აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის *ვალერიან კობახიასა* და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის *ბაგრატ შინკუბას* სახით, მთლიანად იქცა სეპარატისტული წრეების კრეატურად, მაგრამ აფხაზური პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლებს შორის მაინც იყვნენ ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ვერ ჯდებოდნენ სეპარატისტულ კონიუნქტურაში. მათ რიცხვს, პირველ რიგში, განეკუთვნებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში *მუჯიდ ხვარცია*, რომელსაც მაშინ ვ. კობახიასა და ბ. შინკუბას ფარული სეპარატისტული კურსის მიმართ მკვეთრად გამოსატული კრიტიკული პოზიცია ეკავა.

1972 წელს, მას შემდეგ, რაც შეიცვალა საქართველოს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა და ცენტრალური კომიტეტის სათავეში ედუარდ შევარდნაძე მოვიდა, როგორც ცნობილია, მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო ძველი პარტიულ-სამეურნეო აპარატის კარდინალური „წმენდის“ პროცესი, რომელიც აფხაზეთსაც შეეხო. 1975 წელს საქართველოს ახალმა ხელმძღვანელმა შეძლო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან *ვალერიან კობახიას* გადაყენება და ამ თანამდებობაზე თავისი პროტექტეს *ვალერი ხინთბას* არჩევა.² ვალერიან კობახიას განმარტებულმა გადაყენებამ და მის ადგილზე ვალერი

¹ ასე მოხდა, მაგალითად, 1968 წელს, როდესაც მათ „იერიში მიიტანეს“ ცნობილი ქართველი მეცნიერის, არქიტექტურის ისტორიკოსის *ილია ადამიას* ხალხური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომზე (*ადამია, 1968: 8*). მასში შესწავლილი იყო აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები, ამასთან, ავტორი იმეორებდა პ. ინგოროყვას თვალსაზრისს აფხაზთა წარმომავლობის საკითხზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ აჩვენა სეპარატისტებს „პრინციპულობა“ აფხაზი ხალხის ისტორიის „გამყალბებლების“ მიმართ და გაზეთ „*Заря Востока*“-ში (4.VI.1968) სახელდახელოდ მოათავსა სარედაქციო წერილი საკმაოდ მაღალფარდოვანი სათაურით: „*ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით*“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ი. ადამიას დებულებები. ეს კი აფხაზმა სეპარატისტებმა თავიანთ მორიგ გამარჯვებად მიიწერეს.

² ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვ. ხინთბაზე არჩევანის შეჩერება არ იყო შემთხვევითი. ის იყო ე. შევარდნაძის გუნდიდან, რადგან ადრე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა (მაშინ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის)

ხინთბას დანიშნვამ აფხაზეთის სეპარატისტული წრეების გაღიზიანება გამოიწვია. მათ, არცთუ უსაფუძვლოდ, დაინახეს ამაში საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, დაესუსტებინა სეპარატისტული ტენდენციები აფხაზეთში და აემალლებინა ცენტრის (თბილისის) როლი.¹

ყოველივე ამას აფხაზური სეპარატიზმის მესვეურები განიხილავდნენ ე. წ. „სტალინ-ბერიასული“ კონიუნქტურის ერთგვარ „რესტავრაციად“, მაგრამ სეპარატისტები ერთბაშად არ გადასულან შეტევაზე. ისინი, ფარულად, თანდათანობით ემზადებოდნენ საპასუხო დარტყმისთვის და ყოველნაირად ცდილობდნენ ნებისმიერი საბაბის გამოყენებას ახალი „ამბოხის“ მოსაწყობად. მალე ამგვარ საბაბად იქცა ცნობილი აფხაზი ისტორიკოს-ეთნოგრაფისა და ლიტერატურათმცოდნის, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის* დირექტორის მოადგილის, პროფესორ *შალვა ინალ-იფას* აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის (*Инал-ипа, 1976*) ირგვლივ ატეხილი ვნებათაღელვა.

შ. ინალ-იფა სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით სეპარატისტულ წრეებში, რადგან მის შრომებში, როგორც უკვე აღინიშნა, პოულობდნენ ერთგვარ ისტორიოგრაფიულ დასაბუთებას დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობისა. მაგრამ მეცნიერის ადრინდელ პუბლიკაციებში ეს ტენდენციები წარმოდგენილი იყო შედარებით მკრთალად, რის გამოც მათ არ გამოუწვევია ქართველ მეცნიერთა პროტესტი. 1976 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში კი შ. ინალ-იფა მოურიდებლად გადავიდა შეტევაზე, ერთი ხელის მოსმით „გააცამტვერა“ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი და მეტად უსუსური არგუმენტაციის საფუძველზე აფხაზები აფხაზეთის „ერთადერთ აბორიგენებად“ გამოაცხადა.

შ. ინალ-იფას ამ და სხვა „აღმოჩენებს“, ბუნებრივია, ქართველი მეცნიერთა: ისტორიკოსების, ფილოლოგების (წიგნში ასევე ტენდენციურად იყო გაშუქებული ენათმეცნიერული საკითხებიც) მწვავე რეაქცია მოჰყვა. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო ის გარემოება, რომ შ. ინალ-იფას წიგნს არ გაუვლია სათანადო აპრობაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში, ხოლო

მინისტრად და რამდენიმე წლის მანძილზე უშუალოდ ე. შევარდნაძის, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დაქვემდებარებაში იყო. მას შემდეგ, რაც ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, ვ. ხინთბა გადაყვანილ იქნა ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც კვლავ თავისი ყოფილი შეფის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა.

¹ პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1973 წელს გადაიდგა, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისიდან აფხაზეთში მიავლინა და პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნა: *შოთა თათარაშვილი* (ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ), *ავთანდილ საყვარელიძე* (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად) და *გიორგი ჟორჯოლიანი* (სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად).

მისი რედაქტორი იყო მოსკოველი აკადემიკოსი *მიხეილ კოროსტოვცევი*, სპეციალობით ეგვიპტოლოგი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთმცოდნეობაში სრული დილექტანტი იყო, შ. ინალ-იფას აღნიშნული წიგნი, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის „ჭეშმარიტ ენციკლოპედიად“ გამოაცხადა (**Инал-ипа, 1976: 3**). ქართველმა მეცნიერებმა (*მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ* და სხვ.) წარმოადგინეს თავიანთი დასკვნები შ. ინალ-იფას წიგნზე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავი შეიკავა ამ მასალების პუბლიკაციისაგან და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დაავალა, მოეწყო შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა ადგილზე, სოხუმში – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში*, რომელიც შედგა კიდეც 1977 წლის მარტში.

თავდაპირველად განზრახული იყო განხილვა სპეციალისტების (ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების) ვიწრო წრეში, საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე და რამდენადმე მათგან დამალულადაც, მაგრამ „კონსპირაციულობის“ დაცვა ბოლომდე ვერ მოხერხდა. სხდომათა დარბაზში შეაღწიეს „დაინტერესებულმა პირებმაც“, რომლებმაც კინალამ ჩამალეს წიგნის განხილვა. ამ აგრესიული „შემოტყვის“ მთავარი ტონის მიმცემი იყო არა სხვა ვინმე, არამედ თვით 1967 წლის „რევოლუციის“ ერთ-ერთი ბელადი *თამარა შაყრილი*, მაგრამ გამოჩენილი აფხაზი მეცნიერების *გიორგი ძიძარასა* და *ზურაბ ანჩაბაძის* (სწორედ ისინი უძღვებოდნენ სხდომას) მტკიცე პოზიციის წყალობით მოხერხდა არაჯანსაღი ექსცესების ადკვეთა.

პრაქტიკულად ყველა გამომსვლელმა მკაცრი დასაბუთებული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შ. ინალ-იფას წიგნი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე.წ. „მთავარი ოპონენტის“, *ზურაბ ანჩაბაძის* გამოსვლა, რომელიც დაახლოებით 1,5 საათი გაგრძელდა. მასში, შ. ინალ-იფას წიგნში გაშუქებული პრობლემების ამომწურავი კრიტიკული ანალიზის ფონზე, დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ავტორისეული დებულებების მცდარობა. ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით არანაკლებ მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ *გიორგი ძიძარია*, ენათმეცნიერი, პროფესორი *ხუხუტი ბლაჟბა*, აგრეთვე არქეოლოგი *გიორგი შამბა*, განსაკუთრებით კი (რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს ეს დღეს) მომავალში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი *იური ვორონოვი*, რომელსაც ექსტრემისტებმა ნამდვილი ობსტრუქცია მოუწვევეს. ამ განხილვის ერთგვარი ანგარიში (მომზადებული გ. ძიძარასა და ზ. ანჩაბაძის მიერ) ერთდროულად (14.05.1977) გამოაქვეყნა ავტონომიური რესპუბლიკის სამივე წამყვანმა გაზეთმა-ოფიციალურმა *„Советская Абхазия“*, *„აფსნი-ყაფში“*, *„საბჭოთა აფხაზეთი“* / (რუსული ტექსტი იხ.: **Абхазия в советскую, 2009: 54-59; Папаскири 3., 2012b: 586-592**. ამის შესახებ უფრო ვრცლად: **Папаскири 3., 2012b: 20-23**). გამოქვეყნებულ მასალაში, მთლიანობაში, აქცენტები სწორად იყო დასმული და წიგნი კრიტიკულად იყო შეფასებული, რამაც აფხაზური ინტელიგენციის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

აი, სწორედ მაშინ დაიწყო გამოცოცხლება სეპარატისტულ წრეებში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი პრელუდია იყო. მთავარი მოვლენები კი მოგვიანებით, 1977 წლის მიწურულიდან განვითარდა.

სეპარატისტთა ახალი გამოსვლის დროც შემთხვევით არ იყო შერჩეული. 1977 წ. 7 ოქტომბერს, როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების პროექტებზე. ამით ისარგებლეს სეპარატისტების ლიდერებმა და სახელდახელოდ შეაკოწიწეს ახალი წერილი-საჩივარი, რომელიც 1977 წ. 10 დეკემბერს გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს *ლეონიდ ბრეჟნევს*, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს *მიხაილ იასნოვს (Абхазия в советскую, 1994: 164-187)*.

წერილ-საჩივარს ხელი მოაწერეს აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. მასში კვლავ იყო წამოყენებული ის ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მისამართით, რომლებზედაც 50-იანი წლებიდან დაწყებული პერიოდულად კეთდებოდა აქცენტები. ამასთან, წამოყენებულ იქნა ახალი თეზისიც. სეპარატისტები დისკრიმინაციად თვლიდნენ იმ გარემოებას, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს, მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, არ ჰქონდათ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკიდან გამოსვლის უფლება და მოითხოვდნენ ამ კონსტიტუციური უფლების ავტონომიური რესპუბლიკებისათვისაც მინიჭებას. ამავე დროს, წერილი-საჩივრის ავტორები შეახსენებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობას, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს აფხაზეთის რევკომმა დააყენა აფხაზეთის სსრ-ის უშუალოდ რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი (აი, რატომ იყო საჩივრის წერილის ერთ-ერთი ადრესატი რსფსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი პირი – მ. იასნოვი).

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად აფხაზთა საჩივრის განხილვა და ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს გადაუგზავნა, რამაც სეპარატისტების აღმფოთება გამოიწვია. მათ „დაბომბეს“ კიდევ საპროტესტო დეპეშებით ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლებო ინსტანციები. მაგრამ საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ აყვა სეპარატისტების კაპრიზებს და მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცა წერილი-საჩივრის ავტორთა დესტრუქციულ ქმედებებს (*Лежава, 1997: 194*). მეტიც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, წერილი-საჩივრის ავტორი ნომენკლატურული თანამდებობის პირების: *ალექსი ჯუნიას /ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორი/, იური არგუნის /აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი/ და ლ. ახუბას /გუდაუთის რაიონული გაზეთის „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე/ (*Лежава 1997: 204*) სკკპ-ს რიგებიდან გარიცხვის თაობაზე.*

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ამგვარი მკაცრი კურსი არ იქნა მოწონებული ცენტრში, სადაც აშკარად გაღიზიანდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თამამი მოქმედებებით. მოსკოვს უნდა მოეხდინა საქართველოს ხელმძღვანელობისთვის იმის დემონსტრირება, რომ ბოლო სიტყვა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისას სწორედ მას ეკუთვნოდა და არა თბილისს. თავის მხრივ, *ელუარდ შუვარდნაძე* და მისმა გუნდმაც ვერ შეძლო ჯეროვანი სიმტკიცის გამოჩენა და კრემლის ზეწოლის შედეგად უკან დაიხია. ვ. ხინთბა დემონსტრაციულად გაათავისუფლეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. ამავე დროს სკკპ-ს რიგებში ადადგინეს ადრე პარტიიდან გარიცხული პირები. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებმა მაინც ვერ მიაღწიეს გადამწყვეტ წარმატებას და ვერ მოახერხეს აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელის პოსტზე თავისი კანდიდატის გაყვანა. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს *ბორის ადლეიბა*, პიროვნება, რომლის მიმართაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა არანაკლები სიმპათიით იყო განწყობილი, ვიდრე ვ. ხინთბასადმი.

1978 წ. 21 მაისს სოხუმში შედგა აფხაზეთის ასსრ-ის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: „აფხაზეთის ასსრ-ის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ“ კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი *ივანე კაპიტონოვი*. მან კატეგორიულად გამორიცხა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან აფხაზეთის ასსრ-ის გამოსვლისა და მისი საკავშირო ფედერაციაში გაწევრიანების შესაძლებლობა; ასევე სამართლებრივად მიუღებლად ჩათვალა სსრ კავშირის კონსტიტუციაში სპეციალური ჩანაწერის გაკეთება, რომლითაც ავტონომიურ რესპუბლიკებს (მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად) მიენიჭებოდათ თავისუფალი გამოსვლის უფლება (*Лежава, 1997: 195*). სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-იდან რსფსრ-ის შემადგენლობაში გადასვლის თაობაზე დაფიქსირდა ი. კაპიტონოვის გამოსვლაში, ქ. სოხუმში სეპარატისტების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინაშე, რამაც ამ უკანასკნელთა რისხვა გამოიწვია. მათ შეაწყვეტინეს სიტყვა მაღალჩინოსან მოსკოველ სტუმარს. მომიტინგებმა არ მოუსმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს *ელუარდ შუვარდნაძეს*. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, რის გამოც ი. კაპიტონოვი და ე. შუვარდნაძე იძულებულნი შეიქნენ, სასწრაფოდ გასცლოდნენ იქაურობას. სეპარატისტთა ამ გამომწვევმა დემარშმა მიზანს ვერ მიაღწია და აფხაზეთის ასსრ-ის ახალი კონსტიტუცია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ „ერთხმად“ მიიღო. მასში, რასაკვირველია, არავის შეუტანია ჩანაწერი ავტონომიური რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლების შესახებ. არ დაკმაყოფილდა აგრეთვე სეპა-

რატისტების მეორე მოთხოვნა – აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციიდან ამოეღოთ ჩანაწერი ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების თაობაზე. და მაინც, ამ დროს კონფლიქტი საბოლოოდ არ ჩამცხრალა.

1978 წ. შემოდგომაზე კვლავ დაიძაბა ვითარება აფხაზეთში. ამჯერად აფხაზეთი მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის ახალი ვნებათაღელვის საბაბად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველის – იუზა უბილაძას დანიშნა იქცა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე სეპარატისტები კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის სამივე უმაღლეს თანამდებობაზე (*საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის*) მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნას. სეპარატისტების ეს მოთხოვნა, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ქართველობის ეროვნული თავმოყვარეობის აბუჩად აგდება იყო, ვინაიდან ქართველები (აფხაზეთის მოსახლეობის 43%) რიცხოვნობით სულ ცოტა 2,5-ჯერ მაინც აღემატებოდნენ აფხაზებს (აფხაზეთის მოსახლეობის 17%). უფრო შთამბეჭდავი იყო პროცენტული შეფარდება ქართველებსა და აფხაზებს შორის სკკპ წევრთა რაოდენობის მხრივ.

მიუხედავად ამისა, ქართველებს არც ერთხელ (XX ს. 60-70-იან წლებში) არ უსარგებლიათ ამ უპირატესობით და არ მოუთხოვიათ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის – *ავტონომიური რესპუბლიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელის* – თანამდებობაზე ქართველის „არჩევა“. აფხაზებიდან „ირჩევდნენ“ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურ მეთაურს – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარეს. ქართველები სჯერდებოდნენ მხოლოდ ერთ – აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, მაგრამ სეპარატისტებს ეს პოსტიც არ ემეტებოდათ ქართველებისთვის. მათ ხელისუფლების უკლებლივ ყველა შტოს (60-70-იან წლებში, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ მხოლოდ აფხაზებს „ირჩევდნენ“) დასაკუთრება და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთი ეთნოდიქტატურის შექმნის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ. სეპარატისტებს შერჩეულიც ჰყავდათ თავიანთი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს იყო *ვალერიან კობახია*, რომელიც, მათი ღრმა რწმენით, ე. შევარდნაძემ 1975 წელს უსამართლოდ გადააყენა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. ამით სეპარატისტები ცდილობდნენ, მიეღწიათ მათი კურსის გამტარებლად მიჩნეული ლიდერის პოლიტიკური რეაბილიტაციისათვის, რაც ხალხის თვალში კიდევ უფრო ასწევდა მათ რეიტინგს.

1978 წ. 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ტყვარჩელში და გაგრაში) აგრეთვე სოფლებში, მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები. მოხდა სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების ერთი ნაწილის პარალიზება. შეწყვიტეს მე-

ცადინეობები *სოხუმის მქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა. სტუდენტი ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობის ფაქტობრივი ინსპირატორები და წარმმართველები იყვნენ პედინსტიტუტის სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები. ისინი არათუ არ ასრულებდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების დავალებას და არ მოუწოდებდნენ სტუდენტებს, დაბრუნებოდნენ აუდიტორიებს, არამედ დაბეზღებისა და ბინძური პროვოკაციების მეშვეობით ყოველნაირად ცდილობდნენ, არ მიეცათ თავიანთი კოლეგებისათვის სტუდენტებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის საშუალება (ამის შესახებ იხ. **Папаскири З., 2012b: 24-27**).

და მაინც, სეპარატისტები იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ. მათ ვერ მოახერხეს გაემეორებინათ ის, რაც მოახერხეს იმავე წლის მაისში. მაშინ ნაციონალ-სეპარატისტული ძალების ზეწოლის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად უკვე არჩეული ქართველის *გალაქტიონ ნაჭყებია*ს ნაცვლად ამ თანამდებობაზე სახელდახელოდ დანიშნა აფხაზი *ასტიკო გვარამია*, რომელიც მანამდე გუდაუთის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მუშაობის პრაქტიკაში, რომელმაც ერთნიშნად დააფიქსირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ე. შევარდნაძის სისუსტე. 1978 წ. სექტემბერში სეპარატისტებმა ფაქტობრივად ანალოგიური სცენარი გაითამაშეს, მაგრამ ამჯერად მათ ვერ მიაღწიეს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული *იუზა უბილაჟას* თანამდებობიდან განთავისუფლებასა და მისი სოხუმიდან გაწვევას. თუმცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მაინც წავიდა გარკვეულ დათმობაზე. თბილისმა დააკმაყოფილა სეპარატისტების კაპრიზი და მოახდინა *ვალერიან კობახიას* პოლიტიკური რეაბილიტაცია. ეს უკანასკნელი აირჩიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (ბაგრატ შინკუბას ნაცვლად), რის შემდეგაც ვ. კობახია კვლავ იქცა აფხაზური პოლიტიკური ელიტის წამყვან ფიგურად. ამით, სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგებმა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის მორიგი რაუნდი მოგებულად ჩათვალეს და უნდა ითქვას, რომ არცთუ უსაფუძვლოდ.

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა აფხაზეთში ახალი გართულებების შიშით, სულ უფრო თმობდა ინიციატივას, რითაც უმაღლესი საარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა, რომლებმაც აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე თანდათანობით კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. სეპარატისტების მთავარ იდეოლოგიურ იარაღად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება: „*აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ*“ (**Абхазия в советскую, 1994: 275-278**). ეს დადგენილება ფაქტობრივად იმე-

ორებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას: „აფხაზეთის ასსრ უკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებში ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“ (*Абхазия в советскую, 1994: 279-286*). მაგრამ აქ არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს არსებითმა განსხვავებამ ფორმულირებებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანალოგიური დადგენილებისაგან განსხვავებით, რატომღაც არ მიიჩნეეს აუცილებლად ყურადღების გამახვილება აფხაზეთის „მშრომელებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების“ აუცილებლობაზე. სრულიად აშკარა იყო, რომ ამით კრემლი თვალებს ხუჭავდა იმ გამალებულ ნაციონალისტურ პროპაგანდაზე, რომელსაც ეწეოდა აფხაზურ მოსახლეობაში ე.წ. „იატაკვეშა საოლქო კომიტეტი“ და, ფაქტობრივად, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე მთელ პასუხისმგებლობას თბილისს აკისრებდა. ე. ი. გამოდიოდა ისე, რომ სეპარატისტების პროტესტი გამართლებული იყო და მათ მოთხოვნებში არაფერი იყო ანტიკონსტიტუციური, აქედან გამომდინარე კი არავითარი პრობლემა არ არსებობდა მშრომელებში „იდეურ-აღმზრდელობითი“ მუშაობის სფეროში.

ასეთ ვითარებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ფაქტობრივად ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის პროპაგანდით შემოიფარგლა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის *ედუარდ შვარდნაძის* გამოსვლა გაგრის პარტიული აქტივის კრებაზე 1980 წ. 16 აგვისტოს, რომელშიც მან ყურადღება გაამახვილა „დიდი სიმტკიცისა და ურყევობის“ გამოჩენის აუცილებლობაზე ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გადახრის წინააღმდეგ (*Лежава, 1997: 202*). სამწუხაროდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა საქმით დაედასტურებინა ეს „დიდი სიმტკიცე და ურყევობა“ აფხაზური სეპარატიზმის გათავხედებული ლიდერებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით „აიშვეს თავი“ 1978 წლის „გამარჯვების“ შემდეგ. ამავე დროს, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები „ხმალამოღებული“ ებრძოდნენ ქართველთა მხრიდან აფხაზი სეპარატისტების ნაციონალისტური და სეპარატისტული გამოსხდომების აღკვეთისაკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას.

დაიწყო ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების დევნა. დააპატიმრეს გაგრის ქართული პატრიოტული ძალების ერთ-ერთი ლიდერი *არკადი მარკოზია*. ყოველივე ამან ადავსო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა და მათ, პირველად საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აღიმადლეს ხმა სეპარატისტთა თარემის წინააღმდეგ. მომზადდა მიმართვა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის *ლეონიდ ბრეჟნევისა* და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის *ედუარდ შვარდნაძის* სახელზე. მიმართვას ხელი მოაწერა აფხაზეთის

ქართული მოსახლეობის 338-მა წარმომადგენელმა. ე.წ. „ქართული წერილის“ ავტორები მოითხოვდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებას და „აფხაზეთში პროვოკაციული ანტიქართული მოძრაობისათვის“ შესაბამისი პარტიული შეფასების მიცემას. წერილში მოყვანილი იყო ქართველთა შევიწროების, ერთა შორის შუღლის გაღვივების კონკრეტული ფაქტები (Лежава, 1997: 207-212).¹

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პირველი ოფიციალური პროტესტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩა „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“ და 80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სრული უნიათობის ფონზე, სეპარატისტული იდეოლოგიის ლიდერებს მიეცათ ანტიქართული პროპაგანდის ფართოდ გაშლის შესაძლებლობა. ამ კამპანიის მთავარ რუპორად იქცა ე.წ. „აფხაზეთი ტელევიზია“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების „პირმშო“, რომელიც ეთერში მხოლოდ აფხაზეთურ და რუსულ ენებზე გადიოდა.

§2. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XX საუკუნის 80-იან – 90-იანი წლების დამდეგს

„პერესტროიკის“ დასაწყისი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება აფხაზეთში. ლიხნის თავყრილობა – აფხაზეთში ახალი კრიზისის მთავარი მიზეზი. XX ს. 80-იანი წლების I ნახევარი, როგორც ცნობილია, სსრ კავშირში პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხშირი ცვლით აღინიშნა. ამ ფონზე რამდენადმე გამოცოცხლდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გამონაკლისს არ წარმოადგენდა აფხაზეთი, სადაც სეპარატისტულმა ძალებმა დაიწყეს აქტიური მზადება ახალი ბატალიებისათვის. 1984 წელს მოსკოვში გაიგზავნა მორიგი მიმართვა. მისი ადრესატები იყვნენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კონსტანტინე ჩერნენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ სოლომენცვი.² „მიმართვაში“ სეპარატისტული მოძრაო-

¹ ამ კუთხით გამახვილებული იყო ყურადღება 1979 წელს აფხაზეთის უნივერსიტეტში მომხდარ ფაქტზე. მაშინ უნივერსიტეტში სეპარატისტების მოწვევით საჯარო ლექცია წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბჭოთა კავშირის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გიორგი ტრაპეზნიკოვმა. ამ მოსკოველმა „ექსპერტმა“ უხეშად გააყალბა საქართველოს ისტორია და აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში საქართველო და ქართველები დაადანაშაულა (ამის შესახებ იხ. Папаскири З., 2012b: 36).

² ამ დოკუმენტს სეპარატისტები რატომღაც არ აქვეყნებენ, თუმცა, თავის დროზე (1984 წლის ახლო ხანებში) ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა მას.

ბის ლიდერები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას ერთხელ კიდევ შეახსენებდნენ იმ „დარღვევებს“, რომლებსაც თითქოს სჩადიოდა საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობა აფხაზეთის მიმართ. ამასთან, დოკუმენტში მოყვანილი იყო აფხაზეთში „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ დამახინჯების „ახალი ფაქტები“.¹

1985 წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოვიდა შედარებით ახალგაზრდა და ენერგიული *მიხეილ გორბაჩოვი*, რომელმაც ახალი პოლიტიკური კურსის – „*პერესტროიკის*“ დაწყება გამოაცხადა. „*პერესტროიკა*“, პირველ რიგში, გულისხმობდა ეკონომიკაში დრომოჭმულ, დოგმატურ სოციალისტურ დოქტრინებზე უარის თქმას და მის გადაყვანას მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე, აგრეთვე (და ეს მთავარია), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციას, „საჯაროობისა“ და სხვა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გზით.

სიტყვის თავისუფლებამ – საჯაროობის პოლიტიკისა და ზოგადად „*პერესტროიკის*“ მთავარმა მონაპოვარმა, საზოგადოებას საშუალება მისცა, ღიად ემსჯელა მტკივნეულ პრობლემებზე. გაირკვა, რომ ე.წ. „*ლენინური ეროვნული პოლიტიკის*“ ზეიმი სრული ფარსი და თავის მოტყუება იყო და რომ „*ეროვნული საკითხი*“ საბჭოთა კავშირში სულაც არ ყოფილა მოგვარებული. „საჯაროობის“ პოლიტიკის ოფიციალურმა დეკლარირებამ, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა დემოკრატიულ განახლებას, რომელმაც საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა დისიდენტურმა წრეებმა; მოკავშირე რესპუბლიკებში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა. ამ მოძრაობის ავანგარდში საქართველოსთან ერთად აღმოჩნდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მოლდავეთი. აღმოცენდნენ არაფორმალური ორგანიზაციები – სახალხო ფრონტები. საქართველოში პირველ არაფორმალურ ორგანიზაციად მოგვევლინა „*ილია ჭავჭავაძის საზოგადოება*“, რომელშიც გაერთიანდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცნობილი ლიდერი: *აკაკი ბაქრაძე*, *ზვიად გამსახურდია*, *მერაბ კოსტავა*, *ზურაბ ჭავჭავაძე*, *გია ჭანტურია* და სხვ. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა დააფრთხო რადიკალური ოპოზიციური გაერთიანების შექმნამ, ამიტომაც სასწრაფოდ გადაიდგა ნაბიჯები საპირწონე ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც ერთგვარი ლიბერალური ოპოზიციის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ასეთ ორგანიზაციად განიხილებოდა „*სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება*“, მაგრამ ხელისუფლების ეს მცდელობა

¹ კერძოდ, მასში ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა აფხაზი „*ეროვნული კადრების*“ შევიწროება ქართველთა „*მოძალების*“ ფონზე და თუ როგორ „*აყალბებდნენ*“ მრავალტანჯული აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს ქართველი მეცნიერები არა მარტო თბილისში, არამედ „*თვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებშიც კი*“. სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზ ხალხს გააჩნდა საკუთარი, საერთო-ქართული ისტორიული პროცესისაგან სრულიად მოწყვეტილი ისტორია, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, საკუთარი ეროვნული ქრისტიანული ცივილიზაცია.

კრახით დასრულდა. „*რუსთაველის საზოგადოება*“, რომელსაც 1989 წლის გაზაფხულზე სათავეში „*ილია ჭავჭავაძის საზოგადოების*“ ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბაქრაძე ჩაუდგა, სრულიადაც არ გამოდგა მართვადი და სერიოზულ ოპონირებას უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს (ამ პროცესების შესახებ იხ. **შველიძე, 2008**: 23-24).

მზარდი ეროვნული მოძრაობა არ მალავდა, რომ მისი საბოლოო მიზანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ამ დიდი ეროვნული ბრძოლის მთავარ ლოზუნგად ადებულ იქნა ილიასეული მოწოდება: „*მაშუღლი, ენა, სარწმუნოება*“, რომლის რეალიზაციის გზაზე პირველ ნაბიჯად იქცა „*ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის*“ პროექტის შემუშავება. მასში ერთნიშნად დაისვა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის როლისა და ფუნქციის ამადლებების საკითხი. ეს განაცხადი საგანგაშო აღმოჩნდა სეპარატისტული წრეებისათვის აფხაზეთში და მათაც ღიად დაიწყეს თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა.

1988 წ. ნოემბერში თბილისში დაიწყო მასშტაბური საპროტესტო აქცია, რომელმაც შეძრა მთელი საბჭოთა კავშირი. აღნიშნული აქცია მიმართული იყო სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ. ამ ცვლილებებით სერიოზულად იზღუდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი. აქციამ, რომელიც მასობრივ შიმშილობაში გადაიზარდა, დაამინა ქვეყნის ხელისუფლება და ის იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ეს იყო ქართული ეროვნული მოძრაობის პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება. ამას არ შეიძლება არ შეეფოთებინა კრემლი და საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა. გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს ავტონომიურ ფორმირებებში – აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული მოძრაობის გასაღვივებლად. ამოქმედეს „*ეროვნული მოძრაობები*“ აფხაზეთსა და ე.წ. „*სამხრეთ ოსეთში*“, სადაც ოფიციალურად გაფორმდა „*სახალხო ფრონტები*“ – „*აფხაზეთის სახალხო ფრონტი* – *აიდგილარა*“ („*ერთიანობა*“) და „*ადამონ ნიხასი*“ – ე.წ. „*სამხრეთ ოსეთში*“.

მაგრამ ვითარების გამწვავების პირველი სიმპტომები აფხაზეთში ჯერ კიდევ 1988 წ. გაზაფხულიდან შეინიშნებოდა. აფხაზი სეპარატისტები დააფრთხო ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებამ საქართველოში, რომელმაც მოიცვა არა მარტო ცენტრი, არამედ რეგიონებიც, მათ შორის, აფხაზეთიც. ავტონომიური რესპუბლიკის ქართულმა მოსახლეობამ, რომელიც ადრე (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტიურობით და რომელმაც აფხაზეთის მართვის სადავეები მთლიანად აფხაზურ ნომენკლატურას გადააბარა, ამჯერად ხმა ამოიღო. ჩამოყალიბდა საერთო ქართული არაფორმალური გაერთიანებების ადგილობრივი რეგიონალური ორგანიზაციები, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა „*ილია ჭავჭავაძის საზოგადოების*“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია. საერთო-ქართულ ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო სტუდენტი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა.

ყოველივე ამან შეაშფოთა აფხაზი სეპარატისტები და მათ გადადგეს კიდევ კონკრეტული ნაბიჯები ვითარების თავიანთ კონტროლქვეშ ასაყვანად. აგორებულ იქნა ანტიქართული კამპანიის მორიგი ტალღა. სეპარატისტთა ანტიქართული იდეოლოგიური პროპაგანდა ამჯერადაც მთლიანად აგებული იყო ფარისევლურ ლოზუნგებზე „*ლენინური ეროვნული პოლიტიკის უწმინდესი პრინციპებისა*“ და სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი უძლეველობის დაცვის შესახებ. მოსკოვი, რასაკვირველია, უმაღლვე გამოეხმაურა „საბჭოთა სამშობლოზე“ გულდათუთქულ აფხაზ „მოღვაწეთა“ „გმირულ შემართებას“ და სათანადო „ინტელექტუალური“ დახმარება აღმოუჩინა მათ. 1988 წ. ივნისისათვის მოსკოველმა კონსულტანტებმა, „აფხაზ ამხანაგებთან“ ერთად, დაასრულეს მუშაობა¹ ე.წ. „აფხაზურ წერილზე“, რომელიც გაეგზავნა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის პრეზიდიუმს. „წერილს“ ერთვოდა ე. წ. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის“ მიზნები და ამოცანები. „აფხაზური წერილი“, ბუნებრივია, არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე² და მოსკოვიდან აფხაზეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების რიგითი მუშაკის ვიქტორ რიაბოვის გამოგზავნას დასჯერდნენ. მან ადგილზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე დევი ფუტკარაძესთან ერთად, ჩაატარა სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, აგრეთვე გულაუთისა და ოჩამჩირის რაიონების შრომით კოლექტივებთან. ამით ამოიწურა მაშინ ცენტრის რეაქცია აფხაზეთა მორიგ „დაბეზღებაზე“ (**Абхазия в советскую, 1994: 383; Лежава, 1997: 32, 217**).

ვითარება შეიცვალა 3-4 თვის შემდეგ, როდესაც ქართველი ახალგაზრდების ანტიიმპერიულმა გამოსვლებმა (პირველ რიგში, იგულისხმება ზემოთ ნახსენები ნოემბრის საპროტესტო აქცია თბილისში) შეაშფოთა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა. სწორედ მაშინ გაახსენდათ „ძველ მოედანზე“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოფისი) აფხაზეთა პრეტენზიები თბილისისადმი (**Червоная, 1993: 60**) და მა-

¹ როგორც გამოარკვია ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებმა სოხუმელმა ისტორიკოსმა გრიგოლ ლუკაძემ, ე.წ. „აფხაზური წერილის“ პირვანდელი ვარიანტი ჯერ კიდევ 1985 წელს ქ. ჟელეზნოვოდსკში შეადგინა შემდგომ აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა ოდიოზურმა ფიგურამ იგორ მარხოლიამ (ამჟამად – მარიხუბა), „ცენტრიდან მოგზავნილი“ პირის, ზემოთნახსენები გიორგი ტრაპუზნიკოვის „ბრძნული ხელმძღვანელობით“. ამ ერთობლივი დოკუმენტის ერთგვარ რეცენზენტ-რედაქტორად მოგვევლინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-იდეოლოგიური ცენტრის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი პარტიული „ბოსი“, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტარას შაბა. დოკუმენტის საბოლოო ტექსტი კი დაიწერა 1988 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივნის აღმირ აბრეგოვის მიერ (**Абхазия в советскую, 1994: 383; Лежава, 1997: 32, 217; Шнирельман, 2003: 276**).

² მიხეილ გორბაჩოვსა და მის გუნდს მაშინ აფხაზეთისთვის არ ეცალა. იქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები იდგა, კერძოდ, ურჩი ბორის ელცინის დიდი პოლიტიკიდან „მოკვეთა“).

შინვე შეუდგენენ სათანადო ნაბიჯების გადადგმას აფხაზეთში ძლიერი ანტიქართული ფრონტის შესაქმნელად. 1988 წ. ნოემბერში აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, სახელისუფლებო სტრუქტურებისა და, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მხარდაჭერით, გამოვიდა ინიციატივით და ფაქტობრივად დააარსა პირველი აფხაზეთის „ეროვნულ-პატრიოტული“ ორგანიზაცია – „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“ („ერთიანობა“). ახალი ორგანიზაციის თავმჯდომარე გახდა თავისი ნაციონალისტურ-სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილი აფხაზი მწერალი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე *ალექსი გოგუა*. 1988 წ. 13 დეკემბერს ჩატარდა „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა ორგანიზაციის პროგრამა და წესდება (*Лажавა, 1997: 218*).

ახლადშექმნილმა ორგანიზაციამ იმთავითვე გამოამქვავა თავისი აგრესიული ანტიქართული განწყობილებები. ამასთან, „აიდგილარას“ ლიდერები დემონსტრაციულად უდასტურებდნენ მოსკოვს თავიანთ ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი, წინააღმდეგ ქართული ეროვნული მოძრაობისა, რომელიც თავის უმთავრეს მიზნად სწორედ იმპერიის ნგრევასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას ისახავდა. ასეთ ვითარებაში, როგორც იტყვიან, „ინტერესთა კონფლიქტი“ გარდაუვალი იყო. ეს კარგად ესმოდათ ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც, რომლებიც იმთავითვე შეუდგენენ აფხაზეთთან შერიგების გზების ძიებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი „არაფორმალების“ მიერ მოწყობილი პირველი მასობრივი აქცია სოხუმში 1988 წ. 3 დეკემბერს. ამ აქცია-მიტინგზე ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებმა: *მურაბ კოსტავამ*, *ზურაბ ჭავჭავაძემ* და სხვ. – მოუწოდეს აფხაზ თანამოძმეებს ერთობისა და თანხმობისაკენ. გამოითქვა სურვილი აფხაზეთთან ერთად ახალი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შენებისა, რომელშიც აფხაზ ხალხს მიეცემოდა კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ყველა პირობა, თვითმმართველობის თვისობრივად ახალი დონე. მაგრამ ქართველ პატრიოტთა ამ მოწოდებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ ჰპოვა ადეკვატური გამომხაურება აფხაზთა მხრიდან. მეტიც, ქართველი ახალგაზრდობის ეს აქცია, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მიტინგის მონაწილეთა შორის საკმაოდ მრავლად იყვნენ თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, სეპარატისტების ლიდერთა მიერ გამოყენებულ იქნა აფხაზეთის მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების შემდგომი ესკალაციისთვის.

მაღე სეპარატისტები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ, რითაც კიდევ უფრო გაამწვავეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1989 წ. 7 თებერვალს გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „ბზიფმა“, რომელიც ამ დროისათვის „აიდგილარას“ პროპაგანდისტულ რუპორად იქცა, გამოაქვეყნა ე.წ. „აფხაზეთის წერილის“ სრული ტექსტი. ამით ოფიციალურად გაცხადდა სეპარატისტთა სურვილი, გამოეყვანათ

აფხაზეთი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო სეპარატისტების მიერ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ წამოწყებული „დიდი შეტევისა“.

1989 წ. 14 მარტს „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა გუდაუთის რაიონული საბჭოს აღმასკომის (რაიონის ოფიციალური ხელისუფლების) თავმჯდომარეს და მისგან 18 მარტს ლიხნის ველზე „სახალხო ყრილობის“ გამართვის ნებართვა ითხოვა. თავყრილობას უნდა განეხილა „წინადადებათა პროექტი“ ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე (Лежава, 1997: 220). ამგვარი აქციის ჩატარების მოტივად გამოცხადებული იყო ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი აშზაღებდა საგანგებო პლენუმს ეროვნებათაშორის ურთიერთობებზე.

1989 წ. 18 მარტს, შაბათს, მზიან დღეს, სოფელ ლიხნში შედგა აფხაზეთა მრავალათასიანი ყრილობა, რომელსაც სრული შემადგენლობით დაესწრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას მეთაურობით. თავყრილობაზე მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსადმი „მიმართვის“ პროექტი, რომლის ქვეშაც თავისი ხელმოწერა დასვა აფხაზეთი ეროვნების უკლებლივ ყველა ხელმძღვანელმა, მათ შორის, ბ. ადლეიბამ და ვ. კობახიამ. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ითამაშა საბედისწერო როლი აფხაზეთში მოვლენების შემდგომ განვითარებაში. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, რომელიც მანამდე, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მინცდამაინც არ იჩენდა პოლიტიკურ აქტიურობას, ერთბაშად გამოფხიზლდა და აფხაზეთი პოლიტიკური ელიტის ამ დემარშს მძაფრი საყოველთაო პროტესტით უპასუხა.

„ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებული დოკუმენტები: „1989 წლის 18 მარტის ლიხნის მიმართვა“ და „აფხაზი ხალხის დადგენილება“ (აღნიშნული დოკუმენტები იხ. **Абхазия в советскую, 1994: 452-463**) – იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი „დაბეზდება“. სეპარატისტები აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში საქართველოსა და ქართველობას ადანაშაულებდნენ. დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში უხეშად ირღვეოდა „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“. „აფხაზეთა თავყრილობის“ მონაწილეები კატეგორიულად სვამდნენ 1931 წელს დამკვეთი „ტრაგიკული შეცდომის“ (როდესაც თითქოს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აფხაზი ხალხის ნების გარეშე, გადააკეთეს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში¹) დაუყოვნებლივ გამოსწორების საკითხს, ანუ აფხაზეთის ასსრ-ის ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან

¹ ამ თავიდან ბოლომდე მცდარი თეზისის სრული უსაფუძვლობა დამაჯერებლადაა ნაჩვენები წინამდებარე ნაშრომის შესაბამის მონაკვეთში (იხ. გვ. 391-414).

გამოყვანას, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ-ის, ისე საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებშიც ერთნიშნად იყო დადასტურებული და კონსტიტუციურად განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ის) ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოზე მორიგი პასკვილის შეთითხვნას, შეიძლება რაიმე სერიოზული გართულება არც გამოეწვია. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა „აფხაზურ საჩივრებს“ თბილისზე გავლენის შესანარჩუნებლად, მთლიანობაში, ის მაინც ურიდებოდა ურთიერთობების გამწვავებას საქართველოს ხელისუფლებასთან და ამიტომაც დიდ ყურადღებას არ აქცევდა აფხაზთა დაბეზღებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელისუფლებისათვის და თვით აფხაზებისათვის მოულოდნელად აფხაზეთის ქართული მოსახლეობისა და სრულიად საქართველოს აღშფოთება გამოიწვია.

პოლიტიკური ვითარების გამწვავება აფხაზეთში ლიხნის თავყრილობის შემდეგ. აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვის ინიციატივით გამოვიდნენ არაფორმალური ორგანიზაციები, რომელთა შორის ერთგვარ ფლაგმანად მოგვევლინა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ორგანიზაცია. სწორედ ამ ორგანიზაციის მესვეურობით დაიწყო მზადება მრავალათასიანი საპროტესტო აქცია-მიტინგის მოსაწყობად ქ. სოხუმში ლენინის მოედანზე, მთავრობის სახლის წინ. როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს სსრ-ის პარტიული ხელმძღვანელობა შემფოთებით ადევნებდა თვალს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის „დუღილს“. შედეგი ვერ გამოიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფის ვოიაჟმა სოხუმში. ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას აგრძნობინეს რომ აფხაზეთის ქართველობა ამიერიდან უკვე არ მოითმენდა ეროვნული ღირსების შელახვას და რომ ის კონსტიტუციის ფარგლებში საკადრის პასუხს გასცემდა სეპარატისტებს. დაიგეგმა 1989 წ. 25 მარტს – ლიხნის თავყრილობიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე სოხუმში ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგის გამართვა (**Папаскири 3., 2012b: 58-59**). სიტუაციას განსაკუთრებით ამწვავებდა ის გარემოება, რომ მიტინგის მომდევნო დღეს – 26 მარტს დაინშნული იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნები. იყო საშიშროება ამ არჩევნების ჩაშლისა აფხაზეთში, რასაც შეიძლებოდა კრიზისის უკიდურესად გამწვავება მოჰყოლოდა.

ასეთ ვითარებაში, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ არათუ არაფერი იღონა დაძაბულობის განსამუხტავად, არამედ, პირიქით, მეტად მოუფიქრებელი, წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში – გაზეთებში „აფხანი ყაფშა“ და „Советская Абхазия“-ში ერთდროულად, დემონსტრაციულად, გამოაქვეყნა ლიხნში მიღებული დოკუმენტების რედაქტირებული ვარიანტი. ეს კი ფაქტობრივად ანთებულ ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავდა, რომელიც შეიძლებოდა გადაზრდილიყო

ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებაში. ხელისუფლებამ აწონ-დაწონა სოხუმში შექმნილი სიტუაცია და ვითარების შემდგომი შესაძლო გართულების შიშით, უფრო კეთილგონივრულად ჩათვალა ორგანიზატორებისათვის მიტინგის ჩატარების ნება („დე-ფაქტო“) დაერთო.

1989 წ. 25 მარტს სოხუმში შედგა ქართული მოსახლეობის მრავალათასიანი დაგემილი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერები: *მერაბ კოსტავა*, *ზურაბ ჭავჭავაძე*; ადგილობრივი არაფორმალური ორგანიზაციებისა და აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები: *ვლადიმერ (ვოვა) ვეჟუა*, *გენო კალანდია*, *ჯანო ჯანელიძე*, *დიმიტრი ჯაიანი* და სხვ. მათ დაგმეს სეპარატისტთა ქმედებანი და მოუწოდეს აფხაზ ხალხს, არ ეღალატა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და მეგობრობისათვის. ამასთან, გამომსვლელებმა გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საქმიანობა და, რაც მთავარია, კრემლის იმპერიული პოლიტიკა. გაისმა მოწოდებები, 26 მარტის არჩევნებზე არ მიეცათ ხმა დეპუტატობის იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც მოაწერეს ხელი „ლიხნის მიმართვას“. მიტინგმა მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

იმავე დღეს მრავალათასიანი მიტინგი შედგა გალის ცენტრში. საპროტესტო აქციები გაიმართა აფხაზეთის სხვა რაიონებშიც. ქართული მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობის მასშტაბებმა დააფრთხო სეპარატისტთა ლიდერები და მათ სახელდახელოდ შეთითხნეს მორიგი „დაბეზლება“ – დეპეშა-საჩივარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის *მიხეილ გორბაჩოვის* სახელზე. მასში საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ სოხუმში გამართული მიტინგი მიმდინარეობდა „*მენშევიკური სიმბოლიკის გამოყენებით და მასზე გაისმოდა ანტისაბჭოური, ანტირუსული და ანტიაფხაზური მოწოდებები*“. ამასთან, დეპეშა-დაბეზლების ავტორები მოითხოვდნენ საკავშირო ცენტრის „*დაუყოვნებლივ ჩარევას... აფხაზეთში ვითარების ნორმალიზაციის მიზნით*“ (*Лержава, 1997: 226*).

მაგრამ ამ ხასიათის „დაბეზლებებით“ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მართლაც, მალე დაიწყო ახალი აქციები აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელობის სეპარატისტული ქმედებების წინააღმდეგ. ყველაზე მასშტაბური ამ აქციებიდან იყო 1989 წ. 1 აპრილს *ლესელიძეში* მოწყობილი საკმაოდ ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი. მასში, ადგილობრივი ქართველობის გარდა, მონაწილეობა მიიღო სოხუმის სტუდენტი ახალგაზრდობის ფართო წარმომადგენლობამ. ლესელიძიდან მობრუნებულ სტუდენტებს ჯერ სოფელ ბზიფთან, ხოლო შემდეგ ახალ ათონთან თავს დაესხა აფხაზთა ეგზალტირებული ჯგუფი, რომელსაც აგულიანებდა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი *კონსტანტინე ოზგანი*. ამ თავდასხმის შედეგად დაიჭრა და სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო 10-მა ახალგაზრდამ.

ინფორმაცია სეპარატისტების მიერ ლესელიძის მიტინგის მონაწილეთა ავტობუსების დარბევის შესახებ უმალ მოედო მთელ საქართველოს. 2 აპრილს სოხუმში კვლავ შედგა (სტიქიურად) მიტინგი, რომელზეც გამოვიდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე. მან დაგმო სეპარატისტების პროვოკაციული გამონდომა და მოუწოდა შეკრებილებს, არ აპყლოდნენ ემოციებს და არ მოენდომებინათ ანალოგიური მეთოდებით პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, ქ. სოხუმში ვითარება სულ უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა. პროტესტის ნიშნად მეცადინეობები შეწყვიტეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა.

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა შეაშფოთა აფხაზეთში დაწყებული პროცესებმა. აპრილის პირველ რიცხვებში სოხუმში შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროების ერთობლივი სხდომა, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ აფხაზური და ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სხდომას უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გუმბერ პატიაშვილი, რომელიც მოთმინებით ისმენდა მათ „დაბეზღებებს“ ქართული მოსახლეობის „დესტრუქციული ქმედებების“ გამო. აფხაზური ინტელიგენციის „მამები“ თავიანთ „მაღალფარდოვან“ გამოსვლებში ერთნიშნად აცხადებდნენ, რომ აფხაზეთი არის მათი სამშობლო და მის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე ფიქრი მხოლოდ აფხაზი ხალხის პრეროგატივაა და რომ ქართველებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ცდილობდნენ, როგორცაც მოეთოკათ აფხაზთა ემოციები და ურჩევდნენ მათ, არ დაეყენებინათ საქართველოს სსრ-დან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი. სხდომის მონაწილე აფხაზური სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქართველი კოლეგების მცდელობისათვის, გადაეყვანათ საუბარი კონსტრუქციულ ჭრილში და არ აძლევდნენ მათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას.¹ აღნიშნულ შეხვედრას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

¹ ამ მხრივ განსაკუთრებით ზღვარგადასულად იქცეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ახლადდანიშნული დირექტორი, უკვე არჩეული საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ვლადისლავ არძინბა. სწორედ მისი თავხედური მოქცევით აღძვრთებულმა ქართველებმა, პოეტ ჯანო ჯანელიძის მოწოდებით, პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს სხდომათა დარბაზი. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ შუბაიას თხოვნა-მუდარის შემდეგ დაბრუნდნენ სხდომათა დარბაზში ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც მაინც მოახერხეს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა (ამ შესახებ უფრო ვრცლად იხ. **Папаскири 3., 2012b:** 60-63).

ქართული მხარის იმედები, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა გააკეთებდა საორგანიზაციო დასკვნებს და ის აფხაზი ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ლიხნის მიმართვას“, მიიღებდნენ მკაცრ პარტიულ სასჯელს და განთავისუფლებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ამო გამოდგა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ასეთმა უნიათობამ ეროვნულ-პატრიოტული ძალების აღშფოთება გამოიწვია. 1989 წ. 4 აპრილს თბილისში დაიწყო პერმანენტული მიტინგები. მომიტინგეებმა დაიკავეს მთავრობის სასახლის წინა მოედანი რუსთაველის პროსპექტზე. თავიდან ისინი მოითხოვდნენ „ლიხნის თავყრილობის“ ორგანიზატორთა დასჯას, მაგრამ თანდათანობით მომიტინგეებმა გლობალური ხასიათის ლოზუნგები წამოიწიეს. კერძოდ, დღის წესრიგში დაყენებულ იქნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი.

არ ცხრებოდა სიტუაცია საკუთრივ აფხაზეთში, სადაც ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა დაიწყეს მზადება გრანდიოზული საპროტესტო მიტინგის მოსაწყობად გულრიფშის ცენტრში. ასეთ ვითარებაში, აუცილებლად იქნა მიჩნეული საქართველოში მიმდინარე მოვლენებში სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის ჩარევა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რესპუბლიკაში სკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა: ვიქტორ ლობკოს, ვიჩქელაჯ მიხაილოვისა და გენადი სელუზნიოვის გაგზავნის შესახებ. 6 აპრილს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ ჰატიაშვილი, ვ. მიხაილოვის თანხლებით, სოხუმში ჩავიდა, სადაც შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ბორის ადღიბა. ამ პოსტზე არჩეულ იქნა ვლადიმერ ხიშბა, რომელსაც იმ დროისათვის ეკავა საქართველოს სსრ-ის სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს საკადრო გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო და ამით ვერ მოხერხდა აფხაზეთსა და, რაც მთავარია, თბილისში ვითარების შემდგომი ესკალაციის შეჩერება.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გამოცოცხლება სულ უფრო თვალშისაცემი იყო. ხელისუფლებამ ვერ შეძლო 8 აპრილს გულრიფშში დანიშნული საპროტესტო მიტინგისათვის ხელის შეშლა. ამჯერად მიტინგის მოწყობის ინიციატივა მოდიოდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური და გულრიფშის რაიონული ორგანიზაციებისაგან. აფხაზეთში ჩამოვიდა რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლობითი დელეგაცია მისი პრეზიდენტის აკაკი ბაქრაძის მეთაურობით, რომელმაც ვრცელი სიტყვით მიმართა მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებს. მიტინგზე კიდევ ერთხელ დაიგმო სუპერატისტთა დესტრუქციული ქმედებები. ამასობაში, მთელი საქართველო შიშით აღევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას თბილისში. ხელისუფლებამ 7 აპრილს ფაქტობრივად მიიღო გადაწყვეტილება მიტინგის დასაშლელად სამხედრო

ძალის გამოყენების შესახებ. „სამხედრო ოპერაციის“ კონტროლი დაევადა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ კონსტანტინ კოჩე-ტოვს, რომელიც ამ მისიით ჩამოვიდა თბილისში.

ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 8 აპრილს, საღამოს, მას მერე, რაც შე-დგა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. ეს იყო დაგეგმილი სის-ხლიანი ანგარიშსწორების ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი. მართლაც, 1989 წ. 9 აპრილს, დილის 4 საათზე, თბილისში განხორციელდა „სამხედრო ოპერაცია“ მიტინგის დასაშლელად. დაიღუპნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები (ძირი-თადად ქალები). საბჭოთა არმიის ყოყოჩა გენერლებმა არ იკმარეს განმნადმველ-თა ნიჩბები და დამატებით მომწამვლელი გაზიც გამოიყენეს. შედეგად, მოიწამლა ათასობით ადამიანი. თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სოხუმში შეიტყვეს 9 აპრილს, დილაადრიან. მაშინათვე ქალაქის ცენტრში, კონსტიტუციის მოედანზე მოეწყო სტიქიური საპროტესტო მიტინგი, რომელზეც აკაკი ბაქრაძემ დაგმო ხელისუფლების მოქმედება და მთელი საქართველოს მასშტაბით სამდღი-ანი გლოვა გამოაცხადა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ანტიიმპერიულმა აქციებმა ახალი ძალით იფეთქა. საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსე-ულმა წარმომადგენლებმა, ერთნიშნად დაიკავეს რა „არაფორმალთა“ პოზიცია, მკაცრად გააკრიტიკეს ხელისუფლების ქმედებები და მოითხოვეს „სამხედრო ოპე-რაციის“ ორგანიზატორთა და შემსრულებელთა დასჯა. საყოველთაო საპროტეს-ტო მოძრაობას, ბუნებრივია, აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთიც, სადაც სეპარა-ტისტებმა სახელდახელოდ შეითხნეს და სასწრაფოდ მოსკოვში აფრინეს მორი-გი „დაბეზლება“. სეპარატისტები მომხდარში ქართველებსა და საქართველოს ხე-ლისუფლებას ადანაშაულებდნენ. „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“-ს ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავ-რობის დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ ჩარევას, ვინაიდან „რესპუბლიკაში შექმნი-ლი სიტუაცია კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა აფხაზეთის საქართველოს შემადგენ-ლობაში შენარჩუნების შეუძლებლობა“ (Лежава, 1997: 246). ახალი „მიმართვის“ ავტორები განსაკუთრებით აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აფხა-ზეთში არ წყდებოდა ყოველდღიური უსანქციო მიტინგები, პარალიზებული იყო ქ. სოხუმის სახალხო მეურნეობის რიგი ობიექტების, სკოლების, უმაღლესი სასწავ-ლებლების, ტექნიკუმების ფუნქციონირება.

დაუმორჩილებლობის აქცია აფხაზეთში სულ უფრო ახალ მასშტაბებს იძენ-და. ამ მოძრაობის ერთგვარ მედრომედ იქცნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ქართველი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. იმის გასარკ-ვევად, თუ რატომ მაინცდამაინც უნივერსიტეტი იქცა ქართულ-აფხაზეთური დაპირი-სპირების ეპიცენტრად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ (ვრცლად იხ.: ჰაპას-ქირი, 2004: 212-238; ჰაპასქირი, 2007; ჰაპასქირი, 2009: 283-294; Папаскири 3., 2010a: 319-334; Папаскири 3., 2012b: 65-79) შევჩერდეთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის შექმნის პერიპეტეხებსა და იმ ვითარებაზე, რომელიც შეიქმნა ამ უმაღლეს სასწავლებელში 1989 წლის მშფოთვარე მოვლენების წინ.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. გადაწყვეტილება სოხუმში (პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე) უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წ. 5 თებერვალს მიიღო. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ახლა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ხნის ოცნება – სოხუმში გახდა საუნივერსიტეტო ქალაქი. სოხუმის უნივერსიტეტის დაარსება არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა საბჭოურ სინამდვილეში. მეტიც, იმ დროისათვის ეს ერთგვარ გამონაკლისსაც კი წარმოადგენდა, რადგან მანამდე თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას (გარდა რსფსრ-ისა და უკრაინისა) მხოლოდ ერთი საუნივერსიტეტო ცენტრი გააჩნდა. ეს იყო კრემლის იმპერიული რეჟიმის მიერ შემუშავებული ერთგვარი სტერეოტიპი, რომლიდანაც გადახვევას ის სულაც არ აპირებდა, ამიტომაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდებოდა საქართველოდან მომავალ წინადადებებს *ქუთაისის, ბათუმისა თუ სოხუმის* უნივერსიტეტების შექმნის თაობაზე.

უნივერსიტეტის გახსნის იდეა განსაკუთრებით აქტუალური იყო აფხაზეთში, სადაც მზარდი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა ამას იყენებდა პოლიტიკური სპეკულაციისათვის. სიტუაციას განსაკუთრებით ძაბავდა ისიც, რომ 70-იანი წლებისათვის რსფსრ-ის შემადგენლობაში შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში (მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში) უკვე ფუნქციონირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტები. ამ გარემოებას სეპარატისტული მოძრაობის მამინდელი ლიდერები დემაგოგიურად იყენებდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი მტკიცებით, აფხაზეთს სწორედ თბილისის უშლიდა ხელს უნივერსიტეტის გახსნაში. ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობა.

სინამდვილეში კი აშკარაა, რომ ახალი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოს ხელისუფლებას მაშინ არავინ ეკითხებოდა. ეს მთლიანად მოსკოვის კომპეტენცია იყო, მაგრამ 1978 წელს აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, იმის შიშმა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია უმართავი გახდებოდა, კრემლი აიძულა, გადაედგა არაორდინალური ნაბიჯი და წასულიყო რიგ დათმობებზე „ამბოხებული“ აფხაზების მიმართ. საქართველოს მამინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ მეტნაკლებად შეძლო ინიციატივის თავის ხელში აღება. მის მიერ მოზადებულ იქნა საგანგებო ღოკუმენტი აფხაზეთში გამწვავებული ვითარების დასარეგულირებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (მხედველობაში გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება: „აფხაზეთის ასსრ უკონომიკისა და კულტურის შემდგომი გან-

ვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებში ორგანიზატორულ და იდეურ-ადმინისტრაციულ მუშაობის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“), რომელიც მოსკოვში ფაქტობრივად უცვლელი სახით დაამტკიცა. ერთ-ერთი ამ ღონისძიებათაგანი ითვალისწინებდა მოქმედი სოხუმის ჰედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას.

ახლადგახსნილი უნივერსიტეტი იმთავითვე სწორედ ამ სახელით – **სოხუმის** (და არა **აფხაზეთის**) სახელმწიფო უნივერსიტეტი – ფიგურირებდა სსრკ მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტში. ასევე იწოდებოდა ის მთელი მომდევნო პერიოდის (თვით სსრ კავშირის ლიკვიდაციამდე) მანძილზე. მიუხედავად ამისა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის, რომელსაც მხარს უჭერდა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობაც, ზეწოლის შედეგად **სოხუმის უნივერსიტეტი**, „დე-ფაქტო“, ხოლო 1979 წ. 23 აპრილის საქართველოს კპ ცკ-ისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების მიღების შემდეგ – „დე-იურე“-დაც, „**აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად**“ გამოცხადდა.¹

მართალია, ერთი შეხედვით, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერი იყო, ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლის რუსული სახელწოდება: „*Абхазский... университет*“ ქართულადაც და აფხაზურადაც ითარგმნებოდა არა როგორც „აფხაზური“ – ანუ „აფსუ“, არამედ როგორც „აფხაზეთის“, „აფსნის“, მაგრამ ეს მაინც იწვევდა ქართველთა გაღიზიანებას, რადგან აფხაზები იმთავითვე შეუდგნენ იმ მენტალიტეტის დამკვიდრებას, რომ ეს უნივერსიტეტი მართლაც მხოლოდ მათი, ანუ აფხაზური ნაციონალური უმაღლესი სასწავლებელი იყო. მეტიც, სეპარატისტულ ძალებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმთავითვე წარმოედგინათ, როგორც აფხაზთა ნაციონალური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც უნდა ქვეყლიყო სეპარატისტული იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ფორპოსტად. მანამდე ამ ფუნქციას აფხაზეთში, ძირითადად, *აფხაზეთის მწერალთა კავ-*

¹ აფხაზები თავიანთ მოთხოვნას, უნივერსიტეტისათვის დაერქმიათ *აფხაზეთის* (და არა *სოხუმის*) უნივერსიტეტი, ასაბუთებდნენ იმით, რომ იმ პერიოდში რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებში გახსნილი უნივერსიტეტები იწოდებოდნენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების მიხედვით, მაგალითად, „*ჩრდილოეთ ოსეთის* (და არა ორჯონიკიძის) სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „*ჩეჩენ-ინგუშეთის* (და არა გროზნოს) სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „*ყაბარდო-ბალყარეთის* (და არა ნალჩიკის) სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „*დაღესტნის* (და არა მახაჩყალის) სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ა.შ. მეტიც, თვით ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრში განთავსებული უნივერსიტეტის სახელწოდებაშიც კი დაფიქსირებული იყო არა ქალაქი, არამედ რესპუბლიკა, მაგალითად, „*ბელორუსიის* (და არა მინსკის) სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „*ლატვიის* (და არა რიგის) სახელმწიფო უნივერსიტეტი“, და ა.შ. გარდა ამისა, აფხაზები აქცენტს აკეთებდნენ იმაზეც, რომ სოხუმში იყო განთავსებული მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ატარებდა „*საქართველოს* (და არა სოხუმის) *სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის*“ (სხვათა შორის, რუსულად „*Грузинский институт субтропического хозяйства*“) სახელს.

შირი და დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ასრულებდნენ.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი უმთავრესად აფხაზ მწერალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელშიც მაქსიმალურად იზღუდებოდა ქართველ მწერალთა მიღება. საკმარისია ითქვას, რომ 1988-1989 წლების მიჯნაზე აფხაზეთის მწერალთა კავშირის 78 წევრიდან ქართველი მხოლოდ 25-მდე იყო, ხოლო აფხაზი – სულ ცოტა 2-ჯერ მეტი. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა აფხაზთა რიცხვს და არც მწერლური ნიჭისა და ტალანტის დეფიციტს განიცდიდა. გარდა ამისა, სერიოზულად იზღუდებოდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში გადაულახავ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მათი ნაწარმოებების პუბლიკაცია. ის, რომ მწერალთა კავშირი წარმოადგენდა სეპარატისტული მოძრაობის მთავარ შტაბს, დაადასტურა იმ ფაქტმა, რომ სწორედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი ოფიციალური სეპარატისტული მოძრაობა „აიდგილარა“, რომლის თავმჯდომარედაც აფხაზეთის მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი, ცნობილი აფხაზი მწერალი ალექსი გოგუა იქნა არჩეული. ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო ქართველ მწერალთა მოთმინების ფიალა და იძულებული გახადა ისინი, დაეტოვებინათ აფხაზეთის მწერალთა კავშირი.

რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს – წმინდა აფხაზურ ნაციონალურ დაწესებულებას, რომელშიც მხოლოდ თითო-ორიოდა ქართველი თუ მუშაობდა, ის ათეული წლების განმავლობაში სეპარატისტული იდეოლოგიის „გონებრივ-ინტელექტუალურ“ ცენტრს წარმოადგენდა, რომლის მთავარი დანიშნულება აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის „მეცნიერულ“-ისტორიოგრაფიული საფუძვლების შექმნა იყო. ამ ინსტიტუტის ანტიქართული საქმიანობა განსაკუთრებით გამომწვევი გახდა პროფესორ გიორგი ძიძარას გარდაცვალების (1988 წ.) შემდეგ, როდესაც ინსტიტუტის დირექტორის პოსტი დაიკავა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც ფაქტობრივად გამოიყვანა ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან.

და მაინც, მწერალთა კავშირისა და მით უფრო აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში მიმდინარე პროცესებს არ გამოუწვევია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მასობრივი პროტესტი. აფხაზეთი უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა „ააფეთქა“, რაც გამოწვეული იყო მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური პოლიტიკით, რომელსაც ატარებდა უნივერსიტეტის აფხაზური ადმინისტრაცია განსაკუთრებით 1984 წლის შემდეგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზური სეპარატიზმის მამებმა უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე დაიწყეს ზრუნვა უმაღლესი სასწავლებლის სეპარატისტული მოძრაობის მედრომედ გადაქცევისათვის. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა აფხაზურ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად ე.წ. „აფხაზური სექტორის“ გახსნა. მანამდე სოხუმის პედაგოგიურ ინს-

ტიტუტში ორი – ქართული და რუსული – სექტორი ფუნქციონირებდა. იმის გამო, რომ ქართულ სკოლებში, როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ქართველები სწავლობდნენ, ბუნებრივია, ქართულ სექტორზე მხოლოდ ისინი ხვდებოდნენ. ამავე დროს, საკმაოდ დიდი იყო ქართველ სტუდენტთა რიცხვი რუსულ სექტორზეც. შედეგად, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტის თითქმის 2/3-ს ქართველი ეროვნების ახალგაზრდები შეადგენდნენ, რაც იწვევდა კიდევ სეპარატისტული წრეების გაღიზიანებას, ამიტომაც დააყენეს მათ ე.წ. „აფხაზური სექტორის“ გახსნის საკითხი. ამ მოთხოვნის ოფიციალური მოტივაცია, ერთი შეხედვით, სრულიად ლოგიკური და გამართლებული ჩანდა – აფხაზ ახალგაზრდობას სურდა უმაღლესი განათლების მიღება მშობლიურ ენაზე, მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია იყო მეტად სათუო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ე.წ. „აფხაზურ სკოლებში“ სწავლება მშობლიურ ენაზე მხოლოდ დაწყებით – I-IV კლასებში – მიმდინარეობდა, V კლასიდან კი აფხაზი ბავშვები ცოდნას რუსულ ენაზე ეუფლებოდნენ.

ასეთ ვითარებაში, ერთი ხელის მოსმით, უმაღლეს სკოლაში სწავლების აფხაზურ ენაზე გადაყვანა, რასაკვირველია, არარეალური იყო. ეს მშვენივრად ესმოდათ თვით აფხაზებსაც, მაგრამ მათი მიზანი სულ სხვა იყო – ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, ხელოვნურად გაეზარდათ აფხაზ სტუდენტთა რიცხვი მათი ე.წ. „აფხაზურ სექტორზე“ ჩარიცხვის გზით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სტუდენტთა ყოველწლიური მისაღები კონტინგენტი გაეყოთ სამ ნაწილად: 40% – რუსული სექტორი; 30-30% – ქართული და აფხაზური სექტორები. „აფხაზურ სექტორზე“ რიცხვადნენ მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური აფხაზური ენის (თუნდაც წერაკითხვის) მცოდნე აფხაზებს. ამგვარად, სეპარატისტებმა 5-6 წლის განმავლობაში მიაღწიეს ქართველ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობის შემცირებას.

„აფხაზური სექტორის“ გახსნამ სეპარატისტებს მისცა საბაბი, დაეყენებინათ აფხაზური ენის მცოდნე პროფესორ-მასწავლებელთა დამატებით მოზიდვის საკითხიც (პერსპექტივაში აფხაზურ ენაზე ლექციების წასაკითხად). მაგრამ, როგორც ცნობრებამ აჩვენა, ყოველივე ეს ფიქცია და საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა იყო, რადგან უნივერსიტეტის ფუნქციონირების 10 წლის მანძილზე (1979-1989 წწ.) სერიოზულად არავის არ უფიქრია არათუ უნივერსიტეტში აფხაზური სექტორის რეალურად ამოქმედება, არამედ თვით საშუალო სკოლაში (V-X კლასებში) სწავლების აფხაზურ ენაზე გადაყვანა. ერთი სიტყვით, „აფხაზური სექტორის“ გახსნა მხოლოდ ერთ მიზანს – უნივერსიტეტში აფხაზი ეროვნების სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდას ემსახურებოდა. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის სახელისუფლო სტრუქტურების მხარდაჭერის შედეგად სეპარატისტებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას და მართლაც მიაღწიეს უმაღლესი სასწავლებლის ეთნო-ეროვნული იერ-სახის შეცვლას.

მიუხედავად ამ და სხვა მიზანმიმართული მცდელობებისა, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემიის წევრ-კორესპონდენტის, თავისი მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოს მხურვალე პატრიოტის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის სწორუპოვარი მებაირახტრის რექტორობის პერიოდში სეპარატისტებმა ვერ მოახერხეს თავიანთი კონტროლის დამყარება უნივერსიტეტზე. ვითარება კარდინალურად შეიცვალა უნივერსიტეტის პირველი რექტორის გარდაცვალების (1984 შემდეგ, როდესაც ხელ-ფეხი გაეხსნა უნივერსიტეტში მოკალათებულ აფხაზური სეპარატიზმის „მამებს“, რომელთა შორის წამყვან ფიგურად იქცა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მესაჭე, დოცენტი *ოლეგ დამენია*.

სიტუაცია უმადლეს სასწავლებელში პრინციპულად არ შეცვლილა მას შემდეგაც, რაც სეპარატისტულად განწყობილმა პროფესორ-მასწავლებლებმა სრული ფიასკო განიცადეს უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში 1988 წ. აპრილში და ვერ შეძლეს ამ პოსტზე თავიანთი ლიდერის – *ოლეგ დამენიას* გაყვანა. უნივერსიტეტის რექტორი გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი *ალეკო გვარამია*, რომელსაც ძირითადად მხარს უჭერდნენ ქართველი პროფესორ-მასწავლებლები. მაგრამ მალე სრულიად ცხადი შეიქნა, რომ ა. გვარამიას არ შესწევდა უნარი, თავი დაედნია აღმავლობის გზაზე შემდგარი სეპარატისტული კონიუნქტურის გავლენისაგან. მეტიც, ის თვით შეეცადა, მოეჩვენებინა თავი აფხაზური ეროვნული ინტერესების დაცვისათვის აქტიურ მებრძოლად და ყოველნაირად წინ აღსდგომოდა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და სულისკვეთების გამოცოცხლების პროცესს, რომელმაც მოიგვა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა. ამან უნივერსიტეტის ქართული ნაწილის და, პირველ რიგში, სტუდენტობის პროტესტი გამოიწვია.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობის აქტიური გამოსვლა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანწილად (თუ მთლიანად არა) განაპირობა იმ ანტიიმპერიულმა და ანტიკომუნისტურმა პროპაგანდამ, რომელსაც სტუდენტობაში ეწეოდნენ ცალკეული პროფესორ-მასწავლებლები, პირველ რიგში *საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის* ახალგაზრდა თანამშრომლები და აღზრდილები: *იოსებ (სოსო) ადამია*, *ვახტანგ ჭანია*, *დავით ჩიტიია*, *ბესარიონ ოდიშარია* და სხვ. სწორედ მათი აქტიური მეცადინეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით აფხაზეთის უნივერსიტეტში მომზადდა პირველი ქართული სტუდენტური ხელნაწერი ჟურნალი „*ცხუმი*“.¹ ქართული საუნივერსიტეტო სტუდენტური ჟურნალის გამოსვლამ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რისხვა გამოიწ-

¹ ჟურნალის გამოცემაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის „ისტორიის“ სპეციალობის სტუდენტებმა: *შორენა თოფურია*, *ლია ახალაძე*, *ბეჟან ხორავა*, *ბადრი გოგია*, *კახა კვარაცხელია* და სხვებმა. ჟურნალის პირველი ნომრის მთავარი რედაქტორი იყო *შორენა თოფურია* (მომდევნო ნომრებს შესაბამისად რედაქტორობდნენ *ლია ახალაძე* და *ბეჟან ხორავა*).

ვია. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებისა და ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის პროპაგანდა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ჟურნალში დაბეჭდილ უკლებლივ ყველა სტატიას.¹ ისინი ვერ ეგუებოდნენ იმასაც, რომ ქართველმა სტუდენტებმა თანამშრომლობის ხელი გაუწოდეს თავიანთ აფხაზ თანატოლებს და მოინდომეს მათი აქტიური ჩართვა ჟურნალის საქმიანობაში. ისინი დააფრთხო ქართველ და აფხაზ სტუდენტთა შესაძლო დაახლოებამ.

სეპარატისტების მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ ჟურნალის პირველი ნომერი ოფიციალურად მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავს (ჟურნალის სატიტულო გვერდზე საგანგებოდ იყო მითითებული ჟურნალის გამოსვლის თარიღი – 26 მაისი, 1988 წ.).² სწორედ ამის შემდეგ დაიწყო იმ სტუდენტებისა და ლექტორების დევნა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჟურნალ „ცხუმის“ მომზადება-გამოცემაში. ნაციონალისტურ-სეპარატისტული ძალების დაჟინებული მოთხოვნით, უნივერსიტეტის რექტორმა ვიწრო წრეში მოაწყო ჟურნალის განხილვა, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართველ სტუდენტთა ამ ინიციატივის ძირშივე მოშთობა, მაგრამ მაშინ სეპარატისტებმა ვერც ჟურნალის აკრძალვა მოახერხეს და ვერც მისი სახელწოდების შეცვლა. ეს იყო აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სერიოზული გამარჯვება.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ მიღწეულმა პირველმა წარმატებამ მათ ახალი ეროვნული ინიციატივებისკენ უბიძგა. 1988 წ. შემოდგომაზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ერთი ნაწილის მესვეურობით დაიწყო მოძრაობა სრულიად სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების საუნივერსიტეტო ორ-

¹ სეპარატისტული წრეები განსაკუთრებით გააღიზიანა ჟურნალში მოთავსებულ ზოგიერთ სტატიამ გატარებულმა თვალსაზრისმა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართველთა და აფხაზთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ. ამ მხრივ, მათი რისხვა დაატყდა ცნობილი ისტორიკოსის, იმჟამად უნივერსიტეტის დოცენტის თეიმურაზ მიბჩუანის სტატიას, რომელშიც მოცემული იყო ქ. სოხუმის უძველესი სახელწოდების – „ცხუმის“ ეტიმოლოგიის ერთადერთი სწორი ახსნა და რომელზე დაყრდნობითაც ავტორმა გააკეთა სრულიად ლოგიკური დასკვნა, რომ ამ სახელწოდების მიცემა აღნიშნული პუნქტისათვის შეეძლო მხოლოდ იქ განსახლებულ ქართველურ ტომებს.

² ამ ფაქტზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა სესილი გოგიბერიძემ, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა სოხუმში და დაესწრო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ ჟურნალის პრეზენტაციას. მეტიც, ს. გოგიბერიძემ, რექტორის ალუკო გვარამიასა და აფხაზი პარტიულ-კომკავშირული ელიტის წარმომადგენელთა თანდასწრებით ჩაიდინა „გაუგონარი დანაშაული“ და, ყველასათვის მოულოდნელად, ქართველ სტუდენტებს ოფიციალურად მიულოცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, რასაც ახალგაზრდების მხრიდან ოვაცია მოჰყვა.

განიზაცის შესაქმნელად და დაფუძნდა კიდევ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაცია. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ამჯერადაც ვერ შეძლო ხელი შეეშალა ამ წამოწყებისათვის. მეტიც, რექტორი *ალეკო გვარამია* (სიტუაციის გაკონტროლების მიზნით) უშუალოდ ჩაერთო მოძრაობაში. აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო ორგანიზაციის დამფუძნებელ შეკრებას თვით რექტორი უძღვებოდა. სწორედ მისი ინიციატივით საუნივერსიტეტო ორგანიზაციის თავმჯდომარის (პროფესორი *ოთარ ჭურღულია*) ერთ-ერთ მოადგილედ არჩეულ იქნა ცნობილი აფხაზი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, დოცენტი *ბორის გურგულია* (მოგვიანებით, სეპარატისტული აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე).¹

აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ცალკეული წარმომადგენლების სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში მოზიდვის ტენდენცია გაგრძელდა რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის პროცესშიც. მათ შორის, ვინც დიად განაცხადა მზადყოფნა თანამშრომლობაზე და შევიდა რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის (დაფუძნდა 1989 წ. 11 მარტს) ხელმძღვანელ ორგანოში იყვნენ აფხაზეთის სახალხო პოეტები, *რუსთაველის პრემიის* ლაურეატები: *ბაგრატ შინკუბა* და *მუშნი ლასურია*. ისინი არჩეულ იქნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების I ყრილობის დელეგატებადაც. ყრილობა გაიმართა თბილისში 1989 წ. 18 მარტს, მაგრამ მასში აფხაზებს მონაწილეობა არ მიუღიათ. მიზეზი „ფრიად საპატიო“ იყო. სწორედ ამ დღეს შედგა ცნობილი „ლიხნის თავყრილობა“, რომლის გადაწყვეტილებებმა შეძრა არა მხოლოდ აფხაზეთი, არამედ სრულიად საქართველო.

ერთ-ერთნი პირველნი, ვინც წინ აღუდგნენ სეპარატისტების ამ გამომწვევ დემარშს, აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ. თავდაპირველად სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ითხოვდნენ მხოლოდ უნივერსიტეტის აფხაზ ხელმძღვანელთა (პირველ რიგში, რექტორის *ალეკო გვარამიას*) მხრიდან „*ლიხნის მიმართვაზე*“ თავიანთი ხელმოწერის დეზავუირებას. მაგრამ მათ „*აფხაზეთის სახალხო ფორუმის*“ ზეწოლით, პრინციპულად უარი თქვა ამ ნაბიჯის გადადგმაზე. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა სოსხუმის საკათედრო ტაძრის ეზოში. უნივერსიტეტის აფხაზ თანამშრომელთა წარმომადგენლები მოუწოდებდნენ გაფიცულებს, დაბრუნებულიყვნენ უნივერსიტეტში, ამასთან, კატეგორიულად ამბობდნენ უარს, დაეკმაყოფილებინათ ქართული მხარის

¹ რუსთაველის საზოგადოების საუნივერსიტეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში *ბორის გურგულიას* ჩართვით უნივერსიტეტის რექტორი და მისი აფხაზური გარემოცვა, ბუნებრივია, ცდილობდნენ, იმთავითვე თავიანთ კონტროლქვეშ მოექციათ ახლადშექმნილი ორგანიზაცია. თავის მხრივ, არც ქართველებს ჰქონდათ რაიმე საწინააღმდეგო აფხაზი მოღვაწეების ჩართვისა საერთო-ქართული ეროვნული ინტერესების გამომხატველ მოძრაობაში.

თუნდაც ერთი მოთხოვნა. არავითარი შედეგი არ მოიტანა სოხუმში საქართველოს განათლების მინისტრის *გურამ ენუქიძის* ჩამოსვლამ. მასთან შეხვედრა, რომელიც გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ფაქტობრივად ჩაიშალა, რადგან ქართულ მხარეს არ მიეცა საშუალება, დაეცვა თავისი პოზიცია და ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მცირერიცხოვანმა დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი.

ამასობაში სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. სტუდენტთა აქციას თანდათანობით უერთდებოდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის ფართო ფენები. საქართველოს ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის *გივი გუმბარიძის* მეთაურობით ამკარად დაბნეულად გამოიყურებოდა. წარუმატებელი აღმოჩნდა სოხუმში საგანგებოდ ჩამოსული საქართველოს მინისტრთა საბჭოს ახლადდანიშნული თავმჯდომარის *ნოდარ ჭითანავას* შემრიგებლური მისია, რის შემდეგაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა უკვე რეალურად დაიწყეს ფიქრი აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული ნაწილის გამოყოფისა და მის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შექმნაზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტიდან გამოსვლა და ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ნამდვილად არ ყოფილა აქციის მონაწილეთა თვითმიზანი. იმ ეტაპზე მათ საერთოდ ვერ წარმოედგინათ მოვლენების ამგვარი განვითარება. ყველას ეგონა, რომ ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, მოახერხებდა აფხაზეთი მხარის დაყოფილებას და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის (თუნდაც რექტორის მაინც) შეცვლას, მაგრამ სეპარატისტები სულაც არ ფიქრობდნენ უკანდახევას. მათ არ გადადგეს არავითარი შემხვედრი ნაბიჯები და „მკერდით გადაეფარნენ“ უნივერსიტეტის აფხაზ ხელმძღვანელებს. არათუ რექტორი არ იქნა განთავისუფლებული, არამედ საუნივერსიტეტო გაზეთის, რომელიც ამ დროისათვის სეპარატისტული პროპაგანდის რუპორად იყო გადაქცეული, რედაქტორსაც კი ვერ შეელივნენ. ამ ფონზე სოხუმში ახალი საუნივერსიტეტო ცენტრის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის) გახსნის იდეა თანდათანობით სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. ახალგაზრდების აქცია, რომელმაც საკათედრო ტაძრიდან *კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ დრამატულ თეატრთან* გადაინაცვლა, დღითი დღე სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. გაფიცვა მალე მჯდომარე აქცია-შიმშილობაში გადაიზარდა.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას, როგორც მოსალოდნელი იყო, სოლიდარობა გამოუცხადეს სოხუმში განთავსებული მეორე უმაღლესი სასწავლებლის – *საქართველოს სუბტროპიკული მურნეობის ინსტიტუტის* – სტუდენტებმა და ქ. სოხუმის მოსწავლე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა, აგრეთვე აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. საპროტესტო აქციაში აქტიურად ჩაერთვნენ სხვადასხვა არაფორ-

მალურ ორგანიზაციათა ლიდერები, მათ შორის, პირველ რიგში, სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის აქტივისტები. მალე საპროტესტო მოძრაობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. მუშაობა შეწყვიტეს და აქციას შეუერთდნენ ქ. სოხუმის წარმოება-დაწესებულებების ქართველი მუშა-მოსამსახურეები.

შეიქმნა საერთო საგაფიცვო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელ შტაბს სათავეში ჩაუდგა თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მოღვაწე, იმჟამად *კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის* სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი (გოგი) ქავთარაძე.¹ ვითარება თანდათანობით სულ უფრო უმართავი ხდებოდა. მზარდი საპროტესტო აქციის ფონზე, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება *თსუ სოხუმის ფილიალის* გახსნის თაობაზე, რომელიც განხორციელდა *საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წ. 14 მაისის განკარგულების (აფხაზეთის საკითხი, 2000: 51)* საფუძველზე. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას *თსუ სოხუმის ფილიალის* გახსნის შესახებ გაფიცული სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ადფრთოვანებით შეხვდნენ, მათ თავიანთი მისია შესრულებულად ჩათვალეს და საპროტესტო აქცია შეწყვიტეს.

სოხუმში ქართული საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზური მოსახლეობის სეპარატისტული ნაწილის რისხვა გამოიწვია. იმავე 15 მაისს, საღამოს, „*აიდგილარას*“ ინიციატივით, სოხუმში – მაშინდელი ლენინის მოედანზე – ოპერატიულად მოეწყო მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც ერთხმად დაგმეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება *თსუ სოხუმის ფილიალის* გახსნის შესახებ. ეს ფაქტი, არც მეტი, არც ნაკლები, მიჩნეულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის „საშინაო საქმეებში“ უხეშ ჩარევად თბილისის მხრიდან და აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესების შელახვად. მომიტინგეებმა კატეგორიულად მოითხოვეს ხალხთან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის *ვლადიმერ ხიშბას*

¹ შტაბის წევრებს შორის იყვნენ ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: *ნაპოლეონ ქარქაძე* (საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე), *გენო კლანდია* (პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი), *დიმიტრი ჯაიანი* (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი); *ილია ჭავჭავაძის საზოგადოების* აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერები: *ვლადიმერ ვეჟა, ნუგზარ მაგლობლიძვილი* აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები (*მურმან ბერია, ვლადიმერ ქარჩავა, რევაზ ხარებავა, ჯუმბერ ხუბუტია, დავით ჩიტია, ვახტანგ ჭანია, ბესიკ ოდიშარია, ზურაბ ჰაპასიანი* და სხვ.), სტუდენტები (*აბესალომ მიქელაძე, როინ ბერია* და სხვ.); ქ. სოხუმის პედაგოგიური, სამედიცინო და ტექნიკური ინტელიგენციის ცნობილი სახეები (*თამარ ოდიშარია, მანანა ძოძუაშვილი, თემურ შურდია, ჯუმბერ ჯოჯუა, ალექსანდრე მიქაძე* და სხვ.).

მისვლა, რომელიც იძულებული შეიქნა, გამოცხადებულიყო მოედანზე და საჯაროდ დაედო პირობა, რომ მიაღწევდა თსუ ფილიალის გაუქმებას. ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირის ამ განცხადებას მომიტინგეები მოწონებით შეხვდნენ და დაიშალნენ (**О многотысячном, 1989; Кварчия, 2020: 201-202**).

მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამჯერად არ აპყვა სეპარატისტების კაპრიზს და გადაწყვეტილება თსუ სოხუმის ფილიალის განხნის შესახებ ძალაში დატოვა. თბილისის ასეთი, ერთი შეხედვით, სეპარატისტების მიმართ ხისტი პოზიცია განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ხელისუფლებას ბევრად უფრო აფრთხობდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პროტესტი, ვიდრე აფხაზეთისა. და ეს სავსებით გასაგები იყო. 1989 წლის გაზაფხულზე განვითარებულმა მოვლენებმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ამიერიდან აფხაზეთის ქართველობა ნამდვილად არ აპირებდა გულხელდაკრეფილად ჯდომას და აქტიურად იბრძოლებდა თავისი უფლებებისათვის. ეს გამოვლინდა ჯერ კიდევ მარტში, როდესაც მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად.

განსაკუთრებით გამწვავდა სიტუაცია ქ. სოხუმის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში, სადაც საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ერთი მანდატისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა 3 კანდიდატი: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აფხაზი *ალეკო გვარამია*, სოხუმში განთავსებული ექსპერიმენტული პათოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი, რუსი *ბორის ლაპინი* და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, ქართველი *რევაზ სალუქვაძე*. თავდაპირველად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ არჩევნებში გაიმარჯვებდა ალეკო გვარამია, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მარტო ადგილობრივი პარტიული ნომენკლატურა და სეპარატისტული წრეები, არამედ თვით აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ცალკეული წარმომადგენლებიც, მაგრამ ლიხნის თავყრილობისა და „ქართული რევოლუციის“ დაწყების შემდეგ ალეკო გვარამიას შანსებმა მნიშვნელოვნად იკლო. საბოლოოდ კი, არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რევაზ სალუქვაძემ.

ამ ფაქტმა ნათელი გახადა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწყებული დემოკრატიული პროცესები აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ეთნიკური უმცირესობის სრული დიქტატის დამყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში, კარგს არაფერს უქადდა, ამიტომაც მათ არჩევანი ერთნიშნად კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემისა და საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებისათვის მებრძოლ რეაქციულ-კონსერვატიულ ძალებზე გააკეთეს. და ეს მაშინ, როდესაც მთელი საქართველო, პირიქით, ეროვნულ-პატრიოტული ძალების აქტიური ანტიიმპერიული და ანტიკომუნისტური პროპაგანდის შედეგად, ბარიკადის სულ სხვა მხარეს იდგა.

26 მაისს, ქ. სოხუმში, პირველად საბჭოური რეჟიმის პერიოდში, საყოველთაოდ აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე. ამ აქ-

ციის ტონის მიმცემნი იყვნენ ახლადგახსნილი *თსუ სოხუმის ფილიალის* სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აფხაზურმა მხარემ წინასწარ იცოდა ამ აქციისათვის მზადების შესახებ – ეს არც არავის დაუმალავს. სეპარატისტები განსაკუთრებით გააღიზიანა იმან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება 26 მაისის, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ. ამის პასუხად, 1989 წ. 23 მაისს სეპარატისტების ხელმძღვანელი შტაბის ინიციატივით, ქ. სოხუმში, შემოქმედებითი კავშირების სახლში მოეწყო აფხაზეთის ასსრ ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენელთა სახელდახელო შეკრება, რომელზეც მიღებულ იქნა მორიგი „მიმართვა“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. მასში საგანგებოდ იყო ხაზგასმული, საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება იყო „აფხაზი ხალხის ეროვნული გრძნობების მურაცხმყოფელი აქტი“. აქედან გამომდინარე, წერილის ავტორები კატეგორიულად მოითხოვდნენ ცენტრისაგან არ დაეშვათ 26 მაისის საზეიმო აღნიშვნა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე (Лежава. 1997: 247-248).

კრიზისის უკიდურესი გამწვავება 1989 წ. ზაფხულში და 15-16 ივლისის ტრაგედია. სიტუაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ირგვლივ სულ უფრო იძაბებოდა. ვითარების განმუხტვის მიზნით, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის წარმომადგენლებთან შესახვედრად ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში, სადაც განთავსებული იყო ახლადგახსნილი თსუ სოხუმის ფილიალი, მოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი *ვლადიმერ ხიშბა*. მას ახლდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ოთარ ზუხბაია*. შეხვედრაზე თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორმა, პროფესორმა *ფელიქს ტყებუჩავამ*, პროფესორის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელი 15 მაისს აფხაზ სეპარატისტთა მიტინგზე გამოსვლის გამო, სადაც მან, როგორც უკვე აღინიშნა, მომიტინგეებს ფილიალის დახურვის პირობა მისცა. *ვლადიმერ ხიშბამ* ვერ შეძლო რაიმე კონსტრუქციული წინადადების შეთავაზება ქართული უნივერსიტეტის კოლექტივისათვის და ეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ასევე არავითარი შედეგი არ მოჰყვა ანალოგიური ხასიათის შეხვედრას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან *ვალერიან კობახიასთან*, რომელსაც ახლდნენ აფხაზი ეროვნების მაღალი რანგის ნომენკლატურული მუშაკები. აფხაზური მხარე კვლავ ითხოვდა კატეგორიულად თსუ სოხუმის ფილიალის დახურვას და ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნებას. ამასთან, სეპარატისტები არ მოდიოდნენ არანაირ კომპრომისზე. ამ შეხვედრებმა დაარწმუნეს აფხაზური სეპარატიზმის მამები, რომ თავიანთი ძალებით ისინი უკვე ვერ მოახერხებდნენ „ამბოხებული“ ქართველების „მორჯულებას“ და საქმეში მოსკოვის უფრო აქტიურად ჩართვა გადაწყვიტეს.

საკავშირო ხელისუფლებამ ყურად იღო აფხაზ სეპარატისტთა მოთხოვნა და სახელდახელოდ მოავლინა სოხუმში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე *ფელიქს ჰერეგუდოვი*, მაგრამ მაღალჩინოსანი მოსკოველი მოხელის ვიზიტმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. მოგვიანებით, აფხაზი ეროვნების სახალხო დეპუტატების თხოვნით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სიტუაციის გასარკვევად აფხაზეთში გამოგზავნა სპეციალური კომისია 4 სახალხო დეპუტატის შემადგენლობით. ამ კომისიის წევრთა შორის იყო ცნობილი რუსი მეცნიერი, ლინგვისტი, პროფესორი *ვიჩესლავ ივანოვი*.

დეპუტატთა ჯგუფი სოხუმში შეხვდა როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მხარეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომელიც შედგა *საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში*. აღნიშნულ შეხვედრაზე ზემოხსენებული ვ. ივანოვი შეეცადა, თავი მოეწონებინა თავისი პროფესიონალური ერუდიციით და „ავტორიტეტულად“ განმარტა, რომ მეგრული ენა დამოუკიდებელი ენაა და რომ მეგრელები არ არიან ქართველები. ამის შემდეგ მან მენტორული ტონით მიმართა აუდიტორიას და განუცხადა, რომ იქ დამსწრე ქართველებს არ ჰქონდათ უფლება ელაპარაკათ აფხაზეთის მეგრული მოსახლეობის სახელით.

„ყოვლისმცოდნე“ მოსკოველი ენათმეცნიერის ამ პროვოკაციული გამოხდომის პასუხად, პროფესორმა ფელიქს ტყებუჩავამ დემონსტრაციულად სთხოვა შეხვედრის მონაწილე მეგრელებს, წამომდგარიყვნენ ადგილიდან და დაედასტურებინათ თავიანთი ქართველობა. აღმოჩნდა, რომ 3-4 პიროვნების გარდა (სხდომას ესწრებოდა 40-მდე ადამიანი) შეხვედრის თითქმის ყველა მონაწილე მეგრული წარმომადგენელი იყო. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა თავგასული რუსი პროფესორი და ის იძულებული გახდა, შეეწყვიტა თავისი „მეცნიერული“-პოლიტიკური ინსინუაციები „მეგრულ თემატიკაზე“. მოგვიანებით, როდესაც ვ. ივანოვის ამ თავხედური დემარშის შესახებ შეიტყვეს თბილისში, იქ ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მკაცრი კრიტიკის ქვეშაც მოჰყვა, რის შემდეგაც მოუწია „შემრიგებლურ მისიაზე“ უარის თქმა და იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო. ამ ფაქტზე ჩვენ ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ გვეჩვენებინა მოსკოველ „კეთილისმსურველთა“ სრული არაკომპეტენტურობა და ტენდენციურობა (**პაპასკირი, 2004: 239-240; Папаскири 3., 2010a: 335-336; Папаскири 3., 2012b: 78-79**).

ამასობაში, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები სულ უფრო ამძაფრებდნენ სიტუაციას სოხუმში. 1989 წ. 22 ივნისს „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ ინიციატივით მოწვეულ იქნა აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ადამიანმა, მათ შორის, მთელმა აფხაზურმა ნომენკლატურამაც. კრებამ მიიღო „მიმართვა“ სკკ ცენტრალური კომიტეტისადმი. 25 ივნისს „აიდგილარამ“ გამოაქვეყნა „მიმართვა აფხაზი ხალხისადმი“ (**Кварчия, 2020: 204-207**), ხოლო 27 ივნისს მიღებულ იქნა მორიგი „მიმართვა“ სკკ ცენტ-

რალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელშიც ფაქტობრივად მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოსვლისათვის (**Лежава, 1997: 248-249**).

სეპარატისტებს სულ უფრო აღიზიანებდათ სასწავლო პროცესის გამართვა თსუ სოხუმის ფილიალში, განსაკუთრებით კი ის, რომ ახლადშექმნილი უმაღლესი სასწავლებელი ემზადებოდა მისაღები გამოცდებისათვის. 1989 წ. ივლისის დასაწყისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, ბაგრატ შინკუბამ და ალექსი გოგუამ დეპუტა გაუგზავნეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანატოლი ლუკიანოვს და ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს ვადიმ ბაკატინს, რომელშიც ეროვნულ ნიადაგზე მოსალოდნელი „შეჯახებების“ თავიდან ასაცილებლად ითხოვდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანას აფხაზეთში (**Лежава, 1997: 253**).

ამავე დროს, 8 ივლისს აფხაზეთის სახალხო ფორუმმა – „აიდგილარამ“ მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს და მოსთხოვა მას აფხაზეთში მმართველობის განსაკუთრებული ფორმის – ცენტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარებით – შემოღება (**Червоная, 1993: 70**). ყველა ეს დეპუტა-მიმართვები ფაქტობრივად ერთგვარი ინფორმაციულ-პროპაგანდისტული შირმა იყო, რომლითაც სეპარატისტები ცდილობდნენ, დაემალათ სოხუმში დაგეგმილი სისხლიანი ანგარიშსწორების სამზადისი. ქართული მხარე აბსოლუტურად არ ამქლავნებდა არავითარ აგრესიულობას. პირიქით, ის ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული ვითარების სტაბილიზაციით და მაქსიმალურად ცდილობდა, არ მიეცა მეორე მხარისათვის ზედმეტი საბაბი სიტუაციის შემდგომი გამწვავებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სეპარატისტული წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თსუ სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობა მოუწოდებდა მათ, არ აპყოლოდნენ ემოციებს და, ბოლოს და ბოლოს, შერიგებოდნენ ახალი საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნას სოხუმში.

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა 13 ივლისიდან, როდესაც სოხუმში დაიწყეს შეკრება რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოყვანილმა აფხაზი ეროვნების მოქალაქეებმა. იმავე დღეს, აფხაზთა წარმომადგენლობითი დელეგაცია გამოცხადდა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში, სადაც შეხვდა თსუ სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობას და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა მისაღები გამოცდების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზი „პარლამენტორები“ სისხლისღვრით იმუქრებოდნენ. ფილიალის ხელმძღვანელებმა, პირადად დირექტორმა ერთხელ კიდევ უხმეს კეთილგონიერებისკენ სეპარატისტებს და მოუწოდეს მათ, თავი შეეკავებინათ უკანონო ქმედებებისაგან. ამავე დროს, ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ცალსახად მიანიშნეს აფხაზთა დელეგაციას, რომ მუქარებით მათ ვერავინ დაამინებდა.

14 ივლისის მთელი დღის განმავლობაში სოხუმში დაძაბულობა არ ცხრებოდა. შუალედისთვის აფხაზებმა ალყა შემოარტყეს №1 საშუალო სკოლის შენობას. იმავე დამეს სეპარატისტებმა დაარბიეს მარქსის ქუჩაზე მოწყობილი 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღრობითი სტენდი. შინაგან საქმეთა ორგანოებმა ვერ შეძლეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა. შეიქმნა სკოლის დარბევისა და იქ მყოფ პირებზე – საბუთების მიმღები კომისიის წევრებზე, რომელთა შორის სტუდენტებიც იყვნენ – თავდასხმის რეალური საფრთხე. 15 ივლისს, შუალედისთვის, სანაპიროზე, რუსთაველის სახელობის პარკში შეკრება დაიწყო ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. ისინი იჩენდნენ მაქსიმალურ სიფრთხილეს, რათა არ შესულიყვნენ კონტაქტში №1 საშუალო სკოლის ირგვლივ შეგროვილ აფხაზებთან და არ მიეცათ მათთვის პროვოკაციის საბაბი.

17 საათისთვის რუსთაველის პარკს მოადგა ავტომანქანა „კოლგა“, საიდანაც აფხაზმა ოპერატორმა გამომწვევად დაიწყო იქ შეკრებილი ქართველების გადაღება. მანქანას მიუახლოვდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც მოსთხოვეს მას გადაღების შეწყვეტა და იქაურობის დატოვება, მაგრამ ოპერატორმა ყურად არ იღო ეს მოთხოვნა და ჯიუტად განაგრძო თავისი „საქმიანობა“. ამას მოჰყვა შეხლა-შემოხლა, რის შემდეგაც მანქანამ სასწრაფოდ დატოვა პარკის მიმდებარე ტერიტორია, რამდენიმე წუთში კი №1 საშუალო სკოლიდან ენგელსის ქუჩით დაეშვარკინის ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებული ადგილობრივი ადამიანთა ბრბო (2000-მდე კაცი). გაჩაღდა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, *ილია ჭავჭავაძის საზოგადოების* აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერი *ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა*.

თითქმის პარალელურად აფხაზები შეიჭრნენ №1 საშუალო სკოლის შენობაში, იავარჰყვეს იქაურობა და სასტიკად გაუსწორდნენ მიმღები კომისიის წევრებს, მათ შორის სტუდენტებს. ამავე დროს, ქალაქის ცალკეულ უბნებში ატყდა სროლა, რომელიც არ შეწყვეტილა თითქმის მთელი დამის განმავლობაში. 16 ივლისის ქართული მხარე შოკისაგან გამოვიდა და შეუდგა ძალების მობილიზაციას. მალე ქალაქი ქართველების კონტროლქვეშ მოექცა. შეიქმნა ერთგვარი შტაბი, რომელიც განთავსდა კინოთეატრ „აფსნის“ შენობაში.

სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია ელვისებურად მოედო მთელ საქართველოს. 16 ივლისს ათასობით ადამიანი გალისა და სამეგრელოს მიმდებარე რაიონებიდან ერთიანად დაიძრა სოხუმისაკენ, მაგრამ ისინი მდ. *დალიძგას* ვერ გასცდნენ. აფხაზებმა, იგრძნეს რა მოსალოდნელი საშიშროება, მიიღეს გადაწყვეტი ზომები თავიანთი „სამშობლოს“ დასაცავად. დოკუმენტურად დადასტურებულია, თუ როგორ ხორციელდებოდა 16-17 ივლისს გუდაუთიდან 1000-მდე შეიარაღებული „ბოევიკის“ გადასხმა კატარღებით ოჩამჩირეში (**Червонная, 1993: 70**). აფხაზთა ერთი ჯგუფი თავს დაესხა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჩამჩირის რაიონულ განყოფილებას და დაიტაცა საბრძოლო იარაღი.

აი, ასე შეიარაღებულმა აფხაზმა „ბოვეციკებმა“ 16 ივლისს დაიკავეს „საბრძოლო პოზიციები“ მდ. ღალიძგის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ და სროლა აუტეხეს ოჩამჩირისკენ მომავალ მანქანებს. ამ სროლის შედეგად დაიღუპნენ გალის რაიონის მცხოვრებნი: *რევაზ ხევაია, ნური შამათაია და ომარ შენგელია*, მაგრამ მაშინ მაინც მოხერხდა კონფრონტაციის შემდგომი ესკალაციის შეჩერება. ამაში დიდი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერების, პირველ რიგში კი, *მერაბ კოსტავას*, აგრეთვე საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის წვლილი. ასევე პოზიტიური როლი შეასრულა სსრ კავშირის შინაგანი ჯარების დროულმა ჩარევამაც. გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა. 1989 წ. 15-16 ივლისის ტრაგედიამ შეიწირა 14 ადამიანის – 9 ქართველისა და 5 აფხაზის სიცოცხლე.

15-16 ივლისის ტრაგედია მთლიანად აფხაზ სეპარატისტების ექსტრემისტული ნაწილის სინდისზეა. საწინააღმდეგოს მტკიცება და სისხლისღვრის ინიცირების ქართველებისათვის გადაბრალება, რასაც ყოველნაირად ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები, უბრალოდ აბსურდი და უაზრობაა. განა ქართველებმა მოითხოვეს აფხაზური უნივერსიტეტის გაუქმება? განა ისინი შეიჭრნენ შენობაში, რომელშიც იმყოფებოდნენ აფხაზი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები და უმოწყალოდ გაუსწორდნენ იქ მყოფ უდანაშაულო ხალხს? განა ქართველები ჩასხდნენ ავტობუსებში, გაემართნენ გუდაუთაში და თავს დაესხნენ იქ შეკრებილ მშვიდობიან აფხაზებს? თუ ყოველივე ეს პირიქით მოხდა? ვფიქრობთ, ამ რიტორიკულ კითხვას პასუხი არც სჭირდება, იმდენად ნათელია საქმის ვითარება. **ეს აფხაზმა სეპარატისტებმა წარმოიდგინეს თავი „თავიანთი სამშობლოს“ ერთადერთ მეპატრონედ და კატეგორიულად აუკრძალეს ქართველებს საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს სსრ-ის, რომლის ნაწილსაც შეადგენდა აფხაზეთის ასსრ, – ფარგლებში ესწავლათ და ემუშავათ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში.**

ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა სურვილი, შეექმნათ ეროვნული საუნივერსიტეტო ცენტრი სოხუმში, ვერანაირად ვერ შეუძლიდა ხელს საკუთრივ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირებას, ვინაიდან უნივერსიტეტის მთელი ქონება აფხაზურ მხარეს რჩებოდა და, რაც მთავარია, აფხაზეთის უნივერსიტეტს უცვლელად უტოვებდნენ მისაღებ კონტინგენტს. ერთი სიტყვით, აფხაზები პრაქტიკულად არაფერს არ კარგავდნენ. სეპარატისტებისთვის უბრალოდ კატეგორიულად მიუღებელი იყო „მათ სამშობლოში“ ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, რომელშიც არა მარტო სწავლება იქნებოდა ქართულ ენაზე (ეს ისედაც იყო აფხაზეთის უნივერსიტეტში – ქართულ სექტორზე), არამედ საქმის წარმოებაც. თვით აფხაზეთის უნივერსიტეტში, როგორც ცნობილია, საქმის წარმოება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ის ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდებოდა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისაგან. სეპარატისტებს

კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ როდესაც მთელ საქართველოში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა და რესპუბლიკა ასე გაქანებით მიემართებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, ზოგად-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სოხუმში დამატებით იმპულსებს შესძენდა აფხაზეთის ჩართვას საერთო-ქართულ პროცესებში. სწორედ ამის დაშვება არ სურდათ სეპარატისტებს და ამიტომაც იმუქრებოდნენ ისინი სისხლისღვრით, რაც ადასრულეს კიდეც 1989 წ. 15-16 ივლისს. ასე რომ, ნებისმიერი მცდელობა, ქართველებს დაბრალდეს 15-16 ივლისის ტრაგედია, იმთავითვე განწირულია.

აფხაზური მხარე, შინაგანად გრძნობდა რა თავის დანაშაულს, ცდილობდა ემოქმედა პრინციპით: „*შეტუვა თავდაცვის საუკეთესო საშუალება*“. სსრ კავშირის უმაღლეს სახელისუფლებო ინსტანციებში გაიგზავნა არაერთი საჩივრის წერილი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მოთხოვნით, რადგან თურმე იყო „*ქართველი ნაციონალ-ექსტრემისტების მხრიდან... აფხაზთა მასობრივი ამოწყვეტის საშიშროება*“. ექსტრემისტული ძალები ამასაც არ სჯერდებოდნენ. „*აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას*“ მიმართვაში, რომელიც იწყებოდა მოწოდებით: „*ყველას! ყველას! ყველას!*“, არც მეტი, არც ნაკლები, აღნიშნული იყო, რომ დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და რომ აფხაზეთში შეადგინა ათასობით ქართველმა „ბოევიკმა“. ამით, სეპარატისტების მტკიცებით, შეიქმნა აფხაზების, რუსების, ბერძნების, სომხების სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე (**Лежава, 1997: 340**).

არანაკლებ კატეგორიული და კონფრონტაციული იყო „*აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას*“ 1989 წ. 20 ივლისით დათარიღებული „*მიმართვა*“ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ იური შატალინისადმი. მასში პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ „*მიმდინარეობდა... აფხაზი ხალხის განადგურების... დაგეგმილი აქცია*“ და, რომ აფხაზობა „*როგორც ეთნოსი კატასტროფის ზღვარზეა*“. აღნიშნულის გათვალისწინებით, „*მიმართვის*“ ავტორები სარდალს სთავაზობდნენ, მიეღო მათი წინადადება „*ნებაყოფლობით საწყისებზე აფხაზი ეროვნების პირთა დროებითი მობილიზაციის შესახებ*“ (**Лежава, 1997: 340**).

სინამდვილეში, არავინ არ ემუქრებოდა აფხაზების სიცოცხლეს, ხოლო მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ოპერაცია, რომელიც დაიწყო სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებმა, მედგარ წინააღმდეგობას სწორედ აფხაზთა მხრიდან წააწყდა. უფრო მეტიც, *ოჩამჩირის* რაიონის ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ამგვარი ოპერაციის ჩატარებისას, აფხაზმა „ბოევიკებმა“ სიცოცხლეს გამოსალმეს ორი რუსი ჯარისკაცი. ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა, თუ ვინ ამღვრევდა წყალს და ვისგან მოდიოდა დესტაბილიზაციის საფრთხე ავტონომიურ რესპუბლიკაში. მთავარია, ეს გაიგეს მოსკოვშიც, სადაც, მიუხედავად სეპარატისტების დაჟინებული მოთხოვნისა, მიიღეს გადაწყვეტილება, 15-16 ივლისის მოვლენები გა-

მოეძია საქართველოს სსრ-ის პროკურატურას.¹ მაგრამ გამოძიებამ მხოლოდ „მე- ისრეები“ გამოავლინა,² მთავარი დამნაშავენი – აფხაზური სეპარატიზმის „სულიე- რი მამები“ და უშუალო ორგანიზატორები – „აიდგილარას“ ხელმძღვანელები, ბუ- ნებრივია, დაუსჯელნი დარჩნენ.

სეპარატისტთა ახალი „მოკავშირეები“ ჩრდილოეთ კავკასიიდან და მათი ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. 15-16 ივლისის ტრაგედიის შემდეგ სეპარა- ტისტები სულ უფრო ძაბავდნენ სიტუაციას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ დროს ასპარეზზე გამოვიდნენ აფხაზთა „თანამოძმენი“ ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომ- ლებმაც წამოიწყეს ნამდვილი იდეოლოგიური „ლაშქრობა“ აფხაზი ხალხის „მჩაგ- ვრელი“ საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. 1989 წ. 25-26 აგვისტოს სო- ხუმში ჩატარდა ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენლების“ I ყრილობა. მასში მონაწილეობდნენ აფხაზები, აბაზები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩეჩნები და ინგუშები, ანუ შეიკრიბნენ მხოლოდ ორი – ადიღურ-აფხაზური და ვეინახური – ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. არც ოსებს, არც დაღესტნურ და არც ჩრდი- ლოეთ კავკასიის თურქული მოდგმის ხალხებს ყრილობის მუშაობაში მონაწილეო- ბა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, ეს ღონისძიება მისმა ორგანიზატორებმა „ჩრ- დილოეთ კავკასიის, აფხაზეთისა და დაღესტნის ხალხების პარტიებისა და ეროვ- ნულ-დემოკრატიული მოძრაობის კრებად“ მონათლეს. ყრილობამ მიიღო გადაწყ- ვეტილება ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ შექმნის შესახებ. არჩეულ იქნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეობა დაევალა ყაბარდო-ბალ- ყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კა- თედრის დოცენტს, ყაბარდოელ მუსა (იური) შანიბოვს. ყრილობაზე დეკლარირე- ბულ იქნა ახალი მოძრაობის მთავარი მიზანი – კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბ- ლიკის შექმნა, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა.

¹ ამ ფონზე მხოლოდ მკრეხელობად შეიძლება შეფასდეს ის აჟიოტაჟი, რომელიც ატეხეს აფხაზმა სეპარატისტებმა 2009 წელს აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრე- მიერ მინისტრის სერგეი სტეპაშინის ვიზიტისას, იმ ჯარისკაცთა ხსოვნის ირგვლივ, რომლებიც 1989 წელს სწორედ მათ განუკითხაობას ემსხვერპლნენ. კიდევ უფრო გა- მათგნებელია ის წარწერა, რომელიც მათ გააკეთეს რუსი ჯარისკაცების დაღუპვის ად- გილას ს. სტეპაშინის მიერ დადგმულ ობელისკზე: „მარადიული ხსოვნა რუსეთის შვი- ლებს, რომლებმაც თავი შესწირეს აფხანის თავისუფლებას“/„Вечная слава сынам Рос- сии, отдавшим жизнь за свободу АПСН“/ (Логуга, 2019). გამოდის, რომ სსრ კავშირის შინაგანი ჯარის მოსამსახურენი, რომლებიც აფხაზი ბოვიკების განიარაღებისას თვით აფხაზებმაც დახოცეს, თურმე აფხაზეთის თავისუფლებას შეეწირნენ (!!!).

² კერძოდ, მოსახლეობისათვის იარაღის უკანონო დარიგებისა და ერთაშორის შუღლის გაღვივების ბრალდებით გასამართლებულ იქნა და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ოჩამჩირის რაიონის პროკურორის ვალერი გურჯუას. ამავე ბრალდებით გაასა- მართლეს აგრეთვე იმავე ოჩამჩირის რაიონის არასაუწყებო დაცვის უფროსი ნიკო- ლოზ შლარბა (მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა). 13-წლიანი პატიმ- რობა მიესაჯა ვოვა ვეჯუას მკვლელობაში ეჭვმიტანილ იური ჰალბას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ფაქტობრივად ახალი იდეოლოგიური ფრონტი გაიხსნა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც უძველესი დროიდან საერთო-ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, სრულიად უაპელაციოდ ცხადდებოდა ისტორიულად საერთოდ არარსებული ჩრდილო-კავკასიური სახელმწიფოს „სამხრეთის მხარედ“, ხოლო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი სოხუმი – ამ სახელმწიფოს დედაქალაქად. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ე.წ. „ეროვნულ-პატრიოტული“ ორგანიზაციები სულ უფრო დიად ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას. ამ მხრივ გამოირჩეოდა „გარდაქმნის ხელშეწყობისათვის ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის სახალხო ფრონტი“ რომელიც შავ ფერებში ხატავდა საქართველო-აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო ფრონტი უცხადებდა „მტკიცე პროტესტს“ ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ზვიად გამსახურდიას (**Червоная, 1993: 78**). არანაკლებ თავხედური და გამომწვევი იყო ყაბარდო-ბალყარეთის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის „ადიდუ-ხასეს“ საერთო კრების სახელით მომზადებული დეკლამაცია, რომელიც ქ. ნალჩიკიდან ერთდროულად გაიგზავნა სხვადასხვა ინსტანციებში: სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ-ის უმაღლეს საბჭოში, აფხაზეთის სახალხო ფორუმსა და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ბიჭვინთისა და გუდაუთის ზოგიერთ დასასვენებელ სახლში, სადაც, როგორც წესი, ისვენებდნენ სეპარატისტთა მფარველი მაღალჩინოსნები ცენტრიდან. ამ დეკლამაციაში ყაბარდო-ბალყარეთის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კრების მონაწილენი, არც მეტი, არც ნაკლები, მოითხოვდნენ აფხაზეთისათვის მმართველობის განსაკუთრებული სტატუსის მიანიჭებას (**Червоная, 1993: 78**).

სულ უფრო აქტიურებდა თავის ანტიქართულ საქმიანობას „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“. 1989 წ. ნოემბერში ნალჩიკში გაიმართა ამ ორგანიზაციის III სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო ფრონტის დელეგაციამ მისი თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მეთაურობით. საქართველოდან ჩასულები ამაოდ ცდილობდნენ სესიის მონაწილეებისათვის ეთქვათ სრული სიმართლე აფხაზეთზე. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ სსრ კავშირის ხელმძღვანელობისაგან „წესრიგის დამყარებას“ საქართველოში და აფხაზეთისათვის კანონით გათვალისწინებულ უფლებების უზრუნველყოფას (**Червоная, 1993: 79**). სესიაზე შეიქმნა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომლის პრეზიდენტად არჩეულ იქნა „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ თავმჯდომარე შუსა მანიბოვი. კონფედერაციის შემადგენლობაში შევიდა კავკასიის 16 ხალხი. თითოეული მათგანი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში წარმოდგენილი იყო ვიცე-პრეზიდენტით. აფხაზეტიდან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთმა

ოდიოზურმა ლიდერმა კონსტანტინე ოზგანმა, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონულ ორგანიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს, თუ როგორი მოღალატეობრივი პოზიცია დაიკავეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. „ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის“ ლიდერებმა. იმის ნაცვლად, რომ ჩამდგარიყვნენ დაპირისპირებულ მხარეთა შორის და როგორმე ცდილიყვნენ ქართველთა და აფხაზთა შერიგებას, მათ დიად დაუჭირეს მხარი აფხაზთა სეპარატისტულ მისწრაფებებს, ამასთან, ოდნავადაც არ შეუწუხებიათ თავი იმის გარკვევით, თუ რაში გამოიხატებოდა ეს ყბადაღებული „აფხაზებისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევის პროცესი“/„*улыбляющийся процесс лишения абхазов гарантированных законом прав*“/ (**Обращение III сессии, 1989**: 215-216). სეპარატისტული იდეოლოგიის „მამების“ მიერ მოგონილი ეს მითი, რომლის ტირაჟირებასაც ეწეოდნენ „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის ბედით „გულდათუთქული“ კავკასიელი „თანამოძმენი“, სინამდვილეში სრული სიცრუე და ისტორიული რეალობის ურცხვი გაყალბება იყო. აფხაზეთში ათეული წლების მანძილზე მართლაც ილახებოდა მთელი ხალხის „კანონით გარანტირებული უფლებები“, მაგრამ ეს ხალხი არა აფხაზობა, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის 250-ათასიანი მკვიდრი ქართული მოსახლეობა იყო, რომელიც აფხაზეთის საერთო მოსახლეობის 45%-ს შეადგენდა და ამ მხრივ თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა აფხაზებს (ისინი მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ). სწორედ ქართველები, და არა აფხაზები, იქცნენ მეორეხარისხოვან მოსახლეობად საკუთარ სამშობლოში.

დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის (ეს ცნობილი იყო მაშინაც – 1989 წელს), თუ როგორ „ილახებოდა“ აფხაზი ხალხის უფლებები. ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ანუ ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი უცვლელად აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი იყო. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში ქართველები 3-ჯერ მაინც სჭარბობდნენ აფხაზებს, ე. ი. არჩევნების დემოკრატიულ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში ქართველებს გარანტირებული ჰქონდათ უმაღლესი ხელისუფლება. ანალოგიური სიტუაცია იყო ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში – უმაღლეს საბჭოში, სადაც აფხაზებს ასევე ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა. 1989 წელს არჩეული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან – 56 (ანუ 40,7%) აფხაზი იყო, 54 (ანუ 37,9%) – ქართველი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (იურიდიულად – ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური) მხოლოდ აფხაზი შეიძლებოდა ყოფილიყო. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო აფხაზთა წარმომადგენლობა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში – მინისტრთა საბჭოში. მართალია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, მაგრამ ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა უმრავლესობას სათავეში აფხაზები ედგნენ. ასე, მაგალითად, 20 მინისტრიდან და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

რიდან 13 აფხაზი იყო, ქართველი კი მხოლოდ – 5. 1989 წელს აფხაზეთში არჩეული სსრ კავშირის 15 სახალხო დეპუტატიდან ნახევარზე მეტი – 8 აფხაზი იყო, ქართველი – 5. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის თანამდებობებიც აფხაზებს ეკავათ. ქალაქებისა და რაიონების 8 პროკურორიდან 5 აფხაზი იყო (**Маршания, 1995: 11-12**).

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ „ავიწროებდნენ“ აფხაზებს კულტურისა და განათლების სფეროში. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში აფხაზური ენა, ქართულთან და რუსულთან ერთად, გამოცხადებული იყო ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩანაწერი არ იყო სსრ კავშირში არსებული არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური ფორმირებების ძირითად კანონში, რომელთა წარმომადგენლებს ასე ახლოს მიჰქონდათ გულთან „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის „მწარე ხვედრი“. აფხაზები სარგებლობდნენ უპირატესი უფლებებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის რიგებში მიღებისას. ისინი შეადგენდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის წევრთა 3/4-ს. 1988 წელს ყოველ 1000 კაცზე მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნებისა და ბროშურების დასახელებების რაოდენობის მიხედვით აფხაზებს პირველი ადგილი ეკავათ სსრ კავშირში (4,3 დასახელების ბეჭდვითი პროდუქცია), მაშინ, როდესაც ქართველები ამ მონაცემით მხოლოდ მეორე ათეულში იყვნენ (0,3 დასახელების ბეჭდვითი პროდუქცია). იმავე 1000 კაცზე გათვლით გამოცემული წიგნებისა და ბროშურების ტირაჟით კი აფხაზები მხოლოდ ესტონელებსა და ლატვიელებს ჩამორჩებოდნენ (**Жоржوليани, 2000: 55**).

სოხუმში ფუნქციონირებდა აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა; სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა და სახელმწიფო კაპელამ. აფხაზურ ენაზე გამოდიოდა გაზეთები და ჟურნალები, მათ შორის, სამეცნიერო. აფხაზურ ენაზე წარმოებდა რადიო და ტელემაუწყებლობა. სოხუმი იყო ფაქტობრივად მეორე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში თბილისის შემდეგ. აქ ფუნქციონირებდა მოკავშირე რესპუბლიკაში მეორე და ამიერკავკასიაში მეოთხე სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მიღება წარმოებდა აფხაზურ სექტორზეც, რაც სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა იყო სსრ კავშირში. უფრო მეტიც, რსფსრ-ის ავტონომიურ ფორმირებებში, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში არათუ არ იყო ეროვნული სექტორი უნივერსიტეტებში, არამედ ფაქტობრივად არ არსებობდა ეროვნული საშუალო სკოლა და ე.წ. „სატიტულო ნაციის“ წარმომადგენლები საშუალო განათლებას რუსულ სკოლებში იღებდნენ. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთში 1989-1990 სასწავლო წლის დაწყების წინ ფუნქციონირებდა 73 აფხაზური და შერეული (აფხაზური სექტორი რუსულ სკოლებში) სკოლა (**Жоржوليани, 2000: 53-54**). აფხაზეთში იყო 20-მდე სამეცნიერო-კვლევითი და-

წესებულება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დირექტორი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი იყო მეცნიერული აფხაზმცოდნეობის წამყვანი ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და აფხაზი ხალხის ისტორიის მიზანმიმართული შესწავლა-დამუშავება.

ამრიგად, XX ს. 70-80-იანი წლების აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ზედაპირული გაცნობაც კი სავსებით საკმარისია, დავრწმუნდეთ აფხაზთა „კანონით გარანტირებული უფლებების დარღვევის“ შესახებ აფხაზი ხალხის ე.წ. „მეგობრების“ მიერ ატეხილი აჟიოტაჟის სრულ სიყალბეში.

დემოკრატიული პროცესები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ვითარება აფხაზეთში 1990 წლის I ნახევარში. 1985 წ. გაზაფხულზე სსრ კავშირში ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ ე.წ. „პერესტროიკის“ კურსის დეკლარირებით დაწყებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული განახლების პროცესი 1989 წლიდან შეუქცევადი გახდა. ამ დროიდან კრემლმა საბოლოოდ გაუშვა ხელიდან ქვეყნის მართვის სადავეები და თანდათანობით დაიწყო პოზიციების დათმობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიგვა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ავანგარდში ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად მტკიცედ იდგა საქართველო. ამ ვითარებაში, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა შეეცადა ფეხი აეწყო რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისთვის. ამ თვალსაზრისით უდავოდ საეტაპო მოვლენა იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესია, რომელიც შედგა 1990 წ. 9 მარტს. სესიაზე მიიღეს ისტორიული დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“.

ამ დადგენილებაში საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ოფიციალურად ადასტურებდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნას და აღიარებდა, „რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული წყობილების დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას“. უმაღლესი საბჭო, გმობდა რა „საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას“, აფასებდა მას „როგორც საერთაშორისო დანაშაულს“ და აცხადებდა მზადყოფნას, გაეუქმებინა 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების შედეგები და აღედგინა „საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს“ უფლებები (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 18-19). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა „უკანონოდ და ბათილად“ 1921 წ. 21 მაისის ე.წ. „მუშურ-გლე-

ხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის“, აგრეთვე 1922 წ. 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ“, ამავე დროს დაადგინა, რომ დაწყებულიყო „მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 19).

მაგრამ ეს არ იყო საქართველოს იმჟამინდელი კომუნისტური ხელისუფლების ანტისაბჭოური ამბოხის ერთადერთი შემთხვევა. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოსატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისადმი და ფაქტობრივად აუკრძალა საქართველოს წარმომადგენლობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მონაწილეობა მიეღო ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე საპარლამენტო დებატებში. თავის ამ პოზიციას საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ასაბუთებდა იმით, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ოფიციალურად ითვლებოდნენ სუვერენულ სახელმწიფოებად. აქედან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს განმარტებით, საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს უნდა ჰყოლოდა საკუთარი პრეზიდენტი. სსრ კავშირის პრეზიდენტის თანამდებობის არსებობა იმ დროს, როდესაც საკუთრივ საქართველოს არ ეყოლებოდა პრეზიდენტი, ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ საქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო. გარდა ამისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს არ უნდა შეეზღუდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის (რაც, ბუნებრივია, ავტომატურად გამოიწვევდა სსრკ-ის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას) ურყევი უფლება და მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი უნდა ყოფილიყო თვით მოკავშირე რესპუბლიკა (Лежава, 1997: 274).

ერთი სიტყვით, ამ გადაწყვეტილებებით ოფიციალური თბილისმა სრულიად არაოროზროვნად მიანიშნა ცენტრს, რომ ამიერიდან საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება უკვე არ აპირებდა კრემლისადმი უსიტყვო მორჩილებას და დგამდა კონკრეტულ ნაბიჯებს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ყოველივე ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, მოთმინებიდან გამოიყვანა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა და მოსკოვის რეაქციამაც არ დააყოვნა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სახელდახელოდ „გამოაცნო“ კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, რომელსაც მიხეილ გორბაჩოვმა, მაშინ უკვე სსრკ-ის პრეზიდენტმა, ხელი 1990 წ. 3 აპრილს მოაწერა.

ეს კანონი აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც, როგორც ცნობილია, სსრკ-ის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლისათვის სავსებით საკმარისი იყო უმაღლესი საბჭოს – მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – შესაბამისი გადაწყვეტილება. ახალი კანონით კი სსრ კავშირიდან გასვლისათვის აუცილებელი იყო „*მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა თავისუფალი ნება-სურვილის... რეფერენდუმის (სახალხო კენჭისყრის) გზით*“ გამოხატვა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ნამდვილი ნაღმი ჩადებული იყო მე-3 მუხლში. ამ მუხლის თანახმად „*მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში*“ იყვნენ „*ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმი*“ უნდა ჩატარებულიყო „*ცალკე თითოეულ ავტონომიაში*“. ამასთან, „*ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს*“ უნარჩუნდებოდათ „*სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე თავის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება*“. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა კანონის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვით „*სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულად*“ ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, „*თუ მას ხმას*“ მისცემდა „*სსრ კავშირიდან მისი გასვლის საკითხის დაყენების მომენტისთვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა სულ ცოტა*“ ორი მესამედი მაინც (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 19-20**).

ე. ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს მოსახლეობა (ავტონომიების გამოკლებით) მთლიანად მისცემდა ხმას სსრ კავშირიდან გამოსვლას, ეს სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ *აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის* ავტონომიური ოლქი, აგრეთვე ზოგიერთი რაიონი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ არაქართული ეთნიკური ჯგუფები, ავტომატურად გამოვიდოდნენ სსრ კავშირის შემადგენლობიდან. ამისთვის აღნიშნული რეგიონების ხმის უფლების მქონე მცხოვრებთა ორ მესამედს აუცილებლად უნდა მიეცა ხმა სსრ კავშირიდან გამოსვლისათვის. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ საკითხის ამგვარად დაყენების შემთხვევაში საქართველო რეალურად დადგებოდა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“, აგრეთვე ზოგიერთი რაიონის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

სსრ კავშირიდან გასვლის პროცედურა ამითაც არ სრულდებოდა. საკითხის გადაწყვეტის უკანასკნელი ინსტანცია იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობა, რომელიც ავტომატურად კი არ იძლეოდა საბოლოო თანხმობას, არამედ აწესებდა ე.წ. „*გარდამავალ პერიოდს*“ (არაუმეტეს ხუთი წლისა), რომლის განმავლობაში უნდა გადაწყვეტილიყო „*სსრ კავშირიდან გასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები*“. და ბოლოს, „*გარდამავალი პერიოდის უკანასკნელ წელს გამავალი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს*“ უნდა მოეწყო „*განმეორებითი რეფერენდუმი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის*

გასვლის შესახებ გადაწყვეტილების დადასტურების საკითხზე. განმეორებითი რეფერენდუმის მოწყობა სავალდებულო“ იყო, თუ ამას მოითხოვდა „რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა მეთაული ნაწილი“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 20-21, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

მთელი ეს კამპანია სრულიად ფუჭი გამოდგებოდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მსურველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, „თუ სსრ კავშირიდან... გასვლის შესახებ გადაწყვეტილების დადასტურებას“ ხმას მისცემდა „განმეორებითი რეფერენდუმის მოწყობის საკითხის დაყენების მომენტისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა ორ მესამედზე“ ნაკლები. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულად“ ჩაითვლებოდა და „კანონით გათვალისწინებული პროცედურები“ წყდებოდა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 21).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, ფაქტობრივად, გამორიცხავდა „მეამბოხე“ რესპუბლიკის გამოსვლას სსრ კავშირის შემადგენლობიდან ტერიტორიული დანაკარგების გარეშე. ამიტომაც იყო, რომ იმპერიული იურიდიული აზროვნების ეს „შეღვერი“ ხალხში სამართლიანად მოინათლა „სსრ კავშირიდან არგასვლის კანონად“.

„სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ კანონის მიღებით კრემლმა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ფაქტობრივად წერტილი დაუსვა განახლების პროცესს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდგომი ჰარმონიზაციის სფეროში. ამ ფონზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. საგრძნობლად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა. 1990 წ. 13 მარტს თბილისში გაიხსნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა გაერთიანებული კონფერენცია, რომელმაც მოსახლეობას მოუწოდა, გამოეცხადებინათ ბოიკოტი 1990 წ. 25 მარტისათვის დანიშნული საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ხელისუფლება იძულებული შეიქნა დათმობებზე წასულიყო და შეეტანა ცვლილებები საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში. ამ ცვლილებების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ეძლეოდათ უფლება გაერთიანებულიყვნენ „პოლიტიკურ ჰარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად“, მონაწილეობა მიეღოთ „მასობრივ მოძრაობებში“. ამავე დროს, „საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული“ ექნებოდათ „პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“ (ყოლბაია და სხვ., 1999: 62).

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ეს ქეშმარიტად რევოლუციური ცვლილება იმის მაუწყებელი იყო, რომ რესპუბლიკაში ოფიციალურად საფუძველი

ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა გაერთიანებულმა კონფერენციამ აირჩია მაკოორდინირებული ორგანო – *ეროვნული ფორუმი*, რომელშიც შევიდნენ: *საქართველოს ჰელსინკის კავშირი*, *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*, *ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია*, *ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი*. ეროვნულ ფორუმში აფხაზეთი წარმოდგენილი იყო სამი წევრით, რომლებიც პარიტეტულ საწყისებზე შეარჩიეს ეროვნული პოლიტიკური გაერთიანებების აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციებმა (*ყოლბაია და სხვ.*, 1999: 62). თბილისში ჩატარებული კონფერენციის შემდეგ გადაიდგა ნაბიჯები აფხაზეთში მოქმედი ქართული ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების კონსოლიდაციისკენ. შეიქმნა (1990 წ. მარტში) *ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი (ცაეკ)*. მასში გაერთიანდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ყველა ორგანიზაცია, გარდა *საქართველოს სახალხო ფრონტის* აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციისა.

აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების მზარდი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მძლავრ დემონსტრაციად იქცა სოხუმთან ახლოს, სოფ. *აჩადარაში*, მთავარი ავტომაგისტრალის გასწვრივ, 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნა 1990 წ. აპრილში. მემორიალის გახსნა გადაიზარდა საერთო-სახალხო აქციაში, რომელმაც მოიცვა აფხაზეთის ყველა ქალაქი და რაიონი. აქციის მასშტაბებმა წონასწორობიდან გამოიყვანა სეპარატისტული წრეები. მათ მთავარ სამიზნედ იქცა აჩადარის სასოფლო საბჭოს აფხაზი თავმჯდომარე *ლეონიდე ოტირბა*, რომელსაც ღიად დასდეს ბრალი „აფხაზი ხალხის დალატში“ მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ხელმოწერით დაკანონდა მემორიალისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა. ყოველივე ეს დამთავრდა ტრაგედიით – ლ. ოტირბამ ვერ აიტანა ცილისმწამებლური კამპანია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამ მოვლენებს წინ უძღოდა მორიგი კრიზისი *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის* ირგვლივ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ამკარად არ ჩქარობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დავალების შესრულებას ფილიალისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის შესახებ. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ხელისუფლების უმოქმედობის გამო პროტესტის ნიშნად 26 მარტს შიმშილობა გამოაცხადა თსუ სოხუმის ფილიალის რექტორმა, პროფესორმა *ფელიქს ტყებუჩავამ*. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის მიერ გადადგმულმა ამ არაორდინარულმა ნაბიჯმა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში სერიოზული დაბნეულობა გამოიწვია. ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა სრული სოლიდარობა გამოუცხადეს თავიანთ რექტორს და ხელისუფლებას ახალი საპროტესტო აქციების დაწყებით დაემუქნენ. ხელისუფლება განსაკუთრებით დააფრთხობიან, რომ თსუ სოხუმის ფილიალის კოლექტივსა და მის ხელმძღვანელს აქტიუ-

რად დაუჭირეს მხარი ზვიად გამსახურდიამ და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებმა. შედეგად, სოხუმში იძულებულნი შეიქნენ, გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები ფილიალისთვის შენობის გამოსაყოფად. კერძოდ, მიიღეს გადაწყვეტილება, უმაღლესი სასწავლებლისათვის იჯარით გადაეცათ საწარმოო გაერთიანება „ორგ-ტენიკის“ ახალი შენობა მშვიდობის პროსპექტზე. ამით კრიზისი ამოიწურა (ვრცელად იხ. **Папаскири 3., 2012b**: 93-94).

ამასობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში სულ უფრო იძაბებოდა. ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები ერთიანად გამოდიოდნენ 1990 წ. 25 მარტს დანიშნული უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ. ერთადერთი ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც მხარს უჭერდა არჩევნების ჩატარებას, *საქართველოს სახალხო ფრონტი* იყო. სახალხო ფრონტისა და მისი ლიდერის *ნოდარ ნათაძის* ეს პოზიცია არ იყო ჯიუტი ახირება. ის პრაგმატული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ იმით, რომ იმ პერიოდში სახალხო ფრონტს საკმაოდ მაღალი პოლიტიკური რეიტინგი გააჩნდა და ფაქტობრივად მმართველი კომუნისტური პარტიის რეალურ ალტერნატივადაც მოიაზრებოდა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებასაც შეეძინდა ძალაუფლების დაკარგვის და მიზანშეწონილად ჩათვალა არჩევნების შემოდგომისათვის გადადება, რათა დარჩენილი დრო თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა.

მმართველი პოლიტიკური ელიტის ძალების მობილიზაციის მნიშვნელოვან ეტაპად განიხილებოდა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა, რომელიც 1990 წ. 15 მაისისთვის იყო დანიშნული. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა, როგორც უკვე აღინიშნა, იჩენდა კომუნისტური კონიუნქტურისათვის სრულიად გაუგონარ სითამამეს. მეტიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიამ საბოლოოდ თქვა უარი „კაცობრიობის ნათელი მომავლის – კომუნიზმის“ ამენებაზე და ფაქტობრივად ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პარტიად იქცა, რომელმაც მთავარ პოლიტიკურ მიზნად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

პრინციპული ცვლილება იქნა შეტანილი სკკპ ყრილობის დელეგატების არჩევის არსებულ წესში. ეს ცვლილება შეეხო ავტონომიური ფორმირებების პარტიულ ორგანიზაციებს. კერძოდ, თუ ადრე მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლეს პარტიულ ფორუმზე მოსახვედრად პარტიის წევრს უნდა გაველო არჩევნების პროცედურა შემდეგი სქემით – პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რაიონული (საქალაქო), საოლქო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციები, ამჯერად, ამ სქემიდან ამოვარდა საოლქო ორგანიზაცია. აფხაზეთის სინამდვილეში ეს ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი რამდენადმე „თამაშგარე მდგომარეობაში“ რჩებოდა და ბოლომდე ვერ ახერხებდა ზემდგომი პარტიული ინსტანციების – საქართველოს კომპარტიის, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის – ყრილობების დელეგატების არჩევის პროცესის გაკონტროლებას. მნიშვნელოვანი სიახლე იყო აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ყრილო-

ბის დელეგატების არჩევნები რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე შეიძლება ხდებოდეს ჩატარებულიყო ალტერნატიულ საწყისებზე.

ამ ნოვაციების გათვალისწინებით, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეროვნულ-პატრიოტული ძალების ზეწოლით რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე წარგზავნეს პარტიის ის წევრები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიცია ეკავათ. ამგვარი განწყობილება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ქ. სოსუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომლებზედაც საქალაქო კონფერენციის დელეგატებად აირჩიეს არაერთი „სხვაგვარად მოაზროვნე“ პარტიის წევრი. შედეგად, საქართველოს კომპარტიის სოსუმის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია უმართავი გახდა. განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევისას. პირველად უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, აფხაზეთის პარტიულმა ნომენკლატურამ ვერ შეძლო ამ დონის ძიების საკუთარი სცენარის მიხედვით წარმართვა. შედეგად ყრილობის დელეგატებს შორის მოხვდა რამდენიმე „სხვაგვარად მოაზროვნე“ დელეგატი.

მაგრამ დემოკრატიული ცენტრალიზმის – კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მონოლითურობის საფუძველთა საფუძვლის – მორყევამ აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში მოკალათებულ სეპარატისტულ ძალებსაც მისცა საშუალება, ემოქმედათ თვითნებურად. ასე, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციამ უშუალოდ (საქართველოს კომპარტიის ყრილობის გვერდის ავლით) სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებად აირჩია აფხაზეთი სეპარატიზმის ოდიოზური წარმომადგენლები: *კონსტანტინე ოზგანი* და *საიდ ტარკილი*. ამით გუდაუთის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი თავი ფაქტობრივად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გარეთ დაიყენა, რაც პარტიული დისციპლინის უხეშ დარღვევად ითვლებოდა.¹

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე აფხაზეთი დელეგატები, მთლიანობაში, საკმაოდ მშვიდად იქცეოდნენ, თუმცა ზოგიერთი დელეგატის მხრიდან მაინც იყო „სიტუაციის არევის“ უსუსური მცდელობა.² ყრილობამ დაამტკიცა სა-

¹ სეპარატისტთა ეს ავანტიურისტული დემარში კრახით დასრულდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ მაშინ შეძლო, ძირშივე აღეკვეთა ცალკეული აფხაზეთი კომუნისტების სეპარატისტული გამოხდომები. გივი გუმბარიძის კატეგორიული მოთხოვნით, სკკპ XXVIII ყრილობამ არ ცნო კ. ოზგანისა და ს. ტარკილის სადელეგატო უფლებამოსილებები და გამოსისტუმრა ისინი მოსკოვიდან. ამავე დროს, სკკპ XXVIII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა იგორ ლაკობამ, რომელიც ქვეყნის კომუნისტების უმაღლესი ფორუმის დელეგატად, არსებული წესების სრული დაცვით, სწორედ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე იქნა არჩეული.

² კერძოდ, ყრილობის დაწყების წინ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან გივი გუმბარიძესთან აფხაზეთის დელეგაციის შეხვედრისას. აღნიშნულ შეხვედრაზე ერთ-ერთმა დელეგატმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტე-

ქართველოს კომპარტიის ახალი პროგრამა და წესდება, აგრეთვე აირჩია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები. რაც შეეხება პარტიის ხელმძღვანელი სტრუქტურების არჩევას, ეს პროცედურა ყრილობის მეორე ეტაპისათვის გადაიდო, რომლის გამართვა დაიგეგმა სკკპ XXVIII ყრილობის დამთავრების შემდეგ. ყრილობამ ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. ერთადერთი, რამაც ერთგვარი დისონანსი შეიტანა ყრილობის მონაწილეთა საერთო პათოსში, იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის *ვლადიმერ ხიშბას* მოწოდება (არადა, ეს მან გააკეთა აფხაზეთის კომუნისტების სახელით), არ დაეყენებინათ ყრილობაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სკკპ-იდან გასვლის საკითხი, რომელსაც სვამდნენ ცალკეული რეგიონების პარტიული ლიდერები (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი *თემურ შაშიაშვილი*). მიუხედავად ამისა, ყრილობამ, ზოგადად, მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა აკონტროლებდა სიტუაციას აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში და ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული კომიტეტის აფხაზი ეროვნების პირველი მდივნები: *ვალერი ფილია* (გაგრა), *იგორ ლაკობა* (გუდაუთა), *სერგეი ბაგაფში* (ოჩამჩირე), *დავით ფილია* (ტყვარჩელი) იჩენდნენ სრულ ლოიალობას თბილისის მიმართ.

1990 წ. მაისში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განხეთქილებამ იჩინა თავი. 7 მაისს ეროვნული ფორუმი დატოვა რამდენიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ: *საქართველოს ჰელსინკის კავშირმა*, *წმიდა ილია მართლის საზოგადოებამ*, *სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ*, *მონარქისტულ-კონსერვატიულმა პარტიამ*. ამ ორგანიზაციებმა შექმნეს ერთიანი პოლიტიკური ბლოკი – „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო*“ (შველიძე, 2008: 89). შესაბამისად, ამ გაერთიანებათა აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციებმა ასევე დატოვეს ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი და დააფუძნეს „*მრგვალი მაგიდის*“ აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია. ეს იყო ცალკეულ ლიდერთა წინდაუხედავი ნაბიჯი, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა კონსოლიდაციის პროცესს აფხაზეთში.

ტის პრორექტორმა *ოლეგ დამენიამ* საქართველოს პარტიული ხელმძღვანელისაგან თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სათანადო განმარტებები სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო. გ. გუმბარიძეს დაჟინდა მთელი თავისი დიპლომატიური მოხერხებულობის გამოვლენა, რათა „დაეშოშმინებინა“ აფხაზი დელეგატი, მაგრამ „თავის მართლებისას“ მას ზედმეტი მოუვიდა, რამაც გამოიწვია პროტესტი ამჯერად უკვე ცალკეული ქართველი დელეგატების მხრიდან. ამან უკვე აიძულა საქართველოს პირველი პირი შეშვებოდა ო. დამენიას „დიპლომატიურ დამშვიდებას“ და კიდევ ერთხელ საჯაროდ დაედასტურებინა რესპუბლიკის პარლამენტის ზემოხსენებული გადაწყვეტილებების სისწორე და შეუქცევადობა.

მაგრამ ეს იყო მოგვიანებით. 1990 წ. მაისის განმავლობაში ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები ჯერ კიდევ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი პარტიული ფუნქციონერიც კი ჩაერთო ღიად საერთო-ეროვნულ მოძრაობაში. მათ შორის იყო *თამაზ ნადარეიშვილი*, რომელსაც მაშინ საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობა ეკავა. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მასზე მოაწყვეს თავდასხმა „*აიდელოარას*“ ახალგაზრდა „მოიერიშეებმა“ 1990 წ. 26 მაისს, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა გაგრის სტადიონზე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მრავალათასიანი მიტინგებითა და დემონსტრაციებით აღინიშნა აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც. გარდა ამისა, აფხაზეთის ცალკეულმა წარმოება-დაწესებულებებმა გამოიჩინეს ცნოველი ინტერესი ამ მოვლენისადმი და ითხოვეს მათთან განმარტებითი ლექცია-საუბრების ჩატარება 26 მაისის თემის ირგვლივ. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ჩატარდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელშიც, როგორც ცნობილია, ძირითადად რუსები და რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ.¹ რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი ლოიალური დამოკიდებულების გამომჟღავნებამ ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივებისადმი დააფრთხო სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები, რომლებმაც ამ დროიდან მკვეთრად გაააქტიურეს ანტიქართული პროპაგანდა აფხაზეთის რუსულენოვან მოსახლეობაში.

1990 წელი აღინიშნა სეპარატისტების ახალი შეტევით ისტორიოგრაფიულ ფრონტზე. ამ დროს გამოვიდა თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის *სტანისლავ ლაკობას* განმარტებული წიგნი: „*აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები*“ (*Лакоба С., 1990b*) რომელშიც ავტორი სრულიად უცერემონიოდ აყალბებდა XIX – XX ს. I მესამედის აფხაზეთის ისტორიას და საქართველოსა და ქართველებს ადანაშაულებდა აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში. მთავარი აქცენტი კეთდებოდა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ აფხაზეთში გატარებული „იმპერიული პოლიტიკის“ მხილებაზე. ამის პარალელურად კი, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამყარება 1921 წლის მარტში განიხილებოდა, როგორც „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და მმართველი მენშევიკური პარტიის რეპრესიული რეჟიმისაგან განთავისუფლება*“ (*Лакоба С., 1990b: 79; Червоная, 1993: 81*).

¹ აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება მოეწყო თვით ამ დაწესებულების ხელმძღვანელის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და ამავე დროს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრის *ბორის ლაპინის* ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით (*ჰაპასქირი, 2007: 273*).

ს. ლაკობა არ ყოფილა ერთადერთი, ვინც გაილაშქრა ქართველი მენშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში – გაზეთ „*Советская Абхазия*“-ში, მეტად მაღალფარდოვანი რუბრიკის ქვეშ „*დავიწყებას არ უქვემდებარება*“/„*Забвению не подлежит*“/, დაიბეჭდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის, ბაჯგურ საღარას წერილი მეტად მყვირალა სათაურით: „*ქართველი ოპრიჩნიკები აფხაზეთში*“ (Сагария, 1993: 69-84). ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ პროპაგანდაში აქტიურად ჩაერთო ფილოლოგი *ალექსეი პაპასკირი*, რომელსაც უკვე კარგა ხანი იყო, რაც თავი მოჰქონდა „დიდ ავტორიტეტად“ ისტორიულ მეცნიერებამაც და „ერთგულად“ იდგა „მშობლიური (აფხაზური) ისტორიის“ სადარაჯოზე. ამ ყოვლისმცოდნე ფილოლოგ-ისტორიკოსის „ღრმა მეცნიერული“ დაკვირვებით, თურმე არავითარი ნათესაობა ქართველებსა და აფხაზებს შორის არ არსებულა – აფხაზები მხოლოდ აღიღებს ენათესავებიან (ამის შესახებ იხ.: Червонная, 1993: 81-82).¹ ჩვენ არაერთხელ აღვვინიშნავს, რომ ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად (ზოგიერთი ისტორიკოსის გამოკლებით), სულაც არ უარყოფს აფხაზ-ადილთა სისხლით ნათესაობას, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ დღევანდელი აფხაზები უკლებლივ ერთიანად განეკუთვნებიან აფხაზურ-ადილურ ეთნიკურ სამყაროს – სრული უმეცრებაა. ყოველგვარი დაქვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელ აფხაზთა სულ ცოტა ნახევარი მაინც (თუ მეტი არა) გუშინდელი ქართველები (უმეტესწილად მეგრელები) არიან და მათ გენეტიკურად აბსოლუტურად არაფერი არ აკავშირებთ აფხაზ-ადილებთან. ეს დღესავით ნათელია ყველასათვის, მათ შორის, რასაკვირველია, ა. პაპასკირისთვისაც, რომლის ქართული (მეგრული) წარმომავლობის უარყოფა თვით მასაც კი არ ძალუძს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1990 წლის მეორე ნახევარში. 1990 წლის ზაფხული პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად „ცხელი“ გამოდგა. აფხაზური მხარე ძალზე შეამფოთა ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების „რევოლუციურმა განწყობამ“, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების დროს. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გააქტიურებას სეპარატისტებმა ახალი საპროტესტო აქციებით უპასუხეს. 28 მაისს აფხაზეთის სახალხო ფორუმის „*აიდგილარას*“ ინიციატივით შედგა აფხაზური საზოგადოების სახელდახელო შეკრება, რომელმაც აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივი შეცვლის მოთხოვნა დააყენა. მაინც რითი იყო გამოწვეული სეპარატისტების უკმაყოფილება და რატომ ითხოვდნენ ისინი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომას? იმისათვის, რომ ამ კითხვას გაეცეს პასუხი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგადად მიმოვიხილოთ აფხაზეთის უმაღლესი სახელისუფლო სტრუქტურების –

¹ მოგვიანებით ა. პაპასკირმა არათუ არ გააპროტესტა ს. ჩერვონნაიას რეპლიკა, არამედ კიდევ უფრო „დამაჯერებლად“ განმარტა თავისი ეს დასკვნა (Папаскир, 2003b).

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საქმიანობა დაწყებული 1989 წ. აპრილიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, 1989 წ. 18 მარტს ლიხნში გამართული ე.წ. „აფხაზთა თავყრილობის“ შემდეგ შექმნილი კრიზისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით განხორციელდა საკადრო გადაადგილებები აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე ბორის ადღეიბა შეცვალა ვლადიმერ ხიშბამ. მოგვიანებით, 15-16 ივლისის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნებით ქართველი ოთარ ზუხბაია, რომელიც ამავე დროს განთავისუფლებულ იქნა მთავრობის მეთაურის პოსტიდან. პლენუმმა ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ეროვნებით აფხაზის ვალერიან კობახიას მიმართაც, მაგრამ, ო. ზუხბაიასგან განსხვავებით, ის არ გაუთავისუფლებიათ სახელისუფლებო თანამდებობიდან – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობიდან.

9 აპრილის ტრაგედიისა და 1989 წ. მაისში სსრკ სახალხო დეპუტატების I ყრილობის დაწყების შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაწყებულმა დემოკრატიული განახლების პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პოლიტიკური სისტემის კრიზისი. კომუნისტურ პარტიას სულ უფრო უძნელდებოდა საბჭოთა საზოგადოების „ერთადერთი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის“ როლში გამოსვლა. ახალ რეალობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში 1989 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი შეფი გივი გუმბარიძე მოვიდა, მკვეთრად გამოხატული ლიბერალური პოლიტიკის გატარება დაიწყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ამ ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ერთდროულად „ორ ცეცხლს“ შუა მოექცა. ერთი მხრივ, მას უტევდნენ „ლენინური პრინციპების“ ერთგული აფხაზი კომუნისტები და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ ვლადიმერ ხიშბასაგან პრინციპული პარტიული კურსის გატარებას და „ქართველ ექსტრემისტთა“ „ნაციონალისტური“ გამოსვლების აღკვეთას. მეორე მხრივ, ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები არანაკლებ კატეგორიულად აყენებდნენ აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ლიდერთა პასუხისმგებლობის საკითხს.

ამასთან, „აიდგილარა“ და სეპარატისტული ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ, ექციათ აფხაზეთის ახალი პარტიული ლიდერი თავიანთ კრეატურად, მაგრამ მათი ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ვლადიმერ ხიშბა არ აღმოჩნდა სეპარატისტული მენტალიტეტის მქონე პიროვნება და ის, მეტნაკლებად, ბოლომდე ერთგული დარჩა ქართულ-აფხაზური ერთობისა. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ

მოიპოვა მან ავტორიტეტი აფხაზურ მოსახლეობაში, რომელიც მას, როგორც „თბილისის კაცს“, რამდენადმე უნდობლობას უცხადებდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვ. ხიშბას, მიუხედავად შინაგანი პიროვნული კეთილშობილებისა და წესიერებისა, არ აღმოაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ფიგურისათვის ესოდენ საჭირო თვისებები – რისკზე წასვლისა და კრიტიკულ სიტუაციაში მტკიცე გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა 15-16 ივლისის ტრაგიკულ დღეებში, როდესაც მან სრული უმწეობა გამოავლინა და ვერ შეძლო მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება.

აფხაზეთის ხელისუფლების ავტორიტეტზე ვერ იქონია პოზიტიური გავლენა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, იმჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გივი ანჩაბაძის დანიშვნამ. პირველ რიგში, მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა ქართული მხარე. ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ გ. ანჩაბაძე, ასრულებდა რა აფხაზეთის ასსრ-ის მთავრობის მეთაურის მოვალეობას, ამავე დროს, ინარჩუნებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაღალ პოსტსაც და რჩებოდა ცკ-ის ბიუროს წევრად. ანუ საქართველოს პარტიულ იერარქიაში გ. ანჩაბაძე იდგა უფრო მაღლა, ვიდრე თვით ვ. ხიშბა. აქედან გამომდინარე, ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სავსებით დასაბუთებულად, მისგან მეტ ინიციატივასა და გადამჭრელ ქმედებებს ითხოვდნენ, მაგრამ არც გ. ანჩაბაძეს აღმოაჩნდა მებრძოლი ხასიათი და მას არც უცდია პოლიტიკური ინიციატივის ხელში აღება.

1989 წ. 15-16 ივლისის მოვლენების შემდეგ სრულიად პარალიზებული იყო აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვალერიან კობახია, რომელზეც, ერთი პერიოდი, დიდ იმედებს ამყარებდნენ სეპარატისტები, მას შემდეგ, რაც ის გამოიყვანეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან, მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა თავის პოსტს და რეალურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკურ პროცესებზე.

ამრიგად, ხელისუფლების კრიზისი აფხაზეთში, რომელიც დაიწყო 1989 წ. 18 მარტის შემდეგ, 1990 წ. ზაფხულისათვის, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ამან განაპირობა სეპარატისტული ძალების ახალი გააქტიურება. 1990 წ. აგვისტოს დასაწყისში „აიდგილარას“ ზეწოლით აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის ერთი ნაწილი უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. ამ სესიას სეპარატისტების დაკვეთით უნდა განეხილა საკითხი: „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის გარანტიების შესახებ“ და მიეღო დეკლარაცია: „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (და არა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ – **ზ.3.**) სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. 3 აგვისტოს ჩატარდა უმაღლესი საბჭოს მოწვევისადმი მიძღვნილი პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც პრეზიდიუმის ქართ-

ველმა წევრებმა გააპროტესტეს სესიის მუშაობის წარმოდგენილი დღის წესრიგი და წამოაყენეს წინადადება, სესიაზე განეხილათ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. ამასთან, ქართველი დეპუტატები გამოვიდნენ ინიციატივით, შეემუშავებინათ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დაძაბულობის მოხსნას ავტონომიურ რესპუბლიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას, მაგრამ აფხაზურმა მხარემ უარყო ეს წინადადებები და კატეგორიულად მოითხოვა აფხაზეთის „სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტთან“ დაკავშირებული საკითხების განხილვა.

აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის“ საკითხის წინა პლანზე წამოწევა მაინცდამაინც 1990 წ. ზაფხულში სულაც არ იყო შემთხვევითი. სეპარატისტები შეშფოთებით აკვირდებოდნენ თბილისში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. კერძოდ, ისინი არ შეიძლებოდა არ დაეფიქრებინათ ქართული საზოგადოების ერთსულოვან სწრაფვას საქართველოს სსრ-ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. თავის მხრივ, არც კრემლის რეჟიმი იყო გულხელდაკრეფილი და დგამდა კიდევ კონკრეტულ პრევენციულ ნაბიჯებს საქართველოს ურჩი ხელმძღვანელობის შესაჩერებლად. სწორედ ასეთ ქმედებად უნდა განვიხილოთ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა აშკარად პროვოკაციული დღის წესრიგით.

ქართული მხარე იმთავითვე შეუდგა კონტრზომების მიღებას. 23 აგვისტოს ქართული ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების ინიციატივით შედგა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საფეხურის დეპუტატთა (სულ 582 დეპუტატი) შეკრება, რომლის მონაწილეებმა აფხაზ კოლეგებს მოუწოდეს, არ ჩაეტარებინათ უმაღლესი საბჭოს სესია პროვოკაციული დღის წესრიგით, მაგრამ ქართული მხარის ყველა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ხელმძღვანელობამ მაინც შეძლო „სესიის“ მოწვევა 1990 წ. 25 აგვისტოს. ამაში მათ ოდნავადაც არ შეუშალა ხელი იმ აუცილებელმა პირობამ, როგორცაა კვორუმი – „სესიის“ მუშაობაში მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის 138 დეპუტატიდან მხოლოდ 68-მა პარლამენტარმა (ანუ ნახევარზე ნაკლებმა) მიიღო. ეს იყო დასაწყისი იმ სამართლებრივი თარეშისა აფხაზი სეპარატისტების მხრიდან, რომელმაც აპოგეას ორი წლის შემდეგ, 1992 წ. 23 ივლისს მიაღწია, როდესაც უკვე ახლადარჩეული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრთამ, იურიდიული ნორმების სრული უგულვებლყოფით, გააუქმა აფხაზეთის ასსრ-ის მოქმედი (1978 წ.) კონსტიტუცია და მიიღო ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია“.

„სესიაზე“ მოხსენებით „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვალერიან კობახია. როგორც მოხსენება, ისე „სესიის“ მიერ მიღებული დადგენილება, იყო მორიგი მცდელობა, ისტორიული ფაქტების უხეში ფალსიფიკაციის გზით, საზოგადოებისათვის თავს მოეხვიათ სრულიად

ყალბი და დაუსაბუთებელი თეზისი იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არასოდეს არაფერი არ აკავშირებდა საქართველოსთან და რომ აფხაზ ხალხს აქვს მონოპოლიური უფლება თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი (**Важная вежа, 2002**; ქართული თარგმანი იხ.: **რეგიონული კონფლიქტები, 2005**: 30-32).

აფხაზი დეპუტატები, რომელთაგან სულ ცოტა ნახევარი მაინც ქართულ (მეგრულ) გვარს ატარებდა (მათ შორის, პირველ რიგში, თვით ვ. კობახია), ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ურცხვად აცხადებდნენ, რომ ქართველები აფხაზეთში კომპაქტურად ცხოვრობდნენ მხოლოდ XIX ს. II ნახევრიდან. მათი მტკიცებით, თურმე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ძალით მიუერთებია აფხაზეთი. ამავე დროს, აფხაზეთის ერთადერთი კანონიერი ორგანოს – 1919 წლის გაზაფხულზე არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს მართლაც ძალადობრივი დამხობა მეზობელი სახელმწიფოს ბოლშევიკური რუსეთის IX არმიის ნაწილების მიერ და ამ გზით (1921 წ. მარტში) „შექმნილი“ ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ცხადდებოდა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ერთადერთ კანონიერ ფორმად, რომელიც თურმე გამოხატავდა „აფხაზეთის ხალხების თავისუფალ ნებას“ (**Важная вежа, 2002**; **რეგიონული კონფლიქტები, 2005**: 32).

„სესიის“ მიერ მიღებული დადგენილების დასკვნით ნაწილში აფხაზეთი რატომღაც ცხადდებოდა 1922 წ. 30 დეკემბერს შექმნილი საბჭოთა ფედერაციის – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის – სუბიექტად, მაშინ, როდესაც, იმ პერიოდში, აღნიშნულ ფედერაციაში უშუალოდ არ იყო გაწევრიანებული თვით საქართველოს სსრ-ც კი, რომლის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსით შედიოდა აფხაზეთის სსრ. ამ სიყალბეს გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა: ამით სეპარატისტები ცდილობდნენ „ისტორიულად დაესაბუთებინათ“ მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აფხაზეთს სსრ კავშირის სხვა სუბიექტებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესამუშავებლად მიმდინარე კონსულტაციებში (**Важная вежа, 2002**; **რეგიონული კონფლიქტები, 2005**: 32). კიდევ უფრო გამომწვევი იყო ე.წ. „დეკლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. ხაზს ვუსვამთ არა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“, არამედ „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“. მასში სრულიად უაპელაციოდ გაცხადებული იყო, რომ აფხაზეთი სსრ-ის უმაღლესი საბჭო, გამოხატავს რა ხალხის ნებას, ახორციელებს აფხაზი ერის თვითგამორკვევის ხელშეუვალ უფლებას და საზეიმოდ აცხადებს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს (**Важная вежа, 2002**; **რეგიონული კონფლიქტები, 2005**: 32-33).

აი, ასეთი ისტორიულ-სამართლებრივი „შედევრით“ ისახელა თავი ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს X სესიამ“. ოფიციალური თბილისი ოპერატიულად გამოეხმაურა აფხაზი „კანონმდებლების“ ამ თავხედურ დემარშს. 1990 წ. 26 აგვის-

ტოს, შედგა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, რომელზეც მიეცა შეფასება ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს X სესიის“ გადაწყვეტილებებს. დადგენილებაში სრულიად გარკვევით იყო აღნიშნული, რომ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს „სესიაზე“ მიღებული „ოფიციალური დოკუმენტები“ სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა „საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის“ უსაფუძვლო ცდას „და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას“. აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს“ 1990 წ. 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოაცხადა „ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 34-35).

ე.წ. „X სესიის“ გადაწყვეტილებებს სწორი და დასაბუთებული ისტორიულ-სამართლებრივი შეფასება მიეცა 1990 წ. 31 აგვისტოს, უკვე რეგლამენტის სრული დაცვით მოწვეულ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. სესიას, რომელიც ჩატარდა საქართველოს სუბტროპიკული მურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, დაესწრო 72 დეპუტატი (138-დან), ანუ ნახევარზე მეტი. მოხსენებით „აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მათე სესიის შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლობაია. სესიამ ოფიციალურად გააუქმა 1990 წ. 25 აგვისტოს აფხაზური მხარის მიერ მოწვეული ე.წ. „სესიის“ დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“, „როგორც ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო და იურიდიულად დაუსაბუთებელი“ დოკუმენტი, რომელიც „არღვევს საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ მთლიანობას“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 35-36).

ამასობაში, ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, პირველ რიგში კი, „მეამბოხე“ საქართველოში, ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერებით შემფოთებულმა მოსკოვმა გადადგა ახალი ნაბიჯები ამ რესპუბლიკების წინააღმდეგ ფართო ფრონტის შესაქმნელად. ამ მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ინიციატივით, 1990 წ. 22 სექტემბერს მოსკოვში მოწვეულ იქნა ე.წ. „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების და საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა I ყრილობა“, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა „ავტონომიებისა“ და „სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების“ „განსაკუთრებული აზრის“ შემუშავება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება არ შეუერთდებოდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას (Червоная, 1993: 93).

ამ ყრილობაზე ერთგვარი „პირველი ვიოლინოს“ როლის შესრულება ცენტრმა აფხაზი სეპარატისტების მომავალ ბელადს ვლადისლავ არძინბას დააკისრა, რომელსაც იმჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკე-

ბის, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახელმწიფო და სამართლებრივი სტატუსის ქვეკომისიის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა და ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურის, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ლუკინოვის ფავორიტად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ერგო მას „პატივი“, პირველი გამოსულიყო სიტყვით ყრილობაზე (სსრ კავშირისა და რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოების ეროვნებათა პალატების თავმჯდომარეების – რაფიკ ნიშანოვისა და რამაზან აბდულატიპოვის შემდეგ). აფხაზური დელეგაცია ყრილობაზე წარმოადგენდა ერთგვარ „დამრტყმელ ძალას“, რომელსაც უნდა „გეთრია“ ახალი „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ იდეა.¹

მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, კრემლის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა მოკავშირე რესპუბლიკებში მისი უშუალო წაქეზებით შექმნილი „ინტერფრონტების“ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად გადაქცევა და სსრ კავშირის დეზინტეგრაციის პროცესი სულ უფრო შეუქცევადი გახდა. მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც, მიმდინარეობდა გამალებული მზადება პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად. 1990 წ. 18 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, თუმცა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხმა საზოგადოებაში მაინც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ცალკეული პოლიტიკური პარტიები: *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*, *საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია* და სხვ. გამოვიდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს 28 ოქტომბრისათვის დანიშნული არჩევნების ბოიკოტის ინიციატივით და მოუწოდეს მოსახლეობას, მიეღოთ მონაწილეობა ალტერნატიული ორგანოს – *ეროვნული კონგრესის* არჩევნებში.

1990 წ. 30 სექტემბერს მართლაც ჩატარდა *საქართველოს ეროვნული კონგრესის* არჩევნები. ჩატარდა ის მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, აფხაზეთში, სადაც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა *ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი*. სეპარატისტულმა ძალებმა მოუწოდეს თავიანთ თანამემამულეებს, არ

¹ ამ თვალსაზრისით, რად დირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავარ მომხსენებლად თემაზე: „სამოკავშირეო ხელშეკრულება და სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პერსპექტივები“/ „Союзный договор и перспективы национально-государственного устройства СССР“/ მოგვევლინა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ქეცა. აფხაზეთის სსრ-ის (და არა ასსრ-ის) მეორე წარმომადგენელმა იგორ ახბამ კი მიიღო ყრილობის მიერ შექმნილი „*ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების* (ე.ი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და ოკრუგების) და *საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა ასოციაციის*“ საქმეთა მმართველის მაღალი ჰოსტი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ასოციაციის სათავეში მოექცა, არა სხვა ვინმე, არამედ „კაკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ თავმჯდომარე მუსა შანიბოვი, რომელმაც ამავე დროს თანამდებობაც შეინარჩუნა (**Червоная, 1993: 93**).

მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში, თუმცა მათ არ შეუძლიათ ხელი თვით ამ არჩევნების ჩატარებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სეპარატისტები ამით აშკარად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ქართულ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში არსებული წინააღმდეგობები.

1990 წ. 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები ტარდებოდა როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით. მასში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა: „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ*“, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია იდგა. ამ ბლოკს ხმა მისცა ამომრჩეველთა თითქმის 56%-მა, მეორე ადგილზე გასულ საქართველოს კომუნისტურ პარტიას კი – ამომრჩეველთა მხოლოდ 24%-მა. სხვა პარტიებმა და ბლოკებმა ვერ გადალახეს 4%-იანი ბარიერი და პარლამენტს მიღმა აღმოჩნდნენ. „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს*“ საარჩევნო ბლოკმა მოიგო არჩევნები მაჟორიტარულ ოლქებშიც.

გამარჯვებულმა ბლოკმა დიდ წარმატებას მიაღწია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოვლინდა მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. გარდა *თამაზ ნადარეიშვილისა*, რომელიც თავისი მაღალი პარტიული თანამდებობის მიუხედავად (იმ დროს ის საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო), კენჭს დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა, ვერც ერთმა პარტიულმა ფუნქციონერმა ვერ შეძლო თავის საარჩევნო ოლქში გამარჯვება. სულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულ იქნა 16 დეპუტატი, აქედან მაჟორიტარული სისტემით – 10.¹

აფხაზეთში მოსახლეობამ „*აიღგილარას*“ მოწოდებით საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ სეპარატისტებმა არჩევნების ჩაშლა მხოლოდ ორ საარჩევნო ოლქში – გუდაუთის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში – მოახერხეს. აქტიურად მიმდინარეობდა იმ აფხაზი მოღვაწეების დისკრედიტაცია აფხაზეთი მოსახლეობის თვალში, რომლებმაც მოინდომეს ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. ასეთ ვითარებაში, ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაუძლო მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ცილისმწამებლურ კამპანიას და ჩამოსცილდა საარჩევნო მარათონს. ამავე დროს, ვერ გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფე იმ პარტიებმაც, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. სამწუხაროდ, მათ სიებში არ აღმოჩნდა ადგილი

¹ ნუგზარ მგალობლიშვილი, *თემურ ღორთქიფანიძე, დიმიტრი ქებურია* (ქ. სოხუმი), *ჯემალ საჯაია* (სოხუმის რ-ნი), *თამაზ ნადარეიშვილი, ვლადიმერ ჯოლოგუა* (გაგრა), *ველოდი მირცხულავა* (გულრიფში), *გიორგი სუბელიანი* (ოჩამჩირე), *ჯემალ შონია, ედიმერ ჯანჯულია* (გალი). აფხაზეთიდან პროპორციული სიით პარლამენტში მოხვდნენ: *ზვიად ნადარეიშვილი, თემურ მკავია, მანანა ძოძუაშვილი, რევაზ კეჭულარია* („*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო*“); *რევაზ სალუქვაძე, გოგი ქავთარაძე* (საქართველოს კომუნისტური პარტია).

აფხაზი ეროვნების კანდიდატებისთვის. შედეგად, 1990 წ. 28 ოქტომბერს არჩეულ საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, პირველად ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, არ იყო არც ერთი ეროვნებით აფხაზი დეპუტატი. ეს იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის სერიოზული შეცდომა.

1990 წ. 14 ნოემბერს გაიმართა ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს I სესია, რომელმაც თავმჯდომარედ – ფაქტობრივად რესპუბლიკის მეთაურად – გამარჯვებული ბლოკის „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს*“ ლიდერი ზვიად გამსახურდია აირჩია. საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის წინაშე ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ავტონომიურ ფორმირებებში კრიზისული სიტუაციის განმუხტვა იდგა. 1990 წ. შემოდგომაზე განსაკუთრებით გამწვავებული ვითარება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც სეპარატისტებმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის დანარჩენი საქართველოსაგან მოსაწყვეტად. 20 სექტემბერს, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პირობებში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახალხო დეპუტატების მეოცე მოწვევის საოლქო საბჭოს მე-14 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „*სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად*“ გარდაქმნის შესახებ. ამავე დროს, სესიამ დაადგინა, მიემართათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის სსრ კავშირის შემადგენლობაში ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად „*სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის*“ მიღების თაობაზე. ამავე სესიამ მიიღო აგრეთვე „*დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ*“, რომელშიც „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“ ცხადდებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში, ხოლო ამ „ახლადგამომცხვარი“ სუვერენული „სახელმწიფოს“ გარანტად მიჩნეული იყო სსრ კავშირისა და „*სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის*“ კონსტიტუციები (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 37-40). ამგვარად, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს მე-14 სესიის გადაწყვეტილებებით, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ფაქტობრივად გამოყვანილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სივრციდან.

საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლვე, უკვე 21 სექტემბერს, მოახდინა რეაგირება სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს მე-14 სესიის გადაწყვეტილებებზე სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ და გამოაცხადა ისინი „*ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ*“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 40), მაგრამ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ახალმა ხელმძღვანელობამ, *ტორეზ კულუმბეკოვის* მეთაურობით, თავის მხრივ, დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებების „კანონიერება“. უფრო მეტიც, 16 ოქტომბერს უკვე „*სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის*“ სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 (?!) სესიამ არაუფლებამოსილად ცნო „*საარჩევნო ოლქებისა და უბნების ფუნქციონირება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში*“ (რე-

გიონული კონფლიქტები, 2005: 41-42). 1990 წ. 22 ნოემბერს უკვე ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა ცხინვალის სეპარატისტული ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოუწოდა რეგიონის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ოსი ეროვნების მოქალაქეებს, გამოეჩინათ „*კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფხიზლე და სწორად*“ შეეფასებინათ „*სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც*“ შეიძლებოდა მოჰყოლოდა „საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად საშიში შედეგები“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 42-43).**

ასეთ რთულ სიტუაციაში საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა წავიდა აბსოლუტურად მოულოდნელ და არაორდინარულ ნაბიჯზე. ზვიად გამსახურდიამ თანხმობა მისცა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ანუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს პირად სეპარატისტული ბანაკის ყველაზე ოდიოზური ლიდერის ვლადისლავ არძინბას არჩევაზე. მაინც რითი იყო ოდიოზური ვ. არძინბას პიროვნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, მოკლედ გავაღვეწოთ თვალი აფხაზი სეპარატისტების მომავალი ბელადის ცხოვრებისეულ გზას 1990 წ. დეკემბრამდე.

ვლადისლავ არძინბამ, დაბადებულმა 1945 წელს, პირველი „საბრძოლო ნათლობა“ სეპარატისტულ ასპარეზზე *სოხუმის სახელმწიფო ჰედაგოგიური ინსტიტუტის* ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას მიიღო, სადაც ის, მისივე ამხანაგების დაკვირვებით, თითქმის ღიად ამჟღავნებდა სიძულვილს საქართველოსა და ქართველების მიმართ. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. არძინბამ სწავლა მოსკოვში, *სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის* ასპირანტურაში (მცირე აზიის ძველი ისტორიის პროფილით) განაგრძო. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ის იმავე ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად დატოვეს. პირველ ხანებში მას ჰქონდა გარკვეული სიძნელებები სამსახურში და ამის თაობაზე არაერთხელ დაუჩივლია კიდეც თავის ქართველ კოლეგებთან (აკადემიკოსები *ნანა ხაზარაძე, გრიგოლ გიორგაძე*). უფრო მეტიც, იმ ეტაპზე, ვ. არძინბას თავი დისიდენტადაც კი მოჰქონდა, რომელსაც თითქოს საბჭოთა რეჟიმი დევნიდა.

გარეგნულად ეს, ერთი შეხედვით, გარკვეულწილად სიმართლესაც კი წაგავდა, რადგან ყოფილა შემთხვევა, როდესაც ის საზღვარგარეთ, საერთაშორისო სიმპოზიუმზე არ გაუშვიათ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მის მიმართ არცთუ კეთილად იყო განწყობილი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი (შემდგომში ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, XX ს. 90-იან წლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი, მოგვიანებით კი მთავრობის თავმჯდომარე), აკადემიკოსი *ევენი პრიმაკოვი*. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო ვერ გაბედა ვ. არძინბამ თავისი სადოქტორო დისერტაციის წარდგენა დასაცავად მოსკოვში და შველა ქართველ კოლეგებს სთხოვა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, აფხაზ მეცნიერს, რომელსაც, მისივე აღიარებით, „ველიკოროსი შოვინისტები“ დევ-

ნიდნენ, ქართველმა მეცნიერებმა უშურველად გაუწოდეს დახმარების ხელი. ის სახელდახელოდ ჩამოიყვანეს თბილისში და სახელმწიფო უნივერსიტეტში უპრობლემოდ დააცვევინეს სადოქტორო დისერტაცია.¹

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ, როგორც ჩანს, ვ. არძინბამ უკვე შეძლო საერთო ენის გამონახვა შესაბამის სპეცსამსახურებთან და მალე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სექტორის გამგის თანამდებობა დაიკავა. ამ დროიდან ის უკვე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ერთგული მსახური გახდა. 1988 წ. გაზაფხულზე გარდაიცვალა გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გიორგი ძიძარია. ამით ისარგებლეს სეპარატისტებმა და ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ვ. არძინბას კანდიდატურა წამოაყენეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ხეთოლოგი ვ. არძინბა საკმაოდ შორს იყო აფხაზმცოდნეობისაგან და, ბუნებრივია, დ. გულიას სახელობის ინსტიტუტის პროფილს სრულიადაც არ შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა, სეპარატისტული წრეები, რომელთა გავლენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაზე საკმაოზე დიდი იყო, კატეგორიულად მოითხოვდნენ ვ. არძინბას დანიშვნას აფხაზმცოდნეობის სფეროში უმაღლეს სამეცნიერო თანამდებობაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა (მის პრეროგატივას ოფიციალურად წარმოადგენდა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტის დირექტორის დანიშვნა), გაითვალისწინა აფხაზური მხარის თხოვნა და დაამტკიცა ვ. არძინბა დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტი, რომელიც ვ. არძინბამ დაიკავა, აფხაზეთში ყველაზე საპატიო აკადემიურ თანამდებობაა.

¹ აღსანიშნავია, რომ ვლადისლავ არძინბა თავის მოგონებებში, მართალია, არ მალავს, რომ ე. პრიმაკოვი დიდ ხანს არ აძლევდა მას დახასიათებას, რის გამოც ხელი ეშლებოდა სადოქტორო დისერტაციის დაცვაში, მაგრამ ამას ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს გამოწვეული იყო თბილისის ზეწოლით. ბოლოს, ინსტიტუტის დირექტორს მაინც მოუწერია ხელი დახასიათებისათვის, რამაც მას გზა გაუხსნა დაცვისაკენ (Арძინба, 2018: 368). ყველაზე საგულისხმო ამ ნაამბობში ისაა, რომ ვ. არძინბა კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ მან სადოქტორო დისერტაცია რატომღაც დაიცვა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა არა მოსკოვში, არამედ სწორედ თბილისში – სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამაზე უღირსი საქციელი მართლაც ძნელი წარმოსადგენია. სხვათა შორის, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის „პირველი პრეზიდენტის“ ეს „საიდუმლო“ (რომელიც ისედაც ყველამ იცოდა) მოულოდნელად „გასცა“ მისმა ნათესავმა და თანამებრძოლმა, ერთ დროს სოხუმის „მთავრობის“ თავმჯდომარემ ანრი ჯერგენიამ, რომელმაც საგაზეთო პუბლიკაციაში საკმაოდ დაწვრილებით გადმოსცა ვ. არძინბას სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული პერიპეტეები (Джергения, 2019).

დებობად ითვლებოდა. თავისი რეიტინგით აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორი არაფრით არ ჩამორჩებოდა თვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და საზოგადოებაში მას ფაქტობრივად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აღიქვამდნენ. გარდა ამისა, ამ თანამდებობას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ასე, მაგალითად, გიორგი ძიძარია, დირექტორობის პერიოდში, ორჯერ იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1975 წლიდან უცვლელად ასრულებდა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.¹

3. არძინბა, აფხაზეთის მთავარი აკადემიური დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშნვისთანავე, არჩეულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1989 წ. გაზაფხულზე ის უკვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატიც (გუდაუთის რაიონიდან) გახდა. სწორედ ამ დროიდან იწყება სეპარატისტების მომავალი ბელადის პოლიტიკური კარიერა. ქვეყნის უმაღლეს ორგანოში – სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში (ეროვნებათა პალატაში), 3. არძინბა შეუერთდა სახალხო დეპუტატების ყველაზე რეაქციულ ფრთას – ჯგუფ „სოიუზს“.² ამ ჯგუფის მთავარ „დამრტყმელ“ ძალად იქცნენ ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები: *მენტიმირ შაიშიევი* (თათრეთის ასსრ), *საჟი უმაღალთოვა* (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ) და *ვლადისლავ არძინბა* (აფხაზეთის ასსრ). ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ 3. არძინბა აირჩიეს უმაღლესი საბჭოს ქვეკომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა კანონპროექტების მომზადება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

3. არძინბას ეს „პატივი“ ერგო იმ ანტიქართული ისტერიკისათვის, რომელიც მან არაერთხელ ატეხა როგორც სახალხო დეპუტატების ყრილობაზე, ისე უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოსვლისას. სწორედ ის და მეორე აფხაზი დეპუტატი, *ტარას შამბა*, აგრეთვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენელი, *ანატოლი ჩეხოვი* იდგნენ ანტიქართული კამპანიის ავანგარდში და ადანაშაულებდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედ-

¹ მართალია, „დიდ პოლიტიკაში“ ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელად უმაღლესი საბჭოს **პრეზიდენტის** თავმჯდომარე და არა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რომლის ფუნქცია მხოლოდ წელიწადში ორჯერ (საგანგებო შემთხვევის გარდა) სესიის სპიკერობით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ის, ფორმალურად, მაინც შედიოდა პოლიტიკურ ელიტაში და, რაც მთავარია, ადგილობრივი უმაღლესი პარტიული ორგანოს – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის – წევრიც იყო.

² როგორც ცნობილია, ეს ჯგუფი აერთიანებდა კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმისა და საბჭოური იმპერიის შენარჩუნების ყველაზე აქტიურ მომხრეებს. ამ ჯგუფის გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩეული *მიხეილ გორბაჩოვი* უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე *ანატოლი ლუკინოვმა* შეცვალა.

ბებში. აი, ამის გამო იქცა ვ. არძინბა „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ კანონის მთავარი შემოქმედის, ანატოლი ლუკიანოვის ფავორიტად.

ეს ყოველივე ცნობილი იყო საქართველოს ახალი ხელმძღვანელობისთვის. მიუხედავად ამისა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ წარმოქმნილი სერიოზული პრობლემების ფონზე იყო „მეორე ფრონტის“ გახსნის საშიშროება აფხაზეთში. ამან უბიძგა ზ. გამსახურდიას, მიედო რამდენადმე სარისკო საკადრო გადაწყვეტილება და დათანხმებოდა ვლადისლავ არძინბას „არჩევას“ აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობაზე ვ. არძინბას – იმჟამად აფხაზეთა შორის მართლაც ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსის – კანდიდატურა თავდაპირველად განხილულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების ჯგუფში. ის ქართველი დეპუტატები, რომლებიც გამოდიოდნენ ვ. არძინბას გაპირველკაცების ინიციატივით, თავიანთ პოზიციას ამართლებდნენ იმით, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, სსრ კავშირის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სეპარატისტები მოახერხებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებას და ისედაც გაიყვანდნენ ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთი სიტყვით, რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული მხარე, ერთგვარად „ჩათრევას ჩაყოლას“ ამჯობინებდა.¹

ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მოლაპარაკებებზე წასვლის წინ ქართული მხარე სულაც არ ფიქრობდა რაიმე დამცავ მექანიზმებზე და ფაქტობრივად ხელს აწერდა სრულ კაპიტულაციას სეპარატისტების წინაშე. ამგვარ მექანიზმად განიხილებოდა ბორის ადლეიბას დაბრუნება დიდ პოლიტიკაში, მისი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად (ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის პარალელურად) ხელახალი დანიშვნის გზით. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წ. 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის რეიტინგი ფაქ-

¹ ქართული დეპუტაციის ეს პოზიცია როგორც მაშინ, ისე, მით უფრო, დღევანდელი გადასახელიდან, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს. პირველ რიგში, გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევდნენ ვ. არძინბას კანდიდატურის წამოყენების ინიციატორი ქართველი პოლიტიკოსები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს იმთავითვე წაგებულად მაშინ, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქართველობა შეადგენდა და, რაც მთავარია, **8 ადმინისტრაციული ერთეულიდან 5-ში** (მათ შორის, ისე მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, როგორიცაა ქ. სოხუმი და გალის რ-ნი) **სიტუაციას ძირითადად ქართველები აკონტროლებდნენ.** ვ. არძინბას აფხაზეთის ასსრ-ის ლიდერად არჩევის ერთადერთ გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული მხარის კეთილი ნება, პრინციპული დათმობის გზით მოენახა საერთო ენა აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის მესვეურებთან და ამით უზრუნველყო აფხაზური მოსახლეობის ლოიალური განწყობა საქართველოს სახელმწიფოსადმი, სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე დაგეგმილი საკავშირო რეფერენდუმის წინ.

ტობრივად ნულის ტოლი გახდა, აფხაზეთის ასსრ-ში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და საოლქო კომიტეტი მაინც ითვლებოდა წარმმართველ პოლიტიკურ ძალად და მას ხელისუფლების ბერკეტები მეტნაკლებად შენარჩუნებული ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ბ. ადღეიბას პიროვნებას, რომლის ავტორიტეტი ავტონომიურ რესპუბლიკაში (როგორც აფხაზურ მოსახლეობაში, ისე ქართველებში) საკმაოდ მაღალი იყო და რომელსაც ამ დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის მანდატიც ჰქონდა, ნამდვილად შეეძლო სიტუაციის ერთგვარი დაბალანსება და, საჭიროების შემთხვევაში, ვ. არძინბას ერთპიროვნული მმართველობის კონტროლიც კი, მაგრამ, უკანასკნელ მომენტში, აფხაზური მხარე არ წავიდა ამგვარ პოლიტიკურ როლზე. თავის მხრივ, ზ. გამსახურდიამაც, აფხაზეთში კომუნისტური პარტიის შესაძლო მომძლავრების შიშით, უარი თქვა ბ. ადღეიბას დაბრუნებაზე აქტიურ პოლიტიკაში.

1990 წ. 4 დეკემბერს სოხუმში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისით იყო გამოწვეული, გაიმართა *აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს* სესია, სრული შემადგენლობით. სესიაზე *ვლადისლავ არძინბა* ერთხმად აირჩიეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე დროს, შეტანილ იქნა ცვლილებები აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში. ამ სესიის პოზიტიურ მომენტად უთუოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აფხაზურმა მხარემ ფაქტობრივად მოახდინა 1990 წ. 25 აგვისტოს ჩატარებული ე.წ. „სესიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დეზავუირება, ვინაიდან ეს ფორუმში ტარდებოდა როგორც *აფხაზეთის ავტონომიური* (ხაზს ვუსვამთ – **ავტონომიური**) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (და არა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის) უმაღლესი საბჭოს სესია. ამით სეპარატისტთა მცდელობა, ცალმხრივად შეეცვალათ აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მათ განახორციელეს 1990 წლის 25 აგვისტოს, ჩაიფუშა. ეს იყო ერთადერთი წინგადადგმული ნაბიჯი ამ სესიაზე.

და მაინც, როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ვ. არძინბას კანდიდატურისადმი? უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დღემდე იწვევს ანალიტიკოსებში აზრთა სხვადასხვაობას. ერთნი საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯს, მოცემულ სიტუაციაში, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ. სხვები, პირიქით, ვ. არძინბასთვის ერთგვარი „კარტლანშის“ მიცემას ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ შეცდომად აღიქვამენ. ჩვენი აზრით, მიუხედავად საქართველოში არსებული საკმაოდ რთული ვითარებისა, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი კრიზისით იყო გამოწვეული, სიტუაცია აფხაზეთში არ იყო იმდენად კრიტიკული, რომ თბილისის წასულიყო ამგვარ უპრეცედენტო დათმობაზე და ხელისუფლებისკენ გზა გაეხსნა ისეთი ანტიქართული სულისკვეთების ლიდერისათვის, როგორადაც იმ დროისათვის ჩამოყალიბდა ვ. არძინბა.

მეორე მხრივ, არც ზ. გამსახურდიას გადაწყვეტილების ძალიან მკაცრად შეფასება იქნებოდა მართებული. საქართველოს ლიდერს მაშინ შეიძლებოდა ეცა-

და, ვ. არძინბას ავტორიტეტის გამოყენება, როგორმე ჩამოეშორებინა ის მოსკოვური გარემოცვისაგან და მიეცა მისთვის შანსი თავისი პოლიტიკური ამბიციების აფხაზეთში რეალიზაციისათვის. სრულიად აშკარაა, რომ ვ. არძინბას მეშვეობით გაცილებით ადვილი იყო სეპარატისტების შემობრუნება საქართველოს სახელმწიფოსაკენ. თანაც, აქ მაინცდამაინც დიდი რისკიც არ იყო, რადგან, ახლო ხანებში, უნდა ჩატარებულიყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები და თუ ვ. არძინბა არ გამართლებდა იმელებს, მისი ალტერნატივაც მოიძებნებოდა, მაგრამ ზ. გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ, რატომღაც დახუჭა რა თვალეები ვლადისლავ არძინბას „გმირობებზე“ ანტიქართულ ფრონტზე 1991 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით), კვლავ დაუჭირა მხარი უკვე აფხაზეთში მომარტყმულ ავანტიურისტ ლიდერს 1991 წ. შემოდგომაზე და ფაქტობრივად შეამზადა ნიადაგი გადამწყვეტი შეტევისათვის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1991 წლის გაზაფხულზე. აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბას „არჩევით“, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა და პირადად ზვიად გამსახურდია ცდილობდნენ სეპარატისტი ლიდერების ლოიალობის მოპოვებას და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბულობის მოხსნას, მაგრამ იმ ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აფხაზ სეპარატისტთა ყველაზე ოლიოზური წარმომადგენლის კანდიდატურას, აშკარად ვერ შეაფასეს ჯეროვნად მისი კავშირები მოსკოვის ყველაზე რეაქციულ იმპერიულ ძალებთან, ვერ გაითვალისწინეს, რომ ისინი, ვინც ზრუნავდნენ ვ. არძინბას პოლიტიკურ კარიერაზე მოსკოვში და უშვებდნენ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოდან, სულაც არ ფიქრობდნენ აფხაზეთში შექმნილი კრიზისული ვითარების განმუხტვაზე (**Червоная, 1993: 97**).

ის, რომ ვ. არძინბა ოდნავადაც არ ცდილობდა საქართველოს ხელისუფლების ნდობის გამართლებას და ძალზე შორს იყო იმისგან, ხელი შეეწყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ამ პროცესში აფხაზი ხალხის ჩართვისათვის, ნათელი გახდა მისი ახალ თანამდებობაზე მუშაობის პირველი თვეებიდანვე. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოვლინდა უკვე 1991 წ. თებერვალში – სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე 17 მარტისათვის დაგეგმილი საკავშირო რეფერენდუმისათვის მზადების პერიოდში. საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ცნობილია, ამ რეფერენდუმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, რაც გამოიხატა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წ. 28 თებერვლის დადგენილებაში „სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრ რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციისა და მისი უზრუნველყოფის დონისძიებათა შესახებ სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების თაობაზე“. ამ დადგენილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეფერენდუმი არ უნდა ჩატარებულიყო. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ საკავშირო რეფერენდუმის ნაცვლად დანიშნა (31 მარტს) რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. რეფერენდუმზე დასმული იყო კითხვა:

„თანხმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის არჩატარების შესახებ ნამდვილი გამოწვევა იყო ცენტრისათვის, რომელმაც მაშინათვე გადადგა საპასუხო ნაბიჯი. იმავე დღეს (28 თებერვალს), ამკარად კრემლის მითითებით, სოხუმში შეთითხნეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ“. „დადგენილებაში“, რომელსაც ხელს ვ. არძინბა აწერდა, აღნიშნული იყო, რომ „აფხაზეთი მრავალეროვნული რესპუბლიკაა“ და რომ „მასში მშვიდობა და შეთანხმებულობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხების აზრის გათვალისწინებისა და ერთობლივი ძალისხმევის გზით“. აქედან გამომდინარე, და აგრეთვე „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ შესაბამისად... მოქალაქეთა მონაწილეობა... სრულიად საკავშირო რეფერენდუმში“ მათ ურყევ უფლებად ცხადდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ „დაადგინა“ მონაწილეობის მიღება 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში. იმავე დადგენილებით, „რეფერენდუმის ჩატარება სსრ კავშირის შენარჩუნების უცილებლობის საკითხზე“ დაეკისრა „სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიას“, ხოლო ადგილებზე – „ქალაქების სოხუმის, გაგრის, ტყვარჩელის, ასევე გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების საუბნო საარჩევნო კომისიებს“. „რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას“ კი დაევალა საარჩევნო კომისიების შექმნა ოჩამჩირისა და გალის რაიონებში საკავშირო რეფერენდუმის ჩასატარებლად (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 64). ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

ამ გადაწყვეტილებით ვ. არძინბამ ფაქტობრივად გამოიყვანა აფხაზეთის ასსრ საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი სივრციდან. საქართველოს ხელმძღვანელობა შეეცადა, ხელი შეეშალა საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებისათვის აფხაზეთში და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით 1991 წ. 16 მარტს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქი გაუქმებულად გამოაცხადა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 65), მაგრამ საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა და საკავშირო რეფერენდუმი აფხაზეთში მაინც ჩატარდა. ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ, „აიდგილარამ“, რუსულენოვანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დიდი პროპაგანდისტული სამუშაო გასწიეს. ისინი აქტიურად მოუწოდებდნენ მოსახლეობას, მიეღოთ მონაწილეობა 17 მარტის რეფერენდუმში და მიეცათ ხმა სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის.

მიუხედავად ასეთი მონდომებისა, სეპარატისტულმა ძალებმა მაინც ვერ მოახერხეს დადებითი შედეგის მიღწევა. მაშინ ვ. არძინბამ და მისმა გუნდმა ამკარა სიყალბეს მიმართეს – ხმის მიმცემთა რიცხვიდან მთლიანად ამორიცხეს გალის

რაიონის მცხოვრებნი, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოიკოტი გამოუცხადეს საკავშირო რეფერენდუმს. ე. ი. გალის რაიონში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ასეთ ვითარებაში, იმისათვის, რომ დაემაღლათ რეალური სურათი, ხმების დათვლისას, ე.წ. „საარჩევნო კომისიამ“ გამოსავალი იმაში იპოვა, რომ გალის რაიონის მოსახლეობა (დაახლ. 60000 ხმის უფლების მქონე პირი) არ მიათვალა ავტონომიური რესპუბლიკის ხმის მიმცემთა საერთო რაოდენობას. ამგვარი სიყალბის შედეგად, მიღებულ იქნა საჭირო პროცენტი – 50,3%. ანუ, დაადგინეს, რომ სსრ კავშირის შენარჩუნებას თითქოს ხმა მისცა აფხაზეთის ასსრ-ის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 50%-ზე მეტმა, რაც ა. ლუკიანოვის „კანონის“ თანახმად „უზრუნველყოფდა“ აფხაზეთის დატოვებას სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს იყო პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც მიაყენა ზვიად გამსახურდიას მის მიერვე ხელდასხმულმა ვ. არძინბამ.¹

აფხაზური სეპარატისტული ძალები, კრემლის უშუალო მხარდაჭერით, იმთავითვე შეუდგნენ 17 მარტს „ხალხის მიერ გამოხატული ნების“ (რომლის მიხედვითაც თითქოს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ხმა მისცა სსრ კავშირის შენარჩუნებას) ცხოვრებაში გატარებას. რეფერენდუმის ფალსიფიცირებული შედეგების გამოცხადებისთანავე აფხაზური ტელევიზიით გამოვიდა ვლადისლავ არძინბა, რომელმაც „საზეიმოდ“ აუწყა ხალხს თავისი მზადყოფნის შესახებ, აფხაზეთის ასსრ-ის სახელით ხელი მოეწერა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის“. აფხაზეთის ხელისუფლების პირველი პირის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის (რომელსაც ნამდვილად არ მიუცია ხმა სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის) სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ქ. გაგრამი შედგა საზოგადოების ფართო წარმომადგენლობითი შეკრება, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ნადარეიშვილი. კრების მონაწილეებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ვ. არძინბას ოფიციალურად მოეხდინა თავისი განცხადების დეზავუირება. ამავე დროს, მას მიეცა წინადადება, სასწრაფოდ დაეწყო მოლაპარაკებები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და უმოკლეს ვადაში დაენიშნა აფხაზეთის ასსრ-ის უმა-

¹ აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული რეჟიმის მეთაურმა მოგვიანებით, თავის მემუარებში, ფაქტობრივად აღიარა რეფერენდუმის შედეგების გაყალბება. ამასთან დაკავშირებით ის იხსენებს საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვას სსრ კავშირის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვლადიმირ ორლოვისადმი, რომელშიც იყო აფხაზეთში ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის გაყალბებული შედეგების ანუ-ლირების მოთხოვნა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ვ. არძინბას თქმით, „ცხადი გახდა სსრ კავშირის დაშლის პროცესის შუუქვევადობა“, სახალხო დეპუტატების უკანასკნელ ყრილობაზე იმავე ვ. ორლოვს მისთვის უცნობებია, რომ აპირებდა რეფერენდუმის მასალების თბილისში გადაგზავნას. „*მე ამის დაშვება არ შემიძლო*“ – წერს ვ. არძინბა. ამიტომაც მას დაუვალებია თავისი თანამემწისთვის, წამოედო ეს მასალები ვ. ორლოვისაგან და *გაენადგურებინა* / „*Я не мог этого допустить: поручил своему помощнику забрать их и уничтожить.* (Арძинба, 2018: 162-163, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ბ.).

დღესი საბჭოსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნები (მჭედ-ლიძე, 1999: 282).

ოფიციალური თბილისის რეაქციამაც არ დააყოვნა. 1991 წ. 22 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 16 მარტის თებერვლის დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე... 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმისა და №2669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები“ უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 66-67).

შემდეგი საკითხი, რომელშიც ვ. არძინბა ღიად დაუპირისპირდა ცენტრალურ ხელისუფლებას,¹ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წ. 31 მარტისათვის დანიშნულ რეფერენდუმში აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობა იყო. მართალია, ვ. არძინბამ ვერ გაბედა ოფიციალურად აეკრძალა რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მან ამოქმედა მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი ამ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი დონისძიების ჩასაშლელად. თუმცა აფხაზეთის ლიდერისა მცდელობა, ხელი შეეშალათ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოხატვისათვის, უშედეგო გამოდგა და რეფერენდუმი აფხაზეთში მაინც შედგა. რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეთა (აფხაზეთის ასსრ-ის ხმის უფლების მქონე პირთა დაახლ. 62%) აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის ჩაშლა სეპარატისტებმა მხოლოდ გუდაუთის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში მოახერხეს. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წ. 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო 14 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია.

მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. 1991 წ. 17 მარტის საკავშირო

¹ უფრო ადრე, 13 თებერვალს ვ. არძინბამ ოფიციალურად გააპროტესტა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების 1991 წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილება გალის რაიონში პრეფექტის (ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) ინსტიტუტის შემოღებისა და ამ თანამდებობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის (გალის რაიონიდან) ედიშერ ჯანჯუღიას დანიშვნის შესახებ. ამას წინ უძღოდა დაკავებული თანამდებობიდან გალის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის (საბჭოური ინსტიტუტის) თავმჯდომარის რაბო შონიას განთავისუფლება. ყოველივე ეს მოხდა სოხუმთან შეუთანხმებლად, რამაც მისცა საბაბი ვ. არძინბას, მოეხდინა სამართლებრივი რეაგირება ზ. გამსახურდიას ამ ნაბიჯზე (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 60).

რეფერენდუმის ჩატარებისთანავე, კრემლი შეუდგა ე.წ. „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ფორსირებულ მომზადებას. ამ კამპანიაში, რომელიც „ნოვო-ოგარიოვოს პროცესის“ სახელითაა ცნობილი, ცენტრის ინიციატივით, აქტიურად ჩაერთვნენ ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელები. ამგვარი გადაწყვეტილების სამართლებრივ ბაზად იქცა სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1990 წ. 26 აპრილს მიღებული კანონი „სსრ კავშირის და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“. მასში ხაზგასმული იყო ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გათანაბრება მოკავშირე რესპუბლიკებთან (Зверев, 1999: 114-115). მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწორედ ღია და ფარული მხარდაჭერა ავტონომიური რესპუბლიკების სწრაფვისა, ამაღლებულიყვნენ მოკავშირე რესპუბლიკათა დონემდე და მათთან ერთად, თანასწორ უფლებებში, გამხდარიყვნენ „სუვერენულ სახელმწიფოთა ახალი კავშირის“ დამფუძნებლები, იყო მიხეილ გორბაჩოვისა და მისი გუნდის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია კიდევ სსრ კავშირის დაშლა. მაგრამ 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც მ. გორბაჩოვმა წამოიწყო ე.წ. „ნოვო-ოგარიოვოს პროცესი“, სსრ კავშირის მესვეურები მოსალოდნელ საფრთხეს ვერ აცნობიერებდნენ და ურჩი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ უკიდურესად ხისტი პოლიტიკას ატარებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა მოსკოვთან თანამშრომლობაზე და არ ჩაერთო ნოვო-ოგარიოვოში მიმდინარე კონსულტაციებში, რაც კრემლის მხრიდან მორიგ გამოწვევად იქნა აღქმული.¹ თავის მხრივ, ასეთი ფონი მშვენივრად გამოიყენა ვ. არძინბამ. მან დიდსულოვნად მიიღო მ. გორბაჩოვის მიპატიჟება და *მინტიმერ მაიმიევთან* (თათრეთის პრეზიდენტი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ავტონომიის ლიდერთან ერთად აქტიურად დაუჭირა მხარი მოდერნიზებული იმპერიის შექმნის კრემლისეულ გეგმას.

3. არძინბას მონაწილეობამ „ნოვო-ოგარიოვოს პროცესში“ აიძულა თბილისი, კვლავ გადაედგა ნაბიჯები აფხაზეთის ლიდერის მოსკოვისაგან ჩამოსაშორებლად. დაიწყო მოლაპარაკებები ვ. არძინბას გარემოცვასთან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ კონსულტაციები ამ საკითხზე თბილისსა და სოხუმს შორის იმთავითვე ჩიხში მოექცა. აფხაზური მხარე, სეპარატისტული ძალების ზეწოლით, ითხოვდა „თბილისთან შეთანხმების საფუძველზე რესპუბლიკისათვის სახელის მიმცემი ხალხისათვის პარლამენტში ინსტიტუციონალური წარმომადგენლობის გარანტირებას“ (ყოლბაია და სხვ., 1999: 88-89). ე. ი. სეპარატისტები კატეგორიულად მოითხოვდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აფხაზთა გარანტირებულ უმრავლესობას, რაც დემოკრატიის ელემენტარულ პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავდა.

¹ ცნობილია, რომ მ. გორბაჩოვი, სატელეფონო საუბარში, დაემუქრა ზ. გამსახურდიას სიტუაციის გამწვავებით აფხაზეთში. მიუხედავად ამგვარი მუქარისა, საქართველოს ლიდერმა დემონსტრაციულად არ მიიღო მონაწილეობა „ნოვო-ოგარიოვოს პროცესში“.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა სრულიად უპრეცედენტო პოლიტიკური სულგრძელობა და, აფხაზეთში ახალი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, წავიდა გაუგონარ დათმობებზე სეპარატისტული ძალების წინაშე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დათანხმებოდნენ აფხაზური მხარის წინადადებებს უმაღლეს საბჭოში აფხაზთა გარანტირებული წარმომადგენლობის შესახებ. 1991 წ. 9 ივლისს კანონი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ოფიციალურად მიიღეს და მის საფუძველზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 20 ივლისს შექმნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ახალი საარჩევნო კანონის თანახმად წესდებოდა კვოტები ეროვნული წარმომავლობის მიხედვით: 65 სადეპუტატო ადგილიდან 28 გამოყოფილი იყო აფხაზი ეროვნების დეპუტატებისათვის (ეს მაშინ, როდესაც აფხაზობა ავტონომიური მოსახლეობის მხოლოდ 17% შეადგენდა), ქართველებისთვის (აფხაზეთის მოსახლეობის – 45%-მდე) გამოყოფილი იყო 26 სადეპუტატო ადგილი, დანარჩენი 11 ადგილი უნდა დაეკავებინათ აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების (რუსები, სომხები, ბერძნები და ა.შ., სულ დაახლ. მოსახლეობის 35%) წარმომადგენლებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზთა კვოტირებული წარმომადგენლობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოში სრულიად ახალი იყო. ამგვარი პრაქტიკა ადრეც არსებობდა – როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ისე საბჭოურ ეპოქაში,¹ როდესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ქართული მოსახლეობის კეთილი ნების შედეგად, ყოველგვარი ოფიციალური იურიდიული მექანიზმების ამოქმედების გარეშე, თითქოს „დემოკრატიული არჩევნების“ გზით აფხაზებს (ასე ვთქვათ, – „სატიტულო ერს“, რომელმაც „სახელწოდება მისცა რესპუბლიკას“) ჰქონდათ გარანტირებული რიცხობრივი უპირატესობა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში.

¹ როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ 1919 წელს არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში, 40 დეპუტატიდან 18 აფხაზი იყო, ქართველი მხოლოდ 16, დანარჩენი 6 ადგილი კი ეკავათ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა ასეთი ფართო წარმომადგენლობა, პირველ რიგში, განპირობებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი *სოციალ-დემოკრატიული პარტიის* კეთილი ნებით, რომელმაც გაიმარჯვა კიდევ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში. პარტიული სიით გასული 27 დეპუტატიდან 12 აფხაზი იყო, ქართველი კი მხოლოდ 10, დანარჩენი 5 – სხვა ეროვნების წარმომადგენლები (იხ. **ჰაპასიერი, 2004: 33-34**). ასეთი მიდგომა შენარჩუნებული იყო სსრ კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში, როდესაც აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზებს, როგორც წესი, ქართველებზე მეტი წარმომადგენლობა ჰყავდათ. ასე, მაგალითად, 1985 წელს არჩეულ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში აფხაზებს ქართველებზე სწორედ 2 დეპუტატი მეტი ჰყავდათ. უფრო მეტიც, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1985 წელს არჩეულ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში აფხაზი ეროვნების 20 დეპუტატი არჩეული იყო იმ საარჩევნო ოლქებში, რომლის ამომრჩეველთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

მაგრამ 1989 წელს დაწყებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა დააფრთხო აფხაზური სეპარატიზმის მესვეურები. ისინი ხვდებოდნენ, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, მათ ხელიდან გამოეცლებოდათ სახელისუფლო ბერკეტები და მთლიანად დაკარგავდნენ კონტროლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ავტონომიურ რესპუბლიკაში. სწორედ ამიტომ მათ, თითქმის ულტიმატუმის ფორმით, მოითხოვეს აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთი რიცხობრივი უპირატესობის იურიდიული დაკანონება, რაზეც საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თანხმობა განაცხადეს.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა დემოკრატიულ არჩევნებზე აფხაზეთში და დაეკანონებინა ეთნიკურ აფხაზთა რიცხობრივი უპირატესობა ქართველებზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ოპოზიციამ ეს გადაწყვეტილება ერთნიშნად ნეგატიურად შეაფასა და დაადანაშაულა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება ქართული ეროვნული ინტერესების დალატში. თავის მხრივ, ხელისუფლება და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ მიღებული გადაწყვეტილების დაცვას. მათი მტკიცებით, ეს მიმართული იყო აფხაზეთში დაძაბულობის განსამუხტავად და კრემლის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების აღსაკვეთად. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები წინასწარ შეთანხმებული კვოტების საფუძველზე,¹ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავამართლებთ აფხაზთა უპირატესი უფლებების **ოფიციალურ დაკანონებას**. დათმობების მაქსიმუმი, რაზედაც შეიძლებოდა წასულიყო საქართველოს ხელისუფლება ამ თვალსაზრისით, უნდა ყოფილიყო 50% – 50%-ზე პროპორციის შეთავაზება, ანუ ქართველებსა და აფხაზებს პარლამენტში უნდა ჰყოლოდათ **თანაბარი** წარმომადგენლობა. ამით ხაზგასმული იქნებოდა, რომ მიუხედავად აფხაზეთზე ქართველთა მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობისა, ქართველობა იჩენდა კეთილ ნებას და არ ესწრაფოდა ამ უპირატესობის რეალიზებას დემოკრატიული არჩევნების გზით. ე. ი. ჩვენ ვაცხადებდით მზადყოფნას, აფხაზეთთან ერთად **თანაბრად** მიგვეღო მონაწილეობა ავტონომიური რესპუბლიკის მართვაში. **28-26 ფორმულის დაწესებით კი საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტობრივად აღიარა, რომ აფხაზეთი მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა სამშობლოა, რომლებიც უნდა იყვნენ ამ მიწა-წყლის სრული ბატონ-პატრონი და სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ მონოპოლიური უფლებები აფხაზეთის მართვაზე.** ყოველივე ეს ნიშნავდა იმას, რომ ქართველობა, რომელიც სეპარატისტების უსაფუძვლო მტკიცების მიუხედავად, წარმოადგენს რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას,

¹ თუმცა უმჯობესია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და ამ წესით არჩეულ პარლამენტში, კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა მაღალი კვორუმის პირობებში (**ჰაპასქირი, 2005: 139-140; ჰაპასქირი, 2009: 279-280**).

ერთბაშად ცხადდებოდა მეორენარისხოვან ხალხად. ეს კი მართლაც შეურაცხმყოფელი იყო აფხაზეთის 250-ათასიანი ქართული მოსახლეობისათვის. ამის მიჩნევა კომპრომისად სრულიად გაუმართლებელია. ეს არა მხოლოდ პოლიტიკური დეოლოგიური, არამედ ისტორიოგრაფიული კაპიტულაცია იყო.¹

ბატალიები ახალი საარჩევნო კანონის ირგვლივ და არჩევნები აფხაზეთში 1991 წლის შემოდგომაზე. ახალი საარჩევნო კანონი აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ინტერესებს ლახავდა არა მხოლოდ იმით, რომ აფხაზებს პარლამენტში ქართველებზე ორი დეპუტატით მეტი ეყოლებოდათ. მათ ამგვარი უპირატესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეც ჰქონდათ, მაგრამ, ამჯერად, საბჭოური პრაქტიკისგან განსხვავებით, აფხაზ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა აერჩიათ მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც ამომრჩეველთა უმრავლესობას აფხაზები შეადგენდნენ და საერთო-პოლიტიკურ ამინდსაც ისინი ქმნიდნენ. გარდა ამისა, თვით საარჩევნო ოლქები მეტად არათანაბრად იყო გადანაწილებული. იმისათვის, რომ ქართველებს ვერ მოეხერხებინათ აფხაზური კვოტის ათვისება ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში სეპარატისტებისათვის მიუღებელ აფხაზ მოღვაწეთა არჩევის გზით, აფხაზურმა მხარემ მოითხოვა ნაკლებად მჭიდროდ (ძირითადად აფხაზებით) დასახლებულ რაიონებს მისცემოდათ დაახლოებით იმდენივე დეპუტატის არჩევის უფლება, რამდენსაც აირჩევდნენ მჭიდროდ დასახლებული რაიონები.²

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საარჩევნო ოლქების ამგვარ დაჭრას მშვიდად შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობა. პირიქით, თვით ისინიც (პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას გარემოცვიდან) კი, ვინც პირადად იღებდა მონაწილეობას ახალი საარჩევნო კანონის შექმნაში, ღიად გამოვიდნენ არჩევნების სეპარატისტული სცენარით ჩატარების წინააღმდეგ. სწორედ მათი ინიციატივით,

¹ ამ ფონზე სრული გაუგებრობაა, თუ არა მკრეხელური სიცრუე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ცნობილი განცხადება იმის შესახებ თითქოს „თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ პირველ პრეზიდენტს“ (დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ იგულისხმება ზვიად გამსახურდია) გაუქმებინოს „აფხაზეთის ყოველგვარი ავტონომია“/„*отменил вообще всякую автономию... Абхазии*“ (Путин, 2019, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ვ. ამის შესახებ იხ. პაპასქირი, 2019).

² ამ სქემით გამოვიდა, რომ ქ. ტყვარჩელის დაახლ. 14000-მდე ამომრჩეველს 8 აფხაზი დეპუტატის არჩევა დაუკანონდა, მაშინ, როდესაც მთლიანად გალის რაიონის 60000-მდე ამომრჩეველს მხოლოდ 9 (ქართველი) დეპუტატი. არანაკლებ დისკრიმინაციული იყო პროპორცია გაგრაას და სოხუმში: გაგრის – 22 ათასი ქართველი ამომრჩეველი ირჩევადა მხოლოდ 4 ქართველ დეპუტატს, ქ. სოხუმში კი 3 დეპუტატს სულაც 42 ათასი ქართველი ამომრჩეველი ირჩევდა. ამ ფონზე, ქ. სოხუმის 13 ათასი აფხაზი ამომრჩეველი ასევე ირჩევდა 3 აფხაზ დეპუტატს. ქართული მხარის დისკრიმინაციის ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო გუდაუთის რაიონში შექმნილი ვითარება. აქ 14 ათას ქართველ ამომრჩეველს საერთოდ არ მისცეს საშუალება, ჰყოლოდა წარმომადგენელი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში (ყოლბაია და სხვ., 1999: 93).

1991 წ. 9 აგვისტოს ქ. სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე, ორგანიზებულ იქნა ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. მანამდე 1991 წ. 5 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანებულება: „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ“ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 78).

და მაინც, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს ლიდერის ამ აქტს და 9 აგვისტოს სოხუმის სტადიონზე გამართულ საპროტესტო აქციას შეეძლო სეპარატისტების შეჩერება. ისინი ძალზე აქტიურად მოქმედებდნენ. ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის შემართებას დამატებით იმპულსებს სძენდა ის გარემოება, რომ იმაჟამად მოსკოვში გამალებით ემზადებოდნენ ე.წ. „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ხელმოსაწერად. საქართველოს პრეზიდენტი დემონსტრაციულად უარს აცხადებდა „განახლებულ კავშირში“ შესვლაზე, მაშინ როდესაც ვ. არძინბასა და სხვა ავტონომიური რესპუბლიკების ლიდერებს ცენტრი აკისრებდა მეტად საპატიო მისიას, ყოფილიყვნენ ამ ახალი გაერთიანების დამფუძნებლები. ერთი სიტყვით, იქმნებოდა ისეთი სიტუაცია, როდესაც შეიძლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ერთი ნაწილი – აფხაზეთის ასსრ აღმოჩენილიყო იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლის ნაწილად გადაქცევას საქართველო არ აპირებდა.

კრემლის იმედებს, მოკავშირე რესპუბლიკებისადმი მინიმალური დათმობების გზით შეენარჩუნებინა იმპერიის ერთიანობა, აღსრულება არ ეწერა. სსრ კავშირის იმაჟამინდელი ხელმძღვანელობის რეაქციულ-კონსერვატორული ფრთა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის გენადი იანაევისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ლუკიანოვის მეთაურობით გამოვიდა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ მ. გორბაჩოვისეული პროექტის წინააღმდეგ და 1991 წ. 19 აგვისტოს, სახელმწიფო გადატრიალების გზით, იმპერიის გადარჩენას შეეცადა. მაგრამ შეთქმულთა გეგმები მოულოდნელად ჩაშალა რუსეთის ფედერაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. პუტჩის ჩაფუშვის შემდეგ ბ. ელცინის გავლენა ერთი-ორად გაიზარდა და არა მარტო რსფსრ-ის მასშტაბით. ის ფაქტობრივად მთელი ქვეყნის ლიდერად იქცა. ასეთ ვითარებაში „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ დადების იდეა ფაქტობრივად დასამარდა და სრულიად ნათელი შეიქნა, რომ სსრ კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რასაკვირველია, ეს იგრძნეს სოხუმშიც. ვ. არძინბამ, რომლის „სულიერი მამა“ და მთავარი მფარველი – ანატოლი ლუკიანოვი, არშემდგარი პუტჩის შემდეგ, „Матросская тишина“-ს (მოსკოვის ცნობილი სატუსალო) კედლებს „ხეხავდა“, იძულებული გახდა თბილისის მიმართ ზოგიერთ (მეტად უმნიშვნელო) კომპრომისზე წასვლა გადაწყვიტა.

სეპარატისტები ყოველნაირად ცდილობდნენ აპარტიდული საარჩევნო კანონის შენარჩუნებას და ამ გზით აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აფხაზების გარანტირებული უმრავლესობის განადგებას. შეიქმნა ერთგვარი „შემთანხმებელი კომისია“.¹ ქართული მხარე დათანხმდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების „აფხაზური სცენარით“ ჩატარებას, ამის სანაცვლოდ კი აფხაზები წავიდნენ ცალკეულ შესწორებებზე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში. კერძოდ, 1991 წ. 27 აგვისტოს ვ. არძინბამ ხელი მოაწერა აფხაზეთის ასსრ კანონს „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 98-ე მუხლს დაემატა სიტყვები: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმებით, რაც ამ კონსტიტუციითაა გათვალისწინებული“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 80).

ამრიგად, გამოდიოდა, რომ მიუხედავად ქართველებზე რიცხობრივი უპირატესობისა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში, სეპარატისტები მაინც ვერ მოახერხებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის კონსტიტუციური გზით შეცვლას, ვინაიდან არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენელთა (11 დეპუტატის) მთლიანად მიმხრობის შემთხვევაშიც კი ვერ აგროვებდნენ კვალიფიციურ უმრავლესობას. ასევე 2/3 ხმა იყო საჭირო მთავრობის დასამტკიცებლად. ერთი სიტყვით, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას მხარეები იძულებულნი ხდებოდნენ, ეძიათ კომპრომისის გზები, მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ე.წ. „კონსტიტუციური ცვლილებები“ ფარატინა ქაღალდად დარჩა და ავტონომიურ რესპუბლიკაში სრული სამართლებრივი განუკითხაობის ვითარება შექმნეს.

თუმცა ეს იყო მოგვიანებით. მანამდე კი – 31 ოქტომბერსა და 1 დეკემბერს, ორ ტურად ჩატარდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები. აფხაზურმა მხარემ ადვილად შეძლო შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევა და ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე აირჩია თავისი დეპუტატების კორპუსი (მეორე ტურის ჩატარება საჭირო შეიქნა 3 თუ 4 საარჩევნო ოლქში). პარლამენტში მოხვდა სეპარატისტული მოძრაობის ყველა ცნობილი ლიდერი. ფაქტობრივად, ეს იყო მთელი აფხაზური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც საკმაოდ გონივრულად და კვალიფიციურად იცავდა თავის ინტერესებს. აფხაზებისაგან განსხვავებით, ქართველებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში გააჩაღეს ხელჩართული ბრძოლა სადეპუტატო მანდატისათვის. უფრო მეტიც, ქ. სოხუმის ერთ-ერთ (ქართულ) საარჩევნო ოლქში

¹ მასში აფხაზთა მხრიდან შევიდნენ ანრი ჯერგენია, სერგეი ბაგაფში, კონსტანტინე ოზგანი, დავით ფილია, სერგეი შამბა; ქართველთა მხრიდან კი – ვანტანგ ყოლობაია, გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნაპოლეონ მესხია, თემურ მკავია (ყოლობაია და სხვ., 1999: 91).

საერთოდ ვერ მოხერხდა გამარჯვებულის გამოვლენა და ქართულმა დეპუტაციამ საერთოდ დაკარგა ერთი ადგილი. წინააღმდეგობებმა და ურთიერთდაპირისპირებამ ქართულ მხარეს არ მისცა საშუალება, პარლამენტში უმტკივნეულოდ გაეყვანა ქართველი დეპუტატები და მთელი ყურადღება გადაეტანა იმ 11 საარჩევნო ოლქზე, სადაც ირჩევდნენ არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენლებს. 11 საარჩევნო ოლქიდან აფხაზებმა, სხვადასხვა მანიპულაციებით 5 საარჩევნო ოლქში „მოახერხეს“ თავიანთი კანდიდატების გაყვანა, დანარჩენ – 6 ოლქში კი წარმატებას მიაღწიეს იმ კანდიდატებმა, რომელთაც მხარს ქართული მოსახლეობა უჭერდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ 65 სადეპუტატო ადგილიდან აფხაზებმა ფაქტობრივად მოიპოვეს – 33 (28+5), ქართველებმა კი მხოლოდ – 31 (25+6) და არა – 32, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, 1 (ქართული) სადეპუტატო ადგილი ვაკანტური დარჩა (**პაპასქირი, 2007: 322**).

ვლადისლავ არძინბას რეჟიმის სამართლებრივი „თარეში“ 1991 წელს. აფხაზეთის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ თითქმის ერთხმად აირჩიეს *ვლადისლავ არძინბა*. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახდა *თამაზ ნადარეიშვილი*, ხოლო მოადგილე (არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენლობიდან) – სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია – „*კრუნკის*“ ერთ-ერთი ლიდერი *ალბერტ ტოპოლიანი*. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: *ვლადისლავ არძინბა, თამაზ ნადარეიშვილი, ალბერტ ტოპოლიანი, ეთერი ასტემიროვა, გია გვაზავა, იური ვორონოვი, კონსტანტინე ოზგანი, ვახტანგ ყოღბაია, სერგეი მამბა*. ამრიგად, უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული 9 წევრიდან – 5 წარმოადგენდა აფხაზეურ-სეპარატისტულ ფრთას, ხოლო დანარჩენი – 4 ქართულ ფრთას. ვ. არძინბამ მოურიდებლად ისარგებლა ამ უპირატესობით და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით უმაღლესი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური აქტების „გამოცნობას“ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით.

ვ. არძინბას მიერ კონსტიტუციური ნორმების იგნორირებით უკანონო აქტების მიღების ეს პრაქტიკა სულაც არ იყო ახალი. ეს ჯერ კიდევ უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე იქცა ცხოვრების წესად. ე.წ. „კანონთა ომი“ თბილისსა და სოხუმს შორის თითქმის მთელი 1991 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ვ. არძინბას მიერ კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევის ზოგიერთი ფაქტი და აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა (მეტწილად უშედეგოდ), არ დაემჯავა სეპარატისტების ლიდერის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც მიიღო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონსტიტუციის დარღვევით 1991 წლის ივლისიდან.

ასე, მაგალითად, 1991 წ. 2 ივლისს ვ. არძინბამ ხელი მოაწერა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას „*საქართველოს რესპუბლი-*

კის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე, რომლის თანახმად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს აქტი ცხადდებოდა „იურიდიული ძალის არმქონედ... აფხაზეთის ტერიტორიაზე“, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა „სსრკ კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნის, აკრძალვის და უკანონოდ შენახვის შემთხვევაში იარაღის ამოღების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებას (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 75).

1991 წ. 30 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ასევე გამოცხადებული იყო „იურიდიული ძალის არმქონედ... აფხაზეთის ტერიტორიაზე“, რადგანაც ისინი ძირს უთხრიდნენ „კრედიტის, ფულის მიმოქცევის, ანგარიშსწორებისა და სავალუტო ოპერაციების სფეროში სსრკ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას“. უფრო მეტიც, დადგენილებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ „საქართველოს ეს კანონები არის უხეში ჩარევა აფხაზეთის სუვერენული უფლებების იმ ნაწილში, რაც მას ეძლევა საკავშირო კანონმდებლობით საბანკო საქმიანობის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის“. დადგენილებით აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს მიეთითა: „არ შეასრულოს და დაუყოვნებლივ აცნობოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის ზემოაღნიშნული კანონების შესასრულებლად გამოცემული საქართველოს მთავრობის ყველა დავალების შესახებ“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 83-84).

1991 წ. 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური დადგენილებით შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წ. 31 ივლისის №342-ე ბრძანების მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 84-85). იმავე ორგანომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის თანახმად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა 1992 წ. 1 იანვრამდე უზრუნველყოფა აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული „საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გადაცემა-მიღება აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობაში“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 85).

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო კიდევ ერთი უკანონო დადგენილება: „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“. ამ დადგენილებით ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის“ სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხები უშუალოდ შეთანხმებული იყო სსრ კავშირის საბაჟო კომიტეტთან (რეგიონული კონფ-

ლიქტები, 2005: 86). ამით, ისევე როგორც სხვა დადგენილებების მიღებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უხეშად დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონები გამოცხადებული იყო სავალდებულოდ და თანაბარი ძალის მქონედ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე. სწორედ ამ კონსტიტუციური ნორმის დარღვევის გამო საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულებით და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით შეაჩერეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს შემოსვენებული დადგენილების მოქმედება (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 86-87).**

3. არძინბამ და მისმა გარემოცვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფრად ჩააგდო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ეს გადაწყვეტილებები და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანონო დადგენილებების რეალიზაციას შეუდგნენ. 1991 წ. 22 ოქტომბერს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის დონისძიებათა შესახებ“, რასაც მოჰყვა თბილისის დაუყოვნებლივი რეაგირება. 1991 წ. 24 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სპეციალური ბრძანებულებით ასევე შეაჩერა აღნიშნული დადგენილების მოქმედება (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 88).**

განსაკუთრებით საგანგაშო იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 ნოემბრის დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შესახებ“. ამ დადგენილებით იქმნებოდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო უშიშროების უწყება, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მოტივად ცხადდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების გაუქმება (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 91).** ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა სახელმწიფო უშიშროების ფუნქციის უზურპირებას ვ. არძინბას მიერ. ეს მასალები ცხადყოფენ იმას, თუ როგორ (ახალი უმაღლესი საბჭოს არჩევამდე) უხეშად არღვევდა ვ. არძინბა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებით იღებდა უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ აქტებს, მაგრამ ნამდვილი სამართლებრივი თარეში აფხაზეთში დაიწყო სსრ კავშირის გაუქმების შემდეგ. ასე, 1991 წ. 29 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“. დადგენილებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები, სასაზღვრო, შინაგანი ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებუ-

ლია აფხაზეთის ხალხის ნებისა და კონსტიტუციის შესაბამისად“ და რომ „მათი შემდგომი ყოფნა მთლიანად... განეკუთვნება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას“. ამავე დადგენილებით, „ადგილობრივი სამხედრო მმართველობის... ორგანოების, აგრეთვე №№5482, 3697 სამხედრო ნაწილების... ქონება, ტექნიკა და შეიარაღება.., ნაგებობები და სხვა...“ ცხადდებოდა აფხაზეთის საკუთრებად (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 95-96).

როგორც ვხედავთ, ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრისას, როგორცაა უცხო ქვეყნის (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის – სსრ კავშირის სამართალმემკვიდრის) შეიარაღებული ძალების ყოფნა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად, მთლიანად იგნორირებული იყო ამ სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების აზრი და მისი გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეროგატივად ცხადდებოდა. აქედან გამომდინარე, სამხედრო ობიექტები მიჩნეული იყო არა სახელმწიფოს (ანუ მთლიანად საქართველოს), არამედ ავტონომიის საკუთრებად.

კიდევ უფრო გამომწვევი იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს „ყოვლისშემძლე“ პრეზიდიუმის იმავე 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ“. ამ დადგენილებით, „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტასთან და საკავშირო სტრუქტურების, მათ შორის, აგრეთვე საკავშირო შსს სამხედრო ნაწილების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.., აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან იქმნებოდა „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭო“. საბჭოს თავმჯდომარედ, ბუნებრივია, ვლადისლავ არძინბა დამტკიცდა.¹ ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ეს ე.წ. „დროებითი სამხედრო საბჭო“, ფაქტობრივად, იყო სამხედრო უწყება, „თავდაცვის სამინისტროს“ ერთგვარი ჩანასახი. ნიშანდობლივია ისიც, რომ „საბჭოს“ 8 წევრიდან 4 აფხაზი იყო, 3 – არამკვიდრი ეროვნებების წარმომადგენელი და მხოლოდ 1 (პოლკოვნიკი თამაზ ჭაღუა) წარმოადგენდა ქართველობას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

„დროებითი სამხედრო საბჭოს“ შექმნა სამართლიანადაა მიჩნეული როგორც აფხაზეთის მიერ სამხედრო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებისა და

¹ მისი შემადგენლობა: პოლკოვნიკი ა. არშბა (თავმჯდომარის პირველი მოადგილე), პოლკოვნიკი ლ. გოგუიანი, პოლკოვნიკი თ. ჭაღუა (აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარი), პოლკოვნიკი ს. დბარი (ქ. სოსუმის სამხედრო კომისარი), პოლკოვნიკი ბ. მირველოვი (ქ. გაგრის სამხედრო კომისარი), მილიციის მაიორი ა. კლიმოვი (ე.წ. №5482 ნაწილის მეთაური), პოდპოლკოვნიკი გ. აგრბა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 96).

თბილისისაგან დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურის შექმნის მცდელობა. ჭეშმარიტად მკრეხელური (პირველ რიგში, 250-ათასიანი მკვიდრი ქართული მოსახლეობის მიმართ) იყო დადგენილების ავტორთა განცხადება იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს კეთდებოდა „აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“ და აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე. როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგი სვეტლანა ჩერვონნაია, ეს, რასაკვირველია, წმინდა წყლის დემაგოგია იყო, რადგან არავითარი აფხაზეთის კონსტიტუცია (იმ პერიოდში მოქმედებაში იყო აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია) არ ითვალისწინებდა უზურპაციას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (მით უფრო ამ ორგანოს პრეზიდიუმის) მიერ (**Червонная, 1993: 104-105**). აფხაზეთში თბილისისაგან დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურის შექმნა ძირს უთხრიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას. ამას კარგად ხედავდნენ თბილისში, მაგრამ საქართველოს დედაქალაქი ამ დროს უკვე ძმათამკვლელ სისხლიან დაპირისპირებაში იყო ჩათრეული და იქ სოხუმისათვის არავის ეცალა.

თავი XII. ძმათაშვილი დაპირისპირება აფხაზეთში 1992-1993 წლებში და მისი შედეგები

§1. პოლიტიკური ბატალიები 1992 წლის 14 აგვისტოს ტრაგედიის წინ

პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში და მდგომარეობა აფხაზეთში 1992 წლის დამდეგს. 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ – ერთბაშად დაძაბა პოლიტიკური ვითარება მთელ საქართველოში და ქვეყანა ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა. კონფრონტაციის უპიცენტრმა დედაქალაქიდან დასავლეთ საქართველოს რაიონებში გადაინაცვლა. სერიოზულად გამწვავდა ვითარება აფხაზეთში, სადაც დამხობილ პრეზიდენტს მხარი დაუჭირა რეგიონის ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს*“ ადგილობრივმა ლიდერებმა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრიობისაგან თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვეს თბილისში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების დაგმობა.

საქართველოს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ამ კამპანიის ავანგარდში იდგა *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი*, რომლის დირექტორის თანამდებობას ითავსებდა დამხობილი მთავრობის წევრი, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი, პროფესორი *ფელიქს ტყებუჩავა*. 1992 წ. 8 იანვარს თსუ სოხუმის ფილიალში რექტორატის ინიციატივით შედგა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტივის შეკრება, რომელზეც გამოცხადდა დაუმორჩილებლობა თბილისში შექმნილი სახელისუფლებო სტრუქტურების – *სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობისადმი*. ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად, რომელსაც აღიარებდა უმაღლესი სასწავლებელი, მიჩნეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო *ვლადისლავ არძინბას* მეთაურობით. იმ ვითარებაში, როდესაც ვ. არძინბა და მისი გარემოცვა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად ახდენდა თბილისისადმი ურჩობის დემონსტრირებას და კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით იღებდა უკანონო გადაწყვეტილებებს, რითაც ფაქტობრივად გაჰყავდა აფხაზეთი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სივრციდან, ნებისმიერი მოწოდება განდგომოდნენ ახალ (თუნდაც არალეგიტიმურ) ცენტრალურ სახელისუფლო სტრუქტურებს, რასაკვირველია, სეპარატისტების წისქვილზე ასხამდა წყალს და, ნებისთ თუ უნებლიედ, საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

ასეთ სიტუაციაში ვერ გამოიმუშავა ერთიანი პოზიცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ *თამაზ ნადარეიშვილმა* სრული ლოიალობა გამოუცხადა საქართველოს დროებით მთავრობას და მას მუდმივი კავშირი ჰქონდა მთავრობის მეთაურ *თენ-*

გიზ სიგუასთან,¹ ქართული დეპუტაციის მეორე ნაწილი დიად დაუპირისპირდა თბილისის ხელისუფლებას და უყოყმანოდ ჩადგა დამხობილი პრეზიდენტის მომხრეთა შორის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვლადისლავ არძინბას რამდენადმე მომლოდინე პოზიცია ეკავა და მაქსიმალურად ცდილობდა საქართველოში შექმნილი ეს ურთულესი სიტუაცია თავისი შორსმიმავალი გეგმების რეალიზაციისათვის გამოეყენებინა. გარეგნულად სეპარატისტების ლიდერს თავი ისე ეკავა, თითქოს ის, რაც დანარჩენ საქართველოში ხდებოდა, აფხაზეთს სულაც არ ეხებოდა.² ამავე დროს ვ. არძინბა ცდილობდა (და არცთუ წარუმატებლად) ურთიერთობის დამყარებას დამხობილი პრეზიდენტის მომხრეებთანაც და ფარულად აქეზებდა კიდევ მათ ანტითბილისური ქმედებებისაკენ.

აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში, ფართოდ გაშლილმა დაუმორჩილებლობის კამპანიამ, რაც ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა პერმანენტული საპროტესტო აქცია-მიტინგებით გამოიხატა, მეტად ხელსაყრელი ფონი შექმნა ვ. არძინბას მიერ მორიგი ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტებისა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ასე, 1992 წ. 25 იანვარს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტის გამო აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ“, რომლის თანახმადაც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე იზღუდებოდა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება. ასევე დისკრიმინაციული იყო საქართველოს მოქალაქეების მიმართ ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წ. 24 მარტს მიღებული დადგენილება: „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებითი წესის შესახებ“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 104-105).

და მაინც, არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ვ. არძინბას რეჟიმი არ იყო შეშფოთებული ზ. გამსახურდიას მომხრეების საპროტესტო გამოსვლებით. ჯერ კიდევ 1992 წ. 13 იანვარს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთში მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ახალი სტრუქტურებისადმი დაუმორჩილებლობის აქციების ჩატარების შედეგად აფხაზეთის ტერიტო-

¹ ასევე ლოიალურად განწყობენ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მიმართ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები, მათ შორის, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი.

² ეს მას ხელს არ უშლიდა ჰქონოდა სატელეფონო კონტაქტები პრემიერ მინისტრ თ. სიგუასთან და ერთგვარ კეთილგანწყობილებასაც კი გამოხატავდა მის მიმართ. მაგალითად, კითხვაზე, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას დროებითი მთავრობის მეთაურთან, ვ. არძინბამ საჯაროდ განაცხადა: „ორი მეცნიერებათა დოქტორი ყოველთვის გაუგებს ერთმანეთს“ („Два доктора наук всегда поймут друг друга“).

რიაზე მკვეთრად გაუარესდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და რომ, ამ აქციებმა მიიღეს კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ეწყობა არასანქცირებული მიტინგები, მსვლელობები და გაფიცვები, თვითნებურად ეწყობა პიკეტები, ადგილი აქვს რკინიგზის ბლოკირებას. „მათი ორგანიზატორები, – ნათქვამია დადგენილებაში, – სიტყვით მოუწოდებენ რა კონსტიტუციისა და კანონების დაცვისაკენ, თვითონ უწყობენ ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავალებდა აფხაზეთის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურს, აქტიური ზეგავლენა მოეხდინათ და კანონით გათვალისწინებული ზომები გაეტარებინათ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა, მათ შორის, არაკანონიერი გაფიცვებისა და მიტინგების ორგანიზატორთა მიმართ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 97**).

აფხაზეთის ხელისუფლება განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოჩნდნენ შეიარაღებული პირები – „აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ ცნობილი ეროვნული გვარდიის ფორმირებათა“ მებრძოლები. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას საქართველოს ეროვნული გვარდია „ოფიციალურად“ უკანონო სამხედრო ფორმირებად ჰყავდა გამოცხადებული, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1992 წ. 20 იანვარს სახელდახელოდ „გამოაცხო“ კიდევ ერთი დადგენილება, ამჯერად უკვე „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს (შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, „აფხაზეთის იურისდიქციის ქვეშ“ მყოფ შინაგან საქმეთა საჯარისო ფორმირებებს) დაევალიათ, დაუყოვნებლივ გაეშალათ ერთობლივი მუშაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში უკანონოდ შენახვაში არსებული იარაღის ამოსაღებად (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 97-98**).

განსაკუთრებით კრიტიკული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში 1992 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ბატალიონი, მძიმე ტექნიკის თანხლებით, გიორგი ყარყარაშვილის მეთაურობით, შემოვიდა აფხაზეთში და ტყვიის გასროლის გარეშე გავიდა მდ. ფსოუმდე – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რუსეთის ფედერაციასთან. თბილისის ეს აქცია ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან იყო ერთგვარი ძალის დემონსტრირება, რომელიც, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა დაშოშმინებას. გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთის მარშით სვლას რამდენადმე უნდა დაეფიქრებინა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი და აქძულეებინა ის, მეტი ლოიალობა გამოეჩინა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. აფხაზური სეპარატიზმის ლიდერებმა, მიუხედავად დიდი გაღიზიანებისა, იმჟამად ვერ გაბედეს რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ქართული ჯარისათვის, მაგრამ გარკვეული ხნის

შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, ვ. არძინბას კატეგორიული მოთხოვნით, გ. ყარყარაშვილის ბატალიონი აფხაზეთიდან მაინც გამოიწვია.

ბრძოლა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებისათვის 1992 წლის გაზაფხულზე. 1992 წ. თებერვალში სოხუმში დაიწყო მოძრაობა აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების კონსოლიდაციისა და მძლავრი ანტისეპარატისტული ფრონტის შესაქმნელად. ეს მოძრაობა რამდენადმე ინიცირებული იყო „ზემოდან“. ახალი მოძრაობის მთავარი ინიციატორი იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც ამ დროისათვის იქცა ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ფიგურად ქართულ ნომენკლატურაში.¹ ახალ მოძრაობაში ჩაერთო აფხაზეთის მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა: მინისტრები, დეპუტატები და ა.შ., აგრეთვე სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის სახელწოდებად შეირჩა: „აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირი“ (აპდკ). სათანადო მოსაზრებელი მუშაობის შემდეგ, 1992 წ. 11 მარტს ჩატარდა პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად იქნა მიჩნეული, და არა მხოლოდ აფხაზეთის მასშტაბით.

ახალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ იმთავითვე გააჩაღა აქტიური ინფორმაციულ-იდეოლოგიური საქმიანობა, რომლის მიზანი იყო აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობის დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების მხილება. გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენები ქართულ და რუსულ ენებზე. მათში გამოქვეყნებული იყო მასალები, რომლებიც, ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის აზრით, ეწეოდა უმადლესი საბჭოსა და განსაკუთრებით მისი აფხაზური ნაწილის გამიზნულ დისკრედიტაციას. ბუნებრივია, ამან სეპარატისტული რეჟიმის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია და საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა: გატარდა სახელდახელო ზომები აპდკ-ის საინფორმაციო ბიულეტენების აკრძალვის მიზნით. ვ. არძინბას უშუალო დავალებით, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა შეუდგა მუშაობას უმადლესი საბჭოს აფხაზური ნაწილისა და მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტაციის მცდელობისათვის „საინფორმაციო ბიულეტენის“

¹ გივი ლომინაძის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მისი მოღვაწეობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა უმადლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაცია და მოინდომა მისი კანდიდატურის „ჩაგდება“ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, მაგრამ საპარლამენტო მოსმენაზე გ. ლომინაძემ წარმატებით მოიგერია აფხაზი დეპუტატების თავდასხმები და, თვით ვლადისლავ არძინბას სურვილის საწინააღმდეგოდ, შეძლო მინისტრის პორტფელის შენარჩუნება. მეტიც, საპარლამენტო დებატებისას გ. ლომინაძემ გამოამჟღავნა ენერგიული პოლიტიკური ლიდერის თვისებები და ამ დროიდან ის იქცა ყველაზე რეალურ კანდიდატად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (უმადლესი საბჭოს თავმჯდომარის შემდეგ რეიტინგით მეორე) თანამდებობაზე.

გამომცემლების და აკდ-ის ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით (**Червоная, 1993: 102**). მაგრამ ეს ინიციატივა ჩავარდა. აშკარა იყო, რომ შეთითხნილ ე.წ. „სისხლის სამართლის საქმეს“ არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ ექნებოდა, რადგან *საინფორმაციო ბიულეტენებში* მოყვანილი იყო უტყუარი ფაქტები, რომლებიც სრულიად ნათლად ადასტურებდნენ სეპარატისტული ხელმძღვანელობის ანტისახელმწიფოებრივ, ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს.¹

3. არძინბა მაქსიმალურად ცდილობდა ესარგებლა საქართველოში შექმნილი კრიზისული ვითარებით და თანმიმდევრულად დგამდა ნაბიჯებს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. ეს გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 1992 წ. ზამთარში – უმაღლეს საბჭოში სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის (დროშა, გერბი) საკითხის განხილვისას. აფხაზურმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა, მიეღოთ სახელმწიფო დროშად ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ დროშის ანალოგი. და ეს მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციის მესვეურები ღიად აცხადებდნენ, რომ მიზნად ისახავდნენ ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს შექმნას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის ნაწილადაც განიხილებოდა აფხაზეთი, ხოლო ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იქნებოდა სოხუმი. ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური მიმართულების ერთგვარი გამონახტულება იყო „სახელმწიფო დროშის“ მწვანე ფერი. „კონფედერაციის“ ანალოგიური სიმბოლიკის მიღებით სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი დეპუტატები სრულიად არაორაზროვნად მიანიშნებდნენ, რომ აფხაზეთი არის არა საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი, არამედ ის შედის ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმ ხალხთა თანამეგობრობაში. არადა, აფხაზეთში ისტორიულად ისლამი არასოდეს (თვით XVIII-XIX საუკუნეებშიც კი) არ ყოფილა გაბატონებული რელიგია.

სეპარატისტების ამ გამომწვევმა ქმედებებმა უკიდურესად დაძაბეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში. სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბა 3. არძინბას ბრძანებით გალის რაიონში, ზუგდიდის რაიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ე.წ. „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ ნაწილების განლაგებამ. ფორმალურად ეს საკითხი შეთანხმებული იყო საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან და „აფხაზური გვარდიის“ განლაგება ენგურზე თითქოს მიზნად ისახავდა დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე გვარდიელთა აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლის აღკვეთას, მაგრამ ამ აქციას სეპარატისტული რეჟიმი და, პირველ რიგში, 3. არძინბა

¹ მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აფხაზეთიდან გროზნოში, „სამხედრო-პოლიტიკური მომზადების“ ასამაღლებლად და საბრძოლო გამოცდილების მისაღებად, აფხაზი „ბოევიკების“ (ოფიციალურად ე.წ. „უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის“ მებრძოლთა) გაგზავნის ფაქტი. ამის შესახებ აფხაზეთის ტელევიზიით მოსახლეობას ერთგვარი თავმოწონებით აუწყა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, უნივერსიტეტის პრორექტორმა *ოლეგ დამენიამ*.

სულ სხვა იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებდა. სეპარატისტები ღიად აცხადებდნენ, რომ „შინაგანი ჯარის“ მეზობლები განთავსებულნი იყვნენ „საქართველოსთან აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარზე“, სადაც, არც მეტი, არც ნაკლები, იცავდნენ „მშობლიური ქვეყნის“ უსაფრთხოებას. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოემჟღავნა ზუგდიდის რაიონის გალის რაიონთან ადმინისტრაციული საზღვრის ოტობაინაბაკევის მონაკვეთზე მომხდარი ინციდენტისას, როდესაც ზ. გამსახურდიას მომხრე გვარდიელთა მცირე ჯგუფთან შეტაკებისას დაიღუპა „აფხაზური გვარდიის“ ერთ-ერთი მეზობელი. ეს ფაქტი გამოყენებულ იქნა მორიგი „პატრიოტული“ აჟიოტაჟის საბაბად. გარდაცვლილი აფხაზი ჭაბუკი გამოცხადდა ლამის „ეროვნულ გმირად“, რომელიც დაეცა თავისი „სამშობლოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას“ (იხ.: პაპასქირი, 2007: 341; Папаскири З., 2010a: 402-403).

აფხაზური მხარის ყოველგვარ ზღვარს გადასულმა გამომწვევმა ქმედებებმა კულმინაციას მიაღწია 1992 წ. 5 მაისს, როდესაც ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ „ჩააგდო“ ქართული მხარის მიერ შეთავაზებული გივი ლომინაძის კანდიდატურა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს იყო ადრე მიღწეული შეთანხმების უხეში დარღვევა. როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ეროვნული ღირსების შემლახავი საარჩევნო კანონის მიღებისას, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის დაიდო არაოფიციალური, ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქართულ დეპუტაციას უპირობოდ უნდა დაეჭირა მხარი აფხაზების მიერ წამოყენებული კანდიდატურისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ანუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების პირველი პირის) თანამდებობაზე. თავის მხრივ, აფხაზური მხარე ანალოგიურად უნდა მოქცეულიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (იერარქიით მეორე თანამდებობა) დამტკიცებისას. ამ პოსტზე კანდიდატურის წამოყენება კი ქართული დეპუტაციის პრეროგატივა იყო.

ქართულმა მხარემ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი დანაპირები და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის კატეგორიულად მიუღებელ ვლადისლავ არძინბას კანდიდატურას, მაგრამ სეპარატისტებმა არაფრად ჩააგდეს ქართული დეპუტაციის მხრიდან გადადგმული კეთილი ნების ეს ნაბიჯი და სრულიად საპირისპიროდ მოიქცნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გ. ლომინაძის დამტკიცებისას. მეტიც, ვ. არძინბამ და მისმა თანამზრახველებმა ქართულ დეპუტაციის აზრის სრული იგნორირებით და მათ გარეშე, ხმების უბრალო უმრავლესობით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცეს ვაჟა ზარანდია – ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი, მხოლოდ „პასპორტით ქართველი“, ¹ ქართული ეროვნულ-სახელმწი-

¹ ამ რამდენიმე წლის წინ ვაჟა ზარანდიამ საჯაროდ გააპროტესტა მისი „პასპორტით ქართველად“ მოხსენიება, მაგრამ თავისი „განმარტებებით“ არათუ არ გაფანტა ეჭვები, არამედ კიდევ უფრო გაამყარა აზრი, რომ მას ქართველობის ნამდვილად არაფერი ცხია. კერ-

ფოცებრივი მენტალიტეტისაგან მთლიანად დაცლილი პიროვნება (პაპასკირი, 2007: 342-343; Папаскири 3., 2010a: 403-404)

3. ზარანდიას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნა იყო გაგრძელება იმ მანკიერი საკადრო პოლიტიკისა, რომელსაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა აფხაზური ნომენკლატურა. ამ საკადრო პოლიტიკის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ე.წ. „ქართულ თანამდებობებზე“ შეერჩიათ საშუალო უნარისა და შესაძლებლობების პიროვნებები, რომელთა ქართველობის ხარისხი მხოლოდ და მხოლოდ პასპორტში გაკეთებული ჩანაწერით შემოიფარგლებოდა. სეპარატისტები ვერაფრით ვერ დაუშვებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე პატრიოტი ქართველების დაწინაურებას. მათ სჭირდებოდათ უნიათო, არაფრით გამორჩეული, მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანები, რომელთათვის სრულიად უცხო იყო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ის თითო-ოროლა ქართველი მოღვაწე კი, რომელიც გამოიჩინდა „ზომაზე მეტ ქართველობას“ და დაუპირისპირდებოდა აფხაზ ხელისუფალთა დიქტატს, იმთავითვე ხდებოდა სეპარატისტების ანგარიშსწორების ობიექტი. თავის მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არათუ არ იცავდა ამ ე.წ. „ქართულ მემამოხეებს“, არამედ, პირიქით, აფხაზ სეპარატისტთა გულის მოგების მიზნით, დემონსტრაციულად იშორებდა მათ. არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ იმ აფხაზ მოღვაწეებსაც, რომლებსაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ობიექტური პოზიცია ეკავათ და ასე თუ ისე ცდილობდნენ, გამიჯვნოდნენ სეპარატისტულ იდეოლოგიას.

3. არძინბასა და უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის გადაწყვეტილება იმ აფხაზეთის სინამდვილეში ყველაზე მაღალ „ქართულ“ თანამდებობაზე ვაჟა ზარანდიას დანიშვნის შესახებ, აფხაზეთის ქართველობის აღშფოთება გამოიწვია. 9 მაისს სოხუმში გაიმართა ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც მკაცრი შეფასება მისცა სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონსტიტუციური და სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევის ფაქტებს და დასვა ვ. არძინბას ხელისუფლების მიერ კონსტიტუციისა არსებული კანონმდებლობის დარღვევით მიღებული ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის გაუქმების

ძოდ, მან თავი მოიწონა იმით რომ ის, პირველ რიგში, არის – „**საბჭოთა ადამიანი, საბჭოური მსოფლმხედველობით**“, რომლისთვისაც უცხოა „წვრილბურჟუაზიული ცნებები და იდეები, ერთა შორის შუღლის გაღვივება ეროვნული ინტერესების დაცვის ლოზუნგით“. აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის ერთგული მსახური ამასაც არ დასჯერდა და შესაშური ბოლშევიკური პათოსით განაცხადა, რომ ის არის „**რწმენით კომუნისტი... ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით**“/„**Я прежде всего советский человек, и точка зрения у меня, естественно, советская. Мне чужды мелкобуржуазные понятия и идеи, разжигание национальной вражды под лозунгом защиты национальных интересов. Более того, я убежденный коммунист, не в метафорическом, а в прямом смысле слова**“ (Зарандия, 2010, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

საკითხი. გარდა ამისა, ყრილობის მონაწილეებმა მითხოვეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დათხოვნა და ახალი, ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ყრილობამ მოუწოდა მოსახლეობას, გაერთიანებულიყვნენ დემოკრატიული ძალების ირგვლივ და წინ აღდგომოდნენ ვ. არძინბას მიერ ხელისუფლების სრულ უზურპაციას (**ყოლბაია და სხვ., 1999: 106**).

ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა აფხაზეთის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მაკოორდინირებელი ორგანო – *ეროვნული ერთიანობის საბჭო*, რომელშიც გაწევრიანდა აფხაზეთში მოქმედი თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, აგრეთვე ადგილობრივი პროფესიონალური და შემოქმედებითი გაერთიანებები. საბჭოს წევრები გახდნენ პოლიტიკურ პარტიათა რეგიონული ორგანიზაციების, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ცალკეული თვალსაჩინო წარმომადგენლები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. საბჭოში თავისი კვოტა მიიღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამაც. ეროვნული ერთიანობის შტაბ-ბინა განთავსდა ე.წ. „საკავშირო ალკა XV ყრილობის სახელობის ტურბაზაში“. *ეროვნული ერთიანობის საბჭოს* თავდაპირველად სათათბირო ორგანოს როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ამ სტრუქტურის წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მან ერთგვარი „საზოგადოებრივი პარლამენტის“ დატვირთვა შეიძინა, რომლის გადაწყვეტილებები ფაქტობრივად სავალდებულო გახდა თვით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციისათვისაც კი (უფრო ვრცლად იხ.: **პაპასკირი, 2007: 344-346; Папаскири З., 2010а: 404-406**).

ახლადშექმნილი მაკოორდინირებელი ორგანოს – ეროვნული ერთიანობის საბჭოს პირველ საპასუხო რეაქციად სეპარატისტების მიერ გადადგმულ პროვოკაციულ ნაბიჯზე ქართული შეიარაღებული ფორმირების – *სოხუმის მექანიზირებული ბატალიონის* ჩამოყალიბება იქცა. ბატალიონი, რომელიც განთავსდა ზემოთ ნახსენები ტურბაზის ტერიტორიაზე, იქმნებოდა ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ (ოფიციალურად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარის პოლკის) საპირწონედ. ქართული შეიარაღებული ფორმირების შექმნამ დააფიქრა აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობა და იძულებული გახდა ის, დაეწყო მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ვ. ზარანდიას დანიშვნის გადასინჯვისა და ამ პოსტზე ახალი კანდიდატურის წამოყენების საკითხზე. ამგვარი მოლაპარაკება შედგა კიდევ იმჟამად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის *სერგეი ბაგაფშის* (სწორედ ის იყო კონსულტაციების გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი) კაბინეტში.

შეხვედრაზე აფხაზურ მხარეს ქართულმა დელეგაციამ წაუყენა სრულიად დასაბუთებული პრეტენზიები 1992 წ. 5 მაისს ვ. ზარანდიას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისას ჩადენილი პოლიტიკურ-სამართლებრივი კაზუსის გამო. აფხაზურმა დეპუტაცია თითქოს აღიარა თავისი შეცდომა და გამოთქვა მზადყოფნა მისი გამოსწორებისა უმაღლესი საბჭოს პირველსავე პლენარულ სხდო-

მაზე. მაგრამ აფხაზმა დეპუტატებმა იქვე დასძინეს, რომ ისინი ვერ დაუჭერდნენ მხარს ქართველთა მიერ წამოყენებულ ნებისმიერ, ხაზს ვუსვამთ – **ნებისმიერ**, კანდიდატს. ე. ი. გამოდიოდა, რომ ქართულ მხარეს არ ჰქონდა სრული თავისუფლება თავიანთი კანდიდატის შერჩევისას, მაშინ, როდესაც აფხაზებს გააჩნდათ ეს პრივილეგია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევისას. ამით აფხაზურმა მხარემ კიდევ ერთხელ გათელა ფეხქვეშ ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმებები“. აფხაზ დეპუტატთა ამ განცხადებამ უკიდურესად დაძაბა სიტუაცია მოლაპარაკებებზე და ეს შეხვედრა ჩაიშალა (შეხვედრის მიმდინარეობაზე და ჩაშლის მიზეზებზე უფრო ვრცლად იხ.: **ჰაპასკირი, 2007: 347-349; Папаскири 3., 2010a: 406-407; Папаскири 3., 2012b: 126-129**).

პოლიტიკური კრიზისის უკიდურესი გამწვავება აფხაზეთში 1992 წლის ზაფხულში. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1992 წ. მაის-ივნისის განმავლობაში, თანდათანობით, სულ უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც *ვლადისლავ არძინბამ* კიდევ ერთხელ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა *გივი ლომინაძე*. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამ პოსტზე აფხაზი *ალექსანდრე ანჯვაბი* დაინიშნა. სეპარატისტების ლიდერის ეს ნაბიჯი უკანონო იყო იმდენად, რამდენადაც, არსებული კანონმდებლობით, მას არ ჰქონდა უფლება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეუთანხმებლად დაენიშნა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი.

ამასობაში ვითარება მთლიანად საქართველოში სულ უფრო იძაბებოდა. უმძიმესი იყო მდგომარეობა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“. არ იყო სიმშვიდე დასავლეთ საქართველოში, უპირატესად სამეგრელოს რაიონებში, სადაც დამხობილი პრეზიდენტის მომხრეები ენერგიულად ცდილობდნენ, ხელთ ეგდოთ მართვის სადავეები. 1992 წ. 24 ივნისს სოჭის მახლობლად – *დაგომისში* დანიშნული იყო რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ლიდერების – *ბორის ელცინისა* და *ედუარდ შევარდნაძის* შეხვედრა, რომელზეც იგეგმებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპებზე ყოვლისმომცველი დოკუმენტის მიღება, მაგრამ 24 ივნისს, განთიადისას, საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის სოჭში გამგზავრებამდე, დამხობილი პრეზიდენტის მომხრეები მოულოდნელად შეიჭრნენ საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის შენობაში, დაიკავეს ის და იქიდან მოუწოდეს მოსახლეობას საყოველთაო გამოსვლისაკენ საქართველოს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ რამდენიმე საათში ჩაახშო ამბოხებულთა შეიარაღებული წინააღმდეგობა.

24 ივნისს თბილისში განვითარებული მოვლენებით უმაღლესი სარგებლა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც მის განკარგულებაში მყოფი ე.წ. „*უმაღლესი საბჭოს პოლკი*“ მიუსია შინაგან საქმეთა სამინისტროს. ისინი შეიჭრნენ მინისტრის კაბინეტში და გივი ლომინაძეს ძალით დაატოვებინეს სამინისტროს შენობა, რის შემდეგაც

კაბინეტში ალექსანდრე ანქვაბი შეიყვანეს. ამავე დროს ვ. არძინბამ „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბაბით“, მოახდინა დამატებითი შეიარაღებული ქვედანაყოფების მობილიზაცია და მათი მეშვეობით უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობების, ცენტრალური მაგისტრალების, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ბლოკირება (ყოლბაია და სხვ., 1999: 112-113). ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა“, რომელშიც ქართველ დეპუტატებთან ერთად გაერთიანებული იყო ზოგიერთი სხვა (არააფხაზი და არაქართველი) დეპუტატიც, გააკეთა მკაცრი განცხადება. მასში ნათქვამი იყო, რომ „აფხაზეთში მყარდება დიქტატურა, ტოტალიტარული რეჟიმი... სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები სააღმოსავლეთო მდგომარეობაშია. უმაღლესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობს შეიარაღებული ჯგუფების ტერორისა და ძალადობის ქვეშ. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ დეპუტატთა ფრაქციას „დემოკრატიული აფხაზეთი“ დარჩა მხოლოდ ერთი გზა – დატოვოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობა“ (ყოლბაია და სხვ., 1999: 113).

ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, რომელიც იმ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, გამოიჩინა ინიციატივა და გადადგა ნაბიჯები აფხაზურ მხარესთან დიალოგის დასაწყებად. სოხუმში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობითი დელეგაცია ლევან ალექსიძისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები: დავით ბერძენიშვილი, ივლიან ხაინდრავა, ვახტანგ ხმალაძე და სხვ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შედგა სახელმწიფო საბჭოს დელეგაციის პირველი შეხვედრა აფხაზურ მხარესთან, რომელსაც წარმოადგენდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ნათელა აკაბა, ზურაბ აჩბა, დაურ ბარგანჯია, ენვერ კაპბა, სერგეი შამბა, ანრი ჯურგენია. შეხვედრა გახსნა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც, მცირე შესავლის შემდეგ, მკაცრად გააკრიტიკა ლ. ალექსიძე, საქართველოს ხელისუფლება და დემონსტრაციულად დატოვა სხდომათა დარბაზი.

შეხვედრაზე ლ. ალექსიძემ და ჯ. ხეცურიანმა, საქართველოს ხელისუფლების სახელით, აფხაზურ მხარეს აღუთქვეს, რომ ცენტრალური მთავრობა წავიდოდა ნებისმიერ დათმობაზე საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის ამადლების საკითხში, მაგრამ ამას გააფორმებდა მხოლოდ ახალი საპარლამენტო არჩევნებისა და კანონიერი ხელისუფლების არჩევის შემდეგ. ფაქტობრივად, საუბარი მიდიოდა საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნაზე, რომელშიც აფხაზეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს, მიენიჭებოდა მაქსიმალურად ფართო უფლებებები. მიუხედავად ქართული დელეგაციის ენერგიული მცდელობებისა, გადაყვანა დიალოგი კონსტრუქციულ ჭრილში და როგორმე გამოენახა საერთო ენა აფხაზურ მხარესთან, მოლაპარაკებების პირველმა რაუნდმა შედეგი ვერ გამოიღო. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ლ. ალექსიძისა და ჯ. ხეცურიანის კონ-

ფილენციალური შეხვედრა ვ. არძინბასთან (პაპასკირი, 2007: 351-353).¹

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარა იყო, რომ აფხაზური ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა, დაეძაბა სიტუაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში. სარგებლობდნენ რა საქართველოში კანონიერად არჩეული ხელისუფლების არარსებობით, ვ. არძინბა და მისი თანამშრომლები დაუფარავად მიდიოდნენ დია კონფრონტაციაზე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ფაქტობრივად ამზადებდნენ ნიადაგს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მოსკოვის წაქეზებით, სადაც ანტიქართული პროპაგანდისტული კამპანია სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები მაქსიმალურად ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ამ კამპანიას და გაეფანტათ მითი აფხაზეთში ქართველთა მხრიდან აფხაზების შევიწროების შესახებ. ამ მიზნით 1992 წ. ივნისში მოსკოვში ჩავიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციისა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს დელეგაცია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით. მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, დელეგაციამ ჩაატარა პრეს-კონფერენცია, რომელმაც ადგილობრივი მასმედიის დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ იმავე საღამოს წამყვანმა ტელეკომპანიებმა (მათ შორის, რუსეთის ტელევიზიის I-მა და II არხებმა) ოპერატიულად და საკმაოდ ამომწურავად (უნდა ითქვას, ობიექტურადაც) გააშუქეს აღნიშნული პრეს-კონფერენცია. თ. ნადარეიშვილმა და დელეგაციის სხვა წევრებმა პრესის წარმომადგენლებს აუწყეს სრული სიმართლე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მოკლედ გააცნეს მათ ქართულ-აფხაზური დაპირისპირების წინაისტორია (უფრო ვრცლად იხ.: პაპასკირი, 2007: 353-354; Папаскири З., 2010a: 410).

აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალები არ იფარგლებოდნენ მხოლოდ იდეოლოგიური კონტრპროპაგანდით. სეპარატისტთა თარეშის ასალაგმავად და მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ისინი თბილისისაგან მოითხოვდნენ უფრო ქმედითი ზომების გატარებას. ერთ-ერთ ასეთ პრევენციულ ღონისძიებად მიჩნეული იყო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც მუდმივად იქნებოდა განთავსებული აფხაზეთში. 1992 წ. ივნისის ბოლოს, თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციისა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაერთიანებული დელეგაცია. შედგა შეხვედრა სახელმწიფო საბჭოში – ელუარდ მუ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური დელეგაციის წევრებს შორის არ იყო სრული ერთიანობა. მაგალითად, თუ ზ. არბა, ე. კაპა და ა. ჯურგენია თითქოს არ იყვნენ თბილისისა და სოხუმის შორის ფედერაციული ურთიერთობების დამყარების წინააღმდეგი, ს. შამბა, აშკარად ვ. არძინბას გავლენით, გამომწვევად უსვამდა ხაზს, რომ ეს არ იყო მთელი დელეგაციის აზრი.

ვარდნაძესთან. შეხვედრა, რომელიც დაახლოებით 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, საკმაოდ ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულდა და დელეგაციის წევრები სოხუმში დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ ცენტრი სერიოზულად ჩაერეოდა აფხაზეთში მიდინარე პროცესებში.

მაგრამ თბილისში მაინც ფრთხილობდნენ. უფრო მეტიც, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, ელიარებინა ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ ლეგიტიმურობა. სოხუმში ამ საკითხზე ვ. არძინბასთან კონსულტაციების ჩასატარებლად ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრი *თენგიზ კიტოვანი*. ის აფხაზეთის ხელისუფლების მეთაურს სთავაზობდა „აფხაზური გვარდიის“ გაერთიანებას საკავშირო ალკვ XV ყრილობის სახ. ტურბაზაში განთავსებულ შინაგანი ჯარის „ქართულ ბატალიონთან“, ამ შენაერთის ორმაგ (საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს) დაქვემდებარებაში მოქცევას. ე. ი. ამით ვ. არძინბას სრულ განკარგულებაში არსებული სამხედრო ნაწილი ფორმალურად ექცეოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სამხედრო ნაწილის „ორმაგ დაქვემდებარებაში“ მოქცევის იდეა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული ერთიანობის საბჭოსათვის, რომელმაც ეს სეპარატისტების წინაშე ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ კაპიტულაციად აღიქვა. საბოლოოდ, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა სამეგრელოს რაიონებში განვითარებული პროცესები. საქართველოს ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ჯგუფების გამოხდომებს. 1992 წ. 9 ივლისს ისინი თავს დაესხნენ საქართველოს დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერის *ალექსანდრე კვასაძის* მანქანას და ეს უკანასკნელი დაატყვევეს. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შელახა საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და მთლიანად ქვეყნის ავტორიტეტი. საქართველოსადმი უნდობლობის პირველ გამოვლინებად იქცა *ევროპის საფეხბურთო ასოციაციის* (უეფა) აღმასკომის გადაწყვეტილება საქართველოს საფეხბურთო კლუბების უეფას ოფიციალური ტურნირებიდან მოხსნის შესახებ. ეს იყო დიდი დარტყმა საქართველოსათვის, და არა მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით.¹

¹ საქართველოს გუნდების მონაწილეობას საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში შეეძლო, რამდენადმე ჩაეცხრო პოლიტიკური ვნებათაღელვა და ხელი შეეწყო ვითარების სტაბილიზაციისათვის მთელ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთში. ამის იმედს იძლეოდა ის გარემოება, რომ სოხუმის საფეხბურთო კლუბ „ცხუმს“ – საქართველოს 1992 წლის ვიცე-ჩემპიონსა და თასის ფინალისტს – მონაწილეობა უნდა მიეღო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ევროპული მასშტაბის საფეხბურთო მატჩების ჩატარება სოხუმში, ადგილობრივი კლუბის მონაწილეობით, ბუნებრივია, გამოიწვევდა ფეხბურთის ყველა გულშემატკივრის კონსოლიდაციას და, შესაძლებელია, შეარბილებდა დაძაბულობას საზოგადოებაში, მაგრამ უეფას ხელმძღვანელობამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური სიტუაციის გამო, არათუ თავი შეიკავა საქართველოს სტადიონებზე ოფიციალური საერთაშორისო საფეხბურთო

ამასობაში ხელისუფლების კრიზისმა აფხაზეთში აპოგეას მიაღწია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“ განაგრძობდა უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომების ბოიკოტირებას. თავის მხრივ, უმაღლესი საბჭოს აფხაზეთი ნაწილი ჯიუტად არ იხევდა უკან და არავითარ კომპრომისზე არ მოდიოდა. მიმდინარეობდა სეპარატისტული ძალების მიერ ხელისუფლების დაუფარავი უზურპაცია. ყოველივე ეს დასრულდა მორიგი ანტიკონსტიტუციური აქტით. 1992 წ. 23 ივლისს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ე.წ. „სესიამ“, რეგლამენტის უხეში დარღვევით, კვორუმის არარსებობის პირობებში, მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.

აფხაზ დეპუტატებს მთავარი არგუმენტად მოჰყავდათ 1992 წ. თებერვალში საქართველოს დროებითი სამხედრო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაზე გადასვლის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო ისეთი სუბიექტი, როგორცაა აფხაზეთის ასსრ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 140**). აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის ამგვარი ახსნა არამართო ცრუ და აბსურდული იყო, არამედ ცინიკურიც. ჯერ ერთი, არავითარ გადასვლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაზე, რეალურად, ადგილი არ ჰქონია და ქვეყანა კვლავინდებურად იწოდებოდა „საქართველოს რესპუბლიკად“ (და არა „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად“); მეორე, საქართველოს სამხედრო საბჭოს – არაღეგობრივი ორგანოს – მიერ, მიღებული დოკუმენტი სულაც არ იყო ყოვლისმომცველი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აქტი, არამედ წარმოადგენდა უბრალოდ პოლიტიკურ დეკლარაციას. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი სწორედ ასე იწოდებოდა: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 99-100**). გარდა ამისა, ამ დეკლარაციაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საქართველოს სამხედრო საბჭო „აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით“, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 110**). ერთი წუთითაც რომ ჩავთვალოთ „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია“ ფუნდამენტალურ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ დოკუმენტად, ზემოთ მოყ-

მატიკების ჩატარებისაგან, არამედ საერთოდ მოხსნა (!!!) ქართული კლუბები უეფას ოფიციალური ტურნირებიდან. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ უეფას მხრიდან ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების მიღებაში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა რუსეთის საფეხბურთო ფედერაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა და ამავე დროს მსოფლიო საფეხბურთო ასოციაციის (ფიფა) ვიცე-პრეზიდენტმა ვიარესლავ კოლოსკოვმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიქართული განწყობილებებით.

ვანილი ჩანაწერის გაცნობის შემდეგ როგორ შეიძლება, ვილაპარაკოთ რაღაც სამართლებრივ ვაკუუმზე „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთმიმართებაში“, რომელზედაც აკეთებდნენ აქცენტს აფხაზი დეპუტატები.

მაგრამ არც ესაა მთავარი, ვ. არძინბა და მისი გარემოცვა გამიზნულად ცრუობდა და შეჰყავდა საზოგადოება შეცდომაში, როდესაც ამტკიცებდა, რომ აფხაზეთს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. წინამდებარე ნაშრომის შესაბამის ადგილას საკმაოდ ამომწურავად გაშუქდა 1918-1920 წლებში თბილისსა და სოხუმს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარების პერიპეტეიები და თვალნათლივ იქნა ნაჩვენები ამგვარ მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა (იხ. ზემოთ: გვ. 349-386), ამდენად, ამჯერად არაა ამ საკითხზე დაწვრილებით შეჩერების აუცილებლობა. მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენებთ მხოლოდ, რომ **დაწყებული 1918 წლის 11 ივნისიდან აფხაზეთი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული**, რაც 1919 წლის 20 მარტს ოფიციალურად დაადასტურა აფხაზეთის სინამდვილეში პირველად ჩატარებული საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულმა ხელისუფლების უმაღლესმა ლეგიტიმურმა ორგანომ – *აფხაზეთის სახალხო საბჭომ*. უფრო მეტიც, ამავე ორგანომ 1920 წ. 16 ოქტომბერს დაამტკიცა ავტონომიური (ხაზს ვუსვამთ – **ავტონომიური**) აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი და გადაუგზავნა ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – *დამფუძნებელ კრებას* დასამტკიცებლად. და ბოლოს, 1921 წ. 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ კონსტიტუციურად განამტკიცა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთხელ კიდევ გვინდა დავაფიქსიროთ, რომ ნებისმიერი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ე.წ. „ამოქმედების“ შემდეგ შემწყდარიყო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ასსრ შორის, სრული აბსურდი და უმეცრებაა. რაც შეეხება ე.წ. „აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციას“, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ დოკუმენტის დეზავუირება იმთავითვე (1926 წ.), ისე, რომ ის ძალაში არც შესულა, მოახდინა თვით იმჟამინდელი აფხაზეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური ნაწილის მიერ 1992 წ. 23 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებები, მიუხედავად საქართველო-აფხაზეთს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადების შესახებ ცალკე დადგენილების გამოტანისა (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 129**), როგორც საკუთრივ აფხაზეთში, ისე მთლიანად საქართველოში, სავსებით სამართლიანად აღიქვეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებად. უფრო მეტიც, ასევე იქნა ინტერპრეტირებული ეს ფაქტი რუსეთშიც, სადაც ტელერადიოკომპანია „ოსტანკინომ“ სადამოს ახალ ამბებში მთელ მსოფლიოს

ამცნო „აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შესახებ (Червоная, 1993: 125). სრულიად ნათელი იყო, რომ აფხაზური მხარე, საქართველოს რესპუბლიკასთან „განსაკუთრებული ხელშეკრულების“ დადებით „სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების“ დამყარების დაპირებით, უბრალოდ საერთაშორისო საზოგადოებისათვის თვალის ახვევას ცდილობდა (Червоная, 1993: 125). თვით პროექტი „აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“ (ავტორი – აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო იდეოლოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტარას შამბა) ფაქტობრივად არა იმდენად საქართველო-აფხაზეთის ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში გაერთიანებისკენ იყო მიმართული, რამდენადაც მათი „კულტურული გაყრისაკენ“ (Червоная, 1993: 125).

რასაკვირველია, ყოველივე ამას მშვენივრად აცნობიერებდნენ როგორც სოხუმში, ისე თბილისში. 1992 წ. 25 ივლისს უკვე საქართველოს სახელმწიფო საბჭომ სპეციალური დადგენილებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „სესიის“ გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 129-130). 1992 წ. 28-30 ივლისს სოხუმში საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა“ ჩაატარა კონტრსესია, რომელმაც პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მისცა სეპარატისტების მიერ 23 ივლისს ჩადენილ უკანონობას. კონტრსესიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციების ნაწილმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება პარლამენტური გზით“ და რომ ეს წარმოადგენს „ავტორიტარული რეჟიმისა და ეროვნული განსაკუთრებულობის ლეგიტიმაციის კანონზომიერ შედეგს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების“ მართვისას. „უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის უკანონო გადაწყვეტილების შედეგად, – აცხადებდა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“, – ფაქტობრივად ლიკვიდირებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს არსებული სამართლებრივი ბაზა“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილი ერთადერთ კანონზომიერ ნაბიჯად მიიჩნევდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თვითდათხოვნას (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 131-132).

ამრიგად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაცია არ აპყვა ემოციებს, არ გადადგა რადიკალური ნაბიჯები და არ მისცა საბაბი სეპარატისტულ ძალებს დესტაბილიზაციის პროვოცირებისათვის. რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ის კიდევ უფრო ფრთხილად მოქმედებდა და ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე გამოენახა საერთო ენა აფხაზურ მხარესთან, რისი გამოვლინება იყო 1992 წლის 4 აგვისტოს გადადგმული ნაბიჯი. როგორც ცნობილია, 1992 წ. 31 ივლისს საქართველო მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, რითაც დასრულდა საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების საკმაოდ გაჭიანურებული პროცესი და საქართველომ მოიპოვა სრული სუვერენიტეტი. ამ ისტორიული მოვლენის აღსანი-

მწავად საქართველოს ხელისუფლებამ 4 აგვისტოს დაგეგმა ოფიციალური საზეიმო ღონისძიებები, რომელზეც მოიწვია აფხაზეთის ხელმძღვანელობა და პირადად ვლადისლავ არძინბა, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების ლიდერმა უარი თქვა თბილისში ჩამოსვლაზე. ამის მიზეზად მან საკუთარი თვითმფრინავის უქონლობა (?!) დაასახელა. თუმცა ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციისათვის (*თამაზ ნადარეიშვილის* მეთაურობით), ჩასულიყო თბილისში და მონაწილეობა მიეღო საზეიმო ღონისძიებებში.

ასე, აფხაზური მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, ხელიდან იქნა გაშვებული კომპრომისის მიღწევის კიდევ ერთი შანსი. ამით სეპარატისტებმა მოახდინეს მორიგი დემონსტრირება იმისა, რომ მათ არ სურდათ დიალოგი თბილისთან და სულ სხვა მიზნები ჰქონდათ. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა უკანმოუხედავად ემზადებოდა სისხლისღვრის ინსპირირებისათვის. მათ თავიანთი ამ ჩანაფიქრის განხორციელება სულ რაღაც 10 დღეში მოახერხეს.

§2. ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში

1992 წ. 14 აგვისტოს პროვოკაცია და საომარი მოქმედებების დაწყება აფხაზეთში. 1992 წ. 14 აგვისტო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიაში. სწორედ ამ დღეს დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში. ოფიციალური ვერსიით, რომლის უარყოფა უბრალოდ შეუძლებელია, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, **საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები გადაადგილდა საქართველოს სახელმწიფოს** (რომლის სუვერენიტეტი – საქართველოს სსრ-ის 1991 წლის საზღვრებში – აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ) **შიგნით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.** ე. ი. ცხადზე უცხადესია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის პირველი კოლონა მიუახლოვდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. *ოხურეთთან* განლაგებულ ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ (თავისთავად უკანონო სამხედრო ფორმირების) ბლოკ-პოსტს, აფხაზმა „ბოევიკებმა“ მოულოდნელად მათ ცეცხლი გაუხსნეს. მეორე შეტაკება უკვე გულრიფშის რაიონში, *აგუძრასთან* მოხდა.

„აფხაზური გვარდიის“ მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც მოჰყვა კონფლიქტის ინსპირირება, მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის გადაადგილების საკითხი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული პირადად ვლადისლავ არძინბასთან. ის, რომ შეთანხმება (მართალია, სიტყვიერი) თბილისსა და სოხუმს შორის სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ ნამდვილად არსებობდა, ეს ოფიციალურად დაადასტურა

არა სხვა ვინმემ, არამედ თვით დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის „პრემიერ-მინისტრმა“ (რომელსაც 2011-2014 წლებში – „პრეზიდენტის“ პოსტიც ეკავა), იმჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა *ალექსანდრე ანჟაბა* (**Анкваб, 2003**). უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, 14 აგვისტოს, დილის 10 საათზე, *ვლადისლავ არძინბამ* ტელეფონით სათანადო ინსტრუქცია მისცა გალის რაიონის ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელს *რუდიკ ცატავას* და დაავალა მას, დახვედროდა შინაგან ჯარს ენგურის ხიდთან და „რაც შეიძლება ჩქარა“ გამოეცილებინა ის ოჩამჩირის რაიონის საზღვრამდე, სადაც მათ უნდა დახვედროდა ოჩამჩირის რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *იგორ გურგულია*. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, უნდა გაეცილებინა *თენგიზ კიტოვანი* გულრიფშის რაიონის საზღვრამდე. ამასთან, სეპარატისტული ხელისუფლების მეთაურმა აუკრძალა რ. ცატავას, შემოსული სამხედრო კონტინგენტიდან 50-კაციანი რაზმის გალის რაიონში დატოვება.

ე. ი. გამოდის, რომ ვ. არძინბა ერთ მითითებას აძლევდა რ. ცატავას, ხოლო მისი „ბოევიკები“ სულ სხვანაირად მოქმედებდნენ. სრულიად ნათელია, რომ ყოველივე ეს არ იყო შემთხვევითი. ვ. არძინბა უბრალოდ ვალდებული იყო, გაერკვია, თუ რა მოხდა ოხურეისთან. ამის ნაცვლად მან აფხაზეთის მთელ მოსახლეობას „ქართველი ოკუპანტებისა და აგრესორების წინააღმდეგ სამამულო ომისაკენ“ მოუწოდა. როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს რუსი პოლიტოლოგი ს. ჩერვონაია, სწორედ ვ. არძინბას ამ მოწოდებამ, და არა ქართული სამხედრო ნაწილების გადაადგილებამ, ითამაშა საბედისწერო როლი აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის გაღვივებაში (**Червонная, 1993: 133**).

კიდევ ერთხელ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა სრული იურიდიული უფლება, თვითონვე განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის აუცილებლობა. ამდენად, აფხაზი სეპარატისტების, მათი მფარველებისა და წამქეზებლების დემაგოგიური მტკიცებები საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შესახებ სრული პოლიტიკური და იურიდიული უმეცრების გამოვლინებაა. მიუხედავად აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანისას საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მართებდა მეტი სიფრთხილის გამოჩენა, რათა სეპარატისტებს არ მისცემოდა საბაბი პროვოკაციისათვის. რა გვაქვს მხედველობაში? ჩვენი აზრით, სახელმწიფოს პირველი პირი არ უნდა დასჯერებოდა სატელეფონო საუბრებს ვ. არძინბასთან, თვითონ უნდა ჩასულიყო სოხუმში, პირადად შეხვედროდა ვ. არძინბას და, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელისაგან, ოფიციალურად მიეღო თანხმობა (წერილობით დამოწმებული) საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის შეყვანაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე (**პაპასკირი, 2007: 367; Папаскири З., 2010а: 419-420**). ამით, ალბათ, თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. ე. შევარდნაძეს ამკარად უმტყუნა პოლიტიკურმა აღდომ და მან, როგორც ჩანს, ვერ გაბედა,

გადაედგა იმ დროისათვის რამდენადმე სარისკო ნაბიჯი. შედეგად, ვ. არძინბას მიეცა შანსი თავისი ვერაგული ზრახვების რეალიზაციისათვის. აი, ასე დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, რომელსაც ხშირად უწოდებენ „უაზრო ომს“.

ის ანალიტიკოსები, რომლებიც ასე მოიხსენიებენ 1992-1993 წლების კონფლიქტს აფხაზეთში, გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ ის ნამდვილად ძმათამკვლელი ომი იყო. მართლაც, განა უაზრობა არ იყო, როდესაც აფხაზი *ჰაპასკირი*, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა, თუ „ვისი გორისა“ იყო, იარაღით ხელში ებრძოდა ქართველ *ჰაპასკირს* და ყოველნაირად ცდილობდა, გამოეძევებინა ის აფხაზეთიდან.¹ მიუხედავად ამისა, აფხაზეთის კონფლიქტის „უაზრო ომად“ მიჩნევა უსამართლობა იმ ათასობით ომში გამირულად დაცემული მეომრის წინაშე, რომლებიც თავს დებდნენ სამშობლოსათვის. ეს ვრცელდება იმ აფხაზი ჭაბუკების მიმართაც, რომელთაც ღრმად სწამდათ, რომ იბრძოდნენ მშობლიური აფხაზეთის თავისუფლებისათვის. მათი ხვედრი გაცილებით უფრო ტრაგიკულია, რადგან ისინი ნამდვილად გახდნენ მსხვერპლნი სრულიად გაუმართლებელი და უპერსპექტივო ავანტიურისა, რომელიც წამოიწიეს აფხაზური სეპარატიზმის მესვეურებმა. მათ ეს ახალგაზრდები, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ აომეს, თანაც დიდი მეფის *ლეონ II-ის* დროშის ქვეშ. იმ ლეონ II-ისა, რომელმაც VIII ს. მიწურულს საფუძველი ჩაუყარა ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს. ამგვარად, ახალი დასავლურ-ქართული (ხაზს ვუსვამთ – **ქართული**, და არა აფხაზურ-აფსურული, როგორც ამას გვიკიჟინებენ სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები) სახელმწიფოს დამაარსებლის ლეონ II-ის სახელი გამოყენებულ იქნა (და ამჟამადაც გამოიყენება) ერთგვარ იდეოლოგიურ საყრდენად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს არის ნამდვილი მკრეხელობა, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის უხეში გაყალბება და აბუჩად აგდება. ვინაიდან სწორედ ქართველები (და არა სეპარატისტები) იცავდნენ ლეონ II-ის დროშასა და იდეალებს, ამ დიდი მეფის რუღუნებით შექმნილ სახელმწიფოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას. იცავდნენ მას არა იმდენად თავიანთი გზასაცდენილი აფხაზი თანამოძმეებისაგან, რამდენადაც მეზობელი სახელმწიფოს ფარული თუ ღია აგრესიისაგან.

¹ ცნობილია ასეთი ფაქტი: გააფთრებული საომარი მოქმედების პერიოდში, სოხუმში გამოძავალმა ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ორივე მხრიდან დაღუპულ მეომართა ერთი და იგივე გვარები (*სიჭინავები, ჭითანავები, ქირიები, ძაძამიები, ჟვანიები, ახვლედიანები* და ა.შ.). დადასტურებულია, რომ ე.წ. აფხაზ „საველე მეთაურთა“ შორის თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა ვინმე *არტურ ჭითანავა*, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველთა მასობრივ დახვრეტას სოხუმის რაიონის სოფ. ეშერაში (*Чхенкели, 1996: 46*). ასევე გააფხაზებულ ქართველს, ე.წ. „სოხუმის ბატალიონის“ მეთაურს *ოლეგ ჰაპასკირს* ედება ბრალად *ჟიული შარტავასა* და მისი თანამებრძოლების დახვრეტა (*ჰაპასკირი, 1999a: 371; Papaskiri, 2020: 164-165*).

მაგრამ მოვუბრუნდეთ 14 აგვისტოს ტრაგიკულ დილას. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ სეპარატისტები კარგა ხნის მომზადებულნი იყვნენ სისხლიანი შეტაკებისათვის, და არა მხოლოდ ინფორმაციულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით. უკვე დღის 12 საათისთვის, მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ნაწილები ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული სოხუმში, აფხაზური რადიო და ტელევიზია საზოგადოებას აცნობდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების – „ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისათვის იარაღის გადაცემის შესახებ“ – ტექსტს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ შეიარაღებული ფორმირებების შემოყვანისა და აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის, მოსახლეობისათვის წარმოქმნილ რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით“, უნდა მომხდარიყო „18-40 წლის ასაკის ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაცია“ და გამწესება „შინაგანი ჯარის პოლკში“. ამასთან, შინაგანი ჯარის პოლკის მეთაურს დაევალა, პოლკის ბაზაზე 5 ათასეულის ჩამოყალიბება, „თითოეულში 500 კაცის ოდენობით“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 135). ამავე დროს, ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის მოსახლეობას მიმართა თავდაცვის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელად სახელდახელოდ დანიშნულმა „აიდგილარას“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგეი მამბამ, რომელმაც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის (18-45 წლის ასაკის მამაკაცების) მობილიზაცია გამოაცხადა (Червонная, 1993: 135).

ამასობაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილები მიადგნენ ქალაქის ცენტრს და შეჩერდნენ წითელ ხიდთან. გაჩნდა პირველი მსხვერპლი სოხუმში. ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ქართულ ფორმირებებს ებრძანათ, არ შესულიყვნენ ქალაქის ცენტრში. ამით ისარგებლეს „აფხაზმა მოლაშქრეებმა“ და სასწრაფოდ დაამყარეს თავიანთი კონტროლი ქალაქის დანარჩენ ნაწილზე. აფხაზთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორია უმაღლ მოიცვა მაროდორობამ და ყაჩაღობამ. პირველსავე დამეს საქალაქო ავტოსადგომებიდან გააქრეს ავტომანქანები, გაიძარცვა მალაზიები, რეალური საფრთხე დაემუქრა ქართული მოსახლეობის სიცოცხლეს.

15 აგვისტოს ზღვიდან გაგრის ნაპირზე გადმოსხდა მცირერიცხოვანი ქართული დესანტი. იმავე დღეს, სოხუმში ჩამოვიდა სამთავრობო დელეგაცია თბილისიდან საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუასა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, მაგრამ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან უშედეგოდ დამთავრდა. ვ. არძინბამ დემონსტრაციულად უარი თქვა შეხვედრაში მონაწილეობაზე. მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ აფხაზმა „მოლაშქრეებმა“ დატოვეს ქ. სოხუმი და 17 აგვისტოს ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა უბრძოლველად დაიკავეს ქალაქის ცენტრი, ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები და გავიდნენ მდ. გუმისთაზე. სოხუმში გამოც-

ხადა საგანგებო წესები. პარალელურად აფხაზებმა გაგრაც დატოვეს და ქალაქი ქართული ფორმირებების კონტროლქვეშ გადავიდა.

გაგრასა და სოხუმში ქართული შეიარაღებული ნაწილების შესვლის შემდეგ ვ. არძინბამ ფართომასშტაბიანი ანტიქართული ინფორმაციულ-იდეოლოგიური კამპანია გააჩადა. ჯერ კიდევ 17 აგვისტოს მან გაავრცელა მიმართვა: „*მსოფლიოს ჰარლამენტებს, პრეზიდენტებს, ხალხებს*“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ „*აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი ოკუპაციის მიზნით*“ (Червоная, 1993: 142). ამავე დროს ვ. არძინბამ დახმარებისათვის მიმართა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. ს. ჩერვონაიას მონაცემებით, 15 აგვისტოს ის ჩაფრინდა გროზნოში, სადაც ჰქონდა შეხვედრა ჩეჩნეთის ლიდერ *ჯოხარ დუდაევთან* (Червоная, 1993: 144). სეპარატისტების თავკაცი დახმარების თხოვნით მიმართავდა აგრეთვე კაზაკთა ატამანებს, რუს ნაციონალ-პატრიოტებსა და შოვინისტებს, ე.წ. „*კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას*“.

17 აგვისტოს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „*კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის*“ პარლამენტმა გროზნოში მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც პირდაპირ განაცხადა მზადყოფნა საომარ მოქმედებებში ჩართვაზე საქართველოს წინააღმდეგ (Червоная, 1993: 146). კიდევ უფრო გამომწვევი იყო ე.წ. „*კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის მუსა მანიბოვისა და პარლამენტის თავმჯდომარის იუსუფ სოსლამბეკოვის ბრძანება*“, რომელშიც „*კონფედერაციის შტაბებს*“ ებრძანათ „*მოხალისეების გადასროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე აგრესორების უკუსაგდებად*“. გარდა ამისა, თბილისი გამოაცხადეს „*უბედურების ზონად*“ და დააანონსეს იქ „*ტერაქტების მოწყობა*“; ქართველი ეროვნების ყველა მოქალაქე ასევე გამოცხადდა მძევლად კონფედერაციის ტერიტორიაზე.¹ ასეთ ვითარებაში, კრემლი არათუ ხმას არ იღებდა ე.წ. „*კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის*“ წინააღმდეგ, არამედ ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ „*კონფედერაცია*“ საერთოდ მოქმედებდა რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების უშუალო წაქეზებით.

დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ე.წ. „*კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის*“ ლიდერების: *მუსა მანიბოვის, იუსუფ სოსლამბეკოვისა და სხვათა* ანტირუსული რიტორიკა მხოლოდ „*შირმა*“ იყო, სინამდვილეში კი „*კონფედერაციის*“ ერთადერთ მიზანს იმთავითვე არა რუსეთის იმპერიული კლანჭებიდან კავკასიის ხალხების განთავისუფლება და ჩრდილოეთ კავკასიაში ერთიანი ისლა-

¹ „1. *Всем штабам Конфедерации обеспечить переброску добровольцев на территорию Абхазии для вооружённого отпора агрессорам. 2. Всем вооружённым формированиям Конфедерации при противодействии им каких-либо сил вступать в бой и пробиваться на территорию Абхазии любыми методами. 3. Объявить город Тбилиси зоной бедствия, при этом использовать все методы, включая теракты. 4. Объявить всех лиц грузинской национальности на территории Конфедерации заложниками...*“ (იხ. *Авидзба, I, 2013: 521-522, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.*).

მისტური სახელმწიფოს (რომელშიც მათ შეჰყავდათ აფხაზეთი) შექმნა, არამედ ძლიერი ანტიქართული ფრონტის შეკონწიწება წარმოადგენდა. არსებობს უტყუარი მტკიცებები იმისა, რომ აფხაზეთში „კონფედერაციის“ შეიარაღებული ფორმირებები ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდნენ. 14 აგვისტოს შემდეგ ე.წ. „კონფედერატების“ რიცხვი დღითიდღე მატულობდა (**პაპასკირი, 2007: 373; Папаскири 3., 2010a: 424**). ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში აფხაზნიდნენ არა „თანამოძმეთა სისხლის ყვილს“ აყოლილ რიგით „მოხალისეებს“, არამედ საბჭოთა არმიის სკოლაგამოვლილ კადრის ოფიცრებს.¹

17-20 აგვისტოს შუალედში სეპარატისტებმა, რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, შეძლეს ძლიერი თავდაცვითი ზღუდის შექმნა მდ. გუმისთის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ. პარალელურად, ტყვარჩელის მიდამოებში წარმოიქმნა ე.წ. „ადმოსავლეთის ფრონტიც“. კიდევ ერთი ფრონტის ხაზი გადიოდა გაგრის მახლობლად, სოფ. კოლხიდასთან. შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყის სტადიაში ქართულ სარდლობას შეეძლო გადამწყვეტი დარტყმების მიყენება როგორც გუმისთის მიმართულებით, ისე ტყვარჩელის რაიონში, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეგნებულად მოერიდა სისხლისღვრას და თავი შეიკავა შეტევითი ოპერაციებისაგან. ქართული მხარის ასეთი მომლოდინე ტაქტიკა განპირობებული იყო იმითაც, რომ მოსკოვი იმჟამად თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ქართული ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას აფხაზეთის ტერიტორიიდან.

ამასობაში რუსულ-ქართული დაპირისპირების მთავარ ობიექტად იქცა ე.წ. „ეშერის ლაბორატორია“, რომელიც სეპარატისტებმა თავიანთ ძირითად ბასტიონად გადააქციეს. სწორედ იქიდან დაიწყეს მათ სოხუმის მასირებული დაბომბვა საარტილერიო დანადგარებიდან. ნებისმიერი საპასუხო გასროლა ქართული ფორმირებების მხრიდან „ეშერის ლაბორატორიის“ მიმართულებით რუსული მხარის მკაცრ პროტესტს იწვევდა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების არაერთგზისი მოთხოვნისა, მოსკოვს დაუყოვნებლივ დაეწყო ეშერიდან ე.წ. „ლაბორატორიის“ ევაკუაცია, რათა აეცდინათ რუსულ სამხედრო შენაერთებთან შეჯახება, კრემლი ჯიუტად უარზე იდგა. აშკარა იყო, რომ „ლაბორატორიის ფაქტორი“ თანდათანობით იქცეოდა მთავარ „კოზირად“ რუსი სამხედროების ხელში, რომელიც აძ-

¹ ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც პოლკოვნიკ სულთან სოსნალიევის (ეროვნებით ყაბარდოელის) ფიგურა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრუქტურების უშუალო „რეკომენდაციით“ დაინიშნა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებლად. „კონფედერატებს“ შორის მრავალრიცხოვნებითა და, რაც მთავარია, სამხედრო პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ჩეჩენი „მოხალისეები“. პირველ რიგში, ეს იყო ცნობილი მამილ ბასაევი თავისი ე.წ. „პირველი ჩეჩენური ბატალიონით“. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, ჩეჩნეთის ომის დროს ეს შენაერთი უკვე „აფხაზურ ბატალიონად“ იწოდებოდა.

ლევდა მათ საშუალებას, თითქმის ღიად აღმოეჩინათ დახმარება სეპარატისტები-სათვის. „საქმეში“ ჩაერთო რუსული ბომბდამშენები, სეპარატისტებმა კი მთელ მსოფლიოს მოსდეს მორიგი მითი: თურმე არა რუსული, არამედ „აფხაზური ავია-ცია“ (არავინ იცის, საიდან გაჩენილი) ბომბავდა ქართულ პოზიციებს.

და მაინც, კონფლიქტის პირველ დღეებში ადგილი არ ჰქონია სისხლისმღვრელ შეტაკებებს. ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ რამდენიმე დღეში შეიარაღებული დაპირისპირების ჩაცხრობა შესაძლებელი გახდებოდა. რამდენადმე სიმშვიდე იყო ქ. სოხუმსა და ქართული ფორმირებების მიერ კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და რაიონებში: *გაგრაში, ოჩამჩირეში, გულრიფშში* და ა.შ. 31 აგვისტოს სოხუმში შეიქმნა ვითარების სტაბილიზაციის „*დროებითი საკოორდინაციო საბჭო*“ გენერალ-მაიორ *გივი ლომინაძის* მეთაურობით. ეს ორგანო ფაქტობრივად აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. დროებითი საკოორდინაციო საბჭოს, კომენდატურებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დიდი მცდელობების მიუხედავად, ვერ მოხერხდა მაროდორობის აღკვეთა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში სოფლებისა და ქალაქების, განსაკუთრებით სოხუმის, ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ძალზე ღირსეულად იქცეოდა. ქართველები აფხაზ მეზობლებთან ერთად აწყობდნენ სადღეღამისო მორიგეობებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და ამით იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში თუ სხვაგან ადგილი არ ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს. პირიქით, თითქმის ყოველდღე ხდებოდა არაერთი სამართალდარღვევა და მასში, დამნაშავე ელემენტებთან ერთად, შეიარაღებული ფორმირებების მებრძოლებიც იყვნენ გარეულნი, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ მოსახლეობაზე ანგარიშსწორების ფაქტებს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. მეტიც, არა მარტო კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე, არამედ მთელი შეიარაღებული დაპირისპირების განმავლობაში, პრაქტიკულად შეუძლებელია (ქ. სოხუმში დანამდვილებით) აფხაზი ეროვნების მოქალაქის მკვლელობის ფაქტის დაფიქსირება. ასე რომ, მტკიცება იმის შესახებ, თითქოს არამარტო აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან, არამედ ქართველთა მხრიდანაც ჰქონდა ადგილი გენოციდის ფაქტებს, სრულიად დაუსაბუთებელი და მკრეხელურია.

სოხუმში და ქართული მხარის კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და სოფლებში თავისუფლად დადიოდნენ ქუჩაში აფხაზი მოქალაქეები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებათა და საწარმოთა უმრავლესობა არ ფუნქციონირებდა, ამ დაწესებულებათა აფხაზი ეროვნების თანამშრომლები (მათ შორის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმში დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები) დროულად იღებდნენ ხელფასს ქართულ კუპონებში. სოხუმში იმყოფებოდნენ არამარტო აფხაზური მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, არამედ სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგებიც,

მათ შორის, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავკაცი, „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე ალექსი გოგუა, რომელმაც მხოლოდ გაგრის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტა ქალაქის დატოვება და გუდაუთაში გადასვლა. მთელი ომის განმავლობაში სოხუმში იმყოფებოდა აფხაზური ნაციონალისტური წრეების კიდევ ერთი არანაკლებ ოდიოზური წარმომადგენელი პროფესორი შალვა ინალ-ივა.

მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება და მისი ვერაგული დარღვევა სეპარატისტების მიერ. გაგრის ტრაგედია. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა განაგრძობდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზების ძიებას. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზაციის გარეშე მშვიდობის დამყარება აფხაზეთში შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, რუსეთის ჩამოცილება აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისაგან უნდა მომხდარიყო ისე, რომ მისი, როგორც ზესახელმწიფოს ამბიციები არ შელახულიყო. ამიტომაც თბილისი აქტიურად მოუწოდებდა კრემლს, გამოსულიყო სამშვიდობო ინიციატივით. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელიც იმ პერიოდში საკმაოდ კონსტრუქციულად იყო განწყობილი, გამოეხმაურა ქართული მხარის მოწოდებას და 1992 წ. 3 სექტემბერს მოსკოვში მოიწვია საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს სამთავრობო დელეგაციას წარმოადგენდნენ: პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი; რუსეთის ფედერაციას: საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, თავდაცვის მინისტრი ჰაველ გრაჩოვი. საკუთრივ აფხაზეთი წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხელმძღვანელებით (ვლადისლავ არძინბა, თამაზ ნადარეიშვილი, კონსტანტინე ოზგანი...). შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელებიც.

დაწყებული 1992 წ. 3 სექტემბრიდან დღემდე პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან ე.წ. „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის“ შეფასების საკითხში. ერთნი მას თვლიან ქართული მხარის დიპლომატიურ მარცხად, თუმცა თავიანთი ნეგატიური პოზიციის დაფიქსირებისას ისინი გამოდიან არა იმდენად თვით დოკუმენტის შინაარსიდან, არამედ იქიდან, რომ მოსკოვმა არაფერი იღონა მისი პირობების რეალიზაციისათვის. სხვების აზრით კი, 1992 წ. 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრა და იქ მიღებული დოკუმენტი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დიპლომატიური წარმატება იყო. მართლაც, თუ გამოვალთ თვით „შემაჯამებელი დოკუმენტის“ შინაარსიდან, რაც, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი მიდგომაა, მასში ძალზე ძნელია იპოვო ისეთი რამ, რაც ხელყოფდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც დოკუმენტის შესავალი ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართვე-**

ლოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებმაც განიხილეს აფხაზეთის, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, აფხაზეთში შექმნილი ვითარება... შეთანხმდნენ შემდეგზე“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ე. ი. მოლაპარაკებების მთავარი სუბიექტები იყვნენ ორი მეზობელი სახელმწიფოს ლიდერები. სწორედ ისინი იხილავდნენ აფხაზეთის პრობლემას და ისინი შეუთანხმდნენ ერთმანეთს. საკუთრივ აფხაზეთი (მით უფრო მისი აფხაზი ლიდერი) არ ყოფილა მოლაპარაკების დამოუკიდებელი მესამე მხარე. ის ფიგურირებდა როგორც საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ნაწილი. კერძოდ, ამის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი „შემაჯამებელი დოკუმენტი“ I მუხლში, იქ, სადაც ლაპარაკი იყო კონტროლისა და ინსპექციის კომისიის შექმნაზე. ამ კომისიის წევრები უნდა დაენიშნა „საქართველოს, მათ შორის, აფხაზეთის და რუსეთის“ ხელისუფლების ორგანოებს (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება მე-9 მუხლშიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტებში“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამავე მუხლის თანახმად „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანო საქართველოს რესპუბლიკაში, მათ შორის, აფხაზეთში“ კისრულობდა ვალდებულებას, პატივი ეცა იქ დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის და აღეკვეთა „მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახებისა და სამხედრო ქონების მიმართ“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139-140, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

ქართული დიპლომატიის სრული გამარჯვება იყო ჩანაწერი „სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ყოველგვარი ხელყოფის“ დაუშვებლობის შესახებ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „შემაჯამებელი დოკუმენტი“ ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის (იმდენის, რამდენიც საჭირო იყო „ამ შეთანხმების მიზნების – რკინიგზებისა და სხვა გარკვეული ობიექტების დაცვა – მისაღწევად“) დატოვებას აფხაზეთის ტერიტორიაზე (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139). ამით რუსული მხარე ფაქტობრივად ადასტურებდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების აფხაზეთში შეყვანის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

მუხლი აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სამხედრო კონტინგენტის დატოვების შესახებ დამატებით იდეოლოგიურ დატვირთვას იძენდა სხვა ჩანაწერის ფონზე, რომლის მიხედვითაც კონტროლისა და ინსპექციის კომისიას ევალებოდა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ჯგუფების“ განიარაღება და

დაშლა, მათი **არდაშვება** აფხაზეთში, აგრეთვე „კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე“ მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 139**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამასთან უშუალო კავშირში იყო მე-11 მუხლი, რომელიც ავალდებულებდა „რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების“ სახელისუფლებო სტრუქტურებს, მიედლოთ ეფექტური ზომები, „**მათი ტერიტორიებიდან**“ ისეთი მოქმედებების აღსაკვეთად, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ, **შეთანხმების შესრულებას და მშვიდობის დამყარებას რეგიონში**“. გარდა ამისა, მათ ევალებოდათ აგრეთვე სათანადო ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება „**მოსახლეობაში... შეთანხმების დებულებათა განსამარტავად**“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 140**). და ბოლოს, „**შემაჯამებელი დოკუმენტი**“ **სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი იყო**, რომელსაც ოფიციალურად **ხელს აწერდნენ** შესაბამის **სუვერენულ სახელმწიფოთა – რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირები: ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე**. რაც შეეხება მეხვედრის სხვა მონაწილეებს, ისინი თავიანთი ხელმოწერებით მხოლოდ ამოწმებდნენ მიღწეულ შეთანხმებას და ამით იღებდნენ პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, მოსკოვში 1992 წ. 3 სექტემბერს მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესების შემლახველ დოკუმენტად. პირიქით, ის, იმ ეტაპზე, უდავოდ ქართული დიპლომატიის წარმატება იყო,¹ მაგრამ ერთია, რა დაიწერება ქალაქებზე და მეორე, თუ როგორ შესრულდება ის. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვეული დიპლომატიური ვერაგობა და თითიც არ გაანძრია „**შემაჯამებელი დოკუმენტის**“ პირობების შესასრულებლად. პირიქით, მოსკოვის ამკარა წაქეზებით, ვ. არძინბა თითქმის მამინათვე შეუდგა 3 სექტემბრის შეთანხმების რევიზიას.

1992 წ. 16 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ხელი მოაწერა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის დადგენილებას, რომელშიც სრულიად

¹ ის, რომ 3 სექტემბრის დოკუმენტი უფრო ასახავდა ოფიციალური თბილისის პოზიციას დასტურდება თვით ვ. არძინბას ქცევით. როგორც ცნობილია, სეპარატისტების ლიდერი ვერ მალავდა განზილებას და აღიარებდა, რომ მას ძალით მოაწერინეს ხელი „**შემაჯამებელი დოკუმენტისთვის**“ – ეს კარგად ჩანს მოსკოვის მეხვედრის სტენოგრამიდან (იხ. **Стенограмма Московской, 2017: 263-298**). მეტიც, მოგვიანებით, ვ. არძინბამ ფაქტობრივად აღიარა ისიც, რომ მას არც უფიქრია 3 სექტემბრის „**შემაჯამებელი დოკუმენტის**“ პირობების შესრულება. თავის მემუარებში ის წერს, რომ „**არაფერი დარჩენოდა, გარდა ხელისმოწერისა, მაგრამ უნდა გაგვეკეთებინა ისუ, როგორც საჭირო იყო. საბოლოო ჯამში ასეც გამოვიდა**“/„**Нам ничего не оставалось, как подписать документ, но сделать по-своему. Так и получилось в конечном итоге**“ (იხ. **Ардзинба, 2018: 247-248**, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ე.ი. გამოდის, რომ ვ. არძინბა ატყუებდა არა მხოლოდ ქართულ მხარეს, არამედ თვით რუსეთის პრეზიდენტს – შეთანხმების მთავარ გარანტს (ამ თემაზე იხ. აგრეთვე: **Кмүзов, 2020**).

უცერემონიოდ იყო გაცხადებული, რომ 1992 წ. 14 აგვისტოს – „საქართველოს ჯარის შექრის დღეს აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, – ასკვნიდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აფხაზი წევრები, – საქართველოს სახელმწიფო ჯარების შექრა აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაეროს განსაზღვრებით, აგრესიის აქტად გვევლინება“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 140, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ვ. არძინბა ამასაც არ დასჯერდა და იმავე 16 სექტემბერს ხელი მოაწერა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კიდევ ერთ დადგენილებას, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, „საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების მიერ აფხაზეთის რესპუბლიკაში“ ვითომ „განხორციელებული მასობრივი ტერორი, ხალხის ფიზიკური განადგურება, ტყვეებისა და მძევლების წამება... აფხაზი ერის გენოციდის აქტად“ გამოაცხადა (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 141).

სრულიად ნათელია, რომ ეს ორი დოკუმენტი 3 სექტემბრის შეთანხმების ვალდებულებებზე უარის თქმის ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი იყო.¹ ასევე ნათელი იყო, რომ რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ყველას არ მოსწონდა 3 სექტემბრის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები. უდავოა ისიც, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ზემოთ ნახსენები დადგენილებები სწორედ მოსკოვიდან იყო ინიცირებული. მაგრამ გარეგნულად იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტ ბ. ელცინის გუნდს ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის მხრიდან მოსკოვის შეხვედრის „შემაჯამებელი დოკუმენტის“ რევიზიასთან არაფერი ჰქონდა საერთო და ყოველივე ეს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პროკომუნისტური ძალების აქტიური მხარდაჭერით ხდებოდა. მართლაც, 1992 წ. 25 სექტემბერს რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, თავისი იმპერიული განწყობილებებით ცნობილი დეპუტატის სერგეი ბაბურინის ინიციატივით მიიღო დადგენილება, რომელიც მთლიანად ემიჯნებოდა მოსკოვის შეხვედრის „შემაჯამებელი დოკუმენტის“ არსსა და სულისკვეთებას.

ამ დადგენილებაში რუსეთის უმაღლესი საბჭო გადაჭრით გამოხატა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედებას, რომელიც ცდილობდა ძალადობის გზით გადაეწყვიტა „რთული ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემები“ და თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ქართული მხარისაგან საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და აფხაზეთის ტერიტორიიდან სამხედრო შენაერთების გამოყვანას. მეტიც, ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობას

¹ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „აფხაზი ერის გენოციდის“ ფაქტებს, რომელსაც თითქოს ახორციელებდა „სახელმწიფო საბჭოს ჯარები... ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, იმავე დადგენილების მიხედვით, თურმე ადგილი ჰქონია 1992 წ. 3 სექტემბრამდე, თუმცა ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ვ. არძინბასთვის, ოფიციალურად ეცნო აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად, დათანხმებოდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების დატოვებას აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების დასაცავად და აედო ვალდებულება, განეიარაღებინა და გაეყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან „უკანონო შეიარაღებული ფორმირებები...“.

ისინი ავალდებულებდნენ, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებამდე, შეეწყვიტათ საქართველოს რესპუბლიკისათვის „ადრე დადებული კონტრაქტებით შეიარაღების, საომარი ტექნიკის, საბრძოლო მასალის, აგრეთვე მაკომპლექტებელი მასალებისა და ნედლეულის მიწოდება...“; თავი შეეკავებინათ „საქართველოსთან ეკონომიკური შეთანხმების დადებისაგან“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 141-142).

საქართველოს ხელისუფლება უმაღლესი გამოეხმაურა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და შეაფასა ის სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საქართველოს მტრები. უკვე 27 სექტემბერს რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ პრეზიდენტი მუსა შანიბოვი. იმავე დღეს ვ. არძინბამ ოფიციალურად განაცხადა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთიდან გაყვანის პროცესის შეჩერების შესახებ (ყოლბაია და სხვ., 1999: 131). ერთი სიტყვით, სრულიად ცხადი იყო, რომ სეპარატისტები მოსკოვის წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით ამზადებდნენ ახალ დიდ პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ. ეს ასეც მოხდა.

ვ. არძინბამ ვერაგულად დაარღვია მოსკოვის შეთანხმება და სეპარატისტთა სამხედრო ფორმირებებმა 2 ოქტომბერს წამოიწყეს შეტევა გაგრაზე. ამ დროისათვის გაგრაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილები საკმაოდ შეთხელებული იყო, რადგან ქართულმა მხარემ 3 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად გამოიყვანა სამხედრო ფორმირებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაგრის ზონიდან. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზ სეპარატისტებს და მათ ჩრდილოეთ კავკასიელი „ბოევნიკებისა“ და რუსეთის რეგულარული ნაწილების აქტიური მხარდაჭერით გაგრა დაიკავეს. გაგრის აღებისას გამოყენებულ იქნა უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა, ტანკები, ავიაცია; რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მოახდინეს ზღვის აკვატორიის ბლოკირება. მთელ ამ ოპერაციას ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი მიხაილ კოლესნიკოვი (ყოლბაია და სხვ., 1999: 131-132).

გაგრის დატოვების შემდეგ ქართულმა ნაწილებმა განთიადი-ლესელიძისკენ დაიხიეს და შეეცადნენ, არ მიეშვათ მოწინააღმდეგე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრისკენ. უმძიმეს სიტუაციაში სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელები. სოხუმიდან ე. შევარდნაძე გაფრინდა ლესელიძეში, მაგრამ მისმა ამ ვოი-აჟმა შედეგი ვერ გამოიღო. აფხაზეთი მხარე განაგრძობდა წინსვლას. 4 ოქტომბერს სოხუმში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მთავრობის სახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც გამოვიდა ე. შევარდნაძეც. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს სეპარატისტთა ვერაგული ქმედებები და მოუწოდეს ქვეყნის ხელმძღვანელობას, გაეცა ბრძანება შეიარაღებული ძალებისადმი გუდაუთის მიმართულებით შეტევაზე დაუყოვნებლივ გადასვლის თაობაზე.

მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი სეპარატისტების შეტევის შესაჩერებლად. მათ შეუფერხებლად განაგრძეს წინსვლა, აიღეს განთიადი და ლესელიძე და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი მდ. ფსოუს გასწვრივ. სეპარატისტებისა და კონფედერატების წინსვლას თანახლდა ქართული მოსახლეობის აყრა მშობლიური ადგილებიდან. სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოკავშირეებმა გაგრაში, განთიადსა და ლესელიძეში ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. გაგრის ტრაგედია იყო აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდისა და გენოციდის დასაწყისი, რომელმაც შემდგომ გაგრძელდა ჰჰოვა აფხაზეთის სხვა რაიონებში.

საომარი მოქმედებების ესკალაცია გაგრის მოვლენების შემდეგ. გაგრის მოვლენებმა ერთბაშად შეცვალა სამხედრო დაპირისპირების ხასიათი. გაგრაში დატრიალებულმა ტრაგედიამ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო. ქ. სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ქართველობამ, რომელიც აქამდე ცდილობდა, უშუალოდ არ ჩარეულიყო საომარ მოქმედებებში და, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის, ამჯერად იარაღი აისხა და უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ჩამოყალიბდა ორი (23-ე და 24-ე) ბრიგადა, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახლადშექმნილ *II საარმიო კორპუსში*. ეს ბრიგადები ძირითადად დაკომპლექტდა ადგილობრივი მოხალისეებით. *23-ე ბრიგადის* მეთაურად დაინიშნა *გენო ადამია*. *24-ე ბრიგადას* სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი *ზაურ უჩაძე*, საარმიო კორპუსის სარდლად კი დაინიშნა გენერალ-მაიორი *ჰაატა დათუაშვილი*.

მოხდა ცვლილებები აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებშიც. ვითარების სტაბილიზაციის „*დროებითა საკოორდინაციო საბჭომ*“, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში, ამოწურა თავისი უფლებამოსილება. საქართველოს მთავრობაში შემოდებულ იქნა *სახელმწიფო მინისტრის* პოსტი აფხაზეთის საქმეებში. ამ თანამდებობაზე დაინიშნა *გიორგი ხაინდრავა*. სახელმწიფო მინისტრი ფაქტობრივად განდა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილის გავლენა მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

1992 წ. 11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ, აგრეთვე დამხობილი პრეზიდენტის *ზვიად გამსახურდიას* მომხრე ძალებმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, აფხაზეთის გამოთიშვა საარჩევნო პროცესიდან ვერ შეძლეს. აფხაზეთის ყველა ქალაქსა და რაიონში (ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი, გულრიფშის რაიონი, ქ. ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი), სადაც კი ჩატარდა არჩევნები, ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩე-

ველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. ასე, მაგალითად, გულრიფშის რაიონის 1500-მდე აფხაზი ამომრჩევლიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 800-მდე პირმა, ხოლო ამავე რაიონის 12 ათასამდე სომეხი ამომრჩევლიდან 10 ათასმა.¹

აღსანიშნავია, რომ, როგორც მაშინ, ისე მოგვიანებითაც (შეიძლება ითქვას, დღემდეც კი), სეპარატისტები ეჭვქვეშ აყენებენ 1992 წელს აფხაზეთში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების ლეგიტიმურობას, იმის გამო, თითქოს ეს არჩევნები არ ჩატარებულა ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. რასაკვირველია, ამ უცილობელი ფაქტის უარყოფა ნამდვილად არ შეიძლება და არც არავინ აპირებს ამის გაკეთებას. მართლაც, ცნობილი მიზეზების გამო, აფხაზების მიერ კონტროლირებად რაიონებში – *გაგრამი, გუდაუთასა და ტყვარჩელში* – საქართველოს პარლამენტის არჩევნები არ ჩატარებულა. მეტიც, დამსობილი პრეზიდენტის *ზვიად გამსახურდიას* მომხრეებმა *გალის* რაიონშიც ჩამალეს ხმის მიცემა. მიუხედავად ამისა, ქ. *სოხუმისა და სოხუმის რაიონის, ოჩამჩირისა და გულრიფშის* რაიონების მოსახლეობამ, *გაგრის* ზონიდან და *გუდაუთის* რაიონიდან გამოხიზნულმა მოქალაქეებმა, რომლებმაც თავი შეაფარეს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად რაიონებს, აგრეთვე *გალის* რაიონის ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა, რომელმაც ხმის მიცემა შეძლო *ოჩამჩირის* რაიონში განთავსებულ საარჩევნო უბნებში, შეადგინეს აფხაზეთის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა სულ ცოტა 50%. აი, რატომ უნდა ჩაითვალოს 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები აფხაზეთში ლეგიტიმურად.²

¹ არჩევნებში გაიმარჯვეს და აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში (პროპორციული სიებით) მოხვდნენ: *ადა მარშანია* (საარჩევნო ბლოკი – „11 ოქტომბერი“), *კონსტანტინე სალია* (საარჩევნო ბლოკი „ერთობა“), *ოთარ ზუხბაია* და *ვახტანგ ყოლბაია* (საარჩევნო ბლოკი – „მშვიდობა“), *გივი ლომინაძე* („ქართია – 91“), *ალექსანდრე ჯიქია* („ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“), *მალხაზ ბარამიძე* („საქართველოს დემოკრატიული პარტია“), *ბორის კაკუბავა* („ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“), *ელგუჯა (გია) გვაზავა* („საქართველოს მწვანეთა პარტია“), *გერმანე ფაცაცია* („ტრადიციონალისტების პარტია“). მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში გაიმარჯვეს: *თამაზ ნადარეიშვილმა* (ქ. სოხუმი), *ჯემალ საჯაიამ* (სოხუმის რაიონი), *ანზორ წოწონავამ* (გულრიფშის რაიონი), *არნოლდ ფენდერავამ* (ოჩამჩირის რაიონი). ამრიგად, საპარლამენტო არჩევნების შედეგად აფხაზეთი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო 14 დეპუტატით, რომელთა შორის ორი – *ადა მარშანია* და *კონსტანტინე სალია* – აფხაზი იყო. მას მერე, რაც კ. სალია დაინიშნა საქართველოს ტურიზმის მინისტრად, მისი ადგილი პარლამენტში დაიკავა *გენო კლანდიაძე*.

² ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით, ეს არჩევნები არაფრით განსხვავდებოდა 1990 წ. 28 ოქტომბერში ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისაგან, როდესაც აფხაზური მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სეპარატისტული წრეების ზეწოლით, ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო არჩევნებს. შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკანასკნელი 70

გაგრის მოვლენების შემდეგ, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა, ვითარება აფხაზეთში უკიდურესად გამწვავდა. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ნაწილების კოორდინირებული ხელმძღვანელობის მიზნით შექმნა მთავარი შტაბი, რომელსაც სათავეში გენერალ-მაიორი *ავთანდილ ცქიტიშვილი* ჩაუდგა. ამასობაში სეპარატისტები და მათი მოკავშირეები სულ უფრო ააქტიურებდნენ სამხედრო მოქმედებებს. დაიწყო ქ. სოხუმის დაბომბვა. ყოველ დღე იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის, აფხაზებიც.¹ 1992 წ. ნოემბრის დასაწყისში აფხაზმა „ბოვეიკებმა“ ოჩამჩირის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რის გამოც ელექტროენერგიით მომარაგება შეუწყდა ქ. სოხუმსა და გულრიფშის რაიონს. მოსახლებას შეუწყდა აგრეთვე გაზისა და წყლის მიწოდებაც. საქართველოს ხელისუფლებამ, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური დადგენილებით, კონფლიქტის ზონაში ვითარების გამოსასწორებლად დასახა მთელი რიგი გადაუღებელი სამუშაოებისა. მეტიც, 1992 წ. 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისსა და სოხუმს შორის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გასათავისუფლებლად საგანგებო სამხედრო ოპერაციის ჩატარების თაობაზე.

მიუხედავად ასეთი ზომებისა, ვითარება ქართული მხარის კონტროლირებად რაიონებში უადრესად რთული იყო. იგრძნობოდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის შეუთანხმებლობა. სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საქმეებში მეტად მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. სახეზე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების კრიზისი. ასეთ პირობებში ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით დაიწყო მოძრაობა აფხაზეთის დროებითი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. სოხუმში მოწვეულ იქნა საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ. მთავრობის მეთაურად წამოყენებულ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის – *თამაზ ნადარეიშვილის* კანდიდატურა. სოხუმში მიღებული გადაწყვეტილება 1992 წ. 26 ნოემბერს კანონიერად გააფორმა საქართველოს პარლამენტმა.

წლის განმავლობაში პირველად არ მოხვდა აფხაზი ხალხის წარმომადგენელი. ნიშანდობლივია ისიც, რომ აფხაზებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 1991 წ. 26 მაისს ჩატარებულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებსაც, თუმცა ამის გამო არავის შეუტანია უჭვი აღნიშნული არჩევნების ლეგიტიმურობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ არჩევნებისაგან განსხვავებით, ქ. სოხუმისა და სოხუმის რაიონის, აგრეთვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების აფხაზურმა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არათუ მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, არამედ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზი ეროვნების 2 დეპუტატის გაყვანაც კი შეძლო.

¹ ერთ-ერთი დაბომბვისას საარტილერიო ჭურვმა იმსხვერპლა ცნობილი აფხაზი მსახიობი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი *ეთერ კოდონია*.

დეკემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები, როგორც გუმისთის ფრონტზე, ისე ოჩამჩირე-ტყვარჩელის მიმართულებით. აფხაზურ მხარეს აქტიურად ეხმარებოდნენ გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის რეგულარული ნაწილები. 1992 წ. 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საგანგებო განცხადება, რომელშიც ერთნიშნად დაადანაშაულა რუსეთის ფედერაცია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში. განცხადებაში კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ რუსი სამხედროები იღებდნენ უშუალო მონაწილეობას ე. სოხუმისა და მისი შემოგარენის დაბომბვაში 2 და 9 დეკემბერს. მათვე ჩამოაგდეს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი 5 ოქტომბერს და მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25 – 13 ოქტომბერს. ამ და სხვა ფაქტებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტმა პირველად დააფიქსირა დიად, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთში დისლოცირებული ნაწილები იქცნენ კონფლიქტის მონაწილე მხარედ და რომ ისინი რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან ერთად ატარებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას (**აფხაზეთის საკითხი, 2000**: 109). რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უპასუხოდ არ დატოვა ქართველ პარლამენტართა განცხადება და 1992 წ. 25 დეკემბერს მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელშიც მოუწოდა რუსეთის პრეზიდენტსა და მთავრობას საქართველოს მიმართ სანქციების დაწესებისკენ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005**: 145-146).

საომარი მოქმედებების ესკალაცია 1993 წლის იანვარ-მარტში და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამწვავება. 1993 წ. 4-5 იანვრის ღამეს სეპარატისტებმა რუსული არტილერიის აქტიური მხარდაჭერით განახორციელეს პირველი სერიოზული შეტევა სოხუმზე, მაგრამ ქართულმა ფორმირებებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურთ და უკუაქციეს ისინი. ამ მარცხმა სეპარატისტებს კარგა ხნით მოუსპო სოხუმის მიმართულებით ახალი შეტევითი ოპერაციების განხორციელების სურვილი, თუმცა პოზიციური ბრძოლები არ ჩამცხრალა. ამ დროისათვის უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს ებრძოდნენ არა მხოლოდ „ერთი მუჭა“ სეპარატისტები და მათი გადამთიელი მოკავშირეები – ე.წ. „კონფედერატები“, არამედ რუსული სამხედრო მანქანა, თავისი გენერალიტეტითა და უახლესი სამხედრო აღჭურვილობით. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას და აფხაზეთის კონფლიქტში მისი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გაეღიზიანებინა სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები. კრემლმა საქართველოს სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მაღალჩინოსანი გენერლების უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა სოხუმის დაკავების ოპერაციის გეგმა, რომლის განხორციელება დაიწყო 1993 წ. 14 მარტს. დილაადრიან დაიწყო სოხუმის დაბომბვა ყველა არსებული საარტილერიო დანადგარებიდან,

ხოლო 15-16 მარტის ღამეს მოწინააღმდეგემ უკვე ერთდროულად დაიწყო ქალაქის დაბომბვა ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან. დაბომბვა გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში, რის შემდეგაც 16 მარტს ადრე დილით სეპარატისტთა სამხედრო ფორმირებები გადმოვიდნენ შეტევაზე ფრონტის მთელ ხაზზე. მათ წინ მოუძღოდნენ რუსული საგანგებო დანიშნულების რაზმების მეომრები, რომელთაც ევალებოდათ გზის გაწმენდა. შემდეგ უკვე, მეორე ეშელონში, მოდიოდნენ აფხაზი მებრძოლები და დაქირავებულები. რუსებმა მოახერხეს ფრონტის ხაზის გარღვევა და გუმისთა-აჩადარაში შემოსვლა (**ყოლბაია და სხვ., 1999: 141**). გარდატეხა საომარ მოქმედებებში მოხდა 17 მარტს, როდესაც ქართული შეიარაღებული ფორმირებები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მთლიანად გაწმინდეს მდ. გუმისთის მარცხენა სანაპირო მოწინააღმდეგის ნაწილებისაგან. 15-16 მარტს სეპარატისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ განხორციელებული შეტევა ყველაზე მასშტაბური იყო მთელი სამხედრო კამპანიის მანძილზე. აფხაზურმა მხარემ დიდი დანაკარგები განიცადა. ბუნებრივია, დანაკარგი ჰქონდა ქართულ მხარესაც, მაგრამ ის ბევრად უფრო ნაკლები იყო (ვრცლად იხ. **Папаскири 3., 2013**).

გახურებული საბრძოლო მოქმედებების ფონზე, საქართველოს პარლამენტმა 1992 წ. 17 მარტს გაავრცელა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტების, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი. მიმართვაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ რუსეთის ფედერაცია ფაქტობრივად ეწევა გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ, რომლის მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. საქართველოს პარლამენტი მიმართავდა მსოფლიო თანამეგობრობას, არ დაეტოვებინა „რეაგირების გარეშე... რუსეთის აგრესიული ქმედება“ სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს მიმართ. ამასთან, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დასვა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი (**აფხაზეთის საკითხი, 2000: 109**).

სეპარატისტთა „გენერალური“ შემოტევის მოგერიების შემდეგ, 18 მარტისათვის, გუმისთის მიმართულებით შეიქმნა მეტად ხელსაყრელი ვითარება ქართული სამხედრო ფორმირებების შეტევაზე გადასვლისა და, სულ მცირე, *ეშერიისა* და *ახალი ათონის* მაღლობების განთავისუფლებისათვის, მაგრამ ზოგიერთი სამხედრო მეთაური სკეპტიკურად შეხვდა ამ იდეას და დაარწმუნა ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა *ახალი ათონი-გუდაუთის* მიმართულებით შეტევის ოპერაციების უპერსპექტივობაში. არადა, 17 მარტს განცდილი მარცხის შემდეგ სეპარატისტები მთლიანად დემორალიზებულნი იყვნენ, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ასეთ სიტუაციაში გუდაუთის რეჟიმი წავიდა უკიდურეს ნაბიჯზე. 23 მარტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გუდაუთაში გახიზნულმა ნაწილმა ოფიციალურად მიმართა რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თხოვნით აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ან კიდევ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის თაობაზე (**Конфликты в Абхазии..., 2008: 165-167**).

15-17 მარტს სოხუმზე შეტევის ჩაფუძვის შემდეგ გუმისთის ფრონტზე ერთ-გვარი სიმშვიდე დამყარდა, თუმცა რუსული ავიაცია დროდადრო მაინც ბომბავდა ქართულ პოზიციებს. ერთ-ერთი ასეთი დაბომბვისას, სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშის მიდამოებში ჩამოგდებულ იქნა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშე თვითმფრინავი სუ-27. ამით ერთხელ კიდევ ცხადი შეიქნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის ჰაველ გრაჩოვის თავხედური და ცინიკური მტკიცების სრული სიყალბე იმის შესახებ, თითქოს ქართველები ღებავდნენ საკუთარ თვითმფრინავებს და ბომბავდნენ თავისსავე პოზიციებს.

1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება: „შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“. მასში საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ პირველად განაცხადა ოფიციალურად, რომ „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელშეწყობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე“. ქართველი პარლამენტარები საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას მიაპყრობდნენ „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის შემწეობით მიმდინარე ეთნიკური წმენდის ფაქტებს, მათი უშუალო გამომწვევი მიზეზის – აგრესიის აღკვეთის მიზნით“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 149).

1993 წ. 22 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. მასში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში გაჩაღებული ძმათამკვლელი ომი „მხოლოდ „ბოროტების იმპერიის“ რეანიმატორებს აძლევს ხელს, რომ ყველა გაუგებრობა... საუკუნეების მანძილზე ერთიან სამშობლოში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის, სწორედ ამ „ბოროტების იმპერიამ“ მოგვახვია თავს“. საქართველოს პარლამენტი მოუწოდებდა „აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს, უხუცესებს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს“ მოლაპარაკების მაგიდასთან მოეგვარებინათ ყველა არსებული პრობლემა (აფხაზეთის საკითხი, 2000: 168-169).

ოდნავ მოგვიანებით, 27 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული კონტინგენტი აქტიურად მონაწილეობს საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ“. აქედან გამომდინარე, მიიჩნია რა „მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად... რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა“, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა: 1. საქართველოს სახელმწიფოს შეთაურმა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე...; 2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე

გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 169-170).

რასაკვირველია, რუსული მხარე არ დატოვებდა სათანადო რეაგირების გარეშე საქართველოს ხელისუფლების ასეთ მკაცრ და კატეგორიულ შეფასებებს. პასუხმაც არ დააყოვნა. 1993 წ. 30 აპრილს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭომ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელშიც რუსი პარლამენტარები, არც მეტი, არც ნაკლები, კმაყოფილებით აღიქვამდნენ „რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1993 წლის 23 მარტის მიმართვაში გამოთქმულ აფხაზეთის ხალხების სურვილს, შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ან მფარველობაში“ და მოუწოდებდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქვეყნის მთავრობას, „საერთაშორისო სამართლის ნორმების, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის შესაბამისად გაააქტიურონ მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთში ვითარების ნორმალიზებისათვის რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის საკითხზე“ (რეგიონული კონფლიქტები, 2005: 151-152). როგორც ვხედავთ, აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სტრუქტურების უხეშმა ჩარევამ საქართველოს სახელმწიფოს სამინაო საქმეებში, უკიდურესად გაამწვავეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ყველასათვის ცხადი იყო, რომ აფხაზეთში საქართველოს, ქართველ ხალხს უპირველეს ყოვლისა, ეომებოდა არა აფხაზობა, არამედ მეზობელი ზესახელმწიფო, რომელიც ამ გზით ცდილობდა იმპერიის რეანიმაციას.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1993 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. მიუხედავად საომარი მოქმედებების ერთგვარი შეწყვეტისა, რომელიც დამყარდა 15-16 მარტს სეპარატისტების მიერ სოხუმზე განხორციელებული შეტევის ჩაფუშვის შემდეგ, საერთო ვითარება აფხაზეთში, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სამეურნეო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით მაინც დაძაბული რჩებოდა. ვერაფრით ვერ მოხერხდა ჯეროვანი კოორდინაციის მიღწევა სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის. საქართველოს ხელმძღვანელობამ ამის გამოსწორება სცადა ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს – აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს – შექმნის გზით. ამ ორგანოს ხელში უნდა მოქცეულიყო მთელი (როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და სამეურნეო-ადმინისტრაციული) ძალაუფლება ქართული მხარის მიერ კონტროლირებად რაიონებში. საქართვე-

ლოს სახელმწიფოს მეთაურის, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა *თამაზ ნადარეიშვილი*.

1993 წ. 14 მაისს მოსკოვში შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის *ელუარდ შევარდნაძისა* და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის *ბორის ელცინის* შეხვედრა, რომელზეც განიხილეს ორ ქვეყანას შორის დაგროვილი პრობლემები და ვითარება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. მხარეები შეთანხმდნენ, დაეჩქარებინათ დოკუმენტების მომზადება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით „*უმაღლესი დონის განმეორებითი შეხვედრისათვის 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის საბოლოო დოკუმენტის ფორმატით*“ და, რაც მთავარია, მიღწეულ იქნა შეთანხმება მეომარ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წ. 20 მაისიდან. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა თავის პირად წარმომადგენლად კონფლიქტის ზონაში დანიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე *ბორის პასტუხოვი (ყოფბაია და სხვ., 1999: 148)*.

მოსკოვის მეორე შეხვედრის გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მოსახლეობას გარკვეული იმედები ჩაუსახა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მალე სამხედრო დაპირისპირებას წერტილი დაესმებოდა და აფხაზეთში მშვიდობა დაისადგურებდა. რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ. პასტუხოვი იმთავითვე შეუდგა თავისი „სამშვიდობო“ მისიის შესრულებას და დაიწყო აქტიური კონსულტაციები ორივე მხარის წარმომადგენლებთან. ის ჩამოვიდა სოხუმში, სადაც შეხვდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ისე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებსაც. ბ. პასტუხოვის ამ ვოიაჟის მთავარი მიზანი იყო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მომზადება საქართველოში. ამ დელეგაციაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი *ანდრეი კოზირევი*, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი *ვიქტორ ბარანიკოვი*, სხვა მაღალჩინოსნები, მათ შორის, თვით ბ. პასტუხოვი და ცნობილი გენერალი *ბორის გრომოვი*, რომელსაც იმჟამად მაღალი თანამდებობა ეკავა რუსეთის ფედერაციის შინაგან ჯარში. დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ ის იმყოფებოდა სოხუმსა და გუდაუთაში. სოხუმში რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაცია შეხვდა აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს წევრებს (ამის შესახებ ვრცლად: **პაპასქირი, 2007: 399-400; Папаскири 3., 2010a: 440-441; Папаскири 3., 2012b 157-158**).

მოსკოვის 1993 წ. 14 მაისის შეთანხმებით კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების შეჩერებამ ქართულ მხარეს საშუალება მისცა, მეტი ყურადღება მიექცია სამეურნეო-კულტურული ცხოვრებისადმი. დაიწყო გზების კეთილმოწყობა ქ. სოხუმში. შეუდგნენ დაბომბვების შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენასაც. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის განსაახლებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება 1989 წ. გაზაფხულზე გახლეჩილი აფხა-

ზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის – საკუთრივ აფხაზეთის უნივერსიტეტისა და თსუ სოხუმის ფილიალის – კვლავ ერთიან საუნივერსიტეტო ცენტრად გაერთიანების შესახებ.

მომზადდა სამთავრობო განკარგულების პროექტი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმში დარჩენილი ნაწილისა და თსუ სოხუმის ფილიალის გაერთიანების ბაზაზე ახალი ერთიანი საუნივერსიტეტო კომპლექსის – *ზურაბ ანჩაბაძის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის* გახსნის თაობაზე, რომელიც ერთობლივი გადაწყვეტილებით დაამტკიცა კიდევ თავდაცვის საბჭომ და მინისტრთა საბჭომ. ის ფაქტი, რომ ახლადშექმნილ სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსს – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს – ენიჭებოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პირველი რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ *ზურაბ ანჩაბაძის* სახელი, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი. ამით ქართული მხარე პატივს მიაგებდა გამოჩენილ აფხაზ მეცნიერს, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის ერთგვარ სიმბოლოს. მაგრამ მალე ვითარება ფრონტზე კვლავ დაიძაბა და მოვლენები უკვე იმ სცენარით წარიმართა, რომ უნივერსიტეტისათვის არავის ეცალა.

1993 წ. 24 ივნისს სეპარატისტებმა დაარღვიეს მოსკოვის 14 მაისის შეთანხმება და განაახლეს აქტიური საომარი მოქმედებები. დაიწყო ქ. სოხუმის მასირებული დაბომბვა, რომლის შედეგად დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. საქართველოს ხელისუფლებამ უმაღლვე მოახდინა რეაგირება სეპარატისტების ნამოქმედარზე. საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს *ბუტროს ბუტროს გალის* და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს *ბორის ელცინს* და მოითხოვა მათგან, უმოკლეს ვადებში მიეღოთ ზომები მათ მიერ ნაკისრი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად (**აფხაზეთის საკითხი, 2000**: 211).

ყოველივე ამან ვერ შეაჩერა სეპარატისტები და მათი მფარველები. რუსმა სამხედროებმა შეიმუშავეს ქ. სოხუმის დაკავების მორიგი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დესანტის გადმოსხმას ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის მიდამოებში, კონტროლის დამყარებას ოჩამჩირე-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალსა და ავტოტრასაზე და ამ გზით სოხუმის იზოლირებას. პარალელურად იგეგმებოდა დიდი შეტევა გუმისთიდან და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება. ამ გეგმის განხორციელება მოწინააღმდეგემ დაიწყო უკვე 1 ივლისს, როდესაც სეპარატისტებმა შეძლეს სოფ. *კამანის* დაკავება. მომხდურებმა აქაც მოაწყვეს ნამდვილი სასაკლაო. სეპარატისტებმა დახოცეს ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, აფხაზებიც. სწორედ აქ გაუსწორდნენ ისინი მთელ საქართველოში ცნობილ აფხაზ მოღვაწეს, ქართულ-აფხაზური ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთ ბურჯთაგანს, კამანის ეკლესიის აღმდგენელს *იური ანუას*, აგრეთვე *მამა ანდრიას (ყურაშვილი)*. 2 ივლისს ტამიშის მიდამოებში გადმოსხმულ იქნა დესანტი, რომლის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმის

მეომრები. მათთან შესაერთებლად ტყვარჩელიდან დაიძრნენ სეპარატისტთა და დაქირავებულთა ფორმირებები.

2 ივლისს, განთიადისას, მოწინააღმდეგემ მოახერხა ქართული ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევა, *ლაბრა-ტამიშის* მონაკვეთზე გამაგრება და ავტოტრასა-სარკინიგზო მაგისტრალზე კონტროლის დამყარება (**ყოლბაია და სხვ., 1999: 150**). ამით სოხუმი, ფაქტობრივად, მოწყვეტილი აღმოჩნდა დანარჩენი საქართველოსაგან. ასეთ პირობებში ქართულმა სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება აქცენტი გადაეტანა ტამიშის დესანტის განადგურებაზე. ქართულმა ნაწილებმა მოწინააღმდეგეს ერთდროულად ორი მხრიდან – სოხუმიდან და ოჩამჩირიდან შეუტყეს. პირველად მთელი აფხაზური კამპანიის განმავლობაში სეპარატისტების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩაებნენ დამხობილი პრეზიდენტის *ზვიად გამსახურდიას* ერთგული ეროვნული გვარდიის ნაწილები *ვახტანგ (ლოთი) ქობალიას* მეთაურობით. თითქმის ერთი კვირის (2-10 ივლისი) განმავლობაში მიმდინარე შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ქართველმა მეომრებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და განადგურეს დესანტის ძირითადი ბირთვი, დანარჩენები უკუიქცნენ. (**ყოლბაია და სხვ., 1999: 151**).

ასე ჩაიფუშა სეპარატისტებისა და მათი მფარველების კიდევ ერთი ავანტიურა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ივლისის კამპანია წარუმატებელი იყო აფხაზური მხარისათვის. პირიქით, ტამიშის მიმართულებით გახურებული ბრძოლის დროს – 5-9 ივლისს სეპარატისტთა ფორმირებებმა გუმისთიდანაც შემოუტყეს ქართულ პოზიციებს, მოახერხეს მისი გარღვევა რამდენიმე ადგილას და აიღეს სოხუმის რაიონის სოფლები: *ახალშენი, გუმა* და მოუახლოვდნენ სოფ. *შრომას*. შედეგად მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი სიმაღლეები ქ. სოხუმის გარშემო, რამაც მოგვიანებით, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვიტა კიდევ სამხედრო დაპირისპირების ბედი სეპარატისტების სასარგებლოდ. სეპარატისტთა ფორმირებები რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით აგრძელებდნენ შეტევას სოფ. შრომის მიმართულებით და თანდათანობით სულ უფრო უახლოვდებოდნენ სოხუმს. ქართულმა მხარემ ამჯერადაც ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა, კვლავ გაეაქტიურებინა სამშვიდობო დიალოგი. ასეთ ვითარებაში თბილისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტებიდან *თამაზ ნადარეიშვილის* განთავისუფლებისა და ამ თანამდებობებზე საქართველოს პარლამენტის წევრის *კიული შარტავას* დანიშვნის შესახებ.¹

¹ არჩევანის *კიული შარტავას* პიროვნებაზე შეჩერება, გარდა იმისა, რომ ის იყო მენეჯერული უნარით დაჯილდოებული მაღალი დონის პროფესიონალი პოლიტიკოსი, უმთავრესად განაპირობა იმან, რომ კომკავშირულ სტრუქტურებში მოღვაწეობის პერიოდში მას ჰქონდა ახლო კავშირები როგორც აფხაზ ლიდერებთან, ისე კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან *ბორის პასტუხოვ-*

ჟ. შარტავა საკმაოდ აქტიურად შეუდგა თავის მოღვაწეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის რანგში, მაგრამ სამხედრო ვითარების გაუმჯობესება ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ივლისის ბოლოსათვის მდგომარეობა გუმისთის მიმართულებით ქართული მხარისათვის კიდევ უფრო დამძიმდა. გაჩნდა სოხუმის დაკარგვის რეალური საფრთხე. ასეთ ვითარებაში ჟ. შარტავას ხელმძღვანელობით სოხუმში შედგა თავდაცვის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი *ავთანდილ ცქიტიშვილი*, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე *ეროვნული ერთიანობის საბჭოს* წევრები. ა. ცქიტიშვილმა, II საარმიო კორპუსის მეთაურმა გენერალმა *ზაურ უჩაძემ*, აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა გენერალმა *იური კეშელავამ*, სხვა კომპეტენტურმა პირებმა ფრონტებზე (განსაკუთრებით გუმისთის მიმართულებით) შექმნილი მდგომარეობა შეაფასეს, როგორც უკიდურესად მძიმე და ერთადერთ გამოსავლად „*ცეცხლის შეწყვეტის შესახებ*“ შეთანხმების ხელმოწერა მიიჩნიეს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ სხდომის არცერთი მონაწილე (მათ შორის, არც *ეროვნული ერთიანობის საბჭოს* ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი *ბორის კაკუბავა*) არ გამოსულა. ასე, სამხედროების, პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთგვარი რეკომენდაციით გადაწყდა 1993 წ. 27 ივლისის ყბადაღებული სოჭის შეთანხმების „*აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ*“ ხელმოწერა.

ამ შეთანხმებით კონფლიქტში მონაწილე მხარეებს უნდა შეეჩერებინათ საომარი მოქმედებები 1993 წ. 28 ივლისის 12 საათიდან; კონფლიქტის ზონაში იკრძალებოდა დამატებითი ჯარებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა, ჯარებისა და სხვა ფორმირებების მობილიზაცია და შეუთანხმებელი გადაადგილება, იარაღისა და საბრძოლო მასალების შეტანა და სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა. 29 ივლისიდან უნდა დაეწყო ფუნქციონირება ქართულ-აფხაზურ-რუსულ დროებით მაკონტროლებელ ჯგუფებს (3-9 კაცის მონაწილეობით), რომელთაც მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვაზე. ისინი განთავსებული იქნებოდნენ *სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ტყვარჩელში, გაგრასა და გალში*. 5 აგვისტომდე უნდა შეექმნათ *აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია* გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენელთა და მეთვალყურეთა მონაწილეობით (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 154-155**).

თან. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად, მაშინ როდესაც ჟიული შარტავა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და, ამდენად, მისი ხელქვეითი იყო.

შეთანხმების მე-6 პუნქტის მიხედვით უნდა დაწყებულიყო კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია. ამავე დროს კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ უნდა შემოსულიყვნენ „საერთაშორისო დამკვირვებლები და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან“ უნდა გასულიყვნენ „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები. ამავე ვადებში“ უნდა დაეშალათ და აფხაზეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ კონფლიქტის ზონაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებს, ჯგუფებსა და პირებს. აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები უნდა შესულიყვნენ შინაგანი ჯარების პოლკში (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 155**). „მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან“ უნდა შექმნილიყო ქართული მხარის „შინაგანი ჯარის ნაწილი“, რომელიც ყაზარმაში დაბინავდებოდა. შემდეგ ეს ქვედანაყოფი „შინაგანი ჯარების“ აფხაზურ პოლკთან ერთად უნდა შესულიყო „აფხაზეთის მრავალეროვანი შინაგანი ჯარების შემადგენლობაში“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 155**). შეთანხმებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით განთავსებულ რუსეთის ჯარებს უნდა დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი. „მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად“ მხარეებს უნდა შეექმნათ პირობები „აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური“ საქმიანობის განსაახლებლად. გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყოვნებლივ“ უნდა განეგრძოთ მოლაპარაკება „აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსაშუალებლად“ (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 156**).

სოჭის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ქართული მხარის სახელით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, აფხაზური მხარის სახელით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სოკრატ ჯინჯოლიამ, რუსეთის ფედერაციის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა. დაწყებული 1993 წლის ზაფხულიდან დღემდე არ წყდება კამათი პოლიტიკოსებსა და ექსპერტ-სპეციალისტებს შორის ამ შეთანხმების დადების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. ანალიტიკოსთა უმრავლესობა აღნიშნულ შეთანხმებას მიიჩნევს კაპიტულანტურად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ე. შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ თითქოს წინასწარგანზრახვით მოაწერა ხელი შეთანხმებას და ამით მოამზადა ნიდაგი აფხაზეთის ჩაბარებისათვის.

რასაკვირველია, სოჭის შეთანხმება არ იყო იდეალური ქართული მხარისათვის, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის აბსოლუტურად წამგებიანი (თანაც ისეთ უმძიმეს ვითარებაში, როგორიც შეიქმნა ივლისის მიწურულისათვის), მით უფრო, მოღალატეობრივი დოკუმენტი იყო. სოჭის 1993 წ. 27 ივლისის შეთანხმებაში ასე პირდაპირ საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველი პუნქტები თითქოს

არ იყო დაფიქსირებული. მისი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავდა მისი შესრულების კონტროლის რეალურ მექანიზმებს და რომ ის, ისევე როგორც მოსკოვის 1992 წ. 3 სექტემბრის შეხვედრის *შემაჯამებელი დოკუმენტი*, არ შესრულდა და ფარატინა ქალაქად იქცა.

1993 წ. 28 ივლისიდან, მას მერე, რაც ამოქმედდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ერთი პერიოდი კონფლიქტის ზონაში მართლაც დაისადგურა მშვიდობამ, თუმცა დროდადრო სეპარატისტები მაინც არღვევდნენ დაზავებას. დაიწყო მოლაპარაკებითი პროცესი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ფორმატით. ქართულ მხარეს მოლაპარაკებებზე აფხაზეთის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ჟიული შარტავა* ხელმძღვანელობდა. ქართული მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდა სოჭის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. დაიწყო ბატალიონების ეტაპობრივი დაშლა, ჟუთაისში გადასასვლელად ემზადებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს // *საარმიო კორპუსის* სარდლობა, მიმდინარეობდა კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის (ტანკების, საბრძოლო მანქანების, საარტილერიო დანადგარების) გამოტანა. მაგრამ ქართული საზოგადოებრიობა ვერაფრით ვერ ეგუებოდა ვ. არძინბას ხელისუფლების აღდგენას. სოხუმში მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგიც კი გაიმართა, რომელმაც თავის რეზოლუციაში მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, არ დაეშვა ვ. არძინბასა და მისი გარემოცვის სოხუმში დაბრუნება. ქართული საზოგადოებრიობის ეს აქცია კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს გუდაუთაში. სეპარატისტები კატეგორიულად მოითხოვდნენ სოჭის შეთანხმებით გათვალისწინებული „*ხელისუფლების კანონიერი ორგანოების საქმიანობის*“ განახლებას.

1993 წ. 9 აგვისტოს ვ. არძინბამ, აშკარად მოსკოვის წაქეზებით, წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს *ბუტროს ბუტროს გალის* და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს *ბორის ელცინს*, რომელშიც დაადანაშაულა ქართული მხარე ნაკისრი ვალდებულებების ობსტრუქციაში და მოუწოდა მათ, უზრუნველყოთ სოჭის შეთანხმების შესრულება. ამით სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები ფაქტობრივად ამზადებდნენ იდეოლოგიურ ფონს „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმების დასარღვევად. 24 აგვისტოს სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა მოსკოვს გაემგზავრა, სადაც შეხვდა ბორის ელცინს. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სეპარატისტები უკვე სოხუმზე ახალი მტურმის განხორციელებისათვის ემზადებოდნენ.

სოჭის შეთანხმების ვერაგული დარღვევა სეპარატისტების მიერ და სოხუმის დაცემა. სოხუმზე ახალი შეტევის მომზადებისას სეპარატისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოს რაიონებში არსებულ კრიზისულ სიტუაციას. აგვისტოს ბოლოსათვის დამხობილი პრეზიდენტის *ზვიად გამსახურდიას* მომხრეებმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები. ისინი, ფაქტობრივად, მთლიანად აკონტროლებდნენ ზუგდიდს, სადაც თავი მოიყარეს არამარტო ზ. გამსახურდიას ერთგულმა ეროვნული გვარდიის

მეომრებმა, არამედ დამსობილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმაც. მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დასაკავებლად სამხედრო ოპერაციის გეგმის შემუშავება.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამოვიდა დიდი შერიგების ინიციატივით, რომელიც უნდა შემდგარიყო 1993 წ. 28 აგვისტოს – მარიამობის დღესასწაულს, ქუთაისში, ბაგრატიის ტაძარში. ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით მართლაც შედგა მრავალათასიანი შერიგების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ქუთაისში ჩამოვიდა აფხაზეთის დელეგაციაც ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლორიკ მარშანიას მეთაურობით. მაგრამ ყოველივე ეს ამაო გამოდგა. იმავე 28 აგვისტოს, დილაადრიან, ზ. გამსახურდიას მომხრე ეროვნული გვარდიის ნაწილებმა დაამყარეს კონტროლი ხობზე, სენაკზე და აბაშაზე. ამ დროიდან, საქართველოს ხელისუფლების მთელი ყურადღება სამეგრელოში დაწყებული ამბოხის ჩახშობისკენ იყო მიპყრობილი.

ამასობაში აფხაზეთში ვითარება თითქოს საკმაოდ მშვიდი იყო. მხარეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მეტიც, სოხუმის რაიონის მაღალმთიან სოფელ ლინდავაში, ფრონტის ხაზზე, ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის საფეხბურთო მატჩიც კი შედგა. სოხუმში მიდიოდა მზადება სასწავლო წლის დასაწყებად.¹ 1993 წ. 1 სექტემბერს მართლაც განახლდა სასწავლო პროცესი ქ. სოხუმის საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამას ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ის მხნეობას მატებდა ქართულ მოსახლეობას, ამბობდა მის მორალურ სულისკვეთებას. თანაც, ამით ქართული მხარე მთელ მსოფლიოს აჩვენებდა თავის სამშვიდობო განწყობას, სურვილს ყოველგვარი პანიკის გარეშე შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებას, რომლისკენაც მოუწოდებდა აფხაზ თანამოძმეებსაც. მაგრამ ოპტიმიზმი და იმედები იმ ადამიანებისა, რომელთაც სჯეროდათ სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობისა და ამიტომაც გამოდიოდნენ ასე აქტიურად სასწავლო პროცესის დაწყების ინიციატივით, არ გამართლდა. აფხაზი სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და სულ სხვა გეგმებს აწყობდნენ.

16 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ ვერაგულად დაარღვია სოჭის 1993 წ. 27 ივლისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და განაახლა სოხუმის დაბომბ-

¹ დღეს ზოგიერთები დანაშაულად უთვლიან საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის განახლებას. სინამდვილეში ამაში თბილისს ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის და გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის განახლების თაობაზე სოხუმში მიიღეს. ამ შემთხვევაში ინიციატივა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიდან მოდიოდა. თვით *კრული შარტავაც* კი სიფრთხილეს იჩენდა და წინააღმდეგი იყო სწავლის დაწყებისა.

ვა. პარალელურად, სეპარატისტებმა განახორციელეს წარმატებული შეტევა „ად-მოსავლეთის ფრონტზე“ და დაიკავეს საავტომობილო გზა და სარკინიგზო მაგისტრალი აძიუბუა-ცაგერას რაიონში. შედეგად, სოხუმი და გულრიფშის რაიონი მოწყვეტილ იქნა დანარჩენი საქართველოსაგან და ფაქტობრივად ალყაში მოექცა. ამავე დროს, რუსული სპეცდანიშნულების რაზმების მეომრებისა და ე.წ. „კონფედერატების“ მხარდაჭერით, ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით სეპარატისტებმა შეუტიეს სოხუმის რაიონის სოფლებს: *თავისუფლებას, ოდიშს, აჩადარას*.

ქართული ნაწილები, რომლებიც დარჩენილი იყვნენ არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გარეშე (როგორც უკვე აღინიშნა, მძიმე ტექნიკა და საარტილერიო დანადგარები სოჭის შეთანხმების თანახმად გამოტანილ იქნა კონფლიქტის ზონიდან), გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხვდურთ. ქართველი მეომრების შეუპოვრობამ და სიქველემ მოთმინებიდან გამოიყვანა რუსეთის სამხედრო სტრუქტურები, მათ შორის, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, სადაც შეიმუშავეს კიდევ სოხუმის აღების ოპერაცია. მეზობელი ქვეყნის მთავარი სამხედრო უწყების უშუალო კავშირი სეპარატისტების მიერ წამოწყებულ ავანტიურასთან ფაქტობრივად აღიარა არა სხვა ვინმემ, არამედ გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა *მიხაილ კოლესნიკოვმა*, რომელმაც ჯერ კიდევ 16 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ღიად განაცხადა, რომ „*მეორე დღეს სოხუმი აფხაზურ ქალაქად შეიძლება გადაქცეულიყო*“.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში სოხუმში დაუყოვნებლივ გაფრინდა სახელმწიფოს მეთაური *ედუარდ შევარდნაძე*. 17 სექტემბერს ის ადღერში შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს *ჰაველ გრაჩოვს*. ამ უკანასკნელმა შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მიიჩნია ორი რუსული დივიზიის შეყვანა სოხუმში და მათი მეშვეობით მეომარ მხარეთა დამორიშორება. რუსეთის მთავარი სამხედრო პირის ეს წინადადება ქართულმა მხარემ არ მიიღო. რუსული დივიზიების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში აღიქმებოდა აფხაზეთის ოკუპაციად რუსეთის მიერ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა კი იმ სიტუაციაში, როდესაც ოპოზიციური ძალები ტოტალურ შეტევაზე იყვნენ გადმოსულები, უდავოდ ქმნიდა არსებული ხელისუფლების დამხობის წინაპირობას და, ამდენად, ძალზე სარისკო იყო ე. შევარდნაძისათვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება – ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ კრიტიკულ მომენტში ოპოზიცია, დროებით მაინც, უარს იტყოდა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობაზე და იარაღს სეპარატისტებისა და მათი გადამთიელი მოკავშირეების წინააღმდეგ მოაბრუნებდა.

18 სექტემბერს ე. შევარდნაძემ ალყაშემორტყმული სოხუმიდან გაავრცელა „*მიმართვა ჩემი სამშობლოს ყველ მეგობარს*“, რომელშიც პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთის მატალჩინოსანი სამხედროები და პოლიტიკური წრეები სისხლისღვრის გაჩაღებაში. საქართველოს ლიდერმა მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას, კარგად გაეცნობიერებინათ, რომ „*აფხაზეთი იმპერიის სისხლიანი რევანშის ბრძოლის ველია, „მეორე აგვისტო*“, ის დენტის კასრია, რომლის მეშვეობითაც არა მარტო შევარდნაძის საქართველო სურთ ააფეთქონ, არამედ ელცინის რუსეთიც“ (*ყოლბაია*

და სხვ., 1999: 157). მაგრამ ე. შევარდნაძის მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. უშედეგო გამოდგა 19 სექტემბერს ადლერში განახლებული აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების დროებითი კომისიის მუშაობა. აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიციის გამო ქართული დელეგაციის მეთაურმა *ჟიული მარტავამ* პროტესტის ნიშნად დატოვა კომისიის სხდომა და სოხუმში დაბრუნდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მიიღო ერთგვარი მოჩვენებითი „პრევენციული“ ზომა და გამოსცა განკარგულება „აფხაზური მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დარღვევასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ თუ აფხაზური მხარე კვლავაც არ დაიცავდა სოჭის შეთანხმებას, რუსეთი განახორციელებდა „საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ“ ღონისძიებებს და შეუწყვეტდა აფხაზეთს ენერგომომარაგებას რუსეთის ტერიტორიიდან (**ყოლბაია და სხვ., 1999: 160**), მაგრამ ყოველივე ამან პრაქტიკულად არაფერი არ შეცვალა და სეპარატისტები, ე.წ. „კონფედერატების“, კაზაკებისა და, რაც მთავარია, რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების აქტიური დახმარებით წარმატებით აგრძელებდნენ ქ. სოხუმის შტურმს. მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გარეშე დარჩენილი ქართული შეიარაღებული ფორმირებები, როგორც შეეძლოთ, ცდილობდნენ მოწინააღმდეგის შეჩერებას. სოხუმში იყო პანიკის ნიშნები, თუმცა მოსახლეობა, ოჩამჩირიდან მაშველი ძალების მოსვლის იმედით, ქალაქს მაინც არ ტოვებდა. თითქოს ოპტიმიზმის საფუძველიც არსებობდა, რადგან ოჩამჩირიდან კინდლამდე თავი მოეყარა საკმაოდ სოლიდურ ძალებს. სამთავრობო ჯარებთან ერთად აქ იმყოფებოდნენ ზ. გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდიის მებრძოლებიც. მუდმივად მოდიოდა ინფორმაცია, რომ ქართული ნაწილები საცაა დაძლევიდნენ სეპარატისტთა წინააღმდეგობას კოდორთან და შემოვიდოდნენ სოხუმში. მაგრამ ეს იმედები ამას გამოდგა. ამასობაში სეპარატისტთა ფორმირებები წარმატებით მიიწვედნენ წინ გუმისთის ფრონტზე.

23 სექტემბერს გუდაუთის დაჯგუფებამ გადალახა მდ. გუმისთა და დაიკავა სოფელი *აჩადრა*. ასე დაიწყო სოხუმის აღების ოპერაცია, რომელიც დასრულდა 27 სექტემბერს, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირეებმა სხვადასხვა მხრიდან ფორსირებულად შეუტიეს ქალაქის ცენტრს. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა მინისტრთა საბჭოს შენობასთან, სადაც იმყოფებოდნენ თავდაცვის საბჭოს წევრები *ჟიული მარტავას* მეთაურობით. ყველა მცდელობა, გაეგზავნათ მაშველი ძალა მთავრობის სახლის დამცველებისათვის ამას გამოდგა და 13 საათისათვის სეპარატისტებმა შტურმით აიღეს მინისტრთა საბჭოს შენობა. ტყვედ ჩავარდნენ *ჟიული მარტავა* და მისი თანამებრძოლები: მრეწველობის მინისტრი, აფხაზი *რაულ ეშბა*, ქ. სოხუმის მერი *გურამ გაბისკირია*, მინისტრთა საბჭოს აპარატის უფროსი *ჯუმბერ ბეთაშვილი*, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე *ვახტანგ გეგელაშვილი* და სხვ. გზად გუდაუთისკენ ისინი მხეცურად დახვრიტეს. 27 სექტემბერს ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა, აგრეთვე მშვი-

დობიანმა მოსახლეობამ დატოვეს სოხუმი და ორი მიმართულებით უკან დაიხიეს. მშვიდობიანი მოსახლეობის მცირე ნაწილი ევაკუირებულ იქნა აგუძერიდან რუსული ხომალდებით, ათეულ ათასობით ადამიანმა კი კოდორის ხეობით უშველა თავს. ბევრმა (პირველ რიგში, მოხუცებმა და მცირეწლოვანმა ბავშვებმა) ვერ გაუძლო ამ გოლგოთას და სამუდამო განსასვენებელი სვანეთის მთებში ჰპოვა. სულ დაიღუპა 400-მდე ადამიანი.

28 სექტემბერს დილაადრიან ბაბუშარის აეროპორტიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც იყო სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე მთავრობის სხვა წევრებთან ერთად. იმავე დღეს ბათუმში ხანმოკლე შეჩერების შემდეგ თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. 28-30 სექტემბერს მოწინააღმდეგემ გააგრძელა შეტევა და დაიკავა გულრიფში, ოჩამჩირე და გალი. ქართულ სამთავრობო ჯარებსა და დამხობილი პრეზიდენტის შვიად გამსახურდიას ერთგულ ეროვნული გვარდიის ნაწილებს არც კი უცდიათ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა და მათ უბრძოლველად დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია. მათთან ერთად აფხაზეთი დატოვა ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამაც.

ასე ტრაგიკულად დასრულდა საქართველოსათვის ე.წ. „აფხაზეთის ომი“, რომელიც 13 თვეზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა. ომმა დიდი უბედურება მოუტანა მთელ საქართველოს. სამხედრო დაპირისპირებამ ორივე მხრიდან იმსხვერპლა 10 ათასზე მეტი ადამიანი, რომლის უმეტესობა მშვიდობიანი მოსახლეობა იყო. 300 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა მშობლიური კუთხე და საკუთარ სამშობლოში ღვენილად იქცა. აფხაზეთში ჩარჩენილებს კი სეპარატისტებმა ნამდვილი სასაკლაო მოუწყვეს.

თავი XIII. ეკლესია და კულტურული ცხოვრება აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში

§1. საეკლესიო ცხოვრება

იძულებითი გასაბჭოების შემდეგ აფხაზეთის რევკომი ეკლესიასთან მიმართებაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის 1918 წ. 20 იანვრის (2 თებერვლის) სპეციალური დეკრეტით „ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ“.¹ დეკრეტის მიხედვით, ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშე ცხადდებოდა. აფხაზეთის რევკომმა იერიში მიიტანა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაზე. უკვე კათოლიკოს-პატრიარქის რანგში ამბროსი (ხელაია) ასე იხსენებდა გასაბჭოების პირველ დღეებს: „სოხუმში ახალი მთავრობის პირველი თითქმის აქტი იყო ქართველებისა და აფხაზეთისთვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისთვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენდა და რომელნიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას. მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან გამოგდება, ბარგის ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების მუშევრებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება. მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა. 4. კანცელიარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევროდ განადგურება და ნაშთის საშხარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა. 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა“ (გამახარია, 2012: 486). მიუხედავად დევნისა, მიტროპოლიტი ამბროსი აგრძელებდა ეპარქიის მართვას. 1921 წლის ივნის-ივლისში მან შემოიარა ეპარქია და დარწმუნდა, რომ ხალხმა პირი იბრუნა სარწმუნოებისკენ (გამახარია, 2006a: 325).

1921 წ. 5 სექტემბერს გელათში გამართულმა საქართველოს მესამე საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ამბროსი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. აღსაყდრების (1921 წ. 14 ოქტომბერი) მეორე დღესვე მან აფხაზეთის ეპისკოპოსად იოანე (მარგიშვილი) აკურთხა. თავის სიტყვაში უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ბრძანა: „აფხაზეთი მუდამ იყო საქართველოს ნაწილი და მასთან საუკეთესო ნაწილიც ჩვენის მშობლიური ეკლესიისა... ეს მხარე დასახლებული იყო ქართველთა მოდგმის ხალხით და ეკლესიური ცხოვრება ძალიან მაღლა იდგა XVII საუკუნის ნახევრამდე, როდესაც აფხაზთა გადმოლახეს გაგრის სივიწროენი და კაპუეტის მდინარე“ (ბზიფი – ჯ.გ.). კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, ამის შემდეგ დაიწყო მაჰმადიანობის გავრცელება, რომელიც გაგრძელდა რუსეთის ბატონობის დროს. სწორედ იმ პერიოდში, „აფხაზთაგან ბევრი გადაუდგა ქრისტიანობას“ (გამახარია, 2006a: 329-330). ასეთ ეპარქიაში სამსახური განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა მღვდელმთავარს.

¹ ძალაში შევიდა 23 იანვარს (5 თებერვალს), როდესაც გამოქვეყნდა მთავრობის ორგანოში „Газета Рабочего и Крестьянского Правительства“.

ახალი ეპისკოპოსის პოზიციების განმტკიცების მიზნით, სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა ცნობილი მისიონერი ტარას ივანიცკი. მალე ის სოხუმელმა ანტონ გიგინეიშვილმა (მომავალში აფხაზეთის მიტროპოლიტი) შეცვალა. ეპისკოპოს იოანეს აფხაზეთში საკმაოდ რთული ვითარება დახვდა, მაგრამ ცდილობდა საკუთარი მოვალეობის შესრულებას. 1922 წ. აგვისტოში კი განუდგა კათოლიკოს-პატრიარქს, რომლის მიმართ საბჭოთა ხელისუფლება „კონტრრევოლუციის“ ბრალდებით სამართლებრივ დევნას ახორციელებდა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე (1922 წ. 10 აპრილი-19 მაისი) 1922 წ. 7 თებერვლით დათარიღებული მემორანდუმის გაგზავნის გამო (**გამახარია, 2012: 360-361**). 1923 წ. იანვარში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭოს რამდენიმე წევრი დააპატიმრეს. 1924 წლის 19 მარტს დაპატიმრებულებს მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.

ეკლესიის სრული განადგურების მიზნით, გაჩაღდა არნახული ანტირელიგიური კამპანია და უსასტიკესი რეპრესიები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1923 წ. 11 მაისის გადაწყვეტილებით ყველა მონასტერი იხურებოდა (**შსს არქივი: ფ. 14, ანაწ. 1, ს. 492, ფ. 34ა**). 1924 წლისთვის საქართველოში 1500-მდე ეკლესია-მონასტერი დაიხურა ქონებისა და ძვირფასი განძის ჩამორთმევით. აფხაზეთშიც იგივე პროცესი მიმდინარეობდა. ხელისუფლება, პირველ რიგში, ათონის მონასტერს მიადგა, რომელიც *საბჭოთა მეურნეობად-შრომით არტელად* გამოაცხადეს და ბერებს ყოველდღიური რვა საათიანი სამუშაო ბეგარა დაუწესეს (**Пачулия, 1973: 32**). საქართველოს მთავრობამ 1923 წ. 11 აპრილს არ დააკმაყოფილა *ნესტორ ლაკობას* წინადადება ახალ ათონში *ბავშვთა ქალაქის* აშენების შესახებ. იმავე წლის ზაფხულში აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ახალი ათონის მონასტერში 11-12 ათას ოქროს მანეთად შეფასებული გადამალული განძეულობა აღმოაჩინა, რასაც მოჰყვა მონასტრის წინამძღვრის *ილარიონის (კუჩინი)* და რამდენიმე ბერის დაპატიმრება (**გამახარია, 2012: 199**). აფხაზეთში არსებული ყველა მონასტერი 1924 წლისთვის დაიხურა. ახალი ათონის 250-მდე რუსი ბერი-ტიხონოვლები, სოხუმიდან 75 კილომეტრის დაშორებით მაღალმთიან ადგილებში დაბინავდნენ, სადაც სოფლის მეურნეობას მისდევდნენ (**გამახარია, 2012: 224**). 1924 წ. 24 ოქტომბერს ამიერკავკასიისა და საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე *მიხა ცხაკაია*, მოსკოვიდან მიღებული დეპეშის საფუძველზე *ნესტორ ლაკობასა*გან მოითხოვდა „*დაუყოვნებლივ შეჩერდეს ახალი ათონის შრომითი არტელის 400 წევრის გამოსახლება, რეკვიზიცია, შეწყდეს საქმის განხილვა, თუ საჭიროა, გადაიტანეთ ამიერკავკასიის ან საქართველოს ცაკ-ში*“ (**სუიცა: ფ. 284, ს. 151, ფ. 442, 443**).

რამდენადმე „გაუმართლა“ ბიჭვინთის ისტორიულ ტაძარს – 1924 წლამდე ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის ნაწილს. 1926 წ. 9 თებერვალს აფხაზეთის მთავრობამ მიიღო *დადგენილება „ბიჭვინთის სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ“*. ნაკრძალის ფარგლებში მოექცა ბიჭვინთის კონცხი თავისი ფიჭვნარითა და

ბიჭვინთის ტაძრით. 1926 წ. მიწურულს ბიჭვინთის ტაძრის მდგომარეობით დაინტერესდა რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სამეცნიერო, მხატვრული და სამუზეუმო დაწესებულებების მთავარი სამმართველო. მისი ინიციატივით, სსრ კავშირის ცაკ-ის თავმჯდომარემ *მიხეილ კალინინმა* ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდუმისგან 1927 წ. 30 მარტს მოითხოვა ბიჭვინთის ტაძრის დაცვის თაობაზე დადგენილებისა და მოხსენების წარმოდგენა. მოთხოვნილი მასალები 1927 წ. მიწურულს სსრ კავშირის ცაკ-ს წარედგინა (**სუიცა**: ფ. 284, ს. 542, ფ. 1-14). ბიჭვინთის ნაკრძალის შექმნით გამოირიცხა ტაძრის დარბევა, ასევე მისი ადდგენა მონასტრის ან სამრევლო ეკლესიის სახით, რისი ძალიან უშინოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა კავშირის მეორე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიამ, რომელიც *მიხეილ კალინინის* თავმჯდომარეობით 1925 წ. 3-7 მარტს თბილისში გაიმართა, მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პატიმართა სასჯელის შემსუბუქების შესახებ (**გამახარია**, 2012: 218). ამ დადგენილების საფუძველზე კათოლიკოს-პატრიარქი *ამბროსი* 1925 წ. 10 მარტს პატიმრობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლდა. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, უწმინდესმა და უნატარესმა ამბროსიმ გაატარა მთელი რიგი ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებმაც რამდენადმე გამოაცოცხლეს საეკლესიო ცხოვრება. ცვლილებები შეეხო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასაც. ეპისკოპოსი *იოანე (მარგიშვილი)* განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 1925 წ. 7 აპრილს აფხაზეთის კათედრა მიტროპოლიტმა *ქრისტეფორემ (ციციშვილი)* დაიკავა.

საბჭოთა რეპრესიების პირობებშიც ქართული ეკლესია ცდილობდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას, რასაც წინააღმდეგობას რუსეთის ეკლესია უწევდა. ამის გამო პასურობას იჩენდნენ აღმოსავლეთის პატრიარქები, რომლებიც უპასუხოდ ტოვებდნენ ქართული ეკლესიის მეთაურთა, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვებს. გარკვეული რეაქცია მოჰყვა საკათოლიკოსო საბჭოს 1926 წ. 24 ივლისის ეპისტოლეს კონსტანტინოპოლის პატრიარქის *ბასილ III-ის* (1925-1929) მიმართ. ბასილ III-ემ, თავის მხრივ, მოუწოდა რუსეთის ეკლესიას ქართულ ეკლესიასთან კანონიკური ურთიერთობების დამყარებისკენ. იმ პერიოდში ერთიანი რუსული ეკლესია არ არსებობდა. 1922 წლიდან 1943 წლამდე ოფიციალური მართლმადიდებელი რუსული ეკლესიის სტატუსით სარგებლობდა განახლების მოძრაობა (*обновленцы*), იგივე „*ცოცხალი ეკლესია*“ („*живая церковь*“). მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული „*რუსული მართლმადიდებელი ეკლესია*“ თავისი სამღვდლო სინოდით აღიარებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს, აგრეთვე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქების მხრიდან.

რუსეთის ეკლესიაში მომხდარი განხეთქილება აისახა საქართველოზეც, განსაკუთრებით აფხაზეთზე. ქართული ეკლესიის გარდა, აფხაზეთში არსებობდა რუსული ტრადიციული ეკლესია – *წ. „ტიხონოველები“*. 1927 წლამდე ის ერევნის, ხოლო 1927-1933 წლებში ბაქოს ეპარქიაზე იყო მიწერილი (**გამახარია**, 2012: 224).

1923-1927 წლებში სოხუმში იჯდა ე. წ. „განმაახლებლების“ სოხუმისა და თბილისის არქიეპისკოპოსი, სოხუმელი ბერძენი ავრაამი (ივანოვი). შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 1926 წ. ნოემბრიდან დაიწყო კონსულტაციები საბჭოთა სახელმწიფოსა და აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ აღიარებულ „რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან“. მისმა ხელმძღვანელმა ორგანომ – სამღვდლო სინოდმა 1927 წ. 8 თებერვალს ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თავის კანონიკურ საზღვრებში. ავტოკეფალიის ცნობის აქტში ნათქვამი იყო: „*თბილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდლო სინოდის უწყებაში*“ (**ჯაფარიძე ა., 2003: 164-167**).

რუსეთის ტრადიციული ეკლესია კი იმ პერიოდში მწყემსმთავრის გარეშე იყო დარჩენილი. პატრიარქ ნიკონის (ბელავინი) გარდაცვალების (1925 წ. 7 აპრილი) შემდეგ, მას ახალი პატრიარქის არჩევის უფლებაც ჩამოერთვა და 1927 წ. მაისამდე არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 20-30-იანი წლების ათეისტური ისტერიის პირობებში მას არ ჰქონდა ქართულ ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის დამყარების შესაძლებლობა. 1943 წლიდან საბჭოთა კავშირის მთავრობამ გეზი ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიისა და საპატრიარქოს აღდგენისკენ აიღო. იმავე წლის 8 სექტემბერს გაიმართა სრულიად რუსეთის ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად მიტროპოლიტი სერგი (სტაროგოროდსკი) აირჩია. 1943 წ. 19 ნოემბერს რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდმაც აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მის კანონიკურ საზღვრებში (**Грузинская Православная, 2011: 191-229**).

1943 წლამდეც და შემდგომშიც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა და მას მხოლოდ ქართველი მღვდელმთავრები მართავდნენ. სხვადასხვა დროს ეპარქიის სათავეში იდგნენ ამბროსი ხელაია (1919-1921), იოანე მარგიშვილი (1921-1925), ქრისტეფორე ციციშვილი (1925-1927), ეფრემ სილამონიძე (1927 წ.), მელქისედეკ ფხალაძე (1927-1928 და 1935-1944), ჰავლე ჯაფარიძე (1928 წ.), ვარლამ მახარაძე (1929-1935), ანტონ გიგინეიშვილი (1952-1956), ლეონიდე ქვანია (1957-1964), რომან ჰეტრიაშვილი (1965-1967), ილია შიოლაშვილი (1967-1977), ნიკოლოზ მახარაძე (1978-1981), დავით ჭკადუა (1981-1992), დანიელ დათუაშვილი (1992-2010).

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ 1990 წ. 3 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი კანონიკური ტერიტორიის მთლიანობა. ვითარება შეიცვალა 1992-1993 წლებში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ. მას შემდეგ, რაც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიამ მეუფე დანიელის (დათუაშვილი) ხელმძღვანელობით 1993 წ. შემოდგომაზე მრევლის უდიდეს ნაწილთან ერთად იძულებით დატოვა თავისი კანონიკური ტერიტორია, ჩამოყალიბდა თვითმარქვია სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო (1998 წ.) აფხაზი მღვდლის ბესარიონ აკლიას ხელმძღვანელობით. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სა-

ეკლესიო საკითხშიც მეტი სიმწვავე და არეულობა შეიტანეს. 2009 წლის 15 სექტემბერს კანონიკური წესების დარღვევით ჩატარებულმა სამღვდლოების კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საქმიანობის შეწყვეტისა და ე. წ. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის დაფუძნების შესახებ (**Заявление экстренного собрания, 2011**).

თვითმარქვია ეპარქიამ, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, მიზნად დაისახა ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენა. აფხაზური სამღვდლოების ამ უკანონო გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მხრიდან გარკვეული რეაგირება მოჰყვა. სინოდის 2010 წ. 21 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას *ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია* ეწოდა. მისი მართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეითავსა და მიიღო ტიტული: „*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*“.

§2. განათლება და კულტურა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში

XX საუკუნის აფხაზეთის კულტურის ისტორიის საკითხების კვლევა დღემდე აქტუალურია, რადგან ამ მიმართულებით არ არსებობს, ინტერდისციპლინარული კომპლექსური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ასახული იქნება ეპოქის კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება. წარმოდგენილი ნარკვევი ამ ხარვეზის მოკრძალებულ ცდად შეიძლება ჩაითვალოს.

რუსეთის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ შეაფერხა აფხაზეთის მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება. ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლებიდან დაწყებული გარუსების იმპერიული პოლიტიკა, ინტენსიურად გაგრძელდა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები აფხაზეთის კულტურისა და განათლების დარგში იმთავითვე მიუთითებდა იმპერიის გეგმებზე. პირველი დარტყმა ამ მხრივ აფხაზურმა და ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაზეთებმა და ჟურნალებმა მიიღეს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით *დიმიტრი გულიას* მიერ დაარსებული აფხაზური გაზეთის „აფსნის“ დახურვას 1921 წელს. შემდეგში *დიმიტრი გულია* წერდა, ის ღრობით დაიხურაო (**Гулия, 1925: 22**), მაგრამ რეალურად მისი გამოცემა არც განხორციელებულა. 1921 წელს მიზნობრივად დაფუძნდა ახალი გაზეთი „აფსნი ყაფში“ („წითელი აფხაზეთი“), რომელიც სახელდებითაც და შინაარსობრივაც განსახვავებული იყო წინამორბედისგან და მთლიანად გამოსატყვევებელი ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებს აფხაზეთში. დაარსდა და გასაბჭოების პირველ ეტაპზე

მძლავრ პროპაგანდისტულ საშუალებად იქცა აფხაზეთის რეკომისა და რკპ (ბ) ორგ-ბიუროს ორგანო, ყოველდღიური გამოცემა „Голос трудового Абхазии“ („მშრომელი აფხაზეთის ხმა“). ნიშანდობლივია, რომ გაზეთის რედაქტორებისა და პასუხისმგებელი პირების აბსოლუტური უმრავლესობა რუსი ბოლშევიკები იყვნენ, 1924 წ. 20 აპრილიდან გაზეთს ეწოდა „Трудовая Абхазия“, ხოლო 1926 წ. 4 დეკემბრიდან „Советская Абхазия“. 1937 წლიდან დაფუძნდა ქართულენოვანი გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, რომელიც მკაცრი ცენზურის პირობებში გამოდიოდა. დაარსდა ქართული და აფხაზურენოვანი დარგობრივი ჟურნალ-გაზეთები.

განათლება და მეცნიერება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ხელისუფლებისთვის იდეოლოგიურად არასაიმედო სასწავლებლების დიდი ნაწილი გაუქმდა, ან ძირფესვიანად გადაკეთდა. მათ შორის იყო, სოხუმის სამასწავლებლო სემინარია, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირმშო იყო. გაუქმდა ქალთა გიმნაზია, ქალთა საოსტატო სემინარია, სოხუმის I და II უმაღლესი დაწყებითი სკოლები, გაგრამი რეალური სასწავლებელი, გუდაუთისა და გულრიფშის დაწყებითი სამასწავლებლო სკოლები, ოჩამჩირის ქალ-ვაჟთა გიმნაზია, ოჩამჩირის უმაღლესი დაწყებითი სკოლა, ლიხნის უმაღლესი დაწყებითი სკოლა, ოქუმი-სა და ოტობაიას უმაღლესი დაწყებითი სკოლები (საყვარელიძე, 1992: 44-48). აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ზოგიერთი გადაკეთდა განათლების სახალხო კომისარიატის „შრომის სკოლის დებულების“ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო პოლიტექნიკური განათლების შემოღებას, სასკოლო პროგრამების, სასწავლო მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების მარქსისტულ-ლენინურ (ბოლშევიკურ) იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს მოვლენები დამახასიათებელია ამ პერიოდის საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისათვის და ის მთლიანად ემსახურებოდა „ახალი საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმება, ან რეორგანიზაცია მიმდინარეობდა იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთი წერა-კითხვის მცოდნეთა დეფიციტს განიცდიდა. ბუნებრივია, საზოგადოების კულტურული განვითარება ეფუძნება საგანმანათლებლო სისტემის სწორ და გააზრებულ პოლიტიკას, შესაბამისად საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, სკოლების იდეოლოგიური ნიშნით გაუქმება და მის ადგილზე ახალი მარქსისტულ-ლენინური სკოლების ჩამოყალიბებას დრო დასჭირდა. ეს ფაქტი XX ს. 20-იანი წლების აფხაზეთის კულტურული განვითარების შემაფერხებელ გარემოებად იქცა და აისახა კიდევ მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის სახით. 1923 წლის აღწერით, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 21, 9 %-ს, მათ შორის სოფლის მოსახლეობის 16,1%-ს, ამასთან სოფლად მცხოვრები აფხაზების მხოლოდ 6, 3% იყო წერა-კითხვის მცოდნე. ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შეადგენდა 92, 3%-ს (Сборник материалов, 1959: 83; კვარაცხელია, 2006 : 6)

1921 წ. 24 დეკემბერს აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი „*მოსახლეობაში უწიგნურობის ლიკვიდაციის შესახებ*“ (**Сборник материалов, 1959: 81**), რომლის საფუძველზე დაფუძნდა უწიგნურობის სალიკვიდაციო სკოლები და რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა 14-დან 40 წლის ასაკის ჩათვლით ვალდებული გახდა წერა-კითხვა ესწავლათ. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი ქართველი და აფხაზი მოღვაწეები: *მარიამ (მაშო) დადიანი ანჩაბაძე, ანდრია ჭოჭუა, დიმიტრი გულია* და სხვები. ფართოვდებოდა საგანმანათლებლო ქსელი. 1927-1928 წლებში, აფხაზეთში ფუნქციონირებდა 314 სასწავლო დაწესებულება 24758 მოსწავლით, მათ შორის, 9 ათწლიანი და 13 შვიდწლიანი სკოლა, 4 ტექნიკუმი: 2 – პედაგოგიური, 1 – სასოფლო-სამეურნეო და 1 – ინდუსტრიული მიმართულებით (**Чочуа, 1976: 212-213**).

XX ს. 20-იანი წლების საგანმანათლებლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წელს აფხაზი ბავშვებისთვის თბილისში სკოლა-ინტერნატის გახსნას. მისი დამფუძნებელი იყო *ნინა დიღია*, პირველი აფხაზი გეოგრაფისა და კარტოგრაფის *მიხეილ შერვაშიძის* მეუღლე. ნინა დიღია 1918 წლიდან ცხოვრობდა აფხაზეთში და ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს დააყენა საკითხი აფხაზი მოსწავლეებისთვის თბილისში გაეხსნათ სკოლა-ინტერნატი. მოგვიანებით ეს სკოლა გაგრამი იქნა გადატანილი (**Дудко, 1961: 87; კვარაცხელია, 2006: 12**).

XX ს. 20-30-იან წლებში ფართოდ გაშლილი საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი არ იყო ეროვნული, ნაციონალური სკოლის ჩამოყალიბება, ის პირდაპირ მიმართული იყო სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვისკენ და მოსახლეობის სწრაფი გარუსების ყველაზე ეფექტურ საშუალებად იქცა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოსახლეობის ერთფეროვანი, ერთენოვანი მასის მართვა გაცილებით ეფექტურად განხორციელდებოდა, ვიდრე ნაციონალურ ენასა და კულტურაზე აღზრდილი ადამიანებისა. დღეს ეს პროცესები შეიძლება შევაფასოთ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული მიზანმიმართული რუსიფიკატორიული პოლიტიკის ნაწილი, პირველ რიგში, აფხაზური მოსახლეობის მიმართ.

1920-იანი წლების დასაწყისში პირველი ნაბიჯები გადაიდგა აფხაზეთში სამეცნიერო-ინტელექტუალური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. 1922 წელს *დიმიტრი გულიასა* და *ანდრია ჭოჭუას* ინიციატივით დაარსდა „*აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება*“, რომელიც აფხაზური ენისა და ლიტერატურის, აფხაზური ეროვნული კულტურის განვითარებას უნდა მომსახურებოდა. ბოლშევიკური რეჟიმი იმთავითვე ცდილობდა ამ ახალი სტრუქტურის გაკონტროლებას და მის „*ე.წ. მარქსისტულ-ლენინური*“ (რეალურად რუსულ-საბჭოური იმპერიული) იდეოლოგიის სამსახურში ჩაყენებას, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნევდნენ „*საზოგადოების*“ მაქსიმალურ იზოლირებას ქართული სამეცნიერო სივრცისაგან. მიუხედავად ამგვარი სახელისუფლებო წნეხისა, „*საზოგადოების*“ წევრები მაინც ახერხებდნენ

მჭიდრო კავშირის დამყარებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგადად ქართველ სამეცნიერო წრეებთან. თავის მხრივ, პირველი ქართული უნივერსიტეტი (სხვა ქართულ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად) აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის სამეცნიერო ცხოვრებაში. ამის, ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების“ ინიციატივით (1922 წლიდან) სოხუმსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების წარმოება შემდგომ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის გიორგი ჩუბინაშვილისა და ლეონ მელიქსეთ-ბეგის ხელმძღვანელობით (აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რუს მეცნიერებს: მიხეილ ივანოვიჩს, ალექსანდრე ლუკინს, ალექსეი ბაშკიროვს და სხვ.). მოგვიანებით, XX ს. 30-იან წლებში, აფხაზეთის ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლების აღრიცხვის, აღწერისა და მეცნიერული შესწავლის მიზნით, დარგობრივი პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული პირველი ექსპედიცია სწორედ თბილისიდან ჩავიდა.

აფხაზეთის სამეცნიერო ცხოვრების გამოცოცხლებაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიკოსი ნიკო მარი. სწორედ მისი ინიციატივით (1925 წ. ოქტომბერში) შეიქმნა ცალკე სამეცნიერო დაწესებულება, აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემია, რომლის პირველი ხელმძღვანელი გახდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი ანდრია ჭოჭუა, თვით ნ. მარი არჩეულ იქნა საპატიო თავმჯდომარედ. მოგვიანებით აკადემიას სათავეში ჩაუდგა დიმიტრი გულია. აკადემიის დაარსების შესახებ გადაწყვეტილებაში საზგასმული იყო, რომ მისი დაარსება აუცილებელია „აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ენაზე მუშაობისა და ეროვნული ლიტერატურის შექმნის გადაუდებელი აუცილებლობით, რომელიც თითქმის არ არსებობს და რომლის გარეშეც წარმოუდგენელია აფხაზი ხალხის კულტურული აღორძინება“ (Салакая, 1982: 8-10). ნიკო მარის რეკომენდაციით ლენინგრადში სასწავლებლად გაიგზავნა ახალგაზრდები არსენი ხაშბა და ვიქტორ კუკბა, რომლებმაც უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ასპირანტურის კურსი გაიარეს და 30-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდნენ აფხაზეთში. ისინი გახდნენ მეცნიერების პირველი კანდიდატები აფხაზური ფილოლოგიის დარგში.

1931 წლის 5 აგვისტოს „აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება“ გაერთიანდა აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და ეწოდა აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (Абхазский научно-исследовательский институт краеведения /АбНИИК/). ინსტიტუტში შეიქმნა სამი სექტორი: 1) აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების; 2) სოციალურ-ისტორიული; 3) ეროვნული ეკონომიკის. ინსტიტუტს მართავდა დირექტორატი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: არსენი ხაშბა, ვიქტორ კუკბა (დირექტორის მოადგილე) და სამსონ ჭანბა (დირექტორის მოადგილე). ვიქტორ კუკბა ამავდროულად ხელმძღვანელობდა ენისა და ლიტერატურის სექტორს, ანატოლი ფადეევი – სოციალურ და ისტორიულ სექტორს, სხვა მეცნიერებიდან აღსანიშნავია ალფრედ კოლაკოვსკი – ბოტანიკური განყოფილების ხელმძღვანელი (შემდგომ –

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი). უკვე 1934 წელს, ინსტიტუტმა გამოსცა „შრომების“ პირველი ორი კრებული, 1941 წლამდე კი გამოიცა ოცი ნომერი (**Салакая, 1982: 17-18**).

ინსტიტუტის ძირითადი სამუშაო დაკავშირებული იყო აფხაზური ენის შესწავლასა და განვითარებასთან. იგი ასევე შეეხო აფხაზურ ენაში სწავლების მეთოდების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საკითხებს. ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში (**Дзидзария, 1972: 118**). მის სახელს უკავშირდება არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოქვეყნება. უპირველეს ყოვლისა, ესაა *დიმიტრი გულიას* და სხვათა მთელი რიგი ეთნოგრაფიული ნაშრომები, აგრეთვე *ნიკო მარის* აფხაზმცოდნეობითი ხასიათის ნარკვევები (**Март, 1938**). უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნ. მარის პუბლიკაციებმა, ისევე როგორც მის მიერ დაარსებულმა ცენტრმა მნიშვნელოვნად წაახალისა სეპარატისტული ტენდენციები აფხაზურ საზოგადოებაში.

აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელი რამდენჯერმე შეიცვალა. 1935 წელს ინსტიტუტს ეწოდა *აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტი* და გახდა ჯერ *საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის*, ხოლო 1941 წლიდან – ახლად შექმნილი *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ნაწილი*. 1950 წელს ეწოდა *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი*, რომელიც 1960 წლიდან ატარებდა *დიმიტრი გულიას* სახელს (**Салакая, 1982: 22**). ამ პერიოდში ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ: *ირაკლი ანთელავა*, *მიხეილ თრაფში*, *ანდრია ჭოჭუა*, *სიმონ ბასარია*, *ბაგრატ ჯანაშია*, *ხუხუტი ბლაჟბა* და სხვები. სხვადასხვა დროს ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა: *ხუხუტი ბლაჟბა* (1953-1966) და *გიორგი ძიძარია* (1966-1988). XX ს. 70-80-იან წლებში ინსტიტუტი იქცა მკვეთრად ნაციონალისტური, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული იმპერიული იდეოლოგიის მძლავრ ცენტრად. ამ ტენდენციამ განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა 1988 წლიდან, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტის დირექტორი გახდა *ვლადისლავ არძინბა*. 1994 წლიდან აღნიშნულ ინსტიტუტს *აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი* ეწოდა. ბუნებრივია, *აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი* აფხაზეთის თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება (გარდა ცალკეული – უშუალოდ საკავშირო დაქვემდებარების – სამეცნიერო ცენტრებისა) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება ინსტიტუციურად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს ექვემდებარებოდა და ფინანსდებოდა საბჭოთა საქართველოს ერთიანი ბიუჯეტიდან.

აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, მიუხედავად იქ გამეფებული მეტად არაჯანსაღი ნაციონალისტური კონიუნქტურისა, ჩამოყალიბდა მეცნიერული აფხაზეთმცოდნეობის უმთავრეს ცენტრად. აქ შეიქმნა ფუნდამენ-

ტური ნაშრომები აფხაზურ ენასა¹ და ლიტერატურაში (*ხუხუტი ბღაჟა, შოთა არის-თავა, ლილია ჭკალუა, მირიან ციკოლია და სხვ.*), აფხაზთა ეთნოლოგიაში (*შალვა ინალ-იფა, ლილი აკაბა, იური არგუნი და ა.შ.*), არქეოლოგიაში (*მიხეილ თრაფში, მიხეილ გუნბა, გიორგი შამბა, იური ვორონოვი, ოლეგ ბღაჟა და სხვ.*), ხელოვნებათმცოდნეობაში (*ალექსი არგუნი და სხვ.*), ეკონომიკაში (*ბელა აშუბა და სხვ.*) განსაკუთრებით წარმატებული იყო მეცნიერ-ისტორიკოსთა მოღვაწეობა. აქ შეიქმნა მეცნიერ-ისტორიკოსთა მთელი სკოლა (*გიორგი ძიძარია, არველოდ კუპრაჟა, ბაჯგურ საღარია, აკაკი აბშილავა, გიორგი ამიჩბა, გრიგოლ ლეჟავა და სხვ.*²), რომელიც ნაყოფიერად იკვლევდა აფხაზეთის ისტორიის ძველი და შუა საუკუნეებისა და ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებს. ამ სკოლის აღიარებული ლიდერი იყო გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *გიორგი ძიძარია*. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამეცნიერო პროდუქციის უდიდესი ნაწილი იდეოლოგიური თვალსაზრისით დღეს მთლიანად მოძველებულია, ფაქტოლოგიური მასალის თავმოყრის კუთხით მაინც ინარჩუნებს მეცნიერულ ფასეულობას.

აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში საეტაპო მოვლენა იყო 1932 წელს *სოხუმის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* დაარსება. ეს იყო დასავლეთ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი (მოგვიანებით 1933 წელს გაიხსნა ქუთაისის, ხოლო 1935 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები). 1932-1979 წლებში ინსტიტუტი ამზადებდა კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებს *ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგია-გეოგრაფიის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლებისა და მეთოდის, სკოლამდელი აღზრდის, ფიზიკური აღზრდის სპეციალობებში*. სხვადასხვა დროს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს სათავეში ედგნენ: *ანდრია ჭოჭუა (1932-1934), მიხეილ დელბა (1936-1937), ირაკლი ახალაია (1937-1938), იასონ დარსანია (1941-1942), როსტომ წულუკიძე (1942-1952), ნიკა ხურციძე (1952-1957), აკიბეი ხონელია (1956-1957), გიორგი ძიძარია (1957-1965), ბორის თარბა (1965-1973)*. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ჰყავდა მაღალკვალიფიციური პროფესურა, რომელთა შორის არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითა და მის ფარგლებს გარეთ, ცნობილი მეცნიერები და უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები: *ვახტანგ ადამია, გიორგი ამიჩბა, ვალენტინა ამიჩბა, სარია ამიჩბა, ირაკლი ანთელავა, ხაზარატ არგუნი, ნუცა არდამელია, შოთა არისთავა, ჰავლე აძინბა, ირაკლი ახალაია, შოთა ბასილაია, ნიკანდრო*

¹ აფხაზური ენის სიდრმისეული შესწავლისა და ამ მიმართულებით სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების საქმეში სრულიად განსაკუთრებულია მსოფლიო აღიარების გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აფხაზ და აბაზა ენათმეცნიერთა თაობების აღმზრდელის, აკადემიკოს *ქეთევან ლომთათიძის* ღვაწლი (**გვანცელაძე, 2008**: 166-167).

² თავიანთი მეცნიერული კარიერის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუტში წარმატებით იღვწოდნენ შემდგომ ქართული ისტორიოგრაფიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *ზურაბ ანჩაბაძე* და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ირაკლი ანთელავა*.

ბასილია, იპოლიტე ბაღბაია, ვიქტორ ბეშიძე, მურმან ბერია, ოთარ გაბისონია, ლეილა გარსიაშვილი, ტატიანა გულია, დიმიტრი გულია, ბორის გურგულია, ოლეგ დამენია, ვახტანგ ვახანია, ოთარ ვახანია, ვალერიან ზუხბაია, ბორის თარბა, ბორის კვარაცხელია, ქსენია კვიციანი, მიხეილ ლაბაძე, მარგარიტა ლადარია, შოთა ლაშხია, დიმიტრი ლემონჯავა, კუკური მგელაძე, შოთა მისაბიშვილი, დიმიტრი ნინუა, ალექსანდრე სოფია, გულჯავარ ფირცხალავა, იაზბეი ფეიზბა, ვლადიმერ ქარჩავა, სერგო ქიშმარია, ეთერი შამბა, ხუტა შენგელია, ვალერი ყურასქუა, როზალინა შვეცოვა, გიორგი ძიძარია, ლევან ძიძიგური, ლილია ჭაღლა, ვალერიან ჭანია, ოთარ ჭურღულია, რაულ ხონელია, შალვა ხუბუტია, გივი ჯობავა, შალვა კვარაცხელია და სხვ.

1973 წლიდან ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ ანჩაბაძე, რომლის რექტორობის პერიოდში (1979 წ.) სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს იყო საქართველოში – მეორე, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – მეოთხე უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მიმდინარეობდა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ექვს (ფიზიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-ბიოლოგიის, ფილოლოგიის, ისტორია-იურიდიულ, ეკონომიკურ, პედაგოგიური და საზოგადოებრივ პროფესიათა) ფაკულტეტზე – 18 სპეციალობით. ზურაბ ანჩაბაძის გარდაცვალების შემდეგ – 1984-1988 წლებში უნივერსიტეტის რექტორი იყო დოცენტი ზაურ ავიძბა, ხოლო 1988 წლიდან უნივერსიტეტის პირველი არჩეული რექტორი გახდა პროფესორი ალექო გვარამია.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ცხოვრების გამართვასა და სასწავლო-სამეცნიერო, აკადემიური სივრცის ჩამოყალიბებაში უფროსი თაობის ზემოთდასახელებულ წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის: რევაზ აბსავას, დიანა აღანიას, ჯამბულ ანჩაბაძეს, თენგიზ ანთელავას, მელორ ალფენიძეს, შოთა ახალაიას, ბიჭიკო ბარამიას, აბესალომ გადილიას, ალექო გვარამიას, დავით დოღბაძეს, გრიგოლ ზაქარაიას, ზამო ზარქუას, ზარა თარბას, ლამარა თარბას, გივი თოდუას, ავთანდილ კილასონიას, ვლადიმერ კირცხალიას, ბორის ლაჰინს, თეიმურაზ მიბჩუანს, ტიტე მოსიას, მარიამ მირესაშვილს, ოთარ მიქიაშვილს, მერაბ ნაჭყებიას, მურმან ოკუჯავას, ზურაბ პაპასქირს, გივი როგავას, რევაზ სალიას, რევაზ სალუქვაძეს, ნათელა სემიონოვა-ტორჩუას, ჯემალ სილაგაძეს, ლუარა სორდიას, ირაკლი ტაბაღუას, ნიაზ ფაჩულიას, დალილა ფილიას, ეთერ ქაჯაიას, ვახტანგ ქეცბას, თორნიკე ყიფიანს, სერგო შარიას, თემურ შენგელიას, მიხეილ შონიას, თემურ ჩილაჩავას, ედუარდ ჭანტურიას, რევაზ ხარებავას, ბორის ხვედელიძეს, ჯუმბერ ხუბუტიას, გულნაზ ხუხუას, ჯემალ ჯინჯიხაძეს, და სხვ.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემდა სამეცნიერო შრომების კრებულებს; მონაწილეობდა მაშინდელ საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონფერენციებში, მჭიდრო კავშირები ჰქონდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან და ა. შ. მაგრამ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლად ფორმირების პროცესს ხელს უშლიდა აფხაზი პროფესორის სეპარატისტულად განწყობილი ნაწი-

ლის მცდელობები გადაეყვანათ უნივერსიტეტი ანტიქართული სეპარატისტული მოძრაობის ფლაგმანად, რაც იწვევდა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისა და პროფესორის პროტესტს. სწორედ აფხაზური სეპარატიზმის მოძალებამ და აფხაზი ეროვნების პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის გაუგონარმა დალატმა საკუთარი ქვეყნისა და მისი ისტორიული წარსულის მიმართ 1989 წ. 18 მარტს ლიხნში გამართულ აფხაზთა თავყრილობაზე შეუძლებელი გახადა ქართველთა და აფხაზთა ერთად ყოფნა უნივერსიტეტში. შედეგად, როგორც ცნობილია, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო ქართული ნაწილი, რომლის ბაზაზე (1989 წ. 14 მაისი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი შეიქმნა (ამის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ: გვ. 466-482).

აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში 1959 წლიდან მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა *საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს*. ის იყო საკავშირო დაქვემდებარების მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც სწავლობდნენ ევროპის, აზია-აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ინსტიტუტი ამზადებდა კადრებს სუბტროპიკული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო ერთადერთი ამ დარგში. 1989 წელს აფხაზეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებს დაემატა კიდევ ერთი – *საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის განყოფილება*.

აფხაზეთის სამეცნიერო ცხოვრების ნაწილი იყო *სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*, რომელიც 1950 წელს დაფუძნდა. ინსტიტუტმა გააერთიანა ორი გასაიდუმლოებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელთა საქმიანობა 1945-1949 წლებში დაკავშირებული იყო ატომური ბომბის შექმნის ტექნოლოგიებთან. (ვრცლად: **ბოკუჩავა, 2015**). აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა შორის უნიკალური მემკვიდრეობა აქვს 1926 წელს დაარსებულ *ნიკოლოზ ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურს*, რომლის ბაზაზე არსებობდა სამ ათასზე მეტი სახეობის იშვიათ მცენარეთა კოლექცია.

აფხაზეთში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარების სოხუმის *ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი*, რომელიც უნიკალურ სამეცნიერო-ექსპერიმენტულ დაკვირვებებს აწარმოებდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ნაწილი იყოს *სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, თამბაქოსა და წეკოს საკავშირო ინსტიტუტის აფხაზეთის თამბაქოს საცდელი სადგური*. 1980 წლისთვის აფხაზეთის ასსრ-ში იყო 17 სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება ორი უმაღლესი სასწავლებლის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ჩათვლით, სადაც მუშაობდა 1000 მეცნიერ-მუშაკი, მათ შორის 563 მეცნიერებათა

დოქტორი და კანდიდატი, 4 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (**აფხაზეთის ავტონომიური, 1981: 319**).

აფხაზეთში სამეცნიერო აზრის განვითარებაზე დიდი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბორის ლაპინს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს: ზურაბ ანჩაბაძეს, ალფრედ კოლაკოვსკის, რევაზ სალუქვაძეს, გიორგი ძიძარას. არანაკლებ თვალსაჩინო იყო ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ დარგებში მომუშავე მეცნიერთა (*ალექსი არგუნი, ხაზარატ არგუნი, შოთა არისთავა, ირაკლი ახალაია, შოთა ბასილაია, ხუხუტი ბლაჟბა, ვახტანგ ვახანია, შალვა ინალ-იფა, არველოდ კუპრავა, მარგარიტა ლადარია, დიმიტრი ლემონჯავა, ლორიკ მარშანია, შოთა მისაბიშვილი, ბაგურ სადარია, ჯემალ სილაგაძე, მიხეილ ტრაფში, გულჯავარ ფირცხალავა, ლეონიდე შერვაშიძე, მირიან ციკოლია, ვალერიან ჭანია, ლილია ჭკადუა, ოთარ ჭურღულია, რევაზ ხარებავა, ოთარ ხვინგია, ლეონიდე ჯახაია და სხვ.*).

აფხაზეთსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი იყო სამედიცინო და კურორტოლოგიის სფეროს წარმომადგენლების: ვიოლეტა აგრბას, ვიანორ ანჩაბაძის, მიხეილ ახალაიას, შოთა გოგოხიას, ალექსანდრე გრიგოლიას, ბიძინა მგალობლიშვილის, ნინო მგელაძის, სიმონ მიძინოშვილის, ელგუჯა მირესაშვილის, ნიკოლოზ რუხაძის, თორნიკე ყიფიანის, ვარლამ შარვაშიძის, პეტრე ჯაფარიძის, ეთერი ჯიქიძის და სხვათა ღვაწლი. აგრარულ მეცნიერებებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფილიპე მამფორიამ, მიხეილ ბლაჟბამ, იოსებ კაპანაძემ, იოსებ მარშანიამ, მარგარიტა მჭედლიძემ, შოთა სიჭინავამ, სიმონ ჩოჩიამ, რაისა ქარაიამ და სხვ. აფხაზეთს საერთაშორისო ცნობადობის მეცნიერები ჰყავდა ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (*ოთარ გაბისონია, ალექო გვარამია, ნიაზ ფაჩულია, ვლადიმერ კირცხალია, იპოლიტე ბაღბაია – ფიზიკა; შოთა ლაშხია – გეოგრაფია და ა.შ.*).

კულტურა. აფხაზეთი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ზოგადქართული კულტურული ფასეულობების მატარებელი მხარე იყო, რომლის შექმნაში თავისი წვლილი, ქართველებთან ერთად, თანამედროვე აფხაზეთა წინაპრებსაც შეჰქონდა. საკუთრივ, აფხაზეთი ეროვნული კულტურის: ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების პროფესიულ დონეზე ჩასახვა XX საუკუნეში მოხდა. აფხაზეთი ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა, მას ასაზრდოებდა აფხაზეთი და ქართული ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორული მემკვიდრეობა-თქმულებები, ზღაპრები, ხალხური ეპოსი, მითები და ხალხური საგმირო და ყოფითი ლექსები. აფხაზმა მწერლებმა და პოეტებმა მრავალი ფოლკლორული სიუჟეტი და მოტივი გამოიყენეს და გადაამუშავეს. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია დიმიტრი გულიას სახელთან, რომელმაც ჯერ კიდევ XX ს. დამდეგს გამოაქვეყნა თავისი შემოქმედების ადრეული ნიმუშები და სათავე დაუდო აფხაზეთი ლიტერატურის ისტორიას.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო 1933 წელს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების დაარ-

სება. მწერალთა კავშირის დაარსებამდე აფხაზი მწერლები დიმიტრი გულიას (1874-1960) ირგვლივ იყვნენ გაერთიანებული მის მიერ დაარსებულ სამეცნიერო საზოგადოებაში. დიმიტრი გულია გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა და ამ დროიდან დაახლოებული იყო ქართველ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და კულტურის წარმომადგენლებთან. ივანე ჯავახიშვილის მიწვევით, კითხულობდა აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. გარდა სტუდენტებისა, აფხაზური ენის კურსს მისგან ისმენდნენ აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია. დიმიტრი გულიას ქართველები და აფხაზები ერთი განუყოფელი ოჯახის შვილებად, საერთო ისტორიულ ქარცეცხლში გამობრძმედილ ხალხებად მიაჩნდა. ასევე საგანგებოდ მუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელიც ისტორიულად ქართველმა ერმა ითამაშა აფხაზი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში (**ჭურღულია, 1974: 43**).

დიმიტრი გულია არის ავტორი პირველი აფხაზური ნოველისა „უცხო ცის ქვეშ“ (1919) და პირველი აფხაზური რომანისა „კამაჭიჭი“ (1940), აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების საფუძველზე შექმნილი „მცირე მოთხრობებისა“. დიმიტრი გულიას, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ფასდაუდებელი დამსახურება აქვს აფხაზური კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. მას სამართლიანად უწოდებენ აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის პატრიარქს. იყო ფოკლორისტი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, პედაგოგი, მის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზური ანბანის სრულყოფა. დიმიტრი გულიამ შესანიშნავი თარგმანებით სცადა მშობლიური ხალხის ლიტერატურის გამდიდრება – ქართულიდან აფხაზურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ლექსები. რუსულიდან თარგმნა ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებები.

დიმიტრი გულიას უმცროსი თანამედროვე იყო აფხაზი პოეტი იუა კოდონია (1903-1928). მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური ეპიკური ჟანრის პოეზიის განვითარებაში. 1915-1927 წლებში გამოქვეყნდა მისი პოემები „ზოსჰან არბა და ჯან ბეთლანის შვილები“, „ნავეი და შუეჭაბუკი“, „მონადირე და ხმიჭი“, „ალბათა ბესლანიჩი“, და სხვა. იუა კოდონიას პოემები გამოირჩევა ჰეროიკული და ოპტიმისტური განწყობით, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალი სულიკვთებისა და კეთილშობილებით სავსე ეპიკურ გმირთა სახეებით. მის შემოქმედებაში მხატვრულად არის ასახული აფხაზური და ქართული ფოლკლორის მოტივები (**მრავალეთნიკური.., 2015: 222**).

აფხაზური ლიტერატურის სათავეებთან დიმიტრი გულიასთან ერთად აუცილებლად უნდა დავასახელოთ სამსონ ჭანბა (1886-1937) – აფხაზი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, სწავლობდა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, წერდა და იბეჭდებოდა აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ავტორია რომანტიკული პოემისა „მთების ღვთისმშობელი“ (1919), პირველი აფხაზური დრამა „მუჰაჯირები“

(გამოქვეყნდა 1920 წელს, ხოლო სცენაზე დაიდგა – 1928 წელს), აფხაზთა თურქეთში მუჰაჯირობის თემას ეძღვნება კიდევ ერთი ნაწარმოები „აფსნი ხანუმი“ (1923), „განვლილი დღეებიდან“ (1929) და სხვები. ამ ნაწარმოებებით, მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთის ეროვნულ დრამატურგიასა და ფსიქოლოგიურ მოთხრობებს. სამსონ ჭანბაშვილი და 1925 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „აფხაზეთის გეოგრაფია“. სამსონ ჭანბაშვილი 1921-1925 და 1930-1932 წლებში იყო საბჭოთა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ხოლო 1934-1937 წლებში აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. იგი ითვლება პირველ აფხაზ დრამატურგად, მისი ნაწარმოებები დაიდგა სოხუმის ქართული დასის სცენაზე.

აფხაზური ლიტერატურის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის მიხეილ ლაკერბაი (1901-1965), რომლის პირველი ნაწარმოები 1919 წელს გამოქვეყნდა. ადრეული პერიოდის შემოქმედებიდან აღსანიშნავია, პუბლიცისტური სტატიები და მწვავე სოციალურ ლირიკა „ციხეში“, „სამშობლო“, „დიმიტრი გულია“ და ა. შ. მომდევნო პერიოდში მიხეილ ლაკერბაი ინტენსიურად მოღვაწეობდა დრამატურგიასა და მხატვრულ პროზაში. 30-40-იან წლებში წერდა ისტორიულ დრამებსა და კომედიებს სცენისთვის, მაგრამ განსაკუთრებით სახელი გაუთქვა მოთხრობებმა „აფხაზური ნოველები“ და „ალამისი“. მწერალმა თავისი ნოველებით ხელახლა გააცოცხლა აფხაზი ხალხის წარსული, მიმზიდველი ფერებით დახატა გმირობისა და ვაჟკაცობის, მეგობრობისა და სიყვარულის, სტუმარ-მასპინძლობისა და შურისძიების ის ეპიზოდები, რომლებითაც ესოდენ ეგზოტიკური იყო აფხაზეთის ცხოვრება არცთუ მაინცდამაინც შორეულ წარსულში (**ჭურღულია, 1983: 158-159**).

აფხაზური მხატვრული სიტყვის განვითარებაში ძალიან დიდია აფხაზური პროზის პატრიარქად აღიარებული, სახალხო მწერლის ივანე პაპასქირის (1902-1980) დამსახურება. მან, სოხუმის სამასწავლებლო სემინარიისა და პედაგოგიური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1928-1929 წლებში, სწავლა გააგრძელა ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. ივანე პაპასქირი ცნობილია, როგორც პირველი სოციალური რომანების („თემირი“ – 1937 წ.; „ქალის ღირსება“ – 1949 წ.) ავტორი აფხაზურ ლიტერატურაში, რომელთა უმრავლესობა მშობლიური აფხაზი ხალხის ცხოვრების ეპოპეას გადმოსცემს. მწერლის შემოქმედების მკვლევრები მიუთითებენ, რომ ივანე პაპასქირის შემოქმედება მხატვრულ და მიმზიდველ სახეებში გაცოცხლებული ისტორიული აფხაზი ხალხისა XX საუკუნეში. თემატური თვალსაზრისით ეფექტური აღმოჩნდა რომანი „ერცაზუს ძირში“, რომელშიც მწერალმა მიმზიდველ ფერებში დახატა აფხაზების, ქართველების, უკრაინელების, რუსების ძმობისა და მეგობრობის სურათები (**ჭურღულია, 1983: 153**).

თანამედროვე აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა აფხაზეთის სახალხო პოეტის, შოთა რუსთაველისა და დიმიტრი გულიას პრემიების ლაურეატის ბაგრატ შინქუბას (1917-2004) შემოქმედებამ. ის

ადრიდანვე ყოფილა გატაცებული ხალხური პოეზიით, აგროვებდა ლექსებსა და გამონათქვამებს. შემოქმედებითი მოღვაწეობა 1935 წელს დაიწყო, როდესაც გამოქვეყნდა პირველი ლექსი „ვაჟაკობა“. 1938 წელს გამოიცა ბ. შინქუბას პოეტური კრებული „პირველი ლექსები“. ქართულ ენაზე ცნობილია მისი პოეტური კრებულები და რომანებიც: „კლდის სიმღერა“, „ჩანთა დაბრუნდა“, „ჩემი თანამემამულენი“, „გაპობილი ქვა“ (მოსია, 2012: 157-187). განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანი „უკანასკნელი უბიხი“, რომელშიც მძაფრი სიუჟეტებითაა გადმოცემული რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთში გადასახლებული უბიხი ხალხის ტრაგიკული ისტორია.

აფხაზურ ლიტერატურაზე საუბრის დროს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ივანე თარბას (1921-1994) შემოქმედებას. ის გამორჩეული მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის პოეტია, მისი ლექსები სავსეა ადამიანური განცდის მსოფლადქმით. ამქვეყნიურ ბედნიერებაში ის მარადიულ ღირებულებებს: ჰუმანიზმს, მოყვასისადმი სიყვარულს, ერთგულებასა და მეგობრობას სცემს პატივს. აფხაზ მწერლებსა და პოეტებს შორის, ივანე თარბა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ქართველ მკითხველთა შორის, მისი ლექსები ხშირად ითარგმნებოდა და დღესაც ითარგმნება ქართულ ენაზე. ახლახან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების ცენტრის ინიციატივით, გამოქვეყნდა კრებული „მიყვარს ჩემი აფხაზური“ (თარბა, 2021). მასში მკაფიოდ ჩანს, რომ ქართველები და ზოგადად საქართველო პოეტისთვის ისეთივე ღვიძლი და ახლობელი იყო, როგორც აფხაზები და აფხაზეთი. ამის დადასტურებაა მისი ლექსები: „მთაწმინდა“, „თბილისური დამე“, „რუსთავის ტაძრის ნანგრევები“, „გიორგი ლეონიძეს“, „ქართული რკინა“ და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ თავისი შემოქმედებით ივანე თარბა, საქართველოში წარსულის ყველა ნანგრევს, ციხეს, ეკლესიას, ქალაქებსა და ადამიანებს ეფერება. ივანე თარბა ცნობილია, როგორც საბავშვო-საყმაწვილო ლექსების ავტორიც. გარდა პოეტური ნაწარმოებებისა, ივანე თარბას კალამს ეკუთვნის რომანები „ცნობილი კაცი“, „მზე ჩვენთან იღვიძებს“, „დედის თვალები“ და სხვ. (მრავალეთნიკური..., 2015: 223).

აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელია პოეტი და მთარგმნელი მუშნი ლასურია, რომელიც წლების მანძილზე იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოეტური კრებული. მათ შორისაა: „იმედი“, „აბრეშუმის სახლი“, „წყალთა მუუფე“, „ჩანჩქერების დილა“, „მთესველი“ და სხვ., რომელთა ძირითადი თემებია მშობლიური აფხაზეთი და მთლიანად საქართველო, მისი ბუნება, სიყვარული, ვაჟაკობა და ძმათა შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. საქართველოსადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვანი ლექსებში ერთგან ავტორი სამშობლოს წარსულსა და მომავალზე დაფიქრებული იტყვის ჩემს „საფიცარ სამშობლოს საქართველოსო“. მან აფხაზურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რისთვისაც დაჯილდოებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიით. მუშნი ლასურიას კალამს ეკუთვ-

ნის ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის პოეზიის აფხაზური თარგმანები. მუშნი ლასურიას პოეზია თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე (**მრავალენოვანი.., 2015: 223-224**).

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობამ განსაკუთრებით ემოციური სიმძაფრით ჰპოვა გამოსატყულება აფხაზური მწერლობის პირველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის *ალექსი ჯონუას* (1920-1989) პოეზიაშიც. ა. ჯონუას ეროვნული თვალთახედვის მკაფიოდ წარმომჩენ ნაწარმოებად მიიჩნევენ მის ლექსს „*საქართველოს პოეტებს*“, რომელშიც არაორაზროვნადაა გამოსატყული ავტორის პოზიცია ქართველებთან, აფხაზ სეპარატისტთა დაპირისპირების საფუძვლად ქცეულ ყველა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. აფხაზი პოეტის შეფასებით, აფხაზეთი უსაქართველოდ არც წარსულში ყოფილა და ვერც მომავალში იარსებებს. მას ოდნაცადაც კი არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს მთლიანობა მარადიულია და მას ვერაფერი დაარღვევს. ა. ჯონუას აფხაზეთი მიაჩნია ამ მთლიანობის ღვიძლ და სისხლხორცეულ ნაწილად (**ნიკოლეიშვილი, 2012: 150**).

საქართველოსადმი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულებით გამოირჩევა აფხაზი პოეტი *გიორგი გუბლია* (1929-2019), რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ენების განყოფილების კურსდამთავრებულია. ის იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მეცნიერი. 1970 წელს მან თბილისში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „*აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გუბლიას შემოქმედებითი გზა*“, რის შემდეგაც სათავეში ჩაუდგა ახლადდაარსებულ აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1979 წლიდან – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თავის ნაწარმოებებში (კრებულები: „*მოქრის კოდორი*“, „*ლექსები*“, „*ისევ იქა ვარ*“, „*ღელავდა ზღვა: ლექსები და პოემა*“. პოეტი აღწერს ბუნებას, გულწრფელად უმღერის სიყვარულის წმინდა გრძნობას, ბუნებისადმი, ქალისადმი, სამშობლოსადმი, უბრალოდ, მოყვასისადმი. მისი ლირიკა ამაღლებულია სიყვარულის თემებით, რომელსაც სიცოცხლის განცდის სიხარული მოაქვს. გიორგი გუბლიას პოეზიაში ამოუწურავია სიყვარული საკუთარი ხალხისადმი, საქართველოსადმი, რომლის სულის ნაწილად მიაჩნია აფხაზეთი. ავტორის ლირიკა გამოირჩევა საქართველოს ისტორიისა და ქართველი და აფხაზი ხალხების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია აფხაზი მწერალი ქალი *ნელი თარბა* (1934-2014), მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ლექსების ციკლი „*საქართველოს*“, რომელიც აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთობისადმი აღვლენილი ხოტბაა. თავად პოეტის თქმით, საქართველოსადმი სიყვარული და ერთგულება მას „*აფხაზეთმა და მისმა წინაპრებმა ასწავლეს*“ (**ნიკოლეიშვილი, 2012: 151**). ნელი თარბას ეს ლექსი ქართულ-აფხაზური ერთობის გულწრფელი ემოციაა, რომელიც, სადღაც გულის ერთ კუთხეში, დღესაც ცოცხლობს ჭეშმარიტი აფხაზისა და ქართველის გულში. აფხაზურ მწერლობაში ქართული თემატიკა განსაკუთრებული ფერებით აქვს დახატული *კონსტანტინე (კუმფ)*

ლომბიას (1928-1999). ამ მხრივ საინტერესოა თბილისური ლექსების ციკლი („მთაწმინდა“, „მტკვარი“), რომელშიც ავტორი თბილისური პეიზაჟების პოეტური წარმოსახვის ფონზე უმღერის მას და მშობლიურ ქალაქად მიიჩნევს (**ნიკოლეიშვილი, 2012: 151**).

ამ თაობის აფხაზური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებია არიან: ბორის გურგულია, შალვა წვიჟბა, ჭიჭიკო ჯონუა, ლევარსან კვიჩინია, შამილ ფილია, შალოდია აჯინჯალი, ალექსი გოგუა, ჯუმა ახუბა, პლატონ ბებია, ნიკოლოზ კვიჩინია და სხვ., რომელთა უმრავლესობამ უმაღლესი განათლება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს.

XX საუკუნის აფხაზეთის ქართული მწერლობის სათავეები მის წინამორბედ საუკუნეში გიორგი შარვაშიძის, ივანე გეგიას, პეტრე ჭარაიას, თედო სახოკიას და სხვათა შემოქმედებაში არის საძიებელი. აფხაზეთში მწერლობის (ქართული და აფხაზური) განვითარებაზე თავისებური როლი ითამაშა გაზეთმა „აფხაზეთის საბჭოთა მწერლები“, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის მწერალთა კავშირის ორგანო იყო და ძირითადად, საბჭოთა ნარატივით იყო წარმოდგენილი. ქართული მწერლობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია XX ს. II ნახევარი, როდესაც მოღვაწეობდნენ ქართული მწერლობის „აფხაზეთის ფლანგის“ თვალსაჩინო წარმომადგენლები: მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია, მოსე გვასალია, კლიმენტი გოგიავა, შოთა აკობია, ევგენი აჟუბარდია, მირიან მირნელი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია, ნოდარ ხუნდაძე, ციალა არდამელია, გივი ბერაია, რენე კალანდია, გული ზუხბა, ზურაბ ნაყოფია, რამაზ კუპრავა, გურამ ოდიშარია, მურმან ხურცილავა, ვლადიმერ ჯოლოგუა, ხუტა გაგუა და სხვ. (ვრცლად იხ. **აფხაზეთის ქართული, 2014, 2017, 2020**).

მწერალთა ძველი თაობის წარმომადგენლებიდან ქართველ და აფხაზ მკითხველთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა მწერალი მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია (1887-1969). მარიამ ფულარიას პირველი მოთხრობა სრულიად ახალგაზრდამ, 1907 წელს გამოაქვეყნა, მაგრამ ნამდვილი აღიარება მწერალს მოუტანა რომანმა „ოქროს ბეჭედი“, რომელიც 1952 წელს, სოხუმში გამოქვეყნდა (**მრავალეთნიკური.., 2015: 225**). მწერალი და საზოგადო მოღვაწე შოთა აკობია (1920-1996) არის არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების ავტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: „სამშობლოს დილა“, „წყაროს დაბადება“, „გზები და შეხვედრები“, „შენ გამახსენდი“, „თეთრი ჩრდილი“, „სიყვარული და სინათლე“ და სხვა. მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლატვიურ, აფხაზურ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. 1984 წელს მიენიჭა დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია. 2001 წელს, გარდაცვალების შემდეგ წიგნისათვის „დრო-ჟამი საბედისწერო“ მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემია (**მრავალეთნიკური.., 2015: 225**).

ქართული მწერლობის „აფხაზეთის ფლანგზე“ გამორჩეული ადგილი უკავია პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გენო კალანდიას (1940-2017). მან განათლება სო-

ხუმსა და მოსკოვში მიიღო; მუშაობდა ჟურნალისტად, მისი ლექსების პირველი კრებული „ცა და ფოთლები“ 1966 წელს გამოვიდა, ხოლო პირველი პიესები „მთვარის საათი“, „ადგილის დედა“ და „ძე შეცთომილი“ დაიდგა სამსონ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. გენო კალანდია 40-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია „ფესვები“, „მიწის ჭრილობა“, „ასი სონეტი“, „მესამე თვალი“, „რეჟიმი“, „ისევ რეჟიმი“, „მწუხრის არაბესკები“ და ა. შ. 2002 წელს ლექსების ციკლისთვის „მაქსიმები“ მიენიჭა გიორგი მარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. აქტიურად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. განსაკუთრებული სიყვარულით თარგმნიდა აფხაზი პოეტების ლექსებს. ქართველი მკითხველი მისი თარგმანებით გაეცნო ივანე თარბას, ალექსი ჯონუას, კონსტანტინე გერხელიას, ბორის გურგულიას, ჰლატონ ბებიას და სხვათა პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს. გ. კალამდიას პოეზიაც თარგმნილია აფხაზურ და რამდენიმე უცხო ენაზე. სხვადასხვა დროს იყო აფხაზეთის თეატრალური საზოგადოებისა თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი, აფხაზეთის შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე. 1992-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის, ხოლო 2004-2017 წლებში – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. თანამედროვე ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის 2013 წელს მიენიჭა (ჯერჯერობით – ერთადერთს აფხაზეთის ქართველ შემოქმედთაგან) შოთა რუსთაველის პრემია (მრავალეთნიკური., 2015: 225).

აფხაზეთის ქართული მწერლობის სრულიად გამორჩეული წარმომადგენელია პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯანო ჯანელიძე (1933-2009), რომელსაც ორმოცამდე პოეტური და პროზაული კრებული ეკუთვნის. მათგან გამორჩეულია კრებულები: „თიბათვე“, „ოქროსფერი ქვაფენილები“, „სიზმრის სარკმელი“, „არდავიწყება“, „უკვდავების მრავალწერტილი“, „კამარა“, „ეკლიანი გვირგვინი“, „გაცვეთილი ნიღბები“, „ღვთისმშობლის ფრესკასთან“, „ჯვარცმოდან ამაღლებამდე“; მოთხრობები: „სისხლიანი მინდორი“, „როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ“ და სხვა; გამოსცა ტყვარჩელელი უცნობი აფხაზი გოგონას დღიურები – „ტყვარჩელის ტრაგედია“. მინიჭებული აქვს გიორგი მარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში (მრავალეთნიკური., 2015: 225-226) .

ტრაგიკული ბედის ქართველი პოეტი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე (1928-1993) იმერეთში დაიბადა, მაგრამ აფხაზეთში ოჯახი შექმნა და მთელი თავისი მოღვაწეობა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს დაუკავშირა. პირველი შემოქმედებითი აღიარებაც აფხაზეთში მოიპოვა, აქ ეზიარა მრავალ სიხარულსა და გამარჯვებას და სამუდამო განსასვენებელიც აქ ჰპოვა. პოეტი, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით სათნოებას და სიყვარულს უმღეროდა 1993 წელს სიძულვილისა და ბოროტების მსხვერპლი შეიქნა. მოკლეს „რამეთუ ქართული ზეცის სადღეგრძელო შესვა“ და ვერ დათმო „მშობლიური ცა და ხმელეთი“. ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის იღუმალი, წინასწარმეტყველური სევდა და გაუსაძლისი ტკივილი ძალზე მახლო-

ბელია ყველა აფხაზეთელისათვის. მან არ დატოვა მშობლიური ქალაქი და დაეცა „სამშობლოს სიყვარულით გამთბარი“ სოხუმის კარიბჭესთან „არა იარაღით, არა მახვილით, არამედ ლექსებით ხელში“ (მრავალეთნიკური.., 2015: 226). ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეს ლექსების რამდენიმე კრებული დარჩა. მისი პოეზიის ნიმუშები დღემდე იბეჭდება სხვადასხვა კრებულებში.

აფხაზეთის კულტურის ისტორია წარმოუდგენელია მდიდარი ტრადიციების მქონე სოხუმის დრამატული თეატრისა და ოჩამჩირის, გაგრის, გალის, ტყვარჩელის, გულრიფშის სცენისმოყვარულთა და პატარა თეატრალური დასების ისტორიების გარეშე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოხუმის თეატრის ისტორია 1885 წლიდან, ქალაქში სცენისმოყვარულთა საზოგადოების ჩამოყალიბებით იწყება. XX ს. დამდეგს აქ უკვე არსებობდა ქართული პროფესიული დასი. აფხაზეთის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, თეატრის ქართულმა დასმა და დიმიტრი გულიას მიერ 1919 წელს დაარსებულმა აფხაზურმა ლიტერატურულ-დრამატულმა წრემ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის არაკეთილსაიმედო საზოგადოებამ, არსებობა შეწყვიტა. 1922 წელს შეიქმნა სცენისმოყვარულთა ქართული დრამატული კოლექტივი, რომლის რეპერტუარში ძირითადად იყო სოციალურ და ისტორიულ თემებზე შექმნილი თეატრალური წარმოდგენები. მაგ. ეგნატე ნინოშვილის „ქრისტიანე“, აქვსენტი ცაგარელის „ხანუმა“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ და სხვები. 1927 წელს სოხუმში პროფესიული დასის ჩამოსაყალიბებლად მიავლინეს დავით (დუღე) ძნულაძე (1889-1971), მან 1928 წელს დააარსა სოხუმის დრამატული თეატრი, რომლის სცენაზე, თავიდან ძირითადად, ქართული სპექტაკლები იმართებოდა. 1929 წლიდან ქართული დასის სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა რეჟისორი ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე) (1896-1937), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოხუმში პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა მისი თანამშრომლობა სამსონ ჭანბასთან აფხაზური თეატრალური დასის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. 1930 წლიდან ქართული და აფხაზური დასები ერთ შენობაში შეუდგნენ მუშაობას. აფხაზური დასის სპექტაკლებში მსახიობთა დეფიციტის გამო, ქართველი მსახიობებიც მონაწილეობდნენ. ვახტანგ ვაჩნაძემ სოხუმის თეატრის სცენაზე დადგა როგორც ქართული, ასევე აფხაზური პიესები სამსონ ჭანბას „მაჰაჯირები“, ვლადიმერ აგრბას „აჯანყება ლიხნში“ და სხვა (არგუნი, 1982: 7).

ქართული თეატრი აფხაზეთში კულტურის ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო, რომელიც ხელს უწყობდა, საზოგადოების როგორც ინტელექტუალურ, ისე ესთეტიკურ სრულყოფას. 30-იანი წლებიდან სოხუმის თეატრში იდგმებოდა კლასიკური და თანამედროვე ნაწარმოებები. ცალკეულ სეზონებში სოხუმის თეატრში რეჟისორებად მუშაობდნენ: ვასო ყუმიტაშვილი, ლევან მირცხულავა, იური კაკულია, ანზორ ქუთათელაძე, დავით კობახიძე, ლეო შავდია, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანი, გიორგი სულიკაშვილი, გიორგი ჟურული, მედეა კუჭუხიძე, სანდრო მრევლიშვილი, ლერი ჰაქსაშვილი და სხვ.

50-70-იანი წლებიდან სოხუმის თეატრში მუშაობდნენ ცნობილი მსახიობები: *სალომე ყანჩელი, ბუხუტი ზაქარიაძე, მიხეილ ჩუბინიძე, ელენე საყვარელიძე, მარინე თბილელი, თინათინ ბოლქვაძე, ფლორა შედანი, გიორგი რატიანი, სერგო ჰაჭკორია, ლეო ფილფანი, ბორის თოფურიძე, ბორის წიფურია, ოთარ კობერიძე, ვიქტორ ნინიძე, ზურაბ ლაფერაძე, ჯემალ მონიავა, ომარ ელერდამვილი, ლორენა პაპუაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ბახა ბეჟური, გიზო სირაძე, ლორენა მიქაშავიძე, ვალერი არღვლიანი, ნანა და ლილი ხურიტები, ნუგზარ ჩიქოვანი, ნუგზარ ყურაშვილი, მერაბ ბრეკაშვილი და სხვანი. სხვადასხვა დროს ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში (არგუნი, 1982: 6-12). არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გამოჩენილი ქართველი რეჟისორი თუ მსახიობი, რომელსაც სპექტაკლი არ დაუდგამს, ან არ უთამაშია სოხუმის თეატრში.*

70-იანი წლებიდან თეატრში მოვიდა რეჟისორთა ახალი, ნიჭიერი თაობა, რომლებმაც განათლება თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში მიიღეს. ესენი იყვნენ – *ნელი ეშბა, დიმიტრი კორტავა, ნიკოლოზ ჩიქოვანი, გიორგი სულიკაშვილი და სხვ. აფხაზურ სცენაზე მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მსახიობები, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები – მინადორა ზუხბა, მარაბ ფაჩალია, ალექსი აგრბა, მიხეილ კოვე, ეთერ კოლონია, ლევარსი კასლანძია* ისინი თამაშობდნენ ქართული დასის მიერ დადგმულ სპექტაკლებშიც.

1978 წლიდან სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის თეატრს გამოეყო ქართული დასი და ჩამოყალიბდა *კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრი*. ამ ამბავს ხელი არ შეუშლია ქართული და აფხაზური დასებისთვის თანამშრომლობისათვის. განსახილველი ეპოქის აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების ისტორიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საქართველოს სახალხო არტისტის გოგი ქავთარაძის (1940-2020) მოღვაწეობა, რომლის დამსახურებით XX ს. 80-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის დასის სპექტაკლები სრული ანშლაგით მიდიოდა. ამ პერიოდის თეატრალური ცხოვრების ნამდვილი ზეიმი იყო *„ვენეციელი ვაჭარი“*, *„დიდოსტატის მარჯვენა“*, *„მარადისობის კანონი“*, *„ელადოს“*, *„ბომბები“*, *„მკაცრი ქალიშვილები“* და სხვები. განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა აფხაზეთის საზოგადოებისთვის ქართული და აფხაზური დასების ერთობლივი სპექტაკლები: ნოდარ დუმბაძის *„ნუ გეშინია, დედა“*, ივანე პაპასქირის *„ქალის ღირსება“* და სხვა.

აფხაზეთში მუსიკალური ხელოვნების სათავეებთან იღვა ცნობილი ქართველი მომღერალი და ლოტბარი *ძუკუ ლოლუა* (1877-1924). ის ითვლება აფხაზური ფოლკლორის შეგროვებისა და ჩაწერის პიონერად. მან ჩამოაყალიბა ფოლკლორის გუნდი და სოფელ-სოფელ შეკრებილი აფხაზური ხალხური სიმღერები სცენაზე გააცოცხლა. ძუკუ ლოლუას მოღვაწეობა ამ მიმართულებით გააგრძელეს *კონსტანტინე კოვაჩმა* (1899-1939) და აფხაზმა სახალხო მასწავლებელმა *კონდრატე ძიძარიამ* (1898-1943). 1930 წელს სოხუმში, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის *დიმიტრი არაყიშვილისა* და *კონსტანტინე კოვაჩის* ინიციატივით დაარსდა სამუსიკო

სასწავლებელი, რომლის პედაგოგები იყვნენ შემდეგში ცნობილი პიანისტები, მომღერლები და დირიჟორები: *ოდისეი დიმიტრიადი*, *ავგუსტა კამენსკაია*, *მარია ბუბნოვა* და *სხვები*. სასწავლებლის დაარსებამ ხელი შეუწყო პროფესიული მუსიკალური კადრების აღზრდას, რომელთა ნაწილმა არამარტო აფხაზეთში, არამედ მის ფარგლებს გაითქვეს სახელი. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი დღემდე (თბილისში) დიმიტრი არაყიშვილის სახელს ატარებს, ხოლო სოხუმში დარჩენილი სასწავლებლის ნაწილს 2002 წლიდან ცნობილი აფხაზი ხელოვანის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულის, აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის *ალექსი ჩიჩბას* (1925-1995) სახელი მიენიჭა.

აფხაზური პროფესიული მუსიკალური სკოლის ფორმირებასა ჩამოყალიბებაში მეტად მნიშვნელოვანია ქართველი კომპოზიტორების როლი. აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორს იყენებდნენ *ივანე* და *ზაქარია ფალიაშვილები*, *ანდრია ბალანჩივაძე*, *შალვა მშველიძე*, *ოთარ თაქთაქიშვილი*, *სულხან ცინცაძე* და *სხვები*. სოხუმს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დასთან, ცალკეულ შემსრულებლებთან, კერძოდ, *ზურაბ ანჯაფარიძესთან*, სოხუმის მკვიდრ *ზურაბ სოტიკილავასთან*, რომელმაც პირველი ნაბიჯები სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში გადადგა. 1971 წელს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შუამდგომლობის საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზური პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაში. ამ პერიოდიდან სულ უფრო მთამბეჭდავი გახდა აფხაზ და ქართველ კომპოზიტორთა: *ალექსი ჩიჩბას* (მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერა „*სიმღერა კლდეზე*“ და სხვ.), *რაჟდენ გუმბას*, *კონსტანტინე ჩენგელიას*, *მამია ბერიკაშვილის* და სხვა ხელოვანთა შემოქმედება. 1967 წელს დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სასწავლებელთან შეიქმნა საოპერო სტუდია, რომელმაც ჯერ სოხუმში, მერე თბილისში განახორციელა *ზაქარია ფალიაშვილის* ოპერა „*დაისისა*“ და *ალექსი ჩიჩბას* ორატორია „*გმირი კერაზას*“ ჩვენება. სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა 1969 წლიდან დამოუკიდებლად განაგრძობდნენ არსებობას როგორც აფხაზეთის მუსიკალური კულტურის ახალი ცენტრები.

XX ს. 70-80-იან წლებში აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მიერ ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. „აფხაზური მუსიკის ფესტივალი თბილისში, თელავსა და *რუსთავში*, „აფხაზური და ქართული მუსიკის ფესტივალი“ აფხაზეთში, „*ბავშვთა საგუნდო კოლექტივების ფესტივალი*“ სოხუმში, სადაც წარმოდგენილი იყო საუკეთესო საბავშვო და ახალგაზრდული გუნდები. საგუნდო მუსიკალური ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი იწყება 1981 წელს, როდესაც სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ცნობილი მავსტრო *გურამ ყურაშვილი (1950-2016)*. კაპელაში გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების რეპერტუარში წარმოდგენი-

ლი იყო მსოფლიო საგუნდო მუსიკის ნაწარმოებები, რომლის მრავალფეროვნებამ კაპელას საშუალება მისცა თავიანთი შემოქმედება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოედგინათ. გუნდმა ტრიუმფით მოიარა არამარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები: იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი, იტალია და ინგლისი. რამდენჯერმე გაიმარჯვა საერთაშორისო საგუნდო მუსიკის კონკურსებში: გახდა ბელა ბარტოკის (უნგრეთის), გვიდო დე არეოს (იტალია), ცელიეს (ამჟამინდელი სლოვენია) კონკურსების ლაურეატი.

სახვითი ხელოვნების ინსტიტუციური განვითარება აფხაზეთში დაკავშირებულია ქართველი ფერმწერის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ნიკოლოზ თაბუკაშვილის (1915-1981) სახელთან, რომელიც 1952 წელს დაინიშნა სოხუმის სამხატვრო სალონის დირექტორად. ამავდროულად, აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს დახმარებით, მან ნებაყოფლობით მოაწყო სამხატვრო სტუდია ფილარმონიის შენობაში. 1955 წელს ამ სტუდიის ბაზაზე ნიკოლოზ თაბუკაშვილმა გახსნა სამხატვრო სკოლა, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 1978 წლამდე. ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზი და ქართველი მხატვრების მთელი თაობის აღზრდა, რომელთა შორის დღეს ბევრი გამოჩენილი მხატვარია (**Шервашидзе, 1987; მგალობლიშვილი, 2015**). ასევე ნ. თაბუკაშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო სახვითი ხელოვნების ნიმუშების პირველი გამოფენები აფხაზეთში, აფხაზი და ქართველი მხატვრების გამოფენები თბილისში, მოსკოვში, ყაზბეგში, ლენინგრადში და ა. შ. საქართველოს სსრ მხატვართა კავშირში, სპეციალურად ჩამოყალიბდა აფხაზეთის განყოფილება. განყოფილების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზი და ქართველი მხატვრები, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს მხატვართა გამოფენებში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში (**Шервашидзе 1961: 77-94**)

აფხაზეთის სახვით ხელოვნებაზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ალექსანდრე შარვაშიძის (1867-1968) შემოქმედებას. 1921 წლიდან ის ევროპაში ცხოვრობდა და მუშაობდა თეატრის მხატვრად. როგორც უკვე აღინიშნა, 1958 წელს, ალ. შარვაშიძემ თავისი შემოქმედების 500-მდე ნიმუში თბილისისა და სოხუმის მუზეუმებს უსახსოვრა. 1985 წელს, თბილისში ქართული ხელოვნების მუზეუმში პირველად გაიმართა ალექსანდრე შარვაშიძის შემოქმედების პერსონალური გამოფენა (**Шервашидзе, 2011**). თავის დროზე მისი სცენოგრაფიით მონტე კარლოში დაიდგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“.

აფხაზეთში მოღვაწეობდა დავით კაკაბაძისა და სერგო ქობულაძის მოწაფე, ოლგა ბრენდელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, 1967 წლიდან საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მის მხატვრობაში ასახულია ქართლის, აფხაზეთის, რიწის, ყირიმის, ზღვისა და მთის პეიზაჟები. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. 1958 წელს, იაპონიაში 36 წლიანი ყოფნის შემდეგ, აფხაზეთში, 72 წლის ასაკში დაბრუნდა თვითმყოფადი

და ნიჭიერი რუსი მხატვარი ვარვარა ბუბნოვა. 1960 წელს მისი გამოფენა დიდი წარმატებით გაიმართა თბილისში (**Шервашидзе, 1961: 87**).

1950-იანი წლების მხატვრებიდან აღსანიშნავია ჟოლა კუკულაძის შემოქმედება. ის იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, ოფორტისტი, მოქანდაკე, ილუსტრატორი. სხვა ფერწერულ ტილოებთან ერთად, თანაბარი სითბოთი ქმნიდა ქართველი და აფხაზი პოეტებისა და მწერლების პორტრეტებს, აფორმებდა წიგნებს და სოხუმის თეატრის სპექტაკლებს; სოხუმში, მოსკოვში, მინსკსა თუ სხვა ქალაქებში ქმნიდა ვრცელ პანოებს. მისი ფერწერული ტილოები არაერთხელ გამოიფინა *თბილისში, მოსკოვში, კიევში, მინსკში, სანქტ-პეტერბურგში, პრღაში*. მათი ნაწილი დაცულია მოსკოვის, მინსკის, სანქტ-პეტერბურგის, შვეიცარიისა და გერმანიის კერძო კოლექციებში. ორი ფერწერული ტილო ინახება საქართველოს ეროვნული გალერიის ფერწერის ფონდში. სამწუხაროდ, ჟოლა კუკულაძის საკმაოდ მრავალფეროვანი შემოქმედების დიდი ნაწილი აფხაზეთის ომს ემსხვერპლა, გადარჩენილი ნამუშევრების უმეტესობა დაცულია სოხუმში (**კუკულაძე, 2013: 4; აფხაზეთის მხატვრები, 2007: 34-35**).

აფხაზი მხატვრებიდან გამორჩეულია სერგეი გაბელიას, იური ჭკაღუას, გენადი ლაკობას და სხვა ხელოვანთა შემოქმედება. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით წარმატებულია ფერმწერი ადგურ ძიძარია – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, რომელიც 1995 წლიდან მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (IFA) წევრია; 1995-1999 წლების პერსონალური გამოფენები ჰქონდა გერმანიასა და რუსეთში. არანაკლებ წარმატებით იღვწიან აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მხატვრები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: რამინ აფაქიძე (მისი ნამუშევრები დაცულია, თბილისსა და სოხუმში, ასევე აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, შვედეთის, საბერძნეთის, ვატიკანის, რუსეთის, კერძო კოლექციებში); ნუგზარ მგალობლიძე (1972-1989 წლებში მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და მოსკოვის გამოფენებში, მათ შორის, 1975 წელს ავანგარდისტ მხატვართა გახმაურებულ „ბულდოზერის“ გამოფენაზე); ზურაბ ჭადია (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობა 1980 წელს ყირიმში გურ-ზუფის პლენერში, გამოფენები ევროპის ქვეყნებში) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების ინსტიტუციური განვითარება XX ს. დასაწყისიდან რეალურ აღმავლობას ეტაპობრივად განიცდის და აფხაზი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობა საქართველოს მეორე რესპუბლიკაში, (საქართველოს სსრ – 1921-1991) საბჭოთა იდეოლოგიის წნეხის პირობებში, ქართველ თანამემამულეებთან მჭიდრო კავშირში ჩამოყალიბდა. რაოდენ სამწუხაროა, რომ თანამედროვე აფხაზი მეცნიერების მიერ აბსოლუტურად უგულებელყოფილია აფხაზეთის ქართველობის დვანლი მშობლიური კუთხის, ზოგადად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

თავი XIV. პოსტკონფლიქტური აფხაზეთი

§1. საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1994-2007 წლებში

წინამდებარე წიგნი იწერება იმედით, რომ ეს იქნება გზავნილი ენგურსგადმა დარჩენილი ჩვენი თანამემამულეებისადმი, რადგან საუკუნეების მანძილზე ერთი დროის ქვეშ მებრძოლი ქართველები და აფხაზები არ ვიმსახურებდით იმ ბედს, რომელიც 1992-1993 წლების ომმა გვარგუნა. აფხაზთა და ქართველთა წინაპრები ვერასდროს, ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რაც მათმა შთამომავლებმა საკუთარი წარსულის, აწყობისა და მომავლის წინაშე ჩავიდინეთ და სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვა, ჩვენგან განსხვავებული მენტალიტეტის, კულტურისა და მისწრაფებების მქონე იმპერიის პოლიტიკის მსხვერპლად ვაქციეთ ჩვენი სამშობლო.

ჩვენი – აფხაზთა და ქართველთა წინდაუხედავი პოლიტიკის გამო, იმპერიულმა ძალებმა შეძლეს მრავალწლიანი მიზნის წარმატებით დასრულება და აფხაზეთზე სრული კონტროლის მოპოვება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნახევარ მილიონიანი მოსახლეობიდან, 300 ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების (ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ესტონელები, ბერძნები) ადამიანები იძულებული გახდნენ საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინათ. მათი დიდი ნაწილი ენგურს გამოდმა საქართველოსათვის შეეფარებინა თავი, ნაწილი უცხოეთში გადახვეწილიყო. ფაქტობრივად, 1993-1994 წლებში განხორციელდა მოსახლეობის მასობრივი გამოდევნა აფხაზეთიდან, რაც შეფასდა, როგორც ეთნოწმენდა, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის 2/3 ლტოლვილებად და დევნილად იქცა. მსოფლიო საზოგადოებრიობამ არაერთხელ აღიარა აფხაზეთში ჩატარებული ეთნოწმენდის ფაქტი: პირველად – 1994 წ. 6 დეკემბერს ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე (**Budapest Summit Declaration, 1994**); ორი წლის შემდეგ, 1996 წ. 3 დეკემბერს ლისაბონის სამიტზე, რომლის დეკლარაციაში ღიად ჩაიწერა აფხაზეთში ჩატარებული „ეთნოწმენდის“ შესახებ (**Lisabon Summit Declaration, 1996: 8**, მე-20-ე პუნქტი); 1999 წელს – ეუთოს სტამბოლის სამიტზე, რომელმაც ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების დეკლარაციებზე დაყრდნობით, გააკეთა უფრო ვრცელი ჩანაწერი „ეთნიკური წმენდის“ შედეგად აფხაზეთიდან, ძირითადად ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურებისა და იძულებითი გაძევების შესახებ (**Istanbul Document, 1999: 49**, მე-17 პუნქტი).

„დამოუკიდებელ“ აფხაზეთში 1993 წლის 27-30 სექტემბრის მოვლენებს „ისტორიულ გამარჯვებად“ აფასებენ, რომელიც ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ მოიპოვეს. აღნიშნული თეზა ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს, რადგან „ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 აიყარა მშობლიური კუთხიდან და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ეს 2/3 არ იყო „აფ-

საზეთის ხალხის“ ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ჯდება“ (**ჰაპასქირი, 2013: 6; ჰაპასქირი, 2016b: 435**).

აი, ამ ფონზე დაიწყო „ფუნქციონირება“ „დამოუკიდებელმა“ აფხაზურმა „სახელმწიფოებრიობამ“, ეთნოკრატიული რეჟიმით სათავეში, რომელსაც ამხელენ უკვე თვით რუსეთში და „სუვერენულ“ აფხაზეთს, „ეთნიკურ-ბანდიტურ ნაკრძალ-დაც“ კი მოიხსენიებენ (**Епифанцев, 2012c**).¹ აფხაზეთის საქართველოსაგან სეცესიას საფუძვლად ედო არა თვითგამორკვევის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების ან დევოლუციის პლებისციტარული შიდა კონსტიტუციური პროცესი, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ სეპარატისტთა ანტიკონსტიტუციური ამბოხი და სამხედრო დაუმორჩილებლობა, „კონკრეტულად – რუსეთ-საქართველოს ომში უშუალო მონაწილეობის გზით“ (**ჯოჯუა, 2007b: 205**).

აფხაზი მკვლევარი, ასლან ავიძბა შეისწავლის რა სეპარატისტთა „სახელმწიფოს“ განვითარებას 1993-2008 წლებში, 3 ეტაპს გამოჰყოფს: 1) 1993-1999 წლები, „როდესაც აფხაზეთი ძლიერი ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, საინფორმაციო ბლოკადის და აქედან გამომავალი ყველა გამომდინარე შედეგების პირობებში იმყოფებოდა“; 2) 1999-2008 წწ. – „ეკონომიკური ბლოკადისა და პოლიტიკური იზოლაციის თანდათანობითი შერბილების დრო, რაც შესაძლებელი გახდა, უპირველ ყოვლისა, იმით, რომ აფხაზეთმა გაუძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ პერიოდს“; 3) „2008 წლის 26 აგვისტოდან – აფხაზეთის რესპუბლიკა – აღიარებული სახელმწიფო“ (**Авидзба, 2013a: 209**).

აფხაზი ისტორიკოსის მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები მთლად დამაჯერებელი არ არის, ვინაიდან „პირველ პერიოდში“ რეალურად რაიმე განსაკუთრებულად „მკაცრ“ ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და საინფორმაციო ბლოკადას ადგილი არ ჰქონია. ამას ადასტურებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის ვიქტორ ჩერნომირდინის №1144 განკარგულება (25.11.1995), რომლის თანახმადაც, სეპარატისტულ რეჟიმს მიეცა შესაძლებლობა რუსეთის რეგიონებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობათა დამყარებისა. გარდა ამისა, სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლება აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოკავკასიისა და რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტებთან ეკონომიკურ პროექტებში (**კვარაცხელია, 2012: 68-69**). მიუხედავად ამისა, ფიქრობენ, რომ ამ სანქციებმა (იგულისხმება 1994 წ. 19 დეკემბერს რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება) და ბლოკადამ გარკვეულ წილად უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე (**შენგელია., 2020: 28**). რაც შეეხება „მეორე პერიოდის“ „შერბილებას“, რეალურად ეს დრო დაემთხვა რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლას და თანდათანობით ამ სახელმწიფოს მხრიდან დასავლეთის მიმართ ხელახალი „ცივი ომის“ დაწყებას; „მესამე პერიოდის“ დამახასიათებელ „კრიტერიუმზე“ საერთოდ საუბარიც კი ზედმეტია.

¹ აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1993 წ. ნოემბერში აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლებას „ბანდიტურ-ტერორისტული მოძრაობა“ უწოდა ევროპის პარლამენტმა (**Чирикба, 1998**).

1993 წ. 8 ოქტომბერს საქართველო იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება *დსთ*-ში გაწევრიანების თაობაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ეს თანამეგობრობა აღქმული იყო, როგორც საბჭოთა კავშირის აღდგენის გარკვეული ინსტრუმენტი. შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილს არ ჰქონდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების მისწრაფება, მაგრამ აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში რუსეთის აქტიურმა ჩართულობამ, 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის მხრიდან გამუდმებული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის პირობებში, ქართველთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა *დსთ*-ში შესვლით რუსეთთან დაახლოება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საქართველოს 1993 წ. 8 ოქტომბრის წინადადება *დსთ*-ის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოსადმი ძალაში შევიდა 1993 წ. 3 დეკემბერს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს *დსთ*-ში გაწევრიანებას საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად შეხვდა, საქართველომ *დსთ*-ს ფარგლებში მოახერხა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების მიღება. ასეთია მაგალითად, *დსთ*-ს 1996 წ. 19 იანვრის სამიტის დადგენილება, რომლის თანახმად *დსთ*-ს წევრი ქვეყნები, მათ შორის რუსეთის ფედერაცია აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. აღნიშნული დოკუმენტი დღემდე ფასეული სამართლებრივი საფუძველია რუსეთის ფედერაციასთან მის მიერ ოკუპირებული რეგიონების აღიარებასთან დაკავშირებული დავის პროცესში. ამასთან ის, სხვა სამართლებრივ დოკუმენტებთან ერთად, *დსთ*-ს სხვა წევრი ქვეყნების მხრიდან აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არაღიარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტიცაა.¹

აფხაზი მკვლევარი ა. ავიძბა სწორად მიიჩნევს, რომ აფხაზეთში მარცხმა თბილისი აიძულა პრორუსული საგარეო პოლიტიკური ვექტორი აერჩია (**Авидзба, 2018: 130**). ასევე სწორია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის *სტანისლავ ლაკობას* შენიშვნაც, რომ, მიუხედავად ამ ორგანიზაციაში შესვლისა, „აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით თბილისმა ვერ მიიღო ნათელი გარანტიები“ (**Лакоба, 2001: 84**). სოხუმში კარგად იცოდნენ, რომ მოსკოვი 1993 წ. სექტემბრის ბოლოს დამდგარი რეალობის შეცვლას არ აპირებდა. და მართლაც: იმავე ნაშრომის სხვა გვერდზე ს. ლაკობა ნათლად წერს: „*რუსეთმა მიაღწია იმას, რაც სურდა*“ (**Лакоба, 2001: 86**), ანუ საქართველოს *დსთ*-ში გაწევრიანებას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში 1992-1995 წლებში „ინტერ-რეგნუმი“ (შუალედური მმართველობა) დამყარდა, რომელიც ზ. გამსახურდიას მე-

¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 2008 წ. 18 აგვისტოს წამოიწყო და 2009 წლის 18 აგვისტოს დაასრულა *დსთ*-დან გამოსვლის პროცესი, სახელმეკრულებო სამართლის შესახებ *ვენის 1969 წ. კონვენციის* თანახმად, ძალაში დარჩა *დსთ*-ის ფარგლებში საქართველოს მიერ დადებული რიგი საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმება, რომლებშიც მონაწილეობა არ არის შეზღუდული *დსთ*-ის წევრობით, მათ შორის, 1996 წ. 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებები.

ორე რესპუბლიკასა და ე. შევარდნაძის მესამე რესპუბლიკას შორის არსებობდა და რომ შევარდნაძის ზომიერი პოლიტიკა 1995 წლის კონსტიტუციის მიღებით იწყებს თავის არსებობას. შუალედური მმართველობა კი იყო „არეულობის პერიოდი“, რომელიც ხასიათდებოდა გასამხედროებული ძალების არსებობით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით და უცხოური ინტერვენციით ე. წ. „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში (ჯონსი, 2013: 106; შდრ. ქოიავა, ბალათურია, 2017: 15). ბუნებრივია, ამ დროს დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილებაც წინააღმდეგობით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ე. შევარდნაძე რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე უფრო პრაგმატულ სტილში საუბრობდა, ვიდრე მისი წინამორბედი, ამავდროულად ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას და დღის წესრიგში საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანის საკითხიც კი დააყენა (გვალია, 2013: 51).

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1993 წ. ნოემბერში, გაერო-ს ეგიდით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოსა (1995 წლიდან მას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეწოდება) და რუსეთის ხელშეწყობით, ჟენევაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო. პირველ რაუნდზე (30.11-01.12) ორივე მხარემ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. ხოლო მეორე რაუნდზე (11-13.01.1994) კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანაზე მსჯელობდნენ (Авидзба, 2013a:210). საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, სეპარატისტული რეჟიმის „უმაღლესმა საბჭომ“ პირველივე სესიაზე 1993 წ. 10 დეკემბერს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი მიიღო: „კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადარქმევის შესახებ“, „აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის შესახებ“ და სხვ. (Агумава, 2017: 24-25).

1994 წ. 4 აპრილს მოსკოვში გაფორმდა ოთხმხრივი (გაერო, უუთო, რუსეთი, საქართველო) ხელშეკრულება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. დოკუმენტი ფაქტობრივად კაპიტულანტურია მისი არსით, რადგან მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მშობლიურ კუთხეში დაბრუნებისაკენ გზას უკეტავდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირებს. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ასეთ დათმობაზე წასვლა მიჩნეულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამაზიანებელ ქმედებად (პიპინაშვილი, 2008: 126). სეპარატისტული ხელისუფლება სასტიკად აწიოკებდა გალის რაიონში ჩარჩენილ ქართულ მოსახლეობას. 1994 წ. 9 ივნისს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რუსეთის შეიარაღებული ძალების დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ. 21 ივნისს დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების კონტიგენტი, მთლიანად რუსი სამხედროებით დაკომპლექტებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგდა (პიპინაშვილი, 2008: 127).

რეალურად ამით შეიქმნა სეპარატისტული რეჟიმის „სასაზღვრო დაცვა“. მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ „სამშვიდობოები“ მშვიდობის უზრუნველყოფას

ნამდვილად არ ემსახურებოდნენ, რის გამოც ქართული საზოგადოება პერიოდულად აყენებდა კონფლიქტის ზონიდან მათი გაყვანის საკითხს. სავსებით სწორად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ რუსი „სამშვიდობების“ ჩაყენება „იყო მიუტევებელი შეცდომა. რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა მორალური უფლება კონფლიქტის ზონაში შუამავლის მისია დაკისრებოდა“, რადგან „ის 1992-1993 წლებში აქტიურად იყო ჩაბმული სამხედრო ოპერაციებში. ფაქტობრივად რუსეთი იყო კონფლიქტის მხარე“ (კვარაცხელია, 2012: 67). თუმცა, დრო და დრო, არც აფხაზური მხარე იყო კმაყოფილი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ქმედებებით. მეტიც, 1994 წ. 25 აგვისტოს სეპარატისტებსა და რუს სამხედროებს შორის სერიოზული დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი (Авидзба, 2018: 131). ცნობილია, აგრეთვე, რომ 13 სექტემბერს გალში აფხაზებმა ორი რუსი „სამშვიდობო“ მოკლეს (ჩარკვიანი, 2016: 174). ამან იმდენად აღაშფოთა რუსები, რომ მათ ენგურზე არსებული ბლოკ-პოსტები მოხსნეს (Авидзба, 2018: 131), ხოლო 1994 წ. 14 სექტემბერს, დილით „სამშვიდობებმა“ დაიკავეს გალის მილიციის, კავშირგაბმულობისა და სხვა მნიშვნელოვანი შენობები. პროცესებს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი გიორგი კონდრატიევი ხელმძღვანელობდა. როგორც „სამშვიდობების“ მეთაური აცხადებდა, მას ჰქონდა ბრძანება პრეზიდენტ ბ. ელცინისაგან, რათა გალში დევნილები შეეყვანა (Авидзба, 2018: 131). ამის შესახებ, საკუთრივ გ. კონდრატიევი დევნილებს ესაუბრა (ჩარკვიანი, 2016: 174).¹

ამკარაა, რომ ბ. ელცინის გარემოცვამ მიიჩნია, რომ საქართველო აწ უკვე სრულად იყო რუსეთზე დამოკიდებული, მთავრობაში ამკარა პროკრემლისეულ პერსონებს საკვანძო თანამდებობები ეჭირათ (მაგ., თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე²). ამიტომ დასაშვებად მიაჩნდა, თბილისისათვის გარკვეული სატყუარას მიგდება – გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებით. ამას ადასტურებს თვით ვლადისლავ არძინბა, რომლისთვისაც გენერალ გ. კონდრატიევს უცნობებია, რომ ხელმძღვანელობისგან გარკვეული დავალებები ჰქონდა ამ მიმართულებით (Арджинба, 2018:325-326). დევნილთა დაბრუნების პერსპექტივამ, აფხაზეთში საპროტესტო მიტინგები გამოიწვია. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ სეპარატისტთა „უმაღლესმა საბჭომ“ რუს „სამშვიდობოთა“ საწინა-

¹ ფიქრობენ, რომ გ. კონდრატიევის ეს ქმედება არ იყო შეთანხმებული თავდაცვის მინისტრ ჰაველ გრაჩოვთან, რომელიც დიად მფარველობდა აფხაზ სეპარატისტებს. თავდაცვის მინისტრსა და მის მოადგილეს შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი „ჩეჩნეთის I ომთან“ დაკავშირებითაც, რის გამოც გ. კონდრატიევმა თანამდებობა დატოვა (Кондратьев, 2020). აქედან ჩანს, რომ ამ მოვლენებში პ. გრაჩოვი არ იღვწოდა საქართველოს სასიკეთოდ, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი ჭამაღუა (Чамагуа, 2017: 285-286).

² ს. ლაკობა შენიშნავს, რომ ი. გიორგაძე „რუსეთის გენერალი... არსებითად შევარდნაძეზე იყო მიმაგრებული“ (Лакоба С., 2001: 84).

აღმდეგო განცხადებებიც კი გააკეთა (**Ардзинба, 2018: 326**). რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ განცხადება გააკეთა, რომ „სამშვიდობოებს“ არ ევალებათ დევნილთა დაბრუნება (**ჩარკვიანი, 2016: 174**). პ. გრაჩევის ჩარევით, 16 სექტემბერს „სამშვიდობოები“ დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ, ხოლო ახალ ათონში ე. შევარდნაძისა და ვლ. არძინბას შეხვედრას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია (**Авидзба, 2018: 131**).

1994 წ. სექტემბრის დასაწყისში სეპარატისტულ რეჟიმს საკმაოდ ღრმა პოლიტიკური კრიზისი შეექმნა. მოსახლეობა მკაცრად აკრიტიკებდა დე-ფაქტო ხელისუფლებას. ყოველივე ამის შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ 8 სექტემბერს ვლ. არძინბამ „უმაღლესი საბჭოს“ თავმჯდომარეობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა და, ოჯახთან ერთად, ავადჰარაში¹ გაემგზავრა. მის მაგალითს მოადგილეებმაც (*გენადი ალამია, სტანისლავ ლაკობა*) მიბაძეს (**Ардзинба, 2018: 323-324**). თუმცა, გალში შექმნილი ვითარების გამო, „ერის ლიდერს“ დაბრუნება სთხოვეს (**Ардзинба, 2018: 324**). 1994 წ. 26 ნოემბერს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აფხაზეთის „კონსტიტუცია“ მიიღო (**Конституция Республики Абхазия, 1994**),² რომლის საფუძველზე, „უმაღლესმა საბჭომ“ ვლ. არძინბა „პრეზიდენტად“ აირჩია (**Ведомости, 2008: 46**).³ ეს იყო „კონსტიტუციის“ უხეში დარღვევა, ვინაიდან მისი IV თავის 49-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი არჩეული უნდა იყოს საყოველთაო პირდაპირი და ფარული კენჭისყრით (**ჯოჯუა, 2007b: 215; Конституция Республики Абхазия, 1994: 159-160**). 1995 წ. 5 იანვარს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ვალერი არშბა (**Агумава, 2017: 33**). „კონსტიტუცია“ აქაც დაირღვა, რადგან 54-ე მუხლის თანახმად, ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტთან ერთად უნდა ყოფილიყო არჩეული (**Конституция Республики Абхазия, 1994: 162**). მთავარი მაინც ის იყო, რომ „კონსტიტუცია“ მიღებული იქნა აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების გაუთვალისწინებლად, რის გამოც ის „არ შეესაბამებოდა დემოკრატიისა და საპარლამენტო უზენაესობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს“ (**კვარაცხელია, 2012: 67**). კონსტიტუცია უარყოფითად შეაფასა *ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოს (ეუთს)* 1994 წლის ბუდაპეშტის სამიტმაც (**Budapest Summit Declaration, 1994**).

¹ ავადჰარა (აუადჰარა) – კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში.

² ერთხელ უკვე „დამტკიცებული კონსტიტუცია“ „საყოველთაო“-სახალხო „რეფერენდუმმა“ მხოლოდ 5 წლის შემდეგ – 1999 წ. 3 ოქტომბერს – მოიწონა (**Конституция Республики Абхазия, 1994: 152**).

³ ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ „გამარჯვებამ“ და „დამოუკიდებლობის“ მოპოვებამ, აფხაზეთში ვლ. არძინბას – პიროვნების კულტი ჩამოაყალიბა (**ჯოჯუა, 2007b: 215**). თუმცა, მოგვიანებით, პოლიტიკური ისტებლიშმენტის არძინბასეული გუნდიდან მის მიმართ გარკვეული უარყოფითი ელფერის შემცველი შეფასება გაკეთდა ჯერ კიდევ „ერის მხსნელის“ სიცოცხლეშივე. ასე, მაგალითად, ს. ლაკობამ ვლ. არძინბა „მოსკოვის კაცად“ მოიხსენია /«Он, конечно же, был московским ставленником»/ (**Лакоба, 2001: 18**). ამან „პირველი პრეზიდენტის“ აღმფოთება გამოიწვია (**Ардзинба, 2018: 324**).

უეთოს 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე გამოთქვეს ღრმა შემფოთება აფხაზეთში „ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო“ (**Budapest Summit Declaration, 1994; ალექსიძე ლ., 2008: 34**). ამით „...ქართულმა საგარეო პოლიტიკამ დიდ საინფორმაციო ომში ერთი ბრძოლა მაინც მოიგო“ (**ჩარკვიანი, 2016: 187**). როგორც ზემოთ აღინიშნა, 1996 წლის ლისაბონისა (**Lisbon Document, 1996**) და 1999 წლის სტამბოლის (**Istanbul Document, 1999**) სამიტებმა (რუსეთის მონაწილეობით და თანხმობით) კვლავ დაადასტურა აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტი.

1994 წ. 19 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთს ეკონომიკური, ფინანსური და სასაზღვრო ბლოკადა დაუწესა. რა თქმა უნდა, აქ, პირველ რიგში, კრემლის უშუალო კერძო ინტერესები ჩანდა, ვინაიდან ერთი კვირით ადრე (11 დეკემბერს) დაიწყო ე.წ. „პირველი ჩეჩნური ომი“. აფხაზ მოხალისეებში გაჩნდა სურვილი, ჩეჩენ „თანამოძმეებს“ მხარში ამოდგომოდნენ. მით უფრო, რომ ცნობილ ჩეჩენ სავლე მეთაურს შამილ ბასაევს მნიშვნელოვანი მხარდამჭერები ჰყავდა აფხაზეთში. სანქციების რეჟიმი გარკვეულ ეტაპზე მეტ-ნაკლები ხარისხით მართლაც მოქმედებდა, თუმცა სრულად სეპარატისტული აფხაზეთის ბლოკადის ფარგლებში ადებული ვალდებულებები რუსეთს არასოდეს შეუსრულებია და „ბლოკადის რეჟიმი ყოველთვის ლიბერალურ ხასიათს ატარებდა და რუსეთის სასაზღვრო და სხვა უწყების კორუფციის გამო ხელს უწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს გაფართოებას“ (**ჯოჯუა, 2007b: 220**).

1995 წ. 31 ოქტომბერს თბილისში გაერო-ს გენერალური მდივანი ბ. ბუტროს-გალი ჩამოვიდა. პრეზიდენტ ე. შევარდნაძესთან შეხვედრისას, საქართველოს პირველმა პირმა მას აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დაუფიქსირა (**ჩარკვიანი, 2016: 181**). მართლაც, მთელი ორი წლის მანძილზე გაერო-მ 12 რეზოლუცია მიიღო, თუმცა ამ გადაწყვეტილებებს კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია. გაერო მხოლოდ ეთნოწმენდის ფაქტების დაფიქსირებით იფარგლებოდა (**სარალიძე, 2016: 456**). ეს ბუნებრივად იყო, ვინაიდან მსგავს ვითარებაში ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ბლოკავს მისი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების პოზიცია. ამ შემთხვევაში კი აქ უარყოფით როლს სწორედ რუსეთის ფედერაცია ასრულებდა, რომელმაც, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრემ, 1992 წელს სსრკ-ს კუთვნილი ადგილი დაიჭირა უშიშროების საბჭოში.

1996 წ. 19 იანვარს, *დსთ*-ს მოსკოვის სამიტზე გადაწყდა, რომ წევრი-სახელმწიფოები არ დაუშვებდნენ დე-ფაქტო აფხაზეთის რეჟიმთან სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში ურთიერთობებს (**ჩარკვიანი, 2016: 252**). თითქოს გაჩნდა იმედი, რომ *დსთ*-ს შესწევდა ძალა სეპარატისტული რეჟიმის მოსათოკად. თუმცა, ეს ილუზია აღმოჩნდა (**ჩარკვიანი, 2016: 253**). 1996 წ.

7 აგვისტოს სეპარატისტებმა მიიღეს „კონსტიტუციური“ კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ (СЗАРА, 1996: 88). პრემიერ-მინისტრს მხოლოდ პრეზიდენტი ამტკიცებდა (Агумава, 2017: 34). 1997 წ. 23 ოქტომბერს სოხუმში ადგილობრივი ადმინისტრაციების მარეგულირებელი კანონმდებლობები მიიღეს, რომლითაც შეიქმნა მტკიცე სახელისუფლებო ვერტიკალი, რომლის სათავეში „პრეზიდენტი“ იდგა (Агумава, 2017: 34-35). ვლადისლავ არძინბა საკუთარი ძალაუფლების სტაბილურად შენარჩუნებას ოსტატურად ახერხებდა აფხაზური ეთნოკრატიის სხვადასხვა ჯგუფების სამთავრობო სტრუქტურებში პერიოდული მონაცვლეობის გზით (ჯოჯუა, 2007b: 216), რაც ყოველთვის მოსაწონი არ იყო ცალკეული პოლიტიკოსებისათვის. მეტიც, „პარლამენტში“ 2004 წელს ოპოზიციური ჯგუფიც (ს. ლაკობას ირგვლივ) შექმნილა (Ардзинба, 2018: 324).

1997 წელს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ახალი ინიციატივით გამოვიდა იმჟამად რუსეთის ფედერაციის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი. მან წამოაყენა „საერთო სახელმწიფოს“ იდეა, რომელსაც თითქოს დაეთახმნენ სეპარატისტები. ქართული მხარისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო დათქმა, რომ „საერთო სახელმწიფოში“ მისი წევრები საკუთარი კონსტიტუციებით შემოდიოდნენ. სეპარატისტებს მათ „ძირითად კანონში“ კი უკვე ეწერათ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (Конституция Республики Абхазия, 1994: 152; ჩარკვიანი, 2016: 346-347). რუსული გეგმის საპირისპიროდ, დასავლეთმა თბილისს, გაერო-ს ეგიდით, ქენევის მოლაპარაკებათა პროცესის განახლება შესთავაზა. მასში ჩაერთვებოდა „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“ (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და რუსეთი). პირველი შეხვედრა 1997 წ. 24 ივლისს გაიმართა (ჩარკვიანი, 2016: 347).

1997 წ. 14 აგვისტოს ე. პრიმაკოვმა ვ. არძინბა თბილისში ჩამოიყვანა. „ვიზიტი“ ფაქტობრივად სპონტანურად მომზადდა. სეპარატისტთა დელეგაციაში, ვ. არძინბას გარდა, შედიოდნენ აფხაზეთის „ვიცე-პრემიერი და გენერალური პროკურორი“ ანრი ჯურგენია, „საგარეო საქმეთა მინისტრი“ სერგეი შამბა. ქართული მხრიდან მოლაპარაკებებში ასევე მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენდარიშვილი და ლევან ალექსიძე. შეხვედრამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა. ეს აღქმულ იქნა ერთგვარ მცდელობად მოსკოვის მხრიდან როგორმე ჩაეცხროთ თბილისის ანტირუსული რიტორიკა იყენებდა (ამ დროს საქართველოს პარლამენტში ხშირად გაისმოდა მოწოდება „სამშვიდობოთა“ კონფლიქტის ზონიდან გაწვევის შესახებ).¹ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ამ ფაქტმა განს-

¹ ეს პოზიცია გაახმოვანა საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წ. ოქტომბერში, კიშინიოვში გამართულ დსთ-ს სამიტზე, სადაც მან ოფიციალურად დაადანაშაულა რუსეთი უმოქმედობასა და, ფაქტობრივად, სეპარატისტების ხელშეწყობაში. ე. პრიმაკოვის რეპლიკაზე: „ჩვენ ჩამოვიყვანეთ არძინბა თბილისში, ჩვენ ვცდილობთ...“, ე. შევარდნაძემ საკმაოდ მკვანხე პასუხი გასცა: „თქვენ მხოლოდ დროს წელავთ. თქვენ არ შეგიძლიათ ამ პრობლემის გადაჭრა და არც ცდილობთ მის გადაწყვეტას!“ (Будаков, 1997).

ხვავებული მოსაზრებები გამოიწვია. მოსახლეობა კი დადებითად განეწყო და მერიების პროცესის დასაწყისად მიიჩნია (**პაპასქირი, 1998: 236-242; ჩარკვიანი, 2016: 355**).¹

1998 წლის 19-25 მაისს გალის რაიონში საომარი მოქმედებები განახლდა.² ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოკუპირებული აფხაზეთის „ბელელს“ წარმოადგენდა, რომლის კონტროლს (ან გარკვეული სეგმენტის) ხელისუფლებიდან დაწყებული რიგითი ტერორისტით დამთავრებული ყველა ცდილობდა. აფხაზეთში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა: იზრდებოდა უმუშევრობა, კრიმინალი, მოსახლეობის ფართო ფენების მარგინალიზაცია ხდებოდა (**ჯოჯუა, 2007b: 224**). ყოველივე ეს კი სხვადასხვა გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფებების ყურადღებას და შესაბამის აგრესიას გალის რაიონისაკენ მიმართავდა.

მშვიდობიან და დაუცველ ქართულ მოსახლეობას 400-მდე შეიარაღებული პირი (გენერალ *მირაბ ქიშმარიას* სარდლობით) შეესია. სეპარატისტული რეჟიმის ზეწოლამ გალის ქართულ მოსახლეობაზე, ტერორმა, ძარცვამ, მალე უკურეაქცია გამოიწვია, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები „*ტყის ძმები*“, „*თეთრი ლეგიონი*“ (**ჯოჯუა, 2007b: 230, 236**). აღნიშნული გასამხედროებული შენაერთები ფაქტობრივად დევნილთა ვოლონტიორულ ფორმირებებს წარმოადგენდნენ, რომლებმაც დაკარგეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების იმედი და ამ გზით ცდილობდნენ როგორც საკუთარი სახლკარის დაცვას, ასევე მშობლიურ კუთხეში დაბრუნების უფლებას (**ჯოჯუა, 2007b: 230**). ქართველთა წინააღმდეგობა იმდენად მედგარი იყო, რომ სოხუმს რეგიონში დამატებით 1000 შეიარაღებული პირისა და მძიმე ტექნიკის შეყვანა მოუწია (**კვარაცხელია, 2012: 76**). ძალთა თანაფარდობა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ იყო, რის გამოც გალის რაიონის მოსახლეობის ნაწილს მეორედ მოუწია მშობლიური კუთხის დატოვება და ენგურსგამოდმა თავშესაფრის ძიება. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროპარლამენტმა 1998 წ. 17 ივლისს მიიღო სპეციალური რეზოლუცია „*საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ*“, რომელშიც დაგმო ქართული მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაული (**კვარაცხელია, 2012: 765**). მხოლოდ 1994-1998 წლებში სეპარატისტულმა რეჟიმმა გალის რაიონში ამოხოცა 1500-ზე მეტი ქართველი და იავარყო 1000-ზე მეტი სახლი (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Трагедия Абхазии, 2016: 418-483**). აღსანიშნავია, რომ სეპარატისტებმა ხელოვნურად შეამცირეს გალის რაიონის ტერიტორია და მისი ნაწილი (ე.წ. „ზედა ზონა“)

¹ საპირისპირო განწყობილებებს აფიქსირებენ აფხაზეთში, სადაც გალიზიანებულან იმით, რომ თბილისის შეხვედრა 14 აგვისტოს – აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღეს – დაამთხვიეს (**Лакоба, 2001: 97-98**).

² სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში მას „*უქსდღიანი ომი*“ უწოდეს (**Авидзба, 2018:134**), რაც არაზუსტი აღუზიანა ახლოაღმოსავლური კონფლიქტის შემადგენელი ერთ-ერთი ომისა.

ტყვარჩელის რაიონს¹ გადასცეს. მიზეზი მარტივია: ხელოვნურად შეამცირონ გალის რაიონში დამბრუნებულ ქართველთა კონტინგენტი, რომელთაც ისინი თბილისის მხარდამჭერ ძალად აღიქვამენ და ამას არც მალავენ (*კვაშილავა, 2011: 9-10*). ამ გაყოფის არც ეკონომიკური, არც ისტორიული-ეთნოლოგიური მიზეზი არ არსებობდა.

ჯერ კიდევ 1995 წელს ერთ-ერთი ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ვლ. არძინბა ომანხანად აცხადებდა, რომ აფხაზეთი აყვავებული ქვეყანა გახდებოდა (*Арძинба Л., 2011: 169-179*). „პირველი პრეზიდენტის“ მჭექარე განცხადება მხოლოდ სიტყვებად დარჩა. 1999 წ. 12 იანვარს ვლ. არძინბამ პოპულისტური განცხადება გააკეთა, რომ იმავე წლის 1 მარტიდან აფხაზეთი უღებს კარს ყველა დევნილს, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, მიიღებს მის მოქალაქეობას და არ მონაწილეობდა 1992-1993 წწ. სამხედრო მოვლენებში. მიზეზი ამ პოპულიზმისა ორი იყო: 1) *საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სეპარატისტული რეჟიმის „დემოკრატიულობისა და გახსნილობის“ იმიჯის შექმნა*; 2) *მოსალოდნელი ახალი „საპრეზიდენტო არჩევნები“ და გალის მოსახლეობის ხმები*.

1999 წ. 4 მარტს სეპარატისტთა „პარლამენტმა“ მიიღო კანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ხოლო 19 ივლისს კი შესაბამისი თარიღიც დანიშნა. 30 ივლისს უშიშროების საბჭომ დაგმო და არალეგიტიმურად გამოაცხადა მომავალი „საპრეზიდენტო“ არჩევნები. 25 აგვისტოს სეპარატისტთა „ცესკომ“-მ კანდიდატად² ვ. არძინბა დაარეგისტრირა (*Авидзба, 2013a: 217*). 30 აგვისტოს ვლ. არძინბამ „პრეზიდენტის“ არჩევნების დღეს დაამთხვია აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაც (*Авидзба, 2013a: 217*). 1999 წ. 3 ოქტომბრის „საპრეზიდენტო არჩევნები“ და „რეფერენდუმი“³ უთომ არალეგიტიმურად აღიარა (*კვარაცხელია, 2012: 86*). 1999 წ. 3 ოქტომბრის „რეფერენდუმის“ საფუძველზე სეპარატისტთა პარლამენტმა „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“ მიიღო.

1999 წ. მეორე ნახევრიდან რუსეთის ხელისუფლებაში ძლიერდება მილიტარისტთა გუნდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტ ბ. ელცინის მიერ რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრად ხელდასმული ვლადიმირ პუტინი. ბ. ელცინის მემკვიდრე მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დომინაციის აღდგენას. ამ ასპექტში ის ცდი-

¹ შექმნილია სეპარატისტთა მიერ. არ არსებობდა საბჭოურ პერიოდში და ის აღიარებული არაა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში.

² აშშ-ში სეპარატისტთა ყოფილ „წარმომადგენელს“ იაჰია კაზანსაც სურდა არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ აფხაზური ენის არცოდნის გამო რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

³ სავსებით სწორად შენიშნავს *დაზმირ ჯოჯუა*, რომ „...სეპარატისტულმა რეჟიმმა დაუმჯავლემენტარული პროცესუალური ნონსენსი, როდესაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტი მიიღო ამ დამოუკიდებლობის კონსტიტუციური სისტემის შექმნიდან 5 წლის შემდეგ“ (*ჯოჯუა, 2007b: 229*).

ლობდა ურჩ საქართველოზე კონტროლის დაწესებას. 1999 წ. 9 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ გააუქმა ყველა შეზღუდვა, რომელიც აფხაზეთის მიმართ ჰქონდა დაწესებული. 2000 წ. 5 დეკემბერს საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთში შესვლაზე სავიზო რეჟიმი დაწესდა, თუმცა სეპარატისტულ რეგიონებზე ეს არ გავრცელებულა, რაც წინაპირობა იყო, კრემლის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მომავალი „სახელმწიფოებრივი“ აღიარებისა. მეტიც, 2002 წლიდან ამ რეგიონების მოსახლეობა გამარტივებული წესით იღებდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის სტატუსს (**Авидзба, 2018: 136**).

საერთაშორისო თანამეგობრობამ უკანონოდ ცნო სეპარატისტთა 2002 წ. 2 მარტის „საპარლამენტო არჩევნები“ (**კვარაცხელია, 2012: 103**). იმავე 2002 წელს რუსეთის ფედერაციამ ყველა საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე პასპორტების მასობრივი გაცემა დაიწყო. ეს უკვე იყო დაუფარავი დივერსია მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს მიმართ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ცდილობდა მოეძებნა აფხაზეთის კრიზისის მშვიდობიანად გადაჭრის გზები. 2003 წელს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, გერმანელმა დიპლომატმა *დიტერ ბოდენმა*¹ დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით შეიმუშავა ძირითადი პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე (**ბოდენის დოკუმენტი, 2003**). მიუხედავად იმისა, რომ ენგურსგამოდმა საქართველოში ამ დოკუმენტს მაინცდამაინც მოწონებით არ შეხვედრიან – განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილები, სოხუმის დე-ფაქტო წარმო-

¹ *დიტერ ბოდენი* – 1999-2002 წლებში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში. ბოდენის დოკუმენტი შემუშავებული იქნა 2001 წელს და გარკვეული ცვლილებებით მისი ოფიციალური წარდგენა განხორციელდა 2003 წელს. მომდევნო პერიოდში საერთაშორისო თანამეგობრობამ კიდევ ერთი – *ფრანკ-ვალტერ შტაინამაიერის* გეგმა შესთავაზა მხარეებს. ეს იყო სამეტაპიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: 1. ნდობის აღდგენისკენ მიმართული ერთწლიანი ღონისძიებები, ძალის გამოყენებლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმების ჩათვლით და დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყება; 2. დონორების ჩართულობით აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაცია; 3. აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა მოლაპარაკებების გზით. გეგმა სოხუმსა და მოსკოვში კრიტიკის ობიექტი გახდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი *სერგეი ლავროვი* ამბობდა, რომ გერმანული გეგმა იყო „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“, თუმცა პირველი ეტაპისთვის პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო ძალის გამოყენებლობის შეთანხმება და არა – იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. ოფიციალური თბილისი აცხადებდა, რომ მოსკოვის მცდელობა, ეს ორი საკითხი განაცალკევოს, დევნილების დაბრუნების პროცესის გაჭიანურებას წარმოადგენდა. თბილისი ასევე წინააღმდეგი იყო კოდორის ხეობიდან საპოლიციო ძალების გამოყვანის, რასაც აფხაზური მხარე ითხოვდა. სოხუმის *დე ფაქტო* ხელისუფლებამ გერმანული გეგმის მიღებაზე თავიდანვე უარი განაცხადა.

მადგენლებმა, რუსეთის წაქეზებით იმთავითვე უარი განაცხადეს ბოდენის გეგმის განხილვაზე.

მომდევნო 2004 წელი სეპარატისტული რეგიონისათვის ერთ-ერთი კრიტიკული გამოდგა. 2003 წ. 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“ თბილისში და ენგურს-გამოდმა საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის რეფორმებმა, დასავლეთის მტიცივე მხარდაჭერამ, ახალი ხელისუფლების ინიციატივებმა სოხუმის მიმართ, გარკვეული დაინტერესება გამოიწვია სეპარატისტული რეგიონის საზოგადოების ნაწილში. 2004 წელს აფხაზეთში ახალი „საპრეზიდენტო“ არჩევნები იმართებოდა. ვითარებას ამწვავებდა ისიც, რომ ვ. არძინბას უკვე აღარ შეეძლო მონაწილეობა. ამასთან, პროგრესირებადი სენის გამო, მან საერთოდ პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ყოველივე ამან კი გაამძაფრა ბრძოლა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის „მეორე“ პრეზიდენტობისათვის. ვითარება სამოქალაქო ომის ზღვარზე გადიოდა.

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვ. არძინბას კრეატურა – „პრემიერ-მინისტრი“, რაულ ხაჯიბა (სუკ-ის კადრის ოფიცერი), რომელსაც მოსკოვმა დიად დაუჭირა მხარი, და ყოფილი კომუნისტური ფუნქციონერი, მოგვიანებით კი ასევე „პრემიერ-მინისტრი ვ. არძინბას ხელისუფლებაში – სერგეი ბაგაფში. ამ უკანასკნელს, მისი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის გამო, პრო-ქართულ განწყობილებებს აბრალებდნენ. მიუხედავად მოსკოვის ლობირებისა, რ. ხაჯიბამ მარცხი განიცადა, თუმცა ეს მან არ აღიარა, რასაც მოჰყვა უკიდურესად მწვავე დაპირისპირება, ფაქტობრივად, აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. სერგეი ბაგაფშის მომხრეებმა იერიში „პრეზიდენტის რეზიდენციაზე“ მიიტანეს. ორმხრივი სროლის დროს ბრმა ტყვიამ XX ს. 60-იანი წლების აფხაზური „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ მოძრაობის ცნობილი ლიდერი, 80 წელს მიტანებული თამარა შაყრილი იმსხვერპლა. მოსკოვმა იგრძნო, რომ შეიქმნა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვის რეალური საშიშროება. ასეთ ვითარებაში კრემლმა „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინა და ს. ბაგაფშის პირველკაცობას შეურიგდა, დამარცხებული რ. ხაჯიბა კი „ვიცე-პრეზიდენტობას“ დააჯერეს (ამ საკითხზე ვრცლად: **Перевозкина, 2004; Солянская, 2004; Папаскири 3., 2012c**).

2006 წლის მაისში სოხუმმა თბილისს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების წინადადება – „*მომავლის გასაღები*“ შესთავაზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებდა, რაც მას უპერსპექტივოს ხდიდა (**კვარაცხელია, 2012: 106**). ამის სანაცვლოდ თბილისი სოხუმის *დე-ფაქტო* ხელისუფლებას სთავაზობდა „საგზაო რუკას“, რომელიც გულისხმობდა აფხაზეთის ფართო ავტონომიას ფედერალურ სახელმწიფოში; აფხაზეთის წარმომადგენლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში; აფხაზური ენის, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის განუხრელ დაცვას; დევნილთა დაბრუნებას საკუთარ სახლებში; აფხაზეთი კონფლიქტის მოგვარებას დიალოგისა და ნდობის ატმოსფეროში; აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა ჩართულობას; აფხაზე-

თის ეკონომიკის განსავითარებლად ორმხრივად კოორდინირებული ეკონომიკური პროექტების განხორციელებას (კვარაცხელია, 2012: 106-107). 2006 წ. 24 მაისს სოხუმში, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრისას აღნიშნული დოკუმენტის განხილვაზე, რეალობასთან თვისებრივად შეუსაბამო წინადადებები წარმოადგინა.¹

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ეკონომიკა უკიდურესად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. ელემენტარული საკვები პროდუქციის, რომლის წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება, სრული იმპორტი ხდება რუსეთიდან (Тумакова, 2021: 11). 1995 წ. 24 თებერვალს ადგილობრივმა რეჟიმმა დაიწყო მუშაობა აფხაზეთის ეკონომიკის რეფორმირების შესახებ (Агумава, 2017: 52). ფინანსური თვალსაზრისით, ოკუპირებული რეგიონი სრულადაა მოსკოვზე მიბმული. მოქმედი ფულადი ერთეული რუსული რუბლია, რომლის გაცვლითი კურსი რუსეთის შესაბამის პირობებს შეესაბამება (შენგელია და სხვ., 2020: 39). 1994 წელს აფხაზეთის „ცენტრალურმა ბანკმა“ დაარეგისტრირა 13 კერძო ბანკი („გარანტ-ბანკი“, „აპრა-ბანკი“, „ბაშნიხუ-ინვესტი“... (Квициния, 1999: 128)), რომელთა დიდი ნაწილი რუსულ საფინანსო ინსტიტუციებთანაა ასოცირებული, მცირე კი – თურქულ კაპიტალთან. 1998 წ. 28 დეკემბერს „ცენტრალური ბანკის“ საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთის „ეროვნული ბანკი“ (Агумава, 2017: 52). სპეციალისტთა დაკვირვებით, რეგიონში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ფინანსური სახსრების უკონტროლო მოძრაობის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის (შენგელია და სხვ., 2020: 201). აფხაზეთის საკურორტო პოტენციალი გამოუყენებელი რჩებოდა. დამსვენებელი უფროთხოდა უკონტროლო ტერიტორიაზე შესვლას. ასე მაგალითად, 1995 წელს აფხაზეთში მხოლოდ 170 დამსვენებელი ჩავიდა და მხოლოდ 1998 წელს მათმა რაოდენობამ ოდნავ გადააბიჯა 1000-ს (Квициния, 1999: 128).

1994 წლიდან მხარის გარკვეული დეურბანიზაცია ხდება. ქართველთათვის წართმეულ ქონებას აფხაზები იკავებენ. ამ პერიოდიდან იწყება ქალაქად მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობის ზრდა 1992 წ. 13 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით. თვალშისაცემია სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება – განსაკუთრებით, გაგრასა და გულრიფში (შენგელია და სხვ., 2020: 57). 2004 წელს რუსეთმა დაიწყო აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენა და ამოქმედდა მოსკოვი-სოხუმის მარშრუტი (შენგელია და სხვ., 2020: 37).

2007-2009 წწ. რუსეთმა ინვესტიციები ჩადო აფხაზეთის საბინაო და ქალაქური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. ძირითადი აქტიურობა იგრძნობა რუსე-

¹ ამ უკანასკნელ ხანს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა „მშვიდობის თანამედროვე პარადიგმა“, რომელშიც „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ განხილულია უნიკალურ საშუალებად, რომელიც კონფრონტაციიდან და ჩიხური მდგომარეობიდან მშვიდობიან კალაპოტში გადაიყვანს ყველა დაპირისპირებასა და კონფლიქტს (ბონელიძე, 2019: 52).

თის მოქალაქეთათვის სასურველ საკურორტო ცენტრებში: სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში (შენგელია და სხვ., 2020: 32). აფხაზი ეკონომისტები იმედოვნებენ, რომ აფხაზეთი აუცილებლად გახდება ეკონომიკურად მიმზიდველი სახელმწიფო (Фейзба., 2002: 22-24). თუმცა, მათი იმედი ყოველგვარი რაციონალურ საფუძველს მოკლებულია. არცერთი სახელმწიფო და ინვესტორი არ დააბანდებს კაპიტალს და ბიზნესს არ წამოიწყებს ისეთ ამორფულ „სახელმწიფოში“, როგორც რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული აფხაზეთია. მით უფრო, რომ მსოფლიო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერია.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ 1993 წლიდან 2008 წლის მარტამდე გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 38 რეზოლუცია მიიღო, საქართველოს შესახებ გაეროს გენერალური მდივნის 70-ზე მეტი მოხსენება გაკეთდა, რომლებშიც ცალსახად აღნიშნულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა, დევნილთა დაბრუნების და დევნილთა ქონებრივი უფლებების დაცვა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მხარდამჭერთა და წაქეზებით, სოხუმის დე-ფაქტო წარმომადგენლები იგნორირებას უკეთებენ საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის გაეროს ძალისხმევასაც კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ. შესაბამისად, როცა საერთაშორისო პარტნიორები და რუსეთიც სვამენ კითხვას, თუ რატომ ვერ აგვარებს პატარა საქართველო ურთიერთობებს რუსეთთან, პასუხი ერთია: ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს საქართველოში – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც რუსეთი დიად გამოდის როგორც მხარე და ეს გარემოება მუდმივად უმთავრეს როლს შეასრულებს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში, რადგან იმპერიული ძალა არა მარტო ქართველთა, არამედ, აფხაზთა სამშობლოს მითვისებასაც ცდილობს.

§2. კოლიზიები რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ XIX ს. 70-იან წლებში საბოლოოდ გატეხა თითქმის 70 წლიანი „აფხაზური წინააღმდეგობა“, ნაწილი მუჰაჯირობაში „გაამწყესა“, ხოლო დარჩენილებს „დამნაშავე ხალხის“ იარლიყი „მიაკერა“, რუსეთს აფხაზების მხრიდან არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. მეტიც, დაწყებული 1906 წლიდან, როდესაც ნიკოლოზ II-ს ხელისუფლებამ აფხაზებს „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი მოუხსნა, ისინი იმპერიის ყურმოჭრილ მონებად იქცნენ და მთელი XX ს. მანძილზე ერთგულად იდგნენ რუსეთის (როგორც ცარისტული, ისე ბოლშევიკური) სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. პირველი სერიოზული ბზარი რუსულ-აფხაზურ „შენმატკბილებულ“ ურთიერთობებში, რაოდენ მოულოდნელი არ უნდა იყოს ეს, გაჩნდა 2008 წელს მოსკოვის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ყბადაღებული „ადიარების“ შემდეგ, თუმცა სრული ჰარმონია არც მანამდე ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ 1992-1993 წლების „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ მოპოვებული „ტრიუმფალური გამარჯვების“ შემდეგ სეპარატისტული ხელისუფლება და აფხაზობა ზოგადად ემადლიერებოდნენ „დედა რუსეთს“ – მათი „დიადი გამარჯვების“ მთავარი „შემოქმედს“, მაგრამ დროდადრო აფხაზეთში გარკვეული წყენა მაინც იჩენდა თავს. კერძოდ, ისინი ვერ პატიობდნენ ბორის ელცინის მთავრობას იმას, რომ მან ხელი მოაწერა „*დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს*“ 1996 წ. 19 იანვრის ცნობილ გადაწყვეტილებას „*აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების დონისძიებათა შესახებ*“, რომლის თანახმად, აფხაზეთს ოფიციალურად დაუწესდა ემბარგო (**რეგიონული კონფლიქტები, 2005: 233-234**). ამით, სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზი ხალხი ჰუმანიტარული კატასტროფისთვის გაწირეს. მართალია, ეს გადაწყვეტილება კრემლს რეალურად არასოდეს შეუსრულებია და ემბარგო, ფაქტობრივად, არც განხორციელებულა, მაგრამ აფხაზებს მაინც ჩარჩათ წყენა. დროთა განმავლობაში მოსკოვმა სხვადასხვა მეთოდებით მაინც მოახერხა „რეაბილიტაცია“ აფხაზთა თვალში. ამ მიმართულებით სერიოზულ „გარღვევას“ წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რუსეთის მოქალაქეობის „ბოძება“, რომელსაც გარკვეული სოციალური პრივილეგიებიც მოჰყვა /რუსული პენსიები და ა.შ./ (ამის შესახებ იხ.: **Kirova, 2012: 17; ყალიჩავა, 2015: 225**). მაგრამ შემდეგ იყო 2004 წლის ე.წ. „საპრეზიდენტო“ არჩევნები, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება უხეშად ჩაერია, რამაც, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია.

მართალია, მაშინ მოსკოვმა ვერ მოახერხა თავისი კანდიდატის – *რაულ ხაჯიძის* გაყვანა და იძულებული გახდა მისი კონკურენტის – *სერგეი ბაგაფშის* გამარჯვება ელიარებინა, თუმცა შემდეგ კრემლმა მაინც მოახერხა სიტუაციის დალაგება, და ახლადარჩეული „პრეზიდენტის“ ყურმოჭრილ ვასალად გადაეცევა. ეს მკაფიოდ გამოჩნდა 2008 წ. აგვისტოს ავანტიურისა და მოსკოვის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ, როდესაც „მადლიერი“ ს. ბაგაფში ხშირად შესაშური მონდომებით ახმოვანებდა კრემლის იმპერიულ საგარეო-პოლიტიკურ „დოქტრინებსაც“ კი. და აი, ამ მოჩვენებითი სიამტკბილობის ფონზე გაჩნდა პირველი წინააღმდეგობები, რომლებმაც კრიტიკულ ზღვარს 2011 წელს მიაღწია (**Папаскири 3., 2012c**).

პირველი პრობლემა, რომელმაც სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია, საკუთრების საკითხები იყო. როგორც ცნობილია, 1992-1993 წლების ძმათამკვლელი ომის შემდეგ „გამარჯვებულმა“ სეპარატისტებმა არა მარტო განდევნილ ქართველთა ბინები და კარმიდამოები დაიტაცეს, არამედ რუსების, სომხებისა და ა.შ. უძრავ ქონებასაც სრულიად უკანონოდ დაეპატრონენ. სამხედრო დაპირისპირების დასრულებიდან მთელი 15 წლის განმავლობაში დაზარალებულნი ვერ ბედავდნენ აფხაზეთში ჩასვლას (იქ არსებული განუკითხაობის გამო) და კუთვნილი ქონების დაბრუნებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2008 წელს მოსკოვმა აფხაზეთი „სუვერენულ“ სახელმწიფოდ „აღიარა“, ამ ადამიანებმა აფხაზეთს მიაშურეს და თავიანთი

ბინები და სახლები მოითხოვს. ასე დაიწყო მწვავე დაპირისპირება. იყო უშედეგო სასამართლო პროცესები.¹ ყოველივე ამას მოჰყვა უმწვავესი პუბლიკაციები წამყვან რუსულ პერიოდულ გამოცემებში (Перевозкина, 2010a; Перевозкина, 2010b; Перевозкина, 2010c; Перевозкина, 2012; Перевозкина, 2013; Ворсобин, 2010; Ворсобин, 2011; Ворсобин, 2013; Кривенюк, 2013; Кубатьян, 2013 და სხვ.).

ამ ფონზე ცალკეული რუსი „ექსპერტები“ (მათ შორის, საქართველოსადმი მტრულად განწყობილები) უფრო შორს წავიდნენ და აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე უკვე ახალი „მამხილებელი მასალები“ გამოაქვეყნეს (Епифанцев, 2010a; Епифанцев, 2012a; Епифанцев, 2012b; Епифанцев, 2012c; Епифанцев, 2012d; Привалов, 2010; Родионов, 2010; Росляков, 2012). მათ ღიად დაადანაშაულეს სეპარატისტული რეჟიმი და აფხაზური საზოგადოება ეთნოკრატიის დამყარებასა და რუსებისა და რუსეთის სახელმწიფოს აბუჩად აგდებაში. მათგან ყველაზე მძაფრია კავკასიურ თემატიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული ცნობილი რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსის ანდრეი ეპიფანცევის შეფასებები.² მარტო მისი პუბლიკაციების სათაურები რად ღირს – „აფხაზეთი: აუხსნელი ყოფითი ხელგაშლილობა“, „ისევ აფხაზეთი. როგორ აქცევენ ხელისუფლებას მონოეთნიკურად“, „აფხაზეთში უკვე კლასიკური ეთნოკრატია“ და ა.შ. რუსული იმპერიული პოლიტიკის ამ ცნობილი რუპორის განცხადების თანახმად, „თანამედროვე აფხაზეთი – ეს არის შუა საუკუნეების ბანდიტურ-ეთნიკური პროექტი, რომელსაც დღევანდელი საზოგადოების პირობებში დიდხანს სიცოცხლე არ უწერია... ეს არის „ეთნიკურ-ბანდიტური ნაკრძალი“, რომლის არსებობის გადაფარვა რიტუალებით დამოუკიდებლობის თაობაზე და რაღაც „განსაკუთრებულ პროექტზე“, შეუძლებელია... ეს ჩინია“.³

არანაკლებ მწვავე შეფასებებს შეიცავს სხვა ცნობილი ანალიტიკოსების პუბლიკაციები, რომლებშიც, ამასთან, უკვე ღიადაა საუბარი კრემლის კავკასიური პოლიტიკის კრახზეც (Маркедонов, 2010; Стешин, Алехина, 2011); Глебов, 2011-2012; Епишев, 2012). აი ერთ-ერთი მათგანის ანდრეი ეპიშევის დასკვნა: «რა მივიღეთ ჩვენ? მხოლოდ სამხედრო ბაზები. და რისთვის გვჭირდება ისინი, საქართველოს

¹ „საბინაო კონფლიქტის“ ირგვლივ სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ რუსეთის „საელჩოს“ თანამშრომლის სიცოცხლეც კი შეიწირა. 2013 წ. 9 სექტემბერს სოხუმში მხეცურად მოკლეს მაღალჩინოსანი რუსი დიპლომატი და მისი მეუღლე (Тищенко, 2013).

² ეს ის ა. ეპიფანცევია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ თავი გამოიჩინა მკვეთრი ანტიქართული პუბლიკაციებით (Епифанцев, 2009a; Епифанцев, 2009b; Епифанцев, 2010b), ხოლო ბოლო დროს უკვე აფხაზებსაც გადაწვდა და შესაშური მონდომებით მათი ნაციონალისტურ-შოვინისტური ბუნების მხილებას შეუდგა, რის გამოც ის აფხაზეთში ლამის *Persona non grata*-დ გამოაცხადეს.

³ «Нынешняя Абхазия «это средневековый бандитско-этнический проект, который не может существовать долго в условиях современного общества... «это этническо-бандитский заповедник», существование которого прикрывать «камланиями о независимости и о каком-то «особом проекте» невозможно»...«Это тупик» (Епифанцев, 2012c, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

წინააღმდეგ? გამოდის ჩვენ ვომობდით საქართველოსთან აფხაზებისა და ოსების-თვის. იქნებ შევცდით? **განა უფრო მომგებიანი არ იქნებოდა გვემეგობრა საქართველოსთან და მოკავშირედ გვყოლოდა მთელი კავკასია**“.¹ რუსულ პუბლიკაციებს მოჰყვა მყისიერი რეაქცია ნაციონალისტურად განწყობილი აფხაზი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების (ვიტალი შარია, თემურ აჩუგბა, ანატოლი ოტირბა და სხვები) მხრიდან (Шария, 2010b; Шария, 2012a; Отырба, 2010; Ачугба, 2010a) და სხვ.).

„ბატალიები“ საბინაო საკითხებთან დაკავშირებით გრძელდებოდა მთელი 2011 წლის მანძილზე. ამ „ბატალიებმა“ ნათლად აჩვენა, რომ აფხაზური საზოგადოება არ არის მზად, იცხოვროს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებით. როგორც ჩანს, სწორედ ამან აიძულა ერთ-ერთი ღირსეული აფხაზი – არტურ მიქვაბია (2004 წელს სერგეი ბაგაფშის „საპრეზიდენტო“ კამპანიის მთავარი იდეოლოგი), სინანულით ეღიარებინა, რომ „**აფხაზური საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულია ნაღვლის მაძიებელთა მაროდიორული ფსიქოლოგია**“ (*“мародерски-трофейная психология”*), რომლის კონცენტრირებულ გაგრძელებას **ხელისუფლების მუქთახორული პოლიტიკა** (*“аждивенческая политика власти”*) წარმოადგენს“ (Пегов, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

არანაკლებ მწვავედ დაისვა ე.წ. „საკავშირო დაქვემდებარების სამთავრობო დასასვენებელი ობიექტების“ საკუთრების საკითხიც. ჯერ კიდევ 2010 წ 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გასცა განკარგულება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო დაცვის ფედერალურ სამსახურს ავალებდა, აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმება დაედოთ იქ განთავსებული 3 ობიექტის – *მიუსერის ნაკრძალში* (გუდაუთის რ-ნი) არსებული საკურორტო კომპლექს „*მიუსერის*“ (ე.წ. „*მიხეილ გორბაჩოვის აგარაკის*“), ყოფილი „*სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს დასასვენებელი სახლის*“, – ე.წ. „*კრემლიოვკის*“), საკურორტო კომპლექს „*ბიჭვინთის*“ (ე.წ. „*ნიკიტა ხრუშჩოვის აგარაკის*“) და გაგრამი არსებული ე.წ. „*ლაზრენტი ბერიას სააგარაკო კომპლექსის*“ რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამ ფაქტს მოჰყვა უმწვავესი რეაქცია არამხოლოდ ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან, არამედ „სახელისუფლებო“ წრებთან დაახლოებული პირებისგანაც. შემდეგ ნამდვილი „ამბოხი“ გამოიწვია კონფლიქტმა სოხუმში განთავსებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სანატორიუმ „*სოხუმის*“ ირგვლივ, რომელმაც 2011 წ. აპრილში იფეთქა. რუსულმა მხარემ ადგილობრივი ხელისუფლების სრული იგნორირებით სანატორიუმის გასხვისება მოინდომა და თვალის ასახვევად ის „*რემონტზე დაკეტა*“. ამას მომსახურე პერსონალმა აქციებით უპასუხა. კვლავ წინ წამოიწია საკუთ-

¹ «А что имеем мы? Только лишь военные базы. А для чего они нам, против грузин? Так с Грузией мы воевали из-за абхазов и осетин. Может быть мы ошиблись? Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ» (Епишев, 2012, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

რების საკითხმა, რამაც პრობლემა პოლიტიკურ ჭრილში მოაქცია. კრიზისის დასარეგულირებლად თვით რუსეთის თავდაცვის მინისტრის ანატოლი სერდუკოვის სოხუმში საგანგებოდ ჩასვლაც კი გახდა საჭირო (ამის შესახებ იხ.: **Заявление, 2011b; Ищенко, 2011; В Абхазии разгорелся, 2011; Котова, 2011; Аргун, 2010**). მართალია, სიტუაცია რამდენადმე განიმუხტა, მაგრამ მთავარი – საკუთრების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოგვარებული.

სერიოზული პოლიტიკური გართულებები მოჰყვა მოსკოვის მცდელობას გაეკონტროლებინა აფხაზეთისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები, კერძოდ, კი მოსკოველი „რევიზორის“, რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ მინისტრის სერგეი სტეპაშინის ვოიაჟს აფხაზეთში. მთავარი რუსი „რევიზორის“ ჯგუფმა აფხაზეთში ოფიციალურად დააფიქსირა რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი თანხების (347 მილიონი რუბლის) გაფლანგვა. მართალია, სტეპაშინმა დატუქსა აფხაზეთის ხელისუფლება, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოერიდა, ს. ბაგაფშა და მის მთავრობას „დიდსულოვნად“ ხელი გადააფარა და ყველაფერი არასწორ აღრიცხვიანობას გადააბრალა („*Индульгенции*“ **Степашина, 2011**). თან ეს გააკეთა ოპოზიციურ სპექტრზე თავხედური და გამომწვევი „გადავლის“ ფონზე, რამაც აფხაზეთი საზოგადოების სავსებით სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. კომენტატორთა აღიარებით, სტეპაშინის „ინდულგენციებმა“ გააძლიერა ანტირუსული განწყობილებები აფხაზეთში.

ცალკეულმა პოლიტიკოსებმა მას დაუწუნეს პოლიტიკორექტულობა და ის აფხაზეთის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში უხემ ჩარევაში დაადანაშაულეს (**Хаджимба, 2011**). მეტიც, რუსი მაღალჩინოსანი – ერთ დროს ქვეყნის პრემიერ მინისტრი – შურაცხმყოფელი ეპითეტებითაც კი შეამკეს. მას ღიად, არც მეტი არც ნაკლები, „პოლიტიკური ინტრიგანი“, „მანტაჟისტი“ უწოდეს (**Лакоба Я., 2011**). ამ შეფასებების ავტორმა, ერთ-ერთი ნაციონალისტური პარტიის ლიდერმა, იურისტმა იაკუბ ლაკობამ საერთოდ განაცხადა, რომ ყველა ეს „ეპიფანევები, კურაევები, ... „სტეპაშინები“ აფხაზეთისთვის მეტად „საშიშ, ძირგამომთხრელ თამაშს ეწვეიან“. ამის გამო აფხაზეთის „გენერალურმა პროკურატურამ“ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა ი. ლაკობას წინააღმდეგ და ის დააკავა, მაგრამ სახალხო პროტესტმა აიძულა ხელისუფლება ლაკობა გაეთავისუფლებინა (**Свободу Якубу., 2011**).

„დამოუკიდებლობის“ წლებში რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელად გაჩნდა დაპირისპირების კიდევ ერთი ფრონტი – საეკლესიო სფეროში. როგორც ცნობილია, 1993 წ. სექტემბერში ქართველი სასულიერო პირები ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მამინდელი ხელმძღვანელის, მუჟე დანიელის მეთაურობით იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ აფხაზეთი და დევნილობაში აღმოჩნდნენ. იმ დროიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მართვა-გამგეობის სადავები ხელთ იგდო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღიდან გამოსულმა, თავის დროზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დიაკვნად ხელდასმულმა (მოგვიანებით ის მღვდლად აკურთ-

ნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა *დავითმა*) აფხაზმა მღვდელმა *ბესარიონ ფილიამ* (ამჟამად – *აფლია*). უღალატა რა დედა-ეკლესიას, აფლიამ 2009 წელს თავი „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის“ მეთაურად გამოაცხადა. ეს უკანონო აქტი, ბუნებრივია, არც ერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ აღიარა, თუმცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები „დე-ფაქტო“ ცნეს *მამა ბესარიონის* „უფლებამოსილება“ და მოსკოვის საპატრიარქოში მას ოფიციალური მიღებაც კი მოუწყვეს. მეტიც, დედა-ეკლესიისგან განდგომილი ბესარიონი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის განკარგულებით, 2002 და 2009 წლებში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ორდენებით (ღირსი *სერგი რადონეჟელისა* და ღირსი *სერაფიმე საროველის*) დაჯილდოვდა (**Аплиаа, 2002**).

პირველი ექვები მოსკოვის ვერაგულ გეგმებზე აფხაზეთის ეკლესიის მიმართ გაჩნდა ჯერ კიდევ 2008 წელს, როდესაც ცნობილმა თეოლოგმა, მთავარდიაკონმა *ანდრეი კურაევმა* (იმჟამად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის – *ალექსი II-ის* რეფერენტი) წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა, რომლის კანონიკურ უფლებებს აფხაზეთზე აღიარებს მოსკოვის საპატრიარქო, დროებით (სანამ არ მოხდება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება და საქართველოს საპატრიარქოს არ შეეძლება იქ ღვთისმსახურება) აფხაზეთი მმართველობაში გადასცეს რუსეთის ეკლესიას. თავის ინიციატივას ა. კურაევი ასაბუთებდა აფხაზეთში ქრისტიანული რწმენის მორყევისა და ისლამის ფაქტორის შემდგომი გაძლიერების საშიშროებით (**Курьев, 2008a**). ეს შემოთავაზება საქართველოს საპატრიარქოს სერიოზულად არ მიუღია, აფხაზეთში კი მას გაღიზიანებით შეხვდნენ და ამის შემდეგ აითვალწუნეს კიდევ აფხაზეთზე ასე ეგზომ „შეყვარებული“ რუსი თეოლოგი (რომელიც ადრე დიდი პატივით აირჩიეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორადაც). იმავე ზემოთნახსენებმა *იაკობ ლაკობამ* მას „*უპიფანცვეი ანაფორაში*“ და „*პოლიტიკური პროვოკატორი საეკლესიო მაფიიდან*“ უწოდა (**Курьев, 2008b**). ამ ფაქტმა დამატებითი მუხტი შეიტანა აფხაზურ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობების გაღვივებაში.

2011 წელს აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში დაწყებულმა კონფრონტაციამ ახალი იმპულსი შემატა რუსულ-აფხაზურ დაპირისპირებას ამ სფეროში. კრიზისის ნიშნებმა თავი იჩინეს ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში, როდესაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდა მღვდელ-მონაზვნები *დოროთეოს დბარი* და *ანდრია ამპარი* აუმხედრდნენ *ბესარიონ აფლიას*. მაგრამ მაშინ რუსეთის ეკლესიის მესვეურებმა ვითარების განმუხტვა მოახერხეს. 2011 წლის გაზაფხულზე კი კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა. ამის მიზეზი გახდა „მეამბოხე“ ანდრია ამპარისა და მისი გუნდის მკვეთრად გამომხატული ანტირუსული დემარში. ისინი წინ აღუდგნენ მოსკოვის საპატრიარქოს სანქციით ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრად რუსი მღვდელმსახურის *ეფრემ ვინოგრადოვის* მოვლინებას, რომელმაც თან ჩამოიყვანა რუსი ბერების ჯგუფი და მათთან ერთად დემონსტრაციულად შეუდგა რუსული წესების დამკვიდრებას მონასტერში. ამპარის ჯგუფმა ეს ტრადიციული „აფხაზური“ წესების ხელყოფად მიიჩნია და ვითომ „პატ-

რიოტული“ მოტივებით ღიად დაიწყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იმპერიულ ზრახვებზე საუბარი. კრიზისმა პიკს მიაღწია მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან აფხაზეთში (არქიმანდრიტის რანგში) ჩამოვიდა მღვდელ-მონაზონი დოროთეოს დბარი.¹ ამიერიდან მან, როგორც აფხაზთაგან ყველაზე მაღალი სასულიერო ხარისხის მატარებელმა თავი ეპისკოპოსობის კანდიდატად გამოაცხადა და სათავეში ჩაუდგა ე.წ. „ავტოკეფალისტურ მოძრაობას“ აფხაზეთში.

2011 წ. 15 მაისს მღვდელ-მონაზონ დოროთეოსის ხელმძღვანელობით ახალ ათონში ჩატარდა ე.წ. „საეკლესიო-სახალხო კრება“, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა „აფხაზეთის წმიდა სამიტროპოლიტოს შექმნა“ ოფიციალური რეზიდენციით ანაკოფია-ახალ ათონში (ბესარიონ აფლიას ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის“ რეზიდენციად სოხუმის საკათედრო ტაძარი ითვლება). არჩეულ იქნა „აფხაზეთის სამიტროპოლიტოს საბჭო“, რომელშიც სასულიერო პირთა გარდა შეყვანილ იქნენ საერო პირებიც, მათ შორის – აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ისეთი ოლიოზური ფიგურები, როგორებიც არიან ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა და მწერალი დენის ჩაჩხალია.

აღსანიშნავია, რომ ახალ ათონში ჩატარებული „საეკლესიო-სახალხო კრების“ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ნაციონალისტურად განწყობილი აფხაზური პოლიტიკური სპექტრის ცნობილმა წარმომადგენლებმა, როგორც არსებული რეჟიმის მომხრე („პარლამენტის“ მაშინდელი ვიცე-სპიკერი ირინე აგრბა, დეპუტატი ბათალ კობახია და სხვ.), ისე ოპოზიციური (რაულ ხაჯიმბა, იაკუბ ლაკობა და სხვ.) ძალებიდან. ყოველივე ეს მიმდინარეობდა მოსკოვის საპატრიარქოსთან და აფხაზეთში მის კრეატურასთან – ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის წინამძღოლთან“, ბესარიონ აფლიასთან მწვავე კონფრონტაციის ფონზე. პრორუსულმა ძალებმა ბესარიონ აფლიას მეთაურობით საქმეში ჩართეს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები. შედეგად მაიკოპისა და ადიღეს ეპისკოპოსმა ტიხონმა (სწორედ ამ ეპარქიაში მოხდა თავის დროზე დოროთეო დბარისა და ანდრია ამპარის ხელდასხმა) გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც დბარსა და ამპარს ერთი წლის ვადით აეკრძალათ მღვდელმსახურება, ხოლო ახალი ათონის „საეკლესიო-სახალხო კრება“, არც მეტი, არც ნაკლები, „ცნობილ“-დ გამოცხადდა.

ამით განაწყენებულმა მღვდელ-მონაზვნებმა საპროტესტო წერილით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს. მეტიც, განდგომილი მღვდელმსახურები ჩავიდნენ მოსკოვში, სადაც ისინი მიიღო საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკალამის მიტროპოლიტმა ილარიონმა. კონკრეტული შინაარსი ამ შეხვედრაზე განხილული საკითხებისა უცნობია, თუმცა ერთი რამ გაცხადდა – მოსკოვის საპატრიარქომ კატეგორიულად დაგმო და უდიდეს

¹ აღნიშნული წოდება მას 2011 წ. 21 აპრილს მიანიჭა ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის გუმენისის, აქსიუპოლეოსისა და პოლიკასტრის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ.

ცოდვად მიიჩნია აფხაზეთში მომხდარი საეკლესიო განხეთქილება, რაშიც ფაქტობრივად „ამბოხებული“ მღვდელ-მსახურნი დაადანაშაულა. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა ამგვარმა პოზიციამ, ცხადია, „განდგომილი“ აფხაზი მღვდელმსახურების უკმაყოფილება გამოიწვია. დოროთეოს დბარმა ისიც კი არ გამორიცხა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის საპატრიარქო განკვეთდა მათ და ჩამოართმევდა სასულიერო წოდებას, ის და მისი თანაგუნდელები საერთოდ გაწყვეტდნენ კავშირს რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. სერგეი ბაგაფშის გარდაცვალებამ და წინასაარჩევნო კამპანიამ საეკლესიო საკითხები დროებით უკანა პლანზე გადასწია, ხოლო *ალექსანდრე ანქვაბის* სეპარატისტული რეჟიმის სათავეში მოსვლის შემდეგ კონფლიქტი რამდენადმე ჩაცხრა.

2011 წლის მიწურულს ბესარიონ აფლიამ თითქოს მოახერხა დარტყმის მიყენება „განდგომილ“ ჯგუფზე – საბერძნეთიდან ჩამოვიდა და მას პირადად ეახლა *„ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის“* სინოდის წარმომადგენელი, მეუფე *პროკოპი*. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ვიზიტი ერთგვარი საპასუხო ნაბიჯი იყო თვითმარქვია „აფხაზეთის ეპარქიის“ ხელმძღვანელის ბესარიონ აფლიასა და პრორუსულად განწყობილ აფხაზ პოლიტიკოსთა (*სერგეი შამბა*) მხრიდან და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე ბანაკის – დოროთეოს დბარის დაჯგუფებისა და ბერძნულ საეკლესიო წრეებს შორის არსებული ურთიერთობების მოშლას. ყოველივე ამის უკან კი, ეტყობა, მოსკოვის საპატრიარქო იდგა (ნიშანდობლივია, რომ ელადიდან ჩამოსულ სტუმარს სასულიერო განათლება რუსეთში ჰქონია მიღებული და რუსულიც კარგად სცოდნია).

დბარ-ამპარის ჯგუფმა უპასუხოდ არ დატოვა აფლიას ეს გამომტომა და ამჯერად ახლადარჩეული „პრეზიდენტის“ *ალექსანდრე ანქვაბის* (რომელიც, როგორ ჩანს, ღიად მფარველობდა „აფხაზეთის წმიდა სამიტროპოლიტოს“ მესვეურებს) მეშვეობით ერთგვარი რევანში აიღო. ანქვაბმა რუსეთის პრეზიდენტის „მარჯვენა ხელი“, უშიშროების საბჭოს მდივანი *ნიკოლაი ჰატრუშევი* ჩაიყვანა ახალ ათონში და ამპარს შეახვედრა. ძნელია მოვლენების შემდგომი განვითარების პროგნოზირება, თუმცა სრულიად ნათელია, რომ იმან, რაც მოხდა საეკლესიო სფეროში, სერიოზულად გააღიზიანა აფხაზური საზოგადოება და კიდევ უფრო გააღვივა აფხაზეთში ანტიმოსკოვური განწყობილებები (ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Дбар, 2011; Дбар, 2012; Алленова, 2011; Шария, 2012b; Шария, 2013a; Шария, 2013b; Мартынов, 2013; Папаскири 3., 2011**).

რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარკვეული დისონანსი შეიტანა 2011 წლის ვადამდელმა „საპრეზიდენტო არჩევნებმა“, რომელმაც ნამდვილად ვერ ჩაიარა რუსული სცენარით. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მოულოდნელი იყო კრემლისთვის *სერგეი ბაგაფშის* უეცარი გარდაცვალება, რომელმაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აფხაზურ საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ს. ბაგაფშის გარდაცვალება არ იყო შემთხვევითი და რომ გარკვეულმა ძალებმა მოსკოვში ამაზე „იზრუნეს“. მიუხედავად რუსეთის

ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპირებებისა, რომ მოსკოვი არჩევნებში არ ჩაერეოდა, კრემლმა „ფსონი“ ერთნიშნად სერგეი შამბაზე დადო. ეს ნათლად გამოჩნდა თუნდაც ს. ბაგაფშის დაკრძალვის დღეს ვ. პუტინისა და ს. შამბას შეხვედრისას. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ რუსულ სატელევიზიო არხს „გაუმხილა“, თუ როგორ „წამოჭრა“ რუსეთის „ნაციონალურმა ლიდერმა“ საუბრისას „საპრეზიდენტო“ არჩევნების თემა და დაინტერესდა, შეძლებდა თუ არა ის ანქვაბთან „მორიგებას“ (ნიშანდობლივია, რომ ამ თემის ზონდირებას ვ. პუტინის ანქვაბთან შეხვედრის დროს ადგილი არ ჰქონია). შამბამ ის „დაამშვიდა“ და მეტად თავდაჯერებულად აუწყა, რომ ანქვაბი მისი მეგობარია და რომ მათ შორის გამორიცხულია რაიმე დაპირისპირება.

მაგრამ ს. შამბამ სულ მალე დაივიწყა თავისი განცხადება და, მიუხედავად „საპრეზიდენტო“ კანდიდატებს შორის დადებული „ჯენტლმენური“ შეთანხმებისა, აშკარად მოსკოვის მიწოდებითა და „ინფორმაციული უზრუნველყოფით“, ბინძური პიარ-კამპანია წამოიწყო თავისი „ძველი მეგობრის“ ანქვაბის წინააღმდეგ – მას არც მეტი, არც ნაკლები, დააბრალეს ქართულ სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობა 1992-1993 წლების სამხედრო დაპირისპირების დროს. მაგრამ აფხაზურ საზოგადოებაში შამბას ამ „მონაჭორმა“ მისთვის უკუშედეგი იქონია. აფხაზები განსაკუთრებით გააღიზიანა იმან, რომ შამბამ მთავარ „მოწმედ“ მოსკოვს „გახიზნული“ თენგიზ კიტოვანი დაიყენა (ის კიტოვანი, რომელიც აფხაზთა თვალში ერთნიშნად ომის გამჩალებლად და „მთავარ სამხედრო დამნაშავედ“ აღიქმება). გარდა იმისა, რომ აფხაზებმა არ მოუწონეს შამბას ეს უღირსი საქციელი, მათ ამ ქმედებაში სავსებით საფუძვლიანად მოსკოვის ხელი დაინახეს და ეს აფხაზეთის საშინაო საქმეებში მორიგ უხეშ ჩარევად მიიჩნიეს. აფხაზ ექსპერტთა საყოველთაო აღიარებით, სწორედ ამ ფაქტმა ჩააგდო რუსული „პროექტი“ და ყველასთვის მოულოდნელად, შამბამ პირველივე ტურში გამანადგურებელი მარცხი იწვნია. ამჯერად რუსეთის ხელისუფლებას (განსხვავებით 2004 წლისგან) ჭკუა ეყო და იმთავითვე აღიარა გამარჯვებული კანდიდატი.

2011 წელს რუსულ-აფხაზურ ურთიერთობები დაძაბა სასაზღვრო სკანდალმა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებული სოფელ აიბგას კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით. ეს ისტორიული აფხაზური სოფელი, რომელიც მდინარე ფსოუს ორივე ნაპირზეა განლაგებული, რეალურად დიდი ხანია, რუსეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაშია, ოღონდ ეს საკითხი ფორმალურად დღემდე გადაუჭრელია. რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, აღნიშნული პუნქტი, რომელიც ამჟამად რუსებითაა დასახლებული, იურიდიულადაც მიესაკუთრებინა, რასაც ასევე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა აფხაზეთში. კრიტიკული გამონათქვამები გარკვეული გაფრთხილების ტონით ჰქონდათ თვით მმართველ რეჟიმთან დაახლოებულ პოლიტიკოსებსაც (მათ შორის, „პარლამენტის“ ვიცე-სპიკერს, ისტორიკოს ირინე აგრბას). მოსალოდნელი გართულებების შიშით რუსულმა მხარემ ამ ეტაპზე თავი შეიკავა ამ პრობლემის ფორსირებულად

გადაჭრისაგან და მოლაპარაკებები „ხანგრძლივი დიალოგის“ რეჟიმში გადაიყვანა (Шария, 2011; Гогорян, 2011; Перевозкина, 2011b; Соловьев В, 2011; Испытание земель, 2011; Туча, 2011; Темин, 2011; Серенко, 2011; Рябцев, 2011 და სხვ.).

2008 წ. აგვისტოში მოსკოვის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ცნობის შემდეგ მოიშალა რუსულ-აფხაზური ერთობა ისტორიოგრაფიის სფეროშიც, რომელიც პოლიტიკური შეფერილობის ღია პოლემიკაში გადაიზარდა. პირველად ამის დემონსტრირება მოხდა 2010 წელს, როდესაც სეპარატისტების „დიდმა მეგობარმა“ და მფარველმა კონსტანტინე ზატულინმა მოულოდნელად დატუქსა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი, იდეოლოგი სტანისლავ ლაკობა იმის გამო, რომ მან 2006 წელს გამოცემულ ე.წ. „აფხაზეთის ისტორიის“ სასკოლო „სახელმძღვანელოში“ დაადანაშაულა რუსეთის იმპერია აფხაზეთის მიმართ გატარებული კოლონიური პოლიტიკის გამო (Шария, 2010a). ამ „სახელმძღვანელოში“ არც მეტი, არც ნაკლები, ღიად იყო გაცხადებული, რომ 1810 წლის აქტი იყო არა აფხაზეთის სამთავროს ე.წ. „ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან“, არამედ „აფხაზეთის დაპყრობა“ და რომ რუსეთის იმპერია თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე „ეომებოდა აფხაზ ხალხს“ (Бгажба О., Лакоба С., 2006: 220). შემდეგ პოლემიკამ გადმოინაცვლა პრესის ფურცლებზე. ჯერ იყო და კ. ზატულინმა გააკრიტიკა აფხაზი ისტორიკოსი მოვლენების არასწორ შეფასებაში (Затулин, 2010), რომელსაც მოჰყვა ს. ლაკობას პუბლიკაცია მეტად გამომწვევი სათაურით: „ზატულინიზმი“ (Лакоба С., 2010). თავის მხრივ, კ. ზატულინმაც არ დაახანა და ერთგვარი შემაჯამებელი სტატია გამოაქვეყნა (Затулин, 2011). რომელსაც უმაღვე უპასუხა ს. ლაკობამ (Лакоба С., 2011). ამ პოლემიკას საგანგებო წერილით გამოეხმაურა კ. ზატულინის „დერჟიმორდული“ გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი ელჩი საქართველოში ფელიქს სტანევსკი (Станевский, 2011a).

დაბოლოს, ყველაზე მწვავე თემა, რომელმაც რუსულ-აფხაზური ურთიერთობები კოლაფსის ზღვრამდე მიიყვანა, იყო 2011 წელს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისსა და მოსკოვს შორის შემდგარი გარიგება. იმისათვის, რომ მოსკოვს თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში გაწევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუწია მის მიერვე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად „აღიარებული“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სუვერენიტეტის“ შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო სასაზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად“ გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ასე, მაგალითად, მაშინდელი მთავარი ოპოზიციური ძალის – პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ოფიციალურ განცხადებაში ღიად ითქვა, რომ რუსულ-ქართული შეთანხმება რუსეთის მსო-ში გაწევრიანების თაობაზე „წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს აფხაზეთის სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, მის რეალიზაციას შეუძლია კონფლიქტის ზონაში, მთლიანად რეგიონში დაძაბულობის ესკალაციამდე მიყვანა. აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსის, მისი სუვერენიტეტის ძირის გამოთხრის მცდელობა, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, უნდა შეფასდეს როგორც სერიოზული დანაშაული აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი ხალხის წინაშე. ამ შეთანხმებას შეუძლია სერიოზული დარტყმა მიაყენოს აფხაზეთ-რუსეთის განვითარებად ურთიერთობებს“.¹ აფხაზეთმა ექსპერტებმა ღიად განაცხადეს, რომ „რუსეთ-საქართველოს ორმხრივი შეთანხმება – არის პრევენდენტი, როდესაც პირველად 2008 წლის შემდეგ რუსეთის მიერ დადასტურებულია საქართველოს უფლება ჩვენი საზღვრების მონიტორინგზე და, აქედან გამომდინარე, იურისდიქცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე... საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ვაჭრობა რუსეთთან აფხაზეთის საზღვრებისა და ტერიტორიის იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია. პირველად აღიარების შემდეგ რუსეთი ფაქტობრივად ახდენს ღეზავიურებას აფხაზეთის იურისდიქციისა მის საზღვრებსა, ტერიტორიასა და მის სუვერენიტეტზე“ /ლეილა ტანია/²

„რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მომზადების შედეგად ჩვენ გავხდით სერიოზული კომპრომისის საგანი. რუსეთის ამ ნაბიჯმა აჩვენა, რომ კომპრომისები საერთოდ შესაძლებელია“/ირინა აგრბა/³ რაულ ხაჯიძემა ღიად აფიქსირებდა გაღი-

¹ «Представляет собой серьезную угрозу национальной безопасности Абхазского государства, его реализация способна привести к эскалации напряженности в зоне конфликта, в регионе в целом. Попытка подрыва, от кого бы она ни исходила, независимого статуса Абхазии, ее суверенитета, может быть расценена как серьезное преступление против всего многонационального народа Абхазии. Данное соглашение способно нанести серьезный ущерб развивающимся абхазо-российским отношениям». (Заявление, 2011a, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

² «Двустороннее Соглашение России и Грузии – прецедент, когда фактически впервые после 2008 г. Россией подтверждается право Грузии на мониторинг и контроль нашей границы, а, следовательно, и юрисдикцию над всей абхазской территорией... Грузия продемонстрировала, что торг с Россией в отношении юрисдикции над границами, а, следовательно, и над территорией Абхазии возможен. Впервые после признания Россия фактически дезавуирует юрисдикцию Абхазии над своей границей, а, следовательно, и ее суверенитет“ (Абхазские эксперты, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

³ «В результате подготовки российско-грузинского соглашения мы оказались предметом серьезного компромисса. Этот шаг России показал, что компромиссы вообще возможны» (Абхазские эксперты, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

ზიანებას იმის გამო, რომ „შეთანხმებაში აფხაზეთი მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“, რითაც იგნორირებულია ჩვენი სახელმწიფოს სახელწოდება“.¹ კიდევ უფრო შორს წავიდა ცნობილი აფხაზი საველე მეთაური, „აფხაზეთის გმირი“, მოგვიანებით, „შინაგან საქმეთა მინისტრი“ და „ვიცე პრემიერი“ ასლან კობახია, რომლის კომენტარში ღია მუქარის ტონიც კი შეინიშნებოდა: „ჩვენი ქვეყანა მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“, რომელიც გადის სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე. ხომ არ დადგება ამ „სავაჭრო დერეფნის“ დაცვის საკითხი, თუ აფხაზეთი არ დაუშვებს მის არსებობას თავის ტერიტორიაზე? როგორ შეიძლება ლაპარაკი რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობაზე აფხაზეთის ტერიტორიის გავლით? იქნებ განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარი დერეფანს არ დაუშვებთ?“.² ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი ინალ ხაშიგი, აჯამებდა რა აფხაზური საზოგადოების რეაქციას რუსეთის მსო-ში გაწვევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული შეთანხმების გამო აღნიშნავდა: „ხელისუფლება ჩუმად იგინება, ხოლო საზოგადოება უკიდურესად აღშფოთებულია. ეს როგორ, რუსეთმა არც კი გაგვაფრთხილა, თუნდაც ზრდილობისათვის, აიღო და შეუთანხმდა საქართველოს მსო-ში მიღებასთან დაკავშირებით, რითაც მის მიერვე აღიარებული აფხაზეთი, შეურაცხმყოფელ ტერმინად „სავაჭრო დერეფანი №1“ აქცია“.³ არანაკლებ მწვავე იყო რუსი ექსპერტების შეფასებებიც, რომლებმაც ღიად დაგმეს ოფიციალური მოსკოვის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პირობების მიღებასთან დაკავშირებით და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი სტატუსის ეჭვს ქვეშ დაყენება (Епифанцев, 2011a; Епифанцев, 2011b; Епишев, 2011; Маркедонов, 2011; Станевский, 2011 და სხვ.).

რუსულ-აფხაზური ურთიერთობების მორიგი გამწვავების მიზეზი გახდა კრემლის მცდელობა, მოესინჯა თუ რამდენად იყო მზად აფხაზური საზოგადოება რუსეთის ფედერაციასთან უფრო ღრმა კავშირისთვის. 2014 წ. ზაფხულში მოსკოვმა შესთავაზა სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს „ხელშეკრულება რუსეთისა ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ინტეგრაციის შესახებ“ /„Договор между Российской Федерацией и Республикой Абхазия о союзнничестве и

¹ «В соглашениях Абхазию называют «торговым коридором», игнорируя название нашего государства» (Абхазские эксперты, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

² «Наша страна названа «торговым коридором», который проходит по железной и автомобильной дороге. Не встанет ли вопрос защиты «торгового коридора», если Абхазия не допустит на своей территории его существования? Какая речь может быть о торговле между Россией и Грузией через территорию Абхазии? Может, нам стоит заявить о том, что никакого коридора мы не допустим» (Абхазские эксперты, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

³ «Власть втихую матерится, а общественность до предела возмущена... даже не предупредив, хотя бы приличия ради, Россия взяла и согласилась в своих договоренностях с Грузией по поводу принятия ее в ВТО обезличить ею же признанную Абхазию до обидного термина «торговый коридор №1» (Хашиг, 2011, ხაზგასმა ჩვენია – ზ.3.).

интеграции“ (Договор, 2014а. პროექტის რუსული ინტერპრეტაცია: Крылов, Арешев, 2014; Епифанцев, 2014, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ვ.), რომელსაც აფხაზური პოლიტიკური წრეებისა (განსაკუთრებით – ოპოზიციური ფლანგის) ექსპერტ-ანალიტიკოსები უკიდურესი გაღიზიანება მოჰყვა (Круглый стол, 2014; Кривенюк, 2014). აფხაზური საზოგადოების რეაქციამ შედეგი გამოიღო და კრემლმა გარკვეული კორექტივები შეიტანა „ხელშეკრულებაში“ (რედაქციული განსხვავებები იხ. Проекты, 2014). რედაქტირებულ ვარიანტს¹ ხელი მოეწერა 2014 წლის 24 ნოემბერს (Договор, 2014b. დოკუმენტის შეფასება იხ. Скаков, 2014; Кмузов, 2014).

ესაა მხოლოდ ნაწილი რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში წარმოქმნილი სირთულეებისა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. სრულიად აშკარაა, მოსკოვი დიდ ხანს ვერ მოითმენს „უმაღურ აფხაზთა“ ამგვარ „ჭირვეულობას“ და მართლაც შეეცდება პრობლემის რადიკალურ გადაჭრას – „დამოუკიდებელი“ აფხაზური „სახელმწიფოსთვის“ წერტილის დასმას. ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ზემოთნახსენები ა. ეპიფანცევი პირდაპირ მოუწოდებდა ხელისუფლებას, რომ თუ აფხაზები არ მოიძლიან ურჩობას და აფხაზეთში რუსული მოსახლეობის დასაცავად საჭირო გახდება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის შეწყვეტა, ამაზეც უნდა წავიდეთ“/„Если в какой-то момент станет понятно, что это можно будет сделать только при прекращении государственности Абхазии, то на это тоже надо будет идти“/ (იხ.: Епифанцев, 2010a). როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ეს და სხვა ამ ტიპის განცხადებები ცხადყოფენ, რომ საქართველოსთან მტრობამ აფხაზ ხალხს ვერავითარი სიკეთე ვერ მოუტანა. 1993 წ. 27 სექტემბრის „სამხედრო ტრიუმფიდან“, ფაქტობრივად ადარაფერი დარჩა. დღეს უკვე სრულიად ნათელია, რომ ილუზიები საერთაშორისო არენაზე აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღიარების თაობაზე ილუზიებად დარჩა. ამ მხრივ პრინციპულად არაფერს ცვლის კრემლის „დიპლომატიური ფარსი“ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნობის შესახებ, რომელიც მოჰყვა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ დია სამხედრო აგრესიას და მისი ტერიტორიების ოკუპაციას 2008 წ. აგვისტოში. აფხაზეთი კვლავინდებურად რჩება უკანონო წარმონაქმნად, რომლის სახელმწიფოებრიობას (მიხედვად რუსეთის ფედერაციის ფარისევლური ქმედებებისა) არასოდეს არავინ არ ცნობს. იგი გარყეულია. არ არსებობს დანგრეული ეკონომიკის აღდგენის არავითარი რეალური პერსპექტივა. იქ დარჩენილი მოსახლეობა სოციალურად აბსოლუტურად დაუცველია. ამას ემატება უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენული ვითარება. ამ მხრივ აფხაზეთმა ერთბაშად შუა საუკუნეებში ამოყო თავი. საზღვარი არა აქვს შეიარაღებული ბანდების თარეშს, რომლებიც არ ინდობენ არც ქართველებს, არც სომხებს, არც რუსებს და არც თვით აფხაზებს. ამჟამად გამოიკვეთა კლანებს შორის შეურიგებელი დაპირისპირება, რომელიც, როგორც უკვე

¹ ყველაზე თვალში საცემი იყო დოკუმენტის სახელწოდებიდან სიტყვა „ინტეგრაციის“ ამოღება, რომელიც ასე ამფოთებდათ აფხაზეთში (Заводская, 2014).

აღინიშნა, 2004 წ. ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნების“ დროს კინაღამ ფართო მასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ასეთი უმძიმესი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, რასაკვირველია, ქართველებთან დიდი შერიგება და საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენაა, მაგრამ სამწუხაროდ ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოების სამშვიდობო ინიციატივები სოხუმის მხრიდან ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ჩატარებული სამუშაოს შედეგები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- სრულიად დაუსაბუთებელია აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ერთადერთი მკვიდრი მაცხოვრებლები არიან მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები, რომლებიც „*აქ ცხოვრობენ უძველესი დროიდან და არავისთან არ იყოფენ თავიანთ აბორიგენობას*“. სინამდვილეში დაახლ. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდიდანაც ხერხდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნო-ტომობრივი ვითარების შესახებ კონკრეტული წერილობითი ინფორმაციის მოძიება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში, **ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია ეკავათ მხოლოდ კოლხურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ქართველურ ტომებს: კოლებს, კორაქსებს, საკუთრივ კოლხებს, ჰენიოხებს**, შესაძლოა, „*მოსხ“-მესხებსაც*. ამასთან, „*კოლხებს*“ კრებითი მნიშვნელობაც ჰქონდა და არაა გამორიცხული, რომ მათში ზოგიერთი არაქართველური (შესაძლოა, აფხაზურ-ადიღურის) ტომიც იგულისხმებოდა. ახ. წ. I-II საუკუნეებიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან ახალი ტომები: *სანიგები* (ძვ. წ. I საუკუნიდან), *აფსიღები*, *აბაზგები*, მოგვიანებით *მისიმიანები*. აღნიშნული ტომებიდან *სანიგთა* და *მისიმიანთა*, ისევე როგორც *ლაზების*, რომლებიც ამ დროს ასევე იყვნენ განსახლებულნი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, როგორც სამხრეთ, ისე, შესაძლოა, ჩრდილოეთ ნაწილშიც, ქართველური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება *აფსიღ-აბაზგებს*, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ისინი თანამედროვე აფხაზ-აფსუათა უშუალო წინაპრები იყვნენ. ამასთან, „*აფსიღ“-აბაზგებს*“ თავდაპირველად (ახ. წ. I-II სს.) ეკავათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლ. მდ. *ღალიძგი*დან მდ. *კელასურამდე*), რეგიონის ძირითად მოსახლეობას კი უდავოდ ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ტომები: **ლაზები, სანიგები და მისიმიანები შეადგენდნენ**. ამასთან, იმის მიუხედავად, *აფსიღ-აბაზგები* ნამდვილად იყვნენ თუ არა ამჟამინდელ აფხაზეთა წინაპრები, ხოლო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მათი პირველსაცხოვრისი, ერთი რამ სრულიად ცხადია – **ღვეჯანდელ აფხაზეთა, როგორც ეთნოსის ფორმირება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთში და ის წარმოადგენს ერთგვარ ნაჯვარს ადიღურ-ჩერქეზული მოდგმისა და ქართველური (ძირითადად მეგრული) ტომებისა**.

- მეტიც, **დღევანდელი აფხაზები** (ქართველებთან ერთად), უპირობოდ ითვლებიან საქართველოს /აფხაზეთის/ მკვიდრ მოსახლეობად. ეს თვალსაზრისი ურყევია და ის ოფიციალურადაა აღიარებული ქართული სახელმწიფოს მიერ, რისი იურიდიული დადასტურებაა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც აფხაზურს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მკვიდრი ხალხის – ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი ერთიანი ქართველი ერის ნაწილისა და საერთო-ქართული ისტორიის სუბიექტის ენას – მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის (ქართულის ენის გვერდით) სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე.
- ასევე მთლიანად საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ აფხაზეთი და აფხაზები უძველეს პერიოდში ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას და არ ყოფილან მოქცეული ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში. თანადროული (ძველი ბერძნული და ლათინური) წერილობითი წყაროებით ერთნიშნად დასტურდება, რომ ჩრდილოდასავლეთ კოლხეთი ანუ **თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე** (მცირე პერიოდების გარდა) იყო ქართული (კოლხურ-ლაზური) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი **ლაზებისა და სანიგების**, რომელთა ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ეთნიკური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს ეკავა. მოგვიანებით, VI საუკუნისათვის გაჩნდა კიდევ ერთი ქართული (სვანური) გაერთიანება – *მისიმიანეთი* (ეკავა კოდორის ხეობის ჩრდილოეთი სექტორი). საკუთრივ აფხაზურ ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებებად მხოლოდ **აფსილებისა და აბაზგების „სამეფოები“** შეიძლება ჩაითვალოს.
- სრულ გაუგებრობაზე და მთლიანად საისტორიო წყაროების მონაცემების არაპროფესიონალურ, მარგინალურ აღქმაზეა აგებული აფხაზური საისტორიო ნარატივის ყალბი პოსტულატი VIII ს. მიწურულს შექმნილი „აფხაზთა“ სამეფოს საკუთრივ აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ გააზრების შესახებ. მთელი დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ არამხოლოდ ქართული საისტორიო სკოლის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელი (მათ შორის, რაც მთავარია, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, ძველი და შუა საუკუნეების ხანის აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი ზურაბ ანჩაბაძე), არამედ პრაქტიკულად ყველა ავტორიტეტული უცხოელი კავკასიოლოგი (*ვლადიმირ მინორსკი, ანატოლი ნოვოსელცევი, ვლადიმირ კუზნეცოვი, სერგეი არუთიუნოვი* და სხვ.), ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, ერთნიშნად მიიჩნევენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. „აფხაზთა“ სამეფოს სახელით ცნობილი პოლიტიკური ერთეული, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს იყო ყველა პარამეტრით იყო სწორედ ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება – ძველი კოლხეთის და ლაზიკის სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრე. მეტიც, „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. თავისი შინაარსით ის იყო პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში, ქართული ეროვნული ქრისტიანული იდეოლოგიით და ქართული სახელმწიფო ენით. ქართული იყო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური მიზანსწრაფვაც. ის განუხრელად იდგა საერთოქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. „აფხაზთა“ სამეფოს მესაძირკვლე – ლეონ II და მისი მემკვიდრენი, მიუხედავად ეთნო-ტომობრივი წარმომავლობისა, თავიანთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-იდეოლოგიური მრწამსით მხოლოდ ქართველები იყვნენ. ისინი აშენებდნენ ერთიან ქართულ (და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით) სახელმწიფოს – „საქართველოს“ და არა აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს – „აფსნის“.

- სახელწოდებით სპეკულირებას ეფუძნება აგრეთვე არანაკლებ მარგინალური თეზისი ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს „აფხაზური ნაციონალური“ საეკლესიო ორგანიზაციად გამოცხადების შესახებ, რომელიც თითქოს წარმოადგენდა „აფხაზთა“ სამეფოს – ასევე აფხაზური „ნაციონალური“ სახელმწიფოს – კულტურულ-იდეოლოგიურ საყრდენს. „აფხაზეთის“ საკათალიკოსო იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული (და არა აფსუა-აფხაზური) საეკლესიო ორგანიზაცია. ამ დასკვნას გარდა იმისა, რომ „აფხაზეთის“ უკლებლივ ყველა ცნობილი კათალიკოსი იყო ქართველი, ადასტურებენ როგორც ნარატიულ წყაროთა მონაცემები, ისე, რაც მთავარია, დოკუმენტური მასალები. პირველ რიგში, ესაა „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები: ე.წ. „აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი“ (ანუ „ბიჭვინთის იადგარი“) და „აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი“. ერთადერთი, რაც აკავშირებს აფხაზურ (აფსურ) სამყაროს „აფხაზეთის“ საკათალიკოსოსთან, არის ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია დიდი ხნის განმავლობაში იყო ბიჭვინთაში – ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, სადაც ამ დროისათვის ძირითადად ცხოვრობდნენ აფხაზური ტომები.
- ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულია აფხაზ ისტორიკოსთა კიდევ ერთი მითი, რომლის თანახმად XI-XII საუკუნეებში „აფხაზთა“ სამეფო, წარ-

მოადგენდა „ძრავალეროვან აფხაზურ სახელმწიფოს“, რომელსაც მართავდნენ „აფხაზი ბაგრატიონები“ და, რომლის „ოქროს ხანას“ წარმოადგენდა სახელოვანი „აფხაზი“ მეფის – *თამარის* ზეობის პერიოდი. ეს, თავიდან ბოლომდე ყალბი, თეზისიც ეფუძნება ერთადერთ „არგუმენტს“ – ცრუმეცნიერულ სპეკულაციებს „მეფე აფხაზთას“ ტიტულის ირგვლივ. ანუ იმ ტიტულის, რომელსაც ატარებდნენ ჯერ *ლეონ II* და მისი მემკვიდრე „*ლეონიდი*“ მეფეები, ხოლო 978 წლიდან იმავე „*ლეონილების*“ დინასტიის ლეგიტიმური წარმომადგენელი (დედის ხაზით) ბაგრატ III ბაგრატიონი, რომელმაც „აფხაზთა“ მეფის ძალაუფლების ქვეშ მოაქცია აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები და საფუძველი ჩაუყარა – ერთიან ქართულ სახელმწიფოს. **საკუთრივ აფხაზეთს (დღევანდელი გაგებით) არავითარი სახელმწიფოებრიობა (თუნდაც ე.წ. „ავტონომიური სამთავროს“ სახით) არ გააჩნდა.** უფრო მეტიც, **აღნიშნული რეგიონი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს არსებობის ხანაში (XI-XV საუკუნეები) ადმინისტრაციულადაც კი არ წარმოადგენდა ერთიან ორგანიზმს.** ის ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის *ლეონ II*-ის დროიდან (IX ს. დამდეგი) დაყოფილი იყო ცალკეული – *აფხაზეთის, ცხუმისა* და *ბედიის* (ოდიშის) – საერისთავოებად. რომელთაგან ეთნიკური აფხაზებით ძირითადად დასახლებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ აფხაზეთის საერისთავო (ამიტომაც ერქვა ამ საერისთავოს სატომო სახელი). **აფხაზეთის საერისთავო, რომ არაფერი ვთქვათ, ცხუმისა და ბედიის საერისთავოებზე (რომლებიც ეთნიკურად ქართული – ძირითადად მეგრულ-ჭანური, ნაწილობრივ სვანურიც – უნდა ყოფილიყო), XI-XII საუკუნეებში კულტურულ-პოლიტიკურად საერთო-ქართული სახელმწიფოს ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული იყო, როგორც საქართველოს ნებისმიერი სხვა რეგიონი.** აღნიშნული საერისთავო, დასავლეთ საქართველოს სხვა, მათ შორის, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საერისთავოებთან ერთად, წარმოადგენდა საქართველოს მეფეების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს ფეოდალური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ეთნიკური აფხაზები თბილისის ტახტის ყველაზე ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ. XI-XII საუკუნეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოების, კერძოდ, *ცხუმის* საერისთავოს როლი. თვითონ ქალაქი *ცხუმი* – *სოხუმი* – კი საქართველოს მეფეთა ერთ-ერთ საზაფხულო რეზიდენციად იქცა.

- ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აფხაზი მკვლევართა მცდელობა XI-XII საუკუნეების მოვლენების ამსახველ სხვადასხვა უცხოურ წყაროებში მოხსენიებული „აფხაზებისა“ და „აფხაზეთის“ ქვეშ იგულისხმონ არა

სრულიად საქართველო და მისი მოსახლეობა მთლიანად, არამედ საკუთრივ ამჟამინდელი აფხაზეთი და აფსუა-აფხაზეთი. ნაშრომში მოტანილი მასალები შესაბამისი ბიზანტიური, არაბულ-სპარსული, სომხური, ძველი რუსული წერილობითი წყაროებიდან მთლიანად აქარწყლებენ ამ თეზისს და ერთნიშნად ადასტურებენ, რომ „აფხაზეთისა“ და „აფხაზეთის“ ქვეშ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ქართული სამეფო და ამ ქვეყნის მოსახლეობა, პირველ რიგში, რასაკვირველია, ქართველები. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯერჯერობით მეცნიერება არ იცნობს XI-XII საუკუნეების მოვლენების ამსახველ არც ერთ უცხოურ წერილობით წყაროს, რომელშიც აღნიშნულ ტერმინებს ექნებოდა სხვა მნიშვნელობა.

- XIII-XV საუკუნეებში, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებისა, რომელმაც გამოიწვია ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჯერ დასუსტება, შემდეგ კი მისი დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, **დღევანდელი აფხაზეთი მაინც რჩებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ორგანულ ნაწილად. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ყოფილი ცხუმისა და ბედიის საერისთავოები – ანაკოფია-ახალი ათონის ჩათვლით – მთლიანად სამეგრელო-ოდისის მმართველ დადიანთა ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში იყო, ცხუმი-სოხუმი კი ქართულ ქალაქს წარმოადგენდა.** აქ იყო სამეგრელო-ოდისის მთავრის რეზიდენცია, სადაც ეს უკანასკნელი საკუთარ მონეტას ჭრიდა. საკუთრივ **აფხაზეთის საერისთავო**, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა სათავეში, **ასევე საერთო-ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.** XIII-XV საუკუნეების მთელ მანძილზე შარვაშიძეები ინარჩუნებდნენ ლოიალობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, ისინი ავლენდნენ მეტ ერთგულებას თბილისის ტახტისადმი (ვიდრე ლიხთიმერეთის სხვა ლიდერები) და წარმოადგენდნენ მის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში.
- შორსაა ისტორიული რეალობიდან აფხაზ ისტორიკოსთა მტკიცება იმის შესახებ, რომ გვიან შუა საუკუნეებში შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული სამხედრო ექსპანსია (რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული აფსუა-აფხაზთა თანამოძმენი – *ჯიქები*) აღმოსავლეთის მიმართულებით და სამეგრელო-ოდისის მთავარ დადიანების კუთვნილი ტერიტორიის მიტაცება – მდ. ენგურამდე იყო აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელი ომი „აფხაზეთის სახელმწიფოს ისტორიული საზღვრების“ აღსადგენად. ნაშრომში სათანადო საისტორიო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, მკაფიოდ არის

ნაჩვენები ამ პროცესის სეპარატისტული ხედვის მცდარობა. სინამდვილეში, აფხაზეთის მთავარ *შარვაშიძეთა* მიერ ორგანიზებული ჯიქ-აფხაზეთა შემოჭრა და დაფუძნება ისტორიული ოდიშის ტერიტორიებზე, მიუხედავად გარკვეული თავისებურებებისა, მთლიანად ჯდებოდა ფეოდალური შუღლისა და შინაომის ფარგლებში. შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები, აფართოებდნენ რა სამეგრელო-ოდიშის ტერიტორიების ხარჯზე თავიანთ სამფლობელოებს, სულაც არ ფიქრობდნენ შეექმნათ საერთო-ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემიდან მოწყვეტილი რაღაც აფხაზურ-აფსუური ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. **მათი მთავარი მიზანი** (ისევე, როგორც ოდიშელ დადიანთა და გურიის მთავარ *გურიელთა*) იყო, **დაწინაურებულიყვნენ სწორედ რომ შიდაქართულ პოლიტიკურ არენაზე და დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები საერთოქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში, ანუ შარვაშიძეთა სახლს ვერ წარმოედგინა თავისი თავი ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსაგან მოწყვეტით.** პირიქით, შარვაშიძეები ყოველნაირად ცდილობდნენ პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინათ როგორც დადიანთა ადგილის, ისე თვით იმერეთის სამეფო ტახტის დასაკავებლად, რასაც თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც *სორეხ შარვაშიძის* მხრიდან ოდიშის მთავრის ტახტის დაკავების მცდელობა XVII ს. მიწურულს, აგრეთვე *ყვაჰუ შარვაშიძის* მიერ რუხის დაკავება და მისი საკუთარ რეზიდენციად გადაქცევა.

- აფხაზეთის ერისთავ *შარვაშიძეთა* ეს ექსპანსიონისტური მისწრაფებები მთლიანად განპირობებული იყო საქართველოში განვითარებული პროცესებით. XVI საუკუნიდან, როდესაც მოიშალა ერთიანი სახელმწიფოებრივი ცენტრი და ქვეყანა რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა, აფხაზეთი იურიდიულად იმერეთის სამეფო ტახტს დაუქვემდებარდა, თუმცა რეალურად რეგიონის კონტროლს დადიანთა სახლი ახორციელებდა. ამ დროიდან აფხაზეთის ერისთავები იწყებენ პერმანენტულ ბრძოლას, პირველ რიგში, ოდიშის სამთავრო სახლის იურისდიქციიდან გამოსასვლელად და ცენტრალური ხელისუფლებისაგან (ამ შემთხვევაში ქუთაისის ტახტისაგან) მეტი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. შარვაშიძეთა საგვარეულომ ამ ბრძოლაში აქტიურად ჩართო ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძრული *ჯიქ-აფხაზეთა* ახალი ნაკადი, რომელიც თანდათანობით დაფუძნდა ჯერ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში, შემდგომ კი თანამედროვე აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიასაც მოედო. ეს ახალმოსული ჯიქ-აფხაზეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებოდნენ აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. **თუ ადგილობრივი „აფხაზობა“ წარ-**

მოადგენდა მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილს, ზოგადქართული ქრისტიანული იდეოლოგიითა და წიგნიერი კულტურით, მოსული ჯიქ-აფხაზნი პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსული „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელი დამანგრეველი ძალა იყო, რომელიც თავის გზაზე პირწმინდად ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. შედეგად, XVI-XVII საუკუნეებში აწინდელი აფხაზეთი მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარიდან, სადაც აყვავებას განიცდიდა ქართული ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, ერთბაშად გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით (პარალელურად, ოსმალეთის ექსპანსიის გაძლიერებასთან ერთად, აფხაზეთში ფეხს იკიდებდა ისლამიც).

- მიუხედავად ამ ცვლილებებისა, აფხაზეთი, ზოგადად, ამ პერიოდშიც რჩებოდა საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილად. აფხაზეთში კვლავ ცოცხლობდა ქართულ სამყაროსთან ისტორიული და კულტურული ერთობის იდეა. ქართული სალიტერატურო ენა განაგრძობდა სახელმწიფო ენის ფუნქციის შესრულებას. ის იყო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა. ამის დასტურია არაერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გამოსულია *შარვაშიძეთა* საგვარეულოს ისეთი აგრესიული (მეზობელი ოდიშის სამთავროს მიმართ) წარმომადგენლების კანცელარიიდან, როგორებიც იყვნენ *ყვაჭუ შარვაშიძე* და *ქელეშბეი შარვაშიძე*. აფხაზეთის მთავრები კვლავინდებურად თვლიდნენ „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსებს, რომელთა რეზიდენციად (XVI, თუ XVII ს. შუა ხანებში) *ბიჭვინთის* ნაცვლად *გელათი* იქცა, თავიანთ სულიერ მამებად. **აფხაზ მთავარ შარვაშიძეთა სახლის** (როგორც სამურზაყანოს შტოს, ისე ლიხნელ შარვაშიძეთა) **წარმომადგენლები არც ამ პერიოდში ყოფილან გამოთიშულნი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან და ზოგადქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მატარებლები იყვნენ**. ისინი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ ბატალიებში.
- ისტორიული სიმართლისაგან ასევე მთლიანად დაცილებულია სეპარატისტული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი მტკიცება, რომლის თანახმადაც *შარვაშიძეების* აფხაზეთის სამთავრო წარმოადგენდა „სუვერენულ სახელმწიფოს“, რომელიც დანარჩენი ქართული სამეფო სამთავროებისაგან დამოუკიდებლად „შეუერთდა რუსეთს“. რეალობა სულ

სხვაა. აფხაზეთის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მთლიანად გამომდინარეობდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შექმნილი კონიუნქტურიდან. პირველად ეს მკაფიოდ გამოვლინდა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, როდესაც ჯერ *სამურზაყანოელმა მარვაშიძეებმა* ცალსახად დაუჭირეს მხარი ქართველი მეფეების: *ერეკლე II*-ისა და *სოლომონ I*-ის პრორუსულ კურსს, ხოლო შემდგომ თვით „ჭემ-მარიტ მუსლიმად“ მიჩნეულმა აფხაზეთის მთავარმა *ქელუშ-ბეი მარვაშიძემაც*, რომელმაც თავის დროზე ძალაუფლება უშუალოდ ოსმალეთის მხარდაჭერით მიიღო, საჭიროდ ჩათვალა, გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება „ბრწყინვალე პორტასთან“ და რუსეთს დაახლოებოდა. 1810 წელს კი მისმა მემკვიდრემ – *გიორგი (საფარ-ბეი) მარვაშიძემ* ოფიციალურად დაიფიცა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ აქტის მთავარი შემოქმედი იყო დადიანთა სამთავრო სახლი, კერძოდ, სამეგრელოს მთავრის *გრიგოლ დადიანის* ქვრივი, სამთავროს დე ფაქტო მმართველი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის *გიორგი XII*-ის ასული *ნინო ბაგრატიონი-დადიანი*.

- ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მაშინდელი აფხაზეთის ლიდერები მკვეთრად აფიქსირებდნენ, რომ აფხაზეთი ნამდვილად იყო საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ნაწილი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მთავართა მიმოწერა და მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **„სათხოვარი პუნქტების“ ორიგინალი** (აფხაზეთის რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შეყვანის შესახებ), **რომელიც მიართვა გიორგი მარვაშიძემ რუსეთის იმპერატორს და რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერდნენ აფხაზეთის სხვა თავადები, დაწერილია ქართულ ენაზე.** „სათხოვარი პუნქტების“ მომზადებისა და წარდგენის ამ პროცედურაში უდავოდ იდო გარკვეული პოლიტიკური აზრი. ასეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, რომლის თანახმადაც, აფხაზეთი ოფიციალურად ამყარებდა ურთიერთობებს რუსეთის სახელმწიფოსთან, მაინცდამაინც ქართულ ენაზე გაფორმებით, აფხაზეთის მთავარი რუსულ მხარისა (და მთელი მსოფლიოს) წინაშე ახდენდა იმის დემონსტრირებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ის და მისი სამთავრო (XIX ს. დამდეგს) წარმოადგენდა საერთო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სამყაროს განუყოფელ ნაწილს.
- საერთო-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრცის ნაწილად მოიაზრებდა თავის თავს აფხაზობა და უპირველეს ყოვლისა აფხაზური თავადაზნაურული ელიტა აფხაზეთის სამთავროს არ-

სებობის დასკვნით ეტაპზეც – *მიხეილ შარვაშიძის* მმართველობის (1822-1864) პერიოდში. ამის გამოსატყულება იყო თუნდაც ის, რომ აფხაზური თავადაზნაურული ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებდა ქართულ სახელებს. უფრო მეტიც, ქართული სახელები გვხვდება *საძ-უბიხთა* შორისაც. ასე მაგალითად, XIX ს. I ნახევარში აღნიშნულ ტომთა ლიდერები იყვნენ **ლევან ცანუბაია** (*ცანბა*) და უბიხების თავადი **ზურაბ ხამიში**. ყველაზე მკაფიო დადასტურება იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი რჩებოდა საერთო-ქართული ქრისტიანულ-კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ნაწილად, არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი *მიხეილ შარვაშიძე* და მისი ძე *გიორგი* დაასაფლავეს მოქვის ტაძარში და მათ საფლავებს ამშვენებს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობით შესრულებული ეპიტაფიები.

- აფხაზეთის სამთავროს გაუქმების, განსაკუთრებით კი მკვიდრი აფხაზური მოსახლეობის მშობლიური კუთხიდან აყრისა და თურქეთში გადასახლების შემდეგ, რომელიც *მუჰაჯირობის* სახელითაა ცნობილი, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა დაიწყეს ზრუნვა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის მოსაშლელად და აფხაზობის საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმიდან ამოსაგლეჯად. სწორედ ამ მიზანს ისახავდა, პირველ რიგში, სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შექმნა, რომელიც, თვით ამ ანბანის შემქმნელის გენერალ *ჰეტრე უსლარის* აღიარებითვე, მიზნად ისახავდა აფხაზთა ქართული კულტურული სამყაროსაგან ჩამოცილებასა და მათ რუსულ წიგნიერებასთან ინტეგრირებას.
- „*დაჰყავი და იბატონე*“-ს იმპერიული დევიზის რეალიზაციას ემსახურებოდა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა საეკლესიო სფეროშიც. კერძოდ, იყო სერიოზული მცდელობა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფისა და მისი ყუბანის საეკლესიო უწყებისადმი დაქვემდებარებისა. მაგრამ რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების ვერაგულ მცდელობას, როგორმე ამოეძირკვათ ქართული ეკლესია და ქართული წიგნიერება აფხაზეთში და ამით გაეხლიჩათ ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობა, წინ აღუდგნენ იმდროინდელი აფხაზური საზოგადოების ყველზე ავტორიტეტული წარმომადგენლები. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ე.წ. „*აფხაზთა დეჰუტაციის*“ ჩამოსვლა თბილისში და მისი შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალთან (1916 წ. 26 აპრილს), რომელზეც კატეგორიულად მოითხოვეს ხელისუფლებისაგან – არ დაეშვათ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტა ეკლესიურად. მიუხედავად მოწინავე აფხაზ მოღვაწეთა დიდი მონდომებისა (ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია აფ-

ხაზეთის უკანასკნელი მთავრის *მიხეილ მარვაშიძის* ვაჟის, ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის *გიორგი მარვაშიძის* (ღვაწლი), რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ბზარის შეტანა ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ერთობაში და აფხაზობის საკმაოდ დიდი ნაწილი განაწყო თავისი ისტორიული ძმების – ქართველების წინააღმდეგ.

- აფხაზეთის ისტორიის ანტიქართულ ნარატივში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია პოლიტიკურ ბრალდებას იმის შესახებ, რომ 1918-1921 წლებში ადგილი ჰქონდა ქართული შეიარაღებული ფორმირებების მიერ აფხაზეთის დაპყრობას და, აფხაზი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მის ინკორპორაციას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აღსანიშნავია, რომ ამ გაუგონარი სიცრუის ტირაჟირებას დღემდე ეწევიან არამხოლოდ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები, არამედ თვით მათი მფარველი რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების პირველი პირები. სინამდვილეში არავითარ „დაპყრობას“ ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ორი მარტივი მიზეზის გამო: 1) აფხაზეთი (იმდროინდელი „სოხუმის ოკრუგი“, რომელიც ადმინისტრაციულად *ქუთაისის გუბერნიაში* შედიოდა) არ წარმოადგენდა დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს და 2) **1918 წ. გაზაფხულზე აფხაზეთში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების შესვლა მოხდა** ჯერ კიდევ 1917 წ. ნოემბერში სოხუმში მხოლოდ აფხაზური ეროვნების წარმომადგენლების მიერ არჩეული **„აფხაზთა სახალხო საბჭოს“** (რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპირება აფხაზეთში), **ოფიციალური თხოვნის საფუძველზე**. მოგვიანებით კი (1918 წ. ივნისში), იმავე **„აფხაზთა სახალხო საბჭომ“** უკვე ახლადშექმნილი **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით არ გაეყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან მისდამი დაქვემდებარებაში გადასული წითელი გვარდიის ნაწილები, რათა დახმარებოდა „სახალხო საბჭოს“ ბოლშევიკური ანარქიის ადკვეთასა და მხარეში რევოლუციური წესრიგის უზრუნველყოფაში**. ამასთან **„აფხაზთა სახალხო საბჭომ“** მიზანშეწონილად ჩათვალა ხელი მოეწერა (1918 წ. 11 ივნისს) შეთანხმებისათვის ოფიციალურ თბილისთან, რომლითაც აფხაზეთს ენიჭებოდა ავტონომია *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის* ფარგლებში. ეს გადაწყვეტილება **1919 წ. 20 მარტს ოფიციალურად დააკანონა იმჟამად (1919 წ. თებერვალში) საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეულმა აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესმა ლეგიტიმურმა ორგანომ – აფხაზეთის სახალხო საბჭომ.**

- მიუხედავად იმისა, რომ 1918-1921 წლებში იმჟამინდელ აფხაზ ლიდერთაგან შინაგანად ყველა ნამდვილად არ უჭერდა მხარს აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევას, მათ შორის არ იყო არც ერთი მოღვაწე, რომელიც ღიად გამოვიდოდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე შესვლის წინააღმდეგ. მეტიც, სწორედ აფხაზური მხარე აჩქარებდა ქართველ პარლამენტარებს, დაუყოვნებლივ დაემტკიცებინათ აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული „ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის“ პროექტი, და ამით დაესრულებინათ ცენტრსა და ავტონომიას შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული გაფორმება. საბოლოო წერტილი კი ამ პროცესს დაუსვა 1921 წ. 21 თებერვალს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ (რომლის შექმნაში აფხაზი ხალხის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას), რომელმაც ოფიციალურად დააკანონა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიან ქართულ სახელმწიფოში.
- ასევე სრულ სიყალბეზეა აგებული მითი იმის შესახებ, თითქოს 1921 წ. 4 მარტს გამოცხადებული ე.წ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი“ იყო „დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფო“, რომელიც 1931 წელს „ყოვლისშემძლე“ ქართველებმა – სტალინმა და ბერიამ „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკის“ სტატუსიდან ჩამოაქვეითეს „ავტონომიურ რესპუბლიკამდე“. მართალია, ე.წ. „ერთა თვითგამორკვევის“ ყალბ ლოზუნგს ამოფარებული რუსი ბოლშევიკები და მათ მიერ დამუშავებული სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი კომუნისტები შეეცადნენ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოცილებას და ამ მიზნით ეწეოდნენ 1921 წ. მარტში წითელი არმიის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის პირობებში გამოცხადებული ე.წ. „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის“ სტატუსით სპეკულირებას, მაგრამ მათი ეს მცდელობა ჩაიფუშა. სულ მალე ცხადი გახდა ე.წ. „აფხაზეთის სსრ“-ის ცალკე არსებობის აბსურდულობა და ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა დააყენეს აფხაზეთის სსრ-ის საქართველოს სსრ-სთან გაერთიანების საკითხი. 1921 წ. 16 დეკემბერს კი თბილისში ხელმოწერილ იქნა „საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულებით, აფხაზეთი, მართალია, ფორმალურად, თითქოს ითვლებოდა არა ავტონომიურ, არამედ „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად“ (ისეთად, როგორც იყო თვით საქართველო), მაგრამ „დე-ფაქტო“ ის იმთავითვე (1921 წლის 16 დეკემბრის „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ დადებამდეც კი) ავტონომიურ რეს-

პუბლიკას წარმოადგენდა. აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (და არა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის – საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ის გაერთიანება ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში) დადასტურებული იყო აფხაზეთის სსრ-ის (1927 წლის), საქართველოს სსრ-ის (1922 წლის) კონსტიტუციებით. სსრ კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში **აფხაზეთი არაა ნახსენები ამ ახალი გაერთიანების – სსრ-ის – დამოუკიდებელ სუბიექტად** (ასეთი საქართველოს სსრ-ც კი არ იყო) და **ის ფიგურირებდა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის**. აფხაზეთის, როგორც **ავტონომიური** რესპუბლიკის სტატუსი, ოფიციალურადაა დაფიქსირებული სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში. ის, რომ აფხაზეთის სსრ იმთავითვე იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური ერთეული, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ბიუჯეტი იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო აფხაზეთის სამთავრობო უწყებები და პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, პარტიული სტრუქტურები კი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ასე რომ *აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა*, რომელიც 1921-1931 წლებში ფორმალურად იწოდებოდა რა ე.წ. „*ხელშეკრულებით რესპუბლიკად*“ („*Договорная республика*“) რეალურად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად შედიოდა *საქართველოს სსრ-ის* შემადგენლობაში და „დე-ფაქტო“ (რამდენადმე „დე იურედაც“) უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტონომიურ ერთეულს.

- თითოეულიდან გამოწოვილია და აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლება XX ს. 30-50-იანი წლების დამდეგს ეწეოდა მიზანმიმართულ დისკრიმინაციულ ეროვნულ პოლიტიკას (აფხაზური ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა, აფხაზური ნაციონალური სკოლების „ლიკვიდაცია“ და მათი ქართულ სწავლებაზე გადაყვანა, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება) აფხაზი ხალხის „ეთნიკური ინდივიდუალობის“ მოსაშლელად. სათანადო დოკუმენტური მასალებით ერთნიშნად დასტურდება, რომ ყველა ეს ღონისძიება გატარდა უშუალოდ სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების ინიციატივითა და მთელი ქვეყნის მასშტაბით და მთლიანად ემსახურებოდა რუსულ-საბჭოურ იმპერიულ ინტერესებს.
- კიდევ ერთი ყბადაღებული თემა, რომელსაც მიზანმიმართულად იყენებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები თავიანთ ანტიქართულ პროპაგანდისტულ კამპანიაში, წარმოადგენს ბოლშევიკური რეჟიმის

მიერ 30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიები. სეპარატისტთა მტკიცებით, ეს რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ აფხაზეთში ჩატარდა და ამაში მთავარი დამნაშავე თურმე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და „ძღვეამოსილი ქართველები“ – იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია იყვნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX ს. 30-იან წლებში საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მართლაც სსრ კავშირის მასშტაბით სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანი აქცია სისხლიანი ტერორის მსხვერპლად. მართალია, რეპრესიები დაიწყო ჯერ კიდევ *ვლადიმირ ლენინის* სიცოცხლეში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა შეიწირა რამდენიმე მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მაგრამ თავის აპოგეას რეპრესიებმა 30-ანი წლების II ნახევარში – „სოციალიზმის მშენებლობის გადაწყვეტ სტალინი“ გადასვლის პერიოდში მიაღწია. ტოტალიტარულ რეჟიმს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ დროს გამწვავდა უკიდურესად კლასობრივი წინააღმდეგობები და მტრულმა ელემენტებმა გააჩაღეს მძაფრი ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. რეპრესიებმა მოიცვეს მთელი ქვეყანა. ბუნებრივია, ის ვერ ასცდებოდა საქართველოსაც. XX ს. 20-30-იან წლებში გატარებულმა რეპრესიებმა საქართველოს დიდი ტკივილი მიაყენა. ტერორს შეეწირნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები და სულ ტყუილად ცდილობს სეპარატისტული ისტორიოგრაფია ეძიოს ბოროტება საქართველოსა და ქართველებში. ეს ბოროტება შვა საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ, რომლის მოშლას ასე მისტირიან დღემდე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები.

- აფხაზი ისტორიკოსები ასევე მრუდე სარკეში წარმოაჩენენ XX ს. 50-80-იან წლებში განვითარებულ პროცესებს და ყოველნაირად ცდილობენ დაადანაშაულონ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთის „საშინაო საქმეებში“ უხეშად ჩარევაში. ამ ჩარევის შედეგად იზღუდებოდა აფხაზი ხალხის „ერთპიროვნული უფლება“ თვითონვე „ეპატრონა საკუთარი სამშობლოსათვის“, რაც იწვევდა აფხაზთა „სამართლიან“ გულისწყრომას, გამობატულს მწვავე საპროტესტო გამოსვლებში. წარმოდგენილ ნაშრომში ნაჩვენებია ამ ბრალდებების სრული უსაფუძვლობა. აფხაზ ხალხს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ჰქონდა ყველა პირობა თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-კულტურული პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზაციისათვის. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ **აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში აფხაზური ენა**, ქართულთან და რუსულთან ერთად, **გამოცხადებული იყო ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად** – ამგვარი ჩანაწერი არ იყო სსრ კავშირში არსებული არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. სოხუმი იყო ფა-

ქტობრივად მეორე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში თბილისის შემდეგ. აქ ფუნქციონირებდა მოკავშირე რესპუბლიკაში მეორე და ამიერკავკასიაში მეოთხე სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც, მიღება წარმოებდა აფხაზურ სექტორზეც, რაც ასევე სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა იყო სსრ კავშირში.

- აბსოლუტურად მოკლებულია რეალობას 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის სეპარატისტული ხედვა, იმის მტკიცება, რომ ეს კონფლიქტი იყო არა ძმათამკვლელი დაპირისპირება, არამედ „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომი“ (*«Отечественная война народа Абхазии»*), რომელსაც იგი ეწეოდა საქართველოს მიერ „დამოუკიდებელი (აფხაზური) სახელმწიფოს“ მიმართ განხორციელებული „აგრესიის“ საპასუხოდ. ყველაზე დასანანი არის ის, რომ სეპარატისტული რეჟიმი დღემდე ცდილობს დააჯეროს საკუთარი მოსახლეობა და მსოფლიო თანამეგობრობაც იმაში, რომ 1993 წ. სექტემბერში „აფხაზეთის ხალხმა“ (ხაზს ვუსვამთ, არა აფხაზმა ხალხმა, არამედ – „აფხაზეთის ხალხმა“) მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ამ „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“. ეს ფორმულირება არათუ არსობრივად არის საფუძველშივე მცდარი არამედ ის უბრალოდ მკრეხელურია. მაშ რაა, თუ არა მკრეხელობა „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ „ღიად გამარჯვებად“ მონათლო ის „გამარჯვება“, რომლის შედეგადაც ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 იძულებული გახდა აყრილიყო მშობლიური კუთხიდან და დევნილად ქცეულიყო. ე.ი. გამოდის, რომ ეს 2/3 სულაც არ ყოფილა „აფხაზეთის ხალხის“ ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ჯდება. და განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე აფხაზეთის ტრაგედიაში? განა ეს რასისტული მიდგომა არ ახდენს სრულ ლუსტრაციას იმისა, თუ ვინ როგორ უყურებდა და უყურებს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის მოქალაქეობრივ უფლებებს?

ასეთია ზოგადად წარმოდგენილ ნაშრომში განვითარებული ძირითადი დებულებები.

ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა

1. **აბრამიშვილი, 1977 – გურამ აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1977.
2. **აბულაძე, 1993 – ცისანა აბულაძე.** საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში. – *საქართველოსა და ქართველების ადმინიშენელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1993 (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/321583>).
3. **აგათია, 1936 – აგათია სქოლასტიკოსი.** იუსტინიანეს მეფობისათვის. – *გეორგია*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი, 1936.
4. **ადამია, 1968 – ილია ადამია.** ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. წ. 2. *აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესახებ*. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი, 1968.
5. **ავალიშვილი, 1967 – გიორგი ავალიშვილი.** მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ულენე მეტრეველმა**. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1967.
6. **აიხვალდი, 2005 – ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ** (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო **გია გულაშვილმა**. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2005.
7. **ალასანია, 2006 – გიული ალასანია.** „ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. XI. გამომცემლობა „მემატიანე“. თბილისი, 2006.
8. **ალექსიძე ზ., 1967 – ზაზა ალექსიძე.** ქართული და სომხური წყაროები VII ს-ის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – წგნ.: *ეპისტოლეთა წიგნი*. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა **ზაზა ალექსიძემ**. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1967.
9. **ალექსიძე ზ., 1978 – ზაზა ალექსიძე.** ატენის სიონის სომხური წარწერები. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1978.
10. **ალექსიძე ლ., 2008 – ლევან ალექსიძე.** აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ, – „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“. №1, 2008.
11. **ალიბეგაშვილი, 1994 – გაიანე ალიბეგაშვილი.** ფერწერული ხატები, ქართული ხატები. თბილისი 1994.
12. **ანდერსენი, 2016 – ენდრიუ (ანდრეას) ანდერსენი.** აფხაზეთი და სოჭი. კონფლიქტის ფესვები. 1918-1921. ინგლისურიდან თარგმნა **შერი ბიჩაძემ**. თბილისი, 2016.
13. **ანთელავა ილ., 1976 – ილია ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან – *საისტორიო კრებული*. V. თბილისი, 1976.
14. **ანთელავა ილ., 1988 – ილია ანთელავა.** მასალები „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წიგნში: **ილია ანთელავა**. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1988.
15. **ანთელავა ილ., 1990 – ილია ანთელავა.** ლევან II დადიანი. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი, 1990.
16. **ანთელავა ნ., 2006 – ნუგზარ ანთელავა.** აფხაზეთი მითები. რიტუალები. სიმბოლოები. გამომცემლობა „ჭრა“. თბილისი, 2006.
17. **ანჩაბაძე გ., 1987 – გიორგი ანჩაბაძე.** „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპა“) მნიშვნელობის გარკვევისათვის. – *მაცნე*, №1, 1987, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1987.

18. **ანჩაბაძე ჯ.**, 2016 – **ჯამბულ ანჩაბაძე**. ნესტორ ლაკობას პოლიტიკური პორტრეტისათვის. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. XV. 2016. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*. თბილისი, 2016-2014.
19. **ანჩაბაძე ჯ.**, 2017 – **ჯამბულ ანჩაბაძე**. კიდევ ერთხელ ნესტორ ლაკობას პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. XVI. 2017. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*. თბილისი, 2017.
20. **არაბი ისტორიკოსები**, 1988 – *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ*. არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **დიტო გორილაიშვილმა**. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1988.
